

ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიჭალაშვილი,  
ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე



საქართველო:  
ტრავმა და ტრიუფი  
დამოუკიდებლობისკენ  
მიმავალ გზაზე

ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე,  
ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე

საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი  
დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე

თბილისი  
2022

UDC (უაკ) 94 (479.22) „19“  
ჩ - 697



პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.  
გრანტი N FR-18-3459

რედაქტორები: პროფესორი მარინე ჩიტაშვილი  
პროფესორი სოფო ზვიადაძე  
დიზაინერი: დალი ჯვარშიეშვილი

© ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე,  
ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე, 2022

ISBN 978-9941-9796-4-4



თბილისი, აღმაშობის 7; მზა: 551 95 31 90

## სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
შესავალი.....	7
თეორიული ჩარჩო.....	18
წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა.....	27
თავი I	
საქართველო 1980-90-იანი წლების მიჯნაზე: ახალი რეალობა და ახალი მიზნები.....	41
თავი II	
9 აპრილი: ტრავმა და ტრიუმფი.....	53
1989 წლის 9 აპრილი როგორც პარადიგმული მოვლენა.....	53
ტრაგედია როგორც მოწამეობა და ამაღლება: გმირის დაბადება.....	74
9 აპრილი ქართულ პრესაში (1989-2019).....	81
სტიქიური უბედურებები: 9 აპრილის ტრავმის ანარქული.....	108
თავი III	
სამოქალაქო დაპირისპირება.....	123
თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება.....	123
დაპირისპირებული ნარატივები.....	150
თავი IV	
მეხსიერების „ყვირილი და ჩურჩული“: 9 აპრილი და სამოქალაქო დაპირისპირება მეხსიერების პოლიტიკაში.....	176
მონუმენტური და სიმბოლური არაეპი.....	176
ფუნქციური არაეპი.....	201

თავი V

„ბნელი 90-იანები.“ ყოველდღიურობა როგორც ტრავმა .....238

თავი VI

ტრავმა და ტრიუმფი მხატვრულ ტექსტებში.....288

„სამყაროს შექმნა“ .....288

90-იანების ქრონოტოპი.....290

დასკვნა.....319

GEORGIA: TRAUMA AND TRIUMPH ON THE WAY TO INDEPENDENCE.....323

ბიბლიოგრაფია.....549

დანართი 1. საველე კვლევა და მისი შედეგები .....570

დანართი 2. ზეპირი ისტორიები.....613

## წინასიტყვაობა

ამ წიგნის იდეა ჩვენი ხანგრძლივი თანამშრომლობის პროცესში გამოიკვეთა. წლების განმავლობაში, კოლექტიური მეხსიერების, კულტურული ტრავმისა და იდენტობის საკითხებზე მუშაობისას დაგროვდა კითხვები, რომლებზე პასუხების გაცემა საგანგებო კვლევას მოითხოვდა. ისინი ეხებოდა საქართველოში 1980-1990-იან წლებში მიმდინარე რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებს, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართულ საზოგადოებაზე. ამ მოვლენების მომსწრე თავად ვართ, თუმცა შევეცადეთ, „გარედან“ შეგვეხედა პროცესებისათვის.

ჩვენი იდეა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადგომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ კვლევის შესრულება.

მაღლიერებას გამოვხატავთ ყველა იმ ადამიანისა და ორგანიზაციის მიმართ, ვინც არ დაიშურა ჩვენთვის რჩევის, შენიშვნისა და მოსაზრების გაზიარება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ექსპერტი, ბატონი შალვა მეკრავიშვილი და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, ქალბატონი ნანა ციხისთავი დაგვეხმარნენ საჭირო კონტაქტების დამყარებაში. მიუხედავად მათი რთული და დაძაბული განრიგისა, პედაგოგებმა არ დაიზარეს გამოკითხვაში მონაწილეობა. ლიტერატურის მკვლევარმა და მთარგმნელმა, ქალბატონმა დალილა გოგიამ არა მარტო უანგაროდ მოგვანოდა გამოუქვეყნებელი თარგმანი, არამედ დიდი დახმარება გაგვინია ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა ჩვენს რესპონდენტებთან, რომლებმაც გვიამბეს თავიანთი პირადი ისტორიები და დიდსულოვნად დაგვთანხმდნენ მათ გამოქვეყნებაზე.

ჩვენს ნაშრომს ორი არაჩვეულებრივი რედაქტორი ჰყავს. პროფესორ სოფო ზვიადაძის რჩევები დაგვეხმარა გასაანალიზებელი წყაროების გამრავალფეროვნებაში, რამაც ჩვენი დასკვნები ცალკეულ საკითხებზე კიდევ უფრო გაამყარა. პროფესორ მარინე ჩიტაშვილის კრიტიკულმა შენიშვნებმა, ზუსტმა კომენტარებმა და რეკომენდაციებმა გვიბიძგა ნაშრომის სტრუქტურული და შინაარსობრივი გადაამუშავებისკენ, ანალიტიკური მხარისა და არგუმენტაციის გაძლიერებისკენ.

ფასდაუდებელი დახმარება გაგვინია ჩვენმა კონსულტანტმა, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორმა ბალაშ ტრენშენიმ, რომელიც ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული სამუშაო პროცესში.

ვფიქრობთ, რომ შევძელით კვლევის ძირითადი მიზნების მიღწევა. იმედი გვაქვს, წიგნი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთა და, იქნებ, უფრო ფართო მკითხველის ინტერესსაც გამოიწვევს, რადგან იგი იმ მოვლენებზე მოგვითხრობს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხალია რამდენიმე თაობის მეხსიერებაში. ცხადია, ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან. მაღლიერებით მივიღებთ ყველა საქმიან შენიშვნასა და მოსაზრებას.

## შესავალი

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე მოვლენებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში და მისი სამომავლო განვითარება განსაზღვრა. საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესწავლას უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. გამოვლენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია საყურადღებო დოკუმენტები, დადგენილია ფაქტები, განალიზებულია ისტორიული და პოლიტიკური პროცესები.

XX საუკუნის შუა ხანებიდან საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა კულტურული ტრავმის ფენომენი, მისი კავშირი კოლექტიურ მეხსიერებასთან, იმის შესწავლა, თუ რა როლს ასრულებს წარსული აწმყოში (*past in the present*), რა გავლენას ახდენს იგი ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებასა და გარდაქმნაზე.<sup>1</sup> ჩვენს ნაშრომში, კულტურის კვლევათა პარადიგმულ ჩარჩოში, შესწავლილია საბჭოთა კავშირის უკანასკნელ და დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში განვითარებული პროცესები. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა, გამოქვეყნებული ემპირიული მასალა და ჩვენ მიერ მოძიებული მონაცემები გაანალიზებულია კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიათა, ასევე *გამარჯვების ტრავმის* კონცეფციის ჩრჩილში.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს, დამოუკიდებლობის აღდგენას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ახლდა არაერთი მოულოდნელი და მტკივნეული მოვლენა: 1989 წლის 9 აპრილი, 1991-1992 წლების თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება მთლიანად ქვეყანაში, კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ბუნებრივი კატაკლიზმები (მენყერები, მიწისძვრები, წყალდიდობები), ეკონომიკური კოლაფსი და მისგან გამომდინარე სოციალური სიდუხჭირე, ენერგოკრიზისი, სიბნელე, სიცივე, უტრანსპორტობა და უგაზობა. ეს პროცესები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შემდგომი პერიოდის სოციალური ურთიერთობების სახე, სიმბოლოები, ფასეულობები, ნორმები და კანონები, ჩვენი აზრით, ზუსტად შეესაბამება „გამარჯვების ტრავმას“ – „ცვლილებას, რომელიც ცალსახად ფასდება როგორც სასურველი და პროგრესული, რომელსაც ერთუზიანობით ხვდებიან, მაგრამ ამავე დროს ის წარმოშობს ტრავმას, ზოგიერთი საზოგადოებისთვის მაინც.“<sup>2</sup> მიუხედავად საერთო ტრავმული ბუნებისა, 1980-90-იანი წლების მოვლენების აღქმა და საზოგადოებაზე მათი გავლენა ერთგვაროვანი არ ყოფილა. ზოგიერთმა მსხვერპლიანმა და ტრაგიკულმა ფაქტმა, კოლექტიური აღქმის დონეზე, ტკივილთან ერთად, ტრიუმფის როგორც მსხვერპლით მოპოვებული გამარჯვების განცდა დაბადა, ზოგიერთმა კი – სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა და მისი დავინწყების სურვილი. ამიტომ, მათი გააზრები-

<sup>1</sup> Kopeček, Michal and Piotr Wciślik. “Introduction. Towards an Intellectual History of Post-Socialism,” *Thinking through Transition. Liberal Democracy Authoritarian Pasts, and Intellectual History in East Central Europe after 1989*, eds. Michal Kopeček and Piotr Wciślik (Budapest-New York: CEU Press, 2015), p. 10.

<sup>2</sup> Sztompka, Piotr. *The Ambivalence of Social Change: Triumph or Trauma?* WZB Discussion Paper, no. P 00-001 (Berlin: 2000), p. 21.



სათვის, კულტურული ტრავმის დამკვიდრებულ კონცეფციასთან ერთად, საჭიროდ მივიჩნით ტრიუმფის ცნების შემოტანა.

შეზღუდვა, რომელიც თავიდანვე განვსაზღვრეთ ჩვენი კვლევისათვის, ეხება ცხინვალის რეგიონის კონფლიქტსა (1991-1992) და აფხაზეთის ომს (1992-1993). ცხადია, 1990-იანი წლების დასაწყისის ტრავმული პროცესებისა და მათი მენტალური რეპრეზენტაციის შესწავლა სრულყოფილი ვერ იქნება ამ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გათვალისწინების გარეშე, თუმცა ჩავთვალეთ, რომ ეს საკითხები საგანგებო კვლევის საგანია კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის კონცეფციების ფარგლებში.

ჩვენს ნაშრომს რამდენიმე მიზანი აქვს: პირველი – ესაა კულტურული ტრავმის კონცეფციის, გამარჯვების ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიების საფუძველზე 1980-1990-იანი წლების საქართველოს რეალობის გაანალიზება, ამ პერიოდში მომხდარი მოვლენების აღქმისა და მათთვის მნიშვნელობათა მინიჭების დინამიკის შესწავლა. ჩამოთვლილი თეორიები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება: მტკივნეული მოვლენა კოლექტიურ მეხსიერებაში არსებული ხატების – ალეიდა ასმანის სიტყვით, *კულტურული ნიმუშების* – მეშვეობით მნიშვნელობას იძენს და ყალიბდება კულტურულ ტრავმად. ამდენად, ჩვენ მიერ არჩეული თეორიული ჩარჩო საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ, რატომ ჩამოყალიბდა 1980-90-იანი წლების მოვლენები კულტურულ ტრავმად, როგორ აღიქმებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიერ, რა გავლენა იქონია გავლილმა ოცდაათმა წელმა ამ აღქმებსა და შეფასებებზე, რომელ კულტურულ ნიმუშებს დაემყარა ტრავმული და ტრიუმფალური ნარატივები.

მეორე მიზანია 1980-1990-იანი წლების მიჯნის ტრავმული მოვლენების მნიშვნელობათა კონსტრუირებისა და ინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესწავლა და კოლექტიურ მეხსიერებაში მათი ადგილის ჩვენება. სწორედ მინიჭებული მნიშვნელობა და ინსტიტუციონალიზაციის საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა განსაზღვრავს ამა თუ იმ მოვლენის ადგილს კოლექტიურ მეხსიერებაში, მათ ზემოქმედებას და გავლენას თანამედროვეებსა და მომავალ თაობებზე. საკვლევი პერიოდი, ამ თვალსაზრისით, მრავალფეროვან და წინააღმდეგობრივ სურათს წარმოგვიდგენს. დამოუკიდებელი მომავლის ლეგიტიმაციისთვის საჭირო ახალი მეხსიერების შექმნის პროცესში მონაწილეობენ ძველი და ახალი პოლიტიკური აქტორები, ხელისუფლება და ოპოზიციური ჯგუფები, კულტურული ელიტის სხვადასხვა თაობა, მიმდინარეობს *ძეგლების ომი*, საისტორიო ნარატივების გადასინჯვა. ერთმანეთს ენაცვლება ტრავმული მოვლენები, რომლებიც აისახება სხვადასხვა ტიპის ნარატივებში. ზოგი მოვლენა ტრიუმფის ელემენტებით ივსება და მყარად მკვიდრდება კოლექტიურ მეხსიერებაში, ზოგი კი სხვადასხვა ჯგუფის მეხსიერებათა დაპირისპირების საფუძველად იქცევა.

მესამე მიზანია იდენტობის ტრანსფორმაციასა და ახალი იდენტობ(ებ)ის ფორმირებაზე, ინდივიდებისა და ჯგუფების მსოფლმხედველობაზე, ღირებულებებსა და ცხოვრების წესზე ტრავმის გავლენის გამოკვლევა. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ტრავმაგანცდილი ჯგუფები სხვადასხვაგვარად რეაგირებდნენ 1980-90-იანი წლების მოვლენებზე, რომელთა უმრავლესო-

ბა ტრავმული იყო. ისინი ზემოქმედებდა ღირებულებებზე, ტრადიციებზე, სახეს იცვლიდა არსებული იდენტობები და ჩნდებოდა ახალი. ენაში გაჩნდა მათი ალმნიშვნელი სემანტიკური ერთეულები: „გვარდიელები“, „მხედრიონელები“, „ზვიადისტები“, „პუტჩისტები“, „ლტოლვილები“, „კულინარიელები“, „ბოროტები“ და სხვა. ამ ცვლილებებმა ღრმა კვალი დატოვა კოლექტიურ მეხსიერებაში და გავლენა იქონია შემდგომში განვითარებულ მოვლენათა აღქმაზე.

ჩვენი ნაშრომი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიათა გამოყენებით არის ახსნილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპზე მიმდინარე პროცესები. შემოთავაზებულია უახლოესი წარსულისა და მიმდინარე მოვლენების კვლევის ახალი პერსპექტივა, რაც 1980-1990-იანი წლების რეალობის უკეთ გააზრების საშუალებას იძლევა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ საბჭოთა კავშირის ოფიციალურ აღსასრულს რამდენიმე თვით დაასწრო. მას წინ უძღოდა ეროვნული მოძრაობის სწრაფი და მკვეთრი აღმავლობა, რომლის სხვადასხვა ფრთას განსხვავებული, თუმცა არცთუ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა როგორც დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე, ასევე დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემებსა და შესაძლებლობებზე. მოძრაობის ლიდერთა განცხადებებსა და ქმედებებში ერთმანეთთან გადაჯაჭვული იყო თავისუფალი მომავლის იმედი და თავისუფლად ცხოვრების გამოუცდებლობა, დამოუკიდებლობის სწრაფად მიღწევის სურვილი და მასთან დაკავშირებული პრობლემების გაუაზრებლობა, ქვეყნისათვის თავგანწირვის მზაობა და პირველობისაკენ სწრაფვა, არა მხოლოდ საბჭოთა წარსულის, არამედ განსხვავებული აზრისადმი შეურიგებლობა. ისევე როგორც სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბება დაიწყო დამოუკიდებელი მომავლის ლეგიტიმაციისაკენ მიმართულმა ახალმა მეხსიერებამ, რომელიც აისახა სამეცნიერო თუ მხატვრულ ტექსტებში, საგაზეთო პუბლიკაციებში, დამოკიდებულებაში საბჭოთა წარსულის ამსახველი მონუმენტების, მემორიალების თუ სიმბოლოებისადმი. ეს პროცესი აერთიანებდა როგორც სტიქიურ მოძრაობას – ახალი მეხსიერების ქვემოდან შექმნის მცდელობებს, ასევე მეხსიერების მიზანმიმართულ პოლიტიკას, რომელსაც ჯერ ისევ ხელისუფლების სათავეში მყოფი საბჭოთა პოლიტიკური ელიტა ატარებდა, ასპარეზზე გამოსულ ახალ ძალებთან კომპრომისებისა და რეპრესიების მონაცვლეობით. წარსულის სურათი – კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსაზღვრელი – სწრაფად და მტკივნეულად იკვეთებოდა და ნაკლებად იყო ორიენტირებული იმაზე, რომ იგი საზიარო გამხდარიყო საქართველოს ეთნიკურად, ლინგვისტურად და რელიგიურად მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის. ამ პროცესმა თავისი როლი შეასრულა იდენტობის კრიზისის შექმნაში 1990-იანი წლებში.

1989 წლის 9 აპრილმა – „დღემ, აღსავსემ ტრაგიზმითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით“,<sup>3</sup> „ყირაზე დააყენა სოციალური რეალობა“<sup>4</sup> და სათავე დაუდო

<sup>3</sup> „ქალი 9 აპრილის ფოტოდან: ვფიქრობდით, ჩვენი თაობა შეძლებდა, ღირსეულად ეცხოვრა დამოუკიდებელ ქვეყანაში,“ *მეტრონომი*, 8 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3q28euA> (ნანახია 10.04.2021).

<sup>4</sup> Assmann, Aleida. “Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), p. 53.

„დროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.“<sup>5</sup> 9 აპრილი ჩამოყალიბდა საქართველოს უახლესი ისტორიის პარადიგმულ მოვლენად, რომელშიც გაერთიანდა ტრავმისა და ტრიუმფის ელემენტები. მოვლენის პარადიგმულობა აისახა ნარატივში, რომელიც ხაზს უსვამდა მსხვერპლის საჭიროებას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს ნარატივი სხვადასხვა ფორმით აირეკლა საისტორიო თუ მხატვრულ, მემუარულ თუ დოკუმენტურ ლიტერატურაში, მონუმენტებში, მემორიალებში, ხსოვნის დღეებში, ქუჩების სახელებში, დაღუპულთა სახელების ამა თუ იმ ფორმით უკვდავყოფაში, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წლის 9 აპრილს, თითქოს, ტრიუმფალური ნერტილი უნდა დაესვა მოვლენების მწკრივისათვის, რომლებიც რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის მიმდებარე სივრცეში 1921 წლიდან ვითარდებოდა. თუმცა, ძალიან მალე, სწორედ ეს ადგილი თბილისის ომის, არჩეული ხელისუფლების დამხობისა და შემდგომი შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირების საწყის ნერტილად იქცა.

1991 წლის დეკემბრის ბოლოს თბილისის ცენტრში დაიწყო შეიარაღებული შეტაკება პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე და მოწინააღმდეგე ძალებს შორის. იანვრის დასაწყისში დაპირისპირება საქართველოდან ზვიად გამსახურდიას განდევნით, სამხედრო საბჭოს მიერ ძალაუფლების აღებით, მოგვიანებით კი საქართველოს კომპარტიის ყოფილი ლიდერის, შემდგომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, *პერესტროიკის* ერთ-ერთი შემოქმედის, ედუარდ შევარდნაძის სამშობლოში დაბრუნებითა და ხელისუფლების სათავეში მოსვლით დამთავრდა. მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირება არ დასრულებულა, იგი რეგიონებზე გავრცელდა და ყველაზე მძიმე, შეიარაღებული კონფლიქტის ფორმა სამეგრელოში მიიღო. ამ პროცესებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. 9 აპრილისაგან განსხვავებით, ეს მოვლენები *რთულ წარსულად* იქცა, რომლის გახსენებას თავს არიდებენ, მაგრამ იგი „უარს ამბობს ნასვლაზე და კვლავ იჭრება ანმყოში“,<sup>6</sup> ბრუნდება და „ისე განიცდება, თითქოს გუშინ მოხდა.“<sup>7</sup> სამოქალაქო დაპირისპირებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაშიც, რომ დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის სირთულეებით აღსავსე, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებითა და მისი შედეგებით დამძიმებული *90-იანი წლები* „მძიმე და ბნელის“ ეპითეტით შევიდა საქართველოს ისტორიაში.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ „კომუნიზმის კოლაფსისა და პოსტკომუნიზმის დაბადების ნარატივები პოლიტიკური წინააღმდეგობების წყაროდ იქცა; ფართო და შეთანხმებული მესხიერების დამკვიდრების მცდელობები წარმატებული არ აღმოჩნდა, წლისთავის აღნიშვნები და იუბილეები უფრო დაყოფა-დაპირისპირებას იწვევდა, ვიდრე გაერთიანებას.“<sup>8</sup> კიდევ უფრო წინააღმდეგობრივია იმ ქვეყნებში შექმნილი ნარატივები, რომლებმაც სოციალიზმის რღვევის ბოლო ეტაპზე სამოქალაქო დაპირისპირებისა და კონფლიქტების რთული პროცესი გადაიტანეს. მათ შორის არის საქართვე-

<sup>5</sup> Рост, Юрий. “Стыдно мне,” *Аргумент*, 26 მარტი, 2014, <https://bit.ly/3F5IPEB> (წაწახია 04.02.2021).

<sup>6</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 52.

<sup>7</sup> Volkan, Vamik D. *When Enemies Talk: Psychoanalytic Insights from Arab-Israeli Dialogues*, Sigmund Freud Lecture (Vienna: 1999), p. 14.

<sup>8</sup> Kopeček and Weislik, “Introduction,” p. 31.

ლოც. თუ 9 აპრილის ტრავმისა და ტრიუმფის ნარატივმა გააერთიანა თითქმის მთელი საზოგადოება, სამოქალაქო დაპირისპირებამ იგივე საზოგადოება დაპირისპირებულ ჯგუფებად დაჰყო, რომელთა შორის მსხვერპლისა და დამნაშავეის გამოკვეთა მიუღწეველი და რთული ამოცანა აღმოჩნდა. ამ ორმა მოვლენამ გადამწყვეტი გავლენა იქონია დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო და საგარეო ორიენტირების განსაზღვრაზე, თვითაღქმის პრობლემაზე, მეხსიერებისა და იდენტობის ჩამოყალიბებასა და თავისებურებებზე.

ნიგნი, რომელზეც ხუთმა მკვლევარმა იმუშავა, შედგება შესავლის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან. **პირველი თავი – „საქართველო 1980-90-იანი წლების მიჯნაზე: ახალი რეალობა და ახალი მიზნები“** (ნინო ჩიქოვანი) – 1980-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში მიმდინარე პროცესების განხილვას ეძღვნება. ფაქტოლოგიური კონტექსტის გარდა, დიდი ადგილი ეთმობა ამ პერიოდის მეხსიერებას და მის რეპრეზენტაციას როგორც ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების, ასევე პროცესების უშუალო მონაწილეების მიერ. განხილულია წარსულისადმი დამოკიდებულების გადასინჯვა, რომელსაც სათავე დაუდო *პერესტროიკის* პოლიტიკის შემადგენელმა *საჯაროობამ*; *აქტიური დავიწყებისა* და *წარსულზე შურისძიების* შემთხვევები, რომლებიც „ახალი წარსულისათვის“ ბრძოლას გამოხატავდა; ეროვნული მოძრაობის ზრდა და მისადმი კომუნისტური ხელისუფლებისა და ფართო საზოგადოების დამოკიდებულება; ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხის დღევანდელი შეფასება მაშინდელი პოლიტიკური ელიტის მიერ. “

**მეორე თავი – „9 აპრილი – ტრავმა და ტრიუმფი“** – ოთხი ქვეთავისაგან შედგება: „1989 წლის 9 აპრილი როგორც პარადიგმული მოვლენა“ (ნინო ჩიქოვანი), „ტრაგედია როგორც მონამეობა და ამალღება: გმირის დაბადება“ (ნინო ჩიქოვანი), „9 აპრილი ქართულ პრესაში, 1989-2019“ (ირაკლი ჩხაიძე) და „სტიქიური უბედურებები: 9 აპრილის ტრავმის ანარეკლი“ (ქეთევან კაკიტიელაშვილი). პირველი წარმოგვიდგენს 9 აპრილის პარადიგმულ მოვლენად ჩამოყალიბების პროცესს. გაანალიზებულია *კულტურული ნიმუშები*, რომლებსაც დაემყარა 9 აპრილის ტრავმულ-ტრიუმფალური ნარატივი; 9 აპრილის ღამის ემოციის როლი მისი დამახსოვრებისა და სხვადასხვა ფორმით რეპრეზენტაციის პროცესში; ამ მოვლენისადმი დამოკიდებულების *ოცდაათწლიანი დინამიკა*. ერთ-ერთი საყურადღებოა *რეზონანსის* საკითხი – კონკრეტული მოვლენით, ამ შემთხვევაში, 9 აპრილით – დამყარებული კავშირი ძველ და ახალ ტრავმულ გამოცდილებებს შორის, რამაც ხელი შეუწყო ახალი ტრავმის ჩამოყალიბებას. ნაჩვენებია ამ რეზონანსით განსაზღვრული ისტორიული მოვლენების მწკრივი და ის, თუ როგორ იქცა 1989 წლის 9 აპრილის კოლექტიური ტრავმა მომავალი ისტორიისა და მეხსიერების ათვლის წერტილად. 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით იმ ადგილას, სადაც ორი წლის წინ ტრაგედია დატრიალდა, მანამდე კი არაერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, მწემონიკური ხიდი გაიღო ანწყოსა და წარსულს შორის, ხაზი გაესვა ისტორიულ განგრძობადობას, რაც მიზნად ისახავდა საზიარო მეხსიერებისა და იდენტობის განმტკიცებას. 9 აპრილმა, როგორც პარადიგმულმა მოვლენამ, ბევრი რამ განსაზღვრა მომდევნო ათწლეულებშიც, მათ შორის – რუსთაველის გამზირის ამ მონაკვეთის ქცევა პა-

რადიგმულ სივრცედ და საკრალურ ადგილად საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში. ქვეთავში განხილულია ამ სივრცის ფლობისათვის დაპირისპირების, აგრეთვე პარადიგმული მოვლენისა და ადგილის მენტალური რეპრეზენტაციის „ხელშეუხებლობის“ დარღვევის მაგალითები, რომლებსაც მძიმე გამოხმაურება მოჰყვა.

განხილულია 9 აპრილის რეზონანსის კიდევ ერთი მიმართულება – ფაქტი, რომლის მნიშვნელობა 9 აპრილის ტრავმამ განსაზღვრა: ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის, მერაბ კოსტავას ტრაგიკული დაღუპვა 1989 წლის 13 ოქტომბერს. ამ ტრაგედიის ტრავმად ჩამოყალიბება იმავე, მონამეობისა და ამაღლების კულტურული ნიმუშის ფარგლებში მოხდა, რომელიც საფუძვლად ედო 9 აპრილის ნარატივს. გაანალიზებულია ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყო მერაბ კოსტავას დაღუპვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას და ახალი გმირის დაბადებას.

მესამე ქვეთავში გაანალიზებულია ბეჭდური მედიის როლი 9 აპრილის, როგორც ტრავმული და ტრიუმფალური მოვლენის ჩამოყალიბებაში. პერესტროიკის პერიოდიდან მოყოლებული, ქართული პრესა თანდათან მრავალფეროვანი ხდებოდა, გამოდიოდა როგორც სახელისუფლებო, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანების გაზეთები, რომლებიც იმ დროს ინფორმაციის გავრცელებისა და სოციალური რეალობის კონსტრუირების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. 1989-2019 წლებში საქართველოში გამომავალი, დიდტირაჟიანი და, შესაბამისად, უფრო გავლენიანი ოფიციალური და ალტერნატიული პრესის ანალიზის გზით, შესწავლილია, როგორ არის წარმოდგენილი საგაზეთო პუბლიკაციებში 9 აპრილის, როგორც პარადიგმული მოვლენის, ჩამოყალიბების პროცესი; რამდენად ფიგურირებდა საგაზეთო პუბლიკაციებში კულტურული ნიმუშები; რა გავლენას ახდენდა პოლიტიკური კონტექსტ(ებ)ის ცვლილება 9 აპრილის ნარატივის კონსტრუირებაზე. აღნიშნულია სოციალური მედიისა და ინტერნეტ ტელევიზიების გავლენისა და მნიშვნელობის ზრდა და მათ მიერ ბეჭდური მედიის, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყაროს შევიწროების ფაქტი.

მეოთხე ქვეთავი კულტურული ტრავმის თეორიის ჩრილში 1989 და 1991 წლებში საქართველოში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების გააზრებას ეძღვნება. კვლევა ემყარება იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზს. ამ წლებში, აპრილის თვეში, მთიან აჭარასა და რაჭა-ზემო იმერეთში კოლექტიურ მეხსიერებაში არსებულთაგან ყველაზე დამანგრეველი და მსხვერპლიანი სტიქიური უბედურებები მოხდა. აპრილის თვესთან დაკავშირებულ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან – რუსთაველის გამზირზე 1989 წელს დატრიალებულ ტრაგედიასთან და 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენასთან – თანხვედრამ, როგორც ჩანს, განაპირობა სოციალურ და სტიქიურ მოვლენათა გააზრება ერთიანი ტრავმული გამოცდილების ჩრილში და მათი დაკავშირება იდენტობასთან. შესწავლილია კულტურული ნიმუშები, რომლებიც ქართულ კულტურულ კონტექსტში გამოიყენებოდა სოციალური ტრავმის კონსტრუირებისათვის, დასახელებული სტიქიური უბედურებების შემდეგ კი ახალი ტრავმული გამოცდილებისათვის მნიშვნელობის მისანიჭებ-

ლად „ამუშავდა“ და ტრავმულ ნარატივს დაედო საფუძვლად; გამოყოფილია ამ ნიმუშების ძირითადი ასპექტები.

**მესამე თავი – „სამოქალაქო დაპირისპირება“** – ორ ქვეთავს მოიცავს: „თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება“ (ნინო ჩიქოვანი) და „დაპირისპირებული ნარატივები“ (ქეთევან ეფაძე). პირველ ქვეთავში შესწავლილია 1991-1992 წლების მიჯნაზე მიმდინარე თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც მოვლენები, რომელთათვის მნიშვნელობის მინიჭება, კონსენსუსზე დამყარებული ტრავმული ნარატივის შექმნა და კულტურულ მეხსიერებაში ადგილის მიჩენა ვერ მოხერხდა. ეს მოვლენები არ ქცეულა მეხსიერების პოლიტიკის ნაწილად, არ მომხდარა მათი ინსტიტუციონალიზაცია. ისინი, უმთავრესად, კომუნიკაციურ მეხსიერებაში შემოინახა და აისახა სხვადასხვა მედიაში – ისტორიკოსთა შრომებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში, ავტობიოგრაფიებში, მხატვრულ ტექსტებში, საგაზეთო პუბლიკაციებში, დოკუმენტურ ფილმებში, სატელევიზიო გადაცემებში. ამა თუ იმ ჯგუფის მიერ შექმნილი ნარატივების, ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დადგენილებების და გადწყვეტილებების, დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების მოგონებათა და ინტერვიუების, სოციალური მედიის მასალების ანალიზის გზით შესწავლილია, თუ რამ შეუშალა ხელი თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების მკაფიო კონსტრუირებას, რის გამოც ეს მოვლენები დღემდე რჩება ურთიერთდაპირისპირებულ და, ზოგჯერ, შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფის წყაროდ.

მეორე ქვეთავი იმ დაპირისპირებული ნარატივების კლასიფიკაციასა და განალიზებას ეძღვნება, რომელთა დაახლოება და შეთანხმება, თავად მხარეებისა და ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებულ მცდელობათა მიუხედავად, არ მოხერხდა. აღნიშნულია ამ ნიშნით ნარატივთა კლასიფიკაციის პირობითობა, რადგან, ზოგ შემთხვევაში, ავტორთა მიკუთვნებულობა რომელიმე დაპირისპირებული მხარისადმი ნაკლებად ახდენს გავლენას მათ ნარატივზე და ისინი მეორე ჯგუფის პოზიციას იზიარებენ, ან კომპრომისულ ვარიანტს გვთავაზობენ. ნარატივები, რომელთა ნაწილი სხვადასხვა პუბლიკაციის სახით არის ხელმისაწვდომი, ზოგი კი სატელევიზიო გადაცემების ფორმით არსებობს, დაჯგუფებულია სამოქალაქო დაპირისპირების მნიშვნელოვანი მომენტებისადმი დამოკიდებულების მიხედვით და ქრონოლოგიურად დალაგებულია სამ პერიოდად: 1990-იანი წლები, 2000-იანი და 2010-იანი წლები. ქვეთავის მიზანია ამ მონათხრობებში ტრავმული ნარატივის კომპონენტების იდენტიფიკაცია და იმის ჩვენება, თუ როგორი იყო და როგორ შეიცვალა/არ შეიცვალა ავტორთა დამოკიდებულება ზემოთ დასახელებული მომენტებისადმი, დამნაშავისა და მსხვერპლის აღქმისადმი, მომხდარზე პასუხისმგებლობის საკითხისადმი.

**მეოთხე თავი – „მეხსიერების ‘ყვირილი და ჩურჩული’: 9 აპრილი და სამოქალაქო დაპირისპირება მეხსიერების პოლიტიკაში“** – ორ ქვეთავს აერთიანებს: „მონუმენტური და სიმბოლური არეები“ (ქეთევან ეფაძე) და „ფუნქციური არეები“ (ნინო ჩიქოვანი). ამ თავში, მონუმენტური, სიმბოლური და ფუნქციური მეხსიერების არეების (ტოპონიმები, მემორიალები, მონუმენტები, საფლავის ქვები, ქუჩის სახელწოდებები, სამუზეუმო ექსპონატები, ისტორიკოსთა ნაშრომები,

სასკოლო სახელმძღვანელოები) შექმნისა და დინამიკის (მაგალითად, სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებული ადგილების ნაშლის, აგრეთვე ზოგი ადგილის ტრანსფორმაციის) შესწავლის გზით, გამოკვლეულია, როგორ აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის მეხსიერების პოლიტიკაში 1989 წლის 9 აპრილი და სამოქალაქო დაპირისპირება; რამ განსაზღვრა მეხსიერების „ყვირილი“ 9 აპრილთან, ხოლო „ჩურჩული“ – სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით. პირველი ქვეთავი მონუმენტური და ფუნქციური არეების და, მათი მეშვეობით, მეხსიერების ფორმირების შესწავლას ეძღვნება, მის პირველ ნაწილში 9 აპრილის, ხოლო მეორეში სამოქალაქო ომის მეხსიერებასთან დაკავშირებული არეებია გაანალიზებული. მეორე ქვეთავი, რომელშიც ფუნქციური არეებია შესწავლილი, ასევე ორი ნაწილისაგან შედგება. იქიდან გამომდინარე, რომ საისტორიო ნარატივი ინტერპრეტაციისა და მნიშვნელობათა მინიჭების, შესაბამისად – მეხსიერების ჩამოყალიბებისა და მისი ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, პირველ ნაწილში გაანალიზებულია 1980-90-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ მოვლენათა ინტერპრეტაცია ქართულ პროფესიულ საისტორიო ნარატივში. მეორე ნაწილი კი ეთმობა ამ საკითხების ასახვას დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში, რომლებიც პროფესიული ნარატივის ფარგლებში და მასზე დაყრდნობით იქმნება და წარსულისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. დინამიკის წარმოსადგენად, განხილულია როგორც განათლების რეფორმამდე (2004-2005), ასევე მის შემდეგ შექმნილი პირველი და მეორე თაობის სახელმძღვანელოები, რომლებიც კონკრეტული პრინციპით არის შერჩეული.

**მეხუთე თავში – „ბნელი 90-იანები.“ ყოველდღიურობა როგორც ტრავმა** (ქეთევან კაკიტელაშვილი) – შესწავლილია 1980-იანი წლების მიწურულისა და 90-იანი წლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ყოველდღიური და ინდივიდუალური განზომილება: ნაჩვენებია, თუ რა გავლენას ახდენდა იმ პერიოდის გარდამტეხი ცვლილებები რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე, მათ (თვით)განცდაზე, განწყობაზე, მსოფლხედვასა და იდენტობაზე; როგორ აღიბეჭდა ეს დრო იმ თაობის მეხსიერებაში და როგორ აფასებენ ისინი ამ წლებს დღევანდელი გადასახედიდან. კვლევა ეყრდნობა პროექტზე მუშაობის პროცესში ჩაწერილი ზეპირი ისტორიების, ტელეგადაცემების, ბლოგების, ფეისბუქის მასალის, დოკუმენტური ვიდეოკადრებისა და სხვა წყაროების ანალიზს, რომელთა დიდი ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში და მკაფიოდ წარმოგვიდგენს ადამიანების ემოციებს, სულისკვეთებას, ტრავმისა და ტრიუმფის განწყობათა მონაცვლეობას. ვრცელი თხრობა თემატური პრინციპით არის დალაგებული და მოიცავს 80-90-იანებს, სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდს, დევნილების პრობლემას, სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლით განპირობებულ განუკითხაობას, დაუსჯელობის სინდრომსა და კრიმინალის ზრდას, ეკონომიკურ კოლაფსს, დღევანდელ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას 90-იანებისადმი.

**მექვსე თავი – ტრავმა და ტრიუმფი მხატვრულ ტექსტებში** (ივანე წერეთელი) – წარმოგვიდგენს, თუ რა როლს ასრულებს მხატვრული ტექსტები როგორც

კულტურული ტრავმის კონსტრუირებაში, ასევე ტრავმის დაძლევაში. გაანალიზებული ლიტერატურული წყაროები ირეკლავენ და, ამავე დროს, ქმნიან 90-იანი წლების სამყაროს, წარმოაჩენენ რა მას მრავალი წახნაგით, უღრმავდებიან თითქოს უმნიშვნელო დეტალებს, რომლებიც, მათი წყალობით, მნიშვნელობას იძენს. ეს ნაწარმოებები, რომელთა ავტორებს ჯერ კიდევ მძაფრი ემოციური კავშირი აქვთ აღწერილ ეპოქასთან, გვეხმარება 90-იანების მოვლენებთან ემოციური კავშირის დამყარებაში. გაანალიზებული ტექსტები საზოგადოებაში პოპულარულია და, შესაბამისად, გავლენას ახდენს კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე; ისინი აღიარებულია ლიტერატურულ სამყაროში; ნაწარმოებები შექმნილია 1989 წლიდან დღემდე და ნარატივის დინამიკისთვის თვალის მიდევნების საშუალებას გვაძლევს; მოქმედება ხდება როგორც დედაქალაქის ცენტრში, ასევე პატარა ქალაქებსა და სოფლებშიც, რაც იმის გააზრების შესაძლებლობას ქმნის, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ცენტრისა და რეგიონის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი. მხატვრულ ტექსტებში აღწერილი 90-იანების გარემოს გაანალიზებით, ნაჩვენებია, რატომ იქცა 90-იანები ტერმინად, რომლის ქრონოლოგიის განსაზღვრა საუკუნის დაკონკრეტებას არ საჭიროებს. ლიტერატურული ტექსტები დიდ როლს ასრულებს იმ არასასიამოვნო და მძიმედ გასახსენებელი მოვლენების გააზრებაში, რომელთა მიმართ საზოგადოება უფრო დისტანცირებისა და გამიჯვნის სურვილს ამჟღავნებს, ვიდრე გაცნობიერების, რის გამოც ისინი წარსულის ნაწილად კი არ იქცევა, არამედ მითებისა და ლეგენდების სფეროში რჩება.

დასკვნაში შეჯამებულია საქართველოში კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის შესწავლის მიმართულებით განხორციელებული ერთ-ერთი პირველი ფუნდამენტური კვლევის შედეგები. რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდს წარმოგვიდგენს.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში მოვიძიეთ, დავაჯგუფეთ და გავაანალიზეთ სხვადასხვა ტიპის ნარატივები, რომლებმაც განსაზღვრეს ამა თუ იმ მოვლენის ტრავმად ან/და ტრიუმფად აღქმა, აგრეთვე მათი დამახსოვრება თუ დავიწყება. ეს წყაროები უაღრესად მრავალფეროვანია – დაწყებული ოფიციალური დოკუმენტებით, ლიტერატურული ტექსტებით თუ სხვადასხვა სახის მედიაინფორმაციით და დასრულებული ელექტრონულ სოციალურ სივრცეში მოძიებული მასალებით, რომლებიც საყურადღებოა საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების, ემოციებისა და განწყობების თვალსაზრისით. წყაროთა მნიშვნელოვანი ჯგუფი – მეხსიერების მონუმენტური არეები – მოვიძიეთ როგორც ფოტო და ვიდეომასალის სახით, ასევე საველე კვლევის პროცესში, რომელიც მოიცავდა როგორც ღია სივრცეებში (მონუმენტები, მემორიალები), ასევე მუზეუმებში არსებული მასალის გამოვლენასა და შესწავლას. კოვიდ-19 პანდემიამ ნაწილობრივ შეაფერხა საველე კვლევის პროცესი, თუმცა ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ ელექტრონული მედიის ინფორმაცია და ქვეყნის ათი რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ ჩვენი მიმართვის საფუძველზე მოწოდებული ცნობები.

იმავე გარემოებამ შეამცირა საველე კვლევის მეორე მიმართულების – შემუშავებული კითხვარის საფუძველზე სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის მასშტა-



ბი. ეს სამუშაო, რომელიც ჩაატარა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მკვლევარმა გივი სილაგაძემ, მიზნად ისახავდა კვლევის სხვა მეთოდებით მიღებული შედეგების გადამონმებას. არსებული შეზღუდვის გამო, დავჯერდით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და დანარჩენი რესპონდენტებისათვის კითხვარის გაგზავნას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით, კოლეგიალური კონტაქტების გამოყენებით და სოციალური ქსელის მეშვეობით. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა გზამ გამოავლინა ჩვენი კვლევისათვის უაღრესად საინტერესო მომენტი, რომელიც, ალბათ, ნაკლებ შესამჩნევი იქნებოდა პირისპირ ურთიერთობის პროცესში: რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, კომენტარები გაეკეთებინათ იმ გვერდზე, რომლის მეშვეობითაც კითხვარს ვუზიარებდით.<sup>9</sup> ინტერესის გამომხატველ და წამახალისებელ შეფასებებთან ერთად, რესპონდენტთა (მათ შორის პედაგოგთა) ნაწილი კითხვებს (განსაკუთრებით – თბილისის ომთან და მომდევნო სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით) მიკერძოებულად თვლიდა („რაც მათ აწყობთ, ის შედეგი დაიდება“), მიიჩნევდა, რომ ვამახინჯებთ „სიმართლეს“ („მერე იტყვიან, უმრავლესობა ასე ფიქრობსო, ქართველი ერის სახელით ილაპარაკებენ, არადა შავი შავია, თეთრი – თეთრი“), გვინდა კონკრეტული მიმართულებით ნავიყვანოთ რესპონდენტები და, პირველ რიგში, მოსწავლეები (რომლებიც ცალკე სამიზნე ჯგუფს არ შეადგენდნენ). ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებული კონფლიქტური მეხსიერება დაძლეული არ არის და დღესაც ახდენს გავლენას მოსახლეობის ნაწილის განწყობებსა და დამოკიდებულებებზე.

წყაროთა მეტად საინტერესო ჯგუფი შეადგინა კვლევის პროცესში, 2020 წლის ივნისიდან 2021 წლის თებერვლამდე ჩანერილმა ზეპირმა ისტორიებმა, რომლებმაც, ისევე როგორც ზემოთ ნახსენებმა გამოკითხვამ, დაგვანახა, თუ როგორ ახსოვთ ორი 9 აპრილი, სამოქალაქო დაპირისპირება და 90-იანები სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფებს, რამდენად შეძლეს მათ ტრავმის დაძლევა. ზეპირმა ისტორიებმა საშუალება მოგვცა, საკვლევი პრობლემების უკან დაგვენახა ადამიანები, „გაგვეცოცხლებინა“ მათი ემოციები, რომლებიც დამახსოვრება-დავინყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო.

### კვლევის მეთოდები

ნაშრომში, ძირითადად, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები. მათი საშუალებით შევისწავლეთ სპეციფიკური მნიშვნელობები, რომლებსაც ინდივიდები და/ან ჯგუფები ანიჭებენ სოციალურ რეალობას – სიტუაციებს, ქცევებს, გამოცდილებას, სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენებს.<sup>10</sup> მათ საფუძვლად უდევს კონსტრუქტივისტული პარადიგმა: საკვლევი რეალობა განიხილება არა როგორც ობიექტური მოცემულობა, არამედ როგორც სოციალურად კონსტრუირებული ფენომენი. გარდა ამისა, თვისებრივი მეთოდების მოქნილობა საშუალებას

<sup>9</sup> Institute of Cultural Studies, <https://bit.ly/3zxGS2J> (რესპონდენტთა ანონიმურობის დაცვის მიზნით, გვერდი დახურულია).

<sup>10</sup> Travers, Max. “Qualitative Methods and Meaning-Making,” *Social Research Methods*, 3rd ed., ed. Meggie Walter (Australia & New Zealand: Oxford University Press, 2014), p. 225.

იძლევა, ზოგი საკითხის შესწავლისას გამოყენებული იყოს რაოდენობრივი კვლევაც,<sup>11</sup> რასაც მივმართეთ თვისებრივი კვლევის შედეგების შემოწმების მიზნით.

ნაშრომი ძირითადად, სხვადასხვა ტიპის ნარატიული ტექსტების შესწავლას ეფუძნება. ნარატივები გააზრებულია როგორც სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომლებიც წარმოადგენენ მოვლენათა ერთობლიობის არა უბრალო ანარეკლს, არამედ სამყაროს აღქმისა და მისი ინტერპრეტაციის მაროვანიზე საშუალებას. ნარატივები სოციალური და კულტურული პროდუქტი და, ამავე დროს, რესურსია, რომელსაც ინდივიდები იყენებენ საკუთარი აღქმებისა და დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად, სამყაროში საკუთარი ადგილისა და იდენტობის განსასაზღვრად. ნარატივები აკავშირებენ ინდივიდსა და ჯგუფს, წარსულსა და აწმყოს.<sup>12</sup> ნარატივები სოციალური რეალობის კონსტრუირების საშუალებებია; ისინი იქმნება კონკრეტულ კონტექსტში, გამოიყენება ყოველდღიურ ურთიერთობაში და გავლენას ახდენს ინდივიდისა და ჯგუფის იდენტობაზე.<sup>13</sup>

ნარატიული წყაროებიდან გაანალიზებულია საისტორიო ნაშრომები, მხატვრული ტექსტები, ავტობიოგრაფიები, საგაზეთო და სხვა მედიასივრცეში გამოქვეყნებული წერილები, ბლოგები, ოფიციალური დოკუმენტები. ტექსტების შესწავლისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ტექსტის შინაარსზე და წარმოადგენს ტექსტის მიერ კონსტრუირებული სოციალური რეალობის წვდომის საშუალებას.<sup>14</sup>

პოლ რიკერის მიერ შემოთავაზებული მიდგომის თანახმად, ნარატივი მის სოციალურ კონტექსტში უნდა იყოს გააზრებული.<sup>15</sup> სწორედ კონკრეტული დრო და კონტექსტი განაპირობებს იმას, რომ რეალობას ამგვარად აღვიქვამთ.<sup>16</sup> ამიტომ ნარატივების შესასწავლად აუცილებელია კონცენტრაცია არა საკუთრივ მის კომპონენტებზე, არამედ მიმართებაზე, რომელიც არსებობს ნარატივს, მის შემქმნელსა და აუდიტორიას შორის, აგრეთვე კონტექსტზე, რომელშიც გაზიარებულია ნარატივის კონსტრუირების წესები.<sup>17</sup>

გარდა ნარატიული წყაროებისა, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა, მეხსიერების მონუმენტური და სიმბოლური არეები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო პროექტის ფარგლებში ჩანერილი ზეპირი ისტორიებია, რომლებიც „ცოცხლად“ წარმოგვიდგენს რესპონდენტთა აღქმებს, განცდებს და შეგრძნებებს, რითაც რეალობის უფრო სრული სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. ისინი გვაჩვენებს სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებისადმი. ზეპირმა ისტორიებმა საშუალება მოგვცა, უფრო ნათლად წარმოგვედგინა ტრავმისა და ტრიუმფის აღქმა საკვლევ პერიოდში. რესპონდენტების შერჩევისას გათვა-

<sup>11</sup> წულაძე, ლია. *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები* (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2020), გვ. 10, 26.

<sup>12</sup> Lawler, Steph. "Stories and the Social World," *Research Methods for Cultural Studies*, ed. Michael Pickering (Edinburgh: Edinburgh University Press, 2008), p. 32-33.

<sup>13</sup> წულაძე, *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*, გვ. 216.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>15</sup> Lawler, "Stories and the Social World," p. 33.

<sup>16</sup> წულაძე, *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*, გვ. 14.

<sup>17</sup> Lawler, "Stories and the Social World," p. 33.

ლისწინებული იყო რამდენიმე კრიტიკიუმი. შევარჩიეთ სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ინდივიდები როგორც დედაქალაქიდან, ასევე რეგიონებიდან, რომლებიც 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იან წლებში სხვადასხვა ასაკის იყვნენ და, შესაბამისად, განსხვავებული ხარისხით მონაწილეობდნენ მიმდინარე პროცესებში.

ყველა სახის ნარატიული ტექსტების შინაარსობრივი შესწავლისას, მნიშვნელოვანი იყო მსჯელობა დისკურსის შესახებ, რომელიც ენის, მსოფლმხედველობის, ღირებულებებისა და კონტექსტის ურთიერთკავშირს წარმოადგენს; მათი ურთიერთქმედება განაპირობებს სოციალური სტრუქტურების (რე)პროდუქციურებას და განსაზღვრავს ინდივიდუალური და სოციალური აქტორების ქმედებას.<sup>18</sup> დისკურსის ანალიზს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ენას ქმედებაში“; იგი სცილდება ტექსტის შინაარსობრივ შესწავლას და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რაც სტრიქონებს შორის იკითხება.<sup>19</sup> ჩვენთვის საინტერესო იყო ენა, რომელიც გამოიყენებოდა შესასწავლი ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად სხვადასხვა კონტექსტში, აგრეთვე ის, თუ როგორც ხდებოდა მნიშვნელობათა ჩამოყალიბება ენის მეშვეობით. დისკურსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, როგორ ურთიერთქმედებს ენასა და, ზოგადად, კულტურაში არსებული ნიმუშები.<sup>20</sup>

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდიც. ჩატარდა გამოკითხვა და დამუშავდა მის შედეგად მიღებული მონაცემები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ორმა ჯგუფმა. პირველ მათგანს მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა ასაკის, პროფესიის და განათლების მქონე ადამიანები, ხოლო მეორე ჯგუფი პროფესიული ნიშნით შეირჩა და მასში შედიოდნენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისტორიის მასწავლებლები. გამოკითხვა არ არის წარმომადგენლობითი და, შესაბამისად, შედეგების განზოგადება უფრო ფართო სოციალურ ჯგუფზე შეუძლებელია. თუმცა, რაოდენობრივი გამოკითხვის მიზანი განზოგადება არ ყოფილა და იგი თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების შემონიშნებას ემსახურებოდა.

## თეორიული ჩარჩო

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები.<sup>21</sup> იდეები კულტურული ტრავმის ჩამოყალიბების და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე მისი ზეგავლენის (ჯეფრი ალექსანდერი, პიოტრ შტომპკა), მეხსიერების სოციალური ბუნების (მორის

<sup>18</sup> Rau, Asta et al. "Collecting Data for Analyzing Discourses," *The Sage Handbook of Qualitative Data Collection*, ed. Uwe Flick (Sage Reference, 2018), p. 299.

<sup>19</sup> წულაძე, *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*, გვ. 28.

<sup>20</sup> Rau et al., "Collecting Data for Analyzing Discourses," p. 298.

<sup>21</sup> ნაშრომში გნებები *კოლექტიური და კულტურული მეხსიერება*, ასევე *კოლექტიური და კულტურული ტრავმა* გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობით, რადგან ორივე ეხება საზოგადოების აქსიონორმატიულ სისტემებსა და სიმბოლურ რწმენა-წარმოდგენებს, ფასეულობებსა და ნორმებს, წესებსა და ქცევის ნიმუშებს, როლებსა და მოლოდინებს, იდეებსა და რწმენას, ნარატივის ფორმებსა და სიმბოლურ მნიშვნელობებს, სიტუაციის განსაზღვრასა და დისკურსის ჩარჩოებს. კულტურა, როგორც უწყვეტობის, მემკვიდრეობის, ტრადიციების და იდენტობის საგავი, განსაკუთრებით მგრძობიარე ტრავმული ცვლილებისადმი. იხ. Sztompka, Piotr. "The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies," Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 161-162.

ჰალბვაქსი, იან და ალეიდა ასმანები), მეხსიერების შექმნის პროცესში გამოყენებული საშუალებების (პიერ ნორა, იან ასმანი) შესახებ საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ საქართველოში 1980-90-იანი წლების მიჯნაზე განვითარებული მოვლენები და სიტუაციები როგორც კულტურული კონსტრუქციები, რომლებიც განისაზღვრება მოცემული (ამ შემთხვევაში – ქართული) საზოგადოების კულტურაში კოდირებულ მნიშვნელობათა ფარგლებში.

კულტურული ტრავმის თეორიის ორი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის – ჯეფრი ალექსანდერის და პიოტრ შტომპკას – ნაშრომებში განსაზღვრულია კოლექტიური ტრავმის არსი, აგრეთვე მისი ჩამოყალიბების და გამოვლენის თავისებურებები სხვადასხვა საზოგადოებაში. ჯეფრი ალექსანდერი კულტურულ ტრავმას უწოდებს სოციალური გარემოს უეცარი და მკვეთრი ცვლილებით გამოწვეულ მდგომარეობას, რომლისთვისაც ადამიანები მზად არ არიან; ამგვარი ცვლილება არყვეს სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურ პრინციპებს, აზიანებს საზოგადოების გამაერთიანებელ კავშირებს და ერთობის განცდას.<sup>22</sup>

პიოტრ შტომპკა ტრავმული ცვლილების ოთხ ძირითად მახასიათებელს გამოყოფს: 1) სისწრაფე და სიმწვავე; 2) ყოვლისმომცველობა – ეხება ცხოვრების მრავალ სფეროს, მრავალ აქტორსა და მრავალ ქმედებას; 3) რადიკალურობა, სიღრმე და ფუნდამენტურობა – მოიცავს პირადი და სოციალური ცხოვრების საყრდენ ელემენტებს, ზემოქმედებს როგორც პირად, ასევე საზოგადო უნივერსალურ გამოცდილებაზე; 4) დაუჯერებლობა, მოულოდნელობა, შოკისმომგვრელი ეფექტი.<sup>23</sup> ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ჩვენი ნაშრომის სხვადასხვა თავში შესწავლილია 1989 წლის 9 აპრილი, 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე მომხდარი სტიქიური უბედურებები, თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, 1990-იანების ყოველდღიური რეალობა – მოვლენები, რომლებიც სოციალურად კონსტრუირდა როგორც კულტურული ტრავმა. იგივე მახასიათებლების ანალიზი დაედო საფუძვლად ლიტერატურულ ტექსტებში წარმოდგენილი ტრავმული ნარატივის ანალიზს.

სოციალური ტრავმის შესწავლისას შტომპკა მივიდა დასკვნამდე, რომ ის ცვლილებაც კი, რომელსაც ელიან, რომელზეც ოცნებობენ და რომლისთვის იბრძვიან კიდევ, შეიძლება მტკივნეული აღმოჩნდეს. ამის მაგალითად იგი კომუნიზმის კოლაფსს ასახელებს, რომელიც, „საყოველთაო შეფასებით, იყო სასარგებლო და პროგრესული, ენთუზიაზმით აღქმული და მიღებული, და მაინც, მან გამოიწვია ტრავმა, ყოველ შემთხვევაში, პოსტკომუნისტური საზოგადოებების ნაწილისათვის მაინც.“ ამგვარი მოვლენის აღსანიშნავად შტომპკა გვათავაზობს ტერმინს *გამარჯვების ტრავმა*<sup>24</sup> და მას თავისი სამშობლოს, პოლონეთის პოსტსოციალისტური განვითარების მაგალითზე განიხილავს. მისი ეს ნაშრომი ერთგვარ საფუძვლად იქცა როგორც ჩვენი საკვლევი საკითხის ფორმულირების, ისე მისი ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის. პირველ რიგში, პროცესის ამსახველი მასალის მოძიების, შეკრებისა და ანალიზის გზით, უნდა დაგვედგინა, რამდენად შეესაბამება დასახელებულ პერიოდში საქართველოში

<sup>22</sup> Alexander, Jeffrey C. “Toward a Theory of Cultural Trauma,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 1-2.

<sup>23</sup> Sztompka, “The Trauma of Social Change,” p. 158-159.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 171.

არსებული მდგომარეობა და კონკრეტული მოვლენები კულტურული ტრავმისა და, კერძოდ, გამარჯვების ტრავმის მახასიათებლებს.

შტომპკა აღნიშნავს, რომ დიდი სოციალური ცვლილებით გამოწვეულ კულტურულ ტრავმას თან ახლავს ტრავმული სიტუაცია, რომელიც ბიძგს აძლევს საზოგადოების წევრთა მიერ იმის გაცნობიერებას, რომ სხვების მსგავს მდგომარეობაში არიან.<sup>25</sup> ეს მდგომარეობა აღიქმება როგორც საფრთხის შემცველი და უსამართლო, რასაც მოსდევს 1) შფოთვა, დაუცველობის გრძნობა, რომელიც ხანდახან „მორალური პანიკის“ ფორმას იღებს; 2) უნდობლობა როგორც სხვა ადამიანების, ასევე ინსტიტუტების მიმართ; 3) კოლექტიური იდენტობის შერყევა, დეზორიენტაცია; 4) აპათია, პასიურობა, უიმედობა; 5) მომავლისადმი პესიმისტური განწყობა, რომელსაც ერევა წარსულის ნოსტალგიური ხატები.<sup>26</sup> ჩვენთვის საინტერესო იყო საქართველოში არსებული ტრავმული სიტუაციის და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში მისი გამოვლინებების შესწავლა, რათა გაგვეჩვენა, გადაიქცა თუ არა 1980-90-იანი წლების სოციალური კრიზისი კულტურულ კრიზისად, რაც, ჯ. ალექსანდერის აზრით, კოლექტიურ დონეზე ტრავმის გააზრების საფუძველია.<sup>27</sup>

კოლექტიურ ტრავმას საფუძვლად ობიექტური რეალობა უდევს, მაგრამ თავად „ტრავმა კონსტრუირებულია საზოგადოების მიერ.“<sup>28</sup> იგი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანები იწყებენ საერთო ბედისა და იმის გააზრებას, რომ ველარასოდეს იცხოვრებენ ისე, როგორც ადრე ცხოვრობდნენ. ისინი იწყებენ საუბარს მომხდარზე, ერთმანეთს უზიარებენ ჭორს და მითქმა-მოთქმას, დაკვირვებებს და გამოცდილებას, ეძებენ გამომწვევ მიზეზებს, განსაზღვრავენ მსხვერპლსა და დამნაშავე(ებ)ს, ეძებენ შეთქმულებებს, იღებენ მოქმედების გადაწყვეტილებას და ფიქრობენ შედეგების დაძლევაზე. ეს დებატები გამოდის საჯარო ასპარეზზე, მათ ავრცელებს მედია, ასახვას ჰპოვებს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ფილმებში. იქმნება მნიშვნელობათა ინდუსტრია, რომლის ამსახველი მდიდარი ნარატივები ფოკუსირებულია საერთო და საზიარო გამოცდილებისთვის მნიშვნელობის მინიჭებაზე. ტრავმის გამოხატვა უფრო ხელშესახებ ფორმებს იღებს: ინტენსიური ურთიერთობის, პროტესტის, ჯგუფების ჩამოყალიბების, კოლექტიური მობილიზაციის, სოციალური მოძრაობების, ასოციაციების, ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების შექმნის.<sup>29</sup> როგორც ჯ. ალექსანდერი აღნიშნავს, ტრავმის კოლექტიური რეპრეზენტაციის წარმატება იმით განისაზღვრება, რამდენად დამაჯერებლად არის მასში წარმოდგენილი ა) ტკივილის მიზეზი: რა მოხდა რეალურად? ბ) მსხვერპლის ბუნება: რომელმა ჯგუფმა ან ადამიანებმა განიცადეს ტრავმით გამოწვეული ტკივილი? გ) ტრავმის მსხვერპლთა და უფრო ფართო აუდიტორიის ურთიერთმიმართება; დ) ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარის გამო?<sup>30</sup>

ჯეფრი ალექსანდერი აღნიშნავს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა

<sup>25</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 165-166.

<sup>27</sup> Alexander, "Toward a Theory," p. 10.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>29</sup> Sztompka, "The Trauma of Social Change," p. 160.

<sup>30</sup> Alexander, "Toward a Theory," p. 12-15.

მნიშვნელობას ტრავმული მოვლენის კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბების პროცესში და მიუთითებს, რომ ეს საშუალებები მოვლენის განსაკუთრებული დრამატიზების შესაძლებლობას იძლევა. მედიაში არტიკულირებული ტრავმული მოვლენის ინტერპრეტაცია დომინანტური ხდება და გაბატონებულ მდგომარეობას იძენს. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიმართულება საქართველოში მომხდარ ტრავმულ მოვლენებთან დაკავშირებული მნიშვნელობათა ინდუსტრიის, აგრეთვე მედიაში, ლიტერატურასა თუ ტრავმის გამოხატვის სხვა ფორმებში მისი გამოვლინების შესწავლაა, რაც გვაჩვენებს, რამდენად დამაჯერებელი პასუხები გაეცა ზემოთ დასახელებულ კითხვებს, კონსტრუირდა თუ არა 1989 და 1991 წლის 9 აპრილი, 1989-1991 წლების მოვლენები და სამოქალაქო დაპირისპირება როგორც კულტურული ტრავმა ან ტრიუმფი?

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია გამარჯვების ტრავმის და მისი შემადგენელი ტრავმული და ტრიუმფალური მეხსიერების (რე)ფორმირების პრობლემის შესწავლა. როგორც ჯ. ალექსანდერი აღნიშნავს, კულტურული ტრავმა წარუშლელ კვალს ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე და სამუდამო დაღს ასვამს მეხსიერებას.<sup>31</sup> იან ასმანის განმარტებით, „მეხსიერება არის უნარი, რომელიც გვაძლევს წარსულის ხატის და ნარატივის“ და, მასზე დაყრდნობით, ჩვენი იმიჯის შექმნის შესაძლებლობას.<sup>32</sup> საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველი წლების საქართველოში მეხსიერების რეორგანიზაციის პროცესის ანალიზი ნათლად ადასტურებს ალეიდა ასმანის დებულებას, რომ მეხსიერება უკიდურესად მოქნილია და დაუსრულებლად გარდაიქმნება ძალაუფლებისა და იდენტობის კონსტრუირების აქტუალური მოთხოვნების შესაბამისად,<sup>33</sup> ხოლო „მეხსიერების ფაილი არასდროს არის დახურული, დამახსოვრების ახალი აქტების დროს ის შეიძლება მრავალჯერ გაიხსნას და რეკონსტრუირდეს.“<sup>34</sup>

ალეიდა ასმანმა აღნიშნა *წინა მეხსიერების* გავლენა იმაზე, თუ როგორ ვიმახსოვრებთ,<sup>35</sup> აგრეთვე ემოციების როლი მეხსიერების კონსტრუირებაში, რაც გვაჩვენებს, რატომ აქვს ზოგ მეხსიერებას უფრო განგრძობითი ეფექტი, ვიდრე სხვა მეხსიერებებს. ა. ასმანმა თავად გააანალიზა რამდენიმე შემთხვევა (11 სექტემბერი – მეორე პერლ ჰარბორი, პოლონური თვითმფრინავის კატასტროფა სმოლენსკთან 2010 წლის 10 აპრილს – კატინის ტრაგედია<sup>36</sup>) იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მუშაობს ადრინდელი მეხსიერება მომდევნო ხანის მოვლენების მეხსიერების ფორმირების დროს. ჩვენს შემთხვევაში, საინტერესოა 1956 წლის 9 მარტის მეხსიერების ზეგავლენა 1989 წლის 9 აპრილის მეხსიერებაზე და, შესაძლოა, არანაკლებ საინტერესოა ამ უკანასკნელის გავლენა 9 მარტის რეპრესირებული მეხსიერების რეკონსტრუქციაზე.

საკვლევი პერიოდის ტრავმული მოვლენების გააზრების თვალსაზრისით,

<sup>31</sup> იქვე, გვ. 1.

<sup>32</sup> Assmann, Jan. „Memory and Culture,” *Memory: A History*, ed. Dmitri Nikulin (Oxford University Press, 2015), p. 328.

<sup>33</sup> Assmann, „Impact and Resonance,” p. 41.

<sup>34</sup> Assmann, Aleida and Linda Shortt. „Memory and Political Change: Introduction,” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 3.

<sup>35</sup> Assmann, „Impact and Resonance,” p. 43.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 65-66.

ჩვენთვის საყურადღებო იყო კულტურული ნიმუშის (*cultural pattern*) ცნება, რომელსაც ა. ასმანი განმარტავს როგორც ამა თუ იმ ერთობის მეხსიერებაში დამკვიდრებულ ხატებს; ისინი ამ ერთობის წევრებს აძლევს მოვლენების აღქმის, მათთან დაკავშირებული ემოციების განსაზღვრის, მოვლენებისათვის მნიშვნელობის მინიჭების, აგრეთვე იდენტობის შენარჩუნების საშუალებას რადიკალური, მოულოდნელი და მკვეთრი ცვლილებების ვითარებაში. ალიედა ასმანის იდეამ *გავლენის მქონე მოვლენისა (impact event)* და მისი მნიშვნელობის განმსაზღვრელი *გავლენის ნარატივის (impact narrative)* შესახებ საშუალება მოგვცა, აგვეხსნა ჩვენი საკვლევი ტრავმული და ტრიუმფალური მოვლენებისათვის მნიშვნელობის მინიჭების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, აგრეთვე მათი ამსახველი ნარატივების ზოგიერთი შინაარსობრივი და სტრუქტურული თავისებურება. მის მიერ შემოთავაზებული კულტურული ნიმუშის ცნება კი დაგვეხმარა ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი და კოდირებული ხატების იდენტიფიცირებაში, რომლებიც აისახა 1989 წლის 9 აპრილთან და 1991-1993 წლების სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებულ მეხსიერების არეებში. იგივე ნაშრომი საფუძვლად დაედო საქართველოში 1989 და 1991 წლების ბუნებრივი კატასტროფების კულტურული ტრავმად კონსტრუირების ანალიზს.<sup>37</sup>

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო იან ასმანის მიერ შემოთავაზებული კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების ცნებები.<sup>38</sup> კომუნიკაციურ მეხსიერებას ი. ასმანი განმარტავს როგორც ყოველდღიურ მეხსიერებას, დაახლოებით 80-100 წლის დროითი ჰორიზონტით (3-4 თაობა), რომელზეც ძლიერ ზეგავლენას ახდენენ მომხდარი მოვლენების თანამედროვენი. კომუნიკაციურ მეხსიერებას ახასიათებს როლების ურთიერთგაცვლა, თემატური არამდგრადობა, არაორგანიზებულობა; ვიღაც ყვება ანეგდოტს, ხუმრობს, ჭორაობს, იგონებს, გამოცდილებას უზიარებს, სხვა მომენტში იგი ყოველივე ამის მსმენელია.<sup>39</sup> კომუნიკაციური მეხსიერება მოიცავს მთელ იმ მრავალფეროვნებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიურ პრაქტიკას ეფუძნება. დროთა განმავლობაში კომუნიკაციური მეხსიერების უშუალო მატარებელთა რიცხვი მცირდება; კომუნიკაციურ მეხსიერებაში არსებული მრავალი ფაქტი, შესაძლოა, დავინყებთ მიეცეს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენები დავინყებულნი კი არ იქნება, არამედ ისინი გადაინაცვლებს კულტურულ მეხსიერებაში. კულტურული მეხსიერება „მუდმივად გამოყენებადი ტექსტების, გამოსახულებების, რიტუალების ერთობლიობაა, რომელიც სპეციფიკურია თითოეული ერთობისათვის კონკრეტულ ეპოქაში; მათი დანერგვა უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურობას და განსაზღვრავს მის წარმოდგენას საკუთარ თავზე.“<sup>40</sup> ალიედა ასმანის სიტყვით, როგორც ინტერნეტი ქმნის ჩარჩოს სივრცეში დიდ მანძილებზე კომუნიკაციისათვის, ასევე კულტურული მეხსიერება ქმნის ჩარჩოს დროში

<sup>37</sup> Assmann, “Impact and Resonance.”

<sup>38</sup> Assmann, Jan. “Collective Memory and Cultural Identity,” *New German Critique*, no. 65, Cultural History/Cultural Studies (Spring-Summer, 1995): p. 125-133; Assmann, Jan. “Communicative and Cultural Memory,” *A Companion to Cultural Memory Studies*, eds. Astrid Erll and Ansgar Nünning (De Gruyter, 2010), p. 109-118.

<sup>39</sup> Assmann, “Collective Memory and Cultural Identity,” p. 126-128.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 132.

კომუნიკაციისათვის.<sup>41</sup> იგი საფუძვლად უდევს და განამტკიცებს ჯგუფის იდენტობას. ჩვენი კვლევის ობიექტია მოვლენები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს კომუნიკაციურ მეხსიერებაში, თუმცა გასული ოცდაათი წლის განმავლობაში მათმა ნაწილმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი კულტურულ მეხსიერებაში, ზოგმა კი, ცვალებადი პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, ტრანსფორმაცია განიცადა.

„კულტურული მეხსიერება მატერიალიზებული და შენახულია სიმბოლურ ფორმებში, რომლებიც [...] სტაბილურია და სიტუაციიდან სიტუაციაში, თაობიდან თაობაში გადაეცემა. [...] იმისათვის, რომ მეხსიერებამ იმუშაოს, მისი სიმბოლური ფორმები არა მხოლოდ ინახება, არამედ ცირკულირებს და ინერგება საზოგადოებაში“; საზოგადოება იმახსოვრებს და ივინყებს სხვადასხვა კულტურული მნემოტექნიკის და მნემონიკური ინსტიტუტების მეშვეობით.<sup>42</sup> კოლექტიური მეხსიერება წარსულის შესახებ ცოდნას ყოველთვის უკავშირებს თანამედროვე რეალობას, რომლის დამოკიდებულება წარსულის კონკრეტული მოვლენებისადმი ყველა კონკრეტულ კონტექსტში განსხვავებულია: ზოგჯერ წარსულის ხატი მისაღები და მოსაწონია, ზოგჯერ დამოკიდებულება კრიტიკულია, მას ხან იცავენ, ხან კიდევ ხდება მისი ტრანსფორმირება.<sup>43</sup> თანამედროვე საზოგადოებაზე ზემოქმედებს არა წარსული თავისთავად, არამედ წარსულის მოვლენათა რეპრეზენტაცია, რომელიც შექმნილი, გავრცელებული და აღიარებულია სპეციფიკურ კულტურულ ჩარჩოში და პოლიტიკურ სიტუაციაში.<sup>44</sup> როგორც ასტრიდ ერლი აღნიშნავს, არ არსებობს წარსული მედიაციის გარეშე: ის, რაც ვიცით წარსულის ღირსშესანიშნავად მიჩნეული მოვლენების შესახებ, ასახავს არა იმდენად „რეალურ მოვლენას,“ არამედ არსებულ მედიაკონსტრუქციას, ნარატივებს და იმიჯებს, რომლებიც ცირკულირებს მედიაკულტურაში. თანაც, მათი რეპრეზენტაცია არ არის დაკავშირებული ერთ სპეციფიკურ მედიუმთან (მაგალითად, მხატვრულ ტექსტებთან, ისტორიოგრაფიასთან, მემორიალებთან და ა.შ.), არამედ იგი ტრანსმედიაციური ფენომენია – მრავალი სხვადასხვა მედიის ურთიერთქმედების შედეგი.<sup>45</sup> 1980-იანი წლების მიწურულისა და 1990-იანი წლების დასაწყისის მოვლენებისა და მათი აღქმა-ინტერპრეტაციის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავანალიზოთ დასამახსოვრებელი და დასავინყებელი მოვლენების შერჩევისა და მათი გადაფასების პროცესი, აგრეთვე ამ პროცესში გამოყენებულ მედიები, კულტურული მნემოტექნიკა და მნემონიკური ინსტიტუტები, რომელთაგან ზოგის გავლენა უფრო ძლიერია და დღევანდელ დამოკიდებულებებსაც განსაზღვრავს.

შესასწავლი პერიოდი ასევე საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს იყო პოლიტიკური ტრანზიციის ხანა, როცა რეჟიმის ცვლილება განაპირობებდა მეხსიერების მკვეთრ ცვლილებას. ჩვენი კვლევა ასახავს ამ გარდატეხის

<sup>41</sup> Assmann, Aleida. “Canon and Archive,” *A Companion to Cultural Memory Studies*, eds. Astrid Erll and Ansgar Nünning (De Gruyter, 2010), p. 97.

<sup>42</sup> Assmann, “Memory and Culture,” p. 331-332.

<sup>43</sup> Assmann, “Collective Memory and Cultural Identity,” p. 130-131.

<sup>44</sup> Assmann and Shortt, “Memory and Political Change,” p. 3-4.

<sup>45</sup> Erll, Astrid. “Literature, Film, and the Mediality of Cultural Memory,” *Media and Cultural Memory. An International and Interdisciplinary Handbook*, eds. Astrid Erll and Ansgar Nünning (Berlin, New York: Walter de Gruyter, 2008), p. 392.



მკაფიო გამოხატულებას – ქუჩების სახელების შეცვლას, წარსულიდან ახალი მოვლენების შერჩევას აღნიშვნისათვის და ისტორიის სახელმძღვანელოებში შესატანად,<sup>46</sup> მონუმენტების აღმართვასა და ნგრევას. როგორც სხვა ქვეყნებში, აქაც წარსულის რეკონსტრუქციისა და რეპრეზენტაციის ახალი ჩარჩო ხშირად ეწინააღმდეგებოდა ადრე არსებულ ოფიციალურ მეხსიერებას.<sup>47</sup> გარდა ამისა, ახალი თაობის გამოჩენას საჯარო სივრცეში თან სდევდა ახალი სოციალური ხმების, მნიშვნელობების და შეხედულებების გაჩენა. „რეპრესიული დუმის დარღვევა, რომელსაც ძველი თაობა იცავდა,“<sup>48</sup> ვერც ძველ ჩარჩოში თავსდება და, ხშირად, არც ახალ ოფიციალურ ნარატივს შეესაბამებოდა.

ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო ალეიდა ასმანის მიერ შემოთავაზებული აქტიური და პასიური დავიწყების ცნებები.<sup>49</sup> პირველი გულისხმობს წარსულის მიზანმიმართულ უარყოფას, წაშლას, განადგურებას, რისთვისაც ზოგჯერ (განსაკუთრებით ტოტალიტარული რეჟიმების მიერ) ძალმომრეობის სხვადასხვა ხერხი (აკრძალვა სასჯელის შიშით, ცენზურა, სახელწოდებების შეცვლა, ძეგლების დემონტაჟი და სხვა) გამოიყენება. პასიური დავიწყება გულისხმობს არამიზანმიმართულ აქტებს, რომლის დროს ობიექტები მატერიალურად არ ნადგურდება, არამედ ისინი ყურადღების მიღმა რჩება და მნიშვნელობას კარგავს, თუმცა ის, რაც მატერიალურად არ განადგურებულა, შეიძლება მოგვიანებით ხელახლა იყოს აღმოჩენილი.<sup>50</sup> 1980-90-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების მეხსიერება აქტიური და პასიური დავიწყების გამოყენებით ყალიბდებოდა. უაღრესად საინტერესოა დამახსოვრება-დავიწყების პოლიტიკის დინამიკა 1989 და 1991 წლების 9 აპრილთან და, განსაკუთრებით, სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით. როგორც ალეიდა ასმანი აღნიშნავს, ზოგადად, ორივე სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკას – დამახსოვრებას და დავიწყებას – აქვს როგორც დამაზიანებელი, ასევე გამაჯანსაღებელი ეფექტი. რომლის გამოყენება უკეთესი, დამოკიდებულია ისტორიულ კონტექსტზე, კულტურულ ფასეულობებზე და ზოგად გარემოებებზე.<sup>51</sup>

საინტერესოა, რამდენად მართული იყო მეხსიერების პოლიტიკა სამოქალაქო დაპირისპირებასა და ომთან დაკავშირებით; რა გავლენა იქონია მან ამ პროცესების აღქმაზე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისა და, რაც მთავარია, თვით დაპირისპირებული ჯგუფების მიერ; შეიცვალა თუ არა დამოკიდებულება გასული 30 წლის განმავლობაში, ვის ახსოვს და ვინ დაივიწყა სამოქალაქო დაპირისპირების მძიმე გამოცდილება. ა. ასმანს მოჰყავს კრისტიან მეიერის თვალსაზრისი, რომლის თანახმად, დამახსოვრების აქტები ინახავს დესტრუქციულ ენერგიას, სიძულვილს და რევანშის წყურვილს, დავიწყება კი ამშვიდებს დამოკიდებულებას კონფლიქტის მხარეებს შორის და ხელს უწყობს რეინტეგრაციას, რომელიც გადარჩენის აუცილებელი პირობაა, თუმცა, ასმანის აზრით, და-

<sup>46</sup> Assmann and Shortt, “Memory and Political Change,” p. 7.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>49</sup> Assmann, Aleida. “To Remember or to Forget: Which Way out of a Shared History of Violence?” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 53-71.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>51</sup> Assmann, “To Remember or to Forget,” p. 57.

მახსოვრებასაც აქვს არა მხოლოდ გამყოფი, არამედ გამაერთიანებელი ძალა.<sup>52</sup> გერმანიის გამოცდილების ანალიზის შემდეგ, რომელიც მტკივნეულ ნაცისტურ წარსულს უკავშირდება, ა. ასმანი ასკვნის, რომ ამგვარი წარსულის დასაძლევად იგი საჯაროდ მისაწვდომი უნდა გახდეს, მსხვერპლს უნდა მიეცეს საშუალება, ილაპარაკოს თავის ტანჯვაზე, რათა დაიძლიოს მეხსიერების ეს ტვირთი. „ყოველთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს კითხვებს: ვინ იგებს და ვინ აგებს დავინყების გამო? შესაძლებელია ახალი სტარტი თანაბარ საფუძველზე, თუ ერთ-ერთ მხარეს უფრო ძვირი საფასურის გადახდა უწევს?“<sup>53</sup>

პოლ კონერტონი დავინყების რამდენიმე ტიპზე საუბრობს,<sup>54</sup> რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა: 1) რეპრესიული/იძულებითი დავინყება, რომელიც ყველაზე მძიმე ფორმით ტოტალიტარული რეჟიმების ისტორიაში გვხვდება<sup>55</sup> და რომლის მემკვიდრეობა მკაფიოდ იჩენს თავს ამ რეჟიმებიდან დემოკრატიულ სისტემაზე გარდამავალ პერიოდებში, მათ შორის, საქართველოშიც. სწორედ 1980-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რეპრესიული დავინყების შედეგად მეხსიერებიდან თითქოს წაშლილი ფაქტების ხელახლა აღმოჩენამ, აგრეთვე ახალი ტრავმული მოვლენებით ძველი, ამოუთქმელი და გამოუგლოვებელი ტრავმის გამოცოცხლებამ. 2) მიზანმიმართული დავინყება, რომელიც ასევე სახელმწიფოს მიერაა ინიცირებული და მიმართულია იმისკენ, რომ ამ გზით თავიდან იქნას აცილებული „წარსულის ცუდი მომენტების გახსენებასთან დაკავშირებული რევანშის უსასრულო ჯაჭვის წარმოშობის საფრთხე.“<sup>56</sup> კონერტონს, რომლის ეს მოსაზრება კ. მეიერის ზემოთ მოტანილ თვალსაზრისს თანხვდება, მოჰყავს დასავლეთ გერმანიის მაგალითი, სადაც 1950-იანი წლებიდან ნაცისტების იდენტიფიკაციამ და დასჯამ უკანა პლანზე გადაინია – საზოგადოების შეჭიდულობის გაძლიერებისა და სახელმწიფოს ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე. საინტერესოა, რამდენად იყო მსგავსი მიზნისკენ მიმართული სამოქალაქო დაპირისპირებაზე დუმილი მისი მომდევნო ათწლეულის განმავლობაში და, თუკი ასეთი მიზანი გაცნობიერებული იყო სახელმწიფოს მიერ, რამდენად მიაღწია მიზანს მეხსიერების ამ პოლიტიკამ. 3) დამცირებით/სირცხვილით გამოწვეული დუმილი. კონერტონს აქაც გერმანიის მაგალითი მოჰყავს, სადაც, როგორც იგი აღნიშნავს, მეორე მსოფლიო ომის მომდევნო 50 წლის განმავლობაში დაბომბვის საშინელებები და მათი გამოძახილი არ მოხვედრილა არც საზოგადოების, არც ისტორიკოსთა და მწერალთა ყურადღების არეში (ორიოდე გამონაკლისის გარდა). უზარმაზარ კოლექტიურ გამოცდილებას ნახევარსაუკუნოვანი დუმილი მოჰყავს. ეს იყო დამარცხების ტკივილით, დამცირებითა და სირცხვილით განპირობებული უთქმელი ტაბუ; გერმანელი ხალხი 1945 წლის შემდეგ ახლო წარსულისგან და მისგან მიყენებული ჭრილობებისგან თავისუფლდებოდა.<sup>57</sup> საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება და ომი ორი მძიმე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის

<sup>52</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>54</sup> Connerton, Paul. “Seven Types of Forgetting,” *Memory Studies* 1, no. 59 (2008): p. 59-71.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 66-68.

პარალელურად მიმდინარეობდა, რომლებიც თითქმის დასრულებისთანავე იქცა სხვადასხვა ჟანრის მხატვრული შემოქმედების საგნად. მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირებას, თითქოს, მართლაც დაედო უთქმელი ტაბუ, რომლის დაძლევის დიდი დრო დაჭირდა. შესაძლოა, აქ ერთდროულად მუშაობდა დავიწყების რამდენიმე სახე და, მასთან ერთად, ძმათა შორის დაპირისპირების კულტურული ნიმუში (ბაზალეთის ბრძოლა).

ტრავმული მეხსიერების ანალიზისათვის საყურადღებოა ვამიკ ვოლკანის მიერ შემოთავაზებული რჩეული ტრავმისა და რჩეული გამარჯვების/ტრიუმფის, როგორც კოლექტიური იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერების ცნებები. ვოლკანის განმარტებით, ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც „ნარსული ისტორიული მოვლენების გაზიარებული მენტალური რეპრეზენტაციები, რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას და იქცევა ჯგუფური იდენტობის სპეციფიკურ მარკერად.“<sup>58</sup> დამახსოვრებისა და მეხსიერების გადაცემის ეს ორი სახე მიმართულია ჯგუფის იდენტობის განმტკიცებისაკენ და აქტუალიზდება მაშინ, როცა ამ იდენტობას საფრთხე ექმნება, ან როცა ჯგუფი სხვა ტიპის მნიშვნელოვანი გამონკვევის წინაშე დგება. ეს კონცეფცია გამოვიყენეთ 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებული მოვლენების, განსაკუთრებით კი 9 აპრილისა და სამოქალაქო დაპირისპირების ტრავმული და ტრიუმფალური გამოცდილების ანალიზისათვის.

ტრავმული და ტრიუმფალური მეხსიერების შესწავლის ერთ-ერთი მიმართულება იყო მეხსიერების არეების კვლევა. ამ კონცეფციის ავტორის, პიერ ნორას განსაზღვრებით, „*Lieux de memoire*“ წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშთებს, მემორიალური ცნობიერების საბოლოო განსხეულებას, რომლებიც ასე თუ ისე გადაურჩა ისტორიის მსვლელობას [...] მუზეუმები, არქივები, სასაფლაოები, დღესასწაულები, წლისთავები, შეთანხმებები/ხელშეკრულებები, საცავები, მონუმენტები, სამსხვერპლოები, საძმოები – სხვა ეპოქასთან დამაკავშირებელი ქვებია, მარადიულობის ილუზიებია [...] ჩვენი იდენტობა ასეთ ბასტიონებს ემყარება.“<sup>59</sup> როგორც ჯეფრი ალექსანდერი აღნიშნავს, „როცა ტრავმის მკაფიო და ძლიერი ეფექტის მქონე დისკურსი ქრება, ტრავმის „გაკვეთილები“ განსხეულდება მონუმენტებში, მუზეუმებში, ისტორიული არტეფაქტების კოლექციებში. ახალი კოლექტიური იდენტობა დაეფუძნება „წმინდა“ ადგილებს და რუტინულ რიტუალებს.“<sup>60</sup> სწორედ მეხსიერების არეების კვლევა იყო ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება, კერძოდ, შევისწავლეთ 1980-90-იანი წლების ტრავმული მოვლენების ასახვა მონუმენტებში, ტოპონიმებში, მუზეუმებში, ისტორიულ ტექსტებში, სიმღერებში, ლექსებში, ფილმებში, დღესასწაულებსა და რიტუალებში, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა გავლენა იქონია განსახილველმა მოვლენებმა საზოგადოების და/ან ზოგიერთი ჯგუფის იდენტობაზე. მაგალითად, ტოპონიმების, როგორც „სიმბოლური მონუმენტებისა“ და „ნარსულთან იდენტიფიკაციისა და მეხსიერების ფართო ქსელში საკუთარი

<sup>58</sup> Volkan, *When Enemies Talk*, p. 11; იხ. აგრეთვე: Volkan, Vamik D. “Traumatized Societies and Psychological Care: Expanding the Concept of Preventive Medicine,” *Mind and Human Interaction*, 11 (2000).

<sup>59</sup> Nora, Pierre. “Between Memory and History: Les Lieux de Memoire,” *Special Issue: Memory and Counter-Memory, Representations*, no. 26 (Spring, 1989): p. 12.

<sup>60</sup> Alexander, “Toward a Theory,” p. 22-23.

ადგილის განსაზღვრის ერთ-ერთი მძლავრი საშუალების<sup>61</sup> კვლევა გვაჩვენებს წარსულსა და აწმყო შორის ახალი კავშირის დამყარების, აწმყოში წარსულის დამკვიდრების მცდელობას სახელების შეცვლის ან ახალი ტოპონიმების დამკვიდრების მეშვეობით. როგორც დერეკ ოლდემენი აღნიშნავს, „ადგილის სახელები სიმბოლური ტექსტებია, რომლებიც მსჭვალავს მნიშვნელობათა უფრო ფართო სისტემას და რომლებიც სოციალურად იკითხება.“<sup>62</sup>

მეხსიერების მატერიალური არეების ანალიზის დროს, ვითვალისწინებდით ჯეი უინთერის მოსაზრებას მათი განვითარების სამი ეტაპის შესახებ: 1) მეხსიერების არის კონსტრუირება და მისი კომემორაციული ფორმის შექმნა; 2) მისი გამოყენების ინსტიტუციონალიზაცია და რუტინიზაცია; 3) მისი, როგორც აქტიური მეხსიერების არის ტრანსფორმაცია ან გაქრობა.<sup>63</sup>

მეხსიერების არეებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანის – ნარატივების – ანალიზის დროს გამოვიყენეთ ჯეიმს ვერჩის ტიპოლოგიური სქემები. ნარატივების მეშვეობით ადამიანი, როგორც მთხრობელი ან როგორც აუდიტორია, რომლისკენაც მიმართულია მისი თხრობა, მნიშვნელობას ანიჭებს საგნებსა და მოვლენებს. ნარატივები – მხატვრული თუ სამეცნიერო – იქმნება გარკვეული ინტერპრეტაციული ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც აღიარებული და გაზიარებულია კონკრეტულ კულტურაში. ამ ჩარჩოს ჯეიმს ვერჩი „ნარატივის ნიმუშს“ უწოდებს და განმარტავს როგორც ზოგად სქემატურ სტრუქტურას, რომელიც ძლიერად ზემოქმედებს ერთობის წევრთა ფიქრისა და ლაპარაკის მანერაზე,<sup>64</sup> აყალიბებს თხრობის ხაზს, რომელიც მუდმივად გამოიყენება მნემონიკური ერთობის წევრთა მიერ სხვადასხვა მოვლენის ინტერპრეტაციისთვის.<sup>65</sup> ეს ნიმუშები ფუნქციონირებენ არა როგორც ზუსტი და მუდმივი ინფორმაციის საცავები, არამედ როგორც იმის განმსაზღვრელი, თუ რას უნდა ფიქრობდეს და ამბობდეს ჯგუფის/ერთობის წევრი.<sup>66</sup> მის ფარგლებში იქმნება *სპეციფიკური ნარატივები* – კონკრეტული ტექსტები, რომლებიც შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას კონკრეტული დროის, ადგილის და მოქმედ პირთა შესახებ.<sup>67</sup>

## წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

### წყაროები

ნაშრომი მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, საკვლევ მოვლენებთან დაკავშირებით, ტრავმის/ტრიუმფის კონსტრუირების სხვადასხვა შრეს დავაკვირდეთ.

კვლევაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს **მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვი-**

<sup>61</sup> Alderman, Derek H. “Place, Naming, and the Interpretation of Cultural Landscapes,” *The Ashgate Research Companion to Heritage and Identity*, eds. Brian Graham and Peter Howard (Routledge, 2008), p. 195.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 199.

<sup>63</sup> Winter, Jay. “Sites of Memory and the Shadow of War,” *A Companion to Cultural Memory Studies*, eds. Astrid Erll and Ansgar Nunning (De Gruyter, 2010), p. 70-71.

<sup>64</sup> Wertsch, James V. “Deep Memory and Narrative Templates: Conservative Forces in Collective Memory,” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 175.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 190.

<sup>67</sup> იქვე.

**თი და ელექტრონული საშუალებები.** ქმნის რა მასშტაბურ სივრცეს ტრავმული ნარატივებისა და ხატების არტიკულაციისთვის, ისინი ხელს უწყობს ტრავმის გავრცობას მთელ საზოგადოებაზე და გავლენას ახდენს კოლექტიური წარმოდგენების ფორმირებაზე. კვლევის ფარგლებში შეირჩა საგაზეთო პუბლიკაციები სახელისუფლებო და ალტერნატიული პრესიდან, რომელთა ქრონოლოგია პერესტროიკის ბოლო წლებიდან იწყება და 2020 წლამდე მოდის. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ საკვლევი მოვლენებისადმი მიძღვნილ ნომრებს (ორი 9 აპრილი, სტიქიური უბედურებები, თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, ამ და სხვა მნიშვნელოვანი ამბების წლისთავები და სხვა). ამავე პრინციპით შეირჩა დოკუმენტური ვიდეომასალა, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს 90-იანი წლების აღქმებს და განწყობებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში, ასევე დოკუმენტური ფილმები, რომლებიც საუკეთესო რესურსია ავტორთა ინტერპრეტაციებზე და ცვალებად კონტექსტზე დასაკვირვებლად. გარდა ამისა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებიდან წყაროს სახით გაანალიზებულია ტელეგადაცემები, ელექტრონული მედია და სოციალური ქსელები, რამდენადაც ისინი სოციალური ინტერაქციის პროცესს წარმოაჩენს, ირეკლავს კოლექტიური მეხსიერების მრავალფეროვნებას და ტრანსფორმაციას.

წყაროთა საყურადღებო ჯგუფს ქმნის **ფოტოები**, როგორც „ვიზუალური მეხსიერება. [...] ის ალბათ დაახლოებით იგივეა, რაც ჩანანერი;“ მისი მეშვეობით „ვიმასხვოვრებთ საკუთარ თუ სხვის ცხოვრებას, გარშემო არსებულ გარემოს.“<sup>68</sup>

უაღრესად საინტერესო მასალას შეიცავს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (ყოფილი სახელმწიფო ტელევიზიის) არქივი, სადაც თავმოყრილია ბევრი სხვადასხვა გადაცემა, მათ შორის, 1980-1990-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სატელევიზიო პროგრამა „სალამო მშვიდობისა.“ ამ მასალის გადმოცემისთვის დიდ მადლობას ვუხდით „სალამო მშვიდობისას“ რეჟისორსა და თანაწამყვანს, ბატონ მამუკა არეშიძეს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ არქივის უზარმაზარი მასალა სრულიად დაუმუშავებელია, ამ ეტაპზე მისი გამოყენება არ მოხერხდა.

წყაროთა მნიშვნელოვანი ჯგუფია **ოფიციალური დოკუმენტები** – დადგენილებები, აქტები, განცხადებები, ბრძანებულებანი და სხვა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია როგორც ტრავმასთან გამკლავების მცდელობების, ასევე მეხსიერების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

2017 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა წიგნი სათაურით „9 აპრილი,“<sup>69</sup> რომელშიც დაბეჭდილია არქივში დაცული მასალები (1989 წლის აპრილის დასაწყისის დეპეშები თბილისსა და მოსკოვს შორის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებები, ბარათები, წერილები, მიმართვები თბილისიდან მოსკოვში და პირიქით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ოქმები, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნა, ტრაგედიის შემდეგ თბილისში გამართულ შეხვედრებზე გამომსვლელთა ტექსტები), ამონარიდები იმდროინდელი გაზეთებიდან,

<sup>68</sup> წიზაშვილი, გურამ. *100 ფოტომბავი. 80-იანები* (თბილისი: არტანუჯი, 2018), გვ. 5.

<sup>69</sup> 9 აპრილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (თბილისი: 2017).

აგრეთვე ფოტომასალა, რომლის მიწოდებისთვის წიგნის გამომცემლები მადლობას უხდებიან საქართველოს ეროვნულ არქივს და იური მეჩითოვს. ეს მასალები საყურადღებოა 9 აპრილის კონტექსტის, მოვლენათა თანმიმდევრობისა და მათ შორის კავშირის ანალიზისათვის.

2021 წელს გამოქვეყნდა სქელტანიანი ნაშრომი „ეროვნული ხელისუფლების 419 დღე. მეორე რესპუბლიკის ყოველდღიური მატინე.“<sup>70</sup> წიგნი ემყარება იმ დროის პერიოდული გამოცემების მასალებს, რომლებიც ასახავს როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებს, სიახლეებს კულტურაში, მეცნიერებასა და სპორტში, საეკლესიო ამბებს. როგორც ავტორ-შემდგენლები გვაუწყებენ, ეს მასალები დაზუსტებულია სხვა წყაროებითაც. მათივე ცნობით, „წიგნი მასშტაბური პროექტის მხოლოდ პირველი ნაწილია. [...] უახლოეს მომავალში გამოიცემა მისი მომდევნო ნაწილები“ (სულ 5 ნაწილი).

ტრავმის კონსტრუირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს **ლიტერატურული ტექსტები**, თხრობის პროცესში ნარატივის შემადგენელი კომპონენტები თანმიმდევრულად ლაგდება და მათში კოდირებულია საზოგადოებაში გაზიარებული მნიშვნელობები. მათი მეშვეობით სოციალური ტრავმა იძენს ფორმას, ხოლო საზოგადოების წევრებს უჩნდებათ მისი აღმოჩენის და დაძლევის საშუალება. კვლევისთვის საინტერესოდ მივიჩნით პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. ტექსტების ავტორები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან, შესაბამისად, მათი აღქმები და შეფასებები განსხვავებულია. აღწერილი მოვლენებისგან დროითად დისტანციამ გავლენა მოახდინა ტრავმული გამოცდილების რეპრეზენტაციაზე. ცხელ კვალზე დაწერილი ნაწარმოებები დახუნძლულია 1990-იანი წლებისთვის დამახასიათებელი ენობრივი და ემოციური გამომსახველობითი საშუალებებით. მოგვიანებით შექმნილ ტექსტებში კი ჩანს სტილის „სიდიდნჯე“ და სიუჟეტებიც გაცნობიერებულ მსჯელობაზეა აგებული.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების გააზრებაში დაგვეხმარა იმ ადამიანთა მემუარების გაცნობა, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ გადაწყვეტილებებს ან აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში.<sup>71</sup>

საინტერესო წყაროს წარმომადგენს **საისტორიო ნარატივები**. მათი მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოებაში არსებული კულტურულ ნიმუშების დანახვა და, რაც მთავარია, მიმდინარე მოვლენების აღქმა და გააზრება. შეირჩა ის ტექსტები, რომლებშიც საკვლევი საკითხები მეტ-ნაკლებად სრულადაა გადმოცემული და, ჩვენი შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოვლენებთან დაკავშირებული კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში. მათ მიეკუთვნება ქართულ პროფესიული საისტორიო ნარატივი პერესტროიკიდან

<sup>70</sup> *ეროვნული ხელისუფლების 419 დღე. მეორე რესპუბლიკის ყოველდღიური მატინე. ნაწილი I, 1990 წლის ნოემბერი-1991 წლის იანვარი*, ავტორ-შემდგენლები გიორგი არქანია და სხვ. (თბილისი: არტანუჯი, 2021).

<sup>71</sup> იოსელიანი, ჯაბა. *სამი განზომილება* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013); ნათაძე, ნოდარ. *რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი)* (თბილისი: 2002); პატიაშვილი, ჯუმბერ, თანაავტორი ელგა ფოლადიშვილი. *23 წლის შემდეგ* (თბილისი: პალიტრა L, 2013); შევარდნაძე, ედუარდ. *ფიქრი წარსულსა და მომავალზე. მემუარები* (თბილისი: პალიტრა L, 2006); ჩარკვიანი, გელა. *ნაცნობ ქიმრათა ფერხული* (თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი, 2016).

დღემდე, რომელიც სხვადასხვა ქართველი ისტორიკოსის მონოგრაფიაში, სტატიაში თუ წერილშია წარმოდგენილი, ასევე ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც 1990-იან წლებში და განათლების რეფორმის (2004-2005) შემდგომ გამოიცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული წყაროების ავტორთა უმრავლესობა თავად იყო 1980-90-იანი წლების მიჯნაზე განვითარებული მოვლენების აქტიური თუ პასიური მონაწილე, რაც აისახა მათ ემოციებში, აღქმებსა და დამოკიდებულებებში. ცხადია, ეს გათვალისწინებული იყო მუშაობის პროცესში.

კოლექტიური მეხსიერების ფორმირების შესასწავლად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ **მეხსიერების არეების შექმნის პროცესის გაანალიზება**, რისთვისაც შევარჩიეთ მატერიალური და სიმბოლური ობიექტები – მონუმენტები, მემორიალები, საფლავის ქვები, ტოპონიმები, აღნიშვნები, ცერემონიები და სამუზეუმო ექსპონატები. მათი შექმნა 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ დაიწყო და ამ დრომდე გრძელდება. მეხსიერების მრავალფეროვანი არეები გვანვდის ინფორმაციას მოვლენათა ინსტიტუციონალიზაციის შესახებ სხვადასხვა პოლიტიკური ელიტების დროს. ისინი ასევე იძლევა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე დაკვირვების შესაძლებლობას, კულტურული მეხსიერების რეპერტუარში არსებულ მნიშვნელობებთან კავშირში.

კვლევის ფარგლებში, 2020-2021 წლებში ჩავწერეთ **ინტერვიუები** საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებთან, რომლებიც 9 აპრილისა და სამოქალაქო დაპირისპირების თანამედროვეები არიან და ტრავმული ცვლილებების შესახებ პირად მოგონებებს ინახავენ. ისინი ასახავს მთხრობელთა გამოცდილებას და მეხსიერებას, რაც გაშუალებულია მეხსიერების სხვადასხვა მედიუმითა და დროითი დისტანციით. ზეპირი ისტორიები კოლექტიური აღქმების, წარმოდგენების და მეხსიერების კონსტრუირების პროცესს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის პერსპექტივიდან გვაჩვენებს.

ნაშრომი ასევე ეყრდნობა იმ ინტერვიუებს, რომლებიც სხვადასხვა ინტერვიუერის მიერ არის ჩანერილი სხვადასხვა პერიოდში – 1990-იანი წლების დასაწყისიდან 2010-იანი წლების ჩათვლით; მათი ნაწილი გამოქვეყნებულია ბეჭდური, ნაწილი კი ელექტრონული სახით. მათგან განსაკუთრებით საყურადღებო იყო ნათელა ვაჩნაძისა და ნინო თომაძის მიერ 2018-2019 წლებში გამოცემული წიგნი „დამარცხებული საქართველო“ ორ ნაწილად, სადაც გამოქვეყნებულია ავტორთა ინტერვიუები ზვიად გამსახურდიას მომხრებთან და ოპოზიციის წევრებთან. დოდონა კიზირიას „პუტჩი“ (2018) ასევე შეიცავს ჩვენთვის მნიშვნელოვან ინტერვიუებს. რაც შეეხება ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებულ მასალას, გამორჩევით ვრცელი და მრავალფეროვანია 2019-2020 წლებში იაგო ხვიჩიას მიერ მომზადებული გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“ ამ და სხვა ინტერვიუებმა, რომლებიც ჩანერილია სატელევიზიო გადაცემების თუ სხვა ფორმით, შესაძლებლობა მოგვცა, თვალი მიგვედევნებინა სამოქალაქო დაპირისპირების მიმდინარეობის პერიოდში ნარატივების ფორმირებისათვის

და დავკვირვებოდით მათ ცვლილებას სამი ათწლეულის მანძილზე. ეს ინტერვიუები, ერთი მხრივ, გვაჩვენებს სამოქალაქო დაპირისპირების და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების აღქმას პოლიტიკური ელიტებისა და მათი მომხრეების მიერ, მეორე მხრივ, ამ აღქმების ტრანსფორმაციას მეხსიერების პოლიტიკის ცვლილების კვალდაკვალ.

### ლიტერატურა

საქართველოში კულტურული ტრავმის ფენომენის შესწავლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომები იშვიათად გვხვდება, თუმცა მისადმი ინტერესის არსებობას ადასტურებს ბოლო წლებში ორგანიზებული არაერთი დისკუსია კონკრეტულ ტრავმულ მოვლენებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებით, აგრეთვე უშუალოდ მოვლენების (1930-იანი წლების რეპრესიები, 9 მარტი და 9 აპრილი, 2008 წლის აგვისტოს ომი) ამსახველი პუბლიკაციების რიცხვის ზრდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს თანამედროვე ისტორიის განმსაზღვრელი მოვლენები, რომელთა უმრავლესობა, თავისი ბუნებითა და შედეგებით, ტრავმულია, არ არის გააზრებული კულტურული ტრავმის თეორიის ქრილში.

საქართველოს 1980-90-იანი წლების ისტორია, ფაქტობრივი თვალსაზრისით, კარგად არის შესწავლილი. მას საგანგებო ადგილი ეთმობა პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის, ტრანზიციის პრობლემების თუ ქართული ნაციონალიზმის საკითხებისადმი მიძღვნილ ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან ნაშრომში; ისინი ემყარება ოფიციალური დოკუმენტების, ქვეყნის თუ ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მიმართულებისა და განცხადებების, პუბლიცისტური წერილების, აგრეთვე მოგვიანო პერიოდში გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტების, ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალის ანალიზს.

მკაცრი იდეოლოგიური წნეხისაგან გათავისუფლებულ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში საკვლევ პერიოდის შესწავლა 1990-იანი წლებიდანვე დაიწყო. თეორიული და მეთოდოლოგიური გადახალისებისათვის ჯერ კიდევ დიდი სამუშაო იყო გასაწევი, თუმცა არსებობდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მყარი ტრადიცია, რომლის ფარგლებში არაერთი საყურადღებო ნაშრომი შეიქმნა.

უშუალოდ ჩვენს საკვლევ პერიოდს ეხება რამდენიმე ნაშრომი, რომელთაგან ყველაზე ადრინდელი და ფაქტობრივი მასალის სიმდიდრით გამორჩეულია გიორგი მჭედლიძის წიგნი „ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)“,<sup>72</sup> რომელშიც დანვრილებით არის გადმოცემული დასახელებული პერიოდის ფაქტები და მათი ავტორისეული შეფასებები. უშუალოდ 9 აპრილის ამბებს განიხილავს გურამ ყორანაშვილი ნაშრომში „9 აპრილი: მითი და სინამდვილე (ისტორიკოსის თვალთახედვით)“,<sup>73</sup> რომელიც ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი საკვლევ მოვლენის ავტორისეული შეფასების კუთხით არის საინტერესო. იგივე შეიძლება ითქვას ავთანდილ სონღულაშვილის ნაშრომზე „9

<sup>72</sup> მჭედლიძე, გიორგი. *ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)* (ქუთაისი: 1999).

<sup>73</sup> ყორანაშვილი, გურამ. *9 აპრილი: მითი და სინამდვილე (ისტორიკოსის თვალთახედვით)* (თბილისი: ახალი საქართველო, 2001).



აპრილის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისათვის,<sup>74</sup> რომელიც 9 აპრილის 20 წლისთავზე, 2009 წელს გამოიცა, აგრეთვე უჩა ბლუაშვილის წიგნზე „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში“, რომელიც უფრო ვრცელ ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს<sup>75</sup> და სადაც შემოთავაზებულია არა მხოლოდ 9 აპრილის, არამედ სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომის ისტორიაც, ავტორისეულ შეფასებებთან ერთად.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო დიმიტრი შველიძის მონოგრაფია „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წ.წ.“<sup>76</sup> ფაქტების გადმოცემის სისრულესთან ერთად, მნიშვნელოვანია ავტორის მიერ შემოთავაზებული დასკვნები და შეფასებები, რომლებიც მრავალფეროვან და გულდასმით გაანალიზებულ წყაროებს ემყარება. 2021 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა ამ წიგნის მეორე გამოცემა.

ფართო ქრონოლოგიური პერიოდის მომცველი ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს ოთარ ჯანელიძის „საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია“,<sup>77</sup> რომელშიც 9 აპრილსა და სამოქალაქო დაპირისპირებას საგანგებო ადგილი ეთმობა. აქაც საყურადღებო დასკვნები და შეფასებებია შემოთავაზებული.

და ბოლოს, განმაზოგადებელი ხასიათის გამოცემაში „საქართველოს ისტორია 4 ტომად,“ XIX-XX საუკუნეების ისტორიის მომცველ მე-4 ტომში<sup>78</sup> ცალკე თავი ეთმობა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას, თუმცა ფაქტობრივი და მეთოდოლოგიური კუთხით აქ რაიმე განსხვავებულს არ ვხვდებით.

ქართულ პროფესიულ საისტორიო ნარატივში, როგორც მეხსიერების ფუნქციურ არეში, ჩვენი საკვლევი საკითხების ინტერპრეტაციას ქვემოთ დანვრილებით შევხებით. ახლა კი გაცილებით ვრცლად მიმოვიხილავთ იმ უცხოელ ისტორიკოსთა მნიშვნელოვან ნაშრომებს, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდი ან მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხებია შესწავლილი.

რონალდ სუნის ცნობილი ნაშრომის – „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ – მეორე, შევსებული გამოცემა<sup>79</sup> 1994 წელს დაიბეჭდა, როცა სამოქალაქო დაპირისპირება საქართველოში ჯერ კიდევ გრძელდებოდა. მისი ბოლო, მე-14 თავი, სათაურით „საქართველოს გზა დამოუკიდებლობისკენ,“ საბჭოთა კავშირის არსებობის დასასრულსა და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებს ეხება. ავტორის აზრით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო წლებში ქართველები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ არსებულ რეჟიმს, თუმცა, საზოგა-

<sup>74</sup> სონდულაშვილი, ავთანდილ. „9 აპრილის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისათვის,“ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II (6), კრებული ეძღვნება 9 აპრილის 20 წლისთავს (თბილისი: უნივერსალი, 2009).

<sup>75</sup> ბლუაშვილი, უჩა. *ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში* (თბილისი: 2012).

<sup>76</sup> შველიძე, დიმიტრი. *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წ.წ.* (თბილისი: უნივერსალი, 2008).

<sup>77</sup> ჯანელიძე, ოთარ. *საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია* (თბილისი: 2009).

<sup>78</sup> ბენდიანიშვილი, ალექსანდრე და სხვ. „საქართველო XIX-XX საუკუნეებში,“ *საქართველოს ისტორია 4 ტომად*, ტ. 4, რედ. მაყვალა ნათელაძე (თბილისი: პალიტრა L, 2012).

<sup>79</sup> Suny, Ronald Grigor. *The Making of the Georgian Nation*, 2nd ed. (Bloomington and Indianapolis: Indiana University Press, 1994).

დოებაში არსებული წინააღმდეგობების გამო, ერთიანი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბება არ მოხერხდა.<sup>80</sup> 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიაში „შეძრა ახლად გაღვიძებული საზოგადოებრივი აზრი მთელ საბჭოთა კავშირში.“ 9 აპრილმა ქართული ეროვნული მოძრაობა სწრაფად გარდაქმნა რადიკალურ მოძრაობად კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ.<sup>81</sup> რ. სუნი მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ საბჭოთა მემკვიდრეობის, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ რადიკალმა ნაციონალისტებმა (ასეთად იგი ზვიად გამსახურდიას და ზოგიერთ სხვა ლიდერს თვლის) დიდი ძალისხმევა არ გასწიეს ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის განსაზღვრისათვის, ქვეყნის მრავალეთნიკურობა კონფლიქტის წყაროდ იქცა.<sup>82</sup> ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მოსვლის შემდეგ, „პოლიტიკური რენესანსის ეიფორია“ სწრაფად გადაფარა არა მხოლოდ ეთნიკურმა კონფლიქტებმა, არამედ დაპირისპირებამ თავად ეროვნულ მოძრაობაში. მკვლევარი ლაპარაკობს „ახალი, ქარიზმატული ლიდერის“ – ზვიად გამსახურდიას – მზარდ ავტორიტარიზმზე,<sup>83</sup> ოპოზიციურ ალიანსზე, რომელშიც „მრგვალი მაგიდის“ ყოფილი წევრებიც შედიოდნენ, ურთიერთბრალდებებზე, როცა გამსახურდია აქცენტს აკეთებდა თავისი ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე, ოპოზიცია კი მას დიქტატორად ხატავდა; გადმოსცემს თბილისის ომის დაწყებას და აღნიშნავს: „საბჭოთა არმია არ ჩარეულა, როცა ათობით ადამიანი მოკლეს და ტანკები დაგრიანდნენ დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში,“ რასაც ქვეყნიდან პრეზიდენტის განდევნა მოჰყვა.<sup>84</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტივენ ჯონსის მონოგრაფია „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.“<sup>85</sup> მასში ჩამოყალიბებულია საყურადღებო მოსაზრებები საქართველოში ნაციონალიზმის თავისებურებების, ეროვნული მოძრაობის განვითარებისა და 1980-90-იან წლებში მიმდინარე პროცესების შესახებ. დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე, ჯონსის აზრით, საქართველომ გამოტოვა მშვიდობიანი გარდაქმნისთვის აუცილებელი მოსამზადებელი პერიოდი; 1980-იანი წლების ბოლოს აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა ოფიციალური და ქუჩის პოპულისტური ნაციონალიზმი, რაც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიით დასრულდა.<sup>86</sup> ს. ჯონსი თვლის, რომ ეს იყო შერკინება „მოძალადე იმპერიასა და ეროვნულ მონამეებს შორის.“<sup>87</sup> ქართველი ავტორებისაგან განსხვავებით, ჯონსი დამოუკიდებლობის მოპოვებას არა 1989 წლის 9 აპრილის, არამედ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მიიჩნევს,<sup>88</sup> რის შემდეგ წარიმართა „გამოუცდელი ბრძოლა ძალაუფლებისთვის წესების, ტრადიციებისა და პოლიტიკური პროცესის გარეშე.“<sup>89</sup> ამან ქვეყანა სამოქალა-

<sup>80</sup> იქვე, გვ. 318.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 323-324, 333.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 326.

<sup>84</sup> იქვე, გვ. 328.

<sup>85</sup> ჯონსი, სტივენ. *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013).

<sup>86</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>89</sup> იქვე, გვ. 54.

ქო დაპირისპირებამდე მიიყვანა.<sup>90</sup> ს. ჯონსის აზრით, გამსახურდიას უკომპრო-მისო ქმედებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოში მომხდარი ტრაგედია; ამავდროს, იგი იმასაც აღნიშნავს, რომ გამსახურდია ქვეყანაში არსებული ფსიქოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებების შესაბამისი მმართველი იყო და იმ პერიოდის საქართველოში სხვა – მაგალითად, ჰაველის – ტიპის ხელისუფლისთვის ადგილი არ მოიძებნებოდა.<sup>91</sup> რაც შეეხება ოპოზიციას, მისი გაერთიანება გამსახურდიასადმი მტრობამ გამოიწვია და არა ეროვნულმა ინტერესებმა. მკვლევარი ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ოპერაციებს არც რევოლუციას უწოდებს და არც გადატრიალებას, არამედ „უსაფრთხოების მაძიებელი და გარიყული ადამიანების პუტჩს.“<sup>92</sup> აღსანიშნავია, რომ ს. ჯონსი ერთადერთია ქართველ და უცხოელ ავტორებს შორის, რომელიც ჩვენთვის საინტერესო მოვლენების გადმოცემისას ტრავმისა და ტრიუმფის ცნებებს იყენებს: „ტრავმირებული ქვედა შრე,<sup>93</sup> „ჯგუფური ფსიქოლოგიური ტრავმა,<sup>94</sup> „ტრიუმფი და ტრაგედია.“<sup>95</sup>

ნიშანდობლივი სათაურის აქვს სტივენ ჯონსის კიდევ ერთ ნაშრომს – „საქართველო: სახელმწიფოებრიობის ტრავმა,<sup>96</sup> რომელიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება, თუმცა განსხვავებული აქცენტებით, ამიტომ მას აქ არ განვიხილავთ.

2016 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ერის ცვლილება – ეთნიკური ფრაგმენტაციიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე?“<sup>97</sup> კრისტოფერ ბერგლუნდი და ტიმოთი ბლაუველტი იზიარებენ ს. ჯონსის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქართული ნაციონალიზმის ფორმა მნიშვნელოვანწილად საბჭოთა გამოცდილებამ განსაზღვრა, ხოლო ლიდერები, რომლებიც 1980-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას ჩაუდგნენ სათავეში, საბჭოთა კავშირში აღზრდილ ინტელექტუალთა წრეს წარმოადგენდნენ, რომლებიც 1950-იანი წლების ბოლოდან ჩაერთნენ დისიდენტურ მოძრაობაში, ძირითადად, კულტურული ფორმით.<sup>98</sup> ლევან გიგინეიშვილი, დავით დარჩიაშვილი და გივი თევზაძე 9 აპრილის ტრაგედიას მოვლენების განვითარებისთვის გარდამტეხ მომენტად თვლიან; ხაზს უსვამენ გამსახურდიას შეცდომებს უმცირესობებთან ურთიერთობაში, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტთან დაპირისპირება ეთნიკურ საფუძველზე არ დაწყებულა.<sup>99</sup> მმართველობის დასაწყისშივე გამსახურდიას საკუთარი მომხრეებიც განუდგნენ და, ადგილობრივ ინტელექტუალებთან და სამხედრო დაჯგუფებებთან ერთად, ოპოზიციური ძალა ჩამოაყალიბეს, რომელმაც 1991 წლის დეკემბერში თბილისის

<sup>90</sup> იქვე, გვ. 57.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 77.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>95</sup> იქვე.

<sup>96</sup> Jones, Stephen F. „Georgia: The Trauma of Statehood,” *New States, New Politics: Building the Post-Soviet Nations*, eds. Ian Bremmer and Ray Taras (Cambridge University Press, 1997), p. 506-543.

<sup>97</sup> Berglund, Christofer and Timothy Blauvelt. „Redefining the Nation: From Ethnic Fragmentation to Civic Integration?” *25 Years of Independent Georgia. Achievements and Unfinished Projects* (Tbilisi: Ilia State University Press, 2016), p. 11-55.

<sup>98</sup> იქვე, გვ. 11-12.

<sup>99</sup> „პოლიტიკური ფორუმი: ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე,” *საზოგადოება და პოლიტიკა* 6 (2007): გვ. 40-42, 57-58, 101.

ცენტრში სამხედრო ოპერაციები მოაწყო და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო.<sup>100</sup> ამის შემდგომ საქართველო ცალკეული პოლიტიკური დაჯგუფებების საბატონო ტერიტორიებად დაიყო, ხოლო ბრძოლა „ზვიადისტებსა“ და მის მონინალმდევებს შორის გაგრძელდა გამსახურდიას გარდაცვალებამდე.<sup>101</sup>

საისტორიო ნაშრომებმა ჩვენი კვლევა ფაქტოლოგიური საფუძვლით უზრუნველყო, ასევე საშუალება მოგვცა, გაგვეანალიზებინა მოვლენათა ინტერპრეტაცია ქართველი და უცხოელი მკვლევრების მიერ, ტრავმისა და ტრიუმფის განცდის ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია, რაც, რა თქმა უნდა, შეივსო და დაზუსტდა ჩვენ მიერ მოძიებული სხვადასხვა ტიპის წყაროთა ანალიზით.

ეს მასალა გააზრებულია ჯეფრი ალექსანდერის, პიოტრ შტომპკას, ალეიდა ასმანისა და ვამიკ ვოლკანის ნაშრომებში ჩამოყალიბებულ კონცეფციათა საფუძვლზე, რომლებიც დანვრილებით განხილულია ჩვენი ნაშრომის თეორიულ საფუძვლებზე საუბრისას. გარდა ამისა, ამ ავტორთა ნაშრომები საყურადღებო იყო მათში შემოთავაზებული კონკრეტულ შემთხვევათა მაგალითებით, რაც მნიშვნელოვანი იყო შესასწავლი პრობლემების იდენტიფიცირებისა და ფართო კონტექსტში წარმოდგენისათვის.

საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის ვექტორების გასაგებად და კოლექტიური მეხსიერების შექმნის პროცესში ელიტების როლის შესაფასებლად დაგვეხმარა ლემუკ კოჩანოვიჩის გამოკვლევა „მეხსიერების პოლიტიკა. რეფლექსია წარსულის კონსტრუირებაზე პოსტკოტალიტარულ პოლონეთში“,<sup>102</sup> რომელიც პოლონეთში სოციალურ და პოლიტიკურ ძალაუფლებასა და კოლექტიურ მეხსიერებას შორის კავშირის პრობლემას ეძღვნება; აგრეთვე პიტერ ვეროვშეკის ნაშრომი „კოლექტიური მეხსიერება, პოლიტიკა და წარსულის გავლენა: მეხსიერების პოლიტიკა როგორც კვლევის პარადიგმა“ და ევა-კლარიტა ონკენის სტატია „ბალტიის სახელმწიფოები და მოსკოვის მიერ 9 მაისის აღნიშვნა: ევროპის მეხსიერების პოლიტიკის ანალიზი,“ რომლებშიც შესწავლილია თანამედროვე მეხსიერების პოლიტიკაში მეორე მსოფლიო ომის ადგილის საკითხი, პირველ შემთხვევაში იტალიისა და სლოვენის,<sup>103</sup> მეორეში კი ბალტიის ქვეყნების მაგალითზე.<sup>104</sup> ამავე პროცესში სოციალური ჯგუფების ინტერესების გასაგებად საინტერესო მაგალითებს განიხილავენ გაი ბეინერი ნაშრომში „მეხსიერების ძიება: 1798 წლის მეხსიერების გადააზრება“<sup>105</sup> და მიშელ ლებარონი და პოლეტ რეგანი პუბლიკაციაში „წარსულის მიმოხილვა,“ რომლებიც აჩვენებენ, რომ მეხსიერების შექმნის ინიციატივები ყოველთვის არ არის ნაკარნახევი ელიტების მიერ და მათ ხალხში არსებული წარმოდგენებიც განაპირობებს.<sup>106</sup>

<sup>100</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 21.

<sup>101</sup> იქვე, გვ. 21-23.

<sup>102</sup> Koczanowicz, Leszek. “Memory Politics and Politics of Memory. Reflections on the Construction of the Past in Post-Totalitarian Poland,” *Studies in East European Thought* 49, no. 4 (1997): p. 259.

<sup>103</sup> Verovšek, Peter. “Collective Memory, Politics, and the Influence of the Past: The Politics of Memory as a Research Paradigm,” *Politics, Groups, and Identities* 4, no. 3 (April, 2016): p. 533.

<sup>104</sup> Onken, Eva-Clarita. “The Baltic States and Moscow’s 9 May Commemoration: Analysing Memory Politics in Europe,” *Europe-Asia Studies* 59, no. 1 (January, 2007): p. 24, 28-29.

<sup>105</sup> Beiner, Guy. “Negotiations of Memory: Rethinking 1798 Commemoration,” *The Irish Review*, no. 26 (Autumn, 2000): p. 67-68.

<sup>106</sup> Lebaron, Michelle and Paulette Regan. “Reweaving the Past,” *Memory*, eds. Philippe Tortell et al. (Vancouver: Peter Wall Institute for Advanced Studies, 2018), p. 218-224; Beiner, “Negotiations of Memory,” p. 67.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო *რთული წარსულის* ტრავმად კონსტრუირების პრობლემა, რომელსაც აქვს როგორც საზოგადოების კონსოლიდაციის, ასევე მისი დეზინტეგრაციის პოტენციალი. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა გილად ჰირსბერგერის ნაშრომი „კოლექტიური ტრავმა და მნიშვნელობის სოციალური კონსტრუირება,“ რომელშიც ნაჩვენებია, რომ ტრაგედიის წარმოდგენა გმირობისა და თავგანწირვის აქტად აყალიბებს წარმოდგენას ჯგუფისათვის სიცოცხლის გაღების, როგორც საპატიო მისიის შესახებ და მნიშვნელობას ანიჭებს მომავალ ბრძოლებს.<sup>107</sup> მკვლევარი ერთმანეთისაგან განასხვავებს *დამნაშავე* და *მსხვერპლი* ჯგუფების წინაშე მდგარ გამონგვევებს რთული წარსულისათვის მნიშვნელობის მინიჭებისა და მისი ნარატივის კონსტრუირების პროცესში, განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს და განაზოგადებს ხერხებს, რომელთაც ერთი და მეორე მხარე იყენებს ტრავმით გამონგვეული იდენტობის საფრთხის დასაძლევად. ამ ნაშრომმა საშუალება მოგვცა, უკეთ გაგვეაზრებინა როგორც 9 აპრილის ტრავმულ-ტრიუმფალური ნარატივები, ასევე სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც *რთული წარსული*, რომლის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბება ძნელი აღმოჩნდა არა მხოლოდ ჩართული მხარეებისა და მათი მხარდაჭერების, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის.

რთულ და წინააღმდეგობრივ წარსულთან გამკლავებასა და მისი დამახსოვრების პრაქტიკაზე მსჯელობს ვერედ ვინიცკი-სერუსიცი ნაშრომში „რთული წარსულის მეხსიერება: იცხაკ რაბინის მემორიალები.“<sup>108</sup> იგი განასხვავებს დამახსოვრების ორ პრაქტიკას: *მრავალხმიან* და *ფრაგმენტირებულ* დამახსოვრებას, რომელთა არჩევანი საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასა (კონსენსუსზე ორიენტირებული და კონფლიქტური) და თანამედროვე საჭიროებებთან დასამახსოვრებელი თუ დასავიწყებელი მოვლენის მიმართებაზეა დამოკიდებული.

არა მხოლოდ 9 აპრილისა და სამოქალაქო დაპირისპირების, არამედ მათთან რეზონანსის ეფექტით დაკავშირებული ტრავმული მოვლენების მეხსიერების თავისებურებათა გააზრებაში დაგვეხმარა პოლ კონერტონის ნაშრომი „დავინწყების შვიდი ტიპი,“<sup>109</sup> რომელშიც მეხსიერების პოლიტიკაში გამოყენებული დავინწყების სტრატეგიებია განხილული.

აღენ მიკის ნაშრომში „კულტურული ტრავმა და მედია“ კომპლექსურად, მრავალფეროვანი ემპირიული მასალის საფუძველზე, გაანალიზებულია მედიის როლი კულტურული ტრავმის ჩამოყალიბების პროცესში. მიკის აზრით, კულტურული ტრავმა ყალიბდება იმ ხატებისა და ნარატივების საფუძველზე, რომელსაც მედია ქმნის და აწვდის ფართო საზოგადოებას.<sup>110</sup> აღენ მიკის ნაშრომი მნიშვნელოვანი იყო ბექდური მედიის კვლევის თეორიული საფუძვლის უზრუნველყოფისათვის.

<sup>107</sup> Hirschberger, Gilad. “Collective Trauma and the Social Construction of Meaning,” *Frontiers in Psychology* 9 (10 August, 2018): p. 26.

<sup>108</sup> Vinitzky-Seroussi, Vered. “Commemorating a Difficult Past: Yitzhak Rabin’s Memorials,” *American Sociological Review* 67, no. 1 (February, 2002): p. 31.

<sup>109</sup> Connerton, “Seven Types of Forgetting,” p. 59-71.

<sup>110</sup> Meek, Allen. “Cultural Trauma and the Media,” *Interdisciplinary Handbook of Trauma and Culture*, eds. Yochai Ataria et al. (Springer International Publishing, 2016), p. 29-38.

კიდევ ერთ გამოკვლევაში – „მედია ტრავმატიზება, სიმბოლური ჭრილობები და ციფრული კულტურა“<sup>111</sup> – ალენ მიკი ეყრდნობა ფსიქოლოგების გეზა როჰაიმის და ბრუნო ბეტელჰაიმის *სიმბოლური ჭრილობების (symbolic wounds)* კონცეფციას და მედიაში შექმნილ ტრავმული მოვლენის ხატებს და ნარატივებს სიმბოლურ ჭრილობებად განიხილავს, რომლებიც საზოგადოებას მათთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობას აძლევს. ძალადობა და ტანჯვა მსხვერპლს ახალი იდენტობის ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს. მას არა მხოლოდ დესტრუქციული, არამედ კონსტრუქციული ძალაც აქვს: იქმნება ხატები, რომლებიც აძლიერებს საზოგადოებას და მასში ახალ ორიენტირებს აჩენს. განსაზღვრული ფორმით კონსტრუირებული ინფორმაციის მიწოდებით, მედია ფართო საზოგადოებაში ერთგვაროვანი განცდის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

სოციალური მედიის მნიშვნელობას კოლექტიური ტრავმის ჩამოყალიბების პროცესში ეძღვნება მოა ერიკსონის სტატია „კოლექტიური ტრავმის მართვა სოციალურ მედიაში: ტვიტერის როლი 2011 წლის ნორვეგიის ტერაქტის შემდეგ.“<sup>112</sup> მკვლევარი თვლის, რომ ტრავმული მოვლენის გარშემო იქმნება საჯარო ტრავმული დისკურსი, რომლის ფორმირებაში საკვანძო როლს ხშირად მედია ასრულებს. ყალიბდება კოლექტიური ჩვენ ჯგუფი, რომლის ახალ იდენტობას ტრავმული მოვლენა განაპირობებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს საკვლევი საკითხების შესწავლისათვის წარმოდგენდა ლიტერატურული ტექსტები. მათი გააზრებისათვის აუცილებელი იყო მხატვრულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული თეორიული ნაშრომების, აგრეთვე კრიტიკული წერილებისა და გამოხმაურებების გაანალიზება. კონცეპტუალურ საფუძველად და, ლიტერატურის თეორიის კუთხით, მხატვრული ტექსტების გააზრებისათვის გამოვიყენეთ უმბერტო ეკოს ესე „ბოლოთქმა ‘ვარდის სახელისათვის’“<sup>113</sup> – მეტატექსტი არა მხოლოდ „ვარდის სახელისათვის,“ არამედ ისტორიული რეალობის ამსახველი ნებისმიერი ნაწარმოებისათვის. იგი ნათლად წარმოაჩენს, რატომ არის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ტექსტი წარსულის აღდგენის, გააზრებისა და ინტერპრეტირებისათვის; როგორ იქმნება და შემდგომ როგორ მუშაობს მხატვრული ნაწარმოები; რატომ განაპირობებს ისტორიული რეალობის ასახვას არა მხოლოდ ავტორის სუბიექტური ინტერპრეტაცია და მისი სუბიექტური აღქმები, არამედ თავად რეალობა და აღსაწერი ეპოქის ხასიათი. ამის საფუძველზე, შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ და რატომ ხდება ქართულ მხატვრულ ტექსტებში 90-იანი წლების, როგორც ტრავმული ეპოქის, კონსტრუირება.

ქართველი მკვლევრების წერილებიდან ხაზგასასმელია ის ნაშრომები, სადაც მხატვრული ტექსტები კულტურული ტრავმის ჭრილშია გააზრებული. აღსანიშნავია ბელა წიფურიას „ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერ-

<sup>111</sup> Meek, Allen. “Media Traumatization, Symbolic Wounds and Digital Culture,” *Communication and Media* XI, no. 38 (2016): p. 91–110.

<sup>112</sup> Eriksson, Moa. “Managing Collective Trauma on Social Media: The Role of Twitter After the 2011 Norway Attacks,” *Media, Culture & Society* 38, no. 3 (2016): p. 365–380.

<sup>113</sup> ეკო, უმბერტო. „ბოლოთქმა ‘ვარდის სახელისთვის’,“ უმბერტო ეკო, *ვარდის სახელი*. იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ (თბილისი: დიოგენე, 2016), გვ. 687-743.

ნულ კონტექსტში,<sup>114</sup> აგრეთვე ელენე ჩხაიძის წერილი „დარღვეული დუმისის ისტორია“,<sup>115</sup> რომელშიც ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები კულტურული ტრავმის პარადიგმიდანაა დანახული. ოთარ ჭელიძის „აველუმის“ შესახებ, რომელიც 90-იანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეტაფორაა, ბევრი რამ დანერა. ჩვენთვის გამორჩეულად საინტერესო იყო მანანა კვაჭანტირაძის წერილი „ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში“,<sup>116</sup> სადაც კრიტიკოსი „აველუმს“ სწორედ ტრავმის თეორიათა ფარგლებში განიხილავს და გვაჩვენებს, რატომ და როგორ ჩამოყალიბდა 90-იანი წლები კოლექტიურ ტრავმად. შოთა იათაშვილის წერილში „ქართული 'სიყვარულის იმპერია' მწარე იაპონური 'გრძნობათა იმპერიის' სანაცვლოდ“<sup>117</sup> კარგად ჩანს, რატომ არის „აველუმი“ მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები; ამ წერილმა გვიბიძგა, გაგვეზრებინა სხვადასხვა თაობის ავტორთა განსხვავებული დამოკიდებულება წარსულისადმი.

ლევან ბრეგაძის ესე „ზღაპრები ზღაპრებზე, თანაც წინასწარმეტყველური“<sup>118</sup> ნაირა გელაშვილის „დიდედას“ გახსნასა და გააზრებაში დაგვეხმარა, რაც მნიშვნელოვანი იყო ზღაპრად მოთხრობილ ამბებში საქართველოს რეალობის დასანახად. წერილში „ნინო ხარატიშვილი: საქართველოს ალაგის ძიებაში III“<sup>119</sup> ლუკა ნახუცრიშვილი ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლის (ბრილკას)“ მხატვრულ ღირებულებას ისტორიული რომანის მნიშვნელობის თვალსაზრისით აფასებს. გიგა ზედანიას წერილი „სპილოს გადამალვა“<sup>120</sup> არჩილ ქიქოძის „სამხრეთულ სპილოს“ ეძღვნება და გვაჩვენებს, რომ რომანი კულტურის ცენტრიდან არის დანერული; მისი პერსონაჟები იზიარებენ საზოგადოების ცენტრალურ ღირებულებებს და მოიაზრებენ თავს მათ მატარებლად. ეს კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ პერსონაჟების გავლით იწყობა 90-იანების და 90-იანებში გაცოცხლებული წარსულის ტრავმულ და ტრიუმფალურ მოვლენათა მწკრივი.

1980-90-იანი წლების პროცესების წარმოდგენა შეუძლებელია იმ ბუნებრივი კატასტროფების ანალიზის გარეშე, რომლებიც თავს დაატყდა საქართველოს იმ პერიოდში. კატასტროფების კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებლის ენრიკო კვარანტელისა და თანაავტორების ნაშრომში „ევრისტიკული მიდგომა მომავალი კატასტროფებისა და კრიზისებისადმი: ახალი, ძველი და შუალედური ტიპები“, ისევე როგორც რონალდ პერის პუბლიკაციაში „რა არის კატასტროფა?“ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ კატასტროფები განპირობებულია არა მოვლენით, რომელიც იწვევს ნგრევას, არამედ ნორმებისა და ღირებულებების

<sup>114</sup> წიფურია, ზელა. *ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016).

<sup>115</sup> ჩხაიძე, ელენე. „დარღვეული დუმისის ისტორია.“ *ჩვენი მწერლობა*, no. 18 (2014): გვ. 36-44.

<sup>116</sup> კვაჭანტირაძე, მანანა. „ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში.“ *კრიტიკა* 5 (2010): გვ. 58-67.

<sup>117</sup> იათაშვილი, შოთა. „ქართული 'სიყვარულის იმპერია' მწარე იაპონური 'გრძნობათა იმპერიის' სანაცვლოდ.“ *არილი* (2 ოქტომბერი, 2009), <https://bit.ly/3JMEXMI> (ნანახია 11.05.2021).

<sup>118</sup> ბრეგაძე, ლევან. „ზღაპარი ზღაპრებზე, თანაც წინასწარმეტყველური!“ *ლევან ბრეგაძე, პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში* (თბილისი: არტანუჯი, 2020), გვ. 121-137.

<sup>119</sup> ნახუცრიშვილი, ლუკა. „ნინო ხარატიშვილი: საქართველოს ალაგის ძიებაში III.“ *სოციალური სამართლიანობის ცენტრი*, 24 სექტემბერი, 2019, <https://bit.ly/34rEQpw> (ნანახია 11.05.2021).

<sup>120</sup> ზედანიას, გიგა. „სპილოს გადამალვა.“ *რადიო თავისუფლება*, 14 სექტემბერი, 2017, <https://bit.ly/3JLdP0k> (ნანახია 11.05.2021).

სოციალური სტრუქტურით.<sup>121</sup> ეს თვალსაზრისი ეხმიანება დებულებას კულტურული ტრავმის სოციალური ბუნების შესახებ<sup>122</sup> და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენია ჩვენი საკვლევითი მაგალითების (1989 და 1991 წლის სტიქიური უბედურებების) ანალიზისათვის.

ტრავმა როგორც სოციალურად კონსტრუირებული ფენომენი ხაზგასმულია აგრეთვე კაი ერიკსონის ნაშრომში „ჩანაწერები ტრავმასა და ჯგუფზე,“ სადაც ნაჩვენებია, რომ მოვლენის ტრავმულ გავლენას მისთვის მინიჭებული და ჯგუფის მიერ გაზიარებული მნიშვნელობა განაპირობებს. ერიკსონმა აღწერა კატასტროფით გამოწვეული ტრავმის კონსტრუირების მექანიზმები, გავლენა სოციალურ ორგანიზმზე, ჯგუფის წევრების მიერ საკუთარი თავისა და სამყაროს აღქმაზე, მათ იდენტობასა და მსოფლმხედველობაზე.<sup>123</sup>

კაი ერიკსონის ნაშრომი დაგვეხმარა აგრეთვე 1990-იანი წლების, როგორც ქართული საზოგადოებისათვის კოლექტიური ტრავმული მოვლენის და მისი თავისებურებების გააზრებაში.<sup>124</sup> 90-იანი წლების, როგორც ტრავმული პერიოდის ინდივიდუალური აღქმების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი იყო ბერნჰარდ გიზენის ნაშრომში „ჯალათთა ტრავმა: ჰოლოკოსტი როგორც გერმანული ეროვნული იდენტობის ტრავმული გამოცდილება“ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტრავმული გამოცდილება ბადებს დროის თანმიმდევრულობის წყვეტის, დამკვიდრებული წესრიგისა და მნიშვნელობათა ერთობლიობის მსხვერვის, ტეხილის განცდას.<sup>125</sup>

კატასტროფით გამოწვეული ტრავმის კულტურულ ფენომენად განსაზღვრის თვალსაზრისით, საინტერესო იყო გერი ვების ნაშრომი „კულტურული ტეხილი კატასტროფის კვლევაში: მედეგობისა და მოწყვლადობის გააზრება კულტურის პრიზმაში,“ რომელშიც ყურადღება გამახვილებულია კულტურის როლზე კატასტროფის სოციალური კონსტრუირების პროცესში.<sup>126</sup>

ტრავმული მოვლენის მნიშვნელობის ჩამოყალიბების მექანიზმების გააზრებაში დაგვეხმარა დონალდ მეიკენბაუმის ნაშრომი „კატასტროფები, სტრესი და შემეცნება,“ სადაც იგი აღნიშნავს, რომ რამდენადაც ტრავმული მოვლენები დარტყმის ქვეშ აყენებს ადამიანთა საბაზისო წარმოდგენებს საკუთარი თავის, სხვებისა და სამყაროს შესახებ, ჩნდება მნიშვნელობების ძიების აუცილებლობა, რასაც კომპენსატორული ფუნქცია აქვს.<sup>127</sup> დებრა კემინერი და ჯილიან იგ-

<sup>121</sup> Quarantelli, Enrico et al. “A Heuristic Approach to Future Disasters and Crises: New, Old, and In-Between Types,” *Handbook of Disaster Research*, eds. Havidán Rodríguez et al. (Springer, 2007), p. 22; Perry, Ronald W. “What Is a Disaster?” *Handbook of Disaster Research*, eds. Havidán Rodríguez et al. (Springer, 2007), p. 12-13.

<sup>122</sup> Alexander, “Towards a Theory,” p. 8.

<sup>123</sup> Erikson, Kai. “Notes on Trauma and Community,” *Trauma. Explorations in Memory*, ed. Cathy Caruth (Baltimore and London: Johns Hopkins University Press, 1995), p. 183-199.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 185.

<sup>125</sup> Giesen, Bernhard. “The Trauma of Perpetrators: The Holocaust as the Traumatic Reference of German National Identity,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 113.

<sup>126</sup> Webb, Gary R. “The Cultural Turn in Disaster Research: Understanding Resilience and Vulnerability Through the Lens of Culture,” *Handbook of Disaster Research*, 2nd ed., eds. Havidán Rodríguez et al. (Springer International Publishing, 2018), p. 109-121.

<sup>127</sup> Meichenbaum, Donald. “Disasters, Stress and Cognition,” *Extreme Stress and Communities: Impact and Intervention*, eds. Stevan E. Hobfoll and Marten W. de Vries (Springer Science+Business Media, 1995), p. 38.



ლი წიგნში „ტრავმული სტრესი სამხრეთ აფრიკაში,“ ტრავმას განიხილავენ როგორც მნიშვნელობის კრიზისს. ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ ეგზისტენციური კრიზისის პირისპირ, ტრავმირებული ადამიანები ცდილობენ ახსნან ტრავმული მოვლენა და შექმნან მნიშვნელობები, რომლებიც მათ დაეხმარება სამყაროსთვის აზრის მინიჭებაში.<sup>128</sup>

ჩვენთვის ეს მოსაზრებები საყურადღებო იყო, რამდენადაც სწორედ ამ ეგზისტენციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ტრავმული მოვლენით დარღვეული წონასწორობის აღსადგენად იქმნება ნარატივები, რომლებიც კულტურაში არსებულ ნიმუშებს ემყარება. ფრანკ ფურედი ნაშრომში „კატასტროფის ცვალებადი მნიშვნელობა“ აღნიშნავს, რომ კატასტროფები ინტერპრეტირებულია მნიშვნელობათა სისტემით, რომელსაც გვთავაზობს კულტურა;<sup>129</sup> საგანგებო მდგომარეობასთან ან კატასტროფასთან გამკლავების გზები განსაზღვრულია წინარე გამოცდილებით და ასევე კულტურული ნარატივით, რომლის ფარგლებშიც ადამიანები იაზრებენ საკუთარ გამოცდილებას.<sup>130</sup>

ჩვენთვის საინტერესო იყო ნილ სმელზერის ნაშრომი „ფსიქოლოგიური ტრავმა და კულტურული ტრავმა,“<sup>131</sup> რომლის მიხედვითაც, მოვლენის ტრავმულად აღქმა დამოკიდებულია იმ პერიოდის სოციალურ-კულტურულ კონტექსტზე, რომელშიც ისტორიული მოვლენა იჩენს თავს.<sup>132</sup> ამ ნაშრომის საფუძველზე ავხსენით, თუ რატომ მიენიჭა ჩვენ მიერ შესწავლილ სტიქიურ მოვლენებს კულტურული ტრავმისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობები; რატომ ამოქმედდა მათი კონსტრუირების პროცესში ის კულტურული ნიმუშები, რომლებიც იმავე პერიოდის სოციალური ტენილების (უპირველესად, 1989 წლის 9 აპრილის) შემთხვევაში გააქტიურდა.

1990-იანი წლების, როგორც ტრავმული ათწლეულის, მისთვის, როგორც გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სოციალური სტრუქტურების მოშლისა და კულტურული დეზორიენტაციის გასააზრებლად, მნიშვნელოვანი იყო სხვა, არამეცნიერული ხასიათის ტექსტებიც, თუმცა, ისინი უფრო მეტად წყაროების კატეგორიას მიეკუთვნება და დეტალურად არის გაანალიზებული ნაშრომის შესაბამის თავებში.

<sup>128</sup> Kaminer, Debra and Gillian Eagle. *Traumatic Stress in South Africa* (Wits University Press, 2010), p. 60-79.

<sup>129</sup> Furedi, Frank. “The Changing Meaning of Disaster,” *Area* 39, no. 4 (2007): p. 482.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 485.

<sup>131</sup> Smelser, Neil J. “Psychological Trauma and Cultural Trauma,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 31-59.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 36.

## თავი I

### საქართველო 1980-90-იანი წლების მიჯნაზე: ახალი რეალობა და ახალი მიზნები

1980-90-იანი წლების მიჯნამ იმდენი გარდამტეხი ცვლილება დაიტია, რომ ზოგი მკვლევარი მას მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდადაც კი აფასებს.<sup>1</sup> ეს წლები ჩვენთვის საინტერესოა როგორც რადიკალურ, სწრაფ და მოულოდნელ ცვლილებათა დასაწყისი, რომელმაც უამრავი კითხვა გააჩინა. მათზე პასუხების ძიების პროცესში ჩამოყალიბება დაიწყო ახალი, დამოუკიდებელი მომავლის ლეგიტიმაციისაკენ მიმართულმა ახალმა მეხსიერებამ. მისი უზრუნველმყოფი ნარატივი, რომელიც სხვადასხვა ფორმით – სამეცნიერო, პოპულარული თუ მხატვრული ტექსტებით, სიმბოლოებით, მემორიალებით, მონუმენტებით, მუზეუმების ექსპოზიციებით, დღესასწაულებით, რიტუალებით – იყო წარმოდგენილი, ჩვენი აზრით, მკაფიოდ თავსდება ქართული კულტურული ნიმუშის ჩარჩოებში. ეს უკანასკნელი საფუძვლად უდევს კონკრეტული ფაქტების აღქმას, აძლევს მათ ფორმას, ტვირთავს მნიშვნელობით და ემოციებით. სწორედ ამ ნარატივმა განაპირობა მომდევნო ამბების აღქმა და მათი რეპრეზენტაცია.

ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი 1970-იან წლებს „ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში სანუკვარი თავისუფლების მოპოვების იმედის“ გაჩენის ხანად მიიჩნევს; „უკვე არსებობდნენ ძალები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ. ესენი ახალგაზრდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ.“<sup>2</sup> 1974 წელს თბილისში „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც 1976 წელს „ჰელსინკის ჯგუფად“ გადაკეთდა და, არალეგალურად, ორი ჟურნალის გამოცემასაც ცდილობდა; მათი მცირე ტირაჟი მხოლოდ ვინრო წრეში ვრცელდებოდა. მაშინდელი საბჭოთა ფუნქციონერების ნაწილის აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა „აბსოლუტურად ყველას ჰქონდა და ჩუმად ამაზე ყველა ოცნებობდა, ერთმანეთში ამაზე ყველა ლაპარაკობდა,“ რის ყველაზე მკაფიო გამოვლინებად 1978 წლის 14 აპრილის ამბებს მიიჩნევენ.<sup>3</sup> ისინი თვლიან, რომ თავადაც ქმნიდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის საფუძვლებს, უპირველესად, ეკლესია-მონასტრების აღდგენით: „კომკავშირმა საქართველოში ეკლესიების განმენდა და აღდგენა 70-იანი წლებიდან დაიწყო, [...] ზოგს ისე ვაკეთებდით, არალეგალურად. მეტეხის თეატრი ამის მაგალითია. მეტეხი გადაქცეული იყო სანყობად, გავასუფთავეთ და სცენა მოვანყვეთ. [...] ის სულიერების ცენტრად იქცა. მაშინვე ვთქვით, რომ იყოს ეს ახლა ასე, მოვა დრო და ჯვარსაც დავადგამთო. და 1988 წელს მოვიდა ეს დრო.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> მჭედლიძე, გიორგი. *ისტორია უდისტანციოდ (მდეღვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)* (ქუთაისი: 1999), გვ. 11.

<sup>2</sup> დაუშვილი, ალექსანდრე. „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა,“ *საქართველოს ისტორია*, ტ. 4, XIX-XX საუკუნეები, რედ. მაყვალა ნათელაძე (თბილისი: პალიტრა L, 2012), გვ. 685-686.

<sup>3</sup> ინტერვიუ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება,“ *You-Tube*, 17 თებერვალი, 2020, <https://bit.ly/3JN1gSo> (ნანახია 07.04.2020).

<sup>4</sup> იქვე.

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, პერესტროიკამდე ქართული ნაციონალიზმი არ წარმოადგენდა მასობრივ პოლიტიკურ მოძრაობას;<sup>5</sup> „მას ვერც ვუნოდებდით პოლიტიკურ მოძრაობას,“ ეს უფრო ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე მეოცნებეთა მცირერიცხოვანი ჯგუფების იატაკქვეშა საქმიანობა იყო.<sup>6</sup>

პროტესტი ყველაზე მკაფიოდ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამოიხატებოდა, რომლის წარმომადგენლები „ცდილობდნენ კომუნისტური დოგმატიკის მსხვერველს, [...] შეფარვით, ეზოპეს ენით ამბობდნენ ჭეშმარიტ სიმართლეს,“ რამაც „შეამზადა მსოფლმხედველობრივი საფუძვლები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის.“<sup>7</sup> ს. ჯონსის სიტყვით, საქართველოს ეროვნული მოძრაობა *პერესტროიკამდე* კონცენტრირებული იყო კულტურის საკითხებზე – ეს იყო ენა, ლიტერატურა, არქეოლოგია, ისტორია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები და მათი დაცვა. ამ მოძრაობას სათავეში ედგნენ მწერლები, ისტორიკოსები, დრამატურგები, რეჟისორები, ფილოსოფოსები, რომელთაც ხელი შეუწყვეს ისტორიის წარმოდგენას ეთნიკურ რეალობად, დამპყრობელთა წინააღმდეგ მორალურ ბრძოლად,<sup>8</sup> „ქართველთა ესთეტიური უპირატესობის ილუსტრაციად.“<sup>9</sup> სწორედ ამიტომ „ქართული სახელმწიფო წიგნებში, ფილმებსა და შუა საუკუნეების წარსულში ცხოვრობდა.“<sup>10</sup> ნებისმიერი „მუშა, ტაქსის მძღოლი თუ პარტიული ჩინოვნიკი [...] მიჯაჭვული იყო საქართველოს ისტორიისა და ტრადიციების იდეალიზირებულ მითებსა თუ სიმბოლოებს.“<sup>11</sup>

საინტერესოდ და ლაკონურად გადმოსცემს ამ განწყობას ისტორიკოსი ბეჟან ჯავახია, რომელიც 1989 წლის წინ გამოცოცხლებული ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო, შემდგომში – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი: „საქართველოს ისტორია [იყო] რაღაც ისეთი, ჰეროიკული... დღეს ცოტა სხვანაირად ვუყურებთ მეც და ბევრი ჩემი კოლეგაც [...] ჰეროიკულ ნაწილს ამ ისტორიისას, რომელიც გვასაზრდოებდა, გვაცხოვრებდა, იმედს გვაძლევდა, ძალას გვმატებდა. [...] ჩვენი იმედი და მამოძრავებელი ძალა იყო ეს ისტორია“ (ბეჟან ჯავახია, ისტორიკოსი, 63 წლის, ინტერვიუ ჩანერილია 05.12.2020).

ინტელიგენციისა და ხელისუფლების ურთიერთობის შეფასება ისტორიკოსების მიერ არაერთგვაროვანია. ალექსანდრე დაუშვილი თვლის, რომ საქართველოს ინტელიგენცია, რომელიც ეროვნული იდეების გავრცელების პროცესის „ჰეგემონი და იდეური ხელმძღვანელი იყო, საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის რადიკალური ფორმების გამორიცხვით ცდილობდა საზოგადოების ევოლუციას სულიერი განწმენდის გზით. ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირება ინტელიგენციას ეროვნული საქმისათვის საზიანოდ მიაჩნდა.“<sup>12</sup> მართლაც, ხელი-

<sup>5</sup> ჯონსი, სტივენ. *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013), გვ. 35.

<sup>6</sup> ფირალიშვილი, ზაზა. *ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა* (თბილისი: კავკასიის საზოგადოებრივ სტრატეგიათა ინსტიტუტი, მერაბ მამარდაშვილის სახელობის ქართული კლუბი, 2007), გვ. 120.

<sup>7</sup> *საქართველოს ისტორია*, ტ. 4, გვ. 488.

<sup>8</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 16.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 20-21.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>12</sup> *საქართველოს ისტორია*, ტ. 4, გვ. 488.

სუფლებასთან დაახლოებული ინტელიგენცია ცდილობდა მოენახა თანამშრომლობის ფორმები, რასაც წარმატებით ახერხებდა და, რიგ შემთხვევებში, ხელისუფლების რეპრესიული ზომების მხარდამჭერადაც გამოდიოდა. მაგალითად, 1988 წლის ნოემბრის ანტისახელისუფლებო პროტესტის შეფასებისას გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინტელიგენციის წარმომადგენლის წერილში ნათქვამი იყო: „იაფი პოპულარობის, თავიანთი ამბიციური მისწრაფებების განსახორციელებლად ეს მერამდენედ გამოიყენეს ახალგაზრდობის კეთილშობილური პატრიოტული გრძნობა ეგრეთ ნოდებული არაფორმალური გაერთიანებების ხელმძღვანელებმა. [...] არაფორმალურ გაერთიანებათა ბოლოდროინდელი აქციები აშკარად უარყოფით რეაქციას იწვევს ჩვენს ახალგაზრდობაში.“<sup>13</sup> პრესაში ქვეყნდებოდა ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილები, სადაც ხოტბას ასხამდნენ ჯუმბერ პატიაშვილის<sup>14</sup> გონივრულ პოლიტიკას, რომელმაც 1988 წლის ნოემბერში საქართველოს 1956 წლის მარტის ტრაგედიის გამეორება ააცილა თავიდან. „დადგა ისეთი პერიოდი, როცა შეგვიძლია ვთქვათ, მთავრობა და ხალხი, ერთი და ბერი ერთსულ და ერთხორც არის შეკრული, [...] როცა ყველა ქართველი ერთნაირად ფიქრობს“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო,“ 1989).<sup>15</sup> მსგავსი შეფასებები შეიძლება ვნახოთ 1989 წლის 9 აპრილის წინა დღეებშიც.

მკვლევართა ნაწილი ძველ საბჭოთა ინტელიგენციას და ქართულ კულტურულ ელიტას საზოგადოების ყველაზე პრივილეგირებულ ფენად მიიჩნევს, რომელსაც, ამ პრივილეგიების სანაცვლოდ, საბჭოთა რეჟიმის ლეგიტიმაცია უნდა მოეხდინა. მათ სოციალიზმის და კომუნიზმის იდეების „ნაციონალიზაციის“ უფლებაც ეძლეოდათ, რასაც თავიდან უნდა აეცილებინა ნაციონალიზმის დისიდენტური გამოვლინებების აღმოცენება. ს. ჯონსის აზრით, „კულტურის მოღვაწეებმა ოფიციალურად აღიარეს ქართველთა პრეტენზიები კულტურულ და პოლიტიკურ უპირატესობაზე და გაუხანგრძლივეს ლეგიტიმაცია საბჭოთა საქართველოს, მჭიდროდ დაუკავშირეს რა ის წარსულის დიდებას.“<sup>16</sup> იმავე ავტორის კიდევ უფრო მძიმე შეფასებით, „ისტორიკოსების, დრამატურგების, რეჟისორებისა და ფილოსოფოსების თვითმარქვია როლმა 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში „მორალის პოლიტიკის“ პერიოდი მოიტანა. ემოციამ, დრამამ და თეატრალურმა სიმბოლიზმმა გამოდევნა პრაგმატიზმი, დიალოგი და თანამშრომლობა,“<sup>17</sup> რამაც ბევრი პრობლემა მოიტანა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზემოთ ნახსენები კულტურული ელიტიდან იყო გამოსული. როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი ინტელიგენცია, ასევე ეს ახალგაზრდა ლიდერები „შეუჩვეველი იყვნენ პასუხისმგებლობას,“ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ განსხვავებული აზრის მოსმენას, ამიტომ,

<sup>13</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 153.

<sup>14</sup> ჯუმბერ პატიაშვილი - საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1985-1989 წლებში.

<sup>15</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 152.

<sup>16</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 15-16.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 35-36.

როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, „ინტელექტუალებისა და ახალგაზრდა აქტივისტების ჯგუფების“ მოძრაობა უფრო „რისხვისა და ძალაუფლებისკენ ლტოლვის“<sup>18</sup> გამოვლინება იყო, ვიდრე გააზრებული და დაგეგმილი სვლა დამოუკიდებლობისაკენ.

პერესტროიკას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მკაფიოდ ჩამოყალიბებული კულტურული იდენტობით, „ანმყოფი მყარად ჩაშენებული საბჭოთა წარსულით,<sup>19</sup> საბჭოთა სახელმწიფო სისტემით, მაგრამ არა „სახელმწიფოებრივი წეს-ჩვეულებებით“<sup>20</sup> შეხვდა.

პერესტროიკამ მნიშვნელოვნად შეასუსტა საბჭოთა სისტემის მიერ დანესებული აკრძალვები და შეზღუდვები. მას მოჰყვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, როცა ის გაცილებით ფართო ხასიათის და ორგანიზებული გახდა. მაგრამ, როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, მისი მონაწილეები მაინც რჩებოდნენ „ქვეყნის დამოუკიდებლობაზე მეოცნებე ნაციონალისტებად,<sup>21</sup> რომელთა ხმა ბევრს არავის ესმოდა.

სტიქიურად და, ზოგჯერ, სრულიად გაცნობიერებულადაც, დაიწყო წარსულის მეხსიერების – კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძვლის – გადასინჯვა და, ერიკ ფონერის სიტყვით რომ ვთქვათ, „ახალი წარსულის“ კონსტრუირება, რომელიც ახალი მომავლის ლეგიტიმაციის წყარო უნდა გამხდარიყო.<sup>22</sup> სწორედ მეხსიერების საფუძველზე იქმნება წარსულის და საკუთარი თავის იმიჯი/ნარატივი.<sup>23</sup> ა. ასმანის შენიშვნით, მეხსიერება უაღრესად მოქნილია და იცვლება ძალაუფლებისა და იდენტობის კონსტრუირების საჭიროებათა შესაბამისად.<sup>24</sup> მასზე გავლენას ახდენს ადრე არსებული და, შესაძლოა, შემდგომში რეპრესირებული მეხსიერება.

პერესტროიკის დაწყებისთანავე წარსული – ისტორია – ერთბაშად მოექცა საზოგადოების სხვადასხვა ფენის ყურადღების ცენტრში. გაჩნდა ინტერესი ეროვნული ისტორიის „დაფარული“, „მიჩქმალული“ ფაქტებისა და სახე(ლ)ებისადმი. საჯაროობის პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა ადრე ტაბუირებულ საკითხებზე მსჯელობის დაწყება, ცვლილებებმა თანდათან მოიცვა ყველა სფერო, მეხსიერების ყველა არე.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ გზაზე პოეტ კოლაუ ნადირაძის ლექსის გამოქვეყნება იყო, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მოახლოებული 70 წლისთავისადმი მიძღვნილ პოეტურ კრებულში მოხვდა. წიგნი 1985 წელს გამოქვეყნდა გამომცემლობა „მერანში“, სათაურით „პოეტის ათასი სტრიქონი.“ მასში შევიდა ცამეტი ქართველი პოეტის ათას-ათასი სტრიქონი. ამ პოეტებიდან იმ დროისთვის მხოლოდ ორი იყო ცოცხალი – კარლო კალაძე (1907-1988) და

<sup>18</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>22</sup> Foner, Erik. *Who Owns History? Rethinking the Past in a Changing World* (New York: Hill and Wang, 2002), p. 77.

<sup>23</sup> Assmann, Jan. „Memory and Culture,” *Memory: A History*, ed. Dmitri Nikulin (Oxford University Press, 2015), p. 328.

<sup>24</sup> Assmann, Aleida. „Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), p. 41-43.

კოლაუ ნადირაძე (1895-1991).<sup>25</sup> ამ უკანასკნელის ლექსი, სათაურით „25 თებერვალი 1921 წ.“, რომელიც მის ათას სტრიქონს პოეტის ავტოგრაფის სახით ხსნიდა, 1969 წელსაა დანერილი და, ცხადია, არასდროს გამოქვეყნებულა. ავტორი აღწერს წითელი არმიის შემოსვლას თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს, რომელიც ათწლეულების მანძილზე ზეიმით აღინიშნებოდა, როგორც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ბედნიერი დღე:

„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,  
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით  
შემოდოდა სიკვდილი ცელით!“<sup>26</sup>

ლექსის დაბეჭდვას გამომცემლობის ხელმძღვანელი პირებისა და წიგნის სარედაქციო ჯგუფის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვა, ისევე როგორც მწერალთა კავშირის ყრილობაზე პოეტის დაგმობა და გაკიცხვა. მისი ეს „ულირსი“ ნაბიჯი პოეტის ასაკითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით ახსნეს და იგი მწერალთა კავშირიდან არ გარიცხეს.<sup>27</sup> ლექსმა კი შეანჯღრია მთვლემარე საზოგადოება და საბჭოთა წარსულის ჩვეული სურათის გადახედვის გზაზე სერიოზული ბიძგის როლი შეასრულა.

სულ მალე საზოგადოება წარსულთან ანგარიშსწორების (პიერ ნორა) და აქტიური დაეინყების (ალეიდა ასმანი) მოწმე გახდა. მეხსიერების (რე)კონსტრუირების ეს ფორმა არ იყო უცხო საბჭოთა სისტემისათვის: როგორც წესი, ისინი, ვინც, ხელისუფლების აზრით, საბჭოთა ადამიანებს უნდა დაეინყებინათ, ქრებოდნენ მეხსიერების ყველა ადგილიდან – წიგნებიდან (სახელებისა და გამოსახულებების ამოშლა-ამოფხეკა; წიგნების გადატანა სპეციალურ ფონდებში), მუზეუმების ექსპოზიციიდან, დღესასწაულებიდან, მათ მონუმენტებს ხსნიდნენ კვარცხლბეკებიდან და ნეშტები სასაფლაოებიდან გადაჰქონდათ. მაგალითად, 1937 წელს, ლავრენტი ბერიას ბრძანებით, მთანმინდის პანთეონიდან გადაასვენეს „ხალხის მტრად“ შერაცხული ბოლშევიკი რევოლუციონერი სიმონ ჯუღელი, რომელიც იქ სულ ორი წლის წინ, 1935 წელს, ბერიასავე გადაწყვეტილებით, პატივით დაკრძალეს.<sup>28</sup> თუმცა ამჯერად ანგარიშსწორება ქართული რეალობისთვის სრულიად უჩვეულო ფორმით მოხდა. 1987 წლის შემოდგომაზე, როდესაც საქართველოში ილიას დაბადების 150 წლისთავს აღნიშნავდნენ, მთანმინდის პანთეონში ქართველი ბოლშევიკის, რევოლუციონერის, საბჭოთა ფუნქციონერის ფილიპე მახარაძის (1868-1941) საფლავი ააფეთქეს, რომლის სახელი, სხვა სოციალ-დემოკრატიებთან ერთად, ილიას მკვლელობასთან (1907) ასოცირდებოდა და რომელიც სწორედ ილიას პირდაპირ, მისგან სულ რამდენიმე მეტრის დაშორებით, 1941 წლიდან განისვენებდა. მართალია, საფლავი ხელისუფლებამ მეორე დღესვე აღადგინა, მაგრამ ეს ფაქტი შემდგომ განვითარებული მოვლენების ერთგვარი სიმპტომი აღმოჩნდა.

<sup>25</sup> ზრევაძე, ლევან. „ერთი ლექსის ისტორია,“ 2008, *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა* (ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3F4LiiX> (ნანახია 04.04.2021).

<sup>26</sup> პოეტის ათასი სტრიქონი (თბილისი: მერანი, 1985), გვ. 294. უნდა აღინიშნოს, რომ კრებულის სარჩევში ლექსი მოხსენიებული არ არის.

<sup>27</sup> ჩხიკვიშვილი, ნინო. *უკანასკნელი ცისფერყანწელი* (თბილისი: არტანუჯი, 2015), გვ. 57-65.

<sup>28</sup> Kekelia, Elene. “The Formation and the Legacy of the Mtatsminda Pantheon as a Site of Memory,” *Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region* 5 (2014): p. 48.

1988 წლიდან საქართველოში მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღა დაიწყო, რომელიც 1989 წლის 9 აპრილამდე არ შენელებულა. 1988 წლის 24 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩატარდა ერთ-ერთი პირველი მიტინგი, მიმართული დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მახლობლად მდებარე სამხედრო პოლიგონზე საარტილერიო აფეთქებების წინააღმდეგ, რომლებიც მაინც გრძელდებოდა, მიუხედავად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის მიერ 1987 წელს მიღებული გადაწყვეტილებისა სროლების დროებითი აკრძალვის შესახებ.<sup>29</sup> იმავე წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოაწყვეს მიტინგი ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ. აქვე გაჟღერდა პროტესტი თელავის და გარდაბნის რაიონებში არაქართველი მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების უკანონოდ გაცემის წინააღმდეგ. 1988 წლის 26 მაისს სტუდენტებმა მიტინგით აღნიშნეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 70 წლისთავი<sup>30</sup> (ეს თარიღი საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ ერთხელ, 1921 წელს აღინიშნა, რის შემდეგ მას 25 თებერვალი ჩაენაცვლა<sup>31</sup>). 1988 წლის 20 ივლისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე სხდომის პარალელურად, რომელიც „საუკუნის პროექტად“ ნოდებული ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხს განიხილავდა, მიტინგზე შეიკრიბა დაახლოებით ხუთასი კაცი, რომლებიც მშენებლობას აპროტესტებდნენ. მიტინგი მილიციამ გარეკა და ოცდაერთი მომიტინგე დააპატიმრა, თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.<sup>32</sup> მართალია, ჯუმბერ პატიშვილმა მშენებლობის მოწინააღმდეგეები „ხალხის მტრებად“ მონათლა, მაგრამ კომპარტია იძულებული გახდა, მშენებლობა გადაედო.<sup>33</sup> ს. ჯონსის აზრით, „კავკასიის სამთო რკინიგზის პროექტის წარუმატებლობა იყო კარიბჭეში გაჩენილი ბზარი, რომელშიც ენერგიულად შემოიჭრნენ ქართველი ნაციონალები.“<sup>34</sup>

ყველაზე მასშტაბური იყო 1988 წლის ნოემბრის საპროტესტო აქცია თბილისში, რომელიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების წინააღმდეგ იყო მიმართული. ცვლილება კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღებას ითვალისწინებდა, რომელიც ნომინალურად მაინც აძლევდა მოკავშირე რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებას. მთავრობის სასახლის წინ დაახლოებით ორასმა კაცმა საპროტესტო შიმშილობა დაიწყო, მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა. პირველად საპროტესტო მოძრაობის ისტორიაში მომიტინგეებმა კარვები გაშალეს. ყოველდღიურად იმართებოდა მიტინგები, რომელზეც გამოდიოდნენ მაშინ არაფორმალურად ნოდებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. რუსთაველის გამზირი ტრანსპორტისთვის გადაიკეტა. ამ დღეებში მოხდა კიდევ ერთი, სრულიად წარმოუდგენელი ფაქტი: ერთ-ერთმა

<sup>29</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 128-129.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>31</sup> მაცაბერიძე, მალხაზ. „26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში (1921-1922),“ *პოლიტიკა*, N4 (2018): გვ. 1-28.

<sup>32</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 132.

<sup>33</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 42.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 42.

პროტესტანტმა მთავრობის სასახლის შენობის თავზე მოფრიალე საქართველოს სსრ დროშა ჩამოაგდო.<sup>35</sup> აქცია შეწყდა 29 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა დღის წესრიგიდან მოიხსნა.

1989 წლის 25 თებერვალს, პირველად საბჭოთა ისტორიაში, თბილისის ქუჩებში მასობრივი გამოსვლები და მრავალათასიანი მიტინგები მოეწყო, სადაც აპროტესტებდნენ საბჭოთა არმიის შემოჭრას საქართველოში 1921 წელს და ქვეყნის ოკუპაციას საბჭოთა რუსეთის მიერ.<sup>36</sup> სადღესასწაულოდ გამოფენილ საბჭოთა საქართველოს დროშებს ახალგაზრდები ხსნიდნენ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროშებით ანაცვლებდნენ. ათწლეულების განმავლობაში აკრძალული ეს დროშა სწრაფად ამოტივტივდა მეხსიერებიდან და ამიერიდან ყველა საპროტესტო აქციაზე ფრიალებდა. „1988 წელი იყო. შემოდგომა. [...] როგორც საოცრებას, ისე შევეყურებდით. [...] სულ სხვა შეგრძნებას ბადებდა, რაღაც იდუმალის, შენის და საკრალურის. თითქოს მკვდრეთით აღმდგარი წინაპარი გამოგეცხადა. [...] ქართული დროშა. შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს გამოგეცხადა. დაბრუნდა. და გვითხრა, რომ ადექით და წამოდიოთ, ქვეყნის გასათავისუფლებლადო. და კიდევ უფრო შორს – ჯანდაბაშიო. ახლა უკვე საკუთარი დროშა გვექონდა და წინ ველარაფერი დაგვიდგებოდა,“ – ასე აღწერს მწერალი ბექა ქურხული თითქმის დავინწყებული დროშის „დაბრუნებას.“<sup>37</sup>

დროშის მიმზიდველობა და ძალა იზრდებოდა. ისევ ბექა ქურხულის სიტყვით, „დავით გარეჯის ამბები იყო. ვაკის პარკიდან იპოდრომისკენ დაიძრა აქცია. მახსოვს უფროსების გაფითრებული, შეშინებული სახეები, [...] თითქოს გაშეშებული ხალხი. დროშები ამაყად მიფრიალებდა. [...] მიფრიალებდა ქუჩაში, ხალხის თავზე. [...] უფროსები კი გადაფითრებულები იდგნენ ტროტუარზე და გვიყურებდნენ. გათეთრებულები იყურებოდნენ მანქანებიდანაც. უცებ თეთრ „ვოლგაში“ მჯდომ მოხეულ ბიძას სახე მოექცა და ისეთი გამეტებით დააჭირა სიგნალს ხელი, თითქოს ტყვიამფრქვევის სასხლეტიაო. სიგნალმა ჰაერი გაჭრა და იმ წამსვე, მთელი ვაკე-საბურთალო გააყრუა გაბმულმა გუგუნმა. აზრიალებულ მანქანებში მიფრიალებდა დროშა, ამ ყველაფერს ერთდროულად საზეიმო და საგანგაშო იერი ედო. ჰაერიც კი სხვანაირად დაიტენა.“<sup>38</sup>

დროშასთან ერთად, „დაბრუნდნენ“ დავინწყებული გმირები – საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლნი: 1921 წელს თბილისის მისადგომებთან დაღუპული იუნკრები, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, ფრონტზე მედდად წასული მარო მაყაშვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. გურამ ნიბახაშვილის ფოტომ შემოინახა დროშა ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსახულებით; „ეს დროშა, სავარაუდოდ, გაკეთდა ეროვნული მოძრაობის დროს და, ალბათ, დამალული და აკრძალული იყო

<sup>35</sup> საქართველოს ისტორია, ტ. 4, გვ. 496. ეს ადამიანი - გაბრიელ ისაკაძე - დააპატიმრეს და ფსიქიატრიულ კლინიკაში გაგზავნეს. იხ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, გვ. 130.

<sup>36</sup> მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, გვ. 130.

<sup>37</sup> ქურხული, ბექა, „დროშა“, ლიბერალი, 30 ოქტომბერი, 2012, <https://bit.ly/3EZnPiX> (ნანახია 16.01.2021).

<sup>38</sup> იქვე.



ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამო. გამოაჩინეს მაშინ, როცა უკვე ვეღარ აჩერებენ ეროვნულ მოძრაობას.<sup>39</sup> ხელიდან ხელში გადადიოდა მარო მაცაშვილის მამის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მაცაშვილის (რომლის სახელი ასევე ტაბუირებული იყო) ლექსი, რომელიც მან ბრძოლაში დაღუპულ ქალიშვილს მიუძღვნა და მასთან ერთად სამშობლოც დაიტერა: „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი! [...] სამშობლო თუ შენ, რომელი, ახ, ვიტყვი რომელი?“<sup>40</sup>

ეროვნული მოძრაობის მთავარ საყრდენად იქცა ილია ჭავჭავაძის სახელი, რომელიც 1980-იანი წლებიდან დღემდე უეჭველ ავტორიტეტად რჩება როგორც დასახელებული მოძრაობის, ასევე, უკვე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართული პოლიტიკური ელიტისათვის. მისი ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და ამ ტექსტზე რევავ ლაღიძის მიერ 1970-იან წლებში დაწერილი სიმღერა ჟღერდა ყველა მიტინგზე, დემონსტრაციასა თუ სხვა აქციაზე.

დემონსტრაციებზე გამოჩნდა ტრანსპარანტები წარწერებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ დედაქალაქს ხმას უწყობდნენ რეგიონებიც, სადაც პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციები ვეღარ აკონტროლებდნენ „მათი მონოპოლიის წინააღმდეგ ამალღებული ხმების კაკაფონიას.“<sup>41</sup> სულ 1988 წელს ჩატარდა ოცდათერთმეტი მიტინგი და დემონსტრაცია, რომელთაგან მხოლოდ ოთხი იყო ოფიციალურად დაშვებული.<sup>42</sup>

ერთი სიტყვით, როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, „ქუჩა კარნავალს დაემსგავსა: ყოველ ნაბიჯზე დაინახავდით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინდისფერ დროშებს, შავ ანაფორიან მღვდლებს, მთავრობის სახლის სვეტებს შორის გაჭიმული იყო ანტისაბჭოური სლოგანები და ტარდებოდა გამოსვლები სახელდახელოდ მონყობილ ტრიბუნებზე.“<sup>43</sup>

როგორი იყო ხელისუფლების რეაქცია? გ. მჭედლიძე თვლის, რომ 1988 წელს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა „ხელისუფლებისთვის თითქმის მოუხელთებელი გახდა,“ ამ უკანასკნელმა მას „აღლოც კი ვერ აუღო,“<sup>44</sup> ამიტომ ამჯობინებდა, მდუმარედ შეხვედროდა 1988 წლის თებერვლისა და მაისის აქციებს.<sup>45</sup> ერთი შეხედვით, ხელისუფლება მართლაც მიდიოდა დათმობებზე: 1987 წლის დეკემბერში შევიდმა ყოფილმა პოლიტპატიმარმა, მათ შორის ზურაბ ჭავჭავაძემ და მერაბ კოსტავამ, ჩამოაყალიბეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება,“<sup>46</sup> რომელიც, ს. ჯონსის სიტყვით, წარმოადგენდა პირველ სამართლებრივ გამონვევას კომუნისტური პარტიის პოლიტიკური მონოპოლიისათვის.<sup>47</sup> 1988 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვა საზოგადოებრივი მიტინგები და მათი ჩატარების ადგილად იზოდრომის ტერიტორია

<sup>39</sup> წიბახაშვილი, გურამ. *100 ფოტოაღმავი. 80-იანები* (თბილისი: არტანუჯი, 2018), გვ. 105.

<sup>40</sup> მაცაშვილი, კოტე. „მაროს,“ *ბურუსი*, 30 მარტი, 2009, <https://bit.ly/3t884E3> (ნანახი 12.11.2020).

<sup>41</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 43.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>44</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 128.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 129.

<sup>47</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 42.

დაადგინა,<sup>48</sup> თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, მიტინგები სხვა ადგილებშიც იმართებოდა. ამავე თვეში ხელისუფლებამ გასცა რუსთაველის საზოგადოების შექმნის ნებართვა, რომელიც არაფორმალურების გავლენის შესასუსტებლად მოიაზრებოდა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ რუსთაველის საზოგადოებამ თავმჯდომარედ აირჩია აკაკი ბაქრაძე – საბჭოთა რეჟიმის დიდი ხნის კრიტიკოსი, რომელმაც ამ პოსტზე პოეტი ირაკლი აბაშიძე<sup>49</sup> შეცვალა. ამავე პერიოდში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს პოეტი მუხრან მაჭავარიანი – ცნობილი პატრიოტული ლექსების ავტორი.<sup>50</sup> 1988 წლის შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ნახევრად ოფიციალური სტუდენტური პრესკლუბი,<sup>51</sup> რომელსაც უნივერსიტეტის გაზეთში თავისი ჩანართიც ჰქონდა და რომელსაც იდეოლოგიის დარგში თსუ პრორექტორი კურიერებდა. ეს თანამშრომლობის მანამდე წარმოუდგენელი ფორმა იყო.

ხელისუფლებამ სცადა პატრიოტული თემების მოშველიებაც. 1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“, რომელმაც დასახა სახელმწიფო და კულტურულ დანესებულებათა გაქართულების განრიგი. 1989 წლის იანვარში შეიქმნა 1930-1940-იან წლებში რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციის კომისია. 1989 წლის თებერვალში გამოქვეყნდა ისტორიული ძეგლების დაცვისა და საქართველოს ისტორიის მხარდაჭერის პროგრამები.<sup>52</sup> 1990 წელს მთავრობამ 26 მაისი სადღესასწაულო დღედ გამოაცხადა.<sup>53</sup>

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა ხელისუფლების დაბნეულობას ან ბედთან შეგუებას. შესაძლოა, ზემოთ დასახელებული ფაქტები სწორედ იმის გამოხატულება იყო, რომ ხელისუფლებამ მშვენივრად აულო ალლო ვითარებას. ერთი მხრივ, იგი „ფეხს უწყობდა“ პერესტროიკის ოფიციალურ კურსს და საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციის პროცესში მონაწილეობდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩებოდა არც რესპუბლიკაში და არც ცენტრში, მეორე მხრივ, იგი ცდილობდა, ხელიდან არ გაეშვა პროცესების კონტროლი და ცვლილებები საბჭოთა ჩარჩოს არ გასცილებოდა.

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს ხელისუფლებაც აქტიურად ჩაერთო ახალი ეროვნული იდენტობის შექმნის პროცესში.<sup>54</sup> როგორც ვაჟა ლორთქიფანიძე<sup>55</sup> აღნიშნავს, *პერესტროიკამ* წარსულის ბევრი ისეთი ფაქტი გამოააშკარავა, რომლებმაც „უხერხულ დღეში ჩააყენა, პროტესტი გამოიწვია და ააღელვა“ ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტების ნაწილი. მისი თქმით, 80-იან წლებში დისი-

<sup>48</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 132; ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 43.

<sup>49</sup> ირაკლი აბაშიძე (1909-1992) - ცნობილი ქართველი პოეტი, სხვადასხვა დროს - საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, თავმჯდომარე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი; დაჯილდოებული იყო სამი ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, სხვა ორდენებითა და მედლებით.

<sup>50</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 139; ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 43-44.

<sup>51</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 127.

<sup>52</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 44.

<sup>53</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 188.

<sup>54</sup> Diener, Alexander C. and Joshua Hagen. "From Socialist to Post-Socialist Cities: Narrating the Nation through Urban Space," *Nationalities Papers* 41, no. 4 (2013): p. 489. DOI:<http://dx.doi.org/10.1080/00905992.2013.768217>

<sup>55</sup> ვაჟა ლორთქიფანიძე - საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1983-1986 წლებში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე 1989-1990 წლებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი 1998-2000 წლებში.

დენტები პროცესებში მამოძრავებელ როლს ასრულებდნენ, თუმცა მათი დამოკიდებულება სისტემასთან ძალიან შეურიგებელი არ იყო,“ მაგრამ „ეს მაინც ორი დაპირისპირებული მხარე იყო.“ ლორთქიფანიძე ამბობს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ბევრი მონინაალმდევე ჰყავდა დათმობების საკითხში – როგორც თავად უწოდებს, „ორთოდოქსთა“ შორის, რომლებიც თვლიდნენ, რომ დაუმეგბელი იყო დიალოგი და პროცესების ნებაზე მიშვება; „ხელისუფლებაც მაშინ, 1988-89 წელს, ცოტა არათანმიმდევრული იყო: ერთ დღეს ნავიდოდით ამ დიალოგზე, მეორე დღეს – არა. შეიძლება, მოსკოვის გავლენაც იყო.“<sup>56</sup>

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, თამარ ჩხეიძის თქმით, ოფიციალურად რეპრესიები შეიზღუდა, მეტი თავისუფლება იყო; მიტინგზე ყოფნისთვის ან საბჭოთა კავშირის ლანძღვისათვის ნაკლებად აპატიმრებდნენ ხალხს, მაგრამ საბჭოთა სისტემა სხვა მეთოდებით მუშაობდა. მაგალითად, კარგად იყენებდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერების ამბიციებს, სუსტ მხარეებს და ხელს უწყობდნენ მათი დაპირისპირების გაღვივებას; არც დაპატიმრებებსა და სხვადასხვა სახის სასჯელზე აუღიათ ხელი.<sup>57</sup> გარდა ამისა, გრძელდებოდა „ექსტრემისტული გამოვლინებების“ სანინაალმდეგო ღონისძიებების განხილვა როგორც პარტიულ თათბირებზე, ასევე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე, რაც ფართოდ შუქდებოდა პრესაში. ინტელიგენციის ნაწილი ცდილობდა შედარებით ზომიერი ყოფილიყო და, ერთი მხრივ, დაეგმო „ქართველი ხალხის სანინაალმდეგო ექსტრემისტული მოქმედებები,“ მეორე მხრივ კი გაეფრთხილებინა ხელისუფლება, რომ თავი შეეკავებინა მიტინგებისა და დემონსტრაციების დარბევისაგან. მეორე ნაწილი უფრო მკვეთრი განცხადებებით გამოდიოდა და მიტინგებს „არასერიოზულ, პრიმიტიულ თავყრილობებს“ უწოდებდა.<sup>58</sup> კიდევ ერთი ნაცადი ხერხი, რომელსაც ხელისუფლება იყენებდა, ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდებისათვის ხელისუფლების ერთგული მათივე თანატოლების დაპირისპირება იყო, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1989 წლის 18 თებერვალს, პოლიტიქნიკურ ინსტიტუტთან გამართული მიტინგის დროს, როცა მომიტინგეების სანინაალმდეგოდ კომკავშირის აქტივი გამოიყვანეს.<sup>59</sup>

მიტინგები, დემონსტრაციები, ხელისუფლების მხრივ დათმობები და რეპრესიები (დაპატიმრებები, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დისკრედიტაციის მცდელობანი), ადრე აკრძალული თემების განხილვა მასმედიაში, აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირებაც კი ახლადჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის საზოგადოებისათვის ჩვეულ ამბად იქცა. ს. ჯონსი სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ 1980-იანი წლების შუა პერიოდში საქართველოში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ტიპის ნაციონალიზმი: „კომპარტიის ‘ოფიციალური ნაციონალიზმი,’ რომელსაც მმართველი წრეები უჭერდნენ მხარს, და ქუჩის პოპულისტური ნაციონალიზმი; გარდატეხის წერტილად იქცა 1989 წლის 9 აპრილი.“<sup>60</sup>

<sup>56</sup> ინტერვიუ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

<sup>57</sup> ინტერვიუ თამარ ჩხეიძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება,“ YouTube, 7 ოქტომბერი, 2020, <https://bit.ly/31vkdYe> (ნანახია 25.04.2020).

<sup>58</sup> მჭედლიძე, *ისტორია უდისტანციოდ*, გვ. 145-147.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 154.

<sup>60</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 39.

1980-იანი წლებიდან, ჯერ კიდევ „პერესტროიკამდე,“ როცა ქართული ნაციონალიზმი კულტურის (ლიტერატურის, ისტორიის, ისტორიული ძეგლებისა და მათი დაცვის) საკითხებზე კონცენტრირდებოდა, დაიწყო რელიგიის, როგორც ქართველთა ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერის ხაზგასმა. ისტორიული ძეგლების დაცვასა და აღდგენაში აქტიური მონაწილეობის გზით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაიწყო მნიშვნელოვანი როლის შესრულება ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ ოფიციალურ ნაციონალიზმში.<sup>61</sup> 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ქართული იდენტობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლური ფიგურა – ილია ჭავჭავაძე. 1980-იანი წლების ბოლოს სასულიერო პირები მონაწილეობდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიერ ორგანიზებულ ყველა საპროტესტო აქციაში, მიტინგსა და დემონსტრაციაში. პოლიტიკური ლიდერების რიტორიკაში ხაზი ესმებოდა მართლმადიდებლობისა და ეკლესიის როლს ქართული იდენტობის შენარჩუნების საქმეში. მათი გამოსვლები ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საჯარო სივრცეში, როგორც წესი, მთავრდებოდა სიტყვებით „ჩვენთან არს ღმერთი!“ ან „გვფარავდეს ღმერთი!“<sup>62</sup> ამ დროიდან მოყოლებული და შემდგომ, 2000-იანი წლების დასაწყისის ჩათვლით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ესწრებოდა ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებას. გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 9 აპრილს, სადაც პატრიარქის არყოფნის მიზეზი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ საგანგებოდ ახსნა რელიგიურ დღესასწაულთან დამთხვევით.<sup>63</sup>

ამგვარად, 1980-იანი წლების მიწურულს საქართველოში ახალი რეალობა შეიქმნა, რომელიც ქვეყანას მანამდე უცნობი გამოწვევების წინაშე აყენებდა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალი ძალები სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებზე. მიმდინარეობდა კამათი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების შესახებ, რომელიც დროდადრო მწვავე ხასიათს იღებდა. როგორც ნოდარ ნათაძე – საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, სახალხო ფრონტის ლიდერი, დამოუკიდებლობის აქტზე ერთ-ერთი ხელმომწერი იხსენებს, რუსეთის იმპერიის ნგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის პერსპექტივაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა, ცოტა არ იყოს,

<sup>61</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>62</sup> მაგ.: თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი „9 აპრილიდან 9 აპრილამდე,“ რუსთავი 2, 2002, *YouTube* (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/34saPG6> (ნანახია 09.04.2021); „ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, თბილისი, 1989 წლის 26 მაისი,“ *YouTube* (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3FXZEmi> (ნანახია 09.04.2021).

<sup>63</sup> „დღეს, 9 აპრილს, მოხდა ღირსშესანიშნავი დამთხვევა გარდამავალი საეკლესიო დღესასწაულისა - ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღისა. [...] წელს ეს დღე დაემთხვა 9 აპრილს. ამ მიზეზით, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ვერ ესწრება ჩვენს სესიას, ვინაიდან ატარებს წირვას სამთავროს მონასტერში. მაგრამ თავისი დამოკიდებულება დღევანდელი საგანგებო სესიისადმი მან დააბარა მამა არჩილს, რომელიც შემდგომში გამოვა და მოგახსენებთ.“ იხ. „1991 წლის 9 აპრილი, დამოუკიდებლობის გამოცხადება,“ *YouTube* (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3n0Mj1C> (ნანახია 20.01.2021).

გულუბრყვილოდ წარმოედგინათ: „პროპაგანდა მეტი იყო, ვიდრე, ასე ვთქვათ, გამზადებული პროგრამა. ჩვენ უნდა გვექონოდა პროგრამა გამზადებული ძალიან დიდი ხნით ადრე. ჩვენ – ეროვნულ მოძრაობას – უნდა გვეყოლოდა ჯგუფი, რომელიც ჩუმად იმუშავებდა, ჯერ ერთი პროგრამების კონკრეტიზაციაზე და, მეორე, [...] მუშა გუნდის შექმნაზე, ორგანიზაციული გუნდის შექმნაზე. აი, ეს არ გვექონდა.“<sup>64</sup> იგივე აღნიშნა ჩვენთან ინტერვიუში ბეჟან ჯავახიამ: „მე მაინც მიმაჩნია, რომ ჩვენ პროგრამულად მომზადებული კი არ ვიყავით გამარჯვებისათვის, ჩვენ გულები გვექონდა გახსნილი გამარჯვებისათვის.“

ამრიგად, 1980-იანი წლების მეორე ნახევარი საქართველოში დაცემის გზაზე დამდგარი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობის შენარჩუნების იმედის მქონე საბჭოთა სისტემისა და ახალი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, თუმცა ბრძოლის კონკრეტული გეგმის არმქონე ძალების დაპირისპირების პერიოდი იყო. საბჭოთა ხელისუფლებას პროცესების მართვის გაცილებით მეტი გამოცდილება ჰქონდა, რომელსაც მეტ-ნაკლები წარმატებით იყენებდა, თუმცა ახალი გამონვევები, შინაარსითაც და ფორმითაც, უჩვეულო იყო. დათმობებისა და რეპრესიების მონაცვლეობა ყოველთვის წარმატებით არ მუშაობდა, არც მათ შორის სწორი თანაფარდობის მოძებნა იყო იოლი სწრაფად და მკვეთრად ცვალებად გარემოში. ახალ ძალებს კი, რომელთა უმრავლესობა თავს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად თვლიდა, ბრძოლის მეთოდებზე და სამომავლო პერსპექტივებზე ფიქრისათვის გამოცდილება არ ყოფნიდა და, შესაძლოა, ვერც წარმოედგინა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის პასუხისმგებლობის აღება ასე მალე მოუწევდა. საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატება მათ უპირობო ტრიუმფად ესახებოდათ. მის მისაღწევად თავგანწირვასა და მსხვერპლზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ მტკივნეული დანაკარგების მასშტაბის წარმოდგენა, როგორც ჩანს, თვით იმ ზომიერი ფრთის წარმომადგენლებსაც არ შეეძლოთ, ვინც თანამემამულეებს თანმიმდევრული მუშაობის, გადასადგმელი ნაბიჯების გათვლისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.

ასე შეხვდა საქართველო 1989 წლის 9 აპრილს, რომელმაც სათავე დაუდო ტრავმული და ტრიუმფალური მოვლენების მწკრივს დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე.

<sup>64</sup> „წოდარ ნათაძე დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის შემდეგ,“ რადიო თავისუფლება, 1 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3n1BiRf> (ნანახია 04.04.2021).

## თავი II

### 9 აპრილი: ტრავმა და ტრიუმფი

**მოკლე ინფორმაცია 1989 წლის 9 აპრილის შესახებ.** 1989 წლის 18 მარტს აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გამართულ ყრილობაზე მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც ყრილობის მონაწილენი მოითხოვდნენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შეყვანას უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით. ამან ქვეყანაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოს მიტინგების ტალღამ გადაუარა. 4 აპრილს თბილისში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით, მთავრობის სასახლესთან დაიწყო მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც აფხაზური სეპარატიზმის და მისი წამახალისებლების წინააღმდეგ იყო მიმართული. სულ მალე აქციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო ლოზუნგები გაჩნდა, მონაწილეთა ჯგუფმა დამოუკიდებლობის მოთხოვნით შიმშილობა გამოაცხადა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეაშვოთა მზარდმა უკმაყოფილებამ, რომელიც სულ უფრო მეტად გამოდიოდა კონტროლიდან. მოსკოვთან შეთანხმებით, გადაწყდა მიტინგის დარბევა. თბილისში არმიისა და შინაგანი ჯარების დამატებითი ძალები შემოიყვანეს. ძალის დემონსტრირებამ (8 აპრილს თბილისის ქუჩებში სამხედრო ტექნიკა გაატარეს) შედეგი არ გამოიღო. 9 აპრილს ღამით მთავრობის სასახლესთან წინა ღამეებზე მეტი ხალხი შეიკრიბა. დილის 4 საათზე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ნაწილებმა დაარბიეს მიტინგი ხელკეტების, მესანგრის ნიჩბებისა და მომწამლავი ნივთიერების გამოყენებით. ადგილზე დაიღუპა 16 ადამიანი, უმეტესად ქალები, მომდევნო დღეებში გარდაიცვალა დარბევის დროს დაშავებული კიდევ ოთხი მომიტინგე, ერთი ახალგაზრდა კი კომენდანტის საათის დროს მოკლეს. სხვადასხვა სახის დაზიანებითა და მონაწილეთა საავადმყოფოებში მოთავსებული იქნა რამდენიმე ასეული მოქალაქე, მათ შორის – მძიმე მდგომარეობაში მყოფნი.

### 1989 წლის 9 აპრილი როგორც პარადიგმული მოვლენა

„დრო, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, იმ ღამეს დაიწყო,“<sup>1</sup> – აი ასე, პირველ პირში და, ალბათ, ყველაზე ზუსტად გადმოსცა 9 აპრილის ტრაგიკული ღამის მნიშვნელობა რუსმა ჟურნალისტმა იური როსტმა ოცდახუთი წლის შემდეგ. იმ ღამით რუსთაველის გამზირზე მის მიერ გადაღებულმა ფოტოებმა არა მხოლოდ სათავე დაუდო მომხდარი ფაქტის აღიარებას ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ, არამედ ისინი 9 აპრილის მესხიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად იქცა.

ოცდაათი წლის შემდეგ ნანა მახარაძემ, 9 აპრილის სიმბოლოდ ქცეულმა გოგონამ იური მეჩითოვის ცნობილი ფოტოდან, ეს დამოკიდებულება ასე გადმოს-

<sup>1</sup> Рост, Юрий. “Стыдно мне,” *Аргумент*, 26 მარტი, 2014, <https://bit.ly/3F5IPEB> (წაწახია 04.02.2021).

ცა: „9 აპრილი არის დღე, საიდანაც საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი დაიწერა. დღე, სავსე ტრაგიზმითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით.“<sup>2</sup>

9 აპრილი აღმოჩნდა ის „სეისმური ისტორიული ხდომილება“, რომელმაც დაანგრია საბჭოთა სისტემის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს საზოგადოების კულტურული და სიმბოლური ჩარჩოები, „ყირაზე დააყენა სოციალური რეალობა“<sup>3</sup> და დიდი ხნით განსაზღვრა საზიარო მეხსიერება და იდენტობა.

ამგვარ ხდომილებას, რომელიც, როგორც ნესი, უკიდურესი ძალადობით არის გამონეული და, რომელიც ცენტრალურ ადგილს იჭერს ეროვნულ მეხსიერებაში, ალეიდა ასმანი *პარადიგმულ მოვლენას* უწოდებს.<sup>4</sup> ა. ასმანი მას განმარტავს როგორც ეროვნული მეხსიერების ცენტრალურ მოვლენას, ისტორიულ ხდომილებას, რომელიც ხანგრძლივ კვალს ტოვებს მატერიალურ კულტურასა და კოლექტიურ ცნობიერებაზე. იგი „ყირაზე აყენებს ჩვენი სამყაროს სოციალურ, კულტურულ და სიმბოლურ ჩარჩოებს, ანგრევს მატერიალურ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვქმნით გაზიარებულ მნიშვნელობებს და მათი მეშვეობით – სოციალურ რეალობას.“<sup>5</sup>

პარადიგმული მოვლენის კულტურული გადამუშავება – მისი ინტერპრეტაცია და რეინტერპრეტაცია – აყალიბებს ე.წ. *გავლენის ნარატივს*, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს მოვლენას. ეს არ არის ერთი, ყოვლისმომცველი ტექსტი, არამედ იგი სხვადასხვა ფორმით აისახება საისტორიო თუ მხატვრულ, მემუარულ თუ დოკუმენტურ ლიტერატურაში, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. მისი განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, ამ ინტერპრეტაციათა შესაძლებლობა ამოუწურავია.<sup>6</sup> სწორედ ამ მედიების ურთიერთქმედებით ყალიბდება *გავლენის ნარატივი*.<sup>7</sup>

პარადიგმული მოვლენის რეპრეზენტაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს *რჩეული ტრავმის* სახით, რომელიც წარმოშობს *სხვა ჯგუფიდან* მომდინარე დამცირებითა და მარცხით გამონეული დანაკარგის, უმწეობის, მსხვერპლად ყოფნის განცდას.<sup>8</sup> *რჩეული ტრავმის* ნარატივიში ხაზი ესმება მსხვერპლის საჭიროებას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.<sup>9</sup> ვამიკ ვოლკანი *რჩეულ ტრავმას* „იდენტობის ქსოვილის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან „ძაფად“ მიიჩნევს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჯგუფის წევრებს. შეიძლება, ეს „ძაფი“ ყოველთვის შესამჩნევი არ იყოს, გადაეჯაჭვოს სხვა ძაფებს ან დიდხანს დარჩეს შეუმჩნეველი, შემდეგ გააქტიურდეს და მძლავრ ფსიქოლოგიურ ძალად იქცეს. როცა ტრავმა აქტიურდება, ცოცხლდება მასთან დაკავშირებული შიშები, მოლოდინები, ფანტაზია, მყარდება ცნობიერი და არაცნობიერი კავშირი წარსულ

<sup>2</sup> „ქალი 9 აპრილის ფოტოდან: ვვიქრობდით, ჩვენი თაობა შეძლებდა, ღირსეულად ეცხოვრა დამოუკიდებელ ქვეყანაში,“ *მეტრონომი*, 8 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3q28euA> (ნანახია 10.04.2021).

<sup>3</sup> Assmann, Aleida. “Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), p. 53.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 53, 67.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>6</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 54-57.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>8</sup> Volkan, Vamik D. *When Enemies Talk: Psychoanalytic Insights From Arab-Israeli Dialogues*, Zigmund Freud Lecture (Vienna: 1999), p. 13.

<sup>9</sup> Hirschberger, Gilad. “Collective Trauma and the Social Construction of Meaning,” *Frontiers in Psychology* 9 (10 August, 2018): p. 1.

ტრავმასა და თანამედროვე საფრთხეს შორის, ჩნდება „დროის კოლაფსი“: წარსული მოვლენა ისე განიცდება, თითქოს ეს გუშინ მოხდა.<sup>10</sup>

დამახსოვრება და რეპრეზენტაცია ადრე არსებულ მენსიერებას და კულტურულ ნიმუშებს ემყარება.<sup>11</sup> ა. ასმანის განმარტებით, კულტურული ნიმუშები წარმოადგენს განმეორებად სტრუქტურებს მოთხრობათა კანონიზებულ სისტემაში, ღრმად ფესვგადგმულ ხატებს, რომელთა მეშვეობით კონკრეტული ერთობის წევრები ხედავენ, აღიქვამენ და აფასებენ ერთმანეთს, მნიშვნელობას ანიჭებენ სიტუაციებს, გამოცდილებას და მოვლენებს. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება გამოცდილებაში არარსებული, რადიკალურად ახალი და უცნობი მოვლენების გაგება, გააზრება, მათდამი დამოკიდებულების განსაზღვრა. კულტურული ნიმუში გაუცნობიერებლად ედება საფუძვლად მოვლენების აღქმას, აძლევს მათ ფორმას, ანიჭებს მნიშვნელობას და ტვირთავს ემოციით.<sup>12</sup>

„საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად, ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე,“<sup>13</sup> – მერაბ კოსტავას მიერ 9 აპრილის ღამეს, დარბევამდე წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა სათავე დაუდო 9 აპრილის ნარატივს. მასში მკაფიოდ იკითხება ქართული კულტურული ნიმუში: ერის ერთობის („შეკრული, [...] მთლიანი [...] ქართველი ერი“) და მამულისთვის თავგანწირვის („მას დედის ძუძუ ტკბილი / შხამადაც შერგებია, / მამულისთვის სიკვდილი / ვისაც დაზარება“<sup>14</sup>) ფესვგადგმული ხატი, რომელიც „უზრუნველყოფს იდენტობისა და განგრძობადობის განცდას მკვეთრი ცვლილების პირობებში.“<sup>15</sup>

პირველი რეაქცია 9 აპრილის ტრაგედიაზე, ცხადია, ემოციური იყო – ელდა, ტკივილი, აღშფოთება, რისხვა, შურისძიების წყურვილი და, რა თქმა უნდა, მწუხარება და გლოვა, რომლებშიც თავს იყრიდა ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურული მნიშვნელობები და კულტურული პრაქტიკა.

იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობა 1989 წლის 9 აპრილს ტრაგედიად მიიჩნევს, აჩვენებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვა: ეს მაჩვენებელი 95 პროცენტია.<sup>16</sup> ჩვენ მიერ 2020 წელს ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ 9 აპრილი იყო ეროვნული ტრაგედია (მაჩვენებელი მცირედით მაღალია უმცროსი თაობის – 1985 წლის შემდეგ დაბადებულ – რესპონდენტებთან; ისტორიის მასწავლებლების ჯგუფში უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ რესპონდენტებთან – იხ. დიაგრამა 15); გარდა ამისა, უმრავლესობა თვლის, რომ 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედია შოკი იყო საქართველოს საზოგადოებას.

<sup>10</sup> Volkan, *When Enemies Talk*, p. 14.

<sup>11</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 43.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 44.

<sup>13</sup> „მერაბ კოსტავას სიტყვა 1989 წლის 9 აპრილს,“ *Myvideo.ge*, 9 აპრილი, 2014, <https://bit.ly/31CG13a> (წანახია 22.09.2020).

<sup>14</sup> ჭავჭავაძე, ილია. „ნანა“ (დაწერილია 1859 წელს), *ლიტკლუბი* (ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/34mnw1D> (წანახია 02.02.2020).

<sup>15</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 60.

<sup>16</sup> „საქართველოს მომავალი 2020,“ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე, <https://bit.ly/3zvBL30> (წანახია 02.04.2021).



დოებისათვის (იხ. დიაგრამა 20, 36), რაც მოვლენის ტრავმული პოტენციალის დასტურია. სახლების აივნებზე გადმოიფინა შავი დროშები, შენობების კედლებზე, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსზე, 9 აპრილის დილასვე გაჩნდა წითელი საღებავით შესრულებული წარწერები: „პატიშვილი მკვლელი“, „გორბაჩოვი მკვლელი.“<sup>17</sup> გლოვამ მთელი ქვეყანა მოიცვა; რუსთაველის გამზირზე დაღუპულები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ, სადაც ისინი დაკრძალეს კიდეც. ტრაგედიის ადგილი მეორე დღითვე მოიფინა ყვავილებით. ქალაქის ბევრ ადგილას გამოკრული იყო დაღუპულთა და დასახიჩრებულთა სიები.<sup>18</sup> 11 აპრილი ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა. მთავრობის სასახლის წინ იდგნენ შავი სამგლოვიარო ლენტეხით თავნაკრული ახალგაზრდები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძირს დახრილი, ასევე შავი ლენტეხით შემკული დროშებით. ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. ეს იყო დაღუპულთა ერთგვარი კოლექტიური პანაშვიდი. დაკრძალვის დღეებში უამრავი ხალხი მიაცილებდა სამგლოვიარო პროცესიებს. ტრაგედიისა და გლოვის ეს სურათი ფოტომასალამ შემოგვინახა – უპირველესად, გიორგი ცაგარელისა და იური მეჩითოვის ფოტოებმა, რომელთა მეშვეობით 9 აპრილი მეხსიერებაში მკაფიო ფოტოგრაფიული ხატებით აღიბეჭდა.

დაძაბულ და ბუნდოვან ვითარებას კიდეც უფრო ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ გლოვის გამოხატვის ეს ფორმა სრულიად გაუგებარი იყო საბჭოთა სამხედროებისთვის, რომლებიც დედაქალაქში ტრაგედიამდე ორიოდე საათით ადრე გამოცხადებულ კომენდანტის საათს (რომელიც მხოლოდ 17 აპრილს გაუქმდა) უზრუნველყოფდნენ და ნათლად გრძნობდნენ მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას. საზოგადოებაში რამდენიმედღიანი აზრთა სხვადასხვაობისა და მსჯელობის შემდეგ, 28 აპრილს გადაწყდა სახალხო გლოვის დასრულება;<sup>19</sup> ყვავილები სიონის ტაძრის ეზოში გადაიტანეს, კედელზე კი დაღუპულთა ფოტოები განათავსეს, რომელთა წინ სანთლებს ანთებდნენ.

ამ – ზოგჯერ მეტისმეტად თეატრალიზებულმა – გლოვამ, რომელშიც ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ,<sup>20</sup> ტრავმული მოვლენის ამოთქმის შესაძლებლობა მისცა შოკირებულ საზოგადოებას. ამის ნათელი გამოხატულება იყო რუსთაველის გამზირზე, ჭადრებზე გაკრული ლექსები, რომელთა რიცხვი იზრდებოდა და იზრდებოდა და რომლებსაც მდუმარე ადამიანები კითხულობდნენ. ჭადრებზე მიკრული ეს თეთრი ფურცლები, „ტიტების და ნარცისების ზღვის გარდა, ის კადრია,“ რომელიც „30 წლის წინანდელი აპრილის რუსთაველის გამზირიდან“ დაამახსოვრდათ თანამედროვეებს.<sup>21</sup> ცხადია, ლექსებს ცნობილი პოეტებიც წერდნენ, მათ შორის ისინიც, „აქამდე ხან ლენინს, ხანაც სტალინს რომ უმღეროდნენ. [...] კოლექტიურ, „გალობაში“, ის ხალხიც

<sup>17</sup> ბართაია, ნომადი. *ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან. 1988-1993* (თბილისი: ინტელექტი, 2020), გვ. 41.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>20</sup> მაგალითად, თბილისში ტრაგედიის შემდეგ ჩამოსულმა ედუარდ შევარდნაძემ, საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომლის ფუნქცია, როგორც ჩანს, სიტუაციის განმუხტვა იყო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ მდივან გივი გუმბარაძესთან ერთად, ყვავილებით შეამკო ტრაგედიის ადგილი.

<sup>21</sup> ქვეანიშვილი, ევა. „9 აპრილის პოეზია - ხეებზე გაკრული ლექსები,“ *რადიო თავისუფლება*, 8 აპრილი, 2019, <https://bit.ly/32Udp7a> (ნანახია 15.02.2021).

ჩაერთო, რომელიც 9 აპრილის სასაკლავოს მთავრობის სახლის ფანჯრიდან შეს-  
ცქეროდა. [...] 1989 წლის მთავარი მხატვრული სახე მონამლული და დასახიჩ-  
რებული გოგო-ბიჭების ახლო ხედი გახდა. [...] აქეთ-იქით დაატარებდნენ მათ  
სურათებს.<sup>22</sup> სწორედ ამ გლოვამ გახდა შესაძლებელი ტრავმის ამოთქმა, გა-  
საყოველთაოება, გაზიარება, დამნაშავეის და მსხვერპლის განსაზღვრა.

ყოველივე ამან სათავე დაუდო 9 აპრილის, როგორც პარადიგმული მოვლენ-  
ის, ტრავმულ ნარატივს, რომელშიც გაერთიანდა შოკის, ტკივილის, უმწეობის,  
უსამართლობის, დაბნეულობის განცდა. რუსთაველის გამზირზე დატრიალებ-  
ული ტრაგედიის აღქმა და მისი ჩამოყალიბება გლოვის ნარატივად სრულად შე-  
ესაბამება ტრავმული მოვლენის შტომპკასეულ მახასიათებლებს: სისწრაფესა  
და სიმწვავეს, მოულოდნელობას და წარმოუდგენლობას, შოკურ ეფექტს, ყოვ-  
ლისმომცველობასა და რადიკალურობას.<sup>23</sup>

აღვიდა ასმანი აღნიშნავს, რომ ემოცია აძლიერებს დამახსოვრებას სიყვარუ-  
ლით, მწუხარებით თუ გლოვით, რომელშიც თავს იყრის საზოგადოებაში დამკვიდ-  
რებული კულტურული მნიშვნელობები.<sup>24</sup> 9 აპრილის ღამიდან 30 წლის შემდეგ, ემ-  
ოციით განპირობებული მეხსიერება მშვენივრად აღწერა ზაზა ბიბილაშვილმა:

„1989 წლის 9 აპრილი უფრო ხმით აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, ვიდრე  
იმიჯებით. პირველ ყოვლისა, ეს ხმა უსინათლოთა ანსამბლის მიერ ნამღე-  
რი ლადო ასათიანის გამყინავი სტროფების ხმაა ხალხისკენ მოძრავი სა-  
ტანკო კოლონების ნელი გრუხუნის ფონზე. [...] კიდევ ერთი ხმა, რომელიც  
ლაიტმოტივად გაჰყვება 9 აპრილის ღამეს, სიჩუმეა. ნაღდი, ამაღლებული,  
ერთი იდეით ატანილი სიჩუმე, შემზარავი, ხალხმრავალი. [...] არაფერი,  
რაც მოვყევი, [...] იმ ღამეს ჩემი ყურით არ მომისმენია. ეს ჩემი სამოქა-  
ლაქო, ისტორიული მეხსიერებაა – გნებავთ, ჩემი მოქალაქეობრივი ‘მე’-ს  
იდენტობის ნაწილი.“<sup>25</sup>

მეორე მნიშვნელობა, რომელიც, ტრავმასთან ერთად, 9 აპრილს მაშინვე მიენ-  
იჭა და, ჩვენი აზრით, ტრავმის დაძლევისა და შეუნყო ხელი, ტრიუმფი იყო. მასში  
გაერთიანდა სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვის, ამაღლების, სახელოვან წინა-  
პართა საქმის გაგრძელების, მამულისთვის თავგანწირვის ელემენტები. მის ერთ-  
ერთ ძირითად მოტივად იქცა 9 აპრილს ქართველი ერის არნახული ერთიანობა  
(„ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოდგა ქართველი ერი“). ამ ერთიანობის ჰიმნი  
გახდა ტრაგედიიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ შექმნილი სიმღერა „ვაჩუქოთ  
ერთმანეთს ტიტები“ (ლექსი მორის ფოცხიშვილის, მუსიკა ჯემალ სეფიაშვი-  
ლის),<sup>26</sup> რომელიც ორ კვირაში საქართველოს ტელევიზიამ ჩანერა 50 ქართველი  
მომღერლის შესრულებით და მისივე ეთერით გადასცა. ემოციამ განაპირობა ის  
ფაქტი, რომ ეს სიმღერაც და კლიპიც მაშინვე იქცა 9 აპრილის სიმბოლოდ.

<sup>22</sup> გვახარია, ვოგი. *ცრემლიანი სათვალე* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013), გვ. 218.

<sup>23</sup> Sztompka, Piotr. “The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 158-159.

<sup>24</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 42-43.

<sup>25</sup> ბიბილაშვილი, ზაზა. „სალადობო“, *Forbes Georgia*, 9 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3qVoooz> (ნანახია 13.04.2021).

<sup>26</sup> „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, *YouTube* (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3zxWpj7> (ნანახია 11.09.2020).

9 აპრილის ტრიუმფალური ნარატივის კიდევ ერთი მოტივი – სამშობლოსთვის თავგანწირვა – ასევე ტრაგედიის „ცხელ კვალზე“ გამოიკვეთა, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ანა კალანდაძის ლექსში: „ახლოა უამი შუალამისა, / ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება... / კვდება სრულიად საქართველოსთვის, ლოცვით, გალობით ვინც ახლა კვდება!“<sup>27</sup> და გადაეჯაჭვა 9 აპრილის ნარატივის კიდევ ერთ – სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვისა და მკვდრეთით აღდგომის – მოტივს, რომელიც ამავე ლექსშია გამოთქმული: „არა გაქრობა, – აღდგომა მკვდრეთით!“<sup>28</sup>

სამშობლოსთვის თავდადების კულტურული ნიმუშის გამოხატულებად იქცა დიდგორის ბრძოლის სახე/ხატი, რომელიც დღესაც ფართოდ გამოიყენება 9 აპრილის მსხვერპლის ლეგიტიმაციისათვის: „როცა ამბობენ, როგორ უნდა ვიზეიმოთ 9 აპრილი, მინდა მათ ვუთხრა: ვზეიმობთ დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებას. განა იქ ხალხი არ დაიღუპა? 9 აპრილი გამარჯვება იყო“ (ნემო ბურჭულაძე).<sup>29</sup> „9 აპრილს მივხვდი, როგორ გადიოდნენ ქართველები საბრძოლველად ძველ დროში, რისთვის სწირავდნენ თავს: ქვეყნისთვის, სარწმუნოებისთვის... ეს თრგუნავს და აქრობს შიშს. მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ბუნებრივია, განელდა სიხარული, მაგრამ ეს იყო გამარჯვება მტერზე. წარმოუდგენელი იქნებოდა დიდგორის ომში წასულისთვის რომ გეკითხა საყვედურით, რამ წაგიყვანა, ხომ იცოდი, რომ დაიღუპებოდი“<sup>30</sup> (აკაკი ასათიანი<sup>31</sup>).

ჩვენი აზრით, ტრავმისა და ტრიუმფის ნარატივის დამკვიდრებაში ორი ვექტორი იკვეთება: ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ. ნარატივის ჩამოყალიბება ტრაგედიისთანავე დაიწყო, მას საფუძვლად ემოცია და ტკივილთან გამკლავების სურვილი ედო. ხელისუფლებაც და ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც დაბნეული და შოკირებული იყვნენ, ამ უკანასკნელთა ნაწილი კი დაპატიმრებული გახლდათ, ამიტომ მათი მიზანმიმართული მონაწილეობა ამ ნარატივის შექმნაში საეჭვოა. მაგრამ შემდგომში ნარატივის დამკვიდრებაში პოლიტიკური ძალების ინტერესიც ჩაერთო: კომუნისტურმა ხელისუფლებამ და მისმა მხარდამჭერებმა, პირველ დღეებში შექმნილი საკუთარი ვერსიის (უპასუხისმგებლო ექსტრემისტები და უდანაშაულო მსხვერპლი) დამკვიდრების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, სწრაფად გადაინაცვლეს გლოვის თანამოზიარეთა რიგებში და სამშობლოსთვის თავგანწირვის გზით გამარჯვების იდეას შეუერთდნენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ტრიუმფალური ნარატივი მსხვერპლის გამართლების საშუალებას აძლევდა და გადაფარავდა კითხვის ნიშნებს იმასთან დაკავშირებით, ჰქონდათ თუ არა გათვლილი მიტინგის დაშლაზე უარის თქმის შესაძლო შედეგები. საბოლოოდ, განსხვავებული მიზნები ტრავმისა და ტრიუმფის ერთიან ნარატივად შეიკრა.

<sup>27</sup> 9 აპრილი, შემდგენელი გურამ გვერდწითელი (თბილისი: მერანი, საბჭოთა საქართველო, 1990), გვ. 30.

<sup>28</sup> კალანდაძე, ანა. „რომ ფრთებს უფრო რე ძლიერად ვშლიდით,“ 9 აპრილი, შემდგენელი გურამ გვერდწითელი (თბილისი: მერანი, საბჭოთა საქართველო, 1990), გვ. 30.

<sup>29</sup> ევა მიშველამის გადაცემა „პირველი სტუდია,“ საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2014, YouTube (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3G8VIPK> (ნანახია 04.03.2020)

<sup>30</sup> რეზიამვილი, ჯიმშერ. „9 აპრილიდან 9 აპრილამდე,“ რადიო თავისუფლება, 9 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3EXpVQs> (ნანახია 10.04.2021).

<sup>31</sup> აკაკი ასათიანი - 1990-91 წლებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1991 წლის 18 აპრილიდან 1992 წლის იანვრამდე - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ტრაგედიის წარმოდგენა გმირობის აქტად და ძალადობის წინააღმდეგ თავგანწირვად ხელს უწყობს სიკვდილის გარდაქმნას უკვდავების სიმბოლოდ, განამტკიცებს აზრს ჯგუფის/ერთობის განსაკუთრებულობის შესახებ, რომლისთვის სიცოცხლის გაღება საპატიო მისიაა. განცდილი ტრავმა მომავალი ბრძოლისათვის მნიშვნელობის მინიჭების საშუალებად იქცევა.<sup>32</sup>

დანაკარგთან და ტრაგედიასთან ერთად, ტრიუმფის განცდა ხაზგასმულია სამი ათეული წლის შემდეგ გამოთქმულ შეფასებებში, მოგონებებში, პირად ისტორიებში, მაგალითად: „9 აპრილს არავინ დალუპულა, ისინი დალუპულები არ არიან. 9 აპრილს ადამიანები ღირსეულად აღესრულნენ და დაეცნენ, და თუ ჩვენ ქრისტიანობაზე ვლაპარაკობთ, რატომ გვგონია, რომ სიკვდილი არის დალუპვა?“<sup>33</sup> (ირაკლი წერეთელი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი);<sup>34</sup> „დიდი ტრაგედიის მიუხედავად, 9 აპრილი მარტო გლოვის დღე არ არის, ბედნიერების დღეც არის, სამშობლოსათვის თავის შეწირვისა და სამშობლოს გადარჩენის დღეც არის“ (ეთერ ყაველაშვილი, 9 აპრილის აქციის მონაწილე).<sup>35</sup>

1989 წლის 9 აპრილის, როგორც სამშობლოსთვის, მისი დამოუკიდებლობისათვის გაღებული მსხვერპლის აღქმა დაადასტურა ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებამაც: რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 9 აპრილი იყო, ერთსა და იმავე დროს, ეროვნული ტრაგედია და დამოუკიდებლობისთვის გაღებული მსხვერპლი (მაჩვენებელი რამდენადმე მაღალია უფროსი თაობის – 1985 წლამდე დაბადებულ რესპონდენტებთან – იხ. დიაგრამა 3; მასწავლებლებში მაჩვენებელი აქაც უფრო მაღალია – იხ. დიაგრამა 15, 32).

ამრიგად, კულტურულმა ნიმუშმა შექმნა ყველაზე მძიმე გამოცდილებისათვის მნიშვნელობის მინიჭებისა და მასთან გამკლავების საფუძველი და უზრუნველყო განგრძობადობა ტეხილის პირობებში.<sup>36</sup> რიტუალებში ხორცშესხმულმა ქართული კულტურის ნიმუშმა ხელი შეუწყო იმას, რომ 9 აპრილმა თავისი ადგილი დაიკავა „დიდებული წამების“ ისტორიულ მწკრივში. „არის თარიღები, რომელთა ცოდნაც სასურველი გახლავთ და არის თარიღები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია. 9 აპრილი – 1989 წლის – სწორედ ამგვარ თარიღების რიცხვს მიეკუთვნება. [...] ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თარიღი არა მხოლოდ ბოლო პერიოდის, არამედ საერთოდ საქართველოს ისტორიაში,<sup>37</sup> – გიორგი კეკელიძის ეს ტექსტი, 9 აპრილიდან 30 წლის შემდეგ მომზადებული, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი.

აღეიდა ასმანი საუბრობს პარადიგმულ მოვლენათა რეზონანსზე. ეს ცნება გულისხმობს უფრო ადრე და უფრო გვიან მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენის/ფაქტის ურთიერთქმედებას, როცა ადრე მომხდარი ფაქტი ქვეცნობიერად განსაზღვრავს, აყალიბებს, ფორმას აძლევს შემდეგში მომხდარს.<sup>38</sup> 9 აპრილმა რეპრესირებული და თითქმის წაშლილი მეხსიერებიდან გამოიხმო შედარებით

<sup>32</sup> Hirschberger, “Collective Trauma,” p. 6.

<sup>33</sup> ეკა მიშველაძის გადაცემა „პირველი სტუდია.“

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> რეზიაშვილი, „9 აპრილიდან 9 აპრილამდე.“

<sup>36</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 63.

<sup>37</sup> კეკელიძე, გიორგი. „9 აპრილი, ტრაგედიით დაწყებული თავისუფლება,” *ევროპული სკოლა*, 2020, <https://bit.ly/3zD6o6W> (ნანახია 09.02.2021).

<sup>38</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 45.

ახლო და უფრო შორეული წარსულის მნიშვნელოვანი და მტკივნეული მოვლენები, დაკავშირებული იმავე ადგილთან, სადაც 9 აპრილის ღამეს ტრაგედია დატრიალდა. დამახსოვრების პროცესში 9 აპრილმა, როგორც *რეზონანსმა*, ძველი და ახალი მოვლენები ერთმანეთს დაუკავშირა; უფრო ადრინდელმა გამოცდილებამ, ქვეცნობიერად ან არაცნობიერად,<sup>39</sup> ხელი შეუწყო ახალი ტრავმის ჩამოყალიბებასა და განსაზღვრას.

ერთ-ერთი ასეთი მოვლენა იყო 1956 წლის 9 მარტის გამოუგლოვებელი ტრაგედია, როცა საბჭოთა არმიამ სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყო რუსთაველის გამზირსა და სტალინის სახელობის სანაპიროზე, მისსავე ძეგლთან შეკრებილ მოქალაქეებს, რომლებიც სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკას აპროტესტებდნენ. ვამიკ ვოლკანის მიხედვით, როცა ტრავმული მოვლენით გამოწვეული დანაკარგის გამოგლოვება არ ხერხდება, მისი მენტალური რეპრეზენტაცია ინახება თაობის მეხსიერებაში და მომდევნო თაობას (შესაძლოა, თაობებსაც) გადაეცემა, რომელმაც უნდა შეძლოს მისი გამოგლოვება და შელახული თვითაღქმის აღდგენა. ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი ხდება არა ტრავმასთან დაკავშირებული ისტორიული რეალობა, არამედ ის, რომ გაზიარებული ტრავმა ერთმანეთთან აკავშირებს ჯგუფის წევრებს და მათი იდენტობის ნაწილად იქცევა. იდენტობის ქსოვილის ეს ძაფი შეიძლება სხვა ძაფებს გადაეჯაჭვოს და დიდხანს დარჩეს შეუმჩნეველი, მაგრამ შემდეგ, ამა თუ იმ მოვლენის ზეგავლენით, გააქტიურდეს და თვალსაჩინო გახდეს. სწორედ ამ შემთხვევაში ჩნდება დროის კოლაფსი და აქტიურდება ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებული ემოცია („ისე განიცდება, თითქოს გუშინ მოხდა“).<sup>40</sup>

სწორედ ასეთი მოვლენა აღმოჩნდა 1956 წლის 9 მარტი, რომლის რეპრესირებული ხსოვნა ჯერ კიდევ არსებობდა კომუნიკაციურ მეხსიერებაში და გამოცოცხლდა სხვა მტკივნეული ფაქტის ზეგავლენით. მისმა მომსწრეებმა დაინწყეს მომხდარზე საუბარი, 1993 წელს რეჟისორმა გივი ვეფხვაძემ, რომელიც თავად იყო იმ ამბების მონაწილე და ჯერ კიდევ 1960-იანი წლების ბოლოდან ცდილობდა მასალების მოძიებას 9 მარტზე, გადაიღო დოკუმენტური ფილმი „9 მარტი,“ რომელიც თვითმხილველთა და დალუპულთა მშობლების მოგონებებზეა დაფუძნებული.<sup>41</sup> ყოველი წლის 9 მარტს სანაპიროზე, სადაც მაშინ სტალინის ძეგლი იდგა, დღეს კი მემორიალური ქვა აუწყებს მნახველებს, რომ აქ აღიმართება 9 მარტს დალუპულთა ძეგლი, იკრიბებიან მსხვერპლთა ოჯახის წევრები და პატივს მიაგებენ დალუპულთა ხსოვნას.<sup>42</sup> ამ შემთხვევაში, თუ ა. ასმანს დავესესხებით, მეხსიერება არაფორმალურიდან საჯარო, რიტუალურ ფორმაში გადავიდა.<sup>43</sup> 9 აპრილმა შეასრულა „თერაპიული ეფექტის“<sup>44</sup> როლი და 9 მარტმა წარსულში დაიდო ბინა.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>40</sup> Volkan, *When Enemies Talk*, p. 13-14.

<sup>41</sup> ნინო კაპანაძის ინტერვიუ გივი ვეფხვაძესთან, *ჩემი ხარაგაული*, 9 მარტი, 2018, <https://bit.ly/3eYFTUq> (ნანახია 16.01.2021).

<sup>42</sup> რეზიაშვილი, ჯიმშერ. „1956 წლის მარტის ტრაგედია,“ *რადიო თავისუფლება*, 9 მარტი, 2010, <https://bit.ly/3zBfbWE> (ნანახია 10.04.2021).

<sup>43</sup> Assmann, Aleida and Linda Shortt. „Memory and Political Change: Introduction,“ *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 9.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 7.

იმას, რომ 9 აპრილმა შეასრულა რეზონანსის როლი 9 მარტის ტრაგედიასთან მიმართებაში, ადასტურებს ჩვენი გამოკითხვა: რესპონდენტების ნახევარზე მეტი თვლის, რომ 9 აპრილის მოვლენებმა ახალი აქტუალურობა შესძინა 9 მარტის მოვლენებს. მასწავლებლებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რესპონდენტებში (იხ. დიაგრამა 23). 9 აპრილის ტრაგედიამ რესპონდენტებში გამოაცოცხლა 9 მარტის კომუნიკაციური მეხსიერება. სხვადასხვა შინაარსის ეს ორი მოვლენა, ერთნაირად მძიმე შედეგის გამო, მათ წარმოდგენაში ერთმანეთს დაუკავშირდა (იხ. დიაგრამა 23, 24). მასწავლებლების 46% და დანარჩენი რესპონდენტების 36.9% მიიჩნევს, რომ 1956 წლის 9 მარტი იყო სტალინის დაცვისკენ მიმართული პროტესტი, რომელიც დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა; ამას ემატება მასწავლებლების 22% და დანარჩენი რესპონდენტების 20%, ვინც თვლის, რომ 9 მარტი იყო ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა (იხ. დიაგრამა 24, 25, 26).

9 აპრილის რეზონანსი შეეხო რუსთაველის გამზირის ამავე ადგილას განვითარებულ სხვა მოვლენებსაც: ნითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლას თბილისის მისადგომებთან 1921 წლის თებერვალში და ამ ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების დაკრძალვას სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგ მთავრობის სასახლე ააშენეს და სადაც 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა; 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაციას კვლავ ამ ადგილას, რომლის შედეგად ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსის შეინარჩუნა.

თავის მხრივ, 1989 წლის 9 აპრილის კოლექტიური ტრავმა მომავალი ისტორიისა და მეხსიერების ათვლის წერტილად იქცა. თემურ ქორიძემ – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა – ამ დღეს ისტორიული გზაგასაყარი უწოდა, რადგანაც ამ დღიდან მოყოლებული, ქართველი კაცი უკვე აღარ იყო „ახალი ანთროპოლოგიური ტიპი – ჰომო სოვიეტიკუსი.“<sup>45</sup> ჰორიზონტზე მკაფიოდ იკვეთებოდა ახალი, არასაბჭოთა მომავალი, რომელიც „ახალ წარსულს“ მოითხოვდა.

9 აპრილის მომდევნო პირველი შოკური დღეების შემდეგ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება სულ უფრო დამთმობი ხდებოდა ეროვნული მოძრაობისა და, ზოგადად, მათი მოთხოვნებისადმი, ვინც უკვე „აღარ იყო ჰომო სოვიეტიკუსი.“ ხელისუფლების დუმილის ფონზე, ხან კი მისი მონაწილეობითაც, საბჭოთა პერიოდში მეხსიერებიდან საგულდაგულოდ ამოშლილი სახელები, ფაქტები და მოვლენები ჯერ კომუნიკაციური მეხსიერების მეშვეობით ცოცხლდებოდა, შემდეგ კი თანდათან კულტურულ მეხსიერებაში ინაცვლებდა ტექსტების, მემორიალების, აღნიშვნების, რიტუალების და მეხსიერების სხვა არეების სახით.

როგორც ა. დინერი და ჯ. ჰაგენი აღნიშნავენ, ეროვნული იდენტობის გამოცოცხლება აისახებოდა ქალაქების ლანდშაფტში – იქმნებოდა სპეციფიკური კულტურულ-პოლიტიკური ნარატივები, რომლებიც ხაზს უსვამდა ერთობას და ისტორიულ ტრადიციას. აღდგებოდა, ხელახლა გაიაზრებოდა ან შენდებო-

<sup>45</sup> ქორიძე, თემურ. „კაცი არ ყველა სწორია,“ ქორიძე თემურ, *წერილები, ჩანაწერები, პუბლიცისტიკა* (თბილისი: ინტელექტი, 2016), გვ. 59; რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „საქართველოს დამოუკიდებლობა - ორი 9 აპრილის პირში,“ *რადიო თავისუფლება*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/31A52gt> (ნანახია 16.01.2021).

და ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილები.<sup>46</sup> 1989-1990 წლებში, ეროვნული ისტორიისა და მასზე დაფუძნებული ეროვნული იდენტობის ხაზგასასმელად,<sup>47</sup> ისტორიული სახელები დაუბრუნდა ან ცნობილი ქართველი მოღვაწეების თუ ისტორიული ფიგურების სახელები ეწოდა საქართველოს ქალაქებს და რაიონულ ცენტრებს, ქუჩებს, მოედნებს, სკვერებს, მეტროს სადგურებს, რომლებიც რევოლუციონერთა და კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა სახელებს ატარებდნენ.<sup>48</sup>

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში,<sup>49</sup> საქართველოშიც აქტიური დავინწყებისა და წარსულთან ანგარიშსწორების გამოვლინება იყო საბჭოთა მოღვაწეთა ძეგლებისა და იმ მონუმენტების დემონტაჟი, რომლებიც საბჭოთა სისტემის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. მათი ნაწილის ნგრევა საჯაროდ და, ზოგჯერ, ზარ-ზეიმით ხდებოდა, ნაწილი კი ჩუმად და უხმაუროდ ქრებოდა ქალაქების მოედნებიდან თუ სკვერებიდან. 9 აპრილის ტრაგედიას ემსხვერპლა ცნობილი ქართველი ბოლშევიკის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სულისჩამდგმელის სერგო ორჯონიკიძის ძეგლი: 10 აპრილის დილას ამჟამინდელი თამარაშვილის ქუჩისა და ყაზბეგის გამზირის გადაკვეთაზე მდგარი უზარმაზარი რუხი ქანდაკება თბილისელებს სისხლისფრად შეღებილი ხელებით და კვერცხის არცთუ სასიამოვნოდ სანახავი შემკულობით დახვდათ. ამის შემდეგ ხელისუფლებმა ძეგლს მესერი შემოავლეს, გარკვეული დროის შემდეგ კი იქიდან ზედმეტი ხმაურის გარეშე გაიტანეს. როგორც გურამ ნიბახაშვილი ამბობს, მას მთელი ეს პროცესი აღუბეჭდავს ფოტოზე – „ძეგლი, საღებავებით დასვრილი ძეგლი, კედელშემოვლებული და ჩამოგდებული, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ, თუ როგორ ეცემა ძეგლები.“<sup>50</sup> ამას მალე მოჰყვა რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ მდგარი უზარმაზარი სკულპტურული კომპოზიციის „შრომა, მეცნიერება, ტექნიკა“ დემონტაჟი.

1990 წლის 29 აგვისტოს თბილისის ცენტრალური მოედნიდან, რომელიც ლენინის სახელს ატარებდა, სახალხო დეპუტატთა თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, აიღეს მისი ძეგლი, რასაც მოედანზე შეკრებილი მოქალაქეები ტაშით და ოვაციებით შეხვდნენ. საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის მიერ 29 აგვისტოს გაზეთ „თბილისისათვის“ მიცემული ინტერვიუ ნათლად აჩვენებს კომუნისტური ხელისუფლების მცდელობას, ხელიდან არ გაუშვას პროცესების მართვის სადავეები:

„საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე კარგა ხანია მოითხოვს ქალაქის მთავარი მოედნიდან ლენინის ძეგლის აღებას, ამ ადგილის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმონყობა-რეკონსტრუქციას. რა დასამალია და, თბილისი ძეგლების ქალაქად გადაიქცა. ერთი პიროვნების ამდენ ქანდაკებას იშვიათად შეხვდებით სხვაგან. [...] ბოლო დროს რამდენჯერმე იყო ძეგლის

<sup>46</sup> Diener, Alexander C. and Joshua Hagen. “From Socialist to Post-Socialist Cities: Narrating the Nation through Urban Space,” *Nationalities Papers* 41, no. 4 (2013): p. 489.

<sup>47</sup> Alderman, Derek H. “Place, Naming, and the Interpretation of Cultural Landscapes,” *The Ashgate Research Companion to Heritage and Identity*, eds. Brian Graham and Peter Howard (Routledge, 2008), p. 195.

<sup>48</sup> მჭედლიძე, გიორგი. *ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)* (ქუთაისი: 1999), გვ. 188, 237.

<sup>49</sup> *ib.* Diener and Hagen, “From Socialist to Post-Socialist Cities,” p. 489.

<sup>50</sup> წიბახაშვილი, გურამ. *100 ფოტომშავი. 80-იანები* (თბილისი: არტანუჯი, 2018), გვ. 115, საღებავშემსრულებელი ფოტო *ib.* გვ. 113.

აღების თვითნებური მცდელობა, რის გამოც დაზიანდა ქანდაკების კვარცხლბეკი. [...] ყოველდღიურად ამ ადგილს იცავდა მილიციელთა გაძლიერებული რაზმი, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა დიდი ნაწილი ჩამოცილებული იყო თავის ძირითად საქმეს. [...] დემონტაჟი გუშინ საღამოს დავიწყეთ და გვიან ღამით დამთავრდა, ამ დროს მოედანზე შეიკრიბა უამრავი ხალხი, ისინიც ეხმარებოდნენ აღმასკომის სამსახურის წარმომადგენლებს ძეგლის აღებაში.<sup>51</sup>

და ისევ ა. ასმანისეული რეზონანსი: ნიკო ლეკიშვილმა კიდევ ერთ არგუმენტად 1956 წლის 9 მარტი მოიშველია და მოსახლეობას გაახსენა ძეგლის დადგმის უსიამოვნო მომენტი, რომელიც, ალბათ, ბევრს არავის ახსოვდა: „გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც: ლენინის მოედანზე ძეგლის დადგმა უკავშირდება 1956 წლის 9 მარტის სისხლიან ამბებს და ესეც გამაღიზიანებლად მოქმედებდა ხალხზე, უსიამოვნო ასოციაციებს იწვევდა თბილისელებში.“<sup>52</sup>

თბილისის შემდეგ, ლენინის ძეგლები ერთმანეთის მიყოლებით გაქრა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მოედნებიდან, სკვერებიდან, სახელმწიფო დაწესებულებების ეზოებიდან.

1990 წელს „წარსულთან ანგარიშსწორებას“ შეენირა მაშინდელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის (იმელი) შენობის<sup>53</sup> ფასადზე განთავსებული სკულპტურული გამოსახულებები, რომლებიც ცნობილ ქართველ მოქანდაკეებს იაკობ ნიკოლაძესა და თამარ აბაკელიას ეკუთვნოდათ და რევოლუციურ მოძრაობასა და სოციალიზმის მშენებლობას ასახავდა. მრავალი სხვა ძეგლისაგან განსხვავებით, მათ მნიშვნელოვანი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულება ჰქონდა, თავად ინსტიტუტის შენობა კი, თავისი ისტორიით, საბჭოთა მეხსიერების მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ანგარიშსწორებაში თავი იჩინა, ერთი მხრივ, 9 აპრილის ტრავმამ, მეორე მხრივ – საბჭოთა წარსულის ტრავმულმა მეხსიერებამ.

1989 წლის 9 აპრილის რეზონანსად შეიძლება განვიხილოთ 1991 წელს გამოცემული ფირფიტა-ალბომი „აპრილის დილა“, რომელშიც თავი მოიყარა უშუალოდ 9 აპრილის დღეებში, მის მომდევნო პერიოდში და, ასევე, დიდი ხნით ადრე (80-იანი წლებიდან) ცნობილი ქართველი კომპოზიტორების მიერ ასევე ცნობილი პოეტების ლექსებზე დაწერილმა პატრიოტულმა სიმღერებმა, მათ შორის, ცხადია, იყო „ვარჯიშით ერთმანეთს ტიტები.“ ამ ალბომს „რადიო თავისუფლება“ საგანგებო გადაცემა მიუძღვნა, სახელწოდებით „± 21: აპრილის დილა: ერთი ალბომის ისტორია“,<sup>54</sup> სადაც კომპოზიტორები და შემსრულებლები იხსენებენ იმდროინდელ ემოციებს, მათ შორის, იმ სიმღერებით გამოწვეულსაც, რომლებიც ადრე იყო დაწერილი და შესრულებული.

ამგვარად, როგორც ეს ხშირად ხდება ტრანზიციის ხანაში, საბჭოთა პერი-

<sup>51</sup> წამალაშვილი, ევა. „როდესაც თბილისმა უარი თქვა ლენინის ძეგლზე.“ დამოუკიდებლობის გაკვეთილები - მომავლისკენ წარსულის გააზრებით (ავტორთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3qXNBPK> (ნანახია 16.10.2018).

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> შემდგომში – საქართველოს პარლამენტის, მოგვიანებით – საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფელი, ამჟამად კი სასტუმრო „ბილტმორის“ ცენტრალური შესასვლელი.

<sup>54</sup> „±21: აპრილის დილა: ერთი ალბომის ისტორია“, რადიო თავისუფლება, 11 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3eWBm0e> (ნანახია 12.04.2021).



ოდში არსებული კონტრ-მეხსიერება თანდათან იქცეოდა ნორმატიულ, ოფიციალურად აღიარებულ მეხსიერებად, რეპრესირებული, თითქმის დავინყებული ხმები საზოგადოების ყურადღების ცენტრში ინაცვლებდა და გაზიარებულ მეხსიერებად ყალიბდებოდა. „ქველი“, „საბჭოთა მეხსიერება კი, რომელიც ასახული იყო მონუმენტებსა თუ რიტუალებში და არც ისე დიდი ხნის წინ საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა, სწრაფად კარგავდა ემოციურ მიმზიდველობას და, როგორც ა. ასმანი ამბობს, მეხსიერებიდან ისტორიისკენ ინაცვლებდა, ისტორიკოსთა „საკუთრებად“ და მეცნიერული კვლევის ობიექტად იქცეოდა.<sup>55</sup>

მოკლედ რომ ვთქვათ, „ახალი საქართველოს ისტორია სწორედ 1989 წლის 9 აპრილს დაიწყო.“<sup>56</sup> „რომ არა ‘მრისხანე და მშვენიერი’ (ასე მოიხსენიებდა ვიქტორ ჰიუგო 1793 წელს – საფრანგეთის დიდი რევოლუციის თარიღს) 89 წელი, [...] არ იქნებოდა 1991 წლის 9 აპრილი – დამოუკიდებლობის აღდგენა,<sup>57</sup> მეოთხედი საუკუნის შემდეგ აღნიშნავდა თემურ ქორიძე.

ტრაგედიის ორი წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს, სწორედ იმ ადგილას, სადაც საბჭოთა არმია მშვიდობიან მომიტინგეებს გაუსწორდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა. ადგილის მუდმივობის ხაზგასმა ისტორიული განგრძობადობის, საზიარო მეხსიერებისა და იდენტობის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მნემონიკური ხერხია.<sup>58</sup> როგორც ე. ზერუბაველი აღნიშნავს, „ადგილის მუდმივობა საშუალებას გვაძლევს, წარმოსახვითად „დავინახოთ“ ხალხი, რომელიც ჩვენზე ადრე იყო ამ ადგილას“ და იგი ფართოდ გამოიყენება იდენტობის რიტორიკაში.<sup>59</sup> ზვიად გამსახურდიას სიტყვაში ეს მომენტი ხაზგასმით იყო აღნიშნული: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა.“<sup>60</sup>

რა თქმა უნდა, არც დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ 9 აპრილის შერჩევა მომხდარა შემთხვევით: მნიშვნელოვანი მოვლენების დამთხვევა თარიღებთან, რომელთაც უკვე დამკვიდრებული აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, გავრცელებული სოციალური პრაქტიკაა, რომელსაც ე. ზერუბაველი „იგივე დროს“ უწოდებს.<sup>61</sup> ისევე როგორც „იგივე ადგილი“, ისიც მიმართულია წარსულთან „მნემონიკური ხიდის გადებისა“<sup>62</sup> და დისკურსული უწყვეტობის შენარჩუნებისაკენ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღთან დაკავშირებით, არსებობდა მეორე არჩევანიც – 26 მაისი, პირველი დამოუკიდებლობის დღე, მით უფრო, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე ცხადდებოდა. აკაკი ასათიანი იგონებს: „ვკითხე [ზვიად გამსახურდიას], იქნებ 26 მაისს დავამთხვიოთ, რომ გაორმაგება არ მოხდეს-მეთქი. მითხრა, რაც მერე

<sup>55</sup> Assmann and Shortt, “Memory and Political Change,” p. 8-9.

<sup>56</sup> კალანდია, გიორგი. „9 აპრილი ჩვენი მზიანი დამა“, გადაცემა „იმედის დღე“, TV Imedi, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3q2zklu> (წაწახია 05.10.2020).

<sup>57</sup> ქორიძე, „კაცი არ ყველა სწორია“, გვ. 59.

<sup>58</sup> Zerubavel, Eviatar. *Collective Memory and the Social Shape of the Past. Time Maps* (Chicago and London: The University of Chicago Press, 2003), p. 40-43.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>60</sup> „ზვიად გამსახურდია - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“, 9 აპრილი, 1991, YouTube, 31 მარტი, 2017, <https://bit.ly/3G4KP1f> (წაწახია 10.02.2021).

<sup>61</sup> Zerubavel, *Collective Memory and the Social Shape of the Past*, p. 46-48.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 44.

საჯაროდაც გაიმეორა: სხვა რით შეგვიძლია პატივი ვცეთ 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნასო, მარტო ამით, ამ დღეს დაილუპნენ დამოუკიდებლობისთვის და ამ დღეს გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობაო.<sup>63</sup>

მნემონიკური ხიდი წარსულთან იმითაც გაიდო, რომ დამოუკიდებლობის აქტის პირველივე აბზაცში ხაზგასმით აღინიშნა ისტორიული მემკვიდრეობითობა და განგრძობადობა, რითაც, კვლავ ზერუბაველის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, საბჭოთა პერიოდით განყვეტილი საქართველოს ისტორიის „ლეგატო-ნარატივი“<sup>64</sup> აღდგა:

„საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. [...] 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა [...] შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია. 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.“<sup>65</sup>

ზვიად გამსახურდიას სიტყვა 9 აპრილის ტრავმული ნარატივის ტრიუმფალური შინაარსით დატვირთვის გამოხატულება იყო: სიკეთემ სძლია ბოროტებას, სიკვდილმა დათრგუნა სიკვდილი, ამით კიდევ ერთხელ უნდა გასმოდა ხაზი თავისუფლებისათვის გაღებული მსხვერპლის ღირებულებას და ტრიუმფალური წერტილი დასმოდა მოვლენათა ტრაგიკულ (ერთი გამონაკლისით – 1978 წლის 14 აპრილით) მწკრივს 1921 წლიდან ზემოთ.

ტრიუმფის განცდას ნათლად ასახავდა 6 წუთიანი უწყვეტი აპლოდისმენტები და ოვაცია, რომელიც ზვიად გამსახურდიას სიტყვას მოჰყვა სხდომათა დარბაზში; აქტზე ხელმოწერის ცერემონიალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშების შემოტანა და იმდროინდელი სახელმწიფო ჰიმნის („დიდება“) შესრულება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმოწერა ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაიციემა, რუსთაველის გამზირზე თვალის დახამხამებაში შეიკრიბა უამრავი ხალხი, რომელიც ერთმანეთს ულოცავდა გამარჯვებას, ცეკვავდა, მღეროდა და აღფრთოვანებას გამოხატავდა. ტრიუმფის განცდა ვლინდება ასევე დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერათა ემოციაში:

„ხელი რომ მოვანერე, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ვალი მოვიხადე ჩემი ბაბუების და სხვა წინაპრების წინაშე, ვინც მიტინგებზე იდგა, ათობ-

<sup>63</sup> რეზიაშვილი, „9 აპრილიდან 9 აპრილამდე.“ უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის თარიღთან დაკავშირებით საზოგადოებაში დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

<sup>64</sup> Zerubavel, *Collective Memory and the Social Shape of the Past*, p. 34-36.

<sup>65</sup> „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი,“ *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 9 აპრილი, 1991, <https://bit.ly/3q1DD0f> (ნანახია 02.03.2021).

ით და ასობით ათასი ადამიანის წინაშე, ვინც ხელი ვერ მოაწერა ფიზიკურად, მაგრამ თავისუფლება ჰქონდათ არჩეული, 9 აპრილის გმირების წინაშე“ (აკაკი ასათიანი).

„ჩემი ხელმოწერა არის ყველაზე დიდი, რადგან ძალიან ვნერვიულობდი, ვერ ვაკონტროლებდი ემოციას... ილია ჭავჭავაძე ვერ მოესწრო დამოუკიდებლობას და შენ [...] მოგიწია ამაზე ხელის მოწერა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი შემოქმედი გახდი. [...] მართლა დაუფერებელია. თითოეული ხელმოწერა ილიას ასრულებული ოცნებაა!“<sup>66</sup> (ნემო ბურჭულაძე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

„ხელს ვანერდი – [...] ვინც შემოგვინახა და გადმოგვაბარა ჩვენ ეს იდეა – ყველა მათგანის სახელითაც. მასსოვს, ძალიან ნელა ვანერდი ხელს, გვარიც ხომ გრძელია, და მქონდა განცდა, რომ ნამდვილად მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდით. მაგრამ ასევე არ მტოვებდა ფიქრი, შევძლებთ კი ვიყოთ დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის ღირსი?“ (დავით ბერძენიშვილი, უზენაესი საბჭოს წევრი ბათუმის მაჟორიტარული ოლქიდან).<sup>67</sup>

ქართული კულტურული ნიმუშის ელემენტებისა და ტრავიკულ-ამაღლებული რიტორიკის კონცენტრირებული გამოხატულება იყო ზვიად გამსახურდიას სიტყვა მიტინგზე 1989 წლის 26 მაისს, 9 აპრილიდან თვენახევრის შემდეგ:

„ჩვენთან არს ღმერთი! და მარადის იქნება ღმერთი! და ამ შეგნებით ვძლიეთ უთვალავ ძალებს, ბნელეთის ძალებს, ბნელეთის იმპერიებს და ბნელეთის იმპერიებს შორის უდიდესს და უბოროტესსაც დავამარცხებთ. რამეთუ ჩვენთან არს წმინდა გიორგი, ჩვენთან არს წმინდა სისხლი ჩვენი მონამეებისა, რომელიც დაიღვარა საქართველოსთვის, დაიღვარა ქრისტესთვის, დაიღვარა 9 აპრილს, [...] რომელიც შეუერთდა იმ წმინდა მონამეთა სისხლს, ასიათასთა და მრავალთა მონამეთა სისხლს. და ეს სისხლი გვიხსნის ჩვენ [...]. ეს არის ჩვენი ერის გზა, სხვა გზა ჩვენს ერს არ გააჩნია. ჩვენი გზა არის მონამეობრივი გზა, გზა ქრისტესი, გზა ეკლის გვირგვინისა, ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა...“<sup>68</sup>

„ასე შეიძინა ორმაგი შინაარსი ‘9 აპრილმა,’ რომელშიც გაერთიანდა როგორც 1989 წლის 9 აპრილის სისხლში ჩახშობილი თავდადება, ასევე 1991 წლის 9 აპრილის ტრიუმფალური გამარჯვება. მეტიც, ამ ორ ‘9 აპრილს’ შორის მომხდარმა მოვლენებმა დიდწილად განაპირობა საქართველოს ისტორიის მომდევნო 30 წლის ლოგიკაც,“ აღნიშნავს ჯ. რეხვიაშვილი.<sup>69</sup> რაც შეეხება იმას, თუ რამდენად აღიქმება დღეს 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი შემდგომი ბედის განმაპირობებლად, აქ ჩვენმა საველე კვლევამ შემდეგი შედეგი აჩვენა: რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი ეთანხმება აზრს, რომ 1989 წლის 9 აპრილი რომ არაა, საქართველო დამოუკიდებელი ვერ გახდებოდა; მათ შორის რამდენადმე მეტია უფროსი თაობის რესპონდენტი და ცოტა ნაკლები – 1985 წლის შემდეგ დაბადებული. როგორც ჩანს, აქ თავის როლს ასრულებს ემოცია, როგორც მეხსიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, აგრეთვე ცოცხალი მეხსიერება, რომელიც სწორედ ამ

<sup>66</sup> რეხვიაშვილი, „9 აპრილიდან 9 აპრილამდე.“

<sup>67</sup> იქვე.

<sup>68</sup> „ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, თბილისი, 1989 წლის 26 მაისი,“ <https://bit.ly/3q44jh0> (ნანახია 09.04.2021).

<sup>69</sup> რეხვიაშვილი, „9 აპრილიდან 9 აპრილამდე.“

ემოციით გაჯერებული და ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე კულტურულ მეხსიერებაში გადასული, ინსტიტუციონალიზებული ფორმები; ეს უკანასკნელნი გამარტივებული და გაერთმნიშვნელებულია, რათა კონვენციური სახით ჩამოყალიბდეს და გადაცემადი გახდეს. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევის შედეგებით, 1989 წლის 9 აპრილმა ხელი შეუწყო საქართველოს დადგომას დამოუკიდებლობის გზაზე (67%).<sup>70</sup> 9 აპრილის, როგორც დამოუკიდებლობის წინაპირობის აღქმას ადასტურებს მეორე მონაცემიც: ჩვენი კვლევის მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილი (როგორც მასწავლებლები, ასევე დანარჩენი რესპონდენტები) იხრება იმ აზრისკენ, რომ 9 აპრილი ამაოდ გაღებული მსხვერპლი იყო და საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდა (აქ ასაკობრივი ჯგუფების მაჩვენებელი ერთნაირია) (იხ. დიაგრამა 4, 5, 16, 31).

ამგვარად, რჩეული ტრავმა – იმ მოვლენის მენტალური რეპრეზენტაცია, „რომელმაც გამოიწვია დიდი დანაკარგი, უმწეობის, მსხვერპლად ყოფნის განცდა,“<sup>71</sup> რომელმაც შეავსო კოლექტიური იდენტობა და მის მნიშვნელოვან მარკერად იქცა, მკვეთრად ტრანსფორმირდა „რჩეულ გამარჯვებად“, რომელმაც განამტკიცა საერთო წარმატებისა და ტრიუმფის შეგრძნება. 9 აპრილი არის „ჩვენი ისტორიის მზიანი ღამე, [...] მზეც და ღამეც, თუმცა მაინც ეს არის გამარჯვების თარიღი, რადგან ჩვენ მოვიპოვეთ ამ დღეს დამოუკიდებლობა ორი წლის შემდეგ, 1991 წელს“ (გიორგი კალანდია);<sup>72</sup> „ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ტრაგიზმზე აღმოცენებული დიდი გამარჯვების ქვეყანაში. [...] ეს ქვეყანა 9 აპრილის შვილია“ (ნონა ქობალია).<sup>73</sup> ეს 9 აპრილის ტრავმულ-ტრიუმფალური ნარატივის საყრდენი ფრაზებია.

და მაინც, 9 აპრილს, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, კოლექტიურ/კულტურულ მეხსიერებაში დღემდე ერთგვარად ჩრდილავს 1989 წლის 9 აპრილის ღამე, რასაც ხელს უწყობს ამ უკანასკნელის ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანი ინსტიტუციონალიზაცია (ფოტოები, ლექსები, დოკუმენტური ფილმები, სიმღერები, მოგონებები, მემორიალები, აღნიშვნები, ადგილი მუზეუმების ექსპოზიციებში). დამოუკიდებლობის აღდგენის 9 აპრილი, ამ თვალსაზრისით, ბევრად უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, იგი მოგონებებში, ვიდეოკადრებსა და ფოტოებში, ისტორიკოსთა შრომებსა და ისტორიის სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი, 9 აპრილის ყოველწლიური აღნიშვნის დროსაც აქცენტი მსხვერპლსა და გამირობაზე კეთდება, მათი ხსოვნის სანთლები ინთება, ყვავილებით ამკობენ ტრაგედიის ადგილს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე კი, 1990 წლიდან მოყოლებული, 26 მაისს აღინიშნება.

ასე ჩამოყალიბდა არა მხოლოდ 9 აპრილი, როგორც პარადიგმული მოვლენა, არამედ რუსთაველის გამზირის ეს მონაკვეთი, როგორც პარადიგმული მნიშვნელობის სივრცე – „ჩვენი აგორა,“ „სადაც გასული 30 წლის მანძილზე იწერება საქართველოს ისტორია“ (პოლიტიკოსი სალომე სამადაშვილი).<sup>74</sup> ამ სივრცის

<sup>70</sup> „საქართველოს მომავალი 2020.“

<sup>71</sup> Volkan, *When Enemies Talk*, p. 12.

<sup>72</sup> კალანდია, „9 აპრილი ჩვენი მზიანი ღამეა,“ გადაცემა „იმედის დღე,“ *TV Imedi*, 9 აპრილი, 2019.

<sup>73</sup> ფაცაცია, სალომე „ეს ქვეყანა 9 აპრილის შვილია - დემონსტრანტების მოგონებები 29 წლის შემდეგ,“ *რადიო ათინათი*, 9 აპრილი, 2018, <https://bit.ly/3F28Kgz> (ნანახია 10.02.2021).

<sup>74</sup> აკოფაშვილი, ჟანა. „ერთი წელი გავრილოვის ღამიდან - 'სირცხვილია' 20 ივნისის აქციისთვის ემზადება,“ *მთავარი არხი*, 5 ივნისი, 2020, <https://bit.ly/3n5yyIU> (ნანახია 03.02.2021).

„ფლობა“ სიმართლის, ძალის, ძალაუფლების ფლობად მიიჩნევა. აქ იმართება უმნიშვნელოვანესი სადღესასწაულო ღონისძიებები: პრეზიდენტის ფიცის დადების ტრადიციული, თუმცა დღეს უარყოფილი ცერემონია, საშობაო ალილოზე პარლამენტართა გამოსვლა, საახალწლო საბავშვო ატრაქციონები, მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი მიძღვნილი გამოფენები და სხვა; საპროტესტო აქციები (1988 წლის ნოემბრის შიმშილობა, 1989 წლის 9 აპრილი, 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის თბილისის ომი, 2003 წლის ვარდების რევოლუცია, 2007 და 2011 წლების ანტისამთავრობო გამოსვლები, რუსეთის ოკუპაციის საწინააღმდეგო მიტინგი 2008 წლის 12 აგვისტოს, ხელისუფლების საწინააღმდეგო ხალხმრავალი აქციები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, 2018 წლის მაისში თბილისის კლუბებში განხორციელებული სპეცოპერაციის საწინააღმდეგო, 2019 წლის 19-20 ივნისის „გავრილოვის ღამესა“<sup>75</sup> და მის წლისთავთან დაკავშირებული, 2020 წლის არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო გამოსვლები და სხვა); იდგმება და იშლება კარვები (პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა – 1991 წელს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა – 2011 წელს; სიმართლისა და სამართლის მადიებელთა – 2017 წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მოკლული დათო სარალიძისა და იმავე წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის დროს მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამების და სხვა).

ემზარ ჯგერენაიას სიტყვით, საქართველოს პარლამენტის წინ არსებული სივრცე „ერთგვარად საკრალური ადგილიც კია ჩვენს ნაციონალურ მეხსიერებაში“; „ყველა ძირითადი დრამა ეროვნულ დონეზე ამ სივრცეში გათამაშდა“; „ეს ტერიტორია, საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის, ერთგვარი მეხსიერების ადგილია, სადაც საზოგადოება იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.“<sup>76</sup> „ვინც რუსთაველზე ერთხელ მაინც მდგარა, ის აუცილებლად იგრძნობდა სულიერ კავშირს 9 აპრილის გმირებთან, იგრძნობდა მათ მხარდაჭერასა და მფარველობას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ვისაც რუსთაველზე შეკრებილი მოქალაქეების წინააღმდეგ ერთხელ მაინც გამოუყენებია თუნდაც ე.წ. „ლეგიტიმური ძალა,“ ისიც აუცილებლად იგრძნობდა 9 აპრილის სუსხსა და სიმძიმეს,<sup>77</sup> აღნიშნავს ჯიმშერ რეხვიაშვილი.

როგორც თავად 9 აპრილმა, ასევე ამ სივრცემ მარტვილობისა და მარტვილობის ადგილის მნიშვნელობა შეიძინა. ეს მნიშვნელობა განსაზღვრა მისმა რეზონანსმა, რომელმაც მოვლენათა ჯაჭვი იმ ადამიანთა სისხლით შეკრა, ვინც აქ სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაიღუპა. 1989 წლის 9 აპრილი, „ისტორიასთან ერთად, გარკვეული ჰაგიოგრაფიაც არის,<sup>78</sup> რაც ამ მოვლენის პარადიგმულობას და ტრავმულობას ადასტურებს.

<sup>75</sup> 2019 წლის 20 ივნისს მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის წევრი, რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დაკავებას ჯერ რამდენიმე ქართველი პარლამენტარის პროტესტი, შემდეგ კი საქართველოს პარლამენტის წინ მოქალაქეთა დიდი საპროტესტო აქცია მოჰყვა. სპეცრაზმმა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, რის შედეგად აქციის რამდენიმე მონაწილემ სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

<sup>76</sup> რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „ევრორემონტი საკრალურ ადგილზე,“ *რადიო თავისუფლება*, 20 ივლისი, 2020, <https://bit.ly/3HJxEmV> (ნანახია 16.01.2021).

<sup>77</sup> რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „შემოდგომილი და დაუსრულებელი 9 აპრილი,“ *რადიო თავისუფლება*, 9 აპრილი, 2020, <https://bit.ly/3eZdE3h> (ნანახია 10.06.2020).

<sup>78</sup> ნერგაძე, ნიკო და შიო ხიდაშელი. „რა (არ) ვიცით 1989 წლის აპრილის აქციებზე,“ *რადიო თავისუფლება*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3qPLQUs> (ნანახია 03.02.2021).

პარადიგმული მოვლენისა და რჩეული ტრავმის მენტალური რეპრეზენტაცია, რომელიც აისახება ინსტიტუციონალიზაციის სხვადასხვა ფორმაში (ესთეტიკური, რელიგიური, მეცნიერული, სამართლებრივი, მასმედია),<sup>79</sup> ერთგვარ ხელშეუხებლობას იძენს. მისი გადახედვა მოვლენის სინამდის შებლაღვად აღიქმება. როგორც ჯ. ვერჩი აღნიშნავს, როცა ნარატივის ნიმუში ჩამოყალიბებული და გაზიარებულია მნემონიკური ერთობის მიერ, აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლება არსებობდეს მისი რაიმე ლეგიტიმური ალტერნატივა, მკრეხელობად მიიჩნევა.<sup>80</sup>

მაგალითად, 2018 წლის ნოემბერში მძიმე გამოხმაურება მოჰყვა იური მეჩითოვის მიერ აღ ჯაზირას მომზადებულ ფილმში გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც 9 აპრილის ნარატივს და ამ მოვლენის დამკვიდრებულ მნიშვნელობას უპირისპირდებოდა. იური მეჩითოვი, 9 აპრილის ღამისა და მომდევნო დღეების ცნობილი ფოტოების ავტორი, რომელთაგან ერთი – გოგონა შავი დროშით – 9 აპრილის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა, ინტერვიუში ამბობდა: „აქციის მონაწილეები 13-დან 25 წლამდე იყვნენ ძირითადად. მხოლოდ ახალგაზრდები. მონაწილეების ოთხმეტიდან პროცენტი შეიკრიბა იმიტომ, რომ 9 აპრილი შოუ იყო და ისინი შოუს მონაწილეები იყვნენ. ეს იყო კრიმინალური აქტი აქციის ორგანიზატორების მხრიდან, რათა მიეღოთ ასეთი შედეგი. ეს იყო გეგმა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. არავის სურდა ვინმეს მოკვლა. ისინი ყველა ჭყლეტაში დაიღუპნენ. 20 ქალი ასფიქსიით გარდაიცვალა. ჭრილობები ჰქონდათ, მაგრამ ისინი განზრახ არავის მოუკლავს.“<sup>81</sup>

სხვებთან ერთად, მეჩითოვს გამოეხმაურა მისივე ფოტოს წყალობით 9 აპრილის სიმბოლოდ ქცეული გოგონა, ამჟამად ემიგრაციაში მცხოვრები ნანა მახარაძე, რომლის ვინაობა საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამ დრომდე არ იცოდა: „ბევრს ავიწყდება ის, რომ სწორედ 9 აპრილს ანთებული გულეებით, გაბრწყინებული თვალებით, სუფთა ხელებით და ეროვნული სულით მოვიპოვეთ ყველაზე ღირებული მათ შორის, რაც გაგვარჩია – თავისუფლება! [...] კითხვაზე – ‘გოგონა მის ცნობილ ფოტოზე მამაცი იყო თუ სულელი,’ მე გაგცემთ პასუხს: გოგონა იყო სულელურად მამაცი, ისევე როგორც უამრავი ადამიანი, რომელიც იმ ღამეს ქვეყნის სიყვარულისთვის დაჩეხეს, დაწამლეს და გადაუარეს!!! [...] ეს სისხლით მორწყული თარიღი მუდამ თავისუფლების სიმბოლოდ დარჩება იმ გმირების სახელებთან ერთად, რომელთა ხსოვნას ჩვენ, ‘შოუში’ მონაწილე ადამიანები, შთამომავლობას გადავცემთ!“<sup>82</sup> იყო გაცილებით მძიმე შეფასებებიც: „მეჩითოვი და მისნაირები არიან რუსეთის ერთი დიდი ჰიბრიდული ომის ჭანჭიკი, საქართველოს დამოუკიდებლობისა და წარმატების წინააღმდეგ მიმართული. ამ ჭანჭიკებს მაშინ აძრობენ ნაფტალინიდან, როცა სჭირდებათ.“<sup>83</sup>

მეჩითოვმა საჭიროდ ჩათვალა, ბოდიში მოეხადა:

„საშინლად გული მტკივა, რომ ამდენი ტკივილი მივაყენე ჩემს თანამემამულეებს ჩემი ასეთი განცხადებებით. [...] ეს ტკივილი მე არ მშორდება.“

<sup>79</sup> Alexander, Jeffrey C. “Toward a Theory of Cultural Trauma,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 16-17.

<sup>80</sup> Wertsch, James V. “Deep Memory and Narrative Templates: Conservative Forces in Collective Memory,” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 182.

<sup>81</sup> Varshalomidze, Tamuna. “The Soviet Scar: Legacy of USSR Architecture in Georgia,” *Aljazeera*, 10 November, 2018, <https://bit.ly/3HHdhql> (ნანახია 03.02.2021).

<sup>82</sup> ფეისბუქის მომხმარებელ ნანა მარი მახარაძის პოსტი, 12 ნოემბერი, 2018, <https://bit.ly/3t610JI> (ნანახია 03.02.2021).

<sup>83</sup> იქვე.

29 წლის წინ მოხდა ეს ამბავი, ჩემს თვალწინ ხდებოდა ეს ყველაფერი. მაშინ ძალიან განვიცადე, ვიყავი უამრავ პანაშვიდზე. [...] ტკივილი მივაყენე ჩემს მეგობრებსაც, რომლებიც არ ელოდნენ, რომ შეიძლებოდა ასეთი რამე მეთქვა. ჩემი გულწრფელი ბოდიში თუ რალაცნაირად შეანელებს ამ სამართლიან რისხვას, რომელიც მე ვიგრძენი, იქნება კარგი. [...] ჩემი დღევანდელი მდგომარეობა არ არის სახარბიელო, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ გაიგებენ – როგორც სჩვევია ქართველ ხალხს – ამ მდგომარეობას. მთავარია, ჩვენ ისე ვავაკეთოთ და ისე მოვიქცეთ, რომ ეს ყველაფერი არ იყოს ტყუილად და ავამენოთ ისეთი სახელმწიფო, რომლითაც ჩვენ ყველა ვიამყებთ და ყველა ვიცხოვრებთ ერთად, ბედნიერად და კარგად.<sup>84</sup>

საკრალური მნიშვნელობის მქონე ადგილისთვის ბრძოლის ილუსტრაციად იქცა საპროტესტო მიტინგი 2018 წლის მაისში, რომელიც კლუბებში „ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებულ სპეცოპერაციას მოჰყვა. აქციის მეორე დღეს, 13 მაისს, აგრესიულობით გამორჩეული ნაციონალისტური დაჯგუფებების („ქართული მარში“ და სხვა) წევრები და მომხრეები მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ შეიკრიბნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ პარლამენტის შენობის წინა სივრცის დაკავებას, სადაც წინა დღიდან მოყოლებული, საპროტესტო მიტინგის მონაწილეები იყვნენ შეკრებილი, მიტინგის ორგანიზატორებზე ფიზიკურ ანგარიშსწორებას და იქიდან მათ განდევნას.<sup>85</sup> მოვლენისა და ადგილის ფლობისათვის ბრძოლის გამოვლინება იყო აგრეთვე მძაფრი რეაქცია, რომელიც 9 აპრილის მემორიალზე აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ანი სუბელიანის ცეკვას მოჰყვა: „ეროვნული ღირსების შეურაცხყოფა,“ „თავისუფლებისა და ისტორიის შეურაცხყოფა,“ „შეურაცხყოფა მიაყენეს 9 აპრილის გმირებს, ყველა უნდა დაისაჯოს,“ „9 აპრილის მემორიალი არ არის მარტო რალაც ძეგლი, ის ისეთივე წმინდაა, როგორ ტაძარი,“<sup>86</sup> – ასეთი იყო საკრალური ადგილის დამცველთა შეფასებები. „მემორიალზე ცეკვა ჩემთვის თავისუფლების აქტი იყო,“<sup>87</sup> პარლამენტთან მისული ადამიანები იმ ბრძოლას აგრძელებენ, „რასაც ჰქვია 9 აპრილის ბრძოლა,“ „ის, რაც მოყვა ჩემს ამ ქმედებას, ის აგრესია, სიძულვილი, მუქარები ჩემს და ჩემი ოჯახის წევრების მიმართ, შეუძლებელია ხდებოდეს სინმინდებების დაცვის სახელით. შეუძლებელია ეს მოსწონებოდათ იმ ადამიანებს, ვისაც ეძღვნება ეს მემორიალი,“<sup>88</sup> – ეს კი მოვლენისა და ადგილის მნიშვნელობის ანი სუბელიანისეული ახსნაა. ორი წლის შემდეგ, 2018 მაისის მოვლენების გახსენებისას, ანიმ აღნიშნა: „როდესაც მონუმენტზე ვიდექი და ვცეკვავდი, ძალიან დიდ ძალას ვგრძნობდი. თითქოს, ძალიან ძლევამოსილი ვიყავი და შემეძლო ამ ბრძოლის გარდატეხა და ამას ძალიან დიდი ბედნიერების შეგრძნება მოჰქონდა.“<sup>89</sup> „9 აპრილის მემორიალთან რამდენიმე წლის წინ გოგო-

<sup>84</sup> „იური მეჩითოვის ბოდიში,“ YouTube, 15 ნოემბერი, 2018, <https://bit.ly/33eskZX> (ნანახია 03.02.2021).

<sup>85</sup> „ანი სუბელიანი ამბობს, რომ 9 აპრილის მემორიალზე ცეკვის გამო ემუქრებიან,“ *ლიბერალი*, 16 მაისი, 2018, <https://bit.ly/3q3ZXGT> (ნანახია 23.01.2021).

<sup>86</sup> „ანი სუბელიანი: მემორიალზე ცეკვა ჩემთვის თავისუფლების აქტი იყო,“ *TV Imedi*, 13 მაისი, 2018, <https://bit.ly/3eXtefS> (ნანახია 03.02.2021).

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> „ლევან ჩხაიძის დღის ამბები,“ *TV Pirveli*, 17 მაისი, 2018, <https://bit.ly/3JPg3ff> (ნანახია 03.02.2021).

<sup>89</sup> ტყემალაძე, მირანდა. „როდესაც მონუმენტზე ვიდექი და ვცეკვავდი, თითქოს, ძალიან ძლევამოსილი ვიყავი“ - ანი სუბელიანი აქციიდან 2 წლის შემდეგ, *პრაიმტაიმი*, 15 მაისი, 2020, <https://bit.ly/3t6KtUo> (ნანახია 20 იანვარი 2021).

ნა ცეკვადა და ბევრი იყო აღშფოთებული. თინა მაგისტრისა ცეკვნირა, რომ ვილაცას შეძლებოდა რუსთაველზე ცეკვა,<sup>90</sup> განაცხადა 9 აპრილის ღამეს დალუპული თინა ენუქიძის შვილიშვილმა ნინი გოგიბერიძემ 2021 წლის აპრილში.

2019 წლის აპრილში, 1989 წლის 9 აპრილის ოცდაათი წლისთავზე, დაპირისპირება მოჰყვა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პრაიმთაუში“ სიმღერის „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ ახალი ვიდეოკლიპის პრეზენტაციას. 30 წლის შემდეგ კომპოზიტორმა სიმღერის ახალი კლიპი ჩაწერა, სადაც შემსრულებლებად მხოლოდ მამაკაცი მომღერლები მიიწვია. ამან საზოგადოების ნაწილის პროტესტი გამოიწვია: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები 17 მოკლული ქალის გარეშე!“<sup>91</sup> „მოვუწოდებთ ყველა ადამიანს, ვისთვისაც ის 17 ქალი ქვეყნის დაცვის სიმბოლოა, [...] ეს არის იმ 17 ქალის და კიდევ უამრავი სხვა ქალის შეურაცხყოფა, რომლებმაც საკუთარი სამშობლოსთვის განირეს თავი!“<sup>92</sup> კომპოზიტორის პასუხს – „ვთვლით, რომ ოჯახის სიძლიერე არის მამაკაცი, ქვეყნის სიძლიერე არის მამაკაცი, ქვეყნის დამცველი არის მამაკაცი. და სწორედ ამიტომ, ეს 25 მამაკაცი იმღერებს ამ სიმღერას“<sup>93</sup> – კიდევ უფრო დიდი აღშფოთება მოჰყვა: „ამდენ მართლა გმირ ქალს სახეში აფურთხებთ ასე ხმამაღლა? ან რას ეუბნებით პატარა გოგოებს?! რომ მათი სიყვარული, პატივისცემა, თავგანწირვა ქვეყნისთვის არაფერია მამაკაცის თავგანწირვასთან შედარებით?“ „ქვეყანაში, სადაც აღმართულა ამაყად ქართლის დედა ერთ ხელში ფიალით და მეორეში ხმლით, მსგავსი განცხადების გაკეთება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!“<sup>94</sup> ვნებათაღელვა სწრაფად ჩაცხრა: ახალი კლიპი ორ-სამჯერ თუ გაჟღერდა და მალევე მიეცა დავინყებას.

2019 წლის 20 ივნისის „გავრილოვის ღამე“ კოლექტიურ მეხსიერებაში ისევ დააბრუნა 1989 წლის 9 აპრილი: „20 ივნისს გავიღვიძე და დავინახე, რომ [...] 9 აპრილის მემორიალთან არსებულ პარლამენტის შენობაში პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე იჯდა იმ ქვეყნის პარლამენტის, იმ იდეოლოგიის მომხრე პარტიის ლიდერი (სერგეი გავრილოვი), რომლისგან თავის დასახსნელადაც შეიღება წითლად ოთხმოცდაცხრაში რუსთაველის გამზირი,“ წერდა ერთ-ერთი ახალგაზრდა, „მრცხვენოდა საკუთარი თავისა და საკუთარი ქვეყნის, მრცხვენოდა იმ დალუპულების, რომლებიც 2008 წელს, 1990 წელსა და 1989 წელს იმ ნაციასა და იმ პოლიტიკას შეენიშნენ, რომლის დასაცავადაც ახლა ჩვენ გვესროდნენ.“<sup>95</sup> მთავარეპისკოპოს ზენონის სიტყვით, ხელისუფლებამ იმ დღეს მოსახლეობას გაახსენა, „როგორ ნადირობდა მტრის სადამსჯელო რაზმები თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩვენს ხალხზე“ 1989 წლის 9 აპრილს.<sup>96</sup>

<sup>90</sup> „ნინი გოგიბერიძე, რომლის ზეზიაც - თინა ენუქიძე 9 აპრილს ნიჩაზმა იმსხვერპლა,“ *ფორმულა*, 14 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3F5CMQH> (ნანახია 07.05.2021).

<sup>91</sup> ბიძინაშვილი, ნინო. „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ - სიმღერის ახალი ვერსია მხოლოდ კაცების მონაწილეობით და პროტესტი, *Netgazeti.ge*, 29 მარტი, 2019, <https://bit.ly/3HKpudU> (ნანახია 02.02.2021).

<sup>92</sup> „ქვეყნის სიძლიერე მამაკაცია - სიმღერას 'ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები' მხოლოდ კაცები შეასრულებენ,“ *ტაბულა*, 29 მარტი, 2019, <https://bit.ly/3zxxXs5> (ნანახია 02.02.2021).

<sup>93</sup> ბიძინაშვილი, „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“.

<sup>94</sup> „ქვეყნის სიძლიერე მამაკაცია.“

<sup>95</sup> „გავრილოვის ღამე - ნიკუშა,“ *Imitom.ge* (ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3n75x-pM> (ნანახია 12.01.2021).

<sup>96</sup> „დღეს 9 აპრილი გავახსენე - მთავარეპისკოპოსი ზენონი ხელისუფლებას,“ *On.ge*, 21 ივნისი, 2019, <https://bit.ly/3F3HggW> (ნანახია 16.02.2021).



თუმცა, „ის, რაც სამოქალაქო საზოგადოებისათვის 'მეხსიერებისა და გამოხატვის ადგილი,' ერთგვარი ქართული აგორაა, ხელისუფლებისათვის 'ქვეყნის სავიზიტო ბარათია'.“<sup>97</sup> ასე უნდა მას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მაშინ, როცა ქალაქის მერიამ 2020 წლის იანვარში პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია გადაწყვიტა. საზოგადოების ნაწილის მიერ ეს აღქმული იქნა საკრალური ადგილის დაუფლებისა და პროტესტის ტრადიციული ადგილის მოშლის მცდელობად. ამგვარ აღქმას ჰქონდა საფუძველი და წინაპირობა: სამუშაოების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, 2019 წლის 30 დეკემბერს, მერიამ, საახალწლოდ საბავშვო ატრაქციონებისა და დეკორაციების გამართვის საბაბით, დაშალა მალხაზ მაჩალიკაშვილის კარავი, რომელიც იქ 2018 წლიდან იდგა და რომელიც რამდენჯერმე იქცა დაპირისპირების საგნად: ხელისუფლებამ კარავი 2019 წლის 20 ივნისს, ანტისაოკუპაციო აქციის დაშლის დროს აიღო, საბაბად კი მაშინაც მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის გეგმა დაასახელა.<sup>98</sup> კარავი ისევ დაიდგა. 2019 წლის 10 დეკემბერს ოპოზიციის წინააღმდეგ შექმნილი ორგანიზაციის „შეინარჩუნე სიცოცხლე“ წევრებმა მაჩალიკაშვილის კარვის წინ თავიანთი კარავი დადგეს და განაცხადეს, რომ გავრილოვის ღამის საპროტესტო და სხვა აქციები მათ 1990-იან წლებს აგონებდა და ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ „კონსტიტუციის მიღმა ქმედებებს“;<sup>99</sup> თუმცა, სიტყვიერი დაპირისპირებისა და განევ-გამოწევის შემდეგ, ეს „კონტრ-კარავი“ იქიდან გაიტანეს.<sup>100</sup>

რეაბილიტაციის პროცესის გამო, პირველად 30 წლის შემდეგ, ვერ მოხერხდა 9 აპრილის წლისთავის ტრადიციული აღნიშვნა 2020 წლის 9 აპრილს. მთავრობა მივიდა იმ მწვანე ლობესთან, რომელიც პარლამენტის წინა სივრცეს შემოავლეს სამუშაოების დაწყებისას და, მის წინ ტრადიციული წითელი ტიტების დაწყობით, პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას. „მთავრობა გამოეხმაურა 9 აპრილის წლისთავს, მაგრამ ხალხმა ვერ აღნიშნა ის. მთავრობა 9 აპრილის ტრაგედიას არასდროს ივინყებდა საქართველოში, მათ შორის ის მთავრობაც, რომელიც, პრინციპში, მთავრობა იყო მაშინაც, 1989 წლის აპრილში. [...] პირველად ამ ტრაგიკული ღამის შემდეგ ხალხი ვერ შეიკრიბა გათენებისას მთავრობის სახლის წინ. კომენდანტის საათია, როგორც მაშინ, აპრილის დღეებში,“<sup>101</sup> აღნიშნავს გიორგი (გოგი) გვახარია. რუსთველის გამზირზე არ მისულა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, თუმცა მან 9 აპრილის ტრადიციული ნარატივი გაიმეორა („9 აპრილის დღესასწაული და ტრაგიზმი“), ხაზი გაუსვა ამ თარიღის ისტორიულ მნიშვნელობას: „ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული და ამავდროულად, უდიდესი გამარჯვების დღე,“<sup>102</sup> მიუსვლელია

<sup>97</sup> რეზიაშვილი, „ევრორემონტი საკრალურ ადგილზე.“

<sup>98</sup> „მალხაზ მაჩალიკაშვილს რუსთაველზე კარავს აღარ აშლენიანებენ,“ *On.ge*, 25 ივლისი, 2019, <https://bit.ly/3GkT1Lf> (ნანახია 10.02.2021).

<sup>99</sup> ზოგვერაძე, მარიამ. „ოპოზიციის წინააღმდეგ შექმნილი ორგანიზაციის წევრებმა რუსთაველზე კარავი დადგეს,“ *Netgazeti.ge*, 10 დეკემბერი, 2019, <https://bit.ly/3t6R0hS> (ნანახია 10.02.2021).

<sup>100</sup> ჩიჩუა, ნინო. „მაჩალიკაშვილის ზანერთან კარვის გაშლას ინციდენტი მოჰყვა,“ *Netgazeti.ge*, 10 დეკემბერი, 2019, <https://bit.ly/3qZn30i> (ნანახია 10.02.2021).

<sup>101</sup> გვახარია, გიორგი. გადაცემა „აპრილი 1989-2020,“ ციკლიდან „ანარეკლები,“ რადიო თავისუფლება, 12 აპრილი, 2020, <https://bit.ly/3K1o9Sf> (ნანახია 10.02.2020).

<sup>102</sup> ქენჭაძე, ნათია. „სალომე ზურაბიშვილი - მე არ მივსულვარ 9 აპრილის მემორიალთან,“ *პირველი არხი*, 9 აპრილი, 2020, <https://bit.ly/3G6X91c> (ნანახია 16.02.2021).

კი კოვიდ პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით ახსნა, რის გამო ბევრი ადამიანი ვერ მივიდა მემორიალთან.

2020 წლის იანვარში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები აგვისტოში დასრულდა. 9 აპრილის მემორიალის შემადგენელი, ისტორიული ქვის ფილები თავის ადგილას დააბრუნეს, არც მონუმენტს შეხებია ცვლილება, მხოლოდ სივრცე დაანაწევრეს გაზონებით. სწორედ ეს შეფასდა როგორც „საკრალური ადგილის ევრორემონტი,“ გამოხატვის ადგილის წაშლისა და „ამ ადგილის ოკუპაციის მცდელობა,“ რომელიც არ იყო ერთადერთი დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში. თუმცა, როგორც ემზარ ჯგერენაია აღნიშნავს, „ვერანაირი მცდელობა ვერ შეცვლის ამ ადგილის მნიშვნელობას და ეს ადგილი მაინც დარჩება მთავარ ადგილად, სადაც მოქალაქეები ყოველთვის იტყვიან თავის სათქმელს. ხალხი ყველა შემთხვევაში მოახერხებს შეკრებას. [...] თანაც მთელი რუსთაველის გამზირი ამ სივრცის ნაწილია.“<sup>103</sup>

ამრიგად, პარლამენტის წინა სივრცე კვლავ რჩება სივრცედ, სადაც იწერება საქართველოს თანამედროვე ისტორია. რაც შეეხება 9 აპრილს, ეს პარადიგმული თარიღი 1993 წლიდან აღინიშნება როგორც „საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე“ და უქმედ არის გამოცხადებული. საქართველოს პარლამენტის N 211 დადგენილებაში, რომელიც 1993 წლის 8 აპრილს მიიღეს, ნათქვამია: „საქართველოს უახლეს ისტორიაში დიდია ცხრა აპრილის მნიშვნელობა. ამ დღეს ქართველმა ერმა ერთხმად და თამამად გამოხატა თავისი სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ამ დღეს დაიღვარა სამშობლოსათვის თავგანწირულ მამულიშვილთა უმანკო სისხლი და ამ დღესვე აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამდენად ეს დღე არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოა, არამედ საქართველოს ერთიანობისა და წინსვლის დღეც არის.“<sup>104</sup> 9 აპრილთან დაკავშირებით ეროვნული ერთიანობის, სამშობლოსთვის თავგანწირვისა და მამულიშვილთა უმანკო სისხლის ხსენება სრულიად ბუნებრივი გახლდათ, სამოქალაქო თანხმობამდე კი შორი, რთული და მტკიცენიული გზა იყო გასავლელი.

9 აპრილის კოლექტიურმა ტრავმამ, როგორც პარადიგმულმა მოვლენამ, ბევრი ფაქტის მნიშვნელობა განსაზღვრა. მან განამტკიცა და დაამკვიდრა საპროტესტო მიტინგებზე გაჩენილი „ქართული პოლიტიკური რიტორიკა და მეტაფორიკა, ეროვნული ცნობიერების მთელი სიმბოლური სამყარო თავისი მტრისა და მოყვასის, მოლაღატისა და ეროვნული გმირის ხატებით და ამ ხატების შექმნის კრიტერიუმებით.“<sup>105</sup>

<sup>103</sup> რეხვიაშვილი, „ევრორემონტი საკრალურ ადგილზე.“

<sup>104</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ,“ *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 8 აპრილი, 1993, <https://bit.ly/3qYMIx8> (ნანახია 11.04.2021).

<sup>105</sup> მაისურაძე, გიორგი. „დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა,“ გიორგი მაისურაძე, *ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011), გვ. 6.

**ტრავმული როგორც მოწამობა და ამაღლება: გიორის დაბადება**

1989 წელს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას, რომელიც 1921 წლიდან ლენინის სახელს ატარებდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერის, საბჭოთა სისტემის შეურიგებელი მონინალმდევის, მერაბ კოსტავას სახელი ეწოდა.<sup>106</sup> იგი 1989 წლის 13 ოქტომბერს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

მერაბ კოსტავას ტრაგიკული დაღუპვა იყო ერთ-ერთი მოვლენა, რომლის მნიშვნელობა 9 აპრილის რეზონანსმა განაპირობა. ეს ფაქტი უეცარი, მოულოდნელი, დაუფერებელი და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა 9 აპრილით ტრავმირებული ქართული საზოგადოებისათვის (ალბათ, ნაკლებად – წარმოუდგენელი, რამდენადაც საბჭოთა რეჟიმის მიერ მონინალმდევებთან და, ზოგჯერ, ასეთად მიჩნეულ თანაპარტიელებთან ანგარიშსწორების ხერხად ავტო- და ავიაკატასტროფები არაერთხელ ყოფილა გამოყენებული და საზოგადოებამ ეს არასდროს აღიარებული ფაქტები მითქმა-მოთქმის დონეზე მაინც იცოდა). შეიძლება ითქვას, რომ კოსტავას ტრაგიკული დაღუპვა „ჩაჯდა“ დროის მოკლე მონაკვეთში მიმდინარე რადიკალურ და მოულოდნელ ცვლილებათა ჯაჭვში, როგორც მისი ერთ-ერთი რგოლი. მან გააღრმავა საზოგადოების გამაერთიანებელი კავშირებისა და ერთობის განცდის დაზიანება, რომელიც გაცილებით ადრე დაიწყო და ყველაზე მკაფიოდ 1989 წლის 9 აპრილის ტრავმულით გამოვლინდა. კოსტავას დაღუპვამ, თავის მხრივ, გავლენა იქონია უახლოეს მომავალში განვითარებულ მოვლენებზე.

ტრავმული მოვლენის გააზრება ხდება იმ მნიშვნელობათა ფარგლებში, რომლებიც კოდირებულია მოცემული საზოგადოების კულტურაში.<sup>107</sup> ეს პროცესი იწყება მომხდარზე საუბრით: ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ დაკვირვებებს, ჭორს და მითქმა-მოთქმას, ადგენენ ტრავმული გამომწვევ მიზეზებს, ეძებენ დამნაშავე(ებ)ს, ქმნიან შეთქმულების თეორიებს, იღებენ მოქმედების გადანყვეტილებას და ფიქრობენ დაძლევის მეთოდებზე.<sup>108</sup> მერაბ კოსტავას სიკვდილის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ქვეყანაში. მაშინვე გაჩნდა აზრი, რომ ავტოავარია შემთხვევითი არ იყო და ის უშიშროებამ მოაწყო. „მერაბს გზაზე ხბომ კი არა, იმპერიამ გადაურბინა!..“<sup>109</sup> – თინათინ მღვდლიაშვილის ეს სიტყვები, რომლებიც მაშინ დაინერა, ნათლად გამოხატავს რწმენას, რომ მერაბ კოსტავას კომუნისტური ხელისუფლება გაუსწორდა. კოსტავას თანამებრძოლებმა უარი თქვეს ცხედრის გაკვეთაზე. გამოძიება დაიწყო, მაგრამ ოფიციალური ვერსიისა და დასკვნის მიმართ უნდობლობა იმთავითვე გაჩნდა და დღემდე არ შეცვლილა.<sup>110</sup>

<sup>106</sup> ენციკლოპედია თბილისი. *ქუჩები, გამზირები, მოედნები*, ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (თბილისი: 2008), გვ. 100.

<sup>107</sup> Sztompka, "The Trauma of Social Change," p. 165.

<sup>108</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>109</sup> მღვდლიაშვილი, თინათინ. „დაღწილი თავისუფლება“ (დაწერილია 1990 წელს), გამოქვეყნებულია თინათინ მღვდლიაშვილის ფეისბუქის გვერდზე, 26 მაისი, 2019, <https://bit.ly/31Amm57> (ნანახია 20.02.2021).

<sup>110</sup> თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“ რუსთავი 2, 2002, *You-Tube* (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/34saPG6> (ნანახია 09.04.2021); დოკუმენტური ფილმი მერაბ კოსტავას დაღუპვის დეტალებზე, *Myvideo.ge*, 29 მაისი, 2017, <https://bit.ly/3z-BZ631> (ნანახია 20.02.2021); თოფურია, თეა. „არავის ენდობა. არ აღიარებს დანაშაულს. იტანს შიშშილს,“ ახალი გამოცემა მერაბ კოსტავას ცხოვრებაზე, *რადიო თავისუფლება*, 30 იანვარი, 2020, <https://bit.ly/3n5Sp4q> (ნანახია 20.02.2021).

ტრავმული განცდის – მოულოდნელობის, დაბნეულობის, გაურკვეველობის, ტრაგიზმის – გამოხატულება იყო მერაბ კოსტავას პანაშვიდები მის სახლში, რუსთაველის გამზირზე, სადაც რამდენიმე დღის მანძილზე უამრავი ადამიანი იკრიბებოდა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ინიციატივით, გადაწყდა მერაბ კოსტავას დაკრძალვა მთაწმინდაზე. ხელისუფლებაში მყოფ საბჭოთა პოლიტიკურ ელიტას წინააღმდეგობა არ გაუწევია: ის მანამდეც და შემდეგაც ერიდებოდა ვითარების გამწვავებას და მიმდინარე პროცესებზე კონტროლის შენარჩუნებას რეპრესიებისა და დათმობების მონაცვლეობით ცდილობდა,<sup>111</sup> განსაკუთრებით – 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. თუმცა, როგორც ჩანს, მთაწმინდის პანთეონში მერაბ კოსტავას დაკრძალვის იდეა საყოველთაოდ გაზიარებული არ ყოფილა. მათ გასაგონად, ვინც ამ აზრს არ იზიარებდა, დაკრძალვის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ავთანდილ იმნაძე აღნიშნავდა: „ზოგი უმეცარი დღესაც გაოგნებულია, რა გააკეთა მერაბ კოსტავამ ისეთი, რომ მას მამადავითზე მიუჩინეს სამუდამო ადგილსამყოფელი, ცოტას ხომ არ ვამეტებთო. არა, არაფერს ვამეტებთ, ვგონებ პირიქით, ესეც ცოტაა.“<sup>112</sup> როგორც გიორგი მაისურაძე შენიშნავს, მერაბ კოსტავას მთაწმინდაზე დაკრძალვა საქართველოში ეროვნული მოძრაობის დომინანტ პოლიტიკურ ძალად აღიარება იყო.<sup>113</sup>

მერაბ კოსტავას ტრაგიკული სიკვდილის კონკრეტული სახით განსაზღვრა იმ მნიშვნელობათა ფარგლებში, რომელიც გაზიარებული და გასაგები იყო ქართული საზოგადოებისათვის, ან, შტომპკას სიტყვით რომ ვთქვათ, ტრავმის კულტურული კონსტრუირება, სწორედ დაკრძალვის ცერემონიალით იწყება. იგი, ისევე როგორც კოსტავას დაღუპვის ამსახველი ნარატივები, შეესაბამებოდა ქართულ კულტურულ ნიმუშს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ „იმუშავა“ 9 აპრილის ტრავმისათვის შინაარსისა და მნიშვნელობის მინიჭების პროცესში. ამჯერად ამ ნიმუშმა ემოციით დატვირთა მერაბ კოსტავას გარდაცვალება და განსაზღვრა მისი მნიშვნელობა.

21 ოქტომბერს მისი ცხედარი სიონის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს, სადაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გადაიხადა პანაშვიდი „მამულისათვის ნამებული გმირის მერაბ კოსტავას სულის მოსახსენებლად.“<sup>114</sup> 3 საათზე უზარმაზარი პროცესია რუსთაველის გამზირის გავლით მთაწმინდისკენ დაიძრა. სიონიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშით შემკული კუბო ჩოხოსნებმა გამოასვენეს, დახრილი დროშები მოჰქონდათ სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებსაც. მთაწმინდისკენ მერაბ კოსტავას მიაცილებდა შა-

<sup>111</sup> მაგალითად, 1990 წლის 29 აგვისტოს თბილისის ცენტრალური მოედნიდან, რომელიც ლენინის სახელს ატარებდა, სახალხო დემუტატთა თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, აიღეს მისი ძეგლი (დაიდგა 1956 წელს). ამ ფაქტის ახსნა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარის ნიკო ლევიშვილის მიერ ნათლად აჩვენებს კომუნისტური ხელისუფლების მცდელობას, ხელიდან არ გაეშვა მენსიერების ფორმირების სადავეები (იხ. ზემოთ, გვ. 62-63).

<sup>112</sup> *გამოთხოვება მერაბ კოსტავასთან, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი, 1989 წლის 21 ოქტომბერი*, რედ. ვახტანგ ზახტაძე (თბილისი: მაცნე, 1992), გვ. 18.

<sup>113</sup> მაისურაძე, გიორგი. „გმირი,“ გიორგი მაისურაძე, *ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011), გვ. 102.

<sup>114</sup> *გამოთხოვება მერაბ კოსტავასთან*, გვ. 11.

ვი ცხენი ზედ დაკრული შავი ნაბდით.<sup>115</sup> პანთეონში, მცირე ლოცვის აღვლენის შემდეგ, გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. დაკრძალვა დაავგირგვინა სვანურმა ზარმა, სიმღერებმა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და „შავლეგო“;<sup>116</sup> ეს უკანასკნელი 1988-89 წლებში მუდმივად ჟღერდა მიტინგებზე, როგორც მტერთან შეურიგებელი ბრძოლის ჰიმნი, ამის შემდეგ კი დიდი ხნით დაუკავშირდა მერაბ კოსტავას სახეს (ამ თემას ქვემოთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით).

დაკრძალვის ცერემონიამ ტრავმის ამოთქმის საშუალება მისცა საზოგადოებას, რაც ტრავმის განსაზღვრის და ტრავმული განცდის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. ახალმა ტრავმამ განამტკიცა 9 აპრილის ტრავმული გამოცდილება. სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვები ქართული კულტურის ფარგლებში გასაგებ და მიღებულ მნიშვნელობებს/ნიმუშებს ემყარებოდა:

1. ხაზგასმული იყო **გმირობისა და სამშობლოსთვის თავდადების იდეალები, წინაპრებთან სულიერი სიახლოვე** და მათი საქმის გაგრძელება: „შენს მიერ გაღვიძებული ივერი შენს გვერდით არის, ძმაო. დიდი ილიას გვერდით დამკვიდრებულ“<sup>117</sup> (ზვიად გამსახურდია); „მთანმინდაზე კიდევ ერთი „საშვილიშვილო სამარე“ გაჩნდა ილიასა და დიმიტრი ყიფიანის გვერდით, „მომავალ საქართველოში [...] კიდევ ერთი აჩრდილი გადმოდგება მთანმინდის მიწიდან, რათა ყოველდღიურად [...] ასე ძვირფასი და ნაცნობი სიტყვებით შეგვეხმინოს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“<sup>118</sup> (თემურ ქორიძე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წევრი); „ისევე როგორც ილიას დროს, ილიას სიკვდილის დროს, მის ცხედართან მონინავე ინტელიგენციამ და მონინავე ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და მიხვდა, თუ რისთვის უნდა ებრძოლა,“ „სანამ იცოცხლებს საქართველო, [...] მასზე ისევე გაიზრდებიან თაობები და პატარა ბავშვები, როგორც ჩვენ ვიზრდებით ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის, ყველა იმ ქართველი წამებულის და ქართველი გმირის მაგალითზე, ვინც სამშობლოს თავისუფლებას შესწირა თავი“<sup>119</sup> (დავით ტურაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პრესკლუბის წევრი).
2. გარდა ამისა, მომხდარი **ტრავმულია წარმოდგენილი იყო როგორც მსხვერპლშენიერვა და ამაღლება**, რითაც აგრძელებდა და ავითარებდა 9 აპრილის ნარატივით საფუძველჩაყრილ ნიმუშს; უხვად იყო გამოყენებული რელიგიური რიტორიკა, რაც ასევე შეესაბამებოდა როგორც კულტურულ ნიმუშს, ასევე დროის სულისკვეთებას: „დასრულდა მონამებრივი გზა დიდი მამულიშვილისა“<sup>120</sup> (ზვიად გამსახურდია); „...დღეს საქართველო გოლგოთის გზით მიდის. აღმართავს ის გოლგოთაზე საქართველოს თავისუფლებისა და გამარჯვების ჯვარს, თუ თვითონ მას გააკრავენ ამ ჯვარზე, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ვაჟკაცები ვიქნებით ჩვენ, რამდენად პატიოსანნი და რამდენად

<sup>115</sup> ფოტო იხ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე, <https://bit.ly/3G921my> (ნანახია 20.05.2020).

<sup>116</sup> *გამოთხოვება მერაბ კოსტავასთან*, გვ. 11.

<sup>117</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 16-17; ციტატა მოტანილია ილია ჭავჭავაძის პოემიდან „აჩრდილი.“

<sup>119</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>120</sup> იქვე, გვ. 12.

გონიერნი. შენ ამ ვაჟკაცობის, გონიერებისა და პატიოსნების მაგალითი აჩვენე,“ აღნიშნა აკაკი ბაქრაძემ, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, მან მერაბ კოსტავა ამ ბრძოლაში დაღუპულ გმირად მიიჩნია, რომელსაც გლოვა არ შეეფერებოდა.<sup>121</sup> „შენ ქრისტეს მსგავსად შენი ნებით აირჩიე ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გოლგოთის გზა“;<sup>122</sup> „გადავხედე წმინდა სახარებას და საოცარი რამ დავინახე. იქ, სადაც ცხრა ნეტარებაა მოხსენიებული, გადავიკითხე და აღმოჩნდა, რომ ცხრავე გესადაგება შენ და შენს მიერ განვლილ ცხოვრებას. შენ ცხრა გზის ნეტარი ხარ, მერაბ!“ „მეოცე საუკუნეში აღსავლის კარიბჭე ასე ფართოდ არავისთვის გაღებულა“<sup>123</sup> (ავთანდილ იმნაძე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წევრი).

3. ხაზგასმული იყო **მიძიმე ბედთან შეურიგებლობა და მომავლის იმედი**: უკვე 14 ოქტომბერს „საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“ თავის ბიულეტენში „მაცნეს ქრონიკა“ (N 1) წერდა: „სვანური ზარით უსიტყვოა ჩვენი მწუხარება. სრულიად საქართველოსთვის შეწირული მერაბ კოსტავას „შავლეგო“ კიდევ უფრო მძლავრად დაიგუგუნებს ჩვენს მამულში. მოდის ნანატრი თავისუფლება! მოდის „შავლეგო“!<sup>124</sup> სამგლოვიარო მიტინგზე კი ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა: „რალად უნდა რეფერენდუმი საქართველოს, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა აღიარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდის დიდება, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა ამოაცილა მერაბი წინაპართა, წმინდანთა და მოღვაწეთა სამკვიდრებელში.“<sup>125</sup> იგივე იმედის გამოხატულება და მისი გაღვივების მცდელობაა სიტყვები: „შენი ხატება გაგვინათებს ჩვენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე“;<sup>126</sup> „იგი [მერაბ კოსტავა] კვლავ შეგვასმენს თავის გმირულ შავლეგოს, კვლავ შეგვასმენს და კვლავ დაამხოვს მტერს და გაანთავისუფლებს საქართველოს“ (ზვიად გამსახურდია);<sup>127</sup> „ღრმად ვართ დარწმუნებულნი, უკანასკნელი ქართველიც, თუკი გადარჩება ის, გაიტანს ამ დროშას და აღმართავს, როგორც გამარჯვების სიმბოლოს“ (აკაკი ბაქრაძე);<sup>128</sup> „ბრძოლის ველზე დაცემული მერაბ კოსტავას დროშა დღეს უკვე რომელიღაც 16-17 წლის პირტიტველა ჭაბუკს უპყრია ხელთ [...] „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი არ ჭამონ მტრისანი“ (ავთანდილ იმნაძე).<sup>129</sup>

მერაბ კოსტავას დაღუპვა აღქმული იქნა ცოტა ხნის წინანდელი და ჯერ კიდევ მძაფრი ემოციის – 9 აპრილის ტრავმის – შუქზე, რომელიც „სულ რამდენიმე კვირაში [...] ჩაინერა საქართველოს ისტორიაში ესოდენ მრავლად არსებული ეროვნული კატასტროფების ეპიკურ მითოლოგიაში“<sup>130</sup> და თანდათან ყალიბდებოდა

<sup>121</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>122</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>123</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>125</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>126</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>127</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>128</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>129</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>130</sup> ჯონსი, სტივენ. *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013), გვ. 48.

პარადიგმულ მოვლენად ქართველთა ტრავმირებულ ფსიქიკაში. „დღევანდელი დღე 9 აპრილის ტოლია. [...] ამალდა დიდი ქართველი და დაჰნათის საქართველოს, ვითარცა წამებულნი 9 აპრილისანი და მოგვინოდებს თავდადებისაკენ,<sup>131</sup> განაცხადა ზვიად გამსახურდიამ გამოსათხოვარ სიტყვაში. „შენი მკვლელობა ვერ ჩაახშობს თავისუფლებისკენ მიმართულ ქართულ სულს, ისევე როგორც 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტამ ვერ ჩაახშო,“ აღნიშნა ავთანდილ იმნაძემ.<sup>132</sup> 9 აპრილი და მომავლის იმედი ნახსენები იყო ასევე ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხას წარმომადგენლის ლექსში, რომლითაც მან სამგლოვიარო მიტინგზე თავისი გამოსვლა დაასრულა: „როგორ ჩეხეს ქორფა გოგო-ბიჭები / და დროებით თუ ჩაგვაცვეს თაღი, / არ იქნება, ჯიშში არ უწერია / დაჩოქილი საქართველოს ხალხი.“<sup>133</sup>

მერაბ კოსტავას გამორჩეული ადგილი ეკავა 9 აპრილის მოვლენებში. იგი ერთგვარი მეკავშირე რგოლი იყო „არაფორმალების“ სხვადასხვა, ხშირად დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის. მისი გამოსვლები მიტინგებზე გულწრფელი ემოციურობით გამოირჩეოდა. როგორც ა. ასმანი აღნიშნავს, „ჩვენი მეხსიერება კრისტალიზდება ემოციის გარშემო და შეფერილია ემოციით.“<sup>134</sup> მერაბ კოსტავას, როგორც ეროვნული გმირის, სახის ჩამოყალიბება სწორედ მიტინგებიდან მომდინარე ემოციით გამსჭვალულმა მეხსიერებამ განაპირობა. მას ხელი შეუწყო კოსტავას დაკრძალვის ცერემონიამ, რომლის „მასშტაბურობა და მასში რაც შეიძლება მეტი ადამიანის მონაწილეობა გმირს გმირობის საერთო-ეროვნულ მანდატს ანიჭებს“,<sup>135</sup> ხოლო განსაკუთრებულ ადგილას – მთაწმინდის პანთეონში – მდებარე საფლავი მეხსიერების ადგილად ყალიბდება და ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცევა.

არსებობდა რამდენიმე გარემოება, რომლებმაც ხელი შეუწყო მერაბ კოსტავას დაღუპვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ იქნა გაზიარებული. კოსტავასთან ერთად, ავტოკატასტროფაში მოჰყვა ზურაბ ჭავჭავაძეც – ეროვნული მოძრაობის ზომიერი ფრთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ლიდერი, რომელმაც ავარიიდან ორ თვეზე ცოტა მეტი იცოცხლა და, როცა ყველაზე მძიმე პერიოდი, თითქოს, გავლილი იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკვდილის ოფიციალური მიზეზად „ბ“ ჰეპატიტი დასახელდა, თუმცა არც ეს სჯეროდა ვინმეს. ჭავჭავაძის გარდაცვალებას ეროვნული დანაკარგის განზომილება არ შეუძენია: ჯერ ერთი, ეროვნულ მოძრაობაში მას გაცილებით ნაკლები გავლენა ჰქონდა, მიტინგებსა და დემონსტრაციებზეც ნაკლებად ჩანდა, მათ შორის – 9 აპრილის წინა დღეებში, თუმცა 4 აპრილს დაწყებული მიტინგი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიცირებული იყო, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ზურაბ ჭავჭავაძე გახლდათ; მაგრამ სულ მალე მიტინგის სადავეები ეროვნული მოძრაობის უფრო რადიკალურ ლიდერთა ხელში გადავიდა და ზურაბ ჭავჭავაძემაც უკანა პლანზე გადაინაცვლა. მისი ფიგურა არ იყო დატვირთული ემოციით, რომელიც, ა. ასმანის სიტყვით, „მსჭვალავს დამახსოვრების ყველა სოციალურად მნიშვნელოვან

<sup>131</sup> *გამოთხოვება მერაბ კოსტავასთან*, გვ. 12.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>133</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>134</sup> Assmann, "Impact and Resonance," p. 43-44.

<sup>135</sup> მასურაძე, „გმირი.“

პრაქტიკას.<sup>136</sup> გარდა ამისა, ზემოთ ნახსენები კულტურული ნიმუშის ფარგლებში, გაცილებით გასაგები და მიმზიდველი იყო მერაბ კოსტავას მიძიმე წარსული – დისიდენტობა, პატიმრობა, საბჭოთა რეჟიმთან შეურიგებლობა, პირადი დანაკარგები, გამბედაობა, ორატორული გამორჩეულობა, რაც ბევრად უფრო მეტად შეესაბამებოდა გმირის სახეს, ვიდრე ზურაბ ჭავჭავაძის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აკადემიური“ ბიოგრაფია.<sup>137</sup>

მერაბ კოსტავას მიმართ განსაკუთრებული მონინება მის სიცოცხლეშივე ჩამოყალიბდა. ის წარმოიდგინებოდა გმირად, რომელიც ამქვეყნიურ ამაოებაზე მაღლა იდგა. „მერაბის სიტყვით გამოსვლის დაწყებასთან ერთად ნისლმაც დაიწყო ჩამონოლა. მერაბს თეთრი შარვალი და შავი პერანგი ეცვა. უკვე ერთ მეტრზე ერთმანეთს ვერ ვარჩევდით. მერაბის ხმა ისმოდა და წელს ზემოთ ჩანდა მხოლოდ შავი პერანგის წყალობით. თითქოს ღრუბლებში იდგაო, ცასა და მიწას შორის,<sup>138</sup> – ასე აღწერს მასთან ერთ-ერთ შეხვედრას ცნობილი ქართველი ირანისტი ნომადი ბართაია.

და ბოლოს, მერაბ კოსტავას დაკარგვა აღძრავდა შიშს, რომ ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ფრთას შორის დაპირისპირება გაიზრდებოდა, რადგან იგი ერთგვარ გამანონასწორებლად და შემაკავშირებლად მიიჩნეოდა სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის.

ვფიქრობთ, მერაბ კოსტავას როგორც ლიდერის ლეგიტიმურობას მაქს ვებერის მიერ აღნიშნული სამი საფუძვლიდან მეორე განსაზღვრავდა – „ხარიზმა, იმ პიროვნების ავტორიტეტი, ვისაც ბუნებამ პიროვნულად მიამაძლა და უშუალოდ აზიარა [...] გმირობასა და ბელადობის სხვა თვისებებს. ესაა პოლიტიკური ბატონობა, რომელსაც ახორციელებს [...] პოლიტიკურ სარბიელზე – არჩეული მხედართმთავარი თუ პლებისციტური მბრძანებელი, დიდი დემაგოგი თუ პოლიტიკური პარტიის ბელადი.“<sup>139</sup> „ხარიზმის მატარებელი პიროვნულად ანდა შინაგანი „მოწოდებით“ ითვლება ადამიანთა ხელმძღვანელად, ადამიანები მას მორჩილებენ არა ზნისა და წესდების გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ სწამთ ხელმძღვანელისა.“<sup>140</sup> მერაბ კოსტავა არ გახლდათ არც პლებისციტური მბრძანებელი, არც პარტიის ბელადი, თუმცა ის ნამდვილად იყო „დემაგოგი“ – პიროვნება, რომლის გამოსვლები და ქმედებები ზემოქმედებდა რიგით მოქალაქეთა ემოციებზე და მოიპოვებდა მათ მხარდაჭერას, რაციონალური არგუმენტების არსებობა-არარსებობის მიუხედავად,<sup>141</sup> რომელსაც მხარს უჭერენ იმიტომ, რომ ენდობიან მის გულწრფელობას და განვლილი ცხოვრების გზას.

სწორედ ამიტომ, მერაბ კოსტავამ ცენტრალური ადგილი დაიკავა ახალ ნარატივში, რომელმაც შექმნა „ახალი გმირი,“ როგორც ახალი ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი საფუძველი.<sup>142</sup> მას უწოდეს „ქართველთა გაუტყეხელი სინდისი“ (ვახტანგ

<sup>136</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 43-44.

<sup>137</sup> გიორგი მასლურაძე აღნიშნავს, რომ გმირის ბიოგრაფიის „არანორმალური“ დეტალები ხშირად მისი მომავალი გმირობის წინაპირობად გაიგება (მასლურაძე, „გმირი,“ გვ. 87).

<sup>138</sup> ბართაია, *ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან*, გვ. 63.

<sup>139</sup> ვებერი, მას. *პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა*. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ბარამიძემ (თბილისი: გონი, 1994), გვ. 14.

<sup>140</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>141</sup> დემაგოგიის განმარტება იხ. *Cambridge Dictionary*, <https://bit.ly/3q2BEJ8> (ნანახია 15.08.2020).

<sup>142</sup> Alexander, “Toward a Theory,” p. 12-15.



ბახტაძე),<sup>143</sup> „საქართველოს შიშველი სატევარი“<sup>144</sup> (აკაკი ბაქრაძე), „ჩვენი უხინჯო რაინდი და ზნეობრივი გუშაგი“ (ნოდარ ნათაძე)<sup>145</sup>. მძიმე ტრავმულ გარემოში, ამ გმირთან თვითიდენტიფიკაცია იძლეოდა პოზიტიური პასუხის გაცემის შესაძლებლობას კითხვებზე: ვინ ვართ ჩვენ? საიდან მოვედით? საით გვსურს წასვლა? – რომლებიც, როგორც ალექსანდერი აღნიშნავს, ტრავმირებული საზოგადოების წევრებისათვის ფუნდამენტურ კითხვებად აღიქმება.<sup>146</sup>

მძიმე და ტრავმული მოვლენებით აღსავსე 1990-იან წლებში მერაბ კოსტავას სახელს ხშირად ახსენებდნენ, განსაკუთრებით – სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდში. 1991 წელს დაინერა ლექსი „ქართველები შეარიგე, მერაბ!“ (თინათინ მღვდლიაშვილი), რომელშიც ფიგურირებს თეთრი ცხენი, რომელიც მხედარს ელოდება, შინდისფრად მოელვარე საქართველო, ბასიანი, დიდგორი, სათნოება, ანგელოზი, ღვთისმშობელი; ოთხსტროფიანი ლექსის პირველი და ბოლო სტროფი ბოლოვდება ვედრებით: „მთანმინდიდან გადმოდექი, გევედრები, ქართველები შეარიგე, მერაბ!“<sup>147</sup> პათეტიკით, ემოციითა და ტრაგიზმით აღსავსე ამ ტექსტზე ზურაბ მჭავიამ სიმღერაც დაწერა, რომელსაც გოგი დოლიძე ასრულებდა, თუმცა იგი ქართველ შემსრულებელთა რეპერტუარში არ დამკვიდრებულა.<sup>148</sup>

როგორც ვხედავთ, მერაბ კოსტავას დალუპვით გამოწვეული ტრავმის ნარატივის შექმნა მაშინვე დაიწყო. მომდევნო პერიოდში იგი აისახა დოკუმენტურ ფილმებში, ისტორიკოსთა შრომებში, მოხსენიებულია სახელმძღვანელოებში, ტელეგადაცემებში, ინტერვიუებში. იან ასმანის კლასიფიკაციით, ამ ნარატივის ჩამოყალიბებაზე აქტიურ ზეგავლენას ახდენენ „მოვლენათა აქტორები,“ ანუ კომუნიკაციური მეხსიერება. „ტრავმის ყველაზე მწვავე და ძლიერი ემოციური დისკურსი“ უკვე გამქრალია და საზოგადოებას იგი ზემოთ დასახელებული მეხსიერების არეების მეშვეობით მიეწოდება.<sup>149</sup> ასევე მეხსიერების ადგილად შეიძლება ჩაითვალოს 2017 წელს გამოცემული ნიაზ დიასამიძისა და ჯგუფის „33ა“ ალბომი სახელწოდებით „ქართველი.“ მასში შევიდა „შავლეგო“-ს გადამუშავებული ვერსია,<sup>150</sup> რომელიც მერაბ კოსტავას მიეძღვნა. მელოდია ჟღერს მერაბ კოსტავას ფოტოპორტრეტის ფონზე, რომელსაც ახლავს წარწერა: „ქართველი დისიდენტი, მუსიკატმცოდნე, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, საქართველოს ეროვნული გმირი.“ მელოდიის ფონზე ჟღერს ფრაგმენტი მისი ერთ-ერთი გამოსვლიდან: „საუბედუროდ, ჩვენ, ქართველები, მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში, მაშინ, როდესაც დალუპვის კარსა ვართ მიმდგარი, ვდგებით ერთად და ვერთიანდებით. ხოლო რაც შეეხება შემდგომ ეტაპს, როდესაც უკვე ერის გადარჩენაზე კი აღარ არის ლაპარაკი, არამედ აღორძინებაზე, იქ ისევ თავს იჩენს ჩვენი პრომეთეული გოროზობა, ჩვენი ეს ოდიტგანდელი სენი და ჩვენ კვლავ ერთმანეთს ვშორდებით.“

<sup>143</sup> გამოთხოვება მერაბ კოსტავასთან, გვ. 5.

<sup>144</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>145</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>146</sup> Alexander, „Toward a Theory,“ p. 10.

<sup>147</sup> მღვდლიაშვილი, თინათინ. „ქართველები შეარიგე, მერაბ,“ *ბურუსი*, 27 მაისი, 2010, <https://bit.ly/34kMLES> (ნანახია 12.06.2019).

<sup>148</sup> მიქიაშვილი, ნინო. „მერჩივანა ციხეში ვმჯდარიყავი, ვიდრე ის მენახა, რასაც ახლა ვხედავ (მერაბ კოსტავა),“ *ბურუსი*, 27 მაისი, 2010, <https://bit.ly/3zCJhJj> (ნანახია 21.06.2020).

<sup>149</sup> Alexander, „Toward a Theory,“ p. 22-23.

<sup>150</sup> დიასამიძე, ნიაზ და „33ა.“ „ქართველი (მერაბ კოსტავა)“ (ალბომი „ქართველი,“ 2017), *Myvideo.ge*, 29 იანვარი, 2019, <https://bit.ly/3qQX5vS> (ნანახია 21.06.2020).

მერაბ კოსტავას ტრაგიკულმა დაღუპვამ, რომელიც 1989 წლის 9 აპრილით დაწყებული ტრავმული მოვლენების ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად იქცა, თავის მხრივ, გავლენა იქონია მომდევნო ამბების აღქმაზე და თავისი ადგილი დაიკავა როგორც სამოქალაქო დაპირისპირების ჩამოყალიბებელ, ბუნდოვან ნარატივში, ასევე მომდევნო პერიოდის მოვლენათა რეპრეზენტაციაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წლის 9 აპრილს, რომელმაც განუყრელად დაუკავშირა ერთმანეთს 9 აპრილის ტრავმა და ტრიუმფი და მათი ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა, თითქოს, ტრიუმფალური წერტილი უნდა დაესვა ამ საკრალურ ადგილას განვითარებული მოვლენების მწკრივისათვის. მაგრამ სულ მალე რუსთაველის გამზირის ეს მონაკვეთი თბილისის ომის ბრძოლის ველად და ახალი ტრავმული მოვლენის – ხელისუფლების დამხობისა და სამოქალაქო დაპირისპირების – საწყის წერტილად იქცა.

### 9 აპრილი ძართულ პრესაში (1989-2019)

კულტურული ტრავმის ჩამოყალიბება გულისხმობს ცალკეული მოვლენებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას. კულტურულ ტრავმის ხატები და ნარატივები ზემოქმედებენ მოსახლეობაზე, განავრცობენ კატასტროფის მასშტაბებს მთელ საზოგადოებაზე. ამაში განმსაზღვრეელ როლს ასრულებს მედია.<sup>151</sup>

აღენ მიკი, ეყრდნობა რა ფსიქოანალიტიკოსთა დებულებებს, ავითარებს მოსაზრებას, რომ მედიაში არტიკულირებული ტრავმული მოვლენა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და ხელს უწყობს საზოგადოების ფართო ფენების თვითიდენტიფიკაციას ამ მოვლენასთან. მიკის მიხედვით, მედიის მიერ მოვლენის, როგორც ტრავმის, კონსტრუირების იდეა მჭიდრო კავშირშია კულტურული ტრავმის კონცეფციასთან, რადგან მედიაში შექმნილი და სიმბოლიზებული ტრავმული ხატები, ერთი მხრივ, არღვევს არსებულ წესრიგს, იდენტობის კონსტრუქციას, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს ახალი ერთობის წარმოქმნას, რომელიც საკუთარ თავს ტრავმულ მოვლენასთან მიმართებაში განსაზღვრავს.<sup>152</sup> მისი აზრით, იმისათვის, რომ კონკრეტული ტრაგიკული მოვლენა, რომლის დროს იღუპებიან ადამიანები, კულტურულ ტრავმად იქცეს, აუცილებელია მსხვერპლის ჰეროიზაცია, საკრალიზაცია, დაღუპული ადამიანების როგორც გმირების, იდეისთვის შენირულების კანონიზაცია; ამ პროცესში კი საკვანძო როლს მედია ასრულებს. მისი მნიშვნელობა დიდია ტრავმის ტრავმად ქცევის პროცესში.<sup>153</sup> ტრავმული მოვლენა შეიძლება იქცეს ახალი იდენტობის ჩამოყალიბების საფუძვლად.

მოა ერიკსონი მიიჩნევს, რომ მედია შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც კოლექტიური ტრავმის მართვის ერთგვარი საშუალება, რომელიც ადამიანებს ერთად ყოფნის განცდას უჩენს, ტრავმულ მოვლენაზე კონცენტრირებისა და მისთვის მნიშვნელობის მინიჭების შესაძლებლობას აძლევს.<sup>154</sup>

<sup>151</sup> Meek, Allen. "Cultural Trauma and the Media," *Interdisciplinary Handbook of Trauma and Culture* (Switzerland: Springer International Publishing, 2016), p. 29-30.

<sup>152</sup> Meek, Allen. "Media Traumatization, Symbolic Wounds and Digital Culture," *Communication and Media XI* (38) (2016): p. 93.

<sup>153</sup> Meek, "Cultural Trauma and the Media," p. 29.

<sup>154</sup> Eriksson, Moa. "Managing Collective Trauma on Social Media: The Role of Twitter After the 2011 Norway Attacks," *Media, Culture & Society* 38, no. 3 (2016): p. 365-366.

ცნობილ ნაშრომში ბენედიქტ ანდერსონი „წარმოსახვითი საზოგადოების“ – ერის – ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ როლს აკისრებს ბექდურ მედიას, რომელშიც აკუმულირებული, კონსტრუირებული და გადაცემული ინფორმაცია საზოგადოების წევრებს საკუთარი ერთობის წარმოსახვის შესაძლებლობას აძლევს.<sup>155</sup>

ბექდური მედიის, ფოტონამუშევრების, დოკუმენტური ფილმების, სატელევიზიო გადაცემების, ასევე სხვა ტიპის ვიზუალური მასალის საშუალებით კონსტრუირებული და გადმოცემული ტრაგიკული ამბავი საზოგადოების დიდი ნაწილის ერთგვაროვან ემოციურ რეაქციას იწვევს და მას ტრამეული გამოცდილების თანამონაწილედ აქცევს. მედია არის სივრცე, სადაც, გარდა პროფესიონალი ჟურნალისტებისა, ტრავმული დისკურსის კონსტრუირებაში მონაწილეობენ საჯარო ფიგურები, ინტელექტუალები, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები.<sup>156</sup> მედიასაშუალებების მიერ გამოყენებული გამომსახველობითი ფორმები ტრავმის განსაკუთრებული დრამატიზების შესაძლებლობას იძლევა. მედიასივრცეში არეკლილი და კონსტრუირებული ტრავმული ნარატივები გაბატონებულ მდგომარეობას იძენენ და განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ საჯარო დისკურსის ჩამოყალიბებაზე.

1980-1990-იანი წლების საქართველოში ბექდური მედია იყო სივრცე, სადაც, ერთი მხრივ, შეიქმნა, დამკვიდრდა და საყოველთაო გახდა ის მნიშვნელობები, რომლებიც დღემდე ქართული იდენტობის საყრდენს წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ, აირეკლა ტრანზიციის ეპოქის ქარტეხილები. 1989 წლის 9 აპრილს განვითარებული მოვლენის საერთო ეროვნულ ტრაგედიად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა როგორც სახელისუფლებო, ისე ალტერნატიულმა მედიამ. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ქართული პრესა უკვე მრავალფეროვანი იყო. იგი წარმოადგენდა საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელებისა და სოციალური რეალობის კონსტრუირების ერთ-ერთ წყაროს. გაზეთების ფურცლები გახდა განსხვავებული ნარატივების დაპირისპირების ერთგვარი ასპარეზი.

ამ თავში ვაჩვენებთ, როგორ აისახა პრესაში 9 აპრილის ამბივალენტური ბუნება, მისი ტრავმული და ტრიუმფალური მნიშვნელობები, როგორ არის წარმოდგენილი საგაზეთო პუბლიკაციებში 9 აპრილის როგორც პარადიგმული მოვლენის ჩამოყალიბების პროცესი, ასევე, რა გავლენას ახდენდა პოლიტიკური კონტექსტ(ებ)ის ცვლილება 9 აპრილის ნარატივის კონსტრუირებაზე. კვლევის ქრონოლოგია 1989-2019 წლებს მოიცავს. შესასწავლი პერიოდული გამოცემები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმით: გაანალიზდა ის გაზეთები – როგორც სახელისუფლებო, ასევე ალტერნატიული – რომლებიც, ფართო ტირაჟის და მისანვდომობის გამო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, განმსაზღვრელ როლს ასრულებდნენ მოვლენებისთვის მნიშვნელობათა მინიჭებისა და სოციალური რეალობის კონსტრუირების პროცესში. ესენია: „კომუნისტი“ (1989-1990), „ახალგაზრდა კომუნისტი“ (1989-1990), „სოფლის ცხოვრება“ (1989), „თბილისი“ (1989), „იბერია“ (1990), „დროება“ (1990), „მონამეთა“ (1990), „ძლევაი“ (1990), „ქართლი“ (1990), „ახალგაზრდა ივერიელი“

<sup>155</sup> ანდერსონი, ბენედიქტ. წარმოსახვითი საზოგადოებანი. ინგლისურიდან თარგმნა რუსულად გოცირიძემ (თბილისი: ენა და კულტურა, 2003), გვ. 21-24.

<sup>156</sup> Meek, „Media Traumatization,” p. 92.

(1989-1990, ყოფილი „ახალგაზრდა კომუნისტი“), „ლიტერატურული საქართველო“ (1989-1990), „საქართველოს რესპუბლიკა“ (1991-2019, ყოფილი „კომუნისტი“), „კვირის პალიტრა“ (2004), „24 საათი“ (2004), „ახალი თაობა“ (2019), „საერთო გაზეთი“ (2019), „ალიონი“ (2019). 2010-იანი წლებიდან სოციალური მედია და ინტერნეტ ტელევიზიები ინფორმაციის გავრცელების დომინანტურ წყაროდ იქცა. გარდა ამისა, განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა სატელევიზიო სივრცე, – შეიქმნა ათეულობით არხი, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში განიხილება მიმდინარე თუ წარსული მოვლენები. აღნიშნულმა პროცესმა შეცვალა ბექდური მედიის გაბატონებული მდგომარეობა.

### 1989 წლის 9 აპრილი – ახალი ეპოქის ინაუგურაცია

„9 აპრილიდან საქართველოში თითქოს ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო: იყო ცხრა აპრილამდელი საქართველო და არის ცხრა აპრილის შემდგომი საქართველო,“ – წერდა გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ 1989 წლის 9 აპრილის ორი წლის-თავზე.<sup>157</sup> ეს სიტყვები მკაფიოდ მიუთითებს 9 აპრილის გარდამტეხ მნიშვნელობაზე. ამგვარი შეფასება სამი ათეული წლის შემდეგაც ხშირად მეორდება:

„9 აპრილი არის ის დღე, როდესაც კომუნისტებს აეხადათ ნიღაბი, უკვე ნათელი იყო ყველასათვის, თვით ახალგაზრდა კომკავშირელებისა და უბრალო მშრომელი ადამიანებისათვის, რომ რუსეთი ჩვენი უფროსი ძმა კი არ იყო, არამედ დამპყრობელი, რომელმაც რუსთაველის გამზირზე თავისუფლებისათვის მებრძოლი ახლგაზრდების სისხლი დაღვარა. უკვე კომუნისტების სისხლიანი კალთა გამოჩნდა და კიდევ უფრო მეტი – სულ ცოტა ხანში საქართველოს მაშინდელი უზენაესი საბჭო იძულებული გახდა ელიარებინა, რომ 1921 წელს მოხდა საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ. ამის შემოქმედები კი იყვნენ კომუნისტები. დაიწყო კომუნისტი ლიდერების – ლენინის, ორჯონიკიძის – ძეგლების დემონტაჟი. ასე რომ, ეს დღე იყო იმ ერთობის დღე, როდესაც ქართველმა ხალხმა უარი თქვა საბოლოოდ ღიად და გამოკვეთილად საბჭოთა რეჟიმზე, კომუნისტური პარტიის ერთპიროვნულ მმართველობაზე და ის, რომ მას არ შეუძლია და არც დარჩება რუსეთის მოდერნიზირებულ იმპერიაში.“<sup>158</sup>

აღვიდა ასმანი 1789 და 1989 წლების ევროპულ რევოლუციებზე საუბრისას ამბობს, რომ ამ მოვლენებით მოხდა ახალი ეპოქების ინაუგურაცია.<sup>159</sup> 1989 წლის 9 აპრილი საქართველოში ახალი ეპოქის საინაუგურაციო მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

9 აპრილის შოკური ეფექტი, რომელიც შეესაბამება შტომპკას მიერ შემოთავაზებულ კოლექტიური ტრავმის პირველ კრიტერიუმს – ტრავმული მოვლენის დროში შეზღუდულობას, სისწრაფესა და მოულოდნელობას, საინტერესოდ ვლინდება სახელისუფლებო პრესის ფლაგმანის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ცენტრალური გაზეთის „კომუნისტის“ ფურცლებზე.

1989 წლის 9 აპრილის წინა პერიოდში ქვეყანაში მდგომარეობა დაიძაბა. 9 აპრილამდე გაზეთი მკაცრად იცავდა იდეოლოგიის მიერ დაწესებულ ჩარჩო-

<sup>157</sup> „ეროვნული ღირსების დასაცავად აღმდგარი,“ ახალგაზრდა ივერიელი, 11 აპრილი, 1991, N 41, გვ. 7.

<sup>158</sup> „9 აპრილი - ინტერვიუ ბუჟან ჯავახიასთან,“ იბერია, 20 ოქტომბერი, 2018, <https://bit.ly/3K1AXIe> (ნანახია 03.02.2021).

<sup>159</sup> Assmann, „Impact and Resonance,“ p. 61.

ებს: ერთი მხრივ, იგი მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის მცდელობებს და ქვეყნის განუყოფლობის იდეას, თუმცა, ამ შინაარსის კრიტიკული წერილების გვერდით, გაზეთის ფურცლებზე მკაცრად არის დაგმობილი არაფორმალური მოძრაობა და მის მიერ აფხაზეთსა და თბილისში ჩატარებული არასანქცირებული მიტინგები. აღწერილია საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მცდელობები, რომლებიც სიტუაციის დამშვიდებას ემსახურებოდა. 9 აპრილს გამოქვეყნებულ ხელისუფლების მიმართვაში აღნიშნულია, რომ „უკიდურესი მიმართულების გაერთიანებებმა შექმნილი ვითარება გამოიყენეს სიტუაციის გასამწვავებლად თბილისში და დაარღვიეს დედაქალაქის ნორმალური ცხოვრების რიტმი.“ ხელისუფლება სიტუაციას კრიზისულს უწოდებს და მოუწოდებს აქციის მონაწილეებს, დაემორჩილონ კანონის მოთხოვნებს. მიუხედავად რთული მდგომარეობისა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება აკონტროლებს სიტუაციას. მიმართვა სრულდება შემდეგი სიტყვებით: „საქართველო იყო, არის და იქნება ერთიანი სოციალისტური სუვერენული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა საერთო ოჯახში.“<sup>160</sup>

9 აპრილის ტრაგედია შოკური აღმოჩნდა მთლიანად ქართული ბეჭდური მედიისთვის. შემდგომი დღე თითქმის სრულად არის ამოგლეჯილი საგაზეთო ქრონიკიდან. 9 აპრილმა ცხადყო, რომ ცხოვრება ძველებურად ველარ გაგრძელდებოდა, ოფიციალური ბეჭდური მედიის მკაცრად იდეოლოგიზებული სტილი და რიტორიკა მას ველარ გაუმკლავდებოდა. 10 აპრილს, როდესაც „ქვეყანა ჯერ კიდევ კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა“,<sup>161</sup> გაზეთი „კომუნისტი“ არ გამოსულა, რაც განსაკუთრებული მოვლენა იყო გამოცემის მრავალწლიანი არსებობის ისტორიაში. მხოლოდ გაზეთი „თბილისი“ გამოვიდა.<sup>162</sup> გაზეთის სატიტულო გვერდზე განთავსებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა, რომელშიც ჩამოაყალიბებული იყო ტრაგედიის სახელისუფლებო ნარატივი. ხელისუფლება მნუხარებას გამოთქვამდა მომხდარის გამო, თუმცა პასუხისმგებლობას სრულად აკისრებდა არაფორმალურ გაერთიანებებს. ცნობაში 9 აპრილის მიტინგი ანტისახელმწიფოებრივ მანიფესტაციად არის მოხსენიებული, რომლის აღკვეთის მიზნით კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას მსხვერპლი მოჰყვა.

„ცხადია ერთი რამ: პასუხისმგებლობა ამ უბედურებისათვის უპირველესად და უმთავრესად ეკისრებათ უკიდურესი მიმართულების არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც თავიანთი მიუღებელი, აღვირახსნილი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით უაღრესად დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება, აიყოლიეს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა, გამოიყენეს მოზარდი თაობის გულწრფელობა, ემოციები, ისარგებლეს მისი ცხოვრებისეული გამოუც-

<sup>160</sup> „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა,“ *კომუნისტი*, 11 აპრილი, 1989, N 84 (20435), გვ. 1.

<sup>161</sup> რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „სისხლიანი აპრილის საგაზეთო ქრონიკა,“ *რადიო თავისუფლება*, 8 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3n6mjFv> (ნანახია 26.02.2021).

<sup>162</sup> იქვე.

დელობით, კატასტროფამდე მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება, მთელი ხალხი, რესპუბლიკა.<sup>163</sup>

„კომუნისტის“ მორიგი ნომერი 11 აპრილს გამოიცა, თუმცა ეს უკვე აღარ იყო გაზეთი, რომელიც მთელი არსით და რიხით მრავალი წელი იდგა კომუნისტური იდეოლოგიის სამსახურში. საწყის გვერდზე აქაც გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც ერთი დღით ადრე გაზეთ „თბილისის“ სატიტულო გვერდზე დაიბეჭდა.<sup>164</sup> ოფიციალურ დოკუმენტში გამოყენებულია სიტყვები „ტრაგედია“, „უბედურება“, „კატასტროფა.“ ხელისუფლება აცხადებს მზადყოფნას საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის, რომელიც ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიძიებს „სამინელ ტრაგიკულ მოვლენას.“ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ერთი მხრივ, იხსნის პასუხისმგებლობას მომხდარზე და ბრალეულობის სიმძიმე სრულად გადააქვს არაფორმალური გაერთიანებების მხარეს, თუმცა, მეორე მხრივ, მოვლენის აღსაწერად მძიმე ლექსიკის გამოყენებით, ერთგვარად აღიარებს ტრაგედიის სიღრმეს და მასშტაბს. მიუხედავად ამისა, მომხდარზე ხელისუფლების მყისიერი რეაქცია მკაცრია. იგი ინერციით ცდილობს ძლიერი ხელის დემონსტრირებას და ამით პროცესებზე კონტროლის მოპოვებას. „კომუნისტის“ იგივე ნომერში დაიბეჭდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახელმწიფო დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. შესწორებების მიხედვით, მკაცრდებოდა პასუხისმგებლობა ისეთი ტიპის დანაშაულებზე, როგორებიც იყო „მონოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობისა თუ შეცვლისათვის,“ „მონოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის,“ „სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეურაცხყოფა და დისკრედიტაცია.“ თუმცა შემდეგ გვერდებზე მოცემული ინფორმაცია ნათლად გვიჩვენებს გამოცემის მკაფიო იდეოლოგიური ხაზის რღვევას და ახალი რეალობის საწყისებს; 9 აპრილთან დაკავშირებულ სახელისუფლებო ნარატივს თავად გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი სხვა პუბლიკაციები აყენებს ეჭვის ქვეშ. იქმნება ერთგვარი დისონანსი, ჩანს, რომ ოფიციალური ნარატივი აცდენილია ქვეყანაში შექმნილ ახალ რეალობას და პროცესები კონტროლიდან გადის.

1989 წლის 11 აპრილიდან გაზეთი „კომუნისტი“ ხდება ტრაგედიასთან დაკავშირებით განსხვავებული ნარატივების რეპრეზენტაციის ადგილი. თუ პირველ გვერდებზე დაგმობილია მომიტინგეების მოქმედება და საუბარია საჯარო სო შენაერთების სამართლებრივად სწორ და აუცილებელ ქმედებაზე, შემდეგი გვერდები ეთმობა ხელისუფლების მოქმედებათა კრიტიკას და საუბარია იმ სისასტიკეზე, რომელიც ხალხის მიმართ იქნა გამოჩენილი. გამოქვეყნებული წერილები – „ანტიკომუნური აქცია,“ „ზურგში ჩაცემული ლახვარი გარდაქმნისა და საჯაროობის კურსისთვის“ და სხვა.<sup>165</sup> – ხელისუფლების კრიტიკის პათოსითაა დაწერილი და მკვეთრად უპირისპირდება ტრაგედიასთან დაკავშირებულ ოფიციალურ ნარატივს. ეს უკანასკნელი, რომელიც ბრალეულობის სიმძიმის აქციის ორგანიზატორებზე და მომიტინგეებზე გადატანას ცდილობდა, მალე-

<sup>163</sup> „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა,“ *თბილისი*, 10 აპრილი, 1989, N 82, გვ. 1.

<sup>164</sup> იქვე.

<sup>165</sup> იქვე.

ვე გაქრა პრესის ფურცლებიდან. ტრავმების დღეებშივე ჩამოყალიბდა მკაფიო დიქტომია: მსხვერპლი – საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას შეწინააღმდეგებელი უდანაშაულო მომიტინგეები – და დამნაშავე – საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ხალხს თავისუფლების სურვილი არ აპატია.

9 აპრილის კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბება განაპირობა მისმა სწრაფმა და წარმატებულმა კოლექტიურმა რეპრეზენტაციამ. ჩამოყალიბებული ტრავმული ნარატივი სრულად აკმაყოფილებდა ჯეფრი ალექსანდერის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებს<sup>166</sup>: 9 აპრილის ტრაგიკული ღამე იმთავითვე იქნა აღქმული როგორც საყოველთაო, ეროვნული ტრავმად, რომელმაც სრულად მოიცვა საზოგადოება; ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა ქართველი ხალხი, რომელსაც დამოუკიდებლობის სურვილი არ აპატიეს; დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ ვინ იყო დამნაშავე.

საზოგადოების დიდი ნაწილი უგულვებლყოფდა კომუნისტური ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ წესრიგს. 9 აპრილის შემდეგ ქვეყანაში კომენდანტის საათი და სამხედრო წესები ამოქმედდა, დაინიშნა სამხედრო კომენდანტი – გენერალი როდიონოვი. მოსახლეობის ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა საგანგებო წესებს. „განვლილი დღე-ღამის განმავლობაში კომენდანტის საათის მოქმედების დროს დაკავებულია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისათვის გადაცემულია 464 კაცი, რომლებმაც დაარღვიეს დადგენილი რეჟიმი. [...] ქალაქის სხვადასხვა ნაწილში – საბურთალოში, ვაკეში, ლენინის მოედნის მიმდებარე ქუჩებსა და სხვა ადგილებში – გროვებიან ადამიანთა ჯგუფები, ძირითადად ახალგაზრდობა, აგრესიულად გამოხატავენ უკმაყოფილებას მომხდარი ამბებით,“ – გვაუწყებს გაზეთი.<sup>167</sup>

„კომუნისტის“ 12 აპრილის ნომერში დაბეჭდილ სამხედრო კომენდანტის ცნობაში ნათქვამია, რომ გლდანის რაიონში, ვაზისუბანსა და ვარკეთილის საცხოვრებელ მასივებში აღინიშნა შემთხვევები, როდესაც „მოხულიგნო“ ელემენტები ღამით ემუქრებოდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. „საბურთალოს რაიონში ღამით უცნობი პირები მიმავალ სამხედრო მანქანებს ესროდნენ ბოთლებს, ქვებს. ლენინის რაიონში იყო ცდები, რომ ჩამოეგლიჯათ სამხედრო კომენდანტის „ქალაქ თბილისის მოსახლეობის, რესპუბლიკის მოქალაქეებისადმი მიმართვის“ ტექსტიანი ფურცლები და მათ ნაცვლად გაეკრათ ანტისაბჭოთა ხასიათის ფურცლები. დაწვეს ხარაჩოები გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისადმი მიძღვნილი ძეგლის გარშემო.“<sup>168</sup> მსგავსი წინააღმდეგობა გრძელდებოდა შემდგომი დღეების განმავლობაში. „ფარული ომი, რომელიც 'კომენდანტის საათის' სახით რუს სამხედროებსა და თბილისელებს შორის წარმოებდა, 9 დღის შემდეგ, 18 აპრილს დასრულდა.“<sup>169</sup>

ტრავმების მეორე დღიდან საქართველოს მოსახლეობამ ახალ რეალობაში გაიღვიძა, მისთვის უკვე სრულად იყო დელეგიტიმირებული საბჭოთა ხელისუფლება და მის მიერ შემოთავაზებული წესრიგი. კომენდანტის საათის დროს მიმდინარე „ფარული ომი“ უჩვეულო მოვლენა იყო სამხედრო ძალაზე დამყარე-

<sup>166</sup> Alexander, "Toward a Theory," p. 12-15.

<sup>167</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>168</sup> „სამხედრო კომენდანტის ცნობა“, *კომუნისტი*, 12 აპრილი, 1989, N 85 (20426), გვ. 2.

<sup>169</sup> რეხვიაშვილი, „სისხლიანი აპრილის საგაზეთო ქრონიკა.“

ბული, მკაცრი საბჭოთა სისტემისთვის. კომენდანტის საათმა მხოლოდ 10 დღე იარსება, ხელისუფლება იძულებული გახდა, ანგარიში გაენია ქვეყანაში შექმნილი რეალობისთვის და სამხედრო წესები მალევე გაეუქმებინა. თავად გაზეთი „კომუნისტი“ – ვიზუალურადაც – ადასტურებს მკაცრი ოფიციალური პოზიციის სიმყიფეს: სამხედრო კომენდანტის ცნობის გვერდით, რომელიც მოსახლეობას მანიფესტაციებისა და პროტესტისაგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა, დაბეჭდილია რუსთაველის გამზირზე საყოველთაო გლოვის ამსახველი ფოტოები. მშრალი, თითქოს მტკიცე ოფიციალური განცხადებებისა და პოზიციების გვერდით, ნათლად ჩანს რეალური საზოგადოებრივი განწყობები. მსგავსი დისონანსი 9 აპრილის შემდგომი დღეების „კომუნისტის“ ლაიტმოტივია.

9 აპრილის ტრაგედიამ მკაფიო ზღვარი გაავლო ხელისუფლებასა და ხალხს შორის. საზოგადოების ყველა ფენა, მათ შორის, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ჯგუფებიც დაუპირისპირდნენ ოფიციალურ ნარატივს. 10 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას, აღინიშნა, რომ მომხდარი მთელი რესპუბლიკის ტრაგედიამ, რომელსაც გამართლება არ აქვს. წერილში „საჭიროა მხოლოდ სიმართლე,“ რომელიც აღნიშნულ შეხვედრას ასახავს, ნათქვამია, რომ „საჭიროა სიმართლე, რაგინდ მწარეც უნდა იყოს იგი, რადგან სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს შეუძლია დაუბრუნოს ხალხს რწმენა, მოუშუშოს ყოველ ჩვენგანს მოყენებული ჭრილობები. და აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკის მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ობიექტურობა.“ გამომსვლელთა სიტყვით, „9 აპრილს მთავრობის სახლის წინ მანიფესტაციის გარეკვისას გამოყენებული მეთოდები მიუღებელია საზოგადოებისათვის, რომელმაც დემოკრატიისა და საჯაროობის მაგისტრალური გზა აირჩია.“<sup>170</sup>

„ლიტერატურული საქართველოს“ 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა მწერალ გურამ ფანჯიკიძის წერილი „თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს.“ ფანჯიკიძე საბჭოთა ხელისუფლებას ორმაგ სტანდარტში ადანაშაულებს, მაშინ, როდესაც საბჭოთა ჰუმანიზმის დემონსტრაცია, მოჩვენებითად, მთელი მსოფლიოს წინაშე ხდება, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება, თითქოს, გულშემამტკივრობს მოქალაქეებს, რომლებიც პროტესტს გამოხატავენ დასავლეთის ქვეყნების მთავრობების მიმართ (მოყვანილია თეთრის სახლის წინ მოშიმშილე მოქალაქის მაგალითი), თავად ფეხქვეშ თელავს როგორც საერთაშორისო, ისე საბჭოთა სამართალს, ადამიანურ მორალს, ჰუმანიზმს. „ახლა კი ცდილობენ კვალი დაფარონ. თურმე ხალხი ნიჩბებითა და ხელკეტებით კი არ დაუხოცავთ, ზედახორაში გადათელილებს მიუღიანთ სასიკვდილო ტრავმები. უფრო მეტიც! ნელ-ნელა გვაპარებენ ყალბ ვერსიას – თურმე პირველად ახალგაზრდებს დაუჭრიათ ჯარისკაცები „ცივი იარაღით!“ ამ ნაცად მეთოდს ჯერ კიდევ 1956 წლიდან ვიცნობთ, ბატონებო!“<sup>171</sup>

9 აპრილის შემდგომ დღეებში ოფიციალური/სახელისუფლებო და ალტერნატიული ნარატივები პარალელურად არსებობს, თუმცა ოფიციალური ნარა-

<sup>170</sup> „საჭიროა მხოლოდ სიმართლე,“ *კომუნისტი*, 12 აპრილი, 1989, N 85 (20426), გვ. 3.

<sup>171</sup> ფანჯიკიძე, გურამ. „თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს,“ *ლიტერატურული საქართველო*, 14 აპრილი, 1989, N 14, გვ. 7.



ტივი, რომელიც სრულად იყო აცდენილი საზოგადოებრივ განწყობებს, მალევე წყვეტს არსებობას. ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლება მარტო დარჩა. საზოგადოებაში მისმა ყველაზე ძლიერმა და გავლენიანმა დასაყრდენმა – ინტელიგენციამ – იგი ღიად დაადანაშაულა სასტიკ მოქმედებასა და უდანაშაულო ადამიანების დახოცვაში.

ოფიციალური და ალტერნატიული ნარატივები თანდათან ერთგვაროვანი ხდება, მიჯნები და ნარატივის წარმომავლობა (ოფიციალური და მისი საპირისპირო) კარგავს მნიშვნელობას, იქმნება ერთი, დღემდე საყოველთაოდ გაზიარებული ნარატივი. მყისიერ რეაქციას მალევე მოჰყვება რეფლექსიისა და 9 აპრილისთვის მნიშვნელობის მინიჭების პროცესი, რამაც ტრაგიკული მოვლენა დასაწყისიდანვე აქცია ქართველი ხალხის დიდ მორალურ გამარჯვებად. დაიწყო 9 აპრილის განხილვა საქართველოს ისტორიის სხვა ტრაგიკულ და გმირულ მოვლენათა კონტექსტში და ეს მოვლენა საკრალურ თარიღთა რიგს შეუერთდა.

გაზეთ კომუნისტში 12 აპრილს გამოქვეყნებული წერილებს, რომელთა მიზანი ტრაგედიის მნიშვნელობის განსაზღვრაა, საერთო სათაური აქვთ – „9 აპრილის ტრაგედიის გამოძახილი.“ პუბლიკაციაში „ტრაგედიის ქრონიკა“<sup>172</sup> დეტალურად არის აღწერილი გზა, რომელიც ქვეყანამ გაიარა აპრილის დასაწყისიდან 9 აპრილის ღამემდე. გვხვდება პუბლიკაციები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვლენის გააზრების და რაციონალური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მცდელობა. აღნიშნული კატეგორიის წერილებში 9 აპრილის დარბევა განხილულია როგორც უდიდესი ტრაგედია და კატასტროფა, თუმცა, მიუხედავად მისი მასშტაბისა და ყოვლისმომცველობისა, აქვეა მოწოდებები კეთილგონიერებისკენ.

ერთ-ერთი საყურადღებო პუბლიკაცია, სათაურით „ჭკუით, ქართველებო!“ ეკუთვნის მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს. მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად ესმის ხალხის გულისწყრომა და „მკერდში მჯილის ცემა“, იგი მოუწოდებს თბილისის მოსახლეობას, მაქსიმალურად ფრთხილად მოიქცეს საგანგებო მდგომარეობის პირობებში, თავი შეიკავოს ჯარისკაცების „ცხვირწინ დროშების ფრიალის“, სტვენისა და ქვების სროლისაგან, რათა კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი არ გამოიწვიოს. თავისი მოწოდების დასაბუთებას მწერალი ქართველი ერის გამორჩეულობის და განსაკუთრებულობის ხაზგასმით ცდილობს: **„ჩვენ ობოლი ერი ვართ, არ გვყავს ნათესავი მსოფლიოში,<sup>173</sup> ქართველობა არსად არ არის გაბნეული, ჩვენ ჩვენი კერიის მოსიყვარულე ერი ვართ. [...] ვიყოთ კეთილგონიერნი, არც ჩვენით იწყება ქართველი ერი, ნურც დავამთავრებთ ჩვენით – ამის უფლება ჩვენს წინაპრებს არ მოუციათ.“**<sup>174</sup>

### 9 აპრილის ექო – პარადიგმული ტრავმის ჩამოყალიბება და რეპრეზენტაცია

ტერმინ რეზონანსზე საუბრისას, აღვიდა ასმანი ყურადღებას ამახვილებს მის ლათინურ ძირზე, რაც ექოს ნიშნავს, თუმცა ექო მხოლოდ გამოძახილია, „მეორადი ხმა“, რომელიც ქრება. ექოსგან განსხვავებით, რეზონანსის ფიზიკური ლო-

<sup>172</sup> „ტრაგედიის ქრონიკა“, *კომუნისტი*, 12 აპრილი, 1989, N 85 (20426), გვ. 2.

<sup>173</sup> აქ და ქვემოთ, ციტატებში მუქი შრიფტით აღნიშნულია ქართული კულტურული ნიმუშის გამომხატველი სიტყვები და ფრაზები, რომლებმაც 9 აპრილის მნიშვნელობები ჩამოაყალიბა.

<sup>174</sup> ამირეჯიბი, ჭაბუა. „ჭკუით, ქართველებო!“ *კომუნისტი*, 12 აპრილი, 1989, N 85 (20426), გვ. 2.

გიკა მის მუდმივ განგრძობადობას და განმეორებადობას გულისხმობს. რეზონანსული მოვლენა აცოცხლებს მეხსიერების ხატებს, ემოციებს, მნიშვნელობებს. რეზონანსი გულისხმობს ძველი და ახალი სტიმულების ურთიერთქმედებას. ახალი მოვლენა აღვიძებს ძველ, წარსულში არსებულ სტიმულს, მეორე მხრივ კი, ძველი სტიმული განსაზღვრავს ახალს, ქმნის ახალი მოვლენის აღქმის ჩარჩოს. ასმანის სიტყვით, ეს არის ერთგვარი კოპერაცია ძველსა და ახალს შორის.<sup>175</sup>

1989 წლის 9 აპრილის ექო დღემდე ისმის, ეს ის ექოა, რომელმაც რეზონანსული მნიშვნელობა შეიძინა, გააღვიძა და გააქტიურა წარსული ტრაგედიები და შექმნა ქარგა მომავალში განვითარებული მოვლენების აღსაქმელად. 9 აპრილის ტრაგედია ნაციონალური მეხსიერების ცენტრალურ მოვლენად – პარადიგმულ ტრავმად ჩამოყალიბდა. იგი პარადიგმულია პირველ რიგში იმიტომ, რომ ერთგვარ ათვლის წერტილად იქცა, საიდანაც ხშირად აღიქმება წარსული და მომავალი (9 აპრილამდე და მის შემდეგ განვითარებული მოვლენები). პრესის მასალები ნათლად გვაჩვენებს 9 აპრილის როგორც პარადიგმული მოვლენის კონსტრუირებას. ის მნიშვნელობები, რომელმაც მოვლენის რეზონანსულობა განსაზღვრა, 1989 წლის აპრილ-მაისშივე შეიქმნა.

გახეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილების კრებული, სათაურით „მწუხარე დღეების ექო.“ წერილში „ჭირსა შიგან გამაგრება“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვახტანგ ვახვახიშვილი 9 აპრილს საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ფურცელს უწოდებს. მისი სიტყვით, მოვლენის შეფასებისას აჩქარება არ არის საჭირო:

„ახლა ხომ ყველანი უკიდურესად აღზნებულები და სასონარკვეთილები ვართ. დღეს უფრო საშურია ერთმანეთის გადარჩენაზე ვიზრუნოთ, აღარ გვინდა სისხლი და მსხვერპლი, ვიფიქროთ ხვალეზე! საქართველოში ეროვნული გლოვია. **გლოვა ქართველი კაცის წმინდათაწმინდა ტრადიციაა.** ასეთ ტრადიციებს ერთგულება უნდა, **სიღინჯე და სიდარბაისლე** გვმართებს. ერთიც არის, **კეთილგონიერება** დღეს მაინც უნდა გვეყოს, ჯგუფ-ჯგუფად, ქუჩა-ქუჩა კი არ უნდა ვუღეროთ მუშტები ტანკებზე ამხედრებულ ჯარისკაცებს, არამედ ისევ **ჩვენი წინაპრებისაგან ვისწავლოთ ჭირსა შიგან გამაგრება.**“<sup>176</sup>

ეს წერილი, ერთი მხრივ, წინა პუბლიკაციების მსგავსად, შეიცავს რაციონალიზმის ელემენტებს, მეორე მხრივ კი, „ჭირსა შიგან გამაგრებაზე“, გლოვის წმინდა ტრადიციასა და წინაპრებზე საუბარი კარგად გამოხატავს 9 აპრილის შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელ რიტორიკას, საკრალური კომპონენტებით გაჯერებულ ენას, ფიზიკური ტკივილის თანმდევ მორალურ ტრიუმფს. სწორედ ჭირში გამაგრებით, გლოვით, რომელსაც „სიღინჯე და სიდარბაისლე“ შეჰფერის, შესაძლებელია ამ ტრიუმფის მიღწევა.

ამავე თვალსაზრისით, საყურადღებოა მწერალ ელგუჯა მალრადის წერილი „თქვენზე ფიქრი მაღაპარაკებს.“ ავტორი ახალგაზრდებს მიმართავს. მისი სიტყვით, სამშობლოზე ძვირფასი ადამიანისთვის არაფერია და გაღებული მსხვერპლი „სამშობლოსთვის გაღებული ზვარაკი“ იყო, მაგრამ სიცოცხლე კვლავ უნდა გაგრძელდეს:

<sup>175</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 44-45.

<sup>176</sup> ვახვახიშვილი, ვახტანგ. „ჭირსა შიგან გამაგრება“, *კომუნისტი*, 13 აპრილი, 1989, N 86 (20427), გვ. 2.

„ჩვენ არ გვაქვს უფლება, თვალი მოვუხუჭოთ სინამდვილეს და გარესამყაროს. მწარე სინამდვილე კი გვასწავლის, თუ არ ვიფხიზლეთ, თუ ქართველთათვის განკუთვნილი ადგილი ამ გარესამყაროში ჩვენ არ დავიჭირეთ, ჩვენს ადგილს სხვები დაიკავენ და მერე გვიანლა იქნება. ჩვენ ახლა გვმართებს **ჭირთა თმენაცა** და ჩვენს მიერ დაკავებული ადგილისთვის ბრძოლა. [...] დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება გონიერება, ყველაფრის ანონ-დანონა, ყველაფრის გაზომვა, ყველაფრის გასიგრძევა-ნება, რათა საქართველომ სულსწრაფობით არაფერი დაკარგოს... დღეს, როგორც არასდროს, [...] **ღვთისა და ბუნების ძალთა** წყალობით ყველაფერი ისე მიმდინარეობს, რომ ჩვენმა სამშობლომ, საქართველომ აისრულოს საუკუნეების მანძილზე ნალოლიავეები იმედი, ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, მაგრამ ამის გაკეთება ერთის ხელის დაკვრით ვერ მოხერხდება. [...] ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ მოთმინების უნარი და **როგორც ჩვენმა წინაპრებმა, ჭირთა თმენით, შინაგანი სიმტკიცით, შინაგანი ძალისხმევით** აღჭურვილებმა ვაშენოთ ჩვენი სათაყვანებელი ქვეყნის – ჩვენი საქართველოს მომავალი.“<sup>177</sup>

1989 წლის 20 მაისს გაზეთის „სოფლის ცხოვრება“ სატიტულო წერილში „ცრემლი, რწმენა და იმედი!“ ასახულია 9 აპრილს დაღუპულებისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო პროცესია.

„მთელი რუსთაველის პროსპექტი აავსეს **მუხლმოყრილმა სამგლოვიარო სვლის** მონაწილეებმა. შემდეგ ქაშუეთის ზარების გუგუნმა სიონისკენ გააცილა ისინი. იქ, იმ წმინდა გარემოში კი მუჭმემართულნი, თავანუ-ულნი, ხმაშენწყობილად იმეორებდნენ: არ დაგივინყებთ!.. არ შევარჩენთ!.. ბოლომდე ვიბრძოლებთ!.. ვფიცავთ, ვფიცავთ!.. და იდგნენ დიდები და პატარები, ქალები და მამაკაცები, სოფლებიდან და ქალაქებიდან, მეზობელი სომხეთიდან მოსულნი, და **ცრემლით, და რწმენით, იმედით თვალს** უსწორებდნენ **მომავალს**.“<sup>178</sup>

სიმბოლოებით, ამაღლებული ტრაგიზმით, საკრალური ისტორიული კონტექსტით არის გაჯერებული ამავე პერიოდში გამოქვეყნებული აკაკი გელოვანის წერილი, სათაურით „დღე გლოვისა – დღე თავისუფლებისა.“ ვფიქრობთ, ეს ტექსტი სრული სახით წარმოგვიდგენს 9 აპრილისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას, რომელიც ახალი ქართული იდენტობის ქვაკუთხედად იქცა:

„თამრიკო, ნათია, ეკა, მანანა, ელისო, ნანა, მარინა და სხვანი, **იბერიის ან ჩამქრალი ვარსკვლავები**. უნოდეთ თუნდაც ერთი საათის გაელვება. გმირი ქალიშვილები – **თავისუფლების ასულებია**... ქალიშვილები აჩეხეს მაშინ, როდესაც მღეროდნენ: ‘დავიღლები საქართველოს სიყვარულით’. [...] განა თავისუფლების სიმბოლოდ არ ქცეულან **კრწანისის ყაყაჩოები, თმოგვი, ბირთვისი, სვანური კოშკები, გელათი, მთანწინდა, თამარი, ქეთევანი, დიდი დავითი, ‘დაისი’?** ამ თავისუფლებასთან ბრძოლა შეიძლება, გამარჯვება კი არასოდეს. 9 აპრილის საზარელი ღამეც, გამოთენიისას დარბეული ახალგაზრდობაც საქართველოს თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. საოცარია: საქართველოს თავისუფლების დღე **თითქმის დაემთხვა თამარის დაბადების დღეს**. იმ ღამეს **ორი თამარი დაიღუპა, რათა ეცოცხლა უთ-**

<sup>177</sup> მაღრაძე, ელგუჯა. „თქვენზე ფიქრი მაღაპარაკებს“, *კომუნისტი*, 13 აპრილი, 1989, N 86 (20427), გვ. 2.

<sup>178</sup> „ცრემლი, რწმენა და იმედი“, *სოფლის ცხოვრება*, 20 მაისი, 1989, N 116, გვ. 1.

**ვალავ თამარს**, ეცოცხლა საქართველოს თავისუფლებას. გმირები ეცემიან, რათა ერმა იცოცხლოს. თავისუფლება – ეს სიკეთეა, ამაღლება, ღირსების ზეიმი... რა არ გამოგვიცდია, – რომელი **იორდანე** არ გადაგვილახავს, რა **ბაბილონის ტყვეობა** არ გვახსოვს, **ალექსანდრე** კი არ გამოჩნდა და არა. მოსეს ერი ორმოცი წელი ეხეტებოდა უდაბნოებში, **ალექსანდრე** ქვეყნის გზაზე, ჩვენ **რატომ ოთხი ათასი წელი არ მოვდივართ იმავე იმედით და რა ვიხილეთ?** და მაინც ცოცხლობს თავისუფლება, ცოცხლობდა მუდამ ერის სულის სიღრმეში, მის **სიტყვაში, ფრესკაში, ტილოში, სიმღერაში, ცეკვაში, სადღეგრძელოში, სოფლად და ქალაქად**. ის გამოვლინდა **განსაცდელში, სისხლიან ღამესაც**, როცა არაკაცებმა ბარები მოგვიქნიეს. არც ისე სუსტი ვყოფილვართ. ადამიანი ვიდრე იბრძვის, ის თავისუფალია. **ჩვენს დროშაზეა წმინდა გიორგი!**<sup>179</sup>

ამავე პერიოდიდან გვხვდება პარალელები 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიასთან. ჩნდება ერთგვარი უწყვეტობის, ტრაგედიის განმეორებადობის განცდა. 9 აპრილმა გააღვიძა კოლექტიურ მეხსიერებაში რეპრესირებული ტრაგიკული მოვლენა. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროს რომან გვენცაძესთან ინტერვიუში გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი პარალელს ავლებს 9 მარტის მოვლენებთან. მისი სიტყვით, **9 მარტის კომმარიდან გასულია 33 წელიწადი და ერთი თვე**. ტრაგედია კვლავ განმეორდა, რომელიც მოუშუშებელ ტკივილად დარჩება ერის ხსოვნაში.<sup>180</sup> „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა წერილი „იმ ავადსახსენებელ 1956 წელს – მაშინ ვერ დავიტირეთ.“ ავტორის სიტყვით, 9 აპრილს დახოცილ და დასახიჩრებულ ადამიანებს და მათ ჭირისუფლებს ის „შელავათი“ მაინც აქვთ, რომ საქართველომ დიდი გლოვით გააცილა უდანაშაულო მსხვერპლი. „1956 წლის 9 მარტის ტრაგედია კი იმთავითვე იდუმალებით იყო მოცული. არავის გაუგია, თუ როგორ დაკრძალეს დაღუპულები, მაშინ დაღუპულთა სახელების ხსენებაც კი დაუშვებლად იყო მიჩნეული.“ ავტორი ეხმაურება პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას, სადაც საუბარია 9 აპრილს დაღუპულთა უკვდავსაყოფად მემორიალის აღმართვაზე და გამოთქვამს სურვილს, რომ მემორიალზე, 9 აპრილს დაღუპულთა გვერდით, რაღაც ფორმით აისახოს 9 მარტს დახოცილთა სახეებიც. „ისინიც ხომ უსამართლობის მსხვერპლნი გახდნენ, საქართველოს, ქართველ ხალხს ისინი ხმამაღლა არ დაუტირია. დაე, ორი ტრაგედიის შედეგები აისახოს ახლადაგებულ მემორიალში.“<sup>181</sup>

1991 წელს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დაიბეჭდა წერილი, ნიშანდობლივი სათაურით **„9 მარტი/აპრილი – ერთი ფაქტი, ორი შეფასება.“** სათაურში ციფრი „9“ ერთხელ არის გამოყენებული და ორივე თვეს ესადაგება. ავტორი იხსენებს, თუ როგორ უკავშირდებოდა ბავშვობაში რიცხვი ცხრა ყოველივე კარგსა და კეთილს – ცხრათვალა მზეს, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადავლას მზეთუნახავის გამოსახსნელად და სხვა. „1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ეს ჩვენი **ამოჩემებული 9** ყველამ დაუნანებლად უარვყავით. მერე, თითქოს ამ ციფრის მოძულების მიზეზი გვაკლდაო, ისიც „დავაზუსტეთ,“ რომ აქამდე ყურმოკ-

<sup>179</sup> გელოვანი, აკაკი. „დღე გლოვისა - დღე თავისუფლებისა“, *სოფლის ცხოვრება*, 19 მაისი, 1989, N 115, გვ. 3.

<sup>180</sup> „ინტერვიუ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროს რომან გვენცაძესთან“, *კომუნისტი*, 11 აპრილი, 1989, N 84 (20425), გვ. 2.

<sup>181</sup> ეცადაშვილი, ილია. „იმ ავადსახსენებელ 1956 წელს - მაშინ ვერ დავიტირეთ“, *სოფლის ცხოვრება*, 18 მაისი, 1989, N 114, გვ. 5.

ვრით გაგონილი „56 წლის ამბები“ 9 მარტს მომხდარა და მას შემდეგ, აგერ უკვე ორი წელია, 9 მარტი და 9 აპრილი თითქმის განუყოფლად იხსენიება. ერთად იხსენიება იმიტომ, რომ გაზაფხულის ამ ლამაზ თვეებში, ამ ავბედით რიცხვში, მოხდა ძალმომრეობისა და კაცთმოძულეობის შემზარავი და საოცრად მსგავსი ფაქტები.“ ავტორის სიტყვით, 9 აპრილზე ბევრი ითქვა და დაინერა, სისხლიანი ღამე სამუდამოდ შემოინახა ფოტოსურათებმა, ვიდეოკადრებმა, პრესის მასალებმა, 9 მარტის მოვლენები კი ფაქტობრივად გამოუკვლეველია. პუბლიკაცია გრძელდება 9 მარტის თვითმხილველის მონათხრობით, რომელიც იხსენებს განვითარებულ პროცესებს და სრულდება დასკვნით, რომელიც 9 მარტისა და 9 აპრილის ერთ კონტექსტში გააზრების ერთგვარი რეპრეზენტაციაა: „ამგვარი გახლავთ ერთი ფაქტის – ქართველი ერის წინაშე შეგნებულად ჩადენილი დანაშაულის შეფასებები. მათი შედარება იმდენად აშკარა და მკაფიო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ ვფიქრობ, სიტყვის გაგრძელება საჭირო აღარაა. ამიტომ, თავს უფლებას მივცემ და ჩავთვლი, რომ მაშინ, როცა ჩვენი დღევანდელი ნომერი უკვე ისტორიად იქცა, შთამომავლობას ეს პატარა წერილიც გაახსენებს საიდან მოვდივართ, რანი ვართ და რა ტვირთიც გვიძიმებს მხრებს.“<sup>182</sup>

გიზო ნიშნიანიძის ლექსში „9 აპრილი (რექვიემი)“, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობას ენიჭება რიცხვს „9.“ 9 მარტი და 9 აპრილი ერთ მთლიანობაშია განხილული – „9 მარტი და 9 აპრილი ჟამთუჟამო ყოვლით, / არ ჩაივლის როგორც ძველი, შარშანდელი თოვლი.“ გიზო ნიშნიანიძე ისტორიული ანალოგიებით გამოხატავს რიცხვის განსაკუთრებულობას ქართველი ხალხისთვის:

**„ცხრიანების ცხრილით ვცხრილე საკრალური ცხრილი**

და 9 მუზა გავანითლე სისხლიანი კვირით,  
ისტორია მეორდება ცხრიანების ცხრომით,

არა ლოცვა ღვთისწყალობით, ღვთის გმობით და წყრომით.“<sup>183</sup>

ისტორიის ტრაგიკული განმეორებადობა ქმნის უწყვეტ კავშირს ორ მოვლენას შორის. გიზო ნიშნიანიძის ეს ლექსი 1991 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს გამოქვეყნდა. 9 მარტისა და 9 აპრილის ტრაგედიების ერთ მთლიანობაში გამოსახვით იგი სიმბოლურად გამოხატავს დამოუკიდებლობისკენ მიმავალ ეკლიან გზას.

პუბლიკაციაში **„რუსთაველის გამზირიც დიდგორად იქცა“** კვლავ გვხვდება პარალელი ორ ტრაგედიას შორის. ამასთან ერთად, უხვადაა გამოყენებული ქართველებისათვის მნიშვნელოვან ბრძოლათა და ისტორიული ადგილების სახელები.

„ანკი რა გვაცოცხლებს, რა გვაძლებინებს იმ ტიალი 9 აპრილის ღამის შემდეგ, 20 უმანკო სიცოცხლე რომ შეინირა? ალბათ ეროვნული დვრიტა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ბედნიერი მომავლის მოლოდინი, **ალგეთის ლეკვების** დაზრდის იმედი, ის იმედი, **ლაშარის გორაზე შედგომა** რომ ჰქვია და **56-დან 89-მდე** რომ გვეხიდებოდა. 56-ის 9 მარტიდან 89-ის

<sup>182</sup> კლარჯიშვილი, ნინო. „9 მარტი/აპრილი - ერთი ფაქტი, ორი შეფასება,“ *ახალგაზრდა ივერიელი*, 13 აპრილი, 1991, N 42, გვ. 6.

<sup>183</sup> ნიშნიანიძე, გიზო. „9 აპრილი (რექვიემი)“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 1991, N 69, გვ. 2.

9 აპრილამდე კი პატარა დრო არ გასულა. ოცდაცამეტი წელი და ერთი თვეა ეს მონაკვეთი, მაგრამ ბევრი დღესაც ვერ გარკვეულა რას ერჩოდნენ იმ პირტიტველა გოგო-ბიჭებს, რომელთა სისხლი, მრავალთა სამარცხვინოდ, დღემდე ამჩნევია რუსთაველის გამზირსა და სანაპირო უბანს მარჯის ხიდთან.“

ავტორის სიტყვით, 1989 წელსაც იგივე მეზი დაეცა საქართველოს. „რუსთაველი ტირის. [...] რუსთაველი ტიტებისა და მიხაკების, გვირილებისა და შროშანების, იასამნებისა და მათი ვარდების ცრემლში იხრჩობა იმ დანოკების გამო, ბედკრულ საქართველოსთვის **ლეკიანობისა და შაჰ-აბასის** თარეშის დროსაც რომ არ ურგუნებია სანუთროს... **დიდგორის ბრძოლასავით** შეუვალა ის რწმენა, 9 აპრილს, გამთენიისას, აქ, რუსთაველზე რომ გამოიქცა. გლოვობს მთელი საქართველო – **დიდგორი, მარაბდა, ასპინძა, მარტყოფი! გლოვობს ტაშისკარი, კრწანისი, მთაწმინდა! გლოვობს სიონი, გლოვობს ალავერდი, გლოვობს გელათი!**<sup>184</sup> საგლოვი აქვთ და უნდა იგლოვონ და ამ გლოვაშიც არ უნდა ჩაქრეს ბედნიერი მომავლის იმედი“<sup>185</sup>

1990 წელს 9 აპრილის წლისთავს ჯერ კიდევ კომუნისტური საქართველო სრულიად ახალ რეალობაში შეხვდა. ქართულ კულტურაში არსებული ტრადიციით, გარდაცვალების წლისთავი განსაკუთრებულად აღინიშნება. ეს კარგად ჩანს ამ წლის „კომუნისტის“ ფურცლებზე. ტრაგედია საკრალიზებულია, მას უკვე აქვს ტრავმული მოვლენისთვის საჭირო კომპონენტები და საერთო ეროვნული სახე. წლისთავის აღნიშვნას გასდევს ამაღლებული, ტრიუმფალური პათოსი. 1990 წლის „კომუნისტი“ სრულყოფილი, დასრულებული ფორმით წარმოგვიდგენს იმ ნარატივს, რომლის საფუძველიც 1989 წლის აპრილში შეიქმნა. ეს წელი ყველაზე მასშტაბური და მდიდარია 9 აპრილის აღნიშვნის თვალსაზრისით, ასევე ყველაზე გამორჩეულია ოფიციალური პრესის მიერ 9 აპრილის, როგორც ტრაგიკული მოვლენის, ხაზგასმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გივი გუმბარიძის მიმართვა, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ სატიტულო გვერდზე დაიბეჭდა, არაფრით ჰგავდა კომუნისტური რესპუბლიკის მმართველის ტექსტს. გუმბარიძე 9 აპრილს ეროვნული გლოვის დღეს უწოდებს, რომელიც სამუდამოდ დარჩება ქართველი ხალხის მეხსიერებაში. იგი 9 აპრილს გარდაცვლილებს მსხვერპლად შეწირულ ადამიანებად მოიხსენიებს. მისი სიტყვით, ქართველმა ერმა გამოიჩინა სიმაღლე, გაუტეხლობა და კეთილშობილება. ტრაგედიის წლისთავის აღმნიშვნელი „კომუნისტის“ ფურცლები საყოველთაო გლოვის ნათელი ასახვაა, თუმცა ეს გლოვა არ არის მხოლოდ ტრაგიზმის და, მით უფრო, უმწეობის გამომხატველი, მას ახლავს საკრალური, იდეისთვის ბრძოლისა და მომავალზე ორიენტირების პათოსი. გუმბარიძის სიტყვა ამის დასტურია: 9 აპრილი ეროვნული ტრაგედია იყო, თუმცა, მსგავსი ტრაგედიები ჩვეულია ქართველი ხალხისთვის და „ჭირსა შიგან გამაგრება“ მისი უმთავრესი თვისებაა. „ჩვენი ერი არასოდეს მისცემია სასონარკვეთას, მას არ-

<sup>184</sup> ეს არის საქართველოს ისტორიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტრავმული და ტრიუმფალური მოვლენები და საკრალური ადგილები, რომლებიც ეროვნული იდენტობის სიმბოლურ საყრდენებად მოიაზრება.

<sup>185</sup> მუსხელიაძე, ლერი. „რუსთაველის გამზირიც დიდგორად იქცა...“ *სოფლის ცხოვრება*, 1 მაისი, 1989, N 103, გვ. 2.

ასოდეს არ შეუქცევია ზურგი ცხოვრებისათვის, იმედი არ დაუკარგავს ნათელი მომავლისა. დღესაც ასეა.“ ამავე სიტყვაში ჩანს ეგზისტენციალური გამოწვევები და დიდი გარდატეხის მოლოდინი, რომლის წინაშეც ქართველი ხალხი იდგა. გუმბარდიის სიტყვით, ქართველ ერს ბევრი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემის გადაწყვეტა მოუწევდა.<sup>186</sup>

ტრაგედიის, როგორც საკრალური მოვლენის, გამოღვიძების და მომავალი გამარჯვების სანინდრის გამომხატველია სარედაქციო წერილი „როცა მწუხარება ძალა ხდება.“ პუბლიკაცია ხაზს უსვამს ჭრილობების მოუშუშებლობას, ტრაგიკული მოვლენის უსაზღვრობას და უკიდვანობას, თუმცა „ეს ის ჭრილობაა, რომელიც არ შუშდება, ხოლო მწუხარება კი არ ქრება, არამედ იმ ძალად იქცევა, რომელიც სათავეს ხალხის წიაღიდან იღებს და მასვე უბრუნდება, როგორც განახლებისა და აღორძინების წყარო.“ წერილში საუბარია ისტორიულ მაგალითებზე, როდესაც, ძნელბედობისა და კრიზისის დროს, გარე ძალის უხეში ჩარევის შედეგად, მომხდარა ქართველი ხალხის გამოღვიძება, „მკვდრეთით აღდგომა“, მკვეთრი შემობრუნება სიცოცხლისა და არსებობისაკენ.<sup>187</sup>

9 აპრილის წლისთავისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ტრაგედიამ ქართველი ხალხი გააერთიანა. ზოგადად, 9 აპრილთან ქართველი ხალხის კონსოლიდაციის დაკავშირება ამ მოვლენის ამსახველი ნარატივის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. 9 აპრილი წარმოდგენილია როგორც დიდი ტრაგედიის დღე, რომელმაც ქართველი ხალხის სრული ერთიანობა მოიტანა. ერთიანობა ზოგისთვის დროებითი იყო, რომელსაც მალევე მოჰყვა დაქსაქსულობა, ზოგისთვის კი მომავალი გამარჯვებების სიმბოლო.

1990 წლისთვის 9 აპრილი, როგორც ტრაგიკული მოვლენა, უკვე გამოკვეთილად საკრალური მნიშვნელობის მატარებელია. ცრემლს და მწუხარებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ქართველი ერის „აღდგომა“ და თავისუფლება. „საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის მოძრაობამ ახლა არნახულ გაქანებას მიაღწია და შორს არ არის ის დღე, როცა ახდება სანუკვარი ოცნება“;<sup>188</sup> „საქართველოს ისტორიაში არის მოვლენები, რომლებიც ადულაბებენ ერს და ქმნიან მისი განახლებისა და უკვდავების წანამძღვრებს. ასეთად დარჩება ათას ცხრა ოთხმოცდაცხრა წლის ცხრა აპრილი – სისხლიანი ტრაგედიის დღე - ერის სულიერი აღორძინების ნიშანსვეტი.“<sup>189</sup>

როგორც ვნახეთ, „კომუნისტი“ ერთი მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს 9 აპრილის მოვლენის მთელ საზოგადოებაზე განვრცობასა და ტრაგედიის საერთო ნაციონალურ მოვლენად ჩამოყალიბებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ასახავს ტრაგიკული მოვლენის საყოველთაობას. გაზეთის ფურცლებზე გამოცემულია, თუ როგორ იზიარებს საერთო მწუხარებას საზოგადოების ყველა ფენა, როგორ უერთდებიან გლოვას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. „სატკივარი განუყოფელია“, „ერთმანეთის მხარდამხარ“ – მსგავსი დასახელებების პუბლიკაციები მრავლად გვხვდება ტრაგედიის წლისთავის ამსახველ გამოცემებში.

<sup>186</sup> გუმბარდიე, გივი. „საერთო ნებით, საერთო სულისკვეთებით“, *კომუნისტი*, 9 აპრილი, 1990, N83 (20424), გვ.1.

<sup>187</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>188</sup> იქვე.

<sup>189</sup> იქვე, გვ. 3.

ტრაგედიის წლისთავის აღნიშვნის სიღრმეს აჩვენებს „ახალგაზრდა ივერიელის“ 1990 წლის სარედაქციო პუბლიკაცია. სატიტულო გვერდზე გამოქვეყნებული ბავშვის ხელნაწერი წერილის ფოტო, სადაც ის რუს ჯარისკაცებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდებს. წერილს თან ერთვის ტექსტი: „საქართველოს მტრების მიმართ მათ ნაღდი სიძულვილი აქვთ. მათ – გამოღვიძებული საქართველოს პატარა ბოკვერებს – 7-9 წლის გოგო-ბიჭებს, უბრალოდ, ზუსტად, დაუფარავად გამოხატული – ვთქვათ ასე: „მე არასოდეს არ მინდა ტანკის დანახვა“... „ნადით აქედან,“... „შემძულდა ჯარისკაცი“... „მე ამ ტრაგედიას არასოდეს დავივიწყებ“... მათ ჯერ მხოლოდ ეს შეუძლიათ, ეს დღეს, თორემ ხვალ და ზეგ ისინი თავისუფალი, დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოსთვის იღვანებენ.“<sup>190</sup>

როგორც „კომუნისტის,“ ასევე სხვა გაზეთების პუბლიკაციების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ტრავმის ჩამოყალიბების პროცესი იმ კულტურული ნიმუშის ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც აქტიურდება 1980-იანი წლების ბოლოდან, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის კვალდაკვალ: ეს არის მუდმივი ტანჯვით, ბრძოლითა და გაღებული მსხვერპლით გამოწვეული ტრაგიზმი, რომელიც მორალური თუ ფიზიკური გამარჯვების სიმბოლოდ უნდა იქცეს. ეროვნული მოძრაობის ეს საკრალური კომპონენტი მისი ლიდერების, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ვერბალური თუ წერილობითი რიტორიკის ლაიტმოტივია. იგივე სქემა აისახება ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

„ამქვეყნიური არსებობის ტრაგიზმის განცდა ქართველი კაცის ბუნებას მემკვიდრეობით მოსდევს და, შეიძლება ამიტომაცაა, რომ ქვეყნის უკუღმა ტრიალს ქართველი არათუ უძლებდა, გასაჭირში ახალ, სასიცოცხლო ძალას აგნებდა... 9 აპრილის ტრაგედიამ კი არ დათრგუნა და დააბეჩავა ქართველი ხალხი, არამედ გამოაფხიზლა და ერთ მუშტად შეკრა... მაღლობა უფალს, ჩვენი ქვეყნის ზეცაზე კვლავ ნათდება განთიადის ვარსკვლავი,“  
წერდა თამაზ კვაჭანტირაძე 1990 წლის 13 აპრილს.

„წელი ათასი ვითარცა ერთი დღე,“ – ბრძანებს დავით წინასწარმეტყველი. და – პირიქითაც, დღე ერთი ვითარცა ათასი წელი... დგება წელი, დღე და თვით ნამიც ერის ცხოვრებაში, საუკუნეებს რომ გადასწონის. ასეთი იყო დღე 9 აპრილისა; ასეთი იყო 1989 წლის აპრილიდან წელი პირველი. ამ დღემ ისე შეგვძრა, **ჟამის ათვლა ლამის მისით დავიწყით...** მონამეთა აქ **დაღვრილი წმინდა სისხლიც** სწორედ ამას შემოგვჩუხჩუხებს: გავერთიანდეთ, განვმტკიცდეთ, განვძლიერდეთ და ყველამ ერთად - ცოცხლებმაც და მკვდრებმაც – მოვუაროთ საქართველოს.“<sup>191</sup>

„მკვდრების და ცოცხლების“ ერთობლივი ბრძოლა, იმქვეყნიური და ამქვეყნიური სამყაროს ერთ მთლიანობაში წარმოდგენა, კოსტავასეული „დიდებული წამის“ განცდა ქმნის საკრალურ სქემას, რომლის ფარგლებშიც ვითარდება 9 აპრილის ტრაგედიის ტრავმად ქცევის პროცესი.

9 აპრილის გამთენიისას მერაბ კოსტავას მიერ წარმოთქმული სიტყვები, როდესაც იგი საქართველოს ისტორიის „უდიდებულეს წამზე“ და ერთიანი ქართველი ერის ღვთის წინაშე წარდგომაზე საუბრობს,<sup>192</sup> ზუსტად ასახავს აქციაზე

<sup>190</sup> „...ძლიერი ხარ უიარაღოც!“ ახალგაზრდა ივერიელი, 7 აპრილი, 1990, N 38, გვ. 1.

<sup>191</sup> კვაჭანტირაძე, თამაზ. „წელი პირველი,“ ლიტერატურული საქართველო, 13 აპრილი, 1990, N 15, გვ. 12.

<sup>192</sup> „მერაბ კოსტავას სიტყვა 1990 წლის 9 აპრილს,“ YouTube, 10 აპრილი, 2017, <https://bit.ly/3t55WwK> (ნანახია 05.03.2021).



არსებულ მისტიკურ განწყობას. მომიტინგეები „ღვთიური საქმის“ მონაწილეები არიან, რომელთა დამარცხება შეუძლებელია. აქციის დარბევამდე უკვე არსებობდა მორალური ტრიუმფის განცდა. 30 წლის შემდეგ აქციის ერთ-ერთი მონაწილე, მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ლელა ქინქლაძე იხსენებს:

„ბუნებით ძალიან ფრთხილი და მშობარა გახლავართ, მაგრამ მეგონა, რომ ჩვენ იმდენად წმინდა საქმეს ვაკეთებდით, ვერაფერი მოგვერეოდა, [...] რადგან ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, დავიცავდით ერთმანეთს, ვიყავით ერთ სულ და ერთ ხორც. [...] 10 საათისკენ დაიწყო საუბარი, რომ ახლოს არიან რუსის ტანკები. შეშფოთება და შიში მაინც არავის ეტყობოდა. ყველას გვეგონა, რომ იმ დღეს რაღაც დიდი უნდა მომხდარიყო. იმ დღეს უნდა გადამწყვეტილიყო საქართველოს ბედი. [...] პირადად მე პატრიარქის სიტყვები ცოტა არ იყო მენყინა. გულში შიშმა გამკრა, ვაი თუ ეს ხალხი დაიშალოს-მეთქი. მერაბი და ზვიადი ძალიან შენუხებულები იყვნენ. ხშირად ლიდერებს აბრალებენ მსხვერპლს, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვერ გავთვალეთ ეს საფრთხე. როცა კორიდორი გაკეთდა და რუსეთის ჯარი შემოვიდა, იმის ნაცვლად, რომ საშიშროება გვეგრძნო, აღფრთოვანებულები ვიყავით, თავს ბედნიერად ვგრძნობდით იმიტომ, რომ რუსის ჯარი შემოვიდა და მე მას ვხვდები ტაშით, მე არაფრის არ მეშინოდა. გვეგონა, ჩვენ მხარეს თუ არ გადმოვიდოდნენ, იგრძნობდნენ მაინც, რომ ჩვენი საქმე წმინდა იყო. ჩემი აზრით, ამ სულისკვეთებას მოყვა ამდენი მსხვერპლი. გვეგონა სანთლებით, ყვავილებით, სიმღერით, ტაშით მათ გულს გავათბობდით, მაგრამ თურმე ისინი სპეციალურად გამოწვრთნილი უემოციო რობოტები ყოფილან. [...] ასეთი რომანტიზმი იყო მაშინ.“<sup>193</sup>

წერილი „წმინდა მონამენი,“ სადაც დაბეჭდილია ინტერვიუები 9 აპრილს დაღუპულების ოჯახის წევრებთან, სრულდება პასაჟით, რომელიც მოვლენის საკრალიზაციისა და მისი მნიშვნელობის გასაყოველთაოების მკაფიო მაგალითია:

„9 აპრილს დაღუპულთა შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები: უპირატესად ქალები და ახალგაზრდები. ყველა სოციალური ფენის: გლეხობის, მუშათა და ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, როგორც ღარიბები, ისე შეძლებული ოჯახის შვილები. ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში, ზოგი მხნე და უშიშარი, ზოგიც პირიქით – მოშიში, რაც კიდევ მეტად ფასეულს ხდის ჩადენილ გმირობას; უშუალოდ ტრაგედიის წინ წინასწარგანწყობაც სხვადასხვა ჰქონდათ: ზოგს – ზეანეული და აღმატებული, ზოგს უსიამოვნო და ფიქრთა ამშლელი, რითაც მეტი სიაშკარავით ვლინდება მთავრობის სახლის კიბეებზე მდგომთა თავგამეტება. მაგრამ ყოველ მათგანს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, განათლებისა, თანამდებობისა, ქონებრივი ცენზისა – ჰქონდათ ერთიანი რწმენა – რწმენა საქართველოს მომავლისა და მზად იყვნენ თავი გაენირათ სამშობლოს ბედნიერებისათვის, არცერთი არ ყოფილა ურწმუნო ათეისტი, ყველანი მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და საკუთარი თავი წინასწარგანზრახულებით ჰქონდათ მიტანილი ერის სამსხვერპლოზე... ამ, ჩვენი დროის წმინდა მონამეთა (ხაზგასმა ავტორის) დაღვრილმა სისხლმა თავისუფლებისაკენ მი-

<sup>193</sup> ქინქლაძე, ლელა. „9 აპრილი - დღე ტრაგედიისა და დამოუკიდებლობისა,“ *ალიონი*, 8 აპრილი, 2019, N 14 (10308), გვ. 4.

მავალი გზა გაუკავა საქართველოს და უკვდავების ნიშნით აღბეჭდილი მათი სახელები კურთხევით მოიხსენიება ან და მარადის უკუნითი უკუნისამდე!<sup>194</sup>

9 აპრილის წლისთავის აღნიშვნის თვალსაზრისით, საინტერესოა ალტერნატიული პრესაც. გაზეთის „მონამეთა“ ფურცლებზე ვხვდებით სარედაქციო პუბლიკაციას საყურადღებო სათაურით „ეროვნული კათარზისის დღე.“ წერილის პათოსი სრულ თანხვედრაშია ოფიციალური მედიის სულისკვეთებასთან. „ისტორიამ იცის სისხლით დანერილი თარიღები, ჟამთასვლამ გაუხუნებლად შემოინახა ყოველი მათგანი. აგერ, ჩვენს თვალწინ, კიდევ ერთი ასეთი თარიღი ამოკვეთა საუკუნემ თავისი უღმობელი სისასტიკით – 9 აპრილი, 1989.“ წერილი 9 აპრილს 68 წლიანი ჭაობის დაძვრად აფასებს, როდესაც ჭაობის ზედაპირზე ტალღები წარმოიქმნა, „ისტორიის სიმჟავეთაგან გამოქმული ფსკერი დაიბზარა, [...] მაგრამ მოპირდაპირე მხარეს უკვე მზადდებოდა საუკუნის ტრაგედიის გენერალური გეგმა. **სისხლში, ცრემლში, ტკივილში, მწუხარებაში და... იმედში გათენდა 9 აპრილი, 1989... დიდება 9 აპრილის უსაზღვრო მწუხარებას, რომელმაც ჩვენი ერის თავისუფლების იმედი შვა!...** შენ არ შეგშვენის გლოვა და ზარი, შენ არ შეგშვენის მუხლზე დაცემა, იმიტომ, რომ შენი შვილები გმირებად იბადებიან, შენი პატარა გოგო-ბიჭები ენის ამოდგმისთანავე მამულის თავისუფლებას ავედრებენ დედა-ღვთისმშობელს. გმართებს გამძლეობა, გმართებს შემართება და მხრების გაშლა! ჰოი, მამულო! შენი იყო **დიდგორიც და ბასიანიც, შენი იყო ასპინძაც და მარაბდაც, მარტყოფიც და კრწანისიც... და 9 აპრილიც 1989 წლისა.**“<sup>195</sup>

1989 წლის 9 აპრილის წლისთავს გამოეხმაურნენ სხვა ალტერნატიული პერიოდული გამოცემებიც – გაზეთები „დროება“, „ძლევაი“, „ქართლი.“ დაიბეჭდა გლოვის ამსახველი ფოტოკოლაჟები, გარდაცვლილთა სურათები, მათი ბიოგრაფიები, ოჯახის წევრების ინტერვიუები და მოგონებები.<sup>196</sup> „9 აპრილი არასოდეს დამთავრდება, თაობებში ივლის, საუკუნეებს გადასწვდება,“ – ნათქვამია გაზეთ „ქართლის“ პუბლიკაციაში, – „9 აპრილი მარტო ტკივილი არ არის.“<sup>197</sup>

ამრიგად, 1990 წლის ქართული პრესა წარმოგვიდგენს კულტურული ტრავმის დასრულებულ კონსტრუქციას. ტრავმის რეპრეზენტაცია სრულყოფილი და მკაფიო ფორმით ხდება, მასში თავს იყრის ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც 9 აპრილს მიენიჭა. იგი უკვე არის კულტურულად გადამუშავებული პარადიგმული მოვლენა, რომელიც აყალიბებს საყოველთაოდ გაზიარებულ გავლენის ნარატივს. ეს უკანასკნელი მოქმედების საერთო სივრცეს ქმნის როგორც ეროვნული მოძრაობისთვის, ასევე ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებისთვის.

1991 წლის 9 აპრილის ნომერში, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობის ზღვარზე იდგა, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“<sup>198</sup> ტრაგედიას იხსენებს.

<sup>194</sup> ასკანელი, ზურაბ. „წმინდა მოწამენი,“ ახალგაზრდა ივერიელი, 7 აპრილი, 1990, N 38, გვ. 4.

<sup>195</sup> „ეროვნული კათარზისის დღე,“ მონამეთა, მარტი-აპრილი, 1990, III-IV, გვ. 1.

<sup>196</sup> „წმინდა მოწამენი,“ ძლევაი, 9 აპრილი, 1990, N 3, გვ. 1; „9 აპრილი. არდავიწყება,“ დროება, 9 აპრილი, 1990, N 15, გვ. 1.

<sup>197</sup> „9 აპრილი მარტო ტკივილი არ არის,“ ქართლი, 9 აპრილი, 1990, N 4, გვ. 1.

<sup>198</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიქმნა გაზეთ „კომუნისტის“ ბაზაზე. გამოდის 1990 წლის 6 დეკემბრიდან.

პუბლიკაციაში „9 აპრილის სინდრომი“ ქართული საზოგადოება განხილულია როგორც „სნეული“, ამ სნეულებისგან განკურნების ერთადერთი გზა კი თავისუფლებაა. „1989 წლის 9 აპრილის კომმარით „დაავადებული“ იქნა სრულიად საქართველო. სწორედ ამ საბედისწერო დღეს შეგვეყარა სენი, რომელსაც ვერავითარი იმპერიული „რეცეპტი“ და „ნამალი“ ველარ უშველის. ამბოხებული სული ვერ განიკურნება და ვერ მოისვენებს, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ელირსება!“<sup>199</sup> 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოცხადდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს ხელისუფლებამ, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, იმ ტრიუმფალური კომპონენტის ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მნიშვნელობაში იმთავითვე ჩაიდო. 9 აპრილი კონსტრუირდა როგორც ამაღლებული ტრაგედია, როგორც საქართველოს ახალი ისტორიის უმთავრესი მოვლენის – დამოუკიდებლობის – საძირკველი. მიუხედავად დიდი კატაკლიზმებისა და რადიკალური პოლიტიკური ცვლილებებისა, 1989 წლის 9 აპრილი, როგორც ქართველი ხალხის მორალური ტრიუმფი, თარიღი, საიდანაც ახალი საქართველო იწყებს არსებობას, უცვლელი დარჩა.

10 აპრილის „საქართველოს რესპუბლიკის“ ნარატივი ცალსახად ტრიუმფალურია. გაზეთში ასახულია მიღწეულ დამოუკიდებლობაში გამოსატყუი ქართველი ხალხის გამარჯვება, რომელიც, დიდნილად, 1989 წლის 9 აპრილმა განაპირობა. ფოტორეპორტაჟი გადმოსცემს მთავრობის სასახლის წინ გამართულ ხალხმრავალ მიტინგს, ყვავილების ზღვას, მოქალაქეების მიერ 9 აპრილს დაღუპულთათვის პატივის მიგებას. ფოტორეპორტაჟს თან ერთვის წერილი სათაურით „ერთიანობის დღესასწაული, თავისუფლების დღესასწაული.“ პუბლიკაციაში მოტანილია ამონარიდი მიტინგზე თემურ ქორიძის გამოსვლიდან: „დიახ, ამო არ ყოფილა მსხვერპლი და 2 წლის წინათ, იმ საზარელ ღამეს, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი. დღეს ისინი, მათი სულები ჩვენთან არიან.“ მიტინგზე სიტყვით გამოსულმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა: „ჯერ ცრემლი არ შეგვშრობია 9 აპრილის მსხვერპლთა გამო და უფალმა დღეს სიხარულის ცრემლებიც შეგვმატა.“ გამსახურდიას სიტყვა მისთვის დამახასიათებელი საკრალური კომპონენტებითაა შეზავებული: „ჩვენ ეკლიანი გზა გავიარეთ, რელიგიამ და ზნეობრიობამ ქმმარიტებასთან, საქართველოს აღორძინების აუცილებლობასთან მიგვიყვანა.“<sup>200</sup> ამავე ნომერში დაბეჭდილია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და ზვიად გამსახურდიას მიმართვის ტექსტი.

„ახალგაზრდა ივერიელის“ 1991 წლის 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო ტექსტი იმ დიდი გარდატეხის მკაფიო და ლაკონური შეჯამებაა, რომელიც საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს დაიწყო. ავტორისთვის ორი 9 აპრილი არ არსებობს, ეს ერთი თარიღია, რომელიც ტრაგედიას და გამარჯვებას ერთ მთლიანობაში გამოხატავს. „9 აპრილი. ამ თარიღს წლის მინიშნება

<sup>199</sup> „9 აპრილის სინდრომი“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 1991, N 69 (89), გვ. 1.

<sup>200</sup> „ერთიანობის დღესასწაული, თავისუფლების დღესასწაული“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 10 აპრილი, 1991, N 70 (90), გვ. 1.

აღარ სჭირდება, რადგან საქართველოს ისტორიაში ეს ერთი და ერთადერთი 9 აპრილია.“ წერილში ნათქვამია, რომ 9 აპრილის შემდგომი საქართველო უკვე საბოლოოდ არის

„გამოფხიზლებული, ეროვნული ღირსების დასაცავად აღმდგარი, მტრის მტრულად დამხვედრი და მოყვარის სამფარველოდ შემართული. **ცხრა აპრილს დაღვრილმა წმინდა სისხლმა** თავისი უდიდესი მისია შეასრულა. [...] ბედნიერი და უკვდავია ის ერი, რომელსაც შეუძლია მსხვერპლი გაილოს თავისი მომავლისთვის და **წმინდანებად შერაცხოს სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაცემულნი**. ცხრა აპრილიდან მხოლოდ ორი წელი გავიდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში საქართველომ ორი საუკუნის ცხოვრებით იცხოვრა. [...] ამ ორი ტკივილიანი წლის განმავლობაში საქართველომ შესძლო იმ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, რომელიც ორი საუკუნე ითვლებოდა რუსული ჩექმის ქვეშ. და აი, 9 აპრილის ორი წლისთავზე საქართველო ცივილიზებული სამყაროს გასაგონად აცხადებს თავის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. და ამაში დიდია 9 აპრილს დაღუპულთა წვლილი. დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო სანთლებად აინთებს მათ ხსოვნას.“<sup>201</sup>

1992 წლის დასაწყისში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება შეიარაღებული ამბოხის გზით დაემხო. ამავე წლის მარტში საქართველოში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ქვეყნის მმართველ ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს. ხელისუფლების საკვანძო თანამდებობები სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორებმა, ზვიად გამსახურდიას მთავარმა მოწინააღმდეგეებმა დაიკავეს, კარდინალურად შეიცვალა პოლიტიკური რეალობა. 1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე სრულად არის იგნორირებული ხელისუფლების მიერ. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერთი წლისთავზე გამოცემულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დამოუკიდებლობის შესახებ. გაზეთის ფურცლებზე შედარებით მოკრძალებულად, მაგრამ მაინც არის აღნიშნული 1989 წლის 9 აპრილის მოვლენიდან გასული ოთხი წელი, თუმცა ნომერი არ არის დატვირთული 9 აპრილისადმი მიძღვნილი ტექსტებით. დაბეჭდილია გლოვის ამსახველი რამდენიმე ფოტოსურათი, სათაურით „რეკავენ უკვდავების ზარები!..“<sup>202</sup> 1991 წლის 9 აპრილი, თითქოს, შეპირისპირებულია 1989 წლის 9 აპრილთან: ტრაგედიისადმი მიძღვნილი წერილის – „სანთლებად ავინთებთ“ – პირველივე აბზაცში ხაზგასმულია, რომ 9 აპრილის ტკივილს ვერანაირი სხვა მოვლენა ვერ გადაფარავს: „მეოთხედ მოვიდა ტკივილიანი 9 აპრილი. რა მოვლენაც არ უნდა დაეძაროს ამ დღეს, ჩვენს არსებაში 9 აპრილი მარად მამულისთვის შეწირულთა სახელებთან იქნება დაკავშირებული.“<sup>203</sup>

ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად დამოუკიდებლობის გამოცხადების იგნორირებისა, ხელშეუხებელია 9 აპრილის ტრაგედიის, როგორც პარადიგმული მოვლენის მნიშვნელობა. შემდგომ წლებში, პოლიტიკური სტაბილურობისა და ლეგიტიმაციის მოპოვების კვალდაკვალ, შევარდნაძის ხელისუფლებამ კვლავ

<sup>201</sup> „ეროვნული ღირსების დასაცავად აღმდგარი,“ ახალგაზრდა ივერიელი, 11 აპრილი, 1991, N 41, გვ. 7.

<sup>202</sup> „რეკავენ უკვდავების ზარები,“ საქართველოს რესპუბლიკა, 9 აპრილი, 1992, N 57 (330), გვ. 4.

<sup>203</sup> იქვე.

გააქტიურა 9 აპრილი როგორც ქვეყნის პროგრესის ათვლის წერტილი, მომავალი გამარჯვების საფუძველი.

1993 წელი ორივე 9 აპრილისადმი მწყობრი დამოკიდებულების ჩამოყალიბების დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. ამ წლის 9 აპრილის „საქართველოს რესპუბლიკის“ სატიტულო გვერდზე გამოქვეყნდა 8 აპრილის დადგენილება, რომელიც, შესაძლებელია, ახალი კონიუნქტურის საწყისად განვიხილოთ. გასული წლისგან განსხვავებით, დადგენილებაში აღარ არის იგნორირებული დამოუკიდებლობის გამოცხადება და 9 აპრილი განხილულია როგორც ტრავმული და ტრიუმფალური მოვლენა. გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის 1991 წლის 9 აპრილის სხდომის დღიური, სადაც ასახულია დადგენილების მიღების პროცესი. როგორც აღვნიშნეთ, ამ დადგენილებით, 9 აპრილი ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადდა. იგი უქმე დღედ დაწესდა და დადგინდა მისი ყოველწლიური აღნიშვნა. სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დადგენილების პროექტის წარდგენისას აღნიშნა: „პირველ რიგში, ეს იყო უმძიმესი დღე, დაიღუპა ხალხი, მაგრამ ასეთი დღე საქართველოს ისტორიაში მარტო 9 აპრილი არ არის. უფრო დიდი მსხვერპლი და უფრო დიდი მოვლენებიც მომხდარა, მაგრამ 9 აპრილმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა“; ამ დღემ ბიძგი მისცა ხალხის ერთიანობას და დიდი რეზონანსი მოიპოვა, რადგან ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის მიღწევა მაშინდელი საზოგადოების წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანა იყო. მომავალში, შევარდნაძის სიტყვით, „სწორედ დაღუპულთა, სამშობლოსთვის შეწირულთა სახელები და საქმენი მათი გახდება ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ქვეყნისა და ხალხის გაერთიანებისა.“<sup>204</sup> საინტერესოა 9 აპრილის აღნიშვნის შევარდნაძისეული ხედვა: „9 აპრილის აღნიშვნა არ იქნება, მე ასე წარმომიდგენია, ზარ-ზეიმის დღე, ეს იქნება სევდანარევი დღე, როდესაც ხალხი იფიქრებს წარსულზეც, მომავალზეც, იფიქრებს მათზე, ვინც სამშობლოს შესწირა თავი და იფიქრებს მომავალ თაობებზე, ჩვენი შვილების, შვილიშვილების ბედნიერებაზე და მომავალზე.“<sup>204</sup> მიუხედავად იმისა, რომ დადგენილებაში ნახსენებია დამოუკიდებლობის აქტი, შევარდნაძის გამოსვლიდან ჩანს, რომ 9 აპრილის, როგორც ტრაგიკული მოვლენის წარმოჩენას, კვლავ წამყვანი ადგილი უჭირავს.

არაერთი პუბლიკაცია ეძღვნება 9 აპრილს, თუმცა 1989 წლის ტრაგედიას და არა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. გამოქვეყნებულია ინტერვიუები ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან თამრიკო ჩხეიძესთან, გია ჭანტურიასთან, ირაკლი წერეთელთან და სხვებთან. რესპონდენტები საუბრობენ 9 აპრილის უდიდეს მნიშვნელობაზე, წარმატებაზე, გამარჯვებაზე, ქართველი ხალხის ერთიანობაზე, მსხვერპლზე, რომელმაც საქართველოს ერთიანობა და თავისუფლება მოუტანა, თუმცა არ ახსენებენ დამოუკიდებლობის გამოცხადების მნიშვნელობას, პირიქით, მათი რიტორიკა შეიცავს ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების კრიტიკას, რომელმაც დააკნინა და დააზარალა 9 აპრილის

<sup>204</sup> „საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 8 აპრილი, 1993, N 74 (618), გვ. 1.

მნიშვნელობა.<sup>205</sup> 9 აპრილი განხილულია როგორც ტრაგედია და, ამავე დროს, დიდი გამარჯვება, რომელიც უდიდესი მორალური მნიშვნელობის მატარებელი გახდა. ნიშანდობლივია ირაკლი წერეთლის განცხადება, რომლის სიტყვით, 9 აპრილი „არის ქართველი ერის უდიდესი მორალური და პოლიტიკური გამარჯვება. ამან გახადა უძლეველი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა“; აღამიანების სიკვდილი ტრაგედია იყო, თუმცა ამ მოვლენაში გამარჯვება უფრო მეტია, ვიდრე მარცხი.

9 აპრილის როგორც ტრაგიკული, მაგრამ ამაღლებული, დიდი ისტორიული და მორალური მნიშვნელობის თარიღად წარმოჩენის ტენდენციას აგრძელებს ედუარდ შევარდნაძის 1994 წლის მიმართვა, რომელიც 9 აპრილს გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა.“ შევარდნაძე 9 აპრილს ამაღლებულ და, ამავე დროს, სისხლიან თარიღს უწოდებს, „ქართული სულის აღზევებისა და ქართული ცნობიერების გასხივოსნების თარიღს, ზნეობრივი სიმაღლითა და ეროვნული მთლიანობით შიდა და გარე მტრებზე სულიერი ამაღლების თარიღს.“ სახელმწიფოს მეთაურის სიტყვით, 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში განუმეორებელი ფაქტია, თუმცა იქვე გვთავაზობს პარალელებს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან – სხვა „ჰეროიკულ და ტრაგიკულ“ გაბრძოლებებთან: 1956 წლის 9 მარტთან, 1924 წლის აგვისტოსა და 1921 წლის თებერვალთან. „ასეთი წლები და ასეთი თვეები საქართველოს ისტორიის სიღრმეში ბევრია, სამწუხაროდ თუ საამაყოდ ბევრი, რადგან ერი, მართალია, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ მაინც იბრძოდა, იბრძოდა და საბოლოოდ იმარჯვებდა კიდეც. ახლაც გავიმარჯვებთ!“ – ნათქვამია შევარდნაძის განცხადებაში.<sup>206</sup>

1993-1994 წლების ოფიციალურ ნარატივში 9 აპრილი კონსტრუირებულია როგორც რჩეული ტრავმა. ეს არის მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დიდი დანაკარგი, მსხვერპლად ყოფნის განცდა და, ამავე დროს, ახალი იდენტობის საყრდენად იქცა. როგორც 1993 წლის საქართველოს პარლამენტის დადგენილება, ასევე სახელმწიფოს მეთაურის საჯარო მიმართვები გვაჩვენებს, რომ შევარდნაძის ხელისუფლება ცდილობს 9 აპრილის ტრაგედიის ჰეროიკულ და ტრიუმფალურ კომპონენტზე მომავალი წარმატებული საქართველოს იდეა დააფუძნოს. ამ შემთხვევაში, ჩრდილშია მოქცეული 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა, როგორც ინსტიტუციონალიზებული ტრიუმფი, რომელიც ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება. თუმცა სრულად არის შენარჩუნებული, მეტიც, გაძლიერებულია 9 აპრილის ტრაგედიასთან ერთად დაბადებული მორალური ტრიუმფის იდეა.

1995 წელს 9 აპრილი, როგორც ტრაგიკული მოვლენა, მოკრძალებულად აღინიშნა. გამოქვეყნდა ტრაგედიის ამსახველი ფოტო. ედუარდ შევარდნაძემ და ხელისუფლების წევრებმა პატივი მიაგეს დალუპულთა ხსოვნას. ასევე საუბარი იყო 9 აპრილის მემორიალიზაციაზე, კერძოდ, 9 აპრილისადმი მიძღვნილ მონუმენტზე.<sup>207</sup> 9 აპრილის როგორც ტრაგიკული მოვლენის მოკრძალებული, სტან-

<sup>205</sup> ალუდაური, მია. „ოთხი წლის გადასახედიდან,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 8 აპრილი, 1993, N 74 (618), გვ. 2.

<sup>206</sup> „ედუარდ შევარდნაძის მიმართვა,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 1994, N 57 (859), გვ. 1.

<sup>207</sup> გაბრიამე, მერი. „უკვდავია თავისუფალი საქართველოს მარადიული მამულიშვილების ხსოვნა,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 11 აპრილი, 1995, N 38 (1054), გვ. 1.

დარტიზებული აღნიშვნის ტენდენცია გაგრძელდა 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში. ამ პერიოდში 9 აპრილის წლისთავებისადმი გამოხმაურება ერთმანეთის იდენტურია, პოლიტიკური კონიუნქტურა ხელს უწყობს ამ ტრადიციის შენარჩუნებას.

### 9 აპრილის რეზონანსი ახალ პოლიტიკურ რეალობაში

2003 წლის ნოემბერის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში კიდევ ერთხელ რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. 2004 წლიდან 9 აპრილი კვლავ აქტუალიზდა. მან დაიბრუნა დამოუკიდებლობის აღდგენის დღის მნიშვნელობა. 2004 წლის 9 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ზონდო მძინარაშვილის წერილი სათაურით „9 აპრილი – ერთი დღის ორი განზომილება“:

„ორ სხვადასხვა ასოციაციას აღძრავს 9 აპრილი, ერთია ტრაგედიის განცდა და სისხლით მორწყული რუსთაველის პროსპექტი და მეორეა სიხარული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გამო... სწორედ თავისუფლებას ემსხვერპლნენ 9 აპრილს დაცემულები და სწორედ მაშინ გადაწყდა საქართველოს ბედი... 9 აპრილის მწუხარება – და ყველას კარგად გვახსოვს ამ დღეს საყოველთაოდ გამოვლინდა ქართული სულის აბორგება – შეცვალა 9 აპრილის სიხარულმა. აღდგა! ასრულდა! – საერთო ეროვნულმა აღმაფრენამ კიდევ უფრო მეტად გაგვიძვირფასა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებული გმირები, რომელთა სახელები სამუდამოდ აღიბეჭდა ქვეყნის ისტორიაში და თითოეული ქართველის მეხსიერებაში. ჩვენ გვიყვარს სიმბოლოებით მსჯელობა. სიმბოლური იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სწორედ 9 აპრილს გამოცხადებაც. ამიტომ ამ დღეს თითოეული ქართველის გულში ერთდროულად ისადგურებს მწუხარება და სიხარული. ყველაფერი ხომ ღვთის განგებით ხდება.“<sup>208</sup>

ამ წერილის პათეტიკური ენა 1989-1991 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს მოგვაგონებს, თითქოს ისევ იღვიძებს პათოსი, რომელიც 9 აპრილზე წერისთვის იყო დამახასიათებელი. „საქართველოს რესპუბლიკის“ იგივე ნომერში და გაზეთში „24 საათი“ (მცირედით შეცვლილი სათაურით) დაიბეჭდა ენათმეცნიერ ტარიელ ფუტკარაძის სტატია „ლეგალიზაცია, როგორც გარდაუვალი პროცესი: 9 აპრილის გამარჯვება და ზვიად გამსახურდიას დევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოსთვის.“ ავტორის სიტყვით, ეროვნულმა მოძრაობამ ზენიტს მიაღწია 1989 წლის 9 აპრილის „გმირულ ღამეს“ და ეს ბრძოლა დაგვირგვინდა 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც აღდგენილად გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. „1991 წლის 9 აპრილს საქართველოში აღდგა არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ 1918-21 წლების კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობაც, შესაბამისად, 9 აპრილი არის გმირული ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე. ნიშანდობლივია ისიც, რომ შევარდნაძის რეჟიმი

<sup>208</sup> მძინარაშვილი, ზონდო. „9 აპრილი - ერთი დღის ორი განზომილება“, *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2004, N 82 (4811), გვ. 1.

დამოუკიდებლობას აღნიშნავდა 26 მაისს და არა 9 აპრილს! შეგნებულად ხდებოდა 9 აპრილის მიჩქმალვა 26 მაისით. მსოფლიომ სწორედ 9 აპრილის აქტის საფუძველზე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა!<sup>209</sup> ტარიელ ფუტკარაძის ეს პუბლიკაცია გვაჩვენებს, რომ ახალი პოლიტიკური რეალობის საწყის ეტაპზე მედია კვლავ უთმობს სივრცეს იმ საკითხებზე მსჯელობას, რომლებიც შევარდნაძის ეპოქაში ნაკლებად იყო ნახალისებული.

ღიად დაინყო საუბარი 9 აპრილის, როგორც გამარჯვების დღის მნიშვნელობაზე, ასევე გამსახურდიას მემკვიდრეობის პოზიტიურ როლზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. 2004 წელს 9 აპრილის ბაღში დაიდგა სანკტ-პეტერბურგის ყოფილი მერის, ანატოლი სობჩაკის ძეგლი, რომელიც 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ საგამოძიებო კომისიას ხელმძღვანელობდა. სობჩაკმა ღიად დაადანაშაულა საბჭოთა ხელისუფლება მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი მეთოდებით დარბევაში. ძეგლის გახსნას, სობჩაკის ოჯახის წევრებთან ერთად, დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომლის სიტყვით, ანატოლი სობჩაკი იყო პირველი, ვინც ხმამაღლა თქვა, თუ რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს.<sup>210</sup> სობჩაკის ძეგლის გახსნას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ პრესაში.

ამავე დღეს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ რუსთაველის გამზირზე განაცხადა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის პროცესს 1989 წლის 9 აპრილს განვითარებულმა მოვლენებმა შეუწყო ხელი.<sup>211</sup> წერილში „მეთხუთმეტე 9 აპრილი“ გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ აქამდე ხელისუფლებისთვის ეს დღე მხოლოდ აუცილებელ შეკრებას და ყალბი პათეტიკის დემონსტრირებას ნიშნავდა. „როგორი შინაარსით დატვირთავს ამ თარიღს ახალი ხელისუფლება, ალბათ, მალე გამოჩნდება. 9 აპრილს დაღუპულთა ახლობლები ჯერ კიდევ სუნთქავენ იმ იმედით, რომ მათი შვილების, დებისა და ძმების, ნათესავების სისხლი არამი არ ყოფილა და ამას ახალი საქართველო საქმით დაამტკიცებს,“ – ნათქვამია ბურჯანაძის სიტყვაში. აქვეა დაბეჭდილი ინტერვიუ 9 აპრილს დაღუპული ეკა ბეჟანიშვილის ოჯახის წევრებთან, საუბარია 9 აპრილს დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების აუცილებლობაზე და სხვა.<sup>212</sup>

გაზეთში „კვირის პალიტრა“ გამოქვეყნებული ტექსტი „ქართველებს თავგანწირვა შეგვიძლია“ 9 აპრილის ტრაგედიის 15 წლისთავს ეძღვნება. ავტორი ლელა ჯიყაშვილი 9 აპრილს უწოდებს თარიღს, რომელსაც წარსული დრო არ გააჩნია. „მას შემდეგ 15 წელი გავიდა, მაგრამ ქართველ ხალხს, დაიწყებს თუ არა ფიქრს იმ ტრაგიკულ დღეზე, ტკივილი უახლდება, გული ყელში ებჯინება ისე, როგორც თხუთმეტი წლის წინ იყო. დიახ, ეს ქრილობა არ შუშდება, არც მოგონებები მიინავლება. ღმერთმა ნუ ქნას, ოდესმე ეს მოხდეს იმიტომ, რომ 9

<sup>209</sup> ფუტკარაძე, ტარიელ. „ლეგალიზაცია, როგორც გარდაუვალი პროცესი: 9 აპრილის გამარჯვება და ზვიად გამსახურდიას დევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოსთვის,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2004, N 82 (4811), გვ. 3, 9; იხ. ასევე: „9 აპრილის მნიშვნელობა და ზვიად გამსახურდიას დევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა,“ *24 საათი*, 9 აპრილი, 2004, N 84 (633), გვ. 1.

<sup>210</sup> „ძეგლი - სამართლიან კაცს,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 10 აპრილი, 2004, N 83 (4812), გვ. 3.

<sup>211</sup> იქვე.

<sup>212</sup> „მეთხუთმეტე 9 აპრილი,“ *24 საათი*, 9 აპრილი, 2004, N 84 (633), გვ. A6.



აპრილს რაც აერთიანებდა ქართველებს, რის გამოც სიკვდილს სიმღერით შეეგებნენ, არც დღეს არის წარსული და მოგვარებული პრობლემა. მაშინდელი მტრის ხატი დღეს უკანა პლანზე გადავიდა, სახეცვლილი საცეცებით კი ისევ განაგრძობს ავ საქმეთა აღსრულებას.“ ლელა ჯიყაშვილის აზრით, 9 აპრილს მებრძოლთა იდეალები დღესაც აქტუალურია, რადგან თხუთმეტმა წელმა თხუთმეტი ნაბიჯითაც ვერ დაგვაშორა მთავარ პრობლემებს.<sup>213</sup>

9 აპრილისთვის დამახასიათებელი სიმბოლოებით და პათოსით არის დატვირთული „საქართველოს რესპუბლიკის“ 2005 წლის 9 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სპარტაკ ქობულიას წერილი „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა“: „9 აპრილის წინა დღეებში, უშუალოდ იმ ჯვარცმის ღამეს და მეორე დღესაც თბილისი, მთელი საქართველო ერთსულოვნად ბობოქრობდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი თავისუფლების, ეროვნული ღირსების აღდგენის მიზნით. ერთ მუშტად შეკრული, ამაყი ერი სიკვდილშიაც არდანებების პრინციპით აღიმართა რუსული ალესილი ნიჩბების წინაშე...“ ავტორის სიტყვით, ვინც 9 აპრილის მსხვერპლი გახდა, ერმა გმირებად შერაცხა და მათი „თანამგლოვარი“ მთელი ერი შეიქნა. ავტორი იხსენებს ანა კალანდაძის ცნობილ ლექსს „რომ ფრთებს უფრო რძლიერად ვშლიდეთ.“ სპარტაკ ქობულიას სიტყვით, „მკვდრებით აღდგომა, შვილთამრავლობა, ლოცვა და გალობა უნდა შეგვეძლოს. [...] ეს ლექსი 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა, მაგრამ ეჭვგარეშეა, ის საუკუნეების განმავლობაში საქართველოსთვის თავდადებულთა რეკვიემიც არის.“ საყურადღებოა წერილის ფინალური პასაჟი: „ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ტერიტორიებმორღვეულ მამულს, ეგების, ხვალაც დასჭირდეს ჩვენი სისხლი... ცხრააპრილგამოვლილი ქართველი ხალხი დაუნდობელი უნდა იყოს სამშობლოს მტრებისადმი.“<sup>214</sup>

აქვეა გამოქვეყნებული ლამარა ჭყონიას წერილი „ქართველებისთვის რიცხვი 9 ყოველთვის არცთუ ისე ბედნიერია.“ მომღერალი იხსენებს 1989 წლის აპრილის აქციებს, რომლის მონაწილე თავადაც იყო. მისი დასკვნით, „ეტყობა, ქართველებისთვის რიცხვი 9 არცთუ ისე ბედნიერია. ჩვენს უახლოეს ისტორიას გადავხედოთ: 1956 წლის 9 მარტი, 1973 წლის 9 მაისს დაინვა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და ახლა – 1989 წლის 9 აპრილი. ხერხეულიძეებიც ხომ 9 ძმანი იყვნენ?!“<sup>215</sup> ლია ჭილაძის წერილში „ღმერთო, გმირებად როგორ მიქციე ეს მეოცნებე გოგო-ბიჭები“ უხვად არის გამოყენებული იმდროინდელ სიმღერათა ტექსტებში ასახული სიმბოლოები („ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი, – ამოიკვნესებდა გოგი დოლიძე და მასთან ერთად გმინავდა ერი. მერაბ სეფაშვილის ‘თეთრი რაში’ დაჰქროდა მაშინდელ საქართველოში, როგორც სიმბოლო თავისუფლების. სოსო პავლიაშვილის – ‘კავკასიონზე თენდება’ იმედს უსახავდა გულში ყოველ მამულიშვილს“); პათეტიკა (9 აპრილს „ერთ მუშტად შეკრული იდგა საქართველო, ავაზასავით ცერზე იდგა. თავისუფლების მზე სწყუროდა ბორკილდადებულს... მაშინ იდგა

<sup>213</sup> „ქართველებს თავგანწირვა შეგვიძლია,“ *კვირის პალიტრა*, 9 აპრილი, 2004, N 14 (475), გვ. 4.

<sup>214</sup> ქობულია, სპარტაკ. „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2005, N 82-83 (5116), გვ. 1.

<sup>215</sup> ჭყონია, ლამარა. „ქართველებისთვის რიცხვი 9 ყოველთვის არცთუ ისე ბედნიერია,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2005, N 82-83 (5116), გვ. 3.

ყამი ლალი სიმღერების დაბადების, წარსულის გახსენების, მომავლის იმედის... ისევ მოვიდა 9 აპრილი – 16 წლის შემდეგ გაგვახსენდება ბედკრული ღამე – სისხლისმდომელი, გაგვახსენდებიან ჩვენი ზვარაკნი, მამულის გულზე ფარად აკრულნი: ჩვენი ღამაზი, სიფრიფანა გოგონები, როგორც წმინდანები, იმპერიის ქარიშხლისაგან ლერწმებივით გადაღუნულნი, მაგრამ სამარადისოდ რჩეულნი"); ისტორიული ანალოგია, რომელიც გმირების კონტექსტუალიზაციას, მათ გაერთმინებელიანებას და ერთიანი ხატის შექმნას ემსახურება: „თავისუფლებისთვის ამბოხებულებს სურვილი არ აპატიეს, ისე, როგორც ადრე, კოჯორთან. ახლა კი თბილისს უხმობს კოჯორი – მარო მაცაშვილი ეძახის თავის სულიერ დებს: თამარს, ნათია, ეკას, მანანას, თათიას, ნატოს, ნინოს, ელისოს...“ ლია ჭილაძეს მოჰყავს პოეტ მურად მთვარელიძის ლექსი, საიდანაც მისი წერილის სათაურია ნასესხები:

„მამულის ძარღვო, ვიცი, ამ ღამით რომ კიდევ ერთხელ გადაიჭრები!..  
რომ კიდევ ერთხელ ცას ჩამოიქცევ და ცრემლის ტბაში ჩაიძირები,  
რომ კიდევ ერთხელ ჩაინიხლები და კიდევ ერთხელ გაინირები...  
მზეო, ნეტავი სად გადიკარგე, ვარ გათანგული ბნელი იჭვებით,  
ღმერთო, გმირებად როგორ მიქციე ეს მეოცნებე გოგო-ბიჭები!“<sup>216</sup>

2008 წლის ქართული პრესა 9 აპრილს აღნიშნავს როგორც ამაღლებული ტრაგედიის დღეს. „საქართველოს რესპუბლიკა“ 9 აპრილს იმ სახელით მოიხსენიებს, რომელიც მას ოფიციალურად ეწოდა 1993 წელს – ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღე. აქვეა წერილი სახელწოდებით „შემოდოდა აპრილი ცრემლით,“ სადაც ვკითხულობთ: „ეს იყო საბედისწერო, იმავდროულად, ბედნიერი დღე ქართველი ერის ისტორიაში, რადგან თავისუფლებისთვის დაღვრილმა წმინდა სისხლმა ერი გაამთლიანა და ერთ მუშტად შეკრა.“ წერილში დაბეჭდილია ტრაგედიის შემდეგ „ხეებზე გაკრული ლექსების“ რამდენიმე ნიმუში. ავტორის, თამარ შაიშმელაშვილის სიტყვით, რამდენი წელიც არ უნდა გავიდე, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნა უკვდავია. ისინი თითქოს ჭადრის ხეებზე ციმციმებენ წვიმიანი დღის შემდეგ, სინათლეჩამდგარი წვეთებით.<sup>217</sup>

2009 წელს, 1989 წლის 9 აპრილის ოცი წლისთავს საქართველო მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე შეხვდა. 9 აპრილს გაიმართა გაერთიანებული ოპოზიციის მასშტაბური საპროტესტო აქცია რუსთაველის გამზირზე, რაც სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოცხადებით გაგრძელდა. განხორციელდა პარლამენტის შენობის, რუსთაველის გამზირის და ასევე საქართველოს ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიის პიკეტირება, დაიდგა კარვები.<sup>218</sup> 9 აპრილს ჩატარებული აქციით პოლიტიკურმა ოპოზიციამ პროტესტის 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირება სცადა, რაც ასახულია ხელისუფლების სანიწა-ალმდეგოდ განწყობილ ბეჭდურ მედიაში. „საქართველოს რესპუბლიკის“ 9 აპ-

<sup>216</sup> ჭილაძე, ლია. „ღმერთო, გმირებად როგორ მიქციე ეს მეოცნებე გოგო-ბიჭები,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2005, N 82-83 (5116), გვ. 3.

<sup>217</sup> შაიშმელაშვილი, თამარ. „შემოდოდა აპრილი ცრემლით,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2008, N 66 (5924), გვ. 5.

<sup>218</sup> „ოპოზიციამ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოაცხადა,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 11 აპრილი, 2009, N 68-72 (6169-6173).

რილის ნომერში, სატიტულო გვერდზე, დაბეჭდილია 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი ცნობილი ფოტო სახელწოდებით „დღეს რუსთაველზე, სისხლისფერი ტიტების ცეცხლი.“ ამავე გაზეთში გამოქვეყნებულია დავით მხეიძის წერილი იგივე სათაურით, რომელიც, ავტორის სიტყვით, მურმან ლებანიძის ცნობილი ლექსის „უფლისციხესთან“ ერთი სტრიქონის – „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ – ერთგვარი პერიფრაზია. ავტორი 9 აპრილის მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი სიტყვით, 9 აპრილის მისტიკური განთიადი ის ბოლო ლურსმანი იყო, რომელიც ქართველებმა კომუნისტური იმპერიის კუბოში ჩავაჭედეთ. „სწორედ ჩვენი, ქართველების დაღვრილი სისხლი გახდა ის კატალიზატორი, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა იმპერიის და მასში შემავალ ხალხთა ბედი.“ მხეიძის მტკიცებით, ამ ყველაფერს ზუსტად აცნობიერებდა ზვიად გამსახურდია და ამიტომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილად სწორედ 9 აპრილს. მან ამ აქტით პატივი მიაგო დაღუპულთა სულებს. „ეს ტრაგედიის, გლოვის დღე სწორედ ამ დღიდან უნდა გადაქცეულიყო საყოველთაო ზეიმის, დღესასწაულის დღედ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა, შემდეგ 9 აპრილს ვეღარ მოესწრო როგორც საქართველოს პრეზიდენტი – თორემ 9 აპრილი ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულად უდღეური მენშევიკების მიერ იძულებით გამოცხადებული 26 მაისის ნაცვლად.“ შემდეგ ავტორი ცდილობს, პარალელი გაავლოს 2009 წლის 9 აპრილის აქციასთან იმის მტკიცებით, რომ ქართველები ისევ თავისუფლებისთვის იბრძვიან. „დიახ, ზემოთქმულის მიუხედავად, სამწუხაროდ, ქართველები ჯერ კიდევ იქ, 1989 წლის 9 აპრილში ვართ, რადგან მაშინ მოპოვებული თავისუფლება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა“; ეს აქციაც სწორედ თავისუფლებისა და 9 აპრილის იდეალებისთვის ბრძოლაა.<sup>219</sup>

2004 წლიდან ბეჭდური მედია უბრუნდება 1989-1991 წლების მოვლენებს. ჩნდება ტექსტები, სადაც ზვიად გამსახურდია წარმოდგენილია საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან, პოზიტიური როლის შემსრულებელ ფიგურად. მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთი პუბლიკაცია ეძღვნება ორი „ჭეშმარიტი კავკასიელის, ზვიად გამსახურდიას და ჯოხარ დუდაევის ლეგენდარულ მეგობრობას.“ ტექსტის ავტორები, უზენაესი საბჭოს წევრები, ბიმურზა აფრასიძე და თეიმურაზ გვანცელაძე, ზვიადს და ჯოხარს მე-20 საუკუნის კავკასიის უდიდეს მოღვაწეებს და წინააღმდეგობის ლიდერებს უწოდებენ.<sup>220</sup> პრესა ფართოდ აშუქებს უზენაესი საბჭოს წევრების შეხედულებებს, შევარდნაძის ხელისუფლების კრიტიკას, რომლის წარმომადგენლები ხშირად „პუტრისტებად“ არიან მოხსენიებული, იწყება ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაცია და მისი ეპოქის ახლებური შეფასება. ყურადღების ცენტრში ექცევა ორი 9 აპრილი – ამაღლებული ტრაგედია და შემდგომი პოლიტიკური ტრიუმფი – როგორც გამსახურდიას ეპოქის ერთგვარი ლერძი. პროცესის კულმინაცია იყო 2007 წელს ზვიად გამსახურდიას ნეშტის გროზნოდან თბილისში გადმოსვენება

<sup>219</sup> მხეიძე, დავით. „დღეს რუსთაველზე, სისხლისფერი ტიტების ცეცხლი,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2009, N 67 (6168), გვ. 4.

<sup>220</sup> აფრასიძე, ბიმურზა და თეიმურაზ გვანცელაძე. „როგორ გაიცვანეს ერთმანეთი ზვიადმა და ჯოხარმა,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2004, N 82 (4812), გვ. 3.

და მთანმინდის პანთეონში დაკრძალვა.<sup>221</sup> გამსახურდიას და მისი ეპოქის აქტუალისაზაცია მჭიდროდ დაუკავშირდა ანტისაოკუპაციო პოლიტიკას და რუსეთთან წინააღმდეგობის თემას, რომელიც იმავე პერიოდში გააქტიურდა.

2012 წელს საქართველოში კიდევ ერთხელ შეიცვალა პოლიტიკური რეალობა, თუმცა პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია 9 აპრილისადმი დამოკიდებულებაზე. იგი კვლავ დამკვიდრებული ტრადიციის ფარგლებში დარჩა.

2019 წლის ბექდური მედიის შესწავლამ ცხადყო, რომ პრესა არ არის მდიდარი 9 აპრილის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალებით. ბექდური პროდუქციის უდიდესი ნაწილი მკაფიოდ ასახავს პოლიტიკურ მიკუთვნებულობას. პუბლიკაციებში, რომლებიც 9 აპრილს ეძღვნება, ეს მოვლენა შეფასებულია 2019 წლის პოლიტიკური პოზიციებიდან.<sup>222</sup> 9 აპრილის იდეალებთან ახლოს ყოფნა, მათი ერთგულების მუდმივი მტკიცება დღევანდელი პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი მახასიათებელია, რაც აჩვენებს მოვლენის პარადიგმულ მნიშვნელობას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ 9 აპრილი ახალი, დამოუკიდებლობის შემდგომი ქართული იდენტობის საყრდენ მოვლენად იქცა.

შერჩეული პერიოდული გამოცემების 30 წლიანი ქრონოლოგიის შესწავლამ 9 აპრილის როგორც ტრავმული და ტრიუმფალური თარიღის მკაფიოდ გააზრების შესაძლებლობა მოგვცა. მასალების ისტორიულ დინამიკაში გაანალიზების გზით, ნათლად დავინახეთ, თუ როგორ საკრალიზდა ეს მოვლენა და კონსტრუირდა კულტურულ ტრავმად, როგორ ტრანსფორმირდა დამოკიდებულებები პოლიტიკური კონტექსტის ცვლილებასთან ერთად, რატომ შეიცვალა აქცენტები, გაძლიერდა თუ შესუსტდა ტრავმული და ტრიუმფალური კომპონენტები სხვადასხვა პოლიტიკურ რეალობაში.

პრესამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული კულტურული ნიმუშის ელემენტების (მამულისთვის თავგანწირვა, მტერზე ზნეობრივი გამარჯვება, მსხვერპლად ყოფნის დიდებულება) საფუძველზე, 1989 წლის 9 აპრილის ტრავმული და ტრიუმფალური ნარატივის შექმნაში. საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს თარიღი იქცა ტეხილად, ახალი ეპოქის ათვლის ნერტილად. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით 9 აპრილის მორალურ ტრიუმფს ოფიციალური, ინსტიტუციონალიზებული განზომილება მიენიჭა. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან 2004 წლამდე 9 აპრილის ტრავმული სტანდარტიზებული აღნიშვნა ყოველწლიურ რუტინად იქცა. განსხვავებით 1989 წლისგან, 1991 წლის 9 აპრილის მნიშვნელობის რეპრეზენტაცია არ ყოფილა სტაბილური და უცვლელი. იგი დამოკიდებული იყო პოლიტიკურ კონტექსტზე. 2004 წლიდან, ახალ პოლიტიკურ რეალობაში, კვლავ გაძლიერდა მოვლენის ტრიუმფალური კომპონენტი, ხაზი გაესვა 1991 წლის 9 აპრილის მნიშვნელობას, თუმცა 1989 წლის 9 აპრილი, როგორც ამაღლებული ტრავმულია და მორალური ტრიუმფი, კვლავ დომინანტური დარჩა.

<sup>221</sup> „თბილისი. 2007 წლის 1 აპრილი,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 3 აპრილი, 2007, N 59 (5660), გვ. 1.

<sup>222</sup> იხ. მაგ.: გოცირიძე, მეგი. „9 აპრილის ჯალათ გენერალ ლებედს ბიძინა ივანიშვილი ავინანსებდა,“ *ახალი თაობა*, 9 აპრილი, 2019, N 83 (8037). ივანიშვილი, ბიძინა. „9 აპრილი, დღე, რომელმაც ოცდაათი წლის წინათ ახალ ეპოქას მისცა დასაბამი,“ *საერთო გაზეთი*, 10 აპრილი, 2019, N 13 (518). „ემშავი გვზლექს - უფალი გვავრთიანებს,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 9 აპრილი, 2019, N 71 (8737).

1989-2019 წლების პრესის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 9 აპრილმა იმთავითვე შეიძინა ტრავმულ-ტრიუმფალური შინაარსი და კონსტრუირდა როგორც კულტურული ტრავმა. ეს ნარატივი სტაბილურად შენარჩუნდა შემდგომი 30 წლის განმავლობაში.

### სტიქიური უბედურებები: 9 აპრილის ტრავმის ანარქიკი

**მოკლე ინფორმაცია.** 1989 წლის ზამთარში უხვმა თოვლმა მაღალმთიან აჭარაში ზვავები გამოიწვია. გაზაფხულზე თოვლის ინტენსიურმა დნობამ და წვიმებმა განაპირობა ღვარცოფები, მენყრის ჩამონოლა, ზოგან მთები მთლიანად ჩამოიშალა და სოფლები გაანადგურა. სტიქიურ უბედურებას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. 19 აპრილს სოფელი ნაბლანაში ჩამონოლილმა მენყერმა მთლიანად შთანთქა სოფელი და 23 ადამიანი შეიწირა. ასობით ოჯახი დარჩა საცხოვრებლის გარეშე და ათასზე მეტი ოჯახი იძულებული იყო, უსაფრთხოების მიზნით დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი და გადასახლებულიყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებში. დაიმენყრა და განადგურდა ასობით ჰექტარი სავარგული, ათასობით ჰექტარი სათიბ-საძოვარი, 300 ჰექტარი ვენახი და ხეხილის ბაღი. ზეავსაშიშ ზონაში აღმოჩნდა 17500 ადამიანი.<sup>223</sup>

1991 წლის 29 აპრილს რაჭაში მომხდარი მიწისძვრა კავკასიაში 200 წლის მანძილზე დაფიქსირებულ მიწისძვრათა შორის ყველაზე ძლიერი სეისმური მოვლენა იყო. მისი მაგნიტუდა 7, ხოლო ინტენსივობა ეპიცენტრში – ონსა და ამბროლაურში – 9 ბალი იყო.<sup>224</sup> მიწისძვრის შედეგების შესახებ რამდენადმე განსხვავებული მონაცემები არსებობს, მაგრამ უდავოა, რომ მან დიდი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია რამდენიმე რეგიონში – თავად რაჭაში, იმერეთსა და შიდა ქართლში. დაინგრა და დაზიანდა დაახლოებით 46 ათასი საცხოვრებელი სახლი, უსახლკაროდ დარჩა 100 ათასამდე ადამიანი, მაშინდელი გაანგარიშებით, მსხვერპლი 114-270 ადამიანი იყო. სხვადასხვა წყაროს ცნობით, მიწისძვრით მიყენებული ზარალი, 1991 წლის კურსით, 100 მილიონიდან 10 მილიარდამდე საბჭოთა მანეთად იყო შეფასებული.<sup>225</sup>

აღსანიშნავია, რომ დიდი მსხვერპლი და ნგრევა თავად რყევებს არ გამოუწვევია. მიწისძვრამ განაპირობა მრავალი პოსტსეისმური მენყერი, შედეგად – ნგრევა და მსხვერპლი. ეპიცენტრიდან დაახლოებით 2500 კილომეტრის ფართობზე აღინიშნა 6 სხვადასხვა ტიპის მენყრული მოვლენა.<sup>226</sup> ამ მოვლენებმა

<sup>223</sup> „ტრავედია ხულოში“, *კომუნისტი*, 21 აპრილი, 1989, N 94, გვ. 2; გორგილაძე, მიხეილ. „თანადგომითა და თანაგრძნობით“, *კომუნისტი*, 23 აპრილი, 1989, N 96, გვ. 2.

<sup>224</sup> Jibson, Randall W. et al. “Some Observations of Landslides Triggered by the 29 April 1991 Racha Earthquake, Republic of Georgia,” *Bulletin of the Seismological Society of America* 84, no. 4 (1994): p. 963; Vakarchuk, Roman N. et al. “The 1991 Racha Earthquake, Caucasus: Multiple Source Model with Compensative Type of Motion,” *Izvestiya, Physics of the Solid Earth* 49 (2013): p. 653.

<sup>225</sup> „ყველაზე ძლიერი მიწისძვრები საქართველოში“, *კვირის პალიტრა*, 25 ივლისი, 2016, <https://bit.ly/31C83wX> (ნანახია 03.02.2020);

„საქართველოს ისტორიაში ყველაზე ძლიერი 7 მაგნიტუდის მიწისძვრა რაჭაში, ქალაქ ამბროლაურთან მოხდა“, *საქართველოს ახალი ამბების სააგენტო*, 23 ოქტომბერი, 2019, <https://bit.ly/3qZtE15> (ნანახია 03.02.2020).

<sup>226</sup> Jibson et al., “Some Observations of Landslides,” p. 964-967.

თითქმის მთლიანად გაანადგურა არაერთი სოფელი. მიწისძვრის შემდეგ დაზარალებული რეგიონები რამდენიმე ბუნებრივი კატასტროფის მომსწრე გახდა. ძლიერმა რყევებმა ჩამოშალა კლდის ქანები, თავის მხრივ, კლდოვანმა ზეგვამა, უამრავ ბუნებრივ ნამსხვერევთან ერთად, მთლიანად დამარხა საჩხერის რაიონის სოფელი ხახითი. იმ დღეს კლდოვან ზეგვას სოფელში მყოფი ყველა მაცხოვრებელი ემსხვერპლა. 30x106 კუბური მეტრის მოცულობის მასამ მოძრაობა მდინარე ლებურაზე შეაჩერა, სადაც ქანების ნგრევის შედეგად მომენტალურად წარმოიქმნა 100 მეტრის სიმაღლის ბუნებრივი კაშხალი და დაგროვდა წყალი. წყლის კოლოსალურად დიდმა რაოდენობამ ბუნებრივი ჯებირი გაარღვია და კიდევ უფრო მეტი ნგრევა გამოიწვია. კატასტროფის დროს დედამიწის ორი ქანი დაყოვნებებით გადაადგილდებოდა. მთავარი დარტყმიდან რამდენიმე დღეში ქანებმა სწრაფად დაიწყეს მოძრაობა. ისინი დღეში 8 მეტრით ინაცვლებდნენ ერთი ადგილიდან მეორისკენ. ამ პროცესს სოფელი ჩორდი შეენირა. 1991 წლის 18 მაისს დედამიწის ქანები დღის განმავლობაში ჯერ კიდევ 2 მეტრით გადაადგილდებოდა.<sup>227</sup>

### კატასტროფა, როგორც კულტურული კონსტრუქცია

კატასტროფების, მათ შორის სტიქიური უბედურებების და საზოგადოებაზე მათი ზემოქმედების კვლევის სფეროში განსხვავებული მიდგომები და თავად კატასტროფის არაერთგვაროვანი განსაზღვრებები შემუშავდა.<sup>228</sup> დონალდ მეიკენბაუმი განმარტავს, რომ „კატასტროფა არის ტრავმული მოვლენა, რომელიც იმდენად მწვავე და ექსტრემალურია, იმდენად მძლავრი, საზიანო და საფრთხის შემცველი, რომ მასთან გამკლავება მოითხოვს ექსტრაორდინალურ ძალისხმევას. ის შეიძლება გამოვლინდეს უჩვეულო მოვლენის, ან განგრძობადი მოვლენების მწკრივის სახით; იგი ადამიანების მიერ აღიქმება როგორც ექსტრემალური, ინტენსიური, ყოვლისმომცველი 'შეტევა,' რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ან მნიშვნელოვან სხვებს. ასეთმა ტრავმულმა მოვლენებმა შესაძლოა ინდივიდის ან ჯგუფის უსაფრთხოების და დაცულობის განცდა გააქარწყლოს.“<sup>229</sup>

ზოგიერთი ავტორი მნიშვნელოვნად თვლის დიფერენციაციას ბუნებრივი და ადამიანური წარმოშობის კატასტროფებს შორის.<sup>230</sup> მიიჩნევენ, რომ ტექნოლო-

<sup>227</sup> „საქართველოს ისტორიაში ყველაზე ძლიერი 7 მაგნიტუდის მიწისძვრა რაჭაში, ქალაქ ამბროლაურთან მოხდა.“

<sup>228</sup> Perry, Ronald W. "What Is a Disaster?" *Handbook of Disaster Research*, eds. Havidán Rodríguez et al. (Springer, 2007), 1-15; Hewitt, Kenneth. "The Idea of Calamity in a Technocratic Age," *Interpretations of Calamity. From the Viewpoint of Human Ecology*, ed. Kenneth Hewitt (Allen and Unwin Inc., 1983), 3-30; Susman, Paul et al. "Global Disasters, a Radical Interpretation," *Interpretations of Calamity. From the Viewpoint of Human Ecology*, ed. Kenneth Hewitt (Allen and Unwin Inc., 1983), 263-283; Freudenburg, William R. et al. *Catastrophe in the Making. The Engineering of Katrina and the Disasters of Tomorrow* (Island Press, 2009); Quarantelli, Enrico L. et al. "A Heuristic Approach to Future Disasters and Crises: New, Old, and In-Between Types," *Handbook of Disaster Research*, eds. Havidán Rodríguez et al. (Springer, 2007), 16-41; *What Is a Disaster? Perspectives on the Question*, ed. Enrico L. Quarantelli (London and New York: Routledge, 1998).

<sup>229</sup> Meichenbaum, Donald. "Disasters, Stress and Cognition," *Extreme Stress and Communities: Impact and Intervention*, eds. Stevan E. Hobfoll and Marten W. de Vries (Springer Science+Business Media, 1995), p. 34.

<sup>230</sup> იხ. მაგ.: Erikson, Kai. "Notes on Trauma and Community," *Trauma. Explorations in Memory*, ed. Cathy Caruth (Baltimore and London: Johns Hopkins University Press, 1995), p. 183-199; Kirmayer, Laurence J. et al. "Trauma and Disasters in Social and Cultural Context," *Principles of Social Psychiatry*, 2nd ed., eds. Craig Morgan and Dinesh Bhugra (John Wiley & Sons, 2010), p. 155-177; Freudenburg, William R. et al. *Catastrophe in the Making*.

გიური საფრთხეები და ბუნებრივი მოვლენები განსხვავებული გამოწვევების წინაშე აყენებენ საზოგადოებებს.<sup>231</sup> თუმცა სხვები თვლიან, რომ ასეთი დაყოფა არ არის არსებითი, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ხშირად რთული დასადგენია, სტიქიური უბედურებების შემთხვევაში სად მთავრდება სტიქიური მოვლენის ბუნებრივი კომპონენტი და სად იწყება ადამიანური. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი არის მოსაზრება, რომ კატასტროფას, ისევე როგორც ყველა სხვა სახის ტრავმას, განსაზღვრავს არა საწყისი მოვლენა, არამედ ის, თუ როგორია მისი აღქმა და გააზრება დაზარალებული საზოგადოების კულტურულ კონტექსტში.<sup>232</sup> ფრანკ ფურედი აღნიშნავს, რომ კატასტროფების გამოცდილება სოციალური ფენომენია და გაშუალებულია საზოგადოების კულტურული წარმოსახვით. სწორედ კულტურის მიერ შემოთავაზებული სცენარით ენიჭება მოვლენებს, განსაკუთრებით – უკიდურესად მწვავეს – მნიშვნელობა.<sup>233</sup>

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მკვლევრები სულ უფრო ხშირად მიუთითებენ კულტურის როლზე კატასტროფის სოციალური კონსტრუირების პროცესში, იმაზე, თუ როგორ ხდება კატასტროფის ჩამოყალიბება და ინტერპრეტირება, დამახსოვრება და რეპრეზენტაცია სხვადასხვა სახის მედიუმებში.<sup>234</sup> განმსაზღვრელი გახდა მოსაზრება, რომ სწორედ კულტურა თამაშობს გადამწყვეტ როლს გარემო პირობების აღქმასა და ზიანის მომტანი ეპიზოდების განსაზღვრაში; კულტურა გვთავაზობს კოლექტიური მოქმედების რეპერტუარს, რომელიც აქტიურდება იმ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც კოლექტიურად არის განსაზღვრული.<sup>235</sup>

სწორედ ამ მიდგომის ფარგლებში განვიხილავთ აჭარისა და რაჭა-ზემო იმერეთის სტიქიურ უბედურებებს, რომელთა მნიშვნელობა კულტურულად იყო კონსტრუირებული.

### სტიქიური უბედურებები 9 აპრილის რეზონანსის ველში

1989 და 1991 წლებში აპრილის თვესთან იყო დაკავშირებული ათწლეულების მანძილზე ყველაზე მსხვერპლიანი და დამანგრეველი სტიქიური უბედურებები და ასევე ყველაზე მძაფრი სოციალური ტეხილები. სავარაუდოდ, სწორედ ასეთმა თანხვედრამ განაპირობა ამ ორი განსხვავებული ხასიათის – სოციალურ და ბუნებრივ – მოვლენათა გააზრება ერთიანი ტრავმული გამოცდილების ქრილში. ეს მოვლენები დაუკავშირდა ნაციონალურ იდენტობას და ჯგუფის სამომავლო პერსპექტივას. სტიქიური უბედურებების ნარატივი ტრანსფორმირდა კულტურული ტრავმის ნარატივად.

ნილ სმელზერი აღნიშნავს, რომ მოვლენის ტრავმულად აღქმა დამოკიდებულია სოციალურ-კულტურული კონტექსტზე და დროზე, რომელშიც ისტორიული

<sup>231</sup> Quarantelli et al., “A Heuristic Approach,” p. 16-41; Furedi, Frank. “The Changing Meaning of Disaster,” *Area* 39, no. 4 (2007): p. 482-489.

<sup>232</sup> იხ. Erikson, “Notes on Trauma”; Alexander, “Toward a Theory”; Quarantelli et al., “A Heuristic Approach”; Perry, “What Is a Disaster?”; Furedi, “The Changing Meaning of Disaster.”

<sup>233</sup> Furedi, “The Changing Meaning of Disaster,” p. 484, 487.

<sup>234</sup> Webb, Gary R. “The Cultural Turn in Disaster Research: Understanding Resilience and Vulnerability Through the Lens of Culture,” *Handbook of Disaster Research*, 2nd ed., eds. Havidán Rodríguez et al. (Springer International Publishing, 2018), p. 109-110.

<sup>235</sup> იქვე, გვ. 113-114.

მოვლენა იჩენს თავს.<sup>236</sup> ამავე დროს, სმელზერი თვლის, რომ რომელიმე მოვლენა საზოგადოების ისტორიის ერთ მომენტში შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც კულტურული ტრავმა, ხოლო მეორეში – არა.<sup>237</sup> მისი აზრით, კულტურული ტრავმები, უმთავრესად, ისტორიულად ყალიბდება და არა იმთავითვე „იბადება“ ასეთად.<sup>238</sup> ამ დებულების საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ 1989 და 1991 წლების სტიქიური უბედურებების მნიშვნელობების კონსტრუირება დიდწილად განაპირობა იმ პერიოდის სოციალურ-კულტურულმა კონტექსტმა.

კაი ერიკსონი თვლის, რომ არ არის აუცილებელი, ტრავმა ერთჯერადი და მძაფრი დარტყმით იყოს განპირობებული; პერმანენტული, ქრონიკული ცხოვრებისეული მოვლენების ჯაჭვი, შესაძლოა, ასევე მატრავმირებელი იყოს.<sup>239</sup> სწორედ ასეთი ქრონიკული რყევები, მატრავმირებელი მოვლენების სერია წარმოადგენდა საქართველოს რეალობას საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის პირველ წლებში: 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, ყოფითი და ყოველდღიური პრობლემები, რომლებთან დაპირისპირება არანაკლებ მძიმე იყო ადამიანებისათვის (თუ უფრო მეტად არა, რადგან ეს ყოველდღიური სტრესი, ზოგ შემთხვევაში, გადაფარავდა ხოლმე დიდ მოვლენებს). სწორედ მოვლენათა ამ კონტექსტში მოხდა აჭარისა და რაჭა-ზემო იმერეთის, მსხვერპლისა და ზარალის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული სტიქიური კატასტროფები.

შესაძლოა, რომ სხვა კონტექსტის პირობებში ეს მოვლენები არ ყოფილიყო დაკავშირებული ნაციონალურ იდენტობასთან. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ მანამდე და მას შემდეგ მომხდარი სტიქიური უბედურებები – მსხვერპლის გამომწვევი ზვავები და მენყერები, რომელთა სიხშირითაც გამოირჩევა საქართველოს მთიანი რეგიონები – არ განხილულა სხვა რომელიმე სოციალურ და კულტურულ მოვლენებთან კავშირში, ამ მოვლენებს არ შეუძენიათ კულტურული ტრავმის მახასიათებლები. 1980-90-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი ვითარება კი კატასტროფის ასოციაციას ბადებდა. 1991 წლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში დრამატული მოვლენებით დატვირთული პერიოდი სწორედ კატასტროფასთან არის შედარებული: „ქვეყანა აისბერგს შეჯახებულ გემს დაემსგავსა. კედლები დაიბზარა და იხუვლა წყალმა. ამ ღვარცოფის შეკავება იოლი არ არის – დაპროგრამებული, წინასწარ გათვლილი ავი სტიქია მძვინვარებს ჩვენს მინა-წყალზე.“<sup>240</sup> ჯერ კიდევ 1989 წელს, რომელიც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მხოლოდ დასაწყისი იყო 90-იანების საყოველთაო და თითქოს უსასრულო ტრავმული მოვლენების სერიისა, უკვე არსებობდა გაუღწევად სტრესულ ალყაში ყოფნის, პერმანენტული დარტყმის ქვეშ ცხოვრების განცდა. თუმცა აქვე გამოიკვეთა ფორმულა, რომლის მიხედვით, ნებისმიერი სახის საფრთხის შემცველი შეტევა და თავდასხმა პასუხად სიმტკიცესა და შეუპოვრობას იწვევს.

„გვალვა, სეტყვა და მენყერი ამ გაზაფხულზე ერთად და ერთბაშად დაატყდა საქართველოს, თუმცა არც შემოდგომა-ზამთარმა დაგვაყარა სი-

<sup>236</sup> Smelser, Neil J. “Psychological Trauma and Cultural Trauma,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 36.

<sup>237</sup> იქვე.

<sup>238</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>239</sup> Erikson, “Notes on Trauma,” p. 185.

<sup>240</sup> ჩხიკვაძე, ვანო. „საქართველოს ხერხემალი,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 3 აპრილი, 1991, N 65, გვ. 4.



კეთე. ნოემბრიდან მარტამდე ყელამდე თოვლში იჯდა მთელი დასავლეთი საქართველო. დაინგრა ბევრი საცხოვრებელი სახლი, კლუბი, ფერმა, გა-  
ოხრდა გზები... ჯერ 9 აპრილის სისხლიანმა ღამემ, მერე 19 აპრილს მთიან  
აჭარაში მოვარდნილმა მეწყერმა შავები ჩააცვა მთელ საქართველოს. და-  
სავლეთ საქართველოს წყალში ახრჩობდა ბუნება, აღმოსავლეთს – წყურ-  
ვილით... საქართველოს დიდ ჭრილობას ბუნებამაც 'ხელი შეაშველა,' მაგ-  
რამ არ ტყდება ქართველი კაცი, ბუნებისა თუ ადამიანის უკუღმართობას  
ტიტანურ მოთმინებას, სიმხნევესა და გარჯას უპირისპირებს.<sup>241</sup>

სტიქიურმა უბედურებებმა, ერთი მხრივ, გააძლიერა იმ პერიოდის სხვა მოვ-  
ლენების ტრავმულად აღქმა, მეორე მხრივ, ბუნებრივი კატასტროფების, რო-  
გორც ტრავმული გამოცდილების მნიშვნელობა, 9 აპრილის მოვლენათა (1989  
წლის ტრაგედია, 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადება) კონტექსტში  
განისაზღვრა; მათთან ერთად შეიქმნა ერთიანი ტრავმული ნარატივი, საერ-  
თო აქცენტებით და პათოსით. ეს, უპირველესად, განაპირობა იმან, რომ ორივე  
შემთხვევაში მოვლენათა მნიშვნელობის განსაზღვრა ერთი და იგივე, ქართუ-  
ლი კულტურული ნიმუშების საფუძველზე მოხდა. ალეიდა ასმანის თანახმად,  
კატასტროფული მოვლენების მნიშვნელობები ფართო, ტრანს-ისტორიულ პერ-  
სპექტივაში განხილვით და კულტურული ნიმუშების მეშვეობით კონსტრუირ-  
დება. კულტურული ნიმუშები ღრმად ფესვგადგმული ხატებისა და ცნებების  
ერთგვარი საცავია, რომელიც აძლიერებს ადამიანის გონებას კატასტროფების  
წინაშე; უკიდვანო და მოუხელთებელი რეალობა კულტურული სემანტიკის  
სტრუქტურად გარდაიქმნება. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ყველაზე  
მძიმე გამოცდილებისათვის მნიშვნელობის მინიჭება და მასთან გამკლავება.<sup>242</sup>  
კულტურული ნიმუშები ყოველთვის გახსნილია ახალი გამოცენებისთვის, ახალი  
კონტექსტისა და მნიშვნელობისთვის. ისინი უზრუნველყოფენ განგრძობადო-  
ბას წყვეტილობათა და ტეხილების პირობებში იმით, რომ საშუალებას იძლე-  
ვიან, რომელიმე დამანგრეველი მოვლენა ინტერპრეტირებული იყოს წინამორ-  
ბედი ასეთივე მოვლენის მეშვეობით. თუ ეს ნიმუში საკმარისად ძლიერია, მისი  
მეშვეობით ამგვარი მოვლენა ნარატივში ინტეგრირდება, ან მისგან შეიქმნება  
მნიშვნელობის მქონე ხატი.<sup>243</sup>

1989 წლის 9 აპრილისა და სტიქიური უბედურებების მნიშვნელობათა მა-  
კონსტრუირებელი ტექსტების შესწავლის საფუძველზე, გამოყვავით ქართული  
კულტურული ნიმუშის შემდეგი ასპექტები:

- გამარჯვებისათვის მსხვერპლის აუცილებლობა და გარდაუვალობა; „სამშობ-  
ლოსთვის გაღებული მსხვერპლის“ სინმინდე; მსხვერპლის უდანაშაულობა  
და რჩეულობა; წამებულთა ტრიუმფი; „ჭირთა თმენა რჩეულთა ხვედრია.“
- ტრაგედიაში ზეიმი, ტკივილით ამაღლება და გაძლიერება, „გასპეტაკება“,  
„დიდებული“ და „ამაღლებული“ გლოვა.

<sup>241</sup> „გვალვა, სეტყვა და მეწყერი ერთად დაატყდა საქართველოს,“ *სოფლის ცხოვრება*, 17 მაისი, 1989, N 113, გვ. 1.

<sup>242</sup> Assmann, "Impact and Resonance," p. 60.

<sup>243</sup> იქვე, გვ. 63.

- სიმტკიცე და შეუპოვრობა უბედობის პასუხად; „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა,“ „ჭირთათმენა,“ „ჭირთგამძლეობა.“
- სიკვდილი ხელახალი დაბადებისათვის; მკვდრეთით აღდგომა.
- ძლიერი პროვიდენციალიზმი, „განგება,“ „ბედისწერა.“

ეს სქემა ამოქმედდა სტიქიური უბედურებების ტრავმული ნარატივის კონსტრუირებისას, რაც, როგორც აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, ამ მოვლენების 9 აპრილის რეზონანსის ველში მოქცევის შედეგად მოხდა.

### აჭარისა და რაჭა-ზემო იმერეთის სტიქიური უბედურებების ნარატივების კონსტრუირება

აჭარისა და რაჭა-ზემო იმერეთის სტიქიური კატასტროფების კულტურული ტრავმის ჭრილში კვლევისათვის გაანალიზებულა პუბლიკაციები, რომლებიც მომხდარიდან მალევე გამოქვეყნდა პრესაში. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, მედიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ტრავმული გამოცდილების განსაზღვრაში, გასაყოველთაოებასა და ტრავმული ნარატივის კონსტრუირებაში. შესწავლილი ტექსტები ასახავს ემოციებსა და ასოციაციებს, რომლებიც გაჩნდა ამ ტრაგიკული მოვლენების შედეგად.

საკვლევად შეირჩა რამდენიმე გაზეთი, რომელიც იმ პერიოდის საქართველოში გამოიცემოდა. „კომუნისტი“ – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო, „ახალგაზრდა კომუნისტი“ – საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, „სოფლის ცხოვრება“ – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. ეს გაზეთები თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვებოდა, რადგან, ფაქტობრივად, სავალდებულო წესით ხდებოდა მათი გამოწერა. ისინი ოფიციალურ, რესპუბლიკის ცენტრალური მმართველობის პოზიციას გამოხატავდნენ და სწორედ იქ შეიძლებოდა ამა თუ იმ მოვლენის მთავრობისათვის მისაღები ვერსიისა და ინტერპრეტაციის ნახვა. თუმცა საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში ვითარება შეიცვალა. სავარაუდოდ, „გლასნოსტის“ პოლიტიკით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლება არ იყო ერთადერთი მიზეზი, რამაც სტატიების ავტორთა შედარებით თავისუფალი სტილი განაპირობა. ამ პერიოდის გაზეთები, თავად „კომუნისტიც“ კი, თავს უფლებას აძლევდნენ, ფორმალურად დაეთმოთ პირველი გვერდი საკავშირო მნიშვნელობის საკითხისათვის, რომელიც სტანდარტიზებული ენით გადმოიცემოდა. ადგილობრივ ცხოვრებას კი გაცილებით უფრო ემოციური, ეროვნული რეპერტუარით გამდიდრებული ტექსტები ეძღვნებოდა. ამ ცვლილების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი 1980-იანი წლების ბოლოს გამძაფრებული ეროვნული გრძნობები გახდა, რომელიც ოფიციალურ პრესაშიც თვალსაჩინოდ შეიმჩნეოდა. როგორც წინა ქვეთავში გაანალიზებულმა პუბლიკაციებმა ცხადყო, 9 აპრილი გარდამტეხი იყო ამ თვალსაზრისით.

ტექსტებში სტიქიური უბედურებები სოციალური კატასტროფების აღსაწერად გამოყენებული ტერმინებით გადმოიცემა. გააქტიურებულია ისტორიული და კულტურული ფაქტორები, რომლებსაც, ერთი შეხედვით, კავშირი არ აქვს

ბუნებრივ მოვლენებთან. ტექსტებში იკვეთება მთავარი კითხვა: რატომ იყო არჩეული საქართველო ყოველი მხრიდან დარტყმისათვის? დებრა კემინერი და ჯილიან იგლი აღნიშნავენ, რომ „ტრავმირებულ ადამიანებს ხშირად უჭირთ გაიაზრონ და ახსნან, თუ რატომ მოხდა მატრავმირებელი ფაქტი და რატომ აღმოჩნდნენ ისინი მსხვერპლი.“<sup>244</sup> ტრავმის შემდგომ გაურკვევლობისა და დაუცველობის განცდასთან გამკლავების პროცესში, ადამიანებს უჩნდებათ კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ ხდება ასეთი მოვლენები სამყაროში? რატომ დამემართა ეს მე? მკვლევრები თვლიან, რომ ეს არ არის მხოლოდ უიმედობისა და სასონარკვეთის გამო დასმული რიტორიკული კითხვები, არამედ მათზე პასუხის ძიებით ადამიანები ცდილობენ ტრავმული გამოცდილების ახსნას და მისი მნიშვნელობის განსაზღვრას. ეს, უფრო მეტად, კრიზისის შემდგომ წონასწორობის აღდგენის ბუნებრივი პროცესია, ვიდრე გაცნობიერებული სტრატეგია.<sup>245</sup> ზემოთ აღწერილი სტრესული კონტექსტის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ დამანგრეველი სტიქიური მოვლენების შემდეგ წონასწორობის ძიება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა.

მომხდარიდან მალევე, 9 აპრილის რეზონანსის გავლენით, აჭარის სტიქიური უბედურებების მნიშვნელობის კონსტრუირება საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ქრილში დაიწყო. ის ჯერ 9 აპრილთან დაკავშირდა, როგორც მისი გაგრძელება, შემდგომ კი უკვე სხვა ისტორიულ მოვლენებთანაც გაივლო პარალელი. ყველა ეს მოვლენა, მტრის არსებობას იმთავითვე გულისხმობდა, ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში მტრის სახით ბუნება, სტიქია, განგება და, უფრო ზოგადადაც, ბედისწერა მოიაზრებოდა. როგორც 9 აპრილს დაღუპული და დასახიჩრებული ადამიანები მოიხსენიებოდნენ წამებულებად და მონამებად, ასეთივე რანგში განიხილებოდნენ მეწყრისა და ზვავის მსხვერპლნიც.

ქვემოთ მოყვანილ, ფრაგმენტებში ნათლად ჩანს ყოვლისმომცველი ტრავმული ატმოსფერო. აგრეთვე ტრავმის კულტურული ნიმუშის თითქმის ყველა კომპონენტი – პროვიდენციალიზმი, დიდებული და ამალღებული გლოვა, სიმტკიცე უბედობის წინაშე, უდანაშაულოთა მსხვერპლშენიერვა და, შესაბამისად, აღდგინების, ახალი აღზევების, განწმენდისა და გასაპეტაკების მოლოდინი. 9 აპრილის ნარატივთან შედარებით, ჭარბობს ირაციონალური მსჯელობა და ძლიერდება მსხვერპლის დისკურსი.

ქვემოთ მოყვანილია ბევრი და ვრცელი ციტატა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ „ამუშავდა“ კულტურული ნიმუში ტრავმული გამოცდილებისათვის მნიშვნელობის მისანიჭებლად, როგორ „ააგო“ ამ ნიმუშმა ტრავმული ნარატივი: განსაზღვრა მისი შინაარსი, მსჯელობის ლოგიკა, ფორმა, სტრუქტურა, ენა – სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მეორდება ტექსტიდან ტექსტში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ავტორი – ჟურნალისტი, მეცნიერი, მწერალი თუ პოეტი. ეს, სავარაუდოდ, მიუთითებს იმაზე, რომ კულტურულმა ნიმუშმა მოიცვა მოვლენების აღქმისა და ინტერპრეტაციის ყველა ტექსტური ფორმა და გააქრო საზღვრები სხვადასხვა ჟანრსა თუ პროფესიულ სტილს შორის.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს მოყვანილ ციტატებში კოდირებუ-

<sup>244</sup> Kaminer, Debra and Gillian Eagle. *Traumatic Stress in South Africa* (Wits University Press, 2010), p. 60.

<sup>245</sup> იქვე, გვ. 62.

ლი კულტურული ნიმუში, მისი გამომხატველი და ყველაზე ხშირად განმეორებადი სიტყვები და ფრაზები მუქი შრიფტით არის აღნიშნული. ადვილი დასანახია ისიც, რომ ეს იგივე ვერბალური ფორმებია, რაც გამოიყენებოდა იმ პერიოდის სხვა ტრავმულ მოვლენებთან, განსაკუთრებით, 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით.

**აჭარის სტიქიური უბედურება.** 21 აპრილის „კომუნისტის“ სტატია „ტრაგედია ხულოში“ აჩვენებს, რომ სოციალური და ბუნებრივი ხასიათის ტრავმული მოვლენები იმთავითვე იყო აღქმული ერთიანი ჯაჭვის სახით:

„რა ავბედითი აღმოჩნდა ჩვენთვის წლევანდელი [გა]ზაფხული. ჯერ ზვავებმა ჩაგვიქრო რამდენიმე სანთელი დასავლეთ საქართველოში. მერე ეს კომმარული სასაკლაო თბილისში! **ჯერ ცრემლი არ მოგვინმენდია, ჯერ არ დამჭანარა ყვავილები 19 ნამებულის საფლავზე**, ლაზარეთებში ჯერაც ბენზე ჰკიდია ალესილი ბარებით დაჩეხილი და ქიმიური საშუალებებით მონამღულთა სიცოცხლე და ახალი დარტყმა – ამჯერად სტიქია დაგვატყდა და ისევ დაგვატოტავა: 19 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ხულოს რაიონის სხალთის სასოფლო საბჭოს სოფელ ნაბლანაში ჩამონოლილმა მენყერმა ხალხი იმსხვერპლა.“<sup>246</sup>

„კომუნისტის“ 22 აპრილის ნომრის ერთი გვერდი დაეთმო სტიქიური უბედურებისადმი მიძღვნილ სტატიებს. გვერდი დასათაურებულია: „სტიქიური უბედურება აჭარაში.“ 23 აპრილი საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა.

სტატიაში „კიდევ ერთი ახალი ჭრილობა“ ჟურნალისტი რუსლან რუსია სტიქიური უბედურების კონტექსტუალიზაციას ახდენს, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ როგორ მუშაობს ასმანისეული რეზონანსი ამ შემთხვევაში. 1989 წლის მოვლენები დაკავშირებულია 1956 წლის ტრაგედიასთან და მათი გაერთმინებენელიანებით იგება ერთიანი ტრავმული ნარატივი.

**„ავადმოსაგონებელი ორმოცდათექვსმეტის შემდეგ ასეთი დაუნდობელი გაზაფხული ჯერ არ დადგომია საქართველოსა და ქართველ ხალხს. თითქოს ადამიანიც და ბუნებაც ერთნაირად უსამართლოდ და განუკითხვად გადაგვემტერა. ცხრა აპრილის ტრაგედიიდან ვერც გამოვრკვეულიყავით ხეირიანად, რომ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს – აჭარის მთის რაიონებში ჩამონოლილმა მენყერმა, ზვავებმა და ღვარცოფებმა [...] დაახლოებით 50 კაცი იმსხვერპლა. მათგან ჯერჯერობით მარტო ხუთი იპოვეს.“<sup>247</sup>**

პოეტი ფრიდონ ხალვაში სტიქიური კატასტროფით გამოწვეულ საშიშროებას და ნგრევას მტრის მიერ მიყენებულ დარტყმასთან ერთ რიგში მოიხსენიებს და, ორივე შემთხვევაში, ქართული იდენტობის სიმტკიცეს უსვამს ხაზს.

„ჩვენი ერთობა, საქართველოს მთლიანობა, როგორც ყოველთვის, უნდა გაუმკლავდეს ყოველგვარ სიავეს, მტრისას თუ ბუნებისას. [...] **მტრისა და სტიქიის რამდენ შემოტევას გავუძელით, რამდენ უბედურებაში გამოგვიტარებია ჩვენი სიცოცხლე და დედა ენა. არც ახლა უნდა გავწყდეთ**, ძმებო, დებო, მეზობლებო! მთელი მშობელი რესპუბლიკა ჩვენთანაა, მთელი ქართული მინა ჩვენი საზიაროა, ყოველი სახლი ამ მინაზე მშობლიურია!“<sup>248</sup>

<sup>246</sup> „ტრაგედია ხულოში“, *კომუნისტი*, 21 აპრილი, 1989, N 94, გვ. 1.

<sup>247</sup> რუსია, რუსლან. „კიდევ ერთი ახალი ჭრილობა“, *კომუნისტი*, 22 აპრილი, 1989, N 95, გვ. 3.

<sup>248</sup> ხალვაში, ფრიდონ. „... უკან მეწყერი“, *კომუნისტი*, 22 აპრილი, 1989, N 95, გვ. 3.

„კომუნისტის“ 23 აპრილის ნომერშიც მთელი გვერდი ეთმობა მთიანი აჭარის ბუნებრივ კატასტროფას, საერთო სათაურით „თალხს ვერ იხდის საქართველო,“ რომელიც ხაზს უსვამს საყოველთაო ტრავმულ განცდას. გამოქვეყნებულია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ტარიელ ფუტკარაძის წერილი „ჭირთა თმენა რჩეულთა ხვედრია,“ რომელიც გამოხატავს ტრავმის კულტურულ ნიმუშს – მონამეობით, მსხვერპლის გაღებით გამორჩეულობას. ასევე ნათლად ჩანს შოკური რეაქცია და პირველი კითხვა, რომელიც ამ მდგომარეობაში ჩნდება: „რა დავაშავეთ?“ „რატომ მაინც და მაინც ჩვენ?“ და შემდგომ პასუხის ძიება, მომხდარისთვის მნიშვნელობის მინიჭების აუცილებლობის განცდა. ამ შემთხვევაშიც, კულტურული ნიმუშის საფუძველზე განისაზღვრება მნიშვნელობა და სამომავლო პერსპექტივა – განგების ძალის და მომავალში აღორძინების რწმენა.

„დღეს ყველა ქართველია ჭირისუფალი, გაოგნებულია სრულიად საქართველო. რა დავაშავეთ!... ახლა ცრემლიანი გლოვის ჟამია, მაგრამ ჭეშმარიტი გაზაფხულიც მოვა! [...] ისევ მტანჯავს ფიქრი: რატომ მაინც და მაინც ჩვენს თავზე ტრიალებს 'ნისქვილის ქვა,' რატომ? იქნებ განგებას ჩვენი გამოფხიზლება უნდა! იმედი არ უნდა მოკვდეს! ისევ აღორძინდება საქართველოს მთაც და ბარიც! ისევ აგუგუნდება ზარები სხალთის ეკლესიაში! მანამდე კი უნდა გავმაგრდეთ! რჩეულთა ხვედრია ჭირთა თმენა.“<sup>249</sup>

გაზეთის „სოფლის ცხოვრება“ 25 აპრილის ნომერი პირველივე გვერდიდან მთლიანად ეთმობა სტიქიურ უბედურებას. პირველი გვერდის რუბრიკაა „მხარში დაუდგეთ მთიან აჭარას.“ პოეტ მუხრან მაჭავარიანის მოკლე წერილში „გამაგრდი, საქართველოვ“ იგივე მოტივები ჩანს, რაც ზემოთ განხილულ პუბლიკაციებში და აქაც მკაფიოა ტექსტის კულტურული სქემის მიხედვით ორგანიზება:

„გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაენიაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეა ჩვენი საქმე. [...] **ცხრა აპრილის ტრაგედია არ გვაკმარა ღმერთმა! ახლა მას აჭარაში მომხდარი ეს უბედურება დაერთო! ნეტა რა შეეცოდეთ ასეთი იმ დალოცვილს!** რა ბევრი ჩვენა ვართ, რომ ასე გავვიმეტა! რითი ძალმიძს ვანუგემო ჩემი მგლოვიარე საქართველო?! მხოლოდ '**ჭირსა შიგან გამაგრება**' შემიძლია ვუსურვო მას!“<sup>250</sup>

ისტორიკოსი ლოვარდ ტუხაშვილი სტატიაში „აჭარა გვიხმობს“ სტიქიურ მოვლენას საქართველოს ტრაგიკული ისტორიის კონტექსტში განიხილავს. იგი აჭარის ბუნებრივ კატასტროფას სამასწლიანი ოსმალური ბატონობის – ქართული იდენტობისათვის უმძიმესი ისტორიული გამოცდილების – გვერდით აყენებს. ამასთან ერთად, ავტორი 9 აპრილის კონტექსტში მოიხსენიებს მომხდარ ტრაგედიას. ფრაზა „თითქოს არ გვეყო 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია“ ფორმულასავით გადადის ტექსტიდან ტექსტში.

„ტრაგიკული ბედი მაინც საქართველოს მშვენიერ კუთხეს – აჭარას დაჰყვა. ეს მან გადაიტანა 300 წლოვანი უღელი უცხოთა ბატონობისა, უძნელესი 'დიდი ღამე,' კირთება ხანგრძლივი, სულში უხეში ხელის ფათური, განსაცდელი არნახული. მაინც არ შენელებულა ამ მხარეში 'ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა,' არ შერყვნილა უწმინდესი ენა ქართული, არ ჩამქრალა იმედის სხივი, არ გაჩერებულა საერთო ქართული გულისცემა. ჩვენს

<sup>249</sup> ფუტკარაძე, ტარიელ. „ჭირთა თმენა რჩეულთა ხვედრია,“ *კომუნისტი*, 23 აპრილი, 1989, N 96, გვ. 2.

<sup>250</sup> მაჭავარიანი, მუხრან. „გამაგრდი საქართველოვ,“ *სოფლის ცხოვრება*, 25 აპრილი, 1989, N 97, გვ. 1.

საყვარელ აჭარას დღეს დიდი უბედურება დაატყდა თავს, **თითქოს არ გვეყო 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია, ახლა სტიქიამ გვიმტყუნა**, მენყერებმა შეინირა ქართველთა სიცოცხლე. [...] გამხნევდით, აჭარლებო, სრულიად საქართველო განა თქვენი არ არის? აჭარელთა უბედურება ყველამ უნდა გაითავისოს... საერთო ვალია სადღეისო და უპირველესი: აჭარაც შევინარჩუნოთ. აჭარა, ტკივილი ჩვენი, სიხარული და იმედი ჩვენი, გვიხმობს საშველად. [...] **ქუდზე კაცი, ქართველებო.**<sup>251</sup>

გამოთქმა „ქუდზე კაცი,“ ტრადიციულად, მტრის შემოსევისას სამშობლოს დასაცავად საყოველთაო მობილიზაციისაკენ მოწოდებას აღნიშნავდა. ამ შემთხვევაში მისი გამოყენება, სავარაუდოდ, საყოველთაო საფრთხის წინაშე ეროვნული მობილიზაციის აუცილებლობაზე მიუთითებდა. ეს მოტივი ასევე მსჭვალავს თითქმის ყველა პუბლიკაციას.

რუსლან რუსიას სტატიაში, რომელიც „კომუნისტში“ რუბრიკით „აჭარა – ჩვენი სატიკვარი“ გამოქვეყნდა, ჩანს, რომ სტიქიური უბედურება საერთო ეროვნულ ტრაგედიად იქცა და მისი ხარისხი და მნიშვნელობა კულტურულ უბედურებებს უთანაბრდება. ასევე იკვეთება, რომ კატასტროფასთან გამკლავება ეროვნული ინტერესების შესაბამისად შეიძლება მოხდეს და ამ ნაბიჯებს ქართული ეროვნული იდენტობის, „ქართული სულის“ და „წინაპრების სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული მიწის“ აღორძინება მოჰყვეს შედეგად. ეს ის საკითხებია, რომელიც იმ პერიოდისათვის ყველაზე აქტუალური იყო საზოგადოებაში. ამ ტექსტშიც ცხადად ჩანს ტრავმის კულტურული ნიმუშის ასპექტები.

„აჭარა დღეს ყველა ქართველს ერთნაირად სტიკვა. მთელი ერი სულით ხორცამდე შეძრა და შეაძრწუნა იქაურ მთის სოფლებში სტიქიით დატრიალებულმა ტრაგედიამ. **გაუსაძლისია ამდენი ჭირთა თმენა, მაგრამ სწორად ახლა გვმართებს განსაკუთრებული სიმედგრე.** [...] საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი კარლო გუჯაბიძე კორესპონდენტს უამბობს, რომ ერთი წლის წინ გამართულ რაიონულ კონფერენციაზე 'გადაწყდა რესპუბლიკის რომელიმე რაიონში, სადაც მწვავედ დგას დემოგრაფიული პრობლემა, საკუთარი ძალებით აღგვედგინა ქართული ნასოფლარი, ქართული სული შთაგვეტერა წინაპართა სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული, ამჟამად კი უპატრონოდ დარჩენილი იქაური მიწისათვის. [...] მიზნის განსახორციელებლად თეთრინყაროს რაიონის [...] ნასოფლარი სამღერეთი შევარჩიეთ. [...] აჭარის მაღალმთიანეთში სტიქიით დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელმაც ყველას მართლაც თავზარი დაგვცა, ჩვენი წინასწარი მონახაზები ნაწილობრივ შეცვალა. [...] გადავწყვიტეთ, რომ სამღერეთში უპირველესად და რაც შეიძლება სწრაფად ავაშენოთ საცხოვრებელი სახლები, რომლებშიც ხიზნები ჩასახლდებიან.<sup>252</sup>

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 25 აპრილის ნომერში დაბეჭდილია სტიქიური უბედურების ამსახველი ფოტომასალა, რუბრიკის სათაურია „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.“ ტექსტში სათაურით: „ბუნებამ მაინც რაღად გაგვიმეტა...“ 9 აპრილთან დაკავშირებით იგივე მოტივი მეორდება, რაც სხვა

<sup>251</sup> ტუხაშვილი, ლოვარდ. „აჭარა გვიხმობს“, *კომუნისტი*, 23 აპრილი, 1989, N 96, გვ. 2.

<sup>252</sup> რუსია, რუსლან. „აღორძინებს ხიზანი სამღერეთს...“ *კომუნისტი*, 23 აპრილი, 1989, N 96, გვ. 2.

ტექსტებში, ნახსენებია განგების ძალა და უდანაშაულო მსხვერპლი. მენყრის შედეგად დაღუპული ადამიანების ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაზე საუბარი არარაციონალურად შეიძლება გამოიყურებოდეს, მაგრამ ეს გამოთქმა – „უდანაშაულო მსხვერპლი“ – გამოიყენებოდა 9 აპრილის ღამეს დაღუპულთა აღსანიშნავად. მისი გამოყენება მენყრით დაღუპულთა მიმართ ცხადყოფს, რომ 9 აპრილთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ ნარატივს გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა აჭარის სტიქიის მნიშვნელობის კონსტრუირებაზე და ორივე მათგანი ერთი კულტურული ნიმუშის საფუძველზე აიგო. ამ ტექსტშიც დასმულია კითხვა რატომ? „რა ცოდვა გვაქვს ასეთი?“ და პასუხი ასევე ნიშანდობლივია: ქართველთა განსაკუთრებულობა („ერთგულად და თავგანწირულად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. [...] არასდროს არავინ დაგვიჩაგრავს, არავინ შეგვივიწროვებია და სხვისი არაფერი მიგვითვისებია?“). ტექსტის ბოლოს მოცემულია კულტურული ნიმუშის განუყოფელი კომპონენტი – სიმტკიცე, მომავლის, როგორც დიადი წარსულის გაგრძელების რწმენა. წარსულის დიდებულებასა და ნათელ მომავალს შორის ანმყო უბედობა მხოლოდ დროებითი წყვეტაა:

„ჯერაც არ დამჭკნარა რუსთაველის გამზირზე დაფენილი ყვავილების ხალიჩა, ჯერ არ შეგვეშრობია თვალზე ცრემლი, ჯერ არ მოჰკლებია ძაძები თბილისის ქუჩებს და კვლავ ჩამოჰკრეს გლოვის ზარებმა, კიდევ უფრო გამუქდა ისედაც თალხისფრად შემოსილი საქართველო. თითქოს 9 აპრილის სისხლი არ გვაკმარა, ასევე მოგვდგა განგება, ისე უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა. აჭარას, ჩვენს ლამაზ, აკვანმრავალ აჭარას მოუსვა სიკვდილმა ცელი. აღარაფერი გვეთქმის, აღარაფერი გვეწერება, უსასობამ და უნუგეშობამ შეგვძრა ყველა. რა ვქნათ, რით ვუშველოთ ჩვენს საქართველოს, რა ცოდვა გვაქვს ასეთი? ნუთუ ის, რომ ასე ერთგულად და თავგანწირულად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და სხვაგან სიცოცხლეს აქ სიკვდილი გვიჩვენია? ანდა იქნებ ის გვეთვლება ცოდვად, რომ არასდროს არავინ დაგვიჩაგრავს, არავინ შეგვივიწროვებია და სხვისი არაფერი მიგვითვისებია?“

[...] გამაგრდითო, 9 აპრილის შემდეგ ხშირად გვეუბნებოდნენ, გავმაგრდით, გავიქვავეთ გულები და ნუთით მივყუჩდით, ნუთით დავთმეთ, ცრემლიც შევიშრეთ, თუმცა უმანკო სისხლის ვინმესთვის შერჩენა არც გვიფიქრია. ათი დღის თავზე კიდევ უბედურება, კიდევ სიკვდილი... კვლავ გვეუბნებოდნენ, გამაგრდითო, როდემდე, რამდენჯერ... კვლავ მომავალს მივაპყროთ იმედიანი მზერა, კიდევ ერთხელ მოვიგონოთ რანი ვართ, ვინ ვართ.

ქართველებს უიმედობა არ შეგვეშვენის, ქართველი როცა ტირის, მაშინაც კი მომავლისკენ იყურება. გული მკვდარი გვაქვსო, ჩვენი ერთი მკითხველი გვწერს, გული კი მკვდარი გვაქვს, მაგრამ საქართველო ცოცხალია, ჩვენც მისთვის უნდა ვიცოცხლოთ და იქნებ გლოვას არც შემვენის ასეთი სიტყვები, მაგრამ მაინც ასე მინდა დავამთავრო: კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანიო, უთქვამთ. [...] დაიზრდებიან და აყვავებენ აჭარასაც, სვანეთსაც, მესხეთსაც, მთელ საქართველოს. არც არავის ჯავრს შეირჩენენ და არც თავისას შეარჩენენ სხვას. ისინი არიან დღეს ჩვენი იმედი და თუ ჩვენს ძარღვებში კვლავ სჩქეფს დავითის, თამარის, დიმიტრის, ილიას სისხლი, ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ, ვიშრომოთ,

**ვიბრძოლოთ, რათა ჩვენს მომავალს 'სიძნელე გზისა' გავუადვილოთ. მაშ, გაუმარჯოს სიცოცხლეს! მაშ, გაუმარჯოს საქართველოს!**<sup>253</sup>

როგორც ჩანს, დროსთან ერთად, კატასტროფული მოვლენა სულ უფრო მეტად იძენდა მწყობრი ნარატივის სახეს, ეს კარგად ჩანს წინა და შემდგომ პუბლიკაციებში, რომლებშიც თავმოყრილია კულტურული სქემის ყველა ძირითადი კომპონენტი და ასევე მკაფიოა ნარატივის აგების მდგრადი სტრუქტურა:

„აპრილმა თალხი მოიხვია, გაზაფხული ჩაგვამწარა. **9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ შემოსილი ძაძები არ გაეხადა საქართველოს და კიდევ ერთი უბედურება დატრიალდა. გაგიმეტა კაცმა და ღმერთმა. განა, რა ცოდვა ჰქონდა ათასჯერ აოხრებულ, სისხლისაგან დაწვეტილ საქართველოს, არანაკლებ სიმწარეგამოვლილ აჭარას. [...]** 9 აპრილისა და აჭარის ტრაგედიებმა თავზარი დასცა მთელს საქართველოს და პოეტს ათქმევინა 'აღარ მიყვარხარ, აპრილო, სისხლიანი გაქვს კალთა!' შემადრწუნებელია ბუნების გაცოცხლებისას სიკვდილზე ფიქრი... გლოვობს მთელი საქართველო. ჩვენთან ხომ გლოვაც დიდებული და ამაღლებული იციან, იციან ჭირთათმენა და ჭირთგამძლეობა. უბედურება ვერ გასტეხს ქართველ ხალხს. ამ იარასაც მოიშუშებს მრავალჭირგადანახადი, სისხლისგან დაცლილი ქართული მიწა, კიდევ უფრო გასპეტაკდება ქართველი კაცის სული. **იმძღავრებს ახალი სიცოცხლე, გამრავლდება და გაძლიერდება.** იქნებ იავნანაში სიმწრის კილოც შეერიოს, მაგრამ კიდევ მრავალი აკვანი გადაირწევა. აჭარაში ყოფნისას მოხუცების ნათქვამი გამახსენდა: – საუკუნის დასასრულს მეორედ მოსვლა იქნებაო, შვილო. **საქართველო ხომ ღმერთის წილხვედრი ქვეყანაა, იქნებ განგება ამ უდანაშაულო მსხვერპლშენივით ახალ სიცოცხლედ, ახალ სიძლიერედ, ახალ აღზევებად მოველინოს ჩვენს სამშობლოს.**“<sup>254</sup>

ვახტანგ გორგანელის ლექსი „ოდა სხალთის ხეობას“ სტიქიის მიერ დაზარალებული აჭარის ამ მხარის დიდებულებას ეძღვნება. სტიქიური კატასტროფა აღქმულია, როგორც მტრის შემოსევა, რასაც ხშირად განიცდიდა ეს ისტორიული მხარე.

„ახლა რადლა ჩატყდა ხიდი,  
ეს რა ცოდვის ღრუბლებს იხვევ?  
**ნუთუ მტერი შემოშუშვით,  
ხიხანის და ვარდის ციხევ.**  
მუდამ ხვალის მოიმედევ,  
ამ დღემ როგორ გაგიმეტა!  
სხალთა, სხალთა, საყვარელო,  
ეს რა შავად გაგიტენდა!

[...]

შენ ისეთი თილისმა ხარ  
და ისე სძრავ სულის ფესვებს,  
**რაც არ უნდა დაიმწყრო,  
წამოდგები მაინც ფეხზე.**“<sup>255</sup>

<sup>253</sup> საგინაშვილი, თამარ. „ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვიტკირსა,“ *სოფლის ცხოვრება*, 25 აპრილი, 1989, N 97, გვ. 2-3.

<sup>254</sup> ბარათაშვილი, თამარ. „აღარ მიყვარხარ, აპრილო,“ *სოფლის ცხოვრება*, 29 აპრილი, 1989, N 101, გვ. 3.

<sup>255</sup> გორგანელი, ვახტანგ. „ოდა სხალთის ხეობას,“ *სოფლის ცხოვრება*, 27 აპრილი, 1989, N 99, გვ. 2.



**რაჭა-ზემო იმერეთის სტიქიური უბედურება.** 1991 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 მაისის ნომერში ვრცელი ადგილი დაეთმო რაჭისა და იმერეთის სტიქიური კატასტროფის ამსახველ ფოტომასალას. ჟურნალისტ კახა სიხარულიძის სტატიის სათაური ერთ-ერთი დაზარალებულის სიტყვებია: „ჩემი მიცვალებული ვერ ვიპოვე,“ ქვესათაურით „რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან.“ ტექსტი ნათლად აჩვენებს მოვლენის ტრავმული აღქმის სიმძაფრეს:

**„სატანამ თავისი სისხლიანი მზერითა და გაუმაძღარი ბოროტებით საქართველოსთვის მოიცალა – თავზე დაგვაქცია რაჭა, დაგვინგრა იმერეთი, მიწასთან გაგვისწორა ეკლესიები, ქუჩაში გამოგვიყარა ადამიანები და გაუგებარი, მოულოდნელი, არასწორი და მუხანათური დარდი გაგვისადაცხოვრების მეგზურად. [...] ჟურნალისტი ემოციებს არ უნდა აჰყვეს და ადამიანებს მომხდარი აუღელვებლად უნდა უამბოს, მაგრამ კანონები იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ კი ის, რაც ხდება, ელემენტარულ ადამიანურ ლოგიკას ემორჩილება. ის, რაც საჩხერის რაიონში მოხდა, არავითარ ადამიანურ წესს არ ემორჩილება.“<sup>256</sup>**

იგივე ჩანს ქვემოთ მოყვანილ ტექსტშიც და, ამასთან ერთად, სრული უსუსურობის, გაურკვეველობის და სასონარკვეთის განცდა, რაც ზებუნებრივი, ადამიანის კონტროლს მიღმა არსებული ძალების ზემოქმედებაზე მიუთითებს ავტორს. სათაურიც ამ განწყობას ასახავს: „ეს არ იყო ჩვეულებრივი მიწისძვრა.“

**„შემადრწუნებელი ღრიანცელი გაისმა და სრული უმწეობა ვიგრძენი. უეცრად ნიადაგი გამომეცალა. სულ რამდენიმე წამში დავრწმუნდი, რომ საშინელება ხდებოდა. [...] სულ ერთი წუთი გრძელდებოდა ეს საშინელება, მაგრამ, მერწმუნეთ, სრული უსუსურობის გრძნობა ძალზე ძნელი აღმოჩნდა. [...] [ჭიათურაში] ენით აუნერელი საშინელება ვიგრძენი. ყველანი, დიდი თუ პატარა, ღია ცის ქვეშ ჯგუფ-ჯგუფად, ხელიხელ ჩაკიდებულ-შემოხვეულნი, საოცარი უმეტყველო და უიმედო სახეები. [...] არავის სჯეროდა, რომ ცოცხალია და გადარჩა. [...] არა, არ მშორდება ფიქრი, რომ ბოროტი ძალა დევნის საქართველოს.“<sup>257</sup>**

გამონაკლისის სახით, დაიბეჭდა სტატია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სტიქიური უბედურებების გამომწვევ ადამიანურ ფაქტორზე. საქართველოს წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ჰიდროტექნიკოსი ცოტნე მირცხულავა სტიქიური უბედურებების მიზეზად ეკოლოგიურ სისტემაში ადამიანის უხემ ჩარევას ასახელებს:

**„სტიქიის გახშირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომები – მთის კალთების დაუსაბუთებელი ათვისება, რისთვისაც ბუნება ახლა გვისწორებს ულმობელ, უმკაცრეს ანგარიშს. [...] სტიქიური მოვლენების გახშირება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენ ყველგან და განსაკუთრებით მთაში აქტიურად ჩავერიეთ ბუნებაში.“<sup>258</sup>**

ამავე სტატიას ახლავს რედაქციის კომენტარი, სადაც აღნიშნულია, რომ გაზეთი მრავალჯერ, მაგრამ უშედეგოდ შეეცადა საზოგადოების ყურადღება

<sup>256</sup> კახა სიხარულიძე. „ჩემი მიცვალებული ვერ ვიპოვე.“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 1991, N 84, 1 მაისი, გვ. 2.

<sup>257</sup> დვალაძე, მარატ. „ეს არ იყო ჩვეულებრივი მიწისძვრა,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 2 მაისი, 1991 N 85, გვ. 2.

<sup>258</sup> მირცხულავა, ცოტნე. „სტიქიის საგანგაშო გაკვეთილები,“ *სოფლის ცხოვრება*, 9 მაისი 1989, N 108, გვ. 3.

მიეპყრო მინების უსისტემო დამუშავების, ტყისა და ბალახის საფარის გაჩანაგების ფაქტებზე. რედაქცია კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს საზოგადოებას, რომ შესაბამისი ზომები მიიღონ საქართველოს მიწისა და შემდგომი თაობების მომავლის გადასარჩენად.<sup>259</sup> როგორც ჩანს, იმ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში ეკოლოგიური პრობლემები, უმთავრესად, მხოლოდ ვინრო სპეციალისტების ყურადღების ცენტრში იყო.

შედარებით უფრო ადვილად იკიდებდა ფეხს „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 მაისის ნომრის ერთ-ერთ სტატიამში გამოთქმული ირაციონალური მოსაზრებები, რომლებიც ეხმიანებოდა იმ პერიოდში გავრცელებულ ეჭვებსა და ვარაუდებს. აზრი იმის შესახებ, რომ მიწისძვრის შედეგად ეკლესიების ნგრევა „70 წლიანი საბჭოთა ათეიზმის ცოდვის“ და ეკლესიების მიერ ამ ცოდვის საკუთარ თავზე აღების შედეგი იყო, სტიქიური კატასტროფის ახსნის და მოვლენათა ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მოდელს წარმოადგენდა. ეს სრულებით თავსდება 1980-90-იანი წლების მიჯნაზე გაძლიერებულ და შემდგომ პერიოდში დომინანტურად ქცეულ აზროვნების მითოსურ მოდელში. იგივე შეიძლება ითქვას ეჭვზე, რომ რაჭისა და 1987 წლის სპიტაკის (სომხეთი) მიწისძვრები ხელოვნური წარმოშობის იყო და „ურჩი რესპუბლიკების“ დასჯას ემსახურებოდა.

„საოცარია: უბედურების ზონაში არ დარჩა არც ერთი ეკლესია-მონასტერი, რომელიც თუ მთლიანად არ დაინგრა, ძლიერ არ დაზიანდა: მთლიანად აღიგავა პირისაგან მიწისა მრავალძალის ეკლესია, დაინგრა საჩხერის წმინდა ნინოს ეკლესია, დაინგრა ზემო კრიხის ეკლესია, ძლიერ დაზიანდა ნიკორწმინდის ტაძარი, ზნაკვისა და ხოტევის ეკლესიები, ჯრუჭის მონასტერი, ბარაკონის ეკლესია... ეკლესია-მონასტრებთან ერთად ძლიერ დაზიანდა ციხე-კოშკები, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები... **ცოდვამ გვინია, სამოცდაათწლიანმა ცოდვამ!** – გვითხრა მეუფე ამბროსიმ, როცა ვკითხეთ, თუ რას ფიქრობდა იგი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მიწისძვრამ უზირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ეკლესია-მონასტრები დააზიანა. რა თქმა უნდა, მეუფეო, **რა თქმა უნდა! თავი იჩინა სამოცდაათწლიანმა ტოტალურმა უღმერთოებამ და ურწმუნოებამ**, მაგრამ ვფიქრობ, ასევე მართალია მრავალძალელი ნოდარ სხირტლაძე: **მიანც რა ძალა ჰქონია ჩვენს სალოცავებს! დარტყმა თავის თავზე მიიღეს, თვითონ დაიქცნენ და ხალხი გადაარჩინესო.**

ეჭვნარევი, ჰიპოთეტური ლაპარაკი იყო ყველგან, სადაც ვიყავით – საჩხერეშიც, ჭიათურაშიც, ამბროლაურიშიც, ონშიც, ისევე, როგორც ამ ორი წლის წინათ – სომხეთში: საქმე ეხება ეჭვს, **ხომ არ იყო სომხეთისა და საქართველოს მიწისძვრები ხელოვნური. [...] მართლაც საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს წინასამიწისძვრო პოლიტიკური სიტუაციები სომხეთში და საქართველოში. [...] მე იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი არალირიკული განსჯა თუ პარალელი ემოციური სტრესული სიტუაციით, მრავალი ეჭვის მოსმენით არის გამოწვეული. [...] ძალიან არ მინდა ეს ასე იყოს. კიდევ უფრო არ მინდა, რომ საქართველო, სომხეთი და ‘არასტაბილური,’ ურჩი რესპუბლიკები საექსპერიმენტო ცხვრებად იქცნენ.“<sup>260</sup>**

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> ნაცვლიშვილი, პაატა. „დემერთა ამრავლოს აქ ქართველთა საფლავები,“ *საქართველოს რესპუბლიკა*, 3 მაისი, 1991, N 86, გვ. 1, 3.

განალიზებულმა ტექსტებმა აჩვენა, რომ სტიქიური უბედურებების ტრავმული ნარატივი დაკავშირებულია ეროვნულ საკითხებთან: ერის ერთობასთან, სოლიდარობასა და მთლიანობასთან, იდენტობასთან, ისტორიასთან, დედა ენასთან. აქედან გამომდინარე, ეს კატასტროფები ეროვნულ მასშტაბში აღიქმებოდა, კულტურული ტრავმის სხვა განმსაზღვრებელ ისტორიულ მოვლენებთან ერთ მწკრივში განიხილებოდა და, მათთან ერთად, ერთიან ტრავმულ კონტექსტს ქმნიდა. ტექსტებში საქართველო არ ჩანს როგორც საბჭოთა კავშირის ნაწილი, ის მარტოა, როგორც რჩეული, კატასტროფების პირისპირ. ერთადერთი კავშირი, რომელიც იკვეთება, არის კავშირი საკუთარ წარსულსა და მომავალთან.

სტიქიური უბედურებების ნარატივში განსაკუთრებით თვალშისაცემია პრობლემების მიზეზების გარე ფაქტორებში ძიება, მსხვერპლის გაღების მნიშვნელობა, პროვიდენციალიზმი, ირაციონალური მსჯელობა და მითოსური აზროვნების ფორმები. ჩნდება კითხვა – რატომ აღმოჩნდა ოფიციალური პრესა ხელშემწყობი აზროვნების მითოსური მოდელის კულტივირებისათვის? ცალსახა პასუხის გაცემა ამ კითხვაზე, ალბათ, შეუძლებელია. ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ მატრავმირებელი ფაქტორების მთელი მწკრივის პირისპირ ძალა დაკარგა მიზეზ-შედეგობრიობის ამხსნელმა, ნორმალურ პირობებში ეფექტიანმა რაციონალურმა ლოგიკამ. დაბნეული და ორიენტირებაკარგული საზოგადოების ფაქტობრივად ყველა სემანტიკს მოერღვა ჩვეული წარმოდგენა მსოფლწესრიგისა და მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესახებ. ასეთ ქაოსურ გარემოსთან გამკლავებისა და მასში სიცხადის შეტანის მთავარ და, ალბათ, ერთადერთ შესაძლებლობას კულტურული ნიმუშების საცავი ქმნიდა. ის აღმოჩნდა მთავარი რესურსი საზოგადოებისათვის, რათა „უკიდევანო და მოუხელთებელი რეალობა კულტურული სემანტიკის სტრუქტურად“ გარდაექმნა, ამ გზით გამკლავებოდა მას<sup>261</sup> და აღედგინა დაკარგული წონასწორობა.

ვფიქრობთ, რომ აჭარისა და რაჭა-ზემო იმერეთის სტიქიური კატასტროფების ინტერპრეტაცია კიდევ ერთი საილუსტრაციო მაგალითია იმისა, თუ როგორ მუშაობდა ტრავმის მაფორმირებელი მექანიზმი 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე. სტიქიური უბედურებების მნიშვნელობებიც იმავე კულტურული ნიმუშების მეშვეობით ჩამოყალიბდა, რომლებიც, როგორც წესი, ქართულ კულტურულ კონტექსტში ტრავმული გამოცდილების აღწერისა და მისი მნიშვნელობის კონსტრუირებისათვის გამოიყენება. ისინი ყველაზე სრულად 1989 წლის 9 აპრილის ნარატიულ კონსტრუქციაში აისახა, რომელმაც, როგორც ამ თავში განალიზებული მაგალითები ადასტურებს, განსაზღვრა როგორც შემდგომი, ასევე წარსული მოვლენების აღქმა და რეპრეზენტაცია.

<sup>261</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 60.

### თავი III სამოქალაქო დაპირისპირება

**მოკლე ინფორმაცია.** მოსკოვის ცნობილი პუტჩის შემდეგ (1991 წლის აგვისტო) დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სულ უფრო მწვავედ ებოდა. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას ბრძანებას ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობის გაუქმებისა და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გვარდიის დაქვემდებარების შესახებ (19 აგვისტო) გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი არ დაემორჩილა. გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა ბანაკს შეუერთდნენ პრემიერ მინისტრი თენგიზ სიგუა და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, რომლებიც იმავე დღეებში გადააყენეს თანამდებობებიდან. 2 სექტემბერს კინოს სახლთან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული მიტინგის დარბევის შემდეგ თბილისში, რამდენიმე ადგილას, რეგულარულად იმართებოდა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მომხრეთა მიტინგები. რუსთაველის გამზირი გადაიკეტა, კიტოვანი გვარდიის ნაწილებითა და სამხედრო ტექნიკით დედაქალაქში შემოვიდა. მომდევნო თვეებში ადგილი ჰქონდა რამდენიმე შეტაკებას. თბილისის ცენტრში ბარიკადები გაჩნდა, მთავრობის სასახლის წინ პრეზიდენტის მომხრეთა კარვები დაიდგა. 22 დეკემბერს, არშემდგარი მოლაპარაკებებისა და ჩაშლილი ერთობლივი მიტინგის შემდეგ, რუსთაველის გამზირზე ცეცხლი გაიხსნა. პირველ გასროლას დაპირისპირებული მხარეები დღემდე ერთმანეთს აბრალებენ. ამის შემდეგ საომარი მოქმედებები არ შეწყვეტილა. 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა მთავრობის სახლის სარდაფის სართულზე მდებარე სასადილო (ე.წ. ბუნკერი) დატოვეს და სომხეთისკენ აიღეს გეზი. აქედან პრეზიდენტი გამსახურდია, მომხრეების ნაწილთან ერთად, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გადავიდა. ამით ომი არ დამთავრებულა, იგი მომდევნო ორი წელი გრძელდებოდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონი მოიცვა, გაართულა ეთნოკონფლიქტებით შექმნილი ისედაც მძიმე მდგომარეობა, მოიტანა დიდი მსხვერპლი და ტკივილი.<sup>1</sup>

#### თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება

1991 წლის 9 აპრილიდან სულ მალე რუსთაველის გამზირის საკრალური მონაკვეთი თბილისის ომის ბრძოლის ველად და ახალი ტრავმული მოვლენის – ხელისუფლების დამხობისა და სამოქალაქო დაპირისპირების – საწყის წერტილად იქცა. ათეული წლების შემდეგაც, ამ მტკივნეული წარსულის მეხსიერება, თითქოს, ისევ იმ დღეს უბრუნდება, საიდანაც საქართველოს ახალი ისტორია და-

<sup>1</sup> სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ დაწვრილებით იხ.: ზლუაშვილი, უჩა. ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში (თბილისი: 2012); კვესელავა, ივორ. საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), I (თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004); მჭედლიძე, გიორგი. ისტორია უდისტანციოდ (მლელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები) (ქუთაისი: 1999); შველიძე, დიმიტრი. პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წ.წ. (თბილისი: უნივერსალი, 2008); ჯანელიძე, ოთარ. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია (თბილისი: 2009) და სხვა ნაშრომები.

ინყო; წარსული „უარს ამბობს წასვლაზე და კვლავ იჭრება ანმყოში,“<sup>2</sup> იგი ბრუნდება და „ისე განიცდება, თითქოს გუშინ მოხდა.“<sup>3</sup>

„სამოქალაქო ომის დროს, როდესაც მთელი რუსთაველი ინვოდა, მასხოვს პირველი, რაც უცნაურად და ცუდად მომხვდა თვალში, ის იყო, რომ ჩვენი დროშა სწორედ იმ რუსულ „ბეტეერზე“ ფრიალებდა, რომელიც სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ, იმავე 9 აპრილს, მოსაკლავად დაგვდევედა,“<sup>4</sup> ნერდა ბექა ქურხული 2012 წელს. ოპოზიცია 9 აპრილი – სამოქალაქო ომი იმ პრობლემას გამოხატავს, რომლის შესწავლას ეს თავი ემსახურება.

9 აპრილი კოლექტიურ მეხსიერებაში ტრაგიკულ და ტრიუმფალურ თარიღად დამკვიდრდა, რომელმაც, გაღებული მსხვერპლის ფასად, სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუტანა; გლოვა-ზეიმის საკითხზე ემოციური თუ პოლიტიკური დაპირისპირებების მიუხედავად, მას ყოველწლიურად აღნიშნავენ, მეხსიერების განმტკიცებას და გადაცემას ემსახურება 9 აპრილისადმი მიძღვნილი ყველა ტიპის მეხსიერების არე – მონუმენტური, სიმბოლური თუ ფუნქციური, იგი ასახულია ცენტრალური და ადგილობრივი მუზეუმების ექსპოზიციებში, მასალები დაცულია სამუზეუმო, საარქივო და საბიბლიოთეკო საცავებში; 9 აპრილი ცოცხალია კომუნიკაციურ მეხსიერებაში.

თბილისისა და სამოქალაქო დაპირისპირების დროს მხარეები ერთმანეთის პირისპირ იმ დროით იდგნენ, რომელშიც 9 აპრილის ტრაგედია და ტრიუმფი იყო სიმბოლიზებული, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში კი ეს დროშა „იყო ყველა ომში და რომელ ომშიც წავიდა, ყველგან დამარცხებული დაბრუნდა, დაწყებული რუსთაველის გამზირიდან, სადაც ორივე მხარეს თვითონ იყო და ორივე მხარეს დამარცხდა.“<sup>5</sup> თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება მეხსიერების არეების უმრავლესობაში ან საერთოდ არ ფიგურირებს, ან მინიმალურადაა წარმოდგენილი. არ არსებობს მემორიალი, თარიღის ინსტიტუციონალიზებული აღნიშვნა, მუზეუმებში არაფერია გამოფენილი, დაღუპულთა საფლავები<sup>6</sup> სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღების მიღმა დატოვებული და მიმოფანტულია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო დაპირისპირება არ არის მეხსიერების მანიფესტირებული პოლიტიკის ნაწილი.

სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების ძირითადი საცავი, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელია მისი ანალიზი, კომუნიკაციური მეხსიერება, ისტორიკოსთა შრომები, სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული მოკლე ინფორმაცია, ავტობიოგრაფიები, მხატვრული ტექსტები და სხვადასხვა მედიასაშუალებაა (საგაზეთო პუბლიკაციები, ტელე-რადიო გადაცემები, დოკუმენტური ფილმები, ინტერნეტ-რესურსები).

<sup>2</sup> Assmann, Aleida. "Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory," *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), p. 52.

<sup>3</sup> Volkan, Vamik D. *When Enemies Talk: Psychoanalytic Insights From Arab-Israeli Dialogues*, Sigmund Freud Lecture (Vienna: 1999), p. 14.

<sup>4</sup> ქურხული, ბექა. „დროშა,“ *ლიბერალი*, 30 ოქტომბერი 2012, <https://bit.ly/3tdn43x> (ნანახია 16.01.2021).

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> არსებობს ე.წ. „სამშო სასაფლაოები,“ სადაც განისვენებენ 90-იანებში დაღუპული ახლავაზრდები: ყველა ომის, ქურხური გარჩევების, ნარკოტიკების, ავარიისა თუ სხვა ტრაგიკული შემთხვევების უნებური თუ გამიზნული მსხვერპლის. მაგალითად, ვერის სამშო სასაფლაოზე საფლავთა დიდი ნაწილი 1992 წლით თარიღდება, საბურთალოსი - 1994 წლით. ამ საფლავების სიმრავლე სამოქალაქო დაპირისპირების ეპოქის ტრაგიკულობის კიდევ ერთი არგუმენტია.

სამოქალაქო დაპირისპირება ტრავმული გამოცდილება იყო საზოგადოებისთვის. როგორც ჩვენმა გამოკითხვამ აჩვენა, რესპონდენტთა დაახლოებით 75% თვლის, რომ თბილისის ომში არა რომელიმე მხარე, არამედ მთელი საზოგადოება დამარცხდა (იხ. დიაგრამა 21, 37). მაგრამ ეს ტრავმა არაარტიკულირებულ, ჩამოუყალიბებელ მოვლენად დარჩა. იგი არც დავინყებულა (კომუნიკაციურ მეხსიერებაში არსებობს და აქტიურია), არც მკაფიოდ ინსტიტუციონალიზებული (და, შესაბამისად, კულტურულ მეხსიერებაში გადასული). სამოქალაქო დაპირისპირებამ, უდავოდ, გამოიწვია სოციალური ცხოვრების საბაზისო ქსოვილის აფეთქება, დაახინა საზოგადოების გამაერთიანებელი კავშირები და ერთობის განცდა.<sup>7</sup> როგორც ჯ. ალექსანდერი აღნიშნავს, კოლექტიური ტრავმა არ არსებობს თავისთავად, არამედ ეს არის საზოგადოების მიერ კონსტრუირებული მოვლენა. ჩვენი მიზანია ავხსნათ, რატომ ვერ მოხერხდა თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების მკაფიო კონსტრუირება, რის გამოც იგი დღემდე რჩება ურთიერთდაპირისპირებულ და, ზოგჯერ, შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფის წყაროდ.

იმისთვის, რომ სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომის გამოცდილება კოლექტიურ ტრავმად ჩამოყალიბდეს, იგი მნიშვნელობათა კულტურულ სისტემაში უნდა მოექცეს. ეს მნიშვნელოვანია ყველა დაპირისპირებული მხარისათვის, ჩვენს შემთხვევაში – როგორც სახელმწიფო გადატრიალების მომწყობთათვის და მათი მხარდამჭერებისთვის, ასევე დამხოზილი ხელისუფლებისა და მისი მომხრეებისთვის.

პირველთათვის ეს ტრავმა წარმოადგენს საფრთხეს იდენტობისათვის, რადგან იგი ქმნის დაძაბულობას ჯგუფის პოზიტიურად აღქმისაკენ მისწრაფებასა და წარსულის დანაშაულს (თუნდაც აულიარებელს) შორის. გილად ჰირშბერგერი ასახელებს რამდენიმე ხერხს, რომელთაც დამნაშავეები ამ დაძაბულობის დასაძლევად იყენებენ.<sup>8</sup> ჰირშბერგერის კლასიფიკაციის მიხედვით, ჩვენი შემთხვევა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. მოვლენის მეხსიერების შეცვლა, საკუთარი დანაშაულის/შეცდომის არაღიარება.

„რა გადატრიალებაზეა ლაპარაკი, როდესაც წელიწადი და ორი თვე ომი მიდიოდა. ვინ ომობდა? აი, ის პრეფექტები ომობდნენ, თანამდებობის პირები, რომლებიც გამსახურდიათ დაასაქმა, ორგანიზებას ისინი უკეთებდნენ ამას. პირველი, ეს იყო სამოქალაქო ომი, ეს იყო აჯანყება და, სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ახლაც რომ აშინებენ ხალხს, აჯანყების უფლება ყველა ხალხს აქვს და ეს ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში დაფიქსირებულია. მე როდესაც ხელი მოვიკიდე ამ ამბავს და ვითავე აჯანყების საკითხი, ეს წაკითხული მქონდა და კორესპონდენტებსაც ვაჩვენებდი. როდესაც არაფერი აღარ გამოდის დესპოტიზმის წინააღმდეგ, ხალხს აქვს აჯანყების უფლება და ეს ითვლება დემოკრატიულ პროცესად.“<sup>9</sup> – აცხა-

<sup>7</sup> Alexander, Jeffrey C. “Toward a Theory of Cultural Trauma,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 4.

<sup>8</sup> Hirschberger, Gilad. “Collective Trauma and the Social Construction of Meaning,” *Frontiers in Psychology* 9 (10 August, 2018): p. 1.

<sup>9</sup> ფრაგმენტი თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმიდან „ჩაკეტილი წრე.“ რუსთავი 2, 2002, YouTube, 18 აგვისტო, 2011, <https://bit.ly/32YHsKe> (ნანახია 01.06.2021).

დებდა ჯაბა იოსელიანი<sup>10</sup> 2002 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა საჯარო სივრცეში პირველად დაიწყო საუბარი თბილისის ომისა და მომდევნო სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ.

თენგიზ სიგუას<sup>11</sup> აქცენტი ომის დაწყების ინიციატორის გარკვევაზე გადააქვს და კატეგორიულად გამორიცხავს ამ მხრივ პასუხისმგებლობის აღებას: „ვინ დაიწყო? თქვენ ბრძანეთ, რომ შევარდა ოპოზიციამ, როგორ გეკადრებათ! თორმეტმა კაცმა შეუტია ქუჩიდან 3 ათას კაცს?“<sup>12</sup>

უაღრესად საინტერესოა სიგუას არგუმენტები ხელისუფლების დამხობის გასამართლებლად: 1) „როდესაც კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას ძალისმიერი მეთოდით გადააყენებენ, ეს არის დანაშაული, ამაზე ლაპარაკი არ არის. მაგრამ ეს ხომ მართო საქართველოში არ მომხდარა. რა მოხდა აზერბაიჯანში?“<sup>13</sup> 2) „ქვეყანას გამსახურდია არ მართავდა. ქვეყანას მართავდა სამი ქალი: მისი ცოლი, ცოლის და და ჯანმრთელობის მინისტრი. [...] სროლის ბრძანება გასცა ცოლის დამ.“<sup>14</sup>

თენგიზ კიტოვანის<sup>15</sup> მონათხრობში ყველა დამნაშავეა, მის გარდა:

„როდესაც რუსი სამხედროები მოვიდნენ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში. ისინი ჩამოვიდნენ აქ და ზვიადს უბრძანეს დაეშალა ჯარი. ზვიადი იძულებული გახდა, რომ რუსებისთვის დაეჯერებინა, ცოტა ისეთი კაცი იყო, მერყევი [...] ჩვენ დღე და ღამე არ გვეძინა, ვქმნიდით ქართულ ჯარს. [...] თვითონ ზვიადსაც არ უნდოდა ჯარის დაშლა, ერთ აზრზე ვიყავით, ამ ქალებმა გადაიყვანეს ჭკუიდან. მე ვფიქრობ, რომ წამლავდნენ და არ იყო დალაგებულად. პირველი ტყვია ლელეს და მანანას ბრძანებით გავარდა, შინაგანმა ჯარმა ესროლა ხალხს. აქედან დაიწყო ყველაფერი [...] ჩვენ მერე ჩამოვედით, რაც ხალხი დაიჭრა. ორივე მხარე იარაღს რუსეთისგან ვყიდულობდით [...] შევარდნაძე ჩამოიყვანა ჯაბამ, ელდარ შენგელაიამ და ინტელიგენციამ, მე არც გამიგია. შევარდნაძესთან ცუდი ურთიერთობა

<sup>10</sup> ჯაბა იოსელიანი (1926-2003) - შეიარაღებული ფორმირება „მხედრონის“ დამაარსებელი და ლიდერი, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი 1992 წლის 6 იანვარიდან 10 მარტამდე, 1992-1995 წლებში საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი. მონაწილეობდა აფხაზეთის ომში. 1995 წლის აგვისტოში შევარდნაძეზე მოწყობილი ტერაქტის გამო დააპატიმრეს, „მხედრონი“ კი დაშალეს და აკრძალეს.

<sup>11</sup> თენგიზ სიგუა (1934-2020) - ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში, 1990-1991 წლებში იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გამსახურდიას მთავრობის დამხობის შემდეგ სიგუა დაინიშნა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად. 1992 წელს დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად, 1993 წელს გადადგა თანამდებობიდან.

<sup>12</sup> ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქცია“, TV იმედი, 2007, YouTube, 8 მაისი, 2020, <https://bit.ly/3eZLNQJ> (ნანახია 01.06.2021).

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> „22 წელი თბილისის ომიდან“, პირველი არხი, 6 იანვარი, 2014, YouTube (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3f1kHsb> (ნანახია 22.04.2021).

<sup>15</sup> თენგიზ კიტოვანი - 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის (1991 წლის 9 აპრილი) ხელმომწერი; შემდეგ - საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი. 1991 წლის აგვისტოში არ დაემორჩილა პრეზიდენტ გამსახურდიას გადაწყვეტილებას გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ და გამოაცხადა დაუმორჩილებლობა. იყო თბილისის ომისა და შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ - საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი, 1992-1993 წლებში - საქართველოს თავდაცვის მინისტრი. 1996 წლის ოქტომბერში დააკავეს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ორგანიზების ბრალდებით და რვაწლიანი პატიმრობა შეუფარდეს. 1999 წელს პრეზიდენტმა ელდარდ შევარდნაძემ შეიწყალა. ცხოვრობდა და საქმიანობდა მოსკოვში. საქართველოში დაბრუნდა 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ.

მქონდა. შევარდნაძე იყო სხვა მიმართულების პოლიტიკოსი, ის რაც დღეს ტრიალებს, მისგან მოდის [...] ზვიადის დარჩენა არ შეიძლებოდა, საქართველო სხვანაირი გახდებოდა. [...] ჩვენ რომ შევთანხმებულიყავით, სხვა საქართველო იქნებოდა. [...] საქართველოს მმართველებს შორის ყველაზე კარგი ზვიადი იყო, რომელიც იყო ნაციონალისტი. შეცდომები ბევრი ჰქონდა ოჯახის ზემოქმედებით, ისე ზვიადი იყო ყველაზე კარგი.“<sup>16</sup>

ამავე დროს, თენგიზ კიტოვანი არც სხვა ინტერვიუში მალავს, რომ იარაღს რუსებისგან ყიდულობდა: „24-ში ვაგებდით ომს, ფაქტიურად. მე არ ვაციე, არ ვაცხელე, ფული მქონდა, ყველაფერი, და წავედი და ვაზიანში რუსებს მოვთხოვე, მეთქი, მომყიდეთ. და ვიყიდე ეს ყველაფერი. და მაშინ, 24-დან დაიწყო ნამდვილი ომი,“<sup>17</sup> როგორც ჩანს, მას ეს სრულიადაც არ მიაჩნია დანაშაულად. თავის მხრივ, ჯაბა იოსელიანი ომში გარდატეხას ციხიდან მის და სხვა მხედრიონელთა გამოსვლას მიაწერს.<sup>18</sup>

## 2. ჯგუფთან იდენტიფიკაციაზე უარის თქმა, ჯგუფის წევრებისგან დისტანცირება.

მაგალითად, კოტე გაბაშვილის<sup>19</sup> პოზიცია ასეთია: „ზვიად გამსახურდია ძალიან საინტერესო კაცი იყო, მძიმე კაცი იყო, ადვილად შეეძლო შეეცვალა თავისი დამოკიდებულება, იმის მიხედვით, რა აწყობდა. იყო პოლიტიკოსი ამ თვალსაზრისით. [...] ყველაფრის ლაპარაკი არ გვიანდა. [...] მან ძალიან დიდი უბედურებები მოგვიტანა, აფხაზეთის დაკარგვის ჩათვლით. ყველაფრის ასე მოყოლა არც მინდა, იმიტომ რომ ეს გამაღიზიანებელი არ იყოს... [გააზრებას] ჩვენ ვერ დავინყებთ [...] ახლა ეს შეუძლებელია, იქ მონაწილე ადამიანები ცოცხლები არიან.“<sup>20</sup>

ვალერი კვარაცხელიას<sup>21</sup> პასუხისმგებლობის აქცენტი სამოქალაქო დაპირისპირებაში მონაწილეობიდან მისი თავიდან აცილების პრობლემაზე გადააქვს: „მე მაქვს ძალიან დიდი სინანულის განცდა ყველაფერ იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა, იმის გამო, რომ ვერ შეეძელი და ვერ შეეძარს ის როლი, რომ როგორმე ეს ამეცილებინა საქართველოსთვის. იმიტომ რომ მე მქონდა მაშინ ის ურთიერთობები, რომ რაღაცა როლი მეთამაშა – აქეთა მხარესთანაც და ბატონ ზვიად გამსახურდიასთანაც. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხე და ამის გამო მაქვს ძალიან დიდი სინანულის განცდა.“<sup>22</sup>

ირაკლი მელაშვილი, რომელიც თავად იყო უზენაესი საბჭოს წევრი ბლოკიდან „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, ხოლო შემდეგ ოპოზიციაში გადავიდა და ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა, პასუხისმგებლობას ამ უკანასკნელს აკისრებს: „პროვოკაციას როდესაც

<sup>16</sup> ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 6 აგვისტო, 2019, <https://bit.ly/3qShzEI> (ნანახია 21.10.2020).

<sup>17</sup> „22 წელი თბილისის ომიდან“, პირველი არხი, 6 იანვარი, 2014.

<sup>18</sup> ფრაგმენტი თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმიდან „ჩაკეტილი წრე“, რუსთავი 2, 2002.

<sup>19</sup> კოტე გაბაშვილი - 1992-1993 წლებში - განათლების მინისტრი, 1993 წელს - თბილისის მერი, სხვადასხვა დროს - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი.

<sup>20</sup> ინტერვიუ კოტე გაბაშვილთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 10 მარტი, 2020, <https://bit.ly/3qYzGcf> (ნანახია 04.03.2020).

<sup>21</sup> ვალერი კვარაცხელია - ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელი, 1992-1995 წლებში საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი.

<sup>22</sup> ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქცია“, TV იმედი, 2007.



გინებენ, შენ არ უნდა აყვე მას. ხელისუფლებას უნდა ეყოს უნარი და ჭკუა, რომ ასეთი შეცდომები არ დაუშვას.“<sup>23</sup>

და ბოლოს, ირაკლი ნერეთელი, იმ დროს საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის ყოფილი ლიდერი, რომელიც გამსახურდიას ოპოზიციაში იყო, მაგრამ სამხედრო გზით ხელისუფლების დამხობას მხარს არ უჭერდა, აღნიშნავს: „გამსახურდიას დამარცხების მიზეზი ორი ფაქტორი გახდა – ექსპრეზიდენტის არასწორი გადაწყვეტილებები და რუსეთის ჩართულობა. ზვიადმა თავდაპირველი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც პოლიტიკურ პროცესებში შეიარაღებული ძალების ჩარევა ძირშივე არ აღკვეთა. კიტოვანიც და ყველა სხვა, ვინც ხელისუფლების დასამხობად იარაღი აიღო, დასაწყისშივე ლიკვიდირებულები უნდა ყოფილიყვნენ. [...] ზვიად გამსახურდიასთან პოლიტიკური დაპირისპირება არავის აძლევდა იმის უფლებას, რომ შეიარაღებული გადატრიალება მოეწყო. ეს იყო პუტჩი, რომელიც შემდგომ მთელ ქვეყანას მოედო და სამოქალაქო ომში გადაიზარდა.“<sup>24</sup>

### 3. ჩადენილი არასწორი ქმედების აღიარება.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე მკაფიო და ცალსახა პოზიცია ნოდარ ნათაძეს<sup>25</sup> აქვს: „მაქვს თუ არა მე ცხოვრებაში ძალიან მძიმე შეცდომა? მაქვს! როდესაც გართულებულ ფსიქოლოგიურ სიტუაციაში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იყო დარაზმული ძალიან დიდი აგენტურა და შეძლეს პროვოცირება, ვთქვი, რომ პრეზიდენტს როცა ასეთი შეცდომა მოუვა, იგი უნდა გადადგეს. ეს ვთქვი და ეს არ უნდა მეთქვა. ამას მე ვთვლი პირადად ჩემი, როგორც პოლიტიკოსის, როგორც პიროვნების, როგორც კაცის ჩაჭრად. ეს მე ცხოვრებაში სანანებლად მაქვს.“<sup>26</sup>

მამუკა არეშიძე<sup>27</sup>: „ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება და მე ვმონაწილეობდი სახელმწიფო გადატრიალების მომხრეთა მხარეს. მე, როგორც მონაწილე ამ გადატრიალების, ვამბობ, რომ ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება. მაგრამ ეს დღევანდელი გადასახედიდან არის [...] და მაშინ ყველა ვერ ხვდებოდა ამას. [...] მე არ შემიძლია ვთქვა, რომ მე ამ სამხედროებთან კავშირი არ მქონდა და მე ჩემი წილი პასუხისმგებლობა ნამდვილად მაქვს და ვიცი. [...] ამიტომ იყო, არჩევნების წინ მე მოვედი და ეროვნულების შეკრებაზე ბოდიში მოვუხადე. იმიტომ კი არა, რომ მე თავს აბსოლუტურად დამნაშავედ ვგრძნობ – პირადად მე, ზუსტად იმიტომ მოვიხადე ბოდიში, რომ ვგრძნობ – ის რღვევა, ჯერ ერთი, არ გამთელებულა და სიტუაცია გრძელდება. ამამია ჩვენი უბედურება.“<sup>28</sup>

<sup>23</sup> აბაშიძე, ზაზა და გიორგი ცაგარელი. „29 წელი თბილისის ომიდან, დანგრეული ქალაქის უნიკალური ფოტოები“, *JamNews*, 22 დეკემბერი, 2020, <https://bit.ly/3r2xIHC> (ნანახია 04.05.2021).

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> ნოდარ ნათაძე - საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე 1989 წლიდან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წევრი (1989-1990), საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ერთ-ერთი ხელმოწერი, 1992-1995 წლებში - საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

<sup>26</sup> „ნამდვილი ამბავი / ნოდარ ნათაძე“, *ფორმულა*, 2021, *YouTube*, 5 მარტი, 2021, <https://bit.ly/3tarB6S> (ნანახია 15.04.2021).

<sup>27</sup> მამუკა არეშიძე - ჟურნალისტი, რეჟისორი, პოლიტიკოსი, 1995-1999 წლებში საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი.

<sup>28</sup> ეკა ხოფერიას თოქ-შოუ, *TV იმედი*, 17 დეკემბერი, 2013, *YouTube*, 27 დეკემბერი, 2013, <https://bit.ly/3n74pCP> (ნანახია 22.04.2021).

4. პასუხისმგებლობის აღება და, ამასთან ერთად, საკუთარი და საკუთარი ჯგუფის პოზიტიური სახის ხაზგასმა.

გიორგი რურუა<sup>29</sup> იგონებს, რომ მონინალმდევე მხარესთან მიმართებაში მას ჰქონდა სირცხვილის განცდა და დღეს უფრო მეტად განიცდის ამას, ვიდრე მაშინ; „მაშინ გვეგონა, რომ სწორ მხარეს ვიდექით. დღეს რომ გავანალიზებთ, არ უნდა მომხდარიყო ეს, რა თქმა უნდა [...] პასუხისმგებლობა ყველა მონაწილეს ეკისრება, თუმცა უფრო მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდა ხელისუფლებას. [...] ყველანი ვიყავით გამოუცდელი, ზვიადიც გამოუცდელი იყო. არ ვიცოდით სახელმწიფოს შენება, სახელმწიფო ინსტიტუტები.“ აღნიშნავს, რომ „მხედრიონს“ ცუდი გაუკეთებია, მაგრამ ასევე ბევრი კარგიც, უამრავი ადამიანი გულწრფელად შეენირა საქართველოს მთლიანობისთვის ომს და არავისთვის არაფერი დაუშავებია, ამიტომ, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება. შავი პიარის და სტიგმატიზაციის შედეგია ის, რომ მხედრიონელები ‘საშიშ ადამიანებად’ აღიქმებოდნენ, თუმცა, შეიძლება, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მაშინ საშიში დრო იყო.“<sup>30</sup>

მამუკა გიორგაძე<sup>31</sup>: „ვნანობ არა იმას, რომ ოპოზიციაში ვიყავი, არამედ ვნანობ იმას – და ყველა ჩვენგანი უნდა განიცდიდეს – რომ პოლიტიკოსებმა ვერ უზრუნველყავით იმ მომენტში პოლიტიკის სწორი წარმართვა და, რანამს იარაღი გავარდა რუსთაველზე, ჩვენ სუყველამ დაგვარგეთ ფუნქცია.“<sup>32</sup>

რა თქმა უნდა, რეალობაში ეს მიდგომები ერთმანეთისაგან მკაფიოდ არ იმჯნება, არასასურველი წარსულისადმი დამოკიდებულება უფრო ნიუანსურია, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, „დამნაშავე“ ჯგუფის წევრები ცდილობენ ტრავმის იმგვარ რეკონსტრუქციას, რომ შეამცირონ კოლექტიური პასუხისმგებლობა და გააბუნდოვანონ განსხვავება მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის: მათაც რუსული იარაღი ჰქონდათ (თენგიზ კიტოვანი), სროლა პირველად მათ დაიწყეს (თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა), ზვიად გამსახურდიამ შეთავაზებული მოლაპარაკება ჩაშალა (თენგიზ სიგუა), დაემორჩილა გკჩპ მითითებებს (თენგიზ კიტოვანი და სხვა), დააპატიმრა ოპონენტები (ჯაბა იოსელიანი) და ა.შ. ისტორიის ასეთი თავდაცვითი რეპრეზენტაცია მათთვის საჭიროა პოზიტიური სოციალური იდენტობის აღსადგენად.

„რა თქმა უნდა, ეს კანონიერი ხელისუფლება იყო და ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ხალხმა აირჩია, ეს ფაქტია, მაგრამ [...] როდესაც მოდიხარ ხელისუფლებაში, [...] ეს არ არის ძალაუფლება, ეს არის პასუხისმგებლობა. [...] რა თქმა უნდა, სტაბილიზაცია არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა,“<sup>33</sup> ამბობდა ელდარ შენგელაია<sup>34</sup> 2002 წელს.

კითხვაზე, აქვს თუ არა მას სინანულის გრძნობა მომხდარის გამო, თენგიზ სიგუა 2007 წელს პასუხობდა: „რასაკვირველია. ის დღეები საერთოდ უნდა შე-

<sup>29</sup> გიორგი რურუა - „მხედრიონის“ აქტიური წევრი.

<sup>30</sup> ინტერვიუ გიორგი რურუსთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 25 სექტემბერი, 2019, <https://bit.ly/3HMujaj> (ნანახია 21.02.2021).

<sup>31</sup> მამუკა გიორგაძე - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

<sup>32</sup> ეკა ხოფერიას თოქ-შოუ, TV იმედი, 17 დეკემბერი, 2013.

<sup>33</sup> ფრაგმენტი თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმიდან „ჩაკეტილი წრე.“

<sup>34</sup> ელდარ შენგელაია - ცნობილი კინორეჟისორი, 1990-1991 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოში ელდარდ შევარდნაძის დაბრუნების აქტიური მომხრე; 1992-2008 წლებში - საქართველოს რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი.

ფასდეს, როგორც ეროვნული ტრაგედია, მაგრამ ყველაფერი გამონვლილვით უნდა იქნას შესწავლილი.“<sup>35</sup>

საკუთარი ჯგუფის პოზიტიური ქმედებების ხაზგასმისა და საპირისპირო მხარის ნეგატიური რეპრეზენტაციის საინტერესო მაგალითია ვაჟა ლორთქიფანიძის ნარატივი. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა მისივე შეცდომებით არის ახსნილი: ზვიად გამსახურდიამ „ვერ გაითვალისწინა ის, რომ ახალი ცხოვრება რომ მოვიდოდა, იმას ახალი კადრები დაჭირდებოდა, ის კადრები უნდა გამოეყენებინა. მერე კიდევ რადიკალიზმი, შეურიგებლობა თუნდაც იგივე ინტელიგენციის მიმართ.“ ამას ემატება ეროვნული მოძრაობის სულისკვეთების მძიმე და განზოგადებული დახასიათება:

„ერთი რამ იყო კიდევ გაბატონებული, რომ ჩვენ გვინდა ეროვნული დიქტატურა [...] მთავარია, ჩვენ უნდა ვიყოთ ეროვნულები და ამას უნდა მივალნიოთ დიქტატურის გზით, ალბათ ასე ფიქრობდნენ. ერთ რამესაც გეტყვით: ბევრს მაშინ ეროვნულ მოძრაობაში ძალიან დიდი სიმპათიები ჰქონდათ სტალინისადმი: მაგარი ხელი! იქ ხომ არ იყვნენ ჩამოყალიბებული ადამიანები, რომლებსაც განათლება ჰქონდათ, პატრიოტიზმი გულწრფელი იყო, მაგრამ გაუცნობიერებელი. იმას უყვარს თავისი ქვეყანა, მაგრამ როგორ უნდა უყვარდეს, ის არ იცის, ან რა უნდა გააკეთოს, რომ უკეთესად იყოს. ეს ლიდერმა უნდა იცოდეს, ლიდერებში უნდა იყვნენ ასეთი ადამიანები, პროფესიონალები, რომლებმაც იციან, რა უნდა აკეთონ, როგორც უნდა აკეთონ, ისიც უნდა გქონდეს გაცნობიერებული, რომ შენ კუნძულზე არა ხარ.“<sup>36</sup>

ეს ნარატივი ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა 90-იანები პოზიტიურად არის შეფასებული, არგუმენტად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სირთულეებია მოშველიებული, სამოქალაქო დაპირისპირება კი, როგორც „მძიმე და ბნელი 90-იანების“ მთავარი კომპონენტი, საერთოდ არ არის ნახსენები:

„მე არ ვარ მომხრე, როცა ვეძახით ‘ავადსახსენებელი 90-იანი წლები’. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. გავიხსენოთ 1918-21 წლები: ომი იყო, უბედურება, შიმშილი, უამრავი სირთულე, მაგრამ ჩვენ მაინც ვიხსენებთ, როგორც ერთ-ერთ ამაღლებულ პერიოდს, დამოუკიდებლობა მივიღეთ. ეს არის ჩვენთვის ძვირფასი წლები. აბა რას ვერჩით 90-იანებს? მარტო იმიტომ, რომ დენი და შუქი არ იყო? ან საიდან უნდა ყოფილიყო დენი და შუქი? [...] მაშინ შეიქმნა ეს ინსტიტუტები, ატრიბუტები დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, [...] ევროკავშირში შევედით, ევროსაბჭოს წევრი გავხდით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შევედით, [...] უამრავი ასეთი რამ. აბსოლუტურად მკაფიო ევროპული გზა ავირჩიეთ.“<sup>37</sup>

ერთი სიტყვით, „დამნაშავე“ ჯგუფი ცდილობს ხელახლა განსაზღვროს საკუთარი თავი და, მძიმედ გასახსენებელი მოვლენის ფონზე, შექმნას ჯგუფის პოზიტიური იმიჯი.<sup>38</sup>

<sup>35</sup> ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქცია“, TV იმედი, 2007.

<sup>36</sup> ინტერვიუ ვაჟა ლორთქიფანიძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 17 თებერვალი, 2020, <https://bit.ly/3JN1gSo> (ნანახია 07.04.2020).

<sup>37</sup> იქვე. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუერის, გადაცემათა ციკლის ავტორის იაგო ხვიჩიას დამოკიდებულება 90-იანებისადმი თანხვედრა რესპონდენტის პოზიციას: „ჩემთვის 90-იანები დადებითად ასოცირდება იმიტომ, რომ თუ სადმე დავანგრეთ საბჭოთა კავშირი ჩვენს ტვინებში, იყო 90-იან წლებში“ (იქვე).

<sup>38</sup> Hirschberger, „Collective Trauma,” p. 3.

როგორც გ. ჰირშბერგერი აღნიშნავს, თავდაცვითი რეპრეზენტაციის ყველაზე უკიდურესი ფორმა თავად ტრავმული მოვლენის არსებობის უარყოფაა – ასეთ შემთხვევაში არც მსხვერპლი არსებობს.<sup>39</sup> ამგვარი დამოკიდებულება ჩვენს შემთხვევაში არ გვხვდება; თბილისის ომი და შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირება როგორც მონაწილე მხარეების, ასევე დანარჩენი საზოგადოების მხრიდან აღიარებულია თანამედროვე საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მძიმე მოვლენად, არასასურველ წარსულად. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს დაადასტურა ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამაც: ისტორიის მასწავლებელთა 74.40% და დანარჩენი რესპონდენტების 73.50% მიიჩნია, რომ სამოქალაქო დაპირისპირებაში დამარცხდა მთლიანად ქართველი ხალხი, მასწავლებელთა 26.4% და სხვა რესპონდენტების 24.4% კი დამარცხებულ მხარედ ზვიად გამსახურდიას თვლის (იხ. დიაგრამა 21, 37), რაც მოვლენის ტრავმული აღქმის ნათელი დასტურია.

კოლექტიური ტრავმის შედეგად, მნიშვნელობათა შექმნის საჭიროების წინაშე დგას „მსხვერპლი“ ჯგუფიც, რომელმაც ასევე ხელახლა უნდა შექმნას საკუთარი იდენტობა. ისინი ისწრაფვიან იმის აღდგენისაკენ, რაც დაკარგეს,<sup>40</sup> ამიტომ მოითხოვენ მეორე მხარის დანაშაულის აღიარებას არა მარტო თავად ამ ჯგუფის, არამედ საზოგადოების მიერ და დამნაშავეთა დასჯას. ზოგ შემთხვევაში, ეს იწვევს განცდას, რომ ისინი მარტო არიან ამ სამყაროში და თავად უნდა იზრუნონ საკუთარი თავის დაცვაზე.<sup>41</sup> ამიტომ ისინი მუდმივად უბრუნდებიან წარსულს<sup>42</sup>, რომლის მათეული ინტერპრეტაცია საპირისპირო ჯგუფის ნარატივის გამომრიცხავია.

როგორც ა. ასმანი აღნიშნავს, დამახსოვრება ემოციით ძლიერდება,<sup>43</sup> მაგრამ „ემოციის აქამდე მოტანა ძნელია. ეს ემოციები იმდენჯერ მოკვდა, დაიმარხა, აღდგა რალაცნაირად. [...] ეს 30 წელი ბრძოლა თავის გადარჩენისათვის, იდეის გადარჩენისთვის. რაც მაშინ ძვირფასი იყო ყველა ჩვენთაგანისთვის, მგონია, რომ ყველა ცდილობს მის მოხმარებას, ან გაფუჭებას,“ ჩვენთან საუბარში აღნიშნა ბეჟან ჯავახიამ.

მთავარი მნიშვნელობა, რომელიც მსხვერპლმა ჯგუფმა 1991-93 წლების ამბებს მიანიჭა, მორალური და ფაქტობრივი გამარჯვების იდეაა, რასაც საკუთარი ჯგუფის პოზიტიური იმიჯი ემყარება:

„ძალიან ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ ჩვენ დავმარცხდით, [...] იარაღით განგვდევნეს, გაგვყარეს, პროვინციული ფაშიზმი გვინოდეს და იმის მერე არც აღვმდგარვართ არსად. [...] მე მაინც მგონია, რომ თუ ღრმად დავფიქრდებით, თუნდაც ნიშნის მოგებით ვიტყვი, რომ გამარჯვებულები ვართ ჩვენ, იმიტომ რომ დღეს არსებობს დამოუკიდებელი საქართველო. [...] იქ, სადაც დღეს მერაბი და ზვიადი განისვენებენ, ფილიპე მახარაძე და სილიბისტრო თოდრია იყო. რალაც გამარჯვებული ისტორია მათი იყო, მაგრამ ეს აღარ არის. თქვენ გესმით – სიმბოლურადაც გამარჯვება ჩვენ გვიჭირავს“ (ბეჟან ჯავახია, ისტორიკოსი, 63 წლის, ინტერვიუ ჩანერილია 05.12.2020).

<sup>39</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>43</sup> Assmann, “Impact and Resonance,” გვ. 42-43.

მსხვერპლი ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის მონინაალ-მდეგეები არ იქცნენ ყოფილ მტრებად, არამედ ასეთად დარჩნენ ათწლეულების შემდეგაც. არც განცდილი ტრავმა მოთავსდა წარსულში – ისინი ამ ტრავმაში ცხოვრებას აგრძელებენ:

„იმას, რომ თქვენ სამოთხესავით ჩვენი ქვეყანა ჯოჯოხეთად მიქციეთ თხუთმეტი წელი, მე ვერ გაპატიებთ ვერასდროს“<sup>44</sup> (ნუგზარ წიკლაური<sup>45</sup>).

„სანამ ეს არ შეფასდება და სანამ ამას სახელი არ დაერქმევა – სამოქალაქო ომი იყო ეს, თბილისის ომი იყო ეს თუ რა ჯანდაბა იყო ეს... ეს უნდა შეაფასოს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებამ, თორემ ხალხს ეს შეფასებული აქვს. სანამ ეს არ შეფასდება – გაიხსენეთ, ბონაპარტისტებს და როიალისტებს შორის რამდენიმე საუკუნე იყო დაპირისპირება – ეს ღიმილი, ეს გადაკოცნა-გადმოკოცნა, ეს ისეთი თამაშია, რომლის მიღმა იმალება საშინელება, გადავა შვილებზე, გადავა შვილიშვილებზე“ (ვალტერ შურღაია<sup>46</sup>).<sup>47</sup>

თემურ ქორიძე ლაპარაკობდა ერის კონსოლიდაციის საჭიროებაზე, თუმცა ისიც ფიქრობდა, რომ „არამც და არამც არ უნდა შეურიგდეს ადამიანი იმას, რაც მოხდა.“<sup>48</sup>

თუმცა მსხვერპლი ჯგუფის წარმომადგენლების ნაწილი უფრო ლმობიერია მონინაალმდეგე ჯგუფისადმი, თვლის რა მათ ნაწილს გარემოებათა გულუბრყვილო მსხვერპლად:

„იყვნენ ადამიანები, რომლებმაც განურჩევლად იმისა, სად იყვნენ და როგორ იყვნენ, აკეთეს ის საქმე, რითაც თავის სინდისთან იყვნენ მართლები, იბრძოდნენ ქვეყნისთვის, მიაჩნდათ ასე. ზოგადად, იმ ომის დაწყება იყო საშინელი ავანტიურა, იმ მისიაში, რომელშიც ეს ხალხი გამოიყენეს და მათი შემდგომი ბედი იყო საშინლად ტრაგიკული“<sup>49</sup> (ანა ჭავჭავაძე<sup>50</sup>).

„უნდა ითქვას, რომ ყველაზე გულუბრყვილო, ყველაზე ვაჟკაცი, ყველაზე თავგანწირული ადამიანები, ვინც 'მხედრონის' რიგებში იყვნენ, დღეს არიან ან მიწაში, ან, უკეთეს შემთხვევაში, გაფანტულები არიან ამ ქვეყანაში ისე, რომ მათ არც არანაირი კეთილდღეობა, არც არანაირი გამოორჩენა ამ ამბებიდან არ ჰქონიათ“<sup>51</sup> (მარიკა აბაიშვილი<sup>52</sup>).

რაც შეეხება *დამნაშავეებს*, ისინი უფრო მიდრეკილნი არიან, იყურონ წინ და ზურგი აქციონ წარსულს:

<sup>44</sup> ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქცია“, TV იმედი, 2007.

<sup>45</sup> ნუგზარ წიკლაური - პოლიტიკოსი, სხვადასხვა დროს - გამომცემლობა „ლიტერას“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი. საქართველოს მე-7 და მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი (2008-2016).

<sup>46</sup> ვალტერ შურღაია - საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერი, ხელისუფლების დამხობის შემდეგ იბრძოდა სამხედრო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს წინააღმდეგ. 1992 წლის ივნისში შეიჭრა თბილისში, ტელევიზიის შენობაში 200 შეიარაღებულ პირთან ერთად და დამარცხდა სახელისუფლებო ძალებთან.

<sup>47</sup> ეკა ხოფერიას თოქ-შოუ, TV იმედი, 17 დეკემბერი, 2013.

<sup>48</sup> ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქცია“, TV იმედი, 2007.

<sup>49</sup> მოსიძე, სოფო და სხვ., „ამხედრებულ მემბოხეთა საგა“ (გადაღებულია 2005 წელს), YouTube, 17 დეკემბერი, 2014, <https://bit.ly/3teBeBH> (ნანახია 30.04.2021).

<sup>50</sup> ანა ჭავჭავაძე - ჟურნალისტი.

<sup>51</sup> მოსიძე და სხვ., „ამხედრებულ მემბოხეთა საგა.“

<sup>52</sup> მარიკა აბაიშვილი - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს.

„მე მგონია, დადგა ის დრო, როცა ჩვენ გაერთიანებისკენ უნდა წავიდეთ. ამას, წინათ, მაგალითად, მოხდა ეგეთი ფაქტი: მხედრიონელებმა, გვარდიელებმა და ზვიადისტებმა ერთმანეთს ჩამოვართვით ხელი და შენდობა და პატიება ვთხოვეთ. მე მგონი უფრო ამისი დრო დადგა. [...] ეს ქვეყანა ასაშენებელია, ბევრი რამე არის საკეთებელი. მით უმეტეს ის ხალხი, ვისაც ეს მწარე გამოცდილება გაგვაჩნია, ერთად უნდა ვიყოთ (გიგა არველაძე)<sup>53</sup>.“<sup>54</sup>

„არა მარტო მე, არამედ ის ხალხი, ვინც იმ დროს ვიყავით, ერთ რამეზე შევთანხმდით: რომ ჩვენ დავამთავრეთ ის ეპოქა დაპირისპირებისა, რომელიც იყო 1990-იან წლებში“ (კოტე გაბაშვილი).<sup>55</sup>

„ერთობლივი ბრძოლა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ იოლად მოგუხადოთ ბოდიში ერთმანეთს, ვისაც მოსახდელი აქვს. ერთობლივი ბრძოლა განაპირობებს ერთმანეთის მიმართ ნდობის გაძლიერებას“ (მამუკა გიორგაძე)<sup>56</sup>.

„ეს იყო ტრაგიკული ფურცელი, რომელშიც მე პირადად მიმიძღვის წვლილი, დამნაშავე ვარ, მაგრამ გაუთავებლად ამაზე ლაპარაკი არაფერს არ მოგვიტანს“ (მამუკა არეშიძე).<sup>57</sup>

„ჩვენ ვიყავით ძალიან ახალგაზრდები, ძალიან გამოუცდელები, პირველად მოგვეცა რალაცის საშუალება და რალაც ზედმეტები მოვინდომეთ. რასაკვირველია, შევცდით. [...] მე ამას ძალიან განვიცდი და ძალიან დიდ ბოდიშს ვუხდი ყველას იმ წილისთვის, რა წილიც ჩემი არის ამ ყველაფერში, იმ ადამიანების ოჯახებს ძალიან დიდ ბოდიშს ვუხდი, ვისი შვილებიც დაიღუპნენ მაშინ, როდესაც იხვრიტებოდა მიტინგები, ეს არის ძალიან მძიმე ტვირთი. არ შეიძლება ერთი მხარე მუდმივად იდგეს დოინჯით და მუდმივად შენ ებოდიშებოდე. [...] ადამიანებს თუ უნდათ შერიგება, ისინი აუცილებლად იპოვიან ამისთვის მიზეზებს, და თუ არ უნდათ შერიგება, ამისთვისაც აუცილებლად მიზეზებს იპოვიან. მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ“ (მაკა რაზმაძე, ჟურნალისტი).<sup>58</sup>

მსხვერპლი ჯგუფიდან პატიების შესაძლებლობაზე იშვიათად თუ ვინმე საუბრობს. ისინი ლაპარაკობენ დამნაშავეთა პატიებაზე, რომლებმაც დანაშაული გაუაზრებლად, გამოუცდელობის გამო ჩაიდინეს:

„მხედრიონელებს შეიძლება ვუნოდოთ უდანაშაულო დამნაშავეები, რადგან მათ გაცნობიერებული არ ჰქონდათ მთელი ეს ამბავი. [...] ამ ორგანიზაციის წევრების უმრავლესობა იყვნენ ისტორიის არაცნობიერი აქტორები, მათ არ იცოდნენ ის როლი და მისია, რომლის შესრულებაც მათ დააკისრეს. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც არ იციან მათ მიერ შესრულებულ მოქმედებას რა შედეგი მოყვება მოვლენათა საერთო განვითარებაში. [...] რაც შეეხება ამ ადამიანებს, რომლებსაც ასეთი ბედი ხვდათ წილად, ჩემი აზრით, [...] ყველაზე კარგი ფორმა არის დიდსულოვანი მიტევება. როგორც ძე შეცდომილი, უძლები შვილი ბრუნდება საკუთარ მამასთან, ასევე უნდა დაბრუნდნენ ესენი თავის სამშობლოში და თავისმა სამ-

<sup>53</sup> გიგა არველაძე - „მხედრიონის“ წევრი და ერთ-ერთი ლიდერი.

<sup>54</sup> ეკა ხოფერიას თოქ-შოუ, TV იმედი, 17 დეკემბერი, 2013.

<sup>55</sup> ინტერვიუ კოტე გაბაშვილთან, იაგო ზვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

<sup>56</sup> ეკა ხოფერიას თოქ-შოუ, TV იმედი, 17 დეკემბერი, 2013.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> იქვე.

შობლომ უნდა გადააფაროს მას მიტევების კალთა,<sup>59</sup> აღნიშნავდა გიორგი გაჩეჩილაძე<sup>60</sup> 2005 წელს.

მაგრამ მსხვერპლი ჯგუფი მხოლოდ განდევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებით არ შემოიფარგლება. ამავე როლში აღმოჩნდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც, პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად, „ფრონტის ხაზზე“ მოხვდა, და ისინიც, ვინც ხან ერთი, ხან მეორე მხარის შურისძიების ობიექტად იქცეოდა ხოლმე.

თბილისის ომი – სამოქალაქო დაპირისპირების პირველი ეპიზოდი, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებულ იმედსა და უკეთესი მომავლის მოლოდინს პირველი მძიმე დარტყმა მიაყენა და „ბოლო მოულო ტრიუმფსა და ტრაგედიას“,<sup>61</sup> „ორიგინალური ომი იყო. [...] რუსთაველი რომ იწვოდა, საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრეები ავტობუსებით დედაქალაქს რომ ტოვებდნენ, რუსთაველი რომ დაინგრა და ადამიანები რომ დაილუპნენ, რამდენიმე მეტრის მოშორებით მაშინ დადიოდნენ ტროლეიბუსები, მალაზიები ღია იყო და ბავშვებს ასეირნებდნენ მუშტაიდსა და ვაკის პარკში. რუსთაველზე, ოპერაშიც კი, იქამდე გრძელდებოდა სეზონი, სანამ მთლად ოპერის წინ არ დაიწყო სროლა.“<sup>62</sup> 1992 წელს პრეზიდენტმა გამსახურდიამ, მომხრეების ნაწილთან ერთად, თბილისი კი დატოვა, მაგრამ ომი ამით არ დამთავრებულა. ახალი ხელისუფლება – ჯერ სამხედრო საბჭო (1992 წლის იანვარი-მარტი), შემდეგ კი სახელმწიფო საბჭო (1992 წლის მარტი-ოქტომბერი) – სასტიკად სჯიდა ნებისმიერ საპროტესტო გამოსვლას; მსხვერპლი მოჰყვა მშვიდობიანი მანიფესტაციების დახვრეტას დიდუბის მეტროსთან 3 იანვარს, როცა რუსთაველის გამზირზე ჯერ კიდევ ბრძოლა მიმდინარეობდა და 2 თებერვალს თამარ მეფის გამზირზე. უცხოელი ჟურნალისტების კითხვას, რატომ არ იძლეოდნენ მისი ჯარისკაცები მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგების გამართვის უფლებას, სახელმწიფო საბჭოს წევრი ჯაბა იოსელიანი, რომელსაც, ედუარდ შევარდნაძის სიტყვით, „პიესები ჰქონდა დაწერილი და, როდესაც ციხეში არ იჯდა, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა“,<sup>63</sup> ასე პასუხობდა: „ეს მიტინგები არ არის, ეს პროვოკაციებია. მათ არავითარი პოლიტიკური მოთხოვნა არ აქვთ, ათას სისულელეს ამბობენ, მაგალითად, კანონიერი ხელისუფლების დაბრუნება უნდათ.“<sup>64</sup>

ზვიად გამსახურდიას მომხრეები წინააღმდეგობას აგრძელებდნენ. მათმა მთავარმა ძალებმა თავი მოიყარა სამეგრელოში, ამიტომ სამეგრელოს 1992-1993 წლებში სამოქალაქო დაპირისპირების ყველაზე მძიმე ეპიზოდები დაუკავშირდა. მას შემდეგ, რაც საქართველოდან განდევნილი ზვიად გამსახურდია

<sup>59</sup> მოსიძე და სხვ., „ამხედრებულ მემოზობეთა საგა.“

<sup>60</sup> გიორგი გაჩეჩილაძე (1935-2021) - ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, 1989-1991 წლებში - რუსთაველის საზოგადოების ერთაშორის ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე, 1991-1992 წლებში - საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი ერთაშორის ურთიერთობის საკითხებში.

<sup>61</sup> ჯონსი, სტივენ. *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013), გვ. 48.

<sup>62</sup> გვახარია, გიორგი. გადაცემა „მხედრონი“ და გადამწვარი სოფელი,“ ციკლიდან „წითელი ზონა,“ რადიო თავისუფლება, 18 მაისი, 2012, <https://bit.ly/31C72or> (ნანახია 03.05.2020).

<sup>63</sup> ასე უპასუხა ე. შევარდნაძემ უცხოელი ჟურნალისტის კითხვას, იყო თუ არა მისი თანაშემწე ჯაბა იოსელიანი დემოკრატი (გვახარია, „მხედრონი“ და გადამწვარი სოფელი“).

<sup>64</sup> გვახარია, „მხედრონი“ და გადამწვარი სოფელი.“

გროზნოში ჩავიდა, ზუგდიდში მისი მომხრეების მასობრივი გამოსვლები და-  
ინყო. თბილისში სხვადასხვა ხმა ვრცელდებოდა, მათ შორის იმის შესახებ, რომ  
გამსახურდია ზუგდიდში იყო. სამხედრო საბჭომ იანვერის ბოლოს გადაწყვიტა  
გვარდიისა და „მხედრონი“ შეიარაღებული რაზმების გაგზავნა დასავლეთ სა-  
ქართველოში.<sup>65</sup>

„მე და დედა ვიყავით ქალაქის მეორე ბოლოში. ტრანსპორტი ჭირდა  
და ჩვენ მოვდიოდით ფეხით. უკვე მოსალამოვდა. [...] უცებ ვხედავ: მოდის  
მანქანა, [...] მსუბუქი მანქანისთვის ძალიან გადავსებული მეჩვენა ხალ-  
ხით, სრულიად რალაცა ისეთი ჩაბნელებული სამხედრო ფორმებით, თავ-  
ნაკრულები, [...] რალაცა იყო ამ მანქანაში ისეთი, რაც გვაშინებდა. ჩაიარა  
ამ მანქანამ, უკან საბარგული არის ახსნილი, იქაც კი რამდენიმე ადამი-  
ანი – აი, თვალწინ მიდგას დღესაც კი – რამდენიმე ადამიანი ერთად არის  
ამ საბარგულში, ფეხები აქეთ გადმოყოფილი, ნიღბები არ ეკეთათ, წვე-  
რებით, თავზე ნაკრული ბენდენებით და ავტომატებით, აი, კბილებამდე  
შეიარაღებული. [...] ეს მანქანა ძალიან ჩქარა გაგვეცალა და წავიდა სხვა  
მიმართულებით. აი, ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა. [...] სახლში როცა მი-  
ვედით, გავიგეთ მეზობლებისგან, რომ უკვე შემოვიდნენ, რომ ტელევიზი-  
აც უკვე გადმოსცემდა ამას. ყველაზე პირველი, რაც გავიგეთ – იმ დღეს,  
შემოსვლისას, დახვრიტეს ერთი ბიჭი კინოთეატრის წინ. მე მაშინ გავიგე  
თუ არა მისი სახელი, ვერ გეტყვით, შემდეგ გავიგე, ეს იყო გოჩა ჯიქია,  
პირველი მსხვერპლი მათი, დედის თვალწინ დახვრიტეს, [...] აბსოლუტუ-  
რად არაფრის გულისთვის,“ – ასე იხსენებს სამხედრო ნაწილების შესვლას  
ზუგდიდში ხათუნა დარასელია (ფილოლოგი, 48 წლის, ინტერვიუ ჩანერი-  
ლია 12.06.2020).

გოჩა ჯიქიას დახვრეტა შემდგომში განვითარებული ამბების სიმბოლოდ იქ-  
ცა. „ჩვენ ვიცით მხოლოდ და მხოლოდ სუფთა ომი და იმ ბინძურ ომს, რომე-  
ლიც ყოფილმა პრეზიდენტმა ანარმოა, არ ავყვებით,“<sup>66</sup> აცხადებდა გია ყარყა-  
რაშვილი, ეროვნული გვარდიის მაშინდელი სარდალი. მაგრამ ომი, ცხადია, არ  
იყო „სუფთა.“ გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული რაზმები თავს ესხმოდნენ  
გვარდიელებს, პოლიციის შენობებს, რასაც ახალი ხელისუფლების სამხედრო  
ფორმირებათა მხრიდან დაუნდობელი ანგარიშსწორება მოჰყვებოდა. ამბობ-  
დნენ, თითქოს გამსახურდიას მხარდამჭერთა გვერდით სამეგრელოში ჩეჩნებიც  
იბრძოდნენ, რაც ისეთივე ჭორი იყო, როგორც გამსახურდიას ზუგდიდში ჩას-  
ვლა 1992 წლის გაზაფხულზე, მაგრამ ეს ხმები ვითარებას დაბავდა და მონი-  
ნალმდევე მხარეებს ერთმანეთის განადგურების სურვილს უჩენდა. 15 მარტს  
გია ყარყარაშვილი, რომელიც მანამდე თბილისში გამოიძახეს, კვლავ ჩავიდა  
სამეგრელოში (რუხში), ვითარების გასარკვევად და საკუთარი თვალთი იხილა  
„სუფთა ომი.“ ჩაფრენიდან რამდენიმე წუთში მას და მის თანმხლებ პირებს –  
თორმეტ კაცს – ალყა შემოარტყეს, მძიმე ბრძოლის შემდეგ ტყვედ აიყვანეს და  
ზუგდიდში წაიყვანეს. მოგვიანებით გია ყარყარაშვილი იგონებდა:

„ზუგდიდში სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. გაირკვა, რომ არც ჩეჩნები  
იყვნენ იქ, არც ქუთაისის ბატალიონის წევრები და არც მისი მეთაური მო-

<sup>65</sup> ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, გვ. 209.

<sup>66</sup> გვაზარია, „მხედრონი“ და გადამწვარი სოფელი.“



უკლავს ვინმეს. სამაგიეროდ, ლეგენდებს მიყვებოდნენ ტყიბულის ბატალიონის რამდენიმე წევრის ბოროტმოქმედებასა და მხედრონელებზე... ვხედავდი შეურაცხყოფილ, სასტიკად დასჯილ, ბანდების თარეშისგან გაბოროტებულ სამეგრელოს მოსახლეობას და მათი კარგად მესმოდა. ჩემი თანამებრძოლნი საპყრობილეში იყვნენ. [...] ტყვედ ჩავარდნილი მზად ხარ წამებისთვის, შეურაცხყოფისთვის, დაცინვისთვის, მაგრამ როდესაც ერთ-ერთი დალუპულის, გოჩა ჯიქიას სახლში მიმიყვანეს, ისეთი დარტყმა მივიღე, ნამდვილად არ ველოდი. ეს სინდისის ქენჯნა იყო. ვაჟკაცობა არ გყოფნის, როდესაც შავებში ჩაცმულ დედას უყურებ. [...] მაშინ პირველად ჩავხედე თვალებში მონინალმდევე მხარის ტანჯვას.<sup>67</sup>

1992 წლის აგვისტოში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში. მისი მიმდინარეობა ბევრად გაართულა სამოქალაქო დაპირისპირებამ დასავლეთ საქართველოში. 1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია მართლაც ჩავიდა ზუგდიდში და დევნილი მთავრობის აღდგენა გამოაცხადა. ჩვენი რესპონდენტი, ხათუნა დარასელია იგონებს, რომ მანამდეც ხშირად გავარდნილა ხმა ზუგდიდში გამსახურდიას ჩამოსვლის შესახებ

„და ხალხს მეტ-ნაკლებად მაინც არ სჯეროდა. იმ დღეს [...] ყველამ ერთბაშად დაიჯერა, წამებში გადაივსო ზუგდიდის მოედანი იმ 24 სექტემბერს. [...] ეს იყო სპონტანური, უეცარი შეკრება ხალხის. მეორე დღისთვის დააანონსეს ისევ მიტინგი, გავედი ჩვენ ისევ და ბევრად უფრო მეტი ხალხი იყო. [...] იმ დღეს იყო ძალიან ბევრი სროლა ირგვლივ, სიხარულის ნიშნად. [...] დააანონსეს, რომ თითქმის ყოველდღე იქნებოდა რაღაც საინფორმაციო შეხვედრები, მაგრამ პირველი დღე იყო ყველაზე შთაბეჭქდავი.“

1993 წლის ოქტომბერში სამოქალაქო დაპირისპირება დასავლეთ საქართველოში მთელი ძალით გაჩაღდა. გამსახურდიას მომხრე ძალებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქის და სატრანსპორტო კვანძის დაკავება შეძლეს, თუმცა ცოტა ხნით. ოქტომბრის ბოლოს ზვიად გამსახურდიამ რამდენიმე მომხრესთან ერთად სამეგრელოს მთიან სოფლებს შეაფარა თავი. 6 ნოემბერს ზუგდიდში კვლავ სამთავრობო ჯარები შევიდნენ და გამსახურდიას ერთგულებისთვის მოსახლეობის დასჯა-ანოკება გააგრძელეს. „აფხაზეთის ომში ჩვენ ბადრი ზარანდიასთან ერთად ვიბრძოდით, შემდეგ კი, დასავლეთის ომებში, ისევ ერთმანეთის პირისპირ, ჩვენდა სამარცხვინოდ, [...] თითოეული ქართველის სამარცხვინოდ. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ტრაგიკული და სამარცხვინო ლაქა სამოქალაქო ომი, როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვესროდით,<sup>68</sup> აცხადებდა 2005 წელს დოდო გუგუშაშვილი,<sup>69</sup> რომლის სახელი ათეული წლების შემდეგაც მძიმედ გასახსენებელია სამეგრელოს მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით – სოფელ დარჩელის ამბებთან დაკავშირებით, სადაც 1993 წლის 16 ნოემბერს, ერთ ღამეში, „მხედრონმა“ 27 საცხოვრებელი სახლი გადაწვა. ამას, თავის მხრივ, წინ უძღოდა მხედრონელ-

<sup>67</sup> ბურჭულაძე, ნინო. „1992-ის სუსხიანი გაზაფხული“, კვირის პალიტრა, 20 თებერვალი, 2012, <https://bit.ly/3f3TNQB> (ნანახია 04.05.2021).

<sup>68</sup> მოსიძე და სხვ., „მხედრებულ მემოზობეთა საგა.“

<sup>69</sup> დოდო გუგუშაშვილი – „მხედრონის“ ერთ-ერთი მეთაური, აფხაზეთის ომის მონაწილე, მისი სახელი დაკავშირებულია დარჩელისა და ახალკახათის სადამსჯელო ოპერაციებთან. 1995 წელს ბრალი წაუყენეს დარჩელის ამბების გამო და ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს; გაათავისუფლეს ხუთი წლის შემდეგ, ეროვნული შერიგების პროცესის დროს.

თა მანქანის დანვა და ორი მათგანის დაღუპვა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ტყეს შეაფარა თავი და იქიდან ადევნებდა თვალს საკუთარი სახლების გადანვასა და სოფელში მიმდინარე ბრძოლებს. „1993 წლის 16 ნოემბერს ჩემი სახლის წინ ზვიადისტებმა ორი მხედრონელი მოკლეს. [...] დოდო გუგუშაშვილი წინ მოუძლოდა. [...] სახლი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი 'ბე-ტე-ერ-ებით' მოადგნენ, ყუმბარმტყორცნები დაუშინეს,“ იგონებდა დარჩეული ბოჩო კირცხაია 2007 წელს; „მხედრონმა' ჩემი სახლი ცეცხლს მისცა, მანქანა წამართვა, ბიბლიოთეკა დამინვა და გამძარცვა,“<sup>70</sup> ამბობდა მისი თანასოფელი ზურაბ ჯიქია. დოდო გუგუშაშვილის მტკიცებით, სამეგრელოში მხედრონელებს არც ერთი მშვიდობიანი მოქალაქე არ მოუკლავთ, იყო მკვლელობის ერთი შემთხვევა, მაგრამ მისი თქმით, ეს ახალგაზრდა კაცი გვარდიელებმა მოკლეს, შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას დამქაშები კი ხალხს თავს ესხმოდნენ „მხედრონის“ სახელით.<sup>71</sup> მოსახლეობისთვის სულ ერთი იყო, ვინ აწიოკებდა მათ: „ვინ არიან ესენი, მხეცები არიან, ქართველები ვართო, რის ქართველები არიან ესენი!“ მათ კარგად ახსოვთ, როგორ მოჰყვა ერთ-ერთ ძარცვას ორი მხედრონელის მოკვლა: „დააყაჩაღეს დარჩელის მოსახლეობა და იქიდან მოდიოდა ორი მანქანა ნაძარცვით. ვითომ ზვიადისტები თუ ვილაცა, ვინც ამათ ხვდებოდა, დახვდნენ აქ და დანვეს ორი კაცი, მხედრონელები, ვინც დარჩელში დააყაჩაღეს ხალხი და მიდიოდნენ იქით. მერე იქიდან წამოვიდა კოლონა. [...] მეორე დილით რომ მოვედი, ვნახე სასწაული, მარტო ბუხარი რომ ჩანდა“; „ძარცვა მოხდა. მერე, შურისძიების მიზნით – რამდენი ხანი შეიძლებოდა, ამას რომ უყურო – არ ვიცი, ვინ იყო, ჩახოცეს ორი მხედრონელი, ეს იყო დამსჯელი ოპერაცია. რაც ქონება იყო, გაიტანეს, რაც კი მოენონათ, დანარჩენი კიდე გადანვეს,“<sup>72</sup> ამბობენ დარჩელელები. მათ ახსოვთ დოდო გუგუშაშვილიც, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ლეგენდაა. სოფლის მაცხოვრებლებთან ერთად, დარბევის მსხვერპლი ხდებოდა მათთან თავშეფარებული, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა; თითქოს სამშვიდობოს გამოსულები, ისინი საომარი ზონიდან რისკის ფასად გამოტანილ ქონების ნარჩენებს კარგავდნენ, ხოლო მათ სიცოცხლეს ახლა უკვე თანამოძმეების მხრიდან ემუქრებოდა საფრთხე.

დარჩელელებისთვის და სხვებისთვის, ვინც სამოქალაქო დაპირისპირების სიმძიმე საკუთარ თავზე იწვნია, კიდეც ერთ დარტყმად, უსამართლობად და ტკივილად იქცა დამნაშავეთა მხოლოდ სიმბოლური დასჯა და შემდგომში მათდამი ხელისუფლების დამოკიდებულება: „ფაქტია, ჯაბა იოსელიანი პანთეონშია და, იმედია, გუგუშაშვილს მთანმინდაზე არ აიტანენ,“<sup>73</sup> ამბობენ ისინი.

რამდენიმე ადამიანმა თვითგამოხატვის უკიდურეს ფორმას მიმართა, რაც შიდაეროვნული დაპირისპირების ტრავმულ გავლენაზე მიუთითებს: 1991 წლის სექტემბერში, ჯერ კიდევ თბილისის ომის დაწყებამდე, ახალგაზრდა ექიმმა გია აბესაძემ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ბარიკადებით გაყოფილ რუსთა-

<sup>70</sup> ფაუჯა, ნანა. „მხედრონის' მიერ გადამწვარი სახლების პატრონები კომპენსაციას დღემდე ელოდებიან,“ *Humanrights.ge*, 10 ოქტომბერი, 2007, <https://bit.ly/3taxVLM> (ნანახია 12.03.2020).

<sup>71</sup> გვახარია, „მხედრონი' და გადამწვარი სოფელი.“

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> იქვე.

ველის გამზირზე<sup>74</sup> თავი დაინვა, სამოქალაქო დაპირისპირებისადმი პროტესტის ნიშნად. „თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას – ბოლო,“ – ეწერა გია აბესაძის მიერ დატოვებულ წერილში.<sup>75</sup> უკვე თბილისის ომის მიმდინარეობისას, მებრძოლმა ვახო ამირეჯიბმა პარლამენტის შენობაში მოიკლა თავი. მან ვერ შეძლო მიეღო ის რეალობა, რომელშიც იგი იბრძოდა ერთ მხარეს, სადაც „თავისი გული და რწმენა ეძახდა,“ ხოლო მეორე მხარეს მისი უახლოესი მეგობრები იდგნენ.<sup>76</sup> ამ ადამიანებისათვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღების მიზანი გახლეჩილი საზოგადოების გამოფხიზლება, ეროვნული კატასტროფის თავიდან არიდება, ძმათამკვლელი ომის მძიმე ცოდვის გამოსყიდვა იყო.

როგორ ჩამოყალიბდა სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერება? როგორც ასტრიდ ერლი აღნიშნავს, ყველა კულტურაში არსებობს ე.წ. პრემედიაციური სქემები/პრეფიგურაციები – სხვადასხვა მედიუმებში (ლიტერატურული ტექსტები, ხელოვნება, ფოტო, ფილმი, ტელევიზია, ინტერნეტი და სხვა) ასახული ადრინდელი გამოცდილება, რომლებიც საფუძვლად ედება მოგვიანო მოვლენების ხედვას, სახელდებას და თხრობას.<sup>77</sup> წარსულის დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი მოვლენები მუდმივად და ხელახლა არიან რეპრეზენტირებული - ათწლეულებისა და საუკუნეების განმავლობაში – სხვადასხვა მედიაში: საგაზეთო სტატიებში, ფოტოებში, დღიურებში, ისტორიოგრაფიაში, რომანებში, ფილმებში და ა.შ. ჩვენი წარმოდგენა წარსულის რომელიმე მოვლენის შესახებ სწორედ ამ მედიაკონსტრუქციებს – ნარატივებს და იმიჯებს – ემყარება. მათი მუდმივი გამოყენება განამტკიცებს კულტურულ მენსიერებას, ქმნის და სტაბილურს ხდის წარსულის გარკვეულ ნარატივებს და ხატებს.<sup>78</sup> ა. ასმანმა პრეფიგურაციის ცნება კულტურული ნიმუშის ცნებას დაუკავშირა. კულტურული ნიმუშები (იგივე ზემოთ ნახსენები მედიაფორმატები) მუშაობენ როგორც ერთგვარი მოდელები იმიჯების კონსტრუირების, მათი მიღებისა და გადაცემისათვის. ძველი ისტორიული მოვლენები იქცევა ლინზებად, რომლებშიც გარდატყდება და ყალიბდება ახალი მოვლენები, ხდება მათი გაზიარება ჯგუფის მიერ. ისტორიულმა პრეფიგურაციამ შეიძლება შეასრულოს როგორც ახალი ტრავმისაგან დამცავი ფუნქცია – ძველ ტრავმაზე ფოკუსირების გზით, ასევე შეიძლება გააძლიეროს იგი.<sup>79</sup>

ჯერ კიდევ მანამ, სანამ თბილისის ომი დაიწყებოდა, სამოქალაქო დაპირისპირებამ გამოაცოცხლა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მძიმე ეპიზოდის

<sup>74</sup> გია აბესაძისადმი მიძღვნილ ფილმებში გამოყენებული დოკუმენტური კადრები ასახავს დაპირისპირების სიმწვავეს და მასშტაბურობას. იხ. „ჟურნალისტის დღიური. ექიმი გია აბესაძე“ (გადაღებულია 2009 წელს), *YouTube*, 12 ნოემბერი, 2018, <https://bit.ly/3JLNSOa>; ფიფია, გოჩა. „მწვერვალი“ (გადაღებულია 2002 წელს), *YouTube*, 15 მარტი, 2018, <https://bit.ly/3JOOoLj> (ნანახია 24.03.2021).

<sup>75</sup> „ჟურნალისტის დღიური. ექიმი გია აბესაძე.“

<sup>76</sup> ინტერვიუ გიორგი რურუასთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

<sup>77</sup> პრემედიაციის ცნება შემოთავაზებულია 1997 წელს მედიის ისტორიკოს რიჩარდ გრუზინისა და დევიდ ბოლტერის მიერ და აღნიშნავს ადრინდელი მედიუმების გავლენას გვიანდელ მედიუმებზე. მათი სიტყვით, არ არსებობს წარსული მედიაციის გარეშე. იხ. Assmann, “Impact and Resonance,” p. 47.

<sup>78</sup> Erll, Astrid. “Literature, Film, and the Mediality of Cultural Memory,” *Media and Cultural Memory. An International and Interdisciplinary Handbook*, eds. Astrid Erll and Ansgar Nünning (Berlin, New York: Walter de Gruyter, 2008), p. 392, 394.

<sup>79</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 67.

– ბაზალეთის ბრძოლის<sup>80</sup> – მეხსიერება, სადაც ერთმანეთის პირისპირ ქართველები იდგნენ.

„სიზმარში ვნახე სააკაძე –  
შავნაბადაზე ასულიყო,  
მუხლი მოედრიკა მაცხოვრისთვის,  
ლოცვად მამულისთვის დამდგარიყო.

[...]

ბაზალეთს ეცვა შავი კაბა,  
ქართველთა ხიდი ჩამტყდარიყო,  
ვაი, დიდგორი და ბასიანი  
მტრის საამებლად ნამხდარიყო...

[...]

თავზარდაცემულმა გავიღვიძე,  
ხორცი ტკივილისგან მენგრეოდა,  
თითქოს შავნაბადას ფერდობიდან,  
ისევ ბაზალეთი თენდებოდა...“<sup>81</sup>

ბაზალეთის ბრძოლა იმ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომელიც სულ ახსოვთ და რომლის გახსენება არასდროს უნდათ, როგორც წარსულის სამარცხვინო ფურცლისა. ბაზალეთის მიუღებლობისა და გიორგი სააკაძის<sup>82</sup> სახეში გმირობა-ლალატის საწყისების ტრაგიკული შერწყმა თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი შოთა ნიშნიანიძის ლექსში „საკაძის სამი ცხენი“:

„იქ ბაზალეთი ღვთისმშობელის ცრემლივით ბზინავს...  
იქ დგანან ძმები ქართველები...  
– აღმიდგეს ვინა!..

ფრესკა-ხატებზე მოქუფრულა დიდი სეხნია, –  
ხმალიმც ვადაში გადაგტეხია!..

კასპში კი ძეგლი – უკულმართი დროის დიდება  
ვეებერთელა (არა მახვილს) ჯავრს ეზიდება.

<sup>80</sup> 1626 წელს ბაზალეთის ტბასთან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I და გიორგი სააკაძის მომხრეთა ჯარები. ბრძოლაში მეფის ჯარმა გაიმარჯვა, სააკაძეს კი ქვეყნიდან გადახვეწა მოუხდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4 (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), გვ. 150). ბრძოლა, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა, ძმათა შორის დაპირისპირების სიმბოლოდ იქცა და საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლად არის მიჩნეული.

<sup>81</sup> მღვდლიაშვილი, თინათინ. „სიზმარში ვნახე სააკაძე“ (დაწერილია 1990 წელს), *ქართული ლიტერატურა*, <https://bit.ly/3qYEWwu> (ნანახია 23.01.2021).

<sup>82</sup> როგორც საისტორიო ლიტერატურაში, ასევე მხატვრულ ტექსტებში XVII საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, „დიდ მოურავად“ წოდებული გიორგი სააკაძე ხან სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირად, ხან კი ავანტიურისტად და პირად კეთილდღეობაზე ორიენტირებულ მხედართმთავრად არის წარმოდგენილი (იხ. ფურცელაძე, ანტონ. *ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო* (ტფილისი: 1911); ქვარიანი, სიმონ. *ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში: გიორგი სააკაძე და მისი დრო* (ქუთაისი: რაჭდენ დათეშიძის გამოცემა, სტამბა იოსებ მ. ხელაძისა, 1911); ჯანაშვილი, მოსე. *გიორგი სააკაძე და მისი დრო* (ტფილისი: არ. კერესელიძის სტამბა, 1914); ჯამბურია, გივი. *გიორგი სააკაძე* (თბილისი: ნაკადული, 1964); გვრიტიშვილი, დავით. *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.)*, ტ. 2 (თბილისი: 1965); ღვინჯილია, ჯანსუღ. *გიორგი სააკაძის პიროვნება* (თბილისი: სული აღმაშენებელი, 1983); ჯამბურია, გივი და სხვ. „დიდი იყო მოურავი? გიორგი სააკაძის ორი სახე,“ *ისტორიანი*, N 3 (თბილისი: მარტი, 2011), გვ. 59-67.

ელვა, გრიგალი – დაკუნთული ჯგრო მუხის რკოთა  
 ცდილობს ამოხტეს ბრინჯაოდან, ბედიდან, დროდან,  
 და, თუმცა, რიხი შეჰკორძვია ტანს ქვიტკირივით,  
 ლომის ბუხუნში

ჩუმად ისმის

კაცის ტირილიც...<sup>83</sup>

უკვე 1992 წელს, სამოქალაქო დაპირისპირების დროს, არის დაწერილი თინათინ მღვდლიაშვილის ლექსი „დადეთ იარაღი, ბიჭებო,“ რომელშიც ისევ ბაზალეთის თემა ბრუნდება: „ძმისგან დახვრეტილო, / ძმისგან დაჩეხილო, / ჩემო ამერო და იმერო! / ქართლის ცხოვრებიდან კენესის ბაზალეთი, / ქართველს არ ესროლოთ, ბიჭებო!“<sup>84</sup>

თბილისის ომის ბოლო დოკუმენტური კადრები, რომლებიც ჟურნალისტ ჯიმშერ ბედიანაშვილის არქივმა შემოინახა, ალბათ, ყველაზე ნათლად გამოხატავს ვითარებას, როცა „გამარჯვებული“ მხარე უმწეოდ ცდილობს, საკუთარ თავს დაუმტკიცოს გამარჯვება: პარლამენტის შენობიდან „გამარჯვებულ“ ამბოხებულთა რაზმი გამოდის. მხედრიონელი გიგა არველაძე, დაფლეთილი დროშით ხელში, ამბობს: „ვისიო, გავათავისუფლეთ საქართველო!“ ისმის გადაძახილი, სროლის ხმა, ახალგაზრდები ავტომატს ჰაერში ცლიან, თუმცა მათ დაბნეულ და ნირნამხდარ სახეებზე ნაკლებად იკითხება გამარჯვების სიხარული. კადრში ნაომარი, დანგრეული რუსთაველის გამზირი, ცეცხლის ალში გახვეული პარლამენტის შენობა და დახვრეტილი ქაშუეთის ტაძარი ჩანს, რამდენიმე ადამიანი მოძრაობს და ვილაცის ხმამაღალი მიმართვა ცივ წყალს ასხამს გამარჯვების ილუზიას: „უნდა დამალოთ, ეს ომი რომ მოიგეთ... არც უნდა მივულოცოთ ერთმანეთს... გიხარია ქართველების დახოცვა?... სამარცხვინო ომი მოიგეთ.“ და ამ ხმაურში, მცირე პაუზის შემდეგ, ისმის ჩუმად ნათქვამი პასუხი: „ვიცი, რომ სამარცხვინო ომია...“<sup>85</sup>

სამარცხვინო ომის სტატუსი თბილისის ცენტრში მიმდინარე ბრძოლებმა ხელისუფლების მომხრეებსა და მონინალმდეგეებს შორის, რომელიც შემდგომ სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა, იმთავითვე შეიძინა და არც აღარასდროს დაუკარგავს. მაგრამ ბაზალეთის ბრძოლის კულტურული ნიმუში ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა ორივე დაპირისპირებული მხარისათვის: გადატრიალების მომხრეებს არ სურდათ თავიანთი ქმედების დაკავშირება ისტორიის ამ არასასურველ ფურცელთან, დამხობილი ხელისუფლების მომხრეები კი ამ ომს სამოქალაქოდ კი არა, რუსეთის აგრესიის გაგრძელებად მიიჩნევენ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. „ერთი დიდი ტყუილი, რაც ამდენი ხანი ისმის, არის ის, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. ამას ჰქონდა, რა თქმა უნდა, სამოქალაქო ომის იერ-სახე, მაგრამ ამის არსი არ იყო სამოქალაქო ომი,“<sup>86</sup> აღნიშნავდა მა-

<sup>83</sup> ნიშნინიძე, შოთა. „საკაკის სამი ცხენი,“ შოთა ნიშნინიძე, *ერთტომეული* (თბილისი: მერანი, 1979), გვ. 178-179.

<sup>84</sup> მღვდლიაშვილი, თინათინ. *100 ლექსი* (თბილისი: ინტელექტი, 2008).

<sup>85</sup> თბილისის ომის დოკუმენტური კადრები ჯიმშერ ბედიანაშვილის არქივიდან, *YouTube*, 11 მაისი, 2020, <https://bit.ly/3taaLF1> (ნანახია 11.12.2020).

<sup>86</sup> გვახარია, გიორგი. „ზვიად გამსახურდია უდანაშაულოა,“ *რადიო თავისუფლება*, 13 ივლისი, 2004. <https://bit.ly/3r0kJpV> (ნანახია 19.04.2021).

რიკა აბაიშვილი 2004 წელს, როცა გადაწყდა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა. ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ასევე მიიჩნევდა: „საუბარი იყო სამოქალაქო ომზე. მე გვაკეთებ ასეთ შედარებას: როცა 1921 წლის 25 თებერვალს შულავერიდან თბილისში გადმოვიდა მე-11-ე არმია, ამ არმიის უდიდესი ნაწილი იყო ქართველებით დაკომპლექტებული. იყო თუ არა ეს სამოქალაქო ომი საქართველოში?“<sup>87</sup> „ეს არ იყო სამოქალაქო ომი. დღეს ხდება – მთელი 22 წელიწადია – ამ ძალიან მძიმე პროცესის შეფუთვა ტერმინოლოგიურად. ეს არ იყო სამოქალაქო ომი, ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების დამხობა რუსეთის მიერ და გამოყენებული მასში ქართველთა ნაწილი“<sup>88</sup> (ტარიელ ფუტკარაძე). თუმცა ბაზალეთის თემა ათწლეულების შემდეგაც გაისმის, როგორც ამ ომის შეფასება: „ეს ქართველი ერისთვის იგივე ბაზალეთის ომი იყო,“<sup>89</sup> ომის დამთავრებიდან 22 წლის შემდეგ აცხადებდა გია ბერძენიძე, შსს ყოფილი თანამშრომელი.

ერთი სიტყვით, თბილისის ომსა და მომდევნო სამოქალაქო დაპირისპირებას არ მოეძებნა შესაბამისი პრეფიგურაცია ანუ, ა. ასმანის სიტყვით რომ ვთქვათ, ძველი სტიმული რეზონანსის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური ისტორიული ნიმუშიც შეიძლება გამოყენებული იყოს მოვლენის მნიშვნელობის ხაზგასმისა და მისკენ საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად,<sup>90</sup> ჩვენი აზრით, ბაზალეთის ბრძოლა არ აღმოჩნდა ის კულტურული ნიმუში, რომელიც ახალი ტრავმის განსაზღვრას და ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. მან ვერ შეასრულა *სტიმულის* როლი. ამიტომ სამოქალაქო დაპირისპირებამ, ვერ იპოვა რა საყრდენი სტიმული, დაანგრია *რეზონანსის საცავი* და შექმნა *ახალი ცხელი ნერტილი*,<sup>91</sup> რომლის გადამუშავებას ხანგრძლივი დრო ჭირდება. იგი კოლექტიურ მემსიერებაში დაილექა როგორც ნეგატიური სქემა, რომელმაც გააძლიერა ამ მოვლენის ტრავმული გავლენა.

გამსახურდიას ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულმა ძალამ თავდაპირველად სცადა საკუთარი ნარატივის შექმნა (პროვინციული ფაშიზმი და მასთან დაპირისპირებული დემოკრატიული ძალები<sup>92</sup>) და დანერგვა, მის ხელში იყო ყველა რესურსი (პოლიტიკური, ფინანსური, პროპაგანდისტული), მორალურის გარდა – ისინი თავად იყვნენ ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის შემოქმედნი. პოლიტიკური ელიტა და მასთან დაკავშირებული ინტელექტუალური ძალები ვერ იქცნენ იმ *ტრავმის მატარებელ ჯგუფებ(ებ)ად (carrier groups)*, რომლებსაც, ჯ. ალექსანდერის სიტყვით, აქვთ მნიშვნელობათა მინიჭებისათვის საჭირო უნარი და რომლებიც, ჩვეულებრივ, აყალიბებენ და საზოგადოებას სთავაზობენ მოვლენის სიმბოლურ რეპრეზენტაციებს, მიზეზებისა და პასუხისმგებლობის საკითხის საკუთარ ხედვას. ჩვენს შემთხვევაში, ვერც ახალმა პოლიტიკურმა ელიტამ, ვერც რელიგიურმა ლიდე-

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> ეკა ხოფერიას თოქ-შოუ, TV იმედი, 17 დეკემბერი, 2013.

<sup>89</sup> „22 წელი თბილისის ომიდან“, პირველი არხი, 6 იანვარი, 2014.

<sup>90</sup> Assmann, Aleida. “To Remember or to Forget: Which Way Out of a Shared History of Violence?” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 65.

<sup>91</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 47.

<sup>92</sup> ვაჩნაძე, ნათელა და ნინო თომაძე. *დამარცხებული საქართველო (1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები თბილისში)*, ნაწილი I (თბილისი: 2018), გვ. 10, 418, 449.

რებმა და ვერც გამსახურდიას მომხრეებმა ვერ შეძლეს ამ როლის შესრულება, მოვლენისთვის მნიშვნელობის მინიჭება და ტრავმის ჩამოყალიბებისათვის საჭირო დამაჯერებელი ნარატივის შექმნა, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვებზე: რა მოხდა? ვინ არის მსხვერპლი? როგორია მსხვერპლისა და დანარჩენი საზოგადოების დამოკიდებულება? ვინ არის დამნაშავე/პასუხისმგებელი? მოკლედ, ვერ შეიქმნა კულტურული კლასიფიკაციის ჩარჩო, რაც არ გულისხმობს მხოლოდ ახალი ნარატივის შექმნას, არამედ წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ პროცესს, რომლის შედეგად საზოგადოებამ თავი ტრავმირებულად უნდა იგრძნოს.<sup>93</sup> მმართველი ელიტის მცდელობა, შეექმნა სასურველი ნარატივი, წარმატებული არ აღმოჩნდა. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ომის მონაწილე ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფების ჩაკეტილი/ჭერმეტულად დალუქული ნარატივები.<sup>94</sup>

სამოქალაქო დაპირისპირების გაზიარებული ნარატივისა და მასზე დაფუძნებული მეხსიერების ჩამოყალიბებლობაში თავისი როლი შეასრულა 90-იანებში შექმნილმა რთულმა ვითარებამაც (გამარჯვების ტრავმა, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, დევნილთა ტალღები), დროის მოკლე მონაკვეთში განვითარებული მძიმე მოვლენები ერთმანეთს დაეშრეებოდა, გადაფარავდა და ნაკლებად ტოვებდა ადგილს მათი გააზრებისა და რეპრეზენტაციისათვის.

ზოგი მკვლევრის აზრით, დაპირისპირებული ჯგუფების შერიგებისა და რეინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დავინყების უნარი. რამდენად იმუშავა დავინყებამ გავლილი 30 წლის განმავლობაში? როგორც ა. ასმანის მიერ დამოწმებული კ. მეიერისა და ა. მარგალიტის ნაშრომებიდან ჩანს, რომლებშიც ისრაელისა და გერმანიის მაგალითებია განხილული,<sup>95</sup> აქ მიზანმიმართული დავინყება იგულისხმება, რომელიც, პ. კონერტონის მიხედვით, სახელმწიფოს მიერაა ინიცირებული, წარმოჩენილია როგორც საერთო ინტერესი და აღიარებულია საზოგადოების მიერ. იგი მიზნად ისახავს წარსულის ცუდი მომენტების დამახსოვრებასთან დაკავშირებული რევანშის თავიდან აცილებას.<sup>96</sup> ასმანს მოჰყავს ორი საინტერესო ტერმინი – *კომუნიკაციური სიჩუმე* (ჰერმან ლიუბე) და *მეხსიერების მოთავსება მაცივარში* (ტონი ჯუდი): გარკვეული პერიოდის (როგორც წესი, ორი-სამი ათწლეულის) განმავლობაში, დავინყება საზოგადოებას აძლევს სულის მოთქმისა და სამომავლო ამოცანებისკენ ძალისხმევის მიმართვის შესაძლებლობას, შემდეგ შეიძლება მას კვლავ დამახსოვრების პრაქტიკა ჩაენაცვლოს;<sup>97</sup> თუმცა გახსენება ხდება აქცენტის გადანაცვლებით დამნაშავიდან, რომლისკენაც რევანშის ან დასჯის სურვილი იყო მიმართული, მსხვერპლზე, რომლის აღიარება ეთიკურ ვალდებულებად განიხილება. მას უნდა მიეცეს განცდილზე ლაპარაკის შესაძლებლობა. მტკივნეული წარსული საჯაროდ მისაწვდომი უნდა გახდეს და, ამ გზით, დაიძლიოს მეხსიერების ტვირთი.<sup>98</sup>

<sup>93</sup> Alexander, "Toward a Theory," p. 11-12.

<sup>94</sup> De Waal, Thomas. *Black Garden. Armenia and Azerbaijan through Peace and War* (New York, London: New York University Press, 2003), p.125; Wertsch, James V. "Deep Memory and Narrative Templates: Conservative Forces in Collective Memory," *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 181.

<sup>95</sup> Assmann, "To Remember or to Forget," p. 53-71.

<sup>96</sup> Connerton, Paul. "Seven Types of Forgetting," *Memory Studies* 1, no. 59 (2008): p. 61.

<sup>97</sup> Assmann, "To Remember or to Forget," p. 58.

<sup>98</sup> იქვე, გვ. 61-62.

თბილისის ომსა და სამოქალაქო დაპირისპირებას არ მოჰყოლია მიზანმიმართული დავინწყება ან კომუნიკაციური სიჩუმე, როგორც სახელმწიფოს მიერ გააზრებული და გატარებული პოლიტიკა. იარაღის ძალით დამხობილი ხელისუფლების მომხრეები, მიუხედავად რეპრესიებისა, გაჩუმებას და, მით უფრო, დავინწყებას არ აპირებდნენ და არც დღეს არიან ორიენტირებული დავინწყებასა და შერიგებაზე. ისინი ახლაც მოითხოვენ პუტჩისტების დამნაშავეებად აღიარებას და დღეს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მიზეზად სწორედ მოვლენის შეუფასებლობას და დამნაშავეთა დაუსჯელობას მიიჩნევენ. სიჩუმისა და დავინწყებისაკენ უფრო მეორე მხარეა მიდრეკილი, რომლის წარმომადგენელთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს საკუთარ შეცდომებს, ნაწილი სამოქალაქო დაპირისპირებას გამსახურდიას არასწორი პოლიტიკის შედეგად თვლის, სხვები კი აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო დაპირისპირების დაშვება არ შეიძლებოდა, დეტალებზე საუბარს გაურბიან, იმ მოტივით, რომ მოვლენათა მონაწილენი ჯერ ცოცხლები არიან და ეს მხოლოდ გააღვივებს წინააღმდეგობებს. მოკლედ, სამოქალაქო დაპირისპირების გახსენებას „გამარჯვებული“ მხარე მეტად გაურბის, „დამარცხებული“ კი ერთგვარ ზნეობრივ უპირატესობას გრძნობს – დამარცხებულია, მაგრამ მართალი.

1993 წელს ხელისუფლებამ, რომელიც სათავეში გადატრიალების გზით მოვიდა, სცადა 9 აპრილის აქცენტრირებით დაეწყო ლაპარაკი სამოქალაქო თანხმობაზე. 8 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ.“<sup>99</sup> თუმცა სამოქალაქო თანხმობაში კონკრეტული შინაარსი ჩადებული არ ყოფილა.

1998 წელს, პარლამენტის დადგენილებით, ეროვნული თანხმობის მიღწევისა და ექსპრეზიდენტის მხარდამჭერთა შემორიგების უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ეროვნული თანხმობის ხელშემწყობი დროებითი საპარლამენტო კომისია. მას უნდა გადაეწყვიტა ექსპრეზიდენტის მხარდამჭერთა ჯგუფებისა და შეიარაღებული ფორმირებების შემორიგების მიზანშეწონილობის საკითხი და მოემზადებინა საკანონმდებლო წინადადებები დიდი შერიგებისათვის.<sup>100</sup> როგორც ვხედავთ, ტექსტში ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად არიან მოხსენიებული, რომლებსაც კი არ ურიგდებიან, არამედ ისინი უნდა შემოირიგონ, ანუ ეს არის ურთიერთობა იმ ხალხთან, რომელიც პრობლემას ქმნის. სახელმწიფოს მხრივ რაიმე პასუხისმგებლობაზე იმის გამო, რამაც შეიარაღებული დაპირისპირება გამოიწვია, ლაპარაკი არ არის.

2000 წლის აპრილში მიღებულ იქნა ახალი დადგენილება „1991-1992 წლებში დანეჭებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული

<sup>99</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ,“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 8 აპრილი, 1993, <https://bit.ly/3qYMIx8> (ნანახია 20.04.2021).

<sup>100</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ეროვნული თანხმობის ხელშემწყობი დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ,“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14 აპრილი, 1998, <https://bit.ly/31H0FjS> (ნანახია 20.04.2021).



ნული თანხმობის მიღწევის შესახებ.“ მასში პირველად აღინიშნა, რომ „საქართველოს პარლამენტი 1991-1992 წლებში დაწყებულ სამოქალაქო დაპირისპირებას განიხილავს როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ პერიოდს, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთულესი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები,“ ამ დაპირისპირების შედეგი კი პირველად იყო მკაფიოდ განსაზღვრული, როგორც „კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი.“ განსაკუთრებით საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ ძმთა შორის შეიარაღებული დაპირისპირებისას დაღუპულები „სამშობლოსათვის იბრძოდნენ.“ პარლამენტი გამოხატავს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრისა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარ მცდელობას და, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა, მოუწოდებდა საქართველოს ყველა მოქალაქეს, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვა სამოქალაქო კონფრონტაციისთვის.<sup>101</sup> საქართველო კომისიას, რომელსაც გამსახურდიას მომხრეების სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხები უნდა განეხილა, 2002 წლამდე უფლებამოსილება სამჯერ გაუგრძელდა.<sup>102</sup> შევარდნაძის ხელისუფლების ამ ნაბიჯებს გამსახურდიას მომხრეები „პოპულისტურ ჟესტად“ მიიჩნევდნენ და აღნიშნავდნენ: „როცა მონინააღმდეგე დამარცხებულია, იგი შეგიძლია ‘უდანაშაულოდ’ სცნო.“ მარია აბაიშვილის სიტყვით, „როდესაც ეს ძალა [გამსახურდიას ხელისუფლება] დაიძლია, იმან, ვინც დაძლია და ვისთვისაც ეს ძალა არ იყო სასურველი, თავის თავს ფუფუნება მისცა, რომ დემოკრატიული იერით წარმოჩენილიყო საზოგადოების წინაშე.“<sup>103</sup>

1990-იანი წლების მეორე ნახევარში მხედრიონელებიც და ზვიად გამსახურდიას მომხრეებიც დევნის ობიექტი აღმოჩნდნენ. ჯაბა იოსელიანი და ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა ციხეში მოხვდა. როგორც მარია აბაიშვილი აღნიშნავდა, „მხედრიონის“ ალაგმვა ყველამ მოინდომა მაშინ, როდესაც ის უკვე მათ ინტერესებს დაემუქრა.“<sup>104</sup> ციხიდან გამოსულმა ჯაბა იოსელიანმა ზვიადის ტიპის ერთ ნაწილთან და მათ ლიდერთან, ბადრი ზარანდიასთან<sup>105</sup> შერიგება სცადა. ჩამოყალიბდა ერთობლივი ორგანიზაცია – „სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირი,“ დაიწყო ლაპარაკი ეროვნულ თანხმობაზე, თუმცა „მხედრიონს,“ როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, არ მისცეს რეგისტრაციის უფლება. მიუხედავად სამოქალაქო შერიგების და თანხმობის პოლიტიკისა, 2000-იანი წლების დასაწყისში „მხედრიონს“ ისევ გაუხსენეს წარსული დანაშაულები.

<sup>101</sup> საქართველოს პარლამენტის „დადგენილება 1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ,“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20 აპრილი, 2000, <https://bit.ly/3q6ggCQ> (ნანახია 20.04.2021).

<sup>102</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ,“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 21 ივნისი, 2002, <https://bit.ly/3HR4jXT> (ნანახია 20.04.2021).

<sup>103</sup> გვახარია, „ზვიად გამსახურდია უდანაშაულოა.“

<sup>104</sup> მოსიძე და სხვ., „მხედრებულ მემოხვება საგა.“

<sup>105</sup> ბადრი ზარანდია – ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს ზუგდიდის კომენდანტი, მისი განდევნის შემდეგ სამეგრელოში იბრძოდა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. 1994 წელს შევარდნაძის ხელისუფლებამ სიკვდილი მიუსაჯა სამშობლოს დალატისა და ბანდიტიზმის ბრალდებით, „ემნესტი ინტერნეიშენლმა“ პოლიტიკურ პატიმრად აღიარა, 1997 წელს სიკვდილით დასჯა 15 წლიანი პატიმრობით შეუცვალეს, 2000 წელს შეიწყალეს და გაათავისუფლეს, 2003 წლის იანვარში კი ზუგდიდში მოკლეს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები საჯარო ასპარეზზე და სახელმწიფო სტრუქტურებშიც გამოჩნდნენ. 2003 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა და მას ეროვნული თანხმობის სპეციალური კომისიის ხელმძღვანელობა დაეკისრა. იმ დროისათვის სამეგრელოს ტყეებში ჯერ კიდევ რჩებოდა გამსახურდიას 50-მდე შეიარაღებული მომხრე, ხოლო ადრე შეწყალებული მომხრეების უმრავლესობა ბედის ანაბარა იყო მიტოვებული.<sup>106</sup> 2004 წლის 30 იანვარს გამოქვეყნდა ეროვნული თანხმობის დეკლარაცია. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ „1991-92 წლების მიჯნაზე საქართველოს წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, როცა შინაგანმა და გარეგანმა ანტიეროვნულმა ძალებმა მოაწყვეს სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება. [...] ეს იყო კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში.“<sup>107</sup> შეიქმნა 1991-93 წლებში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი კომისია,<sup>108</sup> შეწყდა ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების წინააღმდეგ 1992 წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმე და სისხლის სამართლებრივი დევნა, დანაშაულის არარსებობის გამო, პატიმრობიდან გათავისუფლდნენ მისი მხარდამჭერი პოლიტიკური პატიმრები, ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდა თბილისის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ცენტრალურ ქუჩას ზუგდიდში, 2004 წელი ოფიციალურად გამოცხადდა ზვიად გამსახურდიას წლად, კულტურის ძეგლის სტატუსი მიეკუთვნა კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სახლ-მუზეუმს – „კოლხურ კოშკს“ თბილისში.<sup>109</sup> 2007 წელს ზვიად გამსახურდიას ნეშტი გროზნოდან თბილისში გადმოასვენეს და, სვეტიცხოველში პატივის მიგების შემდეგ, მთანმინდის პანთეონში დაკრძალეს. 2013 წელს მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.<sup>110</sup>

მიუხედავად ყოველივე ამისა, სამოქალაქო დაპირისპირება დღესაც რჩება მოვლენად, რომლის სახელწოდებაზეც კი არ არის მიღწეული თანხმობა საზოგადოების ჯგუფებს შორის. თენგიზ სიგუამ თბილისის ომის დანაშაულის მეორე დღესვე უწოდა ამ მოვლენას „დეკემბრის რევოლუცია“, რომლის დროსაც „ხალხი იბრძოდა ტოტალიტარიზმზე დემოკრატიის ზეიმისთვის“; გააჭანტურია „დემოკრატიულ რევოლუციას უწოდებდა“; შევარდნაძემ, მალევე საქართველოში დაბრუნების შემდეგ, განაცხადა, რომ გამსახურდიას ხელისუფლება ხალხმა დაამხო, შემდეგ ამ მოვლენას „სახალხო რევოლუცია“ უწოდა,<sup>111</sup> საპირისპირო ბანაკის წარმომადგენლებმა კი „პუტჩი – სამხედრო გადატრიალება.“<sup>112</sup> საისტო-

<sup>106</sup> ლიკლიკაძე, კობა. „ახალი ხელისუფლების ტაქტიკა ეროვნული თანხმობის მისაღწევად,“ რადიო თავისუფლება, 9 დეკემბერი, 2003, <https://bit.ly/3G96Pbj> (ნანახია 19.04.2021).

<sup>107</sup> სააკაშვილი, მიხეილ. „ეროვნული თანხმობის დეკლარაცია,“ დილის გაზეთი, 30 იანვარი, 2004, N 23 (2349), გვ. 8.

<sup>108</sup> გვახარია, „ზვიად გამსახურდია უდანაშაულოა.“

<sup>109</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება N 212 „ქ. თბილისში გალის ქ. №19-ში მდებარე ‘კოლხური კოშკისათვის’ ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ,“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19 მარტი, 2009, <https://bit.ly/3G8IQ5J> (ნანახია 20.04.2021).

<sup>110</sup> „მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა,“ *Netgazeti.ge*, 26 ოქტომბერი, 2013, <https://bit.ly/3JQygg1> (ნანახია 05.02.2019).

<sup>111</sup> მჭედლიძე, ისტორია უდიდსტანციოდ, გვ. 322.

<sup>112</sup> იქვე, გვ. 323.

როი ლიტერატურაში იგი იხსენიება სამოქალაქო ომის (გ. მჭედლიძე,<sup>113</sup> ოთარ ჯანელიძე,<sup>114</sup> სტივენ ჯონსი<sup>115</sup> და სხვა), აგრეთვე შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების სახელით (დიმიტრი შველიძე<sup>116</sup>). ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში ყველაზე ხშირად გვხვდება ტერმინი „სამოქალაქო ომი“;<sup>117</sup> ნ. ახმეტელისა და ნ. მურღულიას წიგნში უფრო ვრცელი განმარტებაა: „დღეს ამ მოვლენას სხვადასხვაგვარად აფასებენ, ზოგი მას სამოქალაქო ომს უწოდებს, ზოგი კი სამხედრო გადატრიალებას“;<sup>118</sup> გ. აბდალაძის, ნ. კვიციანიშვილისა და სხვათა ავტორობით გამოცემულ „უახლესი ისტორიის“ წიგნში გამსახურდიას დამხობა შეფასებულია როგორც „კანონიერი ხელისუფლების დამხობა სამხედრო ძალის გამოყენებით, შემდგომი ამბები – როგორც სამოქალაქო დაპირისპირება, ანარქია და უწესრიგობა.“<sup>119</sup>

ტერმინის *სამოქალაქო ომი* იყენებდა თავად ზვიად გამსახურდია: დოდონა კი-ზირიასთან ინტერვიუში (1992 წლის 1 იანვარი, მთავრობის სასახლე), კითხვაზე, რა მოხდებოდა ხელისუფლების დამარცხების შემთხვევაში, გამსახურდია პასუხობდა: „დესტაბილიზაცია, სრული ქაოსი, სამოქალაქო ომი და, ალბათ, საქართველოს დაშლა რამდენიმე სახელმწიფოდ“;<sup>120</sup> „იმპერიულმა ძალებმა და მათმა აგენტურამ თავს მოგვახვიეს სამოქალაქო ომი,“<sup>121</sup> აცხადებდა იგი საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვაში. იმავე დღეებში, როცა შეიარაღებული ოპოზიცია გადატრიალებას ამზადებდა, ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს ტრიბუნიდან აღნიშნავდა: „მეგობრებო, დღევანდელი სიტუაცია ძალიან მაგონებს 1918-21 წლების სიტუაციას. მაშინაც მოსკოვს გადახვენილი მოლაღატე ქართველები მართავდნენ სიტუაციას და აი, ამ მეორე ანექსიას ამზადებენ!“<sup>122</sup>

ტერმინის გამოყენების გარეშე, ამ აზრს იზიარებდა ვალტერ შურლაია: „ჩემთვის ეს გახლდათ იმპერიული რევანში, შესრულებული კრიმინალური ელემენტების მიერ.“<sup>123</sup>

იმდროინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი კი თბილისის ომს სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს: „ეს იყო სამხედრო ნაწილის

<sup>113</sup> იქვე, გვ. 403 და შემდეგ. იგი აღნიშნავს, რომ „შინაარსობრივად ეს იყო ორი დაპირისპირებული ზანაკის ბრძოლა ხელისუფლებისათვის, თუმცა ორივენი ხალხის სახელით გამოდიოდნენ“ (გვ. 323).

<sup>114</sup> ჯანელიძე, *საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია*.

<sup>115</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*.

<sup>116</sup> შველიძე, *პოლიტიკური დაპირისპირებები*.

<sup>117</sup> ვაჩნაძე, მერაბ და ვახტანგ გურული. *საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები). IX კლასის სახელმძღვანელო* (თბილისი: არტანუჯი, 2000), გვ. 190; კიდურაძე, ნინო და სხვ. *ისტორია. მოსწავლის წიგნი. მე-12 კლასი* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012), გვ. 276-277; გურული, ვახტანგ და სხვ. *საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, არტანუჯი, 2003), გვ. 234-235; ასათიანი, ნოდარ და სხვ. *საქართველოს ისტორია. მოსწავლის წიგნი. სახელმძღვანელო მეცხრეკლასელთათვის* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019), გვ. 414.

<sup>118</sup> ახმეტელი, ნატა და ნიკო მურღულია. *მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია მე-12 კლასისათვის* (თბილისი: დიოგენე, 2008), გვ. 289-290.

<sup>119</sup> აბდალაძე, გვანცა და სხვ. *უახლესი ისტორია მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის* (თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008), გვ. 292.

<sup>120</sup> კიზირია, დოდონა. *პუტჩი* (თბილისი: არტანუჯი, 2018), გვ. 144.

<sup>121</sup> პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა საქართველოს მოსახლეობას თბილისის ომის დროს (1991), *Myvideo.ge*, 25 ივლისი, 2011, <https://bit.ly/3telbUf> (ნანახია 12.10.2020).

<sup>122</sup> „სპეცოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ“, *YouTube*, 3 ნოემბერი, 2017, <https://bit.ly/31ErNjv> (ნანახია 05.05.2021).

<sup>123</sup> ეკა ხოფერიას თოქ-შოუ, *TV იმედი*, 17 დეკემბერი, 2013.

ამბოხი. [...] რა თქმა უნდა, ვინც მოახდინა, მათ დემოკრატიული რევოლუცია უნდა დაერქმიათ და სახალხო აჯანყება. სახალხო აჯანყებას არ გავდა, იმიტომ, რომ ორ ნაბიჯში ქორწილები და პანაშვიდები იყო. უზენაეს საბჭოში ზვიადის მეტი მომხრე იყო, ვიდრე ისინი, საუბარია რამდენიმე ასეულ კაცზე. სახალხო აჯანყებაში უცხო ქვეყნის ჯარები არ ერთვებიან. [...] ეს იყო ტიპიური სახელმწიფო გადატრიალება.“<sup>124</sup>

1992-94 წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ომად მოხსენიებას არ ეთანხმება ზვიად გამსახურდიას ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია და უპირატესობას ტერმინ „სამოქალაქო დაპირისპირებას“ ანიჭებს, შემდეგი არგუმენტი: „მე არ ვიტყვოდი, რომ ეს ომი იყო, იმიტომ რომ იმისათვის, რომ ვისაუბროთ ომზე, საჭიროა ერთ მხარეზე – მეომარი პარტიის მხარეზე – იყოს მინიმუმ 20 პროცენტი მოსახლეობისა. ეს იყო სამოქალაქო დაპირისპირება, რამაც შედეგად მოიტანა თბილისის ცენტრის დანგრევა, საქართველოს არაერთი პროვინციის აოხრება, უმძიმესი კვალი დაამჩნია საქართველოს ისტორიას, რის შედეგებსაც დღესაც ვიმკით.“<sup>125</sup> მაგრამ დაპირისპირებული მხარეების მხარდაჭერთა სტატისტიკა არ არსებობს, ამიტომ ძნელი სათქმელია, ვის რამდენი პროცენტი უჭერდა მხარს.

ზვიად გამსახურდიას ოპოზიციის ნაწილი ასევე არ ეთანხმება მოვლენის სახელდებას სამოქალაქო ომად: „ეს არ იყო სამოქალაქო ომი, მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რუსეთის იმპერია მაქსიმალურად უშლიდა ხელს ამ ყველაფერს,“<sup>126</sup> აცხადებდა მამუკა გიორგაძე 2013 წელს.

შეთანხმებლობა და ერთგვარი გაუბედაობა 1992-1994 წლების მოვლენების შეფასებაში შესანიშნავად აისახა ქართულ დეტექტიურ-კრიმინალურ სერიალში „ცხელი ძალი,“ რომლის მეხუთე სეზონი ეთერში 2013 წელს გავიდა. ფილმის გმირი ლექსო ნიჟარაძე (მსახიობი გიორგი ყიფშიძე), ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათის კითხვისას, ამბობს, რომ ადამიანი, რომლის ბინაც თავისუფლების მოედანზე „1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების“ შემდეგ დაინვა, ჰოლანდიაში გადასახლდა და თავშესაფარი ითხოვა. პასუხად, მეორე გმირი ბიძინა თაბაგარი (ყანრი ლოლაშვილი) ამბობს: „რა ცნობილი მოვლენები, რა, ამდენი ტყუილი გაგონილა, კაცო?! [...] თქვი რა, თბილისის ომი, სამოქალაქო ომი იყო, აბა რა ოხრობა იყო, კაცო?!“ ამას მოყვება სერიალის კიდევ ერთი პერსონაჟის რეპლიკა, რომ ახლა ამის დრო არ არის.<sup>127</sup>

„ამის დრო“ არა და არ დადგა. „რა სტატუსით მომიკლეს შვილი, რა სახელს დაარქმევს მის პოზიციას ისტორია?“ – თბილისის ომიდან 23 წლის თავზე კითხულობს ერთ-ერთი პირველი მსხვერპლის, მამუკა ბაღდავაძის დედა, ლიანა ბაღდავაძე. – „მომიკვდა და ისიც ვერ გავიგე, როგორ მომიკვდა, რა სახელით? მხოლოდ ის ვიცი ზუსტად, რომ ამ ომით მე და საქართველო გაგვაუბედურეს.“<sup>128</sup>

<sup>124</sup> ფრაგმენტი თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმიდან „ჩაკეტული წრე,“ რუსთავი 2, 2002.

<sup>125</sup> რეზვიაშვილი, ჯიმშერ. „22 დეკემბერი - სახელმწიფო გადატრიალების პირველი სისხლიანი დღე,“ რადიო თავისუფლება, 22 დეკემბერი, 2019, <https://bit.ly/3JvUWNd> (ნანახია 15.12.2020).

<sup>126</sup> ევა ზოფერის თოქ-შოუ, TV იმედი, 17 დეკემბერი, 2013.

<sup>127</sup> სერიალი „ცხელი ძალი,“ მე-5 სეზონი, 2013. ეპიზოდი იხ. 23:50 წუთიდან, YouTube, <https://bit.ly/3F85wYU> (ნანახია 30.01.2021).

<sup>128</sup> იმერლიშვილი, ელენე. „1991 წელი საერთოდ ამოღებულია ისტორიიდან,“ *ქრონიკა+*, 13 ნოემბერი, 2013, <https://bit.ly/3GgxN12> (ნანახია 30.01.2021).

იმ ფაქტს, რომ „1991 წელი საერთოდ ამოღებულია ისტორიიდან,“ ლიანა ბაღდავაძე დატრიალებული ამბით გამოწვეული სირცხვილით ხსნის: „მართალია, სირცხვილია, ქართველები დავერიეთ ერთმანეთს, ეს სასახელოა? გამოსაჩენია? არ არის გამოსაჩენი...“ მაგრამ, მეორე მხრივ, „თუ არ შეაფასებ მოვლენებს, თუ ყველაფერს თავის სახელს არ დაარქმევ, ბოლო არ ექნება დაპირისპირებას.“<sup>129</sup> შეფასების გარეშე დატოვებული ტრაგედია ცოცხალი, მუდმივი ტკივილია მათთვის, ვის შვილებსაც უწოდებენ მსხვერპლს, მაგრამ არა გმირებს, რომლებიც სამშობლოსთვის იბრძოდნენ.

„ჩემთვის თბილისის ომი დაიწყო 22 დეკემბერს, როცა მოკლეს მამა, რომელიც იდგა ოთახში, აი, აქ იდგა ბეტეერი და რატომღაც ფანჯარაში ისროლა, შეიძლება იმიტომ, რომ სანთელი ეჭირა, შუა ოთახში იდგა და რაღაცა სილუეტზე გაისროლა ბეტეერმა. კეფაში მოხვდა და იქვე მოკლა მამა. [...] ამ 22 წლის განმავლობაში არავის გახსენებია პირადად ჩემი ოჯახი, მამაჩემი და კიდევ რამდენი ასეთი უდანაშაულო ადამიანი. დიდი ტრაგედია იყო საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის,“<sup>130</sup> იხსენებდა სოფო ყურაშვილი 2013 წელს.

სხვა ომებისაგან (მათ შორის, წაგებული ომებისაგან) განსხვავებით, არ არსებობს სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების ოფიციალური ადგილი, მემორიალი, სადაც მათ პატივს მიაგებდნენ და გაიხსენებდნენ. ჩვეულებრივ, დასამახსოვრებლად შერჩეული ინდივიდები და მოვლენები უკავშირდებიან გმირობას, უმნივლო რეპუტაციას, რაც ქმნის წარსულის ერთიანი, პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ასეთი იმიჯის შექმნა კონსენსუსის და სიამყის გარეშე?<sup>131</sup> გილად ჰირშბერგერი აღნიშნავს, რომ ტრაგიკული მოვლენისთვის მნიშვნელობის მინიჭებისას დიდ როლს ასრულებს სიკვდილის წარმოდგენა გმირობის აქტად, თავგანწირვად ჯგუფისადმი ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ. ამ გზით ჯგუფის წევრების სიკვდილი გარდაიქმნება ჯგუფის უკვდავების სიმბოლოდ: ყალიბდება წარმოდგენა, რომ ჯგუფისთვის, რომელიც განსაკუთრებული და უნიკალურია, თავგანწირვა და სიკვდილი საპატიოა. ამით მიძიმე წარსული იქცევა ანმყო ბრძოლებისათვის მნიშვნელობის მინიჭების საშუალებად.<sup>132</sup> ამ შემთხვევაში, რომელი ჯგუფისთვის თავგანწირვა და სიკვდილი შეიძლება შეირაცხოს გმირობის აქტად? როგორც ლიანა ბაღდავაძე ამბობს, „ორივე მხარე საქართველოსთვის იბრძოდა,“<sup>133</sup> მაგრამ მათ საქართველო სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ. ჯგუფები, რომელთა სახელითაც ისინი იბრძოდნენ, ოცდაათი წლის შემდეგაც რჩებიან „ჩვენ“ და „სხვა“ ერთობებად. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ უვლიან გვერდს მამუკა ბაღდავაძის, სოფო ყურაშვილის მამის და სხვა დაღუპულთა სახელების ხსენებას და აქცენტი ჯგუფებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაზე გადააქვთ. ორივე მხარეს საკუთარი გმირები ჰყავს, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილის სახელია ცნობილი საზოგადოებისათვის.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> ეკა ხოფერიას თქ-შოუ, TV იმედი, 17 დეკემბერი, 2013.

<sup>131</sup> Wagner-Pacifi, Robin and Barry Schwartz. “The Vietnam Veterans Memorials: Commemorating a Difficult Past,” *American Journal of Sociology* (September 1991). DOI: 10.1086/229783.

<sup>132</sup> Hirschberger, “Collective Trauma,” p. 6.

<sup>133</sup> იმერლიშვილი, „1991 წელი საერთოდ ამოღებულია ისტორიიდან.“

რთული წარსულის მეხსიერება, რომელიც განპირობებულია დაუძლეველი მორალური ტრავმით, დაძაბულობითა და შეუთანხმებლობით მისი ხასიათის თაობაზე, ყოველთვის წინააღმდეგობრივია და ბევრ კითხვას აჩენს. წაგებული ომები ასეთი წარსულია, თუმცა მათ შორისაც არის განსხვავება: სამოქალაქო დაპირისპირება არ არის სასახელო და სიამაყის განცდას არ იწვევს, მაგრამ არც მის მონაწილეებს აკლდათ გმირობა და თავგანწირვა, საჭიროა მოიძებნოს პატივის მიგების გზა დალუპულთათვის, და არა დამარცხებისათვის, მოხერხდეს რაიმე საჯარო სიმბოლოს შექმნა მათი აღიარებისთვის, ვინც ომში დაიღუპა.<sup>134</sup>

როგორც ვერედ ვინიციკი-სერუსი აღნიშნავს, დამახსოვრების სახე დამოკიდებულია საზოგადოების პოლიტიკური კულტურაზე, აგრეთვე დამახსოვრების დროზე – წარსულის ამ მოვლენის მნიშვნელობაზე დღევანდელიათვის. იმ საზოგადოებაში, რომლის კულტურა კონსენსუსზეა ორიენტირებული და სადაც წარსულის ეს მომენტი აღარ არის დღევანდელი დღის წესრიგის ნაწილი, შესაძლებელი ხდება მრავალხმიანი დამახსოვრება (*multivocal commemoration*): იქმნება საზიარო სივრცე, სადაც მიაგებენ პატივს დალუპულებს, მაგრამ განსხვავებული ტექსტებით, რომლებიც შეიცავენ განსხვავებულ მნიშვნელობებს და, ამდენად, ამ სივრცემ შესაძლებელია თავი მოუყაროს ჯგუფებს, რომელთა მიერ წარსული სხვადასხვავვარად ინტერპრეტირდება (ამის მაგალითად იგი ასახელებს ვიეტნამის ვეტერანთა მემორიალს ვაშინგტონში).<sup>135</sup> კონფლიქტური პოლიტიკური კულტურისთვის კი, სადაც წარსული და აწმყო დებატები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, დამახსიათებელია დამახსოვრების ფრაგმენტირებული ტიპი: ხსოვნა აღინიშნება სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სივრცეში, სადაც წარსულის სხვადასხვა დისკურსი გახმოვანდება და ისინი მიმართულია სხვადასხვა აუდიტორიისადმი (ეს შემთხვევა განხილულია იცხაკ რაბინის მემორიალების მაგალითზე იერუსალიმსა და თელ-ავივში).<sup>136</sup> რაც მეტი დროა გასული ფაქტიდან/მოვლენიდან მის გახსენება-აღნიშვნამდე, მით მეტია მრავალხმიანი (და კონსენსუსზე დაფუძნებული) დამახსოვრების შანსი. ვინიციკი-სერუსის სიტყვით, როცა მონუმენტი ათწლეულების შემდეგ იქმნება, ისინი, ვისთვისაც ეს მეხსიერება ავტობიოგრაფიული იყო, ან ცოცხალი აღარ არიან, ან უკვე მიუღწევიათ შუა ასაკისათვის, შესაბამისად, „მათი ტვირთი, ვინც წარსულის კვალს ატარებდა სხეულზე თუ სულში, უკვე ქცეულია სხვათა წაშლილ მეხსიერებად.“<sup>137</sup>

ჩვენს შემთხვევაში, ძნელი სათქმელია, რომ სამოქალაქო დაპირისპირება აღარ არის დღევანდელი დღის წესრიგის ნაწილი და მან წარსულში დაიდო ბინა. თუ კ. ერიკონს დავესხებებით, ეს ის მდგომარეობაა, როცა ტრავმირებული გონება ეჭიდება მტკივნეულ მომენტს და არ ტოვებს მას წარსულში, მის შესაბამის ქრონოლოგიურ ადგილას. ის მუდმივად აცოცხლებს ტრავმულ მოვლენას, რის შედეგადაც ის მდგომარეობად გარდაიქმნება.<sup>138</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოსახლეობის უმრავლესობა ზვიად გამსახურ-

<sup>134</sup> Wagner-Pacifi and Schwartz, “The Vietnam Veterans Memorials.”

<sup>135</sup> Vinitzky-Seroussi, Vered. “Commemorating a Difficult Past: Yitzhak Rabin’s Memorials,” *American Sociological Review* 67, no. 1 (February, 2002): p. 31.

<sup>136</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>137</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>138</sup> Erikson, Kai. “Notes on Trauma and Community,” *Trauma. Explorations in Memory*, ed. Cathy Caruth (Baltimore and London: Johns Hopkins University Press, 1995), p. 185.

დიას ხელისუფლების დამხობას ქვეყნისთვის უარყოფით მოვლენად მიიჩნევს,<sup>139</sup> თავად ომის თაობაზე საზოგადოების საზიარო მეხსიერება არ ჩამოყალიბებულა, მრავალხმიანი დამახსოვრება კი ჯერჯერობით მხოლოდ განსხვავებულ და, ხშირად, ურთიერთგამომრიცხავ ნარატივებში გამოიხატება. ორიოდე მონუმენტური არე, რომელთაც, თითქოს, *მრავალხმიანი დამახსოვრების* საზიარო ადგილები უნდა შეექმნა (მაგალითად, ზვიად გამსახურდიას საფლავი მთანმინდაზე), ჯერ ერთი, თავად იქცევა განსხვავებული მეხსიერების მქონე ჯგუფების დაპირისპირების ადგილად, მეორე, ისინი მხოლოდ ლიდერთა ხსოვნის მემორიალიზაციას ემსახურება და არა მათი, ვინც მათ გვერდზე იბრძოდა, რომ არაფერი ვთქვათ თავად სამოქალაქო დაპირისპირების, როგორც წარსულის არასასურველი მოვლენის მემორიალიზაციაზე. ომისა და დაპირისპირების მთავარი მოქმედი პირების საფლავები კი (მაგალითად, ჯაბა იოსელიანის საფლავი დიდუბის პანთეონში) თავიდანვე იქცა აზრთა მწვავე დაპირისპირების საგნად და დღემდე ასეთად რჩება.

საქართველოს კონფლიქტური პოლიტიკური კულტურის პირობებში, სადაც წარსული მუდმივად იჭრება თანამედროვე პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაში, თითქოს, უფრო რეალური ჩანს დამახსოვრების ფრაგმენტირებული ტიპის მემორიალის შესაძლებლობა. თუმცა ჯერჯერობით არც ამგვარი მეხსიერების არე არსებობს და, ლიანა ბაღდავაძის მსგავსად, ომის მსხვერპლთა ოჯახის წევრებს არ შეუძლიათ, თავიანთი ტრაგედიის საჯარო ამოთქმით, ტრავმის გადალახვისაკენ ნაბიჯის გადადგმა. სამოქალაქო დაპირისპირებიდან გასული სამი ათწლეულის შემდეგ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მძიმეა „მათი ტვირთი, ვინც წარსულის კვალს ატარებს სხეულზე თუ სულში.“<sup>140</sup>

სამოქალაქო დაპირისპირება დღესაც, უმთავრესად, ზნეობრივი (ძმათამკვლელი, სამარცხვინო) და არა რაციონალური კატეგორიებით ფასდება. ვერც ერთმა კულტურულმა ნიმუშმა შეასრულა იმ პრემედიატორის ფუნქცია, რომელიც გვანჯდის სქემებს მომავალი გამოცდილების რეპრეზენტაციისათვის.<sup>141</sup> ამიტომ, ვფიქრობთ, სამოქალაქო დაპირისპირება მოუშუშებელ ჭრილობად, ბოლომდე ჩამოუყალიბებელ და გამოუფლოვებელ ტრავმად დარჩა.

### დაპირისპირებული ნარატივები

თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების პერიპეტიები, მათი აღქმა და რეპრეზენტაცია აისახა მონაწილე მხარეების ნარატივებში, რომლებიც არაერთგვაროვანი, ფრაგმენტირებული და, უმეტეს შემთხვევაში, ურთიერთდაპირისპირებულია. ამ ქვეთავში ნაჩვენებია, როგორ ჩამოყალიბდა ეს ნარატივები, რა ცვლილება განიცადა დროთა განმავლობაში, ირეკლავს თუ არა ისინი სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში მეხსიერების პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს; დაუახლოვდა თუ არა ერთმანეთს დაპირისპირებულ მხარეთა ნარატივები გავლილი ათწლეულების განმავლობაში, გადააფასა თუ არა რომელიმე მხარემ დამოკიდებულება ამ მოვლენების მიმართ. ჩვენი მიზანია, ამ წყაროთა ანალიზით ვუპასუხოთ კითხვებს:

<sup>139</sup> „საქართველოს მომავალი 2020,“ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე, <https://bit.ly/3f23Mpl> (ნანახია 02.04.2021).

<sup>140</sup> Vinitzky-Seroussi, “Commemorating a Difficult Past,” p. 45.

<sup>141</sup> Erll, “Literature, Film, and the Mediality,” p. 393.

მოხერხდა თუ არა ინსტიტუციონალიზებული, საერთო ეროვნულ დონეზე გაზიარებული ნარატივის შექმნა? შესაბამისად, ჩამოყალიბდა თუ არა თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც კულტურული ტრავმა?

დაპირისპირებული ნარატივების შესწავლისას, ვეყრდნობოდით ნათელა ვაჩნაძისა და ნინო თომაძის მიერ გამოცემულ წიგნს „დამარცხებული საქართველო“ (ნაწილი I, 2018 და ნაწილი II, 2019), რომელშიც გამოქვეყნებულია ავტორების მიერ ზვიად გამსახურდიას მომხრებთან და ოპოზიციის წევრებთან ჩანერილი ინტერვიუები; ლეილა ცომაიას მონოგრაფიას „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“ (2018); დოდონა კიზირიას ნაშრომს „პუტჩი“ (2018); ინტერვიუებს ციკლიდან „საქართველოს დაბადება“ (2019-2020) და სატელევიზიო გადაცემებში მოწვეულ სტუმართა ინტერვიუებს. გამოვყავით წარსულის ის ფრაგმენტები, რომლებიც ხშირად გვხვდება განხილულ ნარატივებში და რომლებიც ქმნიან სამოქალაქო დაპირისპირების ძირითად კონტურებს. ესენია: დაპირისპირების მოსამზადებელი ფაზა, ტრანსფორმაცია სამხედრო კონფლიქტად და მისი შედეგები.

სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ არსებული არაერთგვაროვანი ნარატივების, აგრეთვე მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მკაფიოდ წარმოსაჩენად, ტექსტები, პირობითად, ორ ჯგუფად – კანონიერი ხელისუფლების მომხრეებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა ნარატივებად – დავყავით.

განხილული ნარატივების ნაწილი სამოქალაქო დაპირისპირების მიმდინარეობისას შეიქმნა, თუმცა დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მედიუმის ზემოქმედების შედეგად, შეიცვალა. ცვლილების დინამიკის გამოსაკვეთად, ნარატივები დაჯგუფებულია სამ ათწლეულად და ტრავმის ნარატივის შემადგენელი კომპონენტების შესაბამისად არის დეკონსტრუირებული. კერძოდ, ნაჩვენებია, როგორ აფასებენ სხვადასხვა დროს და რა სახელს არქმევენ სამოქალაქო დაპირისპირებას მონინალმდევე ჯგუფების წარმომადგენლები; იყო თუ არა ეს მოვლენები, მათი აღქმით, მოულოდნელი და დაუჯერებელი; მოჰყვა თუ არა მათ რადიკალური და სიღრმისეული ცვლილებები; ვისზე მოახდინეს მათ გავლენა – დაპირისპირებულ ჯგუფებზე თუ მთლიანად ქართულ საზოგადოებაზე; ვინ არის წარმოდგენილი მსხვერპლად და დამნაშავედ; როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა.

### სამოქალაქო დაპირისპირების მოსაზრებელი ფაზა

ნარატივების ავტორთა ნაწილი 1990-იანი წლების დასაწყისში და შემდგომ დეკადებში სამოქალაქო დაპირისპირების ათვლის წერტილად 1991 წლის 2 სექტემბერს განიხილავს. ამ დღეს ხელისუფლება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მასპინძლობდა. ოპოზიციის მყოფმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ორგანიზება გაუწია ანტისახელისუფლებო მიტინგს თბილისში, კინოს სახლთან. შეკრების მონაწილეები მთავრობას დიქტატორულ რეჟიმად აცხადებდნენ და მის გადადგომას ითხოვდნენ. აქციაზე მოხდა შეტაკება ომონსა<sup>142</sup> და მომიტინგეებს შორის.<sup>143</sup>

<sup>142</sup> ომონი (რუს. ОМОН) - სრული დასახელებაა Отряд милиции Особого Назначения - მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი.

<sup>143</sup> ცომაია, ლეილა. *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა* (თბილისი: მერიდიანი, 2018), გვ. 61.



ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები 2 სექტემბრის აქციას საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად აფასებდნენ, რომელიც მოსკოვში დაიგეგმა და მიზნად ისახავდა ხელისუფლების ეროვნული კურსისთვის დარტყმის მიყენებას, ხოლო ოპოზიციის წევრები მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტი, მიმართული ხელისუფლების დიქტატურის წინააღმდეგ, რომელიც ძალადობრივი გზით დაშალა მიმართველმა ძალამ.

2000-იანი წლების ინტერვიუებში ჩანს, რომ გამსახურდიას მხარდამჭერთა თხრობა 2 სექტემბრის აქციასთან დაკავშირებით ისეთივე დარჩა, როგორც მოვლენათა მსვლელობისას იყო, თუმცა შეიცვალა ოპოზიციის ნარატივი და გაჩნდა ახალი შეფასებები. ოპოზიციის წევრთა ერთი ნაწილი 2 სექტემბრის მოვლენებს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მიტინგად განიხილავს, რომელიც რუსეთმა მოაწყო; მეორე ნაწილი მას რუსეთის პროვოკაციად აფასებს, რომელსაც ხელისუფლება და ოპოზიცია წამოეგო; მესამე ნაწილი კი – ოპოზიციის ერთი ნაწილის მიერ პროვოცირებულ აქციად, რომელსაც ხელისუფლება აჰყვა.

2010-იანი წლების ნარატივებში წინა დეკადაში გამოთქმული შეფასებები უცვლელად შენარჩუნდა.

### რა მოხდა 1991 წლის 2 სექტემბერს?

სამოქალაქო დაპირისპირების დროინდელი ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივი
<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პროვოკაცია</b>  <b>ნემო ბურჭულაძე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე</b></p> <p>„ეს იყო ერთი სცენარი, ცენტრის მიერ ჩაფიქრებული და ამის თქმის საბაზს მაძლევს ის, რომ 2 სექტემბერი მხოლოდ თბილისში არ ყოფილა.“<sup>144</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: ოპოზიციამ მოაწყო ანტისახელისუფლებო მიტინგი</b>  <b>ავთანდილ იმნაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომისიისა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი</b></p> <p>„მან, ხელისუფალმა, თავის ხალხს ტყვია დაუშინა, მშვიდობიანი მიტინგი დაარბია და ჯერ კიდევ არ დაწყებულ მიტინგს მიუსია ომონი“<sup>145</sup></p>
<p><b>ამირანი (გვარის გარეშე), სტუდენტი</b></p> <p>„ახლანდელმა მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ ის ორი სექტემბრის მოვლენები იყო პროვოცირებული [რუსეთის მიერ]. ეს იყო ჩაფიქრებული აქცია, ეს იყო გამიზნული აქცია.“<sup>145</sup></p>	<p><b>ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„ოპოზიცია, რა თქმა უნდა, გამსახურდიას დღიდან მოსვლისა ებრძოდა. განსაკუთრებით 19 აგვისტოს და 2 სექტემბრიდან.“<sup>147</sup></p>

<sup>144</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 151.

<sup>145</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>147</sup> იქვე, გვ. 113.

2000-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პროვოკაცია ვალტერ შურლაია, უზენაესი საბჭოს წევრი</b> „მე ჩემეული შეფასება, ჩემეული ფორმულირება მაქვს ამ მოვლენების შესახებ. ვერც ერთი მტერი, ვერავითარი მტერი ვერაფერს ვერ დააკლებს თუნდაც პატარა სახელმწიფოს, თუ მან ამ ერში დასაყრდენი ვერ იპოვა. [...] დასაყრდენი იყო ესა. ეს იყო, რა თქმა უნდა, აქ იდეური ე.წ. წითელი ინტელიგენცია, მაგრამ მასა, შემსრულებლთა მასა იყო სრულიად კრიმინალური სამყარო.“<sup>148</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პროვოკაცია</b> ირაკლი მელაშვილი, „ქართია 91“-ის წევრი, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი „ედუ ყოველ შაბათს ატარებდა ე.წ. საინფორმაციო მიტინგს, რომელსაც ესწრებოდა 100-200 კაცი, რომლის ნაწილი იყო მონარქისტული პარტიის ხალხი, ნაწილი ჩვენი სპეცსამსახურების ხალხი, უფრო დიდი ნაწილი. [...] მე მაქვს ინფორმაცია, რომ გასროლა არც მომიტინგეების მხრიდან მომხდარა, არც ომონის მხრიდან. [...] გაისროლა მესამე ძალამ. სიტუაცია მარტივია – მიტინგი – ომონი. ორივე მხრიდან შეიარაღებული ხალხია, აქ ძალიან იოლია პროვოცირება.“<sup>149</sup></p>
<p><b>ბესარიონ გუგუშვილი, პრემიერ მინისტრი</b> „1991 წლის 2 სექტემბერს საქართველოში დაიწყო მცოცავი პუტჩი.“<sup>150</sup></p>	<p><b>ნარატივი 2: რუსეთმა მოაწყო პროვოკაცია, რომელსაც წამოეგო ხელისუფლება და ოპოზიცია</b> <b>თამარ ჩხეიძე, „ილია ქავჭავაძის საზოგადოების“ წევრი</b> „ზვიადი წამოაგეს ამ პროვოკაციაზე, რომ განვითარებულიყო ის მოვლენები, რაც მოხდა. ჩაფიქრებული იყო წინასწარ, მიტინგი უნდა დარბეულიყო და ტყვია უნდა გავარდნილიყო. ჩაფიქრება ედუ-ს დონეზე არ ხდებოდა, ბუნებრივია. ჩაფიქრება ხდებოდა სულ სხვაგან.“<sup>151</sup></p>
<p><b>ლია ბერუაშვილი, მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი</b> „2 სექტემბერი ცნობილი ამბავია. ჩამოსულები არიან ამერიკელი კონგრესმენები [...] იხილებოდა დიდ სესიაზე ბალტიისპირეთის საკითხი და ამას უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ამბავიც. მაშინ არ ჩანდა და არ იყო ცხადი... ესენი რომ ამბობენ, რომ ყველამ სინზე დადებული მიიღო, მერე თურქმენეთიც განთავისუფლდა, არ იყო ეგრე. პროვოკაცია სჭირდებოდათ.“<sup>152</sup></p>	<p><b>ნარატივი 3: ოპოზიციის ერთმა ნაწილმა მოაწყო პროვოკაცია</b> <b>ანზორ მაისურაძე, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი</b> „ეს იყო სუფთა პროვოკაციული მიტინგი. მაშინ ამერიკელები იყვნენ ჩამოსულები, კრწანისში ჰქონდა მიღება პრეზიდენტს. თქვენ რომ იცოდეთ, მაგათი მიტინგის დარბევა ამერიკელებთან შეთანხმებით მოხდა. იმათ მოუყვა [გამსახურდია] და უნდა დაარბიოთ, რას აკეთებენო ეგენი.“<sup>153</sup></p>

<sup>148</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 79, 81.

<sup>149</sup> იქვე, გვ. 128-129.

<sup>150</sup> ვაჩნაძე, ნათელა და ნინო თომაძე, *დამარცხებული საქართველო (1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები თბილისში)*, ნაწილი II (თბილისი: 2019), გვ. 125.

<sup>151</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>152</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 89-90.

<sup>153</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 223.

2010-იანი წლების ნარატივები

გამსახურდას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პროვოკაცია</b></p> <p><b>ლეილა ცომაია, ლიტერატორი, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი დისიდენტობის დროს</b></p> <p>„2 სექტემბერს მოსკოვში ტარდებოდა დეპუტატთა ყრილობა, რომელზეც განიხილებოდა ბალტიისპირეთისა და საქართველოს სსრკ-დან გამოყოფის საკითხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქანტურიაშვიტს, ამ ცნობასთან ერთად, შევარდნაძისგან სათანადო ინსტრუქტაჟიც მიიღო. საიდუმლო ინსტრუქციები მიეცა აგრეთვე შევარდნაძესთან ფარულ ალიანსში მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებსაც, რომლებსაც გაა ქანტურიას მიერ წინასწარ დაანონსებულ 2 სექტემბრის მიტინგზე შეიარაღებული ომონი ნარგზავნეს და ცნობილი პროვოკაციული გასროლებიც განახორციელეს.“<sup>154</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პროვოკაცია</b></p> <p><b>ირაკლი მელაშვილი</b></p> <p>„მამინ არი პირველი დელეგაცია ჩამოსული [...] ეს მიტინგები – 50 კაციანი – ტარდებოდა ყოველ, აღარ მახსოვს პარასკევი... სამშაბათი თუ ოთხშაბათი... რაღაცა დღე იყო დათქმული, სადაც მონარქისტები, ედპ. ისინი იკრიბებოდნენ და ნუ ყველამ ვიცოდით, რაც ხდებოდა. [...] უეცრად ამბავი, ვილაცები მირეკავენ, სახლში ვარ, რო სროლა მოხდა... რაის სროლა მოხდა? ომონმა ხალხს ესროლა. [...] სრული შოკი იყო, გამოვვარდი ეგრევე რუსთაველზე, ვხედავ, ხალხი შეკრებილი... რა ხდება, ვეკითხები, ვერავინ ვერაფერი ვერ მითხრა. [...] მერე, როგორც ირკვევა, პირველი გასროლა მოხდა სახურავიდან, როგორც ჩანს, დიდი პროვოკაცია განხორციელდა.“<sup>155</sup></p>
<p><b>დავით გამცემლიძე, იტორიკოსი და ჟურნალისტი</b></p> <p>„2 სექტემბერს, კინოს სახლთან დატრიალებულ მოვლენათა შინაარსის სწორად აღსაქმელად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ქვეყანაში შექმნილი ზოგადი ვითარება და უმაღლვე ცხადი გახდება, რამდენად ყალბია „ოფიციალური ვერსია“, რომელსაც შემდგომში სამოქალაქო ომში გამარჯვებული მხარე გვთავაზობდა. [...] 2 სექტემბრის მოვლენამ, შესაძლოა, ვერ განსაზღვრა პროცესთა განვითარება, მაგრამ იგი მათ უზუსტეს გამოვლინებად და გამოხატულებად იქცა.“<sup>156</sup></p>	<p><b>ნარატივი 2: ოპოზიციის ერთმა ნაწილმა მოაწყო პროვოკაცია</b></p> <p><b>ნოდარ ნათაძე, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თამგვდომარე და მე-3 მონგვის პარლამენტის წევრი</b></p> <p>„ჩამოდიოდნენ ამერიკელები და იმათ საჩვენებლად განიზრახა ერთ-ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ დემონსტრაციულად რაღაცა... შესაძლებელია სისხლის დაღვრაც, ოღონდ, ასე ვთქვათ, დაჭრის სახით და არა იმითი, მე მგონი. ჰოდა მოაწყვეს რაღაცა პროვოკაცია.“<sup>157</sup></p>

<sup>154</sup> ცომაია, *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას...*, გვ. 68.

<sup>155</sup> ინტერვიუ ირაკლი მელაშვილთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 23 დეკემბერი, 2019, <https://bit.ly/3qXtmp7> (ნანახია 04.12.2020).

<sup>156</sup> გამცემლიძე, დავით. „2 სექტემბერი“, *Expert.ge*, 4 ოქტომბერი, 2019, <https://bit.ly/3t9YAs7> (ნანახია 22.03.2021).

<sup>157</sup> ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 26 აგვისტო, 2019, <https://bit.ly/3n7pZa6> (ნანახია 20.02.2021).

**2 სექტემბრის აქციის გავლენა სამოქალაქო დაპირისპირებაზე**

1991 წლის 12 სექტემბერს მწერალთა კავშირში გაიმართა სხდომა. შეკრებილმა საზოგადოებამ 2 სექტემბრის მოვლენები განიხილა და დაგმო ძალის გამოყენება ოპოზიციის წინააღმდეგ. 15 სექტემბერს, უზენაესი საბჭოს სხდომაზე, ამ ინციდენტს გამოეხმაურა ზვიად გამსახურდია. მან აქციის ორგანიზებაც და მისი დაშლაც რუსეთის პროვოკაციას დაუკავშირა.<sup>158</sup> პრეზიდენტის მოთხოვნის საფუძველზე შეიქმნა საგამოძიებო კომისია, თუმცა დამნაშავეები არ გამოვლენილან.<sup>159</sup> ინციდენტიდან მცირე ხანში დააპატიმრეს ოპოზიციის წევრები – ვია ჭანტურია, გოგა ხაინდრავა და სხვები.<sup>160</sup> ამასთან დაკავშირებით, ოპოზიციის წევრი ირაკლი მელაშვილი იხსენებდა, რომ დაპატიმრებმა და ლაღატი დადანაშაულებამ „მიიღო საგიჟეთის სახე. ანუ შიშმა იმისა, რომ რაღაცა ტალღა არ აგორდეს, გამოიწვია ის, რომ მოდი, ამ ტალღის ლიდერები დავიჭიროთ. დაიჭირეს ეს ლიდერები და ამან გამოიწვია უკუპროცესი.“<sup>161</sup>

გამსახურდიას მხარდამჭერების ნარატივებსა და ოპოზიციის ნარატივებში, რომლებიც 2 სექტემბრის აქციას განიხილავს, ჩანს საერთო ინტერპრეტაცია – ამ მოვლენამ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება გააღრმავა და შეამზადა ნიადაგი თბილისის ომისთვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამსახურდიას მხარდამჭერები დაპირისპირების გაღრმავებას ანტისახელისუფლებო ძალების მიერ გამსახურდიას დამხობის გეგმას უკავშირებენ, ხოლო საპირისპირო ნარატივების ავტორები – ხელისუფლების არადემოკრატიულ კურსს.

ეს მოსაზრებები შენარჩუნდა 1990-იანი წლებიდან 2010-იანი წლების ჩათვლით.

**რა გავლენა მოახდინა 2 სექტემბრის აქციამ მოვლენების შემდგომ განვითარებაზე?**

**სამოქალაქო დაპირისპირების დროინდელი ნარატივები**

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივი
<p><b>ნარატივი 1: 2 სექტემბრის მოვლენებმა შეამზადა ნიადაგი დაპირისპირების გაღრმავებისთვის</b></p> <p><b>ნემო ბურჭულაძე</b></p> <p>„მაშინვე აღიძრა საქმე. ძიება მიმდინარეობდა. შედეგებს ახლა ალბათ მე ვერ გეტყვით, მით უმეტეს ამ შედეგების შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ამ შედეგებამდე მისვლა იყო. რომ არ მომხდარიყო შემდეგ ძიება, ალბათ ამიტომ გამწვავდა შემდეგ და შემდეგ, უფრო და უფრო.“<sup>162</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: 2 სექტემბრის მოვლენებმა შეამზადა ნიადაგი დაპირისპირების გაღრმავებისთვის</b></p> <p><b>ირაკლი მელაშვილი</b></p> <p>„ორმა სექტემბერმა საბოლოოდ გადახაზა ყველაფერი, ვისაც კი რაღაც იმედი ქონდა, რომ ეს ხელისუფლება რაიმე დემოკრატიულ რეფორმებს გაატარებდა. მე ვფიქრობ, ამ პოლიტიკის შედეგია ის, რაც დღეს მოხდა [თბილისის ომი].“<sup>163</sup></p>

<sup>158</sup> ცომაია, *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას...*, გვ. 61, 69.

<sup>159</sup> ვაჩნაძე და თომამე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 81.

<sup>160</sup> ცომაია, *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას...*, გვ. 54.

<sup>161</sup> ვაჩნაძე და თომამე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 135.

<sup>162</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 152.

<sup>163</sup> იქვე, გვ. 127.

2000-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივი
<p><b>ნარატივი 1: 2 სექტემბრის მოვლენებმა შეამზადა ნიადაგი დაპირისპირების გაღრმავებისთვის</b></p> <p><b>მარიკა აბაიშვილი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი</b></p> <p>„ეს არის 2 სექტემბრის მერე, როდესაც უკვე ძალიან დაიძაბა საქართველოში ვითარება.“<sup>164</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: 2 სექტემბრის მოვლენებმა შეამზადა ნიადაგი დაპირისპირების გაღრმავებისთვის</b></p> <p><b>კახა კახაძე, პოლიტიკოსი</b></p> <p>„2 სექტემბერი იყო დასაწყისი რაღაც ეტაპის საქართველოში მაშინ, უფრო მკვეთრი მოძრაობების დაწყების ეტაპი.“<sup>165</sup></p>
<p><b>გიორგი მარჯანიშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე</b></p> <p>„2 სექტემბრის გულისათვის ჩაუშესკუ ეძახეს გამსახურდიას და მერე ვინც ეს მოაწყო, ის დანიშნურებული იყო ახალ ხელისუფლებაში.“<sup>166</sup></p>	<p><b>ვახტანგ რაზმაძე, საქართველოს გენერალური პროკურორი</b></p> <p>„ის შეცდომა დაუშვა ზვიად გამსახურდიამ, როცა 2 სექტემბერს კინოს სახლის წინ დაარბია მიტინგი. [...] თქვენ ანგარიში გაუწიეთ იმას, რომ შემდეგ თენგიზ სიგუა, ჭანტურია და სხვები გაერთიანდნენ და ერთობლივად ებრძოდნენ.“<sup>167</sup></p>

2010-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივი
<p><b>ნარატივი 1: 2 სექტემბრის მოვლენებმა შეამზადა ნიადაგი დაპირისპირების გაღრმავებისთვის</b></p> <p><b>ლეილა ცომაია</b></p> <p>„ეროვნულ-დემოკრატიები, მართალია, თავს იმართლებდნენ, რომ ჩვენ კინოს სახლთან ორშაბათობით მიტინგი წინასწარ გვქონდა დაგეგმილი და 2 სექტემბრის მიტინგიც ამ გეგმის მიხედვით ჩატარდაო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვაცხადდა მათი მოსკოვური ვოიაჟები შევარდნაძესთან, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ‘ორშაბათობების’ ერთთვიანი ციკლის დაგეგმვა კალენდრით ხელში მოსკოვში მოხდა. ნოდარ ნათაძის თქმით, ‘პატრიოტმა და გამოკვეთილმა დისიდენტმა... მითხრა ვაკვრით: ‘სექტემბერში ზვიადის წასვლის პროცესები დაიწყებაო.’ ჩემი ვარაუდით, იგი სწორედ გია ჭანტურია უნდა ყოფილიყო.“<sup>168</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: 2 სექტემბრის მოვლენებმა შეამზადა ნიადაგი დაპირისპირების გაღრმავებისთვის</b></p> <p><b>ირაკლი მელაშვილი</b></p> <p>„ჩვენ ვითხოვდით შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას. ვეუბნებოდით [ზვიად გამსახურდიას], რომ თუ ამას არ გადააყენებ და ამ საქმეს არ გამოიძიებ, შენი გადადგომის საკითხი დადგება და ნუ მიიყვან აქამდე, იმიტომ რომ არავინ არავის არ შეარჩენს ამას.“<sup>169</sup></p>

<sup>164</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 19.

<sup>165</sup> იქვე, გვ. 272.

<sup>166</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 449

<sup>167</sup> იქვე, გვ. 324.

<sup>168</sup> ცომაია, *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას...*, გვ. 68.

<sup>169</sup> ინტერვიუ ირაკლი მელაშვილთან, იაგო ხვიციას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

<p><b>დავით გამცემლიძე</b>          „2 სექტემბერს აფეთქდა ნალმი, რომელიც დიდხანს მზადდებოდა. კონკრეტულმა პროვოკაციამ მხოლოდ დეტონატორის როლი შეასრულა. ნალმი არსებობდა და ადრე თუ გვიან უეჭველად აფეთქდებოდა, თუნდაც სხვა დეტონატორის მეშვეობით.“<sup>170</sup></p>	
---	--

**სამოქალაქო დაპირისპირება**

ზვიად გამსახურდია თვლიდა, რომ თბილისის ომის და სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორი რუსული ძალა იყო, რომელიც ადგილობრივი ოპოზიციის დახმარებით მოქმედებდა. მან და მისმა მხარდამჭერებმა ამ მოვლენებს თავიდანვე პუტჩი უწოდეს. საპირისპირო მოსაზრება ჰქონდა ოპოზიციას, რომელიც თბილისში მიმდინარე მოვლენებს შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებად აფასებდა.

2000-იანი წლების ნარატივები აჩვენებს, რომ გამსახურდიას მხარდამჭერთა მოსაზრება უცვლელი დარჩა, თუმცა გაჩნდა ახალი ხაზი, რომლის მიხედვითაც, პუტჩის მოწყობას საქართველოში, რუსეთთან ერთად, ხელი შეუწყო დასავლეთმაც. ოპოზიციის ნარატივებში შენარჩუნდა ძველი ინტერპრეტაცია, თუმცა ჩასწორდა სამხედრო გადატრიალებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება და გაჩნდა ორი ხაზი. ერთის მიხედვით, გადატრიალების მოწყობის ორგანიზატორები იყვნენ რუსეთი და დასავლეთი, ხოლო მეორის თანახმად, მოვლენის ორგანიზატორი მხოლოდ რუსული ძალა იყო.

2010-იან წლებში ნარატივები არ შეცვლილა.

**რა მოხდა 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში?**

სამოქალაქო დაპირისპირების დროინდელი ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივი
<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პუტჩი</b>  <b>ზვიად გამსახურდია</b>          „ძალიან მძიმე სიტუაციაა, უმძიმესი. ეს გამოიწვია ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულმა პუტჩმა, რომელმაც შექმნა ანარქია ჩვენს სახელმწიფოში. [...] მიმდინარეობს შეიარაღებული ბრძოლა მთავრობის ძალებსა და პუტჩისტებს შორის.“<sup>171</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: დაიწყო სამოქალაქო ომი</b>  <b>ავთანდილ იმნაძე</b>          „ეს ტრაგედიაა ჩვენი ერისთვის და ეს საშინელებაა, ძმათამკვლელი ომი.“<sup>172</sup></p>

<sup>170</sup> გამცემლიძე, „2 სექტემბერი.“

<sup>171</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 138.

<sup>172</sup> იქვე, გვ. 121.

<p><b>ნემო ბურჭულაძე</b>          „28 ოქტომბერს ჩვენ შედარებით ადვილად მოვიპოვეთ გამარჯვება. ეროვნულ ძალებს ვგულისხმობ. არ გვაპატია იმპერიამ და იმ დღიდანვე იწყება ამ დღეების მზადება. ეს იყო შეთანხმებული მოქმედება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინააღმდეგ.“<sup>173</sup></p>	<p><b>მამუკა არეშიძე, ტელერეჟისორი, ოპოზიციის მხარდამჭერი</b>          „მთავრობა, როგორც ასეთი, არ შედგა, არ შეასრულა მის მიერ დადებული პირობა, ვთქვათ პროგრამა საკუთარი, ე.ი. წინასაარჩევნო პროგრამა და ამის გამო მოხდა ეს.“<sup>174</sup></p>
--	---

2000-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პუტჩი ვალტერ შურლაია, უზენაესი საბჭოს წევრი</b>          „ქართველებს გორბაჩოვი ეუბნება, რომ თუ თქვენ ხვალ დილამდე არ მოიფიქრებთ და არ განაცხადებთ თანხმობას სნგ-ში შესვლაზე... თბილისში – არის 21 დეკემბერი – როდესაც კატეგორიული უარი თქვეს, 22 დეკემბერს იწყება პუტჩი. ჩვენები რომ შესულიყვნენ სნგ-ში, მაშინ გადატრიალება არ მოხდებოდა.“<sup>175</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა და დასავლეთმა მოაწყო გადატრიალება</b>  <b>თამარ ჩხეიძე</b>          „ეს იყო „სახელმწიფო გადატრიალება, რა თქმა უნდა [...] საბოლოო ჯამში, სამხედრო იყო. [...] კრიმინალური ცოტა ისეთი გამოთქმაა. უარყოფითად ვაფასებ, რა თქმა უნდა [...] ეს იყო გადაწყვეტილი ამერიკაშიც და რუსეთშიც და ეს ესე მოხდებოდა.“<sup>176</sup></p>
<p><b>გიორგი გულბანი, უზენაესი საბჭოს წევრი</b>          „პრაქტიკულად ყველამ იცოდა, რომ შეიარაღებულ გადატრიალებას აპირებდა რუსეთი საქართველოში, ვითარება იყო დაძაბული და ადამიანების რალაცა ჯგუფი იყო ემოციურად თავშეუკავებელი. [...] ეს იყო სრულიად ნათელი, რასაც ისინი აპირებდნენ, სრულიად. ეს იყო ერთი ჯგუფი პარლამენტში, მეხუთე კოლონა რუსეთის იმპერიის, რომელსაც სურდა, შიგნიდანაც აერია სიტუაცია.“<sup>177</sup></p>	<p><b>ირაკლი მელაშვილი</b>          „ეს არ იყო კლასიკური გადატრიალება მხოლოდ ქვეყნის შიგნით. ეს იყო გადატრიალება ორგანიზებული. [...] ბურბულისი ამბობს დაუფარავად, რომ მან და მისმა მომხრეებმა მიიღეს ყველა ზომები, რომ ზვიადი ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინათ. ყოვლივე ზემოთქმული უნდა კარგად გავიგოთ. ეს მოვლენები საქართველოში მოხდა არა მარტო რუსეთის მეშვეობით, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოების ჩარევით.“<sup>178</sup></p>
<p><b>ნიკა კილასონია, უზენაესი საბჭოს წევრი</b>          „ეს პოლიცია მოსკოვიდან იმართებოდა. ეს აჩვენა გადატრიალებამ.“<sup>179</sup></p>	<p><b>ანზორ მაისურაძე, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი</b>          „მაშინ ხელისუფლებაში მოვიდა ის ხალხი, ვინც უნდოდა რომ მოსულიყო ამერიკას და რუსეთს.“<sup>180</sup></p>

<sup>173</sup> იქვე, გვ. 147.

<sup>174</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>175</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი I, გვ. 84.

<sup>176</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი II, გვ. 261-262.

<sup>177</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი I, გვ. 373.

<sup>178</sup> იქვე, გვ. 119-120.

<sup>179</sup> იქვე, გვ. 159.

<sup>180</sup> იქვე, გვ. 211.

<p><b>ნარატივი 2: რუსეთმა მოაწყო პუტჩი, რომელსაც მხარს უჭერდა დასავლეთი ბესარიონ გუგუშვილი</b></p> <p>„რამდენიც არ უნდა მალონ და ჩქმალონ ანტიქართულმა პროიმპერიულმა და გლობალისტურმა ძალებმა, ისტორია ადრე თუ გვიან მივა იმ უცილობელ დასკვნამდე, რომ 1987 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირმა წამოიწყო სსრ კავშირში ახალი ომი, რომლის ერთ-ერთი ფრონტი გახდა ჯერ სსრკ-საქართველოს (სამაჩაბლოს ფრონტითა და აფხაზეთის ფრონტით) და შემდგომ რუსეთ-საქართველოს ომი. [...] 1991 წლის 21 დეკემბერს ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში დსთ-ს<sup>181</sup> დამფუძნებლებმა მიიწვიეს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურები, გარდა ბალტიის ქვეყნებისა. მათ ხელი მოაწერეს დსთ-ში გაწევრიანებას (სინქრონოლოგია: საქართველომ დსთ-ს წევრობაზე უარი განაცხადა. 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოში დაიწყო პუტჩი).“<sup>182</sup></p>	<p><b>ნარატივი 2: რუსეთმა მოაწყო გადატრიალება</b></p> <p><b>ნოდარ ნათაძე</b></p> <p>„ეს იყო რუსეთის მიერ მოწყობილი, გარკვეულად დანაშაულებრივი, ქართველების იდიოტობაზე გაანგარიშებული, სამწუხაროდ, წარმატებით გაანგარიშებული გადატრიალება. რა თქმა უნდა, კრიმინალური და, რა თქმა უნდა, ანტიქართული, რა თქმა უნდა, ყველანაირად ანტისახელმწიფოებრივი.“<sup>183</sup></p>
<p><b>მარია აბაიშვილი</b></p> <p>„მე, სხვათა შორის, ძალიან მალშფოთებს ხოლმე, როდესაც ამას უწოდებენ სამოქალაქო ომს. [...] ეს, რასაკვირველია, განახორცილა მსოფლიოს წამყვანმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც დღეს მსოფლიოში მძლავრობენ. [...] გულისტკივილით უნდა ვაღიარო ის, რომ ამ ქვეყანაში, საქართველოს სამარცხინოდ, ამ ქვეყნის მტრებმა შეძლეს ის, რომ მისცეს ამას სამოქალაქო ომის სახე.“<sup>184</sup></p>	<p><b>ნარატივი 3: დაიწყო სამოქალაქო ომი ვახტანგ რაზმაძე, საქართველოს გენერალური პროკურორი</b></p> <p>„22 დეკემბერი თენდებოდა, დილას სიგუას მომხრეები რომ დადიოდნენ რუსთაველის პროსპექტზე, გამოვიდნენ ქობალიას წარმომადგენლები და აუტეხეს სროლა ამ ხალხს. [...] ეს გასროლა მაგათი მხრიდან მოხდა და მერე იმათაც უპასუხეს სროლით. ასე დაიწყო ეს. პუტჩი რა შუაშია, რატომღაც უნდათ პუტჩი დაარქვან – დაიწყო ომი, ფაქტიურად სამოქალაქო ომი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.“<sup>185</sup></p>

<sup>181</sup> დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

<sup>182</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 117, 125.

<sup>183</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 186.

<sup>184</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 26-27.

<sup>185</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 329.



2010-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივები	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო პუტჩი, რომელსაც მხარს უჭერდა დასავლეთი ავთანდილ რცხილაძე, უზენაესი საბჭოს წევრი</b></p> <p>„ადამიანი, რომელიც იბრძოდა 14 წლის ასაკიდან საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ასეთ კაცს ხელისუფლებაში ვერავინ ვერ გააჩერებდა, არავინ გააჩერებდა. [...] ეს იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ დაგეგმილი და საერთაშორისო გლობალისტების მიერ შეკვეთილი. ამ პუტჩისტების უკან იდგა არმია.“<sup>186</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: რუსეთმა მოაწყო გადატრიალება ვახტანგ ძაბირაძე, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი, უზენაესი საბჭოს წევრი</b></p> <p>„90-91 წლებში საქართველოში იყო ერთი ძალიან დიდი და მძლავრი მეხუთე კოლონა და ის იყო რუსული მეხუთე კოლონა, რომელიც იყო ორად გაყოფილი. იყო ხელისუფლებაშიც და იყო ოპოზიციაშიც. ამიტომ, როცა უნდოდათ, დაპირისპირებას აკეთებდნენ, როცა უნდოდათ – ერთმანეთს ელაქუცებოდნენ. რეალობას ისინი ქმნიდნენ. [...] ისროლა მესამემ, ოღონდ იმ მესამის სახელი დღესაც არ ვიცი.“<sup>187</sup></p>
<p><b>ბესარიონ გუგუშვილი</b></p> <p>„რატომ შეეშინდა ყველას და შეძულდა ასე ზვიადი? –დასავლეთს, რუსეთს, აღმოსავლეთს და ყველას. ზვიადმა წამოაყენა უჩვეულო იდეოლოგია, რომელიც ჩამოაყალიბათავის ნაშრომებში ‘საქართველოს სულიერი მისია,’ კიდევ სხვები. [...] ძალიან მარტივი იყო თითქოს, მაგრამ ყოვლისმომცველი იყო. საქართველოს არაფერი არ ეშველება, თუ ქართველი ერი ისევ არ დადგება ზნეობრიობის და სულიერების საფუძველზე, [...] ეროვნული მოძრაობის, ეროვნული მიზნების და ერის გადარჩენაზეა ლაპარაკი ამ სიტყვაში, ეთნოსის გადარჩენაზე.“<sup>188</sup></p>	<p><b>ნარატივი 2: დაიწყო სამოქალაქო ომი გოგა ხაინდრავა, რეჟისორი</b></p> <p>„ამ დროის გადასახედიდან იმ დროის შეფასება რთულია, სამართლიანი არასოდეს არ იქნება. ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება ქვეყანას დაემართოს, ეს არის სამოქალაქო ომი. ნებისმიერი დამპყრობელი ომი არ არის ისე დამთრგუნველი საზოგადოებისთვის, როგორც სამოქალაქო. იმიტომ რომ ძმები ესვრიან ერთმანეთს.“<sup>189</sup></p>

<sup>186</sup> ინტერვიუ ავთანდილ რცხილაძესთან, ნიკოლოზ მჟავანაძის გადაცემათა ციკლი „სამოქალაქო საზოგადოება“, Myvideo.ge, 18 დეკემბერი, 2020, <https://bit.ly/3JRyBvo> (ნანახია 25.02.2021).

<sup>187</sup> ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 3 ნოემბერი, 2019, <https://bit.ly/3r3tHmg> (ნანახია 09.02.2021).

<sup>188</sup> ინტერვიუ ბესარიონ გუგუშვილთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 29 მაისი, 2020, <https://bit.ly/3Gabf1M> (ნანახია 10.02.2021).

<sup>189</sup> ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 10 ნოემბერი, 2019, <https://bit.ly/3tbpLme> (ნანახია 10.02.2021).

<p><b>ნარატივი 2. რუსეთმა მოაწყო პუტჩი ნემო ბურჭულაძე</b></p> <p>„დაურეკეს, რომ უნდა გადამდგარიყო და, რა თქმა უნდა, მოსკოვიდან, როდესაც პუტჩი იწყებოდა, [...] მე და გურამს პირდაპირ გვითხრა ელცინმა წამოსვლამდე ალმა ატიდან. დილის 8 საათამდე ველოდები ზვიად გამსახურდიას ზარს, რომ ხდება სნგ-ს წევრი. წინააღმდეგ შემთხვევაში 8 საათზე გექნებათ პრობლემები... და მორჩა.“<sup>190</sup></p>	<p><b>ნარატივი 3: დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, რომელშიც ჩაერთო რუსეთი ირინა სარიშვილი, ედუ-ს ლიდერი, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი</b></p> <p>„განხეთქილება, რომელმაც შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიგვიყვანა, მოხდა თვითონ ‘მრგვალ მაგიდაში.’ კიტოვანიც და სიგუაც იყვნენ მრგვალი მაგიდის წევრები. [...] ფაქტი იყო, რომ შევარდნაძემ დაიხმარა რუსეთი. აი, ეს იყო ძალიან საბედისწერო დრო საქართველოსთვის.“<sup>191</sup></p>
	<p><b>ნარატივი 4: რუსეთმა და დასავლეთმა მოაწვეეს გადატრიალება თამარ ჩხეიძე</b></p> <p>„ეს საკითხები [არჩევნებში გამარჯვება] არ წყდებოდა მხოლოდ საქართველოში და გარეშე ძალების ძალიან სერიოზული ჩარევა იყო. [...] დაუშვეს გამარჯვება ზვიად გამსახურდიასი, თუმცა უკვე დაგეგმილი ჰქონდათ, როცა დაჭირდებოდათ, გააკეთებდნენ იმას, რაც გააკეთეს მერე, ძალიან მაღე.“<sup>192</sup></p>

### სამოქალაქო დაპირისპირების ბუნება

ომის დროინდელი ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ხელისუფლების და ასევე ოპოზიციის ერთი ნაწილი ელოდა მოვლენების ამგვარ განვითარებას და დაპირისპირების გამწვავება მათთვის არც მოულოდნელი იყო და არც დაუჯერებელი. თუმცა, მეორე ნაწილი განსხვავებულად აფასებდა ვითარებას და შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლა მათთვის მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო.

2000-იანი წლების ინტერვიუების მიხედვით, შეიარაღებული შეტაკებების დაწყება დაუჯერებელი აღმოჩნდა ორივე მხარისთვის. ეს ინტერპრეტაციები შენარჩუნდა 2010-იან წლებშიც.

<sup>190</sup> ინტერვიუ ნემო ბურჭულაძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, *YouTube*, 28 ივლისი, 2019, <https://bit.ly/3n51BWv> (ნანახია 10.12.2020).

<sup>191</sup> ინტერვიუ ირინა სარიშვილთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, *YouTube*, 20 ოქტომბერი, 2019, <https://bit.ly/3G9tDId> (ნანახია 10.03.2021).

<sup>192</sup> ინტერვიუ თამარ ჩხეიძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, *YouTube*, 7 ოქტომბერი, 2019, <https://bit.ly/31vkdYe> (ნანახია 25.02.2021).

**როგორ აღიქმება სამოქალაქო დაპირისპირება?**  
სამოქალაქო დაპირისპირების დროინდელი ნარატივები

გამსახურდიას და მის მხარდამჭერთა ნარატივები	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: შეიარაღებული შეტაკება არ იყო მოულოდნელი და დაუჯერებელი ზვიად გამსახურდია</b></p> <p>„ის ოთხასი ათასი კომუნისტი, რომელიც იყო საქართველოში, არსად არ წასულა. ისინი კვლავ არსებობენ და განაგრძობენ ბრძოლას ჩვენ წინააღმდეგ. [...] სავსებით ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს.“<sup>193</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: შეიარაღებული შეტაკება არ იყო მოულოდნელი და წარმოუდგენელი ანონიმური რესპონდენტი, ოპოზიციის მხარდამჭერი</b></p> <p>„ეს დღევანდელი დღე შედეგია ყოველივე იმი-სა, რაც იყო საქართველოში. ეს დღეს კი არაა წამოგორებული ტალღა. ეს ორი წლის წინ წამოგორებული ტალღაა და ეს უკვე <i>венец, как говорят, всего того, что было.</i>“<sup>194</sup></p>
<p><b>ნარატივი 2: შეიარაღებული შეტაკება მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო ანონიმური რესპონდენტი, გამსახურდიას მხარდამჭერი</b></p> <p>„გაგრძელდა ოპოზიციის მხრიდან ისევ ის დაძაბული სიტუაცია – გათრევა ავტობუსების. ყოველ წუთში იყო გაფრთხილება ჭითავას მხრიდან, რომ ამას გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მთავრობის მხარეს მდგომი ხალხი ძალიან შეშინდა. უკვე იმდენად შეშინდა, რომ გაიფანტა და ავტობუსების იქითა მხარეს, ყოფილი პიონერთა სასახლე რომაა, იმ მხარეს უკვე გადიოდა, იმიტომ რომ იარაღი გადმოიღეს მხრიდან და იარაღს პირდაპირ უმიზნებდნენ ხალხს და ხალხი შეშინდა. [...] როგორია ახლა, იარაღიან კაცთან დგეხარ უიარალოდ და იარაღს გიმიზნებენ?“<sup>195</sup></p>	<p><b>ნარატივი 2: შეიარაღებული შეტაკება მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო თენგიზ კიტოვანი, ეროვნული გვარდიის სარდალი, გასამხედროებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, შემდეგ თავდაცვის მინისტრი</b></p> <p>„ბატონ თენგიზს აცილებდა დაცვა, 26-28 კაცი. ჰოდა ის ბავშვები იყვნენ იქა. განიეს და გამონიეს ეს ავტობუსები. აქედან შეერთება უნდა მომხდარიყო მიტინგის და რაც ხალხმა მოითხოვა, ესე იგი დილის რვა საათზე და ოთხ წუთზე, ზუსტად დაფიქსირებული იყო, მთავრობის, ხელისუფლების დამცველებმა ცეცხლი გაუხსნა პირდაპირ, ესე იგი, ჩვენს ბავშვებს, მოქალაქეებს, მთლიანად ვინც იყო იქ. ამას მოყვა ნელ-ნელა ჩათრევა ძალების და იმის, თორემ საერთოდ არავინ არ აპირებდა ამ შტურმს და ამ დაბომბვებს.“<sup>196</sup></p>

<sup>193</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 139.

<sup>194</sup> რუს.: ყველაფრის დაგვირგვინება. *იქვე*, გვ. 100.

<sup>195</sup> *იქვე*, გვ. 91-92.

<sup>196</sup> *იქვე*, გვ. 156.

2000-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივები	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: შეიარაღებული შეტაკება დაუფერებელი იყო</b>  <b>მერაბ ჩუხუა, 1990-91 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი</b>                      „არავის არ სჯეროდა ეს. მე არ მჯეროდა, რომ ომი დაიწყებოდა, მაგრამ მოხდა. შაბათი დღე იყო, მე როგორც მახსოვს. როგორ მეგონა ომი, როდესაც პარასკევს მე აი აქ, აი ამ გვერდით დარბაზში, სადაც გეუბნებოდით, რომ მოდით, აქ ვისაუბროთო, იქ მოხსენება წავიკითხე, პარასკევს წავიკითხე მოხსენება.“<sup>197</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: შეიარაღებული შეტაკება დაუფერებელი იყო</b>  <b>ზაურ უჩაძე</b>                      „ჩვენ გვქონდა კიდევ იმის იმედი, რომ – მე კი არა, ყველა ჯარისკაცს – ესენი შერიგდებიან, ოპოზიცია დალაგდება. ჩვენ აზრადაც არ გვქონდა, რომ ასეთი რალაც მოხდებოდა.“<sup>198</sup></p>
<p><b>ჯემილა მესხია, გეოგრაფი</b>                      „არ ვიცოდით, რომ პუტჩი იქნებოდა ხვალ, მაგრამ წინა საღამოს რომ შევიკრიბენით, ვერ გეტყვით, ისეთი სიტუაცია იყო, რომ მე გოგოებს ვუთხარი, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენ აქედან უნდა წავიდეთ, რალაცა მოხდება და აქ არ ჩავრჩეთ-მეთქი. არაო, ხვალ, ზეგ. არა, ამ საღამოს მივდივართ-მეთქი. იმ საღამოსვე საელჩოში გავაკეთე ყველაფერი და გადმოვფრინდით. 2 საათზე ჩამოვედი, რადიო ჩავრთე და დავნექი. რადიო ჩართული დამიტოვებია და დილით მალვძებს რადიო და ... პუტჩი.“<sup>199</sup></p>	
<p><b>გიორგი მარჯანიშვილი</b>                      „მე შემეძლო იარაღი ამეღო, არ ამიღია, იმიტომ რომ ვფიქრობდი, რალაცა სასწაული მოხდება-მეთქი.“<sup>200</sup></p>	

<sup>197</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 278.

<sup>198</sup> იქვე, გვ. 302.

<sup>199</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 132.

<sup>200</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 443.

2010-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: შეიარაღებული შეტაკება დაუჯერებელი იყო</b></p> <p><b>დოდონა კიზირია</b></p> <p>„უმეტესობა ჩემსავით გაოგნებული შეჰყურებდა ამ წარმოუდგენელ სანახაობას – ისროდნენ დღისით-მზისით, ისროდნენ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე! [...] ერთხანს ვიდექი და ვუყურებდი რა ხდებოდა ქუჩაში, თავი სიზმარში მეგონა.“<sup>201</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: შეიარაღებული შეტაკება დაუჯერებელი იყო</b></p> <p><b>ვახტანგ ძაბირაძე</b></p> <p>„დეკემბერში, როდესაც კიტოვანი ზღვაზე იყო და ასე შემდეგ, არც არაფერი, თითქოს შეთანხმებას მიაღწიეს. ფაქტიურად დაშლილი იყო ეს ყველაფერი. სიტუაცია შეცვალა იმან, რომ რატომღაც მოხდა გადათამაშება. ისევ ხელისუფლების მხრიდან.“<sup>202</sup></p>

**სამოქალაქო დაპირისპირების შედეგები**

სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდში ჩანერილი ინტერვიუები აჩვენებს, რომ 1991-1992 წლებში თბილისში მიმდინარე მოვლენების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით არსებობდა სხვადასხვა სცენარი. ზვიად გამსახურდია და მისი მხარდამჭერები თვლიდნენ, რომ, ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება გაგრძელდებოდა. ოპოზიცია შედარებით ოპტიმისტურად აფასებდა შექმნილ ვითარებას. ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მომავალი ბუნდოვანი იყო, თუმცა გამსახურდიას გადადგომის შემდეგ ქვეყანაში უკეთესი ვითარება შეიქმნებოდა. მეორე ნაწილი უშვებდა იმის ალბათობას, რომ მომავალში, შეიძლება, გაჩენილიყო ოპოზიციურ ძალებს შორის დაპირისპირება, თუმცა ამის საფრთხეს ჯერ ვერ ხედავდა. მესამე ნაწილი კი თვლიდა, რომ საქართველო მშვიდობიანი გზით განაგრძობდა განვითარებას.

შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ სამოქალაქო დაპირისპირებას მძიმე შედეგები მოჰყვა საქართველოსთვის. ნაშრომის სხვა თავებში დანვრილებითაა ნაჩვენები დაპირისპირების შემდგომი ცხოვრება საქართველოში და ტრავმები, რომლის მოშუშება ქვეყანამ დღემდე ვერ შეძლო. ამ დამანგრეველი პროცესის მიმართ დამოკიდებულება ჩანს ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაშიც. მონაწილეთა 73.5 % თბილისის მოვლენებში დამარცხებულად საქართველო და ქართველი ერი მიიჩნია (იხ. დიაგრამა 21, 37).

2000-იან წლებში ჩანერილი ინტერვიუებში შეიმჩნევა სამოქალაქო დაპირისპირების შემდგომი პროცესების გავლენა. იმედიანი პროგნოზების მცდარობამ და არასასურველი სცენარის რეალობად ქცევამ ოპოზიციის ნარატივები შეცვალა და დაუახლოვა გამსახურდიასა და მის მხარდამჭერთა ნარატივებს. ორივე ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ სამოქალაქო დაპირისპირებამ დააზიანა ცხოვრების სხვადასხვა სფერო, გამოიწვია სიღრმისული და რადიკალური ცვლილებები, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლაში, კრიმინალის ზრდასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში გამოიხატა.

<sup>201</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 7-8.

<sup>202</sup> ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

2010-იანი წლების ნარატივებში შენარჩუნებულია 2000-იანი წლების განწყობები. ამასთანავე, ჩანს, რომ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებიც და ოპოზიციის წევრებიც თბილისის ომისა და შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირების შედეგებს ხანგრძლივ პერსპექტივაში განიხილავენ და აჩვენებენ, რომ წარსულის კვალს დღემდე დამაზიანებელი გავლენა აქვს საზოგადოებაზე.

**თბილისის ომის შედეგები**

სამოქალაქო დაპირისპირების დროინდელი პროგნოზები

გამსახურდიას და მის მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: დაიწყება სამოქალაქო ომი ზვიად გამსახურდია</b></p> <p>„ამას [ოპოზიციის გამარჯვებას] მოჰყვება კატასტროფული შედეგები საქართველოსთვის, [...] დესტაბილიზაცია, სრული ქაოსი, სამოქალაქო ომი და ალბათ, საქართველოს დაშლა რამდენიმე სახელმწიფოდ.“<sup>203</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: ორი სცენარი - სამოქალაქო ომი VS დემოკრატიული განვითარება</b></p> <p><b>მამუკა არეშიძე</b></p> <p>„ამის საშიშროება არის, დიას საშიშროება იმისა, რომ დაიწყოს, ვთქვათ, პოლიტიკური ქაოსი, ეკონომიკური ქაოსი, [...] თუ ისევე ყველამ თავის ამბიციებზე იმუშავა, მაშინ უბრალოდ გამოსავალი არ ყოფილა, მაშინ მოვხვდებით ჩიხში და ეს ქვეყანა დაღუპვისთვის არის განწირული. [...] იმედია, რომ ეს არ მოხდება. არა ვართ ქართველები ასე დაკნინებული.“<sup>204</sup></p>
<p><b>ნემო ბურჭულაძე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე</b></p> <p>„ხალხი არ აპატიებს მათ გამარჯვებას, ალბათ დაიწყება სამოქალაქო ომი, ტერორი, საბოლოო ჯამში ისინი ვერ შეძლებენ ძალაუფლების შენარჩუნებას, მაგრამ რაღაც პერიოდის განმავლობაში ალბათ გაამწარებენ ხალხს.“<sup>205</sup></p>	<p><b>თენგიზ სიგუა</b></p> <p>„სიტუაცია ჯერ საკმაოდ რთულია. არის დაძაბულობის კერები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში. [...] სამოქალაქო ომის დაწყების რეალურ საშიშროებას მე დღეს ვერ ვხედავ.“<sup>206</sup></p>
<p><b>ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„დაიწყება გაფიცვები საწარმოებში ინსტიტუტებში. სტუდენტობა მაგას [ოპოზიციას] არ გაჰყვება. დიდი-დიდი ორი დღე თუ გაძლეს, თუ, ღმერთმა ნუ ქნას, აიღეს ძალაუფლება ხელში.“<sup>207</sup></p>	<p><b>ირაკლი მელაშვილი</b></p> <p>„ხელისუფლებამ დღეს ლეგიტიმურობა, თავისი ლეგიტიმურობა და კანონიერების ნაწილი რაღაცნაირად დაკარგა. [...] მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ საქართველოში ნორმალური ვითარება იქნა, ჯარს თავისი ადგილი ექნება, პარლამენტს თავისი, აღმასრულებელს თავისი და სასამართლოს თავისი.“<sup>208</sup></p>

<sup>203</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 144.

<sup>204</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>205</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>206</sup> იქვე, გვ. 172, 174.

<sup>207</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>208</sup> იქვე, გვ. 133, 136.

	<p><b>ნარტივი 2: ყველაფერი კარგად იქნება თენგიზ კიტოვანი</b></p> <p>„უმოკლეს ხანში ვაპირებთ სუყველაფერს. როგორც გადადგება ბატონი ზვიადი, იმ წუთში, ესე იგი, სუყველაფერი ძალაუფლება გადაეცემა დროებით მთავრობას, პარლამენტი დაიწყებს მუშაობას ახალ არჩევნებამდე, მერე ჩვეულებრივად წავა ცხოვრება, როგორც იყო.“<sup>209</sup></p>
	<p><b>ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„ყველა ეს ძალები საერთო ჯამში... განსხვავება არის მაგათ შორის, მაგრამ დემოკრატიულად მოაზროვნე ხალხია. ამიტომ ისინი, ისეა თუ ასე, დემოკრატიისკენ წაიყვანენ თავის ქმედებებს. [...] მაგათ უკვე ის მაგალითი აქვთ ეხლა. წარმოდგინეთ, გამოდიან, იბრძვიან მის წინააღმდეგ იმის გამო, რომ დემოკრატიას არ აკეთებს, წინ აღუდგა. ახლა თვითონ ეს ხალხი რომ მოვა, უკვე არადემოკრატიული გზით აღარ წავლენ.“<sup>210</sup></p>

2000-იანი წლების ნარატივები

ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივები	ოპოზიციის ნარატივი
<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირებამ ქვეყანა დეგრადაციის გზით წაიყვანა ლია ბერუაშვილი</b></p> <p>„ის ადამიანები [საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი ახალგაზრდობა] რომ არ მენახა, დამიჯერეთ, ისეთ დებურესიაში ჩავვარდებოდი [...] იმ გამყიდველი ზოგადად ნომენკლატურის, ადამიანების [გამო], რომლებიც დროზე ვერ მიხვდნენ რა უნდა ეკეთებინათ. [...] ეს მართლა ჩემი ლამაზი, მშვენიერი ქვეყანა ჯოჯოხეთად რომ მიქცეის.“<sup>211</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირებამ ქვეყანა დეგრადაციის გზით წაიყვანა ზაურ უჩაძე</b></p> <p>„ეს რომ არ მომხდარიყო, ქვეყანა სხვანაირი იქნებოდა დღეს. ჩვენ ორმოცდაათი წლით დავიხიეთ უკან. ათი ათასი კაცი დევს მიწაში. ცუდს ცუდი მოჰყვება. ხომ მართალია?! ცუდს კარგი იშვიათად მოჰყვება.“<sup>212</sup></p>

<sup>209</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>210</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>211</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი II, გვ. 78.

<sup>212</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი I, გვ. 307.

<p><b>ნარატივი 2: სამოქალაქო დაპირისპირებამ საზოგადოების ფრაგმენტაცია გამოიწვია მარცხა აბაიშვილი</b></p> <p>„მე არ ვიცი, კიდეც რა პარამეტრები აქვს სამოქალაქო ომს, მაგრამ საერთოდ ეს ქვეყანა გაიხლიჩა.“<sup>213</sup></p>	<p><b>თენგიზ სიგუა</b></p> <p>„მაშინ გაჩნდა გამოთქმა და ეს ჩემი მოგონილი არ არის – დალუპული ქვეყანა. ეს იყო შედეგი.“<sup>214</sup></p>
<p><b>ნარატივი 3: სამოქალაქო დაპირისპირებამ ინსტიტუტების მოშლა გამოიწვია აკაკი ასათიანი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე</b></p> <p>„მოჰყვა პრაქტიკულად, სრული ლეგიტიმურობის მოშლა, როგორც სახელმწიფოებრივი – ვთქვათ, აფხაზეთის პრობლემა წარმოიშვა, კონსტიტუცია გაუქმდა – ისე სისხლის სამართლის დონეზე – ჩვენ გვახსოვს, რა ქაოსი იყო, თუნდაც მინიმუმ ამიტომ იყო ცუდი უკვე, როცა ასეთი ფორმატით მოხდა.“<sup>215</sup></p>	

2010-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივები	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირებამ ქვეყანა დეგრადაციის გზით წაიყვანა დოდონა კიზირია</b></p> <p>„დღეს ცხადად ჩანს, რომ ერთმანეთის მიმართ ის ზიზღი, სიძულვილი და ქედმაღლობა, რაც იმ პერიოდში დაფუძნდა და გაღვივდა, ყველაზე მძიმე და ძნელად გადასალახი, შესაძლოა, საბედისწერო მემკვიდრეობა აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის.“<sup>216</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირებამ ქვეყანა დეგრადაციის გზით წაიყვანა ვახტანგ ძაბირაძე</b></p> <p>„ქვეყანა ის ქვეყანა არ არის, რომელიც გვინდოდა და ალბათ გვინდა ყველას.“<sup>217</sup></p>

**მსხვერპლი**

ნარატივების ავტორები მსგავს ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ თბილისის ომისა და შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირების მსხვერპლის შესახებ. 1990-იანი, 2000-იანი და 2010-იანი წლების ნარატივებში მკაფიოდ ჩანს, რომ მოვლენამ დააზარალა არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი ან გაერთიანება, არამედ სრულიად საქართველო და ქართველი ერი.

<sup>213</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 30.

<sup>214</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 17.

<sup>215</sup> იქვე, გვ.162.

<sup>216</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 19.

<sup>217</sup> ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“



ვინ დაზარალდა 1991-1992 წლების თბილისის ომსა და შემდგომ სამოქალაქო დაპირისპირებაში?

1990-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას და მის მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირების მსხვერპლია ქართველი ერი და საქართველო</b></p> <p><b>ზვიად გამსახურდია</b></p> <p>„აქ არის სამხედრო აგრესია ხელისუფლების წინააღმდეგ და ხალხის წინააღმდეგაც, ვინაიდან ესენი, ეს ბანდები ებრძვიან არა მარტო ხელისუფლებას, არამედ უზარმაზარ ზიანს აყენებენ თვითონ მოსახლეობას, ძარცვავენ, წვავენ შენობებს, პირდაპირ სჩადიან ყოველგვარ სისხლის სამართლის დანაშაულს.“<sup>218</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირების მსხვერპლია ქართველი ერი და საქართველო ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„ამიტომაცაა არეული დღეს საქართველო.“<sup>219</sup></p>

2000-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირების მსხვერპლია ქართველი ერი და საქართველო</b></p> <p><b>გიორგი მარჯანიშვილი</b></p> <p>„მსხვერპლია საზოგადოება. იმ გადატრიალებაში ვინც მივიღეთ მონაწილეობა, თვითონ ვინც გადარჩა კიდევაც, მათ შორის საზოგადოება, მსხვერპლია აი ამ საერთო სიტუაციის, იმიტომ რომ ისინი მანიპულირებულები იყვნენ.“<sup>220</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირების მსხვერპლია ქართველი ერი და საქართველო გელა ჩორგოლაშვილი</b></p> <p>„ეს შეთქმულება იყო კონკრეტულად არა ზვიადის წინააღმდეგ, ზვიადი, რა თქმა უნდა, იყო პირველი პირი და გარანტი ქართული სახელმწიფოსი, ამიტომ გარკვეულწილად მასზე თავდასხმა იყო სახელმწიფოზე თავდასხმა, მაგრამ მიზანი იყო არა ზვიადი, არამედ მთელი ქართველური სამყარო.“<sup>221</sup></p>
<p><b>გიორგი გულბანი</b></p> <p>„მსხვერპლი არის ქართველი ერი და არა ბატონი ზვიადი და პარლამენტი. ერი დაისაჯა, ერი გავაუბედურეთ ამ ვიგინდარების, ამ არაკაცების დანაშაულის გამო, რომლებიც დღესაც დაიბლინდებიან და ტელეეკრანიდან არიან ოპოზიციის და პოზიციის.“<sup>222</sup></p>	<p><b>ვახტანგ რაზმაძე, საქართველოს გენერალური პროკურორი</b></p> <p>„ზვიადმა ომი დაუწყო ქართველ ხალხს, ესროლა ტყვია.“<sup>223</sup></p>

<sup>218</sup> იქვე, გვ. 143.

<sup>219</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>220</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი II, გვ. 450.

<sup>221</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>222</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი I, გვ. 378.

<sup>223</sup> იქვე, გვ. 328.

2010-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო მსხვერპლია ქართველი ერი და საქართველო</b>  <b>თინათინ მღვდლიაშვილი, პოეტი</b>                      „ისეთი გრძნობა მაქვს, რომ საერთოდ სულ სხვა საქართველოს ვხედავ იმ კადრებში [1991 წლის 9 აპრილის] და სრულიად სხვა საქართველოა დღეს, ქუჩაში რომ გახვალ. ვერ წარმოგიდგენია, რომ ცოტა ხნის წინათ ეს ხალხი მოძრაობდა თბილისში და საერთოდ მთელ საქართველოში. ეს ძალიან დიდი ტრაგედიაა, რა თქმა უნდა.“<sup>224</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: სამოქალაქო დაპირისპირების მსხვერპლია ქართველი ერი და საქართველო</b>  <b>აკაკი ბობოხიძე, უზენაესი საბჭოს წევრი, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი</b>                      „დღევანდელი გადასახედიდან, არა მარტო შედეგების გამო, წმინდა ფორმის გამოც, საშინელებასში ჩავითრიეთ ქვეყანა.“<sup>225</sup></p>

**დამნაშავე**

დამნაშავის სახის განსაზღვრისას, ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯგუფთან მიკუთვნებულობა. მაგალითად, სამოქალაქო ომის მსვლელობისას ჩანერილ ინტერვიუებში ხელისუფლების მხარდამჭერები დამნაშავედ მიიჩნევენ ოპოზიციას, რომელიც, მათი შეფასებით, რუსეთის დაკვეთებს ასრულებდა; ხოლო ოპოზიციის წევრების დიდი ნაწილი დანაშაულის ტვირთს გამსახურდიას და მის გარემოცვას აკისრებს. მცირე ნაწილი თვლის, რომ შეიარაღებულ შეტაკებაში დამნაშავე ორივე მხარე იყო. 2000-იან და 2010-იან წლებში ეს ინტერპრეტაციები შენარჩუნდა.

**ვინ არის დამნაშავე: ვინ დაიწყო ომი?**

სამოქალაქო დაპირისპირების დროინდელი ნარატივები

გამსახურდიას და მის მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: დამნაშავეა რუსეთი და ოპოზიციური ძალები</b>  <b>ზვიად გამსახურდია</b>                      „დამყარდა მათი ერთგვარი ალიანსი – კომუნისტურ პარტიასა და ყოფილ პატრიოტულ ძალებს შორის, რომლებმაც ეხლა ჩვენ შემოგვითიეს გაერთიანებული ფრონტით. [...] აი, ამ საშინელი ანარქიის და დესტაბილიზაციის შექმნა, სისხლისღვრის პროვოცირება და ტერორისტული მეთოდებით მოქმედება. შეიძლება ითქვას, ეს არის ტერორისტული ოპოზიცია. ეს არ არის დემოკრატიული ოპოზიცია.“<sup>226</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: დამნაშავეა ზვიად გამსახურდია და მისი გარემოცვა</b>  <b>მამუკა არეშიძე</b>                      „ჩემი პირადი აზრია, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია იმდენად დამნაშავე არ არის, ვთქვათ, შექმნილ სიტუაციაში, რამდენადაც მის გარშემო მყოფი ადამიანები.“<sup>227</sup></p>

<sup>224</sup> ირაკლი შონიას ინტერვიუ თინათინ მღვდლიაშვილთან, “მედიაკავშირი ობიექტივი,” 31 მარტი, 2012, YouTube, 5 იანვარი, 2013, <https://bit.ly/3G9ugl3> (ნანახია 13.02. 2020).

<sup>225</sup> ინტერვიუ აკაკი ბობოხიძესთან, იაგო ზვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 22 ივლისი, 2019, <https://bit.ly/3GboebJ> (ნანახია 10.02.2021).

<sup>226</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 139, 146.

<sup>227</sup> იქვე, გვ. 77.

<p><b>ნემო ბურჭულაძე</b></p> <p>„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამას ხელმძღვანელობა ჰქონდა ცენტრიდან. ცენტრს ვეძახით ხოლმე იმპერიას ხშირად. აქაც გამოჩნდნენ, იბოვეს კოლაბორაციონისტები, თუ როგორ დავარქვათ.“<sup>228</sup></p>	<p><b>ირაკლი მელაშვილი</b></p> <p>„ჩვენ აღმოვჩნდით იმ სიტუაციაში, როდესაც კონფლიქტი გადაწყდა შეიარაღებული გზით. და ამაში დამნაშავე არის, ცალსახად, ხელისუფლება. ეს არის ფაქტი.“<sup>229</sup></p>
<p><b>ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„თერთმეტმა რესპუბლიკამ ყოფილი საბჭოთა კავშირისამ, მოაწერეს ხელი თანამეგობრობაში შესვლის ხელშეკრულებას. არ მოაწერა ხელი მხოლოდ საქართველომ და ისევ ამოქმედდა... ზუსტად 21 რიცხვი დამთავრდა და 22 რიცხვის დილას, ერთი დღეც არ იყო გასული იმის შემდეგ. ამ ორი მოვლენის დაკავშირება გვაჩვენებს, რომ ეს არის არა ოპოზიცია, არამედ კრემლის წარმომადგენელი ძალა.“<sup>230</sup></p>	<p><b>ნარატივი 2: დამნაშავეა ზვიად გამსახურდია</b></p> <p><b>ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„იქ რო ზარბაზნები ისვრიან, ეს ყოველივე აბსოლუტურად თვით პირადად ზვიად გამსახურდიას ბრალია. მან მიიყვანა მაგ მდგომარეობამდე, რომ ასეთი მდგომარეობაა რუსთაველზე. თორემ სისხლი ჩვენ არცერთს არ გვინდა.“<sup>231</sup></p>
	<p><b>ჯაბა იოსელიანი, შეიარაღებული ოპოზიციის ლიდერი</b></p> <p>„ის [ზვიად გამსახურდია] იმსახურებს ყველაფერს, იმიტომ რომ ძალიან დიდი დანაშაული ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე.“<sup>232</sup></p>
	<p><b>ნარატივი 3: დამნაშავეა ორივე მხარე</b></p> <p><b>ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„ქრისტიანული ცოდვა ჩაიდინეს ორივე მხარემ და უნდა მოხდეს ამ სიტუაციის განმუხტვა.“<sup>233</sup></p>

2000-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: დამნაშავეა რუსეთი და ოპოზიცია</b></p> <p><b>ვალტერ შურღაია</b></p> <p>„ის [თენგიზ კიტოვანი] ისე მოქმედებდა, პუტჩი ხომ უნდა მოეწყო. [...] ეს ბიჭები, ალ-ალი და პატრიოტი ბიჭები ხომ უნდა გადაეყვანა თავის მხარეს და გადაიყვანა იმითი, რომ თქვენ გვარდია კი არა ხართ, თქვენ პრეზიდენტმა გამსახურდიამ გაქციათ პოლიციელებად.“<sup>234</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: დამნაშავეა ზვიად გამსახურდია ზაურ უჩაძე</b></p> <p>„ყველანაირი მცდელობა უნდა ეხმარა [გამსახურდიას], რომ ერი არ გაეხლიჩა შუაზე. აგვისტოს შემდეგ მას ჰქონდა შანსი, როგორც გითხარით, რომ არ გაეკეთებინა ის, რომ ძმას ძმისთვის ესროლა.“<sup>235</sup></p>

<sup>228</sup> იქვე, გვ. 147.

<sup>229</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>230</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>231</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>232</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>233</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>234</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი II, გვ. 86.

<sup>235</sup> ვაჩნაძე და თომაძე, დამარცხებული საქართველო, ნაწილი I, გვ. 305.

<p><b>ზაზა წიკლაური</b> „როგორც კი მოვიდა შევარდნაძე [1970-იან წლებში], იქიდან დაიწყო ამის მზადება, თუ როგორ გამოეყენებინა ეს ინტელიგენცია, როგორ ჰყოლოდა თავის სურვილს დაქვემდებარებული.“<sup>236</sup></p>	<p><b>თამაზ დუმბაძე, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, გენერალი</b> „ჩვენ არ გვინდოდა არაფრით ეს ბრძოლა. ვეხვეწებოდით, არ გვინდა, ბატონო ზვიად. [...] ჩვენ თავს ვიცავდით.“<sup>237</sup></p>
	<p><b>ნარატივი 2: დამნაშავეა ორივე მხარე ვალერიან ადვაძე, პოლიტიკოსი</b> „მე, პირველ რიგში, ჩვენს თავს ვაბრალებ. ხომ ვლანძღავთ რუსეთს, ყუმბარა ჩამოაგდო, რაკეტა ჩამოაგდო. ყველაფერს რომ იმათ ვაბრალებთ, ჩვენ აღარაფერში არა ვართ დამნაშავე? ნუთუ ყველაფერში რუსეთია დამნაშავე?“<sup>238</sup></p>

2010-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: დამნაშავეა რუსეთი და ოპოზიცია</b> <b>დოდონა კიზირია</b> „მას [გამსახურდიას] ძალაუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდანვე დაუპირისპირდნენ პოლიტიკური ოპონენტები, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ ჯერ სიტყვიერად, შემდეგ იარაღითაც. არ მახსოვს თუნდაც ერთი დღე, მის წინააღმდეგ არ გადმონთხეულიყო ლანძღვა-გინება და მუქარა. ძალიან მალე ქართველების ტრადიციულმა სენმა, ლალატმაც იჩინა თავი, რასაც რუსეთის აგენტურამ ყველანაირად შეუწყო ხელი.“<sup>239</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: დამნაშავეა ხელისუფლება და ოპოზიცია</b> <b>ირინა სარიშვილი</b> „ორ მხარეში როდესაც ერთი ცდება, აუცილებლად მეორე მხარეც უწყობს ამას ხელს, ან პირიქით, ვერ უწყობს ხელს, რომ არ შეცდეს. იმ დონის დაპირისპირება იყო ჩვენ შორის. [...] მე იმ პერიოდმა დამარწმუნა და დღესაც ასე ვფიქრობ, რომ საქართველოში ყველა ლიდერს შეცდომებს აშვებინებს გარმოცვა. [...] ოჯახის წევრებიც თუ ემატება, ეს კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.“<sup>240</sup></p>
<p><b>თინათინ მღვდლიაშვილი</b> „არცერთი ადამიანი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას და გამსახურდიას დაუპირისპირდა, მე ქართველად არ მიმაჩნია. აბსოლუტურად არ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა მათ გვარებს. ასეთ ადამიანებს ეროვნება არ აქვთ. აბო ტფილელი იყო არაბი და ეს პუტჩისტები იყვნენ ქართველები?“<sup>241</sup></p>	<p><b>ნარატივი 2: დამნაშავეა გამსახურდიას გოგა ხაინდრავა</b> „რა თქმა უნდა, ნიჭიერი კაცი იყო რა, მაგრამ, ნუ, შედეგი დარჩება. სახელიც დარჩება, მაგრამ შედეგი გადასძლევს მე რე ამ მოგონილ სახელს, იმიტომ რომ 11 თვეში სამოქალაქო ომს რომ დაიწყებ საკუთარ ქვეყანაში, როგორ ხარ წარმატებული პრეზიდენტი?“<sup>242</sup></p>

<sup>236</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 292.

<sup>237</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 307.

<sup>238</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 66.

<sup>239</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 24.

<sup>240</sup> ინტერვიუ ირინა სარიშვილთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

<sup>241</sup> ირაკლი შონიას ინტერვიუ თინათინ მღვდლიაშვილთან.

<sup>242</sup> ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

	<p><b>ნარატივი 3: დამნაშავეა გამსახურდია და მისი გარემოცვა</b></p> <p><b>ვახტანგ ხმალაძე, ფიზიკოსი და პოლიტიკოსი</b></p> <p>„იარაღით დაპირისპირება არავის უნდოდა. [...] ის პოლიტიკური პარტიები ალბათ სხვაგვარ მდგომარეობაში იქნებოდნენ, რიგგარეშე არჩევნები რომ ყოფილიყო დანიშნული და მოლაპარაკებაზე არ წავიდოდნენ [გასამხედროებულ ოპოზიციასთან].“<sup>243</sup></p>
--	--

**პასუხისმგებლობის საკითხი**

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივებში პასუხისმგებლობა სამოქალაქო დაპირისპირების დაწყებისთვის ოპოზიციას ეკისრება. საპირისპირო ნარატივებში ცალსახა პოზიცია არ გვხვდება და არსებობს რამდენიმე ხაზი: ერთი ნაწილი თვლის, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მოვლენებზე პასუხისმგებელია გამსახურდიას ხელისუფლება, ხოლო მესამე ნაწილის აზრით, პასუხისმგებლობა გამსახურდიას ეკისრება.

2000-იან წლებში გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი შენარჩუნდა და გაჩნდა ახალი ხაზი, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა, ოპოზიციასთან ერთად, ეკისრება ხელისუფლებასაც. ოპოზიციის ნარატივებიდან კი გაქრა ის ხაზი, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებელი სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევაში გამსახურდია იყო.

2010-იან წლებში წინა დეკადის ნარატივები შენარჩუნდა.

**ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?**

სამოქალაქო დაპირისპირების დროინდელი ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: პასუხისმგებლობა ეკისრება ოპოზიციას</b></p> <p><b>ნემო ბურჭულაძე</b></p> <p>„არ ვუნდებ მას ოპოზიციას. იყო მათი მხრიდან, ვიმეორებ – შეიარაღებული ბანდების მხრიდან, ჯერ კიდევ ორი-სამი თვის წინ ანალოგიური ქმედება. გაიმეორეს ახლა. ალბათ, ასე რომ, ნათელია, თუ საიდან იქნება ტერორი.“<sup>244</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და ოპოზიციას</b></p> <p><b>ანონიმური რესპონდენტი</b></p> <p>„ამ საზოგადოების თითოეული წევრი მოუშვადებლები ვართ. შესაძლებელი იყო კიდევაც სხვა გზა, მაგრამ ეს ოპტიმალური ვარიანტებია. [...] პრობლემებიდან გამოსავალი ხელისუფლებამ უნდა ეძიოს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ვერც ოპოზიციას ვერ მოვხსნი პასუხისმგებლობას.“<sup>245</sup></p>

<sup>243</sup> ინტერვიუ ვახტანგ ხმალაძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება“, YouTube, 19 ივლისი, 2019, <https://bit.ly/3HQ9x5V> (ნანახია 12.07. 2020).

<sup>244</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 149.

<sup>245</sup> იქვე, გვ. 111.

	<p><b>ნარატივი 2: პასუხისმგებლობა ეკისრება გამსახურდიას</b></p> <p><b>ირაკლი მელაშვილი</b></p> <p>„ფაქტიურად, სიტუაცია ზვიად გამსახურდიამ შექმნა ისეთი, რომ თვითონ დათესა და თვითონ მოიმკა იმის შედეგები, რაც საქართველოშია.“<sup>246</sup></p>
	<p><b>ნარატივი 2: პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას</b></p> <p><b>ავთანდილ იმნაძე</b></p> <p>„ასეთი სისხლიანი ტრაგედიის, ძმათამკვლელი ომის მომხრენი არავინ მეგულება საქართველოში, გარდა რამდენიმე პიროვნებისა ისევე ოფიციალური ხელისუფლებიდან.“<sup>247</sup></p>

2000-იანი წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და ოპოზიციას</b></p> <p><b>გიორგი გულბანი</b></p> <p>„არავის არ უნდა საქართველოში თქვას, რომ მასაც აქვს წვლილი. მე არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი, ნორმალური ქართველების და ჯაბა იოსელიანის და შევარდნაძის დანაშაული შესადარებელი დანაშაულებია. ეს, რა თქმა უნდა, ესე არ არის. მათი დანაშაული უზარმაზარია და ჩვენი დანაშაული, იმასთან შედარებით, არაფერი არ არის, მაგრამ პატარ-პატარა დანაშაული ყველას გვაქვს, ყველამ რაღაცა დავაკეთეთ ამ ქვეყანას. ეს უნდა ვთქვათ.“<sup>248</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და ოპოზიციას</b></p> <p><b>ირაკლი მელაშვილი</b></p> <p>„მე ვფიქრობ, ჩვენ, ოპოზიციონერებმაც, დავუშვით სერიოზული შეცდომა. [...] ჩვენ სწორ რაღაცებს ვლაპარაკობდით, ბევრ რამეზე შენიშვნებს ვიძლეოდით, ვეკამათებოდით გამსახურდიას, მაგრამ არსებობდა სხვა ძალა, რომლისთვისაც იყო ამოცანა გამსახურდიას ხელისუფლების შეცვლა. ეს პროცესი გამოყენებული იქნა არა იმისათვის, რომ ხელისუფლების დემოკრატიზაცია მომხდარიყო, არამედ ჩვენ იდეოლოგიურად შევამზადეთ ის, რაც მოხდა. ამის გარეშე ის ვერ მოხდებოდა.“<sup>249</sup></p>

<sup>246</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>247</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>248</sup> ვაჩნაძე და თომაძე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 392.

<sup>249</sup> იქვე, გვ. 131.

<p><b>ნარატივი 2: პასუხისმგებლობა ეკისრება ოპოზიციას</b></p> <p><b>ვალტერ შურღაია</b></p> <p>„თითქმის სუყველა ცდილობს უარყოფას, მე არ ვმონაწილეობდი პუტჩში, მაშინ ვინ გააკეთა ეს? და ასეთ ხალხს, იმათი გამოკლებით, ვინც ნანობს – ვინც ნანობს, ეს რაინდული საქციელია და ჩემი თავი ენაცვალოს – მაგრამ იმათი გამოკლებით, ვინც პუტჩში იყო და ამბობს, რომ მე არ მისვრია, მე მონაწილემდე არ ვიყავი, პუტჩში მონაწილეობა არ მიმიღია, არავითარი ცოდვა არ მაღევს.“<sup>250</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: პასუხისმგებლობის საკითხი არ შეფასებულა</b></p> <p><b>თენგიზ კიტოვანი</b></p> <p>„რამდენი წელი გავიდა უკვე და მე ვფიქრობ, ომის და გადატრიალების გარეშე შეიძლება და საქართველოს გადარჩენა. რაც გაკეთდა, ალბათ, ღმერთი განსჯის, ან ქართველი ერი შეაფასებს ყველა იმ მოვლენას, რაც იყო, რაც ხდება და რაც მოხდება.“<sup>251</sup></p>
	<p><b>ნარატივი 2: პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას</b></p> <p><b>ანზორ მაისურაძე</b></p> <p>„გადატრიალებას ვერ მოაწყობ, თუ არ შეიქმნება ის სოციალური ფონი, რომელიც ხელს უწყობს ამ გადატრიალებას. ცნობილი სიტყვებია, როდესაც ზემოდან მართვა აღარ შეუძლიათ, ხოლო ქვემოთ ცხოვრება აღარ შეუძლიათ, ასეთი სიტუაცია როცა შეიქმნება, მაშინ ცოტა უნდა ხელისშეწყობა, რომ გადატრიალება მოხდეს.“<sup>252</sup></p>

2010-იან წლების ნარატივები

გამსახურდიას მხარდამჭერთა ნარატივი	ოპოზიციის ნარატივები
<p><b>ნარატივი 1: პასუხისმგებლობა ეკისრება ოპოზიციას</b></p> <p><b>დოდონა კიზირია</b></p> <p>„იმ დღეებში [...] წარმოდგენაც არ ჰქონდა [არავის], რა დამანგრეველი ჯიხი ამოუშვეს ბოთლიდან, რომელიც დღემდე დათარეშობს, კლავს, ქურდობს, აყაჩაღებს მოსახლეობას. არაფერია იმაზე საშინელი, როდესაც აძლევ თოფს ჩვეულებრივ ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, ყოველგვარი კონტროლის და მორალური პარამეტრების დაზუსტების გარეშე.“<sup>253</sup></p>	<p><b>ნარატივი 1: პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და ოპოზიციას</b></p> <p><b>აკაკი ბობოხიძე</b></p> <p>„იყო ავტორიტარიზმის ნიშნები, სახელმწიფო არ გვქონდა, რა დიქტატურაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, მაგრამ აი, ორივე მხარეს ვიყავით რაღაც ალტკინებულები და გვეგონა, რომ მთელი მსოფლიო გაოგნებული, განცვიფრებული, აღტაცებული უყურებდა საქართველოს და ეხლა რომ ვნახულობ კადრებს, რაღაცა იმის, წვერგაზრდილი, ტყაპუჭებში, ნაბდებით... ნუ არ ვიცი რა.“<sup>254</sup></p>
	<p><b>დავით ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი</b></p> <p>„ორივე მხარეს მიუძღვის მისი პასუხისმგებლობა.“<sup>255</sup></p>

<sup>250</sup> იქვე, გვ. 88,

<sup>251</sup> ვაჩნაძე და თომამე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი II, გვ. 146.

<sup>252</sup> ვაჩნაძე და თომამე, *დამარცხებული საქართველო*, ნაწილი I, გვ. 211.

<sup>253</sup> კიზირია, *პუტჩი*, გვ. 15.

<sup>254</sup> ინტერვიუ აკაკი ბობოხიძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება.“

<sup>255</sup> ინტერვიუ დავით ბერძენიშვილთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაბადება,“ YouTube, 17 სექტემბერი, 2019, <https://bit.ly/3q6mcev> (ნანახია 24.02.2020).

	<p><b>ნარატივი 2: პასუხისმგებლობის საკითხი ჯერ არ შეფასებულა</b></p> <p><b>ირინა სარიშვილი</b></p> <p>„ისევე იგივე გზებით ვაგრძელებთ, სამწუხაროდ, სი-არულს. სახელებით, გვარებით, აკვიატებებით. [...] ჩვენ თუ მაინცდამაინც გვინდა კონკრეტული დამ-ნაშავეების პოვნა და ამაში გვეგონია ქვეყნის ხსნა, თუ დამნაშავეს სწორად არ ვიპოვით და ისევე ჩვენი სურვილით და რაღაც ფანატიკური დამოკიდებულე-ბებით გვექნება შერჩევითი დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, ყველას მიმართ, ეს ისევე ახალ უბედურებას მოიტანს.“<sup>256</sup></p>
	<p><b>ვახტანგ ძაბირაძე</b></p> <p>„რა მოხდა დეკემბერში, ეს კიდევ ცალკე საკვლევი საკითხია. არავინ არ დაიწყო ამის გამოკვლევა არც მაშინ, არც დღეს. სამწუხაროა ეს ყველაფერი, მაგ-რამ რეალობა ასეთი. არასდროს არაფერი ბოლომ-დე არ მივიყვანეთ. ვერ მოხდა ვერაფრის ჩაღრმა-ვება და გამოძიება იქნება თუ საბოლოო წერტილის დასმა.“<sup>257</sup></p>

ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა და ოპოზიციის ნარატივების განხილვამ აჩვენა, რომ თხრობა სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით განსხვავ-დება პერიოდების მიხედვით. ომის მიმდინარეობისას ჩანერილი ინტერვიუები სა-ომარ პირობებში ჩამოყალიბებულ ნარატივებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც გამსჭვალულია იმ დროისავე კონტექსტით, რესპონდენტების პერსპექტივაში ძლიერადაა გამოხატული ჯგუფური მიკუთვნებულობა. თუმცა, დროითი დის-ტანციის შემდეგ შექმნილ ტექსტებში ასეთი მკაფიო საზღვრები არ შეინიშნება და ნარატივები კონსტრუირებულია სხვადასხვა ინფორმაციის გავლენით, გაშუ-ალეებულია დროით და ირეკლავს სამოქალაქო დაპირისპირების შემდგომ პერი-ოდში მომხდარ ცვლილებებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამსახურდიას მხარდამჭერთა თხრობა, ოპოზ-იციის ნარატივებისგან განსხვავებით, უფრო მეტად ინარჩუნებს სტაბილურო-ბას. თუმცა, ჩნდება ახალი ხაზებიც. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სამო-ქალაქო დაპირისპირების ორგანიზატორისა და პასუხისმგებლობის საკითხების განსაზღვრისას. რაც შეეხება ოპოზიციის ნარატივებს, ომის შემდგომ პოლიტი-კურ ცვლილებებთან ერთად, მათ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს. განხილული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა ნაწილმა გადააფასა წარსულში მიმდინარე მოვლენები და ფიგურები. შედეგად, ოპოზიციის ნარატი-ვები რამდენადმე დაუახლოვდა გამსახურდიას მხარდამჭერთა თხრობას. ხში-რად გვხვდება სამოქალაქო დაპირისპირების სახელდების, გამომწვევი მიზეზე-ბის, შედეგებისა და პასუხისმგებლობის საკითხის საერთო ინტერპრეტაციები.

<sup>256</sup> ინტერვიუ ირინა სარიშვილთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაზადება.“

<sup>257</sup> ინტერვიუ ვახტანგ ძაბირაძესთან, იაგო ხვიჩიას გადაცემათა ციკლი „საქართველოს დაზადება.“



## თავი IV

### მეხსიერების „ყვირილი და ჩურჩული“:<sup>1</sup> 9 აპრილი და სამოქალაქო დაპირისპირება მეხსიერების პოლიტიკაში

#### მონუმენტური და სიმბოლური არაეპი

კოლექტიური მეხსიერების შექმნა სოციალურ მეცნიერებებში ხშირად განიხილება პოლიტიკური ძალაუფლების ინსტრუმენტად, რომლის შესწავლითაც ანმყოში წარსულის მნიშვნელობის შეფასებას ცდილობენ.<sup>2</sup> მართალია, ეს მიდგომა ელიტურ მოდელზეა კონცენტრირებული, თუმცა მეხსიერების პოლიტიკაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩართულობასაც არ გამოორიცხავს. მაგალითად, კოჩანოვიჩი აღნიშნავს, რომ წარსულის შესახებ ცოდნას შეუძლია ძლიერი სენტიმენტების გამოწვევა საზოგადოებაში, რაც განაპირობებს პოლიტიკური ელიტის დაინტერესებას კოლექტიური მეხსიერებით.<sup>3</sup> პიტერ ვეროვშეკი კი მიუთითებს, რომ მეხსიერების მობილიზაცია საზოგადოების კოლექტიურ ცნობიერებაში არსებულ მოვლენებთან კავშირის გაბმით და მათი მანიპულირებით მიიღწევა.<sup>4</sup>

ელიტური მოდელის გარდა, არსებობს სოციალურ ჯგუფებზე მორგებული თეორიებიც, რომლებიც აჩვენებს, რომ მეხსიერების შექმნის მოთხოვნა შეიძლება წამოვიდეს ქვემოდან, საზოგადოებიდან.<sup>5</sup> მაგალითად, გაი ბეინერი წერს, რომ არ არის აუცილებელი წარსულის გახსენება „ზემოდან იყოს ნაკარნახევი და ეროვნული გეგმის ნაწილს წარმოადგენდეს. ის შეიძლება ადგილობრივი ინიციატივებიდან მოდიოდეს და ხალხში არსებულ წარმოდგენებს ეფუძნებოდეს.“<sup>6</sup>

ორივე თეორიული მოდელში გატარებულია საერთო იდეა – მეხსიერების შექმნა დაკავშირებულია არა მხოლოდ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ინტერესებთან, არამედ რეზონანსთან, რომლის გამოწვევაც ამა თუ იმ მოვლენას კონკრეტულ საზოგადოებაში შეუძლია. ეს ფაქტორი განაპირობებს წარსულის გარკვეული ეპიზოდების აქტუალიზებას და სხვების გაქრობას საჯარო დის-

<sup>1</sup> შვედი რეჟისორის, ინგმარ ბერგმანის კინოსურათში „ყვირილი და ჩურჩული“, მითოლოგიზებულ პერსონაჟებთან ერთად, ბევრი სიმბოლოა გამოყენებული, რომლებიც ირეკლავენ წინააღმდეგობას დავიწყებასა და გახსენებას, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. მათი მნიშვნელობებისა და ურთიერთკავშირის გასააზრებლად ავტორი ორ ემბლემურ ფორმას - ყვირილსა და ჩურჩულს - იყენებს. სწორედ ამით არის ნაკარნახევი თავის სტრუქტურა და სათაური.

<sup>2</sup> Alderman, Derek. “Creating a New Geography of Memory in the South: (Re)Naming of Streets in Honor of Martin Luther King,” *Southeastern Geographer* 36, no 1 (May, 1996): p. 54; Koczanowicz, Leszek. “Memory Politics and Politics of Memory. Reflections on the Construction of the Past in Post-Totalitarian Poland,” *Studies in East European Thought* 49, no. 4 (1997): p. 259; Verovšek, Peter. “Collective Memory, Politics, and the Influence of the Past: The Politics of Memory as a Research Paradigm,” *Politics, Groups, and Identities* 4, no. 3 (April, 2016): p. 533; Onken, Eva-Clarita. “The Baltic States and Moscow’s 9 May Commemoration: Analysing Memory Politics in Europe,” *Europe-Asia Studies* 59, no. 1 (January, 2007): p. 24; Beiner, Guy. “Negotiations of Memory: Rethinking 1798 Commemoration,” *The Irish Review*, no. 26 (Autumn, 2000): p. 68.

<sup>3</sup> Koczanowicz, “Memory Politics,” p. 260.

<sup>4</sup> Verovšek, “Collective Memory,” p. 529.

<sup>5</sup> Beiner, “Negotiations of Memory,” p. 67-68; Lebaron, Michelle and Paulette Regan. “Rewaving the Past,” *Memory*, eds. Philippe Tortell et al. (Vancouver: Peter Wall Institute for Advanced Studies, 2018), p. 218-223.

<sup>6</sup> Beiner, “Negotiations of Memory,” p. 66.

კურსიდან და სივრციდან. ორივე თეორიაში ყურადღება ანმყოში წარსულის მნიშვნელობას ეთმობა, ანუ მოვლენების კონსტრუირებას აქ და ახლა. თუმცა უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ყოველ წარსულს აქვს თავისი ანმყო; მოვლენების „კოლექტიურ ცნობიერებაში შემონახვა“<sup>7</sup> ან „სახალხო რწმენად გადაქცევა“<sup>8</sup> დაკავშირებულია პირველად მნიშვნელობებთანაც.

კოლექტიური გახსენების ან დავინყების სურვილს განსაზღვრავს კულტურული და პოლიტიკური ელიტების მხრიდან მოვლენებისთვის მნიშვნელობების მინიჭება და მათი საზოგადოებაში გაზიარება. ამ პროცესში კი გადამწყვეტ როლს ასრულებს რეზონანსის პოტენციალი და კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული კულტურული ნიმუშები, რომლებიც აჩენს კოლექტიური დამახსოვრების ან დავინყების წინასწარგანწყობას.<sup>9</sup> მესხიერების აქტორები გადანყვეტილებას იმის თაობაზე იღებენ, თუ რომელი მნიშვნელობები ამოირჩიონ მესხიერების რეპერტუარიდან. სწორედ ეს არჩევანი განსაზღვრავს მოვლენის დავინყებას ან დამახსოვრებას. ცხადია, ეს არ გამორიცხავს დროთა განმავლობაში მნიშვნელობათა ცვლილების შესაძლებლობას, აქ განვიხილავთ ორ შემთხვევას საქართველოს უახლესი ისტორიიდან, როდესაც მესხიერების პოლიტიკა მოვლენების პირველად მნიშვნელობებზეა დაშენებული.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის მესხიერების პოლიტიკაში 1989 წლის 9 აპრილი და სამოქალაქო დაპირისპირება, მესხიერების არეების შექმნის პროცესს შევისწავლით. პიერ ნორა განასხვავებს სამი სახის მესხიერების არეს – მონუმენტურს, სიმბოლურს და ფუნქციურს, რომლებიც ერთმანეთთან თანაარსებობენ და ერთმანეთს გადაფარავენ.<sup>10</sup> მონუმენტურ მესხიერების არეებს წარმოადგენს ძეგლები, მემორიალები, საფლავები – ანუ ყველაფერი, რის მატერიალიზებაც რომელიმე მოვლენის გახსენებას ემსახურება; სახელმძღვანელოებს ნორა ფუნქციურ არეებად მოიხსენიებს, ისინი მესხიერების მატარებელ ჯგუფებს ერთად კრებს; სიმბოლურ არეებს კი მიეკუთვნება ცერემონიები, აღნიშვნები, თარიღები, რიტუალები, რომლებიც აყალიბებს კოლექტიურ მესხიერებას და საზიაროს ხდის მას თაობებისთვის.<sup>11</sup>

ჩვენი ინტერესის საგანია, რამ განსაზღვრა მესხიერების „ყვირილი“ 9 აპრილთან, ხოლო „ჩურჩული“ – სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით. კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარა მოვლენებთან დაკავშირებული მესხიერების არეების (გეოგრაფიული ადგილები, მემორიალები, მონუმენტები, საფლავის ქვები, ქუჩის სახელწოდებები და სამუზეუმო ექსპონატები) შექმნისა და დინამიკის ანალიზი.<sup>12</sup>

<sup>7</sup> Verovšek, “Collective Memory,” p. 529.

<sup>8</sup> Beiner, “Negotiations of Memory,” p. 66.

<sup>9</sup> Assmann, Aleida. “Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), p. 44.

<sup>10</sup> Nora, Pierre. “Between Memory and History: Les Lieux de Memoire,” *Special Issue: Memory and Counter-Memory, Representations*, no. 26 (Spring, 1989): p. 19.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 7-24.

<sup>12</sup> თბილისის გარეთ ინფორმაცია შეიკრიბა დისტანციურად, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით, საქართველოს 7 რეგიონის (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით) მუნიციპალიტეტებიდან.

## 9 აპრილი

წინა თავებში ნაჩვენები იყო, რომ 9 აპრილთან დაკავშირებულ ნარატივში მკაფიოდ იკვეთება ტრავმისა და ტრიუმფის ელემენტები. რომელი კომპონენტი ჭარბობს გახსენებისას – ტრავმული თუ ტრიუმფალური, განსაზღვრულია ნარატივის ავტორის პერსპექტივით. ეს აისახა მხატვრულ ტექსტებში (ლექსები, სიმღერები), რომლებიც აქციის დარბევებიდან მალევე შეიქმნა. 1980-იანი წლების კულტურულმა ელიტამ შეძლო ტრავიკული გამოცდილების თარგმნა ვერბალურ ენაზე, აჩვენა მოვლენის ბუნება, მსხვერპლისა და დამნაშავეს სახე და მომხდართან საზოგადოების კავშირი. ამ ნარატივებში ასახული იყო სიკვდილზე გამარჯვების, თავისუფლებისთვის მონამეობის, მსხვერპლის უკვდავებისა და წმინდანებთან გატოლების, სისხლიანი ანმყოფიდან ახალი მომავლის დაბადების იდეები.<sup>13</sup>

ეს წარმოდგენები უცხო არ არის ქართველთა კოლექტიური მეხსიერებისთვის. ავილოთ თუნდაც საისტორიო ნარატივები, რომლებიც გაზიარებული მეხსიერების შექმნის ერთ-ერთი საშუალებაა. მათში მკაფიოდ იკითხება მონამეობრივი ხსნის იდეა, რომლის თანახმად, თავისუფლებას სისხლის ფასი აქვს და ბრძოლით მოიპოვება. ქართველთა კულტურული მეხსიერების ნიმუშებთან დაკავშირების გზით, 9 აპრილმა შეითავსა როგორც ტრავმის, ასევე ტრიუმფის ელემენტები და შეუერთდა იმ მოვლენების ჯაჭვს, რომელთაც ქართველი ხალხი ეროვნულ თავისუფლებასთან, მისთვის ბრძოლასთან ან ეროვნული იდეის დაცვასთან აკავშირებდა.

1991 წელს, დამოუკიდებლობის 9 აპრილს გამოცხადებით, გამსახურდიას ხელისუფლებამ ოფიციალურად მიანიჭა ტრავმის ტრიუმფის სახელი. „9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი,“<sup>14</sup> – ზვიად გამსახურდიას ამ სიტყვებმა გაამყარა აზრი, რომ 9 აპრილს დაღუპულები დიად მიზანს შეენიღნენ და მათი სიცოცხლე არ ყოფილა ფუჭად გაღებული მსხვერპლი. ეს იყო დანაკარგის მორალური კომპენსაცია და, სიმბოლურ ენაზე, აღნიშნავდა მკვდრეთით აღდგომას, ახალი საქართველოს დაბადებას სისხლიანი ამწყოსვან.

დროითი დისტანციის შემდეგ შექმნილ ნარატივებში 9 აპრილის პირველადი მნიშვნელობა კი არ შეიცვალა, პირიქით – გამყარდა და სტაბილურობა შეიძინა. ის ტექსტებიც კი, რომლებშიც 1989 წლის აპრილის აქციები მშვიდობიანი მომავლისგან დაშორების სიმბოლოდ მიიჩნევა და შეიძლება ტრავმულ ნარატივებად განვიხილოთ, ტრიუმფალურ განწყობას გვერდს ვერ უვლის.<sup>15</sup> ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ კულტურული ნიმუში, რომელსაც ტრავმული ნარატივი დაემყარა, წამყვან როლს თამაშობს მნიშვნელობის მინიჭების და გაზიარების პროცესში და ტრავმის ადვოკატებშიც აჩენს ტრიუმფალურ განწყობას 9 აპრილთან დაკავშირებით.

მოვლენის მნიშვნელობის გაზიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 9 აპრილის აღსანიშნავ ღონისძიებებზე დასწრება ყოველთვის პოლიტიკური პრეს-

<sup>13</sup> სანადირაძე, მანანა და სარგის ცაიშვილი. 9 აპრილი (თბილისი: მერიდიანი, 1990), გვ. 146, 387, 288.

<sup>14</sup> „ზვიად გამსახურდია აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას, 9 აპრილი, 1991,“ *You Tube*, 28 მარტი, 2018, <https://bit.ly/33iF4hV> (ნანახია 15.10.2020).

<sup>15</sup> იხ. მაგ.: გურამ ყორანაშვილის წაშრომი, რომელიც განხილულია მომდევნო ქვეთავში.

ტიჟის საკითხს წარმოადგენდა გამსახურდიასა და მისი შემდგომი პოლიტიკური ელიტებისთვის. 9 აპრილთან კავშირის გაბმას ისინი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდნენ და გვირგვინებით ხელდამშვენებული მიემართებოდნენ მემორიალებისკენ. თუმცა ყოველი ელიტა მოვლენასთან დაკავშირებულ კოლექტიურ მხსნიერებას საკუთარი ინტერესების მიხედვით აძლევდა ფორმას და, დროში ინტერესების ცვლილებასთან ერთად, ეს ფორმებიც იცვლებოდა. როგორც ა. ასმანი აღნიშნავს, მხსნიერება უკიდურესად მოქნილია და დაუსრულებლად გარდაიქმნება ძალაუფლების აქტუალური მოთხოვნების შესაბამისად.<sup>16</sup> შევარდნაძის ხელისუფლება მმართველობის დასაწყისში 9 აპრილის მნიშვნელობის საჯარო დისკურსში აქტუალიზებას ერიდებოდა. პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვაში 1995 წელს 9 აპრილი საერთოდ არ იყო ნახსენები.<sup>17</sup> ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება გამსახურდიას სახელთან ასოცირდებოდა, რომელთანაც შევარდნაძეს პოლიტიკური დავა ჰქონდა. თუმცა საუკუნის მიწურულს პოლიტიკური დაპირისპირების აქტუალურობა სამოქალაქო შერიგების პროცესმა გადაფარა და შეიცვალა მხსნიერების პოლიტიკაც. მეორე ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2000 წელს, შევარდნაძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა პარლამენტის წინა სივრცის მნიშვნელობას და აღნიშნა: „აქ, რუსთაველის პროსპექტზე, ოთხმოცდაცხრა წლის 9 აპრილს დაიღვარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა წმინდა სისხლი. აქვე ახდა მათი ოცნება, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.“<sup>18</sup> ამ ნარატივში არ ჩანდა გამსახურდიას სახელი, თუმცა შევარდნაძის სიტყვები მეტყველებდა იმაზე, რომ მოვლენის მნიშვნელობა პოლიტიკურ დისკურსში შენარჩუნდა.

9 აპრილმა მხსნიერების პოლიტიკაში ახალი სიცოცხლე ვარდების რევოლუციის შემდეგ შეიძინა. 2004 წელს სააკაშვილმა საპრეზიდენტო ფიცი რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ დადო. ხალხთან მისალმების შემდეგ კი მან საზოგადოებას 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისთვის თხუთმეტწამიანი დუმილით პატივის მიგება სთხოვა: „აქ დაიღუპნენ გმირები, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის 1989 წლის ცხრა აპრილს. სწორედ აქ მოხდა მათთან უსასტიკესი ანგარიშსწორება საბჭოთა ჯარებისა და ტანკების მიერ. [...] ეს ახალგაზრდები შეეწირნენ თავიანთ ოცნებას საქართველოსთვის. დღეს ჩემი და ჩვენი ვალია, ეს ოცნება ვაქციოთ რეალობად.“<sup>19</sup> ამ გამოსვლაში მკაფიოდ ჩანდა, რომ 9 აპრილის ორმაგმა მნიშვნელობამ ახალი დატვირთვა შეიძინა პოლიტიკურ ასპარეზზე. თუკი შევარდნაძემ ტრაგედიის დროს დაღუპულთა ოცნება ახდენილად გამოაცხადა, სააკაშვილმა აქცენტი შეცვალა და თავისუფლების ოცნების ახდენა მომავალს დაუკავშირა. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ეროვნული იდეალების მისაღწევად ბრძოლა გრძელდებოდა.

საკაშვილის გზავნილი უცვლელი დარჩა მომდევნო წლებშიც. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ 2008 წელს, მეორე საინაუგურაციო სიტყვა-

<sup>16</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 41.

<sup>17</sup> „ედუარდ შევარდნაძის ინაუგურაცია 1995 წელი,“ *YouTube*, 19 სექტემბერი, 2015, <https://bit.ly/3Gds5wA> (ნანახია 17.10.2020).

<sup>18</sup> „ედუარდ შევარდნაძის ინაუგურაცია 09.04.2000,“ *YouTube*, 18 სექტემბერი, 2015, <https://bit.ly/3nbrDrc> (ნანახია 17.10.2020).

<sup>19</sup> „მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია - 2004 წლის 25 იანვარი,“ *YouTube*, 18 სექტემბერი, 2015, <https://bit.ly/34A3tQU> (ნანახია 17.12.2020).

ში, საქართველოს მესამე პრეზიდენტს პირდაპირ არ უხსენებია 9 აპრილი. ეს ცერემონიული კვლავ ტრადიციის ადგილას გაიმართა. სააკაშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება თანამდროვე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს დაუთმო და მოკლედ აღნიშნა: „სახელმწიფოებრიობა დავიბრუნეთ და ჩვენი თავი ნამდვილად ჩვენადვე გვეყუდნის. ისტორიული ქართველები მომავლის ასაშენებლად საჭირო გაკვეთილებია.“<sup>20</sup> ამ ფრაზაში დასახელების გარეშეც მკაფიოდ ჩანდა იმ კულტურული ნიმუშის აქტუალიზება, რომელიც 1989 წელს 9 აპრილმა მოიხრგო.

საკაშვილის მესხიერების პოლიტიკა გააგრძელა მომდევნო ხელისუფლებაშიც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ 2013 წლიდან 9 აპრილმა დაკარგა ეროვნული ბრძოლის გასაგრძელებლად საზოგადოების მობილიზაციის ფუნქცია და მოვლენისადმი პატივის მიგება პოლიტიკური პრესტიჟის საგნადლა დარჩა. გარდა ამისა, 9 აპრილის მნიშვნელობაში გაიზარდა ტრიუმფის კომპონენტი. ამაზე მეტყველებს ახალი პოლიტიკური ელიტის გზავნილების ცვლილება. საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციამ 9 აპრილის აქციის ტერიტორიიდან პარლამენტის შენობის შიდა ეზოში გადაინაცვლა. ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოების გამო: პარლამენტის წინ მდებარე სივრცე სიმბოლური საზღვრებით ორადაა გაყოფილი. გარე სივრცე თავისუფლებისთვის გამართულ საპროტესტო აქციებს და ამ პროტესტის დროს დაღუპულ ადამიანებს უკავშირდება, შიდა სივრცე კი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამის გამო, შესაძლოა, ახალი ხელისუფლების ნაბიჯი აღნიშნავდა ტრადიციისგან დაშორებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წარსულზე საუბრისას მარგველაშვილს არც 9 აპრილი უხსენებია და არც საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის მნიშვნელობა.<sup>21</sup> ეს მოგვიანებით იმით გამოასწორა, რომ 2014 წელს 9 აპრილის აქციის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრებს პრეზიდენტის სასახლეში შეხვდა და წმ. გიორგის სახელობის ორდენები გადასცა.<sup>22</sup> თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს ორდენი საქართველოსთვის მოპოვებული გამარჯვებისთვის ენიჭებათ, მარგველაშვილის ქმედება შეიძლება განვმარტოთ, როგორც სიმბოლური აქტი, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ტრადიციის ტრიუმფალურ ხასიათს. ეს ნაბიჯი იმის მანიშნებელიც იყო, რომ პოლიტიკურ დისკურსში შევარდნაძისეული გზავნილი დაბრუნდა – საქართველომ წარსულში გაიმარჯვა და ბრძოლა დასრულდა.

ტრიუმფის ნარატივი მკაფიოდ ჩანდა მომდევნო პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვაშიც. საინტერესო ის იყო, რომ ზურაბიშვილი კიდევ უფრო დაშორდა აქციის დარბევის ტერიტორიას. საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიული თელავში გაიმართა და არა პარლამენტის ეზოში. ამ არჩევანის მნიშვნელობა მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ახალმა პრეზიდენტმა საკუთარი ხელისუფლების პერიოდი ერეკლე II მმართვე-

<sup>20</sup> „მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია - 2008 წლის 20 იანვარი,“ *YouTube*, 19 სექტემბერი, 2015, <https://bit.ly/33a2xlv> (ნანახია 17.20.2020).

<sup>21</sup> „გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია 17.11.2013,“ *YouTube*, 22 სექტემბერი, 2015, <https://bit.ly/3zNmz1y> (ნანახია 12.10.2020).

<sup>22</sup> რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „გიორგი მარგველაშვილი: ჩვენ არ ვივიწყებთ 9 აპრილის გმირებს,“ *რადიო თავისუფლება*, 9 აპრილი, 2014, <https://bit.ly/3qZtdOe> (ნანახია 12.08.2020).

ლობას შეადარა და აღნიშნა, რომ საქართველო ისტორიულ გზაჯვარედინზე იდგა. მან ახსენა საბჭოთა ოკუპაცია და რუსეთის მიერ საქართველოს ევროპასთან დაშორების მცდელობასაც გაუსვა ხაზი, თუმცა თავისუფლებისთვის ბრძოლაზე ან 9 აპრილის გმირებზე არ უსაუბრია. ზურაბიშვილმა მოკლედ ახსენა ზვიად გამსახურდიას როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში.<sup>23</sup> 2019 წელს, მოვლენიდან 30 წლისთავზე, ზურაბიშვილმა 9 აპრილისადმი მიძღვნილი მიღება გამართა სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში, სადაც მინვეული იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერები და 9 აპრილის აქციის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები. პრეზიდენტის სიტყვაში ჩანდა მოვლენის ტრავმული და ტრიუმფალური ელემენტები, თუმცა აქცენტი კვლავ ტრიუმფზე იყო გადატანილი: „9 აპრილის გარეშე არც რეფერენდუმი იქნებოდა, არც მაშინდელი დამოუკიდებლობა და არც დღევანდელი. როგორც აღდგომა მოჰყვება ვნების კვირასა და ქრისტეს ჯვარცმას, რეფერენდუმი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვება და ეფუძნება 9 აპრილის მსხვერპლსა და ტრაგედიას.“<sup>24</sup> ამ შეხვედრის დროს პრეზიდენტმა 9 აპრილს დაღუპულებს პატივი მიაგო და მათი სახელები ხმამაღლა ამოიკითხა. თუმცა, გამორჩა ერთ-ერთი დაღუპულის, თამარ ჭოველიძეს ხსენება, რამაც დაღუპულის მამა გაანანყენა და მან პროტესტის ნიშნად დატოვა მიღების ცერემონიალი. მიღების დასრულების შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სიაში ნამდვილად ეწერა თამარ ჭოველიძე და ეს, უბრალოდ, ტექნიკური ხარვეზი იყო.<sup>25</sup> მოგვიანებით კომენტარი გააკეთა თავად ზურაბიშვილმაც. მან აღნიშნა, რომ შეცდომაზე ყურადღების გამახვილება ნიშნავდა 9 აპრილის მთავარი მნიშვნელობის გადაფარვას: „28 წლის შემდეგ სახელმწიფო დონეზე ზემოთ აღინიშნა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმონერა. უზენაესი საბჭოს ყველა წევრი მოწვეულ იქნა და მათი წვლილი – ზვიად გამსახურდიას მეთაურობით – დამოუკიდებლობის გამოცხადებაში აღიარებულ იქნა! ამითი შერიგების, ერთმანეთის პატივისცემის, ნდობის და საქართველოს გაერთიანებისკენ ერთი ნაბიჯი გადაიდგა! გაცოცხლებული 9 აპრილის ძალა არ დაიჩრდილება და არც შენელებს.“<sup>26</sup> ამ განცხადებაშიც ჩანდა, რომ ახალი ხელისუფლების დისკურსში ბრძოლის გაგრძელების იდეა წარსულში საქართველოს გამარჯვების იდეამ გადაწონა.

სახელისუფლებო დისკურსში 9 აპრილის რეპრეზენტაციის ზემოთ განხილული მაგალითები კოლექტიური მეხსიერების მანიპულირების მკაფიო ნიმუშია და ადასტურებს, რომ „მეხსიერების ფაილი არასდროს არის დახურული, დამახსოვრების ახალი აქტების დროს ის შეიძლება მრავალჯერ გაიხსნას და რეკონსტრუირდეს.“<sup>27</sup>

<sup>23</sup> „სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია,“ *საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 29 დეკემბერი, 2018, <https://bit.ly/3n82Owm> (ნანახია 17.10.2020).

<sup>24</sup> „სალომე ზურაბიშვილმა თავისუფლების აქტზე ხელმომწერებს უმასპინძლა,“ *Imedi News*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3JfWa2gX> (ნანახია 16.01. 2021).

<sup>25</sup> ჟვანია, ლაშა. „ტექნიკური შეცდომაა რომ პრეზიდენტმა 9 აპრილის დაღუპულებს შორის ჭოველიძე არ ამოიკითხა,“ *Imedi News*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3r09duT> (ნანახია 16.01.2021).

<sup>26</sup> „სალომე ზურაბიშვილმა დღევანდელ ბრალდებებს უპასუხა,“ *Imedi News*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/32WiagO> (ნანახია 12.01.2021).

<sup>27</sup> Assmann, Aleida and Linda Shortt. “Memory and Political Change: Introduction,” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 3.

მიუხედავად აქცენტების ცვლილებისა, მეხსიერების არეების შექმნა 9 აპრილთან დაკავშირებით, რომელიც 90-იანებში შეწყდა, გაგრძელდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. ამ მოვლენამ მხოლოდ კონცეპტუალური სახე კი არ შეიძინა, არამედ *მეხსიერების ახალი გეოგრაფია*<sup>28</sup> შექმნა – ფიზიკური არეები მემორიალური ძეგლებით, საფლავის ქვებით, ახალი ტოპონიმიკით, სამუზეუმო ექსპონატებითა და რიტუალებით. მეხსიერების პოლიტიკა ირეკლავს 9 აპრილის გახსენების კოლექტიურ სურვილს, ხოლო საჯარო სივრცეში ამ სურვილის გამოხატვა „ყვირილია,“ რომელიც უწყვეტად გრძელდება და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ისმის.

### სამოქალაქო დაპირისპირება

9 აპრილისგან განსხვავებული სურათი გვაქვს სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით. ამ მოვლენისთვის ტრავმული მნიშვნელობის მინიჭება ვიწრო ჯგუფებში დაიწყო. როგორც ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებმა, ისე ოპოზიციურმა ჯგუფებმა დამნაშავედ მონინააღმდეგე მხარე წარმოაჩინეს. ვერც ერთმა შეძლო კავშირის გამოძებნა დანარჩენ საზოგადოებასთან, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. სამოქალაქო დაპირისპირების დროს ერთი ერის წარმომადგენლები იბრძოდნენ სხვადასხვა მხარეს. შეტაკებები წლების მანძილზე გრძელდებოდა და ორივე მხრიდან არაერთი სიცოცხლე შეინირა. 1992 წელს შეიარაღებული ოპოზიციის ლიდერი ჯაბა იოსელიანი აღნიშნავდა, რომ ქართველებს ერთმანეთთან არ უნდა ებრძოლათ, თუმცა გამსახურდიას ფაშისტური იდეოლოგიის მატარებლად მიიჩნევდა, მის თანამებრძოლებს მუქარის ტონით მოუწოდებდა წინააღმდეგობის შეწყვეტისკენ.<sup>29</sup> 1993 წელს ჩანერილ ინტერვიუში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მხარდამჭერი სამხედრო რაზმის წევრები აღნიშნავდნენ, რომ ისინი საქართველოს აღმშენებლობისთვის იბრძოდნენ და არა ქართველი ხალხის წინააღმდეგ: „ერთმანეთს ვესროლოთ, ერთმანეთი დავხოცოთ – მაი არაა ლამაზი. ვიყავით ამდენ ხანს საქართველოში და ვცხოვრობდით და არ გავგიყვია საქართველო და რა არი ახლა, მაინცდამაინც ჩვენ უნდა გევიყოთ?“<sup>30</sup> კონფლიქტური ინტერპრეტაციების შეთანხმება ვერ მოხერხდა. ტრავმის მნიშვნელოვან კომპონენტზე – დამნაშავისა და მსხვერპლის სახეებზე – დავამ ერთიანი ნარატივის შეკვრას ხელი შეუშალა, ამიტომ საზოგადოებას ფრაგმენტული მოგონებების სახით შემორჩა სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც პერიოდულად შეიარაღებული შეტაკების სახეს იღებდა და მსხვერპლით სრულდებოდა.

საზოგადოებაში გაცოცხლდა ბაზალეთის ომის ისტორიული სურათი, რომელშიც განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის ადამიანები ებრძოდნენ ერთმანეთს სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვის სახელით; კოლექტიურ წარმოდგენაში ვერ მოიძებნა შესაბამისი სახეები – რომელ მხარეს უნდა დარქმეოდა მტერი და რომელს – მსხვერპლი? მხატვრული ტექსტებისა და საგაზეთო პუბლიკაციების გარდა, ბაზალეთის ომის, როგორც ძმათა შორის დაპირისპირების მეტაფორას იყენებენ ისტორიულ ნარატივებშიც (გიორგი მჭედლიძე (1999) და

<sup>28</sup> დერეკ ოლდემენის ტერმინი (იხ. Alderman, “Creating a New Geography,” 51).

<sup>29</sup> იხ. ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან, 1992: „ჯაბა იოსელიანი: ადგილზე დაიხვრიტება პროვოკატორი,“ გიორგი კალანდიას არქივიდან, YouTube, 11 აგვისტო, 2019, <https://bit.ly/3f7dNSy> (ნანახია 16.01.2021).

<sup>30</sup> დათო ცინცაძის ინტერვიუ ვახტანგ (ლოთი) ქობალას რაზმის წევრებთან, 1993, YouTube, 4 ნოემბერი, 2012, <https://bit.ly/3JReM7n> (ნანახია 16.01.2021).

სხვა). დიმიტრი შველიძემ ბაზალეთთან ანალოგია მიუღებლად მიიჩნია, რადგან ჩათვალა, რომ მისი ტრაგიზმი 1990-იანი წლების კატასტროფამ გადაფარა: „უკანასკნელ დრომდე საქართველოს ისტორიაში ძმათამკვლელი ომის სიმბოლოდ ბაზალეთის ბრძოლა მიიჩნეოდა. [...] დღეის იქით ბაზალეთის ოდესლაც ტრაგედიად მიჩნეული ეპიზოდი მხოლოდ ფერმკრთალი ლაქალა ისტორიის ფურცლებზე, ხოლო ნამდვილი კატასტროფა, რომელსაც ტრაგედიაც ვერ დაერქმევა – ე.წ. თბილისის ომია.“<sup>31</sup>

1998 წელს, ეროვნული თანხმობის კომისიის ანგარიშის საფუძველზე, პარლამენტმა მიიღო დადგენილება;<sup>32</sup> მასში ნახსენები იყო „ძმათა შორის შეიარაღებული დაპირისპირება“ და ის, რომ მონაწილე მხარეები „სამშობლოსათვის იბრძოდნენ, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა.“ ეს იყო სამოქალაქო დაპირისპირების ინსტიტუციონალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ჩამოყალიბდა ნარატივი, რომელიც აჩვენებდა ტრაგემის არსებობას, დაზარალებულებს, მაგრამ მასში არ ჩანდა დამნაშავე. ამ ნარატივმა ვერ მოსპო მხარეთა უთანხმოება. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის ელიტამ გამსახურდიას მომხრეების შემორიგება სცადა, უფლებადამცველები მას ხშირად საყვედურობდნენ, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ბევრი ხარვეზი არსებობდა, რის ერთ-ერთ მაგალითად 2000-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოს ტყეებში გამსახურდიას შეიარაღებული მხარდამჭერების ყოფნას ასახელებდნენ.<sup>33</sup>

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ღიად დაიწყო საკუთარი პოლიტიკური მმართველობის დაკავშირება გამსახურდიას ეპოქასთან და მეხსიერების მობილიზაცია ერის მშენებლობის პროცესის ხელშესაწყობად. 2004 წლის ეროვნული თანხმობის დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ „პირველად უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა სახელმწიფოებრიობის, კანონიერებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლაში 1991-92 წლების ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაპირისპირებული მხარეების ერთად დადგომა.“<sup>34</sup> ამ ფრაზაში ჩანდა, რომ ახალი ელიტაც სამოქალაქო დაპირისპირებას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოქალაქეთა დაპირისპირებად განიხილავდა, რომლებიც სამშობლოსთვის იბრძოდნენ. ამასთანავე, დეკლარაციამ კავშირი გააბა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ ხელისუფლებასა და 2004 წლის იანვარში არჩეულ ხელისუფლებას შორის, რაც ერთი მხრივ, გამსახურდიას მომხრეთა გულის მოგებას ისახავდა მიზნად, მეორე მხრივ, კი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერებას.

სამოქალაქო დაპირისპირებაზე საუბარი დღემდე ინვესს ცხარე დებატებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. ამ წინააღმდეგობის გამო, სამოქალაქო დაპირისპირებას შეიძლება რთული წარსული ვუნდოთ. ვერედ ვინიცკი-

<sup>31</sup> შველიძე, დიმიტრი. *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამბობა საქართველოში. 1987-1992* (თბილისი: არტანუჯი, 2021), გვ. 4-5.

<sup>32</sup> საქართველოს პარლამენტის „დადგენილება 1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“, *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 20 აპრილი, 2000, <https://bit.ly/3q6ggCQ> (ნანახია 15.08.2020).

<sup>33</sup> ლიკვიკაძე, კობა. „ახალი ხელისუფლების ტაქტიკა ეროვნული თანხმობის მისაღწევად“, *რადიო თავისუფლება*, 9 დეკემბერი, 2003, <https://bit.ly/3n8G7ID> (ნანახია 20.08.2020).

<sup>34</sup> ცომაია, ლილა. *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამბობა* (თბილისი: მერიდიანი, 2018), გვ. 235.



სერუსი ამ ტერმინით მოიხსენიებს მოვლენებს, რომელთაც არ აქვთ საზიარო მნიშვნელობა საზოგადოებაში, რის გამოც მათი გახსენება იწვევს მორალურ ტრავმას, დაძაბულობას და კონფლიქტებს.<sup>35</sup> რთულ წარსულთან გასამკლავებლად საზოგადოებებს განსხვავებული სტრატეგიები აქვთ. სამოქალაქო დაპირისპირების მაგალითი აჩვენებს, რომ საქართველოში რთულ წარსულთან გამკლავების სტრატეგიას წარმოადგენს არასასიამოვნო მოვლენის არგახსენება.

ფუკოს თანახმად, სიჩუმე დისკურსის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გვარჩევინებს საზოგადოებაში დანესებულ ზღვარს, მისი დაცვა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან იძულებითი.<sup>36</sup> სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით არჩევანის შესაძლებლობაზე ყოველთვის ვერ ვისაუბრებთ, რამდენადაც ცალკეული ჯგუფები ცდილობენ შეზღუდვების გადალახვას, სიჩუმის დარღვევას. 1992 წლიდან დღემდე, გამსახურდიას მომხრეები ინარჩუნებენ კოლექტიური სიბრაზის ემოციას მონინაალმდეგეთა მიმართ. თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში კოლექტიური სიბრაზე განიმარტება, როგორც პასუხი მორალურად არასწორ ქმედებაზე. მისი მატარებელი ჯგუფები არ ავლენენ პატიების ან შერიგების სურვილს და წარსულის ტყვეებად რჩებიან. ტომას ბრუდჰოლმის სიტყვით, ეს მდგომარეობა ჰიპერმგრძობლობით ხასიათდება, თვითდამანგრეველია, წარმოშობს ილუზიებს, იწვევს შურისძიების, ზიზლის, სიძულვილის განცდას.<sup>37</sup> კოლექტიური სიბრაზის დაძლევის ერთ-ერთ გზად დამნაშავე ჯგუფის მიერ დანაშაულზე პასუხისმგებლობის აღება მოიაზრება, რისკენაც მეოცე საუკუნის შერიგების მოძრაობები მიისწრაფვოდნენ, თუმცა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს არ არის საკმარისი პირობა პატიებისთვის და ინდივიდები ყოველთვის მზად არ არიან შერიგებისთვის. კოლექტიური დანაშაულის ცნება ორ მდგომარეობას აერთიანებს – დანაშაულის ემოციას და პასუხისმგებლობას.<sup>38</sup> საქართველოში, დროთა განმავლობაში, კოლექტიური დანაშაულის ემოცია გაჩნდა, რაზეც მეტყველებს სამოქალაქო დაპირისპირების მონაწილეთა ინტერვიუები. ლეილა ცომიას მოჰყავს ციტატა ყოფილი მხედრიონელის შაიშმელაშვილის 1999 წლის გამოსვლიდან: „ჩვენ, მხედრიონელები, უსინდისოდ მოგვატყუეს და გამოგვიყენეს.“<sup>39</sup> თუმცა ოფიციალურად პასუხისმგებლობა არავის აუღია. ამის გამო, სამოქალაქო დაპირისპირების გახსენება ქმნის რისკს მისი ხელახალი გაღვივებისთვის და პოლიტიკური ელიტები მასზე დუმილს არჩევენ.

გაი ბენერი აღნიშნავს, რომ მეხსიერებათა დაპირისპირების დროს გახსენება პირად სივრცეშია შემონახული, თუმცა პერიოდულად, შეიძლება, საჯარო სივრცეშიც ამოტივტივდეს. ამ დროს მას მოდევს პასუხი დავინყების ადვოკატთა მხრიდან, რის გამოც გახსენება კვლავ პირად სივრცეში გადაინაცვლებს. ავტორი კოლექტიურ მეხსიერებას დავინყებისა და გახსენების მუდმივ ვარიაციად წარმოადგენს და აღნიშნავს, რომ სოციალური სიჩუმის შესწავლას შეუძლია

<sup>35</sup> Vinitzky-Seroussi, Vered. “Commemorating a Difficult Past: Yitzhak Rabin’s Memorials,” *American Sociological Review* 67, no. 1 (February, 2002): p. 31.

<sup>36</sup> Foucault, Michel. *The History of Sexuality, Volume I. An Introduction* (New York: Pantheon Books, 1978), p. 27.

<sup>37</sup> Brudholm, Thomas. *Resentment’s Virtue. Jean Amery and the Refusal to Forgive* (Philadelphia: Temple University Press, 2008), p. 11.

<sup>38</sup> Lickel, Brian et al. “The Evocation of Moral Emotions in Intergroup Context. The Distinction between Collective Guilt and Collective Shame,” *Collective Guilt: International Perspectives*, ed. Nyla R. Branscombe and Bertjan Doosje (Cambridge: Cambridge University Press, 2004), p. 35-38.

<sup>39</sup> ცომია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას..., გვ. 375.

გვაჩვენოს, „რა ხდება სცენის მიღმა, როცა საზოგადოება ცდილობს, ან თავს იტყუებს მცდელობით, თითქოს დაივიწყა არასასიამოვნო ისტორიული ეპიზოდები, მაგრამ, სინამდვილეში, მათ მდუმარედ ინახავს.“<sup>40</sup> სამოქალაქო დაპირისპირების გახსენება მკაფიოდ ერგება სოციალური სიჩუმის ფენომენს. დაპირისპირება, ერთი მხრივ, გამსახურდიას მომხრეებისა და მათი ოპოზიციის მესხიერებებს შორის, მეორე მხრივ კი ორივე ჯგუფის მესხიერების დათრგუნვა პოლიტიკური ელიტების მხრიდან ხელს უშლის სამოქალაქო დაპირისპირების საჯარო სივრცეში გამოჩენას.

სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით სოციალური სიჩუმის ფენომენს ნათლად გამოხატავს მესხიერების არეების არარსებობა, რომლებიც ომის გახსენებას ვიზუალურ სახეს მისცემდა. არც ახალი სახელწოდებები გაჩენილა ტოპონიმიკაში, არც მონუმენტები და, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არც სამუზეუმო ექსპონატები ან მემორიალური ქვები დაღუპულთა საფლავებზე.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ომის ამოშლა კოლექტიური მესხიერებიდან სხვადასხვა სოციალურმა ჯგუფებმა ერთხმად გადანყვიტეს. თუმცა მესხიერების არეების არარსებობა სოციალურ შეთანხმებას არ ნიშნავს. მესხიერების ადგილების შექმნაზე დაკვირვება სხვა სურათს გვაჩვენებს: დავიწყების მომხრეები (სხვადასხვა დროის პოლიტიკური ელიტა, გამსახურდიას ოპოზიცია) სიჩუმის დაცვას ესწრაფვიან, მოსახლეობის მცირე ჯგუფის მესხიერების ხმა სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით კი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩურჩულს ჰგავს.

### მესხიერების არეების შექმნა – 9 აპრილი

**მემორიალები.** 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, მონუმენტური მესხიერების არეების შექმნა მალევე დაიწყო. საქართველოს სახალხო ფრონტმა 1989 წელს წარადგინა წინადადება მთავრობის სასახლის (ახლანდელი პარლამენტის შენობა) წინ მდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით და ამ ადგილზე 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის აგება მოითხოვა. თბილისის საქალაქო აღმასკომის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში ამ ინიციატივის ავტორები წერდნენ: „მოედნის რეკონსტრუქციისა და მემორიალის აგებას ორგანიზაციულად უნდა უხელმძღვანელოს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. მემორიალი უნდა აშენდეს მხოლოდ სახალხო შემოწირულებათა ხარჯზე. საჭიროა გამოცხადდეს ღია კონკურსი მოედნის რეკონსტრუქციისა და მემორიალის საუკეთესო პროექტის გამოსავლენად. ბანკში უნდა გაიხსნას ანგარიში კერძო პირებისა და ორგანიზაციების შემოწირულებათა მისაღებად. კონკურსი რაც შეიძლება სწრაფად და ერთობლივად უნდა გამოაცხადონ საქართველოს სახალხო ფრონტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.“ მიუხედავად ძლიერი ემოციური მუხტისა, ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა და ტრაგედიის ადგილას სიმბოლური გრანიტის ქვა განთავსდა, წარწერით: „9 აპრილს დაღუპულ მამულიშვილთა მემორიალი.“<sup>41</sup>

<sup>40</sup> Beiner, Guy. *Social Forgetting and Vernacular Historiography of a Rebellion in Ulster* (Oxford: Oxford University Press, 2018), p. 28.

<sup>41</sup> რეზივამვილი, ჯიმშერ. „სისხლიანი აპრილის საგაზეთო ქრონიკა,“ *რადიო თავისუფლება*, 8 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3n6mjFv> (ნანახია 10.05.2020).

ამავე წლიდან, ეროვნული მოძრაობის რაიონულმა ორგანიზაციებმა მემორიალური ქვების განთავსება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოს სათავეში კომუნისტური ხელისუფლება ედგა, მემორიალების განთავსებისთვის მას ხელი არ შეუშლია. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ 9 აპრილის მნიშვნელობას საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებაც აცნობიერებდა.

პირველი მემორიალების სახით შავი გრანიტის ქვები დაიდგა (მაგალითად, 9 აპრილის მემორიალი ქ. ცაგერში, 1989).<sup>42</sup> მემორიალური ქვების დადგმა 1990 (ადიგენში, ამბროლაურში, გორში, თერჯოლაში, წყალტუბოში)<sup>43</sup> და 1991 (აბაშაში, ხაშურში)<sup>44</sup> წლებშიც გაგრძელდა.

1992 წლის მეორე ნახევრიდან მეხსიერების არეების შექმნა დროებით შეჩერდა, რის მიზეზი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამოქალაქო დაპირისპირება და ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ეთნიკური კონფლიქტები იყო. ახალ ხელისუფლებას საკუთარი ავტორიტეტის გამყარება სურდა, რასაც ზვიად გამსახურდიას სახელთან დაკავშირებული მეხსიერების არეების შექმნა ხელს ვერ შეუწყობდა. 1994 წლიდან მეხსიერების პოლიტიკა ტერიტორიული კონფლიქტების გახსენებაზე გადაერთო და საქართველოს რეგიონებში ახალი მემორიალური ქვები გაჩნდა, რომელიც მოსახლეობას ეროვნული გმირების შესახებ მოუთხრობდა.

9 აპრილთან დაკავშირებული მემორიალური ქვების განთავსება გაგრძელდა ვარდების რევოლუციის შემდეგ (ქედაში 2007,<sup>45</sup> დუშეთსა<sup>46</sup> და ჩხოროწყუში<sup>47</sup> – 2010). 2009 წელს მარტვილის N 2 საჯარო სკოლის ეზოში განთავსდა 9 აპრილის აქციის დარბევისას დაღუპული აზა ადამიას ბიუსტი.<sup>48</sup> მეხსიერების პოლიტიკის მნიშვნელობა სააკაშვილის ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და 9 აპრილი იყო ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა, რომელსაც კოლექტიური მეხსიერების შექმნის დროს განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ. ეს ხაზი გაგრძელდა მარგველაშვილის და ზურაბიშვილის პრეზიდენტობის დროსაც. 9 აპრილის მემორიალების განთავსება არ შეწყვეტილა მომდევნო პერიოდებშიც (ბათუმში, აბაშაში, ხაშურში, ახალქალაქში).<sup>49</sup>

<sup>42</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო (წერილი ნომრის გარეშე), 13 მაისი, 2020.

<sup>43</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N1535/09, 1 მაისი 2020; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N61, 7 ივლისი, 2020; გორის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N03/129, 2 ივნისი, 2020; თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N46/70, 30 ივნისი, 2020; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N31/1864, 8 მაისი, 2020.

<sup>44</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი 03/84, 18 მაისი, 2020; აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N07/59, 28 აპრილი, 2020.

<sup>45</sup> ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N04/31, 23 მარტი, 2020.

<sup>46</sup> დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N13/6339, 13 აპრილი, 2020.

<sup>47</sup> ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო (წერილი ნომრის გარეშე), 20 აპრილი, 2020.

<sup>48</sup> მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, წერილი N03-1644, 29 აპრილი, 2020.

<sup>49</sup> ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N220-12, 24 მარტი, 2020; აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N07/59, 28 აპრილი, 2020; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N44/14, 16 აპრილი, 2020; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო (წერილი ნომრის გარეშე), 20 აპრილი, 2020; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N03/84, 18 მაისი 2020.

**საფლავის ქვები.** 9 აპრილის ტრაგედიას 21 ადამიანი ემსხვერპლა. მათი დიდი ნაწილი თბილისში, ნაწილი კი მშობლიურ რაიონში დაკრძალეს. დაღუპულთა საფლავებზე, მოსახლეობაში შეკრებილი ფულით, შავი მარმარილოს ქვები განთავსდა, წარწერით: „9 აპრილი, ქართველი ერისგან.“<sup>50</sup> ამ ფრაზაში ნათლად იკითხება ტრავმის ეროვნული მნიშვნელობა და დაღუპულთა სიმბოლური კავშირი მთლიანად საქართველოსთან. საფლავის ქვების განთავსება კი მადლიერების გამოხატვას აღნიშნავს მათდამი, ვინც საკუთარი სიცოცხლე გაიღო დამოუკიდებლობისთვის; ამავე დროს, ეს არის დაპირება, რომ ქართველები ამ მსხვერპლს არ დაივიწყებენ.

დაღუპულთა საფლავებზე გვხვდება სხვა ეპიტაფიებიც. მაგალითად, ნინო თოიძის საფლავზე ოზურგეთის რაიონის მაცხოვრებლებმა მარმარილოს დაფა განათავსეს, რომელზეც ამოტვიფრულია ამონარიდი გიზო ჭელიძის ლექსიდან:

„საუკუნეებს გაჰყვება კვნესა,  
შენებრ უმანკო ლამაზ გოგოთა,  
შენ პირველი ხარ ოზურგეთიდან,  
ასე მძიმე რომ ზიდე გოლგოთა.“<sup>51</sup>

ამ სტროფში იკითხება ადგილობრივთა სიამაყე, რადგან ერთ-ერთი დაღუპული სწორედ მათი რეგიონიდანაა და ოზურგეთელები საკუთარ ვალს იხდიან სამშობლოს წინაშე. სიმბოლურია ლექსში გამოყენებული მეტაფორებიც – 9 აპრილის ტრაგედია ჯვარცმასთან ასოცირდება, ნინო თოიძის დაღუპვა კი იესოს ტანჯვასთან, რომელმაც ჯვარი გოლგოთამდე ზიდა და საკუთარი ტანჯვით ხსნა მოიტანა დედამიწაზე.

სიმბოლური დაფა მიუძღვნეს აქციის დროს დაღუპულ ნატო გიორგაძესაც ჩოხატაურის რაიონის მაცხოვრებლებმა, ლექსით:

„მტერს სიმღერით შეეგებეთ, თქვენ გაქცევა დაიმორცხვეთ,  
რუსთაველის ასულებო, რუსთაველზე დაიხოცეთ.  
რუსთაველის ასულებო ჯალათები მოგერიათ,  
ქართველები რუსთაველზე მარად ცოცხალს მოგელიან.“<sup>52</sup>

ამ სტროფებში მკაფიოდ ჩანს საზოგადოებაში არსებული წარმოდგენები – დაღუპულები მტერს ამალღებული განწყობით ეგებებიან, არ სურთ უკანდახევა და, რაც მთავარია, სამშობლოსთვის გარდაცვალებით ისინი მარადიული სიცოცხლეს მოიპოვებენ.

**სახელწოდებები.** ტოპონიმულაში 9 აპრილის სახელი 1989 წლიდან აისახა. თავდაპირველად ამ ინიციატივას სახალხო დეპუტატთა საბჭოები ჩაუდგნენ სათავეში, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პოლიტიკურმა ელიტებმა განაგრძეს მხსენიერების არეების შექმნა.

თბილისში ყოფილი ალექსანდრეს (შემდგომში კომუნარების) ბაღის ერთ-

<sup>50</sup> იხ. მაგ.: თინა ენუქიძის საფლავის ფოტო, *Geonecropol.com*, <https://bit.ly/3n8UuMZ> (ნანახია 14.05.2021).

<sup>51</sup> ჭელიძე, გიზო. „დღეს შენს სახელზე სანთლებს ანთებენ! (ნინო თოიძის ხსოვნას)“ (დაწერილია 15 აპრილს, 1989, გამოქვეყნდა გაზეთ „ლეხორში“, 9 აპრილს, 1990), გაზეთ *ალიონის ფეისბუქის გვერდი*, 8 აპრილი, 2020, <https://bit.ly/32UNNaA> (ნანახია, 20.07. 2020).

<sup>52</sup> ნატო გიორგაძის საფლავის ფოტო ვებგვერდზე *Geonecropol.com*, <https://bit.ly/3r4XPh0> (ნანახია 20.07.2019).

ერთ მონაკვეთს 9 აპრილის სახელი ეწოდა. ამჟამად, ბალის შესასვლელში დგას მინის დაფა, რომელიც მნახველებს ადგილის ისტორიას აცნობს და სახელის ცვლილების შესახებ აწვდის ინფორმაციას. 9 აპრილის სახელს ატარებს ქუჩა პარლამენტის გვერდით. ამ ადგილების სახელდების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონულ არქივში ინფორმაცია არ იძებნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელდება 2006 წლამდე უნდა მომხდარიყო.<sup>53</sup>

1989 წელს 9 აპრილის სახელი დაერქვა სხვადასხვა ქუჩებს საქართველოში (ხაშურში, წყალტუბოში, გორში).<sup>54</sup> ეს პროცესი 1990 (ბაღდათში, თერჯოლაში, საჩხერეში),<sup>55</sup> 1991 (ცაგერში)<sup>56</sup> და 1992 (ქედაში)<sup>57</sup> წლებშიც გაგრძელდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტოპონიმშიკაში ამავე პერიოდიდან გამოჩნდა 9 აპრილის აქციის დარბევისას დაღუპულთა სახელები. 1991 წელს ეკა ბეჟანიშვილის, 1992 წელს კი თამარ ჭოველიძის სახელები ეწოდა ქუჩებს თბილისში.<sup>58</sup> ქუჩის სახელწოდებებთან ერთად, გაჩნდა 9 აპრილის სახელობის სკვერებიც (საჩხერეში)<sup>59</sup>. საინტერესოა ისიც, რომ 9 აპრილთან ერთად საჯარო სივრცეში გამოჩნდა მერაბ კოსტავას სახელიც (მერაბ კოსტავას ქუჩა თბილისში – 1989, გორსა და საჩხერეში – 1990).<sup>60</sup>

მემორიალების მსგავსად, 1992 წლის მეორე ნახევრიდან აღარ გაჩენილა ახალი სახელწოდებები 9 აპრილთან დაკავშირებით. მეხსიერების პოლიტიკა ამ მიმართულებითაც ვარდების რევოლუციის შემდეგ განახლდა. 2006 წელს მთაწმინდის რაიონში მდებარე ქუჩას 1989 წლის 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის სახელი დაარქვეს.<sup>61</sup> 2019 წელს კი, 9 აპრილის 30 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის 6 ქუჩას დაღუპული ქალების მზია ჯინჭარაძის, თამუნა დოლიძის, თინა ენუქიძის, მანანა ლოლაძის, ელისო ჭიპაშვილისა და თამარ მამულაშვილის სახელები ეწოდა.<sup>62</sup>

**მუზეუმები** მეხსიერების მნიშვნელოვანი არეებია. მათში ყველაზე ცხადად ჩანს, რომელი ისტორიული მოვლენებია მიჩნეული საზოგადოების კულტურულ მეხსიერებაში გადასატანად. 9 აპრილმა მუზეუმებშიც თავიდანვე დაიმკვიდრა ადგილი. ჩოხატაურის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში აქციის დროს დაღუპული ნატო გიორგაძის ფოტო 1989 წელს გამოფინეს, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის კონფლიქტების შემდეგ მას ომში დაღუპული ჯარისკაცების ფოტოებიც დაემატა და ასე შეიქმნა 1990-იან წლებ-

<sup>53</sup> თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N03-03200928, 1 აპრილი, 2020.

<sup>54</sup> ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი 03/84, 18 მაისი, 2020; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N31/1864, 8 მაისი, 2020; გორის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი 03/129, 2 ივნისი, 2020.

<sup>55</sup> თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი 46/70, 30 ივნისი, 2020; ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია (წერილი ნომრის გარეშე), 18 ივნისი, 2020; საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N54/101, 19 ივნისი, 2020.

<sup>56</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო (წერილი ნომრის გარეშე), 13 მაისი, 2020.

<sup>57</sup> ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N04/31, 23 მარტი, 2020.

<sup>58</sup> *ენციკლოპედია თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები*, ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (თბილისი: 2008), გვ. 33, 31.

<sup>59</sup> საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N54/101, 19 ივნისი, 2020.

<sup>60</sup> გორის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N03/129, 2 ივნისი, 2020; საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N54/101, 19 ივნისი, 2020.

<sup>61</sup> *ენციკლოპედია თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები*, გვ. 30.

<sup>62</sup> „თბილისის ქუჩებს 9 აპრილის მსხვერპლთა სახელები მიენიჭება,“ რადიო თავისუფლება, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3f8PP9r> (ნანახია 12.07.2020).

ში მუდმივი გამოფენა სახელწოდებით „სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია,“ რომლის დათვალიერება მნახველს დღესაც შეუძლია.<sup>63</sup>

აბაშაში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში, 1990-იანი წლებიდან განთავსებულია 1980-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ამსახველი ფოტომა-სალა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ასლთან ერთად, ხოლო ამავე მუნიციპალიტეტში მდებარე სიმონ ჩიქოვანის სახლ-მუზეუმში 2014 წელს განთავსდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ასლი. პერიოდულად, ორივე მუზეუმი აწყობს თემატურ გამოფენებს 1989 წლისა და 1991 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით.<sup>64</sup>

ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 2000-იან წლებში განთავსდა ფოტორეპროდუქცია, რომელიც ასახავს 9 აპრილს და ტერიტორიულ კონფლიქტებს. მისი დახმარებით მუზეუმის თანამშრომლები საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ სკოლის მოსწავლეებისთვის. ამასთანავე, ყოველწლიური თარიღების მოახლობისას, მუზეუმი 9 აპრილისადმი მიძღვნილ გამოფენებსაც აწყობს.

თელავის ისტორიული მუზეუმის ფონდში დაცულია ფოტომასალა, რომელიც ასახავს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას და 1991 წლის 26 მაისის დემონსტრაციას თელავში. ფოტოების ნაწილი 1995 წელს თანამშრომელთა, ნაწილი კი 2004 წელს სახელმწიფოს ინიციატივით განთავსდა მუზეუმში, რომელიც ამ მასალებს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების დროს იყენებს.

ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა 1990 წელს დაამზადეს სტენდი, რომელზეც გამოკრულია 9 აპრილის აქციის დროს დაღუპულთა ფოტოები, მცირე ბიოგრაფიებით. სტენდის დათვალიერების საშუალება მუზეუმის სტუმრებს ყოველი წლის 9 აპრილს ეძლევათ. მუზეუმი საგანმანათლებლო პროგრამებსაც ატარებს სკოლის მოსწავლეებისთვის და აპრილის ტრაგედიის შესახებ მოუთხრობს.<sup>65</sup>

ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1989 წლიდან დაცულია 8 აპრილს საჩხერეში გამართული სოლიდარობის აქციისა და 9 აპრილის მიტინგის დარბევის ამსახველი ფოტომასალა. ასევე ინახება 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფოტოები, რომელთაც ახლავს მათივე ლექსები „მამულო ჩემო“ და „წმინდა გიორგი.“ ეს ვიზუალური მასალები ერთ მთლიან კომპოზიციაშია გაერთიანებული და განთავსებულია საქართველოს შინდისფერი დროშის ქვეშ. ამავე კომპოზიციის ნაწილს წარმოადგენს თეთრ ტილოზე საღებავით მიწერილი აკაკი წერეთლის ლექსის ფრაგმენტიც:

„დამეხსენი, ჩრდილოელო,  
რა მაქვს შენთან საზიარო,  
თვით ოხერო, მოუვლელო,  
როგორ გინდა მომიარო.“<sup>66</sup>

<sup>63</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა ნათია კალანდაძემ, 22 ივლისი, 2020.

<sup>64</sup> აბაშის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N01-10203089, 3 ნოემბერი, 2020.

<sup>65</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა ხარაგაულის მაცხოვრებელმა ანა დეკანოსიძემ, 23 ოქტომბერი, 2020.

<sup>66</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა ჯურხა ნადირაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა თამარ კაციტაძემ, 5 ნოემბერი, 2020.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორი მუზეუმი – იოსებ ნონეშვილის სახელობის და დიდების საბრძოლო მემორიალური მუზეუმი – ყოველწლიურად აღნიშნავს 9 აპრილს, 1989 წლის ტრაგედიისა და 1991 წლის დამოუკიდებლობის მოპოვების პატივსაცემად. მუზეუმის თანამშრომლები სკოლის მოსწავლეებისთვის შემეცნებით სემინარებს მართავენ. იოსებ ნონეშვილის სახელობის მუზეუმი კი გასვლით ტურებსაც აწყობს კარდენახში მდებარე 9 აპრილის მემორიალთან.<sup>67</sup>

მეხსიერების პოლიტიკის კუთხით, გამორჩეულია საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი, რომელიც 2006 წელს დაარსდა. მუზეუმში ინახება მემორიალური ნივთები – 9 აპრილის დარბევის დროს გამოყენებული ნიჩბები, მომწამლავი გაზის კოლოფები, საბჭოთა ჯარისკაცების ჩაფხუტები. ეს საგნები შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს და მნახველს ტრაგედიის სიმძიმეს აგრძნობინებს. ამავე საგნების გვერდით განთავსებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამსახველი დოკუმენტები და ზეიმის ამსახველი ფოტომასალა. ექსპონატების განლაგება დამთვალეობას აჩვენებს 9 აპრილის ორმაგ მნიშვნელობას ქართული საზოგადოებისათვის – ტრავმულს და ტრიუმფალურს.

**ტრაგედიის ადგილი – თბილისი.** კოლექტიურ მეხსიერების ჩამოყალიბებაში დიდია იმ ადგილების როლი, სადაც გასახსენებელი მოვლენები განვითარდა. ამ შემთხვევაში, სივრცე სიმბოლოებითაც (მონუმენტები, სახელწოდებები და ა.შ.) რომ არ მოინიშნოს, საზოგადოების აღქმაში იგი თავისთავად იძენს საკრალურ მნიშვნელობას. ამ ადგილების შესახებ ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა და ისეთ ძლიერ კვალს ტოვებს კოლექტიურ წარმოდგენებში, რომ ინდივიდებს, ვინც არ მოსწრებია მოვლენას და მის გასახსენებლად მხოლოდ წინაპართა მოგონებები აქვთ შემორჩენილი, ემოციური დამოკიდებულება უყალიბდებათ. მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის გასახსენებლად მეხსიერების არეები მთელ საქართველოში შეიქმნა, ყველაზე ძლიერ დატვირთვას თბილისში, პარლამენტის წინ მდებარე რუსთაველის გამზირის ნაწილი ატარებს. სწორედ აქ მოეწყო აპრილის დემონსტრაციები 1989 წელს და აქვე დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები.

გარდა იმისა, რომ ამ ქუჩაზე შეკრება კომუნისტური პარტიისთვის ხმის მიწვევის საუკეთესო საშუალება იყო, მას სხვა, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც *პერესტროიკის* ბოლო წლებში საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მანამდე მიჩქმალული ფაქტები წარსულიდან. 1921 წლის 23 თებერვალს ბოლშევიკებთან მეტრძოლი ახალგაზრდები და მათთან ერთად დაღუპული მოწყალეების და მარო მაცაშვილი რუსთაველის გამზირზე მდებარე სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს. მათ საფლავებს საზოგადოების ნაწილი ბოლშევიკებთან ბრძოლის სიმბოლოდ განიხილავდა, თავად ახალგაზრდების დაღუპვას კი საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგალითად, ცნობილი ქართველი პოეტი ტიცვიან ტაბიძე, მარო მაცაშვილის შესახებ წერდა: „თითქო სინმინდემ აკურთხა პირველი უმანკო სისხლით ქართული ფრონტი და ისიც

<sup>67</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა ა(ა)იპ გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებამ, N31, 23 ოქტომბერი, 2020.

მარიამისა.<sup>68</sup> ახალგაზრდა ქალის სიკვდილი ტკივილთან და მწუხარებასთან არ ასოცირდება, მას განმწმენდი ძალა აქვს და გზას ულოცავს სამშობლოსთვის თავდადებულ ჯარისკაცებს მომავალი ბრძოლისთვის. ამ მოსაზრებას აძლიერებს ტიციანის შემდგომი ფრაზაც: „სამშობლოს სიყვარულით კიდევ ბევრ ლანდს გააჩენს ჟანა დარკისა და კიდევ მეტ სასნაულს პატრიოტიზმისას. [...] მეგობრები ალბათ დიდხანს დაიმახსოვრებენ განსვენებულის ხსოვნას და ბევრსაც დასწერენ მის გატაცებაზე – მაგრამ მაინც ვერ მონახავენ სიტყვებს, გამოიტირონ მეგობარი, რომელსაც უდიდესი პატივი ერგო საქართველოში, როცა გარემოცული ტფილისი სტიროდა ერთხმად მის დაკარგვაზე.“<sup>69</sup> ამ სტრიქონებში ირეკლება თავისუფლებისთვის მსხვერპლშენიერვის იდეა, რაც არ არის დანახული როგორც ტრაგედია, პირიქით – სამშობლოსთვის დაღუპვა პატივია, რომლის დატირება სამგლოვიარო სიტყვებით არ შეიძლება. ეს სტროფი ასახავს ქართველთა კოლექტიურ წარმოდგენას სამშობლოსთვის დაღუპულთა შესახებ და აჩვენებს, რომ ბრძოლის დროს სიკვდილით მარადიული სიცოცხლე მოიპოვება. მხატვრული ენა ზუსტად ასახავს დაპირებას მომავალში გახსენებასთან დაკავშირებით: „ბევრს დასწერენ“ სხვა არაფერია, თუ არა დაღუპულთა სახელების კოლექტიურ მახსიერებაში შემონახვის დაპირება. თუმცა ქართველებს არ დასცალდათ მისი შესრულება. საბჭოთა ხელისუფლებას ბოლშევიკებთან დაპირისპირების მეხსიერების არსებობა არაფერში სჭირდებოდა, ამიტომ მთავრობის სასახლის აშენება ზუსტად იმ ადგილას გადაწყვიტა სადაც თბილისის მისადგომებთან მეზობლები იყვნენ დაკრძალული. 1930 წლის 7 თებერვალს კომუნისტებმა ტაძარი დაანგრეს და მის ნაცვლად მთავრობის სასახლე ააშენეს, ისე რომ დაღუპულთა ნეშტები არ გადაუსვენებიათ. ვერც ოჯახის წევრებმა გაბედეს მათთვის ხელის ხლება.<sup>70</sup> ასე დაიკარგა საფლავები, ისინი ახალი ნაგებობის ქვეშ მოექცა.<sup>71</sup> ეს იყო მეხსიერების წაშლის მაგალითი, ბოლშევიკებთან მეზობლად ჯარისკაცთა ხსოვნა კომუნისტური სიმბოლოებით გადაიფარა და ათწლეულობით დაიკარგა საჯარო დისკურსიდან.

1989 წლის აქციის დარბევის შედეგად დაღუპულებს, დემოკრატიული საქართველოს დროშა გადააფარეს და ისეთი პატივით დაკრძალეს, როგორც სამშობლოსთვის დაღუპულ გმირებს შეეფერებოდათ. 9 აპრილმა უჩინარ საფლავებს თითქოს ხილული იერი შესძინა. ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პლაკატზე, რომელიც ერთი წლის შემდეგ შეიქმნა, 3 წლის გოგონას – სალომე მაცაშვილის პორტრეტი იყო გამოსახული, ხელში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშით.<sup>72</sup> გამსახურდიას შემთხვევით არ შეურჩევია გოგონა მაცაშვილების ოჯახიდან. ეს პორტრეტი მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, მარო მაცაშვილის ხსოვნის აღორძინებას და იმის ხაზგასმას, რომ 1980-იანი წლების ეროვ-

<sup>68</sup> საქართველო, 23 თებერვალი, 1921, N 42, გვ. 1.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> კალანდაძე, ანა. „პარლამენტის შენობის აშენების საინტერესო დეტალები და ისტორია,“ რეიტინგი, 2 მარტი, 2015, <https://bit.ly/3GmWEzW> (ნანახია 07.08. 2020).

<sup>71</sup> ჩხარტიშვილი, ლელა. „ინტერვიუ ეროვნული გმირი მარო მაცაშვილის დის შვილთან - თამარ ერისთავთან,“ საქართველოს სამეფო (ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3F9Rw0I> (ნანახია 07.08. 2020)

<sup>72</sup> ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას..., გვ. 11.



ნულმა მოძრაობამ 1921 წელს დაწყებული ბრძოლა გააგრძელა, მეორე მხრივ კი იმ იდეასაც ატარებდა, რომ ამ ბრძოლას ჰქონდა დიდი მომავალი – საქართველოს გამარჯვება.

ამ კავშირის გაბმით, მთავრობის სასახლის წინ მდებარე გამზირი წარსული-სა და აწმყოს გამაერთიანებელ, საბედისწერო ადგილად გადაიქცა. მაგალითად, 2009 წელს პოლიტიკოსი გიორგი გუგავა საბჭოთა შენობების არსებობის დილემას შემდეგი კომენტარით გამოეხმაურა: „ახლანდელი პარლამენტის შენობაც ხომ იუნკრების საფლავებზეა აგებული, იქ თავის დროზე ეკლესიაც იდგა. ალბათ, ამიტომაც გამოდგა ცოდვიანი ეს ადგილი და დღესაც იგივე მეორდება: წინაპართა ძვლებზე აგებენ შენობებს, რომლებიც ადრე თუ გვიან დაინგრევა და აღიგვება პირისაგან მინისა.“<sup>73</sup>

**აღნიშვნები.** 1993 წლის დადგენილებით, საქართველოს პარლამენტმა 9 აპრილი უქმე დღედ გამოაცხადა და მისი ყოველწლიური აღნიშვნის ტრადიციაც დაამკვიდრა.<sup>74</sup> საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაფანტულ მემორიალებთან ადგილობრივი მოსახლეობა, პოლიტიკოსები და სასულიერო პირები ყოველი წლის 9 აპრილს იკრიბებიან და გმირებად შერაცხულ მოქალაქეთა ხსოვნას პატივს მი-აგებენ. აღნიშვნის რიტუალებს აუცილებლად ახლავს რელიგიური კომპონენტი – დალუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი და ტრაგედიის უცვლელი სიმბოლო – წითელი ტიტები. გარდა ამისა, 9 აპრილის აღნიშვნისას დალუპულთა სახელზე სხვადასხვა ღონისძიებები იმართება მათ მშობლიურ რაიონებში.

ლაგოდებული მამუკა ნოზაძის მოსაგონრად, თანასოფელები სპორტულ და შემოქმედებით ღონისძიებებს (დოლი, ჭიდაობა, მკლავჭიდის ტური, ადგილობრივი კოლექტივების კონცერტები) ატარებენ და დალუპულის სკოლის ეზოში, მემორიალურ დაფასთან იკრიბებიან. ეს ტრადიცია 10 წელზე მეტია არსებობს. ოჯახის წევრები და ადგილობრივები მამუკას მიერ სამშობლოსთვის გაღებული მსხვერპლით ამაცობენ. დალუპულის დედის ინტერვიუდან მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ ესამება 9 აპრილის ორმაგი დატვირთვა პიროვნულ ტრაგედიას: „ეს დღე ჩემთვის არის ძალიან სამწუხარო და, ამავე დროს, საამაყოც. მე მშობელი ვარ, რომელმაც გმირი შვილი გავზარდე. ჩემს შვილს ქართველი ერი, ალბათ, არასოდეს არ დაივიწყებს.“ ამავე მოსაზრებას ვხედავთ სოფელ კართუბნის დეპუტატის დავით ლომიძის ინტერვიუშიც: „რა ტარდება სოფელშიო, როცა იკითხავენ ახალგაზრდები, ვეტყვი, რომ ეს არის მამუკა ნოზაძის სახელობის დღე, რომელმაც სიცოცხლე ქვეყნის კეთილდღეობას შესწირა. ამას პატრიოტული დატვირთვაც აქვს.“<sup>75</sup>

ყოველი წლის 9 აპრილს ნატო გიორგაძისადმი მიძღვნილი ტურნირი იმართება გურიაში, რომელშიც ბალახის ჰოკეიში მოასპარეზე გოგონათა გუნდე-

<sup>73</sup> ჩიგოგიძე, ხათუნა. „ავფეთქეთ სვეტიცხოველი?!“ *ვირის პალიტრა*, 23 დეკემბერი, 2009, <https://bit.ly/33grU51> (ნანახია 05.10.2020).

<sup>74</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დალუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ“, *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 8 აპრილი, 1993, <https://bit.ly/3qYMIX8> (ნანახია 14.10.2020).

<sup>75</sup> ალადაშვილი, გიორგი. „მამუკა ნოზამე და შალვა ქვასროლიაშვილი - 9 აპრილის ორი მსხვერპლი კახეთიდან“, *რადიო თავისუფლება*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3t7JuDm> (ნანახია 14.10.2020).

ბი მონანილეობენ. გამარჯვებულს პრიზად ნატო გიორგაძის სახელობის თასი გადაეცემა.<sup>76</sup>

ყოველწლიური ღონისძიებების მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა 2019 წელს, 9 აპრილის 30 წლისთავზე. ეს თარიღი აღინიშნა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში – ოდესაში, ტალინში, ჟენევაში, სტოკჰოლმსა და სხვა ქალაქებში.<sup>77</sup> ღონისძიებები მედიაშიც მასობრივად გაშუქდა.

2019 წელს ბათუმში, გამრთა ხეივანში, მოენყო 9 აპრილის ამსახველი ფოტოგამოფენა, რომელსაც აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს და ბათუმის მუნიციპალიტეტის წევრები დაესწრნენ, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. მათ მემორიალი ყვავილებით შეამკეს და დალუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. „დღეს 30 წელი შესრულდა 9 აპრილის ტრაგედიიდან. ამ დღეს თავისუფლებისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას 21 გმირის სიცოცხლე შეეწირა. მინდა ქედი მოვიხარო ადამიანების წინაშე, რომლებმაც თავი შესწირეს ეროვნულ იდეალებს. ჩვენ და მომავალმა თაობებმა უპირობოდ პატივი უნდა ვცეთ ამ იდეალებს და ყველამ ერთად, ერთმანეთის გვერდში დგომით უნდა შევძლოთ ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია. ბრძოლა თავისუფლებისთვის გრძელდება,“<sup>78</sup> განაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ. ეს განაცხადება საინტერესოა იმით, რომ განსხვავდება დომინანტური პოლიტიკური დისკურსისგან და მასში აქცენტები მხოლოდ ტრიუმფის კომპონენტზე არ არის გაკეთებული, არამედ ტრავმაზეც, რომელიც დღესაც ცოცხალია.

9 აპრილი აღნიშნეს ქობულეთშიც. 9 აპრილის სახელობის სკვერში ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის წევრები და საზოგადოება შეიკრიბა, რომელთაც გამრთა მემორიალი გვირგვინითა და ტიტებით შეამკეს. დაინთო სანთლები. გადაიხადეს დალუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი. ღონისძიების დასასრულს კი 300 ძირი ყვავილი დაირგო.<sup>79</sup>

ორი 9 აპრილი, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამით აღინიშნა ლანჩხუთშიც. ღონისძიებების სია 4 აპრილს გამოქვეყნდა. მასში გათვალისწინებული იყო ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში დალუპულთა პანაშვიდის გადახდა, თემურ ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმში 9 აპრილის მომთინგეებთან შეხვედრა და ამ დღისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერილი გია ფირცხალაიშვილისა და 9 აპრილის მომთინგეების საფლავების ყვავილებით შემკობა, ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური კადრების ჩვენება და ბოლოს შემაჯამებელი ღონისძიების სახით, მუსიკალურ-ლიტერატურული წარმოდგენა ლანჩხუთის კულტურის ცენტრში.<sup>80</sup>

<sup>76</sup> „ნატო გიორგაძის თასი,“ *გურია News*, 12 აპრილი, 2012, <https://bit.ly/335zf7P> (ნანახია 14.10.2020).

<sup>77</sup> *აპრილის დასპორული საინფორმაციო ბიულეტენი*, 2019, გვ. 10-12, *საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო*, <https://bit.ly/3334Bfh> (ნანახია, 14.10.2020).

<sup>78</sup> „ბათუმში 9 აპრილის მემორიალი განთავსდა,“ *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3JvHkrt> (ნანახია 14.10.2020).

<sup>79</sup> „9 აპრილი გაიხსენეს ქობულეთის მუნიციპალიტეტში,“ *ქობულეთის მუნიციპალიტეტი* (ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3qV7IOg> (ნანახია 14.10.2020).

<sup>80</sup> „9 აპრილის ღონისძიებები ლანჩხუთში,“ *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი*, 4 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3n6z6rO> (ნანახია 14.10.2020).

სამთავრობო და არასამთავრობო ღონისძიებები გაიმართა თბილისშიც. 9 აპრილის საზოგადოების ნევრებმა, რომელშიც აპრილის აქციაში მონაწილეები ერთიანდებიან, მთავრობის სასახლის წინ მდებარე მემორიალთან ტრადიციული შეხვედრა გამართეს და 30 წლის წინ მომხდარი მოვლენები გაიხსენეს.

### მეხსიერების არეების შექმნა – სამოქალაქო დაპირისპირება

**მუზეუმები.** სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებული მეხსიერების არეები საჯარო სივრცეში არ არსებობს. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ელგუჯა ჯოხაძის ფერწერული ტილო, რომელიც მხატვარმა თავად გადასცა მუზეუმს. იგი ასახავს გამსახურდიას მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის დაპირისპირებას. ორივე ჯგუფი ერთად საქართველოს სახითაა წარმოდგენილი და, სიმბოლურად, შუაზე გახლეჩილი თეთრი ცხენის ფორმით გამოიხატება. კომპოზიციაში ჩანს აბსტრაქტული გამოსახულება სისხლიანი ხელებით, რომელიც განგებას განასახიერებს და თეთრ ცხენზე ნითელი მახვილი აქვს აღმართული.<sup>81</sup>

აბაშის მუნიციპალიტეტში მდებარე კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში 1992-1993 წლებიდან განთავსებულია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფოტოები. მუზეუმი პერიოდულად მართავს გამოფენებს 1991-1993 წლებში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით და ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს.<sup>82</sup>

**ზვიად გამსახურდიას საფლავი** მეხსიერებათა ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილია, რომელიც ასახავს როგორც ძალაუფლების მქონე პოლიტიკური ელიტების, ასევე მათი მოწინააღმდეგე ჯგუფების ინტერესებს. ზვიად გამსახურდიას პირველი საფლავი სოფელ ჯიხაშკარში, ადგილობრივი გლეხის ჯონსონ კვარაცხელიას სახლის ეზოში მოეწყო. გამსახურდიას ცხედარი აქ გადაცვალებიდან მალევე დაკრძალეს. ნეშტის გადასვენების შემდეგ კვარაცხელების ოჯახმა განსასვენებლის ადგილას მარმარილოს ჯვარი აღმართა. საფლავს სიმბოლური დატვირთვა მიენიჭა ადგილობრივებისთვის. ისინი ამ ადგილას წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებიან და პატივს მიაგებენ გამსახურდიას ხსოვნას.<sup>83</sup>

სოფელ ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას სადურგლოშიც გაჩნდა მეორე სიმბოლური საფლავი, სადაც გამსახურდიას ნეშტი კვარაცხელიას სახლიდან გადაასვენეს და დროებითი განსასვენებელი მიუჩინეს. ზარანდიების ოჯახმა საფლავზე შავი მარმარილოს ქვა აღმართა, რომელზეც ამოკვეთილია ამონარიდი მერაბ კოსტავას ლექსიდან: „შენი სამშობლო არის სულეთი.“<sup>84</sup> ეს სტროფი მკაფიოდ გამოხატავს გამსახურდიას ფიგურის აღქმას და, ამასთანავე, ირეკლავს მერაბ კოსტავას წარმოდგენას მომავალზე. ლექსი 1960-იან წლებში დაინერა. მას მოტივად გასდევს დაუფასებელი მსხვერპლშენიშვნის იდეა, რაც რელიგიურ

<sup>81</sup> საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N53/4789, 2 ნოემბერი, 2020.

<sup>82</sup> აბაშის მუნიციპალიტეტის მერია, წერილი N01-10203089, 3 ნოემბერი, 2020.

<sup>83</sup> ცომაია, *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას...*, გვ. 212.

<sup>84</sup> იქვე, გვ. 216.

თემატიკასთანაა დაკავშირებული. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი გამსახურდიასა და საკუთარ თავსაც მოსალოდნელი განსაცდელისთვის ამზადებს და მიმართავს – „დაე ღირსად გვცნონ.“ მსხვერპლის გაღება არ არის შედარებული ტანჯვასთან და მჭმუნვარებასთან, რაც შეიძლება უბრალო მოკვდავთ ახასიათებდეს, პირიქით, ზვარაკად ყოფნა სიტკბობასთან, ხსნასთან და ღმერთთან მიახლოებასთან ასოცირდება. ამ სტროფის საფლავის ქვაზე ამოტიფრით გაიზიარეს კოსტავას შეხედულებები გამსახურდიას ცხოვრებაზე და მისი გარდაცვალება მსხვერპლშენიერებას შეადარეს.

გამსახურდიას საჯარო გახსენების სურვილი ჯიხაშკარელებმა პირველად 1997 წელს გამოთქვეს. სოფელში დაამზადებინეს მარმარილოს ქვა წარწერით: „აქ განისვენებდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია,“ რომელიც 31 მარტს, გამსახურდიას იუბილესა და რეფერენდუმის აღსანიშნავად უნდა დაედგათ პირველ საფლავზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ მემორიალით განდევნილი ხელისუფლების ერთგული მომხრეები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში გამსახურდიას წვლილის გამოკვეთას, შელახული რეპუტაციის აღდგენას და საკუთარი მესხიერების საჯარო სივრცეში დამკვიდრებას ცდილობდნენ. თუმცა რაიონულმა პოლიციამ ეს მცდელობა ჩაშალა, სოფლის მოსახლეობა დააპატიმრა, ხოლო მარმარილოს ქვა დაამსხვრია.<sup>85</sup> ეს ხელისუფლების მხრიდან არასასურველი მესხიერების განადგურების მცდელობა იყო.

ჯიხაშკარში შექმნილი მესხიერების არეები შეიძლება შეფასდეს როგორც გამსახურდიას ხსოვნის პატივისცემა. 1990-იან წლებში არაფორმალური კონტროლი იყო დაწესებული საზოგადოების იმ ჯგუფზე, რომელსაც ხელისუფლების ცვლილება ლეგიტიმურად არ მიაჩნდა. ამის გამო მოსახლეობას არ ჰქონდა შესაძლებლობა, სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებული ნარატივები მესხიერების მონუმენტურ არეებად ექცია. შევარდნაძის პერიოდში, ასევე არაფორმალურად, შეზღუდული იყო ზვიად გამსახურდიას ხსენება საჯარო სივრცეში. მიუხედავად ამისა, პირველი პრეზიდენტის მომხრეები მისი საქართველოში ჩამოსვენების მოთხოვნით 1990-იან წლებში პერიოდულად საპროტესტო აქციებს აწყობდნენ, თუმცა ამ მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია.<sup>86</sup>

გამსახურდიას საქართველოში დაკრძალვაზე საუბარი ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო. 2006 წელს საქართველოს მთავრობამ ახალი კომისიის შექმნის შესახებ განაცხადა, რომელსაც ჩეჩნეთიდან პირველი პრეზიდენტის გადმოსვენებაზე უნდა ეზრუნა. ამ ინიციატივამ დიდი ხმაური გამოიწვია საზოგადოებაში. მოსახლეობის უმრავლესობამ მთავრობის გადანყვეტილება მოინონა, თუმცა მათი ნაწილი პრეზიდენტის გადმოსვენებამდე მისი გარდაცვალების მიზეზების დადგენას მოითხოვდა. კრიტიკული განცხადებით გამოვიდა გურამ შარაძე, რომელმაც თქვა, რომ გამსახურდიას მკვლელები მოქმედ ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ და დამკრძალავთა შორის მათ გამოჩინას ხალხი არ

<sup>85</sup> იქვე, გვ. 244.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 222.

დაუშვებდა.<sup>87</sup> უთანხმოება გამოიწვია პრეზიდენტის განსასვენებელი ადგილის შერჩევის საკითხმაც. პრეზიდენტის ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი ნემტის სამების ტაძარში დაკრძალვას ითხოვდა, ამავე მოსაზრებას იზიარებდნენ სამღვდელოების წევრებიც, ნაწილი კი მთანმინდის პანთეონში, მერაბ კოსტავას გვერდით დასვენების მომხრე იყო.<sup>88</sup> სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, ცხედარი 2007 წლის 28 მარტს, გვიან ღამით გადმოსვენეს და მთანმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. მიუხედავად იმისა, რომ გადმოსვენების ცერემონია ვინრო წრეში გაიმართა, პრეზიდენტის ნემტს მისი მომხრეები დახვდნენ და სანთლებით, ფოტოებითა და შინდისფერი დროშებით გააცილეს საბოლოო განსასვენებლამდე.<sup>89</sup>

**სახელწოდებები.** გამსახურდიას რეაბილიტაციის მცდელობა ტოპონიმიკაში 2004 წლიდან აირეკლა. ეს წელი ოფიციალურად გამოცხადდა ზვიად გამსახურდიას წლად.<sup>90</sup> თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ერთ-ერთ მონაკვეთს,<sup>91</sup> ქუჩებს ბათუმსა და ქუთაისში, ზუგდიდის ცენტრალურ ქუჩას და ერთ-ერთ საშუალო სკოლას ქ. რუსთავეში გამსახურდიას სახელი ეწოდა. 2016 წელს გამსახურდიას სახელი დაარქვეს ერთ-ერთ ქუჩას ქალაქ საჩხერეში.<sup>92</sup>

**მონუმენტები.** ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაცია თბილისზე ადრე სამეგრელოში დაიწყო, რაც მეხსიერების არეებზეც აისახა. 2002 წელს ზუგდიდის ბულვარში გამსახურდიას ბიუსტი განთავსდა, რომელიც სამეგრელოს მკვიდრმა, მოქანდაკე ბადრი სხულუხიამ დაამზადა. 2004 წლიდან მოქანდაკემ მერაბ კოსტავას ძეგლზეც დაიწყო მუშაობა, რომლის დადგმაც გამსახურდიას ბიუსტის გვერდით ჰქონდა განზრახული, თუმცა ამ ინიციატივის განხორციელება უსახსრობის გამო ვერ შეძლო.<sup>93</sup>

2004 წელს გამსახურდიას ბიუსტის დადგმაზე მსჯელობა დაიწყო თბილისშიც. ამ ინიციატივის ავტორი გახლდათ გურამ აბსანძე, გამსახურდიას ხელისუფლების ფინანსთა მინისტრი, რომელიც სააკაშვილმა ეროვნული თანხმობის კომისიას ჩაუყენა სათავეში. აბსანძის ინიციატივამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პოლიტიკური ელიტის ნაწილი ექსპრეზიდენტის მოღვაწეობას ეჭვის თვალთ უყურებდა და თვლიდა, რომ ძეგლის დადგმა შემდეგი თაობებისთვის უნდა მიენდოთ. მაგალითად, პოლიტიკოსმა ვასილ მაღლაფერიძემ ჟურნალისტებს განუცხადა: „ვინც ძეგლდასადგმელია, იმას ერი ყოველთვის დაუდგამს ძეგლს, ვინც არ არის – არ დაუდგამს. ასე რომ, მივანდოთ ეს საკითხი ისტო-

<sup>87</sup> რეზიაშვილი, ჯიშურ. „ზვიად გამსახურდიას ნემტის ჩეჩნეთიდან საქართველოში გადმოსვენებაზე სამთავრობო კომისია იზრუნებს,“ რადიო თავისუფლება, 13 სექტემბერი, 2006, <https://bit.ly/3HRjosa> (ნანახია 30.11.2020).

<sup>88</sup> რეზიაშვილი, ჯიშურ. „ზვიად გამსახურდიას ნემტს საქართველოში დაკრძალავენ,“ რადიო თავისუფლება, 9 მარტი, 2007, <https://bit.ly/336XKBw> (ნანახია 30.11.2020).

<sup>89</sup> „საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნემტი საქართველოში გადმოსვენეს,“ *All.geo*, 28 მარტი, 2007, <https://bit.ly/3naVIMZ> (ნანახია 30.11.2020).

<sup>90</sup> „საქართველოს პირველ პრეზიდენტს დღეს 71 წელი შეუსრულდებოდა,“ *ინტერპრესნიუსი*, 31 მარტი, 2010, <https://bit.ly/3q7khHi> (ნანახია 30.11.2020).

<sup>91</sup> *ენციკლოპედია თბილისისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები*, გვ. 44.

<sup>92</sup> საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილი N54/101, 19 ივლისი, 2020.

<sup>93</sup> „მერაბ კოსტავას ბიუსტი ზუგდიდში 5 წლის შემდეგ დაიდგება,“ *Livepress*, 21 თებერვალი, 2013, <https://bit.ly/3r1PQ56> (ნანახია, 12.10.2020).

რიას.“ ამავე მოსაზრებას იზიარებდა სოციოლოგი ემზარ ჯგერენაიაც: „აუც-ილებელია, ისტორიას ცოტა მტვერი წაეყაროს და ამ საკითხზე იმსჯელონ სხვა თაობებმა – არა ჩვენ, ვინც გამსახურდიას დროს ვცხოვრობდით და ამ ისტორიის მონაწილენი ვიყავით. მათ უნდა განსაჯონ, რამდენად კონსტრუქციული იყო გამსახურდიას როლი ქვეყნისათვის. [...] ისტორიის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია დროში დაცვილება. ეს დრო ჯერ არ გასულა და ზვიად გამსახურდიასთვის ძეგლის დადგმა, ჩემი აზრით, საკმაოდ ნაჩქარევი ნაბიჯია.“<sup>94</sup> ამ გამომხმაურებებმა აჩვენა, რომ შერიგების პროცესის პრაქტიკულ განხორციელებას ხელს უშლიდა სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერება, რომელიც ცოცხალი იყო როგორც გამსახურდიას მომხრეებში, ასევე მათ ოპონენტებშიც. წარმოქმნილი წინააღმდეგობის გამო, ძეგლის დადგმა თბილისში ვერ მოხერხდა.

ახალი მონუმენტების შექმნის თაობაზე საუბარი მას შემდეგ განახლდა, რაც გამსახურდიამ თავისი ნიშა დაიკავა ეროვნული გმირების პანთეონში და მისი სახელის ხსენება ტაბუირებული აღარ იყო. 2017 წელს გამსახურდიას ბიუსტი განათავსეს მარტვილის სკვერში, კოსტავას ბიუსტთან ახლოს.<sup>95</sup> 2019 წელს ჩხორონწყუს მერიამ გასახურდიას ბიუსტის ჩამოსხმაზე ტენდერი გამოაცხადა. მერის განცხადებით ბიუსტი ცენტრალურ სკვერში უნდა განთავსებულიყო,<sup>96</sup> თუმცა მონუმენტი ამ დრომდე არ დადგმულა.

**აღნიშვნები.** როგორც ჩვენი რესპონდენტი, ხათუნა დარასელია აღნიშნავს, ზუგდიდი იყო პირველი და დიდი ხანის მანძილზე ერთადერთი ადგილი, სადაც ქალაქის ცენტრში, ბულვარში ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგა. სიმბოლურად მოინიშნა ადგილი დარჩეულში, სადაც დატრიალდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედია სამეგრელოში „მხედრიონის“ ყოფნის დროს. გამსახურდიას გარდაცვალების დღეს, 31 დეკემბერს, იქ გადიოდნენ ადამიანები მისთვის პატივის მისაგებად. ხათუნა დარასელია ამბობს, რომ „ჯიხაშკარში, იმ სახლში, სადაც მემორიალური საფლავია გაკეთებული, იქ მივდივართ ხოლმე მისი ამ საიუბილეო თარიღების დროს, 31 მარტს, 31 დეკემბერს, მისი გარდაცვალების და დაბადების დღეს და ხიბულაშიც, იმ სახლს ეხლა ჩაუტარდა რესტავრაცია. იმ სახლში არავინ ცხოვრობს, მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, ისინი გარდაიცვალნენ და მერე მიტოვებული იყო.“

2004 წელს ზვიად გამსახურდიას იუბილე პირველად აღინიშნა სახელმწიფო დონეზე.<sup>97</sup> ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ გარდამტეხ მომენტად მეხსიერების პოლიტიკაში, რომელმაც ამიერიდან შეუქცევადი სახე მიიღო. 2019 წელს, პრეზიდენტ გამსახურდიას 80 წლის იუბილე მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა. თბილისში, რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, მერიის ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე, გამომსვლელებმა ისაუბრეს გამსახურდიას

<sup>94</sup> კაკაბაძე, დავით. „ყოველკვირეული რადიოჟურნალი, პრადა 564-ე გამოშვება,“ რადიო თავისუფლება, 5 ნოემბერი, 2004, <https://bit.ly/3tc0ND5> (ნანახია 12.10. 2020).

<sup>95</sup> მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, წერილი N03/1644, 29 აპრილი, 2020.

<sup>96</sup> „ჩხორონწყუს სტალინის ბიუსტის ადგილას ზვიად გამსახურდიას ძეგლს დადგამენ,“ Livepress, 27 თებერვალი, 2019, <https://bit.ly/34tXPQ5> (ნანახია, 12.10.2020).

<sup>97</sup> ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას..., გვ. 240.

დამსახურებაზე საქართველოს ისტორიაში და წაიკითხეს მოხსენებები პრეზიდენტის მოღვაწეობის შესახებ.

ქალაქ რუსთავის ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პოლიტიკური პირები და საზოგადო მოღვაწეები შეიკრიბნენ და ისაუბრეს გამსახურდიას ღვაწლზე ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ღონისძიებაზე გამოფენილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ატრიბუტები (დროშა, გერბი), რომლებიც გამსახურდიამ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე აღადგინა.<sup>98</sup>

გამსახურდიას იუბილე აღინიშნა სამეგრელოში. ზუგდიდში გამართულ ღონისძიებებს კი საქართველოს მაშინდელი შს მინისტრი გიორგი გახარიაც დაესწრო. პირველი პრეზიდენტის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე საკათედრო ტაძარში გადაიხადეს, რის შემდეგაც შეკრებილები ფეხით გაემართნენ ზვიად გამსახურდიას ძეგლისაკენ და მისი ბიუსტი ყვავილებით შეამკეს. იუბილეს აღნიშვნა არტ-გალერეაში გაგრძელდა, სადაც გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა და წიგნის პრეზენტაცია მოეწყო. ვიცე მერმა ჟურნალისტებს განუცხადა: „დღეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წელი გავიდა, ასევე, 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა ევლო ევროპული გზით, საქართველომ მოიპოვა თავისუფლება. მნიშვნელოვანი დღეა და ყველას გილოცავთ. ჩვენ ვაგრძელებთ ზვიად გამსახურდიას კურსს და სწრაფვას თავისუფლებისკენ.“ საინტერესოა ისიც, რომ ღონისძიებებზე გამოფენილი იყო 1918 წელს დაარსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ატრიბუტები.<sup>99</sup>

გამსახურდიას იუბილე აღინიშნა ბათუმშიც. საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ისტორიული კადრების ჩვენება, ფოტო და დოკუმენტური მასალის გამოფენა. ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი საჯარო ლექციაც. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ შეკრებილებს სიტყვითაც მიმართა: „დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია სხვადასხვა კონტექსტით. პირველი, რომ 28 წლის წინ სწორედ ზვიად გამსახურდიას თაოსნობით ჩატარებულმა რეფერენდუმმა მთელი მსოფლიოსათვის თვალსაჩინო გახადა ქართველი ხალხის უწყვეტი ნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. ამასთანავე, დღეს აღვნიშნავთ ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს. ეს თარიღი მნიშვნელოვანია თითოეული ქართველისთვის. პირველ პრეზიდენტს უკავშირდება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოჩენა.“<sup>100</sup>

გამსახურდიას იუბილეს აღსანიშნავად, საქართველოს ფოსტამ, პრემიერ მინისტრის ინიციატივით, საიუბილეო მარკაც გამოსცა. მარკაზე გამოსახული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დროშა და ზვიად

<sup>98</sup> ლოლაძე, რუსუდან. „ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე რუსთავშიც აღინიშნეს,“ *პირველი არხი*, 31 მარტი, 2019, <https://bit.ly/3q8bcOd> (ნანახია 12.10.2020).

<sup>99</sup> „ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე ზუგდიდში (ფოტო, ვიდეო),“ *რადიო „ათინათი“*, 31 მარტი, 2019, <https://bit.ly/3HPvgLv> (ნანახია 12.10.2020).

<sup>100</sup> „ბათუმში ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილე განსაკუთრებულად აღინიშნა,“ *GHN საქართველოს ახალი ამბების სააგენტო*, 31 მარტი, 2019, <https://bit.ly/3HPdl7x> (ნანახია 14.10.2020).

გამსახურდიას პორტრეტი, რომელიც მისი პირველი საავტორო წიგნის „საქართველოს სულიერი მისია“ ყდაზე იყო დაბეჭდილი. საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მოხარული ვარ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა „საქართველოს ფოსტის“ სახელით მიგველო მონაწილეობა ასეთი მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნაში. ზვიად გამსახურდია იყო დიდი ქართველი პოლიტიკოსი, დისიდენტი, მეცნიერი და მწერალი, რომელიც პოსტსაბჭოთა ეპოქაში საქართველოს პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი გახდა. ამ მარკის საშუალებით დანარჩენ მსოფლიოს ვამცნობთ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან თარიღს.“<sup>101</sup>

### მენეჯერების არეების ნაშლის მცდელობა

სამოქალაქო შერიგების პროცესი საქართველოში შორს ვერ წავიდა. ომის მენეჯერებაში კონფლიქტის პოტენციური კონსოლიდაციის საჭიროებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სოციალური სიჩუმის დარღვევის პერიოდული მცდელობები კი გამოხატავდა არა მხოლოდ მენეჯერების არეების შექმნის, არამედ მათი ნაშლის სურვილსაც.

2012 წლის 6 იანვარს გერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა მიხეილ ჯაფარიძემ სამოქალაქო დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის – ჯაბა იოსელიანის – საფლავზე, დიდუბის პანთეონში, მიწის რამდენიმე ბელტი ნიჩბით მოთხარა და იქვე სამოქალაქო დაპირისპირებაში დაღუპული პირების ფოტოები და სისხლიანი ხელის სურათი დააწყო. ეს სიმბოლური ქმედება მოგვიანებით თავად განმარტა:

„ჩემი მიზანი იყო საზოგადოების გამოღვიძება და საზოგადოების წინაშე ამ საკითხისადმი პროტესტის გაღვივება. [...] ეს იყო არა ვანდალური აქტი და საფლავის შეურაცხყოფა, არამედ პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, რაც ემყარებოდა ჩემი და, ჩემთან ერთად, საქართველოს უამრავი მოქალაქის რწმენას იმის შესახებ, რომ 90-იან წლებში მოწყობილი ძმათამკვლელი ომის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორისა და შემსრულებლის, ჯაბა იოსელიანის საფლავი არ უნდა იყოს საზოგადო მოღვაწეთა არც ერთ საქართველოში დღემდე არსებულ პანთეონში. [...] ჯაბა იოსელიანის ნეშტის ამ ადგილზე ყოფნა, შეურაცხყოფს საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას და ის დღევანდელ საზოგადოებაში სამართლიანობის და რიგითი მოქალაქისთვის თუნდაც კანონის უზენაესობის აღქმის პრინციპს ეწინააღმდეგება.“<sup>102</sup>

ჯაბა იოსელიანის საფლავიდან ამოთხრის მცდელობა ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, თენგიზ აბულაძის „მონანიების“ სიუჟეტს გვაგონებს: წარსულში ჩადენილი ქმედებებისთვის, ფილმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – ვარლამ არავიძის – საფლავი მუდმივი შელახვის ობიექტი ხდება. შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში, იოსელიანმა არავიძის ბედი გაიზიარა. მიხეილ ჯაფარიძის პროტესტში ნათლად ჩანს შეურიგებლობა წარსულთან და უარის თქმა მიტევებაზე. ამ სურვილის გამოვლინება იყო მენეჯერების ადგილის ნაშლის

<sup>101</sup> „ზვიად გამსახურდიას იუბილეს აღსანიშნავად 'საქართველოს ფოსტამ' საიუბილეო მარკა გამოსცა,“ *Business Media Georgia*, 31 მარტი, 2019, <https://bit.ly/3tkuEt4> (ნანახია 14.10.2020).

<sup>102</sup> „ჯაბა იოსელიანის საფლავის მთხრელის აღსარება,“ *ITV*, 16 იანვარი, 2012, <https://bit.ly/3F5WpIp> (ნანახია 26.08.2020).



მცდელობა იმ სივრციდან, რომელსაც ქართველი ერი პატივს მიაგებს და სადაც სახელოვანი საზოგადო მოღვაწეები განისვენებენ.

2017 წელს ზვიად გამსახურდიას რამდენიმე მომხრემ მთანმინდის პანთეონში ქართველი პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის დაკრძალვა გააპროტესტა და, ამასთან ერთად, მთანმინდიდან სტალინის დედის, ალექსანდრე გრიბოედოვისა და ჭაბუა ამირეჯიბის გადასვენებაც მოითხოვა. საპასუხოდ, გარდაცვლილის ახლობლებმა მათ პლაკატები დაუხიეს და, პოლიციის დახმარებით, პანთეონი დაატოვებინეს. ყურადღებას იმსახურებს ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილის, პოლიტიკოს თამარ ჩარკვიანის სიტყვა, რომელშიც ასევე შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების ანარეკლის დანახვა: „ძლივს გაერთიანებული, ძლივს შეკონინებული საქართველო არ ჩაგვიშალონ. აქ არიან სრულიად სხვადასხვა აზრის მატარებლები და მეტი ამ კაცს და სამოციანელთა თაობასაც არაფერი არ უნდოდა. მეტს ესენი არაფერს არ ემსახურებოდნენ. კბილებით მოიტანეს. აი, ამათგან იცავდნენ, აღარ არიან ისინი, ორი ცალი დარჩა და ისიც აგერ ამოვიდნენ პანთეონში.“<sup>103</sup> ეს სიტყვები აჩვენებს, რომ წარსულში არსებული დაპირისპირება არ დასრულებულა და სახელები არ დარქმევიათ მასში მონაწილე პირებს.

მეხსიერების არეების შექმნის დინამიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ 9 აპრილისა და სამოქალაქო დაპირისპირების შერჩევითი ასახვა მეხსიერების პოლიტიკაში ამ მოვლენების მნიშვნელობებთანაა დაკავშირებული. 9 აპრილი თავიდანვე იქცა ეროვნულ ტრაგედიადა და ტრიუმფად, რაც კულტურულ ნიმუშთან მოვლენის დაკავშირებამ განაპირობა. 9 აპრილი გააზრებულ იქნა ტანჯვის გავლით ხსნის ნიმუშის ფარგლებში, რომელიც მეხსიერების რეპერტუარიდან შეირჩა. ამის გამო, საქართველოში არ გასჭირვებიათ პასუხის მოძებნა იმ კითხვებზე, რომელთა გავლითაც ყალიბდება ტრავმის ნარატივი. მოვლენას, მტერსაც და მსხვერპლსაც სახელი თავიდანვე დაერქვა. 1991 წელს კი დამოუკიდებლობის 9 აპრილს გამოცხადებამ ორმაგი დატვირთვა ოფიციალურ დისკურსშიც შეიტანა. საკრალურმა მნიშვნელობებმა სწრაფად მონახა გავრცელების რესურსი საზოგადოებაში და 9 აპრილის დავინწყების იდეა საქართველოში არასდროს გაჩენილა. მეხსიერების პოლიტიკის ფორმას პოსტკომუნისტური ელიტების ინტერესები განსაზღვრავდა. ედუარდ შევარდნაძემ 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას სახელი ჩამოაშორა და აქცენტი ტრიუმფზე გადაიტანა, რითაც ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ აქციის დროს დარბეულთა მიზანი ასრულდა, ეროვნული ბრძოლა კი დამოუკიდებლობის მოპოვებით დამთავრდა. ეს აქცენტი მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა, რის მაჩვენებელიც იყო ტრიუმფის გადატანა წარსულიდან მომავალში და 9 აპრილის ინსტრუმენტალიზაცია საზოგადოებრივი მობილიზაციისთვის. მომდევნო ხელისუფლებამ შევარდნაძისეული მეხსიერების პოლიტიკა ააღორძინა და აქცენტმა მომავლიდან კვლავ წარსულისკენ გადაინაცვლა. ამ ცვლილებების მიუხედავად, 9 აპრილის, როგორც ეროვნული მნიშვნელობის თარიღის აქტუალურობა შენარჩუნდა. 1989-1992 წლებში მიმდინარეობდა მეხსიერების არეების შექმნის პროცესი, რომელიც 1992 წლიდან შეწყდა, განახლდა 2006 წელს და დღემდე გრძელდება.

<sup>103</sup> „თაკო ჩარკვიანი ჯანსუღ ჩარკვიანის დაკრძალვის დროს მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა“, *ინტერპრესნიუსი*, 9 ნოემბერი, 2017, <https://bit.ly/3qdc1V3> (ნანახია 26.08.2020).

სამოქალაქო დაპირისპირების სურათი მეხსიერების პოლიტიკაში განსხვავებულია. პირველ რიგში, საგულისხმოა ის, რომ ამ მოვლენის გასააზრებლად კულტურული ნიმუშის შერჩევა გაძნელდა, რასაც ხელი შეუწყო მოვლენის ბუნებამ. კულტურულმა და პოლიტიკურმა ელიტამ დუმილის სტრატეგია აირჩია. მეხსიერების პოლიტიკაში გაჩნდა შეზღუდვები, რომლებიც დროთა განმავლობაში შემცირდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხდა ზვინად გამსახურდიას რეაბილიტაცია. მიუხედავად ამისა, მისი მხარდამჭერების ხმა საჯარო დისკურსში ჩურჩულად დარჩა. ის პერიოდულად ისმის საჯარო სივრცეში; შეიძლება ითქვას, ეს მცდელობები შეზღუდვების დარღვევისა და დაპირისპირებულ მეხსიერებასთან გამკლავების სტრატეგიას წარმოადგენს, მაგრამ დამკვიდრებას ვერ ახერხებს და კვლავ პირად სივრცეში გადადის. ამის გამო, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებული მეხსიერების არეები არ შექმნილა.

### ფუნქციური არეები

#### ქართული პროფესიული საისტორიო ნარატივი

აღვიდა ასმანის სიტყვით, ისტორია აქტიური კულტურული მეხსიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არეა. ეროვნული ისტორია წარმოდგენილია სახელმძღვანელოებში, აგრეთვე საჯარო სივრცეში – მონუმენტების და მნიშვნელოვანი თარიღების სახით. ეროვნულ მეხსიერებაში მონაწილეობა ნიშნავს ეროვნული ისტორიის საკვანძო მომენტების ცოდნას, მისი სიმბოლოების და სადღესასწაულო დღეების გაზიარებას.<sup>104</sup> როგორც პიტერ ბერკი აღნიშნავს, ისტორიკოსი მეხსიერების ერთ-ერთი მთავარი მედიუმი; სწორედ იგია მთავარი მსაჯული იმისა, რა ჩაითვალოს დამახსოვრების ღირსად და რა – არა.<sup>105</sup>

1980-90-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ მოვლენათა ინტერპრეტაცია ქართულ პროფესიულ საისტორიო ნარატივში მრავალფეროვანია. 1989 და 1991 წლების 9 აპრილს, თბილისის ომსა და შემდგომ სამოქალაქო დაპირისპირებას განსხვავებული მნიშვნელობები მიენიჭა. ამ მოვლენებს ისტორიკოსთა არაერთი მონოგრაფია, სტატია თუ წერილი მიეძღვნა. ანალიზისათვის ჩვენ ის ნაშრომები შევარჩიეთ, რომლებშიც საკვლევი საკითხები უფრო სრულადაა გადმოცემული და რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ პერიოდის მოვლენათა აღქმისა და მათი მეხსიერების ჩამოყალიბებაში.

ქვემოთ განხილული ტექსტები *სპეციფიკური ნარატივებია*, რომლებიც მასტერ ნარატივის ჩარჩოში იქმნება და რომლებიც შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას წარსულის ფაქტებისა და აქტორების შესახებ.<sup>106</sup> საისტორიო მასტერ ნარატივები ის განმსაზღვრელი ტექსტებია, რომლებიც შექმნილია საისტორიო ტრადიციის ფარგლებში, ინსტიტუციონალიზებულია და ყველაზე ავტორიტეტულად არის მიჩნეული. მასტერ ნარატივი ქმნის წარსულის აღქმისა და

<sup>104</sup> Assmann, Aleida. "Canon and Archive," *A Companion to Cultural Memory Studies*, eds. Astrid Erll and Ansgar Nunning (De Gruyter, 2010), p. 101.

<sup>105</sup> Burke, Peter. *Sociology and History* (London, Boston: G. Allen & Unwin, 1980), p. 100-101.

<sup>106</sup> Wertsch, James V. "Deep Memory and Narrative Templates: Conservative Forces in Collective Memory," *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 174-175.

ინტერპრეტაციის ნიმუშს, განსაზღვრავს, თუ ვინ არიან ცენტრალური ფიგურები, ჩვენ-ჯგუფის წევრები, სხვები და მტრები.<sup>107</sup> ჯეიმს ვერჩი მას ნაციონალურ ნარატივს უწოდებს და, იან ასმანზე დაყრდნობით, დისკურსის თანავეტორად, ფიქრისა და ლაპარაკის განმსაზღვრელ კულტურულ ინსტრუმენტად მიიჩნევს.<sup>108</sup> სწორედ იგი ქმნის ერთგვარ ჩარჩოს მრავალი სპეციფიკური ნარატივის შესაქმნელად. ვფიქრობთ, რომ ქართულ საისტორიო მასტერ ნარატივში, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და საბჭოთა პერიოდში გარკვეული ცვლილებები განიცადა, ჯერჯერობით რაიმე ძირეული გარდატეხა არ მომხდარა; ჩვენ მიერ განხილული ტექსტები ტრადიციულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოშია შექმნილი და, ფაქტობრივად, არ არღვევს ისტორიის წერის დამკვიდრებულ კანონს.

პროფესიული საისტორიო ნარატივის მნიშვნელობა ჩვენი კვლევისათვის იმით არის განპირობებული, რომ ამა თუ იმ მოვლენისა თუ სიტუაციის ინტერპრეტაცია ყოველთვის ხდება კონკრეტულ კულტურაში კოდირებული და გაზიარებული მნიშვნელობების ფარგლებში, ისინი ერთგვარი კულტურული კონსტრუქციებია; საისტორიო ნარატივი კი ინტერპრეტაციისა და მნიშვნელობათა მინიჭების, შესაბამისად – მეხსიერების ჩამოყალიბებისა და მისი ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა.<sup>109</sup>

1990-იანი წლები ქართველ ისტორიკოსთა მიერ წარსულისადმი დამოკიდებულების გადააზრებას დაჭირდა. როგორც მიხალ კოპჩეკი და პიოტრ ვჩიშლიკი აღნიშნავენ, ისტორიკოსისთვის ადვილი არ არის თავისი კვლევის მეთოდების გამოყენება იმ პროცესების გასაანალიზებლად, რომლებიც ჯერ არ დასრულებულა. დროითი დისტანცია საჭიროა, თუნდაც, პერიოდის შინაარსის განსაზღვრად და მისთვის სახელის დასარქმევად.<sup>110</sup>

ახლო წარსულისა და თანამედროვე პერიოდის ისტორიის მკვლევრებს საბჭოთა ტრადიცია და გამოცდილება პოლიტიკური კონტექსტისათვის ანგარიშის განევის აუცილებლობას კარნახობდა. პერესტროიკის პერიოდისა და 1990-იანი წლების პროფესიულ ტექსტებში ძირითადი სიახლე ადრე აკრძალული თემების ფართო განხილვითა და ზოგი მოვლენის გადაფასებით გამოიხატებოდა. პერესტროიკისა და დამოუკიდებლობის პირველი წლების ისტორია, როგორც წესი, ისტორიკოსთა პროფესიული ანალიზის საგნად არ იქცეოდა. ისტორიკოსები დასახელებულ პერიოდზე მსჯელობას და მის შეფასებას, ძირითადად, საგაზეთო პუბლიკაციების მეშვეობით გვთავაზობდნენ.

ქვემოთ მოცემულ ანალიზში მუქი შრიფტით არის აღნიშნული საკვანძო ტერმინები და შეფასებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ავტორთა პოზიციისა და საზოგადოებაზე მათი გავლენის გასაზრებლად.

<sup>107</sup> Berger, Stefan. "The Comparative History of National Historiographies in Europe: Some Methodological Reflections and Preliminary Results," *Nations and their Histories. Constructions and Representations*, eds. Susana Carvalho and Francois Gemenne (Palgrave Macmillan, 2009), p. 33-34.

<sup>108</sup> Wertsch, "Deep Memory and Narrative Templates," p. 174.

<sup>109</sup> Sztompka, Piotr. "The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies," Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 165.

<sup>110</sup> Kopeček, Michal and Piotr Wciślik. "Introduction. Towards an Intellectual History of Post-Socialism," *Thinking through Transition. Liberal Democracy Authoritarian Pasts, and Intellectual History in East Central Europe after 1989*, eds. Michal Kopeček and Piotr Wciślik (Budapest-New York: CEU Press, 2015), p. 1.

პირველი მცდელობა იმისა, რომ წარსულის მოვლენათა ახლებურ შეფასებას თავი მოეყარა განმაზოგადებელ ნაშრომში, იყო აკაკი და პაატა სურგულაძეების „საქართველოს ისტორია. 1783-1990.“<sup>111</sup> შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა „ცხელ კვალზე“ გამოიცა – 1991 წელს და, ამ თვალსაზრისით, თუ გიორგი მჭედლიძეს დავესესხებით, იგი წარმოგვიდგენს „ისტორიას უდისტანციოდ“, წიგნის ანოტაციასა და შესავალში რამდენჯერმე ესმება ხაზი ავტორების მიზანს – „ობიექტურად, ადრინდელი სტერეოტიპების საპირისპიროდ“ განიხილონ მოვლენები, უპასუხონ საზოგადოების მოთხოვნას – „იცოდეს წარსულის სიმართლე, [...] ნაჩვენები ობიექტურად და შეფასებული ოფიციალური იდეოლოგიისაგან თავდაღწეული კრიტიკიუმებით, ზნეობრივი პრინციპებიდან.“<sup>112</sup>

ავტორთა სიტყვით, ნაშრომი „ეყრდნობა ქართველ ისტორიკოსთა მემკვიდრეობას, ბოლო წლებში გამოქვეყნებულ წყაროებს და ემიგრანტულ ლიტერატურას,“ თუმცა წიგნს არ ახლავს არც წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, არც სათანადო წყაროებსა და ლიტერატურაზე მითითება, ამიტომ არ ვიცით, კერძოდ რა მასალას ეყრდნობა ნაშრომი. ამას ავტორები იმით ხსნიან, რომ ეს საკითხავი წიგნია. ამ ჟანრის განსაზღვრა ცოტა ძნელია: არც სამეცნიერო ნარატივია, არც სახელმძღვანელო და არც პოპულარული ხასიათის თხზულება. ეს წიგნიც სადღაც შუაშია პროფესიულ საისტორიო ნარატივსა და სახელმძღვანელოს შორის. როგორც ჩანს, თავად ავტორებსაც იგი ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნისაკენ გადადგმულ ნაბიჯად ესახებოდათ: „საქართველოს ახალ და უახლოეს ისტორიაში ალტერნატიულ ნაშრომთა საფუძველზე მომნიჭდება სახელმძღვანელო წიგნიც, რომელსაც დიდი ხანია მოელის ქართული სკოლა და მასთან ერთად ქართული საზოგადოებრიობა.“<sup>113</sup>

ჩვენთვის საინტერესო საკითხები ნაშრომის ბოლო, V თავის მე-7 ქვეთავშია მოქცეული, სათაურით „ეროვნული სუვერენიტეტისკენ.“ 9 აპრილზე საუბარი აფხაზური სეპარატიზმით და ლიხნის თავყრილობით იწყება, რომელთაც მოჰყვა უსანქციო მიტინგების დაწყება თბილისში. აღნიშნულია, რომ ახალგაზრდობის გვერდით დადგნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. თავად 9 აპრილის ღამე ერთ პატარა აბზაცშია გადმოცემული. ნახსენები არ არის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგები (რაც, სხვა ავტორების აზრით, სადამსჯელო ოპერაციის ძირითადი მიზეზი გახდა), არამედ აღნიშნულია, რომ „მანიფესტაციისა და მოშიმშილეების მოთხოვნები არ გაცხილებია რესპუბლიკის სუვერენიტეტის მოთხოვნის ფარგლებს.“<sup>114</sup> დარბევის აქტი შეფასებულია როგორც ვანდალიზმი. გაცხილებით მეტი ადგილი ეთმობა იმაზე საუბარს, თუ როგორ აღაშფოთა ამ ვანდალიზმმა „რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა“<sup>115</sup> და უცხოეთის ქართული სათვისტომოები.

<sup>111</sup> სურგულაძე, აკაკი და პაატა სურგულაძე. *საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი. 1783-1990* (თბილისი: გამომცემლობა დავით აღმაშენებლის საზოგადოება, მრავალდარგოვანი კომერციული ფირმა „მერონი“, 1991).

<sup>112</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>113</sup> იქვე.

<sup>114</sup> იქვე, გვ. 312.

<sup>115</sup> იქვე, გვ. 313.

ავტორების შეფასებით, 9 აპრილი „ეკუთენის მე-20 საუკუნის მიწურულის მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ტრაგიკულ მოვლენათა რიცხვს, რომელმაც „ქართველი ხალხი უფრო მტკიცედ შეამჭიდროვა ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში.“<sup>116</sup> დასკვნის ვერბალური ფორმა ქართული კულტურის ნიმუშისა და საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული ვერბალური ფორმატის შერწყმის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს: „მთავრობის სასახლესთან დაღვრილმა წმინდა სისხლმა აკუმულირებული ეროვნული ენერგია აამოქმედა მთელი სიმძლავრით.“<sup>117</sup>

1990-იანი წლების ისტორიისადმი მიძღვნილი განმზოგადებელი საისტორიო ნაშრომის შექმნის ერთ-ერთ პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს **გიორგი მჭედლიძის წიგნი „ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები),“** რომელიც 1999 წელს დაიბეჭდა ქუთაისში. სათაურშივე დაზუსტებული „ქრონიკები“ მკითხველს მკაფიოდ ეუბნება, რომ იგი ისტორიკოსის მიერ ქრონოლოგიური რიგით დალაგებულ მოვლენათა პროფესიულ აღწერა-შეფასებას და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრას უნდა ელოდეს, და არა მათ ფართო კონტექსტუალიზაციას, ან რომელიმე თეორიული ჩარჩოს ფარგლებში გააზრებას.

ნაშრომი, უდავოდ, ღირებულია ფაქტობრივი მასალის სიმდიდრით, რაც მთავარია, თითქმის ყოველთვის ზუსტად არის მითითებული წყარო (უმეტესად საგაზეთო მასალა, მათ შორის, გაზეთებში გამოქვეყნებული ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები, ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის განცხადებები).

ქრონიკებში ისე დანვრილებით და თანმიმდევრულად არის აღწერილი ფაქტები და მოვლენები, რომ ავტორს მართლაც აქვს საფუძველი განცხადებისათვის – „დიდად სათუთა, რომ მაინცდამაინც იმ შვიდ წელიწადზე, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება, ასე დანვრილებით თხრობა კიდევ ვინმემ გაიმეოროს“<sup>118</sup> – და იმედისათვის, რომ იგი მომავალი თაობის ისტორიკოსებს გამოადგებათ აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებულ ნარკვევებსა და მონოგრაფიებზე მუშაობის დროს. 1988-1995 წლები, ავტორის სიტყვით, ხანმოკლე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი პერიოდია XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში, რადგან მან „1917 წელს დაწყებული სოციალისტური ექსპერიმენტის მცდარობა“ დაამტკიცა. დროის ეს მონაკვეთი 8 თავადაა დაყოფილი, კიდევ ერთი, პირველი თავი წინა პერიოდის მიმოხილვას ეთმობა. წიგნი 532 გვერდს მოიცავს.

გ. მჭედლიძე აცნობიერებს თანამედროვეობაზე წერის დროს ობიექტურობის შენარჩუნების სირთულეს, რადგან „ძნელია წერო თემაზე, რომელიც შენი ტკივილიანი ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს. მით უფრო, რომ პოლიტიკურ კატაკლიზმებში მონაწილე თითქმის ყველა პიროვნება ნაცნობია,“<sup>119</sup> თუმცა აღნიშნავს იმასაც, რომ „თვითმხილველმა გაცილებით მეტი იცის მომხდარის შესახებ, ვიდრე არქივებში დაცული მასალით შეიძლება იქნეს გამოტანილი.“<sup>120</sup>

პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის პრინციპის შესაბამისად, გ. მჭედლიძე ცდილობს დაინახოს და მკითხველს მიანოდოს „სიმართლე, [რომელიც] მხოლოდ

<sup>116</sup> იქვე, გვ. 314.

<sup>117</sup> იქვე, გვ. 315.

<sup>118</sup> მჭედლიძე, გიორგი. *ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)* (ქუთაისი: 1999), გვ. 8.

<sup>119</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>120</sup> იქვე, გვ. 3.

ერთი არსებობს, <sup>121</sup> რომლის თქმა, მისი აზრით, ნიშნავს ან ერთ, ან მეორე მხარეს დადგომას. <sup>122</sup> ავტორი ცდილობს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის დაცვას და, სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ საუბრისას, როგორც წესი, ორივე მხარის პოზიციას წარმოაჩენს, თუმცა მკვლევრის სიმპათია თუ ანტიპათია მაინც იჩენს თავს მის შეფასებებში.

1989 წლის 9 აპრილის ისტორია გადმოცემულია სქემით, რომელიც გვხვდება მომდევნო პერიოდის ყველა ნაშრომში, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება:

- ნაშრომის პირველი თავი საქართველოში ანტიკომუნისტური მოძრაობის ისტორიას ეთმობა. ავტორი ცალკე ეხება 1956 წლის 9 მარტსა და 1978 წლის 14 აპრილს.
- მეორე თავი 1988 წლის ქრონიკაა. აქ ქრონოლოგიური რიგით გადმოცემულია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დამადასტურებელი ფაქტები (დავით გარეჯის, ტრანსკავკასიური რკინიგზის, ხუდონჰესის, ნოემბრის შიმშილობის, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის, თსუ პრესკლუბის შექმნის და სხვა ამბები, აგრეთვე მათზე ხელისუფლების რეაქცია). აღსანიშნავია, რომ გ. მჭედლიძე იხსენიებს ნოემბრის შიმშილობის დროს, 25 ნოემბერს, გაბრიელ ისაკაძის მიერ „მთავრობის სასახლის თავზე მოფრიალე საქართველოს სსრ დროშის“ ჩამოგდების ფაქტს<sup>123</sup> და მას ფრიალ აღმატებულ შეფასებას აძლევს: „მგონია, რომ გ. ისაკაძის ეს საქციელი არაფრით ჩამოუვარდება (თუ უფრო დიდი მამაცობა არ არის!) რაიხსტაგზე დროშის აღმართვას. მარტოხელა კაცმა, ყველას დახმარების გარეშე, საბჭოეთს ამცნო, რომ მისი დღეები დათვლილია.“<sup>124</sup>
- თავში „1989 წელი“ ნათლად მჟღავნდება ავტორის ნეგატიური დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიასადმი: „საეჭვოა, რომ ‘თხოვნა-განცხადებაში’<sup>125</sup> ზ. გამსახურდია ზოგ ისეთ შემხვედრ ვალდებულებას იღებს, რაც მონანიებისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო. თანაც, ამ ეჭვს აძლიერებს პატიმარ ზ. გამსახურდიასთვის მამის საკმაოდ მდიდრული მემკვიდრეობის ყოველგვარი გართულების გარეშე დამტკიცების ფაქტი.“<sup>126</sup> ამას მოსდევს ინფორმაცია ლიხნის წერილისა და თბილისის რეაქციის შესახებ.

უშუალოდ 9 აპრილის ისტორია შემდეგი პუნქტების მიხედვით არის წარმოდგენილი:

- 4 აპრილს მთავრობის სასახლის წინ დაწყებული მიტინგი, ავტორის შეფასებით, მშვიდობიანი იყო, ზოგი მოთხოვნა „კონსტიტუციურ უფლებებსაც კი შეესაბამებოდა. მაგალითად, მოთხოვნა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ,“ თუმცა „იყო არაკონსტიტუციური და მკვეთრი ლოზუნგებიც – ‘ძირს კომუნისტური რეჟიმი,’ ‘ძირს რუსეთის იმპერიალიზმი,’ ‘სსრ კავშირი ხალხთა საპყრობილეა’ და სხვა.“<sup>127</sup>

<sup>121</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>122</sup> იქვე.

<sup>123</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 149. ჩვენ მიერ განხილული საისტორიო ნარატივებიდან ეს ფაქტი მოხსენიებულია მხოლოდ ოთხტომეულში *საქართველოს ისტორია*, ტ. 4, XIX-XX საუკუნეები (თბილისი: პალიტრა L, 2012), გვ. 496.

<sup>125</sup> ლაპარაკია ზვიად გამსახურდიას „თხოვნა-განცხადებაზე პატიების შესახებ“ (1979 წლის 27 აპრილი).

<sup>126</sup> მჭედლიძე, *ისტორია უღისტანციოდ*, გვ. 15.

<sup>127</sup> იქვე, გვ.163-164.

- საქართველოს სსრ ხელმძღვანელობასა და მოსკოვს შორის მიმონერა, მოსკოვის გადაწყვეტილება თბილისში თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ძალების გამოგზავნის შესახებ, 8 აპრილის პარტაქტივის კრება თბილისში, სადაც პატიაშვილმა აღნიშნა, რომ „ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება“; პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა ნაწილი, რომელიც გააძვირებს აქტივის და რომლის მე-20 პუნქტი ლიდერების და აქტივისტების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ითვალისწინებდა, რაც ყველამ მოიწონა, ჯანსუღ ჩარკვიანის გარდა.<sup>128</sup>
- 8 აპრილს დღის განმავლობაში მიმდინარე ამბები.
- ღამით ილია II-ის მისვლა მომიტინგეებთან, გაფრთხილება, რომელიც არ შეისმინეს. ავტორის სიტყვით, „ზოგიერთი ლიდერი ადრინდელად არ იყო მოყვრულად განწყობილი უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ“ და ახლაც იგი ხელისუფლების მოგზავნილად ჩათვალეს.<sup>129</sup> ხაზგასმულია კათალიკოს-პატრიარქის თავგანწირვა, რაც დამსჯელი ოპერაციის დაწყებამდე მიტინგზე დარჩენაში გამოიხატა, ამის შემდეგ იგი ცოცხალ კედლად აღმართულმა ახალგაზრდებმა, დიდი ძალისხმევით, უვნებლად გამოიყვანეს.<sup>130</sup>
- დარბევის ოპერაცია აღწერილია საგაზეთო პუბლიკაციებში დაცული ინფორმაციის საფუძველზე. ჩამოთვლილია დარბევის დროს და მომდევნო დღეებში დაღუპული ადამიანების სახელები. სულ 8-9 აპრილის მოვლენების გადმოცემას 12 გვერდი ეთმობა,<sup>131</sup> მომდევნო დღეების ამბები კი კიდევ 14 გვერდზე გრძელდება.

9 აპრილი შეფასებულია როგორც ტრაგედია, რომელსაც, „ადამიანთა მსხვერპლით გამოწვეული დიდი ტკივილისა და სევდის გარდა, მნიშვნელოვანი გარდატეხაც მოჰყვა საზოგადოების ქცევასა და აზროვნებაში. კომენდანტის საათით თითქოს დათრგუნულმა ადამიანებმა არაჩვეულებრივი ეროვნული ერთიანობა და თავშეკავება გამოამჟღავნეს.“<sup>132</sup>

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, 1989-90 წლების ამბებზე საუბრისას, გ. მჭედლიძე ტრავმულ გარემოსაც წარმოაჩენს (ცხადია, არა კოლექტიური ტრავმის თეორიის კონტექსტში): ეხება დამანგრეველ სტიქიურ მოვლენებს,<sup>133</sup> აგრეთვე მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის დაღუპვას, როგორც ფაქტს, რომელიც „იყო დიდი დანაკლისი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის.“<sup>134</sup>

1990 წელს ცალკე თავი ეთმობა. ვრცლად არის განხილული 28 ოქტომბრის არჩევნები და მისი შედეგები. აღნიშნულია, რომ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ „თავგამოდებით ებრძოდა კომპარტიის სატელიტებს და არა თვით მას.“<sup>135</sup> ავტორი ლაპარაკობს ფარულ ალიანსზე „მრგვალი მაგიდასა“ და კომპარტიას შორის. მისი აზრით, არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება „არ იყო ეროვნული მოძრაობის გამარჯვება, ვინაიდან ქართველი ერი გახლე-

<sup>128</sup> იქვე, გვ. 166.

<sup>129</sup> იქვე, გვ. 168.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>131</sup> იქვე, გვ. 163-175, 175-189.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 176.

<sup>133</sup> იქვე, გვ. 296.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 216.

<sup>135</sup> იქვე, გვ. 239-240.

ჩილი დარჩა, რასაც შედეგად მოჰყვა თბილისის ომი და არჩევნებში გამარჯვებული ხელისუფლების დამხობა, რაც დიდ სისხლისღვრად და უფრო საშინელ ეკონომიკურ განადგურებად დაუჯდა ქართველ ხალხს.<sup>136</sup> მისივე აზრით, გამსახურდიას აზროვნება ბოლომდე დარჩა „დისიდენტობიდან სახელმწიფო მოღვაწეობაზე გარდამავალ დონეზე.“<sup>137</sup>

რაც შეეხება მომდევნო, 1991 წელს (თავი VII), გ. მჭედლიძის ძირითადი აზრი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: „ყველა სფეროში მიმდინარეობდა ცვლილებები და ნგრევა, ახალ ხელისუფლებას კი პროცესის წარსამართად არც წინასწარ შემუშავებული პროგრამა გააჩნდა და არც კადრები ჰყავდა.“<sup>138</sup> მუდმივად ხაზს უსვამს გამსახურდიას გაუნონასწორებლობას, გამოუცდელიობას, მისი და მისი მთავრობის არაპროფესიონალიზმს, არათანმიმდევრულობას, აგრეთვე მის, თამარ ჩხეიძისა და გიორგი ჭანტუიას შესაძლო თანამშრომლობას „ძერჟინსკის მიერ შექმნილ კვბ“-სთან, რომლის ჯურღმულებს იშვიათად თუ ვინმე აღწევდა თავს. „რატომ იქნებოდნენ [ისინი] ამ მხრივ გამონაკლისი. ღმერთმა ჰქნას, ყოფილიყვნენ,“<sup>139</sup> აღნიშნავს იგი. შემდეგ საუბარია 31 მარტის რეფერენდუმზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტმა და დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 97 პროცენტზე მეტმა.<sup>140</sup>

გ. მჭედლიძე საუბრობს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და მის შედეგებზე დაყრდნობით 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ დამოუკიდებლობაზე. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე საზეიმოდ ხელმოწერა „ცერემონიული თვალსაზრისით, [...] იყო განმეორება 1918 წლის 26 მაისს ჩატარებული მსგავსი ღონისძიებისა.“<sup>141</sup> 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ დოკუმენტში, „მსჯელობა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას კი არ შეეხება, არამედ ანექსიისა და ოკუპაციის შედეგად გაუქმებული დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.“<sup>142</sup>

1989-91 წლების ამბებზე გ. მჭედლიძის მონათხრობში ტრიუმფის და გამარჯვების განცდა არ ჩანს. სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომის აღწერა კი ტრავმული ნარატივის გამოხატულებაა:

- 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩი შეფასებულია როგორც სასინჯი ქვა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისათვის, რომელმაც გააღრმავა მმართველ ელიტასა და მათ მხარდამჭერებში არსებული დაპირისპირება.<sup>143</sup>
- 2 სექტემბერს მონყობილი მიტინგის დარბევას ავტორი აღწერს როგორც „პირველ შემთხვევას, როცა ორი ძალა, რომელიც ეროვნულობას იქადდა, ერთმანეთს შეეჯახა.“<sup>144</sup>
- დაწვრილებით არის აღწერილი სექტემბერში თბილისში მიმდინარე ამბები, მათ შორის – ოპოზიციის მიტინგებთან გამსახურდიას მიერ ინიცირებული ხელისუფლების მხარდამჭერთა „საინფორმაციო მიტინგების“ დაპირისპირე-

<sup>136</sup> იქვე, გვ. 242.

<sup>137</sup> იქვე, გვ. 244.

<sup>138</sup> იქვე, გვ. 261.

<sup>139</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>140</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>141</sup> იქვე, გვ. 269.

<sup>142</sup> იქვე, გვ. 270.

<sup>143</sup> იქვე, გვ. 299.

<sup>144</sup> იქვე, გვ. 299.



ბა, გია აბესაძის თვითდანვა, შეუძღვარი და ჩაშლილი მოლაპარაკებები ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის, ბარიკადები რუსთაველზე. „ამ მოძრაობას მახინჯი მიმართულება ჰქონდა იმიტომაც, რომ მან კუთხურობის დამლუპველი სახე მიიღო.“ მოჰყავს დ. მჭედლურის აზრი, რომ 25 სექტემბერს საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებით „პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი დაიწყო.“<sup>145</sup>

- თბილისის ზღვაზე 4 ოქტომბრის შეტაკების შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკა“ 8 ოქტომბერს წერდა: „ბოლო დროს ყველა ჩვენი უბედურების, გაუტანლობის, ლალატის, შურის, ურთიერთქიშპობის მომსწრე და მნახველმა რუსთაველის გამზირმა კიდევ ერთი ბაზალეთი იხილა – ძმათა მკვლელი, დაუნდობელი, ბოროტი შეტაკება. ეს სირცხვილი დიდხანს გაჰყვება საქართველოს, ჩვენ შეგვაჩვენებს შთამომავლობა.“<sup>146</sup> აქ კულტურული ნიმუშია გამოყენებული.
- დახასიათებულია ქვეყნის მძიმე მდგომარეობა, „ხელისუფლების არაკომპეტენტურობა.“ პრეზიდენტმა „თავისი მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ უანგარო და უსაზღვრო პატრიოტიზმი ქვეყნის მართვის საქმეში საკმარისი არაა. აქ ზოგიერთი ისეთი რამეცაა საჭირო, რასაც შინაგანი კულტურით, პოლიგლოტობით, ბევრი წიგნების კითხვით ან რუსთაველის სახისმეტყველების კვლევით ვერ ისწავლი. პოლიტიკა უღმობელი რამაა. [...] იგი ახალგამომცხვარ წინმასწარა პოლიტიკურ მამლაყინებს ასპარეზზე დიდხანს არ აბოგინებს.“<sup>147</sup> „ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტი კი მაინც საკუთარ კეთილდღეობასა და დიდებაზე ზრუნავდა“ (ჩამოთვლის 1 ნომბრის უზენაესი საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ხელფასს, სამსახურებრივ მანქანას, ბინას თბილისში, ორ აგარაკს და ა.შ.). „არ ვდაობთ, რომ პრეზიდენტის ცხოვრება უკეთ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავისა. მაგრამ ზ. გამსახურდიას პარლამენტის დადგენილების გარეშეც არ აკლდა მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული კეთილდღეობა და კომუნისტური ფუნქციონერებისაგან ექსპროპრირებული პრივილეგიები. თან ეს ყველაფერი შეუფერებელ დროს ხდებოდა. სწორედ ასეთ მოვლენაზეა ნათქვამი “Пир во время чумы [ლხინი ჟამიანობის დროს].“<sup>148</sup>
- მას შემდეგ, რაც 22 დეკემბერს ეროვნული გვარდიის სამმართველოს უფროსმა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ ოპოზიციის დასაშინებლად და მიტინგის ჩასაშლელად, ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა, შეიარაღებულმა ოპოზიციამ მთავრობის სასახლეზე შეტევა დაიწყო.<sup>149</sup> ოპოზიციის მიერ შექმნილმა ე.წ. სამხედრო საბჭომ „გამსახურდიას დიქტატორული რეჟიმის დამხობის, ერის გადარჩენისა და მშვიდობის დამყარების ერთადერთ გზად შეიარაღებული აჯანყება გამოაცხადა.“<sup>150</sup>
- 1992 წელი შეფასებულია როგორც „ერთ-ერთი საბედისწერო საქართველოს ახალ ისტორიაში.“ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში ყოფნის ხანმოკლეობა [...] განპირობებული იყო შეუქცევადი სუბიექტური და ობიექ-

<sup>145</sup> იქვე, გვ. 305.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 307.

<sup>147</sup> იქვე, გვ. 309.

<sup>148</sup> იქვე, გვ. 310.

<sup>149</sup> იქვე, გვ. 319.

<sup>150</sup> იქვე, გვ. 321.

ტური ფაქტორებით.<sup>151</sup> „გამსახურდიას ხელისუფლების ყველაზე დიდი, შეიძლება საბედისწერო შეცდომა იყო ქართული საზოგადოების შინაგათიშულობის პროცესისთვის ხელშეწყობა,<sup>152</sup> ინტელიგენციასთან დაპირისპირება, „ვინაიდან ინტელიგენცია ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი გამარჯვების საწინდარია. თუ საერთო ეროვნულ საქმეებს ინტელიგენცია არ მიუძღვის, ის საქმე თავიდანვე მკვდრადშობილია.“<sup>153</sup>

- გამსახურდიამ 6 იანვარს დატოვა ბუნკერი და შემდეგ – საქართველო.<sup>154</sup>
- „დაუზუსტებელი მონაცემებით, ე.წ. ‘თბილისის ომის’ დროს, 22 დეკემბრიდან 6 იანვრამდე, დაიღუპა 107, დაიჭრა 527 ადამიანი. ბევრი შენობა დაინგრა, 100-ზე მეტი ოჯახი უბინაოდ დარჩა.“<sup>155</sup>
- გადატრიალების მომდევნო ამბების გადმოცემის შემდეგ გ. მჭედლიძე აღნიშნავს, რომ „ქვეყანას ახლა, როგორც არასდროს, ესაჭიროებოდა დიდი გამოცდილებისა და მაღალი ავტორიტეტის მქონე ხელმძღვანელი. მიუხედავად მისი კომუნისტური წარსულისა (რასთანაც დადებითთან ერთად, უარყოფითიც საკმაოდ იყო დაკავშირებული), ამ თვისებების მქონე უფრო შესაფერისი პიროვნება ქართველთა შორის მაშინ არ მოიძებნებოდა.“<sup>156</sup> დანვრილებით არის აღწერილი სამოქალაქო დაპირისპირების პერიპეტეიები. თხრობა მთავრდება 1995 წლით – კონსტიტუციის მიღებით და საპარლამენტო არჩევნებით.

გ. მჭედლიძე ჩამოთვლის მონაწილე მხარეების მიერ განხილული მოვლენების აღსანიშნავად შემოთავაზებულ ტერმინებს, რომლებშიც ნათლად ჩანს მათი დამოკიდებულება.<sup>157</sup>

მომდევნო წლებში გამოცემულ ნაშრომებში მოვლენათა მსვლელობის გადმოცემისას ეს ზოგადი ჩარჩო შენარჩუნებულია. ასევე შენარჩუნებულია შეფასებითი მიდგომა ფაქტებისა და მოვლენებისადმი.

ნაშრომთა უმრავლესობაში (გურამ ყორანაშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, უჩა ბლუაშვილი და სხვა) აქცენტი კეთდება დამოუკიდებლობის მოთხოვნის სპონტანურად წარმოშობაზე, 9 აპრილის მიტინგების ორგანიზატორთა რადიკალიზმსა და არარაციონალურობაზე, ეროვნული მოძრაობის მოუმზადებლობაზე ქვეყნის მართვისათვის, აგრეთვე ეროვნული მოძრაობის ლიდერთა პიროვნულ (უმეტესად უარყოფით) თვისებებსა და 9 აპრილის უარყოფით შედეგებზე.

**გურამ ყორანაშვილი** აღნიშნავს, რომ 1989 წლის 9 აპრილის „სისხლიანმა და უნაყოფო“ დემონსტრაციამ ხელი შეუწყო რადიკალური განწყობების ზრდას საზოგადოებაში, რის შედეგადაც ქვეყანამ მშვიდობიანი განვითარების გზას გადაუხვია და ხელისუფლების სათავეში რადიკალური ძალები მოვიდნენ. ეროვნული ერთიანობა, რომელიც მოვლენის ხანმოკლე შედეგს წარმოადგენდა, ვიწრო პოლიტიკურმა ინტერესებმა მალევე გადაწონა,<sup>158</sup> ხოლო ის, რომ გამსახურდიასა და მის ჯგუფს არ ჰქონდა სამოქმედო პროგრამა, პოლიტიკური

<sup>151</sup> იქვე, გვ. 312.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 315.

<sup>153</sup> იქვე, გვ. 317.

<sup>154</sup> იქვე, გვ. 324.

<sup>155</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>156</sup> იქვე, გვ. 332.

<sup>157</sup> იქვე, გვ. 323.

<sup>158</sup> ყორანაშვილი, გურამ. 9 აპრილი: მითი და სინამდვილე (ისტორიკოსის თვალთახედვით) (თბილისი: ახალი საქართველო, 2001), გვ. 74.

შეცდომების მიზეზი გახდა.<sup>159</sup> გ. ყორანაშვილი, რომელიც თხრობას 1989 წლით ასრულებს, ამ მდგომარეობიდან გამოსავლად ქართული საზოგადოების მიერ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობის აღებას მიიჩნევს, თუმცა აქ დაბრკოლებად ესახება „ეიფორიული მიდგომა“ 9 აპრილის მოვლენის გააზრება-გაცნობიერებისადმი და მისი წარმოდგენა „ერის უდიდეს გამარჯვებად.“<sup>160</sup>

**ავთანდილ სონღულაშვილის** აზრით, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზი ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიერ „ანტისაბჭოთა გამოსვლების სავალალო შედეგების“ გაუთვალისწინებლობა, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება და „უპერსპექტივო იდეის“ წამოყენება იყო; „თავისუფლება უსისხლოდ და თანდათანობით [...] მოდიოდა,“ რის გამოხატულებადაც იგი იმ რესპუბლიკების ბედს მიიჩნევს, რომელთაც საკუთარი თავისუფლების შესახებ „სატელევიზიო პროგრამის ‘ვრემიას’ გადმოცემიდან გაიგეს.“<sup>161</sup> მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკული შედეგები მოჰყვა, რაშიც მკვლევარი როგორც ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ფრთას, ასევე კომუნისტურ ხელისუფლებას ადანაშაულებს, იგი აღმატებულ შეფასებას აძლევს 9 აპრილის მსხვერპლთა გმირობას, რადგან მან ქართველები გააძლიერა და „გოგო-ბიჭებისა და ხანდაზმული მანდილოსნების სისხლმა მომავალი თავისუფლება გადაარჩინა“ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიც.<sup>162</sup>

**უჩა ბლუაშვილი** თვლის, რომ 9 აპრილი „ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარი ბრძოლის ისტორიის“ ნაწილი იყო, ტრაგედიის მიზეზი ეროვნული მოძრაობის მიერ „ბალტიისპირეთის გზიდან“ გადახვევა და მშვიდობიანი განვითარების ნაცვლად, რადიკალური სცენარის არჩევა გახდა,<sup>163</sup> რაც ზვიად გამსახურდიას შეურიგებელმა პოზიციამ განაპირობა. მართალია, „ეროვნული გმირის შარავანდედით“ შემოსილიმა გამსახურდიამ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მან ვერ შეძლო პოლიტიკური ლიდერის როლის მორგება და ბოლომდე დარჩა საბჭოთა დისიდენტად.<sup>164</sup> მისივე აზრით, გამსახურდიას სიხისტე და კომპრომისის უნარის არქონა გახდა შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზი.<sup>165</sup> გარდამტეხი წერტილი 1991 წლის 2 სექტემბრის აქციის დარბევა აღმოჩნდა, რომელიც ოპოზიციამ ხელისუფლების რეპუტაციის შესალახად გამოიყენა და გამსახურდია საბოლოოდ შერაცხა ავტორიტარ მმართველად.<sup>166</sup> ბლუაშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს საგარეო ფაქტორს და აღნიშნავს, რომ კრემლი პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებას და გამსახურდიას რადიკალიზმს თავისი ინტერესებისთვის იყენებდა, ხოლო რუსული პრესა მის პოლიტიკურ გამონათქვამებს ისე ფუთავდა, რომ უმცირესობები ქართველების წინააღმდეგ აეჯანყებინა.<sup>167</sup> მიუხედავად გამსახურდიას მმართველობისადმი უარყოფითი

<sup>159</sup> იქვე, გვ. 72-74.

<sup>160</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>161</sup> სონღულაშვილი, ავთანდილ. „9 აპრილის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისათვის,“ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II (6), კრებული ემდგნება 9 აპრილის 20 წლისთავს (თბილისი: უნივერსალი, 2009), გვ. 11-13.

<sup>162</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>163</sup> ბლუაშვილი, უჩა. *ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში* (თბილისი: 2012), გვ. 59.

<sup>164</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>165</sup> იქვე, გვ. 178-179.

<sup>166</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>167</sup> იქვე, გვ. 116.

დამოკიდებულებისა, ბლუაშვილი სამოქალაქო დაპირისპირებას არ ამართლებს, გამსახურდიას განდევნას გადატრიალებას უწოდებს და წერს, რომ „ნებისმიერი ხელისუფლება, თვით ყველაზე დიქტატორული,“ სჯობდა იმას, რაც ამ პროცესებს შედეგად მოჰყვა.<sup>168</sup> მისი აზრით, დევნილობაში მყოფი გამსახურდია კვლავ ახერხებდა საკუთარი მომხრეების მობილიზებას, რომლებიც დესტაბილიზაციისა და მასობრივი ფსიქოზის დანერგვას შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც აქტიურად განაგრძობდნენ.<sup>169</sup> იგი თვლის, რომ სამოქალაქო დაპირისპირება გამსახურდიას გარდაცვალებასთან ერთად დამთავრდა.<sup>170</sup>

საერთო ხაზიდან ერთგვარად ამოვარდნილია იგორ კვესელავას „საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), I.“<sup>171</sup> სათაურში გატანილი „ქრონიკები“ გ. მჭედლიძის წიგნის ანალოგიურ მოლოდინს გვიქმნის, თუმცა ავტორის მთელი ძალისხმევა მიმართულია 9 აპრილის მოვლენების მთავარი დამნაშავეების ძიებისაკენ, რა დროსაც იგი მუდმივად ხაზს უსვამს თავდაცვისა და უშიშროების საკავშირო და ადგილობრივი ორგანოების გადამწყვეტ როლს დატრიალებულ ტრაგედიაში და იმას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი „ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი და ზნეობრივი ასპექტით სრულიადაც არ იმსახურებს თითის გაშვერას ცალკეული პუბლიკაციების ავტორების მხრიდან.“<sup>172</sup> მეტიც, გაზეთ „თუთარჩელადან“ მოტანილ ციტატაზე დაყრდნობით, იგი წერს, რომ „1985 წლიდან 1989 წლამდე, ხალხის ეროვნული თვითშეგნების ზრდის პირობებში [...] ჯ. პატიაშვილი ყალიბდებოდა როგორც ჭეშმარიტი ეროვნული ლიდერი, რომელსაც მხარს უჭერდა ახალგაზრდობის ფართო მასა. ისინი პატივს სცემდნენ მას, პოულობდნენ მასთან საერთო ენას. მაგრამ აღმოჩნდნენ ძალები, რომლებსაც არ მოსწონდათ რესპუბლიკის ხელმძღვანელის ავტორიტეტის არნახული ზრდა, მისი გადაქცევა ზოგადეროვნულ ლიდერად და ეს პროცესი სასტიკად, უცერემონიოდ შეწყვიტეს.“<sup>173</sup> ამ საკითხის განხილვას გაცილებით დიდი ადგილი ეთმობა, ვიდრე თავად 9 აპრილის ამბებს. ავტორი მიიჩნევს, რომ 9 აპრილის პერიპეტეების „ყველა დეტალი ჯერჯერობით არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის“ და რომ „9 აპრილის ტრაგედიამ და მისგან გამომდინარე პარტიულ-სახელისუფლებო გადატრიალებამ გზა მოუჭრა ჯუმბერ პატიაშვილს – გამხდარიყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი. მას იმჟამად ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა.“<sup>174</sup> 1989 წლის 9 აპრილს იგორ კვესელავა აფასებს როგორც ტრაგედიას, ჯარის „მხეცურ ანგარიშსწორებას“ საკუთარ ხალხთან, რომლის დროს, „პირველად საბჭოთა ისტორიაში, გამოიყენეს ქიმიური იარაღი,“<sup>175</sup> 9 აპრილმა „დააჩქარა კომუნისტური ხელისუფლების კრიზისი საქართველოში,“<sup>176</sup> „მთლიანად გააშიშვლა რესპუბლიკაში მომნიშვებული პოლიტიკური კრიზისი,

<sup>168</sup> იქვე, გვ. 190.

<sup>169</sup> იქვე, გვ. 192-199.

<sup>170</sup> იქვე, გვ. 294.

<sup>171</sup> კვესელავა, იგორ. *საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990)*, I (თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004).

<sup>172</sup> იქვე, გვ. 176-177.

<sup>173</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>174</sup> იქვე, გვ. 180.

<sup>175</sup> იქვე, გვ. 183.

<sup>176</sup> იქვე, გვ. 180.

შეუვალი მიჯნა გაავლო ჩვენს აზროვნებასა და ცნობიერებაში.<sup>177</sup> სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ი. კვესელავა 9 აპრილს „გადატრიალებას“ და „პარტიულ-სახელისუფლებო გადატრიალებას“ უწოდებს,<sup>178</sup> თუმცა ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობითაც იყენებს: „ქართველი კაცის ცნობიერებაში 9 აპრილით მოხდა გადატრიალება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეის სასარგებლოდ.“<sup>179</sup> აღნიშნავს, რომ 9 აპრილმა ეროვნულ მოძრაობას გზა გაუხსნა ხელისუფლებისაკენ.<sup>180</sup>

**დიმიტრი შველიძის** მონოგრაფიაში „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წ.წ.“ ფაქტები ზედმიწევნით სრულადაა გადმოცემული, შეფასებები კი გაცილებით უფრო ფრთხილია, ვიდრე ზემოთ ნახსენებ ნაშრომებში. დ. შველიძის აზრით, 1989 წლის ამბებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა შემდგომ მოვლენებში. იგივე მოსაზრება გაიმეორა მან 2019 წელს, 9 აპრილის 30 წლისთავზე მიცემულ ინტერვიუში: „საზოგადოება შეაძრწუნა ჯერ საერთო საფრთხემ და შემდეგ საერთო ტკივილმა დროებით გააერთიანა საზოგადოებაც და პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილიც. მთავარი ის იყო, რომ 9 აპრილმა პოლიტიკური სპექტრის საბოლოო რადიკალიზაცია გამოიწვია. ეროვნული მოძრაობის ცალსახა ლიდერები რადიკალები გახდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა ერთადერთი ლოზუნგი და მიზანი გახდა. ამ მხრივ – 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს უახლესი ისტორიის გარდამტეხი თარიღია.“ დ. შველიძის აზრით, ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაციის მიზეზი ის იყო, რომ უფრო მეტ გონიერებაზე პრეტენზიის მქონე ინტელიგენციამ „ვერ გაბედა მოვლენებს სათავეში ჩადგომა და ვერ ნაიყოლია საზოგადოება,“ პოლიტიკური ბრძოლა „მათი საქმე არ იყო. აქედან გამომდინარეობდა ჩვენი ეროვნული მოძრაობის წარმატებებიც და წარუმატებლობაც.“<sup>181</sup> ხელისუფლებაში მოსულმა რადიკალმა ლიდერებმა თავი ვერ გაართვეს მართვის რთულ ამოცანებს და მოვლენების რუსული სცენარით განვითარება დაუშვეს.<sup>182</sup> მიუხედავად იმისა, რომ დ. შველიძე დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნაჩქარევად მიიჩნევს და თვლის, რომ ხალხი ამისთვის მზად არ იყო, იგი არ ეთანხმება მოსაზრებას, თითქოს ზვიად გამსახურდიას არ ჰქონდა რეალური მიზნისკენ – საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ – მიმავალი სამოქმედო პროგრამა, მაგრამ, მისი აზრით, ამ პროგრამის განხორციელება საშინაო და საგარეო ფაქტორების გაუთვალისწინებლად მოხდა.<sup>183</sup> სამოქალაქო დაპირისპირება, შველიძის აზრით, წარმოშვა, ერთი მხრივ, ოპოზიციის მიერ გამსახურდიასთან უთანხმოების ქვეყნის ინტერესებზე მალლა დაყენებამ, მეორე მხრივ კი გამსახურდიას დაგვიანებულმა ქმედებებმა გასამხედროებული ნაწილების ურჩობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ოპოზიციასთან დიალოგის

<sup>177</sup> იქვე, გვ. 181.

<sup>178</sup> იქვე, გვ. 180, 184.

<sup>179</sup> იქვე, გვ. 186.

<sup>180</sup> იქვე, გვ. 186.

<sup>181</sup> კობა ზენდელიანის ინტერვიუ დიმიტრი შველიძესთან, *ინტერპრესნიუსი*, 9 აპრილი, 2019, <https://bit.ly/3q8HUPJ> (ნანახია 30.01.2021).

<sup>182</sup> შველიძე, დიმიტრი. *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წ.წ.* (თბილისი: უნივერსალი, 2008), გვ. 44.

<sup>183</sup> იქვე, გვ. 143-144.

არქონამ და ხისტმა პოზიციამ, რომელიც ყველაზე მკაფიოდ 1991 წლის 2 სექტემბერს მიტინგის დარბევაში გამოვლინდა.<sup>184</sup> ამან მას ყოფილი მომხრეებიც აუმხედრა და დასავლეთსაც შეუქმნა გამსახურდიას ანტიდემოკრატიული კურსის შთაბეჭდილება.<sup>185</sup> 22 დეკემბერს დაწყებული შეიარაღებული დაპირისპირების ინიციატორად დ. შველიძე ოპოზიციას მიიჩნევს.<sup>186</sup> ამ დაპირისპირებას და მის შედეგს – ზვიად გამსახურდიას განდევნას ხელისუფლებიდან და ქვეყნიდან – მკვლევარი სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს, დანაშაულებრივ ქმედებად თვლის და მასში ზვიად გამსახურდიას ბრალსაც ხედავს, რომელმაც ვერ გაითვალისწინა, რომ პოლიტიკოსის საქციელი მხოლოდ ზნეობრივი კატეგორიებით არ ფასდება.<sup>187</sup> დ. შველიძე აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ წლების შემდეგ ამ გადატრიალების მონაწილეთა ნაწილმა მოინანია თავისი მაშინდელი პოზიცია თუ ქმედება, თუმცა ეჭვი შეაქვს მონაწილების გულწრფელობაში, რადგან იგი ამ პირთა შემდგომ საქმიანობაში არ ასახულა.<sup>188</sup>

ამ წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც 2021 წელს დაიბეჭდა, დიმიტრი შველიძე წერს, რომ გავლილი ცამეტი წლის განმავლობაში 1991-1992 წლების ამბების შესახებ არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა, თუმცა ამ მოვლენებისადმი ავტორების დამოკიდებულება კვლავ „გაორებული და ურთიერთგამომრიცხავია.“<sup>189</sup> უცვლელი დარჩა მისი შეხედულებები, განწყობა და შეფასებებიც; მისთვის „კიდევ უფრო ცხადი გახდა სახელმწიფო გადატრიალების დამღუპველი შედეგები.“ დ. შველიძის აზრით, სწორედ ეროვნული ხელისუფლების დამხობამ განაპირობა საქართველოს ჩამოყალიბება „გაყოფილ ერად“, როგორც მას სტივენ ჯონსმა უწოდა და როგორც იმ დღემდე რჩება.<sup>190</sup>

**ოთარ ჯანელიძე**, ნაშრომში „საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია“<sup>191</sup> 1989 წლის 9 აპრილს კომუნისტური პარტიის მიერ მოწყობილ „სისხლიან კალოს“ უწოდებს, რომელიც „გაგრძელება იყო იმ დამსჯელი აქციებისა, რომელსაც საბჭოთა იმპერია თავის გავლენის ზონაში თავისუფლებისმოყვარე ერების წინააღმდეგ მიმართავდა.“<sup>192</sup> 1990 წლის 28 ოქტომბერს იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნევს, როცა კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანად შეიცვალა, მაგრამ „მრგვალმა მაგიდამ“ დისიდენტური კურსი გააგრძელა, დაუპირისპირდა ინტელიგენციას, „ვერ შეძლო თავისუფლებით ანთებული მოსახლეობის ენთუზიაზმი ჩაერთო შრომისა და აღმშენებლობის საქმეში.“<sup>193</sup> ო. ჯანელიძე აღნიშნავს, რომ ინტელიგენციასთან, ყოფილ სამეურნეო მუშაკებთან, კომუნისტებთან, კრიმინალურ დაჯგუფებებთან და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან ერთად, გამსახურდიას მონიწილედეთა რიგებში აღმოჩნდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომლისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა „ცხოვრების სწრაფ გარდაქმნასა და გაუმჯობესე-

<sup>184</sup> იქვე, გვ. 150-151.

<sup>185</sup> იქვე, გვ. 308-311.

<sup>186</sup> იქვე, გვ. 464.

<sup>187</sup> იქვე, გვ. 467.

<sup>188</sup> იქვე, გვ. 494.

<sup>189</sup> შველიძე, *პოლიტიკური დაპირისპირებები...* (თბილისი: არტანუჯი, 2021), გვ. 3.

<sup>190</sup> იქვე, გვ. 4-5.

<sup>191</sup> ჯანელიძე, *ოთარ. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია* (თბილისი: 2009).

<sup>192</sup> იქვე, გვ. 202.

<sup>193</sup> იქვე, გვ. 207.

ბასთან ასოცირდებოდა, მეტისა და უკეთესის მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ ამას ვერ გრძნობდა.“<sup>194</sup> რაც შეეხება თბილისის ომს, ჯანელიძე აღნიშნავს, რომ, მართალია, თბილისში იგი სახალხო რევოლუციად მონათლეს, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც ეროვნული ხელისუფლება მმართველობას ჩამოაშორა და სამოქალაქო ომი გამოიწვია.<sup>195</sup>

საყურადღებოა 1989 წლის 9 აპრილის პარალელი 1956 წლის 9 მარტთან.<sup>196</sup> უჩა ბლუაშვილი და გურამ ყორანაშვილი ნეგატიურ ისტორიულ მაგალითს ახალი მოვლენის მნიშვნელობის განსასაზღვრად და საზოგადოების ყურადღების მისკენ მისამართად იყენებენ: პირველი აქცენტს განსხვავებულ შედეგზე აკეთებს – „1989 წლის 9 აპრილის შემდგომი თბილისი არ ჰგავდა 1956 წლის 9 მარტის შემდგომ თბილისს. 9 მარტის შემდეგ ხალხი შეშინებული, თავჩაქინდრული და დათრგუნული დადიოდა ქუჩებში, 9 აპრილის შემდეგ კი თბილისელებს სახეზე აღშფოთება და აღტკინება გამოხატვოდათ“;<sup>197</sup> გურამ ყორანაშვილი კი აღნიშნავს, რომ 9 აპრილის მსგავსად, 1956 წლის 9 მარტის დემონსტრაციაც მსხვერპლით დასრულდა, თუმცა „მხეცობის მხრივ 1989 წელს ჩატარებული საბჭოური აქცია აღმატებული იყო.“<sup>198</sup>

ავთანდილ სონღულაშვილი, 9 აპრილის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, კულტურულ ნიმუშებს მიმართავს, იგი 9 აპრილს „ბართლომეს ღამეს“ უწოდებს,<sup>199</sup> ციფრი ცხრის საკრალურ მნიშვნელობას იხსენებს, „რომელიც დიდი ხანია ჩვენთვის სევდისა და გლოვის რიცხვად იქცა. 1956 წლის 9 მარტი არ გვაკმარეს, 9 აპრილიც ტკივილისა და შურისძიების სურვილის თარიღად გვიქცეის.“<sup>200</sup>

დამოუკიდებლობის პერიოდში საისტორიო მეცნიერებაში დაგროვილი გამოცდილების გააზრებისა და არა მხოლოდ ემპირიული, არამედ თეორიულ-მეთოდოლოგიური სიახლის შემოთავაზების მოლოდინს აჩენდა 2012 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეული. მართალია, ეს მოლოდინი გააფერმკრთალა უკვე შესავალმა წერილმა, რომელიც ამ გამოცემას „სამეცნიერო-პოპულარულს“ უწოდებს, თუმცა იქვე მისი შექმნის ინიციატორად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ასახელებს. XX საუკუნის ბოლოს სწორედ მან შესთავაზა აღიარებულ ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფს, რომელთა უმრავლესობა საბჭოთა მასტერ ნარატივის განვითარების შემაჯამებელი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ავტორი იყო, ოთხტომეულის მომზადება. მაშინ, „სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ამ პროექტის განხორციელება შეფერხდა,“<sup>201</sup> 2009 წელს კი მუშაობა განახლდა და ზემოთ დასახელებული გამოცემით დაგვირგვინდა. ნაშრომი არ შეიცავს არანაირ მითითებას

<sup>194</sup> იქვე, გვ. 207. ეს სწორედ შტომპკასეული გამარჯვების ტრავმის ერთ-ერთი ნიშანია, თუმცა ეს თეორია არ წამოადგენს ავტორის ინტერესის საგანს.

<sup>195</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>196</sup> ამ დღეს საბჭოთა არმიის ნაწილები სასტიკად გაუსწორდნენ სტალინის ძეგლთან რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარე მიტინგის მონაწილეებს, რომელთა ნაწილმა, ხელისუფლებისთვის თავიანთი მოთხოვნების გადასაცემად, რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი კავშირგაბმულობის სახლის წინ გადაინაცვლა. ანგარიშსწორების შედეგად დაღუპულთა ზუსტი რიცხვი ცნობილი არ არის.

<sup>197</sup> ბლუაშვილი, *ეროვნული მოძრაობა*, გვ. 56.

<sup>198</sup> ყორანაშვილი, *9 აპრილი: მითი და სინამდვილე*, გვ. 71.

<sup>199</sup> სონღულაშვილი, „9 აპრილის ტრავმის პოლიტიკური შეფასებისათვის,“ გვ. 17.

<sup>200</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>201</sup> *საქართველოს ისტორია 4 ტომად*, ტ. I (თბილისი: პალიტრა L, 2012), გვ. 5.

გამოყენებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე, არ ახლავს ბიბლიოგრაფია, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი, რასაც რედაქტორი ოთხტომეულის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათით ხსნის. თუმცა მე-4 ტომის წინათქმაში ავტორები ამბიციურ განაცხადს აკეთებენ: „ტომს საფუძვლად დაედო არსებული ისტორიოგრაფიული მიღწევების შემოქმედებითი ათვისება. [...] ნაშრომი ძირითადად დაწერილია საქართველოს, რუსეთის არქივებსა და წიგნსაცავებში ავტორების მიერ მიკვლეული ახალი მასალის გამოვლენისა და ისტორიოგრაფიულ მიმოქცევაში მათი ჩართვის საფუძველზე.“<sup>202</sup> კონკრეტულად რა მასალებია ავტორების მიერ მიკვლეული და გამოყენებული, ზემოთ აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ოთხტომეული ჩვენთვის საინტერესოა როგორც მეხსიერების ადგილი, რადგან იგი გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე როგორც საცნობარო ლიტერატურა დაინტერესებული პირებისათვის. 2019-2020 წლებში ოთხტომეული ხელახლა გამოიცა და ამის შესახებ ფართო საზოგადოებას არაერთი მედიასაშუალებით ეცნობა. შესაბამისად, ეს ნაშრომი თავის როლს ასრულებს გადმოცემული ფაქტებისა და მოვლენების აღქმასა და მათ შესახებ მეხსიერების ფორმირებაში.

ჩვენი საკვლევი საკითხების გადმოცემის სქემა იგივეა, რაც ზემოთ განხილულ სხვა ნარატივებში. შეფასებითი დამოკიდებულება აქ უფრო მკაფიოა. 9 აპრილის ამბები განხილულია მე-4 ტომის ბოლო, XIX თავში, რომლის ავტორია ალექსანდრე დაუშვილი. თავის სათაურია „ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა“, ხოლო სტრუქტურა ასეთია: „ეროვნული ცნობიერების განვითარება და გაძლიერება“; „ეკონომიკური მდგომარეობა, 'გარდაქმნის' კურსი, სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის რეანიმაციის ცდა“; „1989 წლის 9 აპრილი“; „კომუნისტური მმართველობის დასასრული საქართველოში.“ ტომი 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით მთავრდება,<sup>203</sup> ამდენად, დამოუკიდებლობის გამოცხადება, სამოქალაქო დაპირისპირება და ომი მასში განხილული არ არის. დაუშვილის შეფასებები არ განსხვავდება ზემოთ განხილული ავტორების მკაცრად ნეგატიური შეფასებებისაგან.

9 აპრილისადმი მიძღვნილი ქვეთავი ლიხნის ყრილობით იწყება, რომელსაც ავტორი „ყველაზე შეურაცხმყოფელი სეპარატისტული განწყობილების გამოვლენას“<sup>204</sup> უწოდებს. 4 აპრილს, როგორც დაუშვილი ამბობს, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა საკითხის ყოველმხრივი განხილვა, რომელშიც, სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობდნენ „საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლევან ალექსიძე და სხვ. ქართველმა ინტელიგენციამ ხელისუფლებას კატეგორიულად მოთხოვა ყოველმხრივ მოწინააღმდეგეობა აფხაზეთის პრობლემა.“<sup>205</sup> თუმცა „ქართველი ინტელიგენციის ზომიერ, ანონიმ-დანონიმ პოზიციას დაუპირისპირდა რადიკალური იდეოლოგია, ეგზალტირებულ მასაზე გათვლილი არარეალური პოლიტიკა,“ მთავრობის სახლის წინ დაწყებულ მიტინგზეც 6

<sup>202</sup> ბენდიანიშვილი, ალექსანდრე და სხვ. „საქართველო XIX-XX საუკუნეებში,“ საქართველოს ისტორია 4 ტომად, ტ. 4, რედ. მაცვალა ნათელაძე (თბილისი: პალიტრა L, 2012), გვ. 7.

<sup>203</sup> ეს ქრონოლოგიური ზღვარი შენარჩუნებულია 2020 წლის გამოცემაშიც.

<sup>204</sup> ბენდიანიშვილი და სხვ., „საქართველო XIX-XX საუკუნეებში,“ გვ. 497.

<sup>205</sup> იქვე, გვ. 498.



აპრილიდან „ინიციატივა რადიკალების ირაკლი წერეთლის და გია ჭანტურიას ხელში გადავიდა. [...] [აფხაზეთის საკითხი] დაჩრდილა მომიტინგეების, განსაკუთრებით კი მიტინგის ახალი ხელმძღვანელების ულტრარადიკალურმა გამოსვლებმა და გამონათქვამებმა.“<sup>206</sup> საყურადღებოა, რომ მიტინგის ხელმძღვანელებს შორის არ არიან ნახსენები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ავტორი აღნიშნავს, რომ „საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა შეეცადა საკითხის საკუთარი ძალებით მონესრიგებას,“ რაც გამოიხატა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ერთი მდივნის მეორით ჩანაცვლებაში, მაგრამ მიტინგზე რადიკალური მოთხოვნები კვლავ პოპულარული რჩებოდა. ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების უმაღლესი პირების მიმართვა მიტინგის ორგანიზატორებისადმი ვითარების მშვიდობიანი განმუხტვის თაობაზე.<sup>207</sup> შემდეგ საუბარია საბჭოთა ლიდერების ქვეყანაში არყოფნაზე, ეგორ ლიგაჩოვის მიერ 7 აპრილს თბილისიდან (არ კონკრეტდება – ვისგან) მიღებულ ინფორმაციასა და თბილისიდან ჩასული დელეგაციის გორბაჩოვთან შეხვედრაზე ვნუკოვო-2-ის დარბაზში, რომლის შესახებ საუბრისას ავტორი იყენებს საისტორიო ნარატივისთვის უჩვეულო ფორმას – „გორბაჩოვს შეხვედრაზე უთქვამს,“<sup>208</sup> წყაროზე მითითების გარეშე. აღნიშნულია, რომ „ვითარება თბილისში უმართავი გახდა,“ არაფორმალური ორგანიზაციები სტუდენტებს სწავლის შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ, „დაიწყეს ფულადი სახსრების შეგროვება, ააგეს ბარიკადები“;<sup>209</sup> იყო მომიტინგეთა დაშინების მცდელობა სამხედრო ძალის დემონსტრირებით; მომიტინგეები „არ დაემორჩილნენ საქართველოს სულიერი მამის შეგონებას. ეს საბედისწერო შეცდომა იყო.“<sup>210</sup> ამას მოსდევს პატრიარქის წასვლის შემდეგ დატრიალებული ამბის ჰეროიკული პათოსით დახატული სურათი: „ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა... სულ უფრო ძლიერდებოდა პროსპექტზე მომავალი ტანკების გრიალი. ამ დრამატულ ვითარებაში გაისმა ქალების მიერ ვაჟკაცურად შესრულებული პატრიოტული სიმღერა ‘დაუკართ!’ ეს მიტინგზე მყოფი უსინათლო გოგონების ჯგუფი მღეროდა და ტრაგიკული ვითარების ჰეროიკულ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებდა. აღშფოთებული მომიტინგეები ტანკებს წინ ჯოხებით აღუდგნენ.“<sup>211</sup> მომდევნო მოვლენების გადმოცემისას 9 აპრილი მონიშნულია როგორც „ტრაგედია,“ „ტრაგიკული მოვლენა,“ რომლის მნიშვნელობა შემდეგანაირადაა შეფასებული: „9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უაღრესად დიდია: მან ცხადყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის აგონია და საბოლოო კრაზი, განაპირობა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესის მოახლოება.“ ამასთანავე, აღნიშნულია, ავტორის აზრით, მნიშვნელოვანი გარემოებაც: „მან მეტად აშკარად და უხეში ფორმით დაუპირისპირა რუსეთის სახელმწიფო ქართველებს, რუსეთის ჯარი საქართველოს. საქართველო კავკასიაში მარტო დარჩა.“<sup>212</sup>

ტომის წინათქმაში აღნიშნულია, რომ ავტორებმა „რადიკალურად შეცვალეს მსოფლმხედველობითი პრინციპები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა [...]

<sup>206</sup> იქვე, გვ. 498-499.

<sup>207</sup> იქვე, გვ. 499.

<sup>208</sup> იქვე, გვ. 500.

<sup>209</sup> იქვე.

<sup>210</sup> იქვე.

<sup>211</sup> იქვე, გვ. 500-501.

<sup>212</sup> იქვე, გვ. 502.

მთავარია არა საზოგადოების რომელიმე კლასი, არამედ ერი და საერთო-საკაცობრიო პროგრესი [...] მკვლევრები ყველა ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს საერთო-ეროვნული ინტერესების ფონზე, მეცნიერული ობიექტურობით აანალიზებენ.<sup>213</sup> მაგრამ როგორც ნაშრომის სტრუქტურა, ასევე მასალის გადმოცემა ცხადყოფს, რომ მეთოდოლოგიის მხრივ რაიმე ცვლილება და სიახლე შემოთავაზებული არ არის; არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რომელი თეორიული ჩარჩოს ფარგლებში გაიაზრებენ ფაქტობრივ მასალას ავტორები.

ამრიგად, განხილული ნაშრომები საფუძვლად დაედო დომინანტური ნარატივის ჩამოყალიბებას, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის წყალგამყოფ მომენტად მიიჩნევს, მას ქართველი ერის ისტორიული ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდად წარმოაჩენს და ამავე კონტექსტში გაიაზრებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1991 წლის 9 აპრილს. ეს თარიღი დაკავშირებულია 9 აპრილის ტრაგედიასთან, რითაც ყალიბდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჯაჭვი, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებიდან საბოლოო ეროვნულ გამარჯვებამდე. ავტორთა მოსაზრებები იყოფა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთოდების შესახებ, რის გამოც ისინი განსხვავებულად აფასებენ ისტორიული ფიგურების როლს და მოვლენათა მნიშვნელობას საქართველოს უახლეს ისტორიაში. მკვლევართა ნაწილი აქცენტს აკეთებს სამოქალაქო დაპირისპირებაზე და აღნიშნავს, რომ 9 აპრილმა გამოიწვია ქართული მოსახლეობის რადიკალიზაცია და ზომიერი პოლიტიკური ელიტის უკანა პლანზე გადაწევა. ამ პროცესის შედეგად კი ხელისუფლებაში მოვიდნენ რადიკალური ჯგუფები ზვიად გამსახურდიას თაოსნობით, რომელთა მიერ დაშვებულმა შეცდომებმა ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა. მეორე ნაწილის შეხედულებით, 9 აპრილი თავისუფლებისთვის გაღებული აუცილებელი მსხვერპლი იყო, შესაბამისად, მათ აქცენტი ქართველი ერის ისტორიულ გამარჯვებაზე გადააქვთ. რაც შეეხება 1991-93 წლების დაპირისპირებას, მისი შეფასება ერთგვაროვანი არ არის, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, იგი მოიხსენიება სახელმწიფო გადატრიალებად, რომელმაც სამოქალაქო ომი გამოიწვია (გ. მჭედლიძე, ო. ჯანელიძე, დ. შველიძე და სხვა). ტრავმისა და ტრიუმფის კომპონენტების თანაფარდობა, ნაშრომების მიხედვით, სხვადასხვაგვარია.

ჩვენ ისტორიკოსთა იმ ნაშრომებით შემოვიფარგლეთ, რომლებშიც საკვლევო პერიოდი დაწვრილებით არის განხილული და რომლებიც იმის გააზრების საშუალებას იძლევა, თუ როგორ აღიქმებოდა, განიცდებოდა და მეხსიერებაში აღიბეჭდებოდა ამბები, რომლებიც დროის მცირე მონაკვეთში ენაცვლებოდა ერთმანეთს; როგორ ყალიბდებოდა შეფასებები, რამდენად და როგორ იცვლებოდა ისინი დროთა განმავლობაში.

პროფესიულ საისტორიო ნარატივზე დაყრდნობით და მის ფარგლებში იქმნება ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებსაც პიერ ნორა მეხსიერების ფუნქციური არეების ჯგუფს მიაკუთვნებს<sup>214</sup> და რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზიარო მეხსიერებისა და იდენტობის ჩამოყალიბებაში.

<sup>213</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>214</sup> Nora, Pierre. "Introduction to *Realms of Memory, Volume III, The Construction of the French Past. Realms of Memory Volume 3: Symbols*. Under the direction of Pierre Nora. English-language edition edited by Lawrence D. Kritzman. Translated by Arthur Goldhammer (New York: Columbia University Press, 1992), p. 19.

ვნახოთ, როგორ აისახა პროფესიული საისტორიო ნარატივი დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში.

### 1989-1992 წლების მოვლენები ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში

პიერ ნორა სახელმძღვანელოებს მეხსიერების არეებად მიიჩნევს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისტორიული უწყვეტობის შენარჩუნებაში.<sup>215</sup> მისი კლასიფიკაციით, სახელმძღვანელოები ფუნქციური არეების კატეგორიას მიეკუთვნება,<sup>216</sup> რომლებიც ხელს უწყობს საზიარო მეხსიერების მატარებელი ჯგუფების კონსოლიდაციას. ფაქტის, მოვლენის თუ პერსონაჟის შეტანა სახელმძღვანელოში მათი ინსტიტუციონალიზაციის და, ამ გზით, მეხსიერების ნაწილად ქცევის მნიშვნელოვანი საშუალებაა. სახელმძღვანელოებში დაფიქსირებული ფაქტები არ ქრება კომუნიკაციურ მეხსიერებასთან ერთად, არამედ, სწორედ სახელმძღვანელოს მეშვეობით, კულტურულ მეხსიერებაში გადაინაცვლებს. ეს არის ერთ-ერთი მუდმივად გამოყენებადი ტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურობას და განსაზღვრავს მის წარმოდგენას საკუთარ თავზე.<sup>217</sup> სახელმძღვანელოებში კოლექტიური ტრავმის გამომწვევი მოვლენის შესახებ ინფორმაციის შეტანა ტრავმის მეხსიერების შენახვას და მომავალი თაობისათვის მის გადაცემას ემსახურება, ხელს უწყობს კოლექტიური იდენტობის განმტკიცებას ან მის რეკონსტრუქციას, რაც იქცევა ფუნდამენტურ რესურსად სამომავლო პრობლემების გადაწყვეტისათვის.<sup>218</sup>

ჩვენთვის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები საინტერესოა როგორც მეხსიერების არეები, რომლებიც ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და მისაწვდომია. სოციალიზაციის ყველაზე აქტიურ – სასკოლო განათლების – ეტაპზე ისინი ახალგაზრდა მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის ხელში გაივლის და ამა თუ იმ ფაქტის მეხსიერების შექმნასა და გადაცემაში, გამარჯვებად თუ მარცხად, ტრავმად თუ ტრიუმფად მათი აღქმის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

მარკ ფეროს ცნობილი გამონათქვამით, ჩვენი წარმოდგენა საკუთარ თავსა და საკუთარ ხალხზე, ისევე როგორც სხვებზე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია იმით, თუ როგორ გვასწავლიან ისტორიის ბავშვობაში. ის, რაც აკმაყოფილებს ჩვენს პირველ ცნობისმოყვარეობას და ინვესტს პირველ ემოციებს, წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენზე.<sup>219</sup> ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები ისტორიული ცნობიერების, წარსულისადმი დამოკიდებულების, სამომავლო ორიენტირებისა და მსოფლალქმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.<sup>220</sup> ჰ. მელინგერის სიტყვით, სოციალიზაციის ვერც ერთი ინსტრუმენტი შეედრება სახელმძღვანელოებს შესაძლებლობით – გადასცენ ახალგაზრდებს იმის უნიფიცირებული, აღიარებული, ოფიციალური ვერსია,

<sup>215</sup> Nora, "Introduction to *Realms of Memory*," p. 19.

<sup>216</sup> Nora, "Between Memory and History," p. 19.

<sup>217</sup> Assmann, Jan. "Collective Memory and Cultural Identity," *New German Critique*, no. 65, Cultural History/Cultural Studies (Spring-Summer, 1995): p. 132.

<sup>218</sup> Alexander, Jeffrey C. "Toward a Theory of Cultural Trauma," Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 23.

<sup>219</sup> Ферро, Марк. *Как рассказывают историю детям в разных странах мира* (Москва: Высшая школа, 1992), გვ. 8.

<sup>220</sup> Rojers, Peter J. "Why Teach History?" *Learning History*, eds. Alaric K. Dickinson, et al. (London: Heinemann Educational Books, 1984), p. 20.

რისაც მათ უნდა სჯეროდეთ.<sup>221</sup> მედიასა და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად, სახელმძღვანელოები ასახავს საზოგადოებაში გაბატონებულ ფასეულობებსა და სტერეოტიპებს. მათში აისახება „თანამედროვე წარსული,“ რომელიც დაკავშირებულია სოციალურ და პოლიტიკურ საჭიროებებთან.<sup>222</sup>

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგი იძლევა ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იმის თაობაზე, რომ მედია საშუალებების რაოდენობისა და მრავალფეროვნების ზრდის კვალობაზე, სახელმძღვანელოებს, როგორც ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს, წარმატებით უწევს კონკურენციას სხვა მედიუმები. მაგალითად, ჩვენი რესპონდენტების მხოლოდ 29% გაიგო 1956 წლის მოვლენების შესახებ სახელმძღვანელოებიდან, 37.7% – ოჯახის წინა თაობებისაგან, დანარჩენებმა კი სხვა მედიუმებიდან (იხ. დიაგრამა 22, 38). საინტერესოა, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებს ამ ინფორმაციის პირველწყაროდ ასახელებს ისტორიის მასწავლებლების 57.1%, დანარჩენი რესპონდენტებიდან კი სახელმძღვანელოები მხოლოდ 29.7% დაასახელა პირველწყაროდ (იხ. დიაგრამა 22). ამის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს წარსულის რთულ მოვლენებზე თავისუფლად საუბრის საშუალება, რამაც ამ ფაქტების კომუნიკაციური მექანიზმები გამოაცოცხლა და იგი აისახა როგორც უშუალო კომუნიკაციის პროცესში (თაობებს შორის), ასევე მემუარულ ლიტერატურასა თუ ინტერვიუებში „ცოცხალი“ მექანიზმების მატარებლებთან.

სახელმძღვანელოში აისახება დომინანტი ნარატივი – კულტურულად განპირობებული თხრობა, რომელიც ასახავს ფაქტის თუ მოვლენის კონტექსტს, ჯგუფის დამოკიდებულებებს და ორიენტირებულია საზოგადოების გაერთიანებასა და შემჭიდროებაზე.<sup>223</sup> ა. ასმანი აღნიშნავს, რომ ისტორიის სახელმძღვანელოების – ჩარლზ ინგრაოს სიტყვით, „მასობრივი განათლების იარაღის“ – მეშვეობით ისწავლება ერი-სახელმწიფოს მიერ შექმნილი ნარატივის ვერსია – ერთგვარი კოლექტიური ავტობიოგრაფია.<sup>224</sup> ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები სპეციფიკური ნარატივებია, რომლებიც, როგორც წესი, ემყარება და ასახავს საისტორიო მასტერ ნარატივს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზიარო წარსულის, როგორც იდენტობის მარკერის, ფორმირებაში.

1990-იან წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში XX საუკუნის საქართველოს ისტორია ისწავლებოდა ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით გამოცემული ნიგნით,<sup>225</sup> რომელიც ქრონოლოგიურად 1985 წლით სრულდება. პროფესიული საისტორიო ნარატივის ერთგვარი კონსერვატიულობის პირობებში, ცვლილებები სახელმძღვანელოებში ინიცირებულ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. 1997 წელს მიღებული, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი საგანმანათლებლო სტანდარტი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში<sup>226</sup> ხაზს უსვამდა ისტორიის პლურალისტურ-ალტერნატი-

<sup>221</sup> Mehlinger, Howard D. “International Textbook Revision: Examples from the United States,” *Internationale Schulbuchforschung*, no. 7 (1985): p. 287.

<sup>222</sup> Porat, Dan. “Contemporary Past: History Textbooks as Sites of National Memory,” *International Review of History Teaching*, vol. 3, *Raising Standards in History Education*, eds. Alaric Dickinson et al. (London, Portland, Or: Woburn Press, 2001), p. 49.

<sup>223</sup> Berger, “The Comparative History,” p. 33.

<sup>224</sup> Assmann, “Canon and Archive,” p. 101.

<sup>225</sup> ლომაშვილი, ფარნაოზ. *საქართველოს ისტორია (1918-1985), მე-11 კლასის სახელმძღვანელო* (თბილისი: განათლება, 1990, 1992, 1995).

<sup>226</sup> *საქართველოს ისტორიის ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტი* (თბილისი: 1997).

ული სწავლების მნიშვნელობას. თუმცა თავად სტანდარტში არსებობდა ზოგი ნინაალმდეგობა პრინციპების განმარტების კუთხით, ხოლო მის საფუძველზე შექმნილ სახელმძღვანელოებში ისტორია კვლავ წარმოდგენილი იყო როგორც კოლექტიური მეხსიერება, ბედისწერა, და არა კონკრეტულ დისციპლინურ პროცედურებსა და მეთოდებზე დამყარებული ცოდნა.

2000 წლიდან მოყოლებული, გამომცემლობა „არტანუჯი“ რამდენჯერმე გამოსცა მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის სახელმძღვანელოები IX და XI კლასებისათვის, რომლებშიც XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიაა გადმოცემული. პირველი<sup>227</sup> ხუთჯერ, 2000-2005 წლებში, მეორე<sup>228</sup> კი ოთხჯერ, 2002-2006 წლებში გამოიცა. თითქმის ყველა გამოცემას აწერია, რომ იგი გადამუშავებულია, თუმცა არსებითი ცვლილებები შეტანილი არ არის, ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ 2005 წლიდან განათლების რეფორმამ ცვლილებები შეიტანა ისტორიის სწავლების პრინციპებში, გასაანალიზებლად ორივე წიგნის პირველი გამოცემები შევარჩიეთ. ორი სხვადასხვა კლასისათვის გათვალისწინებული ინფორმაცია, ბუნებრივია, ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულია – პირველ რიგში, ინფორმაციის მოცულობით, აგრეთვე ზოგიერთი აქცენტი, თუმცა ისიც ბუნებრივია, რომ ძირითადი დებულებები და შეფასებები ერთნაირია. დამოუკიდებლობის აღდგენამდე პერიოდის გადმოცემას ამ ორ სახელმძღვანელოში პარალელური ტექსტების სახით განვიხილავთ, რაც თვალსაჩინოს გახდის სხვაობებს.

<p><b>მერაბ ვაჩნაძე და ვახტანგ გურული, საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები). IX კლასის სახელმძღვანელო (თბილისი: არტანუჯი, 2000)</b></p>	<p><b>მერაბ ვაჩნაძე და ვახტანგ გურული, საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.). XI კლასის სახელმძღვანელო (თბილისი: არტანუჯი, 2002)</b></p>
<p><b>თავი 25. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა</b></p>	<p><b>თავი XXII. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1989-1991 წწ.)</b></p>
<p><b>ქვეთავი - „ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საქართველოში“</b></p>	<p><b>§ 1. „ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საქართველოში. 1989 წლის 9 აპრილი“</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• საუბარია ჰელსინკის კავშირის შექმნაზე, სხვადასხვა საზოგადოებისა და პარტიის ჩამოყალიბებასა და მათ ლიდერებზე. „ეროვნული მოძრაობის უმთავრეს ძალას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა წარმოადგენდა. უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს „პრესკლუბი“; მოთხოვნები – დავით გარეჯის სამხედრო პოლიგონის გატანა, ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის სანინაალმდეგო მოძრაობა და სხვა (გვ.186).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იგივე (გვ. 167-168).</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• 1988 წლიდან დაიწყო ანტისაბჭოთა მიტინგები და დემონსტრაციები. „ეს გამოსვლები [...] საბჭოთა იმპერიიდან საქართველოს გამოსვლას, ე.ი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად“ (გვ.186).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 1988 - საბჭოთა კავშირის კონსტიტუციონში ცვლილების შეტანის მცდელობა. ნოემბრის შიმშილობა. მოსკოვის უკანდახევა (გვ.168).</li> </ul>

<sup>227</sup> ვაჩნაძე, მერაბ და ვახტანგ გურული. საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები). IX კლასის სახელმძღვანელო (თბილისი: არტანუჯი, 2000).

<sup>228</sup> ვაჩნაძე, მერაბ და ვახტანგ გურული. საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.). XI კლასის სახელმძღვანელო (თბილისი: არტანუჯი, 2002).

<ul style="list-style-type: none"> <li>● 1989 წლის გაზაფხული – სიტუაციის დაძაბვა, აფხაზი და ოსი სეპარატისტების გააქტიურება. ლიხნის თავყრილობა (გვ.186).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● იგივე (გვ. 168).</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>● 4 აპრილი – რუსთაველის გამზირზე დაიწყო მიტინგი და შიმშილობა. მოსკოვი შეაშფოთა ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ, „რომელმაც სულ უფრო გამოკვეთილი ანტისაბჭოთა და ანტირუსული ხასიათი მიიღო.“ გადაწყდა მიტინგის ძალით აღკვეთა, რითაც „ისარგებლა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ყველაზე რეაქციულმა ნაწილმა“ (გვ.186).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● „საქართველოს ეროვნული მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ყველზე მთავარ მონაპოვარს – იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრა“ (გვ.168). „გადამჭრელი ზომების“ მიღების გადამწყვეტილებას, მოსკოვის გავლენით, 8 აპრილს მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკური აქტივის კრებამ. თბილისში თავი მოუყარეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ძალებსა და შინაგანი ჯარების სპეცნაწილებს (გვ.168).</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>● 9 აპრილის ღამის აღწერა: „მხეცური დარბევა“ მომწამლავი გაზისა და ალესილი ნიჩბების გამოყენებით. მსხვერპლი. „დიდი ტრაგედიით გამოწვეულ ტკივილს კიდევ უფრო ამძაფრებდა რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისში მოთარეშე ჯარი და მოსკოვის საინფორმაციო საშუალებების ცილისმწამებლური გამოსტომები, რომელშიც ქართველი ერი სამართლიანად ხედავდა დაღუპული პატრიოტების ხსოვნის შეურაცხყოფას“ (გვ.187).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● 9 აპრილის ღამის აღწერა: „მხეცური დარბევა“ მომწამლავი გაზისა და ალესილი ნიჩბების გამოყენებით. მსხვერპლი. „10 აპრილს დამსჯელებმა ალყა შემოარტყეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც იმჟამად თავი მოეყარა ეროვნულ-პატრიოტული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. მოსალოდნელი პროვოკაცია და სისხლისღვრა თავიდან იქნა აცილებული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფის გააზრებული მოქმედების შედეგად“<sup>229</sup> (გვ. 169).</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>● 9 აპრილს მოჰყვა „დიდი გამოხმაურება მოკავშირე რესპუბლიკებსა და მთელ მსოფლიოში. ყველასთვის აშკარა გახდა, რომ [...] საბჭოთა მრავალეროვანი იმპერია განწირული იყო“ (გვ. 187).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● „9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა იმპერიალიზმის სახე“ (გვ. 169).</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>● „1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს, ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია. საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი“ (გვ. 169).</li> </ul>
	<p><b>§ 2.</b> „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>● „საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაენია ეროვნული მოძრაობისათვის. უზენაესმა საბჭომ 1921 წლის 25 თებერვლის გასაბჭოების აქტი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციად ცნო, ხოლო 1922 წლის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მხრიდან გაუქმებულად გამოაცხადა“ (გვ. 188).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● 1990 წლის 9 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღიარებული და დაგმობილი იყო 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და შემდგომი ანექსიის ფაქტი (გვ.169).</li> </ul>

<sup>229</sup> ეს ნაწილი სიტყვა-სიტყვით მეორდება ვახტანგ გურულის, მერაბ ვაჩნაძისა და სხვა ავტორთა 2003 წელს გამოცემულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში (იხ. ქვემოთ).

<ul style="list-style-type: none"> <li>ეროვნული მოძრაობის დიდი მიღწევა იყო 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა და „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება (გვ.188).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ეროვნული მოძრაობის დიდი მიღწევა იყო 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა და „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება. „ამით პირველად სამოცდაათწლიანი კომუნისტური მმართველობის ისტორიაში ქვეყნის სათავეში მოვიდა კანონიერი, ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით არჩეული ეროვნული ხელისუფლება“ (გვ.179).</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამრიგად, საქართველოში საბჭოთა (კომუნისტური) წყობილების ლიკვიდაცია მოხდა მშვიდობიანი გზით, რაც ეროვნული მოძრაობის სწორი ტაქტიკის შედეგი იყო“ (გვ.188).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>„რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ (გვ.170).</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ახალი ეტაპი დაიწყო ქართველი ერის ისტორიაში“ (გვ.188).</li> </ul>	

IX კლასის სახელმძღვანელოში გაკვეთილს წყაროს სახით ერთვის „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ხალხებს (1990 წლის 14 ნოემბერი).“ მოსწავლემ უნდა უპასუხოს კითხვებს: „რატომ დაარბიეს ასეთი არაადამიანური სისასტიკით მომიტინგეები 1989 წლის 9 აპრილს?“ და „რის საფუძველზე მოხდა დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს?“ ხოლო დავალების სახით, მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა შეადარონ პირობები, რომელშიც მოხდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წელს და 1991 წელს.<sup>230</sup> XI კლასის სახელმძღვანელოში წყაროს სახით წარმოდგენილია ფრაგმენტი 9 აპრილის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის ანატოლი სობჩაკის მოხსენებიდან (1989 წლის 24 დეკემბერი) და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. მათ მოსდევს მარტივი კითხვები (რომელი პოლიტიკური ძალები წარმართავდნენ 1988-89 წლების გამოსვლებს? ვინ გაიმარჯვა 28 ოქტომბრის არჩევნებში? რატომ ჩატარდა 31 მარტის რეფერენდუმი?) და დავალება: „თქვენი აზრით, შესაძლებელი იყო თუ არა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის თავიდან აცილება?“<sup>231</sup>

XI კლასის სახელმძღვანელოში, ამავე ქვეთავში, ლაპარაკია აგვისტოს პუტჩზე მოსკოვში, რის შემდეგ „იგეგმება საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა.“<sup>232</sup> 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში მიტინგის დარბევა შეფასებულია როგორც „მონყობილი პროვოკაცია, რომელიც მოსკოვიდან იმართებოდა“; აღწერილია ვითარების შემდგომი დაძაბვა, აღნიშნულია მოსკოვის საინფორმაციო საშუალებების მიერ მოვლენების გაყალბება; „საქართველო სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა.“<sup>233</sup>

<sup>230</sup> ვაჩნაძე და გურული, IX კლასის სახელმძღვანელო, გვ. 189.

<sup>231</sup> ვაჩნაძე და გურული, XI კლასის სახელმძღვანელო, გვ. 173.

<sup>232</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>233</sup> იქვე.

IX კლასის სახელმძღვანელოში ცალკე, 26-ე თავია „საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებში,“ რომლის პირველი გაკვეთილია „დამოუკიდებლობის პირველი წლების სიძნელეები.“ აღნიშნულია, რომ საბჭოთა იმპერია მტრულად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და უბიძგა კონფლიქტებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამ აგრესიული ქმედებების საპირისპიროდ, ეროვნული ძალები ვერ გაერთიანდნენ. თვით „მრგვალი მაგიდაც“ გაითიშა. მოსკოვის პუტჩმა საქართველოც ჩაითრია კრიზისში. კიდევ უფრო გამწვავდა ვითარება. „1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო კანონიერი ხელისუფლება.“ ამ მოვლენებს ბევრი ქართველის სიცოცხლე შეენირა. „სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში.“<sup>234</sup> მეორე გაკვეთილი, სათაურით „ლონისძიებანი ვითარების სტაბილიზაციის მიზნით,“ სამხედრო საბჭოს მმართველობით იწყება, როცა „ქვეყანა აშკარად გაითიშა ორ ნაწილად – ძველი ხელისუფლების მომხრეებად და სამხედრო საბჭოს მხარდამჭერებად.“ საუბარია ე. შევარდნაძის ჩამოსვლაზე, მისი თანამდებობის ტრანსფორმაციაზე. ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც 1994 წლამდე გრძელდებოდა, ავტორები „ანარქიასა და უწესრიგობას“ უწოდებენ<sup>235</sup> და აღნიშნავენ, რომ „ქვეყნის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო მშვიდობა შენარჩუნებული იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.“<sup>236</sup> „მშვიდობის დამყარებისა და სტაბილიზაციის“ დასაწყისად მიჩნეულია 1995 წელი, როცა „დაიწყო უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ალაგმვა.“<sup>237</sup>

ეს ამბები გაცილებით ვრცლად არის მოთხრობილი XI კლასის სახელმძღვანელოში, სადაც XXIII თავის („საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებში“) პირველ გაკვეთილს ჰქვია „დამოუკიდებლობის პირველი წლების სიძნელეები.“<sup>238</sup> ისევე როგორც IX კლასის წიგნში, აქაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აფხაზეთის კონფლიქტის პერიპეტიებს, სადაც ჯარის შეყვანა პოლიტიკურ შეცდომად არის შეფასებული. აღნიშნულია, რომ „ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ფორმირებების დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეულმა რუსეთის ჯარებმა.“<sup>239</sup> 1993 წლის დეკემბერში დაუდგენელ ვითარებაში ზვიად გამსახურდიას დალუპვა შეფასებულია როგორც „საქართველოს უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია.“<sup>240</sup> რატომღაც, განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა „სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებისა“ და „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის“ აღწერას აჭარაში, რაც მიმდინარეობდა „უაღრესად რთულ ვითარებაში, ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით,“<sup>241</sup> დართულია ოთხი ფოტოც, რომელთაგან ერთზე ასლან აბაშიძეა აღბეჭდილი, დანარჩენი სამზე კი ბათუმის შენობები და ერას მოედანი.

<sup>234</sup> იქვე, გვ. 190.

<sup>235</sup> იქვე, გვ. 192.

<sup>236</sup> იქვე, გვ. 193.

<sup>237</sup> იქვე, გვ. 194.

<sup>238</sup> იქვე, გვ. 174-176.

<sup>239</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>240</sup> იქვე.

<sup>241</sup> იქვე, გვ. 177-178.



აქვე შევხებით კიდევ ერთ სახელმძღვანელოს, რომელიც სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. ეს არის 2003 წელს გამოცემული მრავალავტორიანი სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის „საქართველოს ისტორია. XX საუკუნე“,<sup>242</sup> რომელშიც, ჩვენთვის საინტერესო საკითხების გადმოცემისას, გამეორებულია ზემოთ განხილულ ორ სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული სქემა და შეფასებები, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით მიმდინარე აღმშენებლობის ჩათვლით. ეს სრულიად ბუნებრივია: შესაბამისი თავის ორი ავტორიდან ერთი ვახტანგ გურულია; ასლან აბაშიძეც ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეშია. აღწერილი ამბები და შეფასებები რამდენადმე უფრო ვრცლად არის გადმოცემული, ვიდრე იმავე ავტორების XI და, განსაკუთრებით, IX კლასის სახელმძღვანელოებში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სასკოლო სახელმძღვანელო არ არის, ჩავთვალეთ, რომ იგი არ უნდა დაგვეტოვებინა უყურადღებოდ, რადგან: ა) ისევე როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, ისიც საისტორიო მასტერ ნარატივზეა დაფუძნებული და მას ასახავს; შესაბამისად, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი ნაბიჯი ისტორიკოსთა მიერ დამოუკიდებლობის ათწლეულის მანძილზე დაგროვილი გამოცდილების ახალ სახელმძღვანელოებში ასახვის გზაზე; ბ) საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნის პრაქტიკა ფრიად გავრცელებული იყო; ისინი შეიცავდა ძირითად ინფორმაციას შესასწავლი ქრონოლოგიური პერიოდის შესახებ და, ძირითადად, ზოგადი/შესავალი კურსების სწავლების დროს გამოიყენებოდა. ამდენად, ეს სახელმძღვანელო გავლენის მქონე ნარატივთა რიცხვს მიეკუთვნება: მისი ავტორები უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორის წარმომადგენლები იყვნენ, ზოგი მათგანი ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა და, ამდენად, სწავლების პრინციპებსა და ფორმებსაც განსაზღვრავდა; ამიტომ სახელმძღვანელოს იყენებდნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც, სადაც, ისევე როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ისტორია ყველა ფაკულტეტზე სავალდებულო საგანი იყო.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, წიგნი რაიმე სიახლეს არ გვთავაზობს, არამედ თავს უყრის 1980-90-იან წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში შემოსულ, ადრე აკრძალულ ან ნაკლებად ცნობილ ინფორმაციას თუ შეფასებებს, აგრეთვე თავად ავტორთა დამოკიდებულებას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი. ნაშრომში ცალკე თავები ეთმობა შემდეგ საკითხებს: ეროვნული მოძრაობა (თავი XII – „საქართველო 1965-1985 წლებში,“ § 8); თავი XIII – „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1989-1991 წწ.)“; თავი XIV – „საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დამდეგს.“

ეროვნული მოძრაობისადმი მიძღვნილი ქვეთავი, რომლის ავტორია დიმიტრი შველიძე, ჰელსინკის აქტის ხელმოწერითა (1975) და საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის შექმნით (1976) იწყება. ავტორის დასკვნით, ამ ჯგუფმა დიდი გავლენა იქონია „ქართველი ინტელიგენციისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის

<sup>242</sup> გურული, ვახტანგ და სხვ. *საქართველოს ისტორია. XX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, არტანუჯი, 2003).

აზროვნებასა და ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებებზე, <sup>243</sup> რის დასტურადაც იგი 1978 წლის აპრილის ამბებს მიიჩნევს.

მომდევნო, XIII თავი (ვახტანგ გურული, დიმიტრი შველიძე) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტური სისტემის დასასრულსა და საბჭოთა კავშირში პერესტროიკის შემდეგ განვითარებული მოვლენების გადმოცემით იხსნება, რაც წარმოდგენას ქმნის საქართველოში მიმდინარე ამბების კონტექსტზე.

1989 წლის 9 აპრილის ნარატივი იმავე თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებში. აქაც ხაზგასმულია 10 აპრილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეპიზოდი და „პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფის გააზრებული მოქმედება.“<sup>244</sup> შესაძლოა, ეს ავტორების – თსუ მაშინდელი ახალგაზრდა პედაგოგების და წიგნის გამოცემის დროისათვის პროფესორების – ემოციის გამოძახილია, რომლის გარშემო კრისტალიზდება მეხსიერება და რომელიც, ა. ასმანის სიტყვით, „მსჭვალავს დამახსოვრების ყველა სოციალურად მნიშვნელოვან პრაქტიკას.“<sup>245</sup>

9 აპრილი შეფასებულია როგორც ტრაგედია, რომელსაც გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და რომლის შედეგად ეროვნული მოძრაობის სათავეში რადიკალური პოლიტიკური ძალები მოექცნენ. სასკოლო სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, მოხსენიებულია მერაბ კოსტავას დაღუპვა ავტოკატასტროფაში 1989 წლის ოქტომბერში, რის შემდეგ „ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება გარდუვალი შეიქმნა,“ რადგან, ავტორთა აზრით, ეროვნული მოძრაობის განსხვავებულ ფრთებს შორის თანაარსებობაში „გადამწყვეტ როლს ასრულებდა მერაბ კოსტავას პიროვნული ავტორიტეტი.“<sup>246</sup>

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, რომელიც „იყო 1919 წლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები,“ შეფასებულია როგორც „ხავერდოვანი რევოლუცია,“ რომლის შედეგად „კომუნისტურმა ერთპარტიულმა დიქტატურამ საქართველოში სამოცდაათ წლიანი არსებობა დაასრულა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება აღმოჩნდა.“<sup>247</sup> ავტორთა შეფასებით, „ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა რამდენადმე მოულოდნელიც იყო,“ რამაც ახალ ხელისუფლებას, გარდამავალი პერიოდის და სახელმწიფოს მართვის გამოცდილების არქონის გამო, დამატებითი სიძნელეები შეუქმნა.

აღნიშნულია, რომ „საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ზვიად გამსახურდიას სახელთან აკავშირებდა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების საუკუნოვან იდეას.“<sup>248</sup> თუმცა რთული საშინაო და საგარეო პრობლემების გადაჭრა „მარტოოდენ ხელისუფლების წრფელ ენთუზიაზმს არ ძალუძდა.“<sup>249</sup>

XIV თავი იწყება ქვეთავით „დამოუკიდებლობის პირველი წლების სიძნელეები,“ სადაც განხილულია დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პირველი ნაბიჯები. ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა ცხინვალის რეგიონსა და აფხა-

<sup>243</sup> ვაჩნაძე და გურული, *XI კლასის სახელმძღვანელო*, გვ. 212.

<sup>244</sup> იქვე.

<sup>245</sup> Assmann, "Impact and Resonance," p. 43-44.

<sup>246</sup> ვაჩნაძე და გურული, *XI კლასის სახელმძღვანელო*, გვ. 222.

<sup>247</sup> იქვე, გვ. 224.

<sup>248</sup> იქვე.

<sup>249</sup> იქვე.

ზეთში მიმდინარე პროცესებს. აღნიშნულია, რომ „სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები და ეროვნული ძალები ვერ გაერთიანდნენ,“ თავად „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოც“ გაითიშა. პარტიებისა და სახალხო ფრონტის გარდა, მას დაუპირისპირდნენ „მხედრონი,“ გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი და პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა.

უცვლელად მეორდება 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგისა და მისი დარბევის შეფასება.<sup>250</sup> ავტორები ასკვნიან, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რათა უმსხვერპლოდ მოეგვარებინა ქვეყანაში შექმნილი უალრესად მძიმე მდგომარეობა. [...] ოპოზიციამ გამოიყენა საგარეო გართულება – საქართველოს ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან. შეიარაღებული გამოსვლა დაიგეგმა 1991 წლის 22 დეკემბერს.“<sup>251</sup> მათი თქმით, ოპოზიციას სურდა დაესწრო სსრკ დაშლისა და დსთ შექმნისათვის, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა, ეს კი გამსახურდიას პოზიციებს განამტკიცებდა. ამიტომ 22 დეკემბერს „ოპოზიციურმა ძალებმა, საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების მხარდაჭერითა და დახმარებით, დაიწყეს შეტევა პარლამენტის შენობაზე.“<sup>252</sup> 6 იანვრამდე მიმდინარეობდა ბრძოლები, რამაც უამრავი ქართველის სიცოცხლე შეინირა. 6 იანვარს გამსახურდიამ თავის მომხრეებთან ერთად თბილისი დატოვა.

ეს მოვლენები შეფასებულია როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა, სამხედრო გადატრიალება, რომელმაც დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში,<sup>252</sup> რის შემდეგ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზად ინტელიგენციამ შევარდნაძის ჩამოყვანა მიიჩნია. დამოუკიდებლობის აღდგენის მომდევნო ამბების გადმოცემა მკაფიოდ წარმოგვიდგენს გამარჯვების ტრავმის მახასიათებლებს, ამ ცნების გამოყენების გარეშე.

2004 წელს მიღებულ იქნა „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,“<sup>253</sup> ხოლო 2005 წელს – განათლების ახალი კანონი.<sup>254</sup> ისტორიის სწავლების რეფორმა, სხვა პრინციპებთან ერთად, ითვალისწინებდა მრავალპერსპექტიული მიდგომის დამკვიდრებასა და ისტორიის, როგორც ინტერპრეტაციის წარმოდგენას. 2005 წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (შემდგომში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) აცხადებდა კონკურსს ამა თუ იმ კლასის კონკრეტული საგნის სახელმძღვანელოზე, რომელში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების სფეროში დასაქმებულ პროფესიონალებს. ცენტრი ამტკიცებდა გამარჯვებულ სახელმძღვანელოებს, – როგორც წესი, რამდენიმეს ერთი კლასისათვის, საიდანაც სკოლა ირჩევდა ერთ-ერთს. ისინი გრიფს მომდევნო კონკურსის გამოცხადებამდე ინარჩუნებდნენ. შეიქმნა ბევრი ახალი სახელმძღვანელო. მომდევნო წლებში შემუშავდა ისტორიის სწავლების რამდენიმე ახალი სასწავლო გეგმა, 2012 წლიდან სახელმძღვანელოების შერჩევის პრინციპები რამდენადმე შეიცვალა.

<sup>250</sup> იქვე, გვ. 234.

<sup>251</sup> იქვე, გვ. 234.

<sup>252</sup> იქვე, გვ. 234-235.

<sup>253</sup> *ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები* (თბილისი: 2004).

<sup>254</sup> *საქართველოს კანონი განათლების შესახებ* (თბილისი: 2005).

ახალი სახელმძღვანელოები იქმნებოდა როგორც „ძველი,“ ასევე „ახალი“ ავტორების მიერ, რომელთაგან პირველები, ძირითადად, უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას წარმოადგენდნენ და ჰქონდათ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის რეფორმამდელი გამოცდილება, მეორენი კი – მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პრაქტიკოსი პედაგოგები – პირველად გამოჩნდნენ ამ ასპარეზზე. მთავარი სიახლე, რომელიც რეფორმის შემდგომი პირველი და მერე თაობის სახელმძღვანელოების ავტორთა უმრავლესობამ შემოგვთავაზა, იყო აქცენტის გადატანა ავტორთა ტექსტიდან წყაროებზე, ამას საშუალება უნდა მიეცა მოსწავლეებისათვის, გაეაზრებინათ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობდა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. დავალებებს ეს უნარი უნდა განემტკიცებინა. ეს პრინციპი მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდა. შემდგომში ავტორები თანდათან დაუბრუნდნენ მასალის მიწოდების ტრადიციულ ფორმას: სახელმძღვანელოებში ძირითადი ადგილი კვლავ ავტორთა ტექსტმა დაიკავა.

რეფორმის შემდგომ პერიოდში გამოცემული მრავალი სახელმძღვანელოდან ანალიზისათვის შევარჩიეთ ნიმუშები პირველი და მეორე თაობის გამოცემებიდან, შემდეგი პრინციპით: „ახალი“ და „ძველი“ ავტორების მიერ 2008-2012 წლებში შექმნილი (რეფორმის შემდგომი სახელმძღვანელოების პირველი თაობა) ორი ან სამი წიგნი, იმავე ავტორების (ან მათი მონაწილეობით) 2012 წლის შემდეგ შექმნილი ორი-სამი წიგნი (მესამე თაობის სახელმძღვანელოები) და, ბოლოს, 2019 წელს ხელახლა გრიფირებული და დაბეჭდილი წიგნი, რომელიც პირველად 2012 წელს გამოიცა.

2008 წელს გამოიცა გრიფირებული სახელმძღვანელო „მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია“ მე-12 კლასისათვის, ნატა ახმეტელის და ნიკო მურღულიას ავტორობით, რომელიც ზემოთ აღნიშნული ცვლილების მკაფიო მაგალითია. ჩვენთვის საინტერესო საკითხები შედის თავის – „გარდაქმნის“ ხანა საბჭოთა კავშირში“ – ქვეთავში „1989 წლის 9 აპრილი საქართველოში.“ ავტორები იძლევიან მოკლე ინფორმაციას გარდაქმნის პოლიტიკის შედეგად საბჭოთა კავშირში ეროვნული მოძრაობის გააქტიურების, დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებული გამოსვლების შესახებ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში; აღნიშნულია 1989 წლის გაზაფხულზე თბილისში მდგომარეობის დაძაბვა, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ მომიტინგეთა უწყვეტი შეკრება საქართველოს დამოუკიდებლობას მოთხოვნით და მოსკოვის გადაწყვეტილება, მიტინგები თბილისში ძალის გამოყენებით დაეშალათ. შემდეგ მოტანილია წერილები 1989 წლის აპრილის პრესიდან და დავალება: ამ მასალაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა აღადგინონ 9 აპრილის მოვლენები; იმსჯელონ გარდაქმნის პოლიტიკასა და მის შედეგებზე; 1989 წლის 9 აპრილის მოვლენა შეადარონ 1956 წლის 9 მარტის მოვლენას.<sup>255</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გამოკითხულ მასწავლებელთა ნახევარზე მე-

<sup>255</sup> ახმეტელი, ნატა და ნიკო მურღულია. *მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია მე-12 კლასისათვის* (თბილისი: გამომცემლობა დიოგენე, 2008), გვ. 284-285; ეს ინფორმაცია - მოკლე საავტორო ტექსტისა და თანდართული წყაროების სახით, მოცემულია წინა თავებში.

ტი და დანარჩენი რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი ეთანხმება აზრს, რომ დასახლებული ორი მოვლენა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რადგან ორივე შეთხვევაში ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია (იხ. დიაგრამა 25). 1985 წლის შემდგომ დაბადებულ არამასწავლებელ რესპონდენტებში ამ მოსაზრებას ცოტა უფრო მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე 1985 წლამდე დაბადებულებში (იხ. დიაგრამა 11).

შემდეგ მოსწავლეებს კვლავ წყაროები მიენოდება: გაზეთ „კომუნისტის“ 1989 წლის 11 აპრილის ნომრიდან – სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა მოსახლეობას; საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაცია 9 აპრილის შესახებ; გაზეთ „ლენინსკოე ზნამია“-დან (16 აპრილი) – სტატია „სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ.“ ეს მასალა ასახავს 9 აპრილის ოფიციალურ ნარატივს, რომლის შექმნა ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ 4 აპრილიდანვე დაიწყო. აქვეა განსხვავებული და საპირისპირო ინფორმაციაც: ელგუჯა ბერიშვილის „სიმართლე სინათლისა“ 21 აპრილის „კომუნისტიდან,“ ზ. აბაშიძის წერილი გარდაქმნის პოლიტიკის უალტერნატივობის შესახებ 16 აპრილის „კომუნისტიდან,“ ლენინგრადის ლიტერატორების, მხატვრების, ხელოვნებთმცოდნეების წერილი ქართველ მწერლებსა და მხატვრებს 19 აპრილის „ლიტერატურული საქართველოდან.“ დავალებები კი ასეთია: 1) შეადარონ ერთმანეთს თვითმხილველთა მოგონებები და აღადგინონ 9 აპრილის სურათი. 2) აჩვენონ, როგორია ოფიციალური პოზიცია მომხდართან დაკავშირებით. 3) იმსჯელონ, მოჰყვა თუ არა გარდაქმნას ის შედეგი, რასაც მისი შემოქმედნი ელოდნენ. 4) შეადარონ ერთმანეთს 9 აპრილი და 9 მარტი.<sup>256</sup>

ცალკე თავი ეძღვნება „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას“ (თავი 55). ავტორთა ტექსტი გადმოსცემს საკავშირო ხელისუფლების მიერ მრავალპარტიულობის დაშვების და, კომუნისტების გარდა, სხვა პოლიტიკური ძალების არჩევნებში მონაწილეობის უფლების აღიარების ამბავს, რის შედეგადაც, 1990 წელს უმაღლესი ორგანოების არჩევნების გზით, მთელ რიგ რესპუბლიკებში ხელისუფლების სათავეში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ყოფილი დისიდენტები მოვიდნენ. მოცემულია მოკლე ინფორმაცია 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნებისა და საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვების, აგრეთვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდიას არჩევის შესახებ.<sup>257</sup> ავტორთა ტექსტი ასევე მოკლედ მოუთხრობს მოსწავლეებს 31 მარტის რეფერენდუმის და, მისი შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, ასევე 26 მაისს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის და 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ.<sup>258</sup>

დავალებები, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეასრულოს, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა. მათ უნდა იმსჯელონ იმაზე, თუ რამდენად იყო საქართველოს

<sup>256</sup> ახმეტელი და მურდულია, *მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია*, გვ. 287.

<sup>257</sup> იქვე, გვ. 288.

<sup>258</sup> იქვე, გვ. 289.

დამოუკიდებლობის აღდგენა: ა) საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგი; ბ) საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში მყოფი „რეფორმატორთა გუნდის“ გადაწყვეტილებების შედეგი; გ) მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგი.

მომდევნო დავალების სახით, მათ ერთმანეთს უნდა შეადარონ XX საუკუნეში საქართველოს მიერ ორჯერ დაბრუნებული დამოუკიდებლობა და თავისუფლება, შემდეგი პუნქტების მიხედვით: საგარეო პოლიტიკური ვითარება; საშინაო პოლიტიკური ვითარება; დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზები; ფაქტორები, რომლებიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოს საშრობებს უქმნიდა.<sup>259</sup>

ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს 1991-92 წლების მოვლენები XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფურცელია. საზოგადოებაში დაპირისპირება დაიწყო და იგი შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. თავისუფალი არჩევნების გზით მოსულმა მთავრობამ საქართველო დატოვა. „დღეს ამ მოვლენას სხვადასხვაგვარად აფასებენ, ზოგი მას სამოქალაქო ომს უწოდებს, ზოგი კი სამხედრო გადატრიალებას.“ ამის შემდეგ კიდევ ერთი საინტერესო დავალებაა: „ამ მოვლენების თანამედროვე, თვითმხილველი და მონაწილე თაობა ცოცხალია. აიღეთ ინტერვიუები მათგან. ჩაიწერეთ მათი შეფასება; მოიძიეთ ინფორმაცია ჟურნალ-გაზეთებისა და ინტერნეტის საშუალებით, რის შემდეგაც კლასში მოაწყობთ დისკუსიას 1991-1992 წლების მოვლენების შეფასებაზე.“<sup>260</sup>

56-ე თავის („საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის წევრი“) პირველი ქვეთავია „საქართველო XX ს-ის 90-იანი წლების I ნახევარში,“ რომელშიც ინფორმაცია შემდეგი სახით არის მიწოდებული მოსწავლეებისათვის: „ქვემოთ გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდიდან ამოღებულ ფრაგმენტს, რომელიც მოკლედ ასახავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს 1991-1995 წლებში.“ ამის შემდეგ მოსწავლეებს სთავაზობენ საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ვებგვერდზე, სადაც მათ ასევე შეუძლიათ ნახონ საქართველოს XX საუკუნის მნიშვნელოვანი ფაქტების ამსახველი ტექსტურის და ვიდეო საარქივო მასალა.<sup>261</sup>

ამრიგად, თუმცა ავტორების ტექსტებში მოკლედ და ლაკონურად არის მოცემული ძირითადი ინფორმაცია, მრავალფეროვანი წყაროები მოვლენების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო დავალებები მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობის ნახალისების, აგრეთვე ინტერესის გაღვივებისკენ არის მიმართული. ავტორთა თხრობის ტონიც და თანდართული წყაროებიც ხელს უწყობს ფაქტებისა და მოვლენებისგან დისტანცირებას, მათ კრიტიკულ გააზრებას სხვა მოვლენათა კონტექსტში. შესაბამისად, ნარატივი, რომელიც თავად მოსწავლეთა მონაწილეობით ყალიბდება (ცხადია, მასწავლებლის ხელმძღვანელობით), ნეიტრალურია და მიზნად არ ისახავს ტრავმის ან ტრიუმფის განცდის ფორმირებას.

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> იქვე, გვ. 289-290.

<sup>261</sup> ახმეტელი და მურდულია. *მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია*, გვ. 293.

იმავე 2008 წელს გრიფი მიიღო მეორე სახელმძღვანელომაც – ეს იყო გვანცა აბდალაძის, ნინო კვიციანიშვილის, ბონდო კუპატაძისა და ქეთევან ჯანუაშვილის „უახლესი ისტორია“ მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის,<sup>262</sup> რომელშიც საქართველოს ისტორიის საკითხებიც არის განხილული. ამას უკვე წიგნის ყდა გვეუბნება, რომელზეც, მე-20 საუკუნის სხვა ისტორიულ პირებთან, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტთან (1918) და სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად, ზვიად გამსახურდიას პორტრეტიც (ყველა დანარჩენზე დიდი ზომის ფოტო) არის მოცემული.

მე-5 თავის – ბოლო ქვეთავი – „ცივი ომის დასასრული და საბჭოთა კავშირის დაშლა“ მოსწავლეებს აცნობს აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების აღსასრულს – ზოგან „ხავერდოვანი „რევოლუციების“,“ ზოგან კი „სისხლიანი გადატრიალებების“ გზით, რამაც ხელი შეუწყო „საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის ლიკვიდაციას და საბჭოთა კავშირის დაშლას,“ *პერესტროიკის* კურსის შედეგად საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური თავისუფლების იდეის გამოცოცხლებას და ეროვნული მოძრაობების რადიკალიზაციას,<sup>263</sup> მოსახლეობასთან ჯარისა და მილიციის შეტაკებათა გახშირებას;<sup>264</sup> ყარაბაღის და დნესტრისპირეთის კონფლიქტების გაღვივებას; ბალტიის ქვეყნებში ხელისუფლებაში დამოუკიდებლობის მომხრე პოლიტიკური პარტიების გამარჯვებას; რუსეთის და სხვა რესპუბლიკების მიერ საბჭოთა კავშირის ფარგლებში სუვერენიტეტის დეკლარაციის მიღებას; 1991 წლის აგვისტოს პუტჩსა და ბელოვეჟის ხელშეკრულებას.<sup>265</sup> მე-7 თავი – „თავისუფალი საქართველო“ – სამი გაკვეთილისგან შედგება: §1. 9 აპრილი; §2. დამოუკიდებელი საქართველო და §3. საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა. 1989 წლის 9 აპრილზე თხრობის დაწყებას წინ უძღვის 1988-89 წლის ამბები და ინფორმაცია ლიხნის წერილზე, რომელსაც მოჰყვა 4 აპრილს ილია ქავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით მთავრობის სასახლის წინ პერმანენტული მიტინგის დაწყება, რომელიც „მომდევნო დღეებში [...] უფრო მრავალრიცხოვანი გახდა,“ პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაციამ ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს ხელისუფლების სრული დაპირისპირება გამოიწვია.<sup>266</sup> ამას მოსდევს მოკლე თხრობა 8-9 აპრილის ამბების შესახებ და უშუალოდ 9 აპრილის ღამის სადამსჯელო ოპერაციის აღწერა. ავტორების დასკვნით, „9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა ბოროტების იმპერიის“ ნამდვილი სახე. თბილისის დარბევა მათი პირველი ცდა იყო, შემდგომში ანალოგიური დარბევები საბჭოთა სპეცრაზმებმა განახორციელეს ბაქოში, ვილნიუსსა და რიგაში. მოსკოვში საბჭოების ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ ოვაციებით დააჯილდოვა დამნაშავე გენერალი როდიონოვი. საქართველოს დელეგაციამ პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა.<sup>267</sup>

<sup>262</sup> აბდალაძე, გვანცა და სხვ. *უახლესი ისტორია მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის* (თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008), გვ. 254.

<sup>263</sup> იქვე, გვ. 254-255.

<sup>264</sup> იქვე, გვ. 256.

<sup>265</sup> იქვე, გვ. 257.

<sup>266</sup> იქვე, გვ. 283.

<sup>267</sup> იქვე, გვ. 285.

ფოტოებზე, რომელიც გაკვეთილს ერთვის, ასახულია მიტინგი, ტრაგედიის ადგილის ყვავილებით შემკობა, ტანკები თბილისის ქუჩებში, დაღუპულთა ფოტოები სიონის ტაძრის კედელზე და იქ მყოფი მგლოვიარე ხალხი, მემორიალური ქვა იმ ადგილას, სადაც უნდა აღმართულიყო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. წყაროს სახით მოცემულია მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ფოტოები, ინფორმაცია ჰელსინკის ჯგუფში მათი მოღვაწეობის, ასევე 1978 წლის 14 აპრილის შესახებ.<sup>268</sup>

ასევე წყაროების სახით, გაკვეთილს ერთვის ნაწყვეტი თბილისის სამხედრო კომენდანტის ანგარიშიდან და 13 წლის ხატია გუდუმაძის, – „ეროვნებით, სისხლით და ხორციტ ქართველი, რუსული საშუალო სკოლის მოსწავლის“ წერილი 1989 წლის 3 მაისის გაზეთ „კომუნისტიდან,“ რის საფუძველზე მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს: „როგორია საზოგადოების დამოკიდებულება განვითარებული მოვლენებისადმი? რა ნიუანსებს გამოყოფდით ამ წყაროებიდან და რატომ?“ გარდა ამისა, ისინი იღებენ დავალებას: მოიძიე ინფორმაცია ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის შესახებ და დაწერე ესე თემაზე: „ერისკაცი.“

მომდევნო პარაგრაფში აღწერილია 9 აპრილის შემდგომი მოვლენები და ვითარება შეფასებულია როგორც ორხელისუფლებიანობა, როცა ხელისუფლება თითქმის მორჩილად ასრულებდა ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს.<sup>269</sup> 1990 წლის მრავალპარტიულ არჩევნებში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვება შეფასებულია როგორც „ფაქტობრივად ‘ხავერდოვანი რევოლუცია’.“<sup>270</sup> შემდეგ მოდის ინფორმაცია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, რომლის შედეგების საფუძველზე, „1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.“ ფოტოებზე გამოსახულია დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი, აგრეთვე დროშის შეცვლა უზენაესი საბჭოს შენობის თავზე. ინფორმაციას განამტკიცებს ორი კითხვა, რომელთაც მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ: 1. „შენი აზრით, რამ განაპირობა საქართველოში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობის დამყარება? რატომ ემორჩილებოდა რეალური ხელისუფლება ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს?“ 2. „როგორ ფიქრობ, რატომ აღმოჩნდა მოსახლეობა ასეთი ერთსულოვანი რეფერენდუმზე?“<sup>271</sup>

ავტორების სიტყვით, „საქართველოში ეროვნული ხელისუფლების ძალით დამხობა მოსკოვში 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ დაიგეგმა“; 2 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე ოპოზიციის მიტინგის დარბევა იყო პროვოკაცია, მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ.<sup>272</sup> თბილისის ომის დაწყება გადმოცემულია როგორც მოსკოვში დაგეგმილი აქტი და 2 სექტემბერს მონყობილი პროვოკაციის გაგრძელება. გამსახურდიას დამხობა შეფასებულია როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა სამხედრო ძალის გამოყენებით, შემდგომი ამბები – როგორც სამოქალაქო დაპირისპირება, ანარქია და უწესრი-

<sup>268</sup> იქვე, გვ. 286.

<sup>269</sup> იქვე, გვ. 287.

<sup>270</sup> იქვე, გვ. 288.

<sup>271</sup> იქვე.

<sup>272</sup> იქვე, გვ. 291.



გობა.<sup>273</sup> იგი არ დასრულებულა საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლით, რაც ინტელიგენციამ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის საშუალებად მიიჩნია. „ქვეყანაში განახლდა სამოქალაქო დაპირისპირება. საბოლოოდ, ექსპრეზიდენტის მომხრეები დამარცხდნენ. 1993 წლის დეკემბერში, დღემდე დაუდგენელ ვითარებაში, დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, თუმცა ქვეყანაში გაგრძელდა ანარქია და უნესრიგობა.“<sup>274</sup> შემდეგ გადმოცემულია მომდევნო მოვლენები.

ამ სახელმძღვანელოშიც დაცულია სასწავლო მასალაში ავტორთა მოკლე ტექსტისა და მრავალფეროვანი წყაროების მონაცვლეობის პრინციპი, რომელთაც მასალის გააზრებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისაკენ მიმართული დავალებები მოსდევს.

რამდენიმე წიგნი შევარდნიან 2012 წელს გამოცემული სახელმძღვანელოებიდან. ერთ-ერთია „ისტორია“ მე-12 კლასისათვის, რომლის ავტორები აქტიურად იყვნენ ჩართული რეფორმის შემდეგ ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში, ამიტომ ეს მათი მონაწილეობით შექმნილი უკვე მეორე თაობის წიგნი იყო. ავტორები არიან გვანცა აბდალაძე, ბონდო კუპატაძე, ნატა ახმეტელი და ნიკოლოზ მურღულია.

მასალის გადმოცემის თანმიმდევრობა, ძირითადი ფაქტების ავტორისეული აღწერა-შეფასება, გამოყენებული ტერმინები და ცნებები იგივეა, რაც იმავე ავტორების მონაწილეობით 2008 წელს შექმნილ წიგნებში, ისევე როგორც თანდართული წყაროები და ფოტოები (ერთი-ორი დამატების გარდა). თუმცა ავტორების ტექსტები აქ ბევრად ვრცელია, დავალებები კი ნაკლებ მრავალფეროვანი.

უფრო განსხვავებულია 2012 წელს გრიფირებული კიდევ ერთი სახელმძღვანელო – ოთარ ჯანელიძის, აპოლონ თაბუაშვილის, ლერი თავაძისა და ნანა ირემ-აშვილის „საქართველოს ისტორია“, მე-9 კლასი.<sup>275</sup> მასალის მიწოდების თანმიმდევრობა და საკითხები, რომლებზეც მოსწავლეებმა ინფორმაცია უნდა მიიღონ, იგივეა, რაც სხვა სახელმძღვანელოებში (და პროფესიულ ნარატივებში), თუმცა ავტორთა ტექსტები გაცილებით უფრო ვრცელია და, შესაბამისად, ინფორმაციაც მეტია. მაგალითად, 1970-იან წლებზე საუბრისას ნახსენებია ქართული მწერლობის, ჰუმანიტარული მეცნიერების, ქართული თეატრისა და კინოს წვლილი, რომლებიც ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას ემსახურებოდნენ; ეკლესიის როლისა და ავტორიტეტის ზრდა; ახალგაზრდობის დაინტერესება მუხრან მაჭავარიანის ლექსებით, აკაკი ბაქრაძის საჯარო ლექციებით, ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორული საღამოებით, რადიო „თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ ქართულენოვანი გადაცემებით, „რომლებსაც ხშირად ახშობდნენ, მაგრამ ინფორმაცია და კრიტიკული აზრი დაინტერესებულ ადამიანებამდე მაინც აღწევდა.“<sup>276</sup> წყაროს სახით მოცემულია ცხრილი: ა) საქართველოს რაიონების სახელწოდებების ცვლილება, ბ) თბილისის რაიონების სახელწოდებათა ცვლილე-

<sup>273</sup> იქვე, გვ. 292.

<sup>274</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>275</sup> ჯანელიძე, ოთარ და სხვ. *საქართველოს ისტორია. მე-9 კლასი* (თბილისი: კლიო, 2012).

<sup>276</sup> იქვე, გვ. 357.

ბა და გ) ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებათა ცვლილება. მოსწავლემ უნდა ახსნას ტოპონიმებისა და სხვა სახელწოდებათა ცვლილების მიზეზები.<sup>277</sup>

9 აპრილის ღამის ამბების გადმოცემისას, აღნიშნულია მომიტინგეებთან ილია II მისვლა. „მიტინგის ხელმძღვანელებმა ერის სულიერი ლიდერის რჩევა არ შეისმინეს.“<sup>278</sup> იქვეა შესაბამისი ფოტო. სხვა ფოტოებზე აღბეჭდილია მომიტინგეები, დარბეული გამზირი, მისი ყვავილებით შემკობა, სიონის წინა სივრცე. მოსწავლეს ეძლევა დავალება: – აღწეროს დარბეული სივრცე მთავრობის სასახლის წინ და ახსნას, რამდენად შეესაბამებოდა მშვიდობიანი მომიტინგეების ძალისმიერი დაშლა იმ დროს საბჭოთა კავშირში გამოცხადებულ ლიბერალიზაციის კურსს. მეორე დავალება კი ითვალისწინებს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას 9 აპრილის შესახებ, ინტერვიუს იმდროინდელი მოვლენების რომელიმე მონაწილესთან, წინასწარ მოფიქრებული კითხვებით, რომელთა მეშვეობით მოსწავლემ უნდა გაარკვიოს, რა მიზეზები ჰქონდათ მიტინგის მონაწილეებს, იყო თუ არა ერთსულოვნება მიტინგის ხელმძღვანელებს შორის, აგრეთვე ის, თუ როგორც აფასებს რესპონდენტი მომხდარს დღევანდელი გადმოსახედიდან, მათ შორის, პატრიარქის რჩევის უგულვებლყოფას.<sup>279</sup>

ბოლო თავის პირველი ქვეთავი ასეა დასათაურებული: „დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება.“ თხრობა საბჭოთა რესპუბლიკებში გაშლილი ეროვნული მოძრაობებით და დამოუკიდებლობის დეკლარაციების მიღებით იწყება, შემდეგ საუბარია აგვისტოს პუტჩზე, ეთნიკური დაპირისპირებების ინსპირირებაზე, დსთ შექმნასა და საბჭოთა კავშირის დაშლაზე. აღნიშნულია, რომ „საბჭოთა კავშირიდან თავდასაღწევად პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადადგა“ 1921 წელს განხორციელებული ოკუპაცია-ანექსიის აღიარებით. „28 ოქტომბერს საქართველოში კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანი გზით შეიცვალა,“ სახელმწიფო სიმბოლოებად აღდგენილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) გერბი, დროშა და ჰიმნი. მოსწავლეს ეძლევა დავალება, იმსჯელოს, თუ რატომ მოხდა 1918-1921 წლების საქართველოს სახელმწიფოებრივი ატრიბუტების აღდგენა.<sup>280</sup> ამას მოსდევს თხრობა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, რის შემდეგ „საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ახალი ეტაპი – მესამე რესპუბლიკის ხანა დაიწყო.“<sup>281</sup>

ქვეთავში „სახელმწიფო გადატრიალება“ აღნიშნულია მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც დახვდა ეროვნულ ხელისუფლებას: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, გარედან ინსპირირებული კონფლიქტები, ეკონომიკური ბლოკადა, საერთაშორისო აღიარების დაგვიანება, რომლებთან გამკლავება ხელისუფლებამ ვერ შეძლო. მკვეთრად გამწვავდა ურთიერთობა ოპოზიციურ სპექტრთანაც. „1991 წ. 22 დეკემბერს ოპოზიციის სამხედრო ფორმირებებმა იერიში მიიტანეს მთავრობის სასახლეზე.“ საომარი მოქმედე-

<sup>277</sup> იქვე, გვ. 359.

<sup>278</sup> იქვე, გვ. 360.

<sup>279</sup> იქვე.

<sup>280</sup> იქვე, გვ. 362.

<sup>281</sup> იქვე, გვ. 363.

ბა, რომელიც მხოლოდ დედაქალაქის ცენტრით შემოიფარგლა, რამდენიმე დღეს გაგრძელდა, რასაც დიდი მსხვერპლი, ხელისუფლების დამხობა, პარლამენტის დათხოვნა და კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება მოჰყვა. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა ქვეყნის ახალმა წინამძღოლებმა „დემოკრატიულ“, „სახალხო რევოლუციად“ მონათლეს.<sup>282</sup>

ავტორები აღნიშნავენ 2005 წლის 11 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენების შეფასებას როგორც „ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სამხედრო გადატრიალებისა“, რომელმაც „ქვეყანაში სამოქალაქო ომი გამოიწვია და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესს დიდი ზიანი მიაყენა.“<sup>283</sup>

დავალებები საინტერესოა და, ცოდნის განმტკიცებასთან ერთად, მოვლენების უკეთ გააზრებას ემსახურება, მაგალითად: „როგორ ფიქრობ, შეიძლებოდა თუ არა სამხედრო დაპირისპირების და სამოქალაქო ომის თავიდან აცილება?“ „გაიხსენე საქართველოს ისტორიიდან სამოქალაქო დაპირისპირების მაგალითები და მათი შედეგები“; „შეაფასე 1991 წ. დეკემბრისა და 1992 წ. იანვრის მოვლენები თბილისში. ეს იყო: დემოკრატიული ოპოზიციის ნაწილის გამოსვლა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ; გარედან ინსპირირებული კონფლიქტი ხელისუფლებასა და უცხო ქვეყნების აგენტურას შორის; პოლიტიკური ანტიგურისტიების მცდელობა, ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება ქვეყანაში. თუ სხვა ვერსია გაქვს, დაასახელე რომელი. დაასაბუთე პასუხი“; „ახსენი, რატომ შეაფასა 2005 წელს პარლამენტმა საქართველოში მომხდარი ზემოთ დასახელებული მოვლენები 'ანტიკონსტიტუციურად'?“<sup>284</sup>

2012 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა მე-12 კლასის სახელმძღვანელო „ისტორია“, ნინო კილურაძის, რევაზ გაჩეჩილაძის და გიორგი სანიკიძის ავტორობით, რომელიც მოიცავს მსოფლიო ისტორიის ძირითად მოვლენებს XIX-XX საუკუნეებში. IV თავი ეთმობა საქართველოს XX-XXI საუკუნეების ისტორიას, რომელიც რეგიონულ და მსოფლიო კონტექსტშია წარმოდგენილი. 1989 წლის 9 აპრილი მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები: „ნაციონალისტურ გამობდომებს' პერიფერიულ რესპუბლიკებში კრემლი ჯერ უხეში ძალით პასუხობდა (ამის მაგალითები იყო არმიის გამოყენება თბილისში 1989 წლის 9 აპრილს, ბაქოსა და ვილნიუსში – 1990 წელს), მერე კი პრობლემის იგნორირება სცადა.“<sup>285</sup> დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და სამოქალაქო დაპირისპირებას კი ცალკე ქვეთავი (ქვეთავი 51) ეთმობა, რომელიც იწყება XX საუკუნის ორი დამოუკიდებლობის შედარებით, რომელთაგან პირველი „სულ რაღაც ორნახევარ წელს გაგრძელდა და იმდროინდელ საერთაშორისო ორგანიზაციაში – 'ერთა ლიგაში' – საქართველო არ მიიღეს, მეორე დამოუკიდებლობა, 1991 წლის ბოლოდან, საერთაშორისოდ აღიარებული ფაქტია.“<sup>286</sup>

<sup>282</sup> იქვე.

<sup>283</sup> იქვე, გვ. 364.

<sup>284</sup> იქვე.

<sup>285</sup> კილურაძე, ნინო და სხვ. *ისტორია. მოსწავლის წიგნი. მე-12 კლასი* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012), გვ. 268.

<sup>286</sup> იქვე. 275.

ავტორები აღნიშნავენ, რომ 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რომლის წარმატებას ხელი შეუწყო მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებმა.<sup>287</sup> „ასეთ ფონზე, საქართველოს ეროვნულმა ძალებმა მიაღწიეს უფლებას, საბჭოთა კავშირში პირველად ჩაეტარებინათ მრავალპარტიული არჩევნები,“ რომელმაც გამარჯვება მოუტანა ბლოკს „მრავალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო.“ ამას მოჰყვა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და, მის საფუძველზე, „იმავე წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, თუმცა საბჭოთა კავშირიდან ის იმავე წლის დეკემბრამდე ფაქტობრივად არ გასულა.“<sup>288</sup> უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მომენტი არც ერთ სხვა სახელმძღვანელოში და არც პროფესიულ საისტორიო ნარატივში აღნიშნული არ არის. ავტორების „თუმცა“ რამდენადმე აფერმკრთალებს ამ ძალიან საყურადღებო ფაქტის მნიშვნელობას.

შემდეგი ქვეთავის სათაური – „სამოქალაქო ომი“ – ასახავს ამ მოვლენის შეფასებას ავტორების მიერ. იგი იწყება 1991 წლის აგვისტოს პუტჩით, რომელსაც მოჰყვა გამსახურდიას დამორჩილება მოსკოვის მოთხოვნისადმი ეროვნული გვარდიის დაშლის შესახებ, და თუმცა „რეალურად ეს არ მომხდარა,“ დაიძაბა ურთიერთობა მასსა და თენგიზ კიტოვანს შორის, რომელმაც „მოსახლეობის, განსაკუთრებით თბილისელების, მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ ნაწილს დაუჭირა მხარი.“<sup>289</sup> შემდეგ რამდენიმე წინადადებით არის გადმოცემული 22 დეკემბერს დაწყებული შეიარაღებული შეტაკება, „რაც მალე სამოქალაქო ომში გადაიზარდა.“ გამსახურდიას მიერ თბილისის დატოვების შემდეგ „ძალაუფლებას დაეუფლა ‘სამხედრო საბჭო.’ [...] იმავე წლის მარტში სამხედრო საბჭომ, რომელიც მიხვდა, რომ არ არის მზად სახელმწიფოს სამართავად, მოიწვია საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე.“<sup>290</sup> ქვეყანაში შემდგომ სამოქალაქო დაპირისპირებასა და სისხლისღვრაზე არაფერია ნათქვამი, მომდევნო ქვეთავში კი, სათაურით „სეპარატისტული ამბოხებები,“ ტერმინი „სამოქალაქო ომი“ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით არის გამოყენებული.<sup>291</sup>

გაკვეთილს ერთვის სამი წყარო, რომელთაგან ორი სეპარატისტულ მოძრაობებს ეხება, ხოლო ერთი წარმოადგენს ფრაგმენტს გერმანელი მკვლევრის იურგენ ბერგერის ნაშრომიდან „გზა სამოქალაქო ომისკენ,“ რომელზე და ტექსტში მოცემულ მცირე ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლემ უნდა შეასრულოს დავალება: „შეაფასეთ საქართველოში არსებული ვითარება. გამოყავით ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა.“<sup>292</sup> ფონური ცოდნის გარეშე, ძნელად შესასრულებელი ჩანს კიდევ ერთი

<sup>287</sup> იქვე.

<sup>288</sup> იქვე, გვ. 276.

<sup>289</sup> იქვე.

<sup>290</sup> იქვე.

<sup>291</sup> იქვე, გვ. 277.

<sup>292</sup> იქვე, გვ. 279.

დავალება: „იმსჯელეთ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში ბლოკის, მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო' გამარჯვების მიზეზებზე.“<sup>293</sup>

ამრიგად, სახელმძღვანელო, ძირითადად, ავტორთა ტექსტის მეშვეობით აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს, ნაკლებად არის წარმოდგენილი ფაქტებისა და მოვლენების ხედვა სხვადასხვა პერსპექტივიდან, დავალებები კი, ზემოთ განხილულ წიგნებთან შედარებით, ნაკლებად მრავალფეროვანია.

და ბოლოს, 2019 წელს ხელახლა გამოიცა 2012 წელს გრიფირებული „საქართველოს ისტორია“ IX კლასისათვის, ნოდარ ასათიანის, მარიამ ლორთქიფანიძის, ფარნაოზ ლომაშვილის, როინ მეტრეველისა და გიორგი ოთხმეზურის ავტორობით. წიგნი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით.

ჩვენთვის საინტერესო საკითხები განხილულია X თავის – „საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში“ – ბოლო ქვეთავში, რომლის სათაურია „საქართველო გარდაქმნის (პერესტროიკის) პერიოდში.“ პარაგრაფში „1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია თბილისში“ თხრობა ლიხნის ყრილობით იწყება, რომელსაც მოჰყვა „საპროტესტო მიტინგებისა და დემონსტრაციების მძლავრი ტალღა.“ მომდევნო თხრობა ტრადიციული სქემით ლაგდება: 4 აპრილიდან 8 აპრილამდე, კათალიკოს-პატრიარქის მისვლა მომიტინგეებთან და რჩევა, რომელიც „აქციის მესვეურებმა არ გაიზიარეს,“ დამსჯელი ოპერაცია, კომენდანტის საათის დაწესება. ავტორები აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა ხელისუფლების ზრახვების შესახებ მომიტინგეებმა არაფერი იცოდნენ, ისინი აქციის შეწყვეტას 14 აპრილისთვის, ე.ი. კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნების მე-11 წლისთავისთვის აპირებდნენ.“<sup>294</sup>

ამას მოსდევს პარაგრაფი „საბჭოთა კავშირის დაშლა“,<sup>295</sup> რომელიც არღვევს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, რადგან აქ საუბარია გკჩპ-სა მომდევნო ამბებზე და თხრობა ბელოვეჟის ხელშეკრულებითა და საბჭოთა კავშირის დაშლით მთავრდება, რის შემდეგ იწყება ახალი, XI თავი, სათაურით „დამოუკიდებელი საქართველო.“ ეს დარღვევა, როგორც ჩანს, X თავის სათაურით გაერთიანებული საკითხების ამონაწერის გადანაცვლებით აიხსნება. XI თავის პირველი პარაგრაფია „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და საომარი კონფლიქტები.“ ისევე როგორც ნ. კილურაძისა და სხვათა ზემოთ განხილულ წიგნში, აქაც საუბარი იწყება XX საუკუნეში მოპოვებული ორი დამოუკიდებლობის შედარებით და იმის აღნიშვნით, რომ „ამჯერად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო მთელმა მსოფლიომ აღიარა.“<sup>296</sup> მომდევნო თხრობაც ამ ორ წიგნში თითქმის სიტყვა-სიტყვით იდენტურია, დაწყებული იმით, რომ „ასეთ ფონზე საქართველოს ეროვნულმა ძალებმა მიაღწიეს უფლებას, საბჭოთა კავშირში პირველად ჩაეტარებინათ მრავალპარტიული არჩევნები“<sup>297</sup> და დასრულებული იმის აღნიშვნით, რომ „9 აპრილს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს

<sup>293</sup> იქვე.

<sup>294</sup> ასათიანი, ნოდარ და სხვ. საქართველოს ისტორია. მოსწავლის წიგნი, სახელმძღვანელო მეცხრეკლასელოთათვის (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019) გვ. 414.

<sup>295</sup> იქვე, გვ. 424-426.

<sup>296</sup> იქვე, გვ. 417.

<sup>297</sup> იქვე, გვ. 418.

დამოუკიდებლობის აღდგენა, თუმცა საბჭოთა კავშირიდან ის იმავე წლის დეკემბრამდე ფაქტობრივად არ გასულა.“<sup>298</sup> ასევე სიტყვა-სიტყვით იდენტურია სამოქალაქო ომისა (აქაც ეს ტერმინია გამოყენებული) და გამსახურდიას მიერ ქვეყნის დატოვების მოკლე აღწერა, ორიოდ სიტყვაა შეცვლილი სამხედრო საბჭოს მიერ შევარდნაძის მონვევის ამბის გადმოცემისას. ეს წიგნი ისტორიის სწავლების რეფორმამდელი პრინციპებს უფრო შეესაბამება, რაც ორიენტირებული იყო დამახსოვრებასა და მონოპერსპექტიულ მიდგომაზე.

სახელმძღვანელოთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1989 წლის 9 აპრილი ყველა სახელმძღვანელოში იხსენიება ტრაგედიისა და სისხლიანი ანგარიშსწორების სახელით, რომელსაც გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ფაქტი გაცილებით ვრცლად, მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით არის წარმოდგენილი, ვიდრე 1991 წლის 9 აპრილი, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, გაცილებით მშრალად და მოკლედ არის გადმოცემული, ფაქტის აღნიშვნას იშვიათად ერთვის შესაბამისი წყაროები, დავალებებშიც უფრო იშვიათად არის ასახული. ზოგიერთ სახელმძღვანელოში 1991 წლის 9 აპრილის შესახებ საუბრისას მოსწავლეებს ახსენებენ XX საუკუნის პირველ დამოუკიდებლობას (1918-1921). სახელმძღვანელოში, სადაც ავტორებს დავალებებში გათვალისწინებული აქვთ 1991 წლის 9 აპრილი, აქცენტი სწორედ XX საუკუნის ორი დამოუკიდებლობის შედარებაზე კეთდება, რაც მოსწავლეთა მიერ პროცესების უკეთ გააზრებას უწყობს ხელს. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვება რამდენიმე წიგნში შეფასებულია როგორც „ხავერდოვანი რევოლუცია.“ რაც შეეხება 1991-1992 წლების მოვლენებს, ისინი აღინიშნება ცნებებით „სამოქალაქო ომი,“ „სახელმწიფო გადატრიალება,“ „არჩეული ხელისუფლების დამხობა,“ „სამოქალაქო დაპირისპირება, ანარქია და უწესრიგობა.“ ხაზგასმულია, რომ მოვლენები ხშირ შემთხვევაში იგეგმებოდა და იმართებოდა გარედან (ეკონომიკური პრობლემები, ეთნოკონფლიქტები, არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა).

განხილულ სახელმძღვანელოებში ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა შესახებ თხრობის ტონი ნეიტრალურია, შეფასებების დროს, ძირითადად, ერთი და იგივე ტერმინებია გამოყენებული, თუმცა, ჩვენი აზრით, მრავალპერსპექტიულ მიდგომაზე დაფუძნებული წიგნები, ავტორთა მოკლე ტექსტებით, წყაროებზე აქცენტით და მრავალფეროვანი დავალებებით, მეტად უწყობს ხელს მოსწავლეთა კრიტიკული დამოკიდებულებების ფორმირებას განსახილველი საკითხებისადმი, უჩენს მათ მეტ კითხვას და უბიძგებს არგუმენტების ძიებისაკენ ამა თუ იმ მოსაზრების დასასაბუთებლად.

<sup>298</sup> იქვე.

## თავი V

### „ბნელი 90-იანები.“ ყოველდღიურობა როგორც ტრავმა

*როცა ყველამ და ყველაფერმა დაიკავა თავისი ადგილი, რომელიც სხვისი იყო და როცა ყოველგვარი წარსული, განსაკუთრებით – უზრუნველი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც დროის მეექვსე გრძნობა.<sup>1</sup>*

ზვიად რატიანი, „მამები,“ 1997.

„მეგობრებო, თქვენ წინაშეა დროის მანქანა. ღვედები კარგად გადაიჭირეთ, მთლად სანაქებო გზები არაა: მაშ ასე, პირველად იყო მიტინგი, სხვა რამეები მერე გაჩნდა. ეს ხომ 90-იანი წლებია – ვანდამი, ჩაკ-ნორისი, ცეცხლმოკიდებულ საბურავებზე შემომწკრივებული ბირჟავიკები, მოკოლორიტო ძველი ბიჭები, სვისტოკიანი მილიციელები და ჰალსტუხიანი ქურდები, ხელიდან წასული ყაჩაღები და ფეხიდან წამოსული ყრუანტელ(ებ)ი, ალტერნატიული პოეზია და მთლად ალტერნატიული როკი...“

პოლიტიკაც იყო. უფრო სწორად, ძირითადად, პოლიტიკა იყო. მამაჩემი მხრებზე შემისვამდა ხოლმე და მიტინგებზე დაყვავდი. იყო დიდი შეძახილები, ყარაჩოხლური გამოსვლები, გაუ-მააარჯოს-ჯოს-ჯოს-ები, „გული გაიმაგრე, დავით,“<sup>2</sup>-ები და რაც მთავარია, გადაბმული, მონოტონური, ეგზალტაციური – ზვი-ა-დი! ზვი-ა-დი! ზვი-ა-დი!

პოლიტიკის პაუზებს შორის ვცხოვრობდით კიდეც. თავისებურად, რასაკვირველია.

[...] სინამდვილეში, როცა 90-იანებს ვიხსენებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს თარიღი კი არა, სიმბოლოა, პირობითი ნიშანი, რომლითაც დროს კი არა, მდგომარეობას აღვნიშნავთ. უფრო ზუსტად, არასტაბილურად გარდამავალ მდგომარეობას.

ამიტომაც, ჩემი გადმოსახედიდან, 90-იანი წლები დაიწყო 80-იან წლებში, ქრონოლოგიურად და ონტოლოგიურად გადაიკვეთა 90-იანებში და დასრულდა 2000 წელს.

თუმცა, სანდო ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ ვინც 90-იანები გამოიარა, იმათთვის ეგ დრო არ სრულდება.<sup>3</sup>

ალბათ, რთული იქნებოდა უფრო ლაკონურად და მსუბუქად, ერთი ხელის მოსმით იმის გადმოცემა, თუ რას გულისხმობს 90-იანი წლები და რას ნიშნავს ის იმ ადამიანებისათვის, ვინც ეს დრო გამოიარა. პაატა შამუგიას ეს სიტყვები გურამ წიბახაშვილის ფოტოალბომის „ზღვარზე“ შესავალი წერილიდანაა. ალბომი 1987-2000 წლების საქართველოს რეალობას ასახავს. ქრონოლოგია, ისევე როგორც სათაური, ნიშანდობლივია, რადგან სწორედ ეს პერიოდი აღინიშნა ზღვრული, გარდამავალი მდგომარეობით ერთი, ნგრევის პროცესში მყოფი სისტემიდან მეორე, ჯერ კიდევ შეუქმდგარი რეალობისაკენ. ამ მდგომარეობის

<sup>1</sup> რატიანი, ზვიად. „მამები.“ *ბურუსი*, 15 თებერვალი, 2010, <https://bit.ly/32WxSIR> (ნანახია 03.04.2021).

<sup>2</sup> ფრაგმენტი 90-იან წლებში პოპულარული პატრიოტული სიმღერიდან „ადამაშენებელი თბილისის მობრძანდება“ (ტექსტი თინათინ მღვლიაშვილის, მუსიკა ზურაბ მყავიასი), რომელიც იმ პერიოდის პათოსს გამოხატავდა: საუკუნეების მანძილზე მტრების თავდასხმებითა და შიდა დაპირისპირებებით განადგურებული, მაგრამ დიდებული წარსულის ხსოვნითა და კვლავ აღზევების იმედით გაუტყეხელი საქართველო.

<sup>3</sup> შამუგია, პაატა. „ფარენჰეიტი 90,“ გურამ წიბახაშვილი, *ზღვარზე. საქართველო 1987-2000* (თბილისი: არტანუჯი, 2019), გვ. 3.

ტრავმულ სიმძიმეს თავად ნიბახაშვილი ასევე ლაკონურად გამოხატავს: „ჩინელებს აქვთ ასეთი წყევლა: შენ იცხოვრე გარდამავალ პერიოდშიო. ვფიქრობ, რომ ძალიან რთული გადასატანია გარდამავალი ეპოქა. ასეთი იყო საქართველოსთვის 90-იანი წლები. [...] ამ წიგნში მოცემული ფოტოები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ საით აღარ უნდა დავბრუნდეთ.“<sup>4</sup>

პაატა შამუგიას სიტყვები 90-იანი წლებთან დაკავშირებულ მის პირად განცდასაც აღწერს. ამიტომაც შევარჩიეთ ის ნაშრომის ამ ნაწილისათვის, რომლის მიზანი 80-იანი წლების მიწურულისა და 90-იანი წლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ყოველდღიური და ინდივიდუალური განზომილების წარმოჩენაა. 90-იანებმა ყველა ასაკის ადამიანებს თავისებური დალი დაასვა და თითოეულის ცხოვრებაში დატოვა წარუშლელი კვალი. გოგი გვახარია 90-იანებს „მაგიურ ათწლეულს“ უწოდებს და 90-იანი წლების თაობაში აერთიანებს ყველას, ვინც დაიბადა 1950-იანი წლების ბოლოს, 1960-იან და 1970-იან წლებში, რადგან მათთვის „სწორედ ეს ათწლეული იყო [...] ალბათ მაინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, დაკავშირებული სტრესებთან, გარდაქმნებთან, ფსიქოლოგიურ სტრესებთან პირველ რიგში, და შეიძლება ითქვას, შოკებთანაც კი.“<sup>5</sup> „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი სალომე ასათიანი აღნიშნავს, რომ იმპერიის კოლაფსმა, სამმა ომმა,<sup>6</sup> ძალადობამ, განუკითხაობამ, იარაღმა და ნარკოტიკებმა სოციალური კუთვნილების მიუხედავად, უძიმესი დალი დაასვა მთელ თაობას და ქვეყანას.<sup>7</sup>

ამ თავში შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ რა გავლენას ახდენდა 90-იანების გარდამტეხი ცვლილებები რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე, მათ აღქმაზე, განწყობაზე, მსოფლხედვასა და იდენტობაზე; როგორ აღიბეჭდა ეს დრო იმ თაობის მეხსიერებაში და როგორ აფასებენ ისინი 90-იანებს უკვე დაახლოებით სამი ათწლეულის გადასახედიდან.

ამ მიზნით, გაანალიზებულია კვლევის პროცესში ჩანერილი ზეპირი ისტორიები, ტელეგადაცემები, ბლოგები, ფეისბუქის მასალა, 90-იანი წლების ამსახველი დოკუმენტური ვიდეოკადრები, პუბლიკაციები და სხვა წყაროები, რომლებიც წარმოგვიდგენს 90-იანი წლების მოვლენებსა და ყოველდღიურ ყოფას, მათ იმდროინდელ და რეტროსპექტიულ აღქმას. ამ პერიოდის რეალობის და მისადმი დამოკიდებულების, ადამიანების ემოციების, განწყობებისა და 90-იანი წლების სულისკვეთების მკაფიოდ წარმოსაჩენად, ტექსტში ვრცელი ფრაგმენტებია მოყვანილი დასახელებული წყაროებიდან. წყაროთა ეს მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ 90-იანი წლების გამოცდილება კოლექტიური ტრავმის მაგალითია. მას მიენიჭა ტრავმული მნიშვნელობა, რომელიც გაძლიერდა კომუნიკაციის პროცესში და განზოგადებული ფორმით დამკვიდრდა საჯარო სივრცეში, რაც მოვლენის ტრავმად ჩამოყალიბების წინაპირობაა.<sup>8</sup>

<sup>4</sup> წიბახაშვილი, გურამ. „ბოლოსიტყვაობა,“ გურამ წიბახაშვილი, 100 ფოტოაზი. 90-იანები (თბილისი: არტანუჯი, 2018).

<sup>5</sup> გვახარია, გიორგი. გადაცემა „შუქი წავიდა...“ ციკლიდან „ანარეკლები,“ რადიო თავისუფლება, 29 მარტი, 2020, <https://bit.ly/3t8ZZ21> (ნანახია 12.02.2021).

<sup>6</sup> თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება (1991-1993), ცხინვალის რეგიონისა (1991-1992) და აფხაზეთის კონფლიქტები (1992-1993).

<sup>7</sup> ასათიანი, სალომე. „1990-იანები, რომელიც მუდამ ჩვენთანაა,“ რადიო თავისუფლება, 3 სექტემბერი, 2014, <https://bit.ly/3te4nNk> (ნანახია 09.02.2021).

<sup>8</sup> Sztompka, Piotr. „The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies,“ Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 175-176.



პიოტრ შტომპკა აღნიშნავს, რომ დიდი სოციალური ცვლილებით გამოწვეულ კულტურულ ტრავმას ბიძგს აძლევს ტრავმული სიტუაციები და პირობები, რომლებიც განიხილება როგორც საფრთხის შემცველი, უსამართლო, არასწორი და გამოიხატება შფოთვით, დაუცველობის შეგრძნებით; უნდობლობის სინდრომით – როგორც ხალხის, ასევე ინსტიტუტების მიმართ; კოლექტიური იდენტობის შერყევით, დეზორიენტაციით; აპათიით, ინერტულობითა და უმწეობის განცდით. რა თქმა უნდა, ყველა ეს სიმპტომი არ ახლავს ტრავმის ყოველ შემთხვევას და ისინი თანაბრად არ გამოიხატება საზოგადოების ყველა ჯგუფში.<sup>9</sup>

ჩვენი აზრით, 90-იანი წლების საქართველოს შემთხვევა ზუსტად შეესაბამება აღნიშნულ კრიტერიუმებს. კონკრეტული ემპირიული მასალის საფუძველზე, ვეცდებით ვაჩვენოთ, როგორ კონსტრუირდა 90-იანი წლების ტრავმული ეთოსი: როგორ მოიცვა შიშმა, სასონარკვეთამ, დაუცველობის, დაბნეულობის და უპერსპექტივობის დამთრგუნველმა განცდამ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომლებიც უეცრად მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტების, მომძღავრებული კრიმინალისა და სოციალური სიდუხჭირის პირისპირ აღმოჩნდნენ; როგორ გართულდა მათთვის საკუთარი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა გარემოში, რომელთანაც შეუთავსებელი იყო მათი ღირებულებათა სისტემა და მორალური პრინციპები.

## ტეხილი

ტრავმული გამოცდილება დროის თანმიმდევრულობის წყვეტის, დამკვიდრებული წესრიგისა და მნიშვნელობათა ერთობლიობის მსხვერვის, ტეხილის განცდას ბადებს.<sup>10</sup> ადამიანთა მენსიერებაში ამგვარ ტეხილს 1980-იანი წლების მიწურულის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ატმოსფერო, უფრო მკვეთრად კი 1989 წლის 9 აპრილი ქმნის. ტეხილი განსხვავებულად აისახა სხვადასხვა ასაკის რესპონდენტების მოგონებებში. მათთვის, ვინც 1980-იან წლების ბოლოს 10-11 წლის იყო, ეს პერიოდი ბავშვობის ტკბილ მოგონებებთან ნაკლებად ასოცირდება; მიუხედავად ასაკისა, მათ მკაფიოდ ახსოვთ 1980-იანი წლების მიწურული, როგორც ცვლილებების, უჩვეულო და განსაკუთრებული მოვლენების, შფოთვის მომგვრელი ხანა, როდესაც მომავლის კონტურები ბუნდოვნად ჩანდა.

„პერიოდი იყო ისეთი, რომ ძალაუბნებურად ხვდებოდი და გრძნობდი, რომ გარდამტეხი ეპოქა იყო და რაღაცა უნდა შეცვლილიყო, რაღაცა უნდა მოეტანა, თუ რაღაც წაეღო. [...] ეს არ არის ისეთი მოგონება, როგორიც უნდა ჰქონდეს 10-11 წლის ბავშვს. [...] ვხვდებოდი, რომ რაღაცა ხდებოდა, ისეთი რაღაც, რასაც ზეგავლენა ექნებოდა ჩემზეც და ყველაზე. [...] არა, არ მახსოვს დადებითად, არც 80-იანების ბოლო და არც, მით უმეტეს, 90-იანები“ (რუსუდან თაბუკაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, 41 წლის. ინტერვიუ ჩანერილია 21.07.2020).

ცვლილებების სურვილით, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით, პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ატმოსფერო ზემოქმედებდა ადამიანებზე და ეპოქის განსაკუთრებულობის განცდას ამძაფრებდა მათში.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 165-166.

<sup>10</sup> Giesen, Bernhard. “The Trauma of Perpetrators: The Holocaust as the Traumatic Reference of German National Identity,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 113.

„მახსოვს ეროვნული მოძრაობის დასაწყისი. 88 წლიდან მახსოვს, როდესაც ნოემბერში დაიწყო შიმშილობები. [...] მამიდაჩემს დავეყავი მიტინგებზე, [...] რომ საკუთარი თვალთ მენახა ყველაფერი. რამდენიმე მიტინგზე ვიყავით, გამსახურდიას მიტინგზე, მათ შორის, ლოკომოტივის სტადიონზე რომ გამართა 26 მაისს. და რაღაც ისეთი აურა იყო, რომ უნდა მენახა და შემეგრძნო. აი, ასეთი სიტუაცია იყო“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

რუსუდან თაბუკაშვილის მონათხრობში ჩანს, როგორ შეიჭრა მის ცხოვრებაში ისეთი საკითხები, რომლებიც არ გახდებოდა მისი ბავშვობის მოგონებების ნაწილი, რომ არა ტეხილის არაორდინალური და მძაფრი განცდით გამსჭვალული გარემო.

„88 წლის შიმშილობის პერიოდი<sup>11</sup> ძალიან კარგად დამამახსოვრდა იმიტომაც, რომ მეზობელი მყავდა, [...] მაშინ 18-20 წლის იქნებოდა, შეიძლება უფრო პატარაც და ჩვენთან შემოვიდა დასარეკად. ვიღაც თავის მეგობარს დაურეკა და ეუბნებოდა, რომ მთელი ღამის უძილო ვარო, პარლამენტის წინ ვიყავით, ძალიან გვციოდაო. [...] მახსოვს, რომ მაშინ დავფიქრდი, როგორი იქნებოდა ამ მომიტინგეებისათვის ღამე იქ ყოფნა, თან იმ სიცივეში, ნოემბერი იყო. [...] თანაც რომ შიმშილობდნენ. [...] ვიკითხე, რა არის ეს შიმშილობა-თქო და მაშინ გავიგე, რომ არსებობს მშრალი შიმშილობა და ისეთი, როდესაც წყალს სვამ და წყალს რომ სვამ, ეს უფრო დიდხანს გაცოცხლებს, ასე ვთქვათ, უფრო დიდი ხანი შეგიძლია გაძლო“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

საპროტესტო აქციები სტრესულ გარემოს ქმნიდა. მიტინგების გზით საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დაცვა სოციუმისა და მისი ინსტიტუტების კრიზისულ მდგომარეობაზე მიუთითებს, რაც, უმთავრესად, გარდატეხის მტკივნეულ ეტაპს ახლავს ხოლმე თან. 1980-იანების მიწურულის პერმანენტული აქცია-მიტინგები, პროტესტის მონაწილეთა მიერ გაშლილი კარვეები, შიმშილობები ყოველდღიურობის ნაწილად აქცევდა გამოხატვის ამ ფორმისათვის დამახასიათებელ დაძაბულობას, ემოციურ აღტკინებას, აგრესიას და ამით თანდათან ავიწროვებდა და განდევნიდა რუტინას, სტაბილურობას, შესაბამისად – სიმშვიდეს, ემოციურ მდგრადობას, განონასწორებულობასა და რაციონალურობას. გიორგი მაისურაძე, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს გახდა სტუდენტი, თვლის, რომ სწორედ მიტინგების მოდუსით განისაზღვრა მისი თაობის და, ზოგადად, მთელი ერის იდენტობა:

„თუ ჩემი თაობის რაიმე ნიშნით კლასიფიკაციას შევეცდები, შემიძლია ვთქვა, რომ მე მიტინგების თაობას მივეკუთვნები. ჩვენ მიტინგებზე დავიბადეთ და გავფორმდით როგორც თაობა, როგორც 'პოლიტიკური ცხოველები' ('ძონ პოლიტიკონ') გარკვეული ჯიში თუ სახეობა, რომლის არტიკულაციის, საკუთარი აზრისა თუ პოლიტიკური ნების თუ ვნებების გამოხატვის ფორმა მიტინგია. მახსოვს, ხშირად გვითქვამს ირონიითა და ზოგჯერ შიშითაც, რომ ჩვენ მიტინგით ვართ დაავადებულნი. ეს კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ ჩვენმა აზროვნებამ, ურთიერთობისა თუ ქცევის ფორმებმა, ლაპარაკის მანერამაც კი მიტინგური სახე მიიღო. მაღე ამ 'ავადმყოფობის' სიმპტომები მთელ საქართველოს მოედო და თვითგამორკვევის პროცესში მყოფი ხალხის ეროვნული იდენტობის მთავარ ნიშნად იქცა.“<sup>12</sup>

<sup>11</sup> 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის აქცია თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ.  
<sup>12</sup> მაისურაძე, გიორგი. „დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა.“ გიორგი მაისურაძე, ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011), გვ. 5.

გიორგი მაისურაძე თვლის, რომ სწორედ მიტინგებზე „წარმოიშვა და დამკვიდრდა თანამედროვე ქართული პოლიტიკური რიტორიკა და მეტაფორიკა, ეროვნული ცნობიერების მთელი სიმბოლური სამყარო თავისი მტრისა და მოყვასის, მოღალატისა და ეროვნული გმირის ხატებით და ამ ხატების შექმნის კრიტერიუმებით. შეიძლება ითქვას, რომ 'წარმოსახვითი ერთობა,' რომელსაც თანამედროვე ქართველი ერი ეწოდება, მიტინგზე გაფორმდა და დაკანონდა.“<sup>13</sup>

იმ ადამიანებისათვის, ვინც 1980-იანი წლების მიწურულს უკვე ზრდასრულ ასაკში იყო, ეს პერიოდი ეპოქალური, მსოფლმხედველობრივი ცვლილებების, ახალი ღირებულებების და იდეალების ხანად, საკუთარი იდენტობის გააზრების და ახალი სამომავლო მიზნების განსაზღვრის დროდ აღიქმებოდა:

„80-იანი წლების ბოლოდან, როცა საბჭოთა კავშირი უკვე რყევას განიცდის, ინგრევა, გამოდის ეროვნული მოძრაობა პირველ პლანზე, თავისი ძალიან ქარიზმატული ლიდერებით, წამოვიდა ეროვნული მოძრაობა და იდეა საქართველოს თავისუფლების. აი, აქედან დაიწყო ჩემ გარშემო მყოფი ადამიანების და პირადად ჩემიც, ჩემი ოჯახის მენტალიტეტის შეცვლა. ჩვენ მანამდე არ ვფიქრობდით ამ რაღაცებზე, საერთოდ არ გვჭირდებოდა ფიქრი, ჩვენ მაგივრად ვიღაცები ფიქრობდნენ, სადღაც იქ, ზემოთ, მოსკოვში. ვჭამდით, ვსვამდით, მაგრამ ქვეყანაზე, სამშობლოზე, თავისუფლებაზე, ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე, მორწმუნეობაზე... ამაზე ფიქრი ჩვენ არ გვქონდა“ (ნანა ბაქრაძე, დიზაინერ-კონსტრუქტორი, 72 წლის. ინტერვიუ ჩაწერილია 15.11.2020).

1980-იანი წლების დასასრულის გარდამტეხი, თავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდი სირთულეებით აღსავსე დროის დასაწყისს უკავშირდება. ახალი სულისკვეთებით, ძვრებითა და, ამავდროულად, ბუნდოვანებით გაჯერებული, დამაბნეველი გარემო ზემოქმედებდა ადამიანების ცხოვრებასა და განცდებზე:

„ზუსტად მაგ პერიოდიდან დაიწყო ის სიძნელები, რაც შეეხო ყველა ჩვენგანის პირად ცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. ძალიან რთული პერიოდი დაიწყო, ძალიან. რაღაცნაირად გამოფხიზლების პერიოდი. [...] ეს პირად ცხოვრებაზე ისახებოდა, იმიტომ რომ თანდათან, თანდათან რაღაცნაირი მძიმე პერიოდი დაგვიდგა ბრძოლის თუ რაღაცა სურვილების. [...] და აი, ამას მოჰყვა ერთი ყველაზე საშინელი და ტრაგიკული მომენტი – ეს 9 აპრილი. შვილი მაშინ პატარა მყავდა. და აი, მე და ჩემი პატარა შვილი წავედით მეორე თუ მესამე დღეს იმ დანგრეულ, გაპარტახებულ, ყვავილმოყრილ და სისხლიან ტერიტორიაზე. საშინელი განცდა იყო. იმ მომენტისთვის თითქოს ყველა გაერთიანებულები ვიყავით, ძალიან შეკრულები, ერთ აზრზე მყოფები“ (ნანა ბაქრაძე).

9 აპრილი, როგორც ტეხილი, ძალიან მკვეთრად გამოჩნდა იმ რესპონდენტებთან საუბრებში, რომლებიც იმ დროს მცირე ასაკის იყვნენ. 9 აპრილი მათთვის ბავშვობის დასასრულთან და ახალი, მძიმე და დამთრგუნველი პერიოდის დასაწყისთან ასოცირდება.

„[9 აპრილი] ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მძაფრი მოგონებაა“; „ეს თარიღი ჩემთვის ერთგვარი წყალგამყოფი აღმოჩნდა ბავშვობასა და [...] ზრდასრულობას შორის. თითქოს ამ თარიღით და მოვლენით დასრულდა ჩემი ბავშვობა და დაიწყო მძიმე, ემოციებით და მღელვარებით სავსე, მეტად რთუ-

<sup>13</sup> იქვე, გვ. 6.

ლი პერიოდი არა მხოლოდ ჩემს, არამედ ბევრი ადამიანის ცხოვრებაში“  
(თამარ მურუსიძე, პედაგოგი, 42 წლის. ინტერვიუ ჩანერილია 02.07.2020).

რესპონდენტებს დეტალურად ახსოვთ, რა ხდებოდა, როგორი იყო გარემო, საკუთარი და გარშემომყოფი ადამიანების ემოციები იმ მომენტში, როდესაც შეიტყვეს 9 აპრილის შესახებ, შეგრძნებები, რომლებიც 9 აპრილის წინა და შემდგომ დღეებთან იყო დაკავშირებული. 9 აპრილმა, თითქოს, მათი მეხსიერება გაააქტიურა, მიუხედავად იმისა (ან, შესაძლოა, სწორედ იმიტომ), რომ იმ დროს 10-11 წლის იყვნენ. ეს მიუთითებს ამ მოვლენის ძლიერ ტრავმულ გავლენაზე. ინტერვიუებში კარგად ჩანს, თუ როგორ ხისტად წყვეტს რესპონდენტების ყოფას 9 აპრილის შესახებ მიღებული და, ასაკიდან გამომდინარე, ბოლომდე გაუცნობიერებელი ინფორმაციით გამონწვეული შოკური განცდა. მან შეარყია ზღაპრების ბედნიერების მომგვრელი სიკეთით, შთამაგონებელი ფილმებით, მუსიკის მომაჯადოებელი ხიბლით, ბუნების სურნელითა და ფერადოვნებით აღსავსე სამყარო. ამ ტრავმამ გარდამტეხი გავლენა იქონია მათ იდენტობაზე, განწყობებზე, შეგრძნებებზე, სამყაროს აღქმაზე.

„მახსოვს, რომ იყო ძალიან თბილი და მზიანი დღე და მე და ჩემი ბიძაშვილები ვიყავით ნიჩბისში ოჯახთან ერთად. ძალიან ბედნიერად მახსენდება ეს დღე, იმიტომ რომ დავბოდიშე ტყეში, ვკრეფდით ყვავილებს, დავდევედი პეპლებს, მკვეთრად მახსოვს იმდროინდელი ფერები, სუნი, შეგრძნება სილალის, ბედნიერების. [...] და 10 აპრილს ჩვენ ვბრუნდებით თბილისში და ოჯახში არავინ იცის მომხდარი ფაქტის შესახებ. [...] დიღომში, ერთ-ერთ ხიდზე ახალგაზრდების დაახლოებით თხუთმეტ-ოცკაციანი ჯგუფი იდგა, იყვნენ მთლიანად შემოსილნი შავებით, შუბლზე ჰქონდათ ნაკრული შავი ეგრეთ წოდებული ‘ბენდენა,’ შავი ნაჭრები და ხიდიდან გადმოფენილი ჰქონდათ მუქი, შავი ფერის დროშები, იქნევდნენ ამ დროშებს. [...] ბავშვისთვის, ცხრა წლის ვიყავი თუ ათი წლის მაგ პერიოდში, მეტად მძაფრი აღსაქმელი იყო ეს სურათი. [...] მახსოვს, რომ დედამ შეხედა ამ სცენას, [...] მიხვდა, რომ რაღაცა საშინელება მოხდა და დაიწყო ტირილი. [...] მახსოვს, რომ მეც ტირილი დავიწყე, მიუხედავად იმისა, რომ ვერ გავიზარე მომხდარი საშინელება. როდესაც სახლში დავბრუნდით, უკვე მეზობლებიც საუბრობდნენ ამ თემაზე, ჩუმად ჯერ. გააზრება ვერ მოვახდინე ამ ფაქტისა, მაგრამ მეტად მძაფრი იყო, მეტად ტრავმული, [...] რაღაცნაირად წყალგამყოფი. დასრულდა თითქოს ჩემი უდარდელი ბავშვობა და დაიწყო ახალი ცხოვრება, სავსე სხვა გამონწვევებით და არცთუ ისე დადებითი ემოციებით“ (თამარ მურუსიძე).

მონათხრობებში ჩანს, რომ მოზარდებისთვისაც თვალშისაცემი იყო მკვეთრი და უეცარი ცვლილება საკუთარ თუ თანატოლების ქცევაში, რაც არ იყო ბოლომდე გააზრებული, არამედ ირეკლავდა უფროსების ქცევასა და განწყობებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქოს განაგრძობდნენ ბავშვურ თამაშს და ჩვეულ ცხოვრებას, დამთრგუნველმა გარემომ დალი დაასვა მათ ემოციურ მდგომარეობას და ტრავმულად აღიბეჭდა მათ მეხსიერებაში. ნათელ და თბილ ფერებში აღქმულ სამყაროში 9 აპრილის შემდეგ შავი ფერი გაჩნდა.

„მახსოვს, მეორე დღეს, როდესაც სკოლაში მივედი, ჩემმა თანაკლასელებმა მოიტანეს უზარმაზარი შავი დროშა, რომელიც გადავფინეთ ჩვენი

საკლასო ოთახის ფანჯრიდან. თუმცა მალევე შემოვიდა ჩვენი დირექტორი [...] და ძალიან მეგობრულად და თავაზიანად გვთხოვა, რომ ეს დროა აგვექცვა, რადგან უსაფრთხო არ იყო მსგავსი ტიპის პროტესტის გამოვლენა. [...] მახსოვს, სკოლის შემდეგ ეზოში სათამაშოდ რომ ჩავედი საღამოს, მეგობრებთან ერთად, ძალიან ბევრ ბავშვს მეზობელი კორპუსიდან ეცვა შავი მაისური – უფროსების მიბაძვით, სავარაუდოდ, თავზე ჰქონდა ნაკრული ეს შავი ბენდენა და ჩემთვის პირადად ეს ძალიან დამთრგუნველი ცვლილება იყო“ (თამარ მურუსიძე).

9 აპრილის შემდეგ, განსაკუთრებით 90-იან წლებში, ბავშვების ცხოვრებაში შეიქრა ყველა ის პრობლემა, რომელიც საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვა. სკოლის ფორმალურ თუ ეზოს არაფორმალურ გარემოში მოზარდები განიხილავდნენ იგივე საკითხებს, რასაც უფროსები. ბავშვების თამაშშიც განიცდიდა იმ პერიოდის მტკივნეული მოვლენებისა და მძიმე ყოფის გავლენას:

„9 აპრილი მართლა ძალიან კარგად მახსოვს. მახსოვს ჩემი შეგრძნებები, ხალხის შეგრძნებები. ის დილა მახსოვს, 9 აპრილი რომ გათენდა, რძის ამოსატანად რომ ვიყავი მალაზიაში და იქ გავიგე, რომ თურმე რაღაც მოხდა პარლამენტის წინ და თურმე ახალგაზრდები დახოცეს. [...] ჰოდა, მახსოვს, როგორ ვისხედით ბავშვები ტირიფის ქვეშ, იმ დღეს, საღამოთი და ვბჭობდით ძალიან საოცარ რამეზე – ჰქონდა თუ არა რესპუბლიკის მეთაურს იმის უფლებამოსილება, რომ შეეკავებინა ჯარი, რომელიც შემოვიდა. [...] ამას ვბჭობდით 10 წლის ბავშვები. და მახსოვს, რომ მეზობელმა გადმოგვხედა მეორე სართულიდან და გვითხრა, ბავშვებო, გაჩერდით ახლა, მაგი უფროსებს ვერ გაურკვევიათ და თქვენ რეებზე ლაპარაკობთ“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

9 აპრილმა არა მარტო თბილისში, არამედ მთელ ქვეყანაში იქონია ზემოქმედება ადამიანების ქცევასა და განწყობაზე:

„მახსოვს, რომ 9 აპრილის მეორმოცე დღე უნდა ყოფილიყო, [...] არაფორმალური ორგანიზაციები მიტინგს მართავდნენ ცენტრალურ მოედანზე [ზუგდიდში]. მე თვითონაც მივირს, როგორ გავაკეთე ორგანიზება და მთელი ჩვენი კლასი და პარალელური კლასი სკოლიდან ამ მიტინგზე წამოვიყვანე“ (ხათუნა დარასელია, ფილოლოგი, 48 წლის, ინტერვიუ ჩანერილია, 12.06.2020).

### „ბნელი 90-იანები“ – გამარჯვების ტრავმა

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მგლოვიარე, მაგრამ ამაყი, გლოვით მოზიემ საზოგადოება, რომელიც გაღებულმა მსხვერპლმა მტკიცედ დაარწმუნა გამარჯვების გარდაუვალობაში, 1991 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ტრიუმფის ეიფორიამ მოიცვა. გაჩნდა რწმენა, რომ დამოუკიდებლობა თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლის შედეგი იყო, რომ მთავარი დაბრკოლება გადალახულია, მიზანი მიღწეულია, რომ ვერანაირი ყოფითი სირთულე ვერ დააყენებდა ეჭვქვეშ მის მნიშვნელობას, ისევე როგორც ვერაფერი შეცვლიდა წარმატებისაკენ მიმავალ გზას. 30 წლის შემდეგ დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი, უზენაესი საბჭოს წევრი ნოდარ ნათაძე იხსენებს: „ეს იყო ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი. ეჭვი არ იყო, [...] რომ საქართველომ გაიმარჯვა სამუდამოდ. შეიძლება რაღაცა მოხ-

დეს, შეიძლება სისხლი დაიღვაროს, შეიძლება ბირთვული იარაღი ააფეთქონ თბილისში, [...] მაგრამ საქართველო დამპალ რუსეთის იმპერიაში აღარასოდეს დაბრუნდება. ეს ყველამ ვიცოდით.“<sup>14</sup>

90-იანი წლების დასაწყისის ტრიუმფის განცდა მალევე ჩანაცვლა ყოვლისმომცველი კრიზისით გამოწვეულმა მუდმივმა სტრესმა, რომელიც გამარჯვების ტრავმის სახით ჩამოყალიბდა. დამოუკიდებლობის მიღება საქართველოში არა მხოლოდ სასურველი იყო, არამედ ამისათვის იბრძოდნენ კიდევ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეულ ცვლილებებთან გამკლავება უკიდურესად რთული და მტკიცენი ალმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის, რომელსაც, ნანატრი თავისუფლების მიღებასთან ერთად, საყრდენი მოერღვა. კომუნისტური სისტემის ნგრევამ საქართველოში, ისევე როგორც მთელ სოციალისტურ სივრცეში, გამოიწვია ტრავმული – სწრაფი, ყოვლისმომცველი, ფუნდამენტური და მოულოდნელი – სოციალური ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს ხანგრძლივი და კომპლექსური წინასტორია ჰქონდა, 1991 წლის შემოდგომაზე მოვლენები განსაკუთრებული სისწრაფით განვითარდა; ცვლილებები სისტემური და მრავალგანზომილებიანი იყო, მოიცვა პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ყოველდღიური ცხოვრება. ცვლილებებმა გავლენა იქონია მთელ მოსახლეობაზე და შეარყია წინამორბედი სისტემის საფუძვლები. ავტოკრატია შეცვალა დემოკრატია, ეკონომიკის ცენტრალური დაგეგმარება – საბაზრო ეკონომიკამ, კულტურის სფეროს ცენზურა – პლურალისტურმა მიდგომამ, დეფიციტის საზოგადოება – მომხმარებლურმა საზოგადოებამ; კომუნისტური სისტემის კოლაფსი იმ დროსა და იმ მასშტაბით, უდავოდ, მოულოდნელი იყო არა მხოლოდ რიგითი ადამიანებისათვის, არამედ პროფესიონალი სოვეტოლოგებისთვისაც.<sup>15</sup>

ამ სახის ცვლილებები არყვეს ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საყრდენს: უსაფრთხოებას, წინასწარგანჭვრეტადობას, უწყვეტობას, რუტინას და რიტუალებს.<sup>16</sup> კულტურა, რომელიც მოიცავს საზოგადოების ღირებულებით და ნორმატიულ სისტემას, მოლოდინებს, როლებს, დამკვიდრებულ იდეებსა და შეხედულებებს, ნარატიულ ფორმებსა და სიმბოლურ მნიშვნელობებს, განსაკუთრებით მგრძობიარეა ტრავმული ცვლილებების მიმართ. სწორედ ის წარმოადგენს საზოგადოების უწყვეტობის, მემკვიდრეობითობის, ტრადიციისა და იდენტობის, ანუ ყოველივე იმის წყაროს, რასაც ცვლილებები ასუსტებს ან ანგრევს.<sup>17</sup> ასეთივე კულტურული დეზორიენტაცია განაპირობა საბჭოთა სისტემის რღვევამ საქართველოში.

არსებობდა კულტურული წეს-ჩვეულებების და ქცევების ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც ძველი კომუნისტური რეჟიმიდან იყო მიღებული და იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი „ჰაბიტუსი“ ჰქონდა. მეორე მხარეს კი ყალიბდებოდა სრულიად განსხვავებული კულტურა, რომელიც ფუნქციურად მოითხოვდა ახალ დემოკრატიულ ინსტიტუციებს, რომლისთვისაც ხალხის მხო-

<sup>14</sup> „ნოდარ ნათაძე დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის შემდეგ,” რადიო თავისუფლება, 1 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3r0HE4p> (ნანახია 04.04.2021).

<sup>15</sup> Sztompka, “The Trauma of Social Change,” p. 171.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 161-162.

ლოდ მცირე ნაწილი იყო კულტურულად მომზადებული. ამ ორი შეუთავსებელი კულტურის შეჯახება ნიშნავდა, რომ ხალხის უმრავლესობისთვის ჩვეულმა ცხოვრების წესმა აზრი და ეფექტიანობა დაკარგა და, რიგ შემთხვევაში, კონტრპროდუქტიულიც გახდა, ახალი კულტურის წესები კი მათ მიერ აღიქმებოდა როგორც უცხო, თავსმოხვეული და ძალდატანებითი.<sup>18</sup> საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი „ძველი“ კულტურის მატარებელი იყო და ცვლილებები სრულიადაც არ შეესაბამებოდა მათ მოლოდინს: სამუშაოთი უზრუნველყოფას, უფასო განათლებას და ჯანდაცვას, ბავშვზე ზრუნვას თუ გარანტირებულ პენსიას.<sup>19</sup> ამ კულტურულ წესებს შორის შეუთავსებლობამ ნამდვილი კულტურული შოკი გამოიწვია.<sup>20</sup>

ზვიად რატიანის ლექსი „მამები,“ ჩვენი აზრით, 90-იანი წლების საქართველოს მანიფესტს წარმოადგენს და ძველისა და ახლის გზაგასაყარზე ყოფნის სიმძიმეს გამოხატავს:

„საწყალი მამები, რომელთაც ეყოთ თავხედობა დარჩენილიყვნენ ისეთებ-  
ად, როგორებადაც თავისთავი წარმოედგინათ,  
და როცა ირგვლივ ყველაფერი შეცვლილია,  
ისინი, ისევ ისეთები, ყანყალებენ ავტობუსებში,  
რომლებსაც შეუცვალეს ნომრები;  
ჭუჭყიანი მინებიდან გაჰყურებენ ქუჩებს,  
რომლებსაც შეუცვალეს სახელები;  
იხდიან მგზავრობის საფასურს – ფულს, რომელსაც შეუცვალეს ფორმა  
და ფერი  
და სამსახურებში, რომლებსაც სახეები (კერძოდ, პროფილები) შეუცვა-  
ლეს, მთელ თავის მუშა-ენერგიას დროის კვლას ახმარენ, რომელსაც, ზღაპ-  
რული ურჩხულივით, ახალ-ახალი თავები ამოსდის მოჭრილთა ნაცვლად და  
რომელმაც, მამების გარდა, არაფრის შეცვლა არ დაიზარა.

[...]

და წვანან მამები, სიბნელეში, პირით – კედლისკენ,  
რომელსაც უკვე, რახანია, რაც ყურები ჩამოახიეს  
და თქვან – რაც უნდათ,  
ვინც უნდათ – აგინონ,  
ამოანთხიონ მთელი ბოლმა – აღარა აქვთ კედლებს ყურები!  
მაგრამ არა, ისევ ჩუმად წვანან მამები,  
პირით კედლისკენ, სიბნელეში, გატრუნულები,  
და ველარ ბედავენ იფიქრონ წარსულზე,  
როცა მათი საქმეები, სურვილები, საზრუნავები  
შეუფერხებლად მოძრაობდნენ საათის ისრის მიმართულებით.“<sup>21</sup>

გამარჯვების ტრავმის ქართული მაგალითი, ტრანსფორმაციის პერიოდი, მკვეთრი სოციალური ცვლილებების მიერ დარღვეული ჩვეული მსოფლწესრიგი

<sup>18</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>19</sup> Sztompka, Piotr. *The Ambivalence of Social Change: Triumph or Trauma?* WZB Discussion Paper, no. P 00-001 (Berlin: 2000), p. 27.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>21</sup> რატიანი, „მამები.“

და ეგზისტენციური პრობლემების წინაშე აღმოჩენილი საზოგადოება ძალიან მკაფიოდ ჩანს გურამ ნიბახაშვილის სიტყვებში:

„80-იანი წლების ბოლოს იგრძნობოდა, რომ არსებული რეჟიმი დაიშლებოდა და ახალი დროება მოვიდოდა. მართალია, არ ვიცოდით, როგორი იქნებოდა ის, მაგრამ ყველა ელოდა. არ ვიცოდით, ასეთი მტკივნეული თუ იქნებოდა ცვლილებები, თუმცა ძველ დროებაში ყოფნა აღარავის უნდოდა, აუტანელი იყო. მოვიდა 90-იანები. [...] ამ პერიოდის ფოტოებში აშკარად იგრძნობა გარდამავალი პერიოდი, როგორ დაიმსხვრა ყველაფერი, როგორ ცდილობდნენ ადამიანები ამ ნამსხვრევებს გადარჩენოდნენ და ეძებდნენ ძალას, რომ სიცოცხლე და სიყვარული შეენარჩუნებინათ.“<sup>22</sup>

ადამიანთა ემოციური განწყობა, სიტუაციის შესაბამისად, არასტაბილური იყო და უკიდურესობებით ხასიათდებოდა – ერთი მხრივ, უკიდურესი აღფრთოვანებითა და მომენტის დიდებულების ამაღლებული განცდით და, მეორე მხრივ, უკიდურესი შეძრწუნებით, გაურკვევლობის შიშითა და სასონარკვეით. კაი ერიკსონი აღნიშნავს, რომ ტრავმა სოციალურ განზომილებას იძენს მაშინ, როდესაც ინდივიდუალური ტრავმული ქრილობები ერთიანდება და იქმნება განწყობა, ეთოსი, ჯგუფური კულტურა; ის განსხვავდება და აღემატება იმ ინდივიდუალურ ქრილობებს, რომლებისგანაც შედგება.<sup>23</sup> 90-იანების საქართველოში სწორედ ასეთი ტრავმული ეთოსი ჩამოყალიბდა. ყოვლისმომცველი ტრავმული მდგომარეობა გამოიხატა შავისა და ნაცრისფერის დომინირებით როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ გარემოში, კოლექტიურ და პირად სივრცეში. ადამიანთა უმრავლესობის მეხსიერებაში 90-იანი წლები სწორედ ამ ფერებით აღიბეჭდა, როგორც უღიმღამო და უსახური დრო, როდესაც ცხოვრება დამთრგუნველად გაუფერულდა. „ძალიან მინდოდა, ცოტა ფერიც შემეტანა, მაგრამ როგორი პერიოდიც იყო, ძირითადად ისეთივე, შავ-თეთრი ნიგნი გამოვიდა,“<sup>24</sup> – აღნიშნა გურამ ნიბახაშვილმა ნიგნის შესახებ, რომელშიც 90-იანი წლებში გადაღებული ფოტოები გამოაქვეყნა. „ზნელი 90-იანები“ – სალაპარაკო ენაში დამკვიდრებული ეს გამოთქმა, ალბათ, ყველაზე უკეთ გამოხატავს ტრავმის კვალს, რომელიც ამ პერიოდმა დატოვა მეხსიერებაში. ამავდროულად, ის აჩვენებს ამ ტრავმის კოლექტიურ ხასიათს, რადგან მისი მნიშვნელობა შეთანხმებული და გაზიარებულია ადამიანების მიერ, რომელთაც გააცნობიერეს საერთო სირთულეები, აღიქვეს მსგავსება საკუთარ და სხვა ადამიანთა მდგომარეობას შორის და განსაზღვრეს ის როგორც საზიარო.<sup>25</sup>

მოგონებებში კარგად ჩანს, როგორ გადაფარა გამარჯვების განცდა 90-იანების უკიდურესად ტრავმულმა გამოცდილებამ, როგორ დათრგუნა და შთანთქა ამ პერიოდის მოშავო-მონაცრისფრო ტრავმულმა ეთოსმა ბავშვობის ნათელი ემოციები და მოზარდობის წლები.

„ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ რალაცას მიაღწია ხალხმა: დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ ამდენი ბრძოლის, ამდენი შიმშილობების შემდეგ. [...]

<sup>22</sup> ნიბახაშვილი, 100 ფოტოამბავი. 90-იანები, გვ. 5-6.

<sup>23</sup> Erikson, Kai. “Notes on Trauma and Community,” *Trauma. Explorations in Memory*, ed. Cathy Caruth (Baltimore and London: Johns Hopkins University Press, 1995), p. 185.

<sup>24</sup> „ზამთარი გადატანილია. წიგნი, რომელიც 30 წელი იწერებოდა,“ *ინდიგო*, 22 ივლისი, 2019, <https://bit.ly/3GbtPli> (ნანახია 11.01.2021).

<sup>25</sup> Sztompka, “The Trauma of Social Change,” p. 160.



მაშინ ამას აღვიქვამდი, როგორც ბრძოლის შედეგს – ჩვენ ვიბრძოლეთ და ჩვენ ეს მოვიპოვეთ, ჩვენ ეს დავიმსახურეთ ყველანიარად: მსხვერპლიც გავიღეთ და ლოგიკური დასასრულიც დადგა ძალიან დადებითი – დამოუკიდებლები გავხდით. მაგრამ მერე... მერე იყო 90-იანები. საშინელი პერიოდი, ბნელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

„ბავშვური დადებითი და მხიარული ემოციები მთლიანად გადაფარა ამ 90-იანმა წლებმა. [...] ამ პერიოდში ჩემი სიზმრები იყო მხოლოდ შავი და ნაცრისფერი. მე სხვა ფერი სიზმარში არ მახსოვს. თან ეს უკვე ის პერიოდი, როდესაც შუქი არ არის ხშირად, ეკონომიკური კოლაფსია ქვეყანაში, გაჭირვებაა. ხალხსაც ალბათ უკვე ისეთი ტანისამოსი აცვია შავი და ნაცრისფერი. ამიტომ ეს სიზმრებიც, ალბათ, აქედან გამომდინარეობდა, რომ იყო ყოველთვის მეტად დამთრგუნველი და ფერები იყო მხოლოდ შავი, თეთრი ან ნაცრისფერი, შავი, თეთრი, ნაცრისფერი... სხვა ტიპის სიზმარი, ალბათ, 90-იანი წლების ბოლომდე არ დამსიზმრებია. და როდესაც პირველად ფერადი სიზმარი დამესიზმრა, ეს ფაქტი მახსოვს მკვეთრად – ღმერთო, როგორ მოხდა, რომ ფერადი სიზმარი ვნახე ცხოვრებაში“ (თამარ მურუსიძე).

ფეისბუქის მომხმარებლის, M. T.-ს კომენტარი გამარჯვების ტრავმის და წარსულის ნოსტალგიის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია. იგი აღნიშნავს: საბჭოთა კავშირის დაშლამდე „სამსახურიც მქონდა, ოჯახშიც ვიყავი და არც ჯანმრთელობაზე მეფიქრებოდა იმიტომ, რომ თუ რამე გამიჭირდებოდა, საავადმყოფოები იყო ხალხისთვის. დღეს თავისუფალი ვართ, აღარც სამსახური მაქვს, აღარც ოჯახში ვარ, გადაკარგული ვარ სადღაც. [...] მაპატიეთ მაგრამ არ მინდა ასეთი თავისუფლება.“<sup>26</sup>

ნანა ბაქრაძის მესხიერებაში „შავბნელი 90-იანები“ აღიბეჭდა როგორც „ერთი დიდი ცარიელი, შავი პერიოდი; თითქოს არც არაფერი არ ხდებოდა და ამასობაში კიდევ ძალიან ბევრი ტრაგიკული რაღაცა ხდებოდა.“ მისთვის 90-იანი წლებთან მხოლოდ ტრავმული მოგონებებია დაკავშირებული, რთული აღმოჩნდა რაიმე კონკრეტული დადებითი შემთხვევის გახსენება:

„როგორ შეიძლება ადამიანმა ისე იცხოვროს, რომ კარგი რამე არ გაახსენდეს. რა თქმა უნდა, რაღაც კარგიც [იყო], მაგრამ, როგორი უცნაური ამბავია, [...] აი ეს ერთი დიდი შავი ლაქაა, დიდი შავი ლაქა. აი, ახლაც ვფიქრობ, რა კარგი... მანამდე – კი, მახსენდება, იმიტომ რომ მანამ, 80-იანი წლებში, ისეთი სამსახური მქონდა, რომელიც მაძლევდა საშუალებას მოგზაურობის, როცა არავის უფლება არ ჰქონდა გასვლისა ქვეყნიდან, მანამდე მე ვმოგზაურობდი საზღვარგარეთ. [...] 90-იანების მერე, თანდათან, დავიწყე ძალიან კარგად ჩემი პროფესიის გამოყენება, ვმუშაობ, მაგრამ ეს რაღაცნაირი... ერთადერთი სიხარული ჩემს ცხოვრებაში ჩემი შვილი იყო, რომელიც ყოველდღე მახარებდა. [...] აი ეს იყო ერთი სიხარული, მეტი გარედან არაფერი არ ყოფილა კარგი. ეს იყო ერთი დიდი შავი ლაქა, ცარიელი, რაღაცნაირი, ვერც გეტყვი, ვერც აგიხსნი, რაღაცა რთული ასახსნელია, აი, დიდი, შავი, რაღაცნაირი სიცარიელე და უმძიმესი პერიოდი“ (ნანა ბაქრაძე).

<sup>26</sup> M.T.-ს კომენტარი ფეისბუქის გვერდის „თბილისი იყო ურთიერთობა“ პოსტზე, 24.03.2021, <https://bit.ly/3JWxsCL> (ნანახია 25.03.2021).

ეს შეფასება, ვფიქრობთ, ძალიან ზუსტად ასახავს 90-იანების ტრავმულ ეტოსს, ცხოვრების ჩვეული დინების წყვეტას. ამ პერიოდის სიცარიელის, სიშავის, დროში გაყინულობის განცდას, სავარაუდოდ, მისი ტრავმული მონოქრომულობა და მონოტონურობა ბადებდა.

შტომპკა მიიჩნევს, რომ მკვეთრი სოციალური ცვლილებებით გამოწვეული კულტურული დეზორიენტაცია აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ტრავმის ჩამოსაყალიბებლად. ის ქმნის შფოთვისა და გაურკვეველობის ატმოსფეროს, მაგრამ მხოლოდ მის ფონზე შექმნილი, საფრთხის შემცველად აღქმული გარემოებებისა და სიტუაციების ერთობლიობა განაპირობებს ტრავმული სინდრომის ჩამოყალიბებას (თუმცა მანამდე ამ გარემოებებს კულტურის ფარგლებში უნდა მიენიჭოს ტრავმული მნიშვნელობა). კულტურული დეზორიენტაციის მსგავსად, ამგვარი გარემოებები და სიტუაციები მკვეთრი სოციალური ცვლილებებით არის გამოწვეული, რომლებიც ცვლიან ადამიანთა ცხოვრებისეულ სამყაროს და გარდაქმნიან მათი ქცევისა და აზროვნების ფორმებს.<sup>27</sup> 90-იანი წლების საქართველოში კულტურული დეზორიენტაციის ფონზე ჩამოყალიბდა ბევრი ისეთი ტრავმული გარემოება, რომელსაც შტომპკა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს: მზარდი უმუშევრობა და ინფლაცია, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა საოჯახო ბიუჯეტსა და დანაზოგს, დანაშაულის უეცარი ზრდა, ორგანიზებული კრიმინალის ახალი ფორმების გაჩენა და კანონის არასათანადო ზემოქმედება; ცხოვრების სტანდარტის გაუარესება, სიღატაკის ზრდა, სტატუსთა იერარქიის ნგრევა და სოციალური დისტანციის ზრდა. რეფორმების აუცილებლობითა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით გამოწვეული, ისედაც მოძველებული საგზაო, სარკინიგზო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაუარესება, რაც ყოველდღიური ცხოვრების დისკომფორტს კიდევ უფრო ამძიმებდა; კომუნისტური პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული პრობლემების – კორუფციის, ადმინისტრაციისა და პოლიტიკოსების არაეფექტურობის – კიდევ უფრო დამძიმება ან უფრო მწვავედ აღქმა.<sup>28</sup> თითოეული ეს გარემოება და ზოგიერთი სხვა, რომელიც სპეციფიკური იყო საქართველოს შემთხვევისათვის, ზემოქმედებდა ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაზე. ზოგიერთი მათგანი მაგალითად, ინფლაცია და კრიმინალი, საყოველთაო იყო და საზოგადოების ყველა წევრი განიცდიდა მის გავლენას, ზოგიერთი კი, მაგალითად, უმუშევრობა და სტატუსის დაქვეითება, მოსახლეობის მხოლოდ კონკრეტულ სეგმენტს შეეხო.<sup>29</sup> სტივენ ჯონსის თანახმად, სამოქალაქო ომი და უცხოური ინტერვენცია, „მხედრობის“ და სხვა გასამხედროებელი ფორმირებების არსებობა, იარაღის ღია ტარება ქუჩებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სროლა, ეკონომიკური გაჩანაგება, უეცრად თავს დამტყდარი სიღატაკე, მრავალრიცხოვანი დანაშაულები, გაუცემელი ხელფასები, ინფლაციის მაღალი პროცენტი, მზარდი კორუფცია „მოკი აღმოჩნდა ქართველების უმრავლესობისთვის.“<sup>30</sup>

<sup>27</sup> Sztompka, “The Trauma of Social Change,” p. 164-165.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 175.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 164

<sup>30</sup> ჯონსი, სტივენ. *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013), გვ. 106.

90-იანი წლები საქართველოში იყო დრო, როდესაც ნორმიდან ამოვარდნა იქცა ნორმად. სტრესული მოვლენების მწკრივში ერთმანეთს ენაცვლებოდა სტიქიური უბედურებები, თბილისის ომი და შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირება, უპრეცედენტო ეკონომიკური ვარდნა და ინფლაცია, გამოცარიელებული მაღაზიები, საპროტესტო მიტინგები, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, დევნილები, ეკონომიკური კრიზისით გამონვეული მატერიალური და სოციალური სირთულეები, სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლა, ყველგანმსუფევი კორუფცია და კრიმინალი; საზოგადოება გაიყო მჩაგვრელებად და ჩაგრულებად. ადამიანთა უმრავლესობა მოიცვა დაუცველობის დამთრგუნველმა განცდამ. პროფესიული კვალიფიკაციის მქონე მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაკარგა სამსახური და იძულებული გახდა, მათი განათლებისა და კვალიფიკაციისთვის შეუსაბამო საქმიანობისათვის მიეყო ხელი ოჯახისა და საკუთრი თავის უზრუნველსაყოფად. ეს მძიმე დარტყმა იყო მათ ღირსებასა და თვითაქტუაზე; ადამიანებს უეცრად მოერღვათ საკუთარი იდენტობის საყრდენი, ცხოვრების ორიენტირები, ტრადიციული ღირებულებების სამყარო. 90-იანების საქართველოს ყოველდღიურობას ზუსტად შეესაბამება ალეიდა ასმანის მიერ აღწერილი *მოლოდინის მდგომარეობა*. ეს არის იმ ადამიანთა ცხოვრების მოდუსი, რომლებიც, ანმყოს მტკივნეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მომავალს შიშით ელიან. ეს მდგომარეობა მუდმივი ტერორის ქვეშ ცხოვრების განცდას ბადებს.<sup>31</sup>

ტრანსფორმაციის პერიოდისათვის დამახასიათებელი არალეგალური ადაპტაციური მექანიზმების, კანონისა და მორალის საწინააღმდეგო საშუალებებით სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის მოპოვების ზრდა<sup>32</sup> დამთრგუნველად ზემოქმედებდა ყოველდღიურ ყოფაზე. კორუფციისა და ნეპოტიზმის გარდა, საყოველთაო გახდა ქურდობის, ყაჩაღობისა, ძარცვის შემთხვევები და ქურდული სამყაროს გავლენის სფეროს უპრეცედენტო გაფართოება. 90-იანების ყოფა მართლაც შიშით იყო აღბეჭდილი; საშიშად აღიქმებოდნენ უცხო ადამიანები, საშიში იყო გვიან საღამოს ქუჩაში ყოფნა, სადარბაზოში შესვლა, ლიფტით მგზავრობა, მიწისქვეშა გადასასვლელში გავლა, რადგან იქ ხშირად თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ადამიანებს. საშიში იყო საქალაქთაშორისო მგზავრობაც როგორც საჯარო ტრანსპორტით, ასევე კერძო მანქანებით, რადგან ასევე ხშირი იყო ყაჩაღობა; საშიში და უშედეგო იყო სამართალდამცველებისთვის მიმართვა, რადგან უმრავლეს შემთხვევაში მისი თანამშრომლები კორუმპირებულები იყვნენ, ან შეკრული ქურდულ სამყაროსთან, ან, უბრალოდ, არაქმედიტუნარიანები, ან კეთილსინდისიერები, მაგრამ ზოგადად მოშლილი სამართალდამცავი სისტემის პირობებში მათი მუშაობის ეფექტიანობა დაბალი იყო. სამართალი კანონიერი ქურდების ხელში იყო. დაზარალებულს მათი წყალობით შეეძლო გარკვეული ნივთების დაბრუნება. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ უბანს სწორედ ისინი აკონტროლებდნენ და მათი მფარველობის ქვეშ მოქმედებდნენ უფრო მცირე მასშტაბის კრიმინალები. თუ ადამიანს რამე ჰქონდა, რაც ოდნავ უკეთესი ცხოვრების საშუალებას მისცემდა, გაძარცვის საფრთხე ემუქრებოდა, თუ არა – აუტანელი გაჭირვება თრგუნავდა.

<sup>31</sup> Assmann, Aleida. "Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory," *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), p. 50.

<sup>32</sup> Sztompka, "The Trauma of Social Change," p. 186.

90-იან წლებში მოქალაქეთაგან აღებული ინტერვიუები ნათლად აჩვენებს მოსახლეობაში არსებული უიმედობის, უპერსპექტივობისა და დეზორიენტაციის განცდას: „ქაოტური მდგომარეობაა, არავინ არ იცის, ხვალე რა მოხდება,“ „არაფრის იმედი აღარა მაქვს, აბსოლუტურად. [...] სულ უკან-უკან მივდივართ“;<sup>33</sup> „დღევანდელი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არასახარბიელოა. [...] ხალხი დადის ფეხით, ყველაფერი ჭირს,“ „კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ დღესდღეობით, ამაზე ცუდად ალბათ წარმოუდგენელია ყოფნა,“ „ისეთი ძნელი მდგომარეობაა, ალბათ შეფასებაც არ შეიძლება,“ „ჩვენ ვცოცხლობთ, ვცხოვრობთ თუ რას ვაკეთებთ, აზრზე არა ვარ. საითკენ აქვს აღებული გეზი ჩვენს სახელმწიფოს, ვერაფერი ვერ გავიგე.“<sup>34</sup>

ჟურნალისტი მიხეილ რობაქიძე 1994 წელს მომზადებულ გადაცემაში აჩვენებს, თუ როგორ გადაიქცა თბილისი – „ოდესღაც სილამაზისა და სისუფთავის ქალაქი“ – „დიდ, მოუწესრიგებელ ბაზრობად.“ ავტორის ტექსტი ამბივალენტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს საბჭოთა წარსულისა და დამოუკიდებელი ან-მყოს მიმართ და, სავარაუდოდ, ასახავს იმ პერიოდში მსუფვე ბუნდოვანებასა და არამკაფიო შეფასებებს. ამ ორი პერიოდის რეალობა ერთმანეთთან შეპირისპირებულია, ერთი მხრივ, როგორც სტაბილური, წინასწარგანჭვრეტადი და, მეორე მხრივ, სოციალური და ეკონომიკური კრიზისით მოცული: „სამწუხაროდ ან, შეიძლება, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ყოველი თვის ოთხში და ცხრამეტში რეგულარულად არიგებდნენ ხელფასს. როდესაც მთელი წელიწადი ელოდი ოცდაორდღიან შვებულებას და ოცდაათწლიანი შრომის ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო პენსია – 120 მანეთი. დღეს ფაქტობრივად აღარ არსებობს პენსია, აღარ არსებობს ხელფასი, გაჩერებულია წარმოება, მთელი სახელმწიფო მოცულია მძიმე ეკონომიკური კრიზისით.“<sup>35</sup>

გამარჯვების ტრავმა და გარდამტეხი ცვლილებებით გამონვეული სირთულეები იკვეთება გოგი წერეთლის (ინჟინერი, 75 წლის. ინტერვიუ ჩანერილია 09.02.2021) მონათხრობშიც, რომელიც იმ პერიოდში საწარმოო გაერთიანება „თბილავტოგზის“ მთავარ ინჟინრად მუშაობდა. იგი იხსენებს, რომ 1980-იანი წლების ბოლოს „ჩაფლული იყო მთლიანად ქვეყანა კორუფციაში.“ მისი საქმიანობის სფეროში გარკვეული წინსვლა შეიმჩნეოდა, თუმცა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა დამთრგუნველად მოქმედებდა ადამიანებზე და შიშსა და უნდობლობას ბადებდა. „რწმენა ადამიანებში უკვე გამოიკვეთა, რომ თითქოს უნდა დანგრეულიყო ეს ყველაფერი,“ მიუხედავად იმისა, რომ მასაც ჰქონდა ამის მოლოდინი, არ ფიქრობდა, ეს „ასე სწრაფად თუ მოხდებოდა.“ გოგი წერეთელი აღნიშნავს, რომ 80-იანი წლების დასასრულისათვის „აზროვნების ცვლილება ნავიდა, მე ვგრძნობდი, რომ იცვლებოდა ყველას მენტალიტეტი.“ ცვლილებები შეეხო მის სამსახურეობრივ სფეროსაც. 90-იანი წლებიდან კი, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, მისი აზრით, „აბსოლუტური რეგრესი ნავიდა. [...] ჩაკვდა ყველაფერი.“ 1991-96 წლები „კატასტროფული ნგრევის პერიოდი“ იყო. მიუხედავად იმისა, რომ გზების მშენებელთა გამართული მუშაობა სასიცოცხლოდ

<sup>33</sup> გვახარია, „შუქი წავიდა...“

<sup>34</sup> რობაქიძე, მიხეილ. გადაცემა „საქმიანი გეზი,“ ტელეკომპანია „კავკასია“, 3 აგვისტო, 1994, YouTube, 17 იანვარი, 2021, <https://bit.ly/31IuvVd> (ნანახია 21.03.2021).

<sup>35</sup> იქვე.

მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისათვის და შედარებით მეტი ყურადღება ექცეოდა მას, „იმდენად დეფორმირებული იყო სისტემა,“ რომ 1993-94 წლებში თბილისიდან ქუთაისამდე დაახლოებით 6-7 საათი სჭირდებოდა მგზავრობას. „რიკოტის უღელტეხილზე რომ ჩვენ მოძრაობა შეგვეწინააღმდეგებინა და თოვლი გაგვეწმინდა, თბილისიდან ჩაგვექონდა ცისტერნით სანავაი და აქედან [...] მივყვებოდით, რომ ვინმეს არ გაეყიდა. მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ გორში მიწვედა ლამის გათევა, თბილისში ვერ ვბრუნდებოდი. და ეს იყო მართლა კატასტროფული პერიოდი.“ დეპარტამენტისათვის დაფინანსება ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ „ელემენტარულად, მანქანას გაეცლო“; „თუ სადმე კატასტროფა იყო და ჩამოიშლებოდა მთა, ეს გაგვეწმინდა, [...] რომ მიღწევადობა ჰქონოდა, სასწრაფოს მანქანა მისულიყო.“ ეს ეხებოდა მხოლოდ ცენტრალურ გზებს, „სოფლის გზები ხომ საერთოდ მიტოვებული და მოუვლელი იყო.“ სისტემის სრული მოშლის პირობებში მხოლოდ ადამიანთა პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა და საქმისადმი ერთგულება უზრუნველყოფდა იმას, რომ საგზაო ქსელის ძირითად მიმართულებებზე მოძრაობა შესაძლებელი ყოფილიყო. თითქმის სამი ათწლეულის შემდეგაც კი რესპონდენტებისათვის ამ პერიოდზე საუბარი ძალიან მტკივნეულია.

„ძალიან მიჭირს და გახსენებაც არ მინდა. მინდა, რომ საერთოდ არ ყოფილიყო ის 90-იანები. [...] რაც იყო, იმდენად რთული გადასატანი აღმოჩნდა, რომ ახლა თანდათან ვხვდები, რამდენად დიდი ზეგავლენა იქონია ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე და, ზოგადად, ჩემს ხასიათზე. დეიდაჩემმა იცოდა ხოლმე თქმა, ჩინელების წყევლაა, რომ გეცხოვროს პოლიტიკური ცვლილებების ხანაშიო. ახლა ვხვდები, მართლა რამდენად უნდა გავიმეტოს ადამიანმა, რომ ეს მოგანყევლოს – პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში გეცხოვროსო!“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

### განლენილი საზოგადოება და სამოქალაქო დაპირისპირება

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ქართულ საზოგადოებას გაუჩნდა მსხვერპლით განწმენდილ, საკრალურ სივრცესთან ზიარების, სამშობლოს თავისუფლებისა და აღორძინებისაკენ მიმავალ მონამეობრივ და დიად გზაზე ყოფნის განცდა. 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა მორიგი საკრალური აქტი – „დიდებული წამი“ იყო. ამალღებული სულისკვეთებით გამსჭვალულ მოვლენათა მწკრივის დასკვნითი წერტილი აღმოჩნდა 1991 წლის 26 მაისი, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების დღე, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 86,52 პროცენტმა ზვიად გამსახურდია, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ქარიზმატული ლიდერი, საქართველოს პირველ პრეზიდენტად აირჩია. თუმცა ამ მოვლენიდან რამდენიმე თვეში ქართულმა საზოგადოებამ საკრალურიდან ურთიერთდაპირისპირების, სიძულვილისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროფანულ სამყაროში გადაინაცვლა. მისი ცენტრი თბილისში იყო, მოგვიანებით კი მძიმე განსაცდელად დასავლეთ საქართველოს მოეწვინა.

1991 წლის შემოდგომიდან თბილისის ცხოვრება დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. როგორც გოგი გვახარია წერს, „ქუჩაში სამიტინგო ადგილი აღარ იყო – იქით ედებ<sup>36</sup> აწყობდა აქციებს ხელისუფლების წინააღმდეგ, აქეთ ხე-

<sup>36</sup> ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ლისუფლების მხარდამჭერები გაჰკიოდნენ,“<sup>37</sup> „ხან ‘ზვიადი, ზვიადი!’ ისმოდა და ხან ‘ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ!’“<sup>38</sup>

ნანა ბაქრაძე იხსენებს, მალევე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ როგორ გაიხლიჩა საზოგადოება და მისი უშუალო გარემოცვაც გამსახურდიას მომხრეებად და მონინაალმდეგეებად – ორ მტრულ და შეურიგებელ ბანაკად. ეს განხეთქილება შეეხო ფაქტობრივად ყველა ოჯახს, მათაც, ვინც უშუალოდ არ მონანილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. რთული იყო ცხოვრების ნორმალური წესის შენარჩუნება ასეთი საყოველთაო დაპირისპირების პირობებში.

„ზვიად გამსახურდიას მთავრობა მოვიდა, რეფერენდუმი ჩატარდა ქვეყნის გათავისუფლებაზე, გამოცხადდა დამოუკიდებლობა და აი აქ ატყდა ყველაზე საშინელი, რაც კი შეიძლება მომხდარიყო. ჩემ გარშემო ადამიანები დაიყვნენ ბანაკებად, ეგრეთ წოდებულ ‘ზვიადისტებად’ და მის მონინაალმდეგეებად. ეს მძიმე ასატანი იყო, გადადიოდა პირად ცხოვრებაში, ყველა სამზარეულოში, სამსახურში, ქუჩაში ირჩეოდა, იყო საშინელი ჩხუბები. მე მახსოვს, [...] უკვე ძალიან ჭირდა ცხოვრება, დიდი გაჭირვება იყო და ვაი-ვავლახით შევავროვე რაღაცა თანხა, გავაკეთე პატარა პურ-მარილი და [დაბადების დღეზე] მოვინვიე ჩემი ნათესავები. [...] მთელი საღამო ხელჩართული ბრძოლა და ჩხუბი იყო. ჩხუბობდნენ ზვიადის მომხრეები და მისი მონინაალმდეგეები. [...] ეს საშინელი დაპირისპირება იყო, საშინელი. [...] ასევე იყო, სამსახურში რომ მივდიოდი, მთელი დღე იყო ჩხუბი და კამათი ჩემ გარშემო. [...] სწორედ ამ დაპირისპირებამ მოიტანა... ალბათ შედეგი იყო და ალბათ უკვე ამისკენ მიდიოდა – სამოქალაქო ომი. ბუნებრივია, ამ სამოქალაქო ომსაც რუსეთი ხელმძღვანელობდა, ალბათ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ვმონანილეობდით ამაში, ქართველები. ეს აუტანელი იყო“ (ნანა ბაქრაძე).

22 დეკემბერს, როცა რუსთაველის გამზირზე შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. ტელევიზიამ ალყაშემორტყმული პარლამენტის შენობაში ჩანერილი პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართვა გაავრცელა: „თანამემამულენო, როგორც ხედავთ, შავი დღე დაუდგა საქართველოს. იმპერიულმა ძალებმა და მათმა აგენტურამ საქართველოში თავს მოგვახვეის სამოქალაქო ომი.“<sup>39</sup> ამ ვიდეოკადრებში ჩანს დანგრეული პარლამენტის შენობა, მძიმე საბრძოლო ტექნიკა და ცეცხლწაკიდებული შენობები რუსთაველის გამზირზე, ავტომატებით შეიარაღებული მებრძოლები და პარლამენტის შენობის მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები გაოგნებული მოქალაქეები.<sup>40</sup>

„ახალ წელს დიდი ბათქაბუთქი ატყდა. ველარ გაიგებდი, ქეიფობდნენ თუ ომობდნენ ქართველები.“<sup>41</sup> ქალაქის ცენტრში, კონფლიქტის სიახლოვეს მცხოვრებთა ბინებში იჭრებოდა ტყვიები, „რომლითაც ქართველმა ქართველი არ უნდა მოკლას.“<sup>42</sup>

<sup>37</sup> გვახარია, გოგი. *ცრემლიანი სათვალე* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013), გვ. 239-240.

<sup>38</sup> ასე მოიხსენიებდნენ გამსახურდიას მისი მოწინააღმდეგეები. გვახარია, *ცრემლიანი სათვალე*, გვ. 242.

<sup>39</sup> პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა საქართველოს მოსახლეობას თბილისის ომის დროს (1991), *Myvideo.ge*, 25 ივლისი, 2011, <https://bit.ly/3telbUf> (ნანახია 11.02.2021).

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> გვახარია, *ცრემლიანი სათვალე*, გვ. 248.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 254.

„როცა მთავრობის სახლიდან ტყვიამ ჩემს ოთახშიც შემოაღწია, მე-ზობლის რჩევით, აივნის კარს ორი ლეიბი ავაფარე. ერთ კვირაში ოთახი სიგარეტის კვამლით ისე გაიბუღა, რომ არათუ სუნთქვა, რამის დანახვაც კი ვართულდა. [...] 5 იანვარს, ღამით, დიდის ამბით გამოვალე აივანი და ეგრევე გამიელვა აზრმა, ახლა რუსთაველიდან ნასროლი ტყვია რომ მომხვდეს და ცოდილი სული განვუტევეო, როდის შეიტყობს სამყარო ჩემი დელუპვის ამბავს? კარგი, ჯანდაბას 'სამყარო'... ჩემი მშობლები როდის გაიგებენ – ასე ტკბილად რომ სძინავთ ეზოს მხარეს, სადაც არც ტყვია აღწევს და არც ლოზუნგები. რუსთაველზე ომია, ეზოში კი ბავშვები მთელ დღეს თამაშობენ – ზოგი 'ომობანას,' ზოგიც 'სახლობანას'.“<sup>43</sup>

15 დღიანი ომის განმავლობაში ტელევიზია იშვიათად ფუნქციონირებდა, რადგან სატელევიზიო ანძას ხან დენი არ მიეწოდებოდა, ხანაც ფეთქდებოდა, ამასთან, პერიოდულად გადადიოდა ხელიდან ხელში. საზოგადოება ინფორმაციის გარეშე დარჩა. ახალ წელს, როდესაც ტელევიზიამ აღადგინა მუშაობა, ეთერში დამწვარი რუსთაველის გამზირის კადრებს აჩვენებდნენ. „მახსოვს, წავედი, მინდოდა ჩემი თვალთ მენახა თუ შემეგრძნო ეს ყველაფერი და 'ივერიასთან' უკვე გადაკეტილი იყო გზები. 'ივერიასთან' იდგა აი, ამ გადაკეტილ გზასთან, დიდი ჯგუფი ადამიანების და უყურებდნენ და უსმენდნენ, როგორი სროლა იყო იქ, მთავრობის სასახლესთან. ღამეები გვესმოდა საშინელი სროლა. ვინეკით ღამე, გვეძინა და სროლა იყო თანმდევი აი ამ პროცესის. ძალიან მძიმე იყო, ძალიან საშინელი ასატანი იყო ეს ყველაფერი. ძალიან მძიმედ მოქმედებდა ადამიანის ფსიქიკაზე,“ იგონებს ნანა ბაქრაძე.

გარეუბნებში მცხოვრები ადამიანები შორიდან აკვირდებოდნენ ქალაქის ცენტრში მიმდინარე ომს. მათ იცოდნენ, რომ რუსთაველზე შეიარაღებული დაპირისპირება იყო, მაგრამ ის, თითქოს, მათ არ ეხებოდა, მათ ცხოვრებაზე არ ზემოქმედებდა. მოქალაქეთა უმრავლესობისათვის ეს არ იყო დაპირისპირება, რომელშიც რომელიმე მხარეს უგულშემატკივრებდნენ. ეს მათთვის უჩვეულო, დამაბნეველი მოვლენა იყო, რომლის მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრა რთული იყო – ის, თითქოს, ემოციებს მიღმა დარჩა.

„[თბილისის ომი] მახსოვს ძალიან კარგად, ისიც მახსოვს, ფანჯრიდან რომ ვიხედებოდი, [...] ჩანდა სტაფილოსფრად განათებული ცა, როდესაც იწვოდა რუსთაველი. მახსოვს, ჩვენს მეზობლად ვინც ცხოვრობდა, ის იყო წასული ჰოლანდიაში და მისი და ცხოვრობდა სადღაც რუსთაველისკენ. ეს და გადმოვიდა ოჯახით. გამოიქცნენ, თავი შეაფარეს ამ ყველაფერს ნუცუბიდის პლატოზე. იმიტომ, რომ ნუცუბიდის პლატოზე [...] ისეთი სიმშვიდე იყო, ვითომც არაფერი. [...] ერთხელ მანქანა დადიოდა და რუპორში გაჰყვიროდნენ, 'ხალხო, ადექით, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, ზვიად გამსახურდიამ შავნაბადაზე ხალხი ჩახოცა.' ჯაბა იოსელიანის მხედრიონელები დადიოდნენ ასე მანქანით, რუპორით და გაგვალვიძეს ერთხელ და შეშინებულები ავდექით. მერე როგორც აღმოჩნდა, არ იყო ეს სიმართლე. მაგრამ ფაქტი მახსოვს, რომ ღამე გაგვალვიძეს ამ რუპორში ჩხავილით“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

თბილისში დანყებულნი ომი საქართველოს რეგიონებს მოედო. განსაკუთრე-

<sup>43</sup> იქვე, გვ. 253-254.

ბით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამეგრელოში, რომელიც ზვიად გამსახურდი-ას ერთგული დარჩა და ახალ ხელისუფლებას დაუპირისპირდა. იქ დაბანაკდნენ დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმები. თბილისის პასუხი ამაზე ტერორი და ძალადობრივი ანგარიშსწორება იყო. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო. სამეგრელო მტრულად აღიქმებოდა თბილისში და პირიქით. „ფრთხილად იარეთ,“ „ზუგდიდში მანქანა არ გააჩეროთ!“ „შეიძლება მძევლად ავიყვანონ!“ – იხსენებს თბილისიდან გამგზავრების წინ მეგობრების გაფრთხილებას გოგი გვახარია. იგი აღნიშნავს, რომ „სახიფათო ზონად“ სწორედ სამეგრელო, „პროვინციულ ფაშიზმში“ დადანაშაულებული მხარე წარმოუდგინეს, და არა აფხაზეთი, რომელიც ამ დროს უკვე აღარ ემორჩილებოდა თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებას. გვახარია იხსენებს, რომ „სამეგრელოს ქალაქები და სოფლები მთლიანად ზვიადის პორტრეტებით იყო გაფორმებული.“<sup>44</sup>

ზუგდიდში მცხოვრები ხათუნა დარასელია, რომლის მონათხრობი სამოქალაქო დაპირისპირებით განპირობებული ტრავმული ნარატივის მკაფიო ნიმუშია, იხსენებს, გამსახურდიას განდევნის შემდეგ „როგორ იყო დაყოფილი თითქოს საქართველო - იქითა მხარე, აღმოსავლეთი და იმ ხელისუფლების მომხრეები, ხუნტის მომხრეები, უფრო სწორად, და კანონიერი ხელისუფლების მომხრეები დასავლეთ საქართველოში.“ ზუგდიდში, როგორც სამეგრელოს ცენტრალურ ქალაქში, ყოველდღიურად იმართებოდა ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგები.

„მხედრიონის“ შესვლა სამეგრელოს მოსახლეობისათვის ტერორის და განუკითხაობის დასაწყისს აღნიშნავდა. ხათუნა დარასელიას მოგონებებში ჩანს, რამდენად მძიმე იყო ეს პერიოდი მისთვის და მისი თანამოქალაქეებისათვის, რომელთა სიცოცხლე ყოველდღიური საფრთხის ქვეშ იყო. „მაშინ, გახსოვთ, რამე ისეთი რომ ხდებოდა – მნიშვნელოვანი, სასიხარულო, თუნდაც იგივე ახალი წლები - ავტომატების კაკანი ისმოდა ყველგან. და აი ეს მანათობელი ტყვიები მახსოვს ძალიან ცუდად, საშინლად მახსოვს ეს მანათობელი ტყვიები. [...] მერე და მერე უკვე, როდესაც ‘მხედრიონი’ ხელახლა შემოვიდა, ასე ვთქვათ, უკვე დასარბევად სამეგრელოსი, მაშინ ეს იყო ყოველდღიური მოვლენა და დღეც, ღამეც ჩვენ ვხედავდით ამ მანათობელ ტყვიებს“.

ძალადობა, გაძარცვისა და სიკვდილის შიში ადამიანების ცხოვრების თანმდევი ნაწილი იყო:

„მიდიოდა მანქანა, რომელსაც ორივე მხრიდან ავტომატები ჰქონდა გამოყოფილი, ყველა მხრიდან, მძლოლის გარდა, შესაძლოა მძლოლიც, ყველა ისროდა გაურკვეველი მიმართულებით. [...] ამბობდნენ, რომ მანქანები გაჰყავთ, ძარცვავენ ქალაქს, სახლებში შედიან, რალაც ნივთები გააქვთ, ნიღბებით შედიან, გააქვთ ძვირფასეულობა და ასე შემდეგ.“

[...] მეზობლის შვილი, ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა, ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ზუგდიდელი ადამიანი დაასახელა და თქვა, რომ მისი შვილი მოკლეს. ეს იყო მამაჩემის [...] მამიდაშვილის შვილი. [...] ახალგაზრდა კაცი იყო, სადღაც ესე 45-46 წლის. [...] ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გოჩა ჯიქიას შემდეგ, ჩვენ რაც გავიგეთ, იყო სწორედ ეს ჩვენი ახლობელი ადამიანი.

[...] დილა იყო, დედაჩემი შემოდის ჩემს ოთახში და მეუბნება, რომ ჩვენ

<sup>44</sup> იქვე, გვ. 256.



გვერდით სახლში შევიდნენ. ნიღბებით არიან მოსულელები და შენ არ ადგე, გარეთ არ გახვიდო, დედაჩემი კანკალებს. [...] ის ქალი იხსენებდა შემდეგ, რომ სამზარეულოში ვიყავიო, უცებ კარი გაიღო და ნიღბიანები შემოვიდნენ ჩემს სახლში ავტომატებით. [...] როგორი სტრესი იყო მისთვის“ (ხათუნა დარასელია).

ხათუნა დარასელიას ნათესავმა შესთავაზა, ცოტა ხნით გარიდებოდა საფრთხეს და თავის სახლში, ნალენჯიხის მთიან სოფელ ჯალრაში დაჰპატიჟა. ჩანს, რომ ადამიანებს საომარი ვითარების სრული განცდა ჰქონდათ. „ავიღე წიგნი ‘საქართველოს სულიერი მისია’,<sup>45</sup> [...] და ასევე ფოტო – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, [...] ამ წიგნში ჩავდე ეს ფოტოც და ეს ჩემი ბარგი რომ ჩავალაგე, ამ ჩანთაში ჩავდე ეს წიგნიც და ამიანად წავედი სოფელში. რატომ მიმქონდა, არ ვიცი. [...] ჩვენ გვქონდა მოლოდინი, რომ ყველა სახლში შევიდოდნენ აქ, ყველა სახლს დაარბევდნენ, ეტყობა ეს მოლოდინი მქონდა, რომ თუკი აქ შემოვლენ-მეთქი, ეს რომ დაინახონ, ეს წიგნები, ალბათ დანვავენ-მეთქი, და ამიტომ ეს წიგნი ავიღე და წავიღე.“

მოგონებებში ჩანს ისიც, რომ 1993 წლის ბოლო თვეებში, როდესაც გამსახურდია სამეგრელოში იმყოფებოდა, მოსახლეობის მთავარი საფიქრალი მისი ბედი იყო. ხათუნა დარასელიას მეხსიერებაში ყველაზე მძაფრად და დეტალურად აისახა შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან 1993 წლის ნოემბრის თვეში, როდესაც იგი სოფელ ჯალრაში, მისი ნათესავის სახლს აფარებდა თავს, თანმხლებ პირებთან ერთად. ეს ამბავი რესპონდენტმა თავის დღიურში ასახა, ჩვენთან საუბარში კი აღნიშნა: „ეს დღიური რომ არ დამეწერა, შეიძლებოდა მეფიქრა, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ვნახე.“ ხათუნა დარასელიასათვის ამ ისტორიის ყველაზე ამაღლევებელი მომენტი ზვიად გამსახურდიას ავტოგრაფის მიღება იყო, რომელიც პრეზიდენტმა მის მიერ ზუგდიდიდან წაღებულ წიგნზე გააკეთა: „ძვირფას ხათუნას, პატივისცემით, ზვიად გამსახურდია.“ გამსახურდიას თარიღი საგანგებოდ არ დაუნერია, რათა ოჯახისათვის აწიოკება აეცილებინა თავიდან.

„სადაც დავდიოდი, ყველგან დამქონდა [ეს წიგნი]. არ ვტოვებდი, სულ ჩანთაში მედო, თუ მიწევდა სადმე გასვლა. მეშინოდა, რომ არ დამკარგვოდა თუ რა ვიცი. ძალიან ვინრო წრეს გავანდე ეს ამბავი, მაშინ, იცით, არ შეიძლებოდა, რომ ეს ყველას სცოდნოდა, მაშინ ჯერ კიდევ იყო საფრთხეები. მახსოვს, ერთი ჩემი მეზობლის სახლში ძალიან ჩუმად შემიყვანეს და ჩუმად, ლამპის შუქზე ვყვებოდი“ (ხათუნა დარასელია).

ხათუნა დარასელია და მისი ნათესავების ოჯახი, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი იყო, რომელიც გამსახურდიას დევნილობის პერიოდში შეხვდა. 31 დეკემბერს ყოფილი პრეზიდენტი სოფელ ხიბულაში, ერთ-ერთ სახლში ნახეს გარდაცვლილი. როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა, უკვე გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ, გაიგეს, რომ მისი ერთ-ერთი ბოლო სამყოფელი სოფელ ჯალრაში იყო, მივიდნენ იმ სახლში და მეპატრონის შვილს მიმართეს: „შე ზვიადისთვის თვალებიანოო, – ეზოს ათხრევიანებდნენ, – თქვენს სახლშია დამარხულიო, ეტყობაო, ახალგათხრილ მიწას გავს ესო, მანდარინის ხეივანი ჰქონდათ და თითქმის მთელი ეზო გადაათხრევენეს თურმე“ (ხათუნა დარასელია).

<sup>45</sup> ზვიად გამსახურდიას 1990 წელს გამოცემული ნაშრომი.

ხათუნა დარასელიას მოგონებები ასახავს ტრავმული მოვლენის ადამიანებზე ზემოქმედების თავისებურებებს: როგორ უეცრად არღვევს ის ცხოვრების რუტინას, რამდენად ექსტრემალური, შოკისმომგვრელი და საფრთხის შემცველია მისი გავლენით შექმნილი ახალი გარემო, რამდენად იკიდებს ფეხს ადამიანებში მოსალოდნელი ძალადობისა და სიკვდილის ყოველნუთიერი მოლოდინით გამონვეული შიში. ასევე ჩანს, რომ ტრავმული გარემო *მსხვერპლ ჯგუფში* ზრდის სოლიდარობასა და თანადგომას, ამყარებს მის იდენტობას *დამნაშავეის* პირისპირ. ამ პროცესში ზვიად გამსახურდიას ფიგურა იქცევა მათი იდენტობის ერთგვარ სიმბოლოდ და მთავარ საყრდენად.

რთულია სიტყვებით აღინეროს დოკუმენტურ ვიდეოკადრებში ასახული 1991-93 წლების სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომის ისტერია, ალტკინებული ფანატიზმი, ძალადობა და სისასტიკე.<sup>46</sup> ამ დროს დაწყებული საზოგადოების გაყოფა შეუთავსებელ და შეურიგებელ ჯგუფებად, თანმდევი უკიდურესობები და გადაულახავი სიძულვილი 90-იანი წლების ტრავმული გამოცდილების განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა. გარდა იმ სირთულეებისა, რომლებიც 90-იან წლებში საზიარო იყო საქართველოს მოსახლეობისათვის, სამეგრელოს მცხოვრებთა მდგომარეობას ამძიმებდა და უწყვეტად გასდევდა გამსახურდიას განდევნით მიყენებული ტრავმა, შემდეგ კი მისი მომხრეების დევნა და შევიწროება.

1992-93 წლებში სამოქალაქო დაპირისპირება სამეგრელოში და კონფლიქტი აფხაზეთში თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა. ბევრი ახალგაზრდა მოხალისედ წავიდა აფხაზეთში, საიდანაც დიდი ნაწილი არ დაბრუნებულა, ხოლო ვინც დაბრუნდა, მოგონებებით თან წამოიყოლა ომის საშინელება და კოშმარი. აფხაზეთის, მანამდე კი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და იქ განცდილი მარცხი კიდევ უფრო ამწვავებდა ტრავმულ გარემოს. ნანა ბაქრაძის მოგონებებში ჩანს, რამდენად მძიმე იყო მისთვის ამ რეალობასთან შეხება. ასევე ნიშანდობლივია, რომ მისი ალქმით, სწორედ 1993 წლის მინურულს, აფხაზეთის კონფლიქტისა და სამეგრელოში სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების შემდეგ, დაიწყო ყველაზე მძიმე პერიოდი 90-იანი წლების საქართველოში.

„აფხაზეთში დაიწყო ღელვა, ჯარი შევიდა და დაიწყო ომი აფხაზეთში. კარგად მახსოვს, სამსახურში მივდიოდი, შემხვდა ჩემი ერთი ჯგუფელი, ბევრად ჩვენზე უფროსი იყო. 11 საათი იყო, დილა და ძალიან ნასვამი იყო. [...] მე გამიკვირდა, როგორ, ასე დილიდან რამ დაგათრო და – ნანა, მეო, ხვალ, დილასო მივდივარ ომშიო, ასე მითხრა. ერთი კვირის მერე გავიგე, რომ მეორე დღესვე, როგორც კი ჩავიდა ეს ყმანვილი ფრონტის ხაზზე, ერთ საათში მოკლეს. [...] ძალიან საყვარელი მეგობრის სიკვდილმა, ასეთმა უეცარმა სიკვდილმა, განმაცდევინა აი ამ ომის მთელი საშინელება, ომის მთელი სიმწარე. ამ ომის მერე, რა თქმა უნდა, დაიკარგა აფხაზეთი, დაიკარგა ოსეთი და საშინელი პერიოდი დაგვეწყო უკვე საქართველოში“ (ნანა ბაქრაძე).

ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინალური მდგომარეობის და ძალადობით გამსჭვალული ყოფის ფონზე, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ალქმაში აფხაზეთის კონფლიქტი, თითქოს, სიმძაფრეს კარგავდა და ემოციებს მიღმა რჩებოდა:

<sup>46</sup> „ბოროტების ზეიმი საქართველოში 1991-93 წწ.“ YouTube, 13 თებერვალი, 2013, <https://bit.ly/3taMoY3> (ნანახია 12.03.2021).

„გულწრფელად უნდა აღვნიშნო, რომ როდესაც აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ შევიტყვე, დიდად უკვე, ალბათ, განცდაც არ მქონდა და აღქმა არ მქონდა, რა მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ჩვენი მეზობელიც წასული იყო ამ ომში, რამდენიმე მათგანი აღარც დაბრუნდა. ამ ომში მონაწილეობას იღებდა ჩემი მამიდაშვილიც და მისგანაც ძალიან ბევრი საზარელი ისტორია მაქვს მოსმენილი“ (თამარ მურუსიძე).

90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ტრავმული გამოცდილება შეიარაღებული ეთნოკონფლიქტების შედეგად ახალი სოციალური ჯგუფის ჩამოყალიბება იყო. ესენი იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები, ან „ლტოლვილები,“ როგორც მათ 90-იან წლებში მოიხსენიებდნენ. ასეულობით ათასი ეთნიკურად ქართველი მოქალაქე ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან, მათი სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის გამო, იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი. მათი განსახლება, ქვეყანაში არსებული ქაოსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არაორგანიზებულად მოხდა. დევნილებს სჯეროდათ, რომ მალე დაუბრუნდებოდნენ საკუთარ სახლებს; მათი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ნაწილი კი სასტუმროებში, სანატორიუმებში, სკოლებში, საავადმყოფოებსა და სხვა შენობებში განთავსდა, ნაწილმა კი ნათესავებს შეაფარა თავი.<sup>47</sup>

დევნილობის ტრავმული გამოცდილება რამდენიმე ასპექტს მოიცავს. უპირველესად, ის დაკავშირებულია ომით გამონვეულ დანაკარგთან: კონფლიქტმა შეინირა მათი ოჯახის წევრებისა და ახლობელი ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა; დევნილებმა დაკარგეს თავიანთი სახლები და ეს არ იყო მხოლოდ მატერიალური დანაკარგი. დროთა მანძილზე „უსახლობის განცდა“ დევნილთათვის მძიმე ემოციურ მდგომარეობად ჩამოყალიბდა.<sup>48</sup> „დევნილობა არის სიტუაცია, როდესაც ადამიანი მუდმივად ეძებ შენს ნავსაყუდელს, როდესაც ადამიანი მუდმივად ეძებ შენ სახლს, შენს გარემოს, ანუ ზუსტად განსაზღვრავს ეგ სიტყვა – დევნილობა, არ ხარ შინ, აი, ეგ არის,“ – აღნიშნა ერთ-ერთმა დევნილმა ინტერვიუში.<sup>49</sup>

დევნილებმა დაკარგეს ცხოვრების ეკონომიკური საფუძველი და, რაც ალბათ ყველაზე მტკივნეული იყო, ძველი სოციალური სტატუსი. ახალ ადგილზე, უმძიმეს საყოფაცხოვრებო პირობებში, მათ უდიდეს უმრავლესობას თავიდან, ფაქტობრივად არაფრიდან, მოუწია ახალი ცხოვრების დაწყება ქვეყანაში, რომელიც ეკონომიკურ კოლაფსს განიცდიდა. მიუხედავად დევნილობამდელი სოციალური სტატუსისა და განათლებისა, დევნილების დიდმა ნაწილმა გარე ვაჭრობას და „ადრინდელ სტატუსთან შეუფერებელ“ საქმეს მოჰკიდეს ხელი: „პედაგოგები, ექიმები და სხვები, ვინც ძალიან დიდი ენერჯია და შრომა ჩადეს თავიანთ განათლებასა და კარიერულ განვითარებაში, აი, სწორედ ის ადამიანები ბაზრებში დასხდნენ,“ – აღნიშნა ერთ-ერთმა დევნილმა.<sup>50</sup>

<sup>47</sup> ჭანკვეტაძე, ნათია და ელიკო ბენდელიანი. „გადარჩენიდან თვითდამკვიდრებამდე. დევნილი ქალები საქართველოში,“ *ქალები ომის დროს და ომის შემდეგ*, რედ. თამარ ცხადაძე (თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2020), გვ. 78.

<sup>48</sup> ევაძე, ქეთი. „უსახელო ადგილები,“ *16th element*, 3 თებერვალი, 2021, <https://bit.ly/3tdgHx7> (ნანახია 04.03.2021).

<sup>49</sup> ჭანკვეტაძე და ბენდელიანი, „გადარჩენიდან თვითდამკვიდრებამდე,“ გვ. 82.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 86-87.

თავდაპირველად ადგილობრივი მოსახლეობა თანაგრძნობით შეხვდა დევნილებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარებაც გაუწია მათ. თუმცა, დროსთან ერთად, დევნილები ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სტიგმატიზების, გულგრილობისა და აგრესიის მსხვერპლიც გახდნენ. დამხვედური მოსახლეობა მათ სხვა ჯგუფად აღიქვამდა, რომელთაც მათი კუთვნილი სამუშაო ადგილები დაიკავეს და ისედაც შეზღუდული რესურსების მოზიარენი გახდნენ.<sup>51</sup> ერთ-ერთმა დევნილმა აღნიშნა: „ეს ხალხი [...] დაგვხვდნენ, როგორც მასპინძლები და ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ჩვენს ამ თითქოს კეთროვანებას, რომ ჩვენ ადგილობრივები არ ვიყავით და ეს დღემდე ასეა.“<sup>52</sup>

დევნილებს მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება. მათი დიდი ნაწილის საცხოვრებელი გარემო წარმოადგენდა „ხის ფიცრებით შემოჯარულ შენობებს, ფანჯრებჩამტვრეულ ოთახებს, ლამინატაყრილ იატაკებს, ბათქაშჩამოცვენილ ჭერებს, ნესტიან და სოკოშეპარულ კედლებს, დაჟანგულ მილებს საპირფარეშოებში...“<sup>53</sup> ამგვარად, დამხვედურებში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მათი, როგორც მუდმივად რალაცის მომთხოვნი და გაჭირვებული ადამიანების სახე: „რა შეგეჭამეს ამ დევნილებმა,“ „ეს მეხაჭაპურე ლტოლვილები,“ „შეხედავდი და მიხვდებოდი, რომ დევნილი იყო. სულ შავი ფერის ტანსაცმელი ეცვათ და რალაცნაირად დაღლილი სახეები ჰქონდათ.“<sup>54</sup>

ფსიქოლოგ სალომე აჩბას აზრით, საქართველოში არა მხოლოდ დევნილები, არამედ ზოგადად საზოგადოებაა ტრავმირებული, რომელსაც, აქედან გამომდინარე, არ აღმოაჩნდა უნარი, დახმარებოდა და თანაგანცდა გასჩენოდა დევნილთა მიმართ და მათგან დისტანცირება არჩია.<sup>55</sup> ჩვენი აზრით, გარდა კომპლექსური ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მიზეზებისა, არის კიდევ ერთი – კულტურული ფაქტორი, რომელმაც საზოგადოებაში დევნილებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრის სირთულე განაპირობა. მათდამი არაერთგვაროვან დამოკიდებულებაში ჭარბობდა დაბნეულობა, გულგრილობა და აგრესიულობა, რის საბოლოო შედეგიც დისტანცირება იყო. 90-იან წლებამდე ქართულ სინამდვილეში არ არსებობდა გამოცდილება, რომელიც ჩამოაყალიბებდა მნიშვნელობათა ერთობლიობას დევნილობის, როგორც მოვლენის, როგორც მდგომარეობის აღსაწერად და გასააზრებლად, შექმნიდა მოდელს როგორც თავად დევნილების მიერ საკუთარი თავის, ასევე სხვების მიერ მათი იდენტობის განსაზღვრად; შესაძლებელს გახდიდა დევნილების მიერ საკუთარი იდენტობის რეპრეზენტაციის ფორმების მოძებნასა და სხვების მიერ მათდამი დამოკიდებულების განსაზღვრას. ამგვარად, 90-იან წლებში არ აღმოჩნდა კულტურული ნიმუში, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დევნილობისათვის მნიშვნელობის მინიჭებასა და, შესაბამისად, მის გააზრებას. სავარაუდოდ, ამით იყო განპირობებული ისიც, რომ წლები დასჭირდა ადამიანთა ამ ჯგუფის სახელდებაზე შეთანხმებას – „ლტოლვილი,“ „იძულებით გადაადგილებული პირი“ თუ „დევნილი“? მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ თავად დევნილებმა მოიკრიბეს ძალა

<sup>51</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>53</sup> ევამე, „უსახელო ადგილები.“

<sup>54</sup> ჭანკვეტაძე და ზენდელიანი, „გადარჩენიდან თვითდამკვიდრებამდე.“ გვ. 89-90.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 99.

იმისათვის, რომ თვალი გაესწორებინათ მტკივნეული გამოცდილებისათვის და ესაუბრათ მასზე, გაეაზრებინათ საკუთარი იდენტობის ეს მხარე, აეხსნათ და განესაზღვრათ, რას ნიშნავს *დეენილობა*, როგორც მოვლენა, მდგომარეობა და იდენტობა.<sup>56</sup> 90-იან წლებში კი ისედაც ფრაგმენტირებულ საზოგადოებაში კიდევ ერთი *ჩვენ* და *სხვა* ჯგუფი ჩამოყალიბდა, როგორც 90-იანი წლების ტრავმული გარემოს მნიშვნელოვანი ელემენტი.

### სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლა და განუკითხაობა

1991 წლის 8 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტმა გამსახურდიამ ისაუბრა მისი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ „სამხედრო ამბოხზე“ და გასაოცარი სიზუსტით ასახა მომავალი, რომელიც სამი თვის შემდეგ, 1992 წლის იანვარში, სამხედრო გადატრიალების შედეგად დადგა საქართველოში. სწორედ ეს არის ის რეალობა, რომელმაც განსაზღვრა 90-იანი წლების ტრავმული გარემო.

„ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს [...] საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, პირველ რიგში, თბილისში. [...] თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება – შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში და მისი ხელმძღვანელის ხელში. მათ შორის იქნება შეიარაღებული ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ზეგავლენისთვის, იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა. მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები. აღარ იარსებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათით მომარაგება მოსახლეობის, აღარ იარსებებს სამედიცინო მომსახურება. თბილისი შესაძლოა გადაიქცეს მკვდარ ქალაქად.“<sup>57</sup>

მართლაც, სამოქალაქო დაპირისპირებისა და აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად საქართველო ქაოსმა, ძალადობამ და განუკითხაობამ მოიცვა. მოსახლეობა, ფაქტობრივად, შეიარაღებული დაჯგუფებების ტერორის ქვეშ ცხოვრობდა. იმდროინდელი ბავშვების ყველაზე მძიმე ეპიზოდები სწორედ მზარდ კრიმინალურ გარემოსთან არის დაკავშირებული.

„ზვიად გამსახურდია უკვე დეენილობაშია და ჩვენ ახალი წლის გასატარებლად მივდივართ რაჭაში, ოჯახთან ერთად, და სწორედ იქ შევიტყვეთ ამბავი, რომ ზვიად გამსახურდია, სავარაუდოდ, მოკლეს. [...] მოდიოდა ხმები, რომ თბილისისკენ მიმავალი გზები, ან საერთოდ რეგიონებიდან ქალაქისკენ მიმავალი გზა კონტროლდებოდა შეიარაღებული ფორმირე-

<sup>56</sup> იხ. მაგ.: Epadze, Ketevan. “Searching for a Place: The Case of IDPS of Abkhazia,” *Analytical Bulletin “Armenian-Georgian Cooperation through Academia and Students’ Inclusion,”* no. 10 (Yerevan: 2017), p. 86-103; ესმა გუმბერძინის და რუსუდან ევაძის დიალოგი Berghof Foundation Caucasus Programme-ის ქართულ-აფხაზური დიალოგის ფარგლებში, 11 დეკემბერი, 2020, <https://bit.ly/34vw1Lf> (ნანახია 04.04.2021); გიორგი გვახარასა და ნიკო ნერგამის ინტერვიუ დემნა გვასალიასთან, *რადიო თავისუფლება*, 27 ივლისი, 2018, <https://bit.ly/3f8EI0a> (ნანახია 04.04.2021).

<sup>57</sup> „ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური პროგნოზი. 1991,“ *YouTube* (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3Fbz9Zs> (ნანახია 06.03.2021); გამოსვლის სრული ტექსტი იხ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 12 ოქტომბერი, 1991, N 198, გვ. 2.

ბების მიერ. [...] მთელი ოჯახი ჩავსხედით მამას მანქანაში და დავიძარით თბილისისკენ. [...] დიდი მანძილი ნამდვილად არ გაგვივლია, როდესაც გაგვაჩერეს შეიარაღებულმა ადამიანებმა. დაახლოებით 6-7 კაციანი ჯგუფი იყო ალბათ, [...] სამხედრო ფორმებში იყვნენ ჩაცმულები, მოშვებული წვერებით და აღჭურვილნი ყველანაირი იარაღით. მახსოვს, მაშინ პირველად დავინახე ეს უზარმაზარი ავტომატი თუ რალაც. გადაგვიდგნენ წინ, გააჩერეს მანქანა და, მახსოვს, პირდაპირ როგორ შემოყვეს ავტომატი ჩამონეულ ფანჯრებში, [...] მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ვისხედით მაშინ მანქანაში, არ მორიდებიან არაფერს, გაჩხრიკეს თავიდან ბოლომდე მანქანა, რამე იარაღი ხომ არ გვექონდა. მახსოვს [...] ჩემი ბავშვური განცდა, ძრწოლა, რასაც ჰქვია, შიში, რომ ხდება რალაც ძალიან ცუდი, ხდება რალაც საშინელება და ამას ბოლომდე შეიძლება ვერც იაზრებ, მაგრამ, რასაკვირველია, ძალიან მძიმედ აღვიქვი ეს ყველაფერი და შემდეგაც, ვფიქრობ, რომ მძიმედ აისახა ჩემს გრძნობებზე“ (თამარ მურუსიძე).

კრიმინალური ვითარების სიმძიმეზე ყველა გოგი წერეთელიც. იგი რამდენიმე შემთხვევას იხსენებს, რომლის მსგავსი ფაქტებიც ყოველდღიურ რეალობას წარმოადგენდა: „ჩემი სამსახურის მანქანით რომ მივდიოდი ტრასაზე, რამდენჯერ გავუჩერებია, ასე ვთქვათ, ამ [...] შეიარაღებულ ფორმირებებს. იმდენად უნამუსოდ იქცეოდნენ, რომ მანქანიდან გადმოსვლამდე, მაშინ „მოსკვიჩი“ მყავდა სამსახურის, სულ ამომინურავდნენ სანჯავს.“ ის იხსენებს ასევე, რომ „წარმოებაში ვინც მუშაობდა, მანქანას რომ გაგზავნიდნენ, ვთქვათ, სანჯავი მიჰქონდა, თუ იმას კაცს არ გააყოლებდი შენიანს, იმას იპარავდნენ, აბსოლუტურად ყველა იპარავდა, [...] ეს კატასტროფა იყო.“ იგი ასევე იხსენებს, თუ როგორ გაძარცვეს გზაზე მომავალი სურსათით დატვირთული მანქანა: „მთელი სოფელი თითქმის, ჩემი სანათესაოსი, ერთად წამოვიდნენ და მოჰქონდათ ნანჯალები ლობიო, ცოტა სიმინდი. რომ მოუახლოვდნენ გორს, გააჩერეს, ეს ხალხი ხომ ჩამოყარეს და გაძარცვეს მთლიანად მანქანა [...] და წავიდნენ, სასწაული პერიოდი იყო!“

სახელმწიფო ინსტიტუტები მოიშალა, კანონი და მისი სახელით მოქმედი სამართალდამცავი სტრუქტურები უძლური აღმოჩნდა მომძლავრებული კრიმინალური გარემოს წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი იმ კანონდარღვევების წინაშე, რომლებიც გავლენიანი წრეების წარმომადგენლების ან მათი მფარველობის ქვეშ მოქმედი პირების მიერ იყო ჩადენილი. ხშირად თავად გავლენის მქონე პირები წარმოადგენდნენ ამ სტრუქტურებს. მეტიც, კორუფციაში ჩაფლული სამართალდამცავი სტრუქტურები თავად აღმოჩნდნენ კანონის მიღმა და იქცნენ კრიმინალის ნაწილად. ასეთ ვითარებაში გაბატონდა ალტერნატიული, ქუჩის სამართალი, რომელიც სწორედ ამ ძალადობრივი, გავლენის მქონე ჯგუფების ლიდერების მიერ ხორციელდებოდა.

პეტრე მამრადე, რომელიც 1992 წელს, შევარდნაძის მთავრობაში, ვიცე-პრემიერის თანამემწე, ხოლო 1995 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის აპარატის უფროსი იყო, იხსენებს, რომ 1992 წლის იანვრის დასაწყისში ხელისუფლებასთან დაპირისპირებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა

„გაუღეს კარი ციხეებს და 8 ათასზე მეტი დამნაშავე გამოვიდა გარეთ. [...] მათ შორის, განსაკუთრებით საშიში სისხლის სამართლის დამნაშავეები. [...] ყველა მათგანმა აისხა იარაღი. [...] ამ ადამიანებს გაუჩნდათ გაცი-

ლებით მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, შეუდარებლად მეტი, ვიდრე პოლიციას, მაშინდელ მილიციას. მათ ჰქონდათ ჯავშნიანი მანქანები, ტყვიამფრქვევები, [...] ეგრეთ წოდებული 'მუხები' – ნალმსარტყორცნები. საკმარისი იყო პოლიციას [...] დაეკავებინა ვინმე, ესენი მიადგებოდნენ იმ პოლიციის განყოფილებას ამ ჯავშნიანი მანქანით, მიუშვერდნენ ამ მუხებს, [...] გამოჰყავდათ პოლიცია, აჩოქებდნენ. [...] სულ მალე მთლიანად წაართვეს იარაღი პოლიციას. მაკაროვიც კი აღარ ჰქონდა პოლიციას და საერთოდ აზრი იმას, რომ ვილაცა დააკავო და წესრიგისკენ გადადგა ნაბიჯი, ამას აზრი არ ჰქონდა არანაირი."<sup>58</sup>

პეტრე მამრადე აღნიშნავს იმასაც, რომ „ძველბიჭურ-ქურდულ-ნარკომანული მენტალიტეტის“ მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდათ ძალაუფლებაზე, ისინი იყვნენ პარლამენტის წევრები და საპარლამენტო დარბაზში მუშაობისას გადასცხებდნენ ხოლმე ერთმანეთს – „თქვენკენ ზონას ვინ აკონტროლებს?“<sup>59</sup> გოგი გვახარია იხსენებს აფხაზეთის და სამოქალაქო ომებგამოვლილ პარლამენტის თანამშრომელთა ზღვარგადასულ ქცევას თვითმფრინავით მგზავრობისას, როდესაც ისინი არ ემორჩილებოდნენ არანაირ სამგზავრო რეგულაციას და ამით ცდილობდნენ ნებისმიერი წესის წინაშე საკუთარი პრივილეგიულობისა და ძალის დემონსტრირებას: „ამათ [...] იომეს, მერე იქურდეს... ახლა 'პაეზდკაში' მიდიან. თუმცა არც ეს 'პაეზდკა' აკმაყოფილებთ – ძალიან უნდათ მოხიბლონ ხალხი, მოხიბლონ შიშით და ტერორით.“<sup>60</sup>

გურამ ტულუში (ძალოვანი უწყების თანამშრომელი, 75 წლის. ინტერვიუ ჩაწერილია 03.10.2020), რომელიც 90-იან წლებში ქუთაისში ჯერ სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი, ხოლო შემდეგ დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო, იხსენებს ფაქტებს, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტების სრულ მოშლაზე მიუთითებს; აჩვენებს ამ ინსტიტუტების წარმომადგენელთა არაკომპეტენტურობასა და არაადეკვატურობას; კორუფციით, ძალადობითა და კრიმინალით გამსჭვალულ ყველა სოციალურ სეგმენტსა და სახელმწიფო ინსტიტუტს. იგი საუბრობს ტრანზიციულ კოლაფსზე, – აბსურდულ და ქაოსურ ვითარებაზე.

„როდესაც უკვე თანდათან დაიწყო ეროვნული მოძრაობა და გაძლიერდა, არეულ პერიოდში ბევრი ითბობს ხელს, [...] ამ პერიოდში ისეთი ხალხი გამოჩნდება ხოლმე ზედაპირზე, არაფრის გამკეთებელი რომ არაა. [...] ყველაზე უფრო ადრე საერთოდ მედროვენი გამოჩნდნენ. [...] ამ პერიოდში, როდესაც დაიწყო უკვე ეროვნული მოძრაობა და საბჭოთა კავშირმა თანდათან დაიწყო უკვე შერყევა, ყველაზე აქტიურები იყვნენ ამ კატეგორიის ხალხი, რომლებიც არაფერს აკეთებდა. გამოვიდოდა ქუთაისში – 'გაუ! გაუ!' – და ეს იყო მაგათი [საქმე]... 'გაუ! გაუ! საქართველო!' [...] რომ არ ვარგოდა და ბევრი რამე შესაცვლელი იყო, ეს ფაქტია. მაგრამ როგორ უნდა შეცვალო, ეს არ არსებობდა. იყო უფრო მეტი სურვილი, და არა მარტო ეროვნულ მოძრაობაში, ხალხშიდაც.“

გურამ ტულუში სწორედ ამ გარდამტეხ პერიოდს უკავშირებს კრიმინალის ზრდას:

<sup>58</sup> გვახარია, გიორგი. გადაცემა „სამშობის ერა, ანუ უბნური ვენდეტა“, ციკლიდან „ანარეკლები“, რადიო თავისუფლება, 26 მარტი, 2019, <https://bit.ly/3zJhxmX> (ნანახია 10.02.2021).

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> გვახარია, ცრემლიანი სათვალე, გვ. 268-269.

„განსაკუთრებით ამ პერიოდს ემატება დამნაშავეთა სამყაროს ზრდა. მით უფრო, ცნობილია, რომ ყველაზე მეტი ქურდული და ქურდული ტრადიციების მატარებელი მოქალაქეები და კანონიერი ქურდები არიან ქუთაისში. ამ ქურდულ ტრადიციებს დაემთხვა უკვე ყაჩაღობები, მასიურად გაგუდვები. იმ პერიოდში მანქანას ნახევარი საათი ვერ დატოვებდი გარეთ, გაძარცვული დაგხვდებოდა. აღარაფერს გამბობ სახლებში შესვლაზე და ყაჩაღობებზე. [...] პრაქტიკულად არაფერი აღარ კეთდება ქვეყანაში, იმიტომ რომ ვინ ვის ეომება, ვინ ვის აყაჩაღებს, კაცმა არ იცის.“

მომდევნო ფრაგმენტი ცხადად აჩვენებს, რამდენად განუკითხაობით მოცულნი და აბსურდული იყო რეალობა, რომელშიც ადამიანებს უწევდათ ცხოვრება და მუშაობა ყველა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის მოშლის პირობებში:

„აფხაზეთში ომია დაწყებული და გამომავალს აეროდრომზე, რომ დახვდით, დაჭრილები ჩამოჰყავთო და საავადმყოფოებში რომ გადაიყვანო. მივედი, ვიცდი და არ მოდის არც თვითმფრინავი და გამოჩნდა მერე ვერტმფრენი და რაღაცა აქვს გამობმული. მოვიდა, დაჯდა და ამ ვერტმფრენზე იყო გამობმული როიალი. ‘მხედრიონმა’ დააყაჩაღა ალბათ ვიღაცა და წამოიღეს აქეთ. არც ერთი დაჭრილი არ ჩამოუყვანიათ. ასეთი ფაქტები, რამდენიც გინდა, იმდენი იყო. [...] წარმოიდგინეთ, რომ ასეთი პერიოდის დროს ქუთაისში შეიქმნა თავდაცვის შტაბი, რომელშიდაც, ძირითადად, დამნაშავეთა სამყარო იყო გაერთიანებული. დაერივნენ მასწავლებლებს, შევიდოდნენ კაბინეტში, გალახავდნენ, რომ შენ ასე თქვი, ისე თქვი და რა ვიცი, საშინელი რია-რია იყო“ (გურამ ტულუში).

გურამ ტულუში დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსად დაინიშნა იმ დროს, როდესაც, აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ, „ასპარეზზე გამოვიდა ყველაზე ძლიერი სამხედრო დაჯგუფება ‘მხედრიონი’,“ რომელიც „ძირითადად, ორგანიზებას უკეთებდა ყაჩაღობას.“ „‘მხედრიონში’ რა კატეგორიის ხალხი იყო – ძირითადად, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები, და გარკვეული ნაწილი, არცთუ ისე ცოტა, მოქალაქეები, რომლებსაც არც ‘მხედრიონთან’ ჰქონდათ კავშირი და არც არაფერი, მარა იმდენი ყაჩაღობა იყო და მკვლელობა, რომ ‘მხედრიონიდან’ რომ იყო, მხედრიონელი ვარო და თავის გადარჩენის ინსტინქტი იყო იქ, ვიდრე ‘მხედრიონის’ იდეების გაზიარება.“ ჩვენი რესპონდენტის დაქვემდებარებაში მყოფ სამმართველოს, რომელიც დაახლოებით ორმოც ფაქტობრივად შეუიარაღებელ თანამშრომელს ითვლიდა, არ ჰქონდა შენობა; იგი იხსენებს შემთხვევას, როდესაც პოლიციაში შევიდა შეტყობინება, რომ ავტომატებით და ხელყუმბარებით შეიარაღებულმა მხედრიონელებმა ლუდის ქარხანა დააყაჩაღეს, შემდეგ კი იქვე არსებულ სასადილოში ქეიფობდნენ. მათ წინააღმდეგ მხოლოდ პისტოლეტებით შეიარაღებული ტულუში და მისი მოადგილე გაემართნენ. მოქეიფე მხედრიონელებს იარაღი სასადილოს შესასვლელში ჰქონდათ დატოვებული და პოლიციელებმა მოახერხეს მათი აყვანა. გურამ ტულუში დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეატყობინა, რომ დამნაშავეები აყვანილი ჰყავდა და ელოდა ინსტრუქციას შესაბამის სტრუქტურაში მათი გადაყვანის შესახებ, თუმცა პასუხი სამინისტროდან იყო – „სადაც გინდა, იქ წაიყვანე.“ შესაბამისად, იგი იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა დაკავებული დამნაშა-



ვეები, დაებრუნებინა მათთვის იარაღი იმ პირობით, რომ ქუთაისის ფარგლებში ისინი აღარ იმოქმედებდნენ.

არც ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურს ჰქონდა შენობა და იარაღი: „35 კაციანი შტატი დამიმტკიცეს. ამ 35 კაცზე 5 პისტოლეტი მქონდა, [...] 2 ავტომატი, და ეს იყო მთლიანად“; „მომცეს ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო რომ იყო ქუთაისში, ძველი, ის შენობა. მივედი, ვნახე, არც სახურავი აქვს, არც კედლები, [...] ნანგრევები იყო. [...] დავრეკე სამინისტროში, მე ვუთხარი, რასაც მაძლევენ, იქ ნანგრევებია და სად შევიდე. რა ვიცი, მოძებნე შენ თვითონ შენობაო,“ – იხსენებს გურამ ტულუში, რომელიც ამ სამსახურის უფროსად დაინიშნა. მან ისევ საკუთარი ძალებით მოიპოვა შენობა სამსახურისათვის, ხოლო შეიარაღება უკანონოდ მფლობელთა მიერ ჩაბარებული იარაღით უზრუნველყო. ამ პოსტზე და ასევე სამტრედიის პოლიციის განყოფილების უფროსად მუშაობისას, როგორც თავად აღნიშნა, მან ამოიღო „ათასობით ხელყუმბარა, ასობით ავტომატი, მართული ხელყუმბარები, ვაზნები, [...] ზოგი ნაღმის განაღმვა არ შეიძლებოდა, თავისი სიცოცხლის ფასად, მენაღმებს ხელით მიჰქონდათ, გაჰქონდათ რიონზე და მერე აფეთქებდნენ.“

ქალაქის პოლიციის სამმართველოში მუშაობისას, გურამ ტულუშის დაქვემდებარებაში 1500 შეიარაღებული პოლიციის თანამშრომელი იყო, რომელთაგან ათასზე მეტს თითქმის მთელი წელიწადი ხელფასი არ ჰქონდა აღებული და „თვითონ იყვნენ ყაჩაღები, უმრავლეს შემთხვევაში.“

გეგუთის კოლონიაში, სადაც 1800 მსჯავრდებულზე მეტი იხდიდა სასჯელს, სრული განუკითხაობა სუფევდა, არ იკეტებოდა საკნები, არც საცხოვრებელი სახლები, იქ კრიმინალურ ავტორიტეტებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ შესვლა და „საქმის გარჩევა.“ სავალალო მდგომარეობაში იყო ქუთაისის ციხის ინფრასტრუქტურა და მსჯავრდებულთა კვებაც. მაგალითად, რვაასამდე პატიმარზე კვარტალში ერთხელ ციხე იღებდა ერთ ტომარა შაქარს, თუმცა მას და სხვა სურსათსაც ციხის თანამშრომლები ინაწილებდნენ. გარდა ამისა, არ არსებობდა არანაირი კონტროლი, პატიმრებს შეეძლოთ საკნებიდან გამოსვლა და გადაადგილება ციხის ტერიტორიაზე (გურამ ტულუში).

გურამ ტულუშის მონათხრობის მიხედვით, რთულია ზღვრის გავლება, ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენელთა და, მეორე მხრივ, შეიარაღებული კანონდამრღვევი დაჯგუფების წევრთა მოქმედების ფორმებს შორის. ცხადია, რომ კანონის მარეგულირებელი ფუნქცია ძალადაკარგული იყო. კანონდამცველთა მუშაობის ეფექტიანობა დამოკიდებული იყო არა სამართალდამცავი სისტემის გამართულ მუშაობაზე, არამედ მისი წარმომადგენლების პირად ინიციატივასა და, რაც, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი იყო, მათ კავშირებსა და რეპუტაციაზე კანონგარეშე წრეებში. ჩანს, რომ ხელისუფლება თავად შედიოდა გარიგებაში „მხდრიონთან“ და ამით ხელს უწყობდა დესოციალიზაციასა და დეინსტიტუციონალიზაციას.

სისტემის ძირეულ ცვლილებას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძვრებთან ერთად, მოჰყვა კრიმინალის უეცარი ტალღა, რამაც ორგანიზებული კრიმინალის ახალი ფორმა მიიღო და სამართალდამ-

ცვლელის უუნარობა გამოავლინა.<sup>61</sup> ასევე მოხდა საქართველოშიც ძალადობა და კანონგარეშე ქმედება დამკვიდრდა როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების და, ზოგადად, სოციალური ინტერაქციის ნაწილი. ძალადობრივი ანგარიშსწორება გახდა პრობლემების და პოლიტიკური უთანხმოებების გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. ძალადობამ გამსჭვალა სოციალური ატმოსფერო და იმ ადამიანების ცხოვრებაზეც იქონია გავლენა, რომლებიც დაპირისპირებული ჯგუფებისა და კრიმინალური სამყაროს ნაწილი არ იყვნენ. ძალადობა და სიკვდილი შეიჭრა ბავშვების ცხოვრებაში. მოსწავლეები შეესწრნენ გია გულუას<sup>62</sup> მკვლელობას, როდესაც ერთ დილას ჩვეულებრივ მიდიოდნენ სკოლაში. ამ მკვლელობის საქმე, ისევე როგორც მრავალი სხვა, არ გახსნილა. ბავშვის ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა უსაფრთხოებამ, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა პრიორიტეტმა, დაკარგა მნიშვნელობა ანგარიშსწორების, სისასტიკის და განუკითხაობის სამყაროში.

„რამდენიმე წუთი აკლდა სკოლის დაწყებას და ბავშვების საკმაოდ დიდი ჯგუფი მიდიოდა სკოლისკენ, ყველა ასაკის, დაწყებული მცირეწლოვნებიდან, ასევე ჩვენც, რომლებიც ვიყავით 13-14 წლის ალბათ მაგ პერიოდში. [...] არ მორიდებთან ბავშვებს შეიარაღებული პირები, დახვდნენ გია გულუას მანქანას და ბავშვების თვალწინ ატყდა სროლა ავტომატების, არ ვიცი რა იარაღები იყო. მე, უბრალოდ, მახსოვს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს დაეცალა, თუ არ ვცდები – არ ვიცი ქართულად რას ვეძახით – ‘აბო-იმა’ ეგრეთ წოდებული და დაუვარდა მიწაზე. ძალიან გულგრილად დაიხარა, აიღო ეს ნივთი ცარიელი და შეცვალა მეორე ნივთით, ანუ ძალიან ცივისს-ხლიანად მოქმედებდა ბავშვების თანდასწრებით. მაშინ თან ჩვენ ავტეხეთ წივილ-კივილი, ზოგი დაიმალა იქეთ ეზოში, ზოგი მიწაზე დაწვა, ზოგი ხეს მოეფარა... ეს ადამიანი ჩაცხრილეს ზუსტად ჩვენს თვალწინ. მე უბრალოდ მეყო იმისი ჭკუა, [...] ცნობისმოყვარეობა დამეძლია და არ დამეხედა გარდაცვლილი ადამიანისთვის, იმიტომ რომ მივხვდი, რომ ეს სურათი იქნებოდა ჩემთვის შოკისმომგვრელი. [...] მაგრამ მე ვიცი, რომ რამდენიმე ბავშვი თავდასხმის შემდეგ მიუახლოვდა მანქანას და ნახეს დაცხრილული ადამიანი, რომელსაც, თუ არ ვცდები, ძალიან ბევრი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და იმყოფებოდა რაღაც საზარელ მდგომარეობაში. [...] მახსოვს შემდეგ, როდესაც სკოლის შენობაში შევედით, [...] რამდენიმე ბავშვი [...] საშინელი, ისტერიკული ტირილით შემოვარდა კლასში, ველარ აწყნარებდნენ, იმიტომ რომ შეესწრნენ არა მხოლოდ მსგავს ფაქტს, არამედ იმას, რომ ნახეს [...] გარდაცვლილი ადამიანი. [...] შემდეგ ყვებოდნენ, როგორ ნახეს ჩაცხრილული ადამიანი და ამ ისტერიკულ ტირილში აღწერდნენ მის მდგომარეობას – ახლა არ მინდა უბრალოდ, რომ გავიმეორო – საზარელ ფაქტებს. მალე სკოლაშივე მოვიდნენ გამომძი. ებლები [...] არც გამოძიებულა დიდად და არც გახსნილა მგონი ეს საქმე, როგორც ალბათ ძალიან ბევრი სხვა საქმე ამ პერიოდში“ (თამარ მურუსიძე).

<sup>61</sup> Sztompka, “The Trauma of Social Change,” p. 174.

<sup>62</sup> გია გულუა (1956-1994) - გენერალ-მაიორი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

## „საძმოების ერა“ და დაუსჯელობის სინდრომი

სალომე ასათიანი ბლოგში „1990-იანები, რომელიც მუდამ ჩვენთანაა“ აღნიშნავს, რომ მისმა თაობამ ბავშვობა დაასრულა და სრულწლოვანებაში შეაბიჯა გარემოში, „რომელშიც არც ერთი უმთავრესი მორალური იმპერატივი აღარ მუშაობდა.“ ძალადობა და მკვლელობა, კორუფცია და დაუსჯელობა იმდენად ყოველდღიურ მოვლენებად იქცა, რომ მათი შემზარაობის გაცნობიერებას ადამიანები ვეღარ ახერხებდნენ; „პირიქით – ეს ყველაფერი მაჩოისტური რომანტიკის პერვერსიულ საბურველში იყო გახვეული.“<sup>63</sup>

„პირველი გვამი, რომელიც უშუალოდ, ახლოდან ვნახე, ჩემი ნაცნობი ბიჭის იყო. თავისი სახლის წინ მოკლეს მეზობელი უბნის ბიჭებმა. ‘მთელი აბოიმა ჩააცალესო,’ ჩურჩულებდა პანაშვიდებზე მოსული ხალხი. ‘აბოიმა’ რა იყო, კარგად არ მესმოდა, მაგრამ ამ ფრაზას მეც აცრემლებული ვიმეორებდი. [...] მერე მიჰყვა და მიჰყვა. კლასელი, პარალელურკლასელი, სკოლელი, მეზობელი ბიჭების მიერ ერთმანეთის უმონყალოდ ხოცვის ამბები ისე გახშირდა, რომ რაღაცნაირად საზარლად ჩვეულებრივი გახდა. გვწყინდა, განვიცდიდით, ვტიროდით – მაგრამ აღარ გვიკვირდა, თავზარს აღარ გვცემდა.“<sup>64</sup>

თამარ მურუსიძე აღწერს, როგორ იქცა მისი, როგორც მოზარდის წარმოდგენაში ძალადობით აღსავსე ყოველდღიურობა ერთგვარ ნორმად, ერთადერთ შესაძლებელ რეალობად და როგორ დაკარგა სიკვდილმა სიმძაფრე მის აღქმაში.

„თითქოს, ყოველდღიურობა გახდა ეს ყველაფერი,... ჩვენ გარეუბანში ვცხოვრობდით [...] და მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ ნაკლებად ჩავსულიყავით ცენტრში. გვესმოდა ისეთი ამბები, რომ მეზობლის ბიჭი, რომელიც ჩავიდა ქალაქში, 17-18 წლის, უკან აღარ დაბრუნდა, რადგან გაქურდეს, ან სისხლიან გარჩევას ემსხვერპლა, ან რომელიღაც შეიარაღებულმა დაჯგუფებამ უბრალოდ, ისე, გაუხსნა ცეცხლი, ყოვლად უმიზეზოდ. [...] 90-იან წლებში მსგავსი ფაქტები ძალიან ხშირი იყო. [...] თითქოს ეს გახდა ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი, თანმდევი ნაწილი და სხვა ტიპის ცხოვრება აღარც არსებობდა“ (თამარ მურუსიძე).

გარდა იმისა, რომ ძალადობა და მკვლელობა ყოველდღიურობის ნაწილად იქცა, ასევე ნორმად ჩამოყალიბდა დაუსჯელობა. აღარავის ჰქონდა მოლოდინი, რომ დანაშაულის ფაქტები გამოძიებული იქნებოდა და დამნაშავე კანონის წინაშე წარდგებოდა. სამართალდამცავ (და არა მხოლოდ) სტრუქტურებში გამეფებული კორუფციის პირობებში, გავლენიანი მფარველების წყალობით, დამნაშავეები თითქმის ყოველთვის იცილებდნენ თავიდან სასჯელს. კანონი, შეიძლება ითქვას, ფორმალურად არსებობდა. შედეგად, დაუსჯელობის სინდრომმა ფართოდ მოიკიდა ფეხი; როგორც აღვნიშნეთ, დამკვიდრდა ქუჩის სამართალი, რომელსაც კრიმინალური ავტორიტეტები ახორციელებდნენ. ასევე ჩვეული გახდა შურისძიების პრაქტიკა.

„ხშირად მკვლელის ვინაობაც ვიცოდით. გვესმოდა, რომ ის ‘პაბეგშია,’ მოკლულის მეგობრების შურისძიებას გაქცეული. ისეც ხდებოდა, რომ მკვლელად მიჩნეულ ბიჭს უცებ ძვირფასი უცხოური მანქანით მოსიერნეს

<sup>63</sup> ასათიანი, „1990-იანები, რომელიც მუდამ ჩვენთანაა.“

<sup>64</sup> იქვე.

დავინახავდით თბილისის ცენტრში. გავლენიანი მამების კონტაქტების და ფინანსების წყალობით ასეთ ბიჭებს პატიმრობა არ ემუქრებოდათ.“<sup>65</sup>

სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ, 1993-96 წლებში, საქართველოს დედაქალაქში „საძმობის ერა“ დაიწყო. საძმობებს ქალაქის უბნებში შექმნილ შეიარაღებულ ჯგუფებს უწოდებდნენ. მათ შორის დაპირისპირებას, „უბნურ ვენდეტას“ გოგი გვახარია „ფორმაშეცვლილ სამოქალაქო ომს“ უწოდებს, რომელმაც, როგორც ამბობენ, „უფრო მეტი ახალგაზრდა იმსხვერპლა, ვიდრე ომმა აფხაზეთში.“ „შურისძიება, ვენდეტა, ჩვეულებრივი ამბავი იყო. [...] ეს იყო ჩვენი ყოფის და ჩვენი ცხოვრების ნაწილი.“<sup>66</sup> სალომე ასათიანის სიტყვით, საძმობის დაპირისპირება „განსაკუთრებული მანკიერებით მაინც თბილისის ცენტრში წარმოჩინდა. იქ, სადაც აშკარა იყო პრივილეგირებული სტატუსიდან გამომდინარე დაუსჯელობა და უპასუხისმგებლობა. იმ უბნებში, რომლებიც ელიტარული ოჯახების შვილებმა და შვილიშვილებმა აღვირახსნილი ძალადობის სფეროდ და სხვადასხვა საძმოს თუ დაჯგუფების სათარეშო სივრცედ გადააქციეს.“<sup>67</sup>

ჟურნალისტი და მწერალი შორენა ლებანიძე 90-იანებში საძმოთა დაპირისპირებას აშუქებდა მედიაში. სწორედ მან უწოდა 90-იანი წლების თბილისის ძალადობრივ რეალობას „უბნური ვენდეტა.“ მისი აზრით, ეს რეალობა ლოგიკური შედეგი და გაგრძელება იყო 1991-92 წლების ზამთრიდან დაწყებული არეულობის და ქაოსისა, რომელიც 1996 წლამდე გაგრძელდა. შორენა ლებანიძე უბნის საძმობის ჩამოყალიბებას აფხაზეთის ომისა და დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას უკავშირებს: 25-30 წლის ომგამოვლილ, იარაღით, ნარკოტიკით და სამხედრო ნადავლით დაბრუნებულ ახალგაზრდებს თბილისში დახვდათ 16-17 წლის ბიჭები, რომლებისთვისაც ისინი სანიშნო გმირები იყვნენ. ამ ბიჭების თვალწინ გაიარა 90-იანების დასაწყისის ქაოსმა და სისხლისღვრამ. ეს ორი ჯგუფი, ერთი მხრივ, ნაომარი, ძირითადად მხედრიონელი ახალგაზრდები, მეორე მხრივ – მოზარდები, ერთ გუნდად შეიკრნენ და თბილისის სხვადასხვა უბნებში შექმნეს ურთერთდაპირისპირებული საძმოები. შემსრულებლები, ძირითადად, ეს მოზარდები იყვნენ. თავიდან ისინი ერთმანეთს უსწორდებოდნენ წვრილმანი, ყოფით ნიადაგზე წამოჭრილი კონფლიქტის გამო. დაპირისპირების მთავარი მიზეზი გავლენის სფეროებისა და იარაღის განაწილება იყო; საძმობებს შორის პირველი სისხლიანი შეტაკების მსხვერპლი, 18 წლის ბიჭი, შეენირა დავას იმის თაობაზე, თუ ვის უნდა ჰქონოდა ფრონტიდან ჩამოტანილი იარაღი. „იარაღი ძალა იყო,“ – აღნიშნავს შორენა ლებანიძე.<sup>68</sup> შემდეგ ეკონომიკური ინტერესებიც გაჩნდა – ვინ „გააკონტროლებდა ქუჩას,“ ვის ხელში აღმოჩნდებოდა რეკეტივით აღებული თანხა. შემდეგ მათ დაიწყეს შენობების, წარმოება-დანესებულებების პრივატიზება და წილის გაყოფაზე დავა, რის გამოც თვითონ საძმობებს შიგნით გაჩნდა დაპირისპირებები. იყო ასევე პოლიტიკური ინტერესები. პოლიტიკურმა ჯგუფებმა სცადეს ამ დაპირისპირებული საძმობის გამოყენება ერთმანეთის გასანადგურებლად. შორენა ლებანიძე იხსენებს, როგორ ხდებოდა „საქმის გარჩევა“ დაპირისპირებულ საძ-

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> გვახარია, „საძმობის ერა.“

<sup>67</sup> ასათიანი, „1990-იანები, რომელიც მუდამ ჩვენთანაა.“

<sup>68</sup> გვახარია, „საძმობის ერა.“

მოებს შორის: დაპირისპირების დროს მოკლულის ან დაჭრილის უბნელები, შურისძიების მიზნით, კლავდნენ მტრული საძმოს წარმომადგენელს, შემდეგ ისინი იძიებდნენ ხოლმე შურს და ასე იგებოდა „უბნური ვენდეტას“ ჯაჭვი. „პატარა ბიჭებმა ხოცეს ერთმანეთი, თავიანთი თანატოლები და თვითონაც შეენივნენ.“ „ერთ ეზოში, ეს იყო პავლოვის ქუჩის 29 ნომერში, რამდენიმე თვეში შვიდი ბიჭი გაასვენეს. ერთ დღეს მანქანაში ჩაცხრილეს ოთხი ბიჭი. [...] ისინი მანქანაში ისხდნენ და წითელი ბალიდან ბუჩქებში ჩასაფრებულმა შეიარაღებულმა პირებმა დაცხრილეს ერთ დღეს ეს ოთხი ბიჭი. ეს იყო საშინელი ტრაგედია, [...] თან ეს ბიჭები იყვნენ ბავშვები, სულ რაღაც 17-18 წლისები.“<sup>69</sup> საძმოს თავში იდგა კანონიერი ქურდი, ვინც „ალაგებდა სიტუაციას“ საძმობის შიდა ჯგუფებს შორის და ანაწილებდა გავლენის ზონებს. ზოგიერთი საძმოს სახელი ფიგურირებდა პოლიტიკოსების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტებში. „ცალკე ვერ განვიხილავთ საძმობის ომს ტერაქტებისაგან. ეს იყო ერთიანი პროცესი და ეს ყველაფერი ერთად იყო პოლიტიკა,“ – აღნიშნავს შორენა ლებანიძე.<sup>70</sup>

90-იანი წლების თბილისის ეს რეალობა ნანა ბაქრაძის მესხიერებაშიც მძიმედ აისახა:

„ყოველმხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავით. [...] საშინელი ბანდიტიზმი იყო. გავრცელდა ეს უკანონობა, კორუფცია, თარეშობდნენ ეს რაღაცა დაჯგუფებები, კულინარებიო, იოსებიძელებიო. ჩვენი სახლი პირდაპირ იოსებიძეს უყურებდა. წარმოიდგინეთ, რომ ყოველდღე, ყოველ შემთხვევაში - ყოველ მეორე დღეს, მოვარდებოდა ახალგაზრდა ბიჭების ჯგუფი, ატყდებოდა სროლა, ერთს მოკლავდნენ. გავიდოდა კიდევ ცოტა ხანი, კიდევ მოცვივდებოდა ჯგუფი, კიდევ ვიღაცა ახალგაზრდას კლავდნენ. ეს ენით აუნერგელი რაღაც [იყო], ამის ატანა, უბრალოდ, ნორმალური ფსიქიკის ადამიანისათვის ძალიან ძნელია, როცა უყურებ, რომ შენს მეზობელს, ყოველ მეორე, ყოველ მესამე დღეს, ახალგაზრდა ბიჭს კლავენ. ეტყობა აქედანაც მიდიოდნენ იქეთ და იყო აი ეს დავიდარაბა და მკვლელობა“ (ნანა ბაქრაძე).

90-იანების ძალადობრივი გარემო ბავშვების და მოზარდების ცხოვრებაზე თავისებურად აისახა. ეზოში, იგივე „ბირჟაზე“ შეკრებილი ბიჭების ერთ-ერთი პოპულარული თამაში იყო „ქურდი ზონაში“, რომლის დროსაც ბავშვები ციხის სცენას გაათამაშებდნენ ხოლმე. ერთ-ერთი მათგანი ციხეში ახალი შესული „ქურდი“ იყო, რომელიც იწყებდა თამაშს სიტყვებით: „სალამი ქურდებს! თქვენში პაპი რომელია?“ დამხვდური „პატიმრები“ „ქურდულ ბაზარში“ გამოცდიდნენ ახალშემოსულს. ის, ვინც „ქურდისათვის“ შეუფერებლად დაილაპარაკებდა ან მოიქცეოდა, წაგებულად ითვლებოდა და „სასჯელის“ სახით ცემას იმსახურებდა.<sup>71</sup>

რეალობა შორს არ იყო თამაშისაგან. ძალიან პოპულარული და რომანტიზებული იყვნენ ეგრეთ წოდებული „ძველი ბიჭები“, რომლებიც „ქუჩის“ წესებით ცხოვრობდნენ: „ერთი პერიოდი ძალიან მოდაში იყო ხელჯოხიანი ბიჭები. [...] გოგოებს ძალიან მოსწონდათ ასეთი ბიჭები. [...] რომც არ დასჭირებოდათ, მა-

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> ნიჟარაძე, გოგა. „ქურდული სამყაროს აჩრდილები: რატომ იზიდავთ მოზარდებს კრიმინალური ცხოვრება“, სპუტნიკი საქართველო, 13 თებერვალი, 2020, <https://bit.ly/3FcpAJF> (ნანახია 03.03.2021).

ინც ხანდახან ხელჯოხით დადიოდნენ იმიტომ, რომ ყველას ენახა, რომ ჩხუბში იყო, დაჭრეს“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

ძალადობრივი გარემო სხვაგვარ გავლენას ახდენდა გოგონების ცხოვრებაზე: „ძალით მოტაცება, გათხოვება, ორსულობა, შემდეგ ქმრისგან ცემა, გაშორება ან დაქვრივება ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი იყო. [...] არასრულწლოვან გოგონებს ერთმანეთის მიყოლებით ენგრეოდათ ცხოვრება.“<sup>72</sup> გოგონას ადრეულ ასაკში გათხოვება ერთგვარ ნორმად იქცა:

„ყველასგან მიღებული და გამართლებული იყო, თუ 14-15 წლისა გათხოვდებოდა გოგო, რადგან ‘პატრონს ჩაბარდა ბავშვი.’ [...] ჩემი იმდენი მეზობელი, [...] ნამდვილად კარგი გოგო გაყვა ასეთ გაუგებარ, გაუგებარი ცხოვრებით რომ ცხოვრობდა და ბანდის წვერი იყო და სულ რომ ვილაცასთან საქმის გარჩევები ჰქონდა, ისეთ ბიჭს. იმდენი გოგო გათხოვდა ჩემ ირგვლივ მაგ პერიოდში, თუნდაც ჩემი სამეზობლოდან, ჩემი სკოლიდან“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

90-იანი წლების მინურულს საძმოები აღარ არსებობდა: მათი ნაწილის ლიკვიდაცია სახელმწიფომ შეძლო, ნაწილმა ჩააბარა იარაღი, ხოლო „ყველაზე ტიპური მესამე ჯგუფი, უბრალოდ, აღარ იყო ცოცხალი – დაცხრილეს, დახვრიტეს, აწამეს.“<sup>73</sup> თუმცა სალომე ასათიანი მიიჩნევს, რომ ძალადობა, რომელიც უკვე ათწლეულებია საქართველოში „კოლექტიური ყოფის განუყოფელ ნაწილადაა ქცეული“, სწორედ 90-იანი წლების მემკვიდრეობაა, როდესაც „მკვლელობა ურბანული ყოველდღიურობის ნაწილი“ გახდა.<sup>74</sup>

როგორც ნანა ბაქრაძე ამბობს, ამ განუკითხაობის პერიოდის შემდეგ „თანდათან თითქოს ჩაწყნარდა ეს არეულობა, მაგრამ იმდენად გამეფებული იყო ამ ქვეყანაში ეს უკანონობა, კორუფცია, რომ უკვე ქვეყანას ქვეყანა აღარ ერქვა. [...] სამუშაოც თანდათან მიიღია და აღარც საქმე იყო. [...] მახსოვს, რომ ამბობდნენ, რომ 68 პროცენტით დავარდა ეკონომიკა. ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა 68 პროცენტით დაეცემა, წარმოიდგინეთ, რა ხდება მაშინ იმ ქვეყანაში.“

### ეკონომიკური კოლაფსი

სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეკონომიკური ვარდნა საქართველოში ყველაზე მწვავე იყო თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის. კატასტროფულად დაეცა აგრეთვე მოსახლეობის კეთილდღეობის დონე.<sup>75</sup>

ჯონსის აზრით, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში პირველ ეტაპზე ეკონომიკური კრაზი შეიძლება ბაზრების სწრაფი დაკარგვით, ეკონომიკური ტრანსფორმაციის მასშტაბებითა და მოძველებული ინფრასტრუქტურის საბოლოოდ მოშლით აიხსნას. ამ ფაქტორებთან ერთად, საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია მნიშვნელოვნად შეზღუდა მისმა დამოკიდებულებამ ვაჭრობაზე (1988-1990 წლებში მშპ-ის 43 პროცენტი) და ენერგომატარებლების იმპორტზე, გამანადგურ-

<sup>72</sup> ასათიანი, „1990-იანები, რომელიც მუდამ ჩვენთანაა.“

<sup>73</sup> გვახარია, „სამშობის ერა.“

<sup>74</sup> ასათიანი, „1990-იანები, რომელიც მუდამ ჩვენთანაა.“

<sup>75</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 254.

რებელმა ომებმა და შავი ბაზრის მასშტაბებმა.<sup>76</sup> 1990-1995 წლებში, რეალური მშპ-ის დაახლოებით 83 პროცენტის ვარდნა დაფიქსირდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 63 პროცენტით დაეცა, სამრეწველო წარმოების ჩავარდნამ 1990-1995 წლებში 85,9 პროცენტს მიაღწია.<sup>77</sup> 1991 წლისათვის საქართველოს ექსპორტის 67 პროცენტზე მეტი რუსეთში გადიოდა. 1990-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსი ამ საექსპორტო შემოსავლების დაკარგვას დაემთხვა. ცენტრიდანაც ერთბაშად შეწყდა ბიუჯეტის დაფინანსება.<sup>78</sup> ტრანსპორტიდან და ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი დაიკარგა; 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში 2.5 მილიონი ტურისტი სტუმრობდა, 1993-94 წლებში – არცერთი. ასევე იკლო რეგიონიდან შემოსავლებმა. აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ უარი თქვა ცენტრალურ ბიუჯეტში 4 მილიონი მანეთის შეტანაზე ყოველთვიურად.<sup>79</sup>

საბჭოთა სოციალური დაცვის სისტემის რღვევა მტკიცენული აღმოჩნდა მოსახლეობისთვის. 1990-იანი წლების თბილისის ქუჩები სავსე იყო იძულებით გადაადგილებული პირებით, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებითა და გაღატაკებული მოხუცებით, რომლებიც სახლიდან გამოტანილ ნივთების ყიდიდნენ.<sup>80</sup> გადარჩენა ახლობელ-ნათესავებზე, მეზობლებზე, არაოფიციალურ და არამონეტარულ შემოსავლებსა და ოჯახის ძველი ნივთების გაყიდვაზე იყო დამოკიდებული.<sup>81</sup>

1991-1994 წლებში რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები საქართველოში 68-ჯერ გაიზარდა; 100-ჯერ გაიზარდა პურის ფასი.<sup>82</sup> 1989 წელს მინიმალური ხელფასით 750 კვერცხის ყიდვა შეიძლებოდა, 1993 წლისათვის ამ ხელფასით მხოლოდ 1 კვერცხი მოდიოდა. ერთი თვის პენსია 9 კგ. პურის ფასს უტოლდებოდა. 1994 წლის სექტემბერში საშუალო ხელფასი 12 აშშ დოლარს ანუ 28 800 000 კუპონს უდრიდა. 1994 წლის ბოლოსთვის კი – ოფიციალური საარსებო მინიმუმის 1.2 პროცენტს. ელექტროენერჯისა და სათბობის შეწყვეტის გამო დაიხურა სკოლები და საავადმყოფოები. საბიუჯეტო ხარჯები სოციალური დაცვის, ჯანდაცვის და განათლების სფეროში საერთოდ გაქრა, რადგან მთავრობამ გადასახადების ამოღება ვერ მოახერხა.<sup>83</sup>

რუსეთის ინიციატივით შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში განწევრიანებაზე უარის გამო, რუსეთმა შეამცირა, 1993 წელს კი შეწყვიტა საქართველოსთვის კუთვნილი მანეთების გაცემა. შედეგად, ეროვნული ბანკის საცავებში მხოლოდ დახეული ფული და ხუთკაპიკიანები დარჩა.<sup>84</sup> 1993 წელს ხელისუფლებამ ფულის დროებითი ერთეული – კუპონი შემოიტანა, რომელმაც ძალიან მალე კატასტროფული ინფლაცია განიცადა. ქართული კუ-

<sup>76</sup> იქვე, გვ. 264-265.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 265.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 268.

<sup>82</sup> ზარქუა, აკა. „რა ხდებოდა 90-იანი წლების საქართველოში – ისტორია რიცხვებში,“ *On.ge*, 22 მაისი, 2019, <https://bit.ly/3Gf4GLg> (ნანახია 26.02.2021).

<sup>83</sup> ჯონსი, საქართველო. პოლიტიკური ისტორია, გვ. 267.

<sup>84</sup> ზარქუა, „რა ხდებოდა 90-იანი წლების საქართველოში.“

პონის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1993 წელს აშშ დოლართან მიმართებაში 5 060 კუპონს შეადგენდა, ხოლო 1994 წლის ბოლოსთვის – 2 400 000 კუპონს.<sup>85</sup> მოსახლეობისათვის კუპონით გადახდილი პენსია და ანაზღაურება, ფაქტობრივად, ფორმალური ხასიათისა იყო. ემოციურად მძიმე და, ამავე დროს, რთულად გასააზრებელი იყო 90-იანების ვითარება ხანდაზმული ადამიანებისათვის, რომლებიც აქტიურად აღარ მონაწილეობდნენ ყოფითი საკითხების მოგვარებაში; რთული იყო ასევე იმ ადამიანების მდგომარეობა, ვისაც დიდ ძალისხმევად უჯდებოდა მათი დაცვა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური სტრესისაგან:

„მახსოვს, რომ დაბეჭდეს გარდამავალი ვალუტა, კუპონები. და ეს კუპონები იყო ძალიან სასაცილო ფული, ძალიან. დედა ელოდა პენსიას კუპონებით, თუ არ ვცდები, 5000 და ტროლეიბუსის ბილეთი ღირდა 4000 მეგონი. [...] დედა როცა იღებდა პენსიას, მეუბნებოდა, რომ წადიო, ჩემი პენსიით ბავშვს რამე უყიდეო, და ამ ფულით საერთოდ ვერაფერს ვერ იყიდდი. მე მივდიოდი, თვითონ რაღაცას ვყიდულობდი ბავშვისთვის, მომქონდა. და მერე ერთ დღესაც ძალიან დავილაღე და ვუთხარი, დედა, კარგი რა, არაფერი არ მოდის ამ შენი პენსიით-მეთქი. ისე გამიბრაზდა და ისე ეწყინა, როგორ არა გრცხვენია, ნანაო, ათასები მაქვსო პენსიაო. ანუ ის თავის ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან განათლებული ქალი იყო, მაგრამ მაინც ვერ გებულობდა, რომ ათასი აბსოლუტურად ნოლის ფასი იყო“ (ნანა ბაქრაძე).

გოგი წერეთელი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამსახურები იღებდნენ ანაზღაურებას, მაგრამ ამას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა ეკონომიკური კოლაფსისა და საყოველთაო დეფიციტის პირობებში: „ამ პერიოდში, ბიუჯეტში ვინც ვიყავით, ხელფასები დანიშნული გვქონდა, მუშებსაც ვუხდით, მაგრამ ამ პერიოდში იყო ზუსტად, კუპონი რომ შემოვიდა. ელემენტარულად ეძლეოდათ ხელფასი [...] ასე ვთქვათ, სიმბოლურად“.

### „ზამთარი გადასატანია“

„90-იანი წლები არაა მხოლოდ პოლიტიკა და არც ის ნატურაა, რომელიც მყარად დამკვიდრდა ისტორიაში. 90-იანი წლები გარდასული ნატურაცაა, ცხოვრების ის სტილი, რომელიც გაქრა, რომლის სახეს მხოლოდ ფოტოგრაფიაში, ვიდეოკასეტებზე ვნახავთ, ამ სურათებში მთავარი უკვე არა იმდენად ძალადობაა, რამდენადაც საშინელი გაჭირვება, შიმშილი და სიცივე, რომელსაც დროდადრო იარაღის ხმა ახლავს თან.“<sup>86</sup>

90-იან წლებში გადაღებულ თბილისის ყოველდღიურობის ამსახველ დოკუმენტურ კადრებში თვალშისაცემია ეს უკიდურესი სიდუხჭირე, რომელმაც თბილისის ქალაქის იერი დაუკარგა: ეზოებსა და ქუჩებში სადილის მოსამზადებლად და გასათბობად სახელდახელოდ დანთებული კოცონები, კორპუსების ფანჯრებიდან გამოჩრილი შუშის ღუმელის მილები, ადამიანები, რომლებიც შეშასა და ნავთს იმარაგებენ ღუმელებისა და ნავთქურებისათვის, სავაჭრო ჯიხურები და პირდაპირ ქუჩაში გაშლილი დახლები, სადაც პურს და ზოგიერთ სხვა პროდუქტს ყიდიდნენ (მათი ნაწილი ჰუმანიტარული დახმარების სა-

<sup>85</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 267.

<sup>86</sup> გვახარია, „სამშობის ერა.“



ხით იყო მიღებული); ქუჩაში მომრავლებული სასონარკვეთილი ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც მონყალებას ითხოვენ და გაუფასურებული კუპონების დასტა უჭირავთ ხელში.<sup>87</sup>

2000-იანი წლების დასაწყისში გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „საქართველო – მე-20 საუკუნე. 1993“ აღნიშნულია, რომ ხალხის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა; ქვეყანა შიმშილისა და ეკონომიკური დეპრესიის წინაშე აღმოჩნდა.

„საოცრად მომრავლდნენ მათხოვრები და კიდევ ბაზრობები. ადამიანებს ხომ გასაყიდად სახლებიდან ყველაფერი გამოაქვთ, ოჯახური რელიკვიებიდან დაწყებული, წიგნებით დამთავრებული. [...] ქუჩაში გამოსული, მაშინვე შეამჩნევთ, რომ ერთბაშად გაჭალარავდა თბილისი, მოუბერდათ სახეზე კანი ჩვენს ჯერ კიდევ გუშინ ახალგაზრდა დედებს, ხალხს ჩაუშავდა თვალები, დანაცრისფრდა დედაქალაქი. ქალები ქუსლებზე, მამაკაცები კი ელეგანტურად სიარულს გადაეჩვივნენ, ნონაში დაკლება ახალგაზრდებისთვის მოდაა, შედარებით ხანში შესულთათვის – შიმშილი. შემცირდა და თითქმის აღარ გვხვდება საქორწინო მხიარული მაცრიონი, სამშობიარო სახლებიც თითქმის ცარიელია. [...] რიგებში დგომითა და საჭმელზე ფიქრით თენდება და ღამდება. სტუმრად მისვლა და სტუმრის მიღება უხერხულიც კი გახდა. ხალხი ერთმანეთის სულიდან ნაკითხვის ნაცვლად, სხეულიდან ნაკითხვას მიეჩვია, ბადურებიდან, ხელჩანთებიდან, სანოვავით დატვირთული პარკებიდან ნაკითხვას, ადამიანები თავანწულნი კი არა, ერთმანეთის ხელებზე მოთვალთვალენი დადიან, რადგან ესეც ინფორმაციის მიღების ერთგვარი მეთოდია, თუ სად რა იყიდე. უსინათლო და მშვიერი დღეების უზარმაზარმა რიგმა დააბეჩავა და გაათიალა ქართველი ერი. შეიარაღებული ბანდების თარეშს თვლა არ უჩანს, ყოველ ღამე ისვრიან, ყოველ ღამე ვიდაცას თავს ესხმიან და ძარცვავენ. [...] ენერგეტიკული კრიზისი უკვე ჩვეული ამბავია, გონებაშახვილნი ხუმრობენ კიდევ, ფუნქციონირის გადმოსახვიდან ღამე დანახული თბილისი საფლავს უფრო ნააგავს, ვიდრე დედაქალაქსო. სახლში ნათურის ანთებას ადამიანები ზოგან დღეები, ზოგან კი თვეები ელოდებიან და ამ ლოდინს ბევრი ვერ უძლებს, დეპრესია და ფსიქოზი მასიური მოვლენა გახდა.“<sup>88</sup>

1994 წლის დეკემბერში ფოტოხელოვანებმა და მხატვრებმა მოაწყვეს გამოფენა, სახელწოდებით „ზამთარი გადასატანია.“ გამოფენის სახელი უკავშირდებოდა ზამთრის მძიმე რეალობას, რომელიც დამანგრეველად მოქმედებდა ადამიანთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. „თუ არც საჭმელი გაქვს, არც სითბო და არც შუქი, მკვდარი ხარ, რა ხარ აბა? და მხოლოდ ფიქრი იყო ის ერთადერთი, რაც გვაგრძობინებდა, რომ ჯერ კიდევ ვცხოვრობდით. [...] ეს 'ავტორების გამოფენა' უფრო იყო, ვიდრე სურათების... თითქოს რაოდენობრივად ვითვლიდით – ახლა ამდენი ვართ და ვნახოთ, რამდენი დავრჩებით ზამთრის დასრულების შემდეგ... რამდენი შევძლებთ ზამთრის გამკლავებას და მივატანთ გაზაფხულამდე?“ – აღნიშნა გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა,

<sup>87</sup> „თბილისური 90-იანების დოკუმენტური მასალა,“ YouTube, 3 მაისი, 2015, <https://bit.ly/3rmzXWH> (ნანახია 03.03.2021).

<sup>88</sup> ყანდიაშვილი, კვა. დოკუმენტური ფილმი „საქართველო – მე-20 საუკუნე. 1993-1994 წლები,“ ტელეკომპანია „მასტრო,“ YouTube, 27 თებერვალი, 2020, <https://bit.ly/3tdTA5K> (ნანახია 03.03.2021).

გურამ ნიბახაშვილმა.<sup>89</sup> 90-იანებში ხშირად ხუმრობით ამბობდნენ: „გაზაფხულზე დავითვალოთ, რამდენი ვართ,“<sup>90</sup> თუმცა ეს ფრაზა მძიმე შეჭირვების პირისპირ მდგარი ადამიანების მტკივნეულ განცდას ასახავდა. თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ მხატვრები ოლეგ ტიმჩენკო და მამუკა ცეცხლაძე იხსენებენ, რომ ამ და სხვა მსგავს გამოფენებზე მოსული ადამიანები „ცოტა ხნით მაინც წყდებოდნენ მწარე რეალობას“ და „ნაცრისფერი ყოველდღიურობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ გზას ჩვენთან პოულობდნენ.“<sup>91</sup> გურამ ნიბახაშვილისათვის ზამთარი მძიმე გამოცდილების გამომხატველ ერთგვარ მეტაფორად იქცა. 2019 წელს მოენყო მისი ფოტოგამოფენა „ზამთარი გადატანილია,“ სადაც 90-იანების რეალობის ამსახველი ფოტოები იყო თავმოყრილი. ნიბახაშვილი ამ სათაურით საბჭოთა კავშირის დასასრულს გულისხმობდა, მისი თქმით, „ყველა ზამთარს თავისი არსი აქვს.“<sup>92</sup> იგი აღნიშნავს, რომ 90-იანებში გადაღებული ფოტოები „ასახავს იმ აბსურდულ მდგომარეობას, რომელიც მაშინ არსებობდა.“ „რომ მახსენდება, [...] ვფიქრობ, რომ ეს რომ კიდევ ერთხელ დატრიალდეს, შეიძლება, ვერც გაუძლოს კაცმა. უცნაური ის იყო, რომ ვერ ხვდებოდი... სულ გეგონა, რომ ეს ხვალ დამთავრდება, იმიტომ რომ ის ისე უცებ მოვიდა, რომ არ იყავი შეგუებული და ფიქრობდი, რომ გუშინნინ ხო იყო, გუშინნინდელი ხო გახსოვს, და ეს ხვალ მორჩება, ზეგ მორჩება, მაზეგ მორჩება... და კი გაინელა 10 წელი შუქის და სითბოს [...] გარეშე.“<sup>93</sup> მისი სიტყვები ნათლად აჩვენებს ტრავმული გამოცდილებისათვის დამახასიათებელ მდგომარეობას – ნორმიდან ამოვარდნის, დროში წყვეტილის, მოულოდნელობისა და დაუჯერებლობის განცდას.

მართლაც, უპირველესი მძიმე ასოციაცია, რაც 90-იანების თაობის ადამიანებს ამ პერიოდთან აქვთ – ზამთარია. ამ თაობის მეხსიერებას ყველაზე მტკივნეული დალი ბნელი, ცივი და თითქოს უსასრულო ზამთრების შეჭირვებულმა ყოფამ დაამჩნია. როგორც გიორგი გვახარია აღნიშნა, „როცა 90-იანმა წლებმა ჩაიარეს და ხალხს კითხეს, როგორ დაგამახსოვრდათ 90-იანი წლებიო, იცით როგორი იყო პასუხი? თითქმის არავინ გაიხსენა გაზაფხული და ზაფხული, ყველამ ცივი ზამთარი, გახეურა, უწყლობა, უგაზობა, პურზე რიგები გაიხსენა. გაზაფხული და ზაფხული არავინ გაიხსენა.“<sup>94</sup>

ელექტროკრიზისის გამო ხშირად კვირაობით გაგრძელებული უშუქობა ან, საუკეთესო შემთხვევაში, გრაფიკით მიწოდებული დენი, უგაზობა, ცხელი წყლის არარსებობა, გაყინული რადიატორები, რომლებიც მალე ჯართად იქცა, განსაკუთრებულად სტრესული ზამთრის პერიოდში იყო. დენის მოწოდება ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების ცენტრალური საკითხი გახდა. თბოსადგურებში დენის წარმოება 1950 წლის მაჩვენებელამდე შემცირდა. ბოლოს მხოლოდ ორი ენერგობლოკი მუშაობდა საქართველოში - მე-9 და მე-10 და ისინიც ხშირად ითიშებოდა.<sup>95</sup> „ეს მე-9 ბლოკი გაფუჭებულ პატეფონს გავდაო, ამბობდა

<sup>89</sup> ბელქანია, ქეთი. „ზამთარი გადასატანია“ – გამოფენა 90-იანების თბილისის ცხოვრებიდან, *Marketer*, დეკემბერი, 2019, <https://bit.ly/3JUaA6X> (ნანახია 09.02.2021).

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> ბელქანია, „ზამთარი გადასატანია.“

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> გვახარია, „სამშობის ერა.“

<sup>94</sup> გვახარია, „შუქი წავიდა...“

<sup>95</sup> იქვე.

ხალხი, ხან ჩაირთვება და ხან გამოირთვებაო. თუ ჩაირთო, ჩემს მტერს, შეიძლება ისე ცუდად ჩაირთოს, ყველაფერი გადაწვასო. იმხანად თბილისში მგონი ოჯახი არ დარჩა, ვისაც რომელიმე საოჯახო ელექტრონიკით არ გადაეწვა. მერე იყო ხელოსნების გამოძახება ანდა უბრალოდ ტელევიზორზე, მაცივარზე, უთოზე უარის თქმა, ხელოსნისათვის ფული ხომ უნდა გადაგხადა.“<sup>96</sup> 90-იან წლებში თბილისის ქუჩებში გამვლელთაგან აღებულ ინტერვიუებში რესპონდენტები, ზოგი იუმორნარევი, ზოგი უფრო მძიმე ემოციით, აღწერენ საკუთარ და თანამოქალაქეთა რეაქციას შუქის წასვლა-მოსვლასთან დაკავშირებით: „შუქი მოვიდაა! ედიკა პაპამ შუქი გამოგვიგზავნა!“ „შეძახილია, თითქოს ბურთი გავიდა კარში სტადიონზე, ‘დინამოს’ სტადიონზე, აი ასეთი შეძახილებია,“ „ჩემი პირადად ასეა: მოვა – მაინც ვაგინებ, ჩააქრობენ – მაინც ვაგინებ, იმიტომ რომ აღარა მაქვს ნერვები,“ „ამაზე დიდი ბედნიერება არ არის, შუქი რომ მოდის ხოლმე. ლიფტი მუშაობს, ტელევიზორი მუშაობს და ყველა გახარებული ვართ, ყველა კარგ ხასიათზე ვართ,“ „ისევე უხარიათ, როგორც თოვლის მოსვლა. სიხარული არის [...] სადაც შუქი არის, იქ ცხოვრებაც არისო.“<sup>97</sup>

ნანა ბაქრაძე იგონებს, რამდენად რთული იყო მისი ხანდაზმული დედისათვის გამუდმებული უშუქობის პირობებში ცხოვრება და თავად მისთვის – დედის მძიმე ემოციური მდგომარეობის ყურება:

„ძალიან დიდი გაჭირვება დაიწყო, საოცარი, არა საკვები, არა ტრანსპორტი, არა გათბობა, არა შუქი. დედა მყავდა უკვე ხნიერი მაგ დროისთვის და ვატყობდი, რომ ეს შუქის წასვლა და ეს უშუქობა უკვე მის ნერვებზე და მის ფსიქიკაზე ძალიან ძლიერად მოქმედებდა. სულ იმის შიში მქონდა, რომ არ დაწყებოდა რალაცა ეს ისტერიკის მაგვარი, როცა შუქი მიდიოდა. ესეც რალაცნაირი ძალიან დიდი განცდაა, რომ უყურებ შენს ახლობელს, რომელიც ასე იტანჯება და რის გამო, იმის გამო, რომ შუქი არა გვაქვს, სინათლის გამო არა გვაქვს გათბობა, გაზი და აი ეს ყველა ასეთი მომენტები ძალიან რთული იყო.“

ქვეყანაში ელექტროენერგია არათანაბრად მიეწოდებოდა რეგიონებს და დედაქალაქს, ასევე დედაქალაქის ცენტრალურ და პერიფერიულ უბნებს. ეს ერთგვარ სოციალური უთანასწორობის განცდას ბადებდა. „თბილისში გვქონდა პრივილეგიებული უბნები და ნაკლებად პრივილეგიებული. რეგიონებზე [...] არაფერს ვამბობ. ხალხი წყვდიადში ცხოვრობდა. მოგვიანებით ნაირა გელაშვილი იტყვის, კახეთში არის სოფლები, სადაც ბავშვები იზრდებიან უსინათლოდ და, მაგალითად, კინო არ იციან რა არისო. გენერატორი დავუდგით, ვიდეომაგნიტოფონი ჩავიტანეთ, ‘ცისფერი მთები’ ვუჩვენეთ და ბავშვებმა, უი, რა კარგი რამე ყოფილა კინოო.“<sup>98</sup>

ხშირად მოსახლეებს უკანონოდ გაჰყავდათ ელექტროენერგია საკუთარ სახლებში იმ სადენებიდან, სადაც უფრო ხშირად იყო ხოლმე დენი. გავრცელდა „დენის ქურდობა“: „ხშირად ამ გაყვანილი მავთულების გამო ხალხს აჯარმიმბდნენ და ტელევიზორში სიუჟეტებსაც კი ამზადებდნენ ჟურნალისტები იმაზე, თუ

<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> იქვე.

როგორ იპარავდა ხალხი დენს.<sup>99</sup> ხშირი იყო დახარჯული ელექტროენერჯის აღმრიცხველი ინკასატორების, რომელსაც „შოჩიკის კაცს“ უწოდებდნენ, მოსყიდვაც იმისათვის, რომ მათ არ გაემხილათ ასეთი კანონდარღვევა. ამბობდნენ იმასაც, თითქოს უშუქობა ადამიანებს შორის ურთიერთობის გააქტიურებას უწყობდა ხელს: „შუქი არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს სანთლის შუქი და ადამიანები უფრო კარგად ვეკონტაქტებით ერთმანეთს. ტელევიზორი არ გვიშლის ხელს, ბოლოს და ბოლოს. ამას ამბობდა ხალხი და რადიო სტუდიაში რეკავდა, სიმღერებს უკვებთავდა, რადიო ქართული კულტურული ცხოვრების მთავარი ატრიბუტია. თავად რადიოს სტუდიებშიც ითიშებოდა სინათლე, მაგრამ საქართველოში ყველამ იცოდა: დიჯეი ჩართავდა გენერატორს და გადაცემა გაგრძელდებოდა.“<sup>100</sup> საკუთარი თავის ასეთ ნუგეშისცემასთან ერთად, 1990-იანების ბოლოს ელექტროენერჯისთან დაკავშირებული პრობლემები და ამით გამონვეული „უსაზღვრო დებრესია, უსაზღვრო ფსიქოზი“ საზოგადოების გარკვეული ნაწილის ხელისუფლებისადმი დაპირისპირების საფუძველი გახდა.<sup>101</sup>

გათბობისთვის, საკვების მოსამზადებლად და განათებისათვის ენერჯის ალტერნატიული წყარო ნავთი იყო. ყველა ოჯახში არსებული სხვადასხვა სახის ნავთქურები დამატებითი დისკომფორტის წყაროს წარმოადგენდა. ხშირად 90-იანები ნავთის უსიამოვნო სუნთანაც ასოცირდება. ზამთრის შიში და მისი მოახლოებით გამონვეული სტრესი ძალიან ნათლად ჩანს ჩვენი რესპონდენტების მოგონებებში:

„მახსოვს, რომ გადაბმულად რამდენიმე დღე [...] არც გაზი იყო, არც შუქი და არც წყალი. მახსოვს მომენტი, როცა პირველად მოხდა ასე, და ის საშინელი შეგრძნება, თან ზამთარი იყო, თან რომ გცივია, თან რომ დასაბანი ხარ, თან რომ გშია და თან რომ ლოგინი არის ძალიან, ძალიან ცივი. პო, 90-იანები კომშარად მახსოვს იმიტომ, რომ ციოდა, ციოდა, ძალიან ციოდა, მთელი ეს პერიოდი ძალიან ციოდა ზამთარში. ზაფხულიც კი იყო ამ 90-იანებში, მაგრამ 90-იანებს რომ ვიხსენებ, მახსენდება ის, რომ მუდმივად მციოდა, სულ მციოდა. [...] პირველად რომ დადგა 90-ანების ზამთარი, მაშინ არ ვიცოდი, რის მოლოდინი უნდა მქონოდა და როგორი იქნებოდა. ამიტომ პირველი ზამთარი შედარებით იოლი გასაძღები აღმოჩნდა. [...] შემდეგ წელს, შემოდგომაზე კი [...] მახსოვს, როგორ შემეკუმშა გული. მგონი, შემოდგომა სწორედ ამ მომენტის მერე აღარ მიყვარს: როდესაც მივხვდი, რომ დამთავრდა ზაფხული და ახლა უნდა ვემზადო იმისთვის, რომ ზამთარი მოვა, ძალიან საშინელი“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

„ის მახსოვს მძაფრად, რომ სკოლაში გათბობა არ არის და საკლასო ოთახში ვსხედვართ ყველაფრით – ქურთუკებით, პალტოებით, ყველაზე თბილი ტანსაცმელი, რაც გვაქვს. [...] აღარ იყო ელექტროენერჯია და, როგორც დანარჩენ თბილისს, გარკვეული პრივილეგირებული ფენების გარდა, რომლებსაც ჰქონდათ გენერატორი, გვქონდა ნავთქურა და ამ ნავთქურაზე მომზადებული კერძები, ნავთქურაზე გამთბარი წყალი საბანაოდ, შესაბამისად, ნავთის სუნი ყველგან – თმაში, ტანსაცმელზე, საწოლშიც კი... გახსენებაც რომ არ გინდა“ (თამარ მურუსიძე).

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> იქვე.

## პროდუქტი

ოჯახების უმრავლესობის წინაშე განსაკუთრებით მწვავედ იდგა სურსათით უზრუნველყოფის საკითხი. ეს პრობლემა რამდენადმე მსუბუქი იყო მათთვის, ვინც სოფლად ცხოვრობდა, თავად შეეძლო სურსათის გარკვეული მარაგის შექმნა თავისთვის და, გარკვეულწილად, ქალაქში მცხოვრები ნათესავების უზრუნველყოფაც. ქალაქის მაცხოვრებელთა ნაწილმა, რომელთაც აგარაკები, მიწის ნაკვეთები ან სოფელში სახლი ჰქონდათ, ხელი მიჰყო მიწის დამუშავებას, რადგან მიღებული მოსავალი მნიშვნელოვნად უმსუბუქებდათ პროდუქტის შოვნის პრობლემას. მაგრამ ქალაქის მოსახლეობის ნაწილს არ ჰქონდა მსგავსი შესაძლებლობა.

„მახსოვს, რომ ერთხელ არ გვექონდა საჭმელი სახლში, საერთოდ არაფერი: გვექონდა მარტო ხახვის ორი თავი, მეზობელს ჰქონდა კვერცხის ფხვნილი და ზეთი. ჩამოვიდა ის მეზობელი თავისი კვერცხის ფხვნილით და ზეთით. დავეჭერთ ჩვენ ეს ხახვი, მოვხრაკეთ, შევწვით ეს საშინელი კვერცხის ფხვნილი და შევჭამეთ. აი ასე, იმიტომ რომ სხვა მეტი ფიზიკურად არაფერი იყო საჭმელი. [...] თუ იყო საჭმელი, უნდა გეტყვამა აუცილებლად, იმიტომ რომ იმ მომენტში თუ არ შეჭამდი, მერე ველარ შეჭამდი, იმიტომ რომ მერე შეიძლება ფიზიკურად აღარ ყოფილიყო“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

„მახსოვს, რომ მაგ პერიოდში, ჩვენ ადრე ვიყიდეთ მიწა სოფელში, პატარა სახლით და უკვე იძულებული გავხდით, რომ ეს ნაკვეთი დაგვემუშავებინა, რომ რალაცნაირად ლუკმა-პური გვეშოვა, ჩვენ პრაქტიკულად ვერ ვყიდულობდით ვერაფერს. და მართლაც, ვამუშავებდით ნლები მიწას, მოგვყავდა მოსავალი, [...] გაგავსებდით ხოლმე შემოდგომაზე სარდაფს პროდუქტებით, ჩვენი მოწეული მოსავლით და რალაცნაირად გაგვექონდა ეს პერიოდი“ (ნანა ბაქრაძე).

პროდუქტთან დაკავშირებული სირთულეები განპირობებული იყო არა მხოლოდ ფინანსური პრობლემებით, არამედ დეფიციტით, რომელიც 1980-იანი წლების მიწურულიდან იყო ქვეყანაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ეყიდათ საკვები, ამას ვერ ახერხებდნენ, იმიტომ რომ ის, უბრალოდ, არ იყო. ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტურ კადრებში ნაჩვენებია ცარიელი დახლები და პროდუქტის უზარმაზარ რიგებში საათობით მდგომი ხალხი.<sup>102</sup>

ნანა ბაქრაძის მიერ მოთხრობილი ფაქტი მიუთითებს იმაზეც, თუ როგორ განაპირობა მორალური კრიზისი ყოფის უკიდურესმა სიმძიმემ.

„მე პირადად ამ პერიოდისთვის დიდი მატერიალური გაჭირვება არ მქონია. [...] ვმუშაობდი ისეთ ადგილებში, სადაც ხელფასი მქონდა, მაგრამ ჩემ გარშემო ხალხს საშინლად უჭირდა. და, გარდა ამისა, რომც გქონოდა მატერიალური საშუალება იმისა, რომ რამე გეყიდა, უბრალოდ არაფერი არ იყო. პრაქტიკულად არ იყო საკვები, არ იყო არაფერი. [...] და მერე გადავედით ტალონებზე, ძალიან კარგად მახსოვს, და სამსახურში გვირიგებდნენ ტალონებს, კარაქის ტალონი, ყველის ტალონი, პურის ტალონი. მახსოვს,

<sup>102</sup> „გაჭირვებული საქართველო, 1991 წელი“, საქართველოს ეროვნული არქივის მასალა, YouTube, 14 მარტი, 2019, <https://bit.ly/34rcLhU> (ნანახია 21.03.2021).

ერთხელ დაგვირიგეს ტალონები და შემოვიტანე ოთახში სამსახურში და ჩავდე უჯრაში. ერთ საათში რომ მოვბრუნდი, ტალონები არ დამხვდა, ანუ ვილაცამ მომპარა. ეს ჩემთვის იყო ისეთი ტრაგედია, რომ მე არ შემეძლო ბავშვისთვის მიმეტანა კარაქი, იმიტომ რომ სხვა გზა არ იყო, სხვანაირად ვერ იშოვიდი.“

ვფიქრობთ, ძალიან საგულისხმოა კიდევ ერთი ეპიზოდი ნანა ბაქრაძის მონათხრობიდან:

„ერთი სასაცილო ფაქტი მოხდა, ამას ვიხსენებ, ვყვები და ჩემი შვილიშვილები არც მიჯერებენ, რომ შეიძლება ასეთი რაღაცა მომხდარიყო. ტალონით ვიყიდე კარაქის ორი შეფუთვა, ორას გრამიანები. პარკში მედო და ვბრუნდებოდი სახლში. როცა სახლს მოვუახლოვდი, უეცრად მომვარდა ძაღლი, ერთ ამ შეფუთვის დაავლო პირი და წამართვა ამ პარკიდან კარაქი. არ გაიქცა, სხვათა შორის, პირში ედო ეს კარაქი და თვალელებში მიყურებდა, ეტყობა ისიც მიხვდა, რომ საშინელება ჩაიდინა. მე იმდენად გავმწარდი, წამსკდა საშინელი ტირილი. ვდგავარ და ვქვითინებ. ვილაცა კაცმა გამოიარა და მითხრა, ქალბატონო, რა ხდება, რამე ხომ არ გიჭირთო და მე ვუთხარი, არა, ძაღლმა კარაქი მომტაცა-თქო და მერე ორივეს გაგვეცინა. ანუ იმ დონეზე ვიყავით გაჭირვებული, რომ აი ეს ერთი შეფუთვა კარაქი სიცოცხლის ფასად მიღირდა“ (ნანა ბაქრაძე).

ეს შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რამდენად სასწრაფო იყო მდგომარეობა იმ ადამიანებისათვის, ვისაც ოჯახის უზრუნველყოფა მძიმე ტვირთად აწვეებოდა. მხატვრული ფილმის ეპიზოდის მსგავსი სცენა წლების შემდეგ, შესაძლოა, მართლაც სიცილის მომგვრელია, მაგრამ 90-იანების კონტექსტში ის ადამიანებს აგრძნობინებდა საკუთარი ყოფის აბსურდამდე მისულ სიმძიმეს, რის გაცნობიერებაც, ალბათ, არანაკლებ მძიმე უნდა ყოფილიყო.

შეიძლება ითქვას, რომ საკვები წარმოადგენდა ოჯახების უმრავლესობის მთავარ საზრუნავს. ზოგადად, ადამიანთა უდიდესი ნაწილის ცხოვრება შემოიფარგლებოდა პირველადი, ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაზე ფიქრით.

„ჩემთვის პირადად და ჩემს ოჯახში არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. ეს იყო ყოველდღიური ბრძოლა არსებობისათვის და ყოველდღიური ბრძოლა იმისთვის, რომ, უბრალოდ, გვექონოდა საჭმელი, გვექონოდა პური, ვყოფილიყავით თბილად. [...] არც ის არ მახსენდება, რომ მეგობრებთან ხშირად სათამაშოდ დავდიოდით ან ბავშვები ცხოვრებას ვიხალისებდით. არა, მსგავსი არაფერი“ (თამარ მურუსიძე).

გოგი წერეთელი ასევე იხსენებს საკვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჩანს, რომ მისთვის, ისევე როგორც სხვა რესპონდენტებისათვის, განვლილი წლების მიუხედავად, 90-იანების მწვავე მოგონებები სწორედ ამ სირთულეებთან არის დაკავშირებული: „ძალიან ძნელია ახლა, ამ გადასახედიდან რომ უყურებ, მაგრამ მართლა რას გაუძლო ხალხმა, [...] პროდუქტების მომარაგება იყო კატასტროფული და ფაქტიურად შიმშილობა იყო, [...] მართლაც რომ სანატრელი იყო ყველაფერი.“

დოკუმენტური ვიდეოკადრები ასახავენ ადამიანებს, რომლებიც ამ სიდუხჭირესა და უსასოო მდგომარეობაზე ლაპარაკობენ; რუსთაველის გამზირზე,

პარლამენტის შენობის წინ აქციაზე გამოსულ ხალს, რომლებსაც უჭირავთ პლაკატები წარწერით „გვერდი“ და იგივე შეძახილებით ცდილობენ გააგებინონ ხელისუფლებას თავისი მძიმე მდგომარეობა. ღამის სიბნელეში პურის გრძელ რიგებს, სადაც საათობით მდგომი ადამიანები ცდილობდნენ, ოჯახები ამ პირველადი საჭიროების პროდუქტით უზრუნველყნოთ.<sup>103</sup>

პურის რიგები 90-იანელების თაობის ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი მოგონებაა. მას შემდეგ, რაც 1994 წელს საქართველოს ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყდა, პური დენზე ცხვებოდა არასაკმარისი რაოდენობით. ხალხი პურის რიგს გამთენიისას იკავებდა, მაგრამ ხშირად სახლში ნაჩხუბარი და ხელცარიელი ბრუნდებოდა. სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ მთავრობამ 1993 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად, პურის ბარათები შემოიღო იმ მიზნით, რომ პურის რიგები შეემცირებინა.<sup>104</sup> არსებული სასურსათო დეფიციტის პირობებში კი მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის პური რაციონის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა.

რუსუდან თაბუკაშვილისათვის, რომელიც 90-იან წლებში მოზარდი იყო, პურის რიგები თანატოლებთან ერთად გართობასთან ასოცირდებოდა: „ეს პურის რიგში დგომა, სხვათა შორის, [...] იყო ძალიან სასიამოვნო, იმიტომ რომ ბავშვები ერთად მივდიოდით ხოლმე და გართობის სახე ჰქონდა ამ ყველაფერს.“ თუმცა, ბავშვობისა და მოზარდობის მოგონებები არაერთგვაროვანია. ფეისბუქის ერთ-ერთი მომხმარებელი იხსენებს თავის ამაღელვებელ გამოცდილებას:

„პურთან დაკავშირებით არაერთი ცუდი მომენტი მახსენდება... [...] პირველი: მახსოვს, მეზობლის თავხედი ბიჭი ჩემს დას (ასე 8-9 წლის ასაკში იქნებოდა) [...] დაენია [...] და სულ წიხლები ურტყა, მაგრამ პური ვერ გამოგდებინა ხელიდან. [თავად] დაეზარა რიგში დგომა. ჩემი და დაეცა იქვე ლამში პურიანად და ასე იცავდა პურს. მე, იქვე მდგომი 4 წლის ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ ვყვიროდი, ვერ დავეხმარე ფიზიკურად. სამაგიეროდ, მივიქციე ყურადღება და საშველად გამოიქცა სხვა ბიჭი. [...] მოვიტანეთ ეს ლამიანი პური სახლში. ჩემმა დამ არაფერი არ უთხრა დედაჩემს, არც მე. დაიბრალა რაღაც და სხვა ისტორია მოიფიქრა პურთან დაკავშირებით. [...] მეორე: რიგში იდგა დედაჩემი ღამე და მე მივდიოდი სკოლაში წასვლამდე პურის წამოსაღებად. [...] ვიყავი პირველკლასელი. ეხლა რომ ვიხსენებ, შოკში ვვარდები. არავინ, არავინ, მიუხედავად ჩემი ასაკისა, არავინ მინდობდა... რიგში მჭყლეტდნენ, [...] ასეთი გამწარებული იყვნენ იმ პერიოდის ადამიანები... ან თუ შეიძლება ადამიანების კატეგორიაში რომ მოვიხსენიოთ. ერთადერთხელ დამიცვა ერთმა ბიჭმა, უკვე ვიხრჩობოდი ფაქტიურად, ისე მჭყლეტდნენ ეს უფროსი ადამიანები. [...] და ერთი მახსოვს ცოტა რომანტიული. ბიჭი, რომელსაც მოვწონდი, სახლში იპარავდა მთლიან ან ნახევარ პურს, სუნამოს ასხამდა და მჩუქნიდა. მეც მორიდებულად ვუყურებდი და ვჭამდი, ვუყურებდი და ვჭამდი.“<sup>105</sup>

<sup>103</sup> „პურის რიგები თბილისში (90-იანი წლები),“ *YouTube*, 4 მაისი, 2018, <https://bit.ly/3JsqLlv> (ნანახია 12.03.2021).

<sup>104</sup> ჯონსი, *საქართველო. პოლიტიკური ისტორია*, გვ. 267.

<sup>105</sup> A. A.-ს კომენტარი ფეისბუქის გვერდის „თბილისი იყო ურთიერთობა“ პოსტზე, 24 მარტი, 2021, <https://bit.ly/3JWxsCL> (ნანახია 25.03.2021).

ბრძოლა პურის მოსაპოვებლად ასევე მძიმე ყოველდღიურობას წარმოადგენდა შედარებით ხანდაზმული ადამიანებისათვისაც, რაზეც ნანა ბაქრაძის მონათხრობი მიუთითებს:

„პური არ იშოვებოდა პრაქტიკულად. მე მახსოვს, ჩემები დგებოდნენ ასე ღამის 2-3 საათზე რიგში იმისთვის, რომ დილისთვის, როდესაც პური მოდიოდა, პური რგებოდათ. ელემენტარულად – ორი ან სამი, ისიც თვლით იყო. [...] მამას ახალი გაკეთებული ოპერაცია ჰქონდა, დიდი ჭრილობა მუცლის არეში და ერთ მშვენიერ დღეს მოვედი სახლში, მთელი სახლი გასისხლიანებული იყო და ბინტები ეყარა. არავინ სახლში არ იყო, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, შიშისგან გული გამისკდა. თურმე, პურის რიგში ისე მიუსრესიათ რკინის ჯებირზე, რომ ეს ჭრილობა გაეხსნა. ძლივს მოიყვანეს სახლში, საავადმყოფოში წაიყვანეს. საავადმყოფოებიც ისეთ დღეში იყო, საშინელში. და აი ასეთი საშინელი ტრაგედიები ხდებოდა“ (ნანა ბაქრაძე).

დოკუმენტურ კადრებში ხშირად ჩანს ქუჩაში, სახელდახელო დახლებზე გასაყიდად გამოტანილი პური. ზოგი ახერხებდა დიდი რაოდენობის პურის აღებას და შემდეგ ბაზრებში და ქუჩებში მისი გაყიდვით გარკვეულ შემოსავალს ღებულობდა. შემდგომში, როდესაც პური შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი იყო, გადამყიდველებს ქარხნებიდან გამოჰქონდათ პური და სხვადასხვა ადგილებსა და ჯიხურებში ყიდიდნენ მას.

პოსტკომუნისტური ტრანზიციის სიდუხჭირესთან გამკლავების და ეკონომიკური კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად შტომპკას გააქტიურებული მცირე საცალო ვაჭრობა და სპონტანურად შექმნილი ბაზრობების გაჩენა მიაჩნია.<sup>106</sup> ასე იყო საქართველოშიც. ქალაქების ქუჩებში მომრავლდა პატარა სავაჭრო ჯიხურები, დახლები გაჩნდა მეტროს სადგურებთან და სხვა ხალხმრავალ ადგილებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის საქმიანობა ადამიანების გარკვეული ნაწილისათვის უკიდურესი ნაბიჯი იყო, რომელიც აზიანებდა მათ რეპუტაციას და თვითშეფასებას, რადგან ქართულ კულტურულ კონტექსტში ვაჭრობა, გადამყიდველობა ერთგვარად აკნინებდა სოციალურ პრესტიჟს.

### ტრანსპორტი

1994 წლის ერთ-ერთი ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემებს ეხებოდა. ავტორი აღნიშნავდა, რომ სატრანსპორტო კომპანია „თბილტრანსის“ მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა იმ დროისათვის 56 პროცენტით იყო შემცირებული. ამას განაპირობებდა ენერგომატარებლების გაძვირება, მათ მიწოდებაში შექმნილი სირთულეები და ის, რომ მოძრავი შემადგენლობის პარკის დიდი ნაწილი გაძარცვული, განადგურებული ან გაყიდული იყო.<sup>107</sup> იმ დროისათვის მომუშავე მოძრავი შემადგენლობის პარკი რიცხოვნობივად 5 წლის წინანდელი პარკის დაახლოებით 75 პროცენტს შეადგენდა, ხოლო

<sup>106</sup> Sztompka, “The Trauma of Social Change,” p. 184.

<sup>107</sup> რობაქიძე, მიხეილ, „თბილისი. 1994 წელი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემები. რეპორტაჟი თერში გავიდა 10.08.1994,“ YouTube, 19 იანვარი, 2021, <https://bit.ly/331Wolp> (ნანახია 13.03.2021).



ხაზზე მოძრაობდა დაახლოებით მესამედი იმ რაოდენობისა, რაც გადიოდა 5 წლის წინ.<sup>108</sup>

ყოველივე ეს, ცხადია, ტრანსპორტის გადატვირთვას იწვევდა. 90-იანი წლების თბილისის ამსახველ ვიდეოკადრებში თვალშისაცემია მგზავრებით იმდენად გადავსებული ტრანსპორტი, რომ ავტობუსებისა და ტროლეიბუსების კარებები ვერ იკეტებოდა, ადამიანები კიბეებზე იდგნენ და ცალი ხელით მოჭიდებულები მგზავრობდნენ.<sup>109</sup> კადრებში ასევე ჩანს უდენობის გამო ქუჩებში ჩამწკრივებული ტროლეიბუსები.<sup>110</sup> ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტისა და, ხანდახან, გაუმართაობის გამოც, მწყობრიდან გამოსული ტრანსპორტი ხშირად შუა გზაზე ტოვებდა მგზავრებს, რომელთაც ფეხით უწევდათ გზის გაგრძელება. ენერგორიზისით გამოწვეული შეფერხებები განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აგდებდა მეტროს მგზავრებს. ყველა ამ პრობლემის შედეგი იყო ის, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი – როგორც ზრდასრულები, ისე ბავშვები – ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრს ფეხით დადიოდა. ამგვარად, მგზავრობასთან დაკავშირებული პრობლემები 90-იანების ყოველდღიურობის კიდევ ერთ სტრესულ მხარეს წარმოადგენდა: „მასსოვს, რომ ფეხით დავდიოდი სახლიდან უნივერსიტეტამდე, [...] ფეხით დავდიოდი ძალიან ბევრს,“ – იხსენებს რუსუდან თაბუკაშვილი. ნანა ბაქრაძის მოგონებებში ასევე მტკივნეულად აღიბეჭდა ეს რეალობა:

„კიდევ რა მასსოვს ძალიან მწარედ: ტრანსპორტი არ იყო. თუ მანქანა გყავდა, ბენზინს ვერ იშოვიდი, ისე რომ თუნდაც მანქანის ყოლა არანაირი შეღავათი არ იყო. [...] რამდენჯერ მასსოვს, რომ ფეხით წავსულვართ და ფეხით წამოვსულვართ, იმიტომ რომ არა, არაფერი, აბსოლუტურად არაფერი [იყო]. მეტრო კი მოძრაობდა, მაგრამ იმის გამო, რომ შუქი ძალიან ხშირად ქრებოდა, ხშირად იჭედებოდა მატარებლები გვირაბებში. ერთხელ, მასსოვს, მეტროთი მოვდიოდით, სახლში ვბრუნდებოდით და ჩაქრა შუქი, რამდენიმე ხანი ვიყავით ვაკონში, მაგრამ ძალიან გაუსაძლისი [იყო] სიბნელეში, ამ უჭაერობაში. მერე გადმოგვსხეს ვაკონიდან. თან ისეთ ცუდ ადგილას იყო გაჭედილი მატარებელი, შუა გვირაბში, სადაც [...] ფეხის დასადგამიც კი არ იყო. როგორც იქნა, გადმოვედით ლიანდაგებზე და წამოვედით ფეხით. კარგად გასაველელი გვექონდა მანძილი. ძალიან კარგად მასსოვს ჩემი შვილის განცდა. მეუბნებოდა, დედა, ფრთხილად იყავი, აქ ვირთხები დარბიანო. როგორ გულზე მომხვდა, რომ ბავშვი – ეტყობა თვითონაც ეშინოდა – მაგრამ იმაზე ფიქრობდა, რომ დედას არ უკბინოს ვირთხამო“.

90-იანების შუა წლებისათვის თბილისში, მუნიციპალურთან ერთად, კომერციულმა ავტოტრანსპორტმაც დაიწყო საქმიანობა<sup>111</sup> – მოძველებულმა, საბჭოთა წარმოების ავტობუსებმა და სამარშრუტო ტაქსებმა. ამ ტრანსპორტით მგზავრობის ფასი მოქალაქეთა უმრავლესობის შესაძლებლობებს ბევრად აღემატებოდა:

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> გვახარია, „შუქი წავიდა...“

<sup>110</sup> „თბილისური 90-იანების დოკუმენტური მასალა.“

<sup>111</sup> რობაქიძე, „თბილისი. 1994 წელი.“

„ეგრეთ ნოდებული კომერციული ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების ღირებულება ბევრს შოკურ მდგომარეობაში აყენებს. რუსულ მანეთებში მითითებული მგზავრობის ღირებულების გადაყვანა ეროვნულ ვალუტაში, ერთი მხრივ, დაკავშირებულია არითმეტიკულ სიძნელეებთან კუპონის არასტაბილური კურსის გამო, მეორე მხრივ, მიღებული გადაანგარიშების შედეგი შეიძლება რამდენჯერმე აღემატებოდეს ხელფასს. ამიტომ აღნიშნულ ვითარებაში, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ფეხით დადის, ზოგი ბოლო რუსულ კუპიურებს აძლევს დროის უკუღმართობით გაავებულ მძღოლებს,“ - აღნიშნავდა ერთ-ერთი ტელერეპორტაჟის ავტორი.<sup>112</sup>

იქვე ჩანს მძღოლების „გაავების“ მიზეზიც. ისინი აღნიშნავდნენ, თუ რამდენად ძვირი უჯდებოდათ მათ სატრანსპორტო საშუალებების საჭირო ნაწილებით და მასალებით უზრუნველყოფა და, ხარჯთან შედარებით, რამდენად მცირე იყო შემოსავალი, რადგან მგზავრების დიდი ნაწილი საფასურს არ იხდიდა.<sup>113</sup>

### „ბნელი და ტკბილი 90-იანები“

90-იანი წლების მეორე ნახევარში ქვეყანა ჯერ კიდევ კორუფციასა და ეკონომიკურ სიდუხჭირეში იყო ჩაფლული, თუმცა რესპონდენტების მოგონებებში ეს პერიოდი გარკვეულწილად დადებით სიახლეებთან და ემოციებთან, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენასთანაც ასოცირდება. ცვლილება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ფინანსებმა ზოგიერთი სფეროს გაცოცხლებასა და წინსვლას შეუწყო ხელი; სტუდენტებსა და მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცათ, ესარგებლათ დასავლური ფონდებისა და სხვადასხვა პროგრამების მიერ შეთავაზებული გრანტებით, გამგზავრებულიყვნენ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში; მოსახლეობისათვის, უმთავრესად, ახალგაზრდა ნაწილისათვის, ხელმისაწვდომი გახდა დასავლური კულტურული, პირველ რიგში, კინოინდუსტრიისა და შოუბიზნესის პროდუქცია; ამავდროულად, გაჩნდა ადგილობრივი შოუ ბიზნესიც, რომელიც პოპულარული იყო მოზარდებსა და ახალგაზრდებში; ყველაზე დიდი გარღვევა კი ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ განაპირობა. ყოველივე ეს საზოგადოების მცირე ნაწილისთვის იყო მისაწვდომი, ისიც ძალიან შეზღუდულად. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტორებმა მაინც დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდების ცხოვრებაზე და, როგორც თამარ მურუსიძე აღნიშნავს, მათ „ახალი სამყარო“ აღმოაჩინინა. გარდა ამისა, ქართულ პოლიტიკაში ახალი სახეების გამოჩენამ საზოგადოების ნაწილში პოზიტიური ცვლილებების იმედი გააჩინა:

„გერმანიიდან რომ ჩამოვედი, 1998 წელს, სრულიად ნათლად დავინახე ის, რომ [...] ქვეყანა დგას ერთ ადგილზე, არც წინ მიდის, არც უკან. [...] არის კრიმინალი, არის კორუმპირებული მთავრობა, რომელიც გატყუებს. [...] და აი, გერმანიიდან ვარ ახალი ჩამოსული, როდესაც მოვისმინე სააკაშვილის ინტერვიუ სასამართლო რეფორმაზე. [...] მახსოვს, [...] ისეთი განსხვავებული მიდგომა ჰქონდა ყველაფრისადმი, სიცხეში რომ ჰაერი დაგიბერავს და მოგასულიერებს, აი, რაღაც მსგავსი ეფექტი ჰქონდა. მაშინ

<sup>112</sup> იქვე.

<sup>113</sup> იქვე.

ვიფიქრე, რომ, ღმერთო ჩემო, ესე იგი ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი და-  
კარგული-მეთქი“ (რუსუდან თაბუკაშვილი).

ყოველივე ამან „ბნელი 90-იანების“ ნაცრისფერი მონოტონურობა ოდნავ დაარღვია და მკრთალი, მაგრამ მაინც, ფერადოვნება შემატა ცხოვრებას. თუმცა, თითქმის სამი ათწლეულის შემდეგაც, 90-იანი წლები უკიდურესად რთულ ყოფასთან და ეროზირებულ პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებთან ასოცირდება:

„მახსენდება [...] საქართველო. ჩაბნელებული, უგზო-უკვლო, მახსენდება ფანჯარაჩამტვრეული, ტუალეტის სუნით აყროლებული სკოლის შენობები, რომლებსაც შეშის 'ფერებით' 'ათბობდნენ,' ჩაბინძურებული სახელმწიფო დაწესებულებები, ძირგამძვრალი 'მარშუტკები,' რომლებსაც ადგილობრივი კანონიერი ქურდები 'კრიშავდნენ,' მაღაზიებში შებინდებისას შეცვნილი უბნის ძველებიჭობა და საცოდავი გამყიდველების სიმწრის ოფლი, როცა ეს 'მომავალი პოლიტპატიმრები' თაროებიდან უცერემონიოდ იღებდნენ სიგარეტსა თუ სასმელს, მახსენდება ჩვენი უბნის სახლმმართველი ნათიას მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი, როცა რაიმე საბუთის ალების დროს 'სტავკას' მიზრდიდა, ამოყრილ ასფალტზე ნებიერად გაჩერებული 'გაის' მანქანები ზედ ასევე ნებიერად მიწოლილი ღიპიანი მილიციონრებით, რომლებსაც ასევე მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი დასთამაშებდათ მორიგი ხუთლარიანის მოთხოვნისას, კლასის დამრიგებლისთვის მისართმევი 'დუხები' და სამკაულები, ექიმების გამოწეული ჯიბე და უხერხული ჟესტი ასევე უხერხული 'არ არის საჭირო'-თი, მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარეებისათვის (და წევრებისათვის) მისაცემი და მიუცემელი ქრთამები (მიუცემლობისათვის გარეთ დარჩენა), გამოსასყიდისთვის გატაცებული ადამიანები, ყელიდან ჩამოგლეჯილი მობილურები და მანქანიდან წინლამით მოპარვას გადარჩენილი, მე-12 სართულზე ხელით ნატარები აკუმულატორი (რა თქმა უნდა, ფეხით, თუ ბედი არ გაგიღიმებდა და გრაფიკით მიწოდებულ დენს ვერ მიუსწრებდი ლიფტით ასასვლელად), მახსენდება მე-9 ბლოკის მაგიური აფეთქებები და ფიდერთა ხმაშენყობილი გათიშვები, [...] ქუჩებში საბურავების დაწვით მოწყობილი 'ლაითი' პროტესტები და 14-ლარიანი გაყინული პენსიის მოლოდინში გაყინულ ფანჯრებთან ატუზული მოხუცები, ნაგვის გადავსებული ბუნკერები და ჩემი მეზობელი მზიას ყოველკვირეული რეკვები მენაგვებთან – 10-ლარიანი დაჯილდოების სანაცვლოდ ნაგვის გატანის თხოვნით, მახსენდება ჩამოღდაული, მშიერი ჯარისკაცები, [...] გარღვეული ბიუჯეტის მოუშორებელი დარდი და ნიჰილიზმი – ჰაერში ჩაბუდებული, ძარღვებში ჩალექილი, ამ ყველაფერს შეგუებული საქართველოს მოქალაქის პროტესტდარღუნგებულ სული.“<sup>114</sup>

90-იანები კრიზისული ვითარების აღმნიშვნელ მეტაფორად ჩამოყალიბდა. „90-იანებში ვბრუნდებით,“ – ყოველთვის ისმის მაშინ, როდესაც მწვავედება პოლიტიკური ვითარება, როდესაც საუბარია მძიმე კრიმინალური შემთხვევების,

<sup>114</sup> ფეისბუქის მომხმარებელ რუსიკო კობახიძის პირადი პოსტი, 6 მარტი, 2021 (ქვეყნდება ავტორის ნებართვით).

ეკონომიკის ვარდნისა და ფასების ზრდის შესახებ, როდესაც ბინებში არ მიენოდებათ ელექტროენერგია და წყალი. მაგალითად, 90-იანები გაახსენდათ 2021 წლის თებერვალში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დროს: „ალბათ დავბრუნდებით 90-იანებში, როდესაც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ნაფშვენებად იყო ქცეული და როდესაც ეკონომიკური კრიზისი ისეთი დადგა, რომ მშვიერი ხალხის ჯარი პირდაპირ ქუჩებში იდგა.“<sup>115</sup> ასეთი ასოციაციები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც გაჩნდა: „მაშფოთებს ცნობები საქართველოდან, ქვეყნიდან, რომელიც [...] მიდის თავისი ბობოქარი წარსულისკენ, როგორც 1990-იან წლებში,“ – აღნიშნა ევროპარლამენტარმა ანა ფოტიგამ.<sup>116</sup>

ამავე დროს, განვლილმა დრომ 90-იანების ყოფის ტრავმულ გამოცდილებას სიმძაფრე დაუკარგა. ეს, ნაწილობრივ, განაპირობა შედარებით გაუმჯობესებულმა სოციალურმა პირობებმა და სტაბილურმა გარემომ, ნაწილობრივ კი – ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანმა უნარმა – წარსულში დატოვოს მტკივნეული განცდები და ემოციები. გურამ ნიბახაშვილი საკუთარ მაგალითზე ზუსტად აღწერს დაგინყების პოზიტიურ ასპექტს: „ამ პერიოდმა რომ ჩაიარა და უფოტოებოდ, ზეპირად ვიხსენებდი 90-იანებს, მახსოვდა, რომ საქმე კარგად არ იყო, თუმცა კონკრეტულ დეტალებს ვერ ვიხსენებდი. მერე, ფოტოებს რომ დავხედე, მივხვდი, რომ საქმე გაცილებით უარესად იყო, ვიდრე ახლა გვახსოვს. კიდევ კარგი, რომ ადამიანს შეუძლია დაივიწყოს ცუდი მოვლენები ან ისე ‘მოუქლიბოს’ მათ ნახნაგები, რომ ეს ყველაფერი ძალიან მტკივნეული აღარ იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე.“<sup>117</sup>

ადამიანთა მესხიერებაში 90-იანი წლები საკუთარი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებთან ასოცირდა და, აქედან გამომდინარე, გარკვეულ ნაწილს ნოსტალგიაც კი გაუჩნდა ამ პერიოდისადმი. მონატრებამ მძიმე მოგონებებსაც კი ერთგვარი სითბო და სევდანარევი სიხალისე შესძინა: „მორჩენილი საჭმელებისგან და გაყინულ მარილწყალში მოხარშული თონის პურისგან პიცებს რომ ვაკეთებდით, პურს სახლში ვაცხობდით და მერე გაზიც გავგითიშეს... და მაინც ბედნიერები ვიყავით,“ „ის ბნელი დრო გამახსენდა, ეზოდან რომ ვეზიდებოდით ვედრებით [წყალს]... მაგრამ მაშინ, დღევანდელიობისგან განსხვავებით, იყო ერთმანეთის გატანა, სიყვარული და პატივისცემა... მენატრება ის დრო,“ – წერს ფეისბუქის ერთ-ერთი მომხმარებელი.<sup>118</sup>

2018 წელს თბილისში 90-იანების ფესტივალი ჩატარდა. დამსწრეთა მრავალრიცხოვნებამ აჩვენა, რომ „მძიმე სოციალური პირობების მიუხედავად, საზოგადოებას მაინც ტკბილად ახსენდება“ ეს დრო.<sup>119</sup> „აქ იმიტომ მოვედით მე და ჩემი მეგობრები, რომ კიდევ ერთხელ გავგეხსენებინა 90-იანები. მიუხედავად იმისა, რომ სიბნელე იყო და მე-9 ბლოკი ყოველთვის ითიშებოდა, იყო ის მომენტები,

<sup>115</sup> „წოდარ მელაძის შაბათი,“ TV პირველი, YouTube, 20 თებერვალი, 2021, <https://bit.ly/3n8pT1R> (ნანახია 05.03.2021).

<sup>116</sup> „ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა: საქართველო 1990-იანი წლების წარსულისკენ მიდის,“ რადიო თავისუფლება, 18 თებერვალი, 2021 <https://bit.ly/3n8zkyE> (ნანახია 01.03.2021).

<sup>117</sup> ნიბახაშვილი, 100 ფოტოამბავი. 90-იანები, გვ. 6.

<sup>118</sup> ფეისბუქის მომხმარებელ T.Ch.-ს კომენტარი პირად პოსტზე, 19 თებერვალი, 2021 (ნანახია 20.02.2021).

<sup>119</sup> „90-იანების გასახსენებელმა კონცერტმა აწმლაგით ჩაიარა,“ YouTube, 1 ოქტომბერი, 2018, <https://bit.ly/3f69AhF> (ნანახია 20.03.2021).

ახლობლობა, ყველაფერი კარგი, რაც გახსენდება წარსულიდან“; „90-იანელი ვარ მეც და 90-იანი წლები ასოცირდება ჩემთვის ბევრ მხიარულებასთან. მიუხედავად იმისა, რომ იყო „ბნელი 90-იანები,“ გვახსოვს ძალიან ტკბილად თუნდაც მუსიკალური კუთხით,“ – აღნიშნეს დამსწრეებმა.<sup>120</sup> მაყურებლების ძირითად ნაწილს ისინი შეადგენდნენ, ვინც 90-იან წლებში ბავშვები, მოზარდები ან ახალგაზრდები იყვნენ. მათ საკუთარ თავზე შეიგრძნეს 90-იანების სირთულეები, თუმცა არა ისეთი სიმძაფრით, როგორც მშობლებმა, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ოჯახის რჩენასა და უსაფრთხოებაზე.

წლების შემდეგ 90-იანები ასოცირდა თანადგომასთან, უშუალო და ახლო ურთიერთობებთან, რომელიც საერთო გასაჭირმა განამტკიცა მეზობლებსა და ნათესავებს შორის და იმ დროის სირთულეების გადატანაში დაეხმარა მათ. საზოგადოებაში არსებული მჭიდრო და მტკიცე პერსონალური ოჯახური კავშირები შტომპკას პოსტკომუნისტური ტრანზიციის ტრავმის გადალახვის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიაჩნია.<sup>121</sup> უდავოდ, ასე იყო საქართველოშიც, სადაც ოჯახი, სანათესაო, სამეზობლო და სხვა კავშირებით ჩამოყალიბებული ახლობელთა წრე, ტრადიციულად, მნიშვნელოვან სოციალურ კაპიტალს წარმოადგენს. 90-იან წლებთან დაკავშირებული მოგონებები სწორედ ასეთ ურთიერთობებს უკავშირდება და განსაკუთრებულ მიმზიდველობას იძენს. გოგი წერეთელი 90-იან წლებში არსებულ თანადგომას იმ პერიოდის განსაკუთრებულ და დადებით მახასიათებლად მიიჩნევს: „ფაქტობრივად შიმშილობა იყო, [...] სანატრელი იყო ყველაფერი. მაგრამ ნეტა ისეთი თანადგომა, მაშინ რომ იყო, გაგრძელდეს და გაგრძელებულიყო. ნათესავი ნათესავს უწყობდა ხელს, ერთმანეთის ხელშემწყობით გადიოდნენ. [...] ამ თანადგომით ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩა.“

ადამიანთა ნაწილის აღქმაში „ბნელი 90-იანები“ „ბნელ და ტკბილ 90-იანებდა“ გარდაიქმნა. ასეთი სათაურით ფეისბუქის გვერდიც შეიქმნა, რომელიც 131 ათას ფეისბუქის მომხმარებელს აქვს მონონებული.<sup>122</sup> პოპულარულია კიდევ ერთი ფეისბუქის გვერდი – „თბილისი იყო ურთიერთობა,“ რომელსაც 123 ათასი გამომწერი ჰყავს. ამ გვერდებზე ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ ძველ ფოტოებს, საკუთარ ისტორიებსა და მოგონებებს. იუმორით გაჯერებულ პოსტებსა და კომენტარებში გამოსჭვივის 90-იანების მძიმე და სტრესული გარემო: „აი ახლა, 40 გრადუსი სიცხით წამოსკუპებული ფანჯრის რაფაზე, შემოდგომის სიოს შევიგრძნობ და არ მასვენებს ფიქრი, ზუკოს გადავურჩი, იუპს<sup>123</sup>, ქინდერს, გუდრონის კეცს, ზვიადისტებს, მხედრიონელებს, შევარდნაძესაც კი და დავიჯერო, კორონა მძლევს?“<sup>124</sup> ასევე ხშირია ნოსტალგიური განწყობის პოსტები და კომენტარები, რომლებიც 90-იანი წლების ურთიერთობებს აიდეალებენ: „90-იანების ქუჩაში კოცონთან გასათბობად გამოყრილი მთელი უბანი ბევრად უფრო ტკბილად მახსენდება, ვიდრე 2020-ის ლეპტოპებთან სახლებში თბილად გამომწყვდეული, შეკეტილი, კარანტინისგან შეშლილი ოჯახის წევრები და სამ-

<sup>120</sup> იქვე.

<sup>121</sup> Sztompka, “The Trauma of Social Change,” p. 191.

<sup>122</sup> ფეისბუქის გვერდი „ბნელი და ტკბილი 90-იანები,“ <https://bit.ly/3GdjV7D> (ნანახია 25.03.2021).

<sup>123</sup> 90-იანებში გავრცელებული ტკბილი სასმელების მოსამზადებელი ფხვნილები.

<sup>124</sup> „ბნელი და ტკბილი 90-იანები,“ 5 სექტემბერი, 2020, <https://bit.ly/3tdOIgH> (ნანახია 31.10.2020).

ყარო;“<sup>125</sup> „თუ არ ჯობდა ეგ დრო ახლანდელს. ბევრი გასაჭირი გადავიტანეთ, მაგრამ ერთად გადავიტანეთ ხალხმა. მეზობლობაში, მეგობრობაში, ნათესაობაში და უბრალოდ ადამიანობაში. ახლა [...] არც ერთი მათგანი აღარაა.“<sup>126</sup> ასეთ განწყობას ბევრი იზიარებს, თუმცა „ბნელი 90-იანები“ ყველასთვის არ გამხდარა ამავდროულად „ტკბილიც“: „რა ჯობდა?! სიცივე, შიმშილი, არეულობა, ნგრევა, განუკითხაობა, სიკვდილიანობა? ვერ ვხვდები, რისი ნოსტალგია აქვს ამ ხალხს?“<sup>127</sup> გაცნობიერებულა, რომ ნოსტალგიას ბავშვობისა და ახალგაზრდობის მონატრება განაპირობებს: „შენ ბავშვობა გენატრება. [...] ყოველ ფეხის ნაბიჯზე მკვლელობა და უბედურება ტრიალებდა. ყველაფერი ჩამკვდარი. ხალხი უმუშევრად დარჩენილი, ცარიელი მაღაზიები, პურის რიგები სადღელამისო. განათლება, კინო, თეატრი, სპორტი, ყველაფერი ჩაკვდა. ჩვენი თაობა მაგ დრომ შეინირა. მე არ ვუსურვებ ჩემს შვილებს მასეთ ცხოვრებას, არც საქართველოს. ღმერთმა გვაშოროს“;<sup>128</sup> „ყველაფერი, რაც შავბნელ წლებში ხდებოდა, 90-იანებში, მანამდეც და ცოტა მერეც, ოჯახში, ქუჩაში, ქვეყანაში, ქრთამი, ომი, მკვლელობა, ყაჩაღობა, ძალადობა... ახლა იღებს შედეგს. ჩვენ უბრალოდ იმიტომ გვახსენდება კარგად ეგ პერიოდი, რომ ბავშვები ვიყავით მაგ დროს და ბავშვობას მივტირით და არა იმ ყველაფერს, რაც მაშინ ხდებოდა.“<sup>129</sup> ნიკო ნერგაძემ თავის პოდკასტში „ბნელი და ბნელი 90-იანები“ აღნიშნა, რომ ეს პერიოდი „მწარეც და ტკბილიც ერთდროულად იყო,“ „ერთადერთი ტკბილი მომენტი ახალგაზრდობა იყო, მეტი კარგი არაფერი, გარშემო გვამები ეყარა და საქმელი არ იყო.“<sup>130</sup>

90-იანი წლების თემატიკა აქტუალურია ტელესერიאלების და იუმორისტული ტელეგადაცემებისათვისაც. ისინი ზედმინვენით ზუსტად ასახავენ 90-იანების ყოფას და მისი ნიუანსების უტრირებით წარმოაჩენენ იმ დროის ტრაგიკულ აბსურდულობას.<sup>131</sup> ეს გადაცემები პოპულარობით სარგებლობს მაყურებლებში. როგორც კომენტარებიდან ჩანს, 90-იანების თაობა იქ საკუთარი ცხოვრების ეპიზოდებს ხედავს, იხსენებს მივიწყებულ დეტალებს, თითქმის წარმოუდ-

<sup>125</sup> N.L.-ის კომენტარი ფეისბუქის გვერდის „ბნელი და ტკბილი 90 - იანები“ პოსტზე, 12 სექტემბერი, 2020, <https://bit.ly/3FbB7ZY> (ნანახია 24.03.2021).

<sup>126</sup> ც.კ.-ს კომენტარი ფეისბუქის გვერდის „თბილისი იყო ურთიერთობა“ პოსტზე, 24, მარტი, 2021, <https://bit.ly/3qc3gMc> (ნანახია 25.03.2021).

<sup>127</sup> N.T.-ს ფეისბუქის გვერდის კომენტარი „თბილისი იყო ურთიერთობა“ პოსტზე, 24 მარტი, 2021, <https://bit.ly/3r3XLhJ> (ნანახია 25.03.2021).

<sup>128</sup> ზ.რ.-ს კომენტარი ფეისბუქის გვერდის „თბილისი იყო ურთიერთობა“ პოსტზე, 24 მარტი, 2021, <https://bit.ly/3q9n56O> (ნანახია 25.03.2021).

<sup>129</sup> ზ.მ.-ს კომენტარი ფეისბუქის გვერდის „ბნელი და ტკბილი 90-იანები“ ვიდეოპოსტზე, 19 ივლისი, 2020, <https://bit.ly/3JZX2GQ> (ნანახია 31.10.2020).

<sup>130</sup> „ნიკოს პოდკასტი - ბნელი და ბნელი 90-იანები,“ II ნაწილი, *YouTube*, 5 თებერვალი, 2018, <https://bit.ly/3qcqpho> (ნანახია 20.03.2018).

<sup>131</sup> ამ მხრივ საინტერესო სატელევიზიო იუმორისტული გადაცემების „კომედი შოუს“ და „ახალი შაბათის შოუს“ მიერ 2010-იანი წლების მეორე ნახევარში გადაღებული სერიები, *YouTube*-ზე ამ ვიდეოებს 300 ათასამდე ნახვა აქვს: „სკოლა 90-იანებში,“ *YouTube*, 7 თებერვალი, 2021, <https://bit.ly/3r6VJxe>; „ფლირტი 90-იანებში,“ *YouTube*, 15 თებერვალი, 2020, <https://bit.ly/31LcXYy>; „90-იანების გართობა,“ *YouTube*, 17 ოქტომბერი, 2020, <https://bit.ly/3JWQHmW>; „ბანაობა 90-იანებში,“ *YouTube*, 13 ივნისი, 2020, <https://bit.ly/3naXt7w>; „სიყვარულის ტალონი,“ *YouTube*, 11 ივლისი, 2020, <https://bit.ly/3temEKs>; „კონცერტი 90-იანებში,“ *YouTube*, 20 მარტი, 2016, <https://bit.ly/33mbKHi>; „გოგოს მოტაცება 90-იანებში,“ *YouTube*, 13 თებერვალი, 2016, <https://bit.ly/3qb2eQr>; „თელასი 90-იანებში,“ *YouTube*, 9 იანვარი, 2019, <https://bit.ly/3r7dix4>; „90-იანი წლების მუზეუმი,“ *YouTube*, 4 ოქტომბერი, 2018, <https://bit.ly/3FbCqYS> (ნანახია 20.03.2021).

გენლად ეჩვენება, რომ ეს ყველაფერი თავად გამოიარა და ღიმილს გვრის ის, რაც მაშინ სიხარულს ანიჭებდა და ისიც, რის გამოც იმ დროს „ბნელი“ უწოდა: ჩაბნელებული სახლები და ქუჩები, შუალამის სროლა, მაცივარში შენახული იარაღი, იმიტომ რომ იქ ვერავინ იპოვის და თან არაფერი მოუვა, იმიტომ რომ შუქი მაინც არასდროს არაა (და თან მაცივარშიც არაფერია),<sup>132</sup> შვიდი საათი პურის რიგში დგომა, ტანსაცმლის უთვალავი ფენით შემოსვა გათბობის მიზნით, მიტინგზე სიარული გართობის მიზნით („გავისეირნოთ რა სადმე, რამდენი ხანია, არსად ვყოფილვართ. – ტელევიზიასთან წავიდეთ. – აუ, მანდ გოიმური სიტუაციაა, რუსთაველის მიტინგი ჯობია“),<sup>133</sup> „მეგობრობის დღიური“, კარზე კაკუნით გამოწვეული შფოთვა (ვინ იცის, ვინ არის და რა უნდა? საფრთხე ყოველთვისაა მოსალოდნელი), აუდიო კასეტაზე ჩანერილი „Take That“-ის ახალი სიმღერა (დიდი მოვლენა სამეგობროში), „კერასინკაზე“ ან შეშის „ფეჩზე“ გამომცხვარი „სიგუას ნამცხვარი“, „დვიჟოკი“ (მოსახლეობის უმცირესობის პრივილეგია და უმრავლესობის ნატვრის საგანი), კაბელების მოპარვის გამო გათიშული სატელეფონო კავშირი, ტელესერიალები, რომლებმაც „საქართველოს უმუშევრობა, უშუქობა, უფულობა და 90-იანების გაჭირვება გადაატანინა“<sup>134</sup> და მრავალი სხვა.

ახალი თაობისათვის უკვე გაუგებარია 90-იანების ენა და რეალობა, რომელმაც ის შექმნა. 2020 წელს ArtUp Games-მა შექმნა ახალი მობილური თამაში „90-იანები – შევარდნადის თავგადასავალი.“ შემქმნელებმა საჭიროდ მიიჩნიეს, აეხსნათ მომხმარებლებისათვის, რას ნიშნავს 90-იანები და მასთან დაკავშირებული ელემენტები:

„მწვანე კერასინკა“ – გამათბობელი, რომელიც მუშაობდა ნავთზე, რადგან გათბობა და ელექტროენერგია არ არსებობდა;

‘ცეცხლი’ – ხშირად შეხვდებოდით გასათბობად დანთებულ ცეცხლს უბნებში, შემოკრებილ ბავშვებსა და მშობლებს, რომლებიც სოციალიზაციას ცდილობდნენ;

‘სიგუას ნამცხვარი’ – გამოგონილი ნამცხვარი, რომელიც უმარტივესი ინგრედიენტებისგან მზადდებოდა, მაგრამ ყველას ძალიან უყვარდა, რადგან სხვა ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობდა;

‘პლიტა’ – ეს იყო ნივთი, რომელიც ელექტროენერგიაზე მუშაობდა, თუ იყო ელექტროენერგია. ძირითადად, იყენებდნენ საჭმლის მოსამზადებლად ან გასათბობად;

‘მიტინგები’ – საპროტესტო აქციები ქუჩებში, რომელიც ხშირად იმართებოდა მოპარული ანაბრების დაბრუნების, პოლიტიკოსების გადადგომის, ან თუნდაც, შუქის მოსვლის მოთხოვნით...<sup>135</sup>

<sup>132</sup> ფორმულა კრეატივი, სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“, სერია 5, სეზონი 12, YouTube, 1 ოქტომბერი, 2020, <https://bit.ly/331798h> (ნანახია 11.02.2021).

<sup>133</sup> სიტკომი „შუა ქალაქი“, სერია 12, სეზონი 1, YouTube, 10 თებერვალი, 2020, <https://bit.ly/33fcdLA> (ნანახია 11.03.2021).

<sup>134</sup> „90-იანი წლების ნოსტალგია - გვახსოვდეს საიდან მოვდივართ“, TV11, YouTube, 20 მარტი, 2018, <https://bit.ly/32ZdLK2> (ნანახია 11.03.2021).

<sup>135</sup> „ახალი ქართული თამაში – ‘90-იანები – შევარდნადის თავგადასავალი“, Marketer, 12 ივლისი, 2020, <https://bit.ly/3qch0qj> (ნანახია 20.03.2021).

### „ბნელი 90-იანები“ – გადალახული ტრავმა?

ამ თავში თანაბრად არ აისახა საქართველოს ცენტრისა და რეგიონების, ქალაქისა და სოფლის ყოფის თავისებურებები. არც ყველა სოციალური ჯგუფი და მათ წინაშე მდგარი პრობლემები განხილულა.<sup>136</sup> ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს 90-იანი წლების ტრავმული გარემო და გავლენა იქონიეს იმდროინდელ ყოფაზე; ასევე ვეცადეთ გამოგვეკვეთა დამოკიდებულება, რომელიც ჩამოყალიბდა 90-იანი წლების მიმართ შემდგომ ათწლეულებში. ის ფაქტი, რომ მრავალი წლის შემდეგ 90-იანი წლების სოციალურ და ეკონომიკურ სირთულეებს სხვადასხვა ფორმით მუდმივად უბრუნდებიან და იხსენებენ, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ტრავმული გამოცდილება შედარებით ადვილი გადასალახი აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. ის გაიაზრეს, მისგან დისტანცირდნენ, მიუჩინეს ადგილი წარსულში; მასზე ლაპარაკობენ, ხუმრობენ და ენატრებათ კიდევ.

სალომე ასათიანი აღნიშნავს, რომ „ბნელი 1990-იანები“ მყარ სტერეოტიპად ჩამოყალიბდა, ზედაპირზე მოტივიტივე კლიშეებით: ‘ყაჩაღობა,’ ‘უშუქობა,’ ‘ომი,’ ‘პურის რიგი,’ ‘მხედრონი,’“ მაგრამ „ამ კლიშეების მიღმა შესვლას და მტკივნეული კითხვების დასმას“<sup>137</sup> საზოგადოება ნაკლებად ცდილობს. გოგი გვახარიას აზრით, საზოგადოება ემიჯნება მტკივნეულ წარსულს და ამით ახალ ტრავმებს იცილებს თავიდან.<sup>138</sup>

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა ეთანხმება აზრს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეკონომიკური პრობლემები; ნახევარზე ნაკლები თვლის, რომ ეკონომიკურმა პრობლემებმა გადაფარა დამოუკიდებლობით გამოწვეული სიხარული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 90-იანი წლებში ამ კითხვებზე განსხვავებულ პასუხებს მივიღებდით. დღევანდელი გადასახედიდან კი ჩანს, რომ დამოუკიდებლობა დიდი ნაწილისთვის დამოუკიდებლობა ღირდა იმ მძიმე საფასურად, რომლის გადახდაც ქვეყანას და საზოგადოებას მოუწია.

<sup>136</sup> მათ შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ემიგრაციის საკითხია, რომელიც სწორედ ამ დროიდან დაიწყო. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დიდმა ნაწილმა დატოვა საქართველო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური კრიზისი იყო. თუმცა უპერსპექტივობის განცდას, შესაძლოა, ხელი შეუწყო მზარდმა ეთნონაციონალისტურმა განწყობებმაც. ასევე 90-იანი წლებიდან დაიწყო ეთნიკურად ქართველი მოქალაქეების, უმრავლეს შემთხვევაში, ქალების მიგრაცია უცხოეთში სამსახურის საძიებლად; ამ მიზეზით მრავალი წლით გაყოფილმა ოჯახებმა მძიმე კვალი დაამჩნია შემდგომ თაობებს.

<sup>137</sup> ასათიანი, „1990-იანები, რომელიც მუდამ ჩვენთანაა.“

<sup>138</sup> გვახარია, „სამშობის ერა.“



## თავი VI

### ტრავმა და ტრიუმფი მხატვრულ ტექსტებში

#### „სამყაროს შექმნა“

ტექსტი დანერვილია და თავად შობს მრავალნაირ მნიშვნელობას.<sup>1</sup>

უმბერტო ეკო, „ვარდის სახელი.“

ადამიანი, ბუნებით, მთხრობელი არსებაა. თხრობა, აღწერასთან ერთად, ინტერპრეტაციას გულისხმობს. გამიზნულად თუ გაუაზრებლად, მნიშვნელობა ენიჭება საგნებს, ფაქტებს და წარსულში მომხდარ მოვლენებს. რობერტ ნეიმაიერის აზრით, ამას აკეთებს როგორც მთხრობელი, ასევე აუდიტორია.<sup>2</sup> თუ მოვლენის ამსახველი ტექსტები არ შეიქმნა, როგორი ტრაგიკულიც არ უნდა იყოს იგი, კოლექტიურ ტრავმად არ ჩამოყალიბდება, რადგან თანამედროვე საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს არა წარსული თავისთავად, არამედ წარსულის მოვლენათა რეპრეზენტაცია, რომელიც იქმნება, ვრცელდება და მიიღება სპეციფიკურ კულტურულ ჩარჩოში და პოლიტიკურ სიტუაციაში.<sup>3</sup> კულტურულ მეხსიერებაში დამკვიდრებულ კოლექტიურ ტრავმას შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე შეასრულოს ჩვენ ჯგუფის შემკვრელი ფუნქცია.

ამ თავის მიზანია ვნახოთ, როგორ არის გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში 1989 და 1991 წლის 9 აპრილი, თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, უეცარი და ინტენსიური ცვლილებების სტრესული მწკრივი; რამდენად შეესაბამება საქართველოს შემთხვევას ტრავმისა და ტრიუმფის ცნებები; შესაძლებელია თუ არა 90-იანი წლების რეალობა შეფასდეს როგორც გამარჯვების ტრავმა.

მხატვრული ლიტერატურა მოვლენის კულტურულ ტრავმად კონსტრუირებაში დიდ როლს ასრულებს. ლიტერატურული ტექსტები, ერთი მხრივ, მოვლენის მნიშვნელობას განსაზღვრავს და ტრავმად აყალიბებს, მეორე მხრივ, თხრობა წარმოადგენს ტრავმის დაძლევის მნიშვნელოვან საშუალებას. ტრავმის დაძლევა მისი მუდმივი გააზრებითა და გაანალიზებით მიიღწევა და არა რეპრესიითა და მიჩუმებით. მხატვრული და მედიაში გამოქვეყნებული ტექსტები, პოლიტიკოსების, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების საჯარო გამოსვლები, ოფიციალური დოკუმენტები, დოკუმენტური ფილმები, ვიდეო- და ფოტოკადრები, ლექსები, სიმღერები, სხვადასხვა სახის მხატვრული ნიმუშები და ნარატივები მუდმივად გაიაზრება, განხილვისა და ინტერპრეტაციის საგანი ხდება, თუ ნაწარმოები აღიარებას მოიპოვებს, როგორც მაგალითად ოთარ ჭილაძის „აველუმი“, აკა მორჩილაძის „მამლუქი“ ან არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“, მისი კითხვა არასდროს მთავრდება, ბიბლიოთეკების მტვრიანი თაროების გარდა, სხვადასხვა თაობის ხელში გადადის, როგორც ესტაფეტა და მუდმივი გადააზრების საფუძველი ხდება. მხატვრული წარმოსახვისა და სიმბოლიზაციის უნარზე დაყრდნობით, პროზას შესწევს ძალა გააცოცხლოს მოვლენა, რომ-

<sup>1</sup> ეკო, უმბერტო. „ბოლოთქმა ‘ვარდის სახელისთვის’“, უმბერტო ეკო, *ვარდის სახელი*. იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ (თბილისი: დიოგენე, 2016), გვ. 693.

<sup>2</sup> Neimeyer, Robert A. “Re-Storying Loss: Fostering Growth in the Posttraumatic Narrative,” *Handbook of Posttraumatic Growth. Research and Practice*, eds. Lawrence G. Calhoun and Richard G. Tedeschi (New York: Routledge, 2006), p. 73-75.

<sup>3</sup> Assmann, Aleida and Linda Shortt. “Memory and Political Change: Introduction,” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012), p. 3-4.

ლის ვერბალიზაცია, აღწერა და გაგება თითქოს შეუძლებელია. პროზა მრავალი კუთხით, ბევრი ნახნაგით წარმოაჩენს მას,<sup>4</sup> დაწვრილებით, სკრუპულოზურად ასახავს, ყურადღებას აქცევს და უღრმავდება ყოველდღიურობის ნებისმიერ, თითქოს უმნიშვნელო დეტალს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს. მხატვრული ტექსტის კითხვისას მკითხველი გადასახლდება აღწერილ ეპოქაში და მასში იწყებს ცხოვრებას, ამყარებს რა ემოციურ კავშირს მოვლენებთან, გარემოსთან, პერსონაჟებთან, დეტალებთან, ყოველდღიურობასთან. მხატვრული ტექსტის კითხვისას აცნობიერებ, რომ მოვლენები ასე მხოლოდ და მხოლოდ იმ კონტექსტში მოხდებოდა, გმირები ასე მხოლოდ და მხოლოდ იმ რეალობასა და ეპოქაში მოიქცეოდნენ და არა სხვაგან და სხვა დროს.

მხატვრული ტექსტის შექმნა, უმბერტო ეკოს სიტყვით, კოსმოლოგიური მოვლენაა, როგორც „შესაქმეში“ მოთხრობილი ამბავი. „პირველ რიგში, სამყარო უნდა შექმნა და რაც შეიძლება კარგად უნდა მოაწყოს იგი, წვრილმანებიც კი გაითვალისწინო.“<sup>5</sup> მხატვრული „სამყაროს შექმნა“ აღსაწერი ეპოქის სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს: სად ცხოვრობდნენ, როგორ ცხოვრობდნენ, რას განიცდიდნენ, რა უხაროდათ, რა სტკიოდათ, რატომ უყვარდათ, რატომ სძულდათ, როგორ და რაზე ფიქრობდნენ, საუბრობდნენ, რით იკვებებოდნენ, რას კითხულობდნენ, რას უსმენდნენ, რას უყურებდნენ, რას და რატომ ქმნიდნენ. სამყაროს შექმნა კანონების დადგენას გულისხმობს, თამაშის წესების, რომელსაც უნდა დაექვემდებარონ როგორც პერსონაჟები, ასევე ტექსტის სიუჟეტიც და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ფაბულა. 90-იანების მოვლენები, რომლებსაც იმთავითვე ჰქონდათ ტრავმად ჩამოყალიბების პოტენციალი, განაპირობებენ ფაბულას, ფაბულათა უწყვეტი გამეორება სხვადასხვა ავტორთან კი განსაზღვრავს მოვლენათა კულტურულ ტრავმად კონსტრუირებას და წარმოადგენს მისი დაძლევის საშუალებას. სიუჟეტის ხაზი და პერსონაჟების ქცევა დამოკიდებულია არა ავტორის სურვილზე, არამედ ავტორის მიერვე შექმნილი სამყაროს წესებსა და კანონებზე.

ჩვენს შემთხვევაში, ლიტერატურულ ტექსტებში/ტექსტებით შექმნილი სამყარო 90-იანი წლების ანარეკლია, ის იმ პერიოდის ხასიათითაა გაჟღენთილი. ამიტომ, მაშინაც კი, როცა ავტორს უნდა „ზღაპრის, ხალისიანი ორი ვაკეღვერელი ბიჭის თავგადასავლის დაწერა“<sup>6</sup> ამბავი მაინც აგრესიული გამოდის. ამას განაპირობებს „შექმნილი სამყაროს“ წესები, რომლებიც აღსაწერი ეპოქის სტრესული და ტრავმული ხასიათითაა განაპირობებული.

90-იანებზე შექმნილი ლიტერატურის ავტორებს ჯერ კიდევ მკაფიო და მძაფრი ემოციური კავშირი აქვთ იმ ეპოქასთან, რომელზეც წერენ. ლიტერატურაში ახლა ხდება მოვლენათა შეფასება, მნიშვნელობის მინიჭება, მინიჭებულის რევიზია თუ ინტერპრეტაცია. რევიზიის მუდმივად გაგრძელება შესაძლებელია, თუმცა მნიშვნელობათა ძირითადი ბირთვი სწორედ კომუნიკაციური მექანიზმების პირობებში იქმნება. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ბირთვის გამოკვეთაა. მხატვრული ნაწარმოებების უმრავლესობის მთავარი სათქმელი და მიზანი არ არის ამ ეპოქის აღწერა. თუმცა, ნებისმიერ საკითხზე – სიყვარულზე, თავისუფლებაზე, მეგობრობაზე – წერისას ავტორები გვერდს ვერ უვლიან 90-იანების

<sup>4</sup> Schönfelder, Christa. *Wounds and Words: Childhood and Family Trauma in Romantic and Postmodern Fiction* (Bielefeld: Transcript Verlag, 2013), p. 29.

<sup>5</sup> ეკო, „ბოლოთქმა 'ვარდის სახლისთვის'“. გვ. 701.

<sup>6</sup> მორჩილაძე, აკა. *მოგზაურობა ყარაბაღში* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017), გვ. 6.

მნიშვნელოვან მოვლენებს. უფრო მეტიც, ლიტერატურული ტექსტების საშუალებით წარმოსახული სამყაროს მთავარი თამაშის წესები სწორედ ამ მოვლენებითაა ნაკარნახევი. შესასწავლი ეპოქის და, აქედან გამომდინარე, ეკოსეული „შექმნილი სამყაროების“ მთავარი თამაშის წესები სწორედ ტრავმა-ტრიუმფის პარადიგმაში თავსდება. ამდენად, 90-იანების ტრავმა-ტრიუმფი განაპირობებს მასზე დაწერილი ნებისმიერი ტექსტის ფორმასა და შინაარსს.

ჩვენი კვლევის ობიექტი მხატვრული ლიტერატურაა. შერჩევის მთავარ პრინციპად ავიღეთ ჯეფრი ალექსანდერის კოლექტიური ტრავმის ნარატივის მახასიათებლები: ნარატივმა უნდა ასახოს მოვლენა, აჩვენოს, რა მოხდა; მკაფიოდ გამოკვეთოს დაზარალებული ჯგუფი; გვაჩვენოს, რომ ტრავმულმა მოვლენამ არა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე მოახდინა გავლენა; წარმოადგინოს, ვინ არის დამნაშავე, ვინ უნდა აგოს პასუხი მომხდარის გამო.<sup>7</sup>

შერჩეული ტექსტები არა მხოლოდ კრიტიკოსთა მიერ აღიარებული ნაწარმოებებია, არამედ პოპულარულიც. ბევრ მათგანს სხვადასხვა ლიტერატურული პრემია აქვს მიღებული: ლაშა ბუღაძის „პატარა ქვეყანამ“ და ივა ფეზუაშვილის „ბუნკერმა“ „საბა“ დაიმსახურეს. აკა მორჩილაძის „მამლუქმა“ და არჩილ ქიქოძის „სამხრეთულმა სპილომ“ – ილიაუნის პრემია. ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტექსტია. ოთარ ჭილაძე 1998 წელს ნომინირებული იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში. გაანალიზებული მხატვრული ტექსტები რამდენჯერმე გამოცემული. გარდა ამისა, რამდენიმე მათგანის საფუძველზე გადაღებულია ფილმები („გასეირნება ყარაბაღში“, „უშენოდ მგონი მოვკვდები“) და დადგმულია სპექტაკლები („ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“). ამდენად, მათი გავლენა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებასა და ტრავმის კონსტრუირებაზე ძლიერია. ისინი შექმნილია 1989 წლიდან დღემდე და გვაჩვენებს ნარატივის დინამიკას. გარდა ამისა, ნაწარმოებებში მოქმედება ხდება როგორც დედაქალაქის ცენტრში, ასევე პერიფერიულ, პატარა ქალაქებსა და სოფლებშიც, რაც იმის გააზრების საშუალებას გვაძლევს, რა არის ცენტრსა და რეგიონს შორის საერთო და განსხვავებული, შესასწავლი მოვლენებისადმი დამოკიდებულებების თვალსაზრისით.

### 90-იანების ქრონოტოპი

*ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს გავს, ყოველი უბედური ოჯახი კი თავისებურადაა უბედური.*<sup>8</sup>

ლევ ტოლსტოი, „ანა კარენინა.“

ამ ქვეთავში 90-იანების „თავისებურად უბედური“ საქართველოს შესახებ მოგითხრობთ. XX საუკუნის უკანასკნელ ოც წელს 90-იანებად იხსენიებენ. 90-იანები იქცა ტერმინად, ცნებად, რომლის ხსენებისას არავის სჭირდება საუკუნის დაკონკრეტება. 90-იანები მოიცავს მოვლენებს, რომლებიც კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბდა. ეს არ არის მხოლოდ ისტორიული ეპოქა; ის, პირველ რიგ-

<sup>7</sup> Alexander, Jeffrey C. “Toward a Theory of Cultural Trauma,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), p. 53.

<sup>8</sup> ტოლსტოი, ლევ. *ანა კარენინა*. რუსულიდან თარგმნეს ლარისა ტიტვინიძემ და თამარ საყვარელიძემ (თბილისი: პალიტრა L, 2017), გვ. 5.

ში, ეკოსეული „შექმნილი სამყაროა“ – წარმოსახული, ინტერპრეტირებული და რეპრეზენტირებული დროის, სივრცისა და მოქმედებების ერთობლიობა და ურთიერთმიმართება. მის საზღვრებს, ტექსტების მხატვრულ დროსა და სივრცეს მხოლოდ სტრესული მოვლენები განსაზღვრავს და შემოფარგლავს.

### 90-იანების გარემო

ეკოსეული სამყაროს შექმნა მის სწორად მოწყობას, წვრილმანების, თითქოს უმნიშვნელო დეტალების გათვალისწინებას გულისხმობს. ტექსტში მხატვრული დრო და სივრცე, ფიზიკური გარემო, ლანდშაფტი, ურბანული პეიზაჟები წარმოსახული სამყაროს აურას ქმნის. მას შეყავხარ ტექსტში, გაგრძნობინებს დროის რიტმს, ხასიათს, სიუჟეტის განვითარების პერსპექტივებს. 90-იანების აურა კი სტრესულია. 90-იანებში კიდევ უყვართ, იზადებიან, უხარიათ, იცინიან, ქორწინდებიან, მეგობრობენ, თუმცა ეს ყველაფერი სტრესულ გარემოში ხდება. ტრავმული აურა არის ამ სამყაროს ეთერი, როგორც სასიცოცხლო ძალა, რომელიც ყველაფერს აძლევს ფორმას. სტრესი და ტრავმა ყველაფრის უხილავი საწყისი და შემოქმედი, ყველაფრის მომწესრიგებელი და ყველაფრის ადგილის მიმჩენი.

90-იანებში იწყება ახალი ეპოქა, იქმნება ახალი რეალობა. მასში არა მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს, არამედ, პირველ რიგში, დამოკიდებულებათა და აღქმათა ცვლილების დანყებას ვგულისხმობთ. ამ უცაბედი ცვლილების დანახვა საინფორმაციო მედიაში დაცულ ტექსტებში უკეთესად შეიძლება; იქ კალენდარული სიზუსტით ჩანს ყოველივე. თუმცა, მხატვრული ტექსტები თავისი კუთხით, სიმბოლოების საშუალებით აჩვენებს მას.

90-იანებამდე ქართული რეალობის მხატვრული სიმბოლო იყო სიტყვა „მზიური“ – სინათლის, სითბოს, ბედნიერების გამოხატულება.<sup>9</sup> აქ ბედნიერებისათვის ყველაფერი ეგულებოდათ სხვებსაც და ამით ამაცობდნენ თავად ქართველები. არა მარტო თბილისის ჰიმნად, არამედ საკავშირო ჰიტად იქცა სიმღერა „თბილისო“,<sup>10</sup> რომელშიც მკაფიოდ ჩანს საბჭოთა პერიოდის ქართული სამყაროსადმი დამოკიდებულება: ბედნიერი, ხალასი, „მზისა და ვარდების მხარე“, სადაც ცხოვრება საამური. რად იქცა საბჭოთა მზიური, „მზისა და ვარდების“ სადარი მხარე 90-იანებში? როგორ აღწერენ, რა სიმბოლებით გამოხატავენ ამ ეპოქის გარემოს? როგორ იცვლება სამყაროს აღქმისა და გამოხატვის ენა? გაზაფხულიც კი – „თბილისო“-ში განახლების, სიხარულის სიმბოლო – შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ენამ, რომელიც ტრავმულად ამეტყველდება მხოლოდ იმიტომ, რომ აპრილი გაზაფხულის თვეა: „გაზაფხული ყველაზე დაუნდობელი დროა. ჟამი სხვლისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმა ქვეყანასა შინა ჩვენსა, ლელვმან გამოიღო ყვავილი თვისი. მაგრამ მიუხედავად მრავალი სიკეთისა,

<sup>9</sup> ამის გამოხატულებაა 70-იანი წლებში შექმნილი ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“ - მზიარული, ბედნიერი და ნიჭიერი პიონერები საბჭოთა კავშირის „მზიური“ მხარიდან, რომლის შესახებაც 1973 წელს ამავე სახელწოდების დოკუმენტური ფილმი გადაიღეს; ასევე, „მზიური“ - ბავშვთა ქალაქი, დასვენებისა და კულტურის პარკი ქალაქ თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში (გაიხსნა 1982 წელს). ამის შესახებ იხ. წიფურია, ბელა. *ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016).

<sup>10</sup> მუსიკის ავტორია რევაზ ლალიძე, ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკი. სიმღერა დაიწერა 1959 წელს ფილმისათვის, რომელიც თბილისის 1500 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. 1974 წელს ცნობილმა საბჭოთა ხმის ჩამწერმა სტუდია „მელოდია“ გამოუშვა ორი გრამფირფიტა ანსამბლ „ორერას“ შესრულებით, რომელშიც შევიდა სიმღერა „თბილისო.“ ამის შემდეგ სიმღერამ საკავშირო პოპულარობა მოიპოვა. 1976 წელს ნანი ბრევჯაძემ იგი შეასრულა ფესტივალზე „სიმღერა-76.“

გაზაფხული უკიდურესობამდე გაამძაფრებს ხოლმე ნებისმიერ გრძნობასაც და სენსაც და, რა განსხვავებაა, სენს მოვეკვლევივინებით თუ გრძნობებს. აბელ, თოფი იფოთლებს! (ნაიკითხე უკუღმა). შეფოთვლა ხომ იგივე შენიღბვაა, მაგრამ როგორც არ უნდა შეინიღბოს, თოფიც ნაყოფით იცნობა. თოფის ნაყოფი კი ტყვიაა.<sup>11</sup> ტრავმა, როგორც ეპოქის ეთერი, თოვლის, როგორც სიმბოლოს მნიშვნელობასაც განაპირობებს და ის უარყოფითი ხდება: „დიდი თოვლი მოვიდა. გადაბურულ იყო მთელი უბანი. აი, ისე, რომ გგონია რომ აღარასოდეს გაზაფხულდება და ასფალტზე დაყინული თოვლიც აღარასდროს გალღვება. უბერავდა ქარი, ატრიალებდა ნამქერს.“<sup>12</sup> აქ თოვლი სიცივეა, 90-იანები კი ცივი, გათოშილი სამყარო იყო. ცივი გარემოს აღწერით იწყება ბექა ქურხულის ეს მოთხრობა, სადაც შემდგომ სიუჟეტი „იმ ჩაბნელებულ და კრიმინალებით სავსე თბილისის ქუჩებში“ უნდა განვითარდეს, რომლის „თავზე გადამხობილ ცაზე გადატარებული ავტომატის ჯერის არ ეშინოდა“ გოგონას, რომელიც შუალამისას ვერის სასაფლაოზე სეირნობდა. ბიჭს მუდმივად ედო ჯიბეში „ნავაპო“ – ესპანური ფიქსატორიანი დანა, შურისძიების სიმბოლო, რომელიც „1992 წლის 24 ოქტომბერს, სკოლის ბანკეტზე აჩუქეს კულინარიელებმა,<sup>13</sup> ვიდრე იმავე ღამეს ერთმანეთს დახოცავდნენ.“<sup>14</sup> მოთხრობა 90-იანების თაობის გოგონასა და ვაჟის სიყვარულსა და ურთიერთობაზეა, რომელიც ტრავმულ გარემოში ვითარდება.

ეპოქის, მისი აღქმისა და რეპრეზენტაციის ენის უცაბედი და რადიკალური ტრანსფორმაცია კულტურული ტრავმის გამოხატულებაა. ჯეფრი ალექსანდერი კულტურულ ტრავმას სწორედ სოციალური გარემოს უეცარი და მკვეთრი ცვლილებით გამოწვეულ მდგომარეობას უწოდებს.<sup>15</sup> პიოტრ შტომპკაც, გამარჯვების ტრავმის დახასიათებისას, სისწრაფესა და რადიკალურობაზე, მოულოდნელ და შოკისმომგვრელ ეფექტზე საუბრობს.<sup>16</sup> შეცვლილი, სტრესული გარემოს აღწერა მუდმივად მეორდება სხვადასხვა ტექსტში. მათი კითხვისას მკაფიო ხდება, რომ საზოგადოება, რომლის ცხოვრებასაც ავტორი გვიყვება, მოულოდნელი ცვლილებების გამო შოკურ მდგომარეობაშია. სწორედ მსგავსი ტექსტები ყალიბდება ტრავმულ ნარატივებად, რომლებიც მოვლენებისთვის მნიშვნელობის მინიჭებასა და კოლექტიურ მეხსიერებაში მათი ადგილის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს ასრულებს:

„დახეთქილიყო მთანმინდის ქედი,  
მახათაცა,  
გორმახებიცა ნაძალადევისა,  
დახეთქილიყო გამზირები, ქუჩები, მოედნები,  
სავაგლახო ის იყო, მთანმინდა რო დახეთქილიყო:  
დაშლილიყო ერი.“<sup>17</sup>

<sup>11</sup> ჭილაძე, ოთარ. *აველუმი* (თბილისი: არტე, 2018), გვ. 10.

<sup>12</sup> ქურხული, ბექა. „ქალაქი თოვლში“, *ბექა ქურხული, ქალაქი თოვლში* (თბილისი: სიესტა, 2013), გვ. 70.

<sup>13</sup> კულინარიის სამში - 90-იანი წლების თბილისის ერთ-ერთი კრიმინალური, შეიარაღებული უზნური დაჯგუფება.

<sup>14</sup> ქურხული, „ქალაქი თოვლში“, გვ. 83.

<sup>15</sup> Alexander, „Toward a Theory of Cultural Trauma,“ p. 1-2.

<sup>16</sup> Sztompka, „The Trauma of Social Change,“ p. 158-159.

<sup>17</sup> ჩხეიძე, ოთარ. *არტიტული გადატრიალება* (თბილისი: ლომისი, 2002), გვ. 58.

„წარღვნამდელი, სიძველისგან გვერდზე გადაბრეცილი ტროლეიბუსები ძაგდაგით მიშლაპუნობენ ფეკალური წყლის ნიაღვრებში. გაურკვეველი წარმოშობის ორმოებიც ბინძური, ქაფიანი წყლითაა სავსე. ტროტუარის გასწვრივ დამხრჩვალნი, მუცელგაბერილი და ფეხებგაფარჩხული ვირთხები ყრია.“<sup>18</sup>

„ბიჭებს შავი შარვლები და შავი კურტაკები აცვიათ. ასეთი ჩაცმულობა არა მარტო შეესაბამება დროსა და გარემოს, არამედ უფრო მოსახერხებელიცაა შესანიღბად, ვერ გაარჩევ ვინ ვინ არის, მშრომელი თუ უსაქმური, სწავლული თუ ლაზღანდარა, სოფლელი თუ ქალაქელი.“<sup>19</sup>

„მაგრამ შუალამისას მაინც შინ ჯდომა სჯობს. სჯობს შინ იკანკალო კურდღელივით, ბეტონის სოროში. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასედაც იქცევიან არა მარტო მაცურებლები, არამედ მსახიობებიც. საკუთარ სოროებში სხედან და კანკალებენ, სახიფათო სიბნელეს მიყურადებულნი. ახლა ღამით ქუჩაში რომ გახვიდე, ან სულელი უნდა იყო, ან თავზე ხელაღებულნი. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ უნდა შეეგუო იმ აზრს, ყოველ გავსვლაზე, უკანასკნელად რომ გადიხარ შინიდან, შენი სურვილით ხდება ეს თუ იძულებით, თანამოქალაქეთა დაჟინებული მოთხოვნით – გამოდი, გვერდში დაგვიდექი, ნუ იმალები სოროშიო. ტელევიზორს ჩართავ და, დიქტორიც მაშინვე შემოგჩივლებს, ესა და ეს, ასეთი და ასეთი, ამა და ამ დღეს შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა, მაგრამ ჩვენ ვერაფრით მივაკვლიეთ და იქნებ შენ მაინც დაგვაყენო გზაზეო.“<sup>20</sup>

„თბილისში მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო. მინგრეულ-მონგრეული და გაუბედურებული, სულ კვამლში გახვეული ქალაქი პურის რიგებითა და მთელი უბედურებებით იყო სავსე.“<sup>21</sup>

„გადაადგილებას ერთ ადგილზე დგომა ჯობდა, რადგან მოძრაობა სახიფათო იყო.“<sup>22</sup>

„ჩვენი ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანებოდა.“<sup>23</sup>

„ასეთი სიყვარულითა და წვალებით ნალოლიავებმა გერმანულმა, ჩეხურმა თუ ჩინურმა სერვიზებმა მისაღები ოთახის კედლის კარადებიდან, მშრალი ხიდის შავ ბაზარზე გადაინაცვლა.“<sup>24</sup>

„სხვა უამრავი ადგილიც შემოვიარე, გაძარცვული ფაბრიკების შენობები, დაცარიელებული სკოლები და გაუქმებული სტამბები.“<sup>25</sup>

„აღარ ვაქცევდით ყურადღებას, ახალ ამბებში ქურდობაზე, ყაჩაღობა-სა და მკვლევლობაზე რომ მიუთითებდნენ. გვიხაროდა დღის ბოლოს, რომ ცოცხლები ვიყავით.“<sup>26</sup>

„ყველაფერს შევეჩვიეთ.“<sup>27</sup> „სასტიკ რეალობაში გვინევდა ცხოვრება.“<sup>28</sup>

<sup>18</sup> ჭილაძე, აველუმი, გვ. 6.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>21</sup> მორჩილაძე, აკა. მამლუქი (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019), გვ. 89.

<sup>22</sup> ზულაძე, ლაშა. პატარა ქვეყანა (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018), გვ. 52.

<sup>23</sup> ხარატიშვილი, ნინო. მერვე სიცოცხლე (ბრილკას). გერმანულიდან თარგმან ნინო ზურდულმა (თბილისი: ინტელექტი, 2019), გვ. 1018.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 1019.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 1022.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 1050.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 1051.

„სილატაკით გავილახეთ. სამივენი. [...] ოჯახი. მიკროსამყარო. ქაოსი მიკროსამყაროში. მინისძვრა. ღვარცოფი. შავი ქირი. სილატაკის ყოველდღიურობა, რომელიც ასეთი შეუბრალებელი მიზანდასახულობით აგროვებს ადამიანებში უიმედობას.“<sup>29</sup>

ამონარიდები აღმავალი ხაზით, ქრონოლოგიურად არის დალაგებული, 90-იანებიდან დღემდე. 90-იანები ყველა ეტაპზე ერთნაირად ტრავმული ჩანს. თხრობის ენა ტრავმულია, სიუჟეტი ტრავმულ გარემოში ვითარდება. ამონარიდები კონკრეტულ ტრაგედიას კი არა, ტრავმულ გარემოს აღწერენ. ეს მხატვრული ნარატივებით კონსტრუირებული კულტურული ტრავმის მკაფიო რეპრეზენტაციაა, რომელიც 30 წლის განმავლობაში სხვადასხვა ტექსტში მეორდება.

ნაირა გელაშვილის მოთხრობა „დიდება“ 90-იანების დასაწყისზე შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო მეტაფორაა, რადგან, თუ ზემოთ მოტანილ ამონარიდებში ყველაფერი პირდაპირ, თითქმის რეალურად არის მოთხრობილი, ეს ტექსტი იგავია და სწორედ ამ იგავურ თხრობაშია მისი ხიბლი.

„დიდება“ ქართული ხალხური ზღაპრების საფუძველზე შექმნილი ზღაპარია. ეს არის „ზღაპარი ზღაპრებზე“, სიმბოლოებითა და კულტურული ნიმუშებით დატვირთული ტექსტი. ჩვენი კვლევის თვალსაზრისით, არაფერი განსაკუთრებული და გამორჩეული არ იქნებოდა, რომ არა თარიღი - მოთხრობა 1991 წელს არის დაწერილი. მოთხრობის ბოლოს დასმული ეს თარიღი ერთგვარი დამლა, რომელიც გავალდებულებს, მისი გააზრებისთვის ისტორიზმს მიმართო და ეს 1991 წელი ნაწარმოების გაგების პარადიგმად აქციო. ასეთი მიდგომა მიგვანიშნებს იმ წლების ტრავმულობაზე, რადგან 30 წლის თავზე 90-იანების ხსენება ერთგვარ ჩარჩოში გაქცევს, გბოჭავს და ყველაფრის კულტურული ტრავმის პარადიგმიდან დანახვის, ამ კუთხით განზოგადებისკენ გიბიძგებს.

90-იანების მეტაფორად გააზრების უფლებას თუ იმპულსს ტექსტში მოტანილი მნიშვნელოვანი პასაჟები გვაძლევს. თითქოს ზღაპრულ ნაწარმოებში ავტორი ზედმინევენით ზუსტად აღწერს გარემოს, სადაც ხდება მოქმედება. „ეს შავი წყალი სასაფლაოს მხრიდან მოიწვევა, საფლავებს ჩამოუდის...“ „მართალია, ტყე არსადაა და ირემსაც რა უნდა, მაგრამ ზოოპარკი ხომ აქვია... ეს მდინარეც იქ ჩადის?“<sup>30</sup> როგორც ლიტერატურათმცოდნე ლევან ბრეგვაძე წერილში „ზღაპრები ზღაპრებზე, თანაც წინასწარმეტყველური“<sup>31</sup> წერს, „თბილისის მცნობი მკითხველი უთუოდ მიხვდება, მდინარე ვერესა და მის ხეობაზე რომ არის საუბარი. ანუ ზღაპარში რეალური გარემოს, ნამდვილად არსებული ლოკუსის კონტურები გამოიკვეთება.“ კრიტიკოსის თქმით, მწერალი მართლაც მდინარე ვერეს ხეობასთან ახლოს ცხოვრობს, ამდენად, „რამდენჯერ დამინახავს ფანჯრიდან“<sup>32</sup> – ესეც დოკუმენტური დეტალია ზღაპარში. რეალობიდან არარეალურში, აბსტრაქტულიდან კონკრეტულში, წარმოსახულიდან დოკუმენ-

<sup>29</sup> სამსონაძე, ირაკლი. „ყურთბალიში,“ ირაკლი სამსონაძე, *ლევან საათი* (თბილისი: ინტელექტი, 2019), გვ. 16.

<sup>30</sup> გელაშვილი, ნაირა. „დიდება,“ *ქართული ალტერნატიული პროზა. ნაირა გელაშვილი* (თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016), გვ. 214.

<sup>31</sup> ლევან ბრეგვაძის აზრით, მოთხრობაში ნაწინასწარმეტყველევია 2015 წლის 13 ივნისს თბილისში მდინარე ვერეს ადიდების შედეგად დატრიალებული ტრაგედია.

<sup>32</sup> ბრეგვაძე, ლევან. „ზღაპარი ზღაპრებზე - თანაც წინასწარმეტყველური!“ ლევან ბრეგვაძე, *პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში* (თბილისი: არტანუჯი, 2020), გვ. 132.

ტურში მოძრაობა პოსტმოდერნული ტექსტებისათვის არის დამახასიათებელი, მით უმეტეს, როდესაც ტექსტში ასეთი მკაფიო მინიშნებებია.

„ჩვენს ქალაქში მკბენარები გაჩნდა, ბავშვებს გაუჩნდათ. მოედო ბაგა-ბა-ლებსა და სკოლა-ინტერნატებს. წარმოუდგენელ დღეში ჩაცვივდნენ ისედაც გასავათებული დედები.“<sup>33</sup> გარდა მაცხოვრებლებისა, მკბენარი ქართული ხალხური ზღაპრის გმირებსაც შეესევა. იმდენად დამძიმდება მდგომარეობა, რომ ზღაპრის სასწაულმოქმედი პერსონაჟები გაოგნებულნი ამბობენ: „უცნაურია, რატომღაც აღარაფერი აღარ მოქმედებს, არც ნატვრისთვალი, არც სასწაულმოქმედი პერანგი, რა ქვეყანაა ამისთანა.“<sup>34</sup> „მთელი მდინარის და ვენახის ასე მონამვლა, ეს ხომ უბადლო ხელოვნებაა! ეტყობა, რომელიღაც სახელმწიფოს ამ სამეფოს ერთიანი ამონყვეტა განუზრახავს.“<sup>35</sup> თუკი კულტურული ნიმუშის მიხედვით ვიმსჯელებთ, ტექსტში არსებული წარმოსახული და ზღაპრული სიმბოლოების დოკუმენტურ დეტალებად ქცევაც შესაძლებელია, რადგან მდინარეცა და ვენახიც საქართველოს სიმბოლოებია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ზღვის დიდი ზოლი ეკვრის, ქართულ კულტურაში მდინარეს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ზღაპრებში, არამედ ლიტერატურაშიც (ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და, ზოგადად, თერგდალეულები, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ და ა. შ.), ხოლო ვენახი ქართული კულტურის, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. ასევე სიმბოლოურია ვენახის დარაჯი „მკვდარი თეთრი ძაღლი,“ რომელსაც ვერ აცოცხლებენ ზღაპრის გმირები. ქართული მოდარაჯე მთის ძაღლი – თართი, იგივე მეცხვარე, იგივე ყაზბეგურა – თეთრი ფერისაა, თანაც მისი წარმოშობის ადგილი და ძირითადი საცხოვრებელი სწორედ იქაა, სადაც საქართველოსა და რუსეთის მთავარი საზღვარია, რომელიც ასევე მდინარეზე გადის – მთაში, თერგთან.

ავტორი ტექსტში კულტურული ნიმუშების – საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული ხატების – მეშვეობით მნიშვნელობას ანიჭებს მოვლენებს და გვიბიძგებს, ზღაპრად მოყოლილი ამბავი რეალურის იგავურ თხრობად აღვიქვათ.<sup>36</sup> ამდენად, გამოდის, რომ ამოსანყვეტად განწირული „სამეფო“ და ამ განზრახვის მოსურნე „სახელმწიფო,“ თუ სვანტე კორნელის მნიშვნელოვანი ნაშრომის სათაურს გადავათამაშებთ, „მცირე ერის“ („სამეფო“ – საქართველო) და „დიდი ძალის“ („სახელმწიფო“ – რუსეთი) სიმბოლოა და ყველაფერი ლოგიკურად ლაგდება. ეს არის პასუხი ტრავმული ნარატივის ერთ-ერთ კითხვაზე – ვინ არის მტერი?

თავად დიდება ვინ არის?

დიდება ძალზე ხნიერია, „თითქმის ასი წლის,“ მან იცის ყველაფერი: ზღაპრები, თქმულებები, იგავ-არაკები, ანდაზები, ლექსები და გამოცანები. მან იცის სამკურნალო ბალახები, შარბათ-მაღამოთა დამზადება, ამინდის გამოცნობა, სიზმრების ახსნა და შელოცვები. ზღაპრის გმირები დიდებას გარშემო არიან შემომსხდარნი და მას უსმენენ, რადგან ის არის მთავარი მთხრობელი, ზღაპრის გმირები დიდებას ტექსტში არსებობენ. თუ დიდება არ მოყვება, ისინი გაქრები-

<sup>33</sup> გელაშვილი, „დიდება,“ გვ. 194.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 210.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 212.

<sup>36</sup> Assmann, Aleida. “Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), p. 44.



ან, აღარ იარსებებენ, გაქრება ეს ზღაპრული სამყარო. დიდება წარსულია; წარსული – არა როგორც დასრულებული, არამედ წარსული, როგორც საყრდენი, ქვაკუთხედი, რაზეც ვდგავართ; წარსული, რომელიც არსებობს აწმყოშიც და მომავალშიც; წარსული, რომელიც კულტურის, დროისა და სივრცის, მთლიანობის, ერთიანობის ხერხემალია.

არიან რძლები და რძლების რძლები – იქნებ, საბჭოთა აწმყოს სიმბოლოები? ისინი ბავშვებს მოაშორებენ მკბენარს. მაგრამ არ აქვთ დრო, დიდებას გრძელ თმას მიხედონ. დიდება თმის გადაპარსვაზე უარს აცხადებს და რძლები მას სახლიდან მოშორებით არსებულ მიწის ნაგლეჯზე მდგარ ფიცრულში გაასახლებენ.

და არის შვილთაშვილი – მომავლის სიმბოლო.

ეს რამდენიმე თაობა ქართული რეალობის, მთლიანობის მეტაფორაა. მკბენართა შემოსევამ – იქნებ, საბჭოთა რეალობამ? – ეს მთლიანობა მოარღვია, თუმცა ჯერ ვერ გააქრო, რადგან შვილთაშვილს დიდება ენატრება, ფანჯრიდან გაჰყურებს მას, ხმას ვერ აწვდენს, არ აქვს კავშირი, თუმცა ხედავს მას და დარდობს, ითხოვს მასთან წასვლას.

დიდება ჩუმდება. „ქალები ტირიან... თმას ივარცხნიან, ტირიან... კაცები და რაშები ნერვიულობენ.“<sup>37</sup> ეს 90-იანების გაზღაპრებული დოკუმენტური დეტალებია, მისი აღწერაა, რადგან 90-იანებში ყველა თავის საქმეს აკეთებდა: კაცები ნერვიულობდნენ და იხოცებოდნენ, ქალები კი ტიროდნენ.

„ზეცას ავყურებ. ვხედავ, ცის კიდიდან შავი ღრუბელი მოცურავს. ღრუბელი კი არა, მთელი ქალაქია, კოშკებიან-ხომალდებიანი. მართალია, მიხარია, რომ ბავშვობის შემდეგ აქ, ამ ქალაქში პირველად გამოჩნდა ასეთი დიდებული და გამაოგნები ღრუბელი. მაგრამ შიშით ვამჩნევ, რომ ეს ღრუბელი რაღაც უცნაურ სიშავეს გამოსცემს და თანდათან უფრო მუქდება.“<sup>38</sup> ესეც რეალობის აღწერაა, დოკუმენტური დეტალებია. ავტორი 1947 წელსაა დაბადებული, მის ბავშვობაში მოხდა 9 მარტი. იქნებ, ეს პარალელია, პარადიგმულ მოვლენათა რეზონანსის, უფრო ძველი და ახალი მნიშვნელოვანი მოვლენების ურთიერთქმედების რეპრეზენტაცია, როცა ადრე მომხდარი ფაქტი ქვეცნობიერად განსაზღვრავს, აყალიბებს, ფორმას აძლევს შემდეგში მომხდარს.<sup>39</sup> იქნებ, ეს საშიში შავი ღრუბელი თავისუფლების სურვილია და ამიტომაც არის მისი გამოჩენა თან ძალიან საშიში და თანაც – სასიხარულო. მკითხველისთვის ეს შავი ღრუბელი ტრიუმფალური ტრავმის სიმბოლო შეიძლება იყოს, 90-იანებიდან აღქმული, 9 აპრილით გაცოცხლებული 9 მარტის მოთხრობილი იგავი.

ტექსტში მკაფიო მხატვრულ მინიშნებებს ვაწყდებით. დედის კითხვას – „ეგებ ირმის რძემ უშველოს,“ ბავშვი პასუხობს – „გალიაში რომ ირემია, იმისი რძე უშველის?“ დატყვევებული ირმის რძე, ალბათ, დიდებას ვერ დაეხმარება, ამისთვის ის უნდა გათავისუფლდეს. შვილის პასუხი, შეიძლება, თავისუფლებისკენ სწრაფვის სიმბოლოდ აღვიქვათ, რომელიც 1980-იანებიდან საყოველთაო გახდა.

სიუჟეტი კულმინაციას აღწევს. „მდინარე უკვე ნაპირებს გამოსცდა და ყველაფერი დააჭაობა.“<sup>40</sup> გამოსავალი აღარ ჩანს. საფრთხობელაც კი უკვე წელს ზევით მოჩანს.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 203.

<sup>39</sup> Assmann, „Impact and Resonance,“ p. 45.

<sup>40</sup> გელაშვილი, „დიდება,“ გვ. 215.

და ბავშვი გადანყვეტს ყველაფერს.

არა დედის გამოცდილება, არამედ ბავშვის რწმენა, „ზღაპრული“ სიყვარული და დიდი სურვილი დიდებას გამოხსნის, დაბრუნების. მას სჯერა ზღაპრების, სასწაულების. საგვარეულო ჭალიდან ჩამოხსნილი ბროლის ბურთულით, როგორც ნატვრისთვლით ხელში, კრავად იქცევა და მდინარის ზვირთებზე გაიბნენს, ქართული თქმულების უარყოფით პერსონაჟს, აბესალომისა და ეთერის სიყვარულის ჩამშლელ მურმანს ჯადო-სიტყვებს ათქმევინებს, მკბენარებს (საბჭოთა რეალობის სიმბოლო) მდინარის მოვარდნილ, აზვირთებულ წყალს (ახალი დროების სიმბოლო) გაატანს და მფრინავი ხალიჩის გამოყენებით გადაარჩენს დიდებასა და მის გარშემო შემომსხდარ ზღაპრის გმირებს. „დიდებასათვის ხელი ჩაუვლია და მდინარეს მოსდგომიან... ახლა წყალს გადმოვივლიან, მე ნაძვებიდან ჩამოვალ და ჩვენ სახლში წავალთ.“<sup>41</sup> რადგან ზღაპრის ბოლო კეთილი უნდა იყოს, 1991 წელს აღქმული და დანახული ახალი რეალობა – ახლად გამოჩენილი, ერთდროულად სასიხარულო და საშიში შავი ღრუბლის ამბავიც – აუცილებლად კარგად უნდა დამთავრდეს. ტექსტი ტრიუმფალური ტრავმის იგავური რეპრეზენტაციაა.

მელანქოლიური გარემოს აღწერა არა კონკრეტული ავტორის სტილი, არამედ ეპოქის ტრავმულობის დამსახურებაა. თხრობა ერთნაირად სტრესულია ყველა ავტორთან ყველა დროში: ივა ფეზუაშვილმა 2020 წელს გამოცემულ მცირე რომანს „ბუნკერი“<sup>42</sup> უწოდა. საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წლებში აშენებულ მრავალსართულიან სახლებში ნაგავსაყრელი ბუნკერები კორპუსშივე იყო ჩაშენებული, საიდანაც მუდმივად მყრალი სუნი ვრცელდებოდა სართულებსა და სადარბაზოებში. ავტორმა ნაგავსაყრელი ბუნკერი უახლესი წარსულის სიმბოლოდ აქცია და 2017 წლიდან დანახული 90-იანი წლების ეპოქა გააცოცხლა; ეპოქა, სადაც გარემო სწორედ ნაგავსაყრელი ბუნკერივით მყრალი იყო. ბესო ხვედელიძემ 2018 წლიდან დანახულ და წარმოსახულ 90-იანების სამყაროს „მკვდრების ქალაქი“ უწოდა;<sup>43</sup> შოთა იათაშვილმა მოთხრობას „ავადმყოფი ქალაქი“ დაარქვა და დაწერის თარიღად 1992 წლის იანვარ-მარტი დააკონკრეტა. ნაირა გელაშვილის „დიდებას“ დაწერის თარიღისა არ იყოს, ესეც ტექსტის გააზრების პარადიგმა ხდება. 1992 წლის იანვარ-მარტში თბილისი, უდავოდ, „ავადმყოფი ქალაქი“ იყო. როგორია იათაშვილის 90-იანების სამყარო? „მე ავადმყოფ ქალაქში ვცხოვრობ. [...] ავადმყოფი ქალაქიდან გაღწევა თითქმის შეუძლებელია. [...] ავადმყოფები ქალაქის საზღვრებს გარეთ არავის სჭირდება.“ საჭმლის შესაძენად რიგში მდგარი ახალგაზრდა ქალები ხუთ კაცთან ერთდროულ სექსს განიხილავენ; რიგში ქალი და კაცი ჩხუბობენ; კაცი იარაღს ისვრის; ვიღაც ხელყუმბარით შევარდება და კონსერვებს გაიტაცებს; მთავარი საკვები კი არის „ტარაკნის ჯემი“ და „თაგვის კონსერვი.“ ქალაქი ცხოვრება კი არა, მხოლოდ სტრესია: „ურჩხული ტანზე ასხმული ფანჯრებჩალენილი სახლებით, ქვემეხებით, ცალხელა და ცალფეხა მამაკაცებით, გაუპატიურებული ქალებით, სისხლში არეული ტვინით, დაჭმუჭნული ქალაღდით, რომელზეც წერია 'გაზაფხული აღარ მოვა,' გარ-

<sup>41</sup> იქვე, გვ. 213.

<sup>42</sup> ფეზუაშვილი, ივა. *ბუნკერი* (თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი, 2020).

<sup>43</sup> ხვედელიძე, ბესო. *მკვდრების ქალაქი* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018).

ყვნილი დით, რომელსაც გაყინულთვალეებიანი ქმარი ყელს დადრავს, თავის კონსერვით, მანიფესტანტებით, რომლებიც ავტომატის ჯერს ცლიან ჰაერში, პოეტით, რომელიც წიგნების ნაცვლად პრეზერვატივებს ყიდის... ნამოვიდა ურჩხული, რომელსაც სახელად ჩემი ქალაქი ერქვა.“<sup>44</sup> მაგრამ იმედი მაინც ჩანს. ქალაქში ბევრი ყვაილია, რომელსაც, მართალია, ვერავენ ამჩნევს, მაგრამ ერთი კაცი მაინც არის – „ქალაქის ხნის მათუსალა,“ რომელიც ამჩნევს, კრეფს ყვავილებს და მღერის „უსაშველოდ ლამაზ და უსაშველოდ მარადიულ სიმღერას.“ ვინ არის ბრილკა?

1200 გვერდიან ტექსტში თეთრი ფურცელი. ის სწორედ ნაირა გელაშვილის კრავად ქცეული ბავშვია – მომავალი, მომავლის რწმენა – ამიტომაც არის თეთრი ფურცელი. ნინო ხარატიშვილის რომანში „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ 1200 გვერდი იმიტომ არის დაწერილი, რომ თეთრი ფურცლით დასრულებულიყო, უფრო უზუსტად კი დასასრული არ დაწერილიყო, რადგან რომანის დასასრული მომავლის დასაწყისია, მერვე სიცოცხლე იწყება – ციფრი 8 ხომ მარადისობის სიმბოლოა. ხოლო მანამდე მთელი 1200 გვერდი ტრავმის ასახვაა, რომელსაც ქვემოთ კვლავ მივუბრუნდებით.

ოთარ ჭილაძის „აველუმი“ ასევე 90-იანების მეტაფორაა. ინგრევა ორი იმპერია – საბჭოთა და მეორე – წარმოსახული, „აველუმის საკუთარი, უფრო სწორად, მარტო მისთვის არსებული, მის გულში დამალული სიყვარულის იმპერია.“<sup>45</sup> როგორც ლიტერატურათმცოდნე მანანა კვაჭანტირაძე წერს, 90-იანების „ტრავმის მიზეზები: ბოროტების და სიყვარულის იმპერიათა რეზონანსული თანხვედრა; პიროვნული და იმპერიული კატასტროფების ურთიერთგამსჭვავლა, რაც იწვევს ნგრევის საყოველთაო ტრანსგრესიას ყველა დონეზე; ოპოზიციურ წყვილთაგან ერთის გაქრობა, რაც მეორის დაკარგვასაც მოასწავებს.“<sup>46</sup> ეს იმპერია ქალებისგან შედგება: ცოლი, შვილი, შვილიშვილი და ორი საყვარელი – ფრანგი და რუსი ეროვნებისა. აველუმის ეს იმპერია საქართველოს მეტაფორაა, მისი სხვადასხვა გამოვლინებით. ცოლი საქართველოს წარსულია, შვილი 90-იანების, ხოლო შვილიშვილი – მომავლის სიმბოლო. ფრანგი ევროპისადმი საქართველოს დამოკიდებულების, რუსი კი რუსეთისადმი დამოკიდებულების სიმბოლოა. იშლება ორივე იმპერია, რადგან გარდამავალი პერიოდი განაპირობებს მიდგომების, დამოკიდებულებებისა და აღქმების ცვლილებას. „სიყვარულის იმპერია“ იდენტობის ერთგვარი სიმბოლოა, რომლის „შესაქმნელადაც, ვინ იცის, რამდენ ცეცხლში გავლა, რამდენ ყულფში გაძვრომა, რამდენი ხერელისა და სოროს მონახვა დასჭირდა თავის დროზე“<sup>47</sup> აველუმს, ამიტომ მის ნგრევას მტკივნეულად აღიქვამს.

რისგან შედგება, როდის, სად, როგორ და რატომ თამაშდება 90-იანები ლიტერატურაში? ის არ იწყება 1991 წლის თბილისის ომით, არც 1989 წლის 9 აპრილით. ეს ორი მთვარი ტრავედია აცოცხლებს და იბამს მანამდე მომხდარ ამბებს. ამიტომაც, ლიტერატურაში 90-იანების ანმეოს საწყისი დაკავშირებულია სხვა მოვლენებთან, ტრაგიკულ დროსა და სივრცესთან:

<sup>44</sup> იათაშვილი, შოთა. „ავადმყოფი ქალაქი,“ შოთა იათაშვილი, *მიზიდულობა* (თბილისი: პალიტრა L, 2012), გვ. 87.

<sup>45</sup> ჭილაძე, აველუმი, გვ. 18.

<sup>46</sup> კვაჭანტირაძე, თამაზ. „წელი პირველი,“ *ლიტერატურული საქართველო*, 13 აპრილი, 1990, N 15, გვ. 65.

<sup>47</sup> ჭილაძე, აველუმი, გვ. 7.

- ავღანეთის ომი – 1979-1989
- ჩერნობილის კატასტროფა – 1986 წლის 26 აპრილი
- სტიქია სვანეთში – 1987 წელი
- სპიტაკის მიწისძვრა – 1988 წლის 7 დეკემბერი
- სტიქია აჭარაში – 1989 წელი
- ყარაბაღის კონფლიქტი – 1988 წლიდან
- ჩაუშესკუს დახვერტა – 1989 წელი
- იუგოსლავიის ომი – 1991 წლიდან.

ეს არის ჩამონათვალი იმ მოვლენებისა, რომლებიდანაც ან იწყება 90-იანების სამყაროზე თხრობა და სიუჟეტის განვითარება, ან ტექსტების შინაარსი მოიცავს მათ. ესენია 90-იანების შემადგენელი ერთგვარი კომპონენტები, სადაც ტრავმულია მოქმედებაც, მოქმედების დროცა და სივრცეც.

ტექსტებში, გარდა აღწერილი ანმყო დროისა, საინტერესოა მხატვრული დროის წარსული:

- 1956 წლის 9 მარტი
- საბჭოთა რეპრესიები
- გასაბჭოება.

ეს ის ტრავმული მოვლენებია, რომლებსაც ასევე 90-იანების გამარჯვების ტრავმა აცოცხლებს, როგორც რეზონანსი, რომელიც ძველ და ახალ მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს,<sup>48</sup> დრო, სივრცე და მოქმედება ამ შემთხვევაშიც ტრაგიკული მოვლენებით იფარგლება.

დიდი, „სამყაროს“ შემომფარგვლელი სივრცეების გარდა, ტექსტებში მოცემულია ტოპონიმიკა, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ სცენებს, სადაც თამაშდება 90-იანები, როგორც მოვლენა. ამ ტოპონიმიკამ თავისთავად შეიძინა ტრავმულ-ტრიუმფალური მნიშვნელობა, როგორც მთლიანი „სამყაროს“ შემადგენელმა ნაწილმა. ცალ-ცალკე აღებული დასახელებები, შეიძლება, არაფერს გვეუბნება, მაგრამ თუკი მათ ერთად ჩამოვწერთ, უკვე ნარატივი იქმნება:

- ლიხნი
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- რუსთაველის გამზირი
- პარლამენტის წინა სივრცე
- ქაშეთი.

ეს უკვე ნარატივია, ერთგვარი ასოციაციური თამაში. ამ დასახელებებს თითქმის აღარაფერი სჭირდება იმისათვის, რომ 1989 წლის 9 აპრილის სცენა გაცოცხლდეს.

- კინოს სახლი
- ტელევიზიის კიბეები
- რკონი
- თბილისის ზღვა
- პარლამენტის წინა სივრცე

<sup>48</sup> Assmann, “Impact and Resonance,” p. 45.

- სასტუმრო „თბილისი“
- ქაშვეთი
- ბუნკერი
- დიდუბის მეტრო
- ცირკი
- ჩელუსკინელების ხიდი
- სამეგრელო.

ესეც ნარატივია, ამ სახელწოდებებსაც არაფერი სჭირდება იმისათვის, რომ თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების სცენა აღიდგინო გონებაში.

- მიტინგი
- ეროვნული
- გაუმარჯოს!
- ძირს!
- სუკის აგენტი
- პუტჩი
- „მხედრიონი“
- გვარდია
- კრიმინოგენური სიტუაცია.

ეს არის „დროის ხასიათი. სიტყვიდან ნაგრძნობი დროის სულისკვეთება“,“<sup>49</sup> სიტყვების ნაწილი, რომელთა ჩამონათვალი 90-იანების ასოციაციას იწვევს.

თუ კვლავ ეკოს მოვიშველიებთ: „შუა საუკუნეებში ტაძრები და მონასტრები ფიჩხივით იწვოდა და იმდროინდელი ამბავი ხანძრის გარეშე იგივეა, რაც ომზე გადაღებული ფილმი – აღმოდებული თვითმფრინავის გარეშე.“<sup>50</sup> ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. ამ კომპონენტების გარეშე 90-იანების სამყარო არ არსებობს. 90-იანებზე წერისას ამ კომპონენტების გამოიყენება „სავალდებულოა,“ სხვაგვარად 90-იანების სამყაროს შექმნა შეუძლებელია.

### 90-იანების ანმყო

აკა მორჩილაძის „მამლუქის“ მთავარი გმირი ავღანეთის ვეტერანია, ბექა ქურხულის „სამოთხიდან გაქცეულების“ მთავარი გმირიც ავღანეთიდან ჩამოდის, ავღანეთზე ამ ტექსტში ვრცელი თხრობაა. ეს ლოგიკური ჩანს, რადგან ავღანეთი პირველი ბრძოლის ველია, სადაც 90-იანების თაობამ სისხლისღვრა ნახა, რომელიც მერე აღარასდროს დამთავრდა მათ ცხოვრებაში და ხან თბილისისა და სამოქალაქო, ცხინვალისა და აფხაზეთის, ხანაც ქუჩური გარჩევებისა და საძმოებს შორის უაზროდ ატეხილ ომებად დაატყდათ თავს. ივა ფეხუაშვილის რომანი „ბუნკერი“ ყარაბაღის ომიდან თბილისში გამოქცეული სიმონიანების ოჯახის საგაა.

ოთარ ჭილაძის „აველუმში,“ ძირითადი ამბის თხრობამდე, ხშირადაა საუბარი ბუნებრივ კატასტროფებზე და ეს გარდამავალი ეპოქის სიმძიმესთან ასოცირდება. ავტორი მომავლის უიმედობაზე საუბრობს, შიშზე, სამყაროს აღსასრულზე: „დიახაც, გვიახლოვდება ქვეყნის აღსასრული. პატარის სიკვდილით იწყება დიდის სიკვდილი. თუმცა, ამ შემთხვევაში, უფრო თვითმკვლელობასთან

<sup>49</sup> სამსონაძე, „ყურთბალიში,“ გვ. 24.

<sup>50</sup> ეკო, „ბოლოთქმა ‘ვარდის სახელისთვის’,“ გვ. 707.

გვაქვს საქმე, ვიდრე ბუნებრივ სიკვიდლთან.<sup>51</sup> შპენგლერისეული „ევროპის და-ისის“ მსგავს ამ მსჯელობას მოჰყვება საქართველოს ამბავი: „ჯერ იყო და, ათი მეტრის სიმაღლე წითელი თოვლი დადო სვანეთში. [...] დეკემბრის მიწისძვრამ მთელი საქართველო შეარყია და საკმაოდ სახიფათოდაც.“<sup>52</sup> ამავე ნაწარმოების დასაწყისში, როდესაც ავტორი იწყებს სივრცის შემოფარგვლას და დეკორაციის მონყოფას, სადაც შემდეგ სიუჟეტი უნდა გათამაშდეს და ეს სივრცე აუცილებლად სტრესულ გარემოდ უნდა გამოაჩინოს, ერთ-ერთ კომპონენტად ჩერნობილის ტრაგედიას იყენებს: „რამდენიმე ჩერნობილური გრიპი ერთდროულად მძვინვარებს კავკასიის ქალაქთა შორის ულამაზეს ქალაქში.“<sup>53</sup>

უკვე ოცდამეერთე საუკუნეში ნინო ხარატიშვილის მიერ გერმანულად მოთხრობილ ქართულ ამბავში ომის გეოგრაფია თუ გონებითწვდომადი სივრცე კიდევ უფრო გაფართოებულია. „ასე ფეხაკრევით ვუვლიდით გარს იმ ომს, თვალეებს ვხუჭავდით, ხოლო როცა დენი გქვონდა, ტელევიზორში იუგოსლავიის ომის კადრებს ვუყურებდით. რამდენად უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო, სხვის ომზე შეგვტკიოდა გული, მადლიერებიც კი ვიყავით, რომ შესაძლებლობა გვეძლეოდა, საკუთარი ომი დაგვევინყებინა. სასტიკ რეალობაში გვინვედა ცხოვრება.“<sup>54</sup>

გოგი გვახარია 9 აპრილის თხრობას ნიგში „ცრემლიანი სათვალე“ ჩაუშესკუს ამბით იწყებს: „ყველაფერი გადაიღეს. როგორ მიაყენეს ცოლ-ქმარი კედელთან, როგორ ესროლეს.“<sup>55</sup>

ნაწარმოებებში ნახსენებია ადგილები წყნარი მსოფლიოდან. მაგალითად, აკა მორჩილაძის მოთხრობა „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ასე იწყება: „ნიცაში მინდა.“<sup>56</sup> ესეც ტრავმის გამომხატველია, რადგან ნიცა ჩაკეტილი, ბნელი, ტრავმული სივრციდან გაღწევის, სიმშვიდისა და მოდუნების სიმბოლოა: „დამესიზმრა, თუ რა იყო, არ ვიცი... თორემ რა ნიცა უნდა გამხსენებოდა ამ სიბნელეში: არც ღამით იყო შუქი და არც ახლაა – დილით.“<sup>57</sup> ეს ის მიუღწეველი, საოცნებო ადგილია, რომელიც რეალური სივრცის მიღმაა. რეალური სივრცე კი ბნელი და ცივია, აკა მორჩილაძის სარკასტული აღწერით: „ფანტასტიკური სანახაობაა, ნიფხავი და სანთელი. მოკლედ, დაიბანე-ნუ დაიბან, მაინც ქლიავს გავხარ. მარტო მე კი არა, ყველა, რალაც ჩამოგრძობული სიფათები გაგვიხდა. დროა ეგეთი, დაქლიავების კლასიკური ჟამი.“<sup>58</sup> სიცივე კი 90-იანების მნიშვნელოვანი სიმბოლოა, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მთელ საქართველოში აიტაცეს ხუმრობა: ვინც ამ ზამთარს გადავრჩებით, ფოტო ერთად გადავიღოთ და საქართველო დავანეროთო.

პერიოდი, ამ სარკაზმნარევი ხუმრობის გარდა, სისხლიანია; გარემო, სადაც ასევე არაფერს ცვლის დრო, ამ მოთხრობაშიც სისხლშია გაყინული, მხოლოდ არა ომის, არამედ კრიმინალური გარჩევების სისხლში. როდესაც მოთხრობაში ხევაებსა და ტყეებში მცხოვრები ქუჩის ძაღლების გუნდების ცხოვრების აღწე-

<sup>51</sup> ჭილაძე, *აველუმი*, გვ. 8.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>54</sup> ხარატიშვილი, *მერვე სიცოცხლე (ბრილკას)*, გვ. 1051.

<sup>55</sup> გვახარია, გოგი. *ცრემლიანი სათვალე* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013), გვ. 216.

<sup>56</sup> მორჩილაძე, აკა. *ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017), გვ. 3.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 4.

რას კითხულობ – როგორ დარბიან საშოვარზე, მტრობენ და ხოცავენ, თავს ეს-ხმიან გამვლელ-გამომვლელსა და ერთმანეთს, შიშის ზარს სცემენ დღისა და ღამის ქალაქს – ნათლად წარმოიდგენ 90-იანების საძმოების ცხოვრების წესით მცხოვრებ თბილისსა და მთლიან საქართველოს. დამოუკიდებელ საქართველოს, სადაც ნაცნობებს შორის სასაუბრო მხოლოდ ის იყო, რომ „უბანში ორისამი დღეა არავინ მოუკლავთ და არავისთვის წაურთმევიათ რამე.“<sup>59</sup>

აკა მორჩილადვე ერთ-ერთი პირველია დამოუკიდებელი საქართველოს ახალი თაობის მწერლებში, რომელიც იწყებს ქართული ლიტერატურისათვის სრულიად ახალი ენით წერას. ეს არის 90-იანების ყოველდღიური ენა, იმ პერიოდის სლენგი. აქ არ არის საუბარი უწმანური სიტყვების გამოყენებაზე, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი იდეალურად ახერხებს მისი გამოყენების გარეშე ალაპარაკოს გმირები 90-იანების სლენგით, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია, თუ გავითვალისწინებთ ამ სლენგის „ზრდილობის“ მასშტაბებს. „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ამის მკაფიო მაგალითია. 90-იანების ენა ზუსტად ისეთი იყო, როგორც ეს მოთხრობაა დაწერილი, როგორც მთხრობელი და მისი გმირები საუბრობენ: დაძაბული, სტრესული, მელანქოლიური, პესიმისტური, ყველაფრის მიმართ ინტერესდაკარგული, საქმის მექანიკურად კეთების, ცხოვრების მექანიკურობის გამომხატველი: „დაიბანე-ნუ დაიბან, მაინც ქლიავს გავხარ“ – ზუსტად ასეთი.

ენის მელანქოლიურობა და პესიმისტურობა არ არის იმის შედეგი, რომ მოთხრობა 90-იანებშივეა დაწერილი. ეს ხასიათი ენას კარგი მწერლის ხელში ავტომატურად ეძლევა, როცა ეპოქის შესახებ მოყოლას იწყებს. ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობა „ზინკა ადამიანი“ აგერ ახლახანს, ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულში დაიწერა. როგორც ლიტერატურადმცოდნე ლევან ცაგარელი აცხადებს, ეს არის მოთხრობა-რექვიემი, რაც იმთავითვე ნათელი ხდება<sup>60</sup> – ავტორი წიგნს უძღვნის დედის მეგობრებს: „ლამაზ გოგოებს, რომლებიც მეოცე საუკუნეში დარჩნენ.“<sup>61</sup> კოლორიტულ, თბილისურ ე.წ. „იტალიური ტიპის“ ეზოში მცხოვრები ადამიანების ტრაგიკული და ზღაპრული ამბების თხრობით, ავტორი აცოცხლებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ნამდვილ ამბებს. გარდა ამ ადამიანების პირადი ტრაგედიებისა და განცდებისა, ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ მთლიანად გარემოა სტრესული; იმდენად სტრესული, რომ, თუმცა იმთავითვე იცი, რა სახის ტექსტთან გაქვს საქმე, შოკისმომგვრელად მოულოდნელად დაგატყდება თავს ამბავი: „ალარაფერი მორჩება და ალარაფერი დალაგდება, ზინკა. თემიკო და ზურიკო აღარ არიან. [...] ბიჭების დაკრძალვის მეორე დღეს, ალიონზე, სუფთად გაპარსულმა, საგულდაგულოდ გამონყობილმა, ორდენით მკერდდამშვენებულმა დათამ თავისი ტაბელური იარაღით მოიკლა თავი.“<sup>62</sup> რატომ მოკლეს თემიკო და ზურიკო, რატომ მოიკლა თავი დათამ? მიზეზი აქაც 90-იანებია.

სხვა ტექსტებისგან განსხვავებით, აქ არ არის მოცემული თარიღები, არ არ-

<sup>59</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>60</sup> „ზინკა ადამიანი“ - ლევან ცაგარელი, YouTube, 28 მარტი, 2019, <https://bit.ly/334Ixxr> (წანახია 02.02.2021).

<sup>61</sup> კორძაია-სამადაშვილი, ანა. *ზინკა ადამიანი* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019), გვ. 152.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 78.

ის დაზუსტებული ქუჩები და სახელები, მაგრამ 90-იანების სივრცე მაინც განსაზღვრულ-შემოფარგლულია ქვეთავეების ქვეშ მინერილი ეპიგრაფებით:

- „შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო...“ – ამონარიდი სიმღერიდან, რომელიც 9 აპრილის სიმბოლოა.
- „შუქი მოვიდა“ – 90-იანების რეალობა.
- „ნიცაში მინდა“ – აკა მორჩილაძის 90-იანების სტრესული სივრცის გარღვევის სურვილის გადმოთამაშება.
- „ვიციდი ყველაფერს, რაც ძველია, ბებიაშენის გარდა“ – გაჭირვება.

ეპიგრაფების გარდა, ტექსტში მიმოფანტულია 90-იანების კომპონენტები:

- „როცა ზაურამ თავისი მოსკვიჩი აგურებზე შეაყენა და ხმამალა განაცხადა: მორჩა და გათავდა! ერთ ძალიან ცივ დღეს პაპამ და ზინკამ აივნიდან დაინახეს: სადღაც ბოლი ავარდა, ეს არ იყო ზინკას ნანატრი სოკო. ქალაქი იწვოდა, გული<sup>63</sup> – კრიმინალი და თბილისის ომი.
- „აქამდე ტანკების ნახვაც მოასწრო და კომენდანტის საათიც გადააგორა, მაგრამ შიში არ გასჩენია. ახლა კი ეშინოდა, ბოლოსაც<sup>64</sup> – 9 აპრილი და თბილისის ომი.
- ეს ზამთარი არ მორჩება არასოდეს, არც ომი მორჩება<sup>65</sup> – თბილისის ომი.

ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული რეფლექსია 90-იანებზე აკა მორჩილაძეს ეკუთვნის – „მოგ ზაურობა ყარაბაღში.“ რომანის ეკრანიზაციას „გასეირნება ყარაბაღში“ ეწოდა და ამით კიდევ უფრო გაესვა ხაზი ეპოქის არანორმალურობას, უფრო მეტად ირონიულ-სარკასტული გახდა სათაური – „გასეირნება ყარაბაღში,“ ანუ გასეირნება ომში. რომანში სივრცე ჩაკეტილი, ომით, უარყოფითი ენერგიით გაჯერებულია. „სამყარო“ მხოლოდ იმ სივრცეებშია წარმოდგენილი და გაშლილი, სადაც ომია. დრო კი, თითქოს, არც გადის, უმოძრაოა, მისი ცვალებადობა არ შეიმჩნევა, იგი არაფერს/ვერაფერს ცვლის. დრო სივრცეში გაშლილ ომშია გაშეშებული-გაქვავებული.

აკა მორჩილაძე პროფესიით ისტორიკოსია, რამაც, ალბათ, განაპირობა კიდევ, რომ იგი იქცა მეოცე საუკუნის საქართველოს მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული მოვლენების აღმწერ შემოქმედად. „მოგ ზაურობა ყარაბაღში“ 1992 წელს, 26 წლის ასაკში, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „თბილისისა და აფხაზეთის ომებს შორისაა დანერგილი, ანუ ცხინვალის ომის ბოლო ხანებში.“<sup>66</sup>

რომანში პირველივე წინადადება ტრავმულია, რამდენიმე სტრიქონშია ჩატეული პერიოდის ტრაგიკულობა. ავტორი იმთავითვე ხაზს უსვამს, რომ პერიოდის კონტექსტის განმსაზღვრელი პოლიტიკური დაპირისპირებაა: „აქ ომი იყო თუ რაღაც, რაც ქვია – აი, ის რომ გაიქცა და მერე რომ... მოკლედ, ეგ ამბები საერთოდ არ მიზიდავდა აქამდე, ახლა მითუმეტეს.“ მართალია, არ იზიდავს, მაგრამ უნდა ახსენოს, რადგან რომანში წარმოდგენილი ამბავი სწორედ ამ მოვლენითაა განპირობებული, სახელიც კი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული – „ომი თუ რაღაც.“ ამბავი მუდმივი ომისა და დაპირისპირებების ფონზე ვითარდება: მამისა და შვილის, ზვიადისა და „პუტჩისტების“, სომხებისა და აზერბაიჯანელების. რომანი ცალსახად ტრავმული ნარატივია, თავად ავტორი 2004 წლის გამოცემის წი-

<sup>63</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>64</sup> იქვე

<sup>65</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>66</sup> მორჩილაძე, აკა. *მოგ ზაურობა ყარაბაღში* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017), გვ. 5-6.



ნასიტყვაობაში აღნიშნავს: „წერისას იმას მივხვდი, რომ საიდანლაც უკიდევანო აგრესია მოდიოდა. არც მიცდია, რომ მოვრეოდი, ვერც მოვერეოდი.“<sup>67</sup>

ეს ნარატივი აკა მორჩილადის სხვა ნაწარმოებებშიც გრძელდება. ჩვენი კვლევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექსტია მოთხრობა „მამლუქი“, რომელიც „ყარაბაღის“ გამოსვლიდან ათი წლის თავზე დაიწერა. ერთ-ერთი „მუაზიური რესპუბლიკის ავტონომიური ოლქის, ქირაბაღის,“ უკანასკნელი ხანის ვაჟიშვილი ბედისწერამ პატარა ქართულ ქალაქში მიიყვანა და სამუდამოდ დააკავშირა ერთ ჩვეულებრივ ქართველ ბიჭთან. პერსონაჟთა თავგადასავლის თხრობისას, მკითხველი ეცნობა 90-იანი წლების საქართველოს ტრაგიკულ ამბებს. ეს ტექსტი ერთ-ერთი კარგი არგუმენტი იმისა, რომ 90-იანი წლების მოვლენები ცალსახად თავსდება გამარჯვების ტრავმის ამბივალენტურ ბუნებაში. ნაწარმოები დროის დაზუსტებით იწყება. „პიტერ გოლდსმიტს იმ დროიდან ვიცნობ, როცა ჩვენთან ისროდნენ,“<sup>68</sup> დრო ტრავმული მოვლენებით აღიქმება და ნაწილდება. ერთი წინადადება და უკვე ნათელია, მოქმედება 90-იანებში ხდება.

მთავარი გმირი ავღანეთში ნაომარი, უმაღლეს განათლებამიღებული მამაკაცია, რომელიც სამშობლოში დაბრუნების მერე მუშაობას მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იწყებს. ეს ფაქტი საგულისხმოა, რადგან მუზეუმში მეხსიერების ადგილია, სადაც, გარდა კომუნისტების დროს საჭირო აქტიური მეხსიერებისა, შენახული, დაფარული და მიჩქმალულია სხვა მეხსიერებებიც.

მუზეუმის ახლებურად „ნაკითხვის“ საჭიროებაც მალე გაჩნდა: ნაწარმოებში ჩნდება კომუნისტების დროს დახვრეტილი ერისთავის შთამომავალი, რომელიც ბაბუის დახვრეტის შემდეგ ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. კომუნისტების მმართველობის უკანასკნელ პერიოდში დაბრუნდა სამშობლოში, წინაპრების ნამოსახლარზე და, პირველ რიგში, სწორედ მუზეუმში წავიდა მათი ნაქონი ნივთების სანახავად და ამბების გასაგებად. მას ნივთების მოძიება და დაბრუნება უნდოდა, რაზეც დამლაგებელმა ბაბუცამ იტირა ბედნიერებისგან, ნაკომუნისტარმა და ნაჩინოვნიკარმა დირექტორმა კი ინერვიულა. დრო იცვლება, პარადგიმა იცვლება.

შტომპკას მიერ განსაზღვრული მახასიათებლების მიხედვით, მოვლენა ტრავმად იქცევა მაშინ, როდესაც იგი არის უცაბედი, ყოვლისმომცველი, ღრმა ტკივილისა და შოკური განცდის შემქმნელი. „მამლუქი“ აღწერილი სამყარო სწორედ ასეთია. ტექსტში პირდაპირაა დაზუსტებული: „ამბავი უცებ დაიწყო. გაზაფხული იყო. თბილისში უკვე მომხდარიყო ის ცუდი ამბავი, რუსის ჯარისკაცებმა რომ ხალხი დახოცეს.“<sup>69</sup> „ამასობაში კი ქვეყანაში ახალი დროშები ფრიალებდა. ყოველდღე ყველაფერი იცვლებოდა. [...] მძიმე დრო მოდიოდა.“<sup>70</sup>

დროის სწრაფი ცვლილებისა და მისი შედეგის ხაზგასმა სხვა ტექსტებშიც მკაფიოა. ოთარ ჭილაძე რომანში „აველუმი“ ცვლილების შესახებ შიშით საუბრობს: „ამას ველოდით, მოვესწარით და... გვეშინია. იმიტომ გვეშინია, ამას რომ არ ველოდით. არც გვიფიქრია ამაზე. ვინ იფიქრებდა? ერთბაშად იქცა წარსულად, რაც ჯერ კიდევ გუშინ მარადიული გვეგონა. კვარცხლბეკზე მარტო ცალი ფეხი დარჩენილა. ისიც მუხლსქვემოთ. მაგრამ ვითომ ესეც ნიშნავს რამეს?!

<sup>67</sup> იქვე, გვ. 7-8.

<sup>68</sup> მორჩილადე, *მამლუქი*, გვ. 3.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 70.

მოზრუნდება ვითომ?!“<sup>71</sup> პასაჟი მკაფიოდ აჩვენებს, რომ შეიძლება, დამოუკიდებლობის სურვილი არსებობდა, მაგრამ უცაბედმა ცვლილებამ, სიხარულის ნაცვლად, შიში მოიტანა; მიღწეულმა გამარჯვებამ, გაუმჯობესების ნაცვლად, ცხოვრების გაუარესება გამოიწვია.

დისონანსი მოლოდინსა და რეალობას შორის გამარჯვების ტრავმის ჩამოყალიბების წინაპირობაა. „ცხოვრება სულ უფრო და უფრო ჭირდა. ქვეყანას უკვე თავისი მთავრობა ყავდა და რუსეთისგან გამოყოფაც გამოცხადებული იყო, მაგრამ სიმშვიდე არ ჩანდა. ეგრე უცებ რას მორჩებოდა, ამდენი ხნის დაკეტილი რომ გაიღო. ჯერ მხოლოდ იწყებოდა. ცხოვრება სულ უფრო და უფრო ჭირდა...“ „ქალაქი რალაცნაირად გაუბადრუკდა.“<sup>72</sup> მოულოდნელობის შედეგად შექმნილი რეალობა ყველაზე პარადოქსული ფაქტია, რადგან ამ ცვლილებებზე ხალხი ოცნებობდა, იბრძოდა მისთვის. ის კეთილდღეობის მომტანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტკივილის მომტანი აღმოჩნდა.

შტომპკას მიერ ნახსენები ტრავმის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება – განათლება, ინგლისურის ცოდნა – ასევე ზუსტად აქვს აღწერილი აკა მორჩილადქეს: „მამლუქის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალზე საუბრისას, მეორეს სწორედ ასე ეუბნება – „უცხო ენა უნდა ისწავლო როგორმე... მე როგორც ვატყობ ინგლისური ჯობია. რალაც უნდა ისწავლო. სხვანაირი ცხოვრება მოდის.“<sup>73</sup>

90-იანების გარემოს აღწერის თვალსაზრისით, საინტერესოა პასაჟი, სადაც თბილისზეა საუბარი. ომი ახალი დამთავრებულია, მინგრეულ-მონგრეული ქალაქი, პურის რიგები, ავტომატიანი ხალხი, „სროლა და საშინელება იყო, მეტი არაფერი.“<sup>74</sup> სიტუაცია იმდენად მძიმეა, რომ მთავარი გმირი გადაწყვეტს, აღარ გასცდეს თავის ქალაქს, სადაც ქელებების მეტი არაფერი იყო. „ერთადერთი შვება ჩემთვის ღამე იყო, როცა მე და თამრიკო ვიფუთნებოდით და ვლაპარაკობდით. [...] შორიდან სროლის ხმაც გვესმოდა, მაგრამ ამაზე უკეთესი ცხოვრებაში არაფერი გვექონდა. ეგებ მართლა არც არის ამაზე უკეთესი რამე.“<sup>75</sup>

სოციალური ცვლილებებით გამოწვეული სირთულეები ადამიანებს ცვლის. „ისეთი დრო იყო, რომ გაჭირვებები ერთმანეთზე მოდიოდა. ამ დროს ჩემი ძმის ამბავიც გავიგეთ: დედაჩემი რომ შიშისფეთებაში იყო, ომში რამე არ მოუვიდესო, ის თბილისში ყოფილა ვიღაცებთან ერთად და ყაჩაღობდა.“<sup>76</sup> დროზე გადაბრალება ძმის ავკაცობის და მასზე ხელისდაფარების, მისი საქციელის გამართლების მიზნით არ დასჭირვებია ავტორს, „ნამდვილად ასე იყო, დროების ბრალია ადამიანთა შეცვლა, გაავაზაკება, გაფუჭება. უბედური ცხოვრება იყო. ვერც გადმოვცემ, ისეთი.“<sup>77</sup>

ბავშვური კითხვა: როგორია რომანის ბოლო? უპასუხოდ რჩება. სიკვდილით არავინ კვდება, მაგრამ ერთი ომიდან ჩამოსვლით დაწყებული ამბავი სხვა ომით მთავრდება, შუაში კიდევ ბევრი ომების გავლით. მთავარი გმირი ქირბალის

<sup>71</sup> ჭილაძე, *აველუმი*, გვ. 3.

<sup>72</sup> მორჩილადქეს, *მამლუქი*, გვ. 88.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>76</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 105.

ხანის წერილს მიღებს, სადაც ხანი საკუთარი ქვეყნის დაბრუნებისთვის საჭირო ომზე საუბრობს.

„მქონდა. ვიყავი. ვიყავი. მქონდა. ეს საზოგადოება ყოფილების საზოგადოებაა. მე ამ საზოგადოების ღირსეული წევრი ვარ. ადრე ვწერდი. მერე წვრილმანი კონტრაბანდისტი გავხდი. ყოფილი მწერალი ყოფილების საზოგადოებაში. მეც მათსავით. ტაქსის მძღოლი ყოფილი მშენებელია. საამშენებლო ფირმის მეპატრონე ყოფილი ექიმი. ძველმა ბიჭმა კალკულატორი გაიჩინა. სპორტსმენს პოლიტიკოსობა სურს. გლეხი გავაჭრდა.“<sup>78</sup>

ამონარიდი ირაკლი სამოსონაძის მოთხრობიდან „ყურთბალიში“ კარგად აჩვენებს, რომ სოციალური გარემოს უცაბედმა ცვლილებამ, 90-იანების ტრავმებმა იდენტობათა ცვლილება განაპირობა. ხალხს უცნობ გამონწვევებთან გამკლავება გაუჭირდა. წარსულში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ახალ რეალობაში გამოუსადეგარი გახდა. ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. მხატვრულ ტექსტებში კარგად ჩანს, რომ ძველი, ძირითადად, უარყოფითი ახლით ჩანაცვლდა, ადამიანები გაუუცხოვდნენ ერთმანეთს და საკუთარ თავებს.

პიოტრ შტომპკა კულტურული ტრავმის გაანალიზებისას ასკვნის, რომ საზოგადოების მიერ დიდი სოციალური ცვლილებებით გამონწვეული მდგომარეობა საფრთხის განცდას ბადებს; ადამიანებს ეუფლებათ შფოთვა, დაუცველობის გრძნობა, უიმედობა, ჩნდება უნდობლობა როგორც სხვა ადამიანების, ასევე ინსტიტუტების მიმართ, მომავლისადმი პესიმისტური განწყობა.<sup>79</sup> 90-იანებზე შექმნილი მხატვრული ტექსტების პერსონაჟები ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილი ადამიანები არიან. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი გამორჩეული ტექსტია არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო.“ იგი ურბანული რომანია, რომელშიც მოქმედება ერთი დღის განმავლობაში ვითარდება. რეჟისორი, რომელიც კინოს აღარასოდეს გადაიღებს, თავის ბინას მეგობარს უთმობს საყვარელ ქალთან შესახვედრად, თავად კი, დრო რომ გაიყვანოს, თბილისის ქუჩებში დაეხეტება. როგორც გიგა ზედანია სტატიაში „სპილოს გადამალვა“ აცხადებს, „სპილო“ კულტურის ცენტრიდან არის დაწერილი. არა იმიტომ, რომ მისი მოქმედება თბილისის ცენტრალურ უბნებში ვითარდება, არამედ იმიტომ, რომ მისი გმირი იზიარებს საზოგადოების ცენტრალურ ღირებულებებს და მოიაზრებს თავს მათ მატარებლად. ეს მას აძლევს გარკვეულ ცოდნას – გმირმა იცის, როგორ არის მონყობილი მისი გარემო, როგორი იყო მისი ისტორია, იცის სიმართლე ოჯახის წევრებზე, საყვარლებსა და მეგობრებზე. რაც მთავარია, ის ცდილობს, არ მოიტყუოს თავი.<sup>80</sup>

რომანში არის ერთი საინტერესო პერსონაჟი, მთავარი გმირის მეზობელი, მისი მეგობრის, მედიკოს მამა, ძია როსტომი. იგი მუსიკოსი იყო, წარმატებული მუსიკოსი. მაგრამ რეალობის ცვლილებამ სრულიად შეცვალა ძია როსტომი, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთი გახდა. „თბილისის ომმა, რომელიც სასტუმრო „ივერიას“ არც კი გამოსცდენია და ჩვენამდე არ მოსულა, სამუდამოდ სახლში დასვა მუსიკოსი და, მგონი, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ბედნიერ

<sup>78</sup> სამოსონაძე, „ყურთბალიში“, გვ. 6.

<sup>79</sup> Sztompka, The Trauma of Social Change, p. 165-166.

<sup>80</sup> ზედანია, გიგა. „სპილოს გადამალვა.“ რადიო თავისუფლება, 14 სექტემბერი, 2017, <https://bit.ly/3JLdP0k> (ნანახია 11.05.2021).

ადამიანად აქცია. რადგან მას აღარაფერი აინტერესებდა საკუთარი ყვავილები-სა და ფირფიტების კოლექციის გარდა.“<sup>81</sup> „ნაყარალარი თუ ნაყარალარი ფულით შეყვარებულისათვის ნაყიდი საჩუქარი თბილისის ომიდან სულ მალე გაჩნდა ძია როსტომის ქუჩაზე.“ ორ ნაბიჯში მომხდარი გადატრიალება მედიკოსათვის ახალი ცხოვრების ათვლის ნერტილი გახდა – ახლა ყავდა მანქანა, რომელშიც არასოდეს ჩაჯდებოდა და მამა, რომელიც უკვე აღარასდროს გავიდოდა სახლიდან; მთელ უბანში და, მგონი, მთელ ქალაქში ძია როსტომი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც არ იცოდა, რომ მათი ფანჯრის წინ დაყენებული „ბე-ემ-ვე“ მის შვილს ეკუთვნოდა.<sup>82</sup> შეიძლება ითქვას, რომ ძია როსტომი 90-იანების ტრავმულმა გარემომ მარგინალად აქცია. ტრავმის სიმძაფრე კი იმაშია, რომ მარგინალობა თავდაცვის, ადამიანური ღირსებების შენარჩუნების, თვითგადარჩენის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა.

განსხვავებულად ტრავიკული პერსონაჟია მთავარი გმირის კურსელის, როზეტას ბიძაშვილი „ენერგო ყაჩალი,“ რომელმაც „მთლად საქართველოს რესპუბლიკას გამოუცხადა ომი.“ საინტერესოა მთხრობელის დამოკიდებულება პიროვნებისადმი: იგი ცალსახად დამნაშავეა, ავტომატს ესროდა ელექტროგადამცემ ხაზებს და აზიანებდა, მაგრამ მთხრობელი თითქოს ამართლებს ენერგო ყაჩალს: „ყველაზე მეტად ის აბრაზებდა, რომ დენი მავთულების ზრიალ-ზრიალით მიდიოდა სადღაც, მაშინ როცა მისი სოფელი და მთელი სვანეთი კუნაპეტ ბნელში იყო ჩაფლული.“<sup>83</sup>

ტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია მთავარი გმირის დედა. დედა-შვილის თანაცხოვრება პრობლემური იყო. უბედურება კი ისაა, რომ შეიძლებოდა ეს პრობლემები არ ყოფილიყო, ისინი არა დედა-შვილის ერთმანეთთან შეუთანხმებლობამ, არამედ ქვეყანაში არსებულმა ზოგადმა კონტექსტმა განაპირობა. „ქვეებს დედაჩემიც ისროდა“<sup>84</sup> – ამ სიტყვებით შემოყავს ავტორს მთავარი გმირისა და მთხრობელის დედა წიგნში. ეს მონაკვეთი სწორედ იმის დასტურია, რომ 90-იანი წლების მოვლენები ტრავმულია. თავად ეს მოკლე წინადადება ცალკე აბზაცადაა ნაწარმოებში გატანილი და გამოკვეთილი. ქვა პირველყოფილი იარაღია, ეს არის სიმბოლო და ხაზგასმა იმისა, რომ 90-იანების რეალობა პირველყოფილობამდე დავიდა, პირველ რიგში – სწორედ მორალის კუთხით. გარდა ამისა, ქვის სროლა ქართულ ენაში არაადეკვატურობის, არანორმალური ქცევის გამომხატველია.

მეორე მნიშვნელოვანი სიმბოლოა მინა. დედა არქეოლოგია, მას მიწასთან აქვს საქმე. მინა სიცოცხლის, შობის, დედობრივი, ქალური სანყისის, ნაყოფიერების სიმბოლოა. მაგრამ საინტერესო სწორედ ის არის, რომ ჩვენი პერსონაჟი ისე გალევს ცხოვრებას, ვერაფერს აღმოაჩენს. არ არსებობს მინა, რომელიც არქეოლოგიურ სიმდიდრეს არ ინახავს, მაგრამ ეს არაპროფესიონალიზმის ბრალი კი არ არის, დედა ბერწია, ბერწია არა ფიზიკური გამრავლების თვალსაზრისით – მას შვილი ჰყავს – არამედ, შემოქმედებითი, პროფესიული თვალსაზრისით, ის ვერაფერს პოულობს, რადგან ენერგიას სხვაგან ხარჯავს, ამოოდ, მტრის

<sup>81</sup> ქიქოძე, არჩილ. *სამხრეთული სპილო* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2016), გვ. 25.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>84</sup> იქვე, გვ. 106.

ძიებაში, ქვის სროლაში. ამ თავის სიბერნეს თავადვე დასცინის: იბარებს, სიკვდილის მერე საფლავეში ჩააყოლონ ბრინჯაოს ხელცული, რათა თუკი ვინმე მის საფლავს გათხრის, საგონებელში ჩააგდოს და თავგზა აუბნოს.

ეს მონაკვეთი სხვა თვალსაზრისითაც საინტერესოა: „ერთადერთი რამე მატირებდა, რომ თურმე დედას ქონია იუმორი!.. ამ აღმოჩენამ ლამის გულზე გამხეთქა. იუმორი ჰქონდა და მთელ სამყაროს უმაღავდა, საკუთარ შვილსაც კი. იუმორით ხომ სულ სხვანაირად შეგვეძლო გვეცხოვრა.“<sup>85</sup> მაგრამ სხვანაირად შეუძლებელი იყო, რადგან 90-იანების გარემო არ იძლეოდა სხვაგვარად მოქცევის საშუალებას: მხოლოდ ქვის სროლა.

ქვის სროლის მიზეზი კი მკაფიოდაა დაზუსტებული: დედა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეა. იგი თბილისის ომის ტრაგედიით აგრძელებს დარჩენილ ცხოვრებას. მონინალმდევე ბანაკში კი ეგულება ქმარი, რომელსაც გაშორებულია. ტექსტში აღნიშნულია 90-იანების ყველაზე მძიმე შედეგი: „თბილისის ომამდე და მის მერეც სახელმწიფო მუზეუმი ორად იყო გაყოფილი. თანამშრომლები წლობით არ სცემდნენ ერთმანეთს ხმას. ‘პუტრისტები’ და ‘ზვიადისტები’.“ დაპირისპირება იმდენად მკაფიო, ღრმა და მუდმივი იყო, რომ „დისერტაციების დაცვის მერე ბანკეტებზე ხელჩართულ ჩხუბამდე მიდიოდა საქმე.“ მთავარი სალანძღავი სიტყვა კი „პუტრისტობა“ იყო: „შვილი ვერ გამომადგა პატრიოტი. საუკეთესო მეგობარი პუტრისტი ჰყავს, იმ მეგობრის მამა კიდეც მთლად ჯიბიდან გავარდნილი პუტრისტი, ლოთი, საზიზღარი, უმეცარი!“<sup>86</sup> სამოქალაქო დაპირისპირებით მიღებულმა ტრავმამ განაპირობა მთავარი გმირის დედის ცხოვრება, მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი, დაყოფა კარგებად და ცუდებად, დამოკიდებულება შვილისადმი. „უბრალოდ ვილაპარაკებდით მხოლოდ ჩვენ ორნი, პირველი და მეორე პრეზიდენტების, მათი მომხრეებისა და შემგინებლების გარეშე. არ ქნა. არ მოინდომა. [...] პუტრისტების, შვეარდნაძის, მასონების, ვინ იცის კიდეც ვის წყევლაში გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი თხუთმეტი წელიწადი და ლოგინად ჩავარდნილსაც მეტი არაფერი უკეთებია. [...] დედას სიკვდილამდე ეყო ძალა და ბოღმა.“<sup>87</sup> ეს ბოღმა და ძალა კი უსამართლობის განცდამ განაპირობა. მხატვრულ წარმოსახვაში გამოძერწილი პერსონაჟი, მისი შინაგანი სამყარო, ქცევა, ცხოვრების წესი და ამბები, რაც მის გარშემო ხდება, არ არის ერთეული შემთხვევა. მთავარი გმირის დედის თავგადასავლის განზოგადება მართებულია, რადგან მოგვიტხრობს გამარჯვების ტრავმით დეზორიენტირებული, აპათიითა და შფოთვით შეპყრობილი, იდენტობამორღვეული<sup>88</sup> 90-იანების საზოგადოების შესახებ.

არჩილ ქიქოძე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მდგომარეობას აღწერს: „ბრძოლის წაგებას აქვს თავისი პრივილეგიები. წამებული და მსხვერპლი შენ გამოდიხარ და მონინალმდევე კი – ჯალათი და ყასაბი. დედაც ბოლომდე სარგებლობდა ამ პრივილეგიებით, გამსახურდიას გაქცევის მერე არ გამოუტოვებია პირველი პრეზიდენტის მომხრეთა არცერთი მიტინგი, რომლებსაც არბევდნენ, ესროდნენ, ხანდახან კლავდნენ კიდეც. ისროდა ქვებს და საპა-

<sup>85</sup> იქვე, გვ.112.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 108.

<sup>88</sup> Sztompka, „The Trauma of Social Change“, p. 165-166.

სუხოდ იღებდა ტყვიებს. რამდენჯერ მიძებნია ქუჩა-ქუჩა და თავის დარბეულ თანამოაზრეებთან ერთად რამე ჩიხში ან ვინმეს ბინაში შეფარებული მიპოვია – ყოველთვის ალგზნებული და თვალებანთებული და არასოდეს – შეშინებული.“<sup>89</sup>

მეორე მხარეს კი მამა იდგა. უფრო სწორად, ოჯახიდან წასული ქმარი დედას ბარიკადების მიღმა ეგულებოდა, რადგან ის ცუდ ადამიანად მიაჩნდა, ხოლო ვინც ცუდი იყო, ბარიკადებს მიღმა ავტომატით ხელში უნდა მდგარიყო. ეს ოჯახი ერთგვარი სიმბოლოა 90-იანების დანაწევრებული, ერთმანეთს დაპირისპირებული საქართველოსი.

გამარჯვების ტრავმამ, რომელმაც ყირაზე დააყენა სოციალური და კულტურული რეალობა, დაადგინა თამაშის ახალი წესები და საზოგადოების ყველაზე ღრმა შრეებში შეაღწია, განსაზღვრა ოჯახის ისტორია, რომელსაც ზაირა არსენიშვილი გვიყვება ნაწარმოებში „ერთსა კაცსა ბლისკინელსა.“ „რა ბედნიერებაა, რომ ასე უყვართ ერთმანეთიო, ამდენი წლების მანძილზე ასე შეინარჩუნეს მღელვარება და სინაზე ერთმანეთის მიმართ.“<sup>90</sup> ერთი ცოლ-ქმრის ისტორია ასე იწყება, ჰარმონიასა და ურთიერთგაგებაზეა აწყობილი. ირაკლი და ზიზი ერთმანეთის ხასიათს, ქცევებს, ცხოვრების წესებს სრულიად გაგებით ხვდებიან და სიამტკბილობით თანაცხოვრობენ. 90-იანებში დაწყებულმა მოვლენებმა კი რადიკალურად შეცვალა მათი თანაცხოვრება.

„9 აპრილის შემდეგ [...] ირაკლი კრიტიკულად განენყო ნაციონალისტური ორიენტაციის მომხრე ლიდერთა მიმართ, და მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, თავისდა სამწუხაროდ, ირაკლი და ზიზი დაპირისპირებულთა შორის აღმოჩნდნენ, სხვადასხვა ნაპირებზე და თავთავიანთი ნაპირებიდან ყველაფერს სხვადასხვანაირად ხედავდნენ და სხვადასხვანაირად აფასებდნენ. თანდათან მათი ურთიერთობა ჯერ კამათად, მერე კინკლაობად, ჩხუბად, და ბოლოს კი საშინელ შერკინებადაც კი იქცა. ირაკლის თბილისში წამოსვლა აღარ ახალისებდა, იშვიათადაც მოდიოდა. ზიზიც, რომელიც პრეზიდენტის, ხოლო შემდეგ ექს-პრეზიდენტის თავგადაკლული მხარდამჭერი გახდა, უმალ სამუშაოს თავს გაანებებდა, ვიდრე მიტინგებს, შეკრებებს, მსვლელობებს უღალატებდა.“<sup>91</sup>

არა ადამიანების პიროვნულმა შეუთავსებლობამ, არამედ ტრავმული ეპოქის გამონვევებმა განაპირობა ჰარმონიული ოჯახის დანგრევა. ზაირა არსენიშვილის მოთხრობილი ამბავი არ არის მხოლოდ კონკრეტული ოჯახის ისტორია, ის 90-იანების დანაწევრებული, უიმედოდ ურთიერთდაპირისპირებული საზოგადოების განზოგადებული სახეა.

საინტერესოა 90-იანების პერსონაჟები, ანუ ისინი, რომელთა არსებობა გულისხმობს 90-იანებს, ან პირიქით, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია 90-იანები. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟი, როგორც მას თავად „სამხრეთული სპილოს“ მთავარი გმირი და მოთხრობელი უწოდებს, „არტელშიკი“ მამაა. ამ ტიპის ადამიანებს ზოგი „ცეხავიკებს“, ზოგიც „ძელეცებს“ უწოდებს. ეს არის ნებისმიერი, მათ შორის უკანონო და ამორალური საშუალებებით ფულის „მშოვნელი“ საზოგადოება, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან არსებობს და საბჭოთა კორუფციული სისტე-

<sup>89</sup> იქვე, გვ. 107.

<sup>90</sup> არსენიშვილი, ზაირა. „ერთსა კაცსა ბლისკინელსა“, *ქართული მწერლობა* (ივლისი, 2010): გვ. 16, <https://bit.ly/32WlPex> (ნანახია 29.05.2021).

<sup>91</sup> იქვე, გვ. 18.

მის შედეგია. ისინი 90-იანებსაც მოერგნენ და თავიანთი ცხოვრების წესი დააკანონეს, იყიდეს ყველა, ვისი ყიდვაც შეძლეს, ისინი კლავდნენ და ციხეში სხვები სხდებოდნენ, თავად კი საქეიფოდ მიდიოდნენ რესტორანში. საბჭოთა პერიოდის შემდეგ ამ ტიპის ადამიანებმა ტრანსფორმაცია განიცადეს და 90-იანებში მორწმუნენი გახდნენ, იმდენად, რომ რამდენიმე სასულიერო პირთან ერთად სასწაულმოქმედ ხატსაც კი მოასვენებდნენ მთვრალეები თვითმფრინავით.<sup>92</sup>

ადამიანების მეტამორფოზა დამახასიათებელი იყო 90-იანებისათვის. რელიგიას, გარდა „არტელშიკებისა“ და კრიმინალებისა, ყოფილი სუკის თანამშრომლებიც ამოეფარნენ. გოგი გვახარია წიგნში „ცრემლიანი სათვალე“ ამ ტიპის მოვლენას მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით აღწერს. იგი საუბრობს უშიშროების თანამშრომელთან შეხვედრაზე გერმანიაში წასვლის წინ. ეს ეპიზოდი 1989 წლის 9 აპრილიდან მალევე მოხდა. უშიშროების მიზანი იყო, რომ მას გერმანიაში არაფერი მოეყოლა 9 აპრილის თაობაზე. უშიშროების წარმომადგენელ მამაკაცს ფოლაქშეხსნილ პერანგზე და „თავის ქერა ბანჯგვლებზე უზარმაზარი ჯვარი ქონდა გადმოპრტყიალებული.“<sup>93</sup> ზოგადად, გოგი გვახარიას თქმით, ეს იყო ფასეულობების აღრევის დრო, როდესაც შესაძლებელი იყო გენახათ პორტრეტი „ჩოხაში ჩაცმული ‘სუკის’ ატირებული აგენტი პოლკოვნიკისა, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიითა შენუხებული.“<sup>94</sup> კომუნიზმის, ლენინისა და სტალინის ოდების ავტორები დამოუკიდებლობის, ეროვნული მოძრაობის დიდებაზე გადავიდნენ. პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ძველი და ახალი მნიშვნელობების აღრევა. „ეს ჯვარი პატრიარქმა მაჩუქა. არასდროს ვიხსნი, მაგრამ ჯიბეში პარტილეთიც მიდევს და არც მაგას ვიშორებ, ორივე თან დამაქვს, იმიტომ, რომ ორივე ჩემია და მემამაყება.“ ლაშა ბულაძე აღწერს შექმნილ სიტუაციას, რომელიც ხშირად კომიკურადაც გადაიქცევა: „ბატონ იესოს აღდგომას გილოცავთ, ამხანაგებო!“<sup>95</sup> – მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის „სტილისტურად და ისტორიულად გაუმართავი“ და თითქოს უცნაური მიმართვა ზედმინვენით მკაფიოდ ასახავს შექმნილ რეალობას.

ახალი და ძველი მნიშვნელობების, ღირებულებების აღრევა ყოველთვის ასე კომიკური არ იყო. 1989 წლის 9 აპრილი შიშს აჩენს – მომავლის, ბუნების, ერთმანეთის, გაურკვეველობის შიშს. ტექსტებში მკაფიოდ ჩანს ეს ყველაფერი, განსხვავება იმაზე დამოკიდებული, მთხრობელი ვინ არის. ლაშა ბულაძის რომანში „პატარა ქვეყანა“ მთხრობელი თავად ავტორია, რომანი ავტობიოგრაფიულ უნარს განეკუთვნება. 90-იანების შესახებ მთხრობელი ბავშვია, ის ამ პერიოდს მოგვითხრობს არა ზრდასრულის გადმოსახედიდან, არამედ როგორც ბავშვი – ისე, როგორც 1989 წელს აღიქვა და დაინახა. ამიტომ წერს: „ცხრა აპრილი ჩვენი პირველი დიდი შიშია.“<sup>96</sup> იგი აქცენტს დასახიჩრებული გვამების ჩვენებაზე აკეთებს და ხაზს უსვამს, რომ ბავშვების ფსიქიკაზე არავინ ფიქრობდა. ამ შიშის გამოვლინებად თვლის ეგზალტირებული ხალხის მასების მუდმივ სიარულს

<sup>92</sup> ქიქოძე, *სამხრეთული სპილო*, გვ. 116.

<sup>93</sup> გვახარია, *ცრემლიანი სათვალე*, გვ. 223.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 221.

<sup>95</sup> ბულაძე, *პატარა ქვეყანა*, გვ. 42.

<sup>96</sup> იქვე, გვ. 40.

მორგში და გარდაცვლილთა გვამების ნახვის სურვილს; „გვაჩვენეთ მიცვალებულები.“<sup>97</sup> იგივეს ამბობს გოგი გვახარია, როდესაც წერს, რომ 1989 წლის მთავარი მხატვრული სახე 9 აპრილს დახოცილ-დასახიჩრებული გოგო-ბიჭების ახლო ხედი გახდა.<sup>98</sup> სიახლის, გაურკვეველობის შიშზე საუბრობს ოთარ ჭილაძე რომანში „აველუმი“: „მთელი სიცოცხლე ამ დღეს ველოდი, როგორც იქნა მოვესწარი და... მეშინია.“<sup>99</sup> ამ რომანის შესავალი ნაწილი სწორედ ამ საშიში, მომავლის იმედისგან დაცლილი, პესიმისტური აურის, გარემოს შექმნა. ხშირად ახსენებს სამყაროს აღსასრულს, რაც 90-იანების ცვლილებათა მოლოდინით აიხსნება. იმდენად დიდია გაურკვეველობის შიში, იმდენად ემთხვევა ერთმანეთს ბუნებრივი კატასტროფები, ომები, კრიმინალური გარჩევები, მკვლევლობები და იმდენად სწრაფია ცვლილება, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს ჩნდება მკითხავებისა თუ მჩხიბავების, ექსტრასენსებისა თუ სულებთან მოსაუბრეების, უცხოპლანეტელებისა თუ მათი დამნაშავეების არსებობის სივრცე. მკითხავი ბოშა ქალი და ექსტრასენსი „აველუმშიც“ ჩანს. სწორედ მას შეუძლია „ერთბაშად (თანაც სულ ოც კაპიკად) გამოგიყვანოს გაურკვეველობის ბურუსიდან და ‘გითხრას,’ რა გელოდება წინ. მაგრამ ხალხს ყველაზე მეტად სწორედ ამის გაგებისა ეშინია.“<sup>100</sup> ექსტრასენსია ლონგო, რომლის ტელევიზიაში გამორჩენასაც მთელი საბჭოთა მასშტაბით ელიან.<sup>101</sup> ტელევიზიაში ხშირია უცხოპლანეტელებზე საუბარი და ხალხი ამ რეალობაში ცხოვრობს.

9 აპრილის მერე მთხრობელისთვისაც ყველაფერი იცვლება. სრულიად ახალი რეალობის შექმნა იწყება: ძეგლები, ქუჩის სახელები, ლენინის სურათების ნაცვლად – წმინდანთა ხატები, წირვა-ლოცვისა და გალობის ხმები, აკრძალული ფილმები ტელეეკრანებზე და, რაც მთავარია, „ახლა ყველასთვის ყველაფერი შეიძლება.“<sup>102</sup> „ქართული პოსტმოდერნისტული ნატურმორტიდან ნამგალი და ურო საბოლოოდ განიდევენა. ‘ილუზიონში’ შობასა და აღდგომას აღარ აჩვენებდნენ კარგ ფილმებს.“<sup>103</sup>

ნაშრომში გაანალიზებული სხვა მედიუმების მსგავსად, მხატვრული ტექსტებიც აჩვენებს, რომ 9 აპრილი საქართველოს უახლესი ისტორიის პარადიგმული მოვლენაა. ის არ არის მხოლოდ თარიღი; 9 აპრილი თავისუფლებისათვის ბრძოლისა და გამარჯვების მითია, რომელიც 1989 წლის ტრაგედიასა და 1991 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოიცავს. 89 წლის 9 აპრილი არის ახალი დროის ათვლის წერტილი, რომლის მერე არაფერი ისე აღარ არის, როგორც მანამდე იყო. იგი „წყალგამყოფი აღმოჩნდა ყოველი ჩვენგანისა და ჩვენი ერის ცხოვრებაში. ამ საბედისწერო დღიდან ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო და მას მერე ასე გავიაზრებდი დროს – ეს 9 აპრილამდე მოხდა, ეს 9 აპრილის მერე.“<sup>104</sup> საზოგადოებამ 9 აპრილი არა მხოლოდ ქართულ რეალობას დაუკავშირა, მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენად ქცევას შეეცადა, არა მხოლოდ საქართველოს გათავისუფლების, არამედ სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლო-

<sup>97</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>98</sup> გვახარია, *ცრემლიანი სათვალე*, გვ. 218.

<sup>99</sup> ჭილაძე, *აველუმი*, გვ. 25.

<sup>100</sup> იქვე, გვ. 6.

<sup>101</sup> ბუღაძე, *პატარა ქვეყანა*, გვ. 34.

<sup>102</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>103</sup> გვახარია, *ცრემლიანი სათვალე*, გვ. 225.

<sup>104</sup> დოლობერიძე, ლანა. *რაც მაგონდება და როგორც მაგონდება* (თბილისი: ზაკურ სულაკაურის გამომცემლობა), გვ. 411.



ბის საფუძვლადაც გამოაცხადა. „ასე, 9 აპრილის ტრაგედიით დასრულდა ჩვენს ქვეყანაში ე.წ. პერესტროიკა და დაიწყო ეპოქა, სავსე რევოლუციური ქარტახილებითა და ძვრებით, რომელმაც არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს ახალი ისტორია შეცვალა.“<sup>105</sup> „ასე დაიწყო საბჭოთა კავშირის რღვევა ქართულ მაგალითზე და მოჰყვა კიდევ სხვა რესპუბლიკების მოვლენები მოგვიანებით.“<sup>106</sup>

9 აპრილის მნიშვნელობა ქრისტეს აღდგომის კულტურულ ნიმუშს დაეფუძნა – უნდა ეწამო, რათა აღდგე და ამაღლდე. მსხვერპლშენიერვის შედეგად მიღწეული დიდი გამარჯვების კონცეფციას წინააღმდეგობა ვერაფერმა გაუწია. ერთადერთი ალტერნატიული ნარატივი, შემოთავაზებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, იმთავითვე დავიწყებას მიეცა. შევარდნაძემ პირველ ეტაპზე სცადა 1991 წლის 9 აპრილის მნიშვნელობის მიჩუმათება, ზვიად გამსახურდიას სახელის მივიწყების მიზნით, მაგრამ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ისიც ხაზს უსვამდა 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „შევარდნაძის ნარატივის“ მომხრეთა ტექსტებში ეს პირველი წლების დამოკიდებულება მაინც შემორჩა, მაგალითად, ლანა ლოლბერიძე მოგონებებში, რომელიც 2003 და, შემდეგ, გადამუშავებული ვერსიის სახით, 2019 წელს გამოვიდა, 9 აპრილზე საუბრისას 1991 წლის 9 აპრილზე ბევრს არაფერს წერს, იმ დროს როცა სხვა პერიოდებს დანვრილებით განიხილავს.

აღდგომის ტექსტი 9 აპრილს კიდევ ერთხელ გათამაშდა. მსხვერპლად ყოფნა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ დონეზე, ქართული კულტურული ნიმუშის შემადგენელი ნაწილია. ორი რამაა თავგანწირვის მიზეზი, მიზანი და საფუძველი – სამშობლო და ღმერთი. ორივე ერთ დონეზე დგას და ურთიერთკავშირშია.

„უფლისციხესთან  
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი  
არა დაღვრილის –  
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...“<sup>107</sup>

მურმან ლებანიძემ ეს ლექსი 1971 წელს დაწერა, 1989 წლის 9 აპრილამდე ბევრად ადრე. ეს ერთგვარი ლიტერატურული წინასწარმეტყველება თუ წინათგრძნობა მსხვერპლის გაღების კულტურულ ნიმუშს ეფუძნება, რადგან თავისუფლებას, დიდ გამარჯვებას სისხლი სჭირდება. 9 აპრილს ძირითადად ქალები შეენიშნენ. ამ დღის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის საზოგადოებამ კიდევ ერთ კულტურულ ნიმუშს მიმართა: ქალი, დედა, როგორც საქართველოს მფარველი. წმინდა მარიამი, რომლის წილხვედრიცაა საქართველო – ყველაზე მნიშვნელოვანი ქალი ქრისტიანულ სამყაროში; წმიდა ნინო – ქართველთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის – საქართველოს გაქრისტიანების შემოქმედი, წამებული შუშანიკი – პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის მთავრი გმირი, ქეთევანი – სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის წამებული დედოფალი. 9 აპრილის დაღუპული ქალებიც სწორედ ამ სიმბოლოებთან გაიგივდა.

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ორნი აქა-იქ“ 9 აპრილის ტრაგედიის პირ-

<sup>105</sup> იქვე, გვ. 425.

<sup>106</sup> ალხაზიშვილი, გივი. *მომავალი წარსული* (თბილისი: სიესტა, 2010), გვ. 199.

<sup>107</sup> ლებანიძე, მურმან. „უფლისციხესთან,“ *თხზულებანი ორ ტომად*, ტ. 1 (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1989), გვ. 14.

ველ მხატვრულ გააზრებას წარმოადგენს. იგი 1989 წელს დაინერა. მოთხრობის მთავარი გმირები 9 აპრილს გარდაცვლილი პატარა გოგონა და სადამსჯელო ოპერაციაში მონაწილე რუსი სამხედრო, სახელად სტასიკი არიან. გოგონას 9 აპრილის ღამეს სწორედ სტასიკი კლავს. 9 აპრილის ღამის სიმძიმე, შეძრული დედის ცრემლები და მამის დაბზარული გული ავტორისათვის დამახასიათებელი ოსტატობით მძაფრადაა გადმოცემულ-აღწერილი:

„და, პირველ რიგში, მისუსტებული მოშიშვლებებისაკენ ბარშემართულები დაიძრნენ, მაგრამ ხალხი წამოიშალა, გზა გადაუღობეს. [...]

სტასიკს არ ჰქონდა კარგი პოზიცია, ხელბარიანთა შუაგულში იყო, ისინი კი, მენინავენი, ქალებს ურტყამდნენ, ქალებს ხოცავდნენ...“<sup>108</sup>

ტექსტი, ტრაგიკულობის განცდის პარალელურად, სიამაყის გრძნობას იწვევს მკითხველში. 9 აპრილს მოკლული გოგონა წმინდანობამდეა აყვანილი. მოთხრობაში ძირითადი მოქმედება სამოთხეში ხდება. იქ კი გოგონა წმინდა მარიამსა და წმინდა ნინოს ესაუბრება, რომელსაც „დეიდა წმინდა ნინოს“ უწოდებს: „დეიდა წმინდა ნინო, საქართველოს რა ეშველება?“

მოთხრობის მთავარი სათქმელი ის არის, რომ სისხლი ამაოდ არ დაღვრილა. მსხვერპლი ნათელი მომავლისთვისაა გაღებული.

9 აპრილი ცალსახად აღიქმება როგორც ტრავმული და ტრიუმფალური ისტორიული მოვლენა, რომელმაც მთელ საზოგადოებაზე იმოქმედა. ეს ორმაგი მნიშვნელობა მოვლენამ იმთავითვე შეიძინა და მომდევნო წლებშიც შეინარჩუნა:

„ყველაფერი ერთმანეთში იყო გადახლართული: ალტკინება, სიხარული, შეძრწუნება, სასონარკვეთა, სიამაყე: და მაინც, ერთი რამ, ყველაზე განმსაზღვრელი – ერთიანობის განცდა, განცდა, რომელიც არ გვექონია არც იქამდე და, საუბედუროდ, არც მერე“;<sup>109</sup> „მაშინ კი უბედურების განცდა და სიამაყე ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული.“<sup>110</sup>

„აშკარა იყო, აქ ურჩხულმა ჩაიარა, ბოროტების იმპერიის მინოტავრმა, სტომაქი ამოიყორა და გასცილდა აქაურობას. ყველაზე მეტად სიმღერის ხმა აღიზიანებდა და შეკრებილთა შეძახილები, თავისუფლების უსაზღვრო რომანტიკით აღსავსე გულთა ფეთქვა, ამოუხსნელ ძალას რომ გაეერთიანებინა.“<sup>111</sup>

9 აპრილის ტრაგედიის მეორე დღიდანვე შეიცვალა ან მკაფიოდ ჩამოყალიბდა მთელი რიგი დამოკიდებულებები. 9 აპრილის ტრავმამ განაპირობა რუსის, როგორც მტრის, ხატის განმტკიცება და მისი აღქმა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„რუსეთი კლავს, რადგან ეს სიტყვა სტიქიური კატასტროფის სინონი-მია საქართველოში. რუსეთი საფრთხეს ნიშნავს. [...] რუსეთის გეგმაა, რუსეთის ხელი ურევია, რუსული კვალია. რუსეთი საქართველოს უიღბლობის პირდაპირი თუ ირიბი მიზეზია, რუსეთი გაბოროტებული დედინაცვალია, რუსეთში ხელოვნური მინისძვრების გამონვევის სეისმური სადგურებია, რუს ჯარისკაცს მორალი არ აქვს – ის კლავს, ძარცვავს და აუპატიურებს. რუსეთი მკვლელია.“<sup>112</sup>

<sup>108</sup> დოჩანაშვილი, გურამ. *ორნი აქა-იქ* (თბილისი: ლატერნა, 2015), გვ. 27.

<sup>109</sup> დოღობერიძე, რაც მაგონდება და როგორც მაგონდება, გვ. 411.

<sup>110</sup> იქვე, გვ. 418.

<sup>111</sup> ალხაზიშვილი, მომავალი წარსული, გვ. 197.

<sup>112</sup> ბუღაძე, პატარა ქვეყანა, გვ. 41.

ამის დასტურია წარსულისადმი დამოკიდებულების ცვლილება. დაიწყო აქტიური საუბარი წარსულში მომხდარი იმ ტრაგიკული მოვლენების შესახებ, რომლებიც რუსს, როგორც დამპყრობელს, უკავშირდება. 9 აპრილმა ქართული საზოგადოების ცნობიერებაში დაასრულა საბჭოთა კავშირი და დამოუკიდებლობის იდეა, რომლიც 8 აპრილსაც კი არ იყო ასეთი მასშტაბური, ზოგად ქართულ იდეად აქცია.

10 აპრილს ყველაფერი სხვანაირად იყო.

### 90-იანების წარსული

9 აპრილმა, როგორც რეზონანსულმა პარადიგმულმა ტეხილმა, ძველი და ახალი მოვლენები ერთმანეთს დაუკავშირა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღი და გამოუგლოვებელი ტრავმა, რომელიც წარსულიდან იქნა გამოხმობილი, 1956 წლის 9 მარტია. მიზეზი არ არის მათი შინაარსობრივი მსგავსება – 9 მარტს, 9 აპრილისგან განსხვავებით, სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკას აპროტესტებდნენ. ამ ორი მოვლენის ქვეცნობიერად ან არაცნობიერად<sup>113</sup> გადაჯაჭვა მსხვერპლშენიერვის კულტურულმა ნიმუშმა განაპირობა. იგივეა ტრაგედიის ადგილი – რუსთაველის გამზირი, იგივეა ჯალათი – საბჭოთა არმია, ამდენად, 9 აპრილი და 9 მარტი ერთი მწკრივის ტრავმულ მოვლენებად ჩამოყალიბდა.

1956 წლის 9 მარტის ტრავმად ქცევის ისტორია ზუსტად ისე წარიმართა, როგორც მასზე დაწერილი პირველი მხატვრული ტექსტების ისტორია. ეს გახლავთ ოთარ ჩხეიძის „გამოცხადებაი,“ რომელიც დაინერა 1973 წელს, ხოლო დაიბეჭდა მხოლოდ 1989 წელს.<sup>114</sup> მეორე მნიშვნელოვანი ტექსტი არის პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსი 9 მარტზე, რომელიც ასევე დამოუკიდებლობის შემდგომ გახდა ცნობილი:

„ნუხელ ქურდულად მესროლეს ტყვია,  
ტყვია ამცდა და ჩემს ბავშვებს მოხვდა...  
ოცი დაჭრეს და ოცივე მოკვდა, –  
რას ვიფიქრებდი, ხმა ჩამიწყდება,  
ვერ დავიფარავ მკერდით პატარებს,  
ჩემი ოცნება აქ დამინდება  
და გზებზე მარტის წყევლა მატარებს...  
მე მესროლეს და ბავშვები მოკლეს,  
დამჭრეს და პირი დამიხშეს ნუხელ.  
მკერდში ვარამი ველარ ჩავტიე,  
გული მენვის და ვერავის ვუმხელ,  
სამშობლოვ, შევცდი და მაპატიე...  
მტკვართან აპრილი არ მოვა წლეულს,  
ნაპირებს კვებავს სისხლის ტბორები  
და საქართველოს დაჩეხილ სხეულს  
ჭრილობებს ვბან და ვეამბორები.“<sup>115</sup>

<sup>113</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>114</sup> წიფურია, *ქართული ტექსტი*, გვ. 189.

<sup>115</sup> კოტეტიშვილი, ვახუშტი. „ნაგუბარი ცრემლი,“ *ლექსმცოდნეობა X* (თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018), გვ. 12

მოვლენის კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბებას მთხრობელი და მსმენელი სჭირდება, თხრობა საჯარო უნდა გახდეს, მსჯელობა უნდა წარიმართოს, დროში უნდა გახანგრძლივდეს. 9 მარტის ტრაგედიას კი ზუსტად ის დაემართა, რასაც სიმონ ჩიქოვანი ლექსშივე აცხადებს: „დამჭრეს და პირი დამიხმეს წუხელ.“<sup>116</sup> ის ამოუთქმელი დარჩა, არ კონსტრუირდა კოლექტიურ ტრავმად. 9 მარტის შესახებ საჯარო თხრობა 9 აპრილის მერე იწყება.

„და დავიწყებოდა ხალხსა 9 მარტი, ასევე განწირული, ასევე უბედური, მაშინაც ცდუნებული.“<sup>116</sup>

„არ ვიცი, რატომ, მაგრამ საშინლად მაფრთხობს, მაგანგაშებს საერთო კალაპოტში მოქცეული ხალხის ნიაღვრის ყრუ გუგუნი და გაურკვეველი შეძახილები. ახლოვდება განსაცდელი. კარგი არაფერი მოჰყვება ამას. ასე იყო ორმოცდათექვსმეტიც... ასე დულდა და გადმოდულდა მაშინაც ქალაქი.“<sup>117</sup>

„1956 წლის 9 მარტისგან განსხვავებით, როდესაც ჩუმად გამოჰყავდათ თავისი გარდაცვლილები და მოკრძალებულად მარხავდნენ, 1989 წლის 9 აპრილს არავის აღარაფრისა აღარ ეშინოდა.“<sup>118</sup>

ლიტერატურაში 9 აპრილისა და 9 მარტის ტრაგედიები ერთმანეთს გადაეჯახვა, ერთი რიგის ტრავმებად კონსტრუირდა. ეს პროცესი კარგად ჩანს ოთარ ჭილაძის „აველუმში“. ტექსტში დანვრილებითაა აღწერილი 9 მარტის ტრაგედია და მას ავტორი მთელი რომანის განმავლობაში უბრუნდება. მნიშვნელოვანია, რომ ავტორი 9 მარტის აღწერით იწყებს 90-იანების ტრავმული გარემოს „მონყოლას“, ამ ტრაგედიის მძაფრი აღწერით შევყავართ რომანის ტრავმულ სივრცესა და დროში. ერთი ნაბიჯით ადრე რომანში ავტორი მიუთითებს: „დღეს, ღვთის ძის ნაყოფიერი ხორცშესხმიდან ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის თავზე“ და აზუსტებს რომანის ანმყო დროს, ხოლო 9 მარტის შესახებ თხრობით ის სტრესულ აურას ქმნის, გვამზადებს ტრაგიკული სიუჟეტისთვის.

მნიშვნელოვანი პასაჟი რომანის დასასრულს, კულმინაციურ მომენტშია. სიკვდილის პირას მყოფი, სწორედ 1956 წლის 9 მარტს საკუთარი თვალთ ნანახ გარდაცვლილ ახალგაზრდას უკავშირდება, მას საკუთარ თავად აღიქვამს: „თვითონ თვითონ კი არ იყო, არამედ უცნობი ბიჭი, უსახო და უსახელო, მისი იმედით გარდაცვლილი ჯერ კიდევ ორმოცდათექვსმეტი წლის მარტში.“<sup>119</sup> „აველუმში“, 90-იანების ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მეტაფორაა და მისი მთხრობელი, როგორც შოთა იათაშვილი ამბობს, „სინამდვილეში არაა არც საბჭოთა ინტელიგენტი და არც საბჭოთა მწერალი, მაგრამ არც ამკარა „ანტისაბჭოთა ელემენტია.“<sup>120</sup> ის იმ თაობის წარმომადგენელია, რომლის პირველი შიშიც 9 მარტი იყო, განსხვავებით დამოუკიდებლობის შემდგომი თაობის მწერლის, ლაშა ბუღაძისგან, რომელიც მოგვიანებით, 2017 წელს გამოცემულ რომანში „პატარა ქვეყანა“ იტყვის: „9 აპრილი ჩვენი პირველი დიდი შიშია.“<sup>121</sup>

<sup>116</sup> ჩხეიძე, არტისტული გადატრიალება, გვ. 56.

<sup>117</sup> ჭილაძე, აველუმი, გვ. 77.

<sup>118</sup> ქურხული, ზეჯა. სამოთხიდან გაქცეულები (2015), საბას ბიბლიოთეკა ( საბას ბიბლიოთეკის ელექტრონულ ვერსიაში გვერდები არ არის აღნიშნული), <https://bit.ly/3r47R3y> (ნანახია 02.04.2021).

<sup>119</sup> ჭილაძე, აველუმი, გვ. 468.

<sup>120</sup> იათაშვილი, შოთა. „ქართული 'სიყვარულის იმპერია' მწარე იაპონური 'გრძნობათა იმპერიის' სანაცვლოდ,“ არილი (2 ოქტომბერი, 2009), <https://bit.ly/3JMEXMI> (ნანახია 11.05.2021).

<sup>121</sup> ბუღაძე, პატარა ქვეყანა, გვ. 40.

9 აპრილი, გარდა 9 მარტის გაცოცხლებისა, მთლიანად წარსულის გადაზრების ახალი პარადიგმა ხდება. დამოუკიდებლობის შემდგომ ლიტერატურულ ტექსტებში წარსული ახლებურადაა გააზრებული.

წარსულის გახსენების თვალსაზრისით, საინტერესო ეპიზოდია მიხეილ ჯავახიშვილისა და ბერიას ამბავი არჩილ ქიქოძის „სამხრეთულ სპილოში.“ წიგნის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, რომელიც ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ერთი დღის ამბავი საქართველოს ასწლოვანი ისტორიის კონტექსტშია ჩასმული. მთავარი გმირი ქიაჩელის ქუჩაზე, ერთ-ერთ სახლთან ჩერდება. ეს სახლი ეკუთვნოდა ლავრენტი ბერიას და პირდაპირ გადაჰყურებდა მიხეილ ჯავახიშვილის სახლს. მაშინ ხეები არ ჩრდილავდა ხედს და „ბერიაც ხედავდა პატარა სახლს და მის ბინადარს, უცქერდა, აკვირდებოდა. [...] საფლავი არც მწერლისაა ცნობილი და არც მისი ჯალათის, ორი სახლი კი ისევ ერთმანეთის პირისპირ დგას, ოღონდ ბერიას სახლზე მემორიალური დაფა არ დგას. დედაჩემმა მითხრა ჯერ კიდევ ბავშვს, აქ ბერია ცხოვრობდაო, და იმგვარად მითხრა, რომ დამამახსოვრდა, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, ვისზე მეუბნებოდა. მთავარი გმირი ბერიასა და ჯავახიშვილის ურთიერთობის ნახევრად მითიურ ამბავს იხსენებს. სწორედ მსგავსი ამბების გადასვლა კომუნიკაციური მეხსიერებიდან კულტურულ მეხსიერებაში განაპირობებს მოვლენის კონსტრუირებას ტრავმის თუ ტრიუმფის ნარატივად. ბერიასა და ჯავახიშვილის ურთიერთობის აღწერა - ეს არის კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება. ბერია „ხორციელი ბოროტებაა;“ მას „ჰაერივით სჭირდება ვილაც, ვისაც კატათავგობანას ეთამაშება, აცოცხლებს ან დაღუპავს.“ ბერია მტრის სიმბოლოა, ანუ სიმბოლოა იმისა, ვინც ტრავმული წარსულის შემოქმედია, ვისი ბრალიცაა უბედურება, ბერია სწორედ იმ ჯგუფის სიმბოლო, ვისაც ტრავმულ ნარატივში პასუხისმგებლობა ეკისრება მომხდარის გამო. ბერიას სურს „სუსტი ტანის სათვალისანი მწერლის,“ რომელსაც „არაფერი აბადია საკუთარი და სხვათა წიგნების გარდა,“<sup>122</sup> ოჯახში სადილზე მიპატიჟება, მაგრამ მწერალი არ მიდის. მთავარი გმირი მწერლის მხარესაა, მას მოსწონს მწერალი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საშიში კაცის მიწვევაზე უარს ამბობს. უარის თქმა კი საკუთარ სიკვდილზე ხელის მოწერაა, ეს იცის ჯავახიშვილმა, მაგრამ თავს ძალას ვერ ატანს, რადგან „ეს უკანასკნელი მიჯნაა, რომლის მერეც სიცოცხლის გაგრძელება გაუჭირდება.“ მწერალს არ შეუძლია მივიდეს კაცთან, რომელსაც მისი სტუმრობა საკუთარი განუსაზღვრელი ძალაუფლების კიდევ ერთ დასტურად სჭირდება. ამ „ზღაპარს“ ცუდი ბოლო აქვს: ჯავახიშვილი ქვიშხეთიდან წაიყვანეს, მას სწორედ ის გზა უნდა გაეწეოდა, რაც ყველა რეპრესირებულს. მთავარ გმირს დედამ უამბო და სხვაგანაც ამოიკითხა, რომ ბერიამ ჯავახიშვილი თავისი ხელით აწამა.

ამ მონაკვეთში ერთი ძალზედ საინტერესო პასაჟია: მთავარმა გმირმა დაზუსტებით არ იცის, დაპატიჟების ამბავი ნამდვილად ისე იყო, როგორც დედა უყვებოდა, თუ არა; თან უყვებოდა მუდმივად, ყოველთვის და ამ მუდმივ თხრობას აქვს ყველაზე დიდი დატვირთვა, რადგან ეს ხაზს უსვამს მოვლენის უდიდეს მნიშვნელობას. მშობელი ამ ამბით ცდილობს, შეიღოს ასწავლოს კეთილისა და ბოროტის, კარგისა და ცუდის გარჩევა. „არ ვიცი მართალია თუ არა დაპატიჟების ამბავი,

<sup>122</sup> ქიქოძე, *სამხრეთული სპილო*, გვ. 144.

მაგრამ ეგრე მომიყვა დედაჩემი უკვე წამოზრდილს, ისევ ნახევრად ჩურჩულით და უკვე მერე, როცა ჩურჩული სავალდებულო აღარ იყო.“ არა მხოლოდ ამბავია ტრაგიკული, არამედ თავად დროა წარმოდგენილი, როგორც ტრაგედია. „ნახევრად ჩურჩულით ნათქვამი ნახევრად სიმართლეების დრო,<sup>123</sup> – პერიოდიზაციის ამგვარი მეტაფორული გამოხატვა სრულად ასახავს ეპოქის ტრაგიკულობას.

ჯავახიშვილის ამბის ეპოქის სიმბოლოდ ქცევა, მისი მუდმივი თხრობა სხვადასხვა ავტორთან, სხვადასხვა ტექსტში, მას კულტურულ ტრავმად აქცევს. მიხეილ ჯავახიშვილის სიკვდილი ტრაგედიაა. მაგრამ თხრობა, რეკონსტრუქცია ამ ამბავს მითად აქცევს და ის უკვე ტრიუმფალურ ხასიათსაც იძენს, „სიკვდილითა სიკვდილისა დათრგუნვის“ კულტურულ ნიმუშში თავსდება და, მიუხედავად ფიზიკური განადგურებისა, გამარჯვებაზე მოგვითხრობს. მთხრობელი ამბობს: „არა აქვს მნიშვნელობა, სიმართლეა თუ არა, რადგან ჩემთვის უკვე სიმართლე გახდა და მე მომწონს მწერალი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საშიში კაცის მიპატიჟებაზე უარს ამბობს.“ ამ პასაჟის წაკითხვისას არა მხოლოდ თანაგრძნობა, არამედ სიამაყის გრძნობა უჩნდება მკითხველს. „თეთრი კოსტუმი ჩაუცვამს და ისე გაჰყოლია, შვილები იგონებდნენ, რომ ეზოდან კარგა ხანს ხედავდნენ ჩეკისტებს შორის თეთრი კოსტუმით მიმავალ მამას... შავ-ნაცრისფერებში მიმავალი თეთრი ლაქა. [...] წინ ტკივილი, შეურაცხყოფა და სიკვდილი ელოდა. სანამებლად და მოსაკლავად მიჰყავდათ მათ, ვისთვისაც მისი წიგნები და სხვათა წიგნები საერთოდ არფერს ნიშნავდა და სანამ ატკენდნენ, ამოთხვრიდნენ და, ვინ იცის, გატეხდნენ კიდევ, ერთადერთი, რის დაპირისპირებაც მათთვის შეეძლო, თითქოს საგანგებოდ მათთვის თვალში სათხრელად გახამებული ქათქათა თეთრი კოსტუმი იყო.“<sup>124</sup> განიცდი, გეცოდება, თანაუგრძნობ, მაგრამ მთავარი გრძნობა, რაც ყველაფერს გადაფარავს – ჯავახიშვილის საქციელით გამონვეული სიამაყეა: სიკვდილი არ არის დამარცხება, პირიქით, ფიზიკურად განადგურებული ჯავახიშვილი მორალურადაა გამარჯვებული. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებთან პარალელის გავლება შეიძლება – ჯავახიშვილი მონამეა, სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ის საკუთარი სისხლით ადასტურებს რწმენას, სიმართლეს და მართალ გზას.

წინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ – კლასიკური საგვარეულო რომანის ნიმუში – ჩაფიქრებულია „წითელი საუკუნის“ ერთგვარ ისტორიულ ფრესკად და მისი პროტაგონისტია დასავლეთ საქართველოს რომელიღაც პროვინციული ქალაქიდან (არა ქუთაისიდან) წარმომდგარი მაღალი საშუალო კლასის ოჯახი, გვარად ჯაში.<sup>125</sup>

მიუხედავად იმისა, რომ რომანში ასახულ „ხსოვნას აკლია სიმკვეთრე სხვადასხვა წარსული ეპოქის შესაბამისი სულისკვეთების, კოლორიტისა თუ შემაკავშირებელი ფაქტორების გამოსახვაში,<sup>126</sup> ტექსტი მნიშვნელოვანია კულტურული ტრავმის გააზრების თვალსაზრისით. ამბავი ოცდამეერთე საუკუნის რეალობიდანაა დანახული, ის ქალის მოთხრობილი ტექსტია მეოცე საუკუნის

<sup>123</sup> იქვე, გვ. 142-143.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 146.

<sup>125</sup> ნახუცრიშვილი, ლუკა. „წინო ხარატიშვილი: საქართველოს ალაგის მიებაში III,“ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 24 სექტემბერი, 2019, <https://bit.ly/34rEQpw> (ნანახია 11.05.2021).

<sup>126</sup> იქვე.

ერთი ოჯახის ქალებზე. თითქოს ყველაფერი რიგზეა, რადგან „ოჯახი რუსეთის იმპერიის დროს წარმატებული მეკონდიტრობიდან ასეთივე წარმატებით ახერხებს, ჩაენეროს საბჭოთა ნომენკლატურის რიგებში და 90-იანი წლების კრიზისის ჟამსაც სწორედ წარსული პრივილეგიის წარჩინების გასაღებით გადაირჩინოს თავი.“<sup>127</sup> მაგრამ, ტოლსტოისა არ იყოს, ყოველი უბედური ოჯახი თავისებურადაა უბედური და ჯაშების უბედურებაც თავისებურია, იგი საბჭოთა რეალობითაა განპირობებული. ამიტომ ის არა ერთი ოჯახის კარგად მოყოლილი ამბავია, არამედ ეპოქის სიმძიმის სიმბოლური აღწერაა. სალექსიკონო სიმშრალით, სხაპასხუბით ჩამოყრილი ისტორიული მოვლენებისა და თარიღების<sup>128</sup> მწკრივის საშუალებით, ავტორი ცდილობს დაგვანახოს, რომ ქალთა თავს გადამხდარი ტრავმები სწორედ ამ მოვლენათა შედეგია და სხვა არაფერი. ამდენად, მთხრობელი დეიდა თავისი ოჯახის ბოლო, მერვე თაობის წარმომადგენელ ბრილკას თეთრ, დაუნერეულ ფურცელს უძღვნის და აქვს იმედი, რომ იგი უბედურების ამ ჩაკეტილ წრეს გაარღვევს უკეთესი მომავლისაკენ.

სხვადასხვა ავტორის მიერ რუსულ მმართველობასთან ასოცირებულ ტრაგიკულ მოვლენათა განგრძობადობისა და უწყვეტობის აღწერა და რეზონანსული დაკავშირება 90-იანი წლების მოვლენებთან ტრავმული ნარატივის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს აყალიბებს: პასუხობს კითხვას – ვინ არის მტერი? ირაკლი სამსონაძის რომანს „ლუას საათი“<sup>129</sup> იგივე ფაბულა აქვს. მასში ერთი გვარის – ბაგარების – სამსაუკუნოვანი ისტორიაა მოთხრობილი. ისინი უნგრეთიდან ჩამოვიდნენ და დამკვიდრდნენ საქართველოში. ამ ოჯახმა იცხოვრა მეფის რუსეთში, გამოიარა 1917 წლის რევოლუცია, საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდი, ბოლშევიკური ოკუპაცია, საბჭოთა რეპრესიები, ხელახლა მოპოვებული დამოუკიდებლობა, სამოქალაქო ომი და ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობა.

შესწავლილმა მხატვრულმა ტექსტებმა მრავალი კუთხით, ბევრი ნახნავით წარმოაჩინა და ემოციურად მისაწვდომი გახადა 90-იანების სამყარო: იმდროინდელი ცხოვრება, განცდები და განწყობები, სიხარული და ტკივილი, სიყვარული და სიძულვილი, მოლოდინი და იმედგაცრუება. ამასთანავე, ამ ტექსტებმა ეპოქის კრიტიკული გააზრების შესაძლებლობა მოგვცა. კვლევამ მკაფიოდ დაგვანახა 1990-იანი წლები როგორც გამარჯვების ტრავმა, რომლის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავად ამ ნაწარმოებებმა. 90-იანების სამყაროს კანონებითა და თამაშის წესებით განპირობებული ფაბულა მოგზაურობს ტექსტიდან ტექსტში და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. სხვა მედიებთან ერთად და, შესაძლოა, მათზე უფრო მკაფიოდაც, მხატვრულმა ტექსტებმა წარმოაჩინა 9 აპრილი როგორც ტრიუმფისა და ტრავმის მომცველი, მკაფიოდ განსაზღვრული და კონსტრუირებული მოვლენა. მისგან განსხვავებით, სამოქალაქო დაპირისპირება არაარტიკულირებულ, ჩამოუყალიბებელ მოვლენად დარჩა, რომლის სახელწოდებაზეც კი არ არის საზოგადოებაში კონსენსუსი.

<sup>127</sup> იქვე.

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> სამსონაძე, ირაკლი. „ლუას საათი“, ირაკლი სამსონაძე, ლუას საათი (თბილისი: ინტელექტი, 2019).

## დასკვნა

1980-იანი წლების დასასრული და 90-იანი წლების დასაწყისი საქართველოში მნიშვნელოვანი, საოცნებო, თუმცა მოულოდნელი და მტკივნეული ცვლილებების ხანა იყო. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების შესწავლამ კულტურის კვლევათა პარადიგმულ ჩარჩოში საშუალება მოგვცა, აღგვედგინა გარდამტეხი პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებული აღქმები, დამოკიდებულებები, მნიშვნელობები, მეხსიერების თავისებურებები; დაგვეჩვენა ყოველდღიურობა, შეცვლილი ურთიერთობები, იდენტობის ტრანსფორმაცია, ღირებულებების გადაფასება, თავბრუდამხვევ ნარმატებებთან და მტკივნეულ მოვლენებთან გამკლავების პრობლემა.

რადიკალური და სწრაფი ცვლილებების პროცესში ყალიბდებოდა წარსული და მიმდინარე მოვლენების ნარატივი, რომელიც აისახებოდა სამეცნიერო, პოპულარულ თუ მხატვრულ ტექსტებში, სიმბოლოებში, მემორიალებში, მონუმენტებში, დღესასწაულებსა და რიტუალებში, ერთი სიტყვით, მეხსიერების არეებში, რომლებიც გამოხატავდა და ამკვიდრებდა ფაქტებისა და მოვლენების მნიშვნელობას.

საბჭოთა კავშირის უკანასკნელ და დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში არსებული ვითარება შეიძლება დახასიათდეს როგორც *გამარჯვების ტრავმა*, რომლის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ 1991 წლის 9 აპრილს, თბილისის ომმა და შემდგომმა სამოქალაქო დაპირისპირებამ.

9 აპრილი აღმოჩნდა ის „სეისმური ისტორიული ხდომილება“, რომელმაც დაანგრია საბჭოთა სისტემის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს საზოგადოების კულტურული და სიმბოლური ჩარჩოები, „ყირაზე დააყენა სოციალური რეალობა“ და დიდი ხნით განსაზღვრა საზიარო მეხსიერება და იდენტობა. 9 აპრილის ნარატივი ქართულ კულტურაში არსებულ ნიმუშებს დაემყარა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა ტრაგიკული მოვლენის აღქმა, ემოციური გადამუშავება, გააზრება და მისთვის მნიშვნელობის მინიჭება. დაღუპულთა გლოვის პროცესმა საზოგადოებას შოკის, რისხვის, უმწეობის, ტკივილის გამოხატვისა და ტრავმის ამოთქმის საშუალება მისცა, შესაძლებელი გახადა მისი გასაყოველთაოება, გაზიარება, დამნაშავის და მსხვერპლის განსაზღვრა. ტრავმასთან ერთად, ნარატივში გაერთიანდა ტრიუმფის ელემენტები: ქართველი ხალხის ერთობა, სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა, ამაღლება, სახელოვან წინაპართა საქმის გაგრძელება, მამულისთვის თავგანწირვა. შედეგად, 9 აპრილი საქართველოს თანამედროვე ისტორიის *პარადიგმულ მოვლენად* კონსტრუირდა.

პარადიგმული მოვლენის რეპრეზენტაცია ჩამოყალიბდა *რჩეული ტრავმის* სახით, რომელმაც შეავსო კოლექტიური იდენტობა და მის მნიშვნელოვან მარკერად იქცა. იგი მკვეთრად ტრანსფორმირდა *რჩეულ გამარჯვებად* და განამტკიცა ტრიუმფის შეგრძნება. 9 აპრილის პარადიგმულ მოვლენად და რჩეულ ტრავმად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა სახის მედიუმებმა,



რომლებიც ქმნიდნენ და ავრცელებდნენ კულტურული ნიმუშით განსაზღვრულ მნიშვნელობებს და ამით მკაფიოდ გამოკვეთდნენ 9 აპრილს, როგორც გარდამტეხ მომენტსა და ახალი ეპოქის დასაწყისს.

9 აპრილის რეზონანსმა გააცოცხლა წარსულის მნიშვნელოვანი და მტკივნეული ამბები, რომლებიც იმავე ადგილას მოხდა, სადაც ტრაგედია დატრიალდა; ასევე განსაზღვრა ახალი გმირის დაბადებაც – კულტურულ ნიმუშზე დაფუძნებული კონკრეტული მნიშვნელობით დატვირთა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერის, მერაბ კოსტავას ტრაგიკული დაღუპვა 1989 წლის ოქტომბერში. მერაბ კოსტავას სიკვდილი 1989 წლის 9 აპრილით დაწყებული ტრავმული მოვლენების ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად იქცა და, თავის მხრივ, გავლენა იქონია მომდევნო ამბების აღქმაზე.

9 აპრილის რეზონანსმა განსაზღვრა ის, რომ 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციით დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წელს სწორედ 9 აპრილს, ტრაგედიის ადგილზე გამოცხადდა. ამით ანმეოსა და წარსულს შორის მნემონიკური ხიდი გაიღო, აღდგა საბჭოთა პერიოდით განყვეტილი საქართველოს ისტორიის ლეგატო-ნარატივი, ხაზი გაესვა ისტორიულ განგრძობადობას, რამაც საზიარო მეხსიერებაზე დაფუძნებული იდენტობის გამტკიცებას შეუწყო ხელი.

9 აპრილი კოლექტიურ მეხსიერებაში ტრავმულ და ტრიუმფალურ მოვლენად დამკვიდრდა. ემოციური თუ პოლიტიკური დაპირისპირებების მიუხედავად, მას ყოველწლიურად აღნიშნავენ; იგი ინსტიტუციონალიზებულია სხვადასხვა ტიპის მეხსიერების არის – მონუმენტური, სიმბოლური თუ ფუნქციური – სახით, ამავე დროს, ცოცხალია კომუნიკაციურ მეხსიერებაში.

9 აპრილმა, როგორც პარადიგმულმა მოვლენამ, ტრაგედიის ადგილი რუსთაველის გამზირზე ჩამოაყალიბა პარადიგმული მნიშვნელობის მქონე სივრცედ, სადაც მომდევნო ოცდაათი წლის მანძილზე ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები განვითარდა. მისი „ფლობა“ სიმართლის, ძალის, ძალაუფლების ფლობას დაუკავშირდა. იგი იქცა საკრალურ მეხსიერების არედ, როგორც მარტივობის ადგილი. ორივემ ერთად კი – 9 აპრილმა და ამ საკრალურმა სივრცემ – ერთგვარი ხელშეუხებლობა შეიძინა, რომლის გადახედვა მოვლენის სინამდის შებღალვად აღიქმება.

1989 და 1991 წლების აჭარისა და რაჭა-ზემო იმერეთის სტიქიური კატასტროფების მნიშვნელობები იმავე კულტურული ნიმუშების მეშვეობით ჩამოყალიბდა, რომლებიც, როგორც წესი, ქართულ კულტურულ კონტექსტში ტრავმული გამოცდილების აღწერისა და მისი მნიშვნელობის კონსტრუირებისათვის გამოიყენება. ეს, სავარაუდოდ, ამ მოვლენების 9 აპრილის რეზონანსის ველში მოქცევის შედეგად მოხდა. იმ ვითარებაში, როცა ტრავმულ მოვლენათა მთელი მწკრივის პირისპირ რაციონალურმა ლოგიკამ, თითქოს, ძალა დაკარგა, საზოგადოებაში წონასწორობის აღდგენისა და რეალობასთან გასამკლავებლად, ეს კატასტროფები კულტურული ტრავმის სხვა განმაპირობებელ ისტორიულ მოვლენებთან ერთ მწკრივში განიხილებოდა და ერთიან ტრავმულ კონტექსტს ქმნიდა. სოციალური და ბუნებრივი წარმოშობის ტრავმული მოვლენების რეპრეზენტაციით შეიქმნა ერთიანი ნარატივი, საერთო აქცენტებით და პათოსით.

9 აპრილისაგან განსხვავებით, რომელმაც სწრაფად დაიკავა ადგილი საქართველოს ისტორიის „დიდებული წამების“ რიგში, თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების მკაფიო კონსტრუირება ვერ მოხერხდა და დღემდე დარჩა ურთიერთდაპირისპირებულ და, ზოგჯერ, შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფის წყაროდ. იგი თითქოს გაიყინა დავინწყებასა და დამახსოვრებას შორის: არც დავინწყებულია (არსებობს კომუნიკაციურ მეხსიერებაში და პერიოდულად აქტიურდება), არც მკაფიოდ ინსტიტუციონალიზებული (და, შესაბამისად, კულტურულ მეხსიერებაში გადასული). კვლევამ აჩვენა, რომ თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება არ ქცეულა მეხსიერების პოლიტიკის ნაწილად, მას არ მოჰყოლია მიზანმიმართული დავინწყება ან კომუნიკაციური სიჩუმე, როგორც სახელმწიფოს მიერ გააზრებული და გატარებული პოლიტიკა. იგი დღემდე რჩება მოვლენად, რომლის სახელწოდებაზეც კი არ არის მიღწეული თანხმობა საზოგადოების ჯგუფებს შორის.

დაპირისპირებულმა მხარეებმა წინააღმდეგობრივი ნარატივები შექმნეს, რომელთა შორის შეხების წერტილები, დროთა განმავლობაში, თითქოს, მოიძებნა, მაგრამ ომის მძიმე გამოცდილებისადმი მათი დამოკიდებულება განსხვავებული დარჩა. ტრავმის მატარებელმა ჯგუფებმა (პოლიტიკურმა და კულტურულმა ელიტამ, დაპირისპირებულმა მხარეებმა) ვერ შეძლეს მოვლენისათვის მკაფიო მნიშვნელობის მინიჭება და მისი სიმბოლური რეპრეზენტაცია *გავლენის ნარატივის* სახით. ამის გამო, კითხვები – რა მოხდა? ვინ არის მსხვერპლი? როგორია მსხვერპლისა და დანარჩენი საზოგადოების დამოკიდებულება? ვინ არის დამნაშავე და პასუხისმგებელი? – მკაფიო პასუხების გარეშე დარჩა. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ომის მონაწილე ჯგუფების *ჩაკეტილი, ჰერმეტიკულად დაღუჭული ნარატივები*. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეთათვის ტრავმამ, ათწლეულების შემდეგაც, ვერ დაიდო ბინა წარსულში. მონაწილემდე ჯგუფის წარმომადგენლები კი წარსულის მძიმე გამოცდილების დავინწყებისკენ არიან მიდრეკილი და მომავალზე ორიენტირებისკენ მოუწოდებენ საზოგადოებას. მათი ნაწილი აღიარებს საკუთარ შეცდომებს, თუმცა მეორე მხარეს ეჭვი შეაქვს ამ განცხადებების გულწრფელობაში. სწორედ ამიტომ, ეს ომი ოცდაათი წლის შემდეგაც პერიოდულად ბრუნდება აწმყოში და *ისე განიცდება, თითქოს გუშინ მოხდა*.

სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც ტრავმული მოვლენა, ვერ მოთავსდა მნიშვნელობათა კულტურულ სისტემაში, რაც აუცილებელია მოვლენის კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბებისათვის. თბილისის ომისა და მომდევნო სამოქალაქო დაპირისპირებას არ მოეძებნა შესაბამისი *პრეფიგურაცია* – ძველი სტიმული რეზონანსის სფეროში. ქართველთა კულტურულ მეხსიერებაში არსებობს ბაზალეთის ომის – ძმათამკვლელი დაპირისპირების – კულტურული ნიმუში, რომელიც არაერთხელ წამოტივტივდა როგორც ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ფრთას შორის დაპირისპირების დროს, ასევე დაწყებული სამოქალაქო კონფრონტაციის პირობებში. მაგრამ მაინც, ბაზალეთის ბრძოლა არ აღმოჩნდა ის კულტურული ნიმუში, რომელიც ახალი ტრავმის განსაზღვრას და ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. როგორც *რთული წარსულის* ეპიზოდი, რომელიც და-

ვინცებას არ ეძლევა, მაგრამ რომლის ხსენება საამაყო არ არის, იგი ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა დაპირისპირებული მხარეებისათვის. ამიტომ სამოქალაქო დაპირისპირებამ ვერ იპოვა საყრდენი სტიმული, დაანგრია რეზონანსის საცავი და შექმნა ახალი ცხელი ნერტილი, რომლის გადამუშავებას ხანგრძლივი დრო სჭირდება. იგი კოლექტიურ მეხსიერებაში დაილექა როგორც ნეგატიური სქემა, რომელმაც გააძლიერა ამ მოვლენის ტრავმული გავლენა.

ასე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ორი განმსაზღვრელი მოვლენის – 9 აპრილისა და სამოქალაქო დაპირისპირების – მეხსიერება. შეიძლება ითქვას, რომ 9 აპრილის უკვდავყოფისაკენ მიმართული მუდმივი ძალისხმევა მეხსიერების „ყვირილია,“ მისგან განსხვავებით, სამოქალაქო დაპირისპირების გახსენების მცირერიცხოვან მსურველთა მეხსიერება კი „ჩურჩულის“ სახით თუ სწვდება საზოგადოებას.

სამოქალაქო დაპირისპირების გაზიარებული ნარატივისა და მასზე დაფუძნებული მეხსიერების ჩამოყალიბებლობაში თავისი როლი შეასრულა 90-იანებში შექმნილმა რთულმა ვითარებამ. დროის მოკლე მონაკვეთში განვითარებული მძიმე მოვლენები ერთმანეთს გადაფარავდა და ნაკლებად ტოვებდა სივრცეს მათი გააზრებისა და რეპრეზენტაციისათვის. ეს გარდამტეხი ცვლილებები ზემოქმედებდა რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე, განწყობაზე, მსოფლხედვასა და იდენტობაზე, აღიბეჭდებოდა მათ მეხსიერებაში. კვლევამ მკაფიოდ წარმოაჩინა 90-იანი წლების ტრავმული გარემოს – შიშის, სასონარკვეთის, დაუცველობის, დაბნეულობის და უპერსპექტივობის დამთრგუნველი განცდის – ჩამოყალიბების პროცესი, რომელმაც მოიცვა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. ისინი მოულოდნელად აღმოჩნდნენ გარემოში, რომელთანაც მათი ღირებულებათა სისტემა და მორალური პრინციპები შეუთავსებელი იყო. გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ტრავმული გარემოს შექმნა; ტრავმულ მოვლენათა მწკრივის ძირითადი მომენტები; ტრავმის მატარებელი ჯგუფები; ტრავმული და ტრიუმფალური მოვლენების ინსტიტუციონალიზაციის ფორმები; მათი გავლენა იდენტობის ტრანსფორმაციასა და ახალი იდენტობ(ებ)ის ფორმირებაზე.

90-იანების გარემოს აღქმის თავისებურებები ნათლად აისახა დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც, ერთი მხრივ, აცოცხლებს 1980-90-იანების ძირითად მოვლენებს და ტრავმულ გარემოს, მეორე მხრივ, თავად „ქმნის“ იმდროინდელ სამყაროს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიტერატურული ტექსტები ბიძგს აძლევს მოვლენათა მუდმივ გააზრებას და ტრავმის გადალახვას. სხვა მედიუმებთან ერთად და, შესაძლოა, მათზე უფრო მკაფიოდაც, ლიტერატურულმა ტექსტებმა წარმოაჩინა 1990-იანი წლები როგორც გამარჯვების ტრავმა, 9 აპრილი როგორც ტრიუმფისა და ტრავმის მომცველი, მკაფიოდ კონსტრუირებული პარადიგმული მოვლენა და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც არაარტიკულირებული, ბოლომდე ჩამოყალიბებული ტკივილი.

**NINO CHIKOVANI, KETEVAN KAKITELASHVILI,  
IRAKLI CHKHAIDZE, IVANE TSERETELI, KETEVAN EPADZE**

# **GEORGIA: TRAUMA AND TRIUMPH ON THE WAY TO INDEPENDENCE**

**TBILISI  
2022**



The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Grant N FR-18-3459

Editors: Professor Marine Chitashvili  
Professor Sophie Zviadadze  
Designer: Dali Jvarsheishvili

© Nino Chikovani, Ketevan Kakitelashvili, Irakli Chkhaidze, Ivane Tsereteli, Ketevan Epadze, 2022



PUBLISHING HOUSE  
**SAMSHOBLO**

TBILISI, ROBAKIDZE ave. 7, T. 551 95 31 90

## CONTENTS

PREFACE .....	326
INTRODUCTION.....	327
THEORETICAL FRAMEWORK.....	335
REVIEW OF SOURCES AND LITERATURE.....	341
CHAPTER I	
GEORGIA IN THE LATE 1980s-EARLY 1990s: NEW REALITY AND NEW GOALS .....	351
CHAPTER II	
APRIL 9: TRAUMA AND TRIUMPH .....	359
APRIL 9, 1989 AS A PARADIGMATIC EVENT.....	359
TRAGEDY AS MARTYRDOM AND RESURRECTION: THE BIRTH OF A HERO ..	374
APRIL 9 IN THE GEORGIAN PRESS (1989-2019).....	379
NATURAL DISASTERS: ECHO OF THE APRIL 9 .....	394
CHAPTER III	
CIVIL CONFRONTATION .....	403
THE TBILISI WAR AND CIVIL CONFRONTATION.....	403
CONFLICTING NARRATIVES .....	423
CHAPTER IV	
“CRIES AND WHISPERS” OF MEMORY: APRIL 9 AND THE CIVIL CONFRONTATION IN THE MEMORY POLITICS.....	443
MONUMENTAL AND SYMBOLIC AREAS.....	443
FUNCTIONAL AREAS.....	460
CHAPTER V	
“THE DARK 90s.” THE TRAUMA OF EVERYDAY LIFE.....	485
CHAPTER VI	
TRAUMA AND TRIUMPH IN LITERARY TEXTS.....	521
“CREATION OF A UNIVERSE”.....	521
THE CHRONOTOPOS OF THE 1990s.....	523
CONCLUSION .....	546
BIBLIOGRAPHY .....	549
APPENDIX 1. RESULTS OF THE FIELD RESEARCH .....	570
APPENDIX 2. ORAL HISTORIES.....	613

## PREFACE

The idea of this book was shaped during our years-long cooperation. The working process on the problems of collective memory, cultural trauma and identity brought us to the issues which required a special work and prompted the idea of creation of a separate monograph. The questions dealt with the hard and contradictory processes of the 1980-1990s which have been influenced on the Georgian society till present times. We are the witnesses of these events although we tried to distance from the processes and to observe them from the outside.

The idea was realized with the financial support of the Shota Rustaveli National Scientific Foundation whereas Ivane Javaklishvili Tbilisi State University provided intellectually stimulative environment for its implementation.

We are grateful to those individuals and organizations which provided constructive comments, suggestions and ideas during the working process on this project. The expert of pre-school and general education at the Ministry of Education and Science of Georgia, Mr. Shalva Mekravishvili and the president of the Georgian Association of the History Teachers, Ms. Nana Tsikhistavi helped in finding relevant contact persons for our project. In spite of their hard and busy schedule, the teachers eagerly participated in the enquiry by filling in a specially designed questionnaire for the project. The literary researcher and translator Ms. Dalila Gogia not only graciously provided us with unpublished translations but enthusiastically shared her experience and knowledge relevant for our research. Relationship with our respondents was particularly important for us, they narrated their personal histories and generously agreed on their publication.

The book has got the two brilliant editors. Professor Sophie Zviadadze's comments and suggestions helped us in finding diverse materials for the analysis, which further grounded our conclusions on different issues. The critical comments of Professor Marine Chitashvili, timely comments and recommendations made us to re-think our work both in terms of structure as well as content, which reinforced our main arguments.

Our warmest appreciation to our consultant, Balázs Trencsényi, professor of the Central European University, for invaluable support at every stage of the working process.

We think that we managed to accomplish the main goals of the research. We hope the book will be interesting both for the representatives of the social sciences and humanities, as well as for the wider audience, because it tells stories about the events which are still alive in the memory of several generations. We will be grateful for critical comments and suggestions from our readers.

## INTRODUCTION

The events of the late 1980s and early 1990s in Georgia played a key role in the history of the country and determined its future development. In the last few decades, many interesting works of Georgian and foreign scholars have been devoted to the study of the post-Soviet period and the formation of an independent Georgian state; important documents have been revealed, historical and political processes have been analyzed.

The middle of the 20<sup>th</sup> century was marked by an increased interest of the international academic circles in the phenomenon of cultural trauma. Scholars have analyzed the relationship between cultural trauma and collective memory, the role of the *past in the present*, i.e. “how memories, nostalgia, and accounts of the individual and collective past contribute to the construction of collective identities.”<sup>1</sup>

In our research, we investigated the processes developed in Georgia in the late Soviet period and the first years of independence within the paradigm of the cultural studies. We applied the theories of collective memory and cultural trauma as well as the concept of trauma of victory to analyze the knowledge accumulated in the humanities and social sciences, published empirical materials and the data obtained during our research.

The collapse of the Soviet Union, restoration of independence and radical changes in the social, economic, and political systems marked a painful period of unexpected facts and events in Georgia: April 9, 1989, the 1991-1992 Tbilisi War and civil confrontation across the country, conflicts in Abkhazia and the Tskhinvali region, natural disasters (landslides, earthquakes, floods), economic collapse, social hardships, and energy crisis. These processes, which significantly determined the type of social relations, symbols, values, norms and laws of the following period, correspond to the “trauma of victory” – the change which is “almost universally judged as beneficial, progressive, often welcome with enthusiasm, and yet it has turned out to produce trauma, at least for some segments of post-communist societies.”<sup>2</sup> Despite the common traumatic nature, perception of these developments and their influence on the society was not uniform. On the collective level, some tragic facts that resulted in casualties gave rise to both – pain and feeling of victory gained through sacrifice. Some other facts aroused the feeling of shame and crime, as well as a desire to forget them. Therefore, in order to fully comprehend these facts, alongside with the concept of cultural trauma, we applied the concept of triumph as well.

The restriction we have set on our research from the very beginning refers to the conflict in Tskhinvali region (1991-1992) and the war in Abkhazia (1992-1993). Certainly, envisaging these ethno-political conflicts is very important for the study of the traumatic processes of the 1990s and their mental representation. Yet, we consider these issues as subject of special research within the framework of collective memory and cultural trauma.

Our research serves several goals: the first is to apply the theories of cultural trauma, trauma of victory, and collective memory to the Georgian reality in the 1980-1990s. These theoretical models are closely interlinked: a painful event gains its meaning and transforms into a cultural

---

<sup>1</sup> Kopeček, Michal and Piotr Wciślik. “Introduction. Towards an Intellectual History of Post-Socialism,” *Thinking through Transition. Liberal Democracy, Authoritarian Pasts, and Intellectual History in East Central Europe after 1989*, eds. Michal Kopeček and Piotr Wciślik (Budapest-New York: CEU Press, 2015), 10.

<sup>2</sup> Sztompka, Piotr. *The Ambivalence of Social Change: Triumph or Trauma?* WZB Discussion Research, no. P 00-001 (Berlin: 2000), 21.



trauma through the images existing in the collective memory which are named as *cultural patterns* by Aleida Assmann. Therefore, the selected theoretical framework enables to answer the following questions: Why and how did the events of the 1980-1990s turn into a cultural trauma? How were the processes perceived by various social groups in Georgia? How the experience of the past thirty years influenced their perceptions and evaluations? What cultural patterns formed the basis for the traumatic and triumphal narratives?

Another aim is to study the process of construction and institutionalization of traumatic events of the 1980-1990s and outline their role in the formation of the collective memory. The attached meaning and the efficiency of means of institutionalization define the place of a certain event in the collective memory, its impact on the contemporaries and the following generations. In this respect, the research period is marked by the diverse and controversial processes: the old and new political actors, authorities and opposition groups, as well as various generations of the cultural elite took part in the formation of a new memory, necessary for the legitimization of an independent future. The *war of monuments* starts, historical narratives are revised, subsequent traumatic events are reflected in diverse types of narratives. Some events are filled with the elements of triumph and are firmly fixed in the collective memory. Other events form grounds for the conflicting memories of different groups.

The third aim is to identify the impact of trauma on the transformation of values, attitudes and lifestyles of individuals and groups. Similar to other countries, in Georgia, the traumatized groups reacted differently to the events of the 1980-1990s. Existing identities changed and new ones emerged; the semantic units denoting them appeared in the language: “National Guards,” “Mkhedrioni members,” “Zviadists” (supporters of Zviad Gamsakhurdia), “putschists” (supporters of the coup), “refugees,” criminal groups called “The Culinarians,” “The Cruel” and other brotherhoods<sup>3</sup> etc.). All these changes left significant traces in the collective memory and influenced the perception of later events.

The research is one of the first to explain the processes occurring on the initial stage of the independence of Georgia based on the theories of cultural trauma and collective memory. The study offers a new perspective of investigation of the recent past and current events. This perspective enables better understanding of the reality of the 1980-1990s.

The restoration of independence in Georgia preceded the official end of the Soviet Union by a few months. The events were prefaced by the rapid and forceful rise of the national movement, various wings of which had different, yet not clearly defined, ideas about the path to independence, the problems and opportunities of building an independent state. Statements and actions of leaders of the national liberation movement were entwined with the hope for a free future and the inexperience of living freely, the desire to achieve independence and the misapprehension of the problems associated with the process, the willingness to sacrifice for the homeland and aspirations for leadership, inability to reconcile not only with the Soviet past but also with a different opinion. As in other socialist countries, in the second half of the 1980s a new memory aimed at legitimating an independent future started to emerge in Georgia. It was reflected in scholarly and literary texts, attitudes towards monuments, memorials and symbols depicting the Soviet past. The process was marked by the spontaneous attempts to create new memory *from below*, as well as by deliberate politics of memory pursued by the ruling Soviet political elite, which alternated between compromises and repressions to navigate the newly

---

<sup>3</sup> Brotherhoods - criminal/bandit armed gangs.

emerged forces. The image of the past – one of the most important markers of collective identity – was being rapidly and painfully demarcated and failed to unify ethnically, linguistically and religiously diverse society of Georgia. This process played a role in generating an identity crisis of the 1990s.

April 9, 1989, “the day filled with tragedy and immeasurable pride,”<sup>4</sup> turned the social reality upside down<sup>5</sup> and laid foundation for “the time we live in.”<sup>6</sup> April 9 was formed as a paradigmatic event in recent history of Georgia, combining the elements of trauma and triumph dictated by the Georgian cultural *pattern*. The paradigmatic nature of the event was reflected in a narrative that emphasized the need of sacrifice in the struggle for independence and freedom. It found its way in historical, literary, and documentary texts and memoirs, monuments, memorials, days of remembrance, street names, memorialization of the deceased, and different art domains.

The restoration of independence on April 9, 1991, seemed to mark a triumphal end to a series of events that had been unfolding on the Rustaveli Avenue since 1921. However, soon this very place would become the starting point of the Tbilisi War, the overthrow of the elected government and the subsequent civil strife.

At the end of December 1991, an armed confrontation broke out in the center of Tbilisi between pro- and anti- President Gamsakhurdia forces. In early January, the tensions culminated in the expulsion of Zviad Gamsakhurdia from Georgia, the seizure of power by the Military Council, and subsequently, with the return and coming to power of the former leader of the Georgian Communist Party, later the Minister of Foreign Affairs of the Soviet Union, and one of the masterminds behind *perestroika*, Eduard Shevardnadze. However, the civil confrontation did not end there, it spread to the regions and transformed into a serious, armed engagement in Samegrelo.<sup>7</sup> These processes resulted in massive casualties. Unlike April 9, these events became *a difficult past*, which many avoid to remember, but it “refuses to go away and bursts abruptly into the present, over and over again.”<sup>8</sup> It returns and “is then experienced as if it has happened only yesterday.”<sup>9</sup> The civil confrontation played a crucial role in the establishment of the 90s as the “dark and hard” era of the Georgian history.

The experience of the Eastern European countries reveals that “the narratives of communism’s collapse and post-socialism’s birth became a source of great political contestation. The attempts to establish a broader and consensual memory of 1989 usually did not meet with much success and [...] the major anniversaries usually contributed to further divisions rather than national unifications.”<sup>10</sup> Even more contradictory are the narratives created in the countries that have endured a difficult process of civil strife and conflict in the final stages of the socialist collapse.

<sup>4</sup>“The Woman from the Photo of April 9: We Believed that Our Generation Could Live in an Independent Country with Dignity [ქალი 9 აპრილის ფოტოდან: ვვფიქრობდით, ჩვენი თაობა შეძლებდა, დირსეულად ეცხოვრა დამოუკიდებელ ქვეყანაში],” *Metronome*, April 8, 2021, <https://bit.ly/3q28euA> (Accessed 10.04.2021). All translations from Georgian into English by the authors, apart from those where the translators are indicated.

<sup>5</sup> Assmann, Aleida. “Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), 53.

<sup>6</sup> Rost, Yuri. “I Am Ashamed [Стыдно мне],” *Argument*, March 26, 2014, <https://bit.ly/3F5IPEB> (Accessed 04.02.2021).

<sup>7</sup> Samegrelo – a region in the west Georgia.

<sup>8</sup> Assmann, “Impact and Resonance,” 52.

<sup>9</sup> Volkan, Vamik D. *When Enemies Talk: Psychoanalytic Insights from Arab-Israeli Dialogues*, Zigmund Freud Lecture (Vienna: 1999), 14.

<sup>10</sup> *Ibid.*, 31.

Georgia is one such example. While the narrative of the April 9 trauma and triumph united the public, the civil confrontation divided it into opposing groups. These two events had a decisive impact on the issue of self-perception and the formation of memory and identity in the independent Georgia.

This collaborative work of five researchers consists of an introduction, five chapters, and a conclusion. **Chapter One – “Georgia at the Turn of the 1990s: New Reality and New Goals”** (Nino Chikovani) – is dedicated to the events at the late 1980s-early 1990s. In addition to the factual context, significant space is devoted to the memory of this period and its representation by Georgian and foreign scholars as well as direct participants of the events. Reconsideration of the past determined by *perestroika* politics; cases of active forgetting and revenge on the past that expressed the struggle for a “new past”; growth of the national movement and attitudes of the communist government as well as the general public towards it; current assessment of the issue of political independence by the former political elite are also analyzed in this part of the study.

**Chapter Two – “April 9: Trauma and Triumph”** – consists of four sections: “April 9, 1989 as a Paradigmatic Event” (Nino Chikovani), “Tragedy as Martirdom and Resurrection: the Birth of a Hero” (Nino Chikovani), “April 9 in the Georgian Press, 1989-2019” (Irakli Chkhaidze), and “Natural Disasters: Reflection of the April 9 Trauma” (Ketevan Kakitelashvili). The first section presents the process of turning April 9 into a paradigmatic event. It analyzes *cultural patterns* that served as the foundation of the traumatic-triumphal narrative of April 9; the role of the emotions of April 9 in the process of its memorialization and representation in various forms; thirty-year dynamics of attitudes towards this event. A special place is devoted to the issue of *resonance*: connection of old and new traumatic experiences established by April 9 that served to shape and define the new trauma. The section illustrates the sequence of historical events formed by this resonance and shows how the collective trauma of April 9, 1989 became the reference point for future history and memory. With the declaration of independence on April 9, 1991 in the location where just two years ago a tragedy (and before that, a number of pivotal events) took place, a mnemonic bridge was formed between the present and the past, emphasizing historical continuity that strengthens shared memory and identity. As a paradigmatic event, April 9 played a decisive role in the establishment of the segment of Rustaveli Avenue as a paradigmatic and sacred space in the collective memory of Georgians. Cases of confrontation over the possession of this space, as well as violations of the “inviolability” of the paradigmatic event and its mental representation are discussed in the section.

In the second section, one more manifestation of the resonance of April 9 is analyzed: the meaning of the tragic death of Merab Kostava, one of the most prominent leaders of the national liberation movement, on October 13, 1989, was defined in the framework of the same cultural pattern that formed the narrative of April 9. Factors that contributed to the interpretation of Merab Kostava’s death as martyrdom and resurrection, and the birth of a new hero are discussed.

The third section analyzes the role of print media in shaping April 9 as a traumatic and triumphal event. Starting from *perestroika*, the Georgian media gradually diversified. Newspapers were published by both the state and various political and public associations, which at the time were the main source for disseminating information and constructing social reality. Based on the analysis of official and alternative press of the 1989-2019 which were particularly influential due

to the wide circulation, the section explores how newspaper publications portray the formation of April 9 as a paradigmatic event; whether the cultural patterns figured in print media; what role the transformation of political context(s) played in the construction of the April 9 narrative. As observed, the growing influence and importance of social media and Internet suppressed print media as the primary source of information.

The fourth section is dedicated to the comprehension of the natural disasters of 1989 and 1991 in the context of cultural trauma theory. The research is based on the analysis of press publications from the period. In April of those years, the most devastating and fatal natural disasters out of those preserved in the collective memory occurred in mountainous Adjara and Racha-Zemo Imereti. The two pivotal moments related to the month of April – the tragedy of 1989 and the declaration of independence in 1991 – led to the understanding of social and natural occurrences in the framework of a unified traumatic experience, as well as to their identification with the question of identity. The section studies main aspects of the cultural patterns which were utilized for constructing the social trauma; they were “activated” after the mentioned disasters to give meaning to the new traumatic experience and to construct the traumatic narrative.

**Chapter Three – “Civil Confrontation”** – includes two sections: “The Tbilisi War and Civil Confrontation” (Nino Chikovani) and “Conflicting Narratives” (Ketevan Epadze). The first section examines the 1991-1992 Tbilisi War and the subsequent armed civil strife as events that were not ascribed appropriate meaning; therefore, a consensus-based traumatic narrative was not formed, and the occurrence did not find a place in the cultural memory. These events did not become part of the memory politics and were not institutionalized. They were primarily preserved in the communicative memory and in various media – in the works of historians, school textbooks, autobiographies, literary texts, newspaper publications, documentaries, and television programs. Building on the analysis of narratives created by various groups, government decrees and decisions from different periods, memoirs and interviews with the representatives of the opposing parties and social media materials, the section explores the obstacles in the construction of memory of the Tbilisi War and civil strife; as a result, these events still remain a source of division and even confrontation between opposing groups.

The second section is devoted to the classification and analysis of conflicting narratives, the convergence and harmonization of which failed despite the repeated efforts of the involved parties and authorities. Special attention is paid to the conditionality of the classified narratives since, in certain cases, the narrators’ belonging has little impact on the story, they share the position of the opposing group, or offer a compromising version. Narratives available in the form of various publications and television programs are grouped according to their attitude towards the important moments of the civil strife. They are divided into three periods: 1990s, 2000s, and 2010s. The purpose of the section is to identify the components of traumatic narrative in these stories and to demonstrate how the attitudes of narrators as well as perception of perpetrator and victim, and understanding of responsibility changed over time

**Chapter Four – “‘Cries and Whispers’ of Memory: April 9 and the Civil Confrontation in the Memory Politics”** – consists of two sections: “Monumental and Symbolic Sites of Memory” (Ketevan Epadze) and “Functional Sites of Memory” (Nino Chikovani). Focusing on the creation and development of monumental, symbolic, and functional sites of memory (toponyms, memorials, monuments, tombstones, street names, museum exhibits, historical works, school textbooks), this author investigates how April 9, 1989 and the civil confrontation

were reflected in the the memory politics, what determined the “cries” of memory in connection to April 9, and its “whisper” regarding the civil confrontation. The first section deals with the monumental and functional sites of April 9 and the civil confrontation, and the problems of memory formation. Functional sites are explored in the second section. Considering that historical narrative is an important means of interpretation, meaning-making, formation of memory and its institutionalization, the interpretation of the events of the 1980s-1990s in the Georgian historical narrative is discussed in the first part of the section. The second part looks at the reflection of the facts in the history textbooks of independent Georgia, which are created in the framework of the official historical narrative. They are an important instrument for developing attitudes towards the past. In order to illustrate the dynamics, the section builds on the textbooks created before and after the Education Reform (2004-2005).

**Chapter Five – “The Dark 90s.’ The Trauma of Everyday Life”** (Ketevan Kakitelashvili) examines everyday and individual dimensions of the political, economic, and social processes of the late 1980s and 1990s: the impact of the decisive changes on the lives of ordinary people, their (self)identification, attitudes, worldviews, and identities; how this period was imprinted in the memory of that generation and how they assess those years from today’s perspective. The research is based on the analysis of oral histories, TV shows, blogs, Facebook material, documentaries, and other sources collected in the course of the project. A large section of these sources enters the academic domain for the first time and clearly demonstrates the alternation of emotions, moods, sense of triumph and trauma. This confirms the research hypothesis about the traumatic nature of the 90s. The narratives are organized thematically and cover the period of the civil confrontation, the refugee problem, the disorder caused by the collapse of state institutions, the syndrome of impunity and the rise of crime, the economic collapse, and the current contradictory attitudes towards the 90s.

**Chapter Six – “Trauma and Triumph in Literary Texts”** (Ivane Tsereteli) studies the role of fictional texts both in the construction of cultural trauma and in its overcoming. The analyzed literary writings reflect and, at the same time, create the world of the 1990s, represent it from various perspectives, highlight the seemingly insignificant details that acquire new meaning. These works produced by authors who still have a strong emotional connection to the epoch, help us establish an emotional link with the events of the 90s. The texts were selected based on their popularity and recognition in the literary world; therefore, they have an impact on the formation of collective memory. Written since 1989, they disclose the events which take place in the center of the capital as well as in smaller towns and villages, allowing us to compare the attitudes towards the happenings of the time across regions. Analysis of the reflection of general atmosphere in fictional texts reveals why the 90s became a decade that is easily recognized without specifying the century. Literary texts play a major role in understanding the uncomfortable and difficult-to-remember events, which society prefers to leave behind rather than scrutinize, further distancing them from history. They does not become part of the past, but remain in the realm of myths and legends.

The **conclusion** summarizes the results of one of the first fundamental studies conducted in the area of collective memory and cultural trauma in Georgia.

In the course of the research, we sought out, classified, and analyzed different narratives that defined the perception of the events as trauma or triumph, as well as their remembering or forgetting. These sources are extremely diverse – they vary between official documents,

literary texts, various types of media information and materials found in social media, and are noteworthy in terms of social attitudes, emotions, and moods. An important cluster of sources – monumental *sites of memory* – was collected in the form of photos and videos, and in the process of the fieldwork that included finding and analyzing materials in open spaces (monuments, memorials) as well as in museums. The Covid-19 pandemic partially hampered the fieldwork process, but we continued to rely on electronic media resources and information obtained from the municipalities in seven regions of the country.

The pandemic also reduced the scale of the survey-based interviews with the target groups. This part of the research conducted by Givi Silagadze, a researcher at the Caucasus Research Resource Centers, aimed to verify the results obtained via other research methods. Due to the existing limitations, we sent the questionnaire to general education institutions and other respondents via social networking and collegial contacts. This provided an opportunity that would not have been available in face-to-face interaction: the respondents were able to make comments on the survey web-page.<sup>11</sup> Along with expressing interest and encouragement, some respondents (including teachers) considered certain questions (especially those related to the Tbilisi War and the subsequent civil confrontation) biased (“the outcomes will suit their interests”), or believed that we distorted “the truth” (“they’ll then say that the majority thinks this way, they’ll speak in the name of the Georgian people, but black is black, and white is white”), wanted to steer the respondents, and especially school students (who were part of a separate target group), in a specific direction. This clearly illustrates that the conflicting memories associated with the civil confrontation has not yet been overcome and still influences the attitudes and perceptions of different groups of the society.

**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის პასუხების საშუალო მაჩვენებლები კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა სამხედროების მიერ შეკრების ქალაქობრივად დარბევა შოკი იყო მაშინდელი საზოგადოებისთვის?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.

დიაგრამა 21. ვინ დამარცხდა თბილისის ომში? - ორი ჯგუფის შეფასება




**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის რესპონდენტების პასუხების პროცენტული განაწილება კითხვაზე - „ვინ დამარცხდა თბილისის ომში?“. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.



**დიაგრამა 22.** ინფორმაციის წყარო 9 მარტის მოვლენების შესახებ


პირველად საიდან გაიგეთ 1956 წლის 9 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის რესპონდენტების პასუხების განაწილება კითხვაზე „პირველად საიდან გაიგეთ 1956 წლის 9 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ?“ კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.

**დიაგრამა 23.** პარალელი 9 მარტსა და 9 აპრილს შორის - ორი სხვადასხვა ჯგუფის შეფასებები


1989 წლის 9 აპრილის შედეგებზე 1956 წლის 9 მარტის მოვლენებზე ახალი აქტუალობა შეიძინა



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის პასუხების საშუალო მაჩვენებლები კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებზე ახალი აქტუალობა შეიძინა?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.

**დიაგრამა 24.** 9 მარტის და 9 აპრილი მოვლენები - ორი სხვადასხვა ჯგუფის შეფასებები

1989 წლის 9 აპრილი და 1956 წლის 9 მარტი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რადგან ორივე შემთხვევაში ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული დემონსტრაცია საბჭოთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია




**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის პასუხების საშუალო მაჩვენებლები კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილი და 1956 წლის 9 მარტი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რადგან ორივე შემთხვევაში ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული დემონსტრაცია საბჭოთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.

**დიაგრამა 25. 9 მარტის მოვლენების შეფასება - ორი სხვადასხვა ჯგუფი**

ისტორიის  
მასწავლებლები


დანარჩენი  
რესპონდენტები



- 1956 წლის 9 მარტი იყო სტალინის დაცვისკენ მიმართული პროტესტი, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა
- 1956 წლის 9 მარტი იყო ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა
- 1956 წლის 9 მარტი იყო პროტესტი, რომელიც მიზნად ისახავდა სტალინის დაცვას
- 1956 წლის 9 მარტი იყო ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, წინაპირობა, რომელიც საფუძვლად დაედო 1980-იანი წლების გამოვლიძებას და საქართველოს დამოუკიდებლობას

**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის პასუხების პროცენტული განაწილება კითხვაზე - „ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან, თქვენი აზრით, რომელი აღწერს უკეთ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს?“ რესპონდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ ოთხი პასუხი და შეეძლოთ, რომ აერჩიათ მხოლოდ ერთი მათგანი. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.

დიაგრამა 26. 9 მარტის შეფასებები სხვადასხვა ჯგუფში




- 1956 წლის 9 მარტი იყო სტალინის დაცვისკენ მიმართული პროტესტი, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა
- 1956 წლის 9 მარტი იყო ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა
- 1956 წლის 9 მარტი იყო პროტესტი, რომელიც მიზნად ისახავდა სტალინის დაცვას
- 1956 წლის 9 მარტი იყო ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, წინაპირობა, რომელიც საფუძვლად დაედო 1980-იანი წლების გამოღვივებას და საქართველოს დამოუკიდებლობას

**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია სამი სხვადასხვა ჯგუფის პასუხების პროცენტული განაწილება კითხვაზე - „ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან, თქვენი აზრით, რომელი აღწერს უკეთ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს?“ რესპონდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ ოთხი პასუხი და შეეძლოთ, რომ აერჩიათ მხოლოდ ერთი მათგანი. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა და ასევე, 1985 წლამდე დაბადებულმა 287-მა და 1985 წლის შემდგომ დაბადებულმა 249 რესპონდენტმა.

**დიაგრამა 27.** საბჭოთა ხელისუფლების როლი 9 მარტის მოვლენებში - ორი სხვადასხვა ჯგუფის შეფასებები


ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას (მოსკოვს) მიუძღვის ბრალი 1956 წლის 9 მარტს განვითარებულ მოვლენებში



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის რესპონდენტების მთლიანი რაოდენობის რა პროცენტი თვლის, რომ „1956 წლის 9 მარტის მოვლენებში ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას მიუძღვის ბრალი“. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.

**დიაგრამა 28.** 9 მარტის მოვლენების მსხვერპლი - ორი სხვადასხვა ჯგუფის შეფასებები

დღევანდელი გადმოსახედიდან, ვინ შეიძლება ჩაითვალოს 1956 წლის 9 მარტის მოვლენების მსხვერპლად




**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია ორი სხვადასხვა ჯგუფის რესპონდენტების პასუხების განაწილება კითხვაზე „დღევანდელი გადმოსახედიდან, ვინ შეიძლება ჩაითვალოს 1956 წლის 9 მარტის მოვლენების მსხვერპლად?“. კითხვარი შეავსო 308 ისტორიის მასწავლებელმა. ხოლო, დანარჩენი რესპონდენტები შეადგენენ 536-ს.

**რესპონდენტების პასუხები ჩაშლის გარეშე  
(არ შედიან ისტორიის მასწავლებლები)**

**დიაგრამა 29.** რამდენად კარგად იცნობენ რესპონდენტები მოვლენებს

თავიანთი შეფასებით რამდენად კარგად იცნობენ რესპონდენტები:




■ დანარჩენი რესპონდენტები (N=538)

**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია რესპონდენტების საშუალო მაჩვენებლები კითხვაზე - „როგორ შეაფასებდით, რამდენად კარგად იცნობთ...?“ სკალაზე 0 ნიშნავს „საერთოდ არ ვიცი რა მოხდა“, ხოლო 10 ნიშნავს „ძალიან კარგად ვიცი რა მოხდა“. კითხვარი შეავსო 538-მა რესპონდენტმა.



**დიაგრამა 30. 9** აპრილი, როგორც დამოუკიდებლობისთვის გაღებული მსხვერპლი - ყველა რესპონდენტი


1989 წლის 9 აპრილი იყო დამოუკიდებლობისთვის გაღებული მსხვერპლი



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების საშუალო მაჩვენებლები კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილი იყო დამოუკიდებლობისთვის გაღებული მსხვერპლი?“ სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.


**დიაგრამა 31.9** აპრილი, როგორც ამაოდ გაღებული მსხვერპლი - ყველა რესპონდენტი

1989 წლის 9 აპრილი იყო ამაოდ გაღებული მსხვერპლი, რადგან საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდა



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების საშუალო მაჩვენებელი კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილი იყო ამაოდ გაღებული მსხვერპლი, რადგან საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდა?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.


დიაგრამა 32. 9 აპრილი, როგორც ტრაგედია - ყველა რესპონდენტი



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების საშუალო მაჩვენებლები კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილი იყო ეროვნული ტრაგედია?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**დიაგრამა 33. 9 აპრილი, როგორც ეროვნული გამოღვიძების დღე - ყველა რესპონდენტი**


1989 წლის 9 აპრილი იყო ეროვნული გამოღვიძების დღე



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების საშუალო მაჩვენებელი კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილი იყო ეროვნული გამოღვიძების დღე?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**დიაგრამა 34.** საბჭოთა ხელისუფლების როლი 9 აპრილის მოვლენებში - ყველა რესპონდენტი


ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას (მოსკოვს) მიუძღვის ბრალი 1989 წლის 9 აპრილს განვითარებულ მოვლენებში



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია რესპონდენტების მთლიანი რაოდენობის რა პროცენტი თვლის, რომ „1989 წლის 9 აპრილის მოვლენებში ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას მიუძღვის ბრალი“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**დიაგრამა 35. 9 აპრილის მსხვერპლი - ყველა რესპონდენტი**


1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლი აღმოჩნდა მთელი ქვეყანა



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების საშუალო მაჩვენებელი კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლი აღმოჩნდა მთელი ქვეყანა?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**დიაგრამა 36. 9 აპრილი, როგორც შოკი - ყველა რესპონდენტი**


1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა სამხედროების მიერ შეკრების ძალადობრივად დარბევა შოკი იყო მაშინდელი საზოგადოებისთვის



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების საშუალო მაჩვენებელი კითხვაზე – „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა სამხედროების მიერ შეკრების ძალადობრივად დარბევა შოკი იყო მაშინდელი საზოგადოებისთვის?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**დიაგრამა 37.** ვინ დამარცხდა თბილისის ომში? - ყველა რესპონდენტი

ვინ დამარცხდა თბილისის ომში




**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია რესპონდენტების პასუხების პროცენტული განაწილება კითხვაზე – „ვინ დამარცხდა თბილისის ომში?“ კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.



**დიაგრამა 38.** საიდან გაიგეთ 9 მარტის მოვლენების შესახებ?


პირველად საიდან გაიგეთ 1956 წლის 9 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია რესპონდენტების პასუხების პროცენტული განაწილება კითხვაზე „პირველად საიდან გაიგეთ 1956 წლის 9 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ?“ კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**დიაგრამა 39.** 9 მარტი და 9 აპრილი - ყველა რესპონდენტი


1989 წლის 9 აპრილის შემდეგ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმა ახალი აქტუალობა შეიძინა



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების საშუალო მაჩვენებელი კითხვაზე - „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმა ახალი აქტუალობა შეიძინა?“. სკალაზე 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, 3 – „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“ და 4 – „აბსოლუტურად ვეთანხმები“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

დიაგრამა 40. 9 მარტის მოვლენების შეფასებები - ყველა რესპონდენტი

რესპონდენტი




- 1956 წლის 9 მარტი იყო სტალინის დაცვისკენ მიმართული პროტესტი, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა
- 1956 წლის 9 მარტი იყო ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა
- 1956 წლის 9 მარტი იყო პროტესტი, რომელიც მიზნად ისახავდა სტალინის დაცვას
- 1956 წლის 9 მარტი იყო ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, წინაპირობა, რომელიც საფუძვლად დაედო 1980-იანი წლების გამოღვიძებას და საქართველოს დამოუკიდებლობას

**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია პასუხების პროცენტული განაწილება კითხვაზე - „ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან, თქვენი აზრით, რომელი აღწერს უკეთ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს?“ რესპონდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ ოთხი პასუხი და შეეძლოთ, რომ აერჩიათ მხოლოდ ერთი მათგანი. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**დიაგრამა 41.** საბჭოთა ხელისუფლების როლი 9 მარტის მოვლენებში - ყველა რესპონდენტი


ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას (მოსკოვს) მიუძღვის ბრალი 1956 წლის 9 მარტს განვითარებულ მოვლენებში



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია რესპონდენტების მთლიანი რაოდენობის რა პროცენტი თვლის, რომ „1956 წლის 9 მარტის მოვლენებში ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას მიუძღვის ბრალი“. კითხვარი შეაგსო 536-მა რესპონდენტმა.

დიაგრამა 42. 9 მარტის მოვლენების მსხვერპლი

დღევანდელი გადმოსახედიდან, ვინ შეიძლება ჩაითვალოს 1956 წლის 9 მარტის მოვლენების მსხვერპლად?



**შენიშვნა:** დიაგრამაზე მოცემულია რესპონდენტების პასუხების განაწილება კითხვაზე „დღევანდელი გადმოსახედიდან, ვინ შეიძლება ჩაითვალოს 1956 წლის 9 მარტის მოვლენების მსხვერპლად?“. კითხვარი შეავსო 536-მა რესპონდენტმა.

**ზეპირი ისტორიები**

**ORAL HISTORIES**

**ბეჟან ჯავახია, 63 წლის, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს  
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი 1990-1992 წლებში, თბილისი  
ჩანერილია 05.12.2020**

ემოციის აქამდე მოტანა ძნელია. ეს ემოციები იმდენჯერ მოკვდა, დაიმარხა, აღდგა რალაცნაირად. [...] ეს 30 წელი ბრძოლაა თავის გადარჩენისათვის, იდეის გადარჩენისათვის. რაც მაშინ ძვირფასი იყო ყველა ჩვენთაგანისთვის, მგონია, რომ ყველა ცდილობს მის მოხმარებას, ან გაფუჭებას.

ჩვენთვის, ჩემი თაობისთვის, ეს ყველაზე წმინდათა წმინდა იდეა იყო - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ძალიან ბევრს ადამიანს მიაჩნია, რომ ჩვენ დავმარცხდით. მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვინც იარაღით განგვდევნეს, გაგვყარეს, პროვინციული ფაშიზმი გვიწოდეს და იმის მერე არც აღვმდგარვართ არსად. არავის არც ერთხელ არ უთქვამს, რომ ჩვენ რაიმე დადებითი როლი შევასრულეთ ისტორიაში, გარდა ერთი ნაწილისა. [...] მე მაინც მგონია, რომ თუ ღრმად დავფიქრდებით, თუნდაც ნიშნის მოგებით ვიტყვი, რომ გამარჯვებულები ვართ ჩვენ. რატომ, იცით? იმიტომ რომ დღეს არსებობს დამოუკიდებელი საქართველო. [...] იქ, სადაც დღეს მერაბი და ზვიადი განისვენებენ, ფილიპე მახარაძე და სილიბისტრო თოდრია იყო. რალაც გამარჯვებული ისტორია მათი იყო, მაგრამ ეს აღარ არის. თქვენ გესმით - სიმბოლურადაც გამარჯვება ჩვენ გვიჭირავს. დღეს ცნობილია, რომ ეს ყველაფერი მზადდებოდა ბეჟაევის კაბინეტში და სამხედრო შტაბის შენობაში. თვითონ ირაკლი ბათიაშვილმა დაწერა, რომ წინა ღამეს კიტოვანს იქ ეძინაო. არის ასეთი ადამიანი, რომელიც იყო საქართველოს სამხედრო კომისარი - დაწერა, რუსეთის დავალებით როგორ იბრძოდა, მთელი რუსული ძალები როგორ იბრძოდნენ ამისათვის. ჯაბა იოსელიანმაც თქვა, რომ რუსი რომ არ მოგვშველებოდა, ჩვენ წავაგებდით რუსთაველზეც კიო. ანუ მთავარი მოქმედი პირები რუსები იყვნენ, თუმცა არ ვიტყვი, რომ ყველა რუსი იბრძოდა. „შურისძიება“, „ნომენკლატურის შურისძიება“ - ასეთი ფილმი გადაიღეს უცხოელებმა, ეს იყო ნომენკლატურის შურისძიება, ეს ჩვენი საბჭოთა ნომენკლატურა მაინც რუსული იყო ზოგადი ვაგებით, მაშინ იდეოლოგია ასეთი იყო.

ის, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით, როგორი სახისაც არის, რანაირიც არის, ხანდახან გულში გამკრავს ხოლმე, რომ ალბათ რალაცები მართალიც არის ჩვენთან დამოკიდებულებაში. მიფიქრია, რა იყო უფრო მნიშვნელოვანი ბრძოლისათვის; ალბათ, დამოუკიდებელი საქართველო, როგორიც არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ გვაგინყვდება, რომ ჩვენ ახლა დემოკრატიისთვის ვიბრძვით. მაგრამ იდეალი რომელი საქართველოა ყველასთვის? იდეალია მონარქისტული საქართველო, ხომ? დავით აღმაშენებლის საქართველოა ყველასთვის იდეალი და ამ დროს ყველა ლაპარაკობს, რომ მას უნდა დემოკრატიული, ლიბერალური საქართველო. ისტორია ათასჯერ გადაფასდება, ათასჯერ დაინერება. იქ, სადაც დღეს მერაბი და ზვიადი განისვენებენ, ფილიპე მახარაძე და სილიბისტრო თოდრია იყო; გამარჯვებული ისტორია მათი იყო, მაგრამ აღარ არის, გესმით? სიმბოლურადაც გამარჯვება ჩვენ გვიჭირავს.

პროცესი, რასაც ვამბობ, რომ ჩემი თაობისთვის იყო ყველაზე წმინდა, მითს ჰგავდა უფრო. თქვენ რომ დააკვირდეთ, ეს არის მითის დაბრუნება. [...] ყველას უნივერსიტეტში ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, საქართველოს ისტორია იყო რალაც ისეთი, ჰეროიკული... დღეს ცოტა სხვანაირად ვუყურებთ მეც და ბევრი ჩემი კოლეგაც ამ ისტორიას, ვიდრე მაშინ შევხედავდით ჰეროიკულ ნაწილს ამ ისტორიისას, რომელიც გვასაზრდოებდა, გვაცხოვრებდა, იმედს გვაძლევდა, ძალას გვმატებდა. ჩვენი იმედი და მამოძრავებელი ძალა იყო ეს ისტორია. როცა ადამიანი არის მონა, ან დაპყრობილი, დამორჩილებული, მას უნდა აუხსნა, რატომ არ უნდა იყოს დამორჩილებული, რატომ არის რუსის ტოლი ან მასზე უკეთესი, ან რა გაუკეთებია... ეს იყო აბსოლუტურად მითის დაბრუნება და მითიური საქართველოსი. მე არ ვარ დღეს მონარქისტი, მაგრამ მე დავინყე პოლიტიკური მოღვაწეობა, როგორც მონარქისტმა, როგორც ტრადიციონალისტთა კავშირის წევრმა.

დღევანდელი გადასახედიდან თქვენ რომ ამ პროცესს შეხედოთ, ეს თამაშსაც კი ჰგავდა... როგორ ავხსნა, არც ვიცი... ადამიანებს გვინდოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენ ვთამაშობდით ქართულ სახელმწიფოს, ოღონდ სამეფო ხელისუფლების სახით. ვიკრიბებოდით ზურაბთან სახლში, ზურაბ ასკანელთან, იმას ჰქონდა დიდი სახლი და დიდი მაგიდა. ახლა ბევრს აქვს, მაგრამ მაშინ ძალიან ცოტა ოჯახში იყო დიდი მაგიდა, პატარა რუმინული ავეჯი და რალაცები იყო უკვე შემოსული და ეს დიდი რალაცები განდევნილი იყო. ზურასთან ამ მაგიდის თავზე იყო ბიბლია დადებული ან ჯვარი ხშირად. ჩვენ არც ერთი არ ვიჯექით იქ. ვისხედით ერთმანეთის პირდაპირ. მთავარი სულის ჩამდგმელი კაკო იყო მაშინ, ასათიანი, მაშინდელი ჩემი მეგობარი. ახლაც ვფიქრობ, რომ განათლებასთან ერთად, ხასიათს რომ ეძახიან ადამიანები, სჭირდება ადამიანს, ცოტა სიმამაცე სჭირდება. [ზოგს] ეს არც ერთი არ აღმოაჩნდა შემდეგში, ჩემი აზრით. კაკო და ზურა ასკანელი პირველსკოლელები იყვნენ. ძირითადად 7-8 კაცი ვიყავით, 10 კაცამდე. ეს არის 1989 წლის 9 აპრილამდე. მიმართები გვექონდა კატეგორიული, თავში მეფე იგულისხმებოდა, როგორც სიმბოლო სახელმწიფოს ერთიანობისა, ჩვენ - როგორც მისი კარისკაცები. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინმეს ჰქონდა თუ არა არისტოკრატიული წარმოშობა. ეს იყო მთელი თამაში. მერე გაჩნდა მონარქისტების პარტია ჟორჟოლიანის მეთაურობით. მერე ვილაცებმა ატეხეს, რომ მონარქიის იდეას გარყვნიან და უნდა გავერთიანდეთ და გაერთიანდნენ. მე იქ არ გავერთიანებულვარ. მერე ისევ გამოვიყავით, ტრადიციონალისტებში ვიყავი. მაგრამ ჟორჟოლიანისადმი არ მქონდა სიმპათია... კომკავშირული ბიოგრაფიაც ჰქონდა.

ამას იმიტომ ვყვები, რომ მინდა გითხრათ, ბრძოლა როგორი მითიური იყო. მხატვრულ რალაცას ჰგავდა. რას ვიგონებდით, არ ვიცი. ფილმებშიც კეთდებოდა მსგავსი, „ქალის ტვირთში“, თუ გახსოვთ, „თუთაშხიაშიც“ - რალაც სალონური არისტოკრატიული წრეები. უხერხემლო ადამიანები ვიყავით, რომლებიც ამ თემებზე ვლაპარაკობდით. შემდეგში უკვე ურთიერთობა ჯერ მერაბთან, მერე ზვიადთან... მით უფრო, რომ მე უნივერსიტეტში მაშინ გია ჭანტურისას დიპლომის ხელმძღვანელი ვიყავი და კარგი ურთიერთობაც მქონდა. ესენი იყვნენ ჩვენთვის გმირები. მე მაინც მიმაჩნია, რომ ჩვენ პროგრამულად მომზადებული კი არ ვიყავით გამარჯვებისათვის, ჩვენ გულები გვექონდა გახსნილი გამარჯვებისათვის.

ზვიადის მოძრაობა. მე ვფიქრობ, რომ გამსახურდიას თქვენც თუ დააკვირდებით და მამამისსაც, მის ნაწარმოებებს, ისინი ჰეროიკიდან ქვემოთ არ ჩამოდიან, არ მინდა

ვთქვა მაღალმხატვრულობიდან. ის, რაც კონსტანტინე გამსახურდიას აქვს, ეს იყო ენის არისტოკრატიზმი. რომ არა გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, საბჭოთა სახელმწიფო კატეგორიულად ითხოვდა, რომ ენა ყოფილიყო ძალიან მარტივი და უბრალოც, გლეხების ენაზე უნდა ეწერათ. კონსტანტინე ამას სცილდებოდა და ამიტომაც არ მოსწონდათ, მე ვფიქრობ, არა მხოლოდ ისტორიული პროცესების ჩვენს მეხსიერებამდე მოტანის გამო. ეს კავშირი ძველ ქართულთან, არისტოკრატულ ენასთან... სხვათა შორის, ჩვენ ასე ვლაპარაკობთ, თორემ მონაზვნების ჩათვლით შუა საუკუნეებში იყო მაღალი წარმოშობის ადამიანები. ყველა ისტორიულ ნაწარმოებს დააკვირდით, ვინ არიან ეს ჩვენი მონაზვნები. ევროპაშიც მე-13 საუკუნემდე ერთი გლეხი წმინდანი არაა. ეს არისტოკრატიული ენა, ანუ ისტორიული კავშირი აღადგინა და ეს ენა შექმნა.

გამსახურდია ხდება არა ილიას საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს გულის პარტიის თავმჯდომარე, არამედ ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარეა. რატომ? მე მაინც ვფიქრობ - იმის გამო, რომ მაშინდელი ბრძოლის ფორმა ასეთი იყო, ასე იწყებოდა. მას მოკავშირეები სჭირდებოდა ყველგან - შინ და გარეთ. მისი მოკავშირეები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ადამიანის უფლებებისათვის თავიანთ ქვეყანაში იბრძოდნენ. თუმცა მერე არ გააგრძელეს; სახაროვის ცოლი, ბონერი, მოგვიანებით ამბობს, რომ თუ გამსახურდია დარჩება საქართველოში, მაშინ კავკასიას დაკარგავს რუსეთით.

მე ვფიქრობ, რომ ეს ბრძოლა იყო ადამიანის უფლებებიდან ერის უფლებებამდე. რომ ვამბობთ, რომ ჩვენ მხარს არ გვიჭერდა ამერიკა და ევროპა, ვერც დაგვიჭერდა, იმიტომ რომ ჩვენ ვიყავით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. [...] ნოდარ ნათაძემ ახლახან დაწერა, მე ვერ ვიტყვი ვერც ერთ პოლიტიკურ ნაბიჯზე, რომ ზვიად გამსახურდიას შეეშალაო. მეც მინდა, რომ ახსნას, სწორად გამოაცხადა თუ არა დამოუკიდებლობა, რეფერენდუმი სწორად იყო თუ არა, სწორად მიაბა თუ არა ძველ რესპუბლიკას. ეს აუცილებელი იყო. ჩვენ უფლება გვქონდა იმ სახელმწიფოს აღდგენის, რომელიც ნაცნობი იყო ერთა ლიგაში. იცით, პირველი კი არა, ახალი კონსტიტუციაც კი არ გამოგვიცხადებია. ჩვენ გამოვაცხადეთ გარდამავალი ეტაპი. ჩვენ უნდა გამოვსულიყავით საბჭოთა კავშირიდან. 1978 წლის კონსტიტუციაში იქნა ჩასწორებები შეტანილი. პირველი დადგენილება, რომელიც [ზვიადმა] მიიღო, წინ აყენებდა ადამიანის საერთაშორისო უფლებებს. ადამიანის უფლებებში უპირატესობა მისცა საერთაშორისო კანონებს და წესებს, ამიტომ ის ვერ შელახავდა ვერც ერთი ადამიანის უფლებებს. მე მახსოვს, გამსახურდია ორჯერ შეხვდა ბეიკერს. როგორც კი აგვიჩიეს, გაზაფხულზე შეხვდა ბეიკერს სიგუასთან ერთად და მოიპატიჟა საქართველოში. და ის კი სთავაზობდა ისევე საბჭოთა კავშირში დარჩენას, ხომ ხედავ, რეფორმები კეთდება საბჭოთა კავშირშიო. ერთი ადამიანი მაინც არსებობს, ვინც იფიქრებს, რომ დადებითი ფაქტორის შემცველი ყოფილიყო ჯაბა იოსელიანი და მისი მხედრონი? მხედრონის საპატიო წევრად აირჩიეს ბეიკერი და ისე გარდაიცვალა, რომ ის დარჩა მხედრონის საპატიო წევრად.

ჩემი სტუდენტი იყო მუმლაძე, სამხატვრო აკადემიიდან. კარგი ბიჭი იყო, ცოტა უპატრონო ბიჭი იყო და ვგულშემატიკვრობდი. მერე მოხვდა ირაკლი წერეთლის პარტიაში. მერე ვნახე, რომ იარაღი ეჭირა სხვებთან ერთად. მე მგონი უკვე მხედრონი იყო გადასული. დაილუპა, ღმერთმა აცხონოს. არ იყო ცუდი ადამიანი. 20 წლის ბიჭს უნდა ბევრი რამ, სუბლიმაცია ხდება ენერჯის და იარაღს რომ დააკავებინებ ხელში, ის ამ იარაღის ენერჯიას გრძნობს და სხვა რამე ხდება. მაგათზე ტრაგიკული ადამიანები არც არავინ არის. მე ყოველთვის ვეუბნები სტუდენტებს, წადით და ნახეთ საბურთალოს სასაფ-



ლაოზე, რა გააკეთა ამ წითელმა ინტელიგენციამ. თვითონ კარგად არიან, ისინი ყველა მინაში ჩაანვინეს. ისე ჩაანვინეს, რომ მათ მშობლებს მათ გასამართლებლად სიტყვის თქმისაც ეშინიათ და ერიდებთ. ძალიან იშვიათად, რომ მათ შესახებ შექმნან დადებითი ნარატივები. აი ასეთი იყო ეს პროცესი.

პროცესი მრავალმხრივ არის შესაფასებელი. ჩვენ საერთოდ არ გვასწავლიდნენ 1918-21 წლების ისტორიას, და თუ გვასწავლიდნენ, სულ სხვა ისტორია იყო. ხომ შეიცვალა, ხომ აღარ არის წმინდათაწმინდა ლენინი. ეს ცვლილება მარტო იმას არ უნდა შეეხოს. ისტორიას აქვს ერთი კარგი თვისება - ცვლილებას ის ადამიანებშიც იწვევს. მოდი, ნუ შევებრძოლებით ამ ცვალებადობას. დღეს, ვფიქრობ, რომ ყველაზე მამაცი ხელობა ისტორიკოსობაა. ფაქტი იარსებებს, თუ მას შეაფასებს ისტორიკოსი.

მაშინ რთული იყო ვინმეს გაეგო, რომ ისინი [წითელი ინტელიგენცია] მართლა რუსეთზე მუშაობდნენ, იმიტომ რომ ეს იყვნენ ჩვენი სახელოვანი ადამიანები, ევროპაში აღიარებულები. თუმცა, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, რომელიმე მათგანმა, დიდმა, ძლიერმა, რეჟისორიან-მხატვრიანად, შექმნეს რამე? არაკონკურენტულ სივრცეში ძლიერები იყვნენ, მაგრამ კონკურენტულ სივრცეში საერთოდ დაიკარგა ძალიან ბევრი. არ მაინტერესებს, შექმნეს თუ არა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს იყო მათი შურისძიება მეტნაკლებად. მე ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ხომ არ დაფარეს მათ მცირე დანაშაული დიდი დანაშაულით? [...] ადამიანები შევიდნენ კომპარტიაში და ვილაცები ამბობდნენ და ზვიადსაც ეუბნებოდნენ, რომ შიგნიდან შეიძლება დავანგრიოთო. ანუ ჩვენ რომ არა, უარესი იქნებაო. მაგრამ ეს [ზვიადი] იყო მართლა შემლილი ადამიანი, თორემ მამამისს მაინც ჰქონდა იმის ავტორიტეტი, რომ უფროთხილდებოდა ყველა, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, დოქტორი იყო ევროპაში მიღებული [ხარისხით], ერთადერთი იყო სხვათა შორის, თან მწერალიც იყო, თან ეს ჰეროიკული სახეც ჰქონდა: ყვებიან, რომ [19]21 წელს, ყველა რომ წითელი დროშით შეხვდა, ჩვენი მწერლები, იმ წითლებს, მან თეთრ ცხენზე ამხედრებულმა, შავი ნაჭრით გაიარა. ეს მნიშვნელოვანი სცენაა. მათთვის გიჟი იყო, თორემ ვერ გახდებოდა უნივერსიტეტის რექტორი? ოღონდ მთავარი იყო, უნივერსიტეტში არ შეეშვათ, ის უნივერსიტეტში არ მუშაობდა, ბოლოს ლიტერატურის ინსტიტუტში იყო, მწერალთა კავშირიდანაც კი გარიცხეს. ამ ადამიანებმა დაფარეს, რომ მათთვის უფრო კარგი იყო შევარდნაძისგან გამოცხადებული დამოუკიდებლობა, ისინი ამბობდნენ კიდევაც ასე.

მე მოგიყვებით ასეთ ამბავს: მარიკა ლორთქიფანიძემ (სამწუხაროდ, ცოცხალი არ არის) მკითხა ერთხელ, როდესაც ბატონი ზვიადის პრეზიდენტად არჩევნების დრო მიდიოდა, რატომ არ გამოდიხარ იქიდანო, დამისახელა ერთი ჩემი მეგობარი, რომელზეც მითხრა, რომ გამოვიდა. არაფერიც არ იყო გამოსული, პირიქით, ზვიადის საპრეზიდენტო არჩევნების მდივანიც კი იყო მაშინ. მე ვკითხე, ქალბატონო მარიკა, თქვენ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორს, რამეში შეგეხოთ ვინმე ჩვენგან-თქო? მარიკამ მითხრა, არც ერთი წუთით და არაფერიო. პირიქით, მითხრა ასეთი რამ: (მაშინ ალბათ ქალბატონი მარიკა 60 წლის გახდა) მითხრეს, რომ შენ 60 წლის შემდეგ უნდა ნახვიდე პენსიაზეო, როგორც კათედრის გამგე. მე მივედი ზვიადთანო, იმან მითხრა, ეგ ჩემი საქმე არ არისო, მე არ მეხება არც ერთ შემთხვევაშიო, გადაწყვიტოს უნივერსიტეტმაო და, თუ პროფესორს შეუძლია იყოს ხელმძღვანელი, იყოსო. მით უფრო, მიღებულია, საზოგადოებას მოსწონს, რატომაც არ უნდა იყოსო, ასე მიპასუხაო. მაგრამ, რომ აირჩევენ პრეზიდენტადო, როცა მეტი ძალაუფლება ექნება ხელშიო, მაშინ, როგორ ფიქრობ, არ

გაგვიხსენებს არაფერს, არ დაგვიწყებს ბრძოლასო? ჯაბაც [იოსელიანი] ამბობს, რომ მარცხ ასე უყვარდა ზვიადს. ბოლო პერიოდში, სხვათა შორის, ტაბახმელაში რომ ვიყავით, მე მეუბნებოდა, რომ დიდი შეცდომა დავუშვიო, ზვიადი მთავაზობდა რექტორობას და ვერ გავბედეო. ასე განწყობილი რომ ყოფილიყო ზვიადი, მისი მეგობარი, რომელიც ცოტა ხნით იყო რექტორი, არ იქნებოდა რექტორი. მაშინ ბატონ ოთარს ყველა მხრიდან შეუტყეს. თვითონ ბატონ ოთარსაც უთქვამს ჩემთვის, რომ ყველა მხრიდან უტყევდნენ. ერთხელ მოწმე ვიყავი, როგორ ლანძღავდნენ, როგორ გაბედე და როგორ აღმოჩნდი მათთან ერთადო.

კონკრეტულ პიროვნებებზე ლაპარაკი ძალიან ცუდი იქნება. აი ის, რაც წამიკითხავს ტრავმის შესახებ, საბჭოთა ტრავმის, ერთ-ერთი ისაა, რომ ადამიანებს გაუჭირდათ საბჭოთა მეთვალყურეობიდან გამოსვლა, თავისუფლად მოქმედება. ჭირდებათ ზემოდან პატრონი, ეს პატრონი მათი იყო შევარდნაძე და შეჩვეულები იყვნენ.

**შეკითხვა:** ეს იმის ბრალიც იყო, რომ ზვიად გამსახურდიაში მათ პატრონი ვერ დაინახეს ან არ ეიმედებოდათ პატრონად ზვიადი?

ზვიადი მათ არ ეიმედებოდათ პატრონად, ნამდვილად არა. ისინი დადიოდნენ მოსკოვში.

**შეკითხვა:** ინტელიგენციის წარმომადგენლები ზვიადს ებრძოდნენ იმიტომ, რომ იმედი ჰქონდათ, მას მალე დაამხობდნენ თუ იმიტომ, რომ მათთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ის, რასაც ზვიადი ამბობდა და აკეთებდა?

მათ ინსტრუქციები ზემოდან მოსდიოდათ, უმეტესობას, ზოგი მაგათი გაკლენის ქვეშ იყო. ძალიან კარგად დანერა გიგი თევზაძემ, გამიკვირდა კიდევ: გამოდის, რომ მეც გაკლენის აგენტი ვიყავიო მაშინ, მამარდაშვილის გამო. საქართველოს კომპარტია არ არსებობდა, ტყუილია ეგა. არსებობდა საბჭოთა კავშირის კომპარტია, იმისი წევრები იყვნენ. საქართველოს კომპარტიას ვინ რას ეკითხებოდა. ისინი მუშაობდნენ ინტელიგენციაზე განსაკუთრებით, იმ ადამიანებზე, რომლებიც ძველ ისტორიას, შუა საუკუნეების ისტორიას ასწავლიდნენ. გამოდიოდა, რომ ძველი ისტორიის პატრონი იყვნენ ესენი. თქვენ წარმოიდგინეთ, რამხელა ტრაგედიაა [...] ის ოჯახისთვის ალბათ დღეს, მათი შთამომავლებისთვის, რომ ის შევარდნაძის გვერდით იყო, როცა ხალხს ხვრეტდნენ. ადამიანი, რომელიც იყო ძალიან კარგი მეცნიერი, ინტელიგენტი იყო, პირველად რომ ვნახე, მომხიბლა, იმიტომ, რომ ასეთი ინტელექტუალი მიტინგზე რომ გამოდიოდა, აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ეს ხალხი იყო ჩვენ გვერდით, მაგრამ ეს ხალხი იყო დაშინებული ხალხი, ძალიან ბევრი მათგანი. ბევრმა ვერ გაბედა, ბევრი იყო დაშინებული [19]37 წლით, [19]24 წლით, მათი შთამომავლებიც იყვნენ ძალიან ბევრი.

დღეს ყველა წუხს. მაგალითად, რამდენჯერმე მითხრა თაკო ჩარკვიანმა, რა უყვეს მის ოჯახს, როგორ დაუპირისპირეს ზვიადს. მე მიინდა გიჩვენო ის ტახტიო, სადაც ვოვა სიხარულიძე და ზვიადი ერთად ისხდნენ, როცა მოდიოდნენ ჯანსუღთანო; ჩვენ დაგვლუპა ვილაცებმა, რომ გამოგვიყენეს ასეთი რამისათვისო. მაგრამ, შეხედეთ, ეს ინტელიგენცია მიმა სააკაშვილმა ამყოფა ჯილდოებსა და ორდენებში, საელჩოებში, ნასვლის წინაც კი მისცა ელდარს და მის ძმას ჯილდოები და ორდენები, ხომ იყო ასე? სად არიან? სად დადგნენ ისევ? ხელი ვინ შეუშალა, ვინ ლანძღა, ვინ უთხრა, ჩარეცხილებიო? მუხრან მაჭავარიანმა თქვა, რომ მე ვთქვი ეს წითელი ინტელიგენციაო და მე თუ არ მეხებოდა, სხვას რატომ ეხებოდაო.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი ტრაგედია მარტო იმაში კი არ არის, რომ ბიძინა რა-

ტომ გვყავს, ან მიშამ რა ვერ შეძლო. არა. 30 წელია ვარსებობთ და ამ 30 წლის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია მე არ მინახავს, ზოგადად საქართველოს ისტორია, ამ 30 წლის კი არა.

[...] უნივერსიტეტიდან გაშვებული კი ვიყავი, მაგრამ ბატონმა გივიმ [ჟორდანიამ] მაინც მოინდომა ჩემი საკითხის განხილვა [საბჭოზე]. იქ ერთმა პროფესორმა [...] მითხრა, არ გრცხვენია, ბეჟან, სად რჩები, პეტრიაშვილებთან და კიდევ ვილაცხვებთანო? მართლა ასე იყო, პეტრიაშვილი უნდა ამერჩია თუ მთელი ეს გუნდი, რომელიც იყო ძალიან ბრწყინვალე. ძალიან ძნელი იყო. მე მაინც მიმაჩნია, რომ ეს ისტორიაა ჩვენი. ამ ისტორიაში ყველაზე დიდი ბრძოლაა, რაც ჩვენ გაქვს, ოღონდ არ უნდა გადავავლოთ, ნაბანწყალს ბავშვს რომ გადაავოლებენ ისე, ამ ჩვენი ქართული მონინავე საზოგადოების დიდი ნაწილი. დიდი წვლილი აქვთ ქართულ მეცნიერებაში, საზოგადოებაში, გინდა პოეზიაში, არ უნდა გადავავლოთ, უნდა აღვნიშნოთ, რატომ აღმოჩნდნენ იქ.

თქვენ არ გახსოვთ, რომ გამგებლებად ყველგან მხედრიონელები დანიშნეს? სენაკში იყო ქურდი, დასვეს გამგებლად. ის წერს, რომ კომუნისტების დროს ყველა რაიონის გამგებლები არიან ყოფილი ქურდები და კრიმინალებიო. მერე პიჯაკები ჩაიცვეს, ჰალსტუხები გაიკეთეს და მოგვეჩვენა, რომ კრიმინალები არ იყვნენ. როგორ არ იყვნენ! ჩვენი უნივერსიტეტი? მისაღებ გამოცდებზე რაღაც ნაწილი ხომ ფულს აკეთებდა? მაპატიეთ, მაგრამ ასე იყო და ამის დათმობა არავის არ უნდოდა.

მეორე, იცით როგორ ამინებენ ადამიანებს? დაშანტაჟებული ადამიანები ყავთ. ახლა რომ პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებენ, მაშინ უცხოეთში რომ მიდიოდა ადამიანი, 90 პროცენტს მაინც უნდა ეთანამშრომლა უშიშროებასთან, ხელი უნდა მოეწერა, რომ იქ კარგად მოიქცეოდა, იქ რაღაცას არ გააკეთებდა ან დავალებას შეასრულებდა. ამ ადამიანებს შიში ჰქონდათ, უნდა დაეკარგათ საკუთარი განსაკუთრებული სახე, ხომ? აი ევროპულობა, თავისუფლება - ეს იყო ძალიან საშიში ამ დროისათვის. ევროპაში ეს ლუსტრაცია იმ წუთშივე გააკეთეს. მახსოვს, ერთი გერმანელი, ნინა ბრახანტი თუ არ ვცდები, ქმარი ასმენდა. წავიდა, დადო დეპუტატობის მანდატი და წავიდა. რამდენი ევროპელი მღვდელი აღმოჩნდა შტაზის თანამშრომელი. ჩვენთან არც ერთი არ იყო? აბა ის კარტოთეკები რომ გატენილია, ტყუილი გგონიათ?

პრობლემა გვქონდა ყველა მხრივ. ამიტომ გამსახურდიას შეფასებას როცა ვინწყებთ, უნდა შევაფასოთ, სწორი დრო აირჩია თუ არა დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად.

რომ დავუბრუნდეთ უკან ისტორიას, მხოლოდ ქაოსი შობს ახალს. არ არის ეგრე? სამყაროს დასაწყისი ხომ ქაოსია? ნეტარი ავგუსტინე ასე იწყებს, რომ ისტორია მკვლევლობით იწყებაო. ისტორია არისო ძმების მკვლევლობაო - კანის და აბელის მკვლევლობაო. ისტორიამ მეორე ნაწილი დაიწყო რომულუსის და რემის მკვლევლობითო. ეს ჩვენი დამოუკიდებლობაც, ჩვენი ერის არსებობის ეს ფორმაც. ჩვენ მართლა ვართ ერი. მიუხედავად ასეთი პატარა რაოდენობისა, ყველა მახასიათებელი გვაქვს, რაც უნდა ჰქონდეს ერს. რომ გადახედოთ ამ ისტორიას, ის ცეცხლის გარეშე არ იშვებოდა. კენიცი იყო და აბელიცი იყო. 400 000 კომუნისტი გვყავდა, იცით? ყველაზე მეტი კომუნისტი საქართველოში იყო რიცხობრივად. რატომ დაიწყეს 2008 წლის ამბები? ნატოს გამო, რომ ნატოში არ შესულიყო საქართველო. უნდათ მორჩილი ქვეყანა და ეს არის. მედეა თუშმალიშვილმაც მომწერა, დიქსონი როცა ჩამოვიდა საქართველოში, ზვიადმა თხოვნით მიმართა, მიწერა, რომ იქნებ ამერიკის ჯარები დადგეს საქართველოშიო, ნატოს ჯარები დადგესო, როგორც დაცვის მექანიზმი რუსეთისაგან. ჩვენ ანალიზი გვინდა. შეიძლება ბევრი რამე არც გვესმის კარგად. სად ვართ, იცით ვინმემ?

მე დეკემბერში გერმანიაში ვიყავი. 21 თუ 22 დეკემბერს მე შემხვდა ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი და მითხრა, რომ სამ დღეში თქვენ გაიგებთ ძალიან სასიხარულო ამბავსო. 25-ში აღიარეს მათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ჯერ კიდევ ზვიადი საქართველოში იყო, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა ამერიკამ. უბრალოდ, ისინი ელოდებოდნენ საბჭოთა კავშირის დაშლას. თან გვეუბნებოდნენ ისინი, რომ ჩვენ უნდა გაგვეძლო დროისთვის. ამიტომ ჩქარობდნენ ისინი, იარაღით ამიტომ შემოვიდნენ, თორემ თუ აღიარებდა ამერიკა და ყველა, ზვიადი მოასწრებდა და მოაწყობდა, როგორც სოციალისტებმა გააკეთეს, ზიემებს. ეს უკვე საკმაოდ ძლიერი ძალა იქნებოდა, ამიტომ ჩქარობდა რუსეთი ამას, რომ იცოდა ძალიან კარგად. დაიწყო ზუსტად 21 დეკემბერს. ანუ იქიდან მიიღეს ნიშანი, ისინი ხელმძღვანელობდნენ ამ პროცესს. თავიდან ბოლომდე რუსული იყო მთელი ეს პროცესი. ეხლაც ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ მაგალითად, სიგუა ან კიტოვანი ან ხაინდრავა რუსეთის კაცი იყო? ეს იყო მაშინ, ახლაც ეგ არის. გაძლებაზეა. ევროპაში ჩვენ მხარს დაგვიჭერენ, როცა ჩვენ ვართ ორგანიზებული და ვაკეთებთ საქმეს. თუ ჩვენ გადავდებთ ამას, ვიქნებით როგორც შუა აზიის ქვეყნებია. ევროპა ადამიანებს არ ახარისხებს, არც ამერიკა, კანის ფერის მიხედვით. ის ხელს გინერს იმ ხარისხიან ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებ, უბრალოდ ცდილობს, რომ ეს ბრძოლა არ გამოვიდეს რალაც მდგომარეობიდან. აი, როგორც ბავშვს ასწავლი სიარულს - ახლა, მეტი არ შეგიძლია, დაისვენე დღეს, მაგრამ, შეიძლება მან სამი ნაბიჯით მეტი გადადგას და მალე გაიაროს. შეიძლება შენ აყოვნებდე, ხომ? შევარდნაძე ამბობს ასეთ რამეს 1994 წლის 1 მარტს: თუ ჩვენ ახლა არ შევედით დსთ-ში, ჩვენ დავკარგავთ აფხაზეთს სამუდამოდ. 5 წელი თუ აფხაზეთი ჩვენი არ იქნება, იცოდეთ, რომ ის ჩვენი აღარ იქნება! ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ ეს. მერე ეკითხება ჟურნალისტი: მაპატიეთ, მაგრამ თქვენ რას ელოდებოდით ამდენი ხანი? რომ ჩამოხვედით, მაშინ რატომ არ შეხვედით დსთ-ში? რა თქვა? „საქართველო არ იყო მზად ამისთვისო.“ რით მოამზადა? კორუფცია, კრიმინალური ქაოსი, ეს ყველაფერი გვაახლოებს რუსეთის მორჩილებას. ეს არის რუსული პროექტი, რაც უფრო უარეს დღეში ხარ, მით უფრო მისი მორჩილი ხდები.

ჩვენთან მართული ქაოსი იყო ნამდვილად. შევარდნაძეს ცნობადობა მეტი ჰქონდა, ვიდრე სხვას, სომხეთის და აზერბაიჯანის მმართველს, იქაც მოხდა ორივეგან გადატრიალების მსგავსი რამ. მაგრამ მთავრი ძალა კავკასიაში მაინც იყო საქართველო. ეს ქაოსი შემთხვევითი არ იყო. ეს იყო კრიმინალური ქაოსი. არ იყო გაზი, დენი. უნდა ყოფილიყო ეს მდგომარეობა, რომ გვეფიქრა, რომ საბჭოთა კავშირია კარგი და დსთ, სხვანაირად ვერ ვიარსებებთ. ეს 90-იანი წლები იყო დასაბრალებელი. ლენინს აქვს ნათქვამი, ჩვენ ინტელიგენციის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, ჩვენ ინტელიგენციისათვის ვიბრძვითო. ინტელიგენციისთვის იბრძოლეს და შექმნეს ეს თავიანთი ინტელიგენცია. სადმე არსებობს ეგეთი ფენა, როგორც ჩვენ გვექონდა?

სხვათა შორის ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლაზე უნდა ნახოთ ზვიადის მძღოლის მოგონებები. მძღოლის ფანჯრიდან დანახული სიმართლე. მე აღარ მახსოვს, რა გვარია ის კაცი, თვითონ მომცა, გარდაიცვალა. ის ამბობს, რომ ზვიადს სამჯერ ჰქონდა მცდელობა წამოსვლისო. სამჯერ ჩასვეს თვითმფრინავში და სამჯერ არ წამოვიდა არაფრით. ეს თვითმფრინავი, რომლითაც წამოვიდა, არის პეტერბურგიდან ჩასული გროზნოში. პეტერბურგიდან ჩასული თვითმფრინავი კონტროლის გარეშე გროზნოში ვერ აღმოჩნდებოდა, მე ასე მგონია. აი, თუ არ ჩამოხვალ ყველაფერი დასრულდებაო და განსაკუთრებული ზეწოლა იყო. იგი დარწმუნებული იყო ერთ რამეში - თუ ჩამოვიდოდა, შეეძლო აფხაზეთის ომისთვის ეშველა. ის ჩავიდა ოჩამჩირეში, იქ ჯარისკაცებმაც მიიღეს, მაგრამ

მაშინ დაიწყეს ამათ სამტრედიაზე შეტევები. ჯაბა ჩავიდა მეორე დღეს სამტრედიაში და ზუგდიდიდან მოამწყვდიეს სრულიად. ტყუილია, რომ ზუგდიდში აღარ უშვებდნენ, ოჩამჩირიდან გალელები ყველა ზუგდიდში შემოვიდნენ და მაშინ ლოთის იქეთ უნდა გადაეკეტა, ხომ, სოხუმთან გზა? უბრალოდ, ეს მითი შემქნეს, ვითომ აქეთ არ გამოუშვეს და იქეთ წავიდნენ. გადაკეტილი არ ყოფილა გზა. უბრალოდ, მოხდა ასეთი რამ, ჩემთვის ცოტა გაუგებარი: ნომბერი იყო, თუ არ ვცდები, დაგვიბარა აბსანძემ და გვითხრა, ყველაფერი დასრულდაო. ზვიადი არ არის, უნდა წახვიდეთო. ასე არ არის - წახვიდე და პრეზიდენტი მიატოვო. პრეზიდენტს ვერ მიატოვებ. პრეზიდენტს არ ეკითხები, სად მიდის. ჩვენ რომ ზუგდიდიდან გამოვქცეულიყავით, ესე იგი მივატოვეთ, ხომ? ჩვენ იქ ვიყავით დიდხანს და ქითაგვარაში ვცხოვრობდით. ყველაფერი დამთავრდა. მე რალაც ქალაქლები მქონდა, ვინ მოდიოდა, ვინ მიდიოდა პრეზიდენტთან, რალაცებს ხომ ვინერდით, უკან დავბრუნდი - რალაცები დამრჩა. ამ დროს შუქი ჩაქრა ზუგდიდში და რალაც აფეთქდა, ქვესადგურები რომ ფეთქდებოდა ხოლმე, რალაც საშინელი ხმა ჰქონდა ამას. ჩემთან იყო მერაბ კიკნაძის პატარა ბიჭი - სანდრო, რომელიც 11 თუ 12 წლის იყო. მერე მე ისევ დავბრუნდი. 2-ში ზვიადი მოვიდა. მე ვნახე პირადად. შემხვდა, გაუხარდა, რომ დავხვდი, იმიტომ რომ რალაც ნაწილი წავიდა სვანეთში. რალაც ვილაპარაკეთ და წავიდა მერე. მე არ მქონდა უფლება მეკითხა, სად მიბრძანდებით? არავინ ეკითხება პრეზიდენტს, სად მიდიხარო. გადის დაცვასთან ერთად. მერე აღმოჩნდა, რომ აბსანძემ გააკეთა შეხვედრა და ყველაფერი ძალიან კარგად არისო. ეს კარგად ყოფნა აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდნენ აფხაზეთის საზღვარზე, სადაც მას მოსთხოვეს, რომ ხელი მოენერა აფხაზეთის დათმობაზე და დააბრუნებდნენ თბილისში. მან უარი თქვა, როგორც შემდეგში არის ეს ამბები აღწერილი. მე პირადად არცერთი პირადი მთხრობელისაგან ეს არ მომისმენია მაგრამ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ის არ მოანერდა არაფრით ხელს. თუმცა სხვადასხვა მითი არსებობს. გროზნოში როცა ვიყავი, მომისმენია, რას ჰყვებოდნენ დაცვის წევრები ბაჩუკი, ზაზა, რობინზონი, კიდევ ბესო ყვებოდა. ერთი ამბობდა, რომ ბატონი ზვიადი ცუდად რომ გახდაო, მე ავდექი და სახარება დავუდეო თავქვეშ და უკეთ გახდაო. მეორე ამას არ ყვებოდა. კი არ იტყუებოდა, თავის გამოჩენა უნდოდა, რომ რალაც კარგი გააკეთა ზვიადისთვის. ასეთი სცენა წარმოიდგინა, რომ ეს უნდა გაეკეთებინა. ისინი ამბოდნენ, რომ ცუდად იყო რამდენიმე დღე, იმარხულა და მერე უკეთ გახდაო. ბესო გუგუშვილი ყვება ასეთ რამეს: მე რომ გავიღვიძე, გავიგე ტაშტის გახრიგინების მსგავსი ხმა. ბესო რომ იტყუებოდა, შეუძლია თქვას, რომ სტეჩკინის ხმამ გააღვიძა. მე მაინც მგონია, რომ ბესო გუგუშვილს არ უნდა ერთი რამის თქმა, რომ შეიძლება, ამ ნერვიულობის გამო, იგი რალაც დასაძინებლებსაც სვამდა. ბესოს ჰქონდა ცუდად სასუნთქი გზები და სულ რალაცებს ინვეთებდა - ეს მახსოვს. ან, ხომ შეიძლება მან დაიძინა და ასე გაიგო. ტყვიის გულის დაკარგვა ცოტა ეჭვს აჩენს. გროზნოში რომ მოასვენეს, მე დავხვდი იქ აეროპორტში. მერე საავადმყოფოში წაასვენეს, იქაც დავხვდი. მერე იქ ჩაიკეტა კარები, მაგრამ ბიჭები მოვიდნენ, გიორგი და ცოტნე და შესვლას აპირებდნენ, მე მგონი გიორგის არ უშვებდნენ. ამ დროს კარი გაიღო და ვნახე, რასაც აკეთებდნენ. ისინი ასუფთავებდნენ, იყო შავი წინწკლები. იქ იყო ექსპერტი, ძალიან სიმპათიური კაცი, ჩვენ მაინც გვეგონა, რომ ექსპერტიზას გაუკეთებდნენ იქ. ისევ უარი თქვა მანანამ. ამ კაცმა თქვა ასეთი რამ, ძალიან კარგად არის შენახული, უფრო სითხე იყო გამოცლილი, სითხისგან არის გათავისუფლებულიო.

თქვენ იცით, რომ წირვის დამთავრების წინ, ზიარების წინ, როცა მიცვალებულის წესის აგება დამთავრდებოდა, მიდიოდნენ ადამიანები ცხედართან და მიტევებას სთხოვ-

დნენ მას. მომეჩვენა, იყვნენ გაცრეცილკაბინი გოგოები, რუსის გოგოები, ესეთი ხალხი, მიდიოდნენ და მიტევენას სთხოვდნენ, ეამბორებოდნენ ხელზე და მერე გადიოდნენ ზიარებაზე. ასე მახსოვს. და რომ გამოვასვენეთ გარეთ, ვილაც რუსი მათხოვარი ქალი მივარდა მანანას, გადაღებულა კადრიც - „ეტო ვი ნას სპასლი, მი უბილი, რუსკიე,“ - უთხრა ამ ქალმა. „ჩვენ ვართ მკვლელებიო.“ სხვათა შორის, მაშინ იყო კავკასიის ლიგა, ძალიან ცნობილი ფიგურები იყვნენ სამი ადამიანი, ზვიადს დაუპირისპირდნენ და მერე აღმოჩნდა, რომ რუსეთის აგენტურაში იყვნენ, ისინიც ჩამოვიდნენ და ბოდიში გვითხრეს. ამ დროს მოვიდა ერთი კაცი. ვინ იყო იცით ეს კაცი? ჩერნებს, ჯოხარს რომ ჩაეტარებინათ მრავალპარტიული არჩევნები, ამისთვის თვითმფრინავი გაიტაცა ერთ-ერთმა, ჩაიყვანა სადღაც სტამბულში და ამის შემდეგ აიძულეს რუსები, რომ დაერთოთ ამ არჩევნების ჩატარების უფლება. აი, ეს კაცი იყო იქ. მერე გიორგის სთხოვა, რომ მანდ აქვთ მოედანი გროზნოში, ცენტრალური მოედანი, და ჩვენ გვინდა ამ მოედანზე დავასაფლავოთ ზვიადი და დავარქვათ კავკასიის მოედანიო, ეს იქნება კავკასიის თავისუფლების იდეო. სთხოვა ეს, მაგრამ მანანამ უარი თქვა, არცერთ შემთხვევაშიო. პატრიარქმა თქვა უარი ზვიადის დაკრძალვაზე სამებაში.

პირველად რომ გამოაცხადეს რომ პუტჩი იყო, ხალხიც ითხოვდა სხვათა შორის. ჩვენ როცა ხმა მივეცით პუტჩად აღიარებას, აი, ოქტომბრის ამბების, მაშინ რომ გამოვედით, ხალხი იძახდა, ხომ არისო პუტჩი, ნოდარ ნათაძეს და ვილაცებს მაკრატლებით რომ დახვდნენ, მაშინ იყო ეგ ამბავი.

ყველა მხრივ განწირული ადამიანი იყო ზვიადი, ყველა მხრივ განწირული. იმ ოთახში სხვადასხვა მხრიდან შეიძლებოდა შემოსვლა. ეს იყო ორი ოთახი. წინა ოთახი და წინ ოთახიდან უნდა შემოსულიყავი ამათ ოთახში. ამ ოთახს ჰქონდა გარე ფანჯარა ამოქოლილი, თუ დაკეტილი იყო გარედან. მე ვფიქრობდი თავის დროზე, რომ შეიძლებოდა რალაცით დაეძინებინათ ესენი და ეს გაეკეთებინათ და წამოსულიყვნენ. ანუ ეს პროცესი ასე შეესრულებინათ. არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ყველა ამბობს, იმ ოჯახშიც კი მომიყვნენ, იმათ რომ მიიღეს წინა დღეს, ახალი წელი დგებოდა და მეორე დღეს ეუბნებიან, ჩვენ ხვალ სტუმრებს ველოდებითო, ამიტომაც მიიტანა ვილაცებზე ეჭვი კოკომ, გამსახურდია. ყოველ შემთხვევაში ზვიადი სად იყო, იცოდნენ. მე ვფიქრობ, რომ ესენი დააძინეს, გაზით ან რალაცით და, როცა გამოიღვიძეს, ეს ნახეს. სხვა ტექსტი მათ ვერ ექნებოდათ. მე გროზნოში შემხვდა იგივე კაცი, მოვიდა, მითხრა წამომყევით, გამომყევით მანქანით. კი შემეშინდა, მაგრამ მითხრა ვინც ვიყავი, მე ვიციო, გამსახურდიას გასვენებაში გნახეთო და იქამდეც მინახიხართ იმ სახლშიო და სალაპარაკო მაქვსო, მითხრა - ისა ვარო, თვითმფრინავის გამტაცებელიო. იმან თქვა, რომ განსაკუთრებით ხაზგასმას იმიტომ აკეთებენ, რომ თავი მოიკლაო, რომ თქვენთან წმინდანად შერაცხვას შეიძლება ხელი შეუშალოს ამ ფაქტმაო. ყვებოდა, რომ ავადაც იყო. იქ ბესო ყვებოდა ესეთ რალაცას, რომ ეს ხომ ზამთარი იყო, თან ხომ ცუდი ნოემბერი იყო მაშინ, რომელიღაც მდინარეზე გადასვლის დროს ზვიადმა გაიხადაო, მერე ამ სველი ტანსაცმლით იარა კაი სამი ოთხი კილომეტრი. ამიტომ საესვებით შესაძლებელია, ცუდად გახდა და შეეშინდა. ამიტომ ამბობენ ისინი, რომ ცუდად გახდა და შეეშინდა და წავიდა თვითმკვლელობაზე. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, იცოდა უშიშროებამ, რომ იქ იყო. ყველაზე საინტერესო: მე ვიყავი მაშინ ფოთში. ეს ხომ მოხდა 31-ში, 30-ში შემხვდა ნათესავი, რომელიც ფოთის ბაზრიდან მოდიოდა, და მითხრა, რომ ეს გავიგეო. ერთი დღით ადრე. ახალი წელი არ იყო დამდგარი, ნამდვილად მახსოვს. ესე იგი რალაც პროცესი მზადდებოდა, ეტყობა. რასაკვირველია, ვერ გადაადგილდებოდა თვითონ. მას

უკვე შანსი არ ჰქონდა, რომ კიდევ სადმე გადაადგილებულიყო, ისეთი ავადმყოფი, კი, სასიკვდილო ავადმყოფობაც იყო, როგორც ექიმი ყვებოდა. მძიმე, თავისთავად, მაგრამ ფაქტი რა არის იცით, მე მაინც ვფიქრობ, რომ თვითმკვლელობა მისთვის მიუღებელი იყო. თვითონ მისთვის.

მეორე გასაკვირი რა არის, იცით? როგორც ბიჭებმა მომიყვინ, რომ გარდაიცვალა ზვიადი, უნდა დასაფლავონ რალაცნაირად, სხვათა შორის ის ქალი ცოცხალია, ვინც ბალზამირება გაუკეთა, ექიმია თვითონ და მგონი პირველად გააკეთა, მარა რალაც უნდა ეშველა. ის ხალხი, ვინც მიიყვანა იქ, ის ხალხი ამბობდა, ჩვენ ვერ გამოვჩნდებითო, ჩვენ აქ გვიცნობენო. გადმოასვენეს ჯონსონ კვარაცხელიას სახლში და მერე იქიდან - იქ, სადაც დაკრძალული იყო ბოლოს. ძალიან რთულია ახლა, ეს ბერბიჭაშვილის ისტორიამდე მივა ბოლოს. ის ადამიანი შეიძლება ბერბიჭაშვილს გაუტოლდეს, თუ ვინმემ მოაკვლევინა ან ამაში მიიღო მონაწილეობა. ის, რაც ლიად მოხდა - რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა ილიას მკვლელობას - იქ არ არის გარკვეული, ვინ ესროლა, როგორ ესროლა, სად მოხდა და აქ კიდევ... როცა ეს ბიჭები ყვებოდნენ, ერთი ფილმი მახსენდებოდა, თავიანთი გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით აღიქვამდნენ, რაც ხდებოდა. ასე აღიქვამდნენ ამ ამბავს. როცა ეს ქალები ცალ-ცალკე კითხავდნენ და მეც მეუბნებოდნენ, შენც კითხეო - ეგონათ, რომ რალაცას მალავდნენ - არა მგონია, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ეს ბიჭები ბოლომდე ახლდნენ, არაფერი ამქვეყნად მათ მოგება არ ჰქონდათ და არც მერე ექნებოდათ, არც ხელფასი ჰქონდათ დიდი, არც მოგება, არც არაფერი. უბრალოდ, გულწრფელად სჯეროდათ. მე ძალიან მიჭირს, რალაცა ვთქვა მაგათზე. ასევე ბესო გუგუშვილის მიმართ. ბესო ძალიან ინტელექტუალი ადამიანია, რალაცა ამ ბოლო დროს აქვს განხილვა - დასავლეთში რომ ცხოვრობენ და დასავლეთს აგინებენ, მაგრამ მაინც, ძალიან აკადემიური ადამიანია ბევრ რამეში და დაშვებაც კი არ არის, ბესო რამეს მალავდეს. ბესომ რაც გაიგო, რაც ახსოვს, იმას ყვება. ამბობს ასე, გამელვიძა, დავინახე ეს. ის ხომ არ ამბობს, რომ თავი მოიკლა. მერე ასაბუთებს, ეს თვითმკვლელობა იქნებოდა, სხვა რამე არაო.

**შეკითხვა:** ბოლო ინტერვიუში, იაგო ხვიჩიასთან, დაახლოებით თვენახევრის წინ, ბესო გუგუშვილმა გამორიცხა მკვლელობა, ანუ ეს იყო თვითმკვლელობაო. რალაცა შორიდან მოყვა მისი ხედვა - როგორ შეიძლებოდა, რომ მისულიყო აქამდე ზვიადი, ბოლო დღეებში როგორ იქცეოდა, საჭმელსო აღარ ჭამდაო საერთოდ, ბოლო სამი-ოთხი დღეო, როცა რალაცა პოზიტიურს ვიტყვოდითო, აი იქნებ რალაცა იყოს, იქნებ ხალხის ჯგუფის კონსოლიდაცია მოხდესო, როგორც კი პატარა იმედზე დავინყებდით ლაპარაკს, ხელს ჩაიქნევდა და - ნეტა თქვენო, კიდევ რომ რამის იმედი გაქვთო და ოთახიდან გადიოდაო. მთლიანად გადანურული ჰქონდა ყველაფრის იმედიო.

ეს მომენტი დასაშვებია, ვამბობ, მაგრამ ბესო მტკიცების ფორმით არაფრით არ უნდა ამბობდეს. ეს არის პროცესი, რაც მან ნახა, ჰო. რატომ ეძინა მაშინ ესე ღრმად, რომ ხრიგინის ხმაზე არ გაელვიძა? სტეჩკინს მაყუჩი არ ჰქონდა. ამბობს, რომ არ ჰქონდა. ბესო გაალიზიანა ძალიან ბევრმა ადამიანმა და მას უნდა დაამტკიცოს, მასზე ვილაცამ რალაცა რომ არ თქვას. რომ ესე მოხდა. დასაშვები ვარიანტია. მეც არ მინდა, რომ რალაცნაირად მოპასუხე ვიყო. ჩვენ ეს გვემართება. ხომ გითხარით, ისინი მეუბნებოდნენ, დამალავდნენ თვითმკვლელობასო, ამ ჩეჩნებმა მითხრეს, ამის და ამის გამოო. ისინი ცუდად იყვნენ განწყობილი მანანასადმი. თუმცა, არის ეს მითიც, ვილაცები ყვებოდნენ, ახლა დაინერა, ვითომ ჩამოიყვანეს თბილისში, აქ ჰყავდათ და მერე მოკლეს. მაგრამ ისინი ყველა დღეს აღწერენ, როგორ გაიარეს, რა გზა გაიარეს და როგორ მივიდნენ. ამ

პროცესის სხვანაირად დასრულება ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის შეუძლებელი იყო. ჩვენ ახლაც ვქმნით ამ ისტორიას. სახელმწიფოს ისტორიას.

მე რა შემეშალა, ეგ ვთქვი, რომ მეგონა - დამოუკიდებლობას გამოვაცხადებდით და აი იქ დასრულდა ყველაფერი. ჩვენ გავიმარჯვეთ. ბრძოლა უნდა ყოველდღე, ეს პატარა ქვეყანა რომ შენარჩუნდეს. ჯერ კიდევ დაპყრობილი ქვეყანაა, გვაგინებდა ეს. დაპყრობილია არათუ ქვეყანა, ადამიანის გონებაა დაპყრობილი რუსის ნარატივით. ჩვენგან ეს ნარატივი ბრიტანეთს გადაწვდა და ამერიკას. დუგინის ისეთი ტექსტებია, რომ ძალიან კარგად მუშაობს - რამეს კი არ გარნმუნებს, „გეხმარება“ ნაციონალური სახელმწიფოს შექმნაში, ნაციონალური ისტორია უნდა შექმნათო.

**შეკითხვა:** დამოუკიდებლობის აღდგენამდე, თუ ფიქრობდით იმაზე, რა იქნებოდა შემდეგ, რა ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სხვა რომელიმე სფეროში დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ? ან, მაგალითად, 1991 წელს, რა იქნებოდა მეორე დღეს, 10 აპრილს?

[უზენაეს საბჭოში] რომ შევედით, პირველსავე დღეს, მე პირადად, ჯონი ხეცურიანთან და კიდევ სხვებთან ერთად დავინიყე კონსტიტუციის ცვლილებაზე ლაპარაკი. როგორ უნდა მოგვეწყო, ანუ კონკრეტულად რა უნდა შეგვეცვალა ამ კონსტიტუციაში. რაღაცა ჯგუფები მუშაობდა. მე მანდ ყველაზე ნაკლებად აქტიური ვიყავი. ყველა ჯგუფი იყო, ყველა კომიტეტი იყო, ყველა კომისია იყო. გივი თაქთაქიშვილი მუშაობდა საოცრად. იქ პროცესები იყო, შემოტევები იყო, არ გახსოვთ, მეორე დღეს დასვეს მთელი სამედიცინო უნივერსიტეტის ჩარიცხული სტუდენტები?

**შეკითხვა:** და მანამდე?

იქამდე მოწყობის პრინციპები ყველა გვექონდა. საარჩევნო პროგრამა რომ გაკეთდა, იქაც იყო ეს ყველაფერი - ქვეყნის მოწყობის პრინციპები, არჩევნები, არჩევნების შემდეგ რგოლები, შეცვლები, აბსოლუტურად იყო მზად. პრინციპში მართვის სისტემაში, დაყოფაში ბევრი არ შეგვიცვლია, ტერმინოლოგია შევცვალეთ საბჭოთა და რაღაცები გადავადგილეთ იქეთ-აქეთ. დანარჩენი არ შეგვიცვლია თავისთავად, იმიტომ რომ ძალიან მძიმე იყო, თვითონ უშიშროებაც კი დაიტოვეს. წარმოუდგენელი იყო მისი შეცვლა, იმიტომ რომ სისტემა მუშაობდა სხვანაირად, იმ სისტემას ხელს გაკრავდი - არაფერი არ მუშაობდა. რასაკვირველია, რაღაცები იმ სისტემიდან გადმოვიდოდა.

თან ესენი ხომ ცდილობდნენ, ახლაც ამისი მეშინია, ეჩვენებინათ, რომ თითქოს ზვიადის მხარდამჭერი უფრო სამეგრელოა, მეგრელია და იმიტომ. ეს იყო აბსოლუტური ტყუილი. იმდენი მხარდამჭერი ჰყავდა კახეთში, ახლაც ვიცნობ ხალხს. უბრალოდ, მათ სურდათ, რუსული გეგმა იყო იგივე, რაღაცა კორენიზაცია სამეგრელოსი. მე რომ ჩავედი სამეგრელოში ასეთი რამ მითხრა ერთმა ჯგუფმა: ჩვენ არ ვიმუშავეთ წესიერადო, რატომ ვერ შევიდა მხედრონი აჭარაშიო? აჭარას აქვს ავტონომიაო. შემოვიდა ჩვენთან, იმიტომ რომ ჩვენ არა გვაქვს ავტონომიაო. ანუ ამაზე იყო მუშაობა. [...] ზვიადმა მეგრულიც არ იცოდა კარგად, თითქმის არ იცოდა, ესმოდა. აქეთ ფალავანდიშვილები იყვნენ ქართლის თავადები, დედამისის მხრიდან, იქით თოფურაძეები იყვნენ, მე მგონი ბებია. ჩვენ ვმუშაობდით და პარალელურად ისინიც მუშაობდნენ.

**შეკითხვა:** ამ პერიოდისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც წესი, აღინიშნება ის, რომ არ არსებობდა პროგრამა და ზვიადი, მაგალითად, ბლომდე დარჩა დისიდენტად.

ახალი ტექსტი აქვთ ახლა კიდევ, რომ ზვიადი - ეს იყო ფილოლოგის ევოლუცია, მეორე მოვიდა პოლიტიკოსი შევარდნაძე და სახელმწიფო იწყება იქიდან. ჯერ ერთი, ვინც



აკეთებს ამ რევოლუციებს ან დისიდენტურ მოძრაობას, ის დიდხანს არსად არასოდეს დარჩენილა და ვერ დარჩებოდა. ახლა გამახსენდა, ყველაზე კარგად მუშაობდა საგარეო კომიტეტი, თვითონ თედო პაატაშვილი და მისი გუნდი. ძალიან ბევრს აკეთებდნენ. რამოდენიმეჯერ იყო უცხოეთში, ნიქსონი ჩამოიყვანეს. ეგ არ იყო მარტივი, ხომ? ნიქსონი იყო ყოფილი პრეზიდენტი. მერე კაი ხანი არ ჩამოსულა არავინ. შევარდნაძემ ბეიკერი ჩამოიყვანა, ისიც წინასწარი შეპირებით, რომ აქ ქაოსი არ ყოფილიყო. ამერიკელების ჩამოყვანის წინ ვინმეს კინოს სახლთან ქვა და რკინა გინახავთ დაყრილი? ისინი ხომ მოვიდნენ ამით შეიარაღებულნი და ზუსტად 2 სექტემბერს გააკეთეს ეს და ისროლეს, ყველაფერი შეასრულეს თვითონ. რუსეთიდან დავალების შემსრულებელი ჯგუფები მუშაობდნენ. პრეფექტურებში მერე დიდი ომი იყო, სხვათა შორის, ძველი კადრების გაშვება, ახალი კადრების მიღება არ იყო ასე მარტივი, სისტემური ცვლილებები უნდა მომხდარიყო. თან პარალელურად ჩვენ ვიყავით ომის მდგომარეობაში ყველა მხრიდან, რუსეთიდან განსაკუთრებით. ჩვენ გამოვაცხადეთ მომზადება, ვამზადებდით პროცესს გამსახურდიას დროს. დისიდენტი რომ ყოფილიყო და არ ემუშავა, კანონებს ვერ მიიღებდნენ. ყველა მიმართულებით კანონებია მიღებული. შემოქმედებითი პროცესი იყო სრულიად. ასეთი სცენაც მახსოვს: ერთხელ, უკვე ოქტომბრის დღეები იყო, ტელევიზიასთან ხალხი იდგა, ცნობილი რეჟისორი მიიღო თავისთან კაბინეტში ზვიადმა. კულტურის მინისტრად ნიშნავდა, მოილაპარაკეს, საღამოს „ლიმონკით“ ხელში იდგა კოსტავას ეზოში და ამ ამბებს ყვებოდა სახალისოდ. რუსი პროფესორის ნაშრომი დავეე ამ დღეებში ფეისბუქზე. „ხომ არ გაგიჟდი, ქართველო კაცო?“ - სიტყვა რომ გვიტხრა. ჭითანავა დატოვა, ყოფილი კომუნისტი ადამიანი, სოფლის მეურნეობის მინისტრად. ბაკურ გულუა იყო, კომუნისტებიდან, ეკონომიკური ფრაქციის თავმჯდომარე. ყველას ჰქონდა ფრაქციებში თავისი ადგილები. მათ გაიფიქრეს ასეთი რამ: აი, ზვიადი გუშინდლიდან მოვიდა და გახდა პრეზიდენტი, ხვალ მე რატომ არ შეიძლება გავხდე? თან ზვიადი ახლოდან რომ გაიცნეს, ჩვეულებრივი ადამიანია. ყველა ამბებს, ანეგდოტებს, ხან ემინია, მორიდებულია. ოთახში რომ შევდიოდი, სიგარეტს ღიად არ ენეოდა. და ამათ იფიქრეს, რომ ყველას შეუძლია... ერთ დღეში ხომ არ გაჩნდებოდა ეს კანონები, მოვიდა და ერთ წელიწადში რამდენი კანონი მივიღეთ. კომიტეტები მუშაობდნენ, კანონებს ღებულობდნენ და იცვლებოდა რალაც. შეცვლა ძნელი იყო. დათხოვნა ერთად არ მომხდარა, არც შეცვლილა ძალიან რალაცები. უნივერსიტეტს კომპრომისი გაუკეთეს, როცა ოთარ ჯაფარიძე - თავიანთი კადრი - დაუნიშნეს და კიდევ როინ მეტრეველი. ვინმეს შეექმნა პრობლემა? რომელიმე კადრი გაუშვეს იმიტომ, რომ ზვიადი არ უნდოდა ან თავისუფლება არ უნდოდა? არც ერთი!

მომზადება დამოუკიდებლობის, რეფერენდუმის ჩატარება, მიღება - ერთი შეცდომა თუ არის? ან ნაციონალური ელემენტების, ან ვილაცის მიმართ? ყველაფერს ცდილობდა, ყველანაირად ცდილობდა, დადიოდა, ხალხს ეძებდა. უცხოეთში ეძებდა კადრებს. ყველგან ეძებდა. ჩვენ ხომ საელჩოები არ გვქონდა, არც წარმომადგენლობები გვქონდა. საქართველოს ჰქონდა წარმომადგენლობა მოსკოვში. დამისახელონ, დევნილი კომუნისტი რომელი იყო, ერთი დევნილი კომუნისტი ზვიადის დროს. სხვათა შორის, კომუნისტები ზვიადს ისეც არ გაუყრია პარლამენტიდან, ღიად გამოაცხადა საქართველოს კომპარტიამ, რომ რუსეთის პუტჩს უჭერენ მხარს. აი ამიტომ პარტია გააუქმა სასამართლომ. გაუქმებული პარტია გავიდა პარლამენტიდან. დამთავრდა. სერგო რიგვაკა - კომუნისტი - ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი არ მოაწერა. მე თუ მკითხავთ, მე მგონი ეგ ყველაზე მართალი ადამიანი იყო, ვიდრე შვიდი კაცი, ვინც ხელი მოაწერეს დამოუკიდებლობის აქტსაც და დსთ-ში შესვლასაც.

ახლა რაც შეეხება ეკონომიკურ პროექტებს, სხვათა შორის, წაიკითხეთ ზვიადის საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამა. ეხლა გამახსენდა, მეც ვღებულობდი მონაწილეობას, კულტურის ნაწილში რა უნდა გაგვეკეთებინა. ანუ, პროგრამა იყო, პრეზიდენტი რომ მოდიოდა, ყველაფრის პროგრამა იყო - სად რას გააკეთებდა. პრეზიდენტი ხდებოდა სამ თვეში. თუ მონახაზი არ ექნებოდა, ამ სამ თვეში ეს არ შედგებოდა, ხომ ასეა? იქამდე არის წინასწარ მონაცემები პრინციპებით ყველა გეგმა. სად რა ქარხანა აშენდება, ამაზე არ იყო. მთავარი იყო, რომ ჩვენ უნდა გვეზრუნა პირველ ამოცანაზე - როგორ შეიძლება ამ სისტემების დეცენტრალიზაცია. და ეს არ შეიძლებოდა ერთ დღეში მომხდარიყო. მეტალურგიული ქარხანა, რომელიც მუშაობდა ურალიდან ჩამოტანილ რკინაზე, ამას გეგმას გამსახურდია წინასწარ ვერ განსაზღვრავდა, გარდა იმისა ალტერნატივა რა იყო ამისი. პარტიის პროგრამა არსებობდა საარჩევნო, ანუ რას როგორ მოაწყობდა, ეკონომიკა და სხვა. დანარჩენი - წიგნები არავის გამოუცია, რომ წინასწარ მომზადებული წიგნებით ქართული ეკონომიკის პროგრამა გაეკეთებინა. განათლების სისტემაში იყო სწორედ, პირველ რიგში, რომ აი, ეს დეპოლიტიზაცია მოხდა. ანუ, ყველა ზოგადი გეგმები იყო. სხვანაირად ვერ გაკეთდებოდა. ამას გარდა, რომ მოდიხარ - რესურსები, პირობები, შეხვედრები, აღიარებები, ჩვენ ეს ყველა პროცესი გვეჭირდებოდა. ჩვენი აღიარების პროცესი ნელდებოდა სწორედ იმის გამო, რაც აქ ხდებოდა, ქვეყანაში შიგნით.

ბრძოლის ძირითადი ამოცანა - ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ყველაზე მთავარი მიზანი იყო. თუ ორგანიზმი არ გახდა დამოუკიდებელი, რომელ სისტემებს აანყოფს ის? ამიტომ, ეს იყო მთავარი. იქ ყავდათ თავიანთი ხალხი, ვინც ამ მითებს ქმნიდა. ერთხელ ზვიადმა დაგვიბარა რამდენიმე ადამიანი და გვითხრა ერთ კაცზე, რატომ ზის სულ ტელევიზიაში? თქვენც შეიძლება ჩაანაცვლოთ რალაცებშიო. აი, გურამ პეტრიაშვილი და სხვები ჰეროიკულ ტექსტებს ყვებოდნენ, რომელიც ქმნიდა, პირიქით, სანინალმდეგო განწყობას ანუ მასზე ხდებოდა ორიენტირება, გესმით? თორემ სხვების სიტყვებიც ესმოდათ. აი, მაგალითად, ლია ანდელუაძე იყო, ბევრი ძალიან ინტელექტუალი ადამიანი იყო, ზურაბ ძონენიძე, ჩვენი ქიმიკოსი. ანუ იყვნენ ეს ადამიანები, უბრალოდ ისინი არ ჩანდნენ.

დიდ მოვლენებს რომ ხვდები, იქ რალაცა პატარა ხდება შიგნით ასე იყო დამოუკიდებლობა. აქ აღმოჩნდა ბევრი კაენი, ბევრი ნაძირალა. ვიყავით განწირულები ამ დიდი პროცესისათვის. დიდი მოვლენა მოხდა და ჩვენ მეტი ანალიზი გვეჭირდება. მითის ასეთი სახით შექმნა, ანალიზიც კი გვიან გავაკეთე - „მათი სულები ზეციდან დაგვეყურებენ“, ეს იყო ის მითი, გამარჯვების და გამარჯვებაზე, რომ იმათი სისხლი ტყუილად არ დაღვრილა, მათ გამარჯვებისთვის იბრძოლეს. ეს გამარჯვება იყო ასე მოპოვებული. 31 მარტის რეფერენდუმი ხომ მოვამზადეთ, რომელიც ცოტა სწრაფადაც მომზადდა. საყვედურობდნენ ზვიადს, რომ თავისი დაბადების დღეს დანიშნა რეფერენდუმიო. მაშინ მხოლოდ და მხოლოდ კვირა დღეს ტარდებოდა რეფერენდუმები, დაემთხვა ეს 31 იმ წელს კვირას. როგორც გინდა, ისე გამოაბამ ყურს. [...] ვისაც უგრძნია 9 აპრილის შემდეგ, ხალხი მათ ვერ დააშინეს. 9 აპრილის შემდეგ ყველაზე მეტად გაერთიანებული იყო საქართველო. არაფორმალური, დისიდენტები ყველგან უკვე კარგად იყვნენ. პროცესი დაწყებული იყო დამოუკიდებლობის, მას გაფორმება სჭირდებოდა. შეიძლება ამაზეც ჰქონდათ დავა, ვის ხელში გააფორმებდნენ ამ დამოუკიდებლობას. ყველას უნდოდა, ყველა ნატრობდა. მაინც დაიშლებოდა ეს საბჭოთა კავშირიო! - არა. ყველა პროცესებმა ერთად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დაშლას. 9 აპრილს, როცა ისინი ტანკით მოგვადგნენ, დაშლილს

საბჭოთა კავშირი არ ჰგავდა. ეს მარტო აქ არ მოხდა, მოხდა ბაქოში, მოხდა რიგაში და ა.შ. ამიტომ ეს არ იყო ცალსახა პროცესი, ჩვენ დიდი წვლილი შევიტანეთ ამ პროცესში, როგორც სხვა ქვეყნებმა. მაგრამ 9 აპრილს თავისუფლებისთვის ხალხი მოკლეს. ეს უკვე ნიშნავდა, რომ ერს ჰქონდა განცდა, რომ უნდა იბრძოლოს. აი, რაღაცა ესეთი პროცესი იყო. მე მაინც ვფიქრობ, რომ იქამდე იყო საჭირო აქ, შიგნით მონყობა პრინციპების. ჩვენ გამოვაცხადეთ პირველსავე დღეს გარდამავალი ეტაპი. უნდა შექმნილიყო სტრუქტურები. ყველა პირობები უნდა ყოფილიყო მომზადებული.

ნოდარ ნათაძემ მითხრა, მე ზვიადთან მართალი როგორ ვარო? მე მასზე ბევრად უფროსი ვარ და მე ვერაფერი გავაკეთეო, მაგან მეტი გააკეთაო. რატომ მე არ დავინყეო უფრო ადრეო? ეს აქვს ნოდარს ნათქვამი ზვიადზე. ბატონი გოგი ოჩიაური ამბობდა, რომ იმას, რაც ზვიადმა გააკეთა, შეძლებდა მარტო ზვიადი, რადგან ის იყო უფლისწულად გაზრდილი ბატონი კონსტანტინეს ოჯახში. ის სხვა რეალობაში იზრდებოდა, ვიდრე თითოეული ჩვენთაგანი. იმიტომ, რომ კონსტანტინე გამსახურდია ქმნიდა ჯებირებს, ვითომ, საბჭოთა სისტემასთან. სახლი ცალკე, ლობე ცალკე, ლიტერატურა ცალკე, ეს ყველაფერი და არც იმ მთანმინდაზე დასაფლავების მონდომება. ზვიადი მან აღზარდა ამისათვის. ერთხელ მუხრანმაც თქვა - სახლი გახსნეს მაშინ, მუზეუმი კონსტანტინესი - კონსტანტინეს ყველაზე დიდ შემოქმედებად მაინც ზვიადი მიმაჩნიაო. ის გაიზარდა ამ სამყაროდან, ისეთ მითებში, რომ თავისუფლად შეეძლო ბრძოლა. მისი სახელის მითი შეიქმნა და მტრები შეიძინა. ეს მას განასხვავებდა ბევრისგან.

მერაბი მე გამაცნო გია ჭანტურია. მასხოვს, რუსთაველზე მივდიოდით, მერაბი ახალი გამოსული იყო. შორიდან ძალიან უბრალო ადამიანი მეჩვენებოდა. ახლოდან ძალიან ახლობელი გახდა, ერთ ნუთში, აი, ხელის ჩამორთმევისთანავე. მერაბის გასვენების დღეს მქონდა უკმაყოფილების გრძნობა, იმიტომ რომ ზვიადი მას ასაფლავებდა მთანმინდაზე და მეგონა, რომ პოლიტიკურ პროცესს ქმნიდა. ასე მეჩვენებოდა. მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ სილიბისტრო თოდრიას უშვებს იქიდან და მერაბი საფლავდება იქ. შეიძლება ამას ორი განმარტება მისცე. მერაბ კოსტავას იქ დასაფლავება მომზადება იყო ნაციონალური იდეის წინ წამოწევის. ეს იყო ყველასათვის ჩვენება, რომ დღეს მნიშვნელოვანი არის საქართველოს დამოუკიდებლობა. ასეთ სიტუაციაში დასაფლავებას პომპეზურობის ფორმაც აქვს, ხომ ასეა? ამიტომ სხვანაირად მივიღეთ, მაგრამ მისი სიტყვა ძალიან ბევრს ნიშნავდა. ისე, მერაბი ზვიადის გარეშე არ იარსებებდა. გულწრფელად გეუბნებით, მერაბს ვერ წარმოედგინა თავისი თავი ზვიადის გარეშე. მე ხშირად დავდიოდი ოლიკოსთან [მერაბის დედასთან]. ხანდახან მიკვირდა კიდევაც, რომ უფრო მეტს ზვიადზე ლაპარაკობდა. ზვიადი რომ დევნილობაში იყო, მაშინაც. და აი, მაშინ მოგვიყვა, გრიშა კოსტავამ დაარქვა მერაბიო, მისმა ბიძამ. მე არც ვიცოდი, რომ 26 მაისს იყო მერაბი დაბადებული, ოღონდ თქვა, მეც არ ვიცოდი 26 მაისი და გრიშამ გვითხრაო, მაშინო. მათთვის გამსახურდიების ოჯახი რაღაც ცოტა მითიური იყო. [...] ზვიადი ძალიან ზვიადი იყო და დიდი და ფარავდა ყველას. შიგნით ყველა ფიქრობდა, რომ ზვიადმა უნდა მოიფიქროს, ზვიადმა ყოველთვის იცის. მერაბზე, მე მგონია, მიჭირს ყველაზე მეტად ლაპარაკი. მერაბი მაინც იდეად დარჩა, რაღაც, აი, შეურყვანელ იდეად. მე პირადად არ მქონია ახლო ურთიერთობა. ყველანაირად ცდილობდა რომ ზვიადის გვერდით ყოფილიყო. აი „ძმა ქრისტესმიერ“ რომ აქვს დანერვილი, ეს იყო მისი დევიზი. მე მეჩვენებოდა, რომ მერაბი თამაშობდა მხატვრული ნაწარმოების გმირს, ან რომელიღაც წმინდან გმირს. რეალურ პოლიტიკურ ფიგურად ვერ წარმომედგინა. მი-

სი სიტყვები - „საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები...“ მე მგონია, რომ მისი მთელი ცხოვრება ლიტერატურიდან მოდიოდა და ასე გაატარა. მისთვის დამოუკიდებლობა ზვიადის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. თუმცა იყო სრულიად დამოუკიდებელი ფიგურა. ზვიადი როცა ემდუროდა თამრიკო ჩხეიძეს და ზურაბ ჭავჭავაძეს, მას მათთან ჰქონდა ურთიერთობა. უბრალოდ, მასთან ურთიერთობა შეიძლებოდა. მერაბს თვითონ რაღაც ისეთი წმინდანის ცხოვრებაც არ ჰქონდა აწყობილი. უბრალო ხალხის მეგობარიც იყო. მერაბი, ზვიადისგან განსხვავებით, უფრო სახალხოც იყო, მაგრამ უფრო ლიტერატურული გმირი იყო თვითონ. აი, შეხედეთ მთელ მის ცხოვრებას, წმინდანის ცხოვრებასავითაა და მხატვრულ გმირებში გადის მთლიანად. მე მაინც ვფიქრობ, რომ მათი სახე განაპირობა კონსტანტინემ. ყველა მათგანი განაპირობა კონსტანტინემ.

**ხალ**

**გოგი წერეთელი, 76 წლის, ინჟინერი, თბილისი  
ჩანერილია 09.02.2021**

მე მოვყვები მაინც 80-იანი წლებიდან, 80-იანი წლების ბოლოდან. ეს პერიოდი შედარებით, 80-იანი წლები, მე ჩემი სფეროს გადასახედიდან გეუბნებით, რომ ცოტა აღმავლობისკენ წავიდა. რა მხრივ, იცით? რომ გარკვეულწილად ჩვენი გზის მშენებლობაში მოხდა განვითარება და წინსვლა, მაგრამ მე მაინც ერთი რამ მინდა ვთქვა, რომ ის პერიოდი, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მაინც იყო [...] აბსოლუტურად სულ ყველანი, მეტ-ნაკლებად ყოველ შემთხვევაში, ჩემი სანაცნობოდან [...] იყო მუშაობა, სამუშაოები, მაგრამ ყოველთვის იყო დათრგუნული. რა მხრივ, იცით? მართლა ჩაფლული იყო მთლიანად ქვეყანა კორუფციაში. მეტ-ნაკლებად ამაში ვინც კი მუშაობდა, ყველა იყო [...] შეიძლება არც სურდა ან არ უნდოდა, მაგრამ თუკი მუშაობდა, იყო მაინც ეს. მაგრამ, გარკვეულწილად, 80-იანიდან 90-მდე, სანამ ასე ვთქვათ, დაიშლებოდა საბჭოთა კავშირი, იყო ფართო მასშტაბით გაშლილი სამუშაოები, შედარებით, კიდევ ვამბობ, შედარებით, ვთქვათ, უკანა პერიოდთან, მიექცა მაშინ ყურადღება, ტრანსპორტი განვითარდა. გინდა-არ გინდოდა, მსოფლიოსთან მაინც დაკავშირებული ვიყავით ამ სატრანსპორტო იმით და იყო - აღმავლობას ვერ დავარქმევ - გარკვეული პროგრესი მშენებლობაში. მაგრამ ეს ის პერიოდი, როცა უკვე დაიწყო მერყევი პერიოდი. მერყევს რას ვუძახი, რომ დაიწყო, ასე ვთქვათ, ეროვნული მოძრაობისკენ გადახრები და წამოვიდა მეტ-ნაკლებად... რა თქმა უნდა პოლიტიკურიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენს სპეციალობაში და ჩვენც საქმეშიდაც უკვე, რაღაც ცვლილებები იყო გადასული, ასე ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკისკენ, მაგრამ გარკვეულწილად იყო პროგრესი. მაგრამ ამ პერიოდში, მე მაინც შემიძლია ვთქვა, [...] გაურკვევლობები ბევრ რამეში, იმიტომ რომ ჩვენ არ ვიყავით მომზადებულები ამ საკითხისთვის. გარდა ამისა, რა იყო იცით? რომ შინაგანი რწმენა ადამიანებში უკვე გამოიკვეთა, რომ თითქოს უნდა დანგრეულიყო ეს ყველაფერი, ეს საზიზღარი პერიოდი. [...] მე თიანეთში ვმუშაობდი და მიწვედა იქ სიარული და ჩემთან ერთად ყოველ დღით, აქედან დავმეგობრდით, იყო გაზეთის რედაქტორი. თვითონ მენტალიტეტი ჩვენი იცვლებოდა თანდათან. იცვლებოდა. მე პირადად 44 წელში დავიბადე და ის პერიოდი, მოგეხსენებათ, იყო როგორი, იცით? აბსოლუტურად შიშის. [...] საბჭოთა კავშირის იქეთ არ გვეგონა, თუ ისეთი ცხოვრება იყო. აი ასე, მოყოლით და გადმო-

ცემით, ვინც საზღვარგარეთ დადიოდა, რომ ყვებოდნენ, ჩვენთვის ეს იყო გასაკვირი. მე ახლა რატომ გამახსენდა, იცით? ამ ჩემს მეგობართან ერთად ყოველდღე მიწვედა ერთად წასვლა თბილისიდან თიანეთისკენ და ვსაუბრობდით. ძალიან განათლებული კაცი იყო და იყო გაზეთის რედაქტორი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ რედაქციებში ყოველთვის პარტიული მუშაკები [იყვნენ], მაგრამ ეს კაცი იყო ძალიან საღად მოაზროვნე, და ერთხელ მეუბნება, რომ 90-იან წლებში საბჭოთა კავშირი დაიშლებაო და ჩემთვის შოკი იყო, შოკი რა მხრივ იცით, კი, ჩვენც ... მაგრამ ასე სწრაფად თუ მოხდებოდა. და ახლა მე რატომ ვამბობ, რომ მთლად გულახდილად - ხომ ვმეგობრობდით - მაგრამ მაინც ვერ ვსაუბრობდი გულახდილად მასთან.

რატომ დავუკავშირე ამ პერიოდს? აზროვნების ცვლილება ნავიდა, მე ვგრძნობდი, რომ იცვლებოდა ყველას მენტალიტეტი, რა თქმა უნდა, ვინც ოდნავ კითხულობდა რაღაცას, იცვლებოდა. ამ მხედველობასთან ერთად, უკვე თვითონ სამსახურეობრივი შეხედულებაც იცვლებოდა. და მე მახსენდება რა პერიოდი, იცით? 1985 წლიდან 90 წლამდე პროგრამები დგებოდა ხუთწლედების. 85 წელში შედგა პროგრამა, გაკეთდა საავტომობილო გზების განვითარების პროგრამა, ხუთწლიანი. და იმ პერიოდში დაიწყო ზუსტად პირველი ჩქაროსნული ავტომანქანების მშენებლობა - ზაჰესი-მცხეთა, რომელიც გაკეთდა ჯვრის ქვეშ. და მე უშუალოდ მომიწია ამ გზაზე... მე ვიყავი ამ მშენებლობის უფროსიც. აქედან იყო ეს პროგრესი მართლაც, გარკვეულწილად, მაგრამ კიდევ ვამბობ, შიში, დათრგუნულები აბსოლუტურად, ნურავინ ნუ იტყვის, რომ არ იყვნენ, იმიტომ, რომ ძალაუვნებურად, შენ შეიძლება ნაბიჯის გადადგმა არ გინდოდა, მაგრამ ძალაუვნებურად ექცეოდი ამაში, რა სიტუაციაც იყო მთლიანად ქვეყანაში.

ამასთან ერთად კიდევ რა მახსენდება. მე არ ვამბობ, რომ მიშვეებული იყო-თქო მთლად. ისე არ იყო მთლად მიშვეებული, ხარისხთან მიმართებაში, მაგრამ არც დიდი განმკითხავი არ ყავდა ამას, რატომ იცით? თვითონ კონტროლიც ისეთი არ იყო, ეს დამოკიდებული იყო [იმაზე], თვითონ პროფესიონალები როგორი იყვნენ და შინაგანად როგორი ის ჰქონდათ. მე ის პერიოდი მაინც ისე მახსენდება. [...] აი რომ შეიცვალა მმართველობა და გადავედით მართლა საბაზრო ეკონომიკაზე, მართლა გაცილებით მოიმატა უკვე ხარისხმაც, ტექნოლოგიაც განვითარდა, მაგრამ მე მაინც დადებითად ვთვლი, რომ მაინც იმ საბჭოთა კავშირის პერიოდში მიექცა ყურადღება ამ გზების განვითარებას. მე ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე ვამბობ.

მაგრამ უკვე 90-იანი წლებიდან, შეიძლება ვთქვა, რომ როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი, აბსოლუტური რეგრესი ნავიდა. ეს იყო მართლა როგორ, იცით? რომ ჩაკვდა ყველაფერი. მე შემიძლია ვთქვა, 91 წლიდან 96 წლამდე ეს იყო კატასტროფული პერიოდი ყველანაირად. კატასტროფული პერიოდი იყო, თქვენ კარგად იცით, მე ბევრს არ ვისაუბრებ. თუნდაც მხედრონის პერიოდი. როგორი შიმშილი დაიწყო, ეს უდენობა, აბსოლუტურად განუკითხაობა ყველანაირად და ასეთივე იყო ჩვენს საქმეშიდაც, ფაქტიურად იქამდე მივიდა, რომ კატასტროფულად ნავიდა ნგრევის პერიოდი. და ეს კიდევ იგრძნობოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თბილისიდან ქუთაისამდე დაახლოებით 6-7 საათი ვუნდებოდით ქუთაისში ჩასვლას, 93-94 წლებში იმდენად დეფორმირებული იყო სისტემა. შედარებით მაინც ჩვენ გვექცეოდა მეტი ყურადღება, სჭირდებოდათ გზები, მაგრამ მაინც, იმდენად დაინგრა სუყველაფერი. ბოლოს უკვე იქამდე მივიდა - მე კარგად მახსოვს ეს მომენტი, გარკვეულწილად ხელი მიმიწვდებოდა, მთელი საქართველოს მასშტაბით მქონდა საქმეები - რიკოთის უღელტეხილზე ელემენტარულად რომ ჩვენ

მოძრაობა შეგვენარჩუნებინა და თოვლი გაგვეწმინდა, თბილისიდან ჩაგვექონდა ცისტერნით სანავი და აქედან გამცილებელი მივყვებოდით, რომ ან ვინმეს არ გაეყიდა, ან ის. მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ გორში მიწვედა ღამის გათევა, თბილისში ვერ ვბრუნდებოდი. ეს იყო მართლა კატასტროფული პერიოდი. 6-7 საათი თბილისიდან ქუთაისამდე ჩასვლას რომ მოუწოდებოდი... გარდა ამისა, მე შემიძლია ეს ვთქვა, რომ ჩვენს დარგში მაშინ იმდენად იყო პროფესიონალები, პროფესიონალური სიყვარული ჰქონდათ თავისი საქმის და შედარებით კიდევ ხერხდებოდა, რომ ძირითად მიმართულებებზე გავლადობა ყოფილიყო.

ძალიან ძნელია ახლა, ამ გადასახედიდან რომ უყურებ, მაგრამ მართლა რას გაუძლო ხალხმა. კვების მხრივ, თავისთავად იცით, რომ პროდუქტების მომარაგება იყო კატასტროფული და ფაქტიურად შიმშილობა იყო. მე იმ გაგებით ვამბობ შიმშილობას, რომ მართლაც რომ სანატრელი იყო ყველაფერი. მაგრამ გარკვეულწილად რაც ჰქონდა დადებითი, ის იყო, რომ ნეტა ისეთი თანადგომა, მაშინ რომ იყო, გაგრძელდეს და გაგრძელებულიყო. ნათესავი ნათესავს უწყობდა ხელს, ერთმანეთის ხელშეწყობით გადიოდნენ. მე თვითონ ვეძისში ვცხოვრობდი, კერძო სახლი მქონდა. ჩვენ ეზო გვექონდა, ეზოში, მე კარგად მახსოვს, თონე გვექონდა და პურს რომ ვაცხობდით, მეზობლებს ვუნანილებდით, და სხვებიც ასევე იყო. მართლა ამ თანადგომით ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩა, ელემენტარულად რომ კვების საშუალება ჰქონოდა.

გარდა მაგისა, რა იყო იცით, სწავლის თვალსაზრისითაც - მე პოლიტიკური ინსტიტუტთან მქონდა ურთიერთობა - სწავლის დონემაც დაიკლო. მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ თვითონ ამ ტექნიკური ინსტიტუტის პედაგოგებს, ლექციებს ვინც კითხულობდა, თავისი პროფესია რომ უყვარდა, მაინც ამ სტუდენტებთან ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა, და რომ სპეციალობა არ დაკარგულიყო, ამ ენთუზიაზმით სწავლობდნენ. ჩვენი მხრიდანაც ჩვენ სტუდენტებს ხელს ვუწყობდით, რომ პრაქტიკასავით გაევლოთ ჩვენთან და სტაჟირებასავით ყოფილიყო და ემუშავათ. სწავლაშიდაც ხელს ვუწყობდით და, გარდა მაგისა, მუშაობაში, რომ ხელფასი ჰქონოდათ.

სხვა პოლიტიკური სიტუაციები ჩემზე კარგად იცით თეორიულადაც და გადმოცემითაც, მე ჩემი პროფესიის ირგვლივ ვტრიალებ.

მე შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე კატასტროფული პერიოდი იყო ჩვენთვის 92-დან 96 წლამდე, ყველანაირი სიტუაციით, ღამე გარეთ გასვლა, უსინათლობა... 96 წლიდან ჩვენს სფეროში დაიწყო აღმავლობა. სასწაული პროგრესი არ იყო, მაგრამ შედარებით 90-95 წლებთან. პირველი კრედიტი მსოფლიო ბანკით გამოიყო 96 წელში. მსოფლიო ბანკმა გამოგვიყო კრედიტი, მე კარგად მახსოვს, მე უშუალოდ ვიყავი ჩართული ამ პროცესებში. 6 მილიონი დოლარი გამოიყო, აი დღევანდელი დღე რაც არის დაფინანსება ჩვენი, დაახლოებით ასჯერ ნაკლები, 6 მილიონი დოლარი. დანარჩენი სამუშაოები რომ გაგვეკეთებინა, ჩვენი ფულით ვაკეთებდით და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ 6 მილიონი დოლარის საშუალებით თითქოს ახალი სიცოცხლე შთაებერა ამ ჩვენს საქმეს და დაიწყო აღმავლობა. რა მხრივ იცით, რომ ელემენტარულად, ამ თანხით - ეს იყო სამწლიანი პროგრამა - ამ თანხით მოვახერხეთ, რომ შეგვეკეთებინა გზები. პირველი იყო თბილისი-ქუთაისი და ფოთის მიმართულებით. ეს იყო აღმავლობა და ამის შემდეგ პროგრესი უკვე ძალიან ნაწიდა. ჩვენ ალბათ ვერ გადავრჩებოდით, რომ არ ყოფილიყო მსოფლიო ბანკის კრედიტები. [...]სამბრედია-გრიგოლეთის გზა კუვეიტის ფონდის დაფინანსებით გაკეთდა. ეს იყო აღმავლობის პერიოდი, კიდევ ვამბობ, იმ უარყოფით

პროცესებთან შედარებით, უკვე ეს მართლა პროგრესი იყო. ამასთან ერთად, ამ პერიოდში მოხდა უკვე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, აბსოლუტურად განსახელმწიფოებრიობა და სახელმწიფო დაქვემდებარებაში აღარ დარჩენილა აღარც ერთი მშენებელი და საექსპლუატაციო სამსახურები. ამან დიდი როლი ითამაშა და, ამასთან ერთად, უკვე კონსულტანტები ამ საერთაშორისო დონორების წარმომადგენლები იყვნენ და მე კიდევ ვამბობ, თეორიულ ცოდნაში ისინი ჩვენზე ათი თავით მაღლა არ იყვნენ, მაგრამ აი ეს გამოცდილება, რაც საბაზრო ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული, ჩვენ უკვე ამის ათვისება დავინწყეთ. მე შემოძლია სიამაყით ვთქვა ერთი რამე (სხვათა შორის ამის დოკუმენტაციაც არსებობს, მემორანდუმებს ტოვებდნენ): პირველად რომ ჩამოვიდნენ, ძირითადად ესენი იყვნენ განვითარებად ქვეყნებში დასაქმებული ხალხი, მე არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, აფრიკაში ნამუშევრები იყვნენ და იმათ წარმოდგენა ჰქონდათ, რომ თუ არ უყვირებდი კაცს აქ, თუ ჩხუბით არ ეტყოდი, საქმეს ვერ გააკეთებდი. ჩავედით ჩვენ, პირველი ჩასვლა იყო ბოლნისში, სამკაცციანი ჯგუფი იყო, რომლებსაც ჩვენთვის უნდა ესწავლებინათ, როგორ უნდა გვემუშავა. რომ ჩავედით ბოლნისში, მუშებს ჰკითხეს იქ, აი ეს რომ გაკეთდეს, იმუშავებთ? ამ ხალხმა უთხრა, ოღონდ სამუშაო მოგვეცით, ჩვენ ვიმუშავებთ. თვითონ უკვე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან როცა ჰქონდათ შეხება - რა თქმა უნდა, ეს თარჯიმნების მეშვეობით იყო - ცოდნა დაინახეს, ჩვენს საბჭოთა სკოლას თავისი დადებითი ჰქონდა ტექნიკურ საგნებში, [...] ტექნიკური ცოდნა ჩვენ გვექონდა კარგი. მე მინდა ერთ რამეს გავუსვა ხაზი. ჩვენ სპეციალობას როცა გვასწავლიდნენ, ფართო პროფილით ვსწავლობდით, ვთქვათ, ასფალტის დაგებას, ხიდების მშენებლობას, ხელოვნური ნაგებობების, საყრდენი კედლების, ყველას ერთნაირად გვასწავლიდნენ. და დიპლომს რომ ავიღებდით, ყველაფერში გვექონდა ის [ცოდნა]. საზღვარგარეთ, თქვენ ეს კარგად იცით, რომ ვინრო სპეციალობებით მუშაობს კაცი, ის ხიდებზე უკვე აღარ მუშაობს. ეს გაუკვირდათ იმათ, როცა შეკითხვები წავიდა, ყველა [სფეროში] უკვე პრაქტიკულად შეძენილი ჰქონდათ გამოცდილება. ეს ხდება 95-96 წლიდან 2000 წლამდე პერიოდში. იყო ესეთი მომენტი კიდევ, რომ როცა უკვე ჩვენ ვიყავით ჩართული ყველაფერში, მაინც მაკონტროლებლები ისინი იყვნენ. შემდეგ უკვე ამ ჩვენმა გაკეთებულმა საქმემ განაპირობა ის, რომ ყველაზე დიდი დაფინანსება დონორი ორგანიზაციებიდან მოდიოდა საქართველოზე. როგორ იყო იცით? გინდა სომხები, გინდა აზერბაიჯანელები უკვე ჩვენთან ჩამოჰყავდათ, რომ ჩვენგან აეღოთ ეს გამოცდილება. მინდა ხაზი გავუსვა, ბოლოს ჩვენმა გაკეთებულმა საქმეებმა ისე ქნა, რომ უკვე ახლო აღმოსავლეთის განვითარებადი ქვეყნებიდან აქ მოდიოდნენ, რომ პრაქტიკულად ესწავლათ. ეხლა მე რატომ ვამბობ ამას: მიუხედავად იმ ურთულესი სიტუაციებისა, პოლიტიკური თუ კრიმინოგენური სიტუაციებისა, მაინც გაკეთებულმა საქმემ, მაინც დადებითი [შედეგი მოიტანა]. საბჭოთა პერიოდში ვისწავლეთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, მე დღესაც მიმაჩნია, რომ პრინციპი სწავლების ბევრ რამეში ცუდი არ არის.

მე ის პერიოდი იმით მახსენდება, რომ პროფესია იყო დაფასებული. მე ამას გეუბნებით, როგორც ახალგაზრდებს, ხომ იყო ნეპოტიზმი, მაგრამ კაცს არ დანიშნავდნენ ისეთ საპასუხისმგებლო სამუშაოზე, თუ მას არ ჰქონდა გამოცდილება. გააჩნია თანამდებობას, შეიძლება რაღაც მომხდარიყო და დაენიშნათ. მაგრამ თუ მას გავლილი არ ჰქონდა რაღაც გამოცდილება, სკოლა არ ჰქონდა გავლილი, არავითარ შემთხვევაში არ ინიშნებოდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. მე ჩემი სპეციალობით ვამბობ ამას და ჩემი მონათესავე, აი ჩემი სამეგობროსი. ექცეოდა მაშინ ყურადღება, როგორი გამოცდილე-

ბა ჰქონდა. სამწუხაროდ, დღეს ამას ვეღარ ვხედავ იმდენად. ამან განაპირობა ის, რომ მე არ ვამბობ, რომ რაღაც სასწაულები მოვახდინეთ, მაგრამ... თქვენ გახსოვთ, რა იყო 90-იან წლებში ბოლოს, როგორი იყო და დღეს როგორ მივალნიეთ ჩვენ ამ გზებს, ჩვენ აღარავის აღარ ჩამოვრჩებით უკვე. ამ ათმა წელმა, 90 წლიდან 2000 წლამდე, როგორც უარყოფითი, საზიზღარი პერიოდი იყო, მაგრამ გარკვეული დადებითი ის იყო, რომ ჩვენ მეტ-ნაკლებად კი არა, ძალიან მაღალ დონეზე შევერწყეთ უკვე იმ საბაზრო ეკონომიკის პირობებს, როგორი პირობებიც არის საერთაშორისო დონეზე.

92 წლიდან იყო სასწაული, რეგრესი. სახელმწიფო გზები, რასაც ჩვენ ვკუთრივებით, ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად, იმ მწირი ბიუჯეტიდან ცოტას იძლეოდნენ ჩვენთან ფულს, და იმის გულისთვის კი არა, რომ ვინმე სწრაფად ჩასულიყო, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, როგორმე რომ ელემენტარულად მანქანას გაეგლო. მხოლოდ და მხოლოდ ვიყავით დასაქმებული, თუ სადმე კატასტროფა იყო და ჩამოიშლებოდა მთა, ეს გაგვეწმინდა, რომ მიღწევადობა ჰქონოდა, რომ სასწრაფოს მანქანა მისულიყო. მე ვამბობ ცენტრალურ გზებზე და სოფლის გზები ხომ საერთოდ იყო მიტოვებული და მოუვლელი.

ამ პერიოდში ბიუჯეტში ვინც ვიყავით, ხელფასები დანიშნული გვექონდა, მუშებსაც ვუხდით, მაგრამ ამ პერიოდში იყო ზუსტად, კუპონი რომ შემოვიდა. ელემენტარულად ეძლეოდათ ხელფასი, ასე ვთქვათ, სიმბოლურად, მაგრამ მაინც გველოდა. მთელი უბედურება რაში იყო, უკვე კატასტროფა წავიდა, ყველაფერი იყო დეფიციტი. მე ხელმძღვანელობაში ვიყავი მაშინ, ვიყავი ერთ-ერთი დიდი სამმართველოს უფროსი, წარმოებაში ვინც მუშაობდა, მანქანას რომ გაგზავნიდნენ, ვთქვათ, სანავი მიჰქონდა, თუ იმას კაცს არ გააყოლებდი, შენიანს, იმას იპარავდნენ, აბსოლუტურად ყველა იპარავდა, დიზელის სანავი იყო, ბენზინი იყო, ყველაფერს. ეს კატასტროფა იყო.

96 წლიდან, ეს ყველაზე კარგად მახსოვს, უკვე შედარებით ინტენსიური მუშაობა რომ წავიდა, ამანაც მოიკლო, ამ მოპარვამ. ძალიან ბევრი ჩვენი პროფესიონალი სპეციალისტები, სამუშაო რომ აღარ ჰქონდათ, წავიდნენ სოფლებში, დასახლდნენ იქ, ცოტა ლობიო, სიმინდი რომ მოეყვანათ. უკვე რომ მოუბრუნდნენ პროფესიონალები ამ საქმეს, მოიკლო იმანაც და შედარებით კრიმინოგენურმა სიტუაციამაც დაიწყო ნელ-ნელა კლება. მაგრამ ეს პერიოდი იყო, 96 წლამდე, სასწაული. მე თვითონ, ჩემი სამსახურის მანქანით რომ მივდიოდი ტრასაზე, რამდენჯერ გავუჩერებივარ ამ შეიარაღებულ, დავარქვათ მხედრონელი იყო თუ რაღაც, შეიარაღებულ ფორმირებებს. იმდენად უნამუსოდ გვექცეოდნენ, რომ მანქანიდან გამოსვლამდე, მაშინ „მოსკვიჩი“ მყავდა სამსახურის, სულ ამომინურავდნენ სანავს. ჩემი მეგობარია, როსტომ მიქაუტაძე, სოფლიდან მოჰყავდა დედა, დატვირთული იყო მანქანა სოფლის პროდუქტებით. გააჩერეს ეს მანქანა რიკოთთან, ჩამოყარეს მგზავრები და მანქანა წაიყვანეს მთლიანად. მე რაჭაში გავგზავნე აქედან - მეგობარს ვთხოვე, დიდი მანქანა ჰყავდა - და მთელი სოფელი თითქმის, ჩემი სანათესაოსი ერთად წამოვიდნენ, მოჰქონდათ ნაწვალები ლობიო, ცოტა სიმინდი, რომ მოუახლოვდნენ გორს, გააჩერეს, ეს ხალხი ხომ ჩამოყარეს, გაძარცვეს მთლიანად მანქანა და წავიდნენ. სასწაული პერიოდი იყო, სასწაული პერიოდი. გარეთ გასვლის გვეშინოდა. მერე მართლა მოხდა, 2003 წლიდან უფრო, სასწაული ამ კრიმინოგენურ სიტუაციაში.



## ხალ

გურამ ტულუში, 75 წლის, სამართალდამცავი, ქუთაისი  
ჩანერილია 03.10.2020

80-იან წლებს, იმ დარბევას, რომელიც მოხდა თბილისში, ამ პერიოდში მე ქუთაისში ვიყავი და ვაკვირდებოდი ყველაფერს, რაც ხდებოდა. ეს იყო საშინელება და ამან ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია ხალხში. მერე რა არ მოუძებნეს... გამართლება არ ჰქონდა, იქ რაც მოხდა, ამის გამართლება არაფრით არ შეიძლება და ეს პირველი არ იყო. მანამდეც იყო დარბევები, საერთოდ რუსული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია შეშინება, დარბევა, და მე პირადად, ერეკლე მეფის დიდ დანაშაულად ვთვლი რუსეთთან შეერთებას. შეერთება არ იყო, უფრო სწორად, გეორგიევსკის ტრაქტატში სულ სხვა რამე წერია და რუსი როგორც აკეთებს თავის ჭკუაზე, მერე ყველაფერი შეცვალა. სამეფოც გააუქმა, ხალხიც ... ყველაფერი. ალექსანდრე ყაზბეგი ერთი პერიოდი აკრძალული იყო, იმიტომ რომ იქ საშინელებები ხდებოდა.

აი ეს, როდესაც გამოიყვანეს ბავშვები [1989 წლის 9 აპრილს] ... რას ითხოვდნენ, ენას და საქართველოს დამოუკიდებლობას, და როგორ ჩაახშვეს, ძალიან კარგად ვიცი. მაშინ სხვათა შორის, შევარდნაძე ჩამოვიდა, პატიაშვილი განაგებდა ამას. იყო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ბრძოლა, ეს პერიოდიც დაემთხვა. ვილაცას ხაბეიშვილი არ მოსწონდა, ვილაცას პატიაშვილი არ მოსწონდა. მაშინდელი ერთ-ერთი, სხვათა შორის, წესიერი კაცი იყო, ჯერ ზესტაფონში მუშაობდა, მერე ქუთაისში ჩამოიყვანეს, ასლანიკაშვილი და იძულებული გახდა, თავი მოეკლა. დაახლოებით რამდენიმე საათით ადრე ვიყავი მასთან, სტატისტიკის სამმართველოში ვმუშაობდი მაშინ უფროსად და მინისტრი ჩამოვიდა, შეხვედრა უნდოდა, მასთან შეხვედრაზე ვიყავი. მე ცოტა ადრე მივედი, მოვიდა და ძალიან უხასიათოდ იყო. რომ ვუთხარი, ამ ქვეყანაზე არც ცხოვრება ღირს და არც არაფერი. ვესაუბრე, წამოვედი და რამდენიმე საათში თავიც მოიკლა. მერე რა არ მოიგონეს, მედროვეები ყოველთვის იყვნენ, საერთოდ არიან და საქართველოში მით უფრო. და მათ, ვინც მასთან ყველაზე ახლოს იყო, რა არ მოიგონეს, მისი სიკვდილის გასამართლებლად.

მე ვმუშაობდი სტატისტიკის სამმართველოს უფროსად. სტატისტიკის სამმართველოს მაშინ უფრო დიდი ფუნქციები ჰქონდა, ვიდრე ახლა. პრაქტიკულად, ყველა ინფორმაცია საწარმოებიდან შედიოდა მასთან და განსაკუთრებით თავს იკლავდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელები, როგორც იყვნენ ქალაქკომის მდივნები, მათი მოადგილეები, გეგმების შესრულებაზე. როგორმე გეგმა შეესრულებინათ, ეჩვენებინათ, უფრო სწორად, და რას არ აკეთებდნენ. წლის დასასრული იყო, და ჩემთან მოვიდა ქალაქკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მეორე მდივანი იყო მაშინ უფრო სწორად და დროშა რომ არ დავკარგოთო, უნდა მივცეთ საშუალება, რომ მიწერა გააკეთოსო. მე ვუთხარი კატეგორიული უარი. მე ოფიციალურად რა ციფრსაც მივიღებ, იმას შევამოწმებ-თქო. მაშინ როგორ იყო იცი, სტატისტიკა მერე ამოწმებდა ყველა ამ ციფრებს. და მე ვუთხარი, არავითარ შემთხვევაში მე თქვენ ხელს არ შეგიწყობთ იმაში, რომ ტყუილი ციფრები [დანეროთ] და მე ხელი მოვანერო ამას. გამორიცხულია, რა ციფრსაც მომწერ, ყველა რომ არ შევამოწმო. რომ გაასწორო ყველაფერი ეს, მაქსიმუმ მოგცეთ ერთი თვე. მაგრამ ისეთ მინერებს აკეთებდნენ, თვეში კი არა, წელიწადში ვერ გაასწორებდნენ, ისეთი ციფრები იყო. და ამას რომ ვერ ასწორებენ და მე ციფრებს არ ვცვლი, ვითომ შეამოწმეს ეს ორგა-

ნიზაცია, რომელიც თვითონ ჩააგდეს ძალით ამ მდგომარეობაში. დირექტორი გაათავისუფლეს, პასუხისგებაში მისცეს და როგორც ხდება მერე.

სამწუხაროდ, როდესაც უკვე თანდათან დაიწყო ეროვნული მოძრაობა და გაძლიერდა, არეულ პერიოდში, ბევრი ითბობს ხელს. ამ პერიოდში ისეთი ხალხი გამოჩნდება ხოლმე ზედაპირზე, არაფრის გამკეთებელი რომ არაა. სამწუხაროდ, მე ისეთი ბედი მქონდა, სადაც ჩაოხრდებოდა ყველაფერი, მიშვებდნენ იქ. მე ბედნიერი ვიყავი, რომ ვმუშაობდი, იყო ასეთი [ერთეული], საკავშირო დაქვემდებარების, ძირითადად ახალ გამოგონებებზე მუშაობდა, იქ მუშაობა ჩემთვის იყო ყველაზე კარგი; მერე, როდესაც უნივერსიტეტში ვმუშაობდი მათემატიკის კათედრაზე, საუკეთესო, გამოთვლითი ცენტრის დირექტორი რომ ვიყავი, ყველაფერი ესეც. და არც მდომია, არასდროს სურვილი არ მქონია, მე პირადად, რომ სადმე თანამდებობაზე ვყოფილიყავი. მე სადაც მიყვარდა და სადაც მინდოდა, იქ ვმუშაობდი. უნივერსიტეტიდან გადამიყვანეს ქალაქკომში, უნივერსიტეტში დამიბარა რექტორმა და მეუბნება გადაყვანაზე, მე ვუთხარი, არ მინდა და რაფერ გადამიყვანთ? ბრძანება მოვიდა იმათიო. ორი თვის განმავლობაში უნივერსიტეტში ხელფასი არ მომცეს, იქა ხარ გადაყვანილიო, ქალაქკომში - არ მოსულხარ ჩვენთან და ხელფასი რაფერ მოგცეთო და იძულებული გავხდი წავსულიყავი. მერე ორი-სამი წელი ვაგრძელებდი მაინც მუშაობას უნივერსიტეტში, მარა იმდენი საქმე იყო იქ, ყოველთვის ვერ ვთხოვ ვილაცას, ჩემს მაგივრად ლექცია ჩაატარე, ჩემს მაგივრად გამოცდა ჩაიბარე და ამიტომ იძულებული გავხდი, გამენებებინა თავი.

ორგანიზებული არ იყო [ეროვნული მოძრაობა]. გამსახურდიას არ ჰქონდა სახელმწიფოს მართვის გამოცდილება აბსოლუტურად და არც მის თანამებრძოლებს იმ პერიოდისთვის, და ბევრი შეცდომა, რაც მოხდა, ამის ბრალიც იყო. კაცმა უბრალოდ რომ ვთქვათ, რომ გინდოდეს კარგი საცივი გააკეთო, თუ არ გაგიკეთებია მისდღემწი, ღომიც არ მოგიზელთ, გააკეთებ? ვერ გააკეთებ. კარგია თუ ცუდია, გემრიელია თუ არა, ეს შეიძლება თქვა. რომ არ ვარგოდა და ბევრი რამე შესაცვლელი იყო, ეს ფაქტია. მაგრამ როგორ უნდა შეცვალო, ეს არ არსებობდა. იყო უფრო მეტი სურვილი, და არა მარტო ეროვნულ მოძრაობაში, ხალხშიდაც. ხალხს ბევრი რამე არ მოსწონდა. მაგრამ ბევრი იყო იქაც მოსაწონი, მაგალითად, ახლა რომ ამდენი ხალხია უმუშევარი, იქ, იმ სისტემას სხვანაირი წესი ჰქონდა, უმუშევარი არ უნდა ყოფილიყო არავინ, ქურდებს ძირითადად იჭერდნენ უმუშევრობის გამო. და როცა შეიქმნებოდა დეფიციტი, სადმე მუშახელი მეტი იყო. ქუთაისში, მაგალითად, ამ პერიოდისთვის გაიხსნა „ავანგარდი“, „კრასნაია ზარია“, რა ვიცი, ოთხი-ხუთი საკავშირო მნიშვნელობის ქარხანა და უბრალოდ ხალხი დაასაქმეს. ესე იგი, დიდი სანარმო სადაც იყო, გადმოიტანდნენ რალაც პროცესებს პერიფერიებში, რომ ხალხი დასაქმებულიყო. ეს იყო ანეგდოტივით, რომ ოლონდ იმუშაოს და ჯანდაბას მისი თავი, სახელმწიფოზე არ იფიქროს და რაიმე წინააღმდეგობა არ გასწიოს. არა ერთხელ იყო გაფიცვა, თუ გნებავთ, 56 წელში, ხრუშჩოვის მოსვლის დროს, სტალინზე... რამდენი ხალხი განყვიტეს მაშინ. რუსული პოლიტიკა ყოველთვის იყო უაპელაციოდ განყვიტა. ვინ იყო იქ, ხრუშჩოვი თუ სტალინი, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთ დროს, როდესაც არ მქონდა ნაკითხული ბევრი რამე, ბავშვობის პერიოდში, მეც სტალინს ვუჭერდი ყველაფერში მხარს. მაგრამ რომ წაიკითხავ და გაიგებ, მერე უკვე სტალინი საშინელებაა.

ასე იყო ამ პერიოდში, თანდათან იღვიძებდა ეროვნული მოძრაობა. ამ პერიოდიდან უკვე, იმ გაფიცვის შემდეგ... ყველაზე უფრო ადრე საერთოდ მედროვენი გამოჩნდნენ. იმ პერიოდზე ვამბობდი, როგორ იყო მაშინ, სანარმოს რომ სჭირდებოდა, ვთქვათ, სიტყვაზე, 100 კაცი, იმის გამო, რომ უმუშევრობა არ ყოფილიყო, იქ იყო 130-150 კაცი. ბევრი

იყო, ხელფასს იღებდა და საქმეს არაფერს არ აკეთებდა. ამ პერიოდში, როდესაც დაინყო უკვე ეროვნული მოძრაობა და საბჭოთა კავშირმა თანდათან დაიწყო უკვე შერყევა, ყველაზე პირველები აქტიურები იყვნენ ამ კატეგორიის ხალხი, რომლებიც არაფერს აკეთებდა. გამოვიდოდა ქუთაისში „გაუ! გაუ!“ და ეს იყო მაგათი საქმე. „გაუ! გაუ! საქართველო!“ ვუთხარი, „ბიჭო, თუ საქართველოს გამარჯვება გინდა, მთელი დღე ტყუილად რომ ხარ, არაფერს არ აკეთებ, და მე იძულებული ვარ, მოვიყვანო სპეციალისტები რუსეთიდანაც კი, ისწავლე რალაცა და გააკეთე“. ასეთი მედროვეები საკმაოდ ბევრი იყო [...] შემდეგ თანდათან განვითარდა მოვლენები. საბჭოთა კავშირი ისეთი სისტემა იყო, იმას ძალით, ვერც აჯანყებით დაამხოვდი და ვერც გარედან ომით, იმიტომ რომ ის ყველაფერზე წამსვლელი იყო და ყველა ერიდებოდა გარედან. მაგრამ შიგნით რას დაემთხვა ეს პერიოდი. ამ პერიოდში მექრთამეობა ადის უკვე ზენიტში, ყველაფერში ფული. რა გინდა, ქრთამით ყველაფერს გააკეთებდი. ამ პერიოდში დაინგრა საბჭოთა კავშირი ზემოდან. ფული ჰქონდათ საკავშირო ცეკას მდივნებს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს, მაგრამ ვერ აჩენდნენ, სისტემა იყო ისეთი, რომ ამ ფულს ვერ გამოაჩენდი. ახლა უნდათ ფული გამოაჩინონ და აი, ამას დაემთხვა ის, რომ ელცინი კაი გადაკრულში იყო, გამოაცხადა საბჭოთა კავშირი დაშლილად. გორბაჩოვის და ის პერიოდი კიდევ სხვა იყო, პერესტროიკა, ვითომ რალაც ახალს აკეთებდა ადამიანი, არაფერს, ეს ძირითადად, რა თქმა უნდა ამას, საზღვარგარეთიდან [ხდებოდა], ამერიკის შეერთებული შტატებისგან. საბჭოთა კავშირი არავის არ უნდოდა. ახლა კი იძახიან, რომ უბედურება წავიდა, მაგრამ ეს გამოსწორდება, მაგრამ იმ სისტემას, თუ გაგრძელებოდა, ვერაფრით ვერ გამოსწორებდი. ყოველთვის იქნებოდა ბოროტების იმპერია, როგორც ეძახდნენ. ამ პერიოდს დაემთხვა სწორედ ზვიად გამსახურდიას მოსვლა. და პირველი იყო, რომ გამოცხადდა საბჭოთა კავშირი დაშლილად და ეს იყო პირველი, რომ საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა მიიღო გადანყვეტილება დამოუკიდებლობის შესახებ და გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

რაც იყო თბილისში, ისე იყო აქაც: გაფიცვები, ქუჩაში სირბილი და „გაუმარჯოს საქართველოს!“ ყვირილი. ადგილზე რაიმე ორგანიზაცია... ძირითადად იყო თბილისში მაშინ. გამსახურდიაც იქ იყო, ჭანტურიაც იქ იყო და ყველა, თუ ვინმე იყო ამაში ჩართული, იქ იყო. აქ რაიმე განსაკუთრებული არაფერი [იყო]. მე ქუთაისში დავიბადე, გავიზარდე და თითქმის ყოველ მეორე მოქალაქეს ვიცნობ. ეს კი იყო - გამოსვლა, ყვირილი. მაგრამ განსაკუთრებით ამ პერიოდს ემატება დამნაშავეთა სამყაროს ზრდა. ცნობილია, რომ ყველაზე მეტი ქურდული ტრადიციების მატარებელი მოქალაქეები და კანონიერი ქურდები არიან ქუთაისში. ამ ქურდულ ტრადიციებს დაემთხვა უკვე ყაჩაღობები, მასიურად გაგუდვები. იმ პერიოდში უბრალოდ მანქანას ნახევარი საათი ვერ დატოვებდი გარეთ, გაძარცვული დაგხვდებოდა. აღარაფერს ვამბობ სახლებში შესვლაზე და ყაჩაღობებზე.

მერე, ასე იყო თუ ისე, გამოცხადდა... ქართველების ბუნება, ყველას უნდა უფროსობა და უფროსის ადგილი ყველასი არაა, ერთია უფროსი და დანარჩენი მორჩილი. და დაემთხვა ამას, კიტოვანი წამოვიდა ამბიციებით. კაცმა, რომელიც ლულას კონდახიდან ვერ არჩევდა, დაიბრალა მხედართმთავრობა, მოაწყო აჯანყებები და მოყვა მერე ის უბედურება, რაც სამოქალაქო ომი იყო.

პრაქტიკულად არაფერი აღარ კეთდება ქვეყანაში, იმიტომ რომ ვინ ვის ეომება, ვინ ვის აყაჩაღებს, კაცმა არ იცის. ამ პერიოდს დაემთხვა მხედრონის ჩამოყალიბება. ჯერ მოვიდა კიტოვანი და სიგუა და ესენი იყვნენ ამ პერიოდში, მერე გამსახურდიას მოსვლა, მისი გადაგდება და შევარდნაძის მოსვლა. შევარდნაძე... რომ თქვა, ეს კაცი გაუნათლე-

ბელი და უჭკუო იყო, ამას სულელის მეტი არავინ იტყვის, ძალიან ჭკვიანი და ძალიან განათლებული და ძალიან კარგად შეეძლო ყველა პირობები გამოეყენებინა. არც მშიშარა იყო, რომ დაუყვირებ და გაიქცევა. ყოველთვის იბრძოდა მიზნის მისაღწევად. სახელმწიფო ის ხომ არ არის, წელან რომ ვთქვი იმის არ იყოს, საჭმელს ვერ გააკეთებ, კვერცხს ვერ შეწვავ, თუ არ იცი. სახელმწიფოს მართვა ასე იოლი არ არის. რომ შეატყეს, რომ ველარ მართავდნენ და საერთოდ გაექცათ ყველაფერი, მერე ჩამოიყვანეს შევარდნაძე, თვითონ ვინც იყო ხელისუფლებაში. შევარდნაძე თვითონ არ გამოქცეულა იქედან. თუ ის მოინდომებდა, იქაც შეეძლო უფრო დიდი თანამდებობა ჰქონოდა, მაშინ იმოდენა ავტორიტეტი ჰქონდა რუსეთში მას, მაგრამ საქართველოსთვის მაინც და მაინც თავს არ იკლავდა. გახსოვთ ალბათ, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, შევარდნაძის ნათქვამია ეს.

ამის მერე უკვე მოიყვანეს შევარდნაძე. შევარდნაძე არაფრით არ გაჩერდებოდა ისე, რომ თვითონ არ აეღო ხელში [ძალაუფლება?]. ამ პერიოდს დაემთხვა უკვე აფხაზეთში შესვლა. უფრო სწორად, ამ პერიოდში რუსეთის ომი აფხაზეთში. უნივერსიტეტში რომ ვმუშაობდი გამოთვლითი ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ამ პერიოდში სოხუმში ჰქონდათ გამოთვლითი ლაბორატორია და დაინგრა აპარატურა. აპარატურა საკმაოდ ძვირი იყო. უმაღლესი სასწავლო და სპეციალური განათლების სამინისტრო ცალკე იყო სკოლები – ცალკე. შეიქმნა კომისია და გაგვიშვეს სოხუმში, რომ შეგვემონებინა ეს გამოთვლითი ტექნიკა. სოხუმში ჩავედი, მისამართი მომცეს, მაგრამ არ ვიცი, კონკრეტულად რა ადგილას იყო ეს პედაგოგიური ინსტიტუტი. იყო მაშინ იქ. მივედი დაახლოებით, ქუჩებშიც არ იყო წარწერები და ორი ქალი ლაპარაკობს, აფხაზი, ვკითხე მე ქართულად, რა ადგილას არის პედაგოგიური ინსტიტუტი-მეთქი. არ მომაქციეს ყურადღება ერთხელ, ორჯერ, მესამედ, ამათი დედაც-მეთქი, შევიგინე, რას იგინებო, დამიწყეს მერე. რას ვიგინები და ახლა ხომ იცი ქართული? [...] აი, ეს სიტუაცია იყო. ბოროტება ყოველთვის შიგნიდან არის მოწყობილი, [...] ქართული დაივიწყეს და აფხაზობდა სუყველა. იმ პერიოდის მისაღებ გამოცდებზე გეტყვი კიდევ. წელიწადში ტარდებოდა ორჯერ მისაღები გამოცდები, ივლისის თვეში საღამოს და დაუსწრებელზე და აგვისტოში - დღის დასწრებულზე. ამ გამოცდებზე უკვე მასიურად მიდიოდა „ეს ჩემი კაცია“, „ამას ამდენი“. ესე იგი, რომ მოიშალა სახელმწიფო სისტემა, უკვე აღარ დარჩა არაფერი. ამას მოჰყვა სოხუმში, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, უცებ დაიწყო სროლები, ხალხი გაიქცა და ამ დროს ჩემთან ჯარში მსახურობდა, ბერულავა იყო ერთი, შემთხვევით წამანყდა და გურამო, არ გამოჩნდე ახლა აქ, სროლები დაიწყებო და მერე მოგაკითხავო და წამიყვანა სადღაც სახლში. უკვე დაწყებული იყო ეს რია-რია. რუსები ამით სარგებლობდნენ. მართლაც, მერე ვნახე და მოყვა, რომ ძირითადად რუსები აკეთებდნენ ამას, ხელმძღვანელები იყვნენ რუსები. და განსაკუთრებით, მაშინ იყო სომხეთის პატრიარქი ვაზგენი და მასიურად აძლევდა სომხებს ფულს, რომ ჩამოსულიყვნენ და ეყიდათ მიწები აფხაზეთში. აფხაზეთის მაშინდელი მოსახლეობის დაახლოებით 40-50 პროცენტამდე სომხები იყვნენ. ნაყიდი ჰქონდათ... ყველა არ იყო ჩანერილი იქ, მაგრამ ძირითადი მიწები, ზღვისპირეთში რაც კი იყო, მათ სარგებლობაში იყო. სულელური აჯანყება, რომელიც მოაწყვეს, ძირითადად, მათი ხელმძღვანელობით გაკეთდა. ამ პერიოდში არეულობა უკვე თანდათან და დაიწყო აფხაზეთის ომი. აფხაზეთის ომი, თავისთავად ცალკე არ არის. [...] როგორც გითხარით, შევარდნაძე ახალი ჩამოსულია და მხედრიონია ძირითადად. მხედრიონი იოსელიანის მეთაურობით. მხედრიონში რა კატეგორიის ხალხი იყო, ძირითადად, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები, და გარკვეული ნაწილი, არცთუ ისე ცოტა, მოქალაქეები, რომლებსაც არც მხედრიონთან ჰქონდათ კავშირი და არც არაფერი, მარა იმდენი

ყაჩაღობა იყო და მკვლელობა, რომ მხედრიონიდან რომ იყო, მხედრიონელი ვარო და თავის გადარჩენის ინსტიქტი იყო იქ, ვიდრე მხედრიონის იდეების გაზიარება. ამ პერიოდში მე სტატისტიკის სამმართველოში ვარ, როცა სამოქალაქო ომი დაიწყო.

აფხაზეთში ომია დაწყებული და გამიშვეს აეროდრომზე, რომ დახვდით, დაჭრილები ჩამოყავთ და საავადმყოფოებში რომ გადაიყვანო. მივედი, ვიცდი და არ მოდის თვითმფრინავი და გამოჩნდა მერე ვერტმფრენი და რაღაცა აქვს გამობმული. მოვიდა, დაჯდა და ამ ვერტმფრენზე იყო გამობმული როიალი. მხედრიონმა დააყაჩაღა ალბათ ვილაცა და წამოიღეს აქეთ. არც ერთი დაჭრილი არ ჩამოუყვანიათ. ასეთი ფაქტები რამდენიც გინდა, იმდენი იყო. მერე დაიწყო ქუთაისიდან ეს არეულობა. წარმოიდგინეთ, რომ ასეთი პერიოდის დროს, ქუთაისში შეიქმნა თავდაცვის შტაბი, რომელშიც, ძირითადად, დამნაშავეთა სამყარო იყო გაერთიანებული. დაერივნენ მასწავლებლებს, შევიდოდნენ კაბინეტში, გალახავდნენ, რომ შენ ასე თქვი, ისე თქვი და რა ვიცი, საშინელი რია-რია იყო.

ამის მერე აფხაზეთი უკვე დავკარგეთ პრაქტიკულად, მერე შევარდნაძემ ჯარი გამოიყვანა, შედარებით ვითომ დამშვიდდა, მაგრამ ასპარეზზე გამოვიდა ყველაზე ძლიერი სამხედრო დაჯგუფება მხედრიონი. მხედრიონის შტაბი ძირითადად იყო სამტრედიისში. ძმები ვაშაკიძეები იყვნენ მისი ხელმძღვანელი. ერთ-ერთი ძმა იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილე. მეორე ძმა იყო, პატაპოვი იყო ასეთი რუსი გენერალი, იმისი სიძე. ორი არაფრის მაქნისი, ძირითადად, ორგანიზებას უკეთებდნენ ყაჩაღობას. ხოლო მათი ტვინი იყო ვინმე [...], საკმაოდ განათლებული პიროვნება. და რაიმე დოკუმენტები თუ იყო, როგორ უნდა დააყაჩაღონ, როგორ უნდა შექმნან სახე, თითქოს და ეხმარებიან ადამიანებს, ამათი იდეოლოგი იყო ის, ის წერდა კიდეც ამ დოკუმენტებს.

ამ პერიოდში, რომ შეიქმნა ეს რია-რია, მეძახიან მერე, უნდა ნახვიდე პოლიციაში. მე ვუთხარი, მე ვიყავი უკვე 38-39 წლის, რა ჩემი საქმეა პოლიციაში, პოლიციაში მისდღემ-ჩი არ მინდოდა მუშაობა. ადრე მთავაზობდნენ არაერთხელ, პოლიციასაც, კაგებესაც, არ მდომია, არ მინდა პოლიციაში. არა, ეს არის შაშიაშვილის დროს და მიკრეს თავი და გამიშვეს დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსად. მაგრამ როგორი დაცვის პოლიციის სამმართველოა, იცი? რომ არაფერი აღარ არსებობს, სულ არის დაახლოებით ორმოცამდე კაცი დარჩენილი, თვითონაც ყაჩაღები. და გამიშვეს. შენობა ჰქონდათ, რომელიც დანგრეული იყო უკვე, ამ შინაომის [შედეგად] დაინგრა, და შემიშვეს, სადაც მე ვმუშაობდი, სტატისტიკის სამმართველოს შენობაში.

პირველივე თათბირი ჩავატარე – ვინ არის, რამდენი. დაახლოებით არის, რომ გითხარით, ორმოც კაცამდე თავის დაქირავებულ იმიან-ამიანად, რამდენიმე ოფიცერი. გავანაწილე ხალხი დაცვაზე. იარაღიც არ ვიცი ჯერ, რა არის, იარაღი რა გვაქვს და მოდის შეტყობინება, ლუდის ქარხანა რომ იყო, იმის წინ იყო სამხედრო სასადილო, რუსების, იქო შეიკრიბნენო მხედრიონელი ყაჩაღები, დააყაჩაღეს ლუდის ქარხანა და არიან ახლა, ქეიფობენ იქ. ეს ვილაცამ კი არ გააკეთა, ისიც ჩვენმა თანამშრომელმა. დრო აღარ იყო, მოვიკითხე მოადგილეები, ერთი მოადგილე წასული იყო, მეორე მოადგილე იყო დარჩენილი. იარაღი გაქვს-თქო? პისტოლეტი მაქვს, ბატონო, მეტი არაფერიო. მეც მაქვს პისტოლეტი. წამოხვალ? – მე ვუთხარი, კარგი კაცი იყო სხვათა შორის, წამოვალო, მარა, რა უნდა ვქნათ, ორმოცი შეიარაღებული ავტომატებით და ხელყუმბარებით, იმათთანო. მე ვუთხარი, რასაც გეტყვი, გააკეთე ის. მივედით ეს სასადილო სადაც იყო და შესასვლელში ჰქონდათ დაყრილი მაგიდაზე ყველაფერი, იარაღიან-ხელყუმბარიანად. თვითონ აღარაფერი აღარ ჰქონდათ, ქეიფობდნენ იქ. მე ვუთხარი, შენ დადექი აქეთ, მე

შევალ მეორე კარებიდან და შენკენ თუ წამოვა ვინმე, იარაღი გქონდეს მზად. შევედი, დავუყვირე, ვერ გავაგონე, ვისროლე ჰაერში, ხმა რომ გაიგეს, გაჩუმდნენ. მე ვარ ესა და ეს, ვუთხარი, დაცვის სამმართველოს უფროსი, თქვენ დააყარაღეთ ახლა ლუდის ქარხანა, მივიღე შეტყობინება, არ გაინძრეთ, იარაღი არც ერთს არ გაქვთ, ვიცი, მაგრამ ადგილზე მოგვლავთ. თუ არ გაინძრევით, გადარჩებით, თუ არა და მოკვდებით, ირგვლივ ხალხი მყავს სულ, ალყა აქვს შემორტყმული. იმათ ახლა რა იცოდნენ, მე გარეთ ვინ მყავდა, რა მყავდა და გაჩერდნენ. მოვიყვანე მანქანა, გრუზავიკი მანქანა, შევუშვი ყველა ესენი, ეს იარაღი ცალკე მანქანაზე დავდე და ვურეკავ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასეა, მე ვუთხარი, ხალხი დაკავებული მყავს და რა ვუყო-თქო, სად წავიყვანო, სად ჩავაბარო. რა ვიცი მე, სადაც გინდა იქ წაიყვანეო, მპასუხობს. სად წავიყვანო, ორმოცი შეიარაღებული, რამდენს ატარებ. მაშინ იყო, თუ გახსოვს, ქვიტირში ტურისტული სასტუმრო, ტურბაზა და იქ იყვნენ დაბანაკებული. დავიბარე მხედრონის უფროსი რომელიც იყო, გავაჩერე მანქანა, მოვიყვანე ჩემთან, ჩავისვი, მე ცალკე მანქანით მივიდიოდი, სამსახურეობრივი მანქანით და ვეუბნები, ახლა არ მინდა თქვენი არც დაჭერა, არც არაფერი. გაგიშვებთ, მოგცემთ იარაღსაც, ოღონდ არ დაგინახოთ ქალაქში შემოსული. აუ, თუ გავიკეთებო, მაგას რა სჯობს, კი ბატონო, არ მოგეკარებით ქუთაისს საერთოდო. და მივიყვანე იქ ტურბაზაზე, ჩამოვსვი და დავუბრუნე თავისი იარაღი, სად წამეყვანა. მაგრამ მერე აღარ ჩამოსულან.

დაიწყო მერე, ისარგებლა ამ მდგომარეობით, თვითონ ქარხნის დირექტორი ძარცვავდა თავის ქარხანას და აბრალებდნენ მერე ... მე ხელშეკრულება ხომ მქონდა მათთან დადებული, რომ ზარალი თუ მოხდებოდა რაიმე, უნდა ამენაზღაურებინა, მათ შორის იყო იგივე ლუდის ქარხანა. მოიპარეს ლუდის საწარმოებლად ნედლეული რაც იყო, რამდენიმე ათეული ტონა, 40 თუ 50, ერთ ღამეს გატეხეს და დილას მირეკავენ, ბატონო, საწყობი გატეხესო. მთელი დაცვის სამმართველო რომ გამეყიდა, თბილისის იმიანად, ისიც არ ეყოფოდა. დავინყე და მივაგენი, სადაც ჰქონდათ ეს და დავიბარე დირექტორი. ახლა რა გითხრა, დასაჭერი ხარ, დაგიჭერ მარა, იმისთანა უბედური ქვეყანაა, ფულს წაგართმევენ უბრალოდ და შენ მაინც გადარჩები. არ მინდა შენი არაფერი, მოიტანე ყველაფერი, გაძლევ ერთ დღეს, დააბრუნე უკან და გამომიგზავნე წერილი, რომ ყველაფერი ნახულია და არაფერი არ დაკარგულა. გააკეთა ეს და აი, ასე. წარმოიდგინე ახლა, რა მდგომარეობა იყო ქალაქში კი არა მარტო, მთელ საქართველოში ამ პერიოდში. ამის მერე დავინყე დაკომპლექტება და დაახლოებით ორ თვეში, სამ თვეში, დაცვის სამმართველო, ოცი კაცი რომ მუშაობდა, თითქმის ოთხასკაციანი სამმართველო გახდა. არასაუნყებო დაცვაც ჩემთან შემოდიოდა, სადღაც ათას კაცამდე, ათასხუთას კაციანი ორგანიზაცია შევქმენი რამდენიმე თვეში. და უკვე მასიურად მოდიოდნენ ორგანიზაციები, დაცვაზე რომ აგვეყვანა, და ვერავინ ვერ ეკარებოდა, ვერ ბედავდნენ.

გავიდა გარკვეული პერიოდი, ასე თუ ისე ავანყვე ეს საქმე. მივედი რწმუნებულთან, შაშიაშვილთან და მე ვუთხარი, რა გინდა, დაცვის სამმართველო ხოა აწყობილი, დამანებეთ თავი, არ მინდა, არც სამუშაოს გთხოვთ, არც არაფერს, მე სადაც მინდა, იქ ვიმუშავე, ოღონდ არ მინდა ეს პოლიცია. არა, არ იქნებაო და ამ პერიოდში ხდება ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის რეორგანიზაცია და გამიშვეს იქ უფროსად. შემოდიოდა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო. აფხაზეთი დაკარგული იყო. აჭარა... ასლანი არავის არ უშვებდა შიგ, მინისტრი ვერ შედიოდა, შევარდნაძეც კი ვერ შედიოდა იარაღ-

ით აჭარაში. გამიშვეს თბილისში. ვეუბნები ახლა იქ მინისტრი მოადგილეს შეხვედრაზე, არ მინდა, მე ვუთხარი, დამანებეთ თავი. არც თქვენი თანამდებობა მინდა, ოღონდ დაწერეთ, რომ ხანდაზმულია ან რალაცა, რაც გინდათ მოიგონეთ და არ მინდა ეს მუშაობა. რა ვქნათ ჩვენ აქო, შაშიაშვილი თავს იკლავს და შევარდნაძესთან შეთანხმებულიაო და ჩვენ ვინ გვკითხავსო. გამიშვეს სამედიცინო კომისიაზე და მიდღემჩი რომ არ ვიყავი, ისეთი ჯანმრთელი გამომიყვანეს.

დამნიშნეს ახლა, ჩამოვედი, არც შენობა, არც იარაღი, 35 კაციანი შტატი დამიმტკიცეს ამ 35 კაცზე ხუთი პისტოლეთი მქონდა, მომცეს შეიარაღება, 2 ავტომატი, და ეს იყო მთლიანად. ჩამოვედი, დავინყე ისევ შენობის ძეხნა, სტატისტიკის სამმართველო უკვე დაშლილი იყო, შენობა იყო დარჩენილი და ძარცვავდნენ ყოველდღე იმ შენობას. ვეძებ შენობას, მერე მომცეს ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო რომ იყო ქუთაისში, ძველი, ის შენობა. მივედი, ვნახე, არც სახურავი აქვს, არც კედლები... არაფერი არ იყო, ნანგრევები იყო. სად წავიდე ახლა, მივედი, დავრეკე სამინისტროში, მე ვუთხარი, რასაც მაძლევენ, იქ ნანგრევებია და სად შევიდე. რა ვიცი, მოძებნე შენ თვითონ შენობაო. ნამოვედი და... სად მეძებნა ახლა, ქალაქში შენობა ბევრი იყო, მაგრამ ვინ სად იყო, პატრონს ვერ ნახავდი თვეები და ისევ ამ სტატისტიკის შენობაში, სადაც დაცვა იყო, ზედა სართულები, სამ სართულიანი შენობაა, ცარიელი იყო და შევალ აქ-თქო. ვკითხე სტატისტიკაში, უფროსი კი იყო, და კი ბატონო, მობრძანდით, არ დაგვაყაჩაღებენ ქე მაინცო, ყოველდღე გვაყაჩაღებენო. და შევედი იმაში. თვითონ ავიდნენ მესამე სართულზე და მეორე სართული მთლიანად მომცეს მე და ნაწილი მესამე სართულის.

დავინყე ახლა, თანამშრომლები არაა, თანამშრომლები უნდა ავიყვანო, მარტო ვარ მე. პირველი რაც იყო, მდივანი დავნიშნე, ძველი ვინც იყო, უფრო სწორად, გადმოვიყვანე. [...] კაცმა თუ არაფერი არ იცის, პოლიციაში როგორ იმუშავებს. სხვას დაგიმარცხებს ვილაცას, ან თვითონ დამარცხდება. და იძულებული ხარ ისევ ძველი კადრებიდან აარჩიო. ძალიან ბევრს ვიცნობდი პოლიციელებს, იმიტომ რომ ადრე ქალაქკომში რომ ვმუშაობდი, ადმინისტრაციული სამსახური ჩემთან შემოდიოდა, პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო და ყველა ვიცოდი, ვინ რა იყო. მათ შორის, ამათთან ვინც მუშაობდა და შტატების გარეშე რომ დატოვეს, კადრების განკარგულებაში, ამათგანაც ბევრს ვიცნობდი. დავინყე ახლა შედარება, ვინ წესიერად იმუშავებდა, თორე ქრთამს რომ არ იღებდა, მასეთი არავინ არ იყო, ერთადერთი მე ვიყავი. დავინყე შეგროვება თანდათან და თითქმის სამი თვე მოუწინადა ამ 35 კაცის [შეგროვებას]. დავდიოდი განყოფილებებში, იმიტომ რომ აქ მარტო ქუთაისიდან ვერ დააკომპლექტებდი. კაცი უნდა მყოლოდა ლენტეხში, მესტიაში, ამბროლაურში, ხონში, გურიაში. ყველგან, თითო კაცი მაინც უნდა მყოლოდა. შტატი 35 მქონდა, ყველა რაიონში ვერ გავაკეთებდი, მაგრამ ამბროლაური და ონი ერთ კაცზე მქონდა მიმაგრებული და ასე შემდეგ. როგორც იქნა, სამი თვის მერე დავაკომპლექტე ეს განყოფილება და დავინყე ნელ-ნელა მუშაობა. ძირითადად, ყველაზე უფრო გართულებული იყო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი. მთელი ყაჩაღობა მიდიოდა... თუ აქეთ ყაჩაღობდნენ, ქუთაისში, ხონში, ზესტაფონში, მერე მიდიოდნენ იქ, იქ მიჰქონდათ ნაძარცვი და იქ უკვე იოლადა იმალებოდნენ. დავინყე ძირითადად ლენტეხი, ამბროლაური, ონი, მესტიაში უფრო იშვიათად ჩავდიოდი, იმიტომ რომ გზა აქედან არ იყო და იქითა მხარეს მხედრიონს ჰქონდა გადაკეტილი და თვეობით უნდა გერბინა. აქედან ზაფხულში კიდევ, თუ კარგი ამინდი იყო, ფეხით გადახვიდოდი, მანქანით ვერ გადახვიდოდი მესტიაში. და თანდათან დავინყე. ამ დროს დაემთხვა უკვე, რომ პირველი ქართული ფული გამოვიდა, ქართული ლარი, და ლენტეხში დააყაჩაღეს, სადღაც 35 000

ლარამდე იყო... მთელი ძალები გადავისროლე აქეთ, რომ როგორმე მივაგნო. ვინვალეთ, ვინვალეთ. მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო, თბილისში იყო იშვიათად, ქუთაისში ჩამოვიდა სადღაც 98-99 წლებში. ძირითადად ვიყავი რაციაზე. რაციაზე და ტელეფონზე. ტელეფონს თუ სადმე ვნახავდი, იქედან შეგეძლო დაგერეკა, თუ არა და რაცია მაქსიმუმ იჭერდა 10-15 კილომეტრზე. ან კაცი უნდა გაგეგზავნა. დავინწყეთ ახლა და ჩავედით ლენტეხში, ვინც იყო მძღოლები, ისინი დავიბარე, ველაპარაკები და შინაგანად დამრჩა რატომღაც რწმენა, რომ მძღოლი იყო ამის გამკეთებელი, მაგრამ არაფერი მტკიცებულება არ მაქვს, აბსოლუტურად არაფერი. დავავალე თანამშრომლებს, რომ მისი პიროვნება შეისწავლონ, ვინ არის, რა არის, სად ცხოვრობს, როგორც ცხოვრობს, რა უჭირს, რა ულხინს. და აღმოჩნდა, რომ შვილი ჰყავდა ავად, სასწრაფო საოპერაციო, გულზე ჰქონდა რალაც პრობლემები და გადადებული იყო, ერთი სიტყვით, ის გოგონა, ახალგაზრდა გოგო იყო. და დავინწყეთ მუშაობა. მტკიცებულება არაფერი. დავიბარე ეს მძღოლი და ველაპარაკე. ცემით არასდროს, რაც მე პოლიციაში [ვმუშაობდი], ერთი ხელი არ დამირტყამს არავიზე. ვისაც შევესწრებოდი კიდე, ერთი ორმოცდაათამდე თანამშრომელი მყავს გაგდებული, ვისაც შევესწარი, რომ ცემდა პატიმარს. რა კაცობა არის, დაჭერილი გყავს და სცემ მერე. დავიბარე და ველაპარაკები, ვიცი, რომ გიჭირს, კარგი, ახლა არ დაგიჭერ - დაჭერით ძალიანაც რომ მდომოდა, ვერ დავიჭერდი, ფაქტი არ მქონდა, ნივთმტკიცება არაფერი გაცლი ოპერაციის გაკეთებას, მერე მოხვალ, მომიყვები ყველაფერს, თუ არა, ახლა დაგიჭერ და შენს შვილს ველარ გადაარჩენ, ფული როგორც კი გამოჩნდება იქ, იმ წუთში ამოვიღებ. დამეთანხმა, კარგიო, მერე მოვალო. წავიდა მერე, გაუკეთა, წარმატებით გაკეთდა ეს ოპერაციები და თვეა დაახლოებით დაყაჩაღებიდან და ოპერაცია 20 დღეა გაკეთებულია და მოვიდა. საიდან გაიგეო, რომ მე დავაყაჩაღეო. საიდან და მთქმელის მეტი რა არის-თქო. მასთან ერთად სამი თანამშრომელი იყო. ჯერ ერთი, მე არასდროს არ გავცემდი ინფორმაციას, რომელსაც ვღებულობდი, არასდროს, რომ დავეზვრიტე, მაინც არ მივცემდი არასდროს ინფორმაციას. მოადგილეებს არ ვეუბნებოდი. საიდან გავიგე, რა თქვენი საქმეა, ნდობით აღჭურვილმა პირმა მითხრა და მორჩა. ძალიან ბევრი დანაშაულთა სამყაროს [წევრი], კანონიერი ქურდები იყვნენ, ჩემთან თანამშრომლობდნენ, ოღონდ კანონიერი ქურდი და დამნაშავეთა სამყაროს ელიტარული წარმომადგენელი ხელწერილს არ მოგცემს, რომ მე ვთანამშრომლობ პოლიციასთან, თორე ისე ჩაგიკაკლავს ყველაფერს. ამათმა ხელწერილი დაანერინეო, ხელწერილს რომელი გიჟი დაგინერს. მეორე დღეს მოკლავდნენ. სადა გაქ ახლა, მე ვუთხარი, [...] მაგო მთაში მაქვს ზევითო. გარეთ არის დაახლოებით 30-35 გრადუსი სიცხე. მოვიბი ხელზე და წავედით, წავიყვანე მთაში. რომ ავედით ორი საათის, სამი საათის სავალი მთაში, ძალიან ძნელი სავალი, ერთი კილომეტრი რომ გაიარო, რამდენიმე საათი უწევს და უკვე დაიწყო თოვა ზევით. მე ცოტა ისე ვიყავი და რა უნდა მექნა, იძულებული ვიყავი, წავედი საროჩკით და ავედით და მიმიყვანა პატარა გამოქვაბულივით იყო რალაცა, სადაც ჰქონდა შეყრილი ეს საბუთები. გამოვალვინე ყველაფერი, წამოვედი და ჩამოვედით. თანამშრომლები მოყვებოდნენ, მაგრამ ჩამორჩა [...] და საბუთები, რაც კი ახლდა, თავის ყველაფრიანად, ყველაფერი მომცა. ასე გაიხსნა ეს დაყაჩაღების საქმე. მაშინ სიტყვას ძალა ჰქონდა, ვთხოვე პროკურატურას, ნაწილობრივ ზარალს ავანაზღაურებინებ და იქნება პატარა - მაშინ იყო 15-20 წლამდე სასჯელი - და მივეხმაროთ თქო. იგივე ლენტეხში ყველა იცნობდა ამას და მოეხმარნენ ესენი და მოგროვილი ნაწილი ფული შეიტანეს და მისცეს 3 თუ 4 წელი და მალე გამოვიდა მერე ციხიდან და მისი ქალიშვილიც გადარჩა.



ამის მერე უკვე ყაჩაღობა ყაჩაღობაზეა. მანქანა მყავდა, ერთი მანქანა, ჩემი, მსუბუქი 24, მეტი არაფერი, ხუთი პისტოლეტი და სამი ავტომატი. ეს იყო მთელი ჩემი შეიარაღება. ჩავედი პირველად ლენტეხში და დავიბარე, ვინც იყო უფროსები. იქ აყვანილი კი არა, სამამულო ომის იარაღები აქვთ შენახული საღაცა, მთებში და გამოქვაბულებში და მღვიმეებში. მაშინ მაქსიმუმ 24 სანტიმეტრზე თუ იყო დამარხული, ნახავდა კაცი, თუ არა და ტანკი რომ ჩაგეგდო, იმას ვერ ნახავდი. სად იყო ეს ტექნიკა, სახელმწიფო უშიშროებიდან თუ ინათხოვრებდი და მანქანით უნდა წაგელო. დავიბარე ახლა ეს ადგილობრივები, ვინც იყო დამნაშავეთა [სამყაროდან], შევისწავლე უკვე ესენი, [...] მომიტან ათ ავტომატს, დაჭერით არავის არ დაგიჭერთ, და ჩამაბარეთ. ასე მოჰქონდათ. ახლა რა იყო: თითქოსდა ეს დანაშაულია რეალურად, მაგრამ ფიზიკურად არაა დანაშაული, დანაშაულია, თუ ამოიღებ, თუ თვითონ წარმოგიდგენს, ის უკვე დანაშაული აღარაა. რა ვილაპარაკე მანამდე, სად ეწერა მაგი და ილაპარაკე თუ გინდა, წარმოადგინა თვითონ. ასე ამოვიღე თანდათან იარაღები და შევაიარაღე ხალხი. გავავაზენიდი ექსპერტიზაზე, ვარგა თუ არ ვარგა, ჰოდა მერე სამინისტროს მივწერდი წერილს, არა გვაქვს იარაღი და გვთხოვთ დაგვიტოვოთ სარგებლობაში. და ასე მიტოვებდნენ, თანდათან შევიარაღდით. [...]

დაიწყო უკვე. მხედრონი ზენიტშია და ამ პერიოდში დაემთხვა, რომ სამტრედიიაში მინისტრის მოადგილე ატარებს თათბირს. დაახლოებით ერთ კვირამდეა, რომ ვმუშაობ ორგანიზებული დანაშაულის სამმართველოში. მიბარებენ, სამტრედიიაში ჩამოხვალ სასწრაფოდო. ჩავედი სამტრედიიაში, დამხვდა მინისტრის მოადგილე, [სხევე] გივი კვანტალიანი - იყო ასეთი გენერალი, და კიდევ სამინისტროს რამდენიმე წარმომადგენელი, ჩაატარეს თათბირი. ვაშაკიძე იყო იქ განყოფილების უფროსი. სახელი ერთ წელიწადში გამივარდა, რომ ტულუში ფულს არ იღებს, არ სცემს, მარა იღებს [ჩვენებებს] და ვგონივარ რალაც ბაყბაყდევნი. და მეუბნებიან, კოლეგიის გამსვლელი სხდომა ჩაატარეს და დაინიშნოს სამტრედიის განყოფილების უფროსადო. მე რა, მაქვეითებთ? - მე ვუთხარი, არაო, შეთავსებითო. შეთავსებით სად გაგონილა თქო? რო არ გაგონილა, ახლა იქნებო. მაგ სამსახურშიც იქნები და თან იქნები სამტრედიის განყოფილების უფროსიო. რა უნდა მეთქვა, კარგი-თქო და დამთავრდა ეს. ღამის დაახლოებით 9-10 საათია, წამოვედი. სამინისტროს ხალხი თავისთან წავიდა, მე ჩამოვედი აქ. სახლში მოვედი საღაც ღამის 1-2 საათზე, მანამდე სამსახურში გავიარე და ვადგენ გრაფიკს, როგორ შევადგინო, რომ სამტრედიასაც მივხედო და აქეთ ქვეყნის ყაჩაღობები დაიწყო რეგიონში და არ გამექცეს ესეც ხელიდან. გავაკეთე ასეთი გრაფიკი, რომ დილით დაახლოებით 11 დან 12 საათამდე ჩავიდოდი სამტრედიიაში, დავრჩებოდი იქ ღამის 2-3 საათამდე, მერე წამოვიდოდი, მოვიდოდი აქ, ქუთაისში სამსახურში, დაახლოებით 4-5 საათამდე ვიმუშავებდი, მერე წამოვიდოდი, დავიძინებდი 2-3 საათი და ისევ გავაგრძელებდი, წავიდოდი სამტრედიიაში. დილას მივიდოდი ისევ განყოფილებაში და მერე წავიდოდი სამტრედიიაში. ასეთი გრაფიკით ვმუშაობდი დაახლოებით 4-5 თვე. საკმაოდ მძიმე იყო, პრაქტიკულად ძილი დამავიწყდა.

ამ პერიოდს ემთხვევა, არჩევნები იყო პარლამენტის. მხედრონის კიდევ უნდა, მოიდგას წელი. მიბარებენ სამინისტროში, ახლა არჩევნებია, ხო იცი, არ გაიმასქნას. არჩევნები რა ჩემი საქმეა, მე ვუთხარი, მე პოლიტიკაში არ ვერევი არასდროს, მილიონჯერ მთავაზობდნენ, არ მინდა ეს. არჩევნები კი არა, წესრიგია ჩემი საქმე. ყაჩაღობა არ დაიწყო. წამოვედი პირდაპირ იქიდან, მე და მძლოლი ვართ მარტო და გვაქვს ერთი ავტომატი და პისტოლეტი. წამოვედი [...] ზესტაფონი, ხარაგაული, მერე გადავედი ტყიბულში, ტყიბულიდან ამბროლაურში, მოვედი ასე და 98 საათი ვიყავით გზაში, რომ

შემომეველო ყველა ეს მდებარეობა. დავურეკავდი, რომ დამხვედროდნენ თანამშრომლები, ჩავატარებდი თათბირს, ინსტრუქციას მივცემდი, რა უნდა გაეკეთებინათ, კონტროლზე და ტელეფონის სადგურები რომ ჰქონოდათ, ნებისმიერ დროს, როცა არ უნდა დამერეკა, ტელეფონის სადგურებში იყოს მათი თანამშრომელი, პოლიციის თანამშრომელი, რომ რა წუთში დავრეკავდი, თუ რამე მინდოდა, რომ გადაცემულიყო. სხვა რაცია და ის მაშინ არ იყო. არც საჭმელი, არც სასადილოები მუშაობს, არც რესტორნები, არც არაფერი, ძირითადად, თუ სადმე რამის ყიდვას მოასწრებდით გზაზე და ასე. როცა მივდიოდით, სახლიდან წავიღებდით ვთქვით, ახლა მარტო ჩემთვის ხომ არ წავიღებდი საჭმელს, ხაჭაპური, ყველი, მჭადი, რალაცა და რამდენს გვეყოფოდა, ვჭამდით და თუ არ გვეყოფოდა, უნდა გაჩერებულიყავი. წამოვედით ახლა და ასე მოვიარეთ ეს. ყველა რაიონი გაფრთხილებულია. მე მგონი ნორმალური ღონისძიება იქნება. მირეკავენ ამ დროს ამბროლაურიდან, მხედრიონელები და იგი, ვისაც უნდა დეპუტატი გახდეს, ის მოვიდაო და ალყის შემორტყმას იწყებსო. წავედი ისევ იქ, დავიჭირე და ჩავიჯინე მანქანაში, ჩამოვიყვანე ქუთაისში და გავუგზავნე თბილისში, მიხედეთ-თქო და იმათ მერე რა უქნეს არ ვიცი. ჩაიშალა ეს ვარიანტი, არჩევნები ჩატარდა. ბოლო-ბოლო მოვიღიე ეს არჩევნები, როგორც იქნა, ჩატარდა. [...] რომ დამნიშნეს მე სამტრედიის უფროსად, მეორე დღეს ჩავედი და მხედრიონის შტაბი მოვიკითხე, გაიქცნენ ბატონოო, ყველა წასულია. მივედი მათ შტაბში და ანგრეულ-დანგრეულია ყველაფერი. მხედრიონი ვინც არის ახლა, არც ერთი, არავინ აღარაა, არის დარჩენილი შენობა. მოვიკითხე, კულაში იყო მაგათი შტაბი, იქაც არავინ არაა. ინფორმატორები, მოხალისეები ბევრია ამ დროს და ფული მე არ მქონდა, რომ აგენტი ოფიციალურად გააფორმო, პოლიციელზე მეტი ხელფასი უნდა მისცე იმას და ჩემი ხელფასი მაშინ იყო 280 ლარი, ლარი კი არა, მანეთი იყო მაშინ, ლარი 1995 წლიდან შემოვიდა მგონი არა? ლარიც არ იყო და დავინწყე ახლა მოძიება მაგის და ამ დროს მივიღე ზარი, ინფორმაცია რომ [...] და [...] იყო ერთი კიდეც ხელმძღვანელი, არიან ბათუმში. ბათუმი დიდია და ასე იოლად ქალაქს ხომ ვერ გაჩხრიკავ და რომ გაჩხრიკო კიდეც, რას მიაღწევ. თან კიდეც ბათუმში ასლანს გადაკეტილი ჰქონდა ჩოლოქზე და იარაღით არავის არ უშვებდნენ. გავუშვი მერე სპეციალურად ჩემი დამხმარე პერსონალი და ვუთხარი, უნდა მომიძებნოთ. და დაახლოებით ერთი კვირის მერე მოდის ერთ-ერთი და მეუბნება, არიან ამა და ამ სახლში [...] და [...], ძალი ყავთ თან, იარაღიც აქვთ და შეცვლილი გვარით და სახელით არიან და ემზადებიან საზღვარგარეთ წასასვლელად. წამოვედი და წავიყვანე დაახლოებით ათი კაცი, გამოცდილები რომ იყვნენ უკვე, და მივედი ჩოლოქზე. მივედი ჩოლოქზე და იქ დამხვედა პოლიცია. ჰოდა, მე ვუთხარი, ასე, მე ვარ ესა და ეს, უი, გიცნობთ, კი ბატონოო, სახელი და გვარი იცოდნენ, შესახედავად არ მიცნობდნენ, მაგრამ იარაღით ვერ შეგიშვებთო. ასლანის ბრძანებაა ეს. აბა, მე ვუთხარი, მე იქ ზღვაზე საბანაოდ კი არ მივდივარ, იარაღი მჭირდება ყაჩაღის დასაჭერად. ვერა, ბატონო, ვერავითარ შემთხვევაში. დაურეკეთ ასლანს-თქო, რას ქვია, ბატონო, მაგაზე რომ დავურეკოთ, იარაღით მოდის ვიღაცაო, ჩვენ გაგვყრის ყველასო. გადავხედე, დაახლოებით 10-12 კაცამდეა. მივეცი ნიშანი ჩემ თანამშრომლებს და 5 წუთში ყველა იყო განიარაღებული. და ახლა დაურეკე ასლანს, თორემ ამოვიღე იარაღი, გაგიხვრიტავ შუბლს, მე სათამაშოდ არ მცალია-მეთქი. და დაურეკა და ბატონოო, ასეო, ტულუში არისო, გვარი იმანაც იცოდა, და იარაღით უნდა შემოსვლაო. მერეო ხომ იცითო, ეს მესმის ტელეფონში, ხომ იცით, რომ იარაღით არაო და ისე შემოუშვითო. ბატონო, განიარაღებული ვართ ყველაო და იარაღი თვითონ აქვთო. ჰოდა, მიეცი ტელეფონიო, მომცა ტელეფონი და მე ვუთხარი, ბატონო ასლან, მე თქვენ გიცნობთ საყოფაცხოვ-

რებო სამმართველოში რომ ვმუშაობდი, იქიდან. მაშინ იყო მინისტრის მოადგილე მაგი საყოფაცხოვრებოში. თქვენთან არაფერი ცუდი ურთიერთობა არ მქონია. ახლა, მე უთხარი, ვარ ამ ადგილზე. ვუთხარი, რამდენი ნაყაჩაღარი გამოიქცა, სხვათა შორის, თქვენი მოკვლაცა აქვთ დავალებული. ეს როგორც კი გაიგონა, მიეცი ტელეფონიო და გამოუშვით ყველაო და შევედით იარაღით. შევედით იარაღით. პირველი, როგორც კი რაიონში ჩავდიოდი, ჩემს დაქვემდებარება იყო თუ არა, მივდიოდი პოლიციაში. უნდა იცოდეს მან, რომ ჩამოვიდა სხვა ძალა, თორემ იქ იქნება რამე აქვთ დავაგემილი, ოპერაცია, და ერთმანეთს ხომ არ დავწყვეტდით. მივედი პოლიციაში. მე ვუთხარი, ასეა, ასე, ასე. კი ბატონო, მარაო სად არიო, როგორ მივაკვლიოთო. სად არი მე ვიცი, მე ვუთხარი და წამოხვალთ ჩემთან ერთად რამდენიმე. წამოვიდა ერთი სამი კაცი, უფროსი და მისი მოადგილეები და ვნახეთ, დავადგინეთ ახლა, სურათი კი მქონდა მე. მართლა ზღვის სანაპიროზე იყვნენ. არ მიეკაროთ, მე ვუთხარი, ახლა მიინდა, რომ დავადგინო, ხო არავისთანა აქვთ კავშირი, ჯგუფი თუ ყავთ რამე, რომ ესენი თუ წაიყვანე, სხვები ხო დარჩება. ორი დღე ასე... მერე მოვიტანე კაგებედან მოსასმენი აპარატურა, ზედა სართულზე, ქვედა სართულზე, ირგვლივ დავაყენე. რამდენი დააცემინებდნენ, იმას ვისმენდი. და მესამე დღეს დავგეგმე უკვე, მესამე თუ მეოთხე დღე იყო, ოპერაცია დაკავების. ტაქსით მიდიოდნენ, რომ გამოვიდოდნენ ერთად სხდებოდნენ ტაქსში. ქალი ახლდათ კიდე. გავაფრთხილე პოლიცია, როგორც კი გამოვა, უცებ ალყას დავარტყამთ ყველა მანქანებით. მეც და თქვენც ჩამოვხტებით და დავარტყამთ, რომ გასროლა ვერ მოასწროს. და მართლაც ასე გავაკეთეთ და სამი წუთი არ დასჭირვებია, დავაკავეთ. წავიყვანეთ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში და ახლა გაფორმება ხომ უნდა ამას, რომ დავაკავე და მომყავს. საბუთების წერას ვუნდებით და ეს დავტოვე სამორიგეოში, დაცვის ქვეშ. შევადგინე დოკუმენტები, გამოვედი და დამხვდა ფეხებით დაკიდებული, ცემდნენ და აწამებდნენ. ვაგინე მკვდარი და ცოცხალი, თქვე უნამუსოებო, ამას რომ ცემთ, ვერ დაიჭირეთ მანამდე, თუ გინდოდათ? არავითარ შემთხვევაში, მე ვუთხარი, ჩამოვახსენე ვინე, დავაბანიე და წამოვიყვანე. ჩამოვედი ქუთაისში, ჩავაბარე „კაპეზში“ და დავამთავრე. მაშინ იმდენი საქმეები იყო, პროკურორი სამხარეოსი და მისი მოადგილე სულ ჩემთან იყვნენ. მასალები გავაფორმე, გადავეცი. სამი მკვლელობა ჰქონდა მარტო ამას ჩადენილი. დაიწყო გამოძება. ყველამ იცოდა, დამნაშავეთა სამყარომ, იცოდა ყველამ, ასი მკვლელობა რომ ჰქონოდა, ას მეერთე ქურდობას არ დავაბრალებდი არავის, არაფერს ზედმეტს არ ავკიდებდი. ეს ყველამ გაიგო დამნაშავეთა სამყაროში. სხვათა შორის, გაზეთში რომ დაწერო განცხადება, ისე არ გავრცელდება ინფორმაცია, როგორც მაგათთან, მომენტალურად ვრცელდება ყველა ინფორმაცია. დავიჭირეთ ეს [...], მეორეც დავიჭირეთ, ეს ქალიც დავიჭირეთ. ძალღი არ დარჩა არავისთან. შემეცოდა, კვდება, არ ჭამდა არაფერს, მერე მივედი ციხეში და მისამართი მომეცი, ეს ძალღი მოკვდება-თქო, მითხრა ვილაციებზე, გავუშვი თანამშრომელი და დავტოვეთ მერე ის ძალღი იქ, კარგი იყო, შავი, არაჩვეულებრივი. დაუტოვეთ მას, ვიზეც გვითხრა.

გრძელდება ეს. მხედრონი ჯერჯერობით კიდევ არის და მისი ბიძაშვილი არის, მკვლელი, რამდენიმე მკვლელობა აქვს ჩადენილი და მომიჩინეს ის სალიკვიდაციოდ. ეს ინფორმაცია გავიგე მე, მარა როგორ გინდა ახლა, სამტრედიაში შუადღეზე რომ მიდიხარ და შუა ღამეზე მოდიხარ, ჩასაფრებულ კაცს რა უნდა მეტი. მივდიოდი და იქ მანქანები გვხვდებოდა, სხვადასხვა მანქანა, ხან ორი, ხან სამი, მოდიოდა ზოგი ხონით, ზოგი ვანით, ზოგი პირდაპირ ქუთაისით, რომ მას გზა აბნეოდა და ვერ გამოიჭირა. ამასობაში დავადგინე. გავიგე ვინც არის ეს მკვლელი, გამოვიკითხე ყველაფერი და არ მიინდა, რომ

მოკვლათ, მოკვლას რა უნდა, დაჭერა მინდა, დაახლოებით ერთ ათი დღე ვინვალე და მათე დღეს დავიჭირე. რა არის ბიჭო, მე ვუთხარი, ნამუსი არ არის? და ჩავაბარე ციხეში. ჩავაბარე ციხეში და ვგებულობ ერთი სამი დღის მერე, ციხის უფროსი მირეკავს, ბატონოო, შეხვედრა უნდა თქვენთანო, თავს იკლავს, გინდა თუ არა შემახვედრეთო. მე ვუთხარი, მე რა საქმე მაქვს. მე დავიჭირე, გამოძიებას ანარმოებს პროკურატურა, თუ რამე აქვს სათქმელი... არ წავედი. მერე კიდევ დარეკეს და მივედი, რა გინდა, მე ვუთხარი, ხომ არ გაულახიხარ ჩემთან ვინმეს, იძიებს პროკურატურა, არც გაბრალებ, ჩემს მკვლელობაზე კიდევ პროკურორთან მივედი და ვეხვეწებოდი, რომ რამდენიმე მკვლელობა აქვს ახლა ამას და მე რეკლამა არ მინდა, არ მჭირდება, სახელიცა მაქვს, ყველაფერი და ჩემი მოკვლა რომ უნდოდა, ამაზე ნუ ააგებთ ყველაფერს. ძლივს დავითანხმე ამაზე. რა გინდა? რა მინდაო და დედა მყავსო ავადო, არც საქმელი აქვს, არც სასმელი აქვს და არც წამლები და იქნებ მომეხმაროო. ბიჭო, მე ვუთხარი, ნამუსი არა გაქვს? ჩემი მოკვლა გინდოდა და ამ შენი გაჩენისთვის დედაშენი მოვარჩინო? არა, არ გქონდეს იმედი. ნამოვედი. ნამოვედი და შემეცოდა მერე მაინც და ორი დღე იყო თუ ორ დღეზე მეტი, ხელფასი რომ ავიღე, ვაყიდინე ერთი მეშოკი ხახვი, ორი მეშოკი კარტოფილი, ცოტა ყველი, მაშინ ასე ცეცხლი არ ეკიდა ყველაფერს და გაუფზავნე. და წამლებიც კიდევ, წამლების სია რომ მომცა, დაახლოებით ერთი თვის სამყოფი, მაშინ წამლები სად იშოვებოდა, სააფთიაქო სამმართველოს უფროსი იყო, ძალიან კარგი კაცი და, რამე რომ მჭირდებოდა, იმას ვთხოვდი და ჩამოჰქონდა, რუსეთში ჰყავდა, უკრაინაში ძმაკაცები და დაურეკავდა იმათ და უგზავნიდნენ. წამლები მომიგროვა და გაუფზავნე. კიდევ მირეკავს, ციხის უფროსი მირეკავს, მოიკლა თავიო და მივედი, რა გინდა, მე ვუთხარი, და რა მინდაო და შენ რომ საქმე გამიკეთეო, ასეთი არავის გაუკეთებიაო და ახლა მე მინდა მოგცე საქმეო. რა საქმე-მეთქი და სად იმალება მხედრიონის იარაღი, გეტყვი ყველაფერსო. კაი-მეთქი, მე ვუთხარი და დამისახელა სხვადასხვა ადგილები. ამის ჩამოთვლა რომ დავიწყო, საკმაოდ შორს წავალთ, ამოვიღე მოკლედ ათასობით ხელყუმბარა, ასობით ავტომატი, მართული ხელყუმბარები, ვაზნები, 40 ტონა მარტო დინამიტი ამოვიღე, და სახლები, სადაც იყო დანალმული სახლები. გამოვიძახე ესენი, ზოგი ნაღმის განაღმვა არ შეიძლებოდა, თავის სიცოცხლის ფასად, მენალმეებს ხელით მიჰქონდათ, გაჰქონდათ რიონზე და მერე აფეთქებდნენ. და ასე დამთავრდა ეს ამბავი.

ახლა მეც მივდივარ უკვე ბოლოსკენ. არ მინდა, [...]ზე მეთქვა, მარა მე მიშვებდა იმიტომ, რომ მე ვაკრიტიკებდი ხშირად. უნდოდა, რომ კისერი მომეტეხა. თუ არა არც პოლიციაში მოვხვედებოდი და არც იმაში. იმიტომ კი არა, რომ ფულის გაკეთება უნდოდა, იმიტომ რომ მე მომეტეხა კისერი, ეს უნდოდა. მერე ქალაქის სამმართველოში გადამიყვანა, და ქალაქის სამმართველოში [...] იყო. ამაზე მეტი წყალნაღებული კაცი საერთოდ არ არსებობს, ყველაფრის მკადრებელი. დღეს რომ ძმაკაცი არის ვინმესთან, იმას გამოუთხარის ძირს. მაგი და მისი მოადგილე იყო, [...], ერთად ჩალიჩობდნენ, ერთად იყიდეს ქვეყნის ქონება, და მერე ისიც გააქრო, მომსპარი კაცია. მე ვუთხარი, მე არ მინდა, [...]თან არ ვიმუშავებ. არ იქნება, კი იქნება, როგორც ყოველთვის, დაურეკა მინისტრს და მიკრეს თავი და მოვხვედი ასე ქალაქის სამმართველოში. წარმოიდგინე, ქალაქის სამმართველოში 1500 თანამშრომელი დამახვედრეს. 1500 თანამშრომლიდან ათასზე მეტს თითქმის მთელი წელიწადი ხელფასი არ ჰქონდა აღებული. წარმოიდგინე ახლა, პოლიციაში შეიარაღებულ [ხალხს] ხელფასს არ აძლევ, რას გააკეთებს ის. თვითონ იყვნენ ყაჩაღები უმრავლეს შემთხვევაში. დავიწყე რეორგანიზაცია. [...] 300 კაცამდე ხელფასი ეძლეოდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, და დანარჩენ 1200 კაცს - ადგილობრივი ბიუჯ-

ეტიდან. ადგილობრივ ბიუჯეტს ფულიც არ ჰქონდა და ასე იყვნენ უფულოდ. დავინყე რეორგანიზაცია. 1500 კაციდან ჩამოვიყვანე 500-მდე, 470-480, აღარ მახსოვს და თხუთმეტი განყოფილების ნაცვლად გავაკეთე ხუთი განყოფილება, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე გადავაყვანინე ყველა, რომ ხელფასი მაინც მიეცათ. დავინყეთ ამის მერე მუშაობა. ამას დაემთხვა, რომ ახალი დანიშნული ვარ და მომიკლეს თანამშრომელი ბესო, შეესწრო, რომ ბენზოკალონკას აყაჩაღებდნენ, ამ დროს სახლში მიდიოდა ღამე და მოკლეს. გავედით, დავინყეთ მთელი ღამე ძებნა და გამთენიისას მივაგენი, ნიკეას ქუჩაზე რომელ სახლში იმალებოდა. გამოვიყვანეთ ჯგუფები, ჩავსაფრდით, ხალხი გავიყვანეთ სულ ირგვლივ, იმიტომ რომ ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ და, რომ გათენდა, მეგაფონით, ხართ ამა და ამ ადგილზე, ან ჩაგებარდებით, ან იძულებული ვიქნებით, ლიკვიდაცია გავიკეთოთ. არ ჩავებარდებითო, არ ჩაებარდებით და ... დაინყო სროლა, და თითქმის სამი ოთხი საათი გრძელდებოდა, მერე ტყვია აღარ გვექონდა იმდენი, დავაბრახუნდებით კარებზე, რომ გონებოდათ, იქ შევდივართ, დაუშენდნენ ავტომატებს, ჩვენ მოფარებულში დიდი ჯოხი, ქვა გვექონდა, მოგროვებული ერთად და იმით ვაბრახუნდით. ასე გამოვუღლიეთ ტყვია-წამალი და ცოტა რომ დარჩა, იძულებული გახდნენ, გადმოყარეს ავტომატები, ცალ-ცალკე გამოდით-თქო და დავიჭირეთ. ხუთი იყვნენ, მათ შორის, ვინც მოკლა, იგიც. ასე მოვიღიეთ ეს ოპერაცია.

მერე მივწერე მინისტრს, მე ვუთხარი, არ მინდა თქვენთან მუშაობა და დამანებეთ თავი. ამ დროს დაემთხვა პასპორტების გამოცვლის პერიოდი. გამოცვლის კი არა, საზღვარგარეთ რომ მიდიოდნენ, პასპორტი უნდა ჰქონოდა თან, ძველი პასპორტით არ უშვებდნენ. ეს იცვლებოდა ქუთაისში, დაახლოებით 500-დან 700 მდე თვეში, ყოველ თვე, 500-დან 700-მდე პასპორტი. თითო პასპორტი ჰქონდათ შეფასებული 130 დოლარად. 130 დოლარიდან 100 დოლარი მიდიოდა სამინისტროში. 30 დოლარიდან ცენტები ჰქონდათ დათვლილი, ვის რამდენი უნდა აედო - პასპორტის შემცვლელს, განყოფილების უფროსს, სამმართველოს უფროსს თუ ვის. საპასპორტო იყო ქუთაისში. მარა არ გვექონდა არაფერი ტექნიკა. მე ვთქვი, ეს რომ მოვსპო, დავინყებ ტექნიკის შოვნას. და სხვადასხვა მეგობრებს ჰქონდათ და ვიშოვე კომპიუტერები, ავანყვე ეს საქმე. ეს რომ გაიგო სამხარეომ, მიდღემჩი არ მოდიოდა ჩემთან, მოვიდა და გურამო, საპასპორტო შენაიო, მე რა უფლება მაქვს ავიკრძალოო, მაგრამ იცოდეთ, ყოველ პასპორტში 100 დოლარი უნდა გააგზავნო სამინისტროშიო. შენ სულელი ხომ არა ხარ, მე ფულს ავიღებ აქა და იმას უგზავნი ვილაცას? – მაშინ გააკეთე ასე, დაანერე სამინისტროს, იმის გამო, რომ ქალაქის სამმართველოს არა აქვს უფლება, დროებით გადმოგეცეს შენ, გინდა 10 დოლარად გაყიდე, გინდა 150, ჩემი საქმე არაა მაგი, არ ვერევი მე სამხარეოში. მაგრამ ვინც ჩემთან მოვა, რომ მომეხმარე, რაღაცა, მიჭირს და გამოვუშვებ შენთან... იმას ერთი კაპიკიც რომ წაართვა, არ გაპატიებ. ქურდობას მე არ ვმალავდი, ყაჩაღობას მე არ ვმალავდი, ვის რად უნდა ასე... და ფულს მე არ ვიღებდი და არ ვაძლევდი, და შეიქმნა მერე ჩვენს შორის ისა და ბოლო-ბოლო წამოვედი. პირადი განცხადებით. მერე, შტაბის უფროსი იყო, გენერალი, აღარ მახსოვს გვარი, გურამო, იქნებაო შეეგუო მაგასო და ნუ წახვალო. მე ვუთხარი, ხომ იცი, რაც ხდება, რამდენჯერ შევსწრებოვარ იქ, სამინისტროში, მაღალი თანამდებობის პირები, დოლარებზე და ფულზე რომ თამაშობდნენ კაბინეტებში, არაფერს აკეთებდნენ. არასდროს არ მითქვამს, არც ახლა ვიტყვი მაგ გვარს და სახელს.

ამის მერე, რამდენიმე ხნის მერე, მხეიძე დაინიშნა ციხეების უფროსად, ჰოდა მოვიდა ჩემთან და გურამო, თუ წამოხვალო, ციხის უფროსად, გინდა კოლონიის უფროსად. მე

ვუთხარი, არ მინდა. მე მჭირდებაო, ბევრი საქმეა გასაკეთებელიო. კაი, მე ვუთხარი და წამიყვანა პირველად გეგუთის კოლონიის უფროსად. გეგუთის კოლონია როგორ არის იცი? 1800 კაცზე მეტი ზის. ღიაა, არც საკნები, არც სახლები საცხოვრებელი იკეტება და დღე და ღამე გარედან ქურდები შედიან, არჩევენ საქმეებს, გადავირიე მართლა რა, რას შევხედე.

მერე რომ გავიარე ახლა, იქ იარაღით შესვლა არაა, უიარაღოდ ხარ, ხელკეტები აქვთ მარტო რიგით თანამშრომლებს. თუ რამეს მოინდომებენ ისინი, ვერაფერს წინააღმდეგობას ვერ გაწევ ასეთ სისტემაში. გავიარე ციხეში და წამომესია ხან ერთი ჯგუფი, ხან მეორე და მეუბნება: თქვენ დამიჭირეთ ბატონო, ასე, ამა და ამ ადგილზე. დაგაბრალებ რამე? არა, მოგიგონე რამე? ზედმეტი აგვიდე რამე? არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, მარა დაჭერით თქვენ დამიჭრეთო. და ოთხმოცი პროცენტი ჩემი დაჭერილი იყო, ყველა ხომ არ მახსოვდა, სხვადასხვა ადგილებში. მერე ზედმეტი არაფერი არ უთქვამთ. ამის მერე ვატარებ თათბირს. კაბინეტში რომ შევსულიყავი, ზონის პირას უნდა გამომეველო და მერე ადიოდი კაბინეტში. და თათბირი მაქვს, შეიქნა ერთი აყალმაყალი, ჩხუბი და გინება. გამოვიხედე, შემოსახვევთან არის თავმოყრილი პატიმრების ოთხმოცი პროცენტი. გავიხედე, კანონიერი ქურდია, ამომიყვანეთ-მეთქი. ამომიყვანეს. ბიჭო, მე ვუთხარი, რას აკეთებ, რა არის. აქო, ბატონოო, უნდა გამოიაროსო ციხის უფროსი იყო, სპეცგანყოფილების უფროსი, ყოფილი ციხის უფროსი, აწამებდა ხალხს, და მაგას, როგორც კი გამოვა აქ, მოვკლავთო. მე ვუთხარი, რას ქვია, მოკლავთ, მე თქვენი გულისთვის თათბირს არ ჩავატარებ-თქო? ხომ იცით, მე რომ ვიტყვი, იმას არ გადავალ, ამიტომ მე თათბირს ჩავატარებ, თქვენ დაცვაში დადგებით, არავის არ მოკლავთ, მარა მეორედ არ დაეუძახებ, მოვახერხებ ისე, რომ სხვა მხრიდან შემოვიყვანო. გაიგეს, სხვათა შორის, და დადგნენ კანონიერი ქურდები და გაიყვანეს ხალხი და ახლოს არ აკარებდნენ. ჩავატარე თათბირი. მერე ციხის მეორე მხრიდან კედელი გამოვაჭრევიანე და იქიდან შემოდიოდა მაგი.

მერე ციხიდან გადმომიყვანეს კოლონიაში. ძველისძველი, სტალინი რომ გაიპარა იმ ციხიდან, ჩაოხრებული ყველაფერი, სახურავი იმას არ უვარგოდა, ჭერი და ეშმაკმა იცის, რა იყო. და თან კიდევ, საჭმელები... კვარტალში ერთხელ... იჯდა დაახლოებით, 800-მდე კაცი... და კვარტალში ერთხელ ვლებულობდი ერთ მემოკ შაქარს. როგორც შენ არ გინახავს, სანამ შაქარი შემოვიდოდა ისე დაიტაცებდა ყველა და ვინ აძლევდა შაქარს პატიმარს? ახლა რა ვქნა? ერთხელ ისიც კი გავაკეთე, რომ მივიღეთ კვარტლის საჭმელი, მძლოლი მეუბნება, რომ დავჯექი მანქანაში, ბატონო, თქვენი ის არიო აქო, საქონელი. რა საქონელი, მე არაფერი მიყიდიო-თქო და ვნახე, რომ მოვიდა ხორცი, შაქარი, კარტოფილი, ჩაუყრია ყველაფერი ჩემს მანქანაში. ვინც მოიტანა, მომარაგების უფროსი, ის კი გავაგდე სამსახურიდან, მაგრამ მეორეს მოიყვან და ისევ იგივეა, ვარიანტი არ არსებობს. ახლა კიდევ, ერთადერთი ვიყავი მაშინ მე, რომ კანონიერ ქურდებს კარცერში ვაჯენდი. ციხეში, რაც არ უნდა საკეტი შეგეცვალა, გასაღები ძლებდა სამი დღე. ღამე რომ მივდიოდი, თითქმის იქ ვიყავი სულ, მარა, რომ რამე მოხდეს, გასაღებს სახლში ხომ ვერ წამოვიღებდი. ხანძარი გაჩნდეს ან რამე. მაშინ დაინვებოდა ყველა. ორი-სამი დღის მერე გასაღები ჰქონდათ. წამოვიდოდი მე და მთელი ციხე იყო გარეთ. რომ მივიდოდი, შეატყობინებდნენ, შევიდოდნენ მერე. აი, ასეთი პირობები იყო. მერე ამ მხეიძეს ვუთხარი, მომეხმარე, ერთი ათი საკანი მაინც გავაკეთოთ, ცოტა ნორმალური რომ იყოს-მეთქი. მომცა სადღაც 12 თუ 15 ათასამდე ფული. დავანყებინე კეთება და ერთ თვეში გავაკეთე საკნები, ძალიანაც რომ მოგენდომებინა, ვერსად გაიპარებოდი. საკნები რომ

გავაკეთე, გადავიყვანე ნაწილი პატიმრების და ვინც გასათავისუფლებელი იყო, გავათავისუფლე, ვისაც გაუნახევრეს, გაუნახევრეს და ვიყავი ასე. ამ დროს ჩამოიყვანეს ვერეთ წოდებული „თავლები.“ მხედრონთან იყვნენ, სამტრედიელები არიან. დაავალეს ერთ-ერთ ქურდს მათი მოკვლა. მან ბევრი რამე იცოდა მაღალჩინოსნების, და რომ არ ალაპარაკებულყო როდესმე. გავიგე ეს, მაგრამ იარაღს როცა შემოიტანენ, ჩვენი თანამშრომლები შემოიტანენ თვითონ. მივწერე მხეიძეს, მე ვუთხარი, ასე არის, მზადდება მათი მკვლელობა და გადაიყვანე. მე ორი-სამი დღე ციხიდან არ გამოვსულვარ და, როგორც იქნა, გადავაყვანინე ბათუმში. დავისვენე, მაგრამ ბათუმიდან ერთი თვის მერე გამოუშვეს. მომიყვანეს ისევ. კიდევ ატყდა ეს ამბავი. გადავიყვანე მერე ზუგდიდში. იქ ყავდათ ერთი თვე, ისევ მომიყვანეს და უკვე იარაღიც შემოიტანეს. ჰოდა ღამე, მარტო ჩავიჯინე და დაცვა და სხვა პოლიციელები და ნაცნობები, ვინც იყო, წამოვიყვანე, და ჩავიყვანე თბილისში და მივიყვანე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. მე ვუთხარი, რატომ მიწყობთ, გინდა თუ არა მოკლან ჩემთან და მერე მე დამაბრალონ, რომ ვითომ ვერ უზრუნველყავი ის [უსაფრთხოება]. და დაუტოვე იქ. ატყდა ერთი ამბავი, როგორ წამოიყვანე მარტომ. როგორ წამოვიყვანე და, მარტო რომ არ წამომეყვანა, გზაში დამახვედრებდით ვინმეს და მოკლავდით. ჩავაბარე ის. მერე, რომ შეხედეს, ჩემთან არაფერი გამოდიოდა, ის ქურდი, რომელსაც უნდა მოეკლა, გადაიყვანეს თბილისში და იქ მოკლეს მერე ორივე ძმები. უჰ, ამისთანა რამდენია.

ამის მერე ერთი პატიმარი სასამართლომ გაამართლა. რამდენიმე მუხლით იყო ნასამართლევი, ერთ-ერთი მუხლით გათავისუფლდა, გამოგზავნა ციხეში წერილი, რომ ეს გათავისუფლებულია. იყო სპეციალური ნაწილი, რომელიც, მე რომ არ ვყოფილიყავი ციხეში, როგორც კი მიიღებდა ამ ქაღალდს, ორ-სამ საათში უნდა გათავისუფლებულიყო. მე თბილისში ვიყავი და გაუშვეს. ჩამოვედი, ატეხილია ერთი ამბავი, გაუშვეს ისე, რომ სხვა მუხლებიც აქვს. გავსინჯე საბუთები, სწორი არიან ყველაფერში. უნდათ ახლა ჩემზე გადმობრალევა. გრძელიძე იყო მაშინ ციხეების პროკურორი, კარგი ადამიანი იყო. დამიძახეს დაკითხვაზე და ატეხა ერთი ამბავი, რაზე კითხავთ მაგას, რა მისი საქმეაო. მივლინებაში იყო, აქ საერთოდ არ იყო და საერთოდ აღარ დაუჭიკითხვარ მერე, დამანებეს თავი. უბრალოდ აღარ შეიძლებოდა იქ გაჩერება და გადმომიყვანეს ამის მერე მერიაში ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად. მერე აქ კიდევ იმდენი რამე მოხდა. დავამრგვალოთ ამით.

## ხალ

### თამარ მურუსიძე, 43 წლის, პედაგოგი, თბილისი ჩანერილია 02.07.2020

დავინწყებდი 80-იანი წლების შუა რიცხვებიდან, მიუხედავად იმისა, რომ მაგ პერიოდში ჯერ კიდევ ბუნდოვანია ჩემი მოგონებები, არის რამდენიმე საკითხი, რასაც მინდა შევეხო. პირველი, რასაკვირველია, საბავშვო გადაცემები და ნახატი ფილმებია. რატომ ვახსენე ეს საკითხი: ძალიან შეზღუდული გვექონდა ... ყოველ შემთხვევაში მე ასე მახსოვს, რომ იყო სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელი არხი, ქართული და რუსული, სხვა არჩევანი წამდვილად არ გვექონდა. და ყოველ საღამოს ველოდი ხოლმე მოუთმენლად, როდის დაინწყებოდა საბავშვო გადაცემა, მაგრამ ყველაზე სევდიანი რაც არის ამ ისტო-

რიაში, გახლავთ ის, რომ არასდროს არ გვთავაზობდნენ ზღაპრებს ან ნახატ ფილმებს სრული სახით. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მახსოვს. გვიჩვენებდნენ დაახლოებით 10 წუთიან ან 15 წუთიან მონაკვეთს და შემდეგ მომავალ საღამოს უნდა დავლოდებოდი ამბის გაგრძელებას, რაც ჩემთვის იყო მეტად გამაღიზიანებელი და უსიამოვნო. ასევე საინტერესოა ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდი და წარმოდგენა არ მაქვს უოლტ დისნეის ჯადოსნურ სამყაროზე, მაინც იყო გარკვეული ნახატი ფილმები, ქართულიც და რუსულიც, რაც ძალიან მომწონდა და მიყვარდა. მაგალითად, „წუნა და წრუნუნა“, „ჩხიკვათა ქორნილი“, „მტრობა“... ვგიჟდებოდი ამ ფილმებზე. ასევე რუსულ ნახატ ფილმებსაც დავასახელებ. პუშკინის მიხედვით გადაღებული - „მეფე სალტანის ამბავი“, „კუზიანი კვიცი“, არაფერს ვამბობ „აბა, დამაცადეზე!“ მსგავსი ტიპის მშვენიერ ნახატ ფილმებს გვთავაზობდნენ მხოლოდ დღესასწაულებზე და ისიც შეზღუდული სახით. დღემდე თავს ვიმტვრევ, კითხვას ვსვამ, რატომ, რამ განაპირობა ეს? მხოლოდ ქართველ ბავშვებს გვქონდა შეზღუდული წვდომა ამაზე თუ საერთოდ ასეთი პოლიტიკა იყო? დღემდე და პასუხს ვერ ვპოულობ. ეს არის პირველი მოგონება ჩემი ბავშვობის.

რადგან ამ ნახატ ფილმებს და ზღაპრებს შევეხე, აუცილებლად უნდა აღვნიშნო არაჩვეულებრივი ჩეხური ზღაპარი „სამი კაკალი კონკიასათვის“, რომელიც, ამ გადასახედიდანაც კი ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი ეკრანიზაციაა, დღესაც კი სიამოვნებით ვუყურებ და რალაცნაირად ნათელი ნერტილი იყო იმ სივრცეში ჩემთვის პირადად ... ძალიან მიყვარს დღემდე ეს ფილმი. ფილმების თემა რომ განვავრცოთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო იმ პერიოდის გადაცემა „ილუზიონი“, რაც იყო ასევე ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, ჯადოსნური ფანჯარა სამყაროში. ამ გადაცემის საშუალებით ვეზიარე პირველად იტალიურ და ფრანგულ შედევრებს. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი, მშობლები მაინც არ მიშლიდნენ ამ ფილმების ყურებას. შეიძლება შინაარსი ბოლომდე არ მესმოდა. მით უმეტეს, რუსული ენაც არ ვიცოდი ისე კარგად (რუსულ ენაზე იყო, რასაკვირველია, ეს ფილმები და არა სხვა ენაზე). ძალიან კარგი მოგონებები მაკავშირებს ამასთან და მშობლებთან ერთად ვუყურებდი ხოლმე ამ შედევრებს. ზუსტად წელი არ მახსოვს, თავს ვერ დავდებ, მაგრამ ფაქტი მახსოვს ძალიან მძაფრად, ეს გახლდათ უილიამ უაილერის „ბენ ჰური“. ფილმი არის ისტორიული და რელიგიური ხასიათის და ვფიქრობ, როგორ მოახერხეს იმ პერიოდში მისი ჩვენება. თუმცა, როდესაც შემდეგ, უკვე მოზრდილ ასაკში ვუყურე ამ ფილმს, აღმოვაჩინე ასეთი საინტერესო ფაქტი, რომ რამდენიმე კადრი ამოჭრილი იყო ილუზიონის ჩვენებისას, სავარაუდოდ, ცენზურის შედეგად. კონკრეტულად, ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, როდესაც მთავარი მოქმედი პირის, ბენ ჰურის დედა და და კეთრისგან იკურნებიან, ანუ ხდება სასწაული და კეთრისგან განკურნებულები ბრუნდებიან სახლში, ეს კადრი იყო ამოჭრილი. თუმცა თავად ფაქტი, რომ ამ პერიოდში მოხერხდა ამ ფილმის ჩვენება, მეტად აღსანიშნავი და ღირსშესანიშნავია, ასე ვფიქრობ.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, ჩემთვის პირადად, რამაც ჩემ პიროვნებაზე მოახდინა ძალიან დიდი გავლენა: ვარ დაახლოებით 9-10 წლის, ახალი დაწყებული მაქვს მუსიკალურ სკოლაში სიარული და ჩემი მუსიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ მე აუცილებლად უნდა მენახა მილოშ ფორმანის ფილმი-შედევი „ამადეუსი“. ჩვენება მიმდინარეობდა კინოთეატრ „ამირანში“. როგორც უკვე აღვნიშნე, რუსული ენა ამ პერიოდში არ ვიცი, არ მესმის. ერთი-ორი სიტყვა ალბათ, სავარაუდოდ. შინაარსი ვერ გამომაქვს,



ყოველ შემთხვევაში დიალოგებიდან. ძალიან მწირია რუსული ენის ცოდნა. კი ვიფიქრე, რომ კარგი, მივდივარ კინოში, საინტერესო მოვლენაა ჩემთვის, მაგრამ ალბათ დიდს ვერაფერს გავიგებ ამ ფილმიდან და დასკვნებს ვერ გამოვიტან, მაგრამ დღემდე ყველაზე მძაფრი მოგონება ამ 80-იანი წლების არის ამ ფილმის პირველი სცენა, და არა მხოლოდ გამომდინარე იქიდან, რომ მეტად მძაფრი კადრი იყო - სალიერი თვითმკვლელობას ცდილობს და 9-10 წლის ბავშვისთვის, მეტად საზარელი კადრი იყო, თან ჩაბნელებულ ეკრანზე, ჩაბნელებულ დარბაზში. და მაინც, პირველი, რამაც შთაბეჭდილება მოახდინა, არის არა ეს კადრი, არამედ მოცარტის 25-ე სიმფონიის დაწყება ფილმში და მაშინ მივხვდი, რომ რალაც გენიალურთან მქონდა საქმე და სწორედ ამ ფილმის შემდეგ მოცარტი ხდება ჩემთვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ძალიან შემეყვარდა. ამის შემდეგ ეს ფილმი ალბათ ათჯერ ვნახე, მეტჯერაც და როდესაც უკვე მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკში, ავსტრიაში და ჩეხეთში ვიმოგზაურე, ამ ფილმის გადაღების ადგილებიც ვნახე და სწორედ ამიტომ მიხდოდა აღმენიშნა ეს ფაქტი, რომ „ამადეუსმა“ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემს პიროვნებაზე.

მეტი 80-იანი წლებიდან აღსანიშნავი და განსაკუთრებული არაფერი მახსენდება. ალბათ, უკვე გადავალ რთულ პერიოდზე. 9 აპრილზე, 89 წლის 9 აპრილზე. იმიტომ რომ ეს თარიღი რალაცნაირად ჩემთვის ერთგვარი წყალგამყოფი აღმოჩნდა ბავშვობასა და თითქოს, აი, ზრდასრულობას შორის. თითქოს ამ თარიღით და მოვლენით დასრულდა ჩემი არცთუ ისე ბედნიერი და ფერადი ბავშვობა, მაგრამ მაინც უდარდელი, ვიტყვოდი, და დაიწყო მძიმე, ემოციებით და მღელვარებით სავსე, მეტად რთული პერიოდი არა მხოლოდ ჩემს, არამედ ბევრი ადამიანის ცხოვრებაში.

[...] ძალიან კარგად მახსოვს ეს დღე. კონკრეტულად 9 აპრილი არა, უფრო 10 აპრილის მოვლენებს ვყვები ახლა, მაგრამ ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მძაფრი მოგონებაა. მახსოვს, რომ იყო ძალიან თბილი და მზიანი დღე და მე და ჩემი ბიძაშვილები ვიყავით ნიჩბისში, ოჯახთან ერთად, ბიძაჩემის აგარაკზე. ძალიან ბედნიერად მახსენდება ეს დღე, იმიტომ რომ დავრბოდით ტყეში, ვკრეფდით ყვავილებს, დავდევიტ პეპლებს, მკვეთრად მახსოვს იმდროინდელი, ბავშვობის განცდის ფერები, სუნი, შეგრძნება სილადის, ბედნიერების... და 10 აპრილს, საღამოს უკვე, ჩვენ ვბრუნდებით თბილისში და ოჯახში არავინ იცის მომხდარი ფაქტის შესახებ. ამ გადასახედიდან ახლა ვფიქრობ, ეს ალბათ იმიტომ, რომ პროცესების გაშუქება, როგორც ვიცით, დაგვიანებით მოხდა. არ გაშუქებულა ტელევიზიით ან პრესით დროულად ეს მოვლენა. შემოვდივართ თბილისში, დილოში, ერთ-ერთ ხიდზე, ახალგაზრდების დაახლოებით თხუთმეტ-ოცკაციანი ჯგუფი იდგა, იყვნენ მთლიანად შემოსილნი შავებით, შუბლზე ჰქონდათ წაკრული შავი ეგრეთ წოდებული „ბენდენა“, შავი ნაჭრები და ხიდიდან გადმოფენილი ჰქონდათ შავი ფერის დროშები, იქნევდნენ ამ დროშებს და ცხრა წლის ბავშვისთვის, ცხრა წლის ვიყავი თუ ათი წლის მაგ პერიოდში, მეტად მძაფრი აღსაქმელი იყო, როგორ გითხრათ, მძიმე აღსაქმელი იყო ეს სურათი, მით უმეტეს, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და ვერ გავიაზრე, ვერ გავაანალიზე. მახსოვს, რომ დედამ როდესაც შეხედა ამ სცენას, უცბად ცრემლი მოადგა, მიხვდა, რომ რალაც საშინელება მოხდა და დაიწყო ტირილი, ამან ჩემზე, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა და მახსოვს, რომ მეც ტირილი დავინწყე, მიუხედავად იმისა, რომ, რა თქმა უნდა, ვერ გავიაზრე მომხდარი საშინელება. როდესაც სახლში დავბრუნდით, უკვე მეზობლებიც საუბრობდნენ ამ თემაზე, ჩუმად ჯერ. გააზრება ვერ მოვახდინე ამ ფაქტისა, მაგრამ მეტად მძაფრი იყო, მეტად

ტრავმული, ვიტყვოდი, და სწორედ, როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, ეს ფაქტი იყო რალაცნაირად წყალგამყოფი. დასრულდა თითქოს ჩემი უდარდელი ბავშვობა და დაინყო ახალი ცხოვრება, საესე სხვა გამონწვევებით და არცთუ ისე დადებითი ემოციებით. მახსოვს, მეორე დღეს, როდესაც სკოლაში მივედი, ჩემმა თანაკლასელებმა მოიტანეს უზარმაზარი შავი დროშა, რომელიც გადავფინეთ ჩვენი საკლასო ოთახის ფანჯრიდან. თუმცა მალევე შემოვიდა ჩვენი დირექტორი საკლასო ოთახში და ძალიან მეგობრულად და თავაზიანად გვთხოვა, რომ ეს დროშა აგვეკეცა, რადგან უსაფრთხო არ იყო მსგავსი ტიპის პროტესტის გამოვლენა. შემოვიტანეთ ჩვენ ის დროშა უკან და ჩვენი დირექტორი, სოსო, დიდხანს გველაპარაკებოდა, რომ, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა, მაგრამ უნდა შევეცადოთ, რომ ვიყოთ მაქსიმალურად მშვიდად, რომ ამას შემდეგ სხვა გართულებები არ მოჰყვეს. მახსოვს, სკოლის შემდეგ ეზოში რომ დავბრუნდი, ეზოში სათამაშოდ რომ ჩავედი სალამოს მეგობრებთან ერთად, ძალიან ბევრ ბავშვს მეზობელი კორპუსიდან ეცვა შავი მაისური, უფროსების მიბაძვით, სავარაუდოდ, თავზე ჰქონდა ნაკრული ეს შავი ბენდენა და ჩემთვის პირადად ეს ძალიან დამთრგუნველი ცვლილება იყო.

შემდეგ ამას მიყვება სხვა რთული მოვლენების ჯაჭვი. რა თქმა უნდა, მდგომარეობა ქვეყანაში არის საკმაოდ რთული და დაძაბული. გავიხსენებ ასევე ერთ-ერთ ზამთარს, ეს გახლავთ ის პერიოდი, როდესაც ზვიად გამსახურდია უკვე დევნილობაშია და ჩვენ ახალი წლის გასათარებლად მივდივართ რაჭაში, ოჯახთან ერთად. სწორედ იქ შევიტყვეთ ამბავი, რომ ზვიად გამსახურდია, სავარაუდოდ, მოკლეს, თუმცა ეს დადასტურებული ინფორმაცია არ იყო. ჩვენ ახალ წელს შევხვდით რაჭაში, შემდეგ დაახლოებით ათი დღე ან ორი კვირა დავრჩით, სავარაუდოდ, სანამ მამას სამსახური აძლევდა ამის საშუალებას. თან მოდიოდა ხმები, რომ თბილისისკენ მიმავალი გზები, ან საერთოდ რეგიონებიდან ქალაქისკენ მიმავალი გზა კონტროლდებოდა შეიარაღებული ფორმირებების მიერ. ვიცით, როგორი მდგომარეობაა ამ შემთხვევაში, მეც, ბავშვს, მესმის ეს მძიმე-მძიმე ფაქტები. მამამ თქვა, რომ უკვე სხვანაირად არ გამოდის, უნდა დავბრუნდეთ თბილისში, მიუხედავად იმისა, რომ რაჭაში თავს შედარებით უსაფრთხოდ ვგრძნობდით. მთელი ოჯახი ჩავსხედით მამას მანქანაში და დავიძარით თბილისისკენ. გზის ზუსტი მონაკვეთი ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დიდი მანძილი ნამდვილად არ გაგვივლია, როდესაც გაგვაჩერეს შეიარაღებულმა ადამიანებმა. და პირველად ვნახე, დაახლოებით 6-7 კაციანი ჯგუფი იყო ალბათ, შეიძლება მეტნიც, იყვნენ სამხედრო ფორმებში ჩაცმულები, მოშვებული წვერებით და აღჭურვილნი ყველანაირი იარაღით. მახსოვს, მამამ პირველად დავინახე ეს უზარმაზარი ავტომატი თუ რალაც. გადაგვიდგნენ წინ, გააჩერეს მანქანა და მახსოვს, პირდაპირ როგორ შემოყვეს ავტომატი ჩამონეულ ფანჯრებში და გვკითხეს, საით გაგვინევია და რატომ, რა არის ჩვენი მიზანი, საით მივდივართ. მამამ უთხრა, რომ, უბრალოდ, ოჯახი მიჰყავს თბილისში და მეტი არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ვისხედით მამის მანქანაში, არ მორიდებთან არაფერს, გაჩხრიკეს თავიდან ბოლომდე მანქანა, რამე იარაღი ხომ არ გვქონდა. მახსოვს, მამას უსვამდნენ კითხვას, თუ რა იყო მისი ქალაქში დაბრუნების მიზეზი, ხომ არ ჰქონდა რაიმე პოლიტიკური შეხედულებები, ზუსტი კითხვები ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ეს იყო... ჩემი ბავშვური განცდა, ძრწოლა, რასაც ჰქვია, შიში, რომ ხდება რალაც ძალიან ცუდი, ხდება რალაც საშინელება და ამას ბოლომდე შეიძლება ვერც იაზრებ, მაგრამ, რასაკვირველია, ძალიან მძიმედ აღვიქვი ეს ყველაფერი და შემდეგაც, ვფიქრობ, რომ

მძიმედ აისახა ჩემს გრძნობებზე. საბოლოოდ, დროს ვერ ვიტყვი ზუსტად, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი ჩხრეკისა და დაკითხვის შემდეგ, გაგვიშვეს და, საბედნიეროდ, შემდეგ უკვე ქალაქში ნამდვილად არ შეგვხვედრია არავინ და მეორედაც არ გავუჩერებდით, მაგრამ თავად ეს ფაქტი დღემდე მახსოვს ძალიან მკვეთრად და მძაფრად და ტრავმულადაც კი, შეიძლება ითქვას. რთული იყო, მოკლედ.

კიდევ ერთ-ერთი მსგავსი ფაქტი იმ პერიოდისა, რომელიც იყო მეტად მძიმე, ეს გახლდათ გია გულუას მკვლელობა, რომელსაც პირდაპირ შევესწარით მე და ჩემი მეგობარი, სკოლისკენ მიმავალნი. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი ცხოვრობდა პლატოზე, მე-4 მიკრორაიონში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და გერმანულ სკოლაში (ასე ერქვა მაშინ), ვაკო დვალისვილის სახელობის სკოლაში ვსწავლობდით. ჩვეულებრივ, ცხრას აკლდა ათი წუთი ან ხუთი, როდესაც შევდიოდით სკოლის ეზოში. სავარაუდოდ, ეს ბატონი მანქანით ტოვებდა თავის სახლს და მიდიოდა სამსახურში, როდესაც უცბად, სწრაფად გაჩერდა აი ამ მანქანის გვერდით სხვა მანქანა, არც მარკა მახსოვს, არც... ბუნდოვანია ეს ფაქტებიც, სავარაუდოდ, შოკის ან ტრავმის გამო. გადმოვიდა რამდენიმე შეიარაღებული პირი და ჩვენს თვალწინ, ბავშვების თვალწინ, და ვიყავით არა მხოლოდ... დიდი რაოდენობით ... რამდენიმე წუთი აკლდა სკოლის დანაშაულებს და ბავშვების საკმაოდ დიდი ჯგუფი მიდიოდა სკოლისკენ, ყველა ასაკის, დანაშაული მცირეწლოვნებიდან, ასევე ჩვენც, რომლებიც ვიყავით 13-14 წლის ასაკის ბავშვები ალბათ მაგ პერიოდში. ზუსტად არ მახსოვს, რომელ წელს მოხდა. მაქსიმუმ 15 წლის. არ მორიდებიან ბავშვებს შეიარაღებული პირები, არც გაფრთხილება, რომ ვთქვათ, გაერიდეთ, არაფერი მსგავსი. დახვდნენ გია გულუას მანქანას და ბავშვების თვალწინ ატყდა სროლა ავტომატების, არ ვიცი რა იარაღები იყო. მე, უბრალოდ, მახსოვს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს დაეცალა, თუ არ ვცდები... არ ვიცი ქართულად რას ვეძახით, „აბოიმა“ ეგრეთ წოდებული და დაუფარდა მიწაზე. ძალიან გულგრილად დაიხარა, აილო ეს ნივთი ცარიელი და შეცვალა მეორე ნივთით, ანუ ძალიან ცივისსხლიანად მოქმედებდა ბავშვების თანდასწრებით. მაშინ ჩვენ ავტომატით ნივილ-კვილი, ზოგი დაიმალა იქვე ეზოში, ზოგი მიწაზე დანვა, ზოგი ხეს მოეფარა... ეს ადამიანი ჩაცხრილეს ზუსტად ჩვენს თვალწინ. მე, უბრალოდ, მეყო იმისი ჭკუა, ჩემი პატარა მეზობელი მიმყავდა, ალბათ 7 წლის გოგონა სკოლაში, რომელსაც მეზობელი მატანდა ხოლმე. მეყო იმის გონიერება, რომ ... როდესაც თავდამსხმელები განერიდნენ უკვე ამ ადგილს, მანქანაში არ ჩამეხედა. ცნობისმოყვარეობა დამეძლია და არ დამეხედა გარდაცვლილი ადამიანისთვის, იმიტომ რომ მივხვდი, რომ ეს სურათი იქნებოდა ჩემთვის შოკისმომგვრელი და შეიძლება ისეთი ტრავმა მიმელო, რომ მთელი ცხოვრება ვერ გამოვსულიყავი. მაგრამ მე ვიცი, რომ რამდენიმე ბავშვი თავდასხმის შემდეგ მიუახლოვდა მანქანას და ნახეს დაცხრილული ადამიანი, რომელსაც თუ არ ვცდები, ძალიან ბევრი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და იმყოფებოდა რაღაც საზარელ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, გარდაცვლილი უკვე, მახსოვს შემდეგ, როდესაც სკოლის შენობაში შევედით ამ მოვლენის შემდეგ, რამდენიმე ბავშვი ისტერიკული ტირილით, საშინელი, ისტერიკული ტირილით შემოვარდა კლასში, ველარ აწყნარებდნენ, იმიტომ რომ შეესწრნენ არა მხოლოდ მსგავს ფაქტს, არამედ ნახეს ეს სურათი, გარდაცვლილი ადამიანი. იმ ბავშვებთან ახლა, რა თქმა უნდა, არ მაქვს კონტაქტი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არის ისეთი მოვლენა, რომელმაც ალბათ, სრულიად შეცვალა მათი ცხოვრება და მეტად ტრავმულად აისახა ალბათ მათ ფსიქიკაზე. შემდეგ ყვებოდნენ, როგორ ნახეს ჩაცხრილული ადამიანი და ამ ისტერიკულ ტირილში აღწერდნენ მის მდგომარეობას, ახლა არ მინდა

უბრალოდ, რომ გავიმეორო, საზარელ ფაქტებს. მალე სკოლაშივე მოვიდნენ გამომძიებლები, ასევე მახსოვს ეს ფაქტიც და რამდენიმე ბავშვი წაიყვანეს დასაკითხად. აღსანიშნავია ასევე, რომ, რა თქმა უნდა, სკოლის მოსწავლეები ვიყავით არასრულწლოვნები და არც გამომძიებლები დაინტერესებულან იმით, რომ არასრულწლოვანს დაკითხვაზე უნდა წაყვეს ვინმე სრულწლოვანი, ან მშობელი, ან მასწავლებელი. მახსოვს, რომ მასწავლებლებიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. სტრესულ და შოკურ მდგომარეობაში და არ მახსოვს ახლა ზუსტად, ნამდვილად თავს ვერ დავდებ, შეიძლება ერთი-ორი მასწავლებელი წაყვა ამ მოსწავლეებს დაკითხვაზე. მაგრამ ეს იყო თავად მასწავლებლების ინიციატივა და არა გამომძიებლების თუ პოლიციელების მხრიდან, რომლებიც მოვიდნენ ამ ფაქტის შესასწავლად. როგორც ვიცი, საბოლოო შემთხვევაში, არც გამომძიებულა დიდად და არც გახსნილა მგონი ეს საქმე, როგორც ალბათ ძალიან ბევრი სხვა საქმე ამ პერიოდში. მოკლედ, აი ასეთ პირობებში გვინევდა ცხოვრება.

და შემდეგ უკვე რალაცნაირად, ძალიან უცნაურია, მაგრამ აი ამ ფაქტების შემდეგ, თითქოს, ყოველდღიურობად გახდა ეს ყველაფერი, იმიტომ რომ [...] ჩვენ გარეუბანში ვცხოვრობდით, პლატოზე და მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ ნაკლებად ჩავსულიყავით ცენტრში. გვესმოდა ისეთი ამბები, რომ მეზობლის ბიჭი, რომელიც ჩავიდა ქალაქში, 17-18 წლის, უკან აღარ დაბრუნდა, რადგან გაქურდეს, ან სისხლიან გარჩევას ემსხვერპლა, ან რომელიღაც შეიარაღებულმა დაჯგუფებამ უბრალოდ, ისე, გაუხსნა ცეცხლი, ყოვლად უმიზეზოდ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 90-იან წლებში მსგავსი ფაქტები ძალიან ხშირი იყო და მომისმენია უფროსი თაობის ბევრი წარმომადგენლისგანაც.

ასე მიდიოდა სიყმანვილის პერიოდი, ამიტომ გულწრფელად უნდა აღვნიშნო, რომ როდესაც აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ შევიტყვე, დიდად უკვე, ალბათ, განცდაც არ მქონდა და აღქმა არ მქონდა, რა მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ჩვენი მეზობელიც წასული იყო ამ ომში, რამდენიმე მათგანი აღარც დაბრუნდა. ამ ომში მონაწილეობას იღებდა ჩემი მამიდაშვილიც და მისგანაც ძალიან ბევრი საზარელი ისტორია მაქვს მოსმენილი. აღქმა აღარ მქონდა, განცდა აღარ მქონდა, არც თანაგანცდა მქონდა. არანაირი ემოცია ამ ფაქტებთან. თითქოს ეს გახდა ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი, თანმდევი ნაწილი და სხვა ტიპის ცხოვრება აღარც არსებობდა. წელან რომ ვსაუბრობდი 80-იან წლებზე და გარკვეულ მოგონებებზე, ეს მოგონებები, თუნდაც ბავშვური დადებითი და მხიარული ემოციები, მთლიანად გადაფარა ამ 90-იანმა წლებმა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ერთი ფაქტი, პირად განცდას რადგან უკავშირდება: ძალიან საინტერესოა, რომ ამ პერიოდში ჩემი სიზმრები იყო მხოლოდ შავი და ნაცრისფერი. მე სხვა ფერი სიზმარში არ მახსოვს. თან ეს უკვე ის პერიოდია, როდესაც შუქი არ არის ხშირად, ეკონომიკური კოლაფსია ქვეყანაში, გაჭირვებაა. ხალხსაც ალბათ უკვე ისეთი ტანისამოსი აცვია, შავი და ნაცრისფერი, ამიტომ ეს სიზმრებიც, ალბათ, აქედან გამომდინარეობდა, რომ იყო ყოველთვის მეტად დამთრგუნველი და ფერები იყო მხოლოდ შავი, თეთრი ან ნაცრისფერი, შავი, თეთრი, ნაცრისფერი... სხვა ტიპის სიზმარი ალბათ 90-იანი წლების ბოლომდე არ დამსიზმრებია. და როდესაც პირველად ფერადი სიზმარი დამესიზმრა, ეს ფაქტი მახსოვს მკვეთრად - ღმერთო, როგორ მოხდა, რომ ფერადი სიზმარი ვნახე ცხოვრებაში (იციინის).

უარყოფითზე რომ არ ვისაუბრო მხოლოდ, ერთი-ორი ასევე 90-იან წლებთან დაკავშირებული რაიმე ფაქტი მაინც მინდა გავიხსენო, შედარებით უფრო ნათელი და საინტე-

რესო. ერთი ის გახლავთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის და საზღვრების გახსნის შემდეგ, დასავლური პროდუქტებიც ნელ-ნელა შემოედინებოდა ჩვენთანაც. რაც მახსოვს პირველი, როდესაც ვეზიარე ფრედი მერკურის და „Queen“-ის შემოქმედებას, სწორედ ამ პერიოდში, 90-იან წლებში და მაშინაც ისეთი გაციების და აღფრთოვანების შეგრძნება მქონდა, რომ ღმერთო ჩემო, არსებობს სხვა სამყარო, გაცილებით უფრო საინტერესო. ღმერთო, ეს რა მუსიკაა, როგორი შთამბეჭდავი. თან ეს ის პერიოდი, როდესაც [...] არ მაქვს არც მაგნიტოფონი, არც კასეტა, რომ მუსიკა ჩავინერო და შეიძლება სწორედ მაგნიტომაც იყო უფრო მძაფრი აღქმა ამ მუსიკისა, რომელიც თავში გიტრიალებს მუდმივად და მუდმივად ელი, რომ ხელახლა როგორღაც მოუსმინო. ეს იყო სწორედ „Queen“ და ფრედი მერკური და ეს იყო „Nirvana“ და კურტ კობეინის შემოქმედება, რომელსაც ვეზიარე მეგობრებისგან, რომლებსაც უფრო მიუწვდებოდათ ხელი, მაგალითად, მაგნიტოფონზე და კასეტაზე და მოგვიანებით უკვე „U2“ და ამის შემდეგ უკვე რალაცნაირად ახალი სამყარო აღმოვაჩინე როკის სახით.

კიდევ ერთ მომენტს გავიხსენებ, ეს არის 90-იანი წლების ბოლოსკენ, ალბათ უკვე სკოლას ვამთავრებდი, ალბათ 17-18 წლის ასაკში, არ მახსოვს ზუსტად, როდესაც აღმოვაჩინე, რომ არსებობს ინტერნეტი (იციინის) და არსებობს კომპიუტერი. არ ვიცი, ვისი დაფინანსებით იყო, მაგრამ ვაკეში კონკრეტულ ლოკაციაზე გარკვეული ოთახები იყო გამოყოფილი, სადაც რამდენიმე კომპიუტერი იდგა და შეიძლებოდა წინასწარ ჩაწერა და ერთი საათი უფასოდ კომპიუტერზე მუშაობა და ინტერნეტით სარგებლობა, რითაც ვისარგებლეთ მე და ჩემმა მეგობარმა. არისტოტელეს ფრაზა გამახსენდა: „ადამიანი ინყება გაციებით,“ ან „ფილოსოფია ინყება გაციებით.“ მახსოვს, როდესაც კომპიუტერში ინტერნეტით პირველად ვისარგებლე, ეს იყო გაციება და მაშინ მივხვდი, რომ ადამიანი მართლა ინყება გაციებით. საინტერესო და მძაფრი მოგონება იყო სწორედ ინტერნეტთან და კომპიუტერთან დაკავშირებით.

ეს არის, ძირითადად, ის მოგონებები, ის რამდენიმე ფაქტი, მძაფრი, რომლებიც შევარჩიე და მინდოდა თქვენთვის გამეზიარებინა. იმდენად რუტინული იყო, ძირითადად, დაკავშირებული იყო სწავლასთან, სკოლაში სიარულთან. ის მახსოვს მძაფრად, რომ სკოლაში გათბობა არ არის და საკლასო ოთახში ვსხედვართ ყველაფრით – ქურთუკებით, პალტოებით, ყველაზე თბილი ტანსაცმლით, რაც გვაქვს. არ ვიცი ამ პერიოდში მასწავლებლები რამდენად იღებდნენ ანაზღაურებას განუული შრომისთვის, ესეც არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იყო გარკვეული ანაზღაურება, მაგრამ ძალიან მცირე. მაგრამ, რასაც აღვნიშნავ, მართლა გაგვიმართლა და ჩვენს სკოლაში იმ პერიოდში მართლა კარგი მასწავლებლები იყვნენ და მახსოვს, რომ გერმანულსაც დამატებით გვამეცადინებდა ჩვენი გერმანულის მასწავლებელი. ისტორიის მასწავლებელი გვყავდა ძალიან საინტერესო, ქართულისაც, და არასდროს არ გვიგრძნია მათი მხრიდან, რომ უჭირთ, მსგავსი რალაც არ ყოფილა. რუტინა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ეს იყო რუტინა, იმიტომ რომ ჩემთვის პირადად და ჩემს ოჯახში არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. ეს იყო ყოველდღიური ბრძოლა არსებობისათვის და ყოველდღიური ბრძოლა იმისთვის, რომ, უბრალოდ, გვექონოდა საჭმელი, გვექონოდა პური, ვყოფილიყავით თბილად, იმიტომ რომ აღარ იყო ელექტროენერჯია და, როგორც დანარჩენ თბილისს, გარკვეული პრივილეგირებული ფენების გარდა, რომლებსაც ჰქონდათ გენერატორი, გვექონდა ნავთქურა და ამ ნავთქურაზე მომზადებული კერძები, ნავთქურაზე გამთბარი წყალი საბანაოდ, შესაბამისად, ნავთის სუნი ყველგან – თმაში, ტანსაცმელზე, საწოლშიც კი. გახსენებაც რომ არ გინდა, უშუქობა... არც ის არ მახსენდება, რომ მეგობრებთან

ხშირად სათამაშოდ დავიდოდით ან ბავშვები ცხოვრებას ვიხალისებდით. არა, მსგავსი [არაფერი], რუტინა ამ სიტყვით სრული მნიშვნელობით.

ალბათ, მეც არ ვილაპარაკებდი არასდროს ამ საკითხებზე და არავისაც არ გავუზიარებდი დიდად. შეიძლება უფროს ასაკში. ახლა, როცა დავფიქრდი კონკრეტულად რაზე უნდა მესაუბრა, ეს გარკვეული ფაქტები, რაც მოგიყევით, შემდეგ ამოტივტივდა უკვე. დავფიქრდი, რაზე შემძლო მესაუბრა, გარდა იმ ყოველდღიურობისა, რაც ყველამ მეტ-ნაკლებად თანაბრად გამოვცადეთ 90-იან წლებში. შევარჩიე სწორედ ის ფაქტები, რომლებიც ჩემთვის პირადად მეტად მნიშვნელოვანი იყო აი ამ კონკრეტულ პერიოდში – 80-იანებიდან დაწყებული 90-იან წლებში. შეიძლება არის კიდევ რაღაც, რაც დავივინყე, გახსენებაც არ მინდა, ან ვცდილობ, რომ არ ვიფიქრო ამაზე, მაგრამ გარკვეულწილად ვფიქრობ, რომ ეს ამოთქმაც შველის და ამის გადახარშვასა და ხელახლა გააზრებაში ეს საუბარი, შეიძლება, დამეხმაროს. არავის უნდა 90-იანების გახსენება, მაგრამ სულ ვუბრუნდებით.

## ზღა

### ნანა ბაქრაძე, 73 წლის, მხატვარ-მოდელიერი, თბილისი ჩანერილია 15.11.2020

მე, თუ შესაძლებელია, ცოტა ადრე პერიოდიდან დავინყებ, 80-იანი წლების ბოლოდან, ის პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირი უკვე რყევას განიცდის, ინგრევა, გამოდის ეროვნული მოძრაობა პირველ პლანზე, თავისი ძალიან ქარიზმატული ლიდერებით, ნამოვიდა ეროვნული მოძრაობა და იდეა საქართველოს თავისუფლების. აი, აქედან დაიწყო ჩემ გარშემო მყოფი ადამიანების და პირადად ჩემიც, ჩემი ოჯახის მენტალიტეტის შეცვლა. ჩვენ მანამდე არ ვფიქრობდით ამ რაღაცეებზე, საერთოდ არ გვჭირდებოდა ფიქრი, ჩვენ მაგივრად ვიღაცები ფიქრობდნენ, სადღაც იქ, ზემოთ, მოსკოვში. ვჭამდით, ვსვამდით, მაგრამ ქვეყანაზე, სამშობლოზე, თავისუფლებაზე ფიქრი... ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე, მორწმუნეობაზე... ამაზე ფიქრი ჩვენ არ გვქონდა.

აი, დავინყეთ ფიქრი და აი, ზუსტად მაგ პერიოდიდან დაიწყო ის სიძნელებები, რაც შეეხო ყველა ჩვენგანის პირად ცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. ძალიან რთული პერიოდი დაიწყო, ძალიან. რაღაცნაირად გამოფხიზლების პერიოდი. დაიწყო აქციები, დაიწყო ბრძოლა თავისუფლებისთვის. მე პირადად არ ვარ ჩართული ძალიან ღრმად პოლიტიკაში, არასოდეს არ დავდივარ, არ დავდიოდი და არც ახლა არ დავდივარ აქციებზე, მაგრამ ყოველთვის ვიყავი საქმის კურსში. ეს პირად ცხოვრებაზე ძალიან ისახებოდა, იმიტომ რომ თანდათან, თანდათან რაღაცნაირი მძიმე პერიოდი დაგვიდგა ბრძოლის თუ რაღაცა სურვილების...

და აი, ამას მოყვა ერთი ყველაზე საშინელი და ტრაგიკული მომენტი, ეს 9 აპრილი. შვილი მაშინ პატარა მყავდა და, ბუნებრივია, ძალიან განვიცადე ეს ამბავი. და აი, მე და ჩემი პატარა შვილი ნავედით მეორე თუ მესამე დღეს იმ დანგრეულ, გაპარტახებულ, ყვავილმოყრილ და სისხლიან ტერიტორიაზე. საშინელი განცდა იყო. და იმ მომენტისთვის თითქოს ყველა გაერთიანებულები ვიყავით, ძალიან შეკრულები, ერთ აზრზე მყოფები. მაგრამ მერე გავიდა პერიოდი... ნუ მერე უკვე ზვიად გამსახურდიას მთავრობა მოვიდა, რეფერენდუმი ჩატარდა ქვეყნის გათავისუფლებაზე, გამოცხადდა დამოუკიდებლობა

და აი აქ ატყდა ყველაზე საშინელი, რაც კი შეიძლება მომხდარიყო ჩემ გარშემო. ადამიანები დაიყვნენ ბანაკებად, ეგრეთ წოდებული „ზვიადისტები“ და მისი მონინალმდეგეები. ეს იმდენად მძიმე ასატანი იყო, ეს გადადიოდა პირად ცხოვრებაში. ყველა სამზარეულოში, სამსახურში, ქუჩაში ირჩეოდა, იყო საშინელი ჩხუბები. მე მახსოვს ერთი რამ, ჩემი დაბადების დღე 15 აპრილს არის, უკვე ძალიან ჭირდა ცხოვრება, დიდი გაჭირვება იყო და ვაი-ვაგლახით შევაგროვე რაღაცა თანხა, გავაკეთე პატარა პურ-მარილი და მოვინვიე ჩემი ნათესავები. უკვე ჩვენ გვიჭირდა ერთმანეთის ნახვა, იმიტომ რომ გარშემო ისეთი სიტუაცია იყო. მთელი საღამო ხელჩართული ბრძოლა და ჩხუბი იყო. ჩხუბობდნენ ზვიადის მომხრეები და მისი მონინალმდეგეები. ესე იგი ჩემი ნათესავებიც გაყოფილები იყვნენ და ეს საშინელი დაპირისპირება იყო, საშინელი. და მე მახსოვს, რომ ძალიან გამწარებული და ძალიან ნაწყენი გავედი სამზარეულოში, დავჯექი, იმიტომ რომ ეს ჩემი დაბადების დღე, ასე სიმწრით მოპოვებული, სრულიად ჩამიშხამდა. ასევე იყო სამსახურში რომ მივდიოდი, მთელი დღე იყო ჩხუბი და კამათი ჩემ გარშემო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე ასატანი იყო. სწორედ ამ დაპირისპირებამ მოიტანა... ალბათ შედეგი იყო და ალბათ უკვე ამისკენ მიდიოდა, სამოქალაქო ომი. ბუნებრივია, ამ სამოქალაქო ომსაც რუსეთი ხელმძღვანელობდა, ალბათ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ვმონანილებოდით ამაში, ქართველები. ეს აუტანელი იყო. აუტანელი იყო! მახსოვს, წავედი, მინდოდა ჩემი თვალთ მენახა თუ შემეგრძნო ეს ყველაფერი და „ივერიასთან“ უკვე გადაკეტილი იყო გზები. და იდგა აი, ამ გადაკეტილ გზასთან დიდი ჯგუფი ადამიანების და უყურებდნენ და უსმენდნენ, როგორი სროლა იყო იქ, მთავრობის სასახლესთან. ღამეები გვესმოდა საშინელი სროლა. ვინჩქით ღამე, გვეძინა და სროლა იყო თანმდევი აი ამ პროცესის. ძალიან მძიმე იყო, ძალიან საშინელი ასატანი იყო ეს ყველაფერი. ძალიან მძიმედ მოქმედებდა ადამიანის ფსიქიკაზე.

სამოქალაქო ომის მერე დაიწყო უკვე ღელვა აფხაზეთში. მე ქრონოლოგიურად შეიძლება ცოტა რაღაცა ავუროო, შეიძლება ცოტა ზერელებდ, მაგრამ მე მოვყვები ჩემს პირად განცდებს. [...]

ჰო, მერე დაამხეს ზვიად გამსახურდია, თუ მანამდე იყო, აფხაზეთში დაიწყო ღელვა, ჯარი შევიდა და დაიწყო ომი აფხაზეთში. კარგად მახსოვს, სამსახურში მივდიოდი, შემხვდა ჩემი ერთი ჯგუფელი. ბევრად ჩვენზე უფროსი იყო. 11 საათი იყო, დილა და ძალიან ნასვამი იყო, მთვრალი იყო. მე გამიკვირდა, როგორ, ასე დილიდან რამ დაგათრო და ნანა, მეო ხვალ დილასო მივდივარ ომშიო, ასე მითხრა. ერთი კვირის მერე გავიგე, რომ მეორე დღესვე, როგორც კი ჩავიდა ეს ყმანვილი ფრონტის ხაზზე, ერთ საათში მოკლეს. აი ეს ისეთი საშინელი... მე ამით განვიცადე ომის საშინელება. ჩემი ძალიან ახლობელი არავინ არ მონანილებოდა ომში, მაგრამ ამ ჩემი ახლობელი, ახლო მეგობრის, ძალიან საყვარელი მეგობრის სიკვდილმა, ასეთმა უეცარმა სიკვდილმა, განმაცდევინა ამ ომის მთელი საშინელება, ომის მთელი სიმწარე. ამ ომის მერე, რა თქმა უნდა, დაიკარგა აფხაზეთი, დაიკარგა ოსეთი და საშინელი პერიოდი დაგვეწყო უკვე საქართველოში, როგორც ეძახიან, შავბნელი 90-იანები. ეს მართლაც შავბნელი იყო, როგორც პირდაპირი გაგებით, ისე გადატანითი მნიშვნელობით, იმიტომ რომ არ გვექონდა შუქი, აი, არაფერი არ გვექონდა, გათბობა, არაფერი არ იყო. იცით როგორ მახსოვს ეს პერიოდი? აი, როგორც ერთი დიდი ცარიელი, შავი პერიოდი. თითქოს არც არაფერი არ ხდებოდა და ამასობაში კიდევ ძალიან ბევრი ტრაგიკული რაღაც ხდებოდა.

ძალიან დიდი გაჭირვება დაიწყო, საოცარი, არა საკვები, არა ტრანსპორტი, არა გათბობა, არა შუქი. დედა მყავდა უკვე ხნიერი მაგ დროისთვის და ვატყობდი, რომ ეს შუქის

ნასვლა და ეს უშუქობა უკვე მის ნერვებზე და მის ფსიქიკაზე ძალიან ძლიერად მოქმედებდა. სულ იმის შიში მქონდა, რომ არ დაწყებოდა რალაცა ისტერიკის მაგვარი, როცა შუქი მიდიოდა. ესეც რალაცნაირი ძალიან დიდი განცდაა, რომ უყურებ შენს ახლობელს, რომელიც ასე იტანჯება და რის გამო! იმის გამო, რომ შუქი არა გვაქვს, სინათლის გამო არა გვაქვს გათობა, გაზი და აი ეს ყველა ასეთი მომენტები ძალიან რთული იყო.

მე პირადად ამ პერიოდისთვის დიდი მატერიალური გაჭირვება არ მქონია, იმიტომ რომ რალაცნაირად მოვახერხე და შევეძელი გამომენახა გზები იმისთვის, რომ მეშოვა მატერიალური სარგო ჩემთვის. ვმუშაობდი ისეთ ადგილებში, სადაც ხელფასი მქონდა, მაგრამ ჩემ გარშემო ხალხს საშინლად უჭირდა. და, გარდა იმისა, რომც გქონოდა მატერიალური საშუალება, რომ რამე გეყიდა, უბრალოდ, არაფერი არ იყო. პრაქტიკულად არ იყო საკვები, არ იყო არაფერი, რომ გეშოვა, მოგეძებნა, მოგეპოვებინა. და მერე გადავედით ტალონებზე, ძალიან კარგად მახსოვს, სამსახურში გვირიგებდნენ ტალონებს - კარაქის ტალონი, ყველის ტალონი, პურის ტალონი. მახსოვს, ერთხელ დაგვირიგეს ტალონები და შემოვიტანე ოთახში სამსახურში და ჩავდე უჯრაში. ერთ საათში რომ მოვბრუნდი, ტალონები არ დამხვდა, ანუ ვილაცამ მომპარა. ეს ჩემთვის იყო ისეთი ტრაგედია, რომ მე არ შემეძლო ბავშვისთვის მიმეტანა კარაქი, იმიტომ, რომ სხვა გზა არ იყო, სხვანაირად ვერ იშოვიდი. და კიდევ ერთი სასაცილო ფაქტი მოხდა, ამას ვიხსენებ, ვყვები და ბავშვები არც მიჯერებენ, ასეთ რალაცას რომ ვყვები, ჩემი შვილოშვილები არც მიჯერებენ, რომ შეიძლება, რომ ასეთი რალაც მომხდარიყო. ტალონით ვიყიდე ორი შეფუთვა კარაქის, ორასგრამიანები. პარკში მეღო და ვბრუნდებოდი სახლში, როცა სახლს მოვუახლოვდი, უეცრად მომვარდა ძალი და ერთ ამ შეფუთვის დაავლო პირი და წამართვა ამ პარკიდან კარაქი. არ გაიქცა, სხვათა შორის, პირში ეღო ეს კარაქი და თვალელებში მიყურებდა (იცინის), ეტყობა ისიც მიხვდა, რომ საშინელება ჩაიძინა. მე იმდენად გავმწარდი, წამსკდა საშინელი ტირილი. ვდგავარ და ვქვითინებ. ვილაც კაცმა გამოიარა და მითხრა, ქალბატონო, რა ხდება, რა გჭირთო, რამე ხომ არ გიჭირთო. მე ვუთხარი, არა, ძალღმა კარაქი მომტაცა-თქო და მერე ორივეს გაგვეცინა. ანუ იმ დონეზე ვიყავით გაჭირვებული, რომ აი ეს ერთი შეფუთვა კარაქი სიცოცხლის ფასად მიღირდა. მერე რიგები პურზე. პური არ იშოვებოდა პრაქტიკულად. მე მახსოვს, ჩემები დგებოდნენ ასე ღამის 2-3 საათზე რიგში იმისთვის, რომ დილისთვის, როდესაც პური მოდიოდა, პური რგებოდათ. ელემენტარულად - ორი ან სამი, ისიც თვლით იყო და რომ ეს რგებოდათ. მამას ახალი გაკეთებული ჰქონდა ოპერაცია, დიდი ჭრილობა მუცლის არეში და ერთ მშვენიერ დღეს მოვედი სახლში, მთელი სახლი გასისხლიანებული იყო და ბინტები ეყარა. სახლში არავინ იყო, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, შიშისგან გული გამისკდა. თურმე, პურის რიგში ისე მიუსრესიათ რკინის ჯებირზე, რომ ეს ჭრილობა გაეხსნა. ძლივს მოიყვანეს სახლში, საავადმყოფოში წაიყვანეს. საავადმყოფოებიც ისეთ დღეში იყო, საშინელში. [...]

კიდევ რა იყო.... მერე ფული, რაც მთავარია, ფული არ იყო. ჯერ ეს რუსული რუბლი იყო, რომელმაც საერთოდ ძალა დაკარგა და ფიქრობდნენ, რომ გადასულიყვნენ ახალ ვალუტაზე. მაგრამ მახსოვს, რომ დაბეჭდეს გარდამავალი ვალუტა, კუპონები. და ეს კუპონები იყო ძალიან სასაცილო ფული, ძალიან. დედა ელოდა პენსიას კუპონებით, თუ არ ვცდები, ხუთი ათასს და ტროლეიბუსის ბილეთი ღირდა ოთხი ათასი, მე მგონი. ასეთი შეფარდებით იყო ეს ფული. დედა როცა იღებდა პენსიას, მეუბნებოდა, რომ წადიო, ჩემი პენსიით ბავშვს რამე უყიდეო, და ამ ფულით საერთოდ ვერაფერს ვერ იყიდდი. მე მივდიოდი, თვითონ რალაცას ვყიდულობდი ბავშვისთვის, მომქონდა. მერე ერთ დღესაც ძალიან დავილაღე და ვუთხარი, დედა, კარგი რა, მე ვუთხარი, არ-



აფერი არ მოდის ამ შენი პენსიით-მეთქი. ისე გამიბრაზდა და ისე ეწყინა, როგორ არა გრცხვენია, ნანაო, ათასები მაქვსო პენსიაო. ანუ ის, თავის ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან განათლებული ქალი იყო, მაინც ვერ იგებდა (იცინის), რომ ათასი აბსოლუტურად ნოლის ფასი იყო.

კიდევ რა მახსოვს ძალიან მწარედ. ტრანსპორტი არ იყო. თუ მანქანა გყავდა, ბენზინს ვერ იშოვიდი, ისე რომ, თუნდაც მანქანის ყოლა არანაირი შეღავათი არ იყო. აი მახსოვს, როგორ მივდიოდი ფეხით და შორს დამყავდა ჩემი შვილი სკოლაში, იმიტომ რომ სკოლა იყო ჩემი სამსახურის გვერდით. ამიტომაც მე გამომყავდა ბავშვი სკოლიდან და იქ მყავდა ჩემს სამსახურში და მთელი დღე ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მეცადინეობა, კვება თუ რაღაც... რამდენჯერ, მახსოვს, რომ ფეხით წავსულვართ და ფეხით წამოვსულვართ, იმიტომ რომ არა, არაფერი, აბსოლუტურად არაფერი. მეტრო კი მოძრაობდა, მაგრამ იმის გამო, რომ შუქი ძალიან ხშირად ქრებოდა, ხშირად იჭედებოდა მატარებლები გვირაბებში. ერთხელ მახსოვს, მეტროთი მოვდიოდი, სახლში ვბრუნდებოდი და ჩაქრა შუქი, რამდენიმე ხანი ვიყავით ვაგონში, მაგრამ ძალიან გაუსაძლის სიბნელეში, ამ უჭყერობაში. მერე გადმოგვსხეს ვაგონიდან. თან ისეთი ცუდ ადგილას იყო გაჭედული მატარებელი, შუა გვირაბში, სადაც კედლები ასეთი მრგვალი, სფეროებური კედლები აქვს მეტროს და ფეხის დასადგამიც კი არ იყო. როგორც იქნა, გადმოვედით რელსებზე, ლიანდაგებზე და წამოვედით ფეხით. კარგად გასაველეი გვექონდა მანძილი. ძალიან კარგად მახსოვს ჩემი შვილის განცდა. მეუბნებოდა, დედა, ფრთხილად იყავი, აქ ვირთხები დარბიანო. როგორ გულზე მომხვდა, რომ ბავშვი, ეტყობა თვითონაც ეშინოდა, მაგრამ იმაზე ფიქრობდა, რომ დედას არ უკბინოს ვირთხამო (იცინის).

ყოველმხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავით. მერე თანდათან თითქოს... ჰო, საშინელი ბანდიტიზმი იყო. გავრცელდა ეს უკანონობა, კორუფცია, თარეშობდნენ ეს რაღაცა დაჯგუფებები, კულინარებიო, იოსებიძელებიო. ჩვენი სახლი პირდაპირ იოსებიძეს უყურებდა. წარმოიდგინეთ, რომ ყოველდღე, ყოველ შემთხვევაში, ყოველ მეორე დღეს, მოვარდებოდა რაღაცა ახალგაზრდა ბიჭების ჯგუფი, ატყდებოდა სროლა, ერთს მოკლავდნენ. გავიდოდა კიდევ ცოტა ხანი, კიდევ მოცვივდებოდა ჯგუფი, კიდევ ვილაცა ახალგაზრდას კლავდნენ. ნუ ეს ენით აუნერელი რაღაც [იყო], ამის ატანა, უბრალოდ, ნორმალური ფსიქიკის ადამიანისათვის ძალიან ძნელია, როცა უყურებ, რომ შენს მეზობელს, ახალგაზრდა ბიჭს, ყოველ მეორე, ყოველ მესამე დღეს კლავენ. ეტყობა აქედანაც მიდიოდნენ იქით და იყო აი ეს დავიდარაბა და მკვლელობა.

მერე თანდათან, თანდათან თითქოს ჩანყნარდა ეს არეულობა, მაგრამ იმდენად გამეფებული იყო ამ ქვეყანაში ეს უკანონობა, არეულობა, კორუფცია, რომ უკვე ქვეყანას ქვეყანა აღარ ერქვა. აღარ იყო ეს ქვეყანა, აღარ იყო ეს საშუალება... აღარც სამუშაო. სამუშაოც თანდათან მიიღია და აღარც საქმე იყო. არაფერი, აი, სრულებით არაფერი. ეს ეკონომიკა, მახსოვს, რომ ამბობდნენ, რომ 68 პროცენტით დავარდა ეკონომიკა. ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა 68 პროცენტით დაეცემა, წარმოიდგინეთ, რა ხდება მაშინ იმ ქვეყანაში. მახსოვს, რომ მაგ პერიოდში, ჩვენ ადრე ვიყიდეთ მინა სოფელში პატარა სახლით და უკვე იძულებული გავხდით, რომ ეს ნაკვეთი დაგვემუშავებინა, რომ რაღაცნაირად ლუკმა-პური გვემოვა, ჩვენ პრაქტიკულად ვერ ვყიდულობდით ვერაფერს. და მართლაც, ვამუშავებდით წლები მინას, მოგვეყავდა მოსავალი და, სხვათა შორის, აი ამით იყო ჩვენი ოჯახი. გავავსებდით ხოლმე შემოდგომაზე სარდაფს პროდუქტებით, ჩვენი მონეული მოსავლით და რაღაცნაირად გაგვქონდა ეს პერიოდი. მერე უკვე, 90-

იანი წლების ბოლოსკენ, მართალია, ცოტა ჩანყნარდა სიტუაცია, მაგრამ მაინც ძალიან ჭირდა, ძალიან არასახარბილო მდგომარეობა იყო.

ეს არის, ძირითადად, ჩემი მოგონებები. შეიძლება კიდევ რაღაც არის, მაგრამ, ხომ იცით, როგორ არის ნათქვამი, რომ წლები რომ გადის, თითქოს ყველა ეს მოგონება ფერმკრთალდება, რაღაცნაირად მივიწყებას ეძლევა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ 90-იანი წლები - ეს ისეთი პერიოდი, რომელიც ბევრი ადამიანის გონებაში ასე თუ ისე მაინც ჩაილექა. ვფიქრობ, რომ ადამიანებს უნდა ეყოს გონიერება, რომ ეს მეხსიერება, რაც ჩვენ მაშინ დავაგროვეთ, რაღაცნაირად ალბათ ჭკვიანურად და გონივრულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მომავლის ასაშენებლად, უფრო სწორად ასაშენებლად. ვნახოთ, ვნახოთ, ჩვენი ერი როგორ შეძლებს ამ წინა მოვლენების გამოყენებას ისე, რომ მომავალში კვლავ არ შეიქმნას ასეთი მძიმე პირობები.

როგორ შეიძლება ადამიანმა ისე იცხოვროს, რომ კარგი რამე არ გაახსენდეს. რა თქმა უნდა, იყო რაღაც კარგიც, მაგრამ იცით, როგორი უცნაური ამბავია. მე მანამდეც მაგაზე ვფიქრობდი ხოლმე. იცით, როგორ არის, აი ეს ერთი დიდი შავი ლაქაა, დიდი შავი ლაქა. აი, ახლაც კიდევ [...] აი, ვფიქრობ, რა კარგი... მანამდე კი, მახსენდება, იმის მერე მახსენდება, იმიტომ რომ მანამ, 80-იანი წლებში, ისეთი სამსახური მქონდა, რომელიც მაძლევდა საშუალებას მოგზაურობის, როცა არავის უფლება არ ჰქონდა გასვლისა ქვეყნიდან, მანამდე მე ვმოგზაურობდი საზღვარგარეთ, ნახევარი მსოფლიო მაქვს მოვლილი. 90-იანების მერე, თანდათან, დავინწყე ძალიან კარგად ჩემი პროფესიის გამოყენება, ვმუშაობ, მაგრამ ეს რაღაცნაირი... ერთადერთი სიხარული ჩემს ცხოვრებაში ჩემი შვილი იყო, რომელიც ყოველდღე მახარებდა. ძალიან კარგი ბავშვი, ძალიან ჭკვიანი, ერთგული, რაღაცნაირი ბავშვი, რომელიც არ გაგაბრაზებდა. აი, ეს იყო ერთი სიხარული, მეტი გარედან არაფერი არ ყოფილა კარგი. ეს იყო ერთი შავი დიდი ლაქა, ცარიელი, რაღაცნაირი, ვერც გეტყვი, ვერც აგისხნი, რაღაცა რთული ასახსნელია, აი, დიდი შავი, რაღაცნაირი სიცარიელე და უმძიმესი პერიოდი.

**ხალ**

**რუსუდან თაბუკაშვილი, 43 წლის, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი, თბილისი ჩანერილია 21.07.2020**

აღმოვაჩინე, რომ სხვა იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც ჩვენი ასაკის არიან, რატომღაც კარგად, შედარებით კარგად მახსოვს... შედარებით კარგადაც მესმის, ოღონდ რას უკავშირდება ეს, არ ვიცი. პერიოდი იყო ისეთი, რომ ძალაუწებურად ხვდებოდი და გრძნობდი, რომ გარდამტეხი ეპოქა იყო და რაღაცა უნდა შეცვლილიყო, რაღაცა უნდა მოეთანა, თუ რაღაც წაელო... როგორც ჩანს, ვხვდებოდი ამას და, ალბათ, ამიტომაც მეტ-ნაკლებად კარგად მახსოვს. ეს არ არის ისეთი მოგონება, როგორიც უნდა ჰქონდეს 10-11 წლის ბავშვს. ის, რომ სადღაც რაღაცა ხდება, მაგრამ მე კარგად ვარ ოჯახში და ყველაფერი კარგად არის ჩემ ირგვლივ, როგორი მოგონებაც, თურმე, ჩემს მეგობრებს აქვთ, ასეთი შეგრძნება მე არ მქონია. ვხვდებოდი, რომ რაღაცა ხდებოდა, ისეთი რაღაც, რასაც ზეგავლენა ექნებოდა ჩემზეც და ყველაზე. და ამიტომ, ნათელი ბავშვობა იყო და დადებითად მახსოვს მეთქი, რომ ვთქვა, არა, არ მახსოვს დადებითად, არც 80-იანების

ბოლო და არც, მით უმეტეს, 90-იანები. 90-იანები საერთოდ... ჰო, პრინციპში, ძალიან მიჭირს და გახსენებაც არ მინდა. მინდა, რომ საერთოდ არ ყოფილიყო ის 90-იანები... რაც იყო იმდენად რთული გადასატანი აღმოჩნდა, რომ ახლა თანდათან ვხვდები, რამდენად დიდი ზეგავლენა იქონია ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე და ზოგადად, ჩემს ხასიათზე. დეიდაჩემმა ლილიმ იცოდა ხოლმე თქმა, ჩინელების (მგონი ჩინელებისაა) წყევლაა, რომ გეცხოვროს პოლიტიკური ცვლილებების ხანაშიო. ახლა ვხვდები, მართლა რამდენად უნდა გაგიმეტოს ადამიანმა, რომ ეს მოგაწყევლოს – პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში გეცხოვროსო! (იცინის).

მახსოვს ეროვნული მოძრაობის დასაწყისი. 88 წლიდან მახსოვს, როდესაც ნოემბერში დაიწყო შიმშილობები. რომ გითხრა, ჩემი მშობლები და ახლობლები დიდად ჩართულები იყვნენ და მიტინგებზე დადიოდნენ მეთქი – არა, მაგრამ მამიდაჩემს დავყავდი მიტინგებზე. არა იმიტომ, რომ თვითონ დადიოდა, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი თვალთ მენახა ყველაფერი. რამდენიმე მიტინგზე ვიყავით, გამსახურდიას მიტინგზე, მათ შორის, ლოკომოტივის სტადიონზე რომ გამართა 26 მაისს. და რალაც ისეთი აურა იყო, რომ უნდა მენახა და შემეგრძნო. აი, ასეთი სიტუაცია იყო.

88 წლის შიმშილობის პერიოდი ძალიან კარგად დამამახსოვრდა იმიტომაც, რომ მეზობელი მყავდა, ცოტა მეტიჩარა ბიჭი, მაშინ 18-19-20 წლის იქნებოდა, შეიძლება უფრო პატარაც და ჩვენთან შემოვიდა დასარეკად. ვილაც თავის მეგობარს დაურეკა და ეუბნებოდა, რომ მთელი ღამის უძილო ვარო, პარლამენტის წინ ვიყავიო, ძალიან გვცვიოდაო, რალაც პლედები გვქონდაო, არ გვყოფნიდა ეს პლედებიო, მოკლედ, ვერც დავიძინეო, ვერც ისაო, ვერც ესაო... მოკლედ, მეტიჩრულად უყვებოდა იმ ამბავს, როგორ გაათენა ღამე პარლამენტის წინ. მაგრამ მახსოვს, რომ მაშინ დავფიქრდი, როგორი იქნებოდა ამ მომიტინგეებისათვის ღამე იქ ყოფნა. თან იმ სიცივეში, ნოემბერი იყო, ციოდა უკვე და თანაც რომ შიმშილობდნენ. დავფიქრდი, რას ნიშნავდა შიმშილობა და ვიკითხე, რა არის ეს შიმშილობა თქო და მაშინ გავიგე რომ არსებობს მშრალი შიმშილობა და ისეთი, როდესაც წყალს სვამ და (იცინის) წყალს რომ სვამ, ეს უფრო დიდხანს გაცოცხლებს, ასე ვთქვათ, უფრო დიდი ხანი შეგიძლია გაძლო.

ამის შემდეგ იყო 9 აპრილი, რომელიც აი, მართლა ძალიან კარგად მახსოვს. მახსოვს ჩემი შეგრძნებები, ხალხის შეგრძნებები. ის დილა მახსოვს, 9 აპრილი რომ გათენდა, რძის ამოსატანად რომ ვიყავი მალაზიაში და იქ გავიგე, რომ თურმე რალაც მოხდა პარლამენტის წინ და თურმე ახალგაზრდები დახოცეს [...] ჰოდა, მახსოვს, როგორ ვისხედით ბავშვები ტირიფის ქვეშ, იმ დღეს, საღამოთი და ვბჭობდით ძალიან საოცარ რამეზე - რამდენი წლის ვიყავი, ათის, ხომ – ჰქონდა თუ არა რესპუბლიკის მეთაურს იმის უფლებამოსილება, რომ შეეკავებინა ჯარი, რომელიც შემოვიდა. ანუ დაეკითხა თუ არა ვილაცა რესპუბლიკის მეთაურს ჯარების შემოსვლაზე. ამას ვბჭობდით 10 წლის ბავშვები. და მახსოვს, რომ მეზობელმა გადმოგვხედა მეორე სართულიდან და გვითხრა, ბავშვებო, გაჩერდით ახლა, მაგი უფროსებს ვერ გაურკვევიათ (იცინის) და თქვენ რეებზე ლაპარაკობთო.

ეს პერიოდი და შემდეგი წლები, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ რალაცას მიაღწია ხალხმა: დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ ამდენი ბრძოლის, ამდენი შიმშილის, ამდენი შიმშილობების, უფრო სწორად, შემდეგ. პროტესტის შედეგი იყო ის, რომ საბოლოო ჯამში დამოუკიდებლობა დადგა. და მაშინ ამას აღვიქვამდი როგორც ბრძოლის შედეგს - ჩვენ ვიბრძოლეთ და ჩვენ ეს მოვიპოვეთ, ჩვენ ეს დავიმსახურეთ ყველანაირად. ისეც, ასეც, მსხვერპლიც გავიღეთ, და ლოგიკური დასასრულიც დადგა ძალიან დადებითი - დამო-

უკიდებლები გავხდით. მაგრამ მერე, მერე იყო 90-იანები. საშინელი პერიოდი, ბნელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ერთი ბნელი შუა საუკუნეები იყო, რომელიც საშინელება იყო და მეორე - 90-იანი წლები, რომელიც არანაკლებ საშინელება იყო (იციანის) პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მახსოვს, რომ ფეხით დავდიოდი სახლიდან უნივერსიტეტამდე, მახსოვს, რომ ფეხით დავდიოდი ძალიან ბევრს. მახსოვს, რომ ერთხელ არ გვექონდა საჭმელი სახლში, საერთოდ არაფერი: გვექონდა მარტო ხახვის ორი თავი, მეზობელს ჰქონდა კვერცხის ფხვნილი და ზეთი. ჩამოვიდა ის მეზობელი თავისი კვერცხის ფხვნილით და ზეთით. დავჭერით ჩვენ ეს ხახვი, მოვხრაკეთ, შევწვით ეს საშინელი კვერცხის ფხვნილი და შევჭამეთ. აი ასე, იმიტომ რომ სხვა მეტი ფიზიკურად არაფერი იყო საჭმელი. მახსოვს ისიც, რომ პურის რიგში ვიდექი, ოღონდ ეს პურის რიგში დგომა, სხვათა შორის, აქაც და კასპში განსაკუთრებით, იყო ძალიან სასიამოვნო, იმიტომ რომ ბავშვები ერთად მივდიოდით ხოლმე და გართობის სახე ჰქონდა ამ ყველაფერს. მახსოვს, რომ წყალი არ იყო და წყალი ამოგვექონდა, კასპშიც და აქაც, საიდანღაც. ქვემოთ მოდიოდა, ეზოში, წყალი და ის წყალი უნდა ამოგვეზიდა. მახსოვს, რომ გადაბმულად რამდენიმე დღე ერთხელ არც გაზი იყო, არც შუქი და არც წყალი. მახსოვს მომენტი, როცა პირველად მოხდა ასე, და ის საშინელი შეგრძნება - თან ზამთარი იყო - თან რომ გცივა, თან რომ დასაბანი ხარ, თან რომ გშია და თან რომ ლოგინი არის ძალიან, ძალიან ცივი. ჰო, 90-იანები კომპარად მახსოვს იმიტომ, რომ ციოდა, ციოდა, ძალიან ციოდა, მთელი ეს პერიოდი ძალიან ციოდა ზამთარში. ზაფხულიც კი იყო ამ 90-იანებში, მაგრამ 90-იანებს რომ ვიხსენებ, მახსენდება ის, რომ მუდმივად მციოდა, სულ მციოდა (იციანის). [...] სხვათა შორის, ერთ ნაცნობ გერმანელს აქვს ერთხელ ნათქვამი, რომელიც ბოსნიაში, სარაევოში ცხოვრობდა ერთი პერიოდი: მივაქციე ყურადღება, რომ სითბოს და სიცივის აღქმა გვექონდა სხვადასხვანაირიო. როგორც კი ოდნავ აგრილდებოდა, ეგრევე გამათბობელ საშუალებებს რთავდნენ და რალაცას იხურავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ ციოდაო. ისე არ ციოდა, როგორც ისინი პანიკაში ვარდებოდნენო. მერე აღმოაჩინა, რომ თურმე ომის პერიოდმა - იუგოსლავიაში რომ ომი იყო - და იმან, რომ სითბო არ ჰქონდათ და სულ რომ ციოდა, ჩატოვა მათში, ამ ომგადატანილ ხალხში შეგნება, რომ ოღონდ არ შემცივდეს. ჰოდა ჩვენთანაც ასე არის, არ შემცივდეს, არ მომშივდეს... იმიტომ რომ თუ იყო საჭმელი, უნდა გექამა აუცილებლად, იმიტომ რომ იმ მომენტში თუ არ შეჭამდი, მერე ვეღარ შეჭამდი, იმიტომ რომ მერე შეიძლება ფიზიკურად აღარ ყოფილიყო.

მახსოვს, პირველად რომ დადგა 90-ანების ზამთარი, მაშინ არ ვიცოდი, რის მოლოდინი უნდა მქონოდა და როგორი იქნებოდა. იმიტომ პირველი ზამთარი შედარებით იოლი გასაძლები აღმოჩნდა, იმიტომ რომ პირველი იყო და მისი მსვლელობისას ვიძენდით გამოცდილებას, თუ როგორია ზამთარი. შემდეგ წელს, შემოდგომაზე კი იყო მომენტი, როდესაც საღამოს სახლიდან გავედი პურის რიგში ჩასადგომად, და მივხვდი, რომ რალაცა უნდა ჩამეცვა და ისე ვერ დავდგებოდი, როგორც ზაფხულში. და იმან, რომ თბილად უნდა ჩამეცვა, რომ არ შემცივნოდა, გამახსენა ნინა ზამთარი, რომელიც ძალიან საშინელი იყო. მახსოვს, როგორ შემეკუშმუა გული. მგონი, შემოდგომა სწორედ ამ მომენტის მერე აღარ მიყვარს: როდესაც მივხვდი, რომ დამთავრდა ზაფხული და ახლა უნდა ვემზადო იმისთვის, რომ ზამთარი მოვა, ძალიან საშინელი. კიდევ მახსოვს, რომ აუცილებლად უნდა გქონოდა იაპონური გამათბობელი ფუჯიქსი, წითელი. იმიტომ, რომ ის ათბობდა ყველაზე მეტად. შედარებით დიდიც იყო და შედარებით მეტ სითბოს გამოსცემდა. საბჭოთა ნავთქურები რომ იყო, იმაზე შეიძლებოდა საჭმლის გაკეთება, უკიდურეს შემთხვევაში

შეიძლებოდა გამთბარიყავი კიდევაც, მაგრამ პრინციპში მარტო საჭმელი უნდა გაგეკეთებინა, მეტი სხვა არაფრისთვის ვარგოდა.

მახსოვს, როდესაც 98 წელს გერმანიაში წავედი (90-იანებიდან რომ გერმანიაში მოხვდები უცებ, ჰამბურგში!), ყველაფერი რომ ჰქონდათ. მახსოვს, ვიჯექი და ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რაში სჭირდებათ ახლა ამათ 24 საათი დენი? ანდა, რაში სჭირდებათ ცხელი წყალი, ცივი წყალი, აი, რაში სჭირდებათ თქო? (იცინის). სერიოზულად მქონდა ასეთი ფიქრი. ახლა იმას რომ ვიხსენებ, რომ მსგავსი რაღაც თავში აზრად მომივიდა, ეგ მიკვირს. ჩვენ იმდენად არაფერი გვექონდა და იმათ იმდენად ყველაფერი, რომ ვფიქრობდი: ხომ არაფერი გვაქვს და მაინც რაღაცნაირად ვცხოვრობთ, არა? ჰოდა რად უნდათ ეს ამდენი, ზედმეტი ყველაფერი, რად უნდათ, რაში სჭირდებათ-თქო? (იცინის).

ჰო, მოკლედ, ასეთი ამბავი იყო. ანუ, 90-იანებიდან მახსოვს სიცივე, 90-იანებიდან მახსოვს ის, რომ ტრანსპორტი არ დადიოდა და ფეხით დავდიოდი ძალიან ბევრს. [...] და ცივი სანოლი, ძალიან ცივ სანოლში რომ წებობდი და ველარ თბებოდი ძალიან დიდი ხანი და, შესაბამისად, ვერც გეძინებოდა დიდი ხანი. [...] მოკლედ, ეგეთ იყო თინეიჯერობა, მაშინ, როცა თინეიჯერული გაფრენები უნდა გქონოდა ადამიანს, ასეთ სიტუაციაში გინევდა ცხოვრება. ეს რომ არ იყო თავის დროზე, მერე რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ცოტა გვიან დამენყო თინეიჯერობაში რაც უნდა მქონოდა – სისულეები და გაფრენები. უკვე ძალიან დიდი ვიყავი, 2000-იანების შუა პერიოდში, მაშინ მქონდა ხანდახან თინეიჯერული აზრები და ეგეც არ იყო არანაირად ნორმალური (იცინის).

**შეკითხვა:** ამ ყოფითი სიმძიმის ფონზე, როგორ აღიქვამდა, ან საერთოდ თუ გაინტერესებდა ის, რაც ხდებოდა ქვეყანაში?

როგორ არ მაინტერესებდა, მაინტერესებდა იმდენად, რომ ძალიან აქტიურად ვიყავი პოლიტიკურ პროცესებში ჩართული. მაგალითად, ჯერ კიდევ მოქალაქეთა კავშირი რომ იყო, ანუ შევარდნაძე, მათი დეპუტატი უნდა ყოფილიყო სააკაშვილი ვაკის რაიონში. მაშინ ნუცუბიძის პლატო ვაკის რაიონი იყო და მე ვიყავი ძალიან აქტიურად მის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული. გერმანიიდან რომ ჩამოვედი, 1998 წელს, სრულიად ნათლად დავინახე ის, რომ ქვეყანაში არაფერი ხდება, რომ ქვეყანა დგას ერთ ადგილზე, არც წინ მიდის, არც უკან. აი, არაფერი ხდება საერთოდ. არის საშინელება, არის კრიმინალი, არის კორუპციული მთავრობა, რომელიც გატყუებს, იმიტომ რომ, თუ მოინდომებ ადამიანი, ყველაფერის გამოსწორება შეიძლება. ეს უკვე გერმანიიდან წამოყოლილი აზრები და ფიქრებია. და აი, გერმანიიდან ვარ ახალი ჩამოსული, როდესაც მოვისმინე სააკაშვილის ინტერვიუ სასამართლო რეფორმაზე. საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვიუ იყო. და მახსოვს, ისეთი განსხვავებული ტიპი იყო, ისეთ განსხვავებულ რაღაცეებს ლაპარაკობდა და ისეთი განსხვავებული მიდგომა ჰქონდა ყველაფრისადმი ... სიცხეში რომ ჰაერი დაგიბერავს და მოგასულიერებს, აი, რაღაც მსგავსი ეფექტი ჰქონდა. მაშინ ვიფიქრე, რომ ღმერთო ჩემო, ესე იგი ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი დაკარგული-მეთქი და, როგორც კი საშუალება გამიჩნდა, რაღაცნაირადაც ხელი შემეწყნო იმისათვის, რომ ამ ადამიანს [...] თავისი იდეები განეხორციელებინა, არც კი მიფიქრია, ისე ჩავერთე მის წინასაარჩევნო კამპანიაში, როდესაც ვაკის რაიონის დეპუტატი უნდა გამხდარიყო.

მახსოვს, ხალხთან რომ დავდიოდით და ვეუბნებოდით, რომ აი, ასე, ასე და ასე, ეს ადამიანია და კარგია-თქო, ერთმა მკითხა: შვილო, რას დაგპირდა ამისთანას, რომ შენ ასე დადიხარო. მე ვუთხარი: არაფერს, ბებო, რას უნდა დამპირებოდა-მეთქი? მახსოვს ისიც, რომ როდესაც დავდიოდით და ვეუბნებოდით, რომ ქვეყანა არის გადასარჩენი, ხალხი

გველაპარაკებოდა იმაზე, რომ ჭერია გასაკეთებელი, წყალი ჩადის. ჩემი შეგრძნება მახსოვს ამასთან დაკავშირებით, რომ რა დროს შენი სახლის სახურავი და ღრიჭოა, სადაც წყალი ჩამოდის, როდესაც ქვეყანა გვექცევა თავზე და ვერ ხვდები რომ ქვეყანა გვექცევა და მე მიწვევს ამაში დაგარწმუნო, გელაპარაკო იმდენი, რომ ამაში დაგარწმუნო, და მაშინაც კი ვერ რწმუნდები, როცა გიხსნი და არგუმენტებს გიღებ-თქო. მახსოვს, რომ ძალიან დიდი იმედგაცრუება იყო, ხალხს რომ ველაპარაკებოდით და რომ არ ესმოდათ და ვერ ხვდებოდნენ, ან არ უნდოდათ გაგება, არ ვიცი.

[თბილისის ომი] მახსოვს ძალიან კარგად, ისიც მახსოვს, ფანჯრიდან რომ ვიხედებოდით, მაშინ იმდენი სახლი არ იყო, ახლა ძალიან ბევრი ააშენეს და აღარ ჩანს იქითა მხარე, მაგრამ მაშინ ჩანდა სტაფილოსფრად განათებული ცა, როდესაც იწვოდა რუსთაველი. მახსოვს, ჩვენს მეზობლად ვინც ცხოვრობდა, ის იყო წასული ჰოლანდიაში და მისი და ცხოვრობდა სადღაც რუსთაველისკენ. ეს და გადმოვიდა ოჯახით. გამოიქცნენ, თავი შეაფარეს ამ ყველაფერს ნუცუბიდის პლატოზე. იმიტომ, რომ ნუცუბიდის პლატოზე, პრინციპში, არ ხდებოდა არაფერი. ვიცოდით, რომ იქ რალაცა იყო, რუსთაველზე, ვხედავდით, რომ ცა იყო განათებული სტაფილოსფრად და ვხვდებოდით, რომ ცეცხლისგან იყო ეს, მაგრამ აქეთ გარეუბნებში ისეთი სიმშვიდე იყო, ვითომც არაფერი, თითქოს არაფერი. ერთხელ მანქანა დადიოდა და რუპორში გაჰყვიროდნენ, „ხალხო, ადექით, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, ზვიად გამსახურდიამ შავნაბადაზე ხალხი ჩახოცა.“ ჯაბა იოსელიანის მხედრონელები დადიოდნენ ასე მანქანით, რუპორით და გაგვალვიძეს ერთხელ და შეშინებულები ავდექით. მერე როგორც აღმოჩნდა, არ იყო ეს სიმართლე. მაგრამ ფაქტი მახსოვს, რომ ღამე გაგვალვიძეს ამ რუპორში ჩხავილით.

სანამ გამსახურდია წააგებდა და გაიქცეოდა, სახელმწიფო ტელევიზიის ნარატივი მახსოვს, რომ იყო აბსოლუტურად პროზვიადისტური და მერე, როდესაც ზვიადი წავიდა და, შესაბამისად, სხვა მთავრობა მოვიდა, სახელმწიფო ტელევიზიის ნარატივი 180 გრადუსით შეიცვალა. რადიკალურად საპირისპირო რალაცეებს ლაპარაკობდნენ და ეგ იყო კიდევ ძალიან გამოგნებელი: რანაირად შეიძლება, რომ დღეს ილაპარაკო ასე და ხვალ ილაპარაკო ისე, აბსოლუტურად საპირისპიროდ და თითქოს არაფერი, რა მოხდა მერე? დავით სოკოლოვი იყო, რომელიც ზვიადისტების რუპორი იყო, ასე ვთქვათ, იმ მთავრობის ანუ და მეორე იყო ვილაცა ახალგაზრდა გოგო, მაკა სახელად, აღარ მახსოვს გვარი. რა თქმა უნდა, სოკოლოვი აღარ გააჭაჭანეს, მაგრამ იყო ეს ახალგაზრდა გოგო მაკა, რომელიც რადიკალურად განსხვავებულ რალაცეებს ლაპარაკობდა იმისგან, რასაც გუშინ სოკოლოვისგან ვისმენდით. ესეც ძალიან დასამახსოვრებელი იყო, რომელიც ჩამრჩა, რომ, თურმე, ასეც შეიძლება.

მახსოვს კიდევ, როგორ ბჭობდნენ, კი არა და, პრინციპში, დიდი ბჭობა არც ყოფილა, ერთმა-ორმა დასვა შეკითხვა, უნდა გავხდეთ თუ არა ესენგეს წევრები. ეს როდესაც უკვე შევარდნაძე იყო და აფხაზეთი დაკარგული იყო ფაქტობრივად. არგუმენტად მოყავდათ, რომ თუ ჩვენ ესენგეში შევალთ, მაშინ აფხაზეთს შევინარჩუნებთ. მახსოვს, ეს რიტორიკა იყო მაშინ. და მახსოვს საკუთარი თავი, რომ ვფიქრობდი, კი, თუ ეს რალაცნაირად იმას შეუნობს ხელს, რომ აღარ დავკარგოთ აფხაზეთი, ან შემოვირიგოთ, ან ამ ადამიანებთან დიალოგის საშუალება გაჩნდეს, მაშინ თანახმა ვარ, რომ საქართველო შევიდეს ესენგეში. მერე მივხვდი, რომ თურმე რუსეთთან შეუძლებელია ნებისმიერი სახის დიალოგი და რაც უფრო მეტს დათმობ, მით უფრო მეტი მოუნდება.

ყველასგან მიღებული და გამართლებული იყო, თუ 14-15 წლისა გათხოვდებოდა გოგო, რადგან „პატრონს ჩაბარდა ბავშვი“. მე მახსოვს მაგ პერიოდიდან ისიც, რომ ძა-

ლიან მოდაში იყვნენ ეგრეთ წოდებული „ძველი ბიჭები,“ იარაღით რომ დარბოდნენ და დახტოდნენ და ერთი პერიოდი ძალიან მოდაში იყო ხელჯოხიანი ბიჭები. ბიჭს, ზოგიერთს, ხანდახან ხელჯოხი ეჭირა სპეციალურად იმიტომ, რომ ეთქვა, რომ „დამჭრეს“, ან „ვიჩხუბე“, ეს იყო მოდაში და გოგოებს ძალიან მოსწონდათ ასეთი ბიჭები. [...] რომც არ დასჭირებოდათ ის ხელჯოხი, მაინც ხანდახან ხელჯოხით დადიოდნენ იმიტომ, რომ ყველას ენახა, რომ ჩხუბში იყო, დაჭრეს. ჩემი იმდენი მეზობელი... იმდენი კარგი გოგო, აი, ნამდვილად კარგი გოგო გაყვა ასეთ გაუგებარ, გაუგებარი ცხოვრებით რომ ცხოვრობდა და ბანდის წევრი იყო და სულ რომ ვილაცასთან საქმის გარჩევები ჰქონდა, ისეთ ბიჭს. იმდენი გოგო გათხოვდა ჩემ ირგვლივ მაგ პერიოდში, თუნდაც ჩემი სამეზობლოდან, ჩემი სკოლიდან... ვიტყვოდი, რომ თუ მზად იყავი, თუ მოინდომებდი, მაგის პრობლემა არ იყო, თუ არ მოინდომებდი, არც მაშინ იყო მაგის პრობლემა. უბრალოდ, მაქსიმალურად შორს უნდა დაგეჭირა თავი, რაც საბოლოო ჯამში ჩემი სტრატეგია გახდა. იმდენად შორს მეჭირა ყველასგან და ყველაფრისგან თავი, რომ აი... „მე თავი გამანებეთ, მე არა. მე არც თქვენთან ურთიერთობა მინდა, არც გამარჯობის თქმა და არაფერი საერთოდ, თავი გამანებეთ“ (იციინის). ასეთ შემთხვევაში კი, განებებდნენ თავს და რალაცნაირად გადარჩებოდი, მარა როგორც კი რალაცა... აი, როგორც კი ერთი საღამო, სიტყვაზე, ეზოში გაჩერდებოდი იმ დანარჩენებთან, როგორც კი ვილაცას გაუღიმებდი, დამთავრებული ამბავი იყო... ასე მეგონა მაშინ, ყოველი შემთხვევისთვის.

[...] ვცდილობ დავივიწყო, მთელი ძალებით ვცდილობ დავივიწყო ეს პერიოდი, მაგრამ ჯერჯერობით არ გამომდის. სხვათა შორის, 9 აპრილი, ასე ვთქვათ, ერთგვარი ტრავმა იყო ჩემთვის, რომელიც გადავლახე მაშინ, როდესაც ვწერდი 9 აპრილზე ესეს. იმან, რომ უფრო ჩავუღრმავდი და რალაცეები წავიკითხე, საბოლოო ჯამში რალაცნაირად გადავალახინა ის უცნაური გრძნობა, რომელიც 9 აპრილთან დაკავშირებით მქონდა. მე ყველა ვარიანტში მომხრე ვარ იმის, რომ კი არ უნდა დაივიწყო, უნდა ილაპარაკო, რომელიც მერე საბოლოო ჯამში, გადავალახინებს ყველა ტრავმას, თუკი რამე არის შემორჩენილი.

## ხალ

### ხათუნა დარასელია, 48 წლის, ფილოლოგი, ზუგდიდი ჩანერხილია 12.06.2020

ვიწყებთ იმ პერიოდიდან, როდესაც [ზვიად გამსახურდია] სრულიად მოულოდნელად ჩამოვიდა ზუგდიდში.

რა ხდებოდა ზუგდიდში, როდესაც პრეზიდენტი თავისი ამალით წავიდა, დატოვა საქართველო? თითქოს გაყოფილი იყო აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, სამწუხაროდ, და აქ მიდიოდა განუწყვეტლივ მიტინგები. ჩვენი მთავარი, ცენტრალური მოედანი ყოველდღიურად იყო გადავსებული. გახსოვთ ალბათ, მე ზუსტად რიცხვებით არ მახსოვს, თარიღებით, მაგრამ როდესაც გავრცელდა ხმები, რომ სომხეთმა არ მიიღო და სანამ ჩეჩნეთში უკვე ოფიციალურად დადასტურდებოდა, რომ ჩავიდნენ, რალაც გაურკვეველი პერიოდი იყო რამდენიმე დღე. ამ პერიოდში ძალიან აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ პრეზიდენტი ზუგდიდში ჩამოვა, აქ არის სადღაც, ჩვენს შორიხლოს და ძალიან დიდი მიტინგები იმართებოდა დაუმორჩილებლობის. აქ არ ყოფილა ის შემთხვევა,

რომ დახვრეტა ყოფილიყო ვინმესი, ისე, როგორც ხდებოდა ეს თბილისში - გვახსოვს 2 თებერვლის დახვრეტა, ეს იყო ყველაზე დიდი, მაშინ ჩვენ ტელევიზიით ვნახეთ ეს, მე მგონი. ის ხალხი, რომლებსაც არ ჰქონდათ თბილისში მუშაობის საშუალება, რაღაცა გზებით გადმოვიდნენ აქეთ, ამ ტერიტორიაზე. წარმოიდგინეთ, როგორ იყო დაყოფილი თითქოს საქართველო – იქითა მხარე, აღმოსავლეთი და იმ ხელისუფლების მომხრეები, ხუნტის მომხრეები, უფრო სწორად და კანონიერი ხელისუფლების მომხრეები დასავლეთ საქართველოში. მერე ნელ-ნელა ამოქმედდა აქაური ტელევიზია. ახლა ზუსტად დროში, მართალი გითხრათ, ვერ ვიხსენებ, მაგრამ ის, რაც მახსენდება და რაც გონებაში ჩამრჩა, რომ აქ იყო ეს ტელევიზია, ჩვენ რაღაც კადრებს ვღებულობდით, ინფორმაციებს, რომ პერიოდულად ხდებოდა ძალადობა მომიტინგეებზე. მაგრამ შუქის პრობლემა უკვე იყო აქ, თუ სწორად მახსოვს, და პერიოდულად შუქიც არ მოგვეპოვებოდა, მაგრამ ერთმანეთს აწვდიდნენ ინფორმაციას.

მე მახსოვს – ჩვენ ხომ კერძო სახლები გვაქვს - აქ, ეზოდან რომ გავიხედავდი, როგორ მიდიოდნენ ადამიანები მიტინგზე. ერთმანეთს გადასძახებდნენ მეზობლები, წავედით აბა ყველა, დღეს რაღაც უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი, რაღაცას გვეტყვიანო. მე, მართალი გითხრათ, მაშინ ამ მიტინგებზე არა ვარ წამყოფი, აქ რაც იმართებოდა. [...] როდესაც გავრცელდა ხმა, რომ ჩამოვიდა (ეს უკვე იყო ჩეჩნეთში ცხოვრების პერიოდი), მაშინაც გავიფიქრე – რამდენჯერ ყოფილა-მეთქი, რომ ამბობდნენ, რომ ზვიადი ჩამოვიდა და ხალხს მეტ-ნაკლებად მაინც არ სჯეროდა. იმ დღეს რა მოხდა? განა სოციალური ქსელი არსებობდა? როგორ მოხდა, რომ ყველამ ერთბაშად დაიჯერა? ნამებში გადაივსო ზუგდიდის მოედანი იმ 24 სექტემბერს. მე ეს 24 სექტემბერი იმიტომ მახსოვს, რომ ჩემი პატარა ძმისშვილი საავადმყოფოში გვყავდა, ის მოედანთან არის ძალიან ახლოს და მე იქედან მოვედი. ძალიან პატარა მანძილი იყო და რომ გავიგე, აი, იქედან მოვედი და უკვე გადავსებული იყო მთელი მოედანი. იმდენად შორს ვიდექი ტრიბუნიდან, რომ, რა თქმა უნდა, ვერ დავინახე პრეზიდენტი, მაგრამ ხმა ისმოდა. [...] ეს იყო სპონტანური, უეცარი შეკრება ხალხის. მეორე დღისთვის დააანონსეს ისევ მიტინგი, გავედით ჩვენ ისევ და ბევრად უფრო მეტი ხალხი იყო მეორე დღესაც. აქ უკვე ვეცადეთ, რომ როგორღაც ტრიბუნასთან ახლოს მოვხვედრილიყავით. მე მარტო არ ვიყავი, იყვნენ ჩემი ახლობლები და ერთად წავედით. მახსოვს, როგორ დავინახე პრეზიდენტი. დააანონსეს, რომ თითქმის ყოველდღე იქნებოდა რაღაც საინფორმაციო შეხვედრები, მაგრამ პირველი დღე იყო ყველაზე შთამბეჭდავი. მაშინ, გახსოვთ, რამე ისეთი რომ ხდებოდა – მნიშვნელოვანი, სასიხარულო, თუნდაც იგივე ახალი წლები – ავტომატების კაკანი ისმოდა ყველგან. და აი ეს მანათობელი ტყვიები მახსოვს ძალიან ცუდად, საშინლად მახსოვს ეს მანათობელი ტყვიები. იმ დღეს იყო ძალიან ბევრი სროლა ირგვლივ, სიხარულის ნიშნად. მაგრამ მერე და მერე უკვე, როდესაც მხედრონი ხელახლა შემოვიდა, ასე ვთქვათ, უკვე დასარბევად, მაშინ ეს იყო ყოველდღიური მოვლენა და დღეც, ღამეც ჩვენ ვხედავდით ამ მანათობელ ტყვიებს. დღე ნაკლებად ჩანდა შედარებით, მაგრამ ღამე ეს ყველაფერი ძალიან ნათლად ჩანდა.

მოკლედ, ჩამოვიდნენ. ისევ ეს ტელევიზია არის ჩართული, „სამეგრელო“ ერქვა, მაშინ ადმინისტრაციულის შენობა იყო, ახლა სადაც მე ვმუშაობ, სადაც არის გამგეობა და მერიის შენობა. იმ შენობაზე ახლაც არის დაფა, რომ ამ შენობაში მოღვაწეობდა ზვიად გამსახურდია. ამ შენობაში ასევე იყო იმ დროს ტელევიზია, აქედან ხდებოდა ყველა ინფორმაციის მოწოდება ჩვენთვის. ეს პატარა, რაღაც სახელდახელოდ მოწყო-



ბილი სტუდია იყო, თუ სწორად მახსოვს, სოკოლოვი იყო აქ ჩამოსული. ეს სოკოლოვი ისეთი სახე იყო სატელევიზიო, რომ ყველას გვახსოვდა, ყველამ ვიცოდით, ვინ იყო. ინფორმაციებს გვანვდიდნენ პერიოდულად. ეს ხდებოდა სექტემბრის თვეში. ძალიან ცივი სექტემბერი იყო მაშინ, ძალიან ცუდად მახსოვს ეს სექტემბერი, მაგრამ მერე, ოქტომბრის თვეში, ცოტა დათბა და ამიტომ სალამობით, ნაშუადღევს, უფრო ვახერხებდით, რომ გავსულიყავით. სადაც ახლა მერია არის და მაშინ ადმინისტრაციული შენობა იყო, მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის გადაღმა არის მუსიკალური სკოლის შენობა. მთელი ზუგდიდის ბავშვები დადიოდნენ მუსიკალურ სკოლაში. ეს მუსიკალური მემშობლიურებოდა მაინც და ამ მხარეს ვდგებოდი. მახსოვს, რომ ზოგჯერ უბრალოდ მაინტერესებდა, მოვიდნენ, არ მოვიდნენ, წავიდნენ, რა ხდებოდა. დიდი ხნით არ მივდიოდი. მახსოვს, რომ რამდენჯერმე გავედით იმისთვის, მეგობრებთან ერთად, რომ გვენახა პრეზიდენტი და ზუსტად ეს დაემთხვა იმას, როდესაც იყო სამხედრო ფორმით. ძალიან კარგად მახსოვს – იმიტომ, რომ იმდენად დიდი რაოდენობით ხალხი არ იყო – როგორ გაჩერდა მანქანა, როგორ გადმოვიდა და ასევე უცებ შემოეხვივნენ, მხედველობისთვის უცებ დაიფარა და შევიდა შენობაში. რაკი იქ ინფორმაციებს არ გვანვდიდნენ, გარეთ დგომას აზრი არ ჰქონდა და ისევ წამოვედით. აი, ასე, თითქოს ქალაქში ვსეირნობდით, დადიანებიდან ბულვარისკენ, მერე ამ შენობასაც ჩავუვლიდით, ცოტა ხანი დავრჩებოდით და ისევ მოვდიოდით სახლში.

შემდეგ დაიწყო ნელ-ნელა, ინფორმაცია უკვე გვქონდა ტელევიზიით, რომ ნელ-ნელა უკვე მოიწვედნენ სამეგრელოსკენ. ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარი. მაშინ გვქონდა ჩვენ სახლის ტელეფონები; ძირითადად, მეზობლებთან, ნათესავებთან ვიკრიბებოდით - ხან ერთთან, ხან მეორესთან და მხოლოდ ამ ტელეფონით, ჩვენი სახლის ტელეფონებით გვქონდა ერთმანეთთან ურთიერთობა.

ისეთი დღე იყო, სტუმრად ვიყავით, სტუმრად კი არა, რაღაც აუცილებლობის გამო მე და დედა ვიყავით ქალაქის მეორე ბოლოში. ტრანსპორტი ჭირდა და ჩვენ მოვდიოდით ფეხით. უკვე მოსალამოვდა. ხომ იცით, აქ, ზუგდიდში, ყველა ერთმანეთის ნათესავია, ყველა ერთმანეთის ახლობელია, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. მანქანები იშვიათად მოძრაობდნენ და უცებ ვხედავ: ჩვენ მოვდივართ ტროტუარზე, ცენტრალური ქუჩაა და მოდის მანქანა, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, იმიტომ რომ მსუბუქი მანქანისთვის ძალიან გადავსებული მეჩვენა ხალხით და სრულიად რაღაცა ისეთი ჩაბნელებული სამხედრო ფორმებით, რაღაც თავნაკრულები, რაღაც უსიამოვნო შეგრძნება დამრჩა. დედაჩემმა თქვა, რომ თუ რამეო, აქ შევიდეთო, ჩვენი ახლობლის ჭიშკართან უნდა გაგვევლო ზუსტად მაშინ. ჩაიარა მანქანამ. არ მინდოდა, რომ მეტისმეტად ყურადღება მიგვექცია. აი, ხომ გეუბნებით, აბსოლუტურად ინტუიტიურად, იმიტომ რომ არანაირად წარმოდგენა არ გვქონდა, რა იყო ეს მანქანა ან რატომ შეგვეშინდა, იმიტომ რომ რაღაცა იყო ამ მანქანაში ისეთი, რაც გვაშინებდა. ჩაიარა ამ მანქანამ, უკან საბარგული არის ახსნილი, იქაც კი რამდენიმე ადამიანი - აი, თვალწინ მიდგას დღესაც კი - რამდენიმე ადამიანი ერთად არის ამ საბარგულში, ფეხები აქეთ გადმოყოფილი, ნიღბები არ ეკეთათ, წვერებით, თავზე ნაკრული ბენდენებით და ავტომატებით, აი, კბილებამდე შეიარაღებული - ჩემს ასოციაციაში ზუსტად ესე ჩარჩა. როგორც კი მივიხედე და დავინახე, აი, წამით დავინახე, ეგრევე შემოვბრუნდი, რომ იქით წავსულიყავი, სადაც ჩვენი უახლოესი ნათესავის სახლი გვევლებოდა. მაგრამ ეს მანქანა ძალიან ჩქარა გაგვეცალა და წავიდა სხვა მიმართულებით, ჩვენ გავაგრძელეთ სახლისკენ სვლა. აი, ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა. ჩვენ ხომ არ ვიცოდით, მოვდიოდით ფეხით, მობილური ჩვენ არ გვქონდა, ვერავინ გაგ-

გაფრთხილებდა. უკვე შემოვიდა ქალაქში ეს რაზმები, ჯარი, რა ვიცი, როგორც ერქვა. ჩვენ ვეცადეთ და ძალიან სწრაფად მივედით, იქედან უკვე 5 წუთიც არ იყო ჩვენს სახლამდე სავალი.

სახლში როცა მივედით, გავიგეთ მეზობლებისგან, რომ უკვე შემოვიდნენ, რომ ტელევიზიაც უკვე გადმოსცემდა ამას. ყველაზე პირველი, რაც გავიგეთ - იმ დღეს, შემოსვლისას, დახვრიტეს ერთი ბიჭი კინოთეატრის წინ. მაშინ გავიგე თუ არა მისი სახელი, ვერ გეტყვით, შემდეგ გავიგე, ეს იყო გოჩა ჯიქია, პირველი მსხვერპლი მათი, როდესაც ქალაქში შემოვიდნენ. დედის თვალწინ დახვრიტეს. ეს იყო არქიტექტორი. მე არ ვიცნობდი, ჩემზე ბევრად უფროსი იყო. შემდეგ ფოტოებიც ვნახე, მაგრამ მანამდე მას არ ვიცნობდი. მთელი ქალაქი პატივს სცემდა, აი, ასეთი ადამიანი [დახვრიტეს] აბსოლუტურად არაფრის გულისთვის, უბრალოდ, როგორც მაშინ ამბობდნენ, არ მოეწონათ, რომ ის თამამად იდგა ქუჩაში და ამის გამო ესროლეს. შემდეგ უკვე დაიწყო ღამე სროლები.

მეორე თუ მესამე დღეა მათი შემოსვლიდან. ჩვენს ქუჩაზე, სამეზობლოში, როგორც გითხარით, ვიკრიბებოდით და რალაც სროლის ხმა მოისმა. ყველა უკანა ოთახში გაგვიყვანა სახლის პატრონმა და გვითხრა, ყველანი აქ იყავით, არავინ არ გამოხვიდეთო, იმიტომ რომ ეს სროლის ხმა გვიახლოვდებოდა. როდესაც ჩაიარა ჩემი მეზობლის ჭიშკართან, მახსოვს, რომ კარი გამოვალე და გავიხედე. მიდიოდა მანქანა, რომელსაც ორივე მხრიდან ავტომატები ჰქონდა გამოყოფილი, ყველა მხრიდან, მძღოლის გარდა, შესაძლოა მძღოლიც, ყველა ისროდა გაურკვეველი მიმართულებით. როგორც ჩანს, მაშინ ჩემს სახლსაც მოხვდა ტყვია და ძალიან ბევრს, იმიტომ რომ შემდეგ უკვე, წვიმის დროს, წყალმა რომ გაჟონა, მაშინ თქვეს, რომ ნატყვიარები აქვს სახლის სახურავსო.

ახლა წარმოიდგინეთ, როგორ მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ, როდესაც სრულიად მოულოდნელად შეიძლება მანქანა წამოვიდეს და ნებისმიერი მანქანის ხმაზე უკვე ეს რეაქცია გვექონდა, იმიტომ რომ არავის მანქანა არ დადიოდა, ყველა მანქანა იყო უკვე სახლში დაყენებული. ვერავინ ბედავდა, ამბობდნენ, რომ მანქანები გაჰყავთ, ძარცვავენ ქალაქს, სახლებში შედიან, რალაც ნივთები გააქვთ, ნიღბებით შედიან, გააქვთ რალაც ძვირფასეულობა და ასე შემდეგ.

შემდეგი დღის ამბავი მინდა ასევე მოვყვე. ზუსტად ამ ჩემი მეზობლის სახლში ვართ შეკრებილი, ჯერ კიდევ ვერ ვბედავთ გამოსვლას გარეთ და მეზობლის შვილი, ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა და თქვა, ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ზუგდიდელი ადამიანი დაასახელა და თქვა, რომ მისი შვილი მოკლეს. ეს იყო მამაჩემის მამიდაშვილი და მე აქ, ამათ სახლში გავიგე, რომ მამაჩემის მამიდაშვილის შვილი მოკლეს. ეს ახალგაზრდა კაცი იყო, სადღაც ესე 45-46 წლის. მახსოვს, რომ ძალიან სწრაფად გამოვიქეცი სახლში, რომ დედაჩემისთვის მეთქვა ეს ამბავი. ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გოჩა ჯიქიას შემდეგ, ჩვენ რაც გავიგეთ, იყო სწორედ ეს ჩვენი ახლობელი ადამიანი. იმ დღეებში დაიწყო პანაშვიდები. მეორე დღეა, ან მესამე. დილას ადრე არ ავმდგარვარ, მაგრამ დილა იყო. დედაჩემი შემოდის ჩემს ოთახში და მეუბნება, რომ ჩვენ გვერდით სახლში შევიდნენ. ნიღბებით არიან მოსულელები და შენ არ ადგე, გარეთ არ გახვიდეო, დედაჩემი კანკალებს. ვაიმე, რა მოხდა? გავიგონე მანქანის ხმა, მაგრამ არ მიფიქრია, რომ ახლა მაინცდამაინც ჩვენ გვერდით სახლში იყვნენ შესულები. მამაჩემის მეორე მამიდაშვილის სახლი იყო ჩემ წინ, უკანა ქუჩაზე კიდევ ბებიაჩემის და ბიძაჩემის სახლი, ანუ ახლობლები ვცხოვრობთ ამ უბანში. თან ეს ასაკოვანი ქალი, ვინც ცხოვრობდა ამ სახლში, იყო სახლში მარტო იმ მომენტისთვის. მისი შვილები, ყველა, თბილისში ცხოვრობდნენ. მეუღლე იყო სწორედ იმ პანაშვიდზე, სადაც დილიდან მიდიოდნენ ხოლმე, ადრე. უკვე წასული ყოფილა მე-

უღლე და თვითონ ეს ქალბატონი იყო სახლში მარტო. აქაც შევიდნენ. ერთ-ერთი ჩემი მეზობლის მეუღლემ, ახალგაზრდა ქალია, ნახა, რომ ამ ჭიშკართან გაჩერდა მანქანა, გადმოვიდნენ, ყველამ დაინახა სახლებიდან, ფანჯრებიდან. კერძო სახლებია, მაგრამ ძალიან ახლოს ვცხოვრობთ ერთმანეთთან და, რომ დაინახა, უკანა ქუჩით, მეზობელი ქუჩით, მარტო ჩვენთვის ნაცნობი ბილიკებით, ასე ვთქვათ, ეზოებით, სახლებით მოახერხა, რომ მისულიყო იმათ სახლში, სადაც იყო პანაშვიდი. იქ მივიდა და ამ კაცს, ვის სახლშიც შევიდნენ, უთხრა, რომ თქვენს სახლში შევიდნენო. მასთან ერთად წამოვიდნენ სხვებიც; სხვათა შორის, როგორ მახსოვს, გავიგონე შვილმკვდარი მამის ხმაც, ისიც მოდიოდა, რომ ენახათ, აქ რა ხდებოდა. მერე იქ დაელაპარაკნენ, რა ვიცი ახლა, იქ რა ნივთები სთხოვეს, რომ გამოეთანათ, ასე დეტალურად არ მახსოვს, მაგრამ ის ქალი ყოველთვის იხსენებდა შემდეგ, რომ სამზარეულოში ვიყავიო, რალაცას ვაკეთებდით, უცებ კარი გაიღო და ნიღბიანები შემოვიდნენ ჩემს სახლში ავტომატებით, ამხელა ბიჭები – თვითონ დაბალი ქალი იყო და – ამხელა ბიჭებიო, ყოველთვის ხაზგასმით ამბობდა. როგორი სტრესი იყო მისთვის! არ ვიცი როგორ ჩაერია, ვინ ჩაერია, უფრო სწორად, შეიძლება ვიცი კიდეც, ვინ ჩაერია და როგორ ჩაერია, იმ პანაშვიდზე ხალხის მისვლა რომ არ ყოფილიყო პრობლემა. გითხარით, რომ საკმაოდ ისეთი თანამდებობის პირი იყო ის ადამიანი, ქალაქის კოლორიტი, ყველას რომ უყვარდა. მოახერხეს, მოკლედ, რომ არ იყო შეზღუდული პანაშვიდზე ხალხის მისვლა და ჩვენ დავდიოდით.

აი, ასეთი დღეები მახსოვს ძალიან ცუდად. ჰო, პარალელურად, ჩვენ არ ვიცით, სად არის პრეზიდენტი. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქში არ არის, მაგრამ სად არის, არავინ იცის. ზოგი ამბობს, რომ უკვე ბათუმშია და წავიდნენ, დატოვეს საქართველო, ისევ გროზნოსკენ წავიდნენ. ბევრი სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი ხმაა, მაგრამ არავინ იცის, სად არის. როდესაც გართულდა სიტუაცია და უფრო და უფრო დაიძაბა - ეს მუდმივი სროლები ღამლამობით, ეს სახლების დაყარალება პირდაპირი მნიშვნელობით და ასე შემდეგ, მაშინ ვთქვით, რომ ჩვენი ძალიან ახლობლები ცხოვრობდნენ სოფელში, რომელსაც ეძახიან ჯაღრას. ეს არის წალენჯიხის, ობუჯის ერთ-ერთი უბანი (ობუჯი – ეს არის სოფელი, სადაც ლეო ქიაჩელი ცხოვრობდა, იქ ცხოვრობდნენ ჩემი ბებია და ბაბუა). ეს სოფელი მთიანია, მთაგორიანი და იქ ცხოვრობდნენ ასევე დედაჩემის დეიდაშვილები, დედაჩემის დეიდა და მათი შვილები. ჩვენ ბავშვობაში ძალიან ხშირად იქ ვატარებდით ზაფხულს, ძალიან გვიყვარდა იქ ყოფნა. მაშინ ვთქვი, რომ წავიდეო, რა იქნება-მეთქი. ჩემი მშობლები სახლს არ ტოვებდნენ. მაშინ ვთქვი, აი, მახსოვს, რომ ნეტა სოფელში ვიყოთ-მეთქი, ჯაღრაში, და ნეტა პრეზიდენტიც აქ იყოს-თქო. დედაჩემმა მითხრა, ვაიმე, რას ამბობო, როგორ შეიძლებაო, კიდე ჩაკეტილში კი არა, პირიქით, ნეტა გასული იყოს საქართველოდან, ეგ არ ჯობია, რეებს ლაპარაკობო. ისე მოხდა, რომ სწორედ ეს ჩვენი ნათესავი, რომელიც იქ ცხოვრობდა, იმ სახლში - ანზორი ჰქვია - მოვიდა მანქანით ჩვენთან და გვითხრა, წამოდით ჩვენთან სოფელში, ცოტა ხანი მაინც გაერიდეთო. რა თქმა უნდა, მამამ და დედამ უარი უთხრეს, მაგრამ მე წავედი. თან წავედი იმიტომ, რომ იქ ყოველთვის მიხაროდა ჩასვლა, ბავშვობაშიც. ერთი მნიშვნელოვანი დეტალია. არ ვიცი, ინტუიცია იყო, რა იყო, ავიღე წიგნი „საქართველოს სულიერი მისსია“, რომელიც მქონდა სახლში, ზუსტად აი აქ, წიგნების თაროზე იღო ეს წიგნი, და ასევე ფოტო ზუგდიდის, ოღონდ არა ახლანდელ მიტინგზე, ეს იყო 89 წელს, როდესაც პირველი შეტაკება მოხდა აფხაზეთში და მაშინ ჩამოვიდნენ ჯერ კიდეც არაფორმალური ლიდერები, როგორც მათ ეძახდნენ, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მაშინდელი გადაღებული ფოტო მქონდა, ჩემმა მეზობელმა გადაუღო. მაშინ ხომ არ იყო ტელეფონები,

ფოტოაპარატებიც სულ რამდენიმე ადამიანს ჰქონდა და მან, მეზობელმა გადაუღო და ერთი სურათი მომცა. ამ წიგნში ჩავდე ეს ფოტოც და ეს ჩემი ბარგი რომ ჩავალაგე, ამ ჩანთაში ჩავდე ეს წიგნიც და წავედი სოფელში. რატომ მიმქონდა არ ვიცი. ახლა რომ ვფიქრობ, ჩვენ გვექონდა მოლოდინი, რომ ყველა სახლში შევიდოდნენ აქ, ყველა სახლს დაარბევდნენ, ეტყობა ეს მოლოდინი მქონდა, რომ თუკი აქ შემოვლენ-მეთქი, ეს რომ დაინახონ, ეს წიგნები, ალბათ დაწვავენ-მეთქი, და ამიტომ ეს წიგნი ავიღე და წავიღე. სხვა წიგნებსაც თუ დაწვავდნენ, ეტყობა ამის მოლოდინი არ მქონდა. წავედით იმ დღეს და საკმაოდ დიდხანს დავრჩი იქ, ეს ხდება სადღაც ნოემბრის... როცა უკვე ეს ბიჭი დაკრძალეს, მაგის შემდეგ მოხდა ეს და ნოემბრის ბოლო იყო... შვიდში გარდაიცვალა ის ბიჭი, დაკრძალეს ალბათ სადღაც, რა ვიცი, 5-6 დღეში და შემდეგ წავედი, მთავარი მოვლენები ხდება უკვე შემდეგ.

ეს არის დეკემბრის თვე, დეკემბრის დასაწყისი, დაახლოებით ასე ოცი დღეა, ალბათ, სოფელში ვარ უკვე და არაფერი არ ვიცოდი ჩემებზე. მაგრამ, რა ვიცი, მაშინ ეს არ გვიქმნიდა დისკომფორტს, არ ვიცი. პერიოდულად მაინც - ეს ტელეფონები რომ არ გვექონდა და ერთმანეთს ვერ ვუკავშირდებოდით - მაინც ახერხებდა ეს ადამიანი, ანზორი, რომელიც ვახსენე და აწი კიდევ ხშირად ვახსენებ, ზუგდიდში ჩამოსვლას და მოჰქონდა ამბავი ჩემთან ჩემი მშობლების შესახებ. ერთხელ ისე მოხდა, რომ გავიდა და სალამოს არ დაბრუნდა. სალამომდე ცდილობდა ხოლმე ყველა, რომ სახლში დაბრუნებულიყო და სალამოს არ დაბრუნდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევშფოთდით. ანზორი და მისი მეუღლე ცხოვრობენ ამ სახლში და მათი შვილები. არ არის არც ერთი, სამი შვილი ჰყავს და არც ერთი არ არის სახლში, ანუ ის ორი და მე ვართ მარტო. მანამდე მათ ჰყავდათ აფხაზეთიდან დევნილები, მათი ნათესავეები, ქალიშვილის ოჯახი, სოხუმში იყო გათხოვილი და მათი ნათესავეები ჰყავდათ. ისინი წავიდნენ, გაემგზავრნენ სადღაც, ალბათ თბილისში, თუ ესენიც მოსკოვში წავიდნენ, არ ვიცი. და ჩვენ ვართ სახლში მარტო. ანზორის დედა, უკვე 80 წლის ქალბატონი არის, ცხოვრობს მეორე სახლში, ანზორის ძმასთან და მის ოჯახთან ერთად. მათ სახლებს შორის კიდევ ერთი სახლი დგას, მეზობლის და, რალაცნაირად, თითქოს ერთი პატარა კუთხე გვაქვს აქ. მაღალი ადგილია, ამათი სახლიდან მთელი სოფელი ჩანს. რალაც ისეთი ცენტრალური ადგილი იყო თითქოს და ძალიან მაღალი. სოფელში არის ხოლმე, ალბათ, მიგიქცევით ყურადღება, რომ აი ისეთი სახლი არის და მერე ცალკე აქვთ კიდევ პატარა სახლები, სადაც უფრო მოხერხებულად არიან და ცხოვრობენ, ან იქ სადილობენ, ან შეიძლება ამ სახლშიც, მაგრამ აქ უფრო მაინც სტუმრებისთვის აქვთ ერთი ნაწილი სახლის. მოკლედ, ჩვენ უფრო მყუდროდ ვგრძნობთ თავს ამ მეორე პატარა სახლში, აქა ვართ. ღამე რომ არ მოვიდა, ძალიან შეგვემინდა, ჩვენ ორი ქალი დავრჩით სახლში. ბიცოლაჩემი, რომელსაც რატომღაც დეიდას ვეძახი, ეს დეიდა და მე ვართ სახლში. ისეთი რთული დრო არის, ყველას გვეშინია. ვაიმე, რა მოხდა? მაგრამ ანზორი საერთოდ ისეთი ადამიანია, რომ ყველა იცნობდა, ყველგან საახლობლო, სამეგობრო ჰყავდა და ალბათ სადღაც დარჩა. მეორე დღეა და შფოთშია დედამისიც, რა თქმა უნდა, რომელიც არაერთხელ მოვიდა სახლში და კითხულობს, მისი შვილი დაბრუნდა თუ არა. და მოვიდა ცხენით, მოვიდა ძალიან ჩუმად, ადრე რომ ახასიათებდა ხოლმე ხმაურით და რიხით მოსვლა, ისე არა. მე რალაცას ვკითხულობდი, მახსოვს და არ მივაქციე ყურადღება, იმიტომ რომ თავის ცოლს დაუძახა და გავიდნენ. მესმის, რომ რალაცას საუბრობენ ჩუმად, ისე, რომ მე არ გავიგონო. ამან ცოტა შემაშინა და იცით რატომ? იმიტომ, რომ კიდევ რამე ამბავი ხომ არ მოხდა ზუგდიდში, რამე ცუდი ხომ არ მოხდა და რამეს ხომ არ მიმაღავენ. რომ მივედი და ვკითხე, არ მეუბნებოდნენ თავიდან. მერე

უკვე ცოტა მოვიდა [ანზორი] ხასიათზე, დეიდაც ძალიან შეშფოთებულია, თვითონაც, რალაც არეული სახეები ჰქონდათ და მერე, ბოლოს, რომ მიხვდა, რომ მე სერიოზულად შემეშინდა და უკვე ვფიქრობ, რომ ჩემებს შეემთხვათ რამე, თქვა, რომ... გაიცინა და, ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო, ზუგდიდში ვერ ნახე პრეზიდენტი, მაგრამ აგერ მოგიყვან და განახებო. აი, ეს იყო ფრაზა, რომელიც იყო სრულიად მოულოდნელი და დაუჯერებელი. მაშინ იმდენად შეშინებული ვიყავი იმის გამო, თუ რა ხდებოდა და რის გამო იყო ეს ჩურჩული და გასაიდუმლოებული შეხვედრა, ცოტა ხანი ვერ მოვედი აზრზე და რას ამბობ-მეთქი. ხოდა, კარგად არის შენებო, ნუ გეშინია, ვიყავი ზუგდიდშიცო, კარგად არიანო შენებიცო და აი, ახლა მოგიყვან პრეზიდენტსო. თავიდან, მართალი გითხრათ, მე მგონი ცოტა ხუმრობად ჩავთვალე, იმისთვის, რომ მე კარგ ხასიათზე დავეყენებინე, მაგრამ მერე, როდესაც თვითონ უკვე ეზოს საქმეებზე გავიდა გარეთ და მე და დეიდა დავრჩით სახლში, ჩავეკითხე, მართლა ასეა-თქო? რა თქმა უნდა, ასე არისო და რას აპირებს ეს კაციო. თვითონ ახლა ამაზეა შეშფოთებული, რომ მართლა მოიყვანს აქო? ამბობსო, რომ მართლა მოვიყვანო და რას აპირებს, ვერ მივხვდიო. ეს ჩვენი სახლიო, ისეთ ადგილას არის, რომ ყველაფერი ჩანს ირგვლივო, და აქ ამდენი კაცი როგორ უნდა მოვიყვანოთო. აი, ამაზე იყო შეშფოთებული. რამდენი იქნებიან-მეთქი და რვა კაციო.

მოკლედ, რა მოხდა: გასვენებაში ყოფილა, ვილაცის გასვენებაში მეზობელ სოფელში, ჩემი ბიძა ანზორი და იქ მიუახლოვდა თურმე ვილაცა ადამიანი, უცნობი, და სიგარეტი სთხოვა. მიანოდა სიგარეტი და ასანთის კოლოფი გამოუწოდა იმ ადამიანმა, ხელი ჩამოართვა, ასანთის კოლოფი დააკავებინა და უთხრა, გამომართვიო, რალაც საიდუმლო ხმით, თითქოს ნიშანი იყო. მოკლედ, ასე დაელაპარაკენ ერთმანეთს. ეს არ იცნობდა, როგორც თქვა თვითონ, ამ ადამიანს, ვინც მას გაესაუბრა. წალენჯიხის მაშინდელი პრეფექტი იყო ზურაბ გუჩუა, რომელიც იყო ძალიან კარგი ნაცნობი მისი. ერთხელ, ადრე თურმე, სანამ პრეფექტი გახდებოდა, ეს ზურაბ გუჩუა ნამყოფი არის მათთან სახლში საქეფოდ, იმიტომ, რომ ამათ ეზოში ჰქონდათ კიდეც სახლის გვერდით ერთი პატარა გორაკი და იმ გორაკზე იყო ფაცხა, ძალიან ხშირად იქ ქეიფობდა ხოლმე ხალხი და ერთ-ერთი სტუმარი, ადრე, ჩვენ პატარები რომ ვიყავით, მაშინ ყოფილა ეს ზურაბ გუჩუა. ასაკით ბევრად ახალგაზრდაა ანზორზე, მაგრამ იცნობენ ერთმანეთს. მერე უკვე, როცა ჩამოვიდნენ, მაშინ თქვა, რომ მახსოვდაო, რომ ანზორის სახლში ვიყავითო, სადღაც მთებზე იყო ადგილი იყოო, და რომ ვეძებდით ალტერნატიულ გზას გასასვლელად, თავშესაფარად, ეს სახლი გამახსენდა სწორედო და ამიტომ ვეცადე, რომ ანზორი მომეძებნა როგორმეო, შუამავლის საშუალებით. აი, ასე მოძებნა ანზორი. ასე დაიწყო მთელი სამზადისი პრეზიდენტის სახლში მოსასვლელად.

ჩვენ სამნი ვართ მარტო. რას ვფიქრობდი მაშინ, კი არ მახსოვს ახლა, რომ გითხრათ, თან მიხაროდა, უფრო მიხაროდა ალბათ, რა ვიცი (ილიმება), თან ალბათ ვფიქრობდით მაინც, რომ აქედან შეიძლებოდა ნელ-ნელა გასვლა. ამ სოფელს აქვს ძალიან უცნაური მდებარეობა: წალენჯიხის რაიონია და ობუჯიდან ერთი შემოსასვლელი აქვს სოფელს, მაგრამ მეორე შემოსასვლელი გზა აქვს ჯიხაშკარიდან. ჯიხაშკარი არის ზუგდიდის სოფელი. ეს ჩვენი სახლი გადაჰყურებს ზემოდან, გითხარით, ძალიან მაღალ ადგილზეა და გადაჰყურებს ამ სოფელ ჯიხაშკარს ერთი მხარე, მეორე მხარეს, სივრცეში, არის ჩხორონწყუს სოფელი, აი ასე, სივრცეში რომ გაიხედავ, ბავშვობიდანვე მესმოდა, რომ აი, იქით, არის ჩხორონწყუ, ერთ-ერთი სოფელი ჩხორონწყუსი. და ზემოთა მხრიდან, კიდეც უფრო მაღლა, არის სოფელი, ესეც წალენჯიხის სოფელია. მართალი გითხრათ, პირველად ამომსვლელისთვის ეს, მართლაც, თითქოს მიყრუებული სოფლის შთაბეჭდილებას

ტოვებს, თვითონ გზაც ვინრო ამოდის, მხოლოდ ერთი მანქანით. მაგრამ მდებარეობა აქვს ისეთი, თან კონკრეტულად ამ სახლს, ჩვენს რამდენიმე ეზოს, რომ ვერ იტყვი, ადვილია იქ დაიძალოს 8 ადამიანი. ახლა მე ჩამოვთვლი ვინ იყო ეს რვა: თავისთავად, ეს იყო ზვიად გამსახურდია, ეს იყო ბესარიონ გუგუშვილი, თვითონ ზურაბ გუჩუა – რადგან წალენჯიხის ტერიტორიაზე იყო, თვითონ იყო პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე, ანუ სამნი ესენი, და ხუთი იყო უშუალოდ დაცვის თანამშრომელი. ერთ-ერთი მათგანი იყო რობინზონ მარგველანი, თუ სწორად მახსოვს, სწორედ ის იყო პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი მაშინ. ხუთნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მერე ოთხი აღმოჩნდა ჩვენთან, ერთი რომელიღაცა მაშინ სხვაგან წავიდა, ანუ სხვა გზებს ეძებდა მე მგონი და ის ჩვენთან არც მინახავს. თავიდან ითქვა, რომ რვა უნდა ყოფილიყვნენ და შემდეგ უკვე შვიდნი მოვიდნენ ჩვენთან.

ეს ბოლო დღეები იყო – აი, დღეს მოვალთ, ხვალ მოვალთ, რაღაცა მომენტში ანზორი დაიკარგება, გამოჩნდება ისევ და იტყვის, რომ აი, ორ დღეში აქ ვიქნებით, მერე დაიკარგება ისევ, გამოჩნდება და მოკლედ, არ დაადგა საშველი. ერთ დღესაც, შუადღისით მოვიდა და თქვა, რომ ხვალ ნამდვილად აქ ვიქნებით, ახლა სულ ცოტა ხანი დამაძინეთო, იმიტომ რომ მთელი ღამე გავათენეთო. ცოტა უნდა გამოვიძინო და ამაღამ რომ წავალო, აი, ამაღამ ნამდვილად მოვალთო. ვილაცისგან ტრაქტორი იშოვა, ყველაფერს სჭირდებოდა ორგანიზება. მოკლედ, მოდიოდნენ ძალიან ნელა, თურმე, და სადღაც უკვე რომ დაათენდათ თავზე, ერთ-ერთ სოფელში, იქ ითხოვეს თავშესაფარი. როგორც გითხარით, ანზორს ძალიან ბევრი სანაცნობო წრე ჰყავდა და ყველა იცნობდა მას, მისი სტუმრები, რა თქმა უნდა, მიიღეს. მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა იქ, საგანგებოდ შევარჩიეთ ეს სახლიო. რომ მივიდა, უთხრა, რომ ესენიო ზვიადის მომხრეები, ჯარისკაცები არიანო (ასე იყო – ან მხედრონელი იყავი, ან ზვიადის მომხრე) და უნდა შეგვიფარო ერთი ღამეო. და ასეთი რაღაცა თქვა: იმ მოხუცმა ქალბატონმაო, საკმაოდ ასაკოვან ქალბატონს ამბობდა, ვინც დახვდა და ვისთანაც მივიდნენ – ვაიმე, ეს ხომ ზვიადი არისო, ანუ, იცნო. როგორ იცნო-მეთქი, მერე კი დავფიქრდი, როცა მე თვითონაც შევხვდი მას. მე რაღაცა სულ ისე მყავდა წარმოდგენილი, გაპარსული და აი, ისეთი, როგორც მინახავს სხვა დროს, ეკრანზე.

მოკლედ, ღამე უნდა მოვიდნენ ჩვენთან, უკვე გადაწყდა. თავისთავად ცხადია, იქ სადილი, ვახშამი, დაიწყო სამზადისი, ბებოც აქ არის, ჩვენი ბებო და ვართ სამზადისში. თვითონ ანზორის შვილები – ერთი ბიჭი ჰყავდა და ორი ქალიშვილი - არც ერთი არ იყო იმ მომენტისთვის აქ, მასთან სახლში, მაგრამ იყო ძმის შვილი, მეორე ძმის, რომელიც იქვე ცხოვრობდა მეზობლად და ბიძამისს ის ეხმარებოდა, სადღაც ასე 25 წლის იყო მაშინ გოდერძი. ის დადიოდა ბიძასთან ერთად, რომ საკითხების მოგვარებაში დახმარებოდა. ჩვენ აქ სადილი, ყველაფერი, გავაწყვეთ სუფრა, რა თქმა უნდა, მოგუდულად, იმიტომ რომ არ შეიძლებოდა ეს ხმაურით ყოფილიყო და ეს ყველაფერი ხდებოდა ჩუმად. რა თქმა უნდა, წინასწარ მოვამზადეთ სახლი, სადაც ისინი უნდა გაჩერებულიყვნენ, ანუ ის დიდი სახლი, რომელიც დგას ცალკე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, იმავე ეზოში. აი, ამ სახლს ჩამოვაფარეთ სქელი ფარდები და თან ისე ჩამოვაფარეთ, რომ დავაჭედეთ, რომ სხვისი თვალისთვის, ვიღაცა რომ მოვიდეს, გამვლელი, თვალშისაცემი არ იყოს, ან შუქი რომ აინთება ან რაღაცა. შუქი იშვიათად მოდიოდა, მაგრამ ლამპის შუქი მაინც ხომ უნდა ყოფილიყო, სანთლები. მოკლედ, ჩვენ, ჩვენი აზრით, კონსპირაციის ყველა წესი დავიცავით და მოვამზადეთ სახლი, გავშალეთ სუფრა.

და აი, უკვე საღამოა, წარმოიდგინეთ, დეკემბერია, ადრე ღამდება და რაც უფრო ბნელდება, მით უფრო ძალიან ვნერვიულობ. ვერ წარმომიდგენია, რომ ვნახავ ზვიად გამსახურდიას აი ამ სახლში, აი, ვერ წარმომიდგენია. არა იმიტომ, რომ ... ძალიან დიდ პატივს ვცემდი და სულ თვალს ვადევნებდი, რა თქმა უნდა, მაგრამ რაღაც ფანატები რომ იყვნენ, იმ კატეგორიას არ მივეკუთვნებოდი. მე სკოლა რომ დავამთავრე 89 წელს და მთელი 9 აპრილი, მთელი ეს ამბები, ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. ბუნებრივია, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ჩვენთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები. მაგრამ ასეთი ვიყავი - შედარებით მშვიდად ამ ყველაფრის მაყურებელი, ასე ვთქვათ, შორიდან, იმიტომ რომ მე თბილისში არ ვიყავი არც იმ აქციების დროს. როგორც გითხარით, აქაც ვესწრებოდი მიტინგებს, მაგრამ იშვიათად.

მოკლედ, ვნერვიულობთ უკვე, ტრაქტორის ხმა გავიგონე. ვიცი, რომ ტრაქტორით უნდა მოვიდნენ, გავიგონე ყრუ გუგუნი, ეს არის ეზოს ერთ-ერთი შემოსასვლელი, საიდანაც, ძირითადად, საქონელს ერეკებიან ხოლმე, უშვებენ გარეთ, სწორედ იქიდან ისმის ეს ხმა და გაჩერდა. ახლა, წესით, უნდა ამოვიდნენ. გავიქცევი, სახლის უკანა კარს გამოვადებ, გავალ უკანა აივანზე, ვიყურები – მოდიან, არ მოდიან? წინ წამოვალ – მოდიან, არ მოდიან? ვარ ამ გადარბენებზე. ანზორი მოვიდა პირველი. მოვიდა, ასე თითო მანიშნა – ჩუმად, და თქვა – მოვედითო. წავიდა პირდაპირ იმ სახლისკენ, თვითონ, მერე ისევ მობრუნდა და უკვე წამოიყვანა ისინი, ანუ დაზვერვა ჩაატარა, ასე ვთქვათ, თუ მათი ნივთები ამოიტანა, არ მახსოვს. მე ვარ შესული ჩემს ოთახში, სადაც მე ვრჩები ხოლმე. ამ ოთახის ფანჯრები გადის აივანზე და ესენი რომ ამოვლენ, სწორედ აი ამ ჩემი ფანჯრების წინ უნდა გაიარონ. და აი, პირველად მაშინ ვნახე. შუქი იყო, სხვათა შორის, მაგ დროს, სადღაც თორმეტისთვის ქრებოდა, გრაფიკით რომ გვქონდა, ანუ თორმეტამდე მოვიდნენ, როგორც ჩანს. აივანზე შუქი ენთო და ამ შუქზე დავინახე, პირველი, წინ მოდიოდა ზვიად გამსახურდია. ძალიან ძნელი იყო მისი ცნობა. მე რომ არ მცოდნოდა, რომ ზვიად გამსახურდია უნდა მოსულიყო, ძალიან გამიჭირდებოდა მისი ცნობა, იმიტომ რომ წვერმოშვებული იყო, ქუდი ეხურა, მერე გარედან კიდევ რაღაც თბილი - ქურთუკიც არ ეცვა – რაღაც სანვიმარი ლაბადა დიდი, ეს დიდი ჩექმები, რეზინის ჩექმები. როცა უკან მივრბოდი, მაშინ დავინახე რეზინის დიდი ჩექმები, არ ვიცოდი მაშინ, ვინ იყო. ჩემს ოთახში რომ შემოვედი, აქედან უკეთ დავინახავ-მეთქი, მერე მივხვდი, რომ წინ ვინც მოდიოდა, ეგ იყო სწორედ ზვიად გამსახურდია. აი ეს მახსოვს – ფანჯარასთან ჩავლა და ძალიან გარკვევით მახსოვს ეს სახე, როგორ იყურებოდა – დაძაბული და, ვერ ვიტყვოდი, რომ შეშინებული – არა, ძალიან დაძაბული იყურებოდა. და ეს თვალეები მახსოვს ძალიან კარგად. სიმშვიდის ან რაღაც ისეთის ... შეგრძნება არ ჰქონდა მაშინ, ძალიან დაძაბული იყო, ეტყობოდა. გაუძღვა ანზორი და შეიყვანა სახლში, სადაც მათთვის გამზადებული იყო ყველაფერი. ხომ იცით, მეგრული ღომი ცხელი უნდა მიიტანო. მე არ შევდივარ იმ ოთახში, სადაც ესენი შეიყვანეს, იმიტომ რომ რაღაცნაირად არ ვიცი, რა ვქნა და როგორც უნდა მოვიქცე. თან ამდენი ერთად რომ იყვნენ, ჯერ ზვიადი დავინახე და მერე ერთი, მეორე, მესამე, აი ამდენი ადამიანი, სრულიად უცხო, თან ყველა სხვებს იარაღიც მოჰქონდათ, ძალიან დატვირთულები, ეს ჩანთები, რაღაცა. ამ სამზადისში უკვე 12 საათიც მოვიდა ეტყობა, შუქიც ჩაქრა, მაგრამ ჩვენ მზად ვიყავით – ლამპები, სანთლები, ყველაფერი ავანთეთ და ზუსტად შუქი რომ ჩაქრა, მხოლოდ მაშინ შევედი მე ამ ოთახში. ანზორმა გააცნო ჩემი თავი, ჩემი დეიდაშვილის შვილიაო, მაგრამ ეტყობა, მაშინ რაღაცა ყურადღება არ მიაქციეს და თურმე სულ ვეგონე ანზორის შვილი. და მხოლოდ მერე, ბოლოს გაიგებს ამ ამბავს,

ყველაზე ემოციური იყო ჩემი შეხვედრა. სწორედ ამას გავუზიარე, რომ ეს ემოციური შეხვედრა არ აღვწერო (იცინის). ვტიროდი საშინლად, ვაიმე, ვტიროდი კი არა, ვქვითინებდი, არ მინდოდა შესვლა და ცალკე გოდერძი, ანუ ეს ჩემი მასპინძელი, და ცალკე ანზორი, ორივე ერთად მექაჩებიან – მოდი, შემოდი, მოდი, მე – არ მინდა, გამიშვით ხელი, ვიძახი, ვაიმე, იმდენად მრცხვენია ხოლმე, ამას რომ ვიხსენებ, აღარც მინდა გავიხსენო. რალაცა შევანოდე სუფრისთვის და როდის უნდა შემოხვიდეო, ხომ უნდა შემოხვიდე როდესმე და ხომ უნდა ნახო ეს ხალხიო, მე უარზე ვარ და ამ დროს სწორედ ის ზურაბ გუჩუა – მე მანამდე მას არ ვიცნობდი – ეს ადამიანი გამოვიდა. მე, ზოგადად, სიმაღლე არ მიკვირს ხოლმე, მაგრამ ძალიან დიდი მომეჩვენა, ეტყობა ეს ჩემი ემოციების ფონზე იყო, ძალიან მაღალი, აი მთასავით კაცი, რომ იტყვიან, ალბათ სწორედ ეს იყო; წვერებში, ასეთი ახოვანი ადამიანი. შემოდი – აი ასე რომ მითხრა უცხო ადამიანმა, უფრო დავიბენი, თითქოს უარი ვერ ვთქვი და მექანიკურად გავყევი. შევედი ოთახში. ბუხართან იჯდა ზვიად გამსახურდია. მის გვერდით იჯდა ბესო გუგუშვილი და „გამარჯობა“ – ღიმილით მომხედა, გადამეხვია, გადამკოცნა. ზვიად გამსახურდიამ... ისიც მომესალმა, რა თქმა უნდა, ისიც გადამეხვია, „კარგი, გენაცვალე, კარგი“, რალაცნაირად ასე ჩაილაპარაკა. მე უცებ გამოვედი იქიდან, დიდხანს არ დავრჩენილვარ.

დაცვის ყველა სახელი და გვარი მახსოვს, როგორც აღმოჩნდა, მათაც ვახსოვარ ახლაც. ერთი იყო ზაზა ბურჯანაძე, ერთი იყო გოჩა კეკელიძე, ბაჩუკი გვანცელაძე და დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი. ისინი ოთხივე გავიცანი, სხვადასხვა შუალედით. უკვე სუფრასთან იყვნენ, თამადად აირჩიეს ბესო გუგუშვილი და ძალიან წყნარად, მშვიდად, რალაც ამბებს ყვებიან. [...] იცით, როგორ იყო? ესეთი გამჭოლი ოთახი იყო, რომ კარები ღია იყო და მეორე ოთახიდანაც, რალაცები რომ შემქონდა, შევდიოდი წამოსაღებად და გასატანად, მესმოდა ხმები, მაგრამ დიდხანს იქ არ ვრჩებოდი, რალაცნაირად მეუხერხულეობდა და ისევ უკან შემოვდიოდი ჩემს ოთახში. ასე ფრაგმენტულად მესმოდა, რას ყვებოდნენ, ძალიან ფრაგმენტულად. ახლა ზუსტად მაგას ვნანობ, რას დავბობდი ნინ და უკან, დავმჯდარიყავი, ძალიან საინტერესო ამბებს იხსენებდნენ, იხსენებდნენ გადასახლების ამბებს, რალაცას ყვებოდა თვითონ ზვიადიც, უფრო მეტს საუბრობდა ბესო გუგუშვილი. მერე თვითონ ანზორი, მასპინძელი, იყო რალაც ისეთი იუმორით, რალაცებს ყვებოდა. უყვება მთელ ამ ისტორიებს, როგორ ვემზადებოდით მის დასახვედრად, აქაურ ამბებს, იქ, სოფელში როგორ დაირხა ხმები, რომ ვითომ სადღაც არის, ვითომ იქით არის და მთელი ამბები. თან ნინა დღეებშიც – ეს გამომჩნა, რომ მეთქვა – მოდიოდნენ, ხან მეზობელი მოვა სახლში ჩვენთან, ხან რალაცა და ზოგჯერ შევაპარებდი ხოლმე. ზუგდიდიდან რამე გაიგე თქვენებზე? – მეკითხებიან. არა, ანზორი მეუბნება, რომ იქ ახლა შედარებით ნორმალურად არიან. – რამე ხომ არ გაგიგიათ, რას ამბობენ, ხომ არ ჭორაობენ, პრეზიდენტი სად არის? აი ასე, აზრებს ვცვლით და თან მაინტერესებს, ვინ რა ჭორი იცის, სად არის. ლაპარაკობენ, რომ სადღაცო, ჯიხაშკარის გზაზეო, ცხენით მიდიოდაო, თქვესო, პრეზიდენტიო. ხოდა ამაზე ჩვენ ვიცინოდით მერე, რომ ჯიხაშკარის კი არა, მაგან რა იცის, რომ აი ამ მეზობელ სახლში ველოდებით უკვე, გვერდით, აქ უნდა მოვიყვანოთ.

მაშინ ვერ ვაცნობიერებდი და წამოიდგინეთ, მართლა რა ხდებოდა და ვინმეს რომ გაეგო მათი იქ ყოფნის ამბავი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. აი ამაზე იმ წუთისთვის მე პირადად არ მიფიქრია წამდვილად. შეიძლება უფროსები – ანზორი, მისი ცოლი, ბებია – ფიქრობდნენ ამაზე, უბრალოდ ეს შიშები ჩემამდე არ მოდიოდა, ეტყობა მაინც მიფრთხილდებოდნენ, რომ მეც არ შევეშინებინე. მე ცოტა რომანტიკულსაც ვხედავდი ამ



ამბავში, ერთი ავტომატი ჩემს თავთან იდო მუდმივად - სადაც მეძინა, იმ ოთახში, ჩემს თავთან, იდო მათი ავტომატი. რომ დალაგდნენ, ეტყობა ასე ჩათვალეს საჭიროდ, რომ აქაც ყოფილიყო. რატომ - არ ვიცი. მე არ მეშინოდა ამ იარაღის. რა თქმა უნდა, ხელს არ ვკიდებდი, ან რა საქმე მქონდა, მაგრამ ის რომ იქ იდო, მე ეს არ მზაფრავდა. არც ერთი წამით არ დამიშვია, რომ შეიძლებოდა ვინმე მოსულიყო, ვინმეს აქედან ამბავი გაეტანა და ჩვენ... შეიძლება, ვთქვათ, რამე ოპერაცია ჩაეტარებინათ და იქ, რა ვიცი, დაეჭირათ ესენი ან რაღაცა ყოფილიყო. აი ამის შიში არ მქონდა, არანაირი, აბსოლუტურად. ეს გავაცნობიერე უფრო გვიან, როდესაც დედაჩემმა მითხრა, რომ მთელი ის დღეები სიზმარში ვხედავდიო სულ მუდმივად იარაღს, რაღაც შეიარაღებულ ხალხს და სულ შიში მქონდაო, შენ იქ როგორ იყავიო. დედაჩემმა არ იცოდა, რა ხდებოდა, ვინ ეტყოდა. მობილური არ იყო, არაფერი არ იყო. სოფელში ჩვენს ბავშვობაში იყო გაყვანილობა, ტელეფონები და ჩვენ ზუგდიდში იქიდან ვრეკავდით, როცა იქ ვიყავით, მაგრამ იმ დროს, 90-იან წლებში, ეს ყველაფერი არ არსებობდა და ჩვენ იქ, ფაქტიურად, მონყვეტილი ვიყავით სამყაროს.

მოკლედ, ისევ დავუბრუნდები სუფრას. რაღაც მომენტში შევედი და გავიგონე, ბესო გუგუშვილი ყვება თავისი მამის, პაატა გუგუშვილის ამბავს. რაღაცა სადღეგრძელოს მოაყოლა, რომ მეგრელთა საქმის გამო იყო თურმე დაკავებული. მე, მართალი გითხრათ, მაშინ ეს ამბები არ ვიცოდი, მერე მოვძებნე ეს მის ბიოგრაფიაში - შემდეგ უკვე, წლების მერე, ინტერნეტით თუ სადღაც წიგნში მოვძებნე, რომ მეგრელთა საქმის გამო დაუჭერიათ პაატა გუგუშვილი. აი როგორი არისო ცხოვრება, მამაჩემი სულ ამას ნატრობდაო და მე, მის ნაცვლადო, მთელი სამეგრელოს ტყეები ფეხდაფეხ შემოვიარეო. მერე ანზორი რაღაცებს ყვებოდა, როგორც გითხარით, სასაცილოებს, აცინებდა. ნელ-ნელა დაძაბულობა გაქრა. ერთი საათის, ორი საათის შემდეგ რომ შევდიოდი, უკვე სიმშვიდე იგრძნობოდა თვითონ სტუმრებში. ზვიად გამსახურდიაც თვითონაც ყვებოდა, როგორც გითხარით, თავისი გადასახლების ამბებს. სამწუხაროდ, მე არ მახსოვს, აი ასე რომ დავმჯდარიყავი და მომესმინა, ასე დეტალურად არ მახსოვს. შეიძლება ეს დეტალები, რასაც გიყვებით, იმიტომ მახსოვს, რომ ეს ყველაფერი იყო დღიურში შესული; ის, რაც არ ჩამიწერია, არ მახსოვს. მაშინ გგონია ადამიანს, რომ ყველაფერი ეს სამუდამოდ გემახსოვრება, მაგრამ ეგრე ხომ არ არის, ნელ-ნელა მაინც შლის ამას ყველაფერს დრო და ის დამრჩა, რასაც ვინერდი. ვნერდი მაშინ, მათ მოსვლამდე, რაც მოვიდნენ, მერე არა. სულ რაღაც ერთი-ორჯერ გადავშალე [დღიური], რაღაცები ჩავნერე. მერე, ზუგდიდში რომ დავბრუნდი და ჩემმა ახლობლებმა და ნათესავებმა გაიგეს ამის შესახებ, მაშინ მითხრეს, რომ სანამ ჯერ კიდევ ცოცხალია ეს მეხსიერებაში, ეცადე, რომ ჩანეროო. აი იმიტომ, მათი დაჟინებული თხოვნით, ასე ვთქვათ, ვეცადე, რომ ეს აღმედგინა და ჩამენერა. რაც ფაქტები მახსენდებოდა, ის დავნერე და მხოლოდ ის მახსოვს. [პაუზა].

მოკლედ, ის საღამო გოდერძი იქ დარჩა. ოთახები უნდა შეგვერჩია, ვინ რომელ ოთახში უნდა განაწილებულიყო, იმიტომ რომ ეს შვიდი ადამიანი... ღამე ხომ უნდა გაეთენებინათ. ეს დაცვის ბიჭები იყვნენ გახარებულები, რამდენი დღეა ტყეში გვძინავს, უკვე სათვალავიც აგვერიაო, რიცხვებიც, ყველაფერი, არაფერი არ გვახსოვსო, ტყეში გვეძინა, კარვებში. მეგრულად სამეგრელოს მთებში მწყემსებს ჭყიშებს ეძახიან და მწყემსების კარვები არის მანდ, სადაც საქონელი ჰყავთ ხოლმე. მოკლედ, აი ამ კარვებში ცხოვრობდნენ. მაგრამ ესეც დიდი ფუფუნება იყო. იქ რამდენიმე სახლში იყვნენ, ისევე როგორც ჩვენთან, ეს იყო ჩქვალერში, ჯვარის მხარეს, ზაზა ყვებოდა, ბურჯანაძე - როცა

გვიტხრეს, რომ მოვლენ აქ და გაიგეს უკვე ჩვენი სამალავი და წავედით მთებისკენო, იქიდან დაგვანახა ერთ-ერთმა ჩვენმა გამყოლმა, მანქანები როგორ შემოვიდნენ, როგორ დაანოკეს ის ოჯახი და ჩვენ მთიდან ვადევნებდითო თვალს. რალაც რამდენიმე ნაბიჯით გაასწრეს. და აი ამას ხომ ყვებოდა, და მაინც რალაც არ მეშინოდა, რომ ჩვენთანაც მოვიდოდნენ, არანაირად არ მქონდა ამ შიშის გრძობა. მოკლედ, უნდა დაბინავებულიყვნენ და ზვიადმა თვითონ აირჩია ის ოთახი. დეიდაჩემმა უთხრა, თქვენი სარეცხებიო, თუ რამე გაქვთ, სარეცხ მანქანას ჩავრთავ, დაგირეცხავთ ტანსაცმელს, რაც შეგიძლიათ, რომ მოგვცეთო. რალაც ისე, ძალიან შინაურულად, ძალიან ისეთი ქალი იყო. შესთავაზეს, რომ ტანსაცმელი - ქურთუკები, ჩექმები, რაც ეცვათ, მდინარე რომ გადმოიარეს, ფეხით გადმოვიდნენ მდინარეზე, ენგურზე თურმე (ჩქვალურიდან, ჯვარიდან ისევ აქეთ, წალენჯიხის ამ სოფლებისკენ რომ წამოხვიდე, მდინარე უნდა გადმოლაზო), ეს სველი ტანსაცმელი, ქურთუკები, რალაცები შეგიძლიათ მომცეთო, რომ მოგიწესრიგოთო. სველი ნაბადი ჰქონდათ თურმე ერთი, მერე ის იქ დატოვეს სადღაც. მახსოვს, მაშინ რომ უარი თქვა - არაო, როგორ გინდათ ეს ადამიანი შეაწუხოთო და არაო, ეს გავიგონე იმ მეორე ოთახში. მოკლედ, ყველამ შეარჩია თავთავისი ოთახი, ყველა განანილდა ოთახებში და გოდერძიც იმ ღამეს იქ დარჩა, ბუხართან იქვე მიწვა და ესე დარჩნენ იმ ღამეს. გადასახლების ამბებს რომ ყვებოდნენ, მაშინ თქვეს, რომ მარილიან საკვებს ვერიდებო, თუ თვითონ გუგუშვილმა თქვა, რომ უმარილო კერძები, აი ნადული, თუ ხაჭო, თუ ყველი, რაც არის პროდუქტი, ნაკლებ მარილიანი რომ იყოსო. ცალკე ჩემთვის ვიღებდი ხოლმე – აი ეს უმარილოა და ეს უნდა იყოს ზვიადისთვის, ცალკე ვდებდი.

მეორე დღით ჩაის რალაცები დავალაგე, საუზმე და ნელა შევიპარე სახლში, რომ არ გამეღვიძებინა ეს ხალხი და ისე დამედო, მაგრამ უკვე ფეხზე იყვნენ ესენი. აი ასე ვცხოვრობდით ერთი კვირა იმ სახლში, მეც, ისინიც და ჩვენც. ეხლა ზუსტად არ მახსოვს დღეები, რა რის შემდეგ იყო, ეს პირველი საღამო - და მერე უკვე მერევა დღეები. მეორე დღეს ბიძაჩემმა პატარა ხბო მოიყვანა და უთხრა, რომ დავკლათო, ეს საკლავი არისო, საკვები რომ არ მოგვაკლდესო. ეს დაკლეს. ძირითადად ის ბიჭები გამოდიოდნენ გარეთ, თორემ ისინი - არა, ისინი ძირითადად სულ შიგნით იყვნენ. შეიძლება ისვენებდეს ან რალაცა, ამიტომ თავს ვარიდებდი შესვლას, მაგრამ ეს ბიჭები ჩვენთან შემოდიოდნენ ზოგჯერ, უფრო თავისუფლად ჩვენთან იყვნენ, აი დავუშვათ, ჩაის ჩვენთან ერთად მიირთმევდნენ, იმიტომ რომ იქ ცოტა ერიდებოდათ; ისე, უბრალოდ, სასაუბროდ, ან ტელევიზიის საყურებლად, როცა შუქი მოვიდოდა და რალაც ამბები აინტერესებდათ, ძალიან თავისუფლად, უკვე შევეჩვიეთ ერთმანეთს. ახლა მიკვირს, ერთ კვირაში ხდება ეს ყველაფერი, მაგრამ მათაც იმდენად დიდი შვება იგრძნეს აი იმ ყველაფრის მერე, რაც გამოიარეს, საშინელ სიციფეში, სველ ნაბდებში, კარვებში და ტყეში ყოფნით. ფაქტიურად, ოქტომბრის ბოლოდან ესენი სხვადასხვა სოფელს აფარებდნენ თავს, სამეგრელოს სხვადასხვა ადგილს და ჩვენთან მართლა შვება იგრძნეს, ძალიან თავისუფლად იყვნენ. ჩვენ მუდმივად ფხიზლად ვიყავით და მუდმივად ვიყავით იმის სადარაჯოზე, რომ არავინ უცხო არ მოსულიყო. სხვათა შორის, რამდენჯერმე იყო შემთხვევა, რომ ვიღაც ნათესავეები ჩამოვიდნენ, გვიკითხეს, როგორა ხართო, მეზობლები შემოვიდნენ, მაგრამ იმ სახლში მაინც არ იყო, ჩვენ აქეთ, ცალკე ვცხოვრობდით, ამ მეორე პატარა სახლში და სტუმრებს აქ რომ ვღებულობდით, ისინი მაინც მიფარებულში იყვნენ, მყუდროდ იყვნენ იქ, არ იყო შანსი, რომ მათ ვინმე იქ ენახათ და ვინმე უცხო შესულიყო იმ სახლში, ეს გამორიცხული იყო.

ერთხელ ერთი დღით ანზორის მოუწია წასვლა ზუგდიდში და მთელი დღე არ იყო, მაშინ ტრანსპორტი ჭირდა, გახსოვთ, და ეს არ იყო ასე მარტივი - ნადი-ნამოდი, მიუხედავად იმისა, რომ როდესაც ჯინაშკარის გზით მოდიხარ ზუგდიდში, ძალიან ახლოა, სადღაც 22 კილომეტრია მე მგონი, არ არის დიდი მანძილი, მაგრამ იმ დროისთვის ესეც ძალიან რთული იყო. და მთელი დღე რომ არ მოვიდა, შფოთავდა ძალიან ზვიადი, რატომ დაიკარგა, სად დაიკარგა. მე მაშინ ჩავთვალე, რომ ნერვიულობდა, რამე ცუდი არ შეემთხვესო, მაგრამ შეიძლება, რომ - რატომ წავიდა ამდენი ხნით, რაღაცა სხვა მომენტიც შეიძლება ყოფილიყო... რა ვიცი ... რაღაც სხვა, ნდობის მომენტი - ვის ხვდება, ან სადმე არ თქვას, რომ აქ ვართ. მაშინ ნამდვილად არ მიფიქრია, უბრალოდ, შემდეგ, როცა ვაანალიზებ, უკვე წლების მერე, შეიძლება ესეც კი ეფიქრა, მაგრამ არა მგონია, იმდენად მშვიდად და კარგად გრძნობდა ჩვენთან თავს, არა მგონია, რომ ეს დაეშვა.

იმ საღამოს - გამომჩნა ეს - სადღეგრძელო რომ მათქმევინეს, იმ პირველ საღამოს. ჯერ სტუმრებს ადღეგრძელებენ, მერე თვითონ მასპინძელს, ხომ არის ეს რაღაცა თანამიმდევრობა ამ ყველაფრის და მახსოვს, რომ მეც მითხრეს, მოდი და პრეზიდენტი ადღეგრძელო. კიდევ კარგი, რომ შუქი არ იყო, მარტო ლამფის შუქები იყო. კარგად ის მახსოვს, რომ ზვიადი ესე, თავს არ სწევდა, მხოლოდ ესე ამოიხედავდა, და ესენი ხმაურობდნენ უფრო. და ანზორი კიდევ ისეთი უკომპლექსო და გულღია ადამიანია, მართლა მშურდა მისი, ისეთ ამბებს გვიყვებოდა, რაღაცა ცხენის ამბავი მოუყვა მას და ძაან სასაცილო იყო მართლა. ფრაგმენტულად რომ მესმოდა მათი ნათქვამი, ეს გავიგონე, როგორ მოუყვა, რომ ცხენი ვითხოვეო, - ცხენი თვითონ არ ჰყავდა - და ითხოვა ერთ-ერთი მეზობლისგან, ცხენი ვითხოვე და მათრახი დაგკარგეო. და მერეო, ეს კაციო, ვინც ეს ცხენი და მათრახი მათხოვა, ეს კაცი არის ჩვენიანიო, ანუ ზვიადისტი (იცინის), და ისო (იცინის), ის არ არის ჩვენიანიო, იმას ვთხოვე მათრახიო და ამას დავუბრუნეო, და იმას ვუთხარი, შენი მათრახი დამეკარგაო. ყვებოდა, ალბათ, გამოგონილ ისტორიას, თან სასაცილო იყო და თან განმუხტვა იყო ყველასი, იცინოდნენ. ზვიად გამსახურდიას ხმაც ჩამესმის ახლაც: ვერ ყოფილხარ შენ კარგი ცხენოსანი, მათრახი ასე, მაჯაზე უნდა გქონდეს და როგორ უნდა დაგეკარგაო, უთხრა. მოკლედ, მისმა ამ ხასიათმა, ასეთმა გულღიობამ აბსოლუტურად შეცვალა იქ სიტუაცია და დაძაბულობაც, რაც იყო მანამდე. ნელ-ნელა თვითონაც დამშვიდდნენ.

ერთი საღამო იყო, წვიმდა, საშინლად ციოდა, სიმინდი წაიღო საფეკავად წისქვილში. რამდენჯერმე იკითხა ზვიადმა, სად არის ანზორიო. გუჩუა ეუბნება, საფეკავი წაიღოო. გავუთავეთ ამ კაცს ზამთრის სარჩოო, ძალიან განიცდიდა თურმე, აქო პური ჭირსო და ეცადეთ პური არ ჭამოთო, ამათ ძალიან შორიდან უწევთო [მოტანა]. აქ ფქვილიც პრობლემა იყო, ჩვენ კი გვქონდა და სახლში ვაცხობდით პურებს. მახსოვს, სტუმარი მყავდა სახლში ჯერ კიდევ ზვიადის მოსვლამდე და ასეთი რამე ვთქვი, ნახეთ, რა პურებს ვაცხობთ, საპრეზიდენტო პურებს-მეთქი. მოკლედ, საკლავი დაკლეს. ქალი ცხოვრობდა მეზობლად, დევნილი იყო, სოხუმელი. მე ხომ გითხარით, ანზორის სახლსა და მისი ძმის სახლს შორის იყო კიდევ ერთი სახლი და ეს ქალი იმ სახლში ცხოვრობდა და გვაკითხავდა. ესო, კაცი, რა აუცილებელი იყო, ამხელა ხბო რომ დაკალით ამ მარხვაშიო. არ ვიცი, რა უთხრეს, როგორღაც დააჯერეს საჭიროებაში, დეიდაჩემმა დააჯერა, მოიგონა ტყუილი - ჩემმა ძმამ მომაკითხა, რამდენიმე ადამიანი მოყვებოდა და რა მექნა ახლაო. კიდევ იყო ასეთი ამბავი: გადმოფინეს რამდენიმე პერანგი, ქურთუქები, მზიანი ამინდი იყო და გადმოფინეს გასაშრობად. ეს იყო ის დღე, როდესაც ჩემები ჩამოვიდნენ ჩემს წასაყვანად. მე არ მინდა წასვლა, თან ვერ ვამბობ, რატომ არ მინდა. რა უცნაური რამე იყო - დე-

დაჩემსაც არ ვეუბნები, არც მამაჩემს, ეს იყო, რომ არ უნდა მეთქვა, არ უნდა მეთქვა და მორჩა. როდესაც ეზოში შემოვიდა უცხო მანქანა, როდესაც ეზოში დადიოდა მამაჩემი, ათვალელებდა რაღაცას, ვინ არის ესო, ეზოში რომ დადისო. მივხვდი, რომ იმათ შფოთი ექნებოდათ, შევედი და ვუთხარი, რომ ჩემი მშობლები იყვნენ, მე წამიყვანდნენ და არაფერი საშიში არ იყო. საიდან ჩამოვიდნენო, გოჩა კეკენაძემ. ზვიადს გაუკვირდა, ხათუნა არ არის ანზორის შვილიო? მაშინ მივხვდი, რომ ეს გამორჩა, როცა ანზორმა უთხრა, სტუმარი მყავს, დეიდაშვილიო. მე რომ ვუთხარი, ზუგდიდიდან არიან ჩამოსულებიო, მითხრეს გამეგო, რა ხდება ზუგდიდში, არის თუ არა სიმშვიდე, ბლოკპოსტები არის თუ არა, კიდევ უვარდებიან თუ არა მოსახლეობას. მე გამოვდივარ და ნელ-ნელა ვაპარებ დედაჩემს კითხვებს, ბენზინი იშოვება თუ არა, ასეთი დეტალები. მერე გავალ ოთახში და ვუყვები ამ ამბებს. რომ მახსენდება, ძალიან სასაცილო ამბავია, ვითომ რომ საიდუმლოს ვინახავდი, დედას რომ არ ვეუბნებოდი.

მანამდე, როდესაც შევედიოდი, ვხედავდი, რომ თაბახის ფურცლებზე ჩამონერილი ჰქონდათ რაღაცები. მაშინ მითხრეს, რომ ეს არის 90-ე ფსალმუნი და ბატონმა ზვიადმა გვითხრაო, რომ ეს არის ძალიან ძლიერი ფსალმუნი და ჩვენს წინაპრებს ეს გულზე ეკეთათ ყელსაბამივითო და ჩვენც ჯვართან ერთად ვატარებთო. გახსნიდნენ და კითხულობდნენ. მეც მომცეს გადანერილი ეს 90-ე ფსალმუნი. მიუხედავად იმისა, რომ მე ეკლესიის მრევლი ვიყავი, ეს არ ვიცოდი, რომ 90-ე ფსალმუნს განსაკუთრებულ შემთხვევებში კითხულობდნენ.

როდესაც დამშვიდობების დრო დადგა, შევედი, მითხრეს დაემშვიდობეო, თავის ოთახში იყო ზვიადი. დამემშვიდობა, გამოვდივარ და დამიძახა: ხათუნა! შემოგტრიალდი და მითხრა: ხომ იცი, დედასაც, საკუთარ დედასაც არ უნდა უთხრა. მეტირებოდა, თავი დავხარე და წამოვედი ჩქარა იქიდან. დედამაც არ იცოდა ეს, რამდენიმე დღის მერე ვუთხარი, როცა ჩავთვალე, რომ ისინი წასულები იქნებოდნენ. თბილი ტანსაცმელი, საკვები და რაღაცები უნდათ-მეთქი, წასასვლელეები არიან-მეთქი. მამამ - ამას როგორ მიმაღავდიო, რაღაც კონსერვები, თევზის და ხორცის კონსერვები და თბილი ტანსაცმელი იშოვნა და წავიდა მანქანით, მაგრამ აღარ დახვდნენ, ორი დღის წასულები იყვნენ და ვერ მიუსწრო.

ბებიას ამბავი გამომრჩა, მეგრულად რომ დაელაპარაკა ზვიადი. ქო, ქო მიჩქუ, კი, კი, ვიციო, ნანა, მარგალური, უთხრა მხოლოდ ეს ფრაზა და ბებია ადღეგრძელა. უთხრა, ყველამ გილალატა შენო, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდებაო და ყოჩაღად უნდა იყო. მახსოვს, როგორ ეფერებოდა ბებია, ისედაც განსაკუთრებული ქალი იყო, და მახსოვს, რომ ძალიან გაიხარა [ზვიადმა], როდესაც ბებოს ელაპარაკებოდა, მართლა ძალიან უხაროდა.

არ მომიყოლია, როგორ მოხვდა მისი ავტოგრაფი ჩემს წიგნზე. როდესაც ჩვენ დავმეგობრდით დაცვის ბიჭებთან, ბატონი ზურაბიცი, სხვათა შორის, ძალიან კარგი ადმიანი იყო, საოცრად კარგი, დეიდაჩემმა უთხრა, წიგნი წამოიღოო, ეგონაო, რომ ამ წიგნებს ზუგდიდში ყველას დანვავენო. მე ვუთხარი – ძალიან მინდა, რომ ავტოგრაფი გააკეთოს თავისი, რომ დამრჩეს ეს წიგნი სამახსოვროდ-თქო. ზურაბმა – წამოდი და შენ თვითონ უთხარიო, მე არ წავედი, ძალიან მრცხვენოდა და ახლა ძალიან გული მწყდება, მეტი დრო უნდა გამეთარებინა, რა უცნაური თვისება იყო, მორიდებულობის განცდა, სულ მერიდებოდა იქ მისვლა. ძალიან ვთხოვე, სურათიც აქ დევს-მეთქი და იქვე გავაკეთე წარწერა, ეს იყო 89 წლის 15 ივლისი, ზუსტად მახსოვს, ჩემი ხელით დავანერე. ამ წიგნზეც და ამ ფოტოზეც მინდა, რომ გააკეთოს წარწერა-თქო. შენ რომ მიხვიდე, უფრო გაუხარდებაო. მე არაფრით დავთმე პოზიციები. კომიკური სიტუაცია იყო, წავიდა ბა-

ტონი ზურაბი და მოიტანა, გორა და რობინზონი კვდებიან სიცილით, მოაქვს და ამბობს - ბატონმა ზვიადმა თქვაო, სანამ ხათუნა თავად არ მოვა, მეტ წარწერას არ გავუკეთებო და წამოდი ახლა ჩქარაო. რომ ვნახე წარწერა, ძალიან გამიხარდა – „ძვირფას ხათუნას, პატივისცემით ზვიად გამსახურდია.“ ზურაბ გუჩუამ მაშინ მითხრა, თარიღი იმიტომ არ დავანერეო, რომ ოჯახს აუწიოკებენ, ვინმემ რომ ნახოსო და ეს რიცხვი დაიმახსოვროსო. და მე არ მახსოვს თარიღი, დეკემბერი იყო, მაგრამ არ მახსოვს, რომელი დეკემბერი. სხვათა შორის, სხვისთვის არ მიჩვენებია და ჩემს ალბომში დევს ეს ფოტო, გადავიღე და გამოვიგზავნით ფოტოსაც და ავტოგრაფსაც.

ასეთი შემთხვევაც მქონდა: სალამოს გვიანი იყო, ადრე მოვიდა შუქი თუ გვიანობამდე გაგრძელდა, ტელევიზორი გვექონდა ჩართული. ეს წიგნი – „საქართველოს სულიერი მისია“ - იქვე მქონდა, ეტყობა რაღაცას ვწერდი. კარის ხმა გავიგონე და თავი არ ამინევი, ოჯახის წვერი მეგონა, არ მეგონა, რომ ზვიადი შეიძლება შემოსულიყო. რომ არ ავნიე თავი, დამიძახა - ხათუნა! დამიძახა და წამოვხტი, რაღაც მთხოვა, სანამ მე გავედი და შემოვუტანე, რაც სჭირდებოდა, ვნახე, რომ იდგა და წიგნი ეჭირა ხელში და, როგორც კი შემოვედი, დადო. მივეცი რაც მთხოვა და გავიდა ოთახიდან.

კიდევ, ერთ სალამო იყო, წვიმა და დაბომბვების ხმა ისმოდა. იმდენად ახლოს იყო, რომ ზუგდიდი გვეგონა, ეს ხომ მაღალი ადგილი იყო და პირდაპირი გზა შორი არ იყო ზუგდიდიდან. ძალიან ისმოდა ხმები. მახსოვს, რომ კარებები გახსნა და – ბომბავენ? ზუგდიდია? – სრულიად შეშლილი თვალებით [იკითხა]. არ ვიცი-მეთქი, თვალები მახსოვს – შეშინებულიც და გაბრაზებულიც. მერე გავარკვიეთ, რომ ეს არ იყო ზუგდიდი და ეს იყო გალის, არა – ოჩამჩირის დაბომბვის ხმა. გუგუშვილი გამოვიდა, კიბით ავიდა სახურავზე, იქიდან იყურებოდა და მახსოვს, რომ უთხრა - არ მგონია, ზუგდიდი იყოსო, გამოჩნდებოდა რამეო.

როგორც ვითხარით, მაქვს დღიურიც, მაგრამ იცით, არ მიყვარს მაშინდელი ჩემი წერილი და იმის კითხვა, მაგრამ რომ არა ეს ჩანაწერები, ვერ გავიხსენებდი ვერაფერს. ერთხელ უცნობი გოგო გვესტუმრა, როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ზურა გუჩუას ახლობელი, ბიძაშვილი იყო, ახლობელი იყო ძალიან, ამოიტანა მედიკამენტები, რაღაცები, ელისო ერქვა იმ გოგონას, იმ ღამეს დარჩა ჩვენთან და ასე მითხრა, ბედნიერი ხარ, ამ სახლში რომ ცხოვრობო, ზვიადთან ერთადო. ის შევიდა და საკმაოდ დიდხანს იყო მათთან. მართალი ვითხარათ, მისი ეს სითამამე თითქოს შემშურდა, მე ასე არ ვიყავი. გული მწყდება, მეტი დრო უნდა გამეტარებინა მასთან, ბევრად მეტი ინფორმაცია და შთაბეჭდილებები მექნებოდა. ბევრად უფრო მეტი და კარგი მოგონებები მექნებოდა, ვიდრე მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებები და ემოციებია.

მე პირველი წელი ვსწავლობდი და პირველი კურსი დავამთავრე სოხუმში. შემდეგ ისეთი ამბები მოხდა ზოგადად და იმდენი რამე ხდებოდა ჩვენს თავს... როდესაც სოხუმს ვიხსენებ – როგორ დავდიოდით ჩვენ, პირველკურსელები, როგორი იყო ჩვენთვის შეგუება იქაურობის, უცხო გარემოსი. ეს ქალაქი სულ მახსენდება, თითქოს წვიმა არც ყოფილა, სულ მზიანი მახსოვს სოხუმი. ერთადერთი წვიმიანი დღე მახსოვს, როდესაც ჩემს მეგობარს გავყვევი, მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა და ის წვიმაც იმიტომ მახსოვს, რომ ისე მოუხდა იმ სასწავლებელს, როიალის და მუსიკის ხმები რომ გამოდიოდა. სულ მგონია რომ ეს ცხოვრება, ყველაფერი, თითქოს გუშინ ხდებოდა. თან ამავე დროს ეს არის, რომ გუშინ კი ხდებოდა, მაგრამ თითქოს მაინც სხვა ცხოვრება იყო. ზოგჯერ ვფიქრობ, ხომ არ დამესიზმრა-მეთქი, მართლა. ეს სოხუმი, ეს 89 წლის

ამბები. მე სკოლაში ვიყავი, როდესაც 9 აპრილი მოხდა. მეათე კლასში ვიყავი. ბალტი-ისპირეთში წავედი ექსკურსიაზე. იქიდან დავბრუნდით, ნოემბრის თვე იყო, და როდესაც ჩამოვედი თბილისში, აეროპორტში, მძლომა, რომელსაც უნდა წამოვეყვანეთ ზუგდიდში მთელი ჯგუფი, გვითხრა, რომ ძალიან რთული ამბებია თბილისში. ეს იყო პირველი შიმშილობა, ნოემბრის შიმშილობა. მოშიმშილეებმა გუშინ თუ გუშინწინ დაიკავეს მთავრობის სახლის წინ მოედანი და ჩვენც ზუსტად მაშინ ჩამოვედით. იქ, ბალტი-ისპირეთში, ჩვენ ვიყავით კაუნასში და იქ რატუმის შენობაზე უკვე იყო მათი ეროვნული დროშა. ხომ ყველაფერი მოხდა ჩვენს თვალწინ და მგონია, თითქოს სხვაგან მოხდა-თქო და სხვისგან გამიგონია, ძალიან უცნაური შეგრძნებაა. ამ ფაქტებზე - მით უმეტეს, ზუსტად ეს შეგრძნება მაქვს. ეს ნიგნი რომ არ ყოფილიყო, ეს დღიური რომ არ დამენერა, მეც შეიძლებოდა მეფიქრა, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ვნახე - რომ ზვიად გამსახურდია ჩვენი სოფლის სახლში იყო. საოცარი მოვლენები მოხდა მართლა. მახსოვს, რომ 9 აპრილის მეორე დღე უნდა ყოფილიყო, მაშინ არასამთავრობოებს არ ეძახდნენ, არაფორმალური ორგანიზაციები მიტინგს მართავდნენ იმ ადგილას, ცენტრალურ მოედანზე. მე თვითონაც მივირს, როგორ გავაკეთე ორგანიზება და მთელი ჩვენი კლასი და პარალელური კლასი სკოლიდან ამ მიტინგზე წამოვიყვანე. თან იცით, როგორ იყო, იმ დღეს ყველა მასწავლებელი ჩამწკრივებული იყო ჭიშკართან, ეტყობა ჰქონდათ ეს ინფორმაცია, რომ იკრიბებიან ახალგაზრდები და ვაითუ სკოლიდანაც აყვანენ ამ ტალღას მოსწავლეებიო. მეც მე-11 კლასში ვარ, აპრილია, მაისში დავამთავრეთ ჩვენ სკოლა. სკოლის შენობა ახლოს იყო ამ ჭიშკართან, უკანა ეზოდან გავედით და გვერდიდან მოვუარეთ, ჩავიმალეთ იმ კორპუსის ერთ მხარეს, როგორც კი ხარი დაირეკა და მასწავლებლები შევიდნენ, ერთი ჩვენი მეგობარი, რომელიც ყველაზე სწრაფი იყო და ყველაზე გამბედავი ბიჭი, ის მივიდა, რკინის კარი - მთავარი შესასვლელი ფოიეში - ჩაკეტა და ჩვენ გამოვიქეციით. და აი ასე, სირბილ-სირბილით აღმოვჩნდით აქციაზე. მერე მახსოვს, ამას რომ მოყვა ამბები, მე-7 სკოლის მოსწავლე გამოვიდა სიტყვით, ჩემი მეგობარი. მე, ზოგადად, ხალხმრავლობაში ემოციები მერეოდა, ძალიან მორიდებული ვიყავი. მარიკა უფრო თავდაჯერებული გოგო იყო, ჩემი კლასელი, და მარიკა გამოვიდა სიტყვით. ამას მთელი ამბები მოჰყვა. ახლა რომ ვიხსენებ ამ ყველაფერს, თან იყო და თან სულ სხვა ცხოვრებაში ხდებოდა.

მე სოხუმში დავდიოდი, სოხუმში ხომ ვსწავლობდი, ყოველ ორშაბათს ჩემი ლექციები იწყებოდა 3 საათზე და დილას თავისუფლად ვასწრებდი, ორი საათის გზა იყო. დილას მამა ჩამსვამდა მანქანაში და წაგვიყვანდა სოხუმში. რა იყო, საათნახევარში სოხუმში ვიყავით, მაქსიმუმ ორ საათში. პარასკევს ექვსზე რომ დამთავრდებოდა, სადღაც შეიდიკენ დამხვდებოდა მამა და წამოვიდოდით აქეთ, შაბათ-კვირას ვიყავი სახლში. ეს თავიდან, მერე უკვე, რომ შევეჩვიეთ, შაბათ-კვირასაც იქ გვინდოდა დარჩენა. აი ასე ვიყავით. ეს გზა ეხლა უკვე აღარ მახსოვს, ყველა ვიცოდი - რომელი დასახლებული პუნქტი, რომელი სოფელი, რომელი ქალაქი, რა რის მერე იყო. ახლა ვერ წარმომიდგენია, იქ რომ დავდიოდით. ის გზა ახლა როგორია? რა ვიცი, წარმოუდგენელია, რა ხდება ჩვენს თავს, როგორ შეიცვალა გარემო, ბოლო 30 წლის განმავლობაში რა არ გადაგვხდა.

ლექციაზე რომ ვიჯექი, ერთ-ერთი აუდიტორია იყო, ქუჩა იყო - მშვიდობის პროსპექტი (იქ მაინც რუსული გავლენა იყო) და იმის გადაღმა უკვე ჩანდა ზღვა, გაიხედავდი და ზღვას ხედავდი. მაშინ ეს იმდენად ჩვეულებრივი იყო, და მერე უკვე, წლების მერე, იმდენად შორი გეჩვენებოდა. „ზღვა, რომელიც შორია“ - გურამ ოდიშარია სპექტაკლი

ვნახე და მართლაც შორია, მართლაც. მე გურამ ოდიშარიას ვიცნობდი ჯერ კიდევ იქ, სოხუმში. მწერალთა კავშირში მივდიოდი ხოლმე მასთან. მწერალთა კავშირის შენობის წინ იყო გლიცინია, მაშინ არ ვიცოდი, რომ გლიცინია ერქვა, გლიცინიას დაგრეხილი ტოტები იყო და ყველა იქ იღებდა ფოტოს. მე რატომ არა მაქვს ერთი ფოტო მაინც იქაური, წარმოდგენა არ მაქვს. და ეს გლიცინიები მახსოვს, იასამნისფერი გლიცინიები ზუსტად ამ შენობასთან. „რინის“ რედაქცია იყო მაშინ, „რინის“ რედაქტორი იყო ბატონი გურამი და მწერალთა კავშირში იყო მათი რედაქცია, ბატონი გენო კალანდია იყო იქ და ბატონი გურამ ოდიშარია. ეს დღეებიც მახსოვს ძალიან კარგად, რამდენჯერმე ვარ მანდ ნამყოფი. სოხუმის თეატრი, სადაც დავდიოდით სპექტაკლებზე.

**შეკითხვა: ნიგნს ზვიად გამსახურდიას წარწერით სიმბოლური დატვირთვა აქვს თქვენთვის?**

სხვათა შორის, სადაც დავდიოდი, ყველგან დამქონდა მერე. არ ვტოვებდი, სულ ჩანთაში მედო, თუ მიწვევა სადმე გასვლა. მეშინოდა, რომ არ დამკარგვოდა თუ რა ვიცი... ძალიან ვინრო წრეს გავანდე ეს ამბავი, მაშინ, იცით, არ შეიძლებოდა, რომ ეს ყველას სცოდნოდა, მაშინ ჯერ კიდევ იყო საფრთხეები. მახსოვს, ერთი ჩემი მეზობლის სახლში ძალიან ჩუმად შემეყვანეს და ჩუმად, ლამპის შუქზე ვყვებოდი, ეს ნიგნი მივიტანე, ვაჩვენე იმათ და სწორედ მათ მითხრეს, რომ ეს შთაბეჭდილებები დამეწერა. თორემ მართლა არ მექნებოდა ეს ჩანაწერი გაკეთებული. რამდენიმე წლის წინ ჩემმა მამიდაშვილმა თავის მეგობართან თქვა, რომელიც არის ადგილობრივი რადიოს თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ მე ამ რადიოს პროდიუსერი ვიყავი, იქ არავინ იცოდა ამის შესახებ. შემდეგ, გასულ წელს, მოვიდნენ ჩემთან და რადიოინტერვიუ ჩაწერეს ამაზე. მათაც ვაჩვენე ეს ნიგნი. საიუბილეო წელი იყო გასულ წელს ზვიად გამსახურდიასი და ამას მიუძღვნა რადიო „ათინათმა“ ეს სიუჟეტი. ჩემი ინტერვიუ იქ ორ ნაწილად გაუშვეს.

ფილმი რომ გადაიღეს – არ მახსოვს ზუსტად სათაური, მაგრამ მოვძებნი - ვნახე ეს ფრაგმენტები, იუთუბზე დევს, იმედია არ აიღებდნენ, მოკლედ, მთელ იმ დარბაზში, 200 კაციან დარბაზში, ერთადერთი ვიყავი უშუალო მონაწილე ამ ყველაფრის. იქაც კი, სადაც მე ვიყავი, იმ სახლშიც არის გადაღებული კადრები და ჩვენი სახლი შეგიძლიათ იმ კადრებშიც ნახოთ, მე გამოგიგზავნით, ვეცდები რომ გამოგიგზავნოთ ლინკი. იქ ამბობს დეიდაჩემი, რომ ჩვენი დეიდაშვილის ბავშვი იყო აქ მაშინო. ამას ამბობს და იქ წყდება ფრაზა. ის თვითონ არ განყვეტდა საუბარს და შეიძლება მონტაჟის დროს ამოიჭრა. რატომ ვიყავი იქ გახიზნული? იმიტომ რომ აქ მხედრონი იყო, ასეთი ამბები ხდებოდა, იმიტომ გამხიზნეს იმ სახლში, დევნილი პრეზიდენტი და მე – აქედან გახიზნული – ერთმანეთს როგორ შევხვდით. მართლა რალაცნაირად ვიგრძენი თავი. ემოციური იყო თვითონ საყურებლად ყველაფერი. ბევრი ვიტირე. ეკრანზე რასაც ვუყურებდი, ყველაფერი გაცოცხლდა. რამდენჯერმე დარბაზს გადავაველე თვალი: კი, ისინიც მიტინგებზე იყვნენ ნამყოფი, მისი თანამებრძოლი, იქ ფილმშიც არის და იგონებენ, ვიცი, რომ მათ ჰქონდათ შეხება, პირადი ნაცნობობაც, მაგრამ უშუალოდ დევნის დღეებში ვინც უშუალოდ მას შეხვედრია, ისეთი იმ დარბაზში ვიყავი მართლაც მე.

ერთი რამ გამახსენდა. დეიდა იხსენებდა, როგორ გავიდნენ სახლიდან. [ზვიადი] ამბობდა თურმე, როგორ არ მინდა, კაცო, ამ სახლიდან წასვლაო. რამდენიმე წუთით შეჩერდა აივანზეო. ამ სახლიდან წაიყვანეს ჯიხაშკარში. ჯიხაშკარში დაიწყო ის, რომ ეს ჯგუფი გაიყო, ის შვიდკაციანი ჯგუფი. იმ ფილმში ის ზაზა ყვება, რომ აირია სიტუაცია. მოკლედ, აქ იყვნენ ყველაზე მშვიდად. იმ ალიაქოთიდან მოვიდნენ ჩვენთან, იყვნენ ძა-

ლიან მშვიდად, მერე წავიდნენ და დაიწყო უკვე დასასრული, პრინციპში. მათ უნდოდათ თურმე მასთან ყოფნა, არადა საფრთხე არის დიდო, შვიდი კაცი ერთად ვერ გადავრჩებოთ, სამკაცრიან ჯგუფებად უნდა დავრჩეთო და ჩამოაშორეს რაღაც ნაწილი. მერე უკვე მართლა ბინდითაა მოცული. რაც შეეხება ანზორს, მერე მასთან მოვიდნენ – რობინზონი? – ვაიმე, ზუსტად არ მახსოვს და ვერ ვიტყვი, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მოვიდა და წაიყვანეს. პირველი კუბო, რომელიც გაამზადეს, პირველი სასახლე, მისთვის რომ დაამზადეს, ჯიხაშკარში დაფვლა, ყველაფერ ამას ანზორი ხელმძღვანელობდა. მერე ის გროზნოშიც იყო წასული, მოახერხა იქ წასვლა, ძალიან აქტიური ადამიანი იყო, ყველაფერი გამოსდიოდა, რასაც ჩაიფიქრებდა. მართლა ძალიან გულლია ადამიანი იყო. მერე, როდესაც ტელევიზიით გადმოსცეს – ნ იანერის საღამო იყო – სხვათა შორის, რუსულმა არხმა, რუსეთის არხმა გადმოსცა – კარგად მახსოვს, ზუსტად ასე თქვეს: „დასავლეთ საქართველოში“ (რუსულად ამბობს) გარდაიცვალა ზვიად გამსახურდიაო, დასავლეთ საქართველოს ტყეშიო, ერთ-ერთ სოფელშიო. და მე მაშინვე დავიჯერე, სხვებს არ სჯეროდათ, რადგან მე ვიცოდი, რომ ის დასავლეთ საქართველოში იყო, სხვები ამბობდნენ, ცოცხალიაო, მე მაშინვე დავიჯერე. მერე ანზორი – როდესაც მოიცალა ამ ამბების მერე – მოვიდა ჩვენთან და მოგვიყვა, რომ ყველაფერს ის ხელმძღვანელობდა – სად დაეკრძალათ. ზარანდიების სახლი, სადაც დაკრძალული იყო, მისი ნაცნობი იყო, ისიც, სადაც ეს სასახლე დაამზადებინეს. მერე გროზნოში რომ დაკრძალეს, იქაც წავიდა, ყველაფერი მოახერხა მან და ყველაფერი გააკეთა მან. რა ვიცი, ალალი გულით ალბათ.

**შეკითხვა:** მერე, რომ გაიგეს, რომ ისინი თქვენთან იყვნენ, მშვიდობიანად ჩაიარა ამან?

კი მივიდნენ იქ, ანზორი იქ არ ყოფილა, ჩამოსული იყო ანზორის შვილი, ბესო, და უთხრეს: შე ზვიადისტის თვალებიანო, ეზოს ათხრევიანებდნენ, თქვენს სახლშია დამარხული, ეტყობაო, ახალგათხრილ მინას გავს ესო, მანდარინის ხეივანი ჰქონდათ და თითქმის მთელი ეზო გადაათხრევენეს თურმე.

**შეკითხვა:** და ესენი ვინ იყვნენ?

ჩვენი მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამ სახლს ჰქონდა დიდი აივანი, იმ ფილმშიც გამოჩნდება კარგად, იქ იყო ჩაის გადაამუშავება, მაშინ ამ ჩაის ამბებში იყო ანზორი და რაც ვერ გაჰქონდათ საზღვრებს გარეთ, უფრო რუსეთში, ამ აივანზე ეწყო, მთელ სივანეზე და უთქვამთ, ქვიშის ტომრებია დალაგებული და სპეცოპერაცია უნდა დავიწყოთო, ასეთად აღიქვეს ალბათ, როდესაც ალყა შემოარტყეს სახლს და იქ რაიმე კვალის პოვნა უნდოდათ ზვიად გამსახურდიასი, როდესაც გაიგეს, რომ ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა და საფლავს ეძებდნენ, სანამ გროზნოში გადაასვენებდნენ.

მე ის დღეც მახსოვს, აქ ვერტმფრენები რომ დაფრინავდა, ჯიხაშკარისკენ რომ მიფრინავდნენ, ზუსტად ჩვენი სახლისკენ უნდა გადაეფრინათ, ჩემი სახლისკენ რომ შემოდის ცენტრალური ქუჩიდან გზა, ზუსტად ის მიდის ჯიხაშკარისკენ. ვერტმფრენები რომ დაფრინავდა, ზუსტად მაშინ, როდესაც გადაასვენეს გროზნოში ზვიად გამსახურდია და ჩვენ აქედან, შორიდან ვადევნებდით მას თვალს. სანამ გაირკვეოდა მისი ადგილსამყოფელი, მანამდე ყველგან მიდიოდნენ, სადაც შესაძლებელი იყო, რომ ყოფილიყო და ეძებდნენ, მაგრამ კონკრეტულად ის სახლი ვერ იპოვეს და არც იცოდნენ. ის მაშინ გაიგეს, როდესაც ის დელეგაცია ჩამოვიდა ცხედრის გადასასვენებლად.

**შეკითხვა:** რობინზონ მარგველანთან გააკეთა ინტერვიუ წლების წინ გიორგი თარგამაძემ. რობინზონ მარგველანი ამბობდა, თქვენ რომ ყვებოლით თქვენს სახლზე, არაფ-



რით არ უნდოდა იქედან წამოსვლაო, ფეხები უკან დარჩა, რომ წამოვედითო. არ მინდა ამ სახლის დატოვებო, რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაღაც ცუდი გველოდებო.

ვაიმე, მართლა?! მოყვა?! ეს არ ვიცოდი! ზუსტად მასე უთქვამს: როგორ არ მინდა აქედან წასვლაო, უშანკას რომ ეძახიან, აი მასეთი ქუდი ეხურაო, დიდხანს იდგა აივანზე, ყველაფრისთვის მადლობა გადამიხადაო და ხელზე მაკოცაო. რომ მემშვიდობებოდა, შემომხედა და თქვაო, როგორ არ მინდა, კაცო, ამ სახლიდან წასვლაო. მართლა ყველაზე მშვიდად იმ სახლში იყო, ჩვენთან და მე ძალიან მიხარია. დაშვებაც კი არ მინდა, რომ ჩვენთან მომხდარიყო ის, რაც მერე მოხდა ხიბულაში.

კოკო, კონსტანტინე გამსახურდიას, მის შვილს, შევხვდი, დღესაც მის საქმიანობას თვალყურს ვადევნებ, იმ წიგნის – „საქმე“ – პრეზენტაციაზეც ვიყავი, რომელიც საკმაოდ სქელტანიანი წიგნია. სხვათა შორის, როდესაც ამ ფილმს იღებდნენ, ის ბიჭი, ირაკლი შონია, იყო ამ ფილმში ჩართული, ზუსტად ამ კვალს მიყვებოდნენ ფეხდაფეხ და აი ამ ფილმის პარალელურად შეხვედრებს ესწრებოდა თვითონ კონსტანტინე გამსახურდიაც. ამ შთაბეჭდილების გარდა, ის იკვლევდა, ისმენდა ყველას აზრს და ამის საფუძველზე დაწერა, შეკრიბა საარქივო მასალა და საკმაოდ სქელტანიანი წიგნი დაწერა, ასევე მოგონებებიც დაურთო. ასე კონკრეტულად მომეყოლა ფაქტები კონსტანტინე გამსახურდიასათვის - არა, მაგრამ ჩემი ეს დღიური, რომელიც მაშინ სულ 150 ცალი დაიბეჭდა, მეგობრებმა დამიბეჭდეს, სულ რაღაც 20 გვერდია, ეს დღიური აქვს, მე თვითონ გადავეცი და მერე მან წაიკითხა თუ რა ბედი ენია, არ ვიცი. სავარაუდოდ, წაიკითხავდა, ნახევარ საათში წაიკითხავს ადამიანი, ეტყობა მან არ ჩათვალა, რომ ეს მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ რომ, როგორც გითხარით, ეს არის პირადი დღიური, მაინც პირადი ემოციებია და არა რაიმე, ვთქვათ, შეფასება ან რაიმე ფაქტები.

**შეკითხვა:** თუ აღინიშნება, მაგალითად, წალენჯიხაში, სოფელში, სადაც ზვიადი იმყოფებოდა, თქვენი ახლობლების სახლში, ან სამეგრელოს სხვა სოფლებში ან გამსახურდიას იუბილე, ან სხვა სიმბოლური თარიღები?

ზუგდიდში ერთადერთი ადგილი იყო, ყოველ შემთხვევაში პირველი იყო, სადაც ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგა. ეს არის ქალაქის ცენტრში, ბულვარში, და სხვაგან არის თუ არა, არ ვიცი. შემდეგ იყო დარჩელში, სადაც დატრიალდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედია მხედრიონის დროს, სადაც 20 სახლი ერთდროულად დაწვეს და იქ ხალხიც დაიღუპა მაშინ. იქ არის კიდევ და სიმბოლურად იქაც რამდენჯერმე ვყოფილვართ ჩვენ მისი გარდაცვალების დღეს, ანუ 31 დეკემბერს. ასევე ჯიხაშკარში, იმ სახლში, სადაც მემორიალური საფლავია გაკეთებული, იქ მივიღვართ ხოლმე მისი ამ საიუბილეო თარიღების დროს, 31 მარტს, 31 დეკემბერს, მისი გარდაცვალების და დაბადების დღეს. იქ მიდიან ხოლმე, მაგრამ სხვა სახლებში, ჩვენს სახლში – არა. და ხიბულაშიც, იმ სახლსაც ეხლა ჩაუტარდა რესტავრაცია. იმ სახლში არავინ ცხოვრობს, მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, ისინი გარდაიცვალნენ და მერე მიტოვებული იყო. ჩაუტარდა უკვე რეაბილიტაცია. დარჩელმა და მერე წალენჯიხამ გადაიტანა ყველაზე მეტი სადამსჯელო ოპერაცია. წალენჯიხის საავადმყოფოდან რომ ავადმყოფებს იპარავდნენ, დიდი ამბები გადაიტანა, ეს იყო მანამდე, სანამ ზვიადი გარდაიცვლებოდა. წალენჯიხაში იყო დიდი სადამსჯელო ოპერაცია, მხედრიონის უშუალო მონაწილეობით, დარჩელში, სადაც მთელი უბანი, სამეზობლო, 20 სახლი გადაინვა. ასე რომ, დარჩელელებს უფრო კარგად ემახსოვრებათ.

